ავგუსტ გეგელი.

# დედაკაცი და სოციალიზმი

თარგმანი

**რ. რაჟდენიძისა და გ. მუმლაძისა.**

50-ე გერმანულ საიუბილეო გამოცემასთან შედარებული

**ს. დევდარიანის მიერ.**

ავტორის სამი წინასიტყვაობით.

**გამოცემა მ. კალანდაძისა.**



მათუმი.

სტამბა გ. ს. თავართქილაძისა.

1912.

ავგუსტ გეგელი.

ავგუსტ ბებელი.

# დედაკაცი და სოციალიზმი.

# 25-ე გამოცემის წინასიტყვაობა.

„თავიდან ბოლომდე არა მეცნიერული წიგნი“, როგორიც არის ჰერკნერის*) აზრით ჩემი წიგნი—„დედაკაცი და სოციალიზმი“, ახლა მეოცდა-ხუთე გამოცემათ გამოდის, რაც იშვიათი მოვლენაა გერმანიაში და იმედი მაქვს, რომ ეს გამოცემა უკანასკნელი არ იქნება. ამ წიგნის კარგათ მიღებას ნემეც მკითხველ საზოგადოებისაგან საკვლევი უდრის ის, რომ გამოსვლის დროიდან იგი მრავალ ენაზე გადაითარგმნა და გამოიცა... ორ ინგლისურ თარგმანს გარდა (ნიუიორკი და ლონდონი) გამოვიდა ფრანგულ, რუსულ, იტალიურ, შვედურ, ჰოლანდიურ, პოლონურ, ფლამანდიურ, ბერძნულ, ბულგარულ, რომანულ და ჩეხურ ენებზე. ასე რომ, მე შემიძლია ვიამაყო ამ ჩემი „თავიდან ბოლომდე არამეცნიერული წიგნით“.

მრავალმა წერილებმა, განსაკუთრებით სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი წრის ქალებისაგან, დამანახვეს, თუ რა გავლენა აქვს მას განსაკუთრებით ქალთა წრეებში და როგორი **გატაცებით** ეგებებიან მას. დამახასიათებელია ისიც, რომ სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის გაუქმების (1890 წ.) შემდეგ გამოსულ გამოცემათა უმეტესი ნაწილი **ბურჟუაზიულ წრეებში** გავრცელდა. თუმცა წიგნს შედარებით მცირე ფასი აწერია, მარა პროლეტართა უმრავლესობისათვის იგი მაინც მეტათ დიდია, და უმთავრესათ მათთვის ეს გამოცემა ცალკე ნაწილებათ გამოდის.

*) „მუშათა საკითხი“.

აქვე მინდა გულითადი მადლობა გამოუცხადო იმათ, ვინც დახმარება აღმომიჩინა, როგორც მასალის მოწოდებით, ისე მოყვანილ ფაქტების შესწორებით, შევსებით და ამით შეძლება მომცა ჩემი წიგნის დებულებები უფრო მტკიცე, შეურყეველი და შეუვალი გამეხადა მოპირდაპირეთა კრიტიკისათვის.

მარა ღრმა თანაგრძნობას ერთი მხრით თან დაყვა ძლიერი მტრობა მეორეს მხრიდან. მაშინ, როცა ერთნი ახასიათებენ ჩემ წიგნს, როგორც ყოვლად უსარგებლოს და ყველაზე უფრო მავნებელს ამ უკანასკნელ დროს გამოსულ წიგნთა შორის (ასეთი აზრი გამოთქვა ერთმა ბერლინელმა ანტისემიტურმა გაზეთმა), მეორენი (სხვათა შორის, ორი ევანგელიკური მღვდელი) ერთ უზნეობრივეს წიგნათ თვლიან მას ზნეობრივ შინაარსის წიგნთა შორის, რომელნიც კი ოდესმე გამოსულან. მე კმაყოფილი ვარ როგორც პირველი, ისე მეორე მსჯელობით. წიგნმა, რომელიც საზოგადოებრივ თემაზეა დაწერილი, ისე, როგორც სიტყვამ, საზოგადოებრივ მოვლენის თაობაზე წარმოთქმულმა, უნდა **აიძულოს** ყველა პარტიულათ მოეპყრან მას; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიაღწევს ის თავის მიზანს.

აუარებელ პასუხებსა და გაბათილებულ ცდათა შორის, რომელნიც ამ წიგნმა გამოიწვია, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ორი პასუხი, რომელნიც მეცნიერ ავტორებს ეკუთვნიან. ასეთი წიგნი აქვს ხ. ე. ციგლერის, ზოოლოგიის ექსტრაორდინალურ პროფესორის ფრეიბურგის უნივერსიტეტში, სათაურით: „ბუნებისმეტყველება და სოციალდემოკრატიული თეორია, მათი ურთიერთობა, მოთხრობილი დარვინის და ბებელის თხზულებათა მიხედვით“, და მის მოყოლებით გამოსული წიგნაკი აქვს ალფრედ ხეგარის, გინეკოლოგიის პროფესორისა იმავე უნივერსიტეტში, სათაურით: „სქესობრივი მოთხოვნილება“.

ეს წიგნები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ორივე წინასწარი მოლაპარაკებით დაეწეროს თავიანთ ავტორებს მეცნიერების სახელით ჩემი წიგნის მიწასთან გასასწორებლათ. ამ მოსაზრების სასარგებლოთ ლაპარაკობს ის, რომ ორივე ავტო-

რი ერთ და იმავე უნივერსიტეტს ეკუთვნის, ორივე წიგნი ერთ და იმავე გამომცემლობით გამოვიდა და ორთავე ავტორები იმით ხსნიან თავის ნაწარმოებთა გამოსვლას, რომ ჩემი წიგნის არა ჩვეულებრივმა ფართო გავრცელებამ მისი „ყალბი და არა მეცნიერული“ თეორიებით, აიძულეს ისინი კრიტიკა დაეწერათ. წინასწარ მოლაპარაკების სასარგებლოთ მოწმობს აგრეთვე შრომის განაწილება, რომლის შესახებ, აშკარაა, შეთანხმება უნდა ყოფილიყო ავტორთა შორის. მაშინ, როცა ციგლერი ცდილობს დაარღვიოს ჩემი კულტურულ-ისტორიული და მეცნიერული საბუნებისმეტყველო შეხედულებები, ხეგარი დასტაკებია უმთავრესათ ქალის ფსიხო-ფიზიოლოგიურ დახასიათებას ჩემ წიგნში და სურს დაამტკიცოს, რომ იგი ყალბი და შემცდარია. შემდეგ ორივენი გადადიან თავ-თავის თვალსაზრისით ჩემ ძირითად ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა დარღვევაზე, მარა ეს ექსკურსია მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ისინი აქ ისეთ სფერაში შეჭრილან, რომელიც ორივესთვის უცხოა და სადაც კიდევ უფრო ნაკლებ დაფნის გვირგვინს მოიმკიან, ვინემ თავის სპეციალობის სფერაში, რომელშიაც უფრო საფუძვლიანი პასუხი იყო მოსალოდნელი მათგან, როგორც მცოდნე პირებისაგან.

ამ წიგნებს საერთო ისა აქვთ, რომ ორივენი რამდენიმე ისეთ სფერას ეხებიან, რომელიც ძალიან დაშორებულია ჩემ წიგნში წამოყენებულ კითხვებისაგან და მათთან თითქმის არაფერი საერთო არა აქვს, ან, როგორც განსაკუთრებით ხეგარი, ისეთ მსჯელობებს მოყვებიან, რომელთა წინააღმდეგ მე არაიოარი საფუძველი არა მაქვს კამათი დავიწყო. შემდეგ, ორი- [illegible] ულებები **ტენდენციოზური ნაწარმოებია** და მიზნათ აქვთ რათაც უნდა დაუჯდეთ დაამტკიცონ, რომ არც ბუნების მეტყველება და არც ანტროპოლოგია არ იძლევა მასალას სოციალიზმის აუცილებლობისა და სარგებლობის დასასაბუთებლათ. ორივე ავტორს, როგორც ეს ხშირათ ხდება ხოლმე კამათის დროს, არა ერთგზის ამოუგლეჯიათ ჩემი თხზულებიდან ის, რაც მათთვის გამოსადეგი იყო და გამოუტოვებიათ ის, რაც

მათთვის უხერხული იყო, ასე რომ ხან-და-ხან მე თვითონ დიდი დაკვირვება დამჭირდა ჩემი ნათქვამის გამოსაცნობათ.

ამ წიგნების განხილვას მე დავიწყებ ციგლერის ნაწარმოებიდან, რომელიც პირველათ გამოვიდა.

ციგლერს თავის წიგნის სათაურშივე შეცდომა მოუვიდა. თუ მას უნდოდა გაერჩია სოციალდემოკრატიული თეორიები და მათი კავშირი დარვინის მოძღვრებასთან, მას ჩემი წიგნი არ უნდა აერჩია თავის კრიტიკის საგნათ, იმიტომ რომ ჩემის მხრივ უმაგალითო თავხედობა იქნებოდა, ჩემი თავი სოციალისტურ თეორეტიკათ ჩამეთვალა. მას უნდა აეღო ამისთვის ი.ხზულებები მარკსის და ენგელსის, რომელთა ბეჭებზე დანარჩენები ვართ შესკუპებული. მარა მან იმდენი გონიერება იხმარა, რომ ეს მხედველობიდან გაუშვა. მას არ შეეძლო აგრეთვე ჩემი წიგნი ერთგვარ კატეხიზმათ ჩაეთვალა, რადგან მე პირდაპირ განვაცხადე წინასიტყვაობაში, თუ რამდენათ შეიძლებოდა, ჩემის აზრით, ეს წიგნი ყველა პარტიულ ამხანაგების აზრის გამომხატველი ყოფილიყო. ციგლერს არ შეეძლო ეს არ სცოდნოდა. და თუ ის მაინც არჩეულ გზას—სახელწოდებას დაადგა, ცხადია, აქ ის ზრუნავდა უფრო იმაზე, რომ პიკანტური სათაური ყოფილიყო და არა მის სისწორეზე. აქ უწინარეს ყოვლისა უნდა უკუ ვაგდო ის მძიმე ბრალდება, რომელსაც ციგლერი სდებს ენგელსს, როცა სწერს თითქო მას თავის თხზულებაში: „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“, განუსჯელათ, **უკრიტიკოთ** მიეღოს მორგანის თეორია. მარა ენგელსს მეტათ საპატიო სახელი აქვს მოპოვებული მეცნიერთა შორის და ციგლერის ნაწარმოები მათში შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. ენგელსის ობიექტიური შესწავლა დაანახვებს თვით არა სპეციალისტებსაც კი (ციგლერი არ ეკუთვნის ასეთებს ამ შემთხვევაში), რომ მან მხოლოდ იმიტომ მიიღო მორგანის შეხედულებები, რომ იგინი სავსებით ეთანხმებოდა მის და მარკსის შეხედულებებს და გამოკვლევებს ამავე სფერაში. მიიღო-რა ეს შეხედულებები, ენგელსმა თავის საკუთარი საბუთებით დაამტკიცა ისინი, ასე რომ მოპირდაპირეთ

არ შეეძლოთ გამარჯვების იმედით გალაშქრება მათ წინააღმ-
დეგ. ყველაფერი ის, რაც ციგლერს მოყავს (უმთავრესათ ვეს-
ტერმაკის და შტარკეს აზრებიდან) მორგანის, ენგელსის და
ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არსებითათ ეთანხმება მათ აზრს,
ყველაფერი ის მეტათ სუსტია და საფუძველს მოკლებული; იგი
მხოლოდ ახასიათებს მის ზერელე შეხედულებას და ოდნავა-
თაც ვერ მოუმატებენ ჩემს პატივისცემას ციგლერის ტიპის მეც-
ნიერებს.

ციგლერს შიში აქვს (15 გვ. მისი თხზ.), რომ მე მის წინა-
ააღმდეგაც ისეთ ცილისწამებას წამოვაყენებ, როგორიც თურმე
თანამედროვე მეცნიერთა უდიდესი ნაწილის წინააღმდეგ წამო-
ვაყენე, დავაბრალე-რა მათ, რომ ისინი გაბატონებული კლა-
სების სასარგებლოთ ხმაროობენ თავის მეცნიერულ მდგომარეო-
ბას. მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ ყოველ-გვარ ბრალდების
წინააღმდეგ, თითქო მე ვისთვისმე ცილი დამეწამოს. ცილის
წამებაში ბრალის დადება, როგორც სჩანს, ადვილათ ეხერხება
ჩვენი პროფესორების კალამს, როგორც ამას ჰეკელის მიერ
ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება გვაჩვენებს.

რაც ჩემი საკუთარი შეხედულებები მაქვს გამოთქმული
მე ამ წიგნში, ის ყველა ჩემ ღრმა რწმენას შეადგენს, რომე-
ლიც შეიძლება **შემცდარი** იყოს, მარა წინასწარ განზრახვით
შეთხზული სიყალბე არ არის და ცილისწამება კი, მხოლოდ
ასეთ შემთხვევაში იქნებოდა; ყველაფერი ის, რაც მე მაქვს
მოყვანილი მეცნიერთა უმეტესი ნაწილის შესახებ, მე არა თუ
მრწამს, შემიძლია დავამტკიცო კიდეც აუარებელი ფაქტებით.
მარა მე დავკმაყოფილდები იმით, რომ ისეთ მწერლის მოსაზრე-
ბასთან ერთათ, როგორიცაა ბოკლი, მოვიყვან ფრიდრიხ ალ-
ბერტ ლანგეს აზრს, რომელიც თავის „მუშაოა საკითხი“-ს
მეთუთხმეტე გვერდზე გმობს გაყალბებულ მეცნიერებას, რო-
მელიც კაპიტალისტთა პირველ დაძახებისთანავე ვადადის მათ
სრულ განკარგულებაში. არჩევს-რა შემდეგ გაბატონებულ შე-
ხედულებებს სახელმწიფო მეცნიერებასა და სტატისტიკაზე, ლან-
გე განაგრძობს: „რომ ასეთი შეხედულებები (მონარხების შე-

ხედულებები) მეცნიერებსაც ვერ აუცილებია თავიდან, ეს ადვილათ აიხსნება შრომის განაწილებით სულიერ სფერაში... რადგან თავისუფალი ფილოსოფია, რომელიც ერთ ფოკუსში უყურის თავს ყველა მეცნიერებს ძალიან იშვიათია,—ის ჩვენი მეცნიერებიც, რომელთაც დიდ მკვლევარის სახელი აქვთ მოხვეჭილი,—რამდენიმეთ საყოველთაო ცრუ წარმოდგენის შვილები არიან: **ისინი, მართალია, კარგათ ხედავენ თავის სპეციალობის ვიწრო სფერაში, მარა სამაგიეროთ ვერაფერს ხედვენ მის გარეშე. დაუმატეთ ამას ის უბედურებაც, რომ სახელმწიფო აძლევს სასყიდელს და ხელოსნურათ ასწავლებიებს ისეთ „ფილოსოფიას", რომელიც ყოველთვის მზათაა—გონივრული უწოდოს არსებულს და მაშინ საკმაო საბუთი გვექნება თავდაჭერილი ვიყოთ იქ, სადაც მეცნიერულ საკითხებს პირდაპირ მივუავართ—მომავალ მსოფლიო რევოლიუციის ელემენტებთან, როგორც ამას არსებობისათვის ქიშპობის კანონში აქვს ადგილი".**

ეს განმარტებები თავისთავათ ნათელია. ისინი დამატებას არ საჭიროებენ. დაწვრილებით ციგლერს შეუძლია ამოიკითხოს ლანგეს წიგნის პირველ და მეორე თავში. შემდეგ ციგლერი ამბობს, რომ მას ურჩევდენ, თავი დაენებებია ჩემ წინააღმდეგ თხზულების წერისთვის და ამის მაგიერ დაემთავრებია დიდიხნის დაწყებული „წიგნი ემბრიოლოგიაზე, რაც უფრო სასარგებლო იქნებოდა მისი კარიერისთვის". მეც მგონია, რომ ეს უფრო გონიერი ნაბიჯი იქნებოდა მისი მხრივ არა მარტო კარიერისთვის, არამედ მისი მეცნიერული სახელისთვისაც, რომლისთვისაც ჩემ წინააღმდეგ დაწერილი წიგნით არაფერი მოუგია. მე არ შემიძლია აქ დაწვრილებით შევეხო ციგლერის პასუხს ჩემს შეხედულებებზე იმ ხალხთა სქესობრივ ურთიერთობის შესახებ, რომელნიც განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფებიან. მორგანის და ბახოფენის შემდეგ ეს ურთიერთობანი დაწვრილებით იქნა გამოკვლეული მეცნიერებისაგან და თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ ახალ-ახალი ფაქტები არ მოგვცეს ბახოფენის და მორგანის აზრთა დასამტკიცებლათ; ჩე-

მი წიგნის პირველ ნაწილშიაც მოყვანილი მაქვს ზოგიერთი, ფართე საზოგადოებისთვის ახალი ფაქტები, რომელნიც ჩემი აზრით, სავსებით ამტკიცებენ ამ შეხედულებათა სისწორეს. ამ ხანებში გამოსულ კუნოვის შრომაში: „ნათესავური ორგანიზაციები ავსტრალიის ზანგებში“, რომელიც ამ წიგნის პირველ ნაწილში მაქვს მოხსენებული, აუარებელი ახალი ფაქტებია მოყვანილი ამავე აზრების დასამტკიცებლათ და ამასთანავე დაწვრილებითაა გარჩეული ვესტერმაკის და შტარკეს შეხედულებები, რომელთაც ეყრდნობა ციგლერი და კუნოვი საფუძვლიანათ არღვევს მათ. ადგილის ეკონომიისათვის მე დავკმაყოფილდები იმით, რომ ამ შრომაზე მივუთითებ ციგლერს.

როცა ციგლერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ერთ-ცოლიანობა წარმოადგენს „ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ჩვეულებას“ (გვ. 88), ის მეტათ იადვილებს დამტკიცების საქმეს. პირველათ ერთ ცოლ-ქმრიანობა გამოყავს მას ფსიხოლოგიურ საფუძვლიდან, „სიყვარულის, ურთიერთის ძლიერი სურვილის და იჭვიანობისაგან“; შემდეგში კი ამბობს, რომ ქორწინება აუცილებელია „იმიტომ, რომ საჯაროთ დაქორწინებით ქმარი ვალდებულათ ცნობს თავს საზოგადოების წინაშე ერთგული იქნეს თავის ცოლის, იზრუნოს მაზე და აღზარდოს თავისი შვილებიო“. ამნაირათ, ჯერ მონოგამია (ერთ ცოლ-ქმრიანობა) ჩვეულებაა ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე; ურთიერთობა წმინდა ფსიხოლოგიურ საფუძველზე დამყარებული, ე. ი. ბუნებრივ კანონებით თავისთავათ გასაგები, ხოლო რამდენიმე გვერდის შემდეგ კი ქორწინება ისაზღვრება, როგორც ძალდატანებითი დაწესებულება, საზოგადოებისაგან შექმნილი იმისთვის, რომ ქმარმა არ უღალატოს თავის ცოლს და აღზარდოს თავის შვილები. „ამიხსენით, გრაფო ერინდურო, ბუნების ასეთი გაორება“. ციგლერში გულკეთილმა მოქალაქემ სძლია ბუნებისმეტყველს.

თუ საჯარო დაქორწინება აუცილებელია ქმრისათვის, რათა ის ერთგული იქნეს თავის ცოლის და აღზარდოს შვილები, რატომ ცოლის ასეთსავე მოვალეობაზე ერთ სიტყვასაც კი არ

ამბობს ბ. ციგლერი? ის ამით თავის და უნებურათ აღიარებს, რომ თანამედროვე ცოლქმრულ ურთიერთობაში თვით ძალდატანებითი მდგომარეობა აიძულებს ქალს დაიცვას ის, რის დაცვასაც ქმრისაგან... მხოლოდ საჯარო ფიცისა და მტკიცის შემდეგ მოელის და აუარებელ შეცთხვევაში მაშინაც ტყუვდება.

ციგლერი იმდენად ეონება შეზღუდული და უვიცი არ არის, რომ არ იცოდეს, მაგალ., ძველ აღთქმაში პატრიარქალური ოჯახის საფუძველი პოლიგამია (მრავალ-ცოლიანობა) იყო, რომ ყველა პატრიარქებს მეფე სოლომონამდე და შემდეგაც მრავალი ცოლი ყავდათ და მათ არ უშლიდა ამას ჩვეულება „ბუნებაზე დაფუძნებული". და არც მონოგამიის საფუძვლებს მოუხდენია რაიმე გავლენა მათზე. პოლიგამია და პოლიანდრია (მრავალ ცოლიანობა და მრავალ-ქმრიანობა), რომელნიც რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში არსებობდენ ისტორიულ ხანაში და, რომელთაგან პირველი დღესაც სოციალურ დაწესებულებათ არის აღიარებული — გადაჭრით ეწინააღმდეგება ციგლერის მეცნიერულ საბუნებისმეტყველო საფუძვლებს და სრულ აბსურდამდე მიყავს ისინი. სწორეთ სრულ აბსურდამდე მიდიან, როცა ბურჟუაზიულ ცრუ წარმოდგენითა და თვალსაზრისით ცდილობენ სხვისი ჩვეულებების და სოციალურ დაწესებულებების განხილვას და მეცნიერულ საბუნებისმეტყველო საფუძვლებს ეძებენ იქ, სადაც **მხოლოთ სოციალურ** მიზეზებს აქვს მნიშვნელობა.

ციგლერს შეეძლო თავი არ შეეწუხებია ადამიანის მზგავს მაიმუნთა მაგალითების მოყვანით იმის დასამტკიცებლათ, რომ მონოგამია ერთგვარ ბუნებრივ აუცილებლობას წარმოადგენსო. იმიტომ, რომ მაიმუნებს არ მოეპოვებათ სოციალური ორგანიზაცია, ადამიანებს—კი და რაც უნდა პრიმიტიული იყოს ეს ორგანიზაცია, იგი მაინც ბატონობს მათ აზროვნებასა და მოქმედებაზე. მართალია, დარვინს დაუჯერებელ საქმეთ მიაჩნდა საერთო ცოლქმრობა და მისი წინამორბედის საყოველთაო სქესობრივი შერევის არსებობა, მაგრამ ის ობიექტიური მეცნიერი იყო და ამიტომ აღნიშნა, რომ ყველანი, ვინც საფუძვ-

ლიანათ შეისწავლა ეს საგანი, სხვა აზრის არიან, ვინემ ის, სახელდობრ, რომ საერთო ცოლქმრობა (ეს სპეციალური ტერმინი ჩვენ გვეკუთვნის, ა. ბებელი) წარმოადგენს სქესობრივი შეერთების პირველყოფილ და საყოველთაო ფორმას მთელ დედამიწის ზურგზე. ამაში შედიოდა ქორწინება და-ძმათა შორის*). მარა საზოგადოებრივ განვითარების პირობათა გამოკვლევამ დარვინის შემდეგ დიდი ნაბიჯი წადგა წინ. ბევრი რამ, რაც მაშინ საეჭვო იყო, ახლა აშკარაა და თქმა არ უნდა, დარვინი რომ ცოცხალი იყოს, იგი თვითონვე უარყოფდა თავის იქვებს. ციგლერს საეჭვოთ მიაჩნია დარვინის თეორია შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ და სასტიკ ბრძოლას უცხადებს ამ შეხედულებას; იმ შეხედულებას კი, რომელიც თვით დარვინს საეჭვოთ მიაჩნდა, სახელდობრ იმას, რომ პირველყოფილ ადამიანთა სქესობრივი ურთიერთობა წარმოადგენდა მონოგომიას, ის უცთომელ ჭეშმარიტებათ იღებს და ისე იცავს მას, როგორც ფანატიკოსი ქრისტიანი სამება-ერთარსებას, რომლის ურწმუნობა მას თავის წმიდათა-წმიდის შებღალვათ მიაჩნია, ან როგორც კათოლიკე—ღვთისმშობლის უბიწოთ ჩასახვას. ციგლერი დიდათ მოტყუებულია თუ გონია, რომ ისტორიულ და მეცნიერულ საბუნებისმეტყველო საფუძველს მოკლებული დოგმატიური განცხადებით ის საეჭვოთ გახდის დამტკიცებულ ფაქტებს და ამით დაარღვევს იმ აზრს, რომ კაცობრიობის კულტურულ განვითარების სხვა-და-სხვა საფეხურზე სქესობრივმა შეერთებამაც განვითარების სხვა-და-სხვა ფაზები გამოიარა.

როცა ციგლერი და მისი თანამოაზრენი ეხებიან სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ საფეხურზე სქესობრივ ურთიერთობათა განვითარების საკითხს, მორგანის თვალსაზრისით გაგებულს, მათ ისე ემართებათ, როგორც მეცნიერთა უდიდეს ნაწილს ისტორიის მატერიალისტური შემეცნების განხილვის დროს. მათთვის მიუწდომელია ამ შემეცნების სიმარტივე და ბუნებრივობა, რომელიც ნათელსა ფენს და ხსნის ყველა მოვლე-

*) დ. რვინი. „ადამიანთა წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“, თავი მე-20-ე.

ნებს, რომელნიც აქამდე გაუგებარი და წინააღმდეგობით სავსე გვეჩვენებოდა. მეორეთათვის ეს შემეცნება მეტათ მარტივია და მასში ადგილი არა აქვს ბრძნულ სპეკულიატიურ მოსაზრებებს. ამას გარდა, თუმცა კარგათ შეგნებული არა აქვთ, მარა მაინც ეშინიათ, რომ აქედან გამოყვანილმა დასკვნებმა ზარალი არ მოუტანოს არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებას; იმიტომ რომ, თუ განვითარების კანონი მოქმედებს საზოგადოებაშიაც, მაშინ როგორ-ღა შეუძლია ბურჟუაზიულ საზოგადოებას ამტკიცოს—ამის უკეთესი საზოგადოებრივი წყობილება შეუძლებელიაო?

ციგლერს არ ესმის, რა ურთიერთობა არსებობს დარვინის მოძღვრებასა და სოციალისტურ მსოფლმხედველობას შორის. მე აქაც უნდა ვურჩიო მას, წაიკითხოს ლანგეს „მუშათა საკითხი“-ს პირველი ორი თავი, სათაურით: „ბრძოლა არსებობისათვის“ და „ბრძოლა პრივილეგიურ მდგომარეობისათვის“. შეიძლება აქედან მაინც ნათელი გახთეს მისთვის ის, რაც ჩემგან ვერ გაიგო. შემდეგ, რომ ციგლერი მართალი არაა, როცა ფიქრობს, რომ შეიძლება ჩემ წინააღმდეგ ვირხოვის შეხედულების წამოყენება დარვინიზმზე, როგორც სოციალიზმის წინამორბედზე,—ეს მე უკვე დავამტკიცე თავის ადგილას ამავე წიგნში.

მე ისე ვუყურებ დარვინის მეცნიერულ საბუნებისმეტყველო შეხედულებებს, როგორც მჯიდროთ დაკავშირებულს სოციალისტურ მსოფლმხედველობასთან, ციგლერი კი ფიქრობს, რომ ამ შეხედულების დასარღვევათ საკმარისია მიგვითითოს დარვინის აზრზე ომების შესახებ და მის მალტუზიანურ შეხედულებებზე, მარა პირველ ყოვლისა მე უნდა მოვითხოვო, რომ როცა ჩემი წიგნიდან ადგილს იღებს, სისწორით ამოიღოს. ის, რაც ციგლერს აქვს ამოწერილი თავის თხზულების 168-ე გვერდზე, როგორც ვითომ ჩემი შეხედულება სამუდამო მშვიდობიანობაზე, ძირიან-ფესვიანათ მოკლებულია სისწორეს და მხოლოდ ამტკიცებს იმას, რომ ციგლერს არ შეუძლია სოციალისტურ აზრთა წყობაში გაერკვეს. რომ ზო-

გიერთ ომებს კეთილი გავლენა ქონდათ კულტურის განვითარებაზე, ამაში შეგვიძლია თამამათ დავეთანხმოთ, მარა იმის თქმა, რომ ყველა ომი ასეთი ხასიათისაა, მხოლოდ ისტორიის უცოდინარს შეუძლია. იმის დაჯერება, რომ ომი, რომელიც ჟლეტს ყველაზე ძლიერ მამაკაცს, ამ კულტურულ ერთა საუკეთესო შვილებს და ანადგურებს აუარებელ კულტურულ საშუალებებს, დღესაც კაცობრიობის პროგრესს ემსახურებაო—მხოლოდ ბარბაროსს შეუძლია. მაშინ ხომ ხანგრძლივი მშვიდობიანობის დაცვა—ციგლერის და მისი ამხანაგების აზრით, დანაშაული იქნებოდა კაცობრიობის წინაშე. რასაც ამ საგნის შესახებ ამბობს ციგლერი თავის წიგნში, ის არაფრით არ დგას ტლანქ მეშჩანურ აზრზე უფრო მაღლა.

უფრო მაღალი ღირსების არაა არც ის, რასაც იგი დარვინის მიხედვით ამბობს მალტუზიანიზმის თაობაზე. სოციალ-ეკონომიურ კითხვების სრული უცოდინარობის გამო, დარვინი ყოველთვის მეტათ გაბედულ დასკვნამდე მიდიოდა, როცა კი სოციალურ თემებს ეხებოდა. მარა დარვინის შემდეგ ისეთი მძლავრი პროგრესი მოხდა სოციალურ სფერაში, რომ ის, რაც დარვინს ეპატიება, სრულიად არ ეპატიება მის მოწაფეს, მით უმეტეს მაშინ, როცა ის ციგლერსავით ავტორიტეტულ მსჯელობის პრეტენზიებს აცხადებს ამ სფერაში. რის თქმაც შეიძლებოდა ამ საკითხში მის წინააღმდეგ, ის უკვე ნათქვამი მაქვს ამ წიგნის ცალკე თავში: „მცხოვრებლები და მცხოვრებთა სიჭარბე“.

ერთი მთავარი კოზირთაგანი, რომლითაც ბ. ციგლერი გამოდის ჩემ წინააღმდეგ, ეხება ჩემ შეხედულებას იმაზე, თუ რამდენი შეუძლია ადამიანს და კერძოთ ქალს განვითარების, ნიჭის და უნარის გამოჩენა მემკვიდრეობითი კანონის და აღზრდის ზეგავლენით, თუ იგი გონიერ და ბუნებასთან შეფარდებულ საზოგადოებრივ პირობებში იქნება ჩაყენებული.

თანახმათ ვეისმანისა, ციგლერი ამტკიცებს, რომ შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემას სრულიად არა აქვს ადგილი ან და უსაზღვროთ დიდი დროა საჭირო ამისათვისო და

ამ თავისებურ აზრს ისეთ მნიშვნელობას აძლევს, რომ მას უქვემდებარებს სოციალისტურ იდეის განხორციელებას. ის ამბობს: „სანამ ადამიანები შეეგუებოდენ ახალ სოციალურ წყობილებას, მანამდე ეს ახალი წყობილება უკვე დაინგრევა“.

ეს დებულება გვიმტკიცებს, რომ ციგლერს თავისებური გულუბრყვილო წარმოდგენა ქონია შედგენილი მომავალ საზოგადოებრივ ფორმაციაზე. მას არ სწამს, რომ ახალი საზოგადოებრივი ფორმაციები ადამიანებთან ერთათ ვითარდებიან და ადამიანები მათთან. აქ ერთი მეორისაგან გამომდინარეობს და ორივე ერთათ მიდის. ახალი საზოგადოებრივი წყობილება შეუძლებელია უხალხოთ, რომელიც მოწადინებულია დაიცვას იგი და ხელი შეუწყოს მის განვითარებას და, რომელსაც ძალაც შესწევს ამისთვის. თუ სადმე შეიძლება შეგუებაზე ლაპარაკი, ეს ყველაზე მეტათ აქაა შესაძლებელი. ახალ წყობილების უკეთესი პირობები წინანდელთან შედარებით, შესაფერ გავლენას ახდენს ადამიანებზე და აკეთილშობილებს მათ.

ციგლერის აზრით, შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის თეორია უკვე დარღვეულია და იგი ახლა მხოლოდ უკან ჩამორჩენილთა სწამთ. როგორც არა სპეციალისტებს და, როგორც ყელამდე ავსებულს მრავალი სხვა-და-სხვა საქმეებით, რომელნიც დაშორებულნი არიან ამ სადაო საკითხს, მე არ შემიძლია ამ შემთხვევაში თავის საკუთარ ცოდნას და ცნობებს დავეყრდნო. მარა ყურადღებით დაკვირვებამ დამანახვა, რომ ეს თემა, რომელსაც ასეთი რიხით და ერთი ხელის მოსმით სწყვეტს ციგლერი, მეტათ რთულია და რომ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ დარვინის ცნობილი მიმდევრები. მაგალ. აქიმმა ბიუხნერმა 1894 წლის 13 მარტს „საყოველთაო გაზეთის დამატებაში“ მოათავსა წერილი ამ სათაურით: „ბუნებისმეტყველება და სოციალდემოკრატია“, რომელშიაც არჩევს ციგლერის თხზულებას.

ბიუხნერი არამც თუ თვითონ გამოდის ვეისმანის და ციგლერის შეხედულების წინააღმდეგ, არამედ უჩვენებს კიდეც,

რომ დარვინის შეხედულებას ჰეკელთან ერთათ ემოწმება ამ კითხვაში ჰექსლი, ჰეგენბაუერი, ფიურ ბრინგერი, ეიმერი, კლაუსი, კოპპე, ლესტერ უორდი და ჰერბერტ სპენსერი. შემდეგ ხაკეც თავის პოლემიკურ თხზულებაში: „წარმოშობა და მემკვიდრეობა“ (მექანიკა ორგანიზმთა განვითარებისა), რომელსაც დიდათ აფასებენ ყველა სპეციალისტები ისეთ თვალსაზრისზე დგას, რომელიც ეწინააღმდეგება ვეისმანისას[1]). თვით ხეგარიც თავის წიგნაკში, რომელიც ჩემ წინააღმდეგაა მომართული, არ ეთანხმება ვეისმანს (130-ე გვ. და შემდეგ). შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის თეორიას აღიარებს სავსებით პროფესორი აქიმი დოდელი, რომელიც თავის თხზულებაში—„მოსე თუ დარვინი საშკოლო საკითხი“ [2]), 99-ე გვ. სიტყვა-სიტყვით შემდეგს ამბობს: „მარა დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტებს ანუ წინმსვლელ მემკვიდრეობის შესახებ. ამის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდუალური თვისებები, ე. ი. ახალ გამოჩენილი ნიშნები, უკანასკნელ დროის თვისებები შეიძლება მემკვიდრეობით გადავიდეს შთამომავლობაზე“. ამავე საკითხის შესახებ ჰეკელი სწერს ბიუხნერს ერთ ბარათში 1894 წლის 3 მარტის თარიღით, რომელიც მოყვანილი აქვს ბიუხნერს ციგლერის წიგნის კრიტიკაში: „აქ დართული წერილიდან თქვენ დაინახავთ, რომ ჩემი შეხედულება ამ საკითხში ყველგან მონისტურია (და იმავე დროს ლამარკისტური). ვეისმანის მზგავს თეორიებს ყოველთვის დუალისტურ და თეოლოგიურ შეხედულებებამდე მივყევართ, რომელნიც ბოლოს და ბოლოს მისტიური ხდებიან. ონტოგენიაში ისინი პირდაპირ მიგიყვანენ ბედის-წერის ძველ დოგმატებამდე“.

ამავე ნიადაგზე დგანან ლომბროზო და ფერერო თავის თხზულებაში: „ქალი, როგორც დამნაშავე და მეძავი“ [3]), სახელდობრ 124-ე გვერდზე ისინი მოგვითხრობენ, რომ დამორ-

---

[1]) ლეიპციგი, 1893 წ.

[2]) შტუტგარტი, 1895 წ. 5-ე გამოცემა.

[3]) ლეიპციგი, 1894 წ.

ჩილების და თავის მიცემის ინსტიქტები ქალს მემკვიდრეობით აქვს მიღებული შეგუების წყალობითო.

ტარნოვსკიც[1]) აგრეთვე შესაძლებლათ თვლის ერთგვარ პირობებში შეძენილ არა-ბუნებრივ სქესობრივ გრძნობათა მემკვიდრეობით გადაცემას; კრაფტებინგი[2]) კი ამბობს, რომ ქალის ხასიათი აურაცხელ თაობათა განმავლობაში მუშავდებოდა.

აქედან სჩანს, რომ მე, როგორც მომხრე შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემის თეორიისა, ძალიან კარგ თანამოაზრეებში ვიმყოფები და რომ ციგლერი უფრო მეტის დამტკიცებას ებღაუქება, ვინემ ძალა შესწევს.

ციგლერი თავის ბიურგერულ სამუშაოს მიხედვით—ბუნებისმეტყველია, მარა როგორც zoon politicon (პოლიტიკური ცხოველი), როგორც ამბობს არისტოტელი, ის ექვს გარეშეა, ნაციონალ-ლიბერალებს უნდა ეკუთვნოდეს. ამას მოწმობს განუსაზღვრელი და გაურკვეველი წინადადებები, რომელთაც ის ხმარობს, როცა საბუთების მოყვანა უძნელდება. ამასვე მოწმობს ის, რომ მას დიდი სურვილი აქვს მთელი კაცობრიობის განვითარება თანამედროვე ბურჟუაზიულ წყობილებას შეუთანხმოს, ამ მიზნით ის ცდილობს დაამტკიცოს, რომ სოციალური და პოლიტიკური დაწესებულებები, როგორიცაა ქორწინება, ოჯახი, სახელმწიფო და სხვ. ყოველთვის ისეთი იყვენ, როგორიც დღეს არიან. ამით მას უნდა დაამტკიცოს, რომ მე-XIX საუკუნის დასასრულს ფილისტერებმა თავი არ უნდა იტეხონ იმაზე ფიქრით, თუ რას მოგვიტანს XX საუკუნე.

გადავიდეთ ხეგარზე. თავის წიგნს ის სოციალურ-მედიცინურ გამოკვლევას უწოდებს, მარა რომ მას სიტყვა „სოციალური“ წაეშალა და წიგნის შესაფერი ნაწილიც გაპოეტოვებია, ამით მისი შრომა ბევრს მოიგებდა; ეს იმიტომ, რომ სოციალური ნაწილი მეტის-მეტათ სუსტია და გვიჩვენებს მხო-

[1]) „დაავადებული სქესობრივი გრძნობები“. ბერლინი, 1886 წ.

[2]) „ფსიხოლოგიური სახელმძღვანელო“. ტომი I, გამოცემა 2-ე.

ლოდ იმას, რომ ავტორი ძალიან ნაკლებათ იცნობს ჩვენს სოციალურ პირობებს. ხეგარი იოტის ოდნათაც ვერ ასულა საშუალო ბურჟუის შეხედულებათა მაღლა და, ციგლერის არ იყოს, სრულიად ვერ ახერხებს სისწორით გაგებას ისეთი აზრისას, რომელიც ბურჟუაზიულ შეხედულებათა ვიწრო ფარგალში არ თავსდება. ამიტომ ხეგარმა, დიდი ბრძნული თვითშეგნება გამოიჩინა იმაში, რომ უარი სთქვა თავის პირვანდელ გეგმაზე (იხ. მისი წიგნის წინასიტყვაობა), ე. ი. მთელ ქალთა საკითხის დამუშავებაზე. მან შეზღუდა თავის თემა, რათა გამოელაშქრა ცბიერ და მეტის-მეტათ მავნე შეხედულების და მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც... ფართე მასსაშია მოდებული, განსაკუთრებით ბებელის წიგნის—„დედაკაცი და სოციალიზმი“-ს მეოხებით. შემდეგ ის უმატებს: „კარგი და მართლა მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული შრომა, როგორიცაა „სქესობრივი ჰიგიენა“ რობინგისა, პირიქით, შედარებით მცირე თანაგრძნობას პოულობს“.

ამ უკანასკნელ წიგნს მე კარგათ ვიცნობ. მისი ავტორი პირწმინდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე დგას. წიგნი ნაკლები ღირსებისაა და მასში აშკარათაა გამოხატული კონსერვატიული ტენდენცია. ძლიერი ტენდენცია ემჩნევა, რასაკვირველია, ხეგარის საკამათო წიგნაკსაც ჩემი თხზულების წინააღმდეგ. ჩემი წიგნის მეტის-მეტ ერთგული უარყოფით, ის ამტკიცებს მეტს, ვინემ შეუძლია სპეციალისტს. ამასთანავე, ყოველთვის თავის მფარველობის ქვეშ იყვანს კეთილშობილ კლუბს, ზნეობის სამაგალითო ნიმუშათ გამოყავს ისინი; მუშებს კი ჩასაქოლათ არ ზოგავს; ასე რომ ხშირათ გებადება აზრი, რომ აქ შენ წინ დგას ბურჟუა, რომელსაც შევნებული აქვს თავის კლასობრივი ინტერესები და არა მეცნიერების მსახური. როცა, პირიქით, ხეგარი ობიექტიურ ნიადაგზე დგას, როგორც მეცნიერი, მისი წიგნი ბევრ საყურადღებო ცნობებს იძლევა, რომელთა გავრცელება დიაღაც სასურველია. მარა ტყუილა დაუწყებთ ძებნას მის თხზულებებში ფართე, ზოგად შეხედულებებს და ღონისძიებებს სოციალურ ჰიგი-

ენიდან, რომელთა განხორციელება შეუძლია, თუ შეიგ-ნებს და შეითვისებს, სახელმწიფოს და საზოგადოებას, რომ ასე მთელი თაობა პროგრესიულ-მეცნიერულ შემეცნების თა-ნახმათ აღზარდოს.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებობს ორი კლასი, რო-მელიც არ ეკუთვნის პროლეტარიატს, მარა რომ შეეძლოთ თავის ვიწრო ბურჟუაზიულ აზროვნებისაგან განთავისუფლება, დიდი სიხარულით და აღტაცებით მიეგებებიან სოციალისტებს —ესენია მასწავლებლები და მედიკები (ჰიგიენისტები, გინე-კოლოგები და აქიმები). ამნაირათ, სწორეთ ამ ხალხისაგან, ე. ი. ხეგარისა და მის მზგავსთაგან, რომელთაც თავის მდგო-მარეობასა და ხელობას აცნობს, რომ ადამიანთა დიდი უმრავ-ლესობა, განსაკუთრებით ქალები, უსაზღვრო ტანჯვას და გა-ჭირვებას განიცდიან უმთავრესათ ჩვენი სოციალური ურთი-ერთობის წყალობით—სწორეთ ასეთ ხალხისაგან იყო მოსა-ლოდნელი გაბედული და მართალი სიტყვის თქმა და ფართო ღონისძიებათა გამოსარჩლება სოციალურ პირობების შესაცვ-ლელათ და გასაჯანსაღებლათ, რადგან მხოლოდ ასეთ ღონის-ძიებებს შეუძლია საზოგადოების ხსნა. მარა ამას ვერ ვხედავთ. ისინი იცავენ ისეთ პირობებს, რომელნიც ბუნების გადამახინ-ჯებაა, გადაუკულმართება და თავის ავტორიტეტით მფარვე-ლობას უწევენ თანამედროვე გახრწნილ წყობილებას და სა-ზოგადოებას, რომელიც ყოველ დღე გვიმტკიცებს თავის სრულ უძლურებას ზნეობრივი და ფიზიკური ბუნების ბოროტ-ებასთან ბრძოლაში. ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია ასე-თი საქციელი მეცნიერების მსახურთა მხრივ, რომელთაც ერ-თათ-ერთი გასამართლებელი საბუთი ისა აქვთ, რომ გარემო-ცული საზოგადოებრივი წრე და მისი ყალბი წარმოდგენები, მათთვის მეორე ბუნებათ გადაქცეულან და თუმცა აზრით ამ წრეზე მაღლა დადგომის საშუალებას უსპობენ... მიუხედავათ მათი მეცნიერობისა, ისინი მაინც „სულით ღატაკნი“ რჩებიან.

ხეგარს ისე, როგორც ციგლერს, თავისებური წესი აქვს ციტატების მოყვანის; ის გვერდს უვლის მთავარ დებულებებს,

ილებს მხოლოდ მეორე ხარისხოვან ადგილებს და ამაზე აშენებს თავის კრიტიკას. მარა საკამათოთ იწვევს ის გარემოება, რომ მე დიდ მნიშვნელობას ვაძლევ სქესობრივ მოთხოვნილებათა ნორმალურ დაკმაყოფილებას მოწიფულ ქალ-ვაჟთაგან და უნდა მკითხველს ისე აჩვენოს, თითქო მე სქესობრივ თავდაუჭერლობას ვქადაგებდე. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მე ვიმოწმებ ბუდდას და შოპენგაუერს, დაძველებულათ თვლის ხეგევიშას და ბუშეს აზრებს, მარა მას ავიწყდება, რომ ისეთი ავტორიტეტები, როგორიცაა კლენკე, პლასსი და კრაფტ-ებინგი, რომელნიც უფრო პირდაპირ და გადაჭრით ამტკიცებენ ამასვე, ჩემს მხარეზე არიან. ამ გამოცემაში, სხვათა შორის, მომყავს ამონაწერი მორალის სტატისტიკოს კონსერვატორ ფონ-ეტინგენიდან, რომელიც თავის სტატისტიკურ გამოკვლევებით ისეთ დასკვნამდე მივიდა, როგორც მე. ხეგარმა სხვა ვერაფერი ნახა ყველა ამის წინააღმდეგ წამოსაყენებლათ, გარდა დე-კასპიეს სტატისტიკისა—უქორწინოთა სიკვდილის შესახებ საფრანგეთში. 1685—1745 წლებში(!!!) და ოლლიანთა სტატისტიკისა ბაუერის ცნობებიდან, რომელიც ეხება 1776—1834 წლებს. როგორც ერთი, ისე მეორე ცნობები იმ დროინდელია, როცა სტატისტიკა სრულიად განუვითარებელი იყო და ამიტომ ეს ცნობები დიდ დამამტკიცებელ ძალას არ წარმოადგენენ.

მარა ხეგარი ამაზე უფრო ძლიერ წინააღმდეგობებშიაც ვარდება. თავის თხზულების 9-ე გვერდზე იმის დასამტკიცებლათ, რომ სქესობრივი თავდაჭერილობა მავნებელი არაა ადამიანისათვის, ის გვითითებს კათოლიკე სამღვდელოებასა და ბერ-მონაზვნებზე, რომელთაც თავისი ნებით იდვეს თავს უბიწო ცხოვრება. მას არ სჯერა, რომ ეს ხალხი უბიწოებას არ იცავს და პასუხათ გვეუბნება, რომ მათ აიძულებს უბიწოების დაცვას, როგორც მოვალეობის გრძნობა, ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომლის გამო ყოველი მათი ცთომილება ჰორიკანობის საგნათ იქცევა და მთავრობის ყურამდე ადვილათ მიაღწევს. იმავე წიგნის 87-ე გვერდზე კი სიტყვა-სიტ-

ყვით ვკითხულობთ შემდეგს: „დრიურისაგან დამტკიცებული და ბერტილიონისაგან ამოღებული ფაქტი **გადაჭრით გვეუბნება, რომ ამ კატეგორიის დანაშაულობათა წარმოშობაზე** (გახრწნა, ბავშვების წვალება და სხვ.) **პირდაპირი გავლენა აქვს სქესობრივი მოთხოვნილების დათრგუნვას.** დრიურიმ შეადარა, სად მეტი ზნეობის დარღვევის მაგალითები ყოფილა 30 წლის განმავლობაში, საერო წოდების პირთა ხელმძღვანელობაში მყოფ შკოლებში, თუ სასულიერო წოდების ხელქვეითებში: 39,873 საერო შკოლაში მომხდარა 19 დანაშაული და 8 შეცდომა, 3581 სასულიერო შკოლაში კი, 203 დანაშაული და 32 შეცდომა. **ამნაირათ, სასულიერო კონგრეგაციათა ინსტიტუტებში ითვლება 4-ჯერ მეტი შეცდომა და 12-ჯერ მეტი დანაშაულობა ზნეობის წინააღმდეგ“.** მე მგონია, რომ ვინც თვითონვე არღვევს თავის თავს, მისი დარღვევა საჭირო აღარაა.

ასეთი წინააღმდეგობები ხეგარს სხვაც ბევრი აქვს. წიგნის 18-19-ე გვერდზე მოყვანილი ციფრები სიკვდილის რაოდენობის შესახებ საფრანგეთსა, პარიზსა, ბელგიასა, ჰოლანდიასა, პრუსიასა და ბავარიაში, რომელნიც გვიჩვენებენ, რამდენი მომკვდარა ამა თუ იმ ჰასაკში 1000 ცოლიანსა და უცოლოზე. თითქმის ყველა ეს ცხრილები ჩემს სასარგებლოთ ლაპარაკობენ, რადგან ისინი გვიჩვენებენ, რომ უცოლოები, გარდა 15-20 წლიანებისა, ყველა ჰასაკში მეტი კვდება ცოლიანებზე. ქალებში, რასაკვირველია, არა მცირედი რიცხვი კვდება გათხოვილთა შორის მშობიარობის დროს ან აქედან წარმომდგარი სნეულებისაგან 20—40 წლამდე, ხეგარი კი ამ ფაქტიდან და მრავალ-გვარ სნეულებიდან, რომელიც მშობიარობას ახლავს თან, ასკვნის, რომ სიყვარულის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესამჩნევათ ახშირებს სიკვდილს გათხოვილ ქალებშიო; მარა ის ვერ ამჩნევს, რომ ქალი კვდება არა სქესობრივი ურთიერთობისაგან, არამედ მშობიარობისა და მის შედეგებისაგან. და ამაში კი დამნაშავეა მხოლოდ ქალის ფიზიკური თვისებები, რომელნიც აძნელებენ მშობიარობის

აქტის გადატანას. და ამ ფიზიკური სისუსტის მიზეზი კი, ჩვენი უბადრუკი სოციალური პირობებია: ცუდი სასმელ-საჭმელი, ცუდი საცხოვრებელი ბინა, ძნელი სამუშაო, ცუდი სულიერი და ფიზიკური აღზრდა, უვარგისი ტანსაცმელი (კორსეტი) და სხვ. ხეგარმა, როგორც სპეციალისტმა, უნდა იცოდეს, რომ ხშირათ მშობიარეთა საშინელ ტანჯვაში დამნაშავეა უხეირო საბებიო დახმარება, ან ქმრისაგან სენის გადადება და სხვ. ყველა ამ ნაკლულევანების შევსება შეიძლებოდა სოციალური დაწესებულებების და აღზრდის წესის გაუმჯობესებით და მაშინ ამ მძიმე შედეგებს ადგილი აღარ ექნებოდა. ხეგარი მე მიკიჟინებს სქესობრივ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის გავლენის გაზვიადებას და თვითონ კი, წინააღმდეგ უკიდურესობაში ვარდება. ის ისეთი ფერადებით გვიხატავს სქესობრივი ცხოვრების მავნებლობას ქალისათვის, რომ მართალი გამოდის პავლე მოციქული, როცა ქადაგებს: „დაქორწინება კარგია, დაუქორწინებლობა კიდევ უკეთესი“.

შემდეგ ხეგარი ედავება ჩემ შეხედულებას, რომ სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას უცოლოთა შორის გავლენა აქვს თვითმკვლელობაზე. მარა თვით ხეგარიც ხომ იძულებულია დამეთანხმოს (გვ. 23), რომ „საერთოთ თვითმკვლელობათა რიცხვი უცოლოთა შორის მეტია“.

მაშ, რაღაზე გვაქვს დავა?

ხეგარი ეკამათება ჩემ შეხედულებას, რომ სქესობრივი მოთხოვნილების დათრგუნვა ხშირათ იწვევს ქალებში სულიერ დაავადმყოფებას, სატირიაზისს, ნიმფომანიას, მარა აქაც მისი პასუხი მიზანს ვერ აღწევს. 80-ე გვერდზე ის სწერს: „მდედრობითი სქესი საერთოთ უფრო ხშირათ ვარდება სიგიჟეში, ვინემ მამრობითი, მარა განსხვავება მათ შორის დიდი არაა. სამაგიეროთ, დიდი განსხვავებაა ამ მხრივ დაქორწინებულთა და დაუქორწინებელთა შორის, გაგიჟებულთა რიცხვი პირველებში დაახლოვებით ორჯელ მეტია, ვინემ მეორეთა შორის. ასეთი მეტ-ნაკლებობა კიდევ უფრო აშკარათ გამოჩნდება, თუ ანგარიშში არ მივიღებთ ბავშვებს, რომელთა შო-

რის სულით ავათმყოფობა იშვიათი მოვლენაა და ერთმანეთს დავუპირდაპირებთ დაქორწინებულთა და დაუქორწინებელთ 15 წლის ზევით. მაშინ მივიღებთ, რომ დაუქორწინებელთა შორის სულით ავათმყოფობა 4-ჯერ მეტია დაქორწინებულებზე. მართალია ხეგარი ცდილობს ასეთი დიდი განსხვავება დაქორწინებულთა სასარგებლოთ სხვა-და-სხვა მიზეზებით ახსნას, მარა ერთი ის, რომ ამ მიზეზების ერთი ნაწილი მეც შემიძლია მივიღო, მით უმეტეს, რომ მე არსად არ მითქვამს, თითქოს სქესობრივი გრძნობის დახშობა ერთათ-ერთი მიზეზი იყოს უცოლოთა და გაუთხოვართა დაავათმყოფების; მეორეც ის, რომ ბოლოს ის თვითონაც იძულებულია აღიაროს (გვ. 21), რომ „ამ მხრივ განსხვავება დაქორწინებულთა და დაუქორწინებელთა შორის მეტათ დიდია და მისი ახსნა მარტო ამ მიზეზებით შეუძლებელია“ (ე. ი. მარტო მისგან მოყვანილი მიზეზებით).

ხელ-ახლა დგება საკითხი: მაშ რაღაზეა დავა?

შემდეგ ის ამბობს (გვ. 23): „ხანდისხან ნიმფომანია და სატირიაზისი ჩნდება მაშინ, როცა შესამჩნევი ცვლილებები ხდება სქესიურ ორგანოებში ან ცენტრალურ ნერვიულ სისტემაში“, მარა საიდან წარმოსდგებიან ეს ცვლილებები, ამაზე ის დამაკმაყოფილებელ პასუხს არ იძლევა; რომ სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას შეუძლია დიდი ტანჯვა მიაყენოს ადამიანს, ამაში ის თანახმაა. „მარა პირველი და უმთავრესი მიზეზი მაინც ხელოვნურათ და ძალდატანებით გამოწვეული ვნებათა ღელვაა“ (!!!). მარა ეს ვნებათა ღელვა ხომ ადამიანის ბუნებაშია ჩამარხული, უამისოთ მისი ხელოვნურათ გამოწვევა შეუძლებელი იქნებოდა. ხეგარი გვეთანხმება, რომ ისტერიის წარმოშობას წინეთაც სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას აწერდენ, მარა მას არ სურს ეს აღიაროს; ამავე დროს კი, თავის წიგნის 35-ე გვერდზე სწერს: „წინეთ და ჩვენს დროშიაც, თუმცა უფრო იშვიათათ ემჩნევა, რომ დახურულ დაწესებულებებში, როგორიცაა დედათა მონასტერი, დედათა ინსტიტუტები და სხვ., მეტათ

გახშირებულია დაავათმყოფება ისტერიით, ისტერიულ ჭკუა-შეშლილობით, წმ. ვიტტეს ცეკვით, რასაც ხშირათ აწერენ სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობას". ხეგარი არ ეწინააღმდეგება ამას; ის მხოლოდ ცდილობს გამოარკვიოს ამის მიზეზები, რის საწინააღმდეგოც მე არაფერი მაქვს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მიზეზები მეც მაქვს აღნიშნული.

„ქალის ავათმყოფობა ადვილათ იღებს სქესიურ ხასიათს", ამბობს ქვევით ხეგარი. ესეც, ჩემი აზრით, ეთანხმება ჩემ შეხედულებას. ქვევით ის აცხადებს: „რა როლს თამაშობს ასეთ ნერვების და სულიერ ტანჯვის წარმოშობაში, რომელთაც სქესიური ელფერი აქვთ ჰასაკის შესაფერი სქესობრივი მოთხოვნილების ძალდატანებით დახშობა, ამის თქმა ძნელია". მე ეს დათმობაც მაკმაყოფილებს.

თავის წიგნაკის მეხუთე თავში ხეგარი იკვლევს, თუ რა ვნება მოაქვს ქალისათვის გამრავლების პროცესში მონაწილეობას. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ხეგარის აზრით, გათხოვილ ქალს მეტი ხიფათი მოელის, ვინემ გაუთხოვარს, თუმცა საესებით ვერც იმას უარყოფს, რომ სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობასაც თავის უარყოფითი მხარეები აქვს. მარა, რაც უნდა იყოს, ხნიერ გაუთხოვრების, ე. წ. დაბერებულ ქალიშვილების სახის დანახვა კმარა, რომ არა სპეციალისტმაც შეატყოს, თუ რა ვნება მოაქვს გაუთხოვრობას. ამას ვერ ფარავს ვერც ხეგარი და ამიტომ თავის წიგნაკის 30-ე გვერდზე შენიშნავს: „არსებობს ქალიშვილთა მეორე ჯგუფი, რომელნიც არ გათხოვილან, მარა მაინც სრულიად ჯანსაღნი არიან, და რომელთა ორგანიზმის განვითარებას ყოველ შემთხვევაში ამით შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა და ისინი თანდათანობით შედიან ხნიერობის ჰასაკში. ესენი იშვიათათ წარმოადგენენ ცოტათ თუ ბევრათ მკაფიოთ გამოხატულ სურათს, რომელსაც ბევრი რამ აქვს საერთო სისხლ-ნაკლულევანებასთან: სისუსტის და მოდუნების გრძნობა, შრომის შეზარება, ცუდი სულიერი განწყობილება, დაავადებული მგრძნობელობა, ფერ-მიმქრალი სახე, სიგამხდრე, სქესობრივ

ფუნქციათა არა ნორმალობა და სხვ.“ ამნაირათ, ეს წინადადებაც საკმაოთ ეთანხმება ჩემ შეხედულებებს და მიუხედავათ ამისა, მე საშინელ ბრალდებებს მიყენებენ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო გულ-ახდილათ ვუწოდე საგანს მისი ნამდვილი სახელი.

იმის შესახებ, რასაც ხეგარი ამბობს მე-VII თავში, სქესობრივ ურთიერთობაში თავ-დაუჭერლობაზე, ე. წ. „თავისუფალ სიყვარულის“ შედეგებზე, მე აქ ერთ სიტყვასაც არ დავხარჯავ—ერთი იმიტომ, რომ აქ მას ვერ გაუგია ჩემი აზრი, განზრახ თუ უნებლიეთ, ამას არ ვეხები; მეორეც იმიტომ, რომ აქ ის ისეთ რამეებზე მსჯელობს, რასაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ჩემ შეხედულებებთან.

შემდეგ ხეგარს ისე მოუვიდა, როგორც ყველა ბურჟუაზიულ იდეოლოგებს მოსდით: შედეგი მიზეზათ აქვს მოყვანილი. მაგალ. მთვრალობა მას მიაჩნია არა სოციალურ მიზეზების, არამედ ზნეობრივი დეფექტების შედეგათ. ჩემ წიგნში იმდენათ დაწვრილებითა მაქვს აწერილი სოციალურ პირობების გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე, რომ აქ საჭიროთ აღარ მიმაჩნია ამაზე სიტყვის გაგრძელება.

ხეგარი ძალიან გაუწიწმატებია იმას, რომ მე მოხსენებული მაქვს, თუ რა ხშირია „გაბატონებულ, შეძლებულ და განათლებულ“ კლასების შვილთაგან ხალხის შვილების გახრწნა-გაუპატიურება. თურმე ეს მართალი როდია. დამნაშავეა თურმე, თითქმის ყოველთვის ჯარის-კაცები, მუშები, ქარგლები, მოსამსახურეები, და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში უმაღლეს წოდების პირები, რომელთაც ამ შემთხვევაში ძვირათ უჯდებათ თურმე თავის შეცდომა, რომელშიაც შეიძლება მას მხოლოდ ბრალის ერთი ნაწილი ედებოდეს. ამაზე ურცხვი სიყალბე აღარ შეიძლება. მართალია, 170,000 უკანონო შვილების მამათა მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენენ შეძლებულ და განათლებულ წრიდან გამოსული პირები, მარა პროცენტულათ რომ ავიღოთ, მათი რიცხვი მეტათ დიდია. სამწუხაროთ მუშები, განსაკუთრებით დიდ-კაცის სახლში მოსამ-

სახურეები ხშირათ იღებენ თავის თავზე თავიანთ ბატონების ცოდვას. აბა სცადოს ბ. ხეგარმა შესაფერი დაკითხვის მოხდენა ფრეიბურგის საბებიო კლინიკაში და იქ ბევრ საგულისხმოს ნახავს და შეისწავლის, თუ კი მას ამ საკითხში რაიმეს შეთვისება შეუძლია. მე ვურჩევ მას, წაიკითხოს მისი ახალგაზრდა „კოლეგის“, აქიმ მაქს ტაუბეს*) „უკანონო შვილთა მფარველობა“, რომელიც ამ კითხვის გარკვევამ სავსებით **წინააღმდეგ** დასკვნამდე მიიყვანა, ვინემ ხეგარი. ბურჟუაზიულ საზოგადოების ბრმა, წინასწარ განზრახული დამცველი ლაპარაკობს ხეგარის პირით, როცა ის სოციალურ მომენტებზე მსჯელობს. ასეთია ის, როცა ქებათა-ქებას ასხამს საფრანგეთში გაბატონებულ მშვიდობიანობის სისტემას, რომელიც მისი აზრით, იდეალური მდგომარეობის ნიშანია. მის მიზეზებზე და გავლენაზე მე საკმაოთ ბევრი მაქვს ნათქვამი ამ წიგნის მეორე ნაწილში. გამოდის-რა ამ სისტემის დამცველათ, ხეგარი ვერ ხედავს, რა შედეგები მოაქვს ამ სისტემას საფრანგეთის მცხოვრებთა **ზნეობრივ მდგომარეობისათვის.** ნუ თუ მან, როგორც გინეკოლოგმა არ იცის, რომ ეს შესამჩნევათ ახშირებს და ავრცელებს მუცლის მოწყვეტას, ნაყოფის მოსპობას, ბავშვებით ბოროტათ სარგებლობას და არა-ბუნებრივ გარყვნილებას?

ასეთსავე სიმაღლეზე დგანან სხვა მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, რომელნიც მას აქვს წამოყენებული ჩემს წინააღმდეგ. ასეთია, მაგალ. ყველაფერი, რასაც ის ამბობს შრომის უფლებაზე, რომელიც გერმანიის სოციალდემოკრატიას, როგორც ვიცით, არასოდეს არ გამოუტანია თავის საპროგრამო მოთხოვნილებათ, საერთაშორისო ურთიერთობაზე, სამუშაო ერთეულზე, ფულის ბუნებაზე.

პირდაპირ ფენომენალური ზერელე შეხედულებები აქვს მას გამოთქმული აგრარულ საკითხზე. ინგლისის მიწათმოქმედების დაცემაში, თურმე პურზე ბაჟის მოსპობა ყოფილა დამნაშავე, რომელიც, როგორც ვიცით, 1847 წელს მოხდა. ჩემ წიგნში მოყვანილი ცნობები იმის შესახებ, რომ დღეს არა იშვიათათ

*) ლეიპციგი, 1898 წ.

ნაყოფიერ ნიადაგზე ტყეს აშენებენ თხების და ქურციკების სანავარდოთ, რათა კეთილშობილ და მდიდარ ბატონებს ნადირობით გართობა არ მოაკლდეს, ხშირათ ასეთ პასუხს იწვევს მისგან: „ნადირობის სიყვარულით გერმანიაში, რაჯსაკვირველია, ტყეს არავინ აშენებს იმისთანა ადგილებზე, რომელიც სხვა მიზნისათვის უფრო გამოსადეგი იყოს, ან საერთოთ რაიმე სხვა დანიშნულებისთვის ვარგიყოს და თუ აშენებს, ძალიან იშვიათათ და ცოტას. ძლივს ხერხდება სრული გაწყვეტისაგან დაცვა შველის, ირმის და გარეული ღორების, მარა ცალმხრივი, უტილიტარული პრინციპის მიმდევრისთვის ეს სულ ერთია; ის ოდნავათაც არ ინაღვლის, რომ უკანასკნელი კურდღელი და უკანასკნელი გარეული თხა ამოწყდეს, მარა რაღას დაემზგავსებოდა მაშინ ჩვენი ტყეები და მინდვრები?“

ამის დაწერა შეუძლია მხოლოდ ისეთ პირს, რომელსაც წარმოდგენითაც კი ვერ წარმოუდგენია, თუ რა ხდება სინამდვილეში. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეცოდინებოდა, რომ ჩვენი გლეხები ჩრდილოეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეზე მცხოვრებნი, ყველანი ერთ-ხმათ აღიარებენ, რომ გარეულ ნადირების განსაკუთრებული მიზნით მფარველობამ იქამდე მიაღწია, რომ მისგან გამოწვეული ზარალი, პირდაპირ უბედურებათ უნდა ჩაითვალოს. საეჭვოა, რომ ამ მხრივ ფეოდალურ ხანაში უარესი პირობები ყოფილიყოს გლეხისთვის, ვინემ დღესაა გერმანიის ზოგიერთ ადგილებში.

განსაკუთრებით აგრარულ კითხვას ჭრის ბ. ხეგარი განსაცვიფრებელი სიმარტივით. ის სწერს (106 გვ.): „სავაჭრო პოლიტიკამ, გადასახადების სისტემამ, კანონმდებლობა და **ლატიფუნდიების მფლობელთა გულკეთილობამ ყველაზე მეტი უნდა გააკეთოს წვრილ და საშუალო გლეხ-კაცობის დასახმარებლათ**“. ამნაირათ, ის მგლისაგან ელის ბატკნის გადარჩენას. აქ კი ყოველივე ხალისი და სურვილი მეკარგება მასთან პოლემიკის განგრძობის.

თუ გერმანიის პროფესორთა წრე უფრო დახელოვნებულ მებრძოლს ვერ წამოაყენებს სოციალიზმის „ვეშაპის“

წინააღმდეგ, ეს თანამედროვე „საკვირველება“ დაიპყრობს ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ასეთი ზიგფრიდები კი, ჩვენ უძილო ღამეებს ვერ გაგვათევინებენ.

ა. ბებელი.

პასეკი, 1895 წ.

# 34-ე გამოცემის წინასიტყვაობა.

25 გამოცემის შემდეგ ეს თხზულება არც შემივსია და არც გადამიმუშავებია, მარა, რადგან წიგნის მოთხოვნილება იზრდება, სასურველათ დავინახე მისი ხელ-ახლა გადათვალიერება და შესწორება შინაარსის მხრივ. ძირითად შეხედულებებში, რომელიც ამ წიგნშია გამოთქმული, მე ვერაფერი ვნახე ისეთი, რომ შეცვლას თხოულობდეს, მარა მე მხედველობაში მივიღე მთელი რიგი ფაქტებისა, რომელნიც გამოქვეყნებულ იქნენ 25-ე გამოცემის გამოსვლის შემდეგ. ამავე დროს ჩემი მსჯელობის ფარგლებში მოვაქციე ზოგიერთი ახალი ლიტერატურული მოვლენები, რომელშიაც საყურადღებო შეხედულებები იყო გამოთქმული. მხედველობაში მივიღე აგრეთვე მთელი რიგი ცნობების და ჩვენებების, რომელნიც გამომიგზავნეს ჩემმა მკითხველებმა და რომლისთვისაც მათ წრფელ მადლობას ვუძღვნი.

რომ წიგნის სივრცე არ გადიდებულიყო, მე იძულებული გავხდი, მოზღვავებულ მასალიდან მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი ამერჩია. ყველა რომ ამეღო, წიგნი ორჯერ უფრო დიდი გამოვიდოდა, მარა ასეთ გაფართოების წინააღმდეგ ბევრი სხვა-და-სხვა საბუთები ლაპარაკობენ.

წიგნის მიზანი, რომელიც შემიძლია თამამათ დავიკვეხო, უმწვერვალესათ მიღწეულია კიდეც, ესაა იმ ყალბი წარმოდგენების დარღვევა, რომელნიც ხელს უშლიან ქალთა სრულ გათანასწორებას მამაკაცთან და სოციალისტურ იდეათა პროპაგანდა, რომლის განხორციელება ერთათ-ერთი უტყუარი თავდებია ქალთა სოციალურ განთავისუფლების და მე ვიმედოვნებ, რომ ამ მიზანს ეს წიგნი სწორეთ ამ სახით უფრო უკეთ ემსახურება.

ისე დღე არ გაივლის, რომ მოაზროვნე ადამიანს ახალ-ახალი საბუთი არ წამოუყენოს იმის, რომ მხოლოდ საზოგადოების და სახელმწიფოს ძირიან-ფესვიანათ გარდაქმნას შეუძლია ბოლო მოუღოს თანამედროვე საზოგადოებრივ პირობების გაძლიერებულ გახრწნილებას.

ასეთი გარდაქმნის აუცილებლობის შეგნება თანდათან ფეხს იკიდებს არა მარტო პროლეტარ ქალთა ფართე წრეებში, თვით ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობაც თანდათან მაღლა-მაღლა მიდის თავის მისწრაფებებით და ისეთ მოთხოვნილებებს აყენებს, რომელთა წამოყენებას წინეთ მხოლოდ ყველაზე პროგრესიული ელემენტები თუ ბედავდენ. ქალთა მოძრაობა წლითი-წლობით უფრო მტკიცე ნიადაგზე დგება ყველა კულტურულ ქვეყნებში და თუ ამ მოძრაობაში ხშირია გაურკვევლობა და ნახევარ ზომებით დაკმაყოფილება, ეს ნაკლი დიდხანს არ რჩება შეუმჩნეველათ მის მომქმედ ელემენტებს; და ეს სულ წინდაწინ მიაქანებს მათ, მიუხედავათ იმისა, უნდათ ეს თუ არა. მოძრაობის პროგრესის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს ლიტერატურის გასაოცარი ზრდა ქალთა საკითხის შესახებ. ერთი კაცის ძალა არ კმარა მის თვალ-ყურის სადევნებლათ. აქაც, რასაკვირველია, ხშირათ რაოდენობა არ შეეფერება ღირსებას, მარა ეს მაინც ცხოვრების დუღილის მომასწავებელია, გონებრივი მუშაობის ნიშანია. და მაინცა-და-მაინც ასეთი განსხვავება რაოდენობასა და ღირსებას შორის, არც სხვა სოციალურ სფერებშია ამაზე ნაკლები. უმთავრესი ისაა, რომ მოძრაობა წინ მიდის და რასაც კერძო ადამიანების თვა-

ლი ვერ გადასწვდება, მას მასსის ინსტიქტი გაასწორებს, რომელიც, რაკი ერთხელ ამოძრავდება, თავის გზას არ დაკარგავს.

ა. ბებელი.

ბერლინი—შენებერგი, 15 ნოემბერი, 1902 წ.



# 50-ე (საიუბილეო) გამოცემის წინასიტყვაობა.

მიმდინარე წლის დამდეგს შესრულდა 30 წელიწადი მას შემდეგ, რაც ამ წიგნის პირველი გამოცემა გამოვიდა. ეს განსაკუთრებულ პირობებში მოხდა, როგორც მე უკვე აღვნიშნე მეცხრე გამოცემის წინასიტყვაობაში. სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი სულ რამდენიმე თვის წინეთ იყო გამოცხადებული და ამ კანონის ძალით, სოციალისტურ მწერლობას სული ეხუთებოდა. ექვს თვემდის ციხით უმასპინძლდებოდენ ყველას, ვინც გაბედავდა აკრძალული ნაწერის გავრცელებას, ან გამოცემას და მთავრობას ჩაუვარდებოდა ხელში. მაგრამ ჩვენ მაინც ვბედავდით ერთსაც და მეორესაც.

პირველი გამოცემა ლეიპციგში მოეწყო, მარა გამომცემლობა სხვანაირათ იყო ნაჩვენები. ვითომ ის ციურიხ-ჰეტინგენში გამოვიდა „სახალხო წიგნის მაღაზიის“ თაოსნობით; აქ გამოდიოდა მაშინ „სოციალდემოკრატი“, რომელიც გერმანიაში აკრძალული იყო იმ დროს. მეორე გამოცემა შეგვიფერხდა. მხოლოდ 1883 წელს შევძელ მე მისი გამოცემა, მანამდის კი პირადი დაბრკოლებები მელობებოდენ წინ. მეორეთ ციუ-

რიხში გამოვიდა ეს წიგნი ი. შაბელიცის გამომცემლობით. მას აქეთ, 1890 წლამდე ექვსი გამოცემა გამოვიდა და თვითეულჯერ 2500 ცალი იბეჭდებოდა. მოისპენ ის დაბრკოლებები, რომლებიც აქამდის ხელს უშლიდენ წიგნის გავრცელებას. აქა-იქ გაგზავნის დროს, წიგნი პოლიციას ჩაუვარდებოდა ხოლმე ხელში, ხან სახლის გაჩხრეკის დროს იტაცებდენ მას. მაგრამ არ იკარგებოდა ეს ნაწარმოები. ის მხოლოდ პოლიციელების და მათი თანამოაზრეების ხელში გადადიოდა უფასოთ და ხშირათ იქ უფრო გულმოდგინეთაც კითხულობდენ ხოლმე მას, ვიდრე ჩვენ პარტიულ წრეებში.

1890 წელს გაუქმდა სოციალისტების წინააღმდეგ მიმართული კანონი და მეც შევუდექი წიგნის საფუძვლიანათ გადამუშავებას, გაფართოვებას. ამ სახით გამოვიდა მისი მეცხრე გამოცემა 1891 წელს. ეს 50-ე გამოცემა, რომელიც ახლა წინ გვიდევს, მთლათ განახლებულ შინაარსს შეიცავს. წასაკითხავათაც ახლა უფრო ადვილია ეს წიგნი: დაყოფილია ცალ-ცალკე თავებათ და თვითეული თავი კიდევ პატარ-პატარათ არის დანაწილებული.

ჯერ-ჯერობით წიგნი 14 სხვა-და-სხვა ენაზეა დაბეჭდილი. ზოგიერთ ქვეყნებში, მაგალ. იტალიაში და შეერთებულ შტატებში რამდენიმე გამოცემა გამოვიდა. ახლა ის სერბიულ ენაზედაც გადითარგმნა,—ეს მეთხუთმეტე ენაა.

როგორც სჩანს, წიგნმა თავის გზა გაიკაფა, და მე შემიძლია გადაუჭარბებლათ ვთქვა, რომ ამ შრომას ამაოთ არ ჩაუვლია. მოწინააღმდეგეებიც საკმაოთ უწყობდენ ხელს მის გავრცელებას—უნებლიეთ, რასაკვირველია.

რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირათ დააფასეს ჩემი ნაწარმოები. პროფესორი ავგ. ფორელი ამბობს, მაგალ. თავის „სქესობრივ საკითხში“, ეს „საყურადღებო და შესანიშნავი წიგნი არისო“. ამ პროფესორის სიტყვით, ჩემი შრომა ძვირფასი იქნება, თუ ალაგ-ალაგ შევასწორებთ მას იმ შენიშვნების მიხედვით, რომლებსაც თვითონ გვიჩვენებს; „წიგნის უმთავრეს ნაწილში კი, ავტორს უსათუოთ უნდა დავეთანხმოთო“.

სხვა ალაგას იგივე პროფესორი, მართალია, ზოგიერთ მუხლებში არ მეთანხმება, მარა „დიდ პატივს კი სცემს ჩემ ნაწარმოებს, როგორც საუცხოვო შრომას“.

ეს აზრი შეეხება მეორე გამოცემას, 1883 წელს გამოსულს. როგორც სჩანს, პროფესორ ფორელს არ გაუცვნია შემდეგი გაფართოვებული და შეცვლილი გამოცემები. ამიტომ მე ვერ შევჩერდები იმ კრიტიკაზე, რომელიც უძღვნა მან ძველ გამოცემას.

ერთი ინგლისელი მწერალი, გ. ს. ჰოვარდი, თავის წიგნში—„A History of matrimonial institution“ (მატრიმონიალური—დედობრივ უფლებაზე დამყარებული—ინსტიტუტის ისტორია) ამბობს: „ა. ბებელის საუკეთესო ნაწარმოები—„დედაკაცი და სოციალიზმი“—ეს საბრალმდებლო ოქმია დღევანდელი ცოლ-ქმრული დამოკიდებულების შესახებო“. შემდეგ ის მოკლეთ ავლებს თვალს ამ წიგნის შინაარს და აი რა დასკვნა გამოყავს: „ჩვენ შეგვიძლია არაფრათ ჩავაგდოთ ის საშუალება, რომელზედაც სოციალისტური მწერლები გვითითებენ, შეიძლება საეჭვოა ის ერთათ-ერთი იმედი, რომელსაც ისინი კოოპერატიულ რესპუბლიკაზე ამყარებენ,—მარა ის კი ცხადია, რომ სოციალისტებმა დიდი სამსახური გაუწიეს საზოგადოებას,—ფაქტები შეისწავლეს სინდისიერათ და თამამათ გადაგვიშალეს თვალწინ. შეუბრალებლათ გამოამჟღავნეს ის უვარგისობა, რომელიც თან ახლავს ოჯახს დღევანდელ საზოგადოებაში. სოციალისტებმა ნათლათ დაგვანახვეს, რომ ცოლ-ქმრობის—ოჯახის საკითხი გადასწყდება თანამედროვე ეკონომიურ სისტემის გარდაქმნით, სხვა გზით არა. დაგვანახვეს აგრეთვე, რომ წინმსვლელობა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა დედაკაცი სრულიად განთავისუფლდება და ქორწინებაში ფეხს მოიკიდებს ორივე სქესის სრული თანასწოროობა. ამით სოციალისტებმა დიდ მიზანს მიაღწიეს: დღეს ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე უფრო მაღალი წარმოდგენა აქვთ საზოგადოთ, ვიდრე აქამდის ქონდათ.

ქალთა მოძრაობა ბურჟუაზიულიც და პროლეტარულიც შესანიშნავათ განვითარდა ამ ოცდა-ათი წლის განმავლობაში, ე. ი. მას შემდეგ, რაც ეს წიგნი გამოვიდა. არ ვფიქრობ, რომ სხვა რომელიმე მოძრაობას ამისთანა ნაყოფი გამოეღოს ასე მოკლე დროში. დედაკაცის გათანასწორება პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ უფლებებში ახლა საჭიროთაა აღიარებული. უმაღლესი სასწავლებელი მისთვის კარ-დახშული აღარ არის, დღეს მას შეუძლია თავისუფალ პროფესიასაც მოკიდოს ხელი, აქამდის კი ეს შეუძლებელი იყო. ზოგიერთი პარტიები აქამდის პრინციპიალურათ ეწინააღმდეგებოდენ ქალთა მოძრაობას, მაგალ. კათოლიკების ცენტრი და ქრისტიანი-სოციალისტები, მარა ახლა ამათაც პირი იბრუნეს და დაბრკოლების მაგიერ ხელსაც კი უწყობენ ამ მოძრაობას. ეს ადვილი გასაგებია: არ უნდათ გავლენა დაკარგონ იმ ქალთა წრეებზე, რომლებიც მათთან არიან დაახლოვებულნი.

მერე რით აიხსნება ასეთი მოვლენა?—დიდი საზოგადოებრივი და ეკონომიური ცვლილებებით, რომელიც მოხდა ჩვენ ცხოვრებაში—აი ამ კითხვის პასუხი. ფაქტებს გვერდს ვერავინ აუხვევს; თუ ვისმეს ყავს ახლა შვიდი ქალიშვილი, ერთი ჩვენი საწყალი მინისტრის არ იყოს, და უნდა რომ მათთვის ღირსეული პირობები შექმნას ცხოვრებაში, ისიც კი შეიგნებს ბოლოს და ბოლოს ამ ფაქტების მნიშვნელობას, ისიც ვეღარ გაექცევა ლოღიკას, გონიერ მოსაზრებას და ძალა-უნებურათ მოძრაობას მიემხრობა.

შვიდ ქალიშვილს თავი დავანებოთ და ჩვენ, ე. წ. მაღალ წრეებში ბევრს ნახავთ იმისთანას, რომელსაც უნდა თავის მდგომარეობის შესაფერი ალაგი დაიჭიროს საზოგადოებაში და ამიტომ მოძრაობას თანაუგრძნობს—მეტი გზა არა აქვს.

ამ წინმსვლელობაში, რა თქმა უნდა, დიდი წილი უდევს მოწინავე ქალების აგიტაციას, მარა საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარება ხელს უწყობდა მათ ისე, როგორც სოციალდემოკრატიას. ანგელოზიც რომ ალაპარაკოთ, ისიც ვერაფერს გახდება, თუ გამგონე არ ეყოლა. მსმენელთა რიც-

ხვი კი, თანდათან მატულობს—ეს ეჭვს გარეშეა; ეს თავდებია მომავალი ჩვენი გამარჯვების. ჩვენ გარეშემო სოციალური რევოლიუცია ხდება უკვე, უმრავლესობა ვერ ამჩნევს ამას. შეუგნებელი დედაკაცები ჯერ სამწუხაროთ, კიდევ ბევრი გვყავს.

დასასრულ, მე აქ გულითადი მადლობა უნდა გამოუცხადო ჩემ პარტიულ ამხანაგს, რიაზანოვს, რომელმაც უზომო დახმარება გამიწია ამ უკანასკნელი გამოცემის შემუშავებაში. იმან იკისრა უმეტესი ნაწილი შრომის. უმისოთ მე ვერ შეეძლებდი ამ წიგნის ცოტათ თუ ბევრათ გაუმჯობესებას. ეს ორი წელიწადია, რაც ავათმყოფობა ხელს მიშლის, მაფერხებს მუშაობაში. ამას გარდა სხვა კიდევ უფრო დიდი შრომა მართმევდა დროს და ძალას.

**ა. ბებელი.**

შენებერგ-ბერლინი, 31 ოქტომბერი, 1909 წ.

# შესავალი.

. დიადი სოციალური გადატრიალების ხანაში ვცხოვრობთ ჩვენ. სოციალური მოძრაობის განვითარება და აზროვნების ამუშავება ემჩნევა საზოგადოების ყველა წრეებს, რაიცა ღრმა ცვლილებას იწვევს ცხოვრებაში. ყველა გრძნობს, რომ ნიადაგი ირყევა, რომ იბადება აუარებელი ახალი საკითხები, რომელნიც აინტერესებენ ფართე საზოგადოებას და, რომელთა გადასაჭრელათ ყველგან ცხარე კამათია გაჩაღებული. ერთ-ერთ უმთავრეს და დიდ-მნიშვნელოვან საკითხათ, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს ცხოვრებაში, უნდა ჩაითვალოს „ქალთა საკითხი“.

ეს საკითხი ეხება იმას, თუ რა ადგილი უნდა დაიჭიროს დედაკაცმა ჩვენ სოციალურ ორგანიზმში, რა გზით შეუძლია მას ყოველმხრივ განავითაროს თავისი ნიჭი და ძალები, რომ საზოგადოების სრულ-უფლებიანი, თანასწორი და შეძლებისდაგვარათ აქტიური წევრი გახდეს. ჩვენი შეხედულებით, ამ საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს იმ საკითხთან, თუ როგორი ფორმა და ორგანიზაცია უნდა მიიღოს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ, რომ მოისპოს ჩაგვრა, ექსპლოატაცია, გაჭირვება, სიღარიბე და მათ მაგიერ კერძო პიროვნების და მთელი საზოგადოების ფიზიკური და სოციალური სისაღე გაბატონდეს. ასე რომ ქალთა საკითხი წარმოადგენს ერთ მხარეს საერთო სოციალური საკითხისას, რომელსაც მთელი საზოგადოების ყურადღება უპყრია და დიდ აზრთა მოძრაობას იწვევს; ამი-

ტომ მისი საბოლოოთ გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოისპობა საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი და აქედან წარმოშობილი ბოროტება.

მიუხედავათ ამისა, მაინც აუცილებელია ქალთა საკითხის **სპეციალურათ განხილვა**. პირველათ იმიტომ, რომ ჩვენი საგანი, ე. ი. გამორკვევა იმის, თუ რა მდგომარეობაში იყო დედაკაცი წინეთ, წარსულში, რა მდგომარეობაშია ახლა და რა მდგომარეობაში იქნება მომავალში,—შეეხება საზოგადოების ნახევარზე მეტს; ყოველ შემთხვევაში ეს ითქმის ევროპიელებზე, რადგანაც აქ მდედრობითი სქესის რიცხვი მცხოვრებთა ნახევარს აღემატება. მეორეთ იმიტომ, რომ დღევანდელი ჩვენი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ვითარდებოდა დედაკაცის საზოგადოებრივი მდგომარეობა წარსულ ათას-წლეების განმავლობაში, სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს, და ცხადია, საჭიროა ამას ნათელი მოეფინოს, გამოირკვეს. უმეტესი ნაწილი იმ ცრუმორწმუნეობათა, რომელნიც წინ ეღობებიან მოძრაობის გაძლიერებას, საზოგადოების სხვა-და-სხვა წრეებში და, სხვათა შორის, თვით ქალთა წრეებშიაც, სწორეთ ამ ქალთა მდგომარეობის უცოდინარობისა და გაუგებრობის ნიადაგზეა აღმოცენებული. ბევრნი იმასაც კი ამტკიცებენ, რომ ქალთა საკითხი არ არსებობსო, რადგანაც ადგილი, რომელიც აქამდე ეჭირა ქალს და მომავალშიაც უნდა ეჭიროს ცხოვრებაში, სავსებით განისაზღვრება მისი „ბუნებრივი მოწოდებით“, რომელიც მას ცოლისა და დედის მოვალეობას აკისრებს და ამით მის სამოქმედო ასპარეზს ოჯახის ფარგლებით ზღუდავსო. რაც ოჯახის ოთხ კედელს გარეშე ხდება და რასაც მის ოჯახურ მოვალეობასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, იგი მას არ უნდა ეხებოდესო.

ამგვარათ, ქალთა საკითხშიაც ისე, როგორც საერთოთ სოციალურ საკითხში, სადაც უმთავრეს როლს მუშათა კლასის საზოგადოებრივი მდგომარეობა თამაშობს, ჩვენ ვხედავთ სხვა-და-სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე პარტიებს, რომელნიც სრულიად სხვა-და-სხვა გვარათ სჯიან და სწყვეტენ ამ სა-

კითხს. ყველაფრის ძველებურათ დატოვების მსურველნი სწრაფათ იძლევიან მზა-მზარეულ პასუხს, რადგან საკითხი გადაჭრილი გონიათ, რაკი დედაკაცს მის „ბუნებრივ მოწოდებაზე“ მიუთითებენ. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ მილიონ დედაკაცს ფიქრიც კი არ შეუძლია თავის „ბუნებრივ მოწოდებაზე“; არ შეუძლია გახდეს მეოჯახე, დედა და აღმზრდელი იმ მიზეზებისა გამო, რომელთაც ჩვენ დაწერილებით ქვევით განვიხილავთ. ისინი ვერ ამჩნევენ, რომ სხვა მილიონები რამდენიმეთ მაინც რიგიანათ ვერ ახერხებენ თავის მოწოდების სამსახურს იმიტომ, რომ ქორწინება მათთვის მძიმე უღლათ და მონობათ არის გადაქცეული და მთელ სიცოცხლეს სიღარიბესა და გაჭირვებაში ატარებენ. მარა ეს ჭეშმარიტება ოდნავათაც არ აწუხებს ჩვენ „ბრძენებს“ ისე, როგორც არ აწუხებთ ის ფაქტი, რომ მილიონობით დედაკაცები, რომელთაც სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი მოწოდება იზიდავს ცხოვრებაში, იძულებული არიან უკანასკნელი სისხლის წვეთი გამოიწოვონ, ხშირათ არა ბუნებრივ საშუალებასაც კი მიმართონ, რომ საარსებო ლუკმა-პური იშოვონ. ამ არა სასიამოვნო მოვლენის წინაშე სწორეთ ისევე ხუჭავენ თვალებს და იყრუებენ ყურებს, როგორც პროლეტარიატის სიღატაკის წინაშე და თავიანთ თავსაც და სხვებსაც იმით ანუგეშებენ, რომ „ეს ყოველთვის ასე იყო და ასევე იქნება მუდამ“. ყურში გაგონებაც კი არ სურთ იმისი, რომ ყოველ დედაკაცს ისე, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს საკუთარი ისარგებლოს თანამედროვე კულტურული შენაძენით, რომ ამით შეიმსუბუქოს და გაიუმჯობესოს თავის მდგომარეობა, განავითაროს და თავის ინტერესების მიხედვით მოიხმაროს ყველა თავის სულიერი და ფიზიკური ძალები; ხოლო, თუ ამას ისიც დაურთეთ, რომ დედაკაცის სულიერი და ფიზიკური დამოუკიდებლობისათვის საჭიროა მისი ეკონომიური დამოუკიდებლობაც, რომ იგი მხოლოდ ამით გახდება სრულიად დამოუკიდებელი მეორე სქესის მოწყალებისა და გულკეთილობისაგან,—მაშინ კი ისინი მოთმინებას კარგავენ, მათ წყრომას საზღვარი აღარა აქვს და მოქუხს საყვედურების ნა-

კადული თანამედროვე გადარეულობისა და „სულელურ“ ემანსიპატორულ მისწრაფებების წინააღმდეგ.

ესენი—ფილისტერებია მამრობითი და მდედრობითი სქესის, რომელთა ამოყვანა ამ ცრუმორწმუნეობათა და ყალბ შეხედულებათა მორევიდან, ყოვლად შეუძლებელია. ეს—ღამის ჭოტებია, რომელნიც იქ გაჩნდებიან ხოლმე, სადაც სიბნელე მეფობს და მწარეთ შეიცხადებენ, როგორც კი სინათლის შუქი შეიპარება მათ საყვარელ სიბნელეში.

ქალთა მოძრაობის მოწინააღმდეგეთა მეორე ნაწილი, მართალია, არ ხუჭავს თვალებს ხმა-მაღლა მღაღადებელ ფაქტების წინაშე. ეს ნაწილი, მართალია იღიარებს, რომ არც ერთ წინა ეპოქაში არ ყოფილა ქალთა უდიდესი ნაწილი საზოგადოებრივ კულტურის სიმაღლესთან შედარებით ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორც ახლა და ამიტომ სასურველათ მიაჩნიათ იმის გამოკვლევა, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მათი მდგომარეობა; მარა ამასთანავე დასძენენ, რომ ეს ეხება მხოლოდ იმ ქალებს, რომელნიც თავის თავის ანაბარათ არიან. ამნაირათ, მოწინააღმდეგეთა ეს ნაწილიც იმ აზრისაა, რომ იმ ქალთა სოციალური საკითხი, რომელთა ნავმაც ქორწინების ნავთ-საყუდელში დაიბინავა,—ამით უკვე საბოლოოთ გადაჭრილია.

ამიტომ ესენი მოითხოვენ, რომ გაუთხოვარ ქალებისათვის გაიხსნას შრომის სამეფოს კარები იმ დარგებში, რომელნიც შეეფერებიან მათ ძალასა და ნიჭს, რომ მათ შეეძლოთ მეტოქეობა გაუწიონ მამაკაცებს. ზოგიერთები უფრო შორსაც მიდიან და მოითხოვენ, რომ მეტოქეობა შეუზღუდველი იყოს ხელოვნების და მეცნიერების სფერაშიც. ისინი მოითხოვენ, რომ დედაკაცს უფლება მიეცეს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის მიღების, სხვათა შორის უნივერსიტეტშიაც. ისეთებიც მოიძებნებიან, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლებასაც მოითხოვენ დედაკაცისათვის (ფოსტა-ტელეგრაფი, რკინის გზები და სხვ.)—და ურჩთა და შეუსმენელთ შეერთებულ შტატების მაგალითზე უთითებენ. ზოგიერთები

მოითხოვენ ქალებისათვის პოლიტიკურ უფლებებსაც კი. ქალიც ხომ ისეთივე ადამიანი და მოქალაქეა, როგორიც მამაკაცი; კანონმდებლობა, რომელიც მამაკაცების ხელშია, იმას გვეუბნება, რომ კაცები თავიანთ პრივილეგიებით მხოლოდ თავის თავზე ზრუნავენ და დედაკაცებს კი, „ძალათ მაცხოვნე“ აპეკუნებათ ეელინებიან, რასაც დროა ბოლო მოეღოს. აღსანიშნავია, რომ არც ერთი აქ მოკლეთ მოყვანილი მისწრაფებათაგანი არ სცილდება თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების ფარგლებს. უბრალო კითხვაც კი არ დასმულა იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ამ გზით რაიმე არსებითი და საფუძვლიანი გაუმჯობესების შეტანა დედაკაცის მდგომარეობაში. ბურჟუაზიულ ანუ კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილების ნიადაგზე მდგომნი, საკითხის საბოლოოთ გადაწყვეტათ სთვლიან სქესთა ბურჟუაზიულ თანასწორობის შემოღებას. იმათ ვერ შეუგნიათ, რომ რამდენათაც საკითხი ეხება დედაკაცის დაუბრკოლებლივ დაშვებას სხვა-და-სხვა წარმოებისა და მრეწველობის დარგში სამუშაოთ, იგი ფაქტიურათ უკვე განხორციელებულია და გაბატონებული კლასები ყველაზე ენერგიულათ უპერენ მხარს ასეთ გათანასწორებას, როგორც მათი კლასიური ინტერესებისათვის სასარგებლოს. მარა დღევანდელ პირობებში დედაკაცის შრომის შეძლებას სამრეწველო და სახელოსნო დარგებში, შედეგათ მოსდევს მუშათა შორის ბრძოლის და მეტოქეობის გამწვავება და აქედან დაცემა როგორც დედაკაცის, ისე მამაკაცის სამუშაო ქირის, სულ ერთია, ჯამაგირის სახით ეძლევათ ეს ქირა, თუ ხელფასის სახით.

აშკარაა, საკითხის ასეთი გადაწყვეტა არც სწორია და არც საკმარისი. არის სხვაგვარი გადაწყვეტაც. ესაა—დედაკაცის სრული მოქალაქობრივი გათანასწორება მამაკაცთან. ეს არის მიზანი როგორც იმ მამაკაცების, რომელნიც თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების ნიადაგზე დგანან და თანაგრძნობით ეკიდებიან ქალთა მოძრაობას, ისე თვით ბურჟუაზიული დედაკაცებისაც, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ამ მოძრაობაში. ამნაირათ, ეს უკანასკნელნი და მათი მომხრე

მამაკაცები თავიანთი მოთხოვნილებებით, წინააღმდეგნი არიან მამაკაცთა იმ ნაწილის, რომელნიც თავიანთი ვიწრო ფილისტერული შეხედულებით და, რამდენათაც საქმე ეხება დედაკაცთა უმაღლეს სასწავლებლებში და დიდ ჯამაგირიან საზოგადოებრივ თანამდებობაზე დაშვებას, მდაბალი, ეგოისტური გრძობების და კონკურენციის შიშის გამო, მტრული თვალით უყურებენ ქალთა მოძრაობას; მაგრამ ისეთი კლასობრივი წინააღმდეგობა, როგორსაც ვხედავთ მუშებსა და კაპიტალისტებ შორის, ამათში არ არსებობს.

თუნდა დავუშვათ კიდეც, რომ ქალთა ბურჟუაზიულ მოძრაობას შეუძლია განახორციელოს ცხოვრებაში მამაკაცებთან უფლებით გათანასწორების მოთხოვნილება, ამითი მაინც არ მოისპობა არც მონობა, რომლის უღელს მრავალი ქალი განიცდის დღეს თანამედროვე ქორწინების წყალობით, მაშასადამე, არ მოისპობა არც პროსტიტუცია და არც ცოლთა დიდი უმრავლესობის ნივთიერი დამოკიდებულება ქმრებისაგან. ქალთა უდიდესი ნაწილისათვის სულ ერთია, შესძლებს თუ არა საზოგადოების მაღალი წრეებიდან გამოსული რამდენიმე ათასი ქალი უმაღლესი სწავლა მიიღოს, აქიმის პრაქტიკა შეიძინოს ან და მეცნიერული კარიერა გაიკეთოს, სამსახურში დაწინაურდეს და სხვ., ეს ვერაფერს ვერ შეცვლის მათ საერთო მდგომარეობაში.

საზოგადოთ, ქალთა უმრავლესობა, მასსა, ორი მხრით იჩაგრება: ერთი მხრით იმით, რომ მამაკაცების სოციალური და საზოგადოებრივი ბატონობის უღელი აწევთ, და ქალთა ფორმალური გათანასწორება კანონის წინაშე და უფლებებში, — ასეთ ბატონობას მხოლოდ ფორმას შეუცვლის, გაუქმებით კი ვერ გააუქმებს. მეორე მხრით მას ჩაგრავს ეკონომიური მონობა, რომლისაგან იტანჯებიან საზოგადოთ ყველა ქალები და განსაკუთრებით პროლეტარი ქალები დანარჩენ პროლეტარიატთან ერთათ. აქედან გამოდის, რომ ყველა ქალები განურჩევლათ სოციალურ მდგომარეობისა, დაინტერესებული არიან, როგორც მდედრობითი სქესის ადამიანები, რომელნიც დღე-

ვანდელი კულტურული განვითარების წყალობით, მამაკაცის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, რომ მათი ასეთი მდგომარეობა რაც შეიძლება ჩქარა შეიცვალოს არსებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო კანონებში და დაწესებულებებში შესაფერი ცვლილებების შეტანით. მაგრამ დედაკაცთა უმეტესი ნაწილი ამასთანავე ღრმათ დაინტერესებულია იმაში, რომ შეიცვალოს თვით **საფუძველი** თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილებისა, რომ გაუქმებულ იქნეს საქირაო შრომის მონობა, რომლისაგან ყველაზე უფრო სასტიკათ იტანჯება მდედრობითი სქესის პროლეტარიატი, მოისპოს აგრეთვე სქესობრივი მონობა, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული დღევანდელ ქონებრივ და საწარმოო ურთიერთობასთან.

ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობაში მონაწილე ქალები, საჭიროთ არ სთვლიან ასეთ რადიკალურ ცვლილებების მოხდენას. როგორც პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფნი, ისინი ფართე პროლეტარულ ქალთა მოძრაობაში საშიშ და არა სასურველ მისწრაფებას ხედავენ, რომლის წინააღმდეგ აუცილებლათ ბრძოლაა საჭირო. ამნაირათ, კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელიც ორ ბანაკათ ყოფს კაპიტალისტთა და მუშათა კლასს და დიდის სისწრაფით ვითარდება ურთიერთობის გამწვავების დროს, ქალთა მოძრაობაშიაც იჩენს თავს.

მიუხედავათ ამისა, ერთმანეთის მოწინააღმდეგეებს მაინც უფრო მეტი საერთო აქვთ ერთმანეთთან, ვინემ კლასობრივი ბრძოლით დაყოფილ მამაკაცებს; ასე რომ მათ შეუძლიათ თავთავის გზით იარონ და ბრძოლის დროს კი, შეერთებული იერიშით მივიდენ მტერზე. ყოველ შემთხვევაში ეს სწორია იმ სფერებში, სადაც ბრძოლა სწარმოებს დედაკაცის უფლებრივ გათანასწორებისათვის მამაკაცთან თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილების ნიადაგზე,—მაშასადამე, ქალთათვის სამოქმედო ასპარეზის გასახსნელათ ყველა იმ დარგებში, სადაც მათი ძალღონე და ნიჭი გამოდგება მათთვის სრულ მოქალაქობრივ და პოლიტიკურ თანასწორობის მოსაპოვებლათ. როგორც ვხედავთ, ეს დიდათ მნიშვნელოვანი და

მეტათ ფართე სფერაა. ამასთანავე პროლეტარი ქალები თავის მხრივ დაინტერესებული არიან პროლეტარ კაცებთან ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლონ ყველა ასეთ ზომებისა და დაწესებულებების განსახორციელებლათ, რომელნიც დაიცავენ მშრომელთ ფიზიკური და მორალური გადაგვარებისაგან და უზრუნველყოფენ ქალში დედისა და აღმზრდელის ნიჭის განვითარებას. პროლეტარ ქალმა ამასთანავე მამაკაც პროლეტართან—კლასით და ბედით მის ამხანაგთან—ერთათ უნდა იბრძოლოს ძირითადი საზოგადოებრივი ცვლილებების მოსახდენათ, რომ ამით შექმნას ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც სრულ ეკონომიურ და სულიერ დამოუკიდებლობას მიანიჭებს ორივე სქესის მშრომელთ.

ამნაირათ, საქმე მარტო იმაში არაა, რომ თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივ ურთიერთობის ნიადაგზე განხორციელებულ იქნეს დედაკაცის უფლებრივი თანასწორობა მამაკაცთან, რაც ბურჟუაზიულ ქალთა მოძრაობის მიზანს შეადგენს, არამედ იმაშიაც, რომ მოისპოს ყველა უკუღმართობანი, რომელნიც აწესებენ ერთი ადამიანისაგან მეორე ადამიანის დაჩაგვრას და აქედან ერთი სქესის ბატონობას მეორეზე. ქალთა საკითხის ასეთი გადაწყვეტა, იგივე სოციალური საკითხის გადაწყვეტაა. ამიტომ, ვისაც სურს ქალთა საკითხის სავსებით და საბოლოოთ გადაჭრა, ის ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიყვეს იმათ, რომელთაც თავიანთ დროშაზე სოციალური საკითხის, ამ მთელი კაცობრიობის კულტურული საკითხის გადაჭრა უწერიათ—და ესენი კი სოციალისტები არიან.

ყველა ამ პარტიებ შორის, სოციალდემოკრატიული პარტია **ერთათ-ერთია**, რომელმაც თავის პროგრამაში შეიტანა დედაკაცის სრული გათანასწორება მამაკაცთან და მისი განთავისუფლება ყოველვვარი დამოკიდებულებისა და დაჩაგვრისაგან არა აგიტატორული მოსაზრებით, არამედ ამის აუცილებლობის შეგნების გამო. კაცობრიობის განთავისუფლება არ მოხდება ისე, თუ სქესთა სოციალური დამოუკიდებლობა და თანასწორობა არ განხორციელდა.

აქ მოყვანილ დებულებებს ყოველი სოციალისტი უნდა დაეთანხმოს, მარა ესევე არ ითქმის იმ საშუალებებზე, რომლებითაც ჩვენ ვფიქრობთ საბოლოო მიზნის მიღწევას, ე. ი. იმაზე, თუ როგორი ზომები და დაწესებულებები უფრო შეუწყობენ ხელს საყოველთაო დამოუკიდებლობის და უფლებრივ თანასწორობის განხორციელებას.

როცა აწმყო ნიადაგს დაშორდები და მომავლის დასურათებას იწყებ, მაშინ ფართე გზა ეხსნება მრავალ სხვა-დასხვა გვარ მოსაზრებებს და წინააღმდეგობებს. იმართება კამათი **იმაზე,** თუ რა უფრო მოსალოდნელია და რა არა. ამიტომ, რაც ამ მომავლის შესახებ არის გამოთქმული ამ წიგნში, იმას ისე უნდა უყურო, როგორც ავტორის **პირად** შეხედულებას და ყოველგვარი იერიშები ამ მხრივ მხოლოდ **პირადათ მის წინააღმდეგ** უნდა იყოს მიმართული; აქ მარტო ის აგებს პასუხს თავის ნათქვამში.

ჩვენ სიხარულით შევეგებებით ყოველ გულწრფელ და ობიექტიურ კრიტიკას, ისეთებს კი, რომელნიც განზრახ დაამახინჯებენ წიგნის შინაარსს, სიჩუმით ვუპასუხებთ. ყოველ შემთხვევაში, შემდეგში მოყვანილია ყველა ის დასკვნები, რომლებზედაც გვითითებს ფაქტების გამოკვლევა. ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლება—აი პირველი მოთხოვნილება ჭეშმარიტების გამოსაკვლევათ; დაურიდებლათ, გულახდილათ თქმა იმის, რაც არის და რაც უნდა იყოს,—აი საუკეთესო საშუალება მიზნის მისაღწევათ.

# ნაწილი პირველი.

# დედაკაცი წარსულში.

## თავი I.

## დედაკაცის მდგომარეობა პირველყოფილ საზოგადოებაში.

### 1. პირველყოფილ ისტორიის უმთავრესი ხანები.

დედაკაცსა და მუშას ისა აქვთ საერთო, რომ ორივენი დაჩაგრული არიან. სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა ქვეყნებში ამ ჩაგვრის ფორმა, სახე იცვლებოდა, მაგრამ ჩაგვრა მაინც ჩაგვრათ რჩებოდა. ისტორიული განვითარების ხანაში დაჩაგრულთ ხშირათ შეუგნიათ, რომ ისინი იჩაგრებიან, და ეს შეგნება იწვევდა მათი მდგომარეობის შეცვლას და შემსუბუქებას, მაგრამ ამ დაჩაგვრის არსების და მიზეზების შეგნება, როგორც დედაკაცის, ისე მუშის მიერ მხოლოდ ჩვენი დროის შედეგია. ჯერ უნდა გამორკვეულიყო საზოგადოების ნამდვილი შინაარსი, მისი განვითარების კანონები და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გამარჯვების იმედით მოძრაობის დაწყება უსამართლო პირობების გასაუქმებლათ. მაგრამ ასეთი მოძრაობის სიღრმე-სიფართოვე დამოკიდებულია დაინტერესებულ წრეების შეგნებაზე და მათი მოძრაობის თავისუფლებაზე. ორივე შემთხვევაში დედაკაცი ჩამორჩენილია მუშაზე, რაც აიხსნება ერთი მხრით ადათ-წესებით და აღზრდით და მეორე მხრით მისი თავისუფლების შეზღუდვით. არის სხვა გარემოებაც: მთელ რიგ თაობებში არსებული ურთიერთობანი ბოლოს ჩვეულებათ

იქცევიან; მემკვიდრეობის და აღზრდის გავლენით, იგი „ბუ-ნებრივ“ მოვლენათ ხდება ორივე მხარესათვის. ამიტომ აქამდე განსაკუთრებით დედაკაცი ისე უყურებს თავის დამორჩილე-ბულ მდგომარეობას, როგორც თავის-თავათ გასაგებ აუცილე-ბელ მოვლენას და ადვილი არ არის იმის ჩაგონება, რომ ასე-თი მდგომარეობა არ შეფერის მას, და რომ იგი უნდა ცდი-ლობდეს ყოველმხრივ სრულ-უფლებიანი გახდეს და საზოგა-დოების თანაბარ-მნიშვნელოვანი წევრი შეიქნეს.

დედაკაცისა და მუშის მდგომარეობა ბევრში წააგავს ერთ-მანეთს, ერთში კი ქალი წინ უსწრებს მუშას: **ის პირველი ადამიანია, რომელიც მონობაში ჩავარდა.** დედაკაცი უფრო ადრე გადაიქცა მონათ, ვინემ მონა-მამაკაცი გაჩნდებოდა.

ყოველგვარი სოციალური დამორჩილება და სოციალური ჩაგვრა მჩაგვრელისაგან დაჩაგრულის **ეკონომიურ დამორჩი-ლებაზეა აღმოცენებული.** ასეთ მდგომარეობაში იმყოფება დედაკაცი ძველთა-ძველი დროიდან, როგორც კაცობრიობის ისტორიის განვითარება გვიჩვენებს.

მართალია, დიდი ხანი არ არის, რაც შესაძლებელი გახდა ამ განვითარების გამოკვლევა და შეგნება. როგორც ბიბლი-ური მითი ქვეყნის შექმნისა ვერ გაუმაგრდა ბუნებისმეტყვე-ლებისა და ისტორიის მიერ გამორკვეულ აურაცხელ უცილო-ბელ ფაქტებს, ისე უძლური გამოდგა დაბადებაში მოთხრობი-ლი მითი ადამიანის შექმნისა და განვითარების შესახებაც. მართალია, ისტორიულ განვითარების ბევრი მხარე და ნაწი-ლები ჯერ კიდევ გამოურკვეველია, ბევრი უკვე გამორკვეული მხარეების შესახებაც დღეს-დღეობით მრავალი სხვა-და-სხვა გვარი აზრი ტრიალებს, მათ მნიშვნელობას და ურთიერთო-ბას სხვა-და-სხვა გვარათ ხსნიან, მარა საერთოთ კი, ერთი მკაფიო და ნათელი აზრია გაბატონებული. დამტკიცებულია, რომ ადამიანი პირდაპირ კულტურულ ადამიანათ კი არ გაჩე-ნილა ქვეყანაზე, როგორც დაბადებაშია მოთხრობილი პირველ ცოლ-ქმრის შესახებ, არამედ იგი მრავალ საუკუნეთა განმავ-ლობაში თანდათან გამოდიოდა პირუტყვულ მდგომარეობი-

დან, გაიარა განვითარების მრავალი საფეხური, ხანა, რომლის განმავლობაში ბევრნაირათ შეიცვალა მისი სოციალური ურთიერთობანი და ამასთან ერთათ შეიცვალა ურთიერთობა მამაკაცსა და დედაკაცს შორისაც. კიჟინი და მტკიცება იმის, რომ „ასე იყო ყოველთვის და ასევე დარჩება საუკუნოთ“, რასაც ყოველ დღე გაიგონებთ, როგორც კაცის და ქალის, ისე მდიდრების და ღარიბების ურთიერთობის შესახებ, ყოველ მხრივ ყალბია, ზერელე და განგებ შეთხზული უვიცთა და მატყუართაგან.

სქესთა დამოკიდებულების მოკლე განხილვას პირველყოფილი დროიდან დღემდე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი მიზნისათვის, რადგან ამით მტკიცდება, რომ წარსულში განუწყვეტლივ იცვლებოდა კაცის და ქალის ურთიერთობა წარმოების წესის და განაწილების ცვლასთან ერთათ, და თუ ასე იყო წარსულში, თავის თავათ ცხადია, შემდეგშიაც წარმოების და განაწილების წესის ცვალებადობამ ამ ურთიერთობის შეცვლა უნდა გამოიწვიოს. არა არს-რა „**საუდამო**“ უცვლელი არც ბუნებაში, არც ადამიანის ცხოვრებაში, მუდმივია მხოლოდ ცვალებადობა.

რამდენათაც კი შეგვიძლია ჩავიხედოთ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, ადამიანის პირველყოფილი საზოგადოება წარმოადგენს ურდოს*); და მხოლოდ ადამიანთა გამრავლებამ და საარსებო საშუალებების—ფესვების, ხილის, მცენარეთა და სხვ. მოპოვების სიძნელემ გამოიწვია თემის დაყოფა და ახალ-ახალ ადგილებზე დასახლება.

ასეთი თითქმის მხეცისებური მდგომარეობა ადამიანისა, რომლის შესახებაც ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება,

*) „ბუნებრივი უფლება და მოძღვრება „contrat social“ გვეუბნება, რომ ადამიანი პირველად განმარტოვებული ცხოვრობდა და აქედან დაიწყო კაცობრიობის განვითარებაო. მაგრამ ეს მოგონილი ამბავია და ყოველივე სინამდვილეს მოკლებული. საზოგადოებრივი ცხოვრების შესასწავლათ, მისი ფორმების გასარჩევათ ჩვენ ვერ გამოვიყენებთ ამ ზღაპარს. ისტორიული შემეცნებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს“. (Ed. Mayer. Uber d. Anfänge d. Rechtes etc. 1907).

ალბათ არსებობდა, რასაც ამტკიცებს კულტურის ამ საფეხურზე მყოფ ველურ ხალხთა შესწავლა, რომელნიც ახლაც მოიძებნებიან, ან თუ აღარ არიან, ცნობილი იყვენ ისტორიულ ხანაში. ადამიანი არ გაჩენილა ქვეყნათ შემოქმედის ბრძანებით, როგორც უმაღლესი კულტურული არსება; მან, პირიქით, სრული თანდათანობით გაიარა მრავალი საფეხურები ხანგრძლივ და ნელი განვითარების პროცესისა. მან განიცადა კულტურული პერიოდების შეუწყვეტელი რყევა თავის მზგავს არსებასთან მუდმივ უთანხმოებაში ყოფნა დედამიწის ყველა ნაწილებში და მხოლოდ თანდათანობით, ნელის ნაბიჯით მიაღწია დღევანდელ კულტურულ სიმაღლემდე.

და იმ დროს, როდესაც დედამიწის ერთ ნაწილში ცხოვრობს დიდებული ხალხი, კულტურულ განვითარების უმაღლეს საფეხურზე ასული, სხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხები სხვა-და-სხვა დაბალ კულტურულ საფეხურზე დგანან. ეს უკანასკნელნი წარმოადგენენ ჩვენი საკუთარი წარსულის სურათს და ნათლათ გვაჩვენებენ, თუ რა ეტაპები გაიარა კაცობრიობამ თავის ხანგრძლივ განვითარების დროს.

საზოგადო, ყველასაგან მიღებული თვალსაზრისით რომ ვიხელმძღვანელოთ საზოგადოების კულტურულ განვითარების გამოკვლევაში, აუარებელ ფაქტებს მივიღებთ, რომელნიც სულ სხვა ნათელს მოფენენ ადამიანთა ურთიერთობას წარსულსა და აწმყოში. მაშინ ჩვენ ბუნებრივ მოვლენათ მოგვეჩვენება ის, რაც ახლა გაუგებარია და რასაც ზერელე მკვლევარნი წუნს დებენ, როგორც უაზროს და ხშირათ როგორც „უზნეო“ მოვლენას.

ნისლი, რომელიც გადაფარებული ქონდა ადამიანთა შთამომავლობის პირველყოფილ ისტორიას, თანდათან გაიბნა ბახოფენის და სხვა მეცნიერთა გამოკვლევის წყალობით, როგორიც არიან: ტეილორი, მაკ-ლენანი, ლებბოკი და სხვ.; მათ მიემატა მორგანიც თავის საფუძვლიანი თხზულებით, რომელიც ფრიდრიხ ენგელსმა ეკონომიური და პოლიტიკური ხა-

სიათის ისტორიულ ფაქტებით შეავსო და რომლის ნაწილი დაამოწმა და ნაწილი შეასწორა კუნოვმა*).

ნათელი და ლოღიკური დასკვნები, რომელიც ფრიდრიხ ენგელსს მოყავს თავის მშვენიერ თხზულებაში, შუქს ფენენ ბევრ გაუგებარ და აქამდე სისულელეთ მიჩნეულ მოვლენას როგორც მაღალ, ისე დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთა ცხოვრებიდან. მხოლოდ ახლა შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევადგინოთ სრულ თანდათანობით შემუშავებულ საზოგადოებრივ წყობილებაზე. მხოლოდ ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი შეხედულება ქორწინებაზე, ოჯახზე და სახელმწიფოზე,—ერთიანათ ყალბ წარმოდგენაზე ყოფილა დამყარებული. ეს ყოფილა ფანტასტიური სურათები, რომელთაც არავითარი საფუძველი არ ქონიათ სინამდვილეში.

ყველაფერი ის, რაც დამტკიცებულია ქორწინების, ოჯახის და სახელმწიფოს შესახებ, შეეხება აგრეთვე დედაკაცსაც, რომელსაც განვითარების წინა ხანებში სულ სხვაგვარი მდგომარეობა ეჭირა და არა ის, რომელსაც ახლა აწერენ და უცვლელათ, მუდმივათ თვლიან.

მორგანი, რომელსაც ენგელსიც უერთდება, კაცობრიობას სამ მთავარ ეპოქათ ყოფს: ველური მდგომარეობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია. პირველი ორი ეპოქა თავის მხრივ სამ-სამ საფეხურათ იყოფა: დაბალი საფეხური, საშუალო და უმაღლესი. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რაიმე ძირითადი გაუმჯობესებით საარსებო საშუალებათა მოპოვების საქმეში.

თანახმათ მატერიალისტური შეხედულებისა ისტორიაზე,

*) ბახოფენის წიგნი გამოვიდა 1861 წ. სათაურით: „დედის უფლება. ძველი ქვეყნის გინეკოკრატიის გამოკვლევა მის რელიგიოზურ და სქესობრივ ბუნების მხრივ". მორგანის საფუძვლიანი თხზულების ნემეცური თარგმანი გამოვიდა სათაურით: „პირველყოფილი საზოგადოება". გამოკვლევა კაცობრიობის წინმსვლელობისა ველური მდგომარეობიდან ბარბაროსობის გზით ცივილიზაციისაკენ, გამოცემა დიტიცისა—შტუტგარტი, 1891 წ.; მანვე გამოსცა „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა", მორგანის გამოკვლევის დამატება, ფრ. ენგელსისა. 4-ე შევსებული გამოცემა 1892 წ. შემდეგ: „ნათესაობრივი ორგანიზაციები ავსტრალიის ზანგებისა. ოჯახის განვითარების ისტორიიდან", ჰენრიხ კუნოვისა, 1894 წ.

როგორც ის დასაბუთებულია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ, მორგანი კულტურული განვითარების დამახასიათებელ ნიშნებს იმ ცვლილებაში ხედავს, რომელიც საწარმოო პროცესის და, მაშასადამე, საარსებო საშუალებათა შეძენის პროგრესმა შეიტანა ხალხთა ცხოვრების პირობებში. ველურ მდგომარეობის ხანა თავის განვითარების დაბალ საფეხურზე, კაცობრიობის ბავშვობის ხანას წარმოადგენს: ამ ხანაში ადამიანები ცხოვრობენ ხეებზე, იკვებებიან უმთავრესათ ხილეულობით და ფესვებით, მაგრამ ისინი უკვე იწყებენ სიტყვების გამოთქმას, ენის ამოღებას. ველურობის საშუალო საფეხური იწყება პატარ-პატარა ცხოველების (თევზი, კიბო და სხვ.) საჭმელათ ხმარებიდან. ამავე ხანაში ვხედავთ ცეცხლის შემოღებასთან ერთათ იარაღების კეთებას—პირველ ყოვლისა კეტისა და შუბის კეთებას ქვისაგან და მასთან ერთათ შემოდის ნადირობა და, რასაკვირველია, ომიანობაც მეზობელ თემებთან არსებობის საშუალების, ე. ი. დასასახლებელ და სანადირო მიწა-ადგილების მოსაპოვებლათ. ამავე საფეხურზე ჩნდება კაცის მჭამლობა, რაიცა აფრიკის, ავსტრალიის და პელინეზიის ზოგიერთ ხალხებში დღესაც არსებობს. ველური მდგომარეობის უმაღლეს საფეხურს ახასიათებს იარაღთა გაუმჯობესება, შვილდ-ისრის შემოღება; იწყება აგრეთვე ხელით ქსოვა, ლაფანის (ხის ქერქის) და ლერწამისაგან კალათების წვნა და გახეხილი ქვისაგან იარაღების მზადება. ამავე დროს იწყება ხის დამუშავება ნავებისათვის და ქოხების ასაშენებლათ. ცხოვრება ამგვარათ მრავალ-მხრიეი და მრავალფეროვანი ხდება. არსებული იარაღებისა და სხვა საშუალებების შემწეობით, შედარებით ადვილათ შესაძლებელი ხდება მეტი საჭმელის შოვნა და მრავალ-რიცხოვანი საზოგადოების გამოკვება.

ბარბაროსობის დაბალი საფეხური, მორგანის სიტყვით, თიხის ჭურჭლეულობის შემოღებით იწყება. ამ ხანაში ადამიანი აშინაურებს ცხოველებს და ეჩვევა მათი რძითა და ხორცით სარგებლობას; სხვა-და-სხვა მიზნისათვის სარგებლობენ აგრეთვე მათი ტყავით, რქებით, ბალნით. ამასთანავე ვითარ-

დება მცენარეთა კულტურა: დასავლეთის ქვეყნებში—სიმინდი, აღმოსავლეთისაში კი—პურის ყველა ჯიში, გარდა სიმინდისა. ბარბაროსობის საშუალო საფეხური აღმოსავლეთში აღინიშნება ცხოველთა მოშინაურების განვითარებით, დასავლეთში კი—მინდვრების ხელოვნური მორწყვით და მცენარეთა კულტურის განვითარებით. შენობების ასაგებათ ხმარობენ ქვასა და მზეზე გამხმარ აგურს. ცხოველთა მოშინაურება და გამრავლება მოითხოვს ნახირის ყოლას და მწყემსურ ცხოვრებას. შემდეგ, აუარებელ საჭმლის მოთხოვნილება ადამიანთა და ცხოველთა გამოსაკვებათ, იწვევს ხვნა-თესვის შემოღებას, ამას მოსდევს ერთ ადგილას დაბინადრება, სხვა-და-სხვა გვარი საჭმელების გამოგონება და კაცთ-მჭამლობის გადაგდება. ბარბაროსობის უმაღლეს საფეხურზე იწყება ლითონის დამუშავება და წერის ნიშნების გამოგონება. იგონებენ რკინის გუთანს, რის შემწეობითაც ხვნა-თესვა ნაყოფიერდება; ხმარებაში შედის რკინის ნაჯახი და ბარი, რაც ხელს უწყობს ტყის გაჭრას. რკინის დამუშავება ბევრ ახალ საქმეს უჩენს ადამიანს, რითაც დიდი ცვლილება შეაქვს მის ცხოვრებაში. რკინის იარაღები აადვილებენ სახლის, ხომალდების და ურმების აგებას; ლითონის დამუშავებასთან ერთათ ღორძინდება გაუმჯობესებული ხელოსნობა, გაუმჯობესებული საიარაღო ტეხნიკა, იწყება გარშემო კედლებით გამაგრებულ ქალაქების გაშენება. არხიტექტურა ვითარდება, როგორც ხელოვნება და ასოებით წერის გამოგონების წყალობით ვრცელდება მითოლოგია, პოეზია, ისტორია.

ასეთი ცხოვრება ვითარდება უმთავრესათ აღმოსავლეთში და ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე: ეგვიპტეში, საბერძნეთში, იტალიაში, სადაც საფუძველი დაედვა ისეთ სოციალურ გარდაქმნას, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ევროპის და მთელი ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე.

## 2. ოჯახის სხვა-და-სხვა ფორმები.

ველურ მდგომარეობის და ბარბაროსობის ეპოქაში თავისებური სქესობრივი და საზოგადოებრივი ურთიერთობა სუფევდა, რომელიც ბევრათ განირჩევა შემდეგი დროის ურთიერთობისაგან.

ბახოფენმა და მორგანმა საფუძვლიანათ გამოიკვლიეს ეს ურთიერთობა. ბახოფენმა დაწვრილებით შეისწავლა ძველი ნაწერები, რომ გაეგო და გამოეკვლია ნამდვილი შინაარსი იმ მოვლენების, რომელნიც მითოლოგიაში, ძველ თქმულებებში და ისტორიულ გადმოცემებში სრულიად უცხო და გაუგებარ მოვლენებათ გვეჩვენება, თუმცა მის ზოგიერთ ელემენტებს, ნიშნებს შემდეგ ხანაშიაც, თვით ჩვენს დროშიაც კი ვხვდებით სხვა-და-სხვა მოვლენებში. მორგანმა მრავალი წელი დაჰყო ნიუიორკის შტატის ირიკეზებ შორის და ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, სრულიად ახალი და მოულოდნელი ურთიერთობა აღმოაჩინა ამ ხალხის ცხოვრებასა, ოჯახსა და ნათესაობაში. მისი გამოკვლევების წყალობით, ბევრ სხვა ქვეყნებში შეკრებილ ფაქტებსაც ახალი შუქი მოეფინა და სწორი ახსნა-განმარტება მიეცა.

ბახოფენმა და მორგანმა თვითეულმა თავისი გზით აღმოაჩინეს, რომ პირველყოფილ ადამიანთა სქესობრივი ურთიერთობა დიდათ განსხვავდება ისტორიულ ხანაში არსებულ ხალხთა და თანამედროვე კულტურულ ერების სქესობრივ ურთიერთობისაგან. განსაკუთრებით კი მორგანმა, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატების ირიკეზებში ყოფნა-დაკვირვების და შედარებითი გამოკვლევის წყალობით აღმოაჩინა, რომ ყველა კულტურულათ ჩამორჩენილ ხალხს თავისებური ოჯახური და ნათესავური სისტემა აქვს, რომელიც სრულიად განსხვავდება დღევანდელი ჩვენი ოჯახისა და ნათესავობისაგან, მაგრამ კულტურის პირველ საფეხურებზე კი, იგი ყველა ხალხს იმავე სახით ჰქონდა, როგორიც დღევანდელ ველურებს აქვთ.

მორგანმა შეამჩნია, რომ ირიკეზებში, მისი იქ ყოფნის დროს არსებობდა ერთ-ცოლიანობა, მარა ცოლ-ქმართა გაყრა სულ ადვილი საქმე იყო; ასეთ სისტემას მან უწოდა „წყვილთა ოჯახი“. მან შეამჩნია აგრეთვე, რომ ისეთ ნათესავურ ხარისხთა სახელები, როგორიცაა მაგალ.: მამა, დედა, შვილი, და, ძმა და სხვა, რომელთაც ჩვენში გარკვეული და უცილობელი მნიშვნელობა აქვთ, მათში სულ სხვაგვარი ურთიერთობის აღსანიშნავათ იხმარება. ირიკეზი მამაკაცი, თავის საკუთარ შვილებს გარდა, ძმის შვილებსაც თავის შვილებათ სთვლის და ეს უკანასკნელნი მას მამას უწოდებენ. ირიკეზი დედაკაცი, თავის მხრივ, თავის დის შვილებს საკუთარ შვილებათ რაცხს და ესენიც დედას უძახიან მას. ძმის შვილებს კი ძმის წულებს უძახის და ისინიც მამიდათ იხსენიებენ მას. ყველა ძმების შვილები ერთმანეთს ძმასა და დას უწოდებენ, აგრეთვე უწოდებენ ერთმანეთს ყველა დის შვილებიც. დისა და ძმის შვილები კი, ერთმანეთის ბიძაშვილებათ ითვლებიან. ასე რომ ნათესავთა ურთიერთობას საფუძვლათ უდევს ნათესავთა **სქესი** და არა ნათესავური სიახლოვე, როგორც ეს ჩვენშია.

ასეთ სისტემას ვხედავთ ჩვენ ამერიკის ყველა ინდოელებში და ინდოეთის პირველყოფილ მცხოვრებლებში: დეკანის დრავიდთა ტომებში და გაუერის და ინდოსტანის ტომებში; ეს კიდევ ცოტაა. ბახოფენის შემდეგ მომხდარი გამოკვლევანი ამტკიცებენ, რომ ასეთი წესი ყველგან არსებობდა პირველყოფილ ადამიანებში. როდესაც ამ ფაქტების მიხედვით გამოკვლეულ იქნება ყველა ჩვენამდე მოღწეულ ველურ და ბარბაროს ხალხთა ყოფა-ცხოვრება, აღმოჩნდება, რომ **დედამიწის ყველა ხალხთა განვითარებას საფუძვლათ ედვა სოციალური და სქესობრივი ფორმაცია,** როგორც ეს უკვე დაამტკიცა მრავალ ძველი ქვეყნის ხალხთა შესახებ ბახოფენმა, ირიკეზთა შესახებ მორგანმა და ავსტრალიის ზანგთა შესახებ კუნოვმა.

მორგანის გამოკვლევაში სხვა უფრო საინტერესო ფაქტებსაც ვხედებით. თუ ირიკეზების „წყვილთა ოჯახი“ ერთი-

ანათ ეწინააღმდეგება მათ ნათესავურ სისტემას, მეორე მხრით, სანდვიჩევის კუნძულებზე გასულ მე-19-ე საუკუნის ნახევარში არსებობდა ოჯახის ფორმა, რომელიც ფაქტიურათ სრულიად შეეფერება იროკეზების ნათესავურ სისტემას, რომელიც მათში მხოლოდ სახელით-ღა არსებობს. მარა ის ნათესავური სისტემა კი, რომელიც გავაის ანუ სანდვიჩევის კუნძულებზე იყო გაბატონებული, თავის მხრივ, სრულიად არ შეესაბამებოდა ფაქტიურათ არსებულ ოჯახის ფორმას; იგი იყო ნაშთი უფრო ძველი, პირველყოფილი, მარა უკვე გამქრალი ოჯახის ფორმისა. იქ ყველა ძმისა და დის შვილები იწოდებოდენ და-ძმებათ, ე. ი. და-ძმებათ ითვლებოდენ არა მარტო ერთი დედის და მისი დების შვილები ანუ და მისი ძმების, არამედ ორივე მშობლების ყველა ძმების და დების შვილებიც.

ამნაირათ, გავაის ნათესავური სისტემა შეეფერებოდა განვითარების უფრო დაბალ საფეხურს, ფაქტიურათ არსებულ ოჯახის ფორმა კი უფრო მაღალს. თავისებური სურათი გეშლება თვალწინ: როგორც გავაის კუნძულებზე, ისე ჩრდილო-ამერიკის ინდიელებში ნათესაობის ორი სხვა-და-სხვა სისტემა არსებობდა, მარა ისინი აღარ შეეფერებოდენ ოჯახის ფაქტიურ მდგომარეობას. მორგანი ასე ახასიათებს ამ გარემოებას: „ოჯახი—აქტივური ელემენტია; **ის არასოდეს არ ჩერდება ერთ წერტილზე, არამედ დაბალი ფორმიდან უმაღლეს ფორმისაკენ მიექანება ისეთივე სისწრაფით, როგორითაც ვითარდება საზოგადოება დაბალი საფეხურიდან უმაღლესამდე.** ნათესავობრივი სისტემა კი, პირიქით, პასსიურია; იგი მხოლოდ დიდიხნის განვლის შემდეგ აღნიშნავს ოჯახის პროგრესს და იწყებს რადიკალურ ცვლილებებს მაშინ, როდესაც ოჯახმა უკვე დიდიხანია რადიკალური ცვლილება განიცადა“.

დღემდე გაბატონებული შეხედულება, რომელსაც გატაცებით იცავენ არსებული წეს-წყობილების ბურჯები, როგორც ჭეშმარიტს და შეურყეველს, ამბობს, რომ ოჯახის თანამედროვე ფორმა პირველ დროიდანვე არსებობდა და მომავალშიაც უნდა სამუდამოთ იარსებოს, წინააღმდეგ შემთხვევაში,

კულტურა დაიღუპებაო; მარა გამოჩენილ მკვლევართა აღ-
მოჩენანი ამტკიცებენ, რომ ასეთი შეხედულება ყალბია და
უსაფუძვლო. პირველყოფილი ისტორიის შესწავლა, ყოველ
ეპვს გარეშე ამტკიცებს, რომ კაცობრიობის დაბალ საფეხურ-
ზე სქესობრივი დამოკიდებულება სულ სხვანაირი იყო, ვინემ
შემდეგში, რომ არსებობდა ისეთი დამოკიდებულება, რომე-
ლიც ჩვენი დროის შეხედულებით საზიზღარ და შესაზარ უზ-
ნეობათ ჩაითვლებოდა. მარა, როგორც სოციალურ განვი-
თარების თვითეულ საფეხურზე არსებობს თავისი განსაკუთრე-
ბული საწარმოო ურთიერთობანი, ასევე არსებობს საკუთარი
მორალური კოდექსიც, **რომელიც მისი სოციალური მდგო-
მარეობის ზედნაშენს წარმოადგენს.** ზნეობრივია ის, რაც
ჩვეულებით განმტკიცებულია, ჩვეულებათ კი მხოლოდ ისაა
მიღებული, რაც შეეფერება ეპოქის შინაგან არსებას, ე. ი.
მის სოციალურ მოთხოვნილებებს.

მორგანი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ველურ მდგომარე-
ობის დაბალ საფეხურზე სქესურ კავშირებში გაბატონებული
იყო საერთო სქესობრივი შეერთება, ე. ი. ყოველი დედაკაცი
ეკუთვნოდა ყველა მამაკაცს და აგრეთვე ყოველი მამაკაცი
ყველა დედაკაცს და ამ სახით საყოველთაო შერევა (Promis-
cuitas) სუფევდა. არსებობდა მრავალ-ცოლიანობა და მრავალ-
ქმრიანობა. არსებობდა საყოველთაო ცოლ-ქმართა ერთობა და
მასთან ერთათ შვილების ერთობაც. სტრაბონი (სამოცი წლის
წინეთ ჩვენ წელთ-აღრიცხვამდე), მოგვითხრობს, რომ მონებში
ძმებს სქესობრივი კავშირი ქონდათ დებთან და ხშირათ სა-
კუთარ დედებთანაც. თუ არ სისხლის შერევით, სხვაგზით შე-
უძლებელია პირველყოფილი გამრავლება, განსაკუთრებით, თუ
მივიღებთ, რომ მთელი კაცობრიობა, როგორც დაბადებაშია
ნაჩვენები, ერთი წყვილისაგან წარმოსდგა. ამ შემთხვევაში,
დაბადება თავაზიანათ უარყოფს თავის თავს; ის მოგვითხრობს,
რომ აბელის მოკვლის შემდეგ კაინი გაიქცა, რომ უფალს და-
მალოდა, და ნოდის მხარეში დაესახლა. იქ „შეევიდა“ თავის
ცოლთან, რომელიც დაორსულდა და შვა ძე. ახლა ვიკით-

ხოთ, საიდან გაჩნდა ეს ცოლი? კაინის მშობლები ხომ პირველი ადამიანები იყვენ. ებრაელთა გადმოცემით, კაინსა და აბელს ყავდათ ორი და, რომლებთან სისხლის შერევით გაუჩნდათ მათ შვილები. დაბადების ქრისტიანმა მთარგმნელებმა, როგორც სჩანს, გამოსტოვეს ეს მათთვის არა ხელსაყრელი ფაქტი. საყოველთაო სისხლის შერევის სასარგებლოთ, ე. ი. იმის სასარგებლოთ, რომ პირველყოფილ ტომებში საყოველთაო სქესობრივი შერევა იყო გაბატონებული, სხვათა შორის, ლაპარაკობს ინდოელთა გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ბრამამ (ბრამინების წინასწარმეტყველი) ცოლათ შეირთო თავის ღვიძლი ასული სარავასტი; ასეთივე თქმულება აქვთ ეგვიპტელებსაც ჩრდილო ედდაში. ეგვიპტელთა ღმერთი ქმარი იყო თავისი დედის და ამით თავი მოსწონდა კიდეც. ოდინი, როგორც ედდა მოგვითხრობს, ქმარი იყო თავის ასულის ფრიგგის*). აქიმი ადოლფ ბასტიანიც**) თავის თხზულებაში: „მოგზაურობა არხიპელაგზე, სინგაპურსა, ბატავიასა, მანილიასა და იაპონიაში“ მე-12-ე გვ. შემდეგს მოგვითხრობს: „სვანგენვარში სამოთხის ასულთ ის პრივილეგიები ქონდათ, რომ შეეძლოთ თავისუფლათ ამოერჩიათ ქმრები. ოთხმა ძმამ, რომელნიც დასახლდენ -კაპილაპირში, უფროსი და პრია მეფედედათ აღიარეს, დანარჩენი 4 კი ცოლათ შეირთეს“.

მორგანი აღიარებს, რომ სქესთა საერთო შერევიდან მალე განვითარდა უმაღლესი ფორმა სქესთა შეერთების, რომელსაც ის ღვიძლ-ნათესავურ ოჯახს უწოდებს. ჯგუფები, რომელთაც სქესობრივი კავშირი აქვთ ერთმანეთთან, თაობებათ არიან დაყოფილი, ასე რომ ბაბუები და ბებიები ერთ სქესი-

*) იენა 1869 წ.

**) ხსენებული თხზულების წინასიტყვაობაში ციგლერს სიცილათ არ ყოფნის, რომ კულტურის ისტორიისათვის ეითს რაღაც მნიშვნელობას აძლევენ. აქ გამოსჩვივის ბუნებისმეტყველის ცალმხრივობა. მითში ღრმა აზრია, იგი ხალხის სულის წარმოშობილია, მათ საფუძვლათ ედვა ადათ-ჩვეულება, რომელნიც დროთა ვითარების გამო გაქრენ, მარა სარწმუნოებრივ სამოსელში გახვეულნი დარჩენილან მითოლოგიაში. რაკი მითის ამხსნელი ფაქტები იპოვეს, მას დიდი მნიშვნელობა ეძლევა ისტორიაში.

ურ კავშირში მყოფნი ცოლ-ქმარათ ითვლებიან; მათი შვილებიც თავის მხრით ერთმანეთის მეუღლეთა ჯგუფს შეადგენენ და უკანასკნელთა შვილებიც ისე იქნება, როგორც კი მოწიფული შეიქნებიან. ამ სახით, წინააღმდეგ დაბალ საფეხურის სქესობრივ კავშირისა, სადაც გაურჩეველი სქესობრივი შერევაა გაბატონებული, **ერთ თაობას არა აქვს უფლება მეორე თაობასთან სქესობრივი დამოკიდებულება დაიკავოს.** პირიქით, ახლა სქესობრივი შეერთება ხდება ძმებსა და დებს შორის, ბიძაშვილ ვაჟებსა და ქალებ შორის, ბიძაშვილის შვილებს შორის და ასე ქვევით. ყველა ისინი და-ძმანი არიან ერთმანეთის და ამავე დროს ცოლ-ქმარნიც. ოჯახის ასეთი ფორმა წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ არსებობდა სახელათ, მარა არა ფაქტიურათ, გავაის კუნძულზე. პირიქით, ამერიკელ ინდოელთა სისტემით, ძმასა და დას **არას გზით** არ შეუძლიათ ერთი ბავშვის დედ-მამათ ითვლებოდენ; გავაის წესით კი ეს შესაძლებელია. ღვიძლ-ნათესავური ოჯახის მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორიც მასსაგეტებში არსებობდა ჯეროდოტის დროს და რომელზედაც შემდეგსა სწერს თვით გეროდოტი: „თვითეული ირთავს მხოლოდ ერთ ქალს, მარა ყველას შეუძლია ისარგებლოს ამ ქალით“...

„როცა მამაკაცს დედაკაცის შოვნის სურვილი აღეძვრება, ის ისრის ბუდეს ურმის თავზე ჩამოკიდებს და უდარდელათ იჭერს საქმეს ქალთან, ამასთანავე ჯოხს არჭობს მიწაში, რაიც მისი მოქმედების გამოხატულებათ ითვლება... შეერთება დაუფარავათ ხდება“ *). ბახოფენის სიტყვით, ასეთსავე პიროებებში არიან ლიკიელები, ეტრუსკები, კრიტელები, ათინელები, ლესბიელები, ეგვიპტელები.

მორგანის სიტყვით, ღვიძლ-ნათესაურ ოჯახს მოსდევს ოჯახური კავშირის მესამე, უფრო მაღალი ფორმა, რომელსაც პუნალუაური ოჯახი ეწოდება. პუნალუა ნიშნავს საყვარელ ამხანაგს, საყვარელ მეგობარს.

მორგანის შეხედულებას, რომ ღვიძლ-ნათესავური ოჯახი,

*) ბახოფენი: „დედის უფლება“.

რომელიც ცოლ-ქმრულ კლასთა ორგანიზაციაზეა დამყარებული, წარმოადგენს პუნალუაურ ოჯახის წინამორბედ, პირვანდელ ორგანიზაციას,—ეწინააღმდეგება კუნოვი თავის ზემოხსენებულ თხზულებაში. ის ხედავს მასში არა ყველაზე პირველ ფორმას დღევანდლამდე აღმოჩენილ სქესთა შეერთების ფორმათა შორის, არამედ ნათესავურ კავშირთან ერთათ აღორძინებულ საშუალო, გარდამავალ ფორმას, საფეხურს. წმინდა საგვარეულო ორგანიზაციისაკენ, რომლის გვერდით ერთხანს კიდევ არსებობს რამდენიმეთ შეცვლილი სახით ეგრეთ წოდებული ღვიძლ-ნათესავური ოჯახის დამახასიათებელი დაყოფა თაობათა კავშირებათ და ამავე დროს ტოტემურ კავშირებათაც*). კუნოვი განაგრძობს: „ტოტემის თვითეული კაცი და ქალი თავის კლასისა და თავის სქესობრივ კავშირის სახელწოდებას ატარებს; ეს კლასობრივი დანაწილება ემსახურება სქესობრივ შეერთების მოსპობას მხოლოდ პირდაპირ შთამომავლობასა და წინაპრებ შორის, ე. ი. მშობლებისა და შვილების შორის, ბიძა-ბიცოლასა და ძმისწულ-დისწულებ შორის; ხოლო გვერდის მონათესავეთა შორის სქესობრივი კავშირი ისევ რჩება. სიტყვები: ბიცოლა, ბიძა და სხვა ნათესავთა მთელი წრეების აღსანიშნავათ იხმარება.

კუნოვს საბუთები მოყავს თავის შეხედულებათა დასამტკიცებლათ იმ მუხლებში, რომლებშიაც ის არ ეთანხმება მორგანს. მარა, რაც უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას ზოგიერთ მუხლებში, საერთოთ ის მაინც მის მხარეზეა ვესტერმაკისა და სხვათა წინააღმდეგ.

ის ამბობს: „მართალია, მორგანის ზოგიერთი გიპოტეზა სწორი არ არის, ზოგიც შესწორებას თხოულობს, მარა მაინც

*) ტოტემური კავშირი—საგვარეულო კავშირია; ყოველ გვარსა ყავს თავისი ცხოველი—ტოტემათ (მფარველი), მაგალ.: იგუანის ხვლიკი, მგელი, დათვი და სხვ., საიდანაც თვით კავშირი იღებს სახელწოდებას. ტოტემ-ცხოველს განსაკუთრებულ პატივსა სცემენ; იგი წმინდა ცხოველათ ითვლება მთელ კავშირში და კავშირის წევრს უფლება არა აქვს მისი მოკვლისა და ხორცის ჭამის. ტოტემ-ცხოველს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც საშუალო საუკუნოებში ამქართა მფარველ წმინდანებს ქონდათ.

ვერავინ უარყოფს იმას, რომ მან პირველმა აღმოაჩინა სრული ერთ-იგივეობა ჩრდილო-ამერიკელთა ტოტემიურ კავშირსა და რომაელთა საგვარეულო ორგანიზაციას შორის და დაამტკიცა, რომ თანამედროვე ნათესავური სისტემა და ოჯახის ფორმა ხანგრძლივი განვითარების ნაყოფია. მან ამით შესაძლებელი გახადა ახალი ცვლილებები, მან ჩაყარა საფუძველი, რომელზედაც შეიძლება შემდეგ შენობის ამოყვანა".

თავისი წიგნის წინასიტყვაობაში ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი თხზულება შეიძლება მორგანის წიგნის („პირველყოფილი საზოგადოება") დამატებათ ჩაითვალოს.

ვესტერმაკმა, შტარკემ და ციგლერმა, რომელიც პირველ ორს იმოწმებს. სურთ თუ არა, მაინც უნდა აღიარონ, რომ ოჯახის აღორძინება და განვითარება სრულიადაც არ ეთანხმება მათ ბურჟუაზიულ შეხედულებას. კუნოვის მიერ ციგლერის პირველ წყაროების გარჩევის შემდეგ, მათ ფანატიკურ მომხრეებსაც კი ეჭვები უნდა შეეპაროს ამათ ღირსებაში.

## 3. დედობრივი უფლება.

მორგანის სიტყვით, პუნალუაური ცოლ-ქმრობა იწყება ერთი დედის ქალ-ვაჟთა შორის სქესობრივ დამოკიდებულების მოსპობით. როდესაც დედაკაცი მრავალ მამაკაცს ეკუთვნის, მამის პიროვნების გამორკვევა შეუძლებელია. ახლა კი, ერთ-ცოლიანობისა და ერთ-ქმრიანობის ხანაში, მამობა, როგორც გიოტეს ფრიდრიხი ამბობს „სამოსწავლო წლებ"-ში, დამყარებულია მხოლოდ „გულუბრყვილო რწმენაზე". თუ ასეთ პირობებშიც ნამდვილი მამის ვინაობა ძნელი გასაგებია, მრავალ-ცოლიანობასა ან მრავალ-ქმრიანობაში ეს პირდაპირ შეუძლებელია. უეჭველი და უცილობელია მხოლოდ დედისაგან წარმოშობა, ამიტომ დედის უფლების ბატონობის ხანაში შვილები წარმოადგენენ მხოლოდ სპურიას, ე. ი. დათესვას. როგორც ყოველი ღრმა ცვლილება ადამიანთა სოციალურ ურთი-

ერთობაში ნელის ნაბიჯით წარმოებს კულტურის პირველ საფეხურზე, ისე ეგრეთ წოდებულ ღვიძლ-ნათესავურ ოჯახის პუნალუაურ ოჯახათ გარდაქმნას დიდ დროს მოუნდა; დროგამოშვებით გარდაქმნა უკანაც იხევდა, რის ნიშნებს შემდეგ ხანებშიაც ვამჩნევთ. პუნალუაურ ოჯიხის განვითარების მახლობელ გარეგან საბაბათ უნდა ჩაითვალოს წევრთა რიცხვის გამრავლებით გამოწვეული ოჯახის დაყოფა, რომ ამნაირათ შესაძლებელი გამხდარიყო ახალ სახნავ-სათეს და საძოვარ მიწების მოთხოვნილების წამოყენება. ისიც საფიქრებელია, რომ კულტურის უმაღლეს საფეხურზე უკვე შეიგნეს, რომ და-ძმებ შორის და აგრეთვე ახლო ნათესავებთან სქესობრივი შეერთება მავნებელია შთამომავლობისათვის და თან უმართებულოც; ეს კი ქორწინების ახალი წესის შემოღებას მოითხოვდა. რომ ეს ასე იყო, ამას ამტკიცებს ლამაზი გადმოცემა მურდუს (საგვარეულო კავშირი) წარმოშობის შესახებ, რომელიც კუნოვის სიტყვით, გაზონმა გაიგონა სამხრეთ ავსტრალიელ დიერებისაგან.

აი ეს გადმოცემა: „შექმნის შემდეგ მამა, დედა, და, ძმა და სხვა ახლო ნათესავნი განურჩევლათ ქორწინდებოდენ ერთმანეთზე, სანამ ნათლათ არ დაინახეს ასეთი შერთვის მავნებელი შედეგები. მაშინ შესდგა წინამძღოლთა კრება და დაიწყეს ბჭობა, როგორ შეებრძოლონ ასეთ მოვლენას. ბჭობის შედეგი იყო თხოვნით მიმართვა მურამურისადმი (დიდი სული) და მან თავის პასუხში უბრძანა დაეყოთ თემი სხვა-და-სხვა შტოებათ და ერთმანეთისაგან გასარჩევათ თვითეულ შტოსთვის დაერქმიათ სულიერ ან უსულო საგნების სახელი, როგორც მაგალ.: დინგო, თაგვი, ლამა, წვიმა, იგუანის ჯოჯო და სხვა. ერთი ჯგუფის წევრს არ შეეძლო შეუღლება იმავე ჯგუფის წევრთან და მხოლოდ მეორე ჯგუფის წევრზე უნდა ექორწინა. დინგოს შვილი ვერ შეირთავდა დინგოს ქალს, სამაგიეროთ თვითეულ მათგანს შეეძლო შეუღლება თაგვის, ლამას, ვირთაგვის, ანუ სხვა რომელიმე ოჯახის წევრთან.

ეს გადმოცემა უფრო მეტს გვეუბნება, ვინემ დაბადების გადმოცემა; ეს სუფ უბრალოთ და მარტივათ გვიხსნის საგვარეულო კავშირების წარმოშობას.

ამას გარდა პოლ ლაფარგი „Die Neue Zeit"-ში*) ძლიერ მოსწრებულათ და, ჩვენის აზრით, საბუთიანათაც ამტკიცებს, რომ ისეთი სახელები, როგორც ადამ და ევა, სულაც არაა ცალკე პიროვნების სახელი, არამედ სახელწოდებაა მთელი საგვარეულოსი, რომელნიც ისტორიის წინა დროებში აერთებდენ ებრაელებს. ამით ლაფარგი ნათელსა ჰფენს მოსეს პირველი წიგნის ბნელ და გაუგებარ ადგილებს. შემდეგ იმავე „D. N. Z."-ში**) მ. ბერი ყურადღებას აქცევს იმას, რომ ებრაელთა ჩვეულებით არ შეიძლება, რომ რძალ-დედამთილს ერთი და იგივე სახელი ერქვას, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე უბედურება მოხდება ოჯახში, მას თავს დაატყდება ან სიკვდილი, ან ავათმყოფობა.

ეს შორეული საბუთია ლაფარგის შეხედულების სიმართლის. საგვარეულო ორგანიზაცია უკრძალავს ერთ და იმავე გვარის შთამომავალთ ერთმანეთთან შეუღლებას. როდესაც რძალ-დედამთილს ერთი და იგივე სახელი ჰქვიათ, ისინი საგვარეულო ჩვეულებით, ერთ და იმავე შთამომავლობის პირებათ ითვლებიან. თანამედროვე ებრაელებს, რასაკვირველია, წარმოდგენაც კი არა აქვთ იმის, რომ ცრუმორწმუნეობა ნაშთია ძველ საგვარეულო კონსტიტუციის, რომელიც უკრძალავდა მათ ნათესავების შეუღლებას. მას სახეში ჰქონდა ეხსნა ხალხი გადაგვარებისაგან, რაიცა სისხლის შერევას უნდა მოყოლოდა. და, თუმცა არა ერთი ათასი წელიწადია მას აქეთ, რაც ებრაელთა ოჯახის ასეთი წყობილება გაქრა, მაგრამ გადმოცემა მაინც დარჩენილა ცრუმორწმუნეობის სახით. სისხლის შერევას რომ ვნება მოაქვს, ეს ადრევე უნდა შეემჩნიათ პირუტყვთა მოშენებაზე დაკვირვებით. როდის მიაქციეს ყურადღება ამ მოვლენას, ამას გვიჩვენებს მოსეს პირველი წიგნი,

*) „ახალი დროებ". მე-9 წელი 1891, გვ. 224/5.

**) „ახ. დრ." მე-12 წელი 1893/4 გვ. 119.

რომელიც მოგვითხრობს, თუ რა ადვილათ მოატყუა იაკობმა თავისი სიმამრი ლაბანი, შეეცადა-რა, რომ მთელ ფარაში სულ ჭრელი ბატკნები და კრავები დაბადებულიყვენ, რომელნიც ლაბანის დაპირებით იაკობს ეკუთვნოდენ. დარვინზე ადრე ებრაელები იცნობდენ პრაქტიკულათ დარვინიზმს.

რაკი ძველ ებრაელთა ყოფა-მდგომარეობაზე დავიწყეთ ლაპარაკი, ჩემ თავს ნებას მივცემ მოვიყვანო კიდევ რამდენიმე მაგალითი იმის შესახებ, რომ ძველათ მათში ფაქტიურათ დედათა შტო იყო გაბატონებული. მართალია, მოსეს პირველ წიგნში (თავი 3 მუხ. 16) დედაკაცის შესახებ ნათქვამია: „შენი ნება უნდა დაუმორჩილო შენ ქმარს და ის იქნება შენი ბატონი“. ამ ადგილს ასეთი ვარიაციაც აქვს: „და მიუტევოს ქალმა მამა თვისი და დედა თვისი და ეკუთვნოდეს ქმარს“; მაგრამ მოსეს პირველ წიგნში (თ. 2 მუხ. 24) წინააღმდეგსაც ვხვდებით: „ამიტომ მამაკაცმაც მიუტევოს დედა თვისი და მამა თვისი და შეუერთდეს ცოლსა და იქმნენ ისინი ერთსისხლ და ერთხორც“. ასეთივე ადგილები არის სახარებაში (მათე 19.5, მარკოსი 10.7) და ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში (5.31). ასე რომ ნამდვილათ აქ მცნებაა, რომელიც დედათა შტოს ბატონობისაგან გამომდინარეობს, მცნება, რომელსაც დაბადების ამხსნელთ არ იციან, როგორ მოუარონ თავი და ყალბ ახსნას უთხზავენ.

დედის შტოს ვხვდებით აგრეთვე მოსეს მეოთხე წიგნში (32.41). იქაა ნათქვამი, რომ იაიროზის მამა იუდას შთამომავალი იყო, მარა დედა მისი კი, მანასეს შთამომავალი და აქედან იაიროზი პირდაპირ **მანასეს ძეთ** იწოდება და ამ ტომის მემკვიდრეობა ერგება. მეორე ასეთი მაგალითია კიდევ ნეემიას წიგნში (7.63); იქ ვინმე მღვდელთ-მსახურს ცოლათ ყავს ვერზელიას ასული—ებრაელთა კლანისა და მათი შვილები ვერზელიას შვილებათ იწოდებიან, ე. ი. დედის შტოზე მიდიან და არა მამის.

მორგანის სიტყვით, პუნალუაურ ოჯახში ერთი ან რამდენიმე წყება დებს ერთი საოჯახო კავშირიდან შეუძლიათ

ცოლ-ქმრული კავშირი დაიჭიროონ ერთ ან რამდენიმე წყება ძმებთან მეორე კავშირიდან. ღვიძლი დები, ბიძის წულები და სხვა საერთო ცოლები იყვენ საერთო ქმრების, მარა ეს უკანასკნელნი მათი ძმები არ უნდა ყოფილიყვენ. ღვიძლი ძმები ანუ ბიძაშვილები, ბიძაშვილის-შვილები და სხვ. საერთო ქმრები იყვენ მათი საერთო ცოლების, რომელნიც მათი დები არ უნდა ყოფილიყვენ. სპობდა-რა სისხლის შერევას, ოჯახის ახალი ფორმა ამით ხელს უწყობდა ტომის სწრაფ განვითარებას და მოლონიერებას, რაიცა უპირატესობას აძლევდა მას სხვა ტომთა წინაშე, რომელთაც ძველი სქესობრივი დამოკიდებულება ქონდათ შერჩენილი.

პუნალუაურ ოჯახიდან შემდეგი ნათესავური კავშირი გამომდინარეობს: დედაჩემის დების შვილები—დედაჩემის შვილებათ ითვლებიან, ჩემი მამის ძმის შვილები—მამაჩემის შვილებათ. და ყველანი საერთოთ—ჩემი და-ძმებია. პირიქით, ჩემი დედის ძმის შვილები—დედაჩემისთვის ძმის-წულებათ ითვლებიან, მამის დის შვილები—მამაჩემის დის-წულებათ, ჩემი-კი ბიძაშვილები იქნებიან. ჩემი დედის დის ქმარი—დედაჩემის ქმრათ და მამაჩემის ძმის ცოლი—მამაჩემის ცოლათ ითვლება. მაგრამ მამაჩემის და და დედაჩემის ძმა არ ეკუთვნიან ჩვენს ოჯახს და მათი შვილები ჩემი ბიძაშვილები და მამიდაშვილები არიან*).

კულტურის ზრდასთან ერთათ ისპობა სქესობრივი კავშირი და-ძმებ შორის და ეს თანდათან ვრცელდება დედის მხრით სულ შორეულ ნათესავებზედაც. ისახება ახალი ღვიძლ-ნათესავური ჯგუფი, რომელიც თავისი პირველი სახით შესდგება დედის მხრით ღვიძლი და არა ღვიძლი ძმებისაგან, ღვიძლი და არა ღვიძლი დებისაგან და მათი შვილებისაგან. ასეთ ჯგუფს თავის წინაპარი ქალი ყავს, რომლისაგან წარმოსდგება ქალთა შთამომავლობა. ქმარი კი არ ეკუთვნის თავის ცოლის ნათესავურ ჯგუფს, ის თავის დის ტომში ითვლება. შვილები კი, პირიქით, დედის ოჯახის წევრები ხდებიან, მათი ჩამომავლობა

*) ფრ. ენგელსი: ოჯახის და სხვ. წარმოშობა.

ითვლება დედიდან. დედა ოჯახის უფროსია და აქედან წარმოსდგება „დედის უფლება“, რომელიც დიდხანს საფუძვლათ ედო ოჯახურს და მემკვიდრეობითს ურთიერთობას. ამისდამიხედვით ქალს, სანამ წარმოშობა დედისაგან ითვლებოდა,— ადგილი და ხმა ჰქონდა საგვარეულოს საბჭოში. ისინი ირჩევდენ ზახემს (მშვიდობიანობის წარმომადგენელი), მხედართ-მთავარს და მათ ხელშივე იყო მათი გადაყენება. როდესაც ჰანნიბალმა კავშირი შეკრა გალლებთან რომაელების წინააღმდეგ, თუ მათ უთანხმოება მოუვიდოდათ, სამედიატორო მოსამართლეობის როლი უსათუოთ გალლის მატრონებს (უფროს ქალებს) უნდა ეკისრათ; ისე სწამდა ჰანნიბალს მათი მიუდგომლობა.

ლიკიელებს, რომელნიც დედის უფლებას აღიარებდენ, გეროდოტი ასე ახასიათებს: „მათი ზნე-ჩვეულებანი ზოგი კრიტელებისა და ზოგი კარიელებისაგანაა გადმოღებული, მაგრამ ერთი რამით მაინც ირჩევიან ისინი დანარჩენ ხალხებისგან. როცა ლიკიელს თავის ვინაობას კითხავ, ის ჯერ თავის სახელს გეტყვის, შემდეგ დედისას, დედის-დედისას და ასე გაყვება დედის შტოს. ამას გარდა, თუ თავისუფალი ქალი მითხოვდა მონა-მამაკაცს, შვილები თავისუფალი მოქალაქენი არიან, ხოლო თუ თავისუფალი მამაკაცი იქორწინებს უცხოელ დედაკაცზე, ან აიყვანს ხასათ უცხოელს, რაც უნდა მაღალი თანამდებობა ეჭიროს მას სახელმწიფოში, მისი შვილები მაინც მოკლებული იქნებიან მოქალაქობრივ უფლებებს“. ამ დროს ხმარობდენ matrimoniums-ს (დედის უფლება) patrimonium-ის (მამის უფლება) მაგიერ, mater familias-ს (დიასახლისი) pater familias-ს (მამასახლისი) მაგიერ და სამშობლოს უწოდებენ— ძვირფას დედის ქვეყანას. როგორც წინანდელი ოჯახის ფორმები, ისე გვარის წყობილება დამყარებულია საერთო ქონებაზე, ე. ი. კომუნისტურ მეურნეობაზე. დედაკაცს, როგორც საოჯახო ამხანაგობის ხელმძღვანელს და უფროსს—დიდი პატივით ეპყრობიან სახლში და ტომშიაც. ის მშვიდობის-მყოფელი და მსაჯულია; ამასთანავე, როგორც მღვდელთ-მსახური, ასრულებს კულტის მოთხოვნილებებსაც. დედის უფლების

ბატონობის დროს ხშირათ ვხედავთ ქალს მეფის და მმართველის როლში. ხშირათ მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მაშინაც კი, როდესაც მათი შვილები მეფობენ, როგორც მაგალ. ეგვიპტეში; ამ ხანის მითოლოგიას უმთავრესად დედაკაცის გავლენა ეტყობა: ასტარტა, ცერერა, ლოტანა, იზიდა, ფრიგა, ფრეია, გერდა და სხვანი. დედაკაცი ხელშეუხებელია, დედის მოკვლა უდიდესი დანაშაულობაა, ის იწვევს ყველა მამაკაცთ სისხლის ასაღებათ. სისხლის აღება—ტომის ყველა მამაკაცების საზოგადო მოვალეობაა, თვითეულმა უნდა შური იძიოს, თუ მათი ოჯახის წევრს ვინმე უცხო ტომის წევრმა მიაყენა შეურაცხყოფა. დედაკაცთა დაცვის სურვილი დიდ გამბედაობას იწვევს მამაკაცებში. ასე ვითარდება დედის უფლება ყველა ძველ ხალხებში: ბაბილონელებში, ასირიელებში, ეგვიპტელებში, ისტორიის წინა დროის ბერძნებში, იტალიელ ტომებში რომის დაარსებამდე, სკვითებში, გალლებში, იბერიელებში და კანტარბიელებში, გერმანელებში და სხვ. დედაკაცს იმ დროს ისეთი მდგომარეობა ეჭირა, როგორიც მას შემდეგ აღარ სჭერია. აი რას ამბობს ტაციტი თავის „გერმანია"-ში: „გერმანელები ფიქრობენ, რომ დედაკაცში რაღაც კურთხეული ან წინასწარმეტყველური რამ სუფევს, ამიტომ ისინი პატივისცემით ეპყრობიან მის აღთქმას და მოწიწებით ისმენენ ყოველ მის სიტყვას". კეისრის დროს მცხოვრები დიადორი მეტათ აღშფოთებულია იმით, რომ დედაკაცს მაღალი მდგომარეობა უჭირავს ეგვიპტეში. მან გაიგო, რომ მოხუც მამას ქალიშვილები ინახავენ და არა ვაჟიშვილები, ამიტომ ის ზიზღით იხსენიებს „ქალთა მონებს ნილოსის ნაპირზე", რომელთაც სუსტ სქესს დაუთმეს თავისი უფლება ოჯახსა და საზოგადოებაში და თავის ნებაზე გაუშვეს ისინი, რაც ბერძნისა ან რომაელისათვის პირდაპირ წარმოუდგენელია.

დედის უფლების დროს შედარებით ყველგან მშვიდობიანობა მეფობდა. ცხოვრების პირობები უბრალო და მარტივი იყო. ტომები იყოფებოდენ, მაგრამ თავთავის ტერიტორიას უფრთხილდებოდენ. რომელიმე ტომზე თავდასხმის დროს, მა-

მაკაცებს უნდა გაეცათ პასუხი და ქალებიც ენერგიულათ უპერდენ ამაში მხარს. გეროდოტის გადმოცემით, სკვითელი ქალები ყოველთვის იღებდენ ბრძოლაში მონაწილეობას. ის ამტკიცებს, რომ ქალიშვილი ისე ვერ გათხოვდებოდა, თუ ერთი მტერი მაინც არ ყავდა მოკლული. დედაკაცსა და მამაკაც შორის საზოგადოთ პირველყოფილ ადამიანებში ფიზიკური და სულიერი განსხვავება უფრო ნაკლები იყო, ვინემ დღევანდელ საზოგადოებაშია. თითქმის ყველა ველურ და ბარბაროსულ ხალხში კაცისა და ქალის ტვინის წონა და სიდიდე შედარებით მცირეთ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვინემ განათლებულ ხალხებში; სხეულის ძალ-ღონით და სიმარჯვით კი, ველური დედაკაცი ბევრათ არ ჩამოუვარდება მამაკაცს. ამას ამოწმებს არა მარტო ძველი მწერლების თქმულება იმ ხალხებზე, რომელნიც დედის უფლებას აღიარებენ; ამის სასარგებლოთ ლაპარაკობს აგრეთვე აშანტიელებისა და მეფე დაგომეის ქალთა ლაშქარი დასავლეთ აფრიკაში, რომელნიც გამოჩენილი არიან თავის სიმამაცით და ველურობით. ამას ამტკიცებს, როგორც ტაციტის აზრი ძველ გერმანულ ქალებზე, ისე კეისრის მოწმობა იბერიელ და შოტლანდიელ ქალების შესახებ. კოლუმბს სანტა-კრუცესთან დიდი ბრძოლა მოუხდა ინდიელთა ხომალდთან, რომელზედაც ქალებიც ისე მარჯვეთ და გაბედულათ იბრძოდენ, როგორც მამაკაცები. ამის დამამტკიცებელ საბუთს ვპოულობთ აგრეთვე ხაველოკ ელლისის წიგნში „Men and Woman“, რომლის ქებასაც აქიმი ხოპპე ადამსვალტერი სწერს „Die Neue Zeit“-ის №№ 39—40-ში (12-ე წ., II ტომი, 1893/4 წ.წ.). იქ, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი:

„ჯონსონი მოგვითხრობს მდინარე კონგოს ნაპირებზე მცხოვრებ დამბისელების შესახებ, რომ მათი ქალები მუშაობენ სიმძიმის გადამტან-გადმომტანლებათ და საზოგადოთ მძიმე სამუშაოს ასრულებენ; მიუხედავათ ამისა ისინი ბედნიერ ცხოვრებას ატარებენ; ისინი ხშირათ უფრო ძლიერნი არიან და უფრო ლამაზნი, ვინემ მამაკაცნი, ზოგიერთ მათგანს ხომ პირ-

დაპირ მშვენიერი მოყვანილობა აქვს. პარიე მანიუემებს იმავე ადგილებიდან უწოდა „Fine animals“ (კარგათ განვითარებული პირუტყვები) და ქალებს კი ძლიერ ტანადებათ სთვლის; მათ ხშირათ გადააქვთ მძიმე ტვირთი და ისე თავისუფლათ, როგორც მამაკაცებს“. ერთმა ჩრდილო-ამერიკის ინდოელთა მეთაურმა უთხრა ხირნის: „დედაკაცი გაჩენილია სამუშაოთ, დედაკაცს იმდენის ზიდვა და გადათრევა შეუძლია, რამდენისაც ორ მამაკაცს“. შელლინგი, რომელმაც 1891 წელს ეთნოლოგიურ ჟურნალში გამოაქყვეყნა თავის გამოკვლევა ახალი გვინეის პაპუასების შესახებ, იმ აზრისაა, რომ ქალები იქ უფრო მაგარი აგებულობის არიან, ვინემ მამაკაცები. ავსტრალიის შუა-გულში ქმრები ხან-და-ხან იქვით სცემენ ცოლებს. ხშირათ არა ერთ ქმარს მიუღია ამავე მიზეზით ღირსეული ჯილდო თავის ცოლისაგან. კუბაში ქალები მამაკაცებთან ერთათ იბრძვიან. ზოგიერთ ინდიელ ტომებში, როგორც მაგალ. ჩრდილო-ამერიკის პუებლოებში და სამხრეთ-ამერიკის პატაგონელებში ქალებიც იმოდენა ტანისა არიან, როგორც მამაკაცები. სხეულის სიდიდის მხრივ არც რუსებშია ისეთი განსხვავება ორ სქესს შორის, როგორც მაგალ. ინგლისელებსა და ფრანგებში*).

ზოგიერთ შემთხვევაში ქალებს სასტიკი წესები შეჰქონდათ საგვარეულოში და ვაი იმ კაცის ბრალი, რომელიც სიზარმაცეს გამოიჩენდა ან და იმდენი მოხერხება არ ქონდა, რომ თავისი წილი შეეტანა საერთო საკუჭნაოში. მას გააძევებდენ და ის ან უნდა ისევ დაბრუნებოდა გვარს, სადაც მას, ეჭვი არაა, კარგის თვალით არ შეხედავდენ, ან სხვა გვარს შეკედლებოდა, თუ ამას უფრო ხელსაყრელათ სცნობდა**).

ლივინგსტონი გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ასეთი წესები ახლაც არსებობს აფრიკის მკვიდრთა ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში, რასაც ის მოგვითხრობს თავის თხზულებაში: „Messionaru travels and researches in southern Afrika“, London, 1857.

*) Havelox Mand und Weob. s 3—4. Leipzig, 1894.

**) ფრ. ენგელსი: ზემოხსენებული თხზულება.

ზომბეზის მდინარეზე ის შეხვდა ბალონელებს, ლამაზ და ძლიერ მიწათ-მომქმედ ტომს ზანგებისას და დარწმუნდა, რომ, როგორც წინეთ საეკვოთ მიჩნეული პორტუგალელთა ცნობები ამბობდენ, ამათში დედაკაცს პრივილეგიური მდგომარეობა ეჭირა. აქ მათ ირჩევენ საბჭოში. ახალგაზრდა ყმაწვილი, როცა ქალს შეირთავს, უნდა გადასახლდეს ცოლის სოფელში, ის ვალდებულია სიკვდილამდე უზიდოს შეშა სიდედრს და თუ ცოლ-ქმარი გაიყარენ, შვილები დედასთან რჩებიან. სამაგიეროთ, ცოლი ვალდებულია არჩინოს ქმარი. ლივინგსტონმა შეამჩნია, რომ ცოლ-ქმართა შორის მცირედ უსიამოვნებისა და უთანხმოების დროს, ქმრები მორიდებით იქცეოდენ და თუ ისინი შეურაცხყოფდენ ცოლებს, ამისათვის მათ სასტიკი სასჯელი—შიმშილი მოელოდათ. „ქმარი ბრუნდება სახლში პურის საჭმელათ—ამბობს ის, მაგრამ ცოლი მას მეორესთან აგზავნის და ის უჭმელი რჩება. მოქანცული და მშიერი ის აცოცდება ხეზე სოფლის ხშირათ-დასახლებულ ნაწილში და მწუხარე ხმით აუწყებს ყველას: „მომისმინეთ, ხალხო, მე მეგონა ცოლები ვითხოვე, მაგრამ ალქაჯები გამოდგენ! მე უცოლო ვარ, აღარ მყავს არც ერთი ცოლი. ნუ თუ ასე უნდა დარჩეს ერთი კაცი, როგორიც მე ვარ?“

## თ ა ვ ი II.

### ბრძოლა მამობრივ და დედობრივ უფლებათა შორის.

#### 1. მამობრივ უფლებათა დასაწყისი.

მცხოვრებთა რიცხვის ზრდასთან ერთათ ჩნდება მთელი რიგი დათა გვარეულობის, რომელთაგან შემდეგ წარმოსდგა მათი ქალიშვილების საგვარეულოები. დედის საგვარეულო შეიცავს ამ უკანასკნელთ, ე. ი. მისი ქალიშვილების საგვარეულოებს და ადგენს ფრატრიას (ძმობა). ფრატრიათა განსაზღვრული რიცხვი წარმოადგენს ტომს. ეს სოციალური ორგანიზაცია ისეთი გამძლე და მაგარი იყო, რომ როცა საგვა-

რეულო წყობილება დაირღვა, იგი საფუძვლათ დაედვა მის ნანგრევებზე ახლათ აღორძინებულ სახელმწიფოთა სამხედრო ორგანიზაციას.

ტომი იზრდება და იყოფა რამდენიმე ახალ ტომათ, რომელთაც ყველას ერთგვარი წყობილება აქვთ და ყველაში შეხვდებით უწინდელ საგვარეულოებს. მაგრამ უარსა ყოფს-რა და-ძმებსა და დედის ნათესავებ შორის სისხლის შერევას, საგვარეულო წყობილება ამით თვითონვე არღვევს თავის თავს. სოციალური და ეკონომიური განვითარება ართულებს გვარეულობათა ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და სხვა-და-სხვა გვარეულობის წევრთა შორის ქორწინების აკრძალვა შეუძლებელი ხდება, რის გამო საგვარეულო წყობილება თავისთავათ ეცემა ან სრულიად ირღვევა.

სანამ ცხოვრების საშუალებათა წარმოება დაბალ საფეხურზე იდგა და მხოლოდ სულ-უბრალო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდა, მამაკაცის და დედაკაცის როლში არსებითი გარჩევა არ იყო. მარა შრომის განაწილების ზრდასთან ერთათ იზრდება, როგორც სამუშაო ხელსაწყოების, ისე თვით საქმის განაწილებაც. მეთევზეობა, ნადირობა, პირუტყვთა მოშენება, მიწათ-მოქმედება განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვენ, მარა ამათზე უფრო თხოულობს ასეთ ცოდნას სხვა-და-სხვა იარაღების და მასალების დამზადება, რომელნიც უმთავრესათ მამაკაცების საკუთრებათ გადაიქცენ. ამით მამაკაცი ევოლიუციის სათავეში მოექცა და სიმდიდრის წყაროს მესაკუთრე და ბატონი გახდა.

მარა მრავლდება ხალხი და მასთან ერთათ იზრდება მისწრაფება ვრცელ და საუკეთესო სახნავ-სათესი და საბალახო ადგილების დასაკუთრების, იზრდება ამასთანავე მოთხოვნილება სამუშაო ძალის და ამ ნიადაგზე იმართება ომები, ჩაღდება ბრძოლა. რაც უფრო მრავალია მუშა ხელი, იმდენათ მეტი ნაყოფი მოაქვს, იმდენათ უფრო მრავალ-რიცხოვან ჯოგების მოვლა-მოშენება შეიძლება. ამან გამოიწვია პირველათ ქალების მოტაცება, შემდეგ დამარცხებულთა და ტყვეთ წაყ-

ვანილთა მონებათ გადაქცევა, წინეთ კი ასეთებს ხოცავდენ. ამასთან ერთათ ძველ საგვარეულო წყობილებაში შეიჭრა ორი ელემენტი, რომელნიც დიდხანს მასთან ვერ მოთავსდებოდენ.

ამას სხვა რამეც დაერთო ზედ. როცა იარაღის, ხელსაწყოსა და სასროლ მასალის მოთხოვნილება საკმაოთ გაიზარდა, შრომის დანაწილებისაგან წარმოიშვა ხელოსნობა, რომელიც მალე დამოუკიდებელი შეიქნა და თანდათან ჩამოშორდა მიწათმოქმედებას. აქედან ჩნდება ხელოსანთა ცალკე ჯგუფი, რომელსაც სრულიათ განსხვავებული ინტერესები აქვს როგორც მესაკუთრეობის, ისე მემკვიდრეობის საკითხში.

სანამ დედისგან წარმოშობას ქონდა მნიშვნელობა, მემკვიდრეები დედის და მისი ნათესავების ქონებას იღებდენ. ამნაირათ, მემკვიდრეობა გვარშივე რჩებოდა. ახალ წყობილების დროსაც კი, როცა მამა უკვე მესაკუთრეა, ჯოგების, მონების, იარაღის და მასალის მფლობელია ან ხელოსანი ან ვაჭარი, მისი ქონება, თუ კი ის დედის საგვარეულოში ითვლება, მაინც მის ძმებზე, დებზე და დის შვილებზე, ანუ მისი დის შთამომავლობაზე გადადის მისი სიკვდილის შემდეგ და არა შვილებზე. საკუთარი შვილები პირ-ჩალა გამოვლებული რჩებიან. ცხადია, ასეთ წესების შეცვლის სურვილი მეტათ უნდა გაძლიერებულიყო და ისინი შეიცვალა კიდეც. პირველათ მოისპო მრავალ-ცოლიანობა და მრავალ-ქმრიანობა და ამის მაგიერ შემოვიდა ერთ-ცოლიანობა და ერთ-ქმრიანობა. ერთი კაცი ერთ რომელიმე ქალთან სცხოვრობდა და მათი შთამომავლობა, მათ საკუთარ შვილებათ ითვლებოდენ. ასეთ წყვილთა ოჯახის რიცხვის ზრდას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ საგვარეულო წესებით ცოლის შერთვა მეტათ გაძნელებული იყო, ზემოხსენებული ეკონომიური მდგომარეობა კი თხოულობდა ოჯახური ცხოვრების ამ ახალი ორგანიზაციის შემოღებას. ძველი წესწყობილება, საერთო მეურნეობაზე დამყარებული, ვერ ურიგდებოდა პირადი საკუთრების შემოღებას. თუ წინეთ საცხოვრებელი ადგილის ამორჩევაში მთავარ როლს თამაშობდა ნათესავობა, ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა

**მდგომარეობას და ხელობას.** საქონლის წარმოების აღორძინებამ გამოიწვია ვაჭრობის განვითარება მეზობელ და უცხო ხალხებთან და ამნაირათ გაჩნდა ფულის მეურნეობა. ამ განვითარებას ხელმძღვანელობდა მამაკაცი და ის გაბატონდა კიდეც ამით. მის კერძო ინტერესებს არაფერი საერთო აღარ ქონდათ ძველ საგვარეულო ორგანიზაციასთან, პირიქით მისი ინტერესები ხშირათ ეხლებოდენ კიდეც ერთმანეთს. ამნაირათ, საგვარეულო ორგანიზაციის მნიშვნელობა თანდათან ეცემა. უკანასკნელათ გვარს შერჩა მხოლოთ ოჯახის სარწმუნოებრივი ფუნქციები, ღვთის-მსახურების შესრულება. მისი ეკონომიური მნიშვნელობა გაქრა და ასე საგვარეულო წყობილების სრული დარღვევა აუცილებელი შეიქნა.

ინგრევა ძველი საგვარეულო წესწყობილება და მასთან ერთათ ეცემა დედაკაცის გავლენა და მდგომარეობაც. დედის უფლება გაქრა, მისი ადგილი მამის უფლებამ დაიჭირა. ქმარი, როგორც კერძო მესაკუთრე, დაინტერესებულია საკუთარი **კანონიერი** შვილები ყავდეს, რომ შეეძლოს მათი თავის მემკვიდრეებათ აღიარება, **ამიტომ ის უკრძალავს დედაკაცს სხვა მამაკაცებთან სქესობრივი კავშირის დაჭერას.**

ამავე დროს ის უფლებას იტოვებს კანონიერ ცოლს ან ცოლებს გარდა, იყოლიოს იმდენი მხევლები, რამდენის ყოლის ნებასაც მისცემს გარემოება. ამ მხევალთა შვილებიც კანონიერ შვილებათ ითვლებიან. დაბადებაში ორ საუკეთესო ცნობას შეხვდებით ამის შესახებ. პირველი წიგნი მოსესი (16. 1—2) ამბობს: „აბრამის ცოლს სარრას შვილი არ გაუჩნდა. მარა მას ყავს მოსამსახურე ქალი ეგვიპტელი აგარი. და რქვა სარრამ აბრამს: უფალმა შეკრა საშო ჩემი და შვილი არ მომეცა. შედი და დაწექ მოსამსახურესთან, იქნება მისაგან გამიჩნდეს შვილი. აბრამმა დაუჯერა სარრას“.. მეორე შესანიშნავ მაგალითს ვპოულობთ მოსეს პირველ წიგნშივე (31.1). იქ ნათქვამია: „რა ნახა რახილმა, რომ მას შვილი არ უჩნდება, შეშურდა მისი დის, ლიას, ბედნიერება და უთხრა იაკობს: მომეცი მე შვილი, თუ არა თავს მოვიკლავ. იაკობი გაუწყრა

რახილს და უპასუხა: მე ხომ ღმერთი არა-ვარ, რომელმაც მოგისპო ნაყოფი. მან ურჩია: აი ჩემი მოსამსახურე ბალლა, შედი მასთან, მან შვას ჩემს მაგიერ ნათესავი ჩემი და მე მეყოლება შვილები მისგან. და მისცა მას ცოლათ თავისი მოსამსახურე ბალლა და იაკობი შევიდა მასთან".

ამნაირათ, ერთ და იმავე დროს იაკობის ცოლები იყვენ ლაბანის ორი ქალი დები—ლია და რახილი და მათ თავისი მხრივ მისცეს მას ცოლებათ თავიანთი მოსამსახურეები; იმ დროინდელ ჩვეულებით ეს „უზნეობათ" არ ითვლებოდა. იაკობმა, როგორც ვიცით, იყიდა თავისი კანონიერი ცოლები და სასყიდელში 14 წელიწადს ემსახურა სასიმამროს. იმ დროს ჩვეულებათ იყო ებრაელებში ცოლის ყიდვა, მარა ყიდვასთან ერთათ, დამარცხებულ ხალხთა ქალების მოტაცებაც ძლიერ გავრცელებული იყო, როგორც მაგალ. ბენიამინის შთამომავლობამ მოსტაცა სილომელთ გასათხოვარი ქალიშვილები და ყველანი ცოლებათ შეირთეს*). ტყვე ქალი ხდებოდა მონა, მხევალი მომტაცებელის. მას კანონიერ ცოლათ გახდომაც შეეძლო, თუ შემდეგ წესებს აღასრულებდა: უნდა ნება დაერთო, რომ თმა და ფრჩხილები დაეჭრათ მისთვის, გადაეგდო ის ტანსაცმელი, რომელშიაც დაატყვევეს და სხვა ჩაეცვა; შემდეგ ერთი თვის განმავლობაში ეგლოვა მამა და დედა იმის ნიშნათ, რომ თავისი ხალხისთვის ის უკვე მოკვდა, უცხო შეიქნა; და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ქმრის საქორწინო სარეცელი გაეზიარებია. ყველაზე მრავალი ცოლი, როგორც ვიცით, სოლომონ მეფეს ყავდა, რომელიც, თუ მეფეთა წიგნს დავუჯერებთ, 700 ცოლს და 300-დე მხევალს ინახავდა (1.11).

მარა, როცა ებრაელთა საგვარეულო ორგანიზაციაში გაბატონდა მამის უფლება, ე. ი. დამყარდა მამისგან წარმოშობა, ქალები სავსებით გამორიცხეს მამის მემკვიდრეობიდან. შემდეგში დედის უფლებას იმ შემთხვევაში ქონდა ძალა, თუ მამას შვილი არ დარჩებოდა. ეს მოსეს მეოთხე წიგნიდან (27. 2—8) მტკიცდება, სადაც ნათქვამია, რომ ზელაფეხდი

*) წიგნი სჯულთა 20,21 და სხვ.

მოკვდა და ძე არ დარჩა, ასულნი კი მწარეთ სტიროდენ, რომ მამის მემკვიდრეობიდან გამორიცხეს და მისი ქონება ისევ იოსების შთამომავლობას უნდა დაბრუნებოდა, მოსემ კი გადაწყვიტა, რომ ამ შემთხვევაში მემკვიდრეობა ქალებს უნდა დარჩენოდათ. მარა, როდესაც მათ ქმრების ძებნა ძველი ჩვეულებისამებრ სხვა ტომებში დაიწყეს, იოსების ტომმა უკმაყოფილება გამოაცხადა, რადგანაც ამით მემკვიდრეობას კარგავდენ. მაშინ მოსემ ახალი განმარტება მისცა თავის გარდაწყვეტილებას (4.36), რომ თუმცა მემკვიდრე ქალებს შეუძლიათ თავისუფლათ აირჩიონ ქმრები, მარა მხოლოდ იმ ტომში, რომელსაც მათი მამა ეკუთვნოდა. ამნაირათ, საკუთრების გულისთვის შესცვალეს წინანდელი კანონი.

ძველი აღთქმის დროს და, მაშასადამე, ისტორიის წინა ხანაში გაბატონდა ებრაელებში მამის უფლება და კლანის ანუ ტომის ორგანიზაცია ისე, როგორც რომაელებში, მამის შტოზე დაეფუძნა. ამის და მიხედვით ქალი ამ ეპოქაში უკვე გამოირიცხა მემკვიდრეობიდან, როგორც ამას ვკითხულობთ მოსეს პირველ წიგნში (31. 14—15), სადაც ლაბანის ასულნი—ლია და რახილი, სამდურავს ამბობენ მამაზე: „გვაქვს თუ არა ჩვენ კიდევ რაიმე წილი და მემკვიდრეობა მამის ოჯახში? უცხოთ ხომ არა გვთვლის ის ჩვენ? ვინაიდან ჩვენი ვეცხლიც გაყიდა და გაფლანგა“.

როგორც ყველა ხალხში, სადაც მამის შტო იჭერს დედის ალაგს, ისე ებრაელებშიაც დედაკაცი სრულიად მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. ქორწინება ყიდვა-გაყიდვის აქტია, დედაკაცს მოეთხოვება სრული უმანკოება, მაშინ როდესაც მამაკაცისათვის ეს მცნება სრულიად სავალდებულო არ არის და, ამასთანავე მას უფლება აქვს იყოლიოს რამდენიმე ცოლი. თუ ქორწინების პირველ ღამეს ქმარი შეამჩნევს, რომ მის ცოლს ქორწინებამდე დაუკარგავს ქალწულობა, მას უფლება აქვს გააგდოს ის და საბრალო ქალი ქვებით უნდა ჩაიქოლოს. ასეთივე სასჯელი მოელის ქმრის მოღალატე ქალს, მამაკაცი კი, მხოლოდ იმ შემთხვევაში ისჯება, თუ იგი ქმრიან

ებრაელ ქალთან მრუშობს. მოსეს თქმით (წიგნი მეხუთე, 24. 1—4), ქმარს უფლება აქვს გააძევოს ახლათ ნაქორწინები ცოლი, თუ უკანასკნელმა რაიმე მიზეზით ვერ დაიმსახურა მისი ყურადღება ან აღარ მოეწონა. მან მხოლოდ უნდა დაუწეროს განშორების ბარათი, ხელი მისცეს და გაიყვანოს თავის სახლიდან. ებრაელ დედაკაცის უმწეო მდგომარეობას, თვით უკანასკნელ ხანებშიაც კი, ისიც ამტკიცებს, რომ დღესაც სინაგოგაში ღვდელ-მსახურების დროს, ქალები ცალკე განყოფილებაში არიან და საერთო ლოცვაში ვერ გაერევიან *). ძველ ებრაელთა წარმოდგენით, დედაკაცი არ ეკუთვნის თემს: რელიგიის მხრით და პოლიტიკურათ იგი არარაობას წარმოადგენს. ათმა კაცმა თუ მოიყარა თავი, მათ შეუძლიათ ღვთისმსახურება შეასრულონ, ქალებს კი, რამდენიც უნდა შეიკრიბონ, მაინც არ შეუძლიათ ეს.

ასევე მოიქცა სოლონი ათინაში, როდესაც ბრძანება გასცა, რომ მემკვიდრე ქალი მოვალეა მითხოვდეს თავის ახლო ნათესავს მამაკაცის მხრით, თუნდაც ორივ ერთდა იმავე საგვარეულოს წევრები იყვენო; ძველი წესით კი, ასეთი ქორწინება აკრძალული იყო. სოლონმა ბრძანება გასცა აგრეთვე, რომ მესაკუთრეს, რომელსაც მემკვიდრე არა ყავს, შეუძლია მთელი თავისი ქონება ვისაც სურს, იმას დაუმტკიცოს, ძველი ჩვეულებით კი ასეთი ქონება გვარში რჩებოდა.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავ, რომ ადამიანი კი არაა საკუთრების ბატონი, არამედ საკუთრებაა მისი ბატონი და მფლობელი.

კერძო საკუთრების გაბატონებამ განამტკიცა მამაკაცის მიერ დედაკაცის დამორჩილება. დადგა დრო დედაკაცის დამცირებისა და შეურაცხყოფისა.

*) პრაგის ერთ ძველეს უბანში ახლაც არის პატარა სინაგოგა VI საუკუნიდან დარჩენილი, რომელიც ევროპაში უძველეს სინაგოგათ ითვლება. ჯერ დაახლოვებით შვიდ სიფეხურზე უნდა ჩახვიდეთ დაბლა ნახევრათ ბნელ ოთახში და იქ მეორე მხრით დაინახავთ კედელს რამდენიმე ნაჩვრეტით სანათურივით, რომელნიც სულ ბნელ ოთახში გადადიან. როცა ვკითხეთ, თუ სად გადიან ეს სანათურები? — გზის მაჩვენებელმა გვიპასუხა: „ქალების განყოფილებაში, საიდანაც ქალები ისმენენ ლოცვას“. ახლანდელი სინაგოგები უკეთესათაა აგებული, მარა ქალების განყოფილება აქაც ცალკეა.

**დედის უფლების აღიარება ნიშნავდა კომუნიზმს, საყოველთაო თანასწორობას; მამის უფლების აღორძინება კი — ნიშნავს კერძო საკუთრების გაბატონებას და მასთან ერთათ დედაკაცის დაჩაგვრასა და დამონებას.**

ეს შეგნებული ქონდა კონსერვატორ არისტოფანსაც, რომელსაც თავის კომედიაში — „დედაკაცთა სახალხო კრება"-ში გამოყვანილი ყავს ქალების გაბატონება სახელმწიფოში და კომუნიზმის შემოღება, და რომ სახელი გაუტეხოს დედაკაცს საზოგადოების თვალში, კომუნიზმს სულ დამახინჯებულათ, კარიკატურულათ ხატავს.

როგორ მოხდა ასეთი გადატრიალება თვითეულ კერძო შემთხვევაში, ეს ძნელი გამოსაკვლევია, რადგან ეს **პირველი დიდი რევოლიუცია**, რომელიც განიცადა კაცობრიობამ, — ყველგან ერთ დროს და ერთნაირათ არ განხორციელებულა ძველ კულტურულ ქვეყნებში. საბერძნეთში ასეთმა წყობილებამ პირველათ ათინაში იჩინა თავი.

ფრიდრიხ ენგელსი ფიქრობს, რომ ეს დიდებული გადატრიალება სრულიად მშვიდობიანათ მოხდა: როდესაც მზათ იყო ყველა პირობები ახალი უფლებისათვის, საკმარისი იყო მხოლოდ უბრალო კენჭის-ყრა თემებში, რომ დედის უფლების მაგიერ მამის უფლება შემოღოთ. ბახოფენი კი, პირიქით, ძველ მწერალთა მოწმობის თანახმათ ფიქრობს, რომ ასეთ სოციალურ ცვლილებებს ქალებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს. განსაკუთრებით ზღაპრული გადმოცემები ამაზონელთა სამეფოებზე, რომელთაც ჩვენ ვხვდებით აზიის და საერთოთ აღმოსავლეთის ისტორიაში, რომელნიც გავრცელებულია აგრეთვე ამერიკასა და ჩინეთშიაც, მისი აზრით, იმის საბუთს გვაძლევს, რომ ქალებს დიდი ბრძოლა და წინააღმდეგობა გაუწევიათ ახალი წყობილებისათვის.

მამაკაცის გაბატონებით, დედაკაცმა დაკარგა თავისი ადგილი თემის დაწესებულებებში, ისინი გამორიცხეს საბჭოს კრებიდან და დაუკარგეს ყოველგვარი გადამწყვეტი გავლენა მის საქმეთა მსვლელობაზე. მამაკაცი მოითხოვს დედაკაცისა-

გან, რომ მან არ უღალატოს მათ კავშირს, მარა თვითონ კი იტოვებს ამის უფლებას; თუ ქალი ღალატობს ქმარს, ეს ყველაზე მძიმე ცოდვაა, რომლის ჩადენაც კი შეიძლება ახალ მოქალაქის წინაშე: აქედან შემოდიან ოჯახში სხვისი შვილები, როგორც მისი საკუთრების მემკვიდრენი; ამიტომ ძველ ხალხში ცოლ-ქმრული კავშირის მოღალატე ცოლს სიკვდილით სჯიდენ ან მონათ აქცევდენ.

## 2. დედის უფლების ნაშთები ბერძნების მითებში და დრამებში.

თუმცა დედაკაცმა დაკარგა ხელმძღვანელი მდგომარეობა, რომელიც მას წინეთ ეჭირა, მარა მიუხედავათ ამისა, ამ ძველ მდგომარეობასთან შეკავშირებული სარწმუნოებრივი წესები მაინც მთელი საუკუნოები ბატონობდენ, მხოლოდ მათ დაკარგეს ხალხის თვალში თავისი ღრმა მნიშვნელობა და აზრი. ჩვენს დროში ხელ-ახლა დაიწყო იმის ძიება, თუ რა აზრი ქონდა ამ ჩვეულებებს. ასე, მაგალ. საბერძნეთში დარჩა ძველი ჩვეულება, რომლის გამო ქალები რჩევისა და შემწეობისათვის მხოლოდ ღმერთ-ქალებს მიმართავდენ. ყოველ-წლიურათ იმართებოდა **ტესმოფორიის** დღესასწაული, რომელიც თავის წარმოშობით **დედის უფლების ეპოქას** ეკუთვნის.

შემდეგ საუკუნოებშიაც ბერძნის ქალები სრული ხუთი დღე უქმობდენ ამ დღესასწაულს ღმერთი-დემეტრეს პატივსაცემლათ და არც ერთ მამაკაცს არ შეეძლო ამ დღესასწაულზე დასწრება. ასეთივე დღესასწაული არსებობდა ძველ რომში ცერერასი. დემეტრა და ცერერა ნაყოფიერების ღმერთებათ ითვლებოდენ. ქრისტიანობის გავრცელებამდე ძველ გერმანელებშიაც იყო ასეთი დღესასწაული ფრიგის პატივსაცემათ, რომელსაც ძველ გერმანელებში ნაყოფიერების ღმერთათ აღიარებდენ. არც აქ შეეძლოთ მამაკაცებს დღესასწაულზე დასწრება.

ათინაში, სადაც, როგორც სჩანს, ქალთა დიდი წინააღმდეგობის შემდეგ, მარა მაინც ყველაზე ადრე დაუთმო დედის

უფლებამ ადგილი მამის უფლებას, ეს სოციალური გადატრიალება ნათლადაა გამოხატული ესხილის წარმტაც ტრაგედიაში —„ევმენიდი“. ტრაგედიის შინაარსი ასეთია: მიკენის მეფე, აგამემნონი, ქმარი კლიტემნესტრასი, ორაკულის წინასწარმეტყველებით ტროიაზე გალაშქრების დროს მსხვერპლათ სწირავს ღმერთებს თავის ქალს იფიგენეიას. დედა აღშფოთებულია ქმრის ასეთი საქციელით, რადგან დედის უფლების თანახმათ, შვილი ქმარს არ ეკუთვნოდა და აგამემნონის სხვაგან ყოფნის დროს მითხოვდება ეგისტს, რაც სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ძველ წესებს. რამდენიმე წლის შემდეგ აგამემნონი ბრუნდება სახლში—მიკენაში; კლიტემნესტრას ჩაგონებით ეგისტი კლავს მას. აგამემნონისა და კლიტემნესტრას შვილი, ორესტი, ღმერთების—აპოლონის და ათინას შთაგონებით მამის სისხლს ეძიებს და კლავს როგორც დედას, ისე ეგისტს. ერინიები სდევნიან ორესტს დედის სიკვდილისათვის, ისინი არიან წარმომადგენელი ძველი უფლების. აპოლონი და ათინა, რომელსაც გადმოცემის თქმით **დედა არ ყავდა,** რადგანაც ის პირდაპირ ზევსის თავიდან იშვა, იცავენ ორესტს, როგორც ახალი, მამის უფლების წარმომადგენელნი. საქმე გადადის გადასაწყვეტათ ათინის არეოპაგში, უმაღლეს სამსჯავროში, სადაც ასეთი ლაპარაკი აქვთ ორივე შეხედულების მიმდევართ:

**ერინია.** წინასწარმეტყველმა (აპოლონმა) მიგიყვანა შენ დედის მკვლელობამდე?

**ორესტი.** და მაინც აქამდე ჩემი ბედის მფლობელი ვერ შევიქენი.

**ერინია.** მალე დაგატყდება თავს განაჩენი და მაშინ სულ სხვა კილოზე იწყებ ლაპარაკს.

**ორესტი.** ვიცი ეს, მარა მამა გამიწევს დახმარებას საფლავიდანა.

**ერინია.** მკვდრების იმედი ნუ გექნება, შე **დედის მკვლელო.**

**ორესტი.** ორმაგ ბოროტებაში გაიბი შენ ამისი თქმით ბოროტი თავი.

**ერინია.** როგორ თუ გავიბი? მაშ რათ არ აუწყებ ბარემ მსაჯულებს?

**ორესტი.** მან ქმარი მოკლა თვისი, მამა მომიკლა მე.

**ერინია.** ქმარი, რომელიც მოკლა მან, სისხლით ნათესავი არ იყო მისი.

**ორესტი. მაშ შენ ამბობ, რომ მე დედის სისხლხორცს შევადგენ?**

**ერინია. შენ, მისი სისხლის დამღვრელს, ცხრა თვეს მუცლით გატარებდა იგი. და განა წყევა-კრულვას არ მიეცი შენ მისი სისხლი?** მარა შენ ისევ სცოცხლობ, მან კი უკვე გამოისყიდა თავის მკვლელობა.

ამნაირათ, როგორც სჩანს, ერინიები უარყოფენ მამისა და ქმრის უფლებას, მათ მხოლოდ დედის უფლება სწამთ. კლიტემნესტრამ რომ ქმარი მოაკვლევინა, ეს არაფერია, რადგან ის უცხო კაცი იყო. მარა ამავე დროს ისინი დედის მკვლელის სასტიკათ დასჯას მოითხოვენ, რადგან დედის მოკვლით ორესტმა უდიდესი ცოდვა ჩაიდინა, რომლის ჩადენაც კი შეიძლებოდა საგვარეულო წყობილებაში. აპოლონი კი, სულ წინააღმდეგი შეხედულებისაა. მან ზევსის ბრძანებით შთააგონა ორესტს საკუთარი დედის სიკვდილით აეღო მამის სისხლი და მსაჯულთ წინაშე იცავს კიდეც მას...

„ამაზე უნდა მოგახსენოთ შემდეგი თქვენა*):

**არ არის, არა, შემომქმედი დედა შვილისა;**
ის მხოლოდ აძლევს მას სიცოცხლის გამოფხიზლებას,
მამა მისი კი ქმნის და აძლევს მას თვით სიცოცხლეს.
დედა ინახავს მეგობრისგან მოძღვნილ საუნჯეს
და ისიც მხოლოდ უზენაეს ძალთა ნებითა—
აი რა მინდა დაგიმტკიცოთ, რა მინდა გითხრათ.
მამა უდედოთ შესაძლოა, რომ ყავდეს შვილსა:
ამის საბუთსა თვით ზევსისა გვაძლევს ასული,

*) ამ წიგნში მოყვანილი ლექსები ნათარგმნია ვარ. რუხაძისა.

იგი დედისა მუცლისაგან თუმც არ შობილა,
მაგრამ თვით ღმერთიც ვერ დაბადებს მის მზგავს არ-
სებას“.

ასე რომ აპოლონის აზრით, შვილის ყოლაში უპირატესობა მამას უნდა მიეცეს; წინანდელი შეხედულებით კი, დედა, რომელიც სისხლსა და ხორცს ასხამს თავის შვილს, მისი ერთათ ერთი მესაკუთრეა, მისი ბავშვის მამა კი **უცხოა** მისთვის.

ამიტომ ერინიები ასე უპასუხებენ აპოლონს:

„ძველის-ძველთაგან გამეფებულთ არღვევ ძალებსა,
გინდა გაგვასწრო მოხუცებსა, ჭაბუკო ღმერთო!“

მსაჯულები ემზადებიან გადაწყვეტილების გამოსატანათ, ნახევარი ძველ უფლებას იცავს, ნახევარი ახალს, მოსალოდნელია ხმების თანასწორათ გაყოფა. ამ დროს ათინა წამოავლებს ხელს საკურთხეველზე მდებარე ქვას, ჩაუძახებს ყუთში და ამბობს:

„იგი ჩემია და ეს არის ჩემი სურვილი
უკანასკნელი, დაუჭირო მხარი ორესტსა.
დედა არ ვიცი, **არც ვშობილვარ იმის საშოდან,**
**სულით და გულით ვაქებ ყოველ მე მამაკაცურს,**
**ქორწინებასაც,—მამისა ვარ მთელი არსებით.**
და ამიტომაც ქალის სიკვდილს დიდ არაფრათ ვთვლი,
როს ოჯახის ბურჯს, ქმარს მოუსპო იმან სიცოცხლე.
ასე, ამგვარათ, თანასწორ ხმის მიუხედავათ,
აქ გამარჯვება მაინც ისევ ორესტისაა“.

ასე გაიმარჯვა ახალმა უფლებამ. ქორწინება, რომელიც მამაკაცს აძლევს ოჯახის უფროსობას, ამარცხებს დედაკაცის ბატონობას*).

მეორე გადმოცემა ასე ასურათებს დედის უფლების დაცემას ათინაში:

*) როდესაც 1899—1900 წლ. ზამთარში ბერლინში, ვენაში და სხვაგან ბ. მილანოვიჩის მიერ ახლათ გადმოკეთებული ესხილის „ორესტი“ დადგეს სცენაზე, საზოგადოებამ და კრიტიკამ ვერ გაიგო ამ ტრაგედიის ღრმა აზრი; ის იმათთვის სრულიად უცხო დარჩა.

„კეკროპსის მართვა-გამგეობის დროს ორკეცი სასწაული მოხდა: ერთ და იმავე დროს მიწიდან ერთ ადგილს ამოვიდა ზეთის-ხილის ხე, მეორეგან კი—წყალი. შეშინებულმა მეფემ კაცი გაგზავნა დელფინაში ორაკულთან, რომ შეკითხებოდენ, თუ რას მოასწავებდა ეს მოვლენა. პასუხი ასეთი მოვიდა: ზეთის-ხილის ხე მინერვას ნიშნავს, წყალი კი—ნეპტუნს და მოქალაქეებმა თვითონ უნდა გადასწყვიტონ, თუ რომელი მათგანის სახელი უწოდონ თავის ქალაქს. კეკროპსმა მოიწვია სახალხო კრება, რომელშიაც როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები იღებდენ მონაწილეობას. მამაკაცებმა ნეპტუნს მისცეს ხმა, დედაკაცებმა მინერვას და, რადგანაც დედაკაცები ერთი ხმით სჭარბობდენ, ამიტომ მინერვამ გაიმარჯვა. ნეპტუნი განრისხდა და ზღვას უბრძანა წაელეკა ათინელთა ნათესები. რომ შეეყენებიათ ნეპტუნის რისხვა, ათინელებმა სამგვარი სასჯელი დაადვეს დედაკაცებს: **მათ მოუსპეს ხმის უფლება, მათ შვილებს აუკრძალეს დედის სახელის ტარება, ამ დღიდან მათ წაერთვა ათინელ ქალის წოდება**“ *).

### 3. კანონიერი ცოლები და გეტერები ათინაში.

ყველგან, სადაც კი მიაღწიეს კულტურულ განვითარების ასეთ სიმაღლემდე, დედის უფლება მამის უფლებით შეიცვალა ისე, როგორც ათინაში. დედაკაცს დაევალა მხოლოდ ოჯახის მოვლა; ის განაცალკევეს და მიუჩინეს ცალკე სამყოფი—გინეკეი და აუკრძალეს სახლში მოსულ სტუმართან გამოსვლაც კი. ეს იყო უმთავრესი მიზანი მისი განცალკევების.

ჩვეულებათა ასეთი ცვლილებები უკვე „ოდისეია“-ში პოულობენ თავის გამოხატულებას. იქ ტელემაკი უკრძალავს დედას საქმროებ შორის დარჩენას და უბრძანებს:

„გასწი აქედან და მიხედე წესისებრ ოჯახს,
კერე და ქსოვე, ყური უგდე კარგათ მონებსა,
რომ ბეჯითადა ასრულებდენ თავიანთ საქმეს.
ბჭობა არ არის ქალის საქმე, არამედ ქმარის;

*) ბახოფენი: „დედის უფლება“.

**ახლა კი ჩემი, დიახ ჩემი, რადგან ოჯახში**
**მხოლოდ მე დავრჩი მბრძანებელი, ბატონ-პატრონი“.**

ეს უკვე საზოგადო შეხედულება იყო იმ დროს საბერძნეთში. კიდევ მეტი. ქალი, თუნდაც ის ქვრივი იყოს, უახლოეს ნათესავის ბატონობის ქვეშ იმყოფება და თავისუფლათ საქმროს ამორჩევის უფლებაც არა აქვს. ლოდინით თავმობეზრებულმა საქმროებმა, რომელნიც ხერხიანმა პენელოპამ დიდხანს ალოდინა, ანტინოიას პირით მიმართეს ტელემაკს ასეთი მოთხოვნით:

„შენ ყური გვიგდე, გიპასუხებთ, რომ ყველაფერი
კარგათ იცოდე შენ და ყველა აქეელებმაც.
**უბრძანე დედას, გათხოვებას რა დათანხმდება,**
ამოირჩიოს ჩვენში **მამას და თვით ვინც ნებავს“.**

დედაკაცის თავისუფლებას ახლა ბოლო ეღება. როცა ქუჩაში გამოდის, სახე უნდა დაიფაროს, რომ სურვილი არ აუძრას გარეშე კაცს. აღმოსავლეთში, სადაც სქესობრივი მოთხოვნილება ცხელი ჰავის გამო ძლიერია, ასეთი წესი ქალის განცალკევებისა ახლაც არსებობს და უკიდურესობამდე არის მისული.

ახალი წესების შემოღებაში ათინელები ძველ ხალხებ შორის პირდაპირ სამაგალითოთ უნდა ჩაითვალონ. აქ ცოლი ქმრის სარეცელზე წევს, მარა მასთან ერთათ ვერ დაჯდება სუფრაზე და ვერც სახელს უწოდებს, აუცილებლათ უნდა „ბატონობით“ მოიხსენიოს; ცოლი მისი მოახლეა. ხალხში ვერსად ვერ გამოჩნდება, ქუჩაში სახე უსათუოთ უნდა ჩამოიფაროს და ტანისამოსს სულ უბრალოს იცვამდეს. ღალატისათვის სოლონის კანონით შეიძლება იგი გამოათხოვონ სიცოცხლეს ან თავისუფლებას: ქმარს შეუძლია გაყიდოს იგი, როგორც მონა.

იმ დროინდელი ბერძნის ქალის მდგომარეობა აწერილია ევრიპიდის „მედეია“-ში. მედეია სწუხს:

„ყველა არსთაგან, რასაც კი აქვს სული და აზრი,
ჩვენ სუყველაზე საცოდაური ქმნილებანი ვართ:

ვით საქონელი, მზითვით უნდა ვიყიდოთ საქმრო,
მაგრამ ეს კიდევ არაფერი; ცეცხლი ის არის,
რომ იმ დღიდან თვით საკუთარი ჩვენი სხეულის
ივი გახდება მფლობელი და ბატონ-პატრონი.
მერე ვინ იცის, თუ როგორი იქნება იგი,
კეთილი, წყნარი, თუ ბოროტი, ბრიყვი, თავხედი?
გაყრა ქალისთვის ლაქა არის მოურეცხელი,
და ქმრათ შეძლეულს ვერ უარყოფს, ვინც უნდა იყოს.
და ყველაფერი, რაც ახალი, უჩვეულოა,
მშვიდათ, უსიტყვოთ უნდა ზიდოს — გადაიტანოს,
არვინ არ სჩივა, როგორი აქვს ზნე-ჩვეულება
იმას, ვისაც ის შეუერთდა, შეუკავშირდა!
და თუ ყველა ეს დაბრკოლება ვსძლიეთ სულგრძელათ
და ჩვენთან ერთათ ტკბილათ სცხოვრობს ბატონი — ქმარი,
სანატრელია ჩვენი ყოფა, ჩვენი ცხოვრება
თუ არა, — მაშინ სიკვდილი სჯობს ჩვენს სიცოცხლესა!
მამაკაცს სახლში თუ მოსწყინდა, **გარეთ დასტკბება,**
თავსა გაირთობს მეგობრებთან, ამხანაგებთან,
ჩვენ კი მარადის მხოლოდ შუბლში უნდა ვუცქიროთ!
ვიცი თქვენ იტყვით, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჩინებულათა,
მშვიდათ ოჯახში, თქვენ კი იბრძვით ბრძოლის ველზედა.
**სისულელეა: ბრძოლის ველზე ვირჩევდი დგომას,**
**ვიდრე მეცადა ერთხელ ტანჯვა მშობიარობის“.**

სულ სხვაა მამაკაცის საქმე. თუ დედაკაცს სასტიკათ უკრძალავდენ გარეშე კაცთან კავშირს, რათა მხოლოდ კანონიერი მემკვიდრეები შეეძინა ქმრისათვის, სამაგიეროთ ასეთი შეზღუდვა მამაკაცისათვის სრულიად არ არსებობდა. გაჩნდა **გეტერიზმი**. სილამაზით და ჭკუით განთქმული ქალები, უმეტეს ნაწილათ უცხოელები, ქმართან მონობას მამაკაცებთან თავისუფალ და საიდუმლო კავშირის დაჭერას რჩეობდენ. და ეს სრულიადაც არ ითვლებოდა გასაკიცხ საქციელათ. ასეთ გეტერების სახელმა და დიდებამ, რომელთაც საიდუმლო კავშირი ქონდათ საბერძნეთის გამოჩენილ პირებთან და მათ-

თან ერთათ მონაწილეობას იღებდენ, როგორც სამეცნიერო საუბარში, ისე ქეიფსა და ლხინში, ჩვენ დრომდეც მოაღწიეს, მათ კანონიერ მეუღლეთა სახელები კი, დიდიხანია გაქრენ და დავიწყებას მიეცენ. მშვენიერი ასპაზია საიდუმლო გულის მეგობარი იყო გამოჩენილი პერიკლის, რომელმაც ის შემდეგ ცოლათ შეირთო; გეტერა ფრინას სახელი საზოგადო სახელი შეიქნა იმათი, ვინც ფულზე ყიდის თავის სხეულს. ფრინას საიდუმლო კავშირი ქონდა გიპერიდთან და საბერძნეთის პირველმა მექანდაკემ პროკსიტელმა მოდელათ აირჩია იგი აფროდიტას ქანდაკებისათვის. დანაია ეპიკურის სწყვარელი იყო, არხეანასსა—პლატონის. დანარჩენებში შესანიშნავი არიან ლაისა კორინთელი, გნატანეია და სხვ... არ არის არც ერთი შესანიშნავი პირი ბერძნებში, რომელსაც კავშირი არ ქონოდეს გეტერებთან. ეს მათი ცხოვრების აუცილებელი სამკაული იყო. დიდებული ორატორი დემოსთენი თავის სიტყვაში ნეერის წინააღმდეგ, ასე აღწერს მდიდარ ათინელთა სქესობრივ ცხოვრებას: **„ჩვენ მოგვყავს ცოლი იმისთვის, რომ კანონიერი შვილები შეგვძინოს და ოჯახის ერთგული დიასახლისი იყოს; ჩვენ ვიყენებთ მხევლებს პირად მოსამსახურეებათ, რომ ყოველდღე მოგვიარონ და გვემსახურონ და ვიყვანთ გეტერებს სიყვარულისა და დატკბობისათვის“.** კანონიერი ცოლი მხოლოდ მანქანაა კანონიერი შვილების წარმოშობი, ერთგული ძაღლია, რომელიც ოჯახს დარაჯობს; ოჯახის ბატონი კი სცხოვრობდა თანახმათ თავის bon plaisir-ისა, თავის სურვილისა. რათა შესაძლებელი გამხდარიყო სხეულით მოვაჭრე ქალებით დაკმაყოფილება მამაკაცების და, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ჭაბუკების მოთხოვნილებისა, —გაჩნდა პროსტიტუცია, რომელზედაც **წარმოდგენაც კი არ ქონიათ** დედის უფლების ხანაში. პროსტიტუცია იმით განირჩევა თავისუფალ სქესობრივ კავშირისაგან, რომ ქალი ყიდის თავის **სხეულს ნივთიერი სარგებლობისათვის,** როგორც **ერთ მამაკაცთან,** ისე მთელ რიგ მამაკაცებთან. პროსტიტუციაა ის, როცა დედაკაცს ხელობათ აქვს გადაქცეული თავის

მიმზიდველობით ვაჭრობა. სოლონმა, რომელსაც ეკუთვნის ათინელთა ახალი უფლებების ფორმულებათ ჩამოსხმა და რომელიც ამისათვის ცნობილია, როგორც ახალი უფლებრივი წყობილების დამფუძნებელი, დაარსა ათინაში ქალების საზოგადო სახლები—დეიქტერიონები და ყველა იქ მოსიარულეთათვის თანასწორი გადასახადი დააწესა. ფილომელის სიტყვით, ეს გადასახადი ერთ „ობოლს“ არ აღემატებოდა, ჩვენებურათ დაახლოვებით 15 კაპ. (25 პენინგი). დეიქტერიონი ხელ-შეუხებელი იყო, როგორც ძველ ბერძენთა და რომაელთა ტაძრები ან, როგორც ქრისტიანეთა ეკლესიები საშუალო საუკუნოებში. იგი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. დაახლოვებით 150 წ. ჩვენ წელთ-აღრიცხვამდე, იერუსალიმის ტაძარიც გარყვნილ ქალთა ჩვეულებრივ თავმოსაყარ ადგილათ გადიქცა.

იმ სიკეთისათვის, რომელიც სოლონმა დეიქტერიონის დაარსებით მოუტანა ათინელ ხალხს, ერთი თანამედროვე ასეთ ქება-დიდებას უძღვნის მას:

„დიდება შენ, სოლონ, რამეთუ იყიდე ქუჩის ქალები ქალაქის საკეთილდღეოთ, მისი ზნეობის დასაცველათ, რადგან სავსეა სისხლ-მოჭარბებულ ახალგაზრდებით, რომელნიც შენი ბრძნული დაწესებულება რომ არ ქონდეთ, უმაღლეს წრის ქალებს დაედევნებოდენ და ამით დაარღვევდენ ოჯახის მყუდროებას“.

როგორც ვიცით, პროსტიტუციის[1] და საროსკიპო სახლების საჭიროებას დღესაც ამგვარი საბუთებით იცავენ. ამნაირათ, თვით კანონმა მამაკაცის ბუნებრივ უფლებათ იცნო ისეთი საქციელი, რომელიც ქალისათვის სამარცხვინოთ და მძიმე დანაშაულობათ ითვლებოდა. ცნობილია, რომ ახლაც მრავლათ მოიძებნებიან ისეთი ვაჟბატონები, რომელთაც ლამაზ—გარყვნილ ქალთა საზოგადოებაში ყოფნა ურჩევნიათ თავის კანონიერ ცოლთან ყოფნას და იმავე დროს კი, სახელმწიფოს ბურჯათ, წესიერების დედა-ბოძათ და **ქორწინებისა და ოჯახის დარაჯათ ითვლებიან.**

მართალია, ბერძნის ქალებიც ხშირათ უხდიდენ სამაგიეროს თავიანთ ქმრებს მათი ასეთი დაჩაგვრისთვის. თუ ერთ მხარეზე პროსტიტუცია იყო ერთ-ცოლიანობის დამატება, მეორე მხრით დედაკაცისაგან ქმრის ღალატი იყო ერთ-ქმრიანობის დამატებათ. ბერძენ დრამატურგთა შორის, ევრიპიდს პირველი ადგილი უჭირავს ცოლთ-მოძულეებში, რადგან ის თავის დრამებში სასტიკათ კიცხავს ქალებს. რომ არავითარ ცილის-წამებას არ ერიდება იგი მათი სახელის გასატეხათ, ამას გვიჩვენებს სიტყვა, რომელსაც ერთი ბერძენი ქალი ამბობს ევრიპიდის წინააღმდეგ არისტოფანის კომედიაში—„თესმაფორიის დღესასწაულები“:

„როგორი ჩირქი არ მოგვცხო ჩვენ ევრიპიდემა?
რა არ დაგვწამა ენამ ცილის მწამებელისამ?
იქ, სადაც ხალხი თავსა იყრის, ცეკვავს, თამაშობს,
ვითომ კუთხეში ვიმალებით, კაცებს დავეძებთ...
ღვინიან ჭიქებს ვეტანებით... ვჭორიკანაობთ...
მძიმე ბარგი ვართ მამაკაცის... და ამისათვის,
როდესაც ქმარი თეატრიდან*) შინ დაბრუნდება,
ათვალიერებს ყოველ კუნჭულს, კუროს დაეძებს!
მას აქეთია აგვეკრძალა საბრალო ქალებს,
რის ნებაც გვქონდა ძველთაგანვე მონიჭებული.
მან (ევრიპიდემ) აამხედრა მამაკაცი ჩვენზე იმდენათ რომ,
თუ ცოლი ვარდის გვირგვინსა წნავს, უთუოდ სხვა უყვარს,
და თუ ხელიდან გავარდა რამე, ქმარსა მზათ აქვს კითხვა:
ვიზედა ფიქრობ? შენს კორინთელ მეგობარზედა?“

ადვილი გასაგებია, რომ მჭერმეტყველი ბერძნის ქალი ასე უპასუხებდა მისი სქესის ბრალმდებელს, მარა ისიც სათქმელია, რომ ევრიპიდი ასეთ ბრალდებებს არ წამოაყენებდა მათზე და არც კაცები დაუჯერებდენ, თუ თვითონაც კარგათ არ სცოდნოდათ ასეთი ბრალდებათა სამართლიანობა. საბრალმდებლო სიტყვის დასასრულიდან სჩანს, რომ საბერძნეთშიც

*) ბერძენ ქალებს არ ქონდათ თეატრში სიარულის ნება.

ყოფილა ახირებული ჩვეულება, რომელსაც გერმანიაში და ბევრ სხვა ქვეყნებშიაც ქონდა ადგილი და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მასპინძელი სტუმრის განკარგულებაში სტოვებს თავის საკუთარ ცოლს ან ქალიშვილს მთელ ღამეს. აი რას ამბობს მიურნერი ამ ჩვეულებაზე, რომელიც ჰოლლანდიაში XV საუკუნეშიაც არსებობდა: „ნიდერლანდებში ჩვეულება აქვთ, თუ მასპინძელთან ღამეს ათევს სასურველი სტუმარი, ის სრული ნდობით უწვენს გვერდში თავის ცოლს“ *).

გაძლიერებულმა კლასობრივმა ბრძოლამ ბერძენთა სახელმწიფოებში და მრავალ წვრილ თემთა უმწეო მდგომარეობამ, აიძულეს პლატონი დაწვრილებით გამოეკვლია საკითხი საუკეთესო სახელმწიფო კონსტიტუციისა და წყობილების. თავის „სახელმწიფო“-ში, რომელსაც ის იდეალათ გვიყენებს წინ, პირველი კლასის მოქალაქეთათვის (ყარაულები) ის მოითხოვს ქალთა სრულ უფლებრივ თანასწორობას. ისინი მამაკაცებთან ერთად უნდა იღებდენ მონაწილეობას სამხედრო ვარჯიშობაში და ასრულებდენ ყველა თანამდებობას, მხოლოდ უფრო მსუბუქს, რადგანაც **ქალთა სქესი სუსტია.** ის ამბობს, რომ ორივე სქესი ერთნაირათაა ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებული, მხოლოდ დედაკაცი საერთოთ უფრო სუსტია, ვინემ მამაკაცი. შემდეგ, ქალები უნდა საერთო იყვენ ყველა მამაკაცებისათვის, საერთო უნდა იყვენ შვილებიც, ასე რომ მამას არ ეცოდინება—რომელია მისი შვილი და შვილს მამა.

არისტოტელი უფრო ბურჟუაზიულათ აზროვნობს. მისი „პოლიტიკის“ თანახმათ, დედაკაცს უფლება აქვს თავისუფლათ აირჩიოს ქმარი, მხოლოდ უნდა ემორჩილებოდეს მას, სულ დიდი, მას შეუძლია „კეთილი რჩევა მისცეს ქმარს“. ფუკიდიდი ისეთ შეხედულებას აღიარებს, რომელსაც ყველა თანამედროვე ფილისტერი ხელს მოაწერდა. ის ამბობს, რომ

*) „ნემცური ისტორია კულტურის და ზნე-ჩვეულების“, ი. შერრი. 8-ე გამოცემა, ლეიპციგი 1887 წ. ცნობილია, რომ ზუდერმანი თავის პიესაში—„პატიოსნება“ ამავე საკითხს ეხება.

მხოლოდ ის ცოლია ქება-დიდების ღირსი, რომელზეც მისი ოჯახის გარეთ არ ისმის არც ცუდი, არც კარგი.

ასეთი შეხედულების შემდეგ, ცხადია, დედაკაცის პატივისცემა თანდათან უნდა დაცემულიყო. მცხოვრებთა სიჭარბის შიშმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ქალთან ინტიმურ კავშირის დაჭერასაც კი ერიდებოდენ. გავრცელდა სქესობრივ მოთხოვნილების არა-ბუნებრივათ დაკმაყოფილება. ბერძენთა სახელმწიფოები წარმოადგენდენ პატარა ქალაქებს მცირე სახნავ-სათესი ადგილებით, საიდანაც მხოლოდ მცხოვრებთა განსაზღვრულ რიცხვს შეეძლოთ ჩვეულებრივი საზრდოს მოპოვება. მცხოვრებთა სიჭარბის შიშმა აიძულა არისტოტელი ერჩია მამაკაცებისათვის: შორს მდგარიყვენ თავიანთი ცოლებისაგან და მოთხოვნილება ახალგაზრდა ყმაწვილებთან კავშირით დაეკმაყოფილებიათ. მაზე ადრე სოკრატი აქებდა ყმაწვილებთან საქმის დაჭერას, როგორც უმაღლესი განათლების ნიშანს. ბოლოს და ბოლოს ასეთ არა-ბუნებრივ გულისთქმას აყვენ საბერძნეთის მნიშვნელოვანი პირებიც. დედაკაცისადმი პატივისცემა საშინლათ დაეცა. გაჩნდა სახლები მამაკაც-პროსტიტუტკების და სახლები დედაკაც-პროსტიტუტკების. ასეთ საზოგადოებრივ ატმოსფერაში ფუკიდიდს*) შეეძლო ეთქვა, რომ დედაკაცი უფრო საშინელია, ვინემ აღელვებული ზღვა, ვინემ ცეცხლის ალმური, ვინემ ადიდებული მთის წყლების ღრიანცელი. „თუ არსებობს დედაკაცის გამჩენი ღმერთი, საცა უნდა იყოს ის, იცოდეს, რომ ის ბედკრული არის მიზეზი უდიდესი ბოროტების“.

თუ მამაკაცები ყმაწვილებს იყვარებდენ, ქალებიც თავის მხრივ მეორე უკიდურესობაში ვარდებოდენ: ისინი სიყვარულის ჟინს იკლავდენ თავისივე სქესის ადამიანებთან. განსაკუთრებით კუნძულ ლესბოსზე იყო ფეხ-მოკიდებული ასეთი სიყვარული, ამიტომ ასეთ არა-ბუნებრივ მიდრეკილებას ლესბიური სიყვარული უწოდეს და ეწოდება ახლაც, რადგან ასეთი სიყვარული დღესაც არ გამქრალა და ისევ არსებობს ჩვენ

*) ლ. რიშე: „თავისუფალი დედაკაცი“.

შორის. ამ სიყვარულის მთავარი წარმომადგენელი იყო პოეტი ქალი საფო, ლესბიელი ბულბული, რომელიც დაახლოვებით 600 წლის წინეთ სცხოვრობდა ქრ. შობამდე. მისი ენებათა-ღელვა მთელი თავისი ცეცხლით გამოხატულია აფროდიტას შესხმაში (ოდაში), რომელშიაც იგი ემუდარება მას:

„ყოვლის მფლობელო, ყვავილოვან ტახტზე მჯდომარე,
ქაფში შობილო, ჭკუით სავსე ზეესის ასულო,
შენ გეეედრები, ჰოი, ღმერთავ! ნდომა-სურვილის
მწუხარებაში ნუ, ნუ მომკლავ, ნუ ამომხდი სულს!“

კიდევ უფრო მხურვალე გრძნობათა-ღელვა მოსჩანს მშვენიერ ატისსას შესხმაში.

როდესაც ათინაში და მთელ დანარჩენ საბერძნეთში უკვე მამის უფლება იყო გაბატონებული, ათინელთა მეტოქე—სპარტა ჯერ ისევ დედის უფლების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა, რაც ბერძენთა უმრავლესობისათვის სრულიად უცხო და გაუგებარი იყო. დარჩენილია ასეთი გადმოცემა: ერთხელ ერთმა უცხო ქვეყნის ბერძენმა კითხა სპარტანელს: „რა სასჯელი მოელის სპარტაში ცოლ-ქმრობის მოღალატეს?“ ამაზე სპარტანელმა უპასუხა: „უცხოელო, ჩვენში ცოლ-ქმრობის მოღალატენი არ არსებობენ!“ უცხოელი: „კი, მარა, რომ აღმოჩდეს ასეთი?“ მაშინ სპარტანელმა ხუმრობით მიუგო: „ასეთმა პირმა იმოდენა ხარი უნდა მოიყვანოს, რომელსაც შეეძლება ტაიგეტზე გადასწვდეს კისრით და ევრატის წყალი დალიოს“. როცა უცხოელს გაუკვირდა—ასეთი დიდი ხარი როგორ შეიძლებაო, სპარტანელმა სიცილით უთხრა: „მაშ ის როგორღა შეიძლება, რომ სპარტაში ცოლ-ქმრობის მოღალატე მოიძებნოსო?“

სპარტანელი ქალის თვითშეგნება საესებით გამოიხატება ლეონიდის ცოლის ამპარტავნულ პასუხში ერთ უცხოელ ქალისადმი, როდესაც მან უთხრა: „თქვენ ლაკედემონელი ქალები ერთათ-ერთი ქალები ხართ, რომელნიც ბატონობთ თქვენს ქმრებზე“. „ჩვენ აგრეთვე ერთათ-ერთი ქალები ვართ, რომელნიც ნამდვილ მამაკაცებს ვუზრდით ქვეყანას“—იყო პასუხი.

ქალის თავისუფალი მდგომარეობა დედის უფლების ხანაში, ხელს უწყობდა მის სილამაზეს და აძლევდა მას სიამაყეს, ღირსებას და დამოუკიდებლობას. ყველა ძველი მწერლები ერთხმათ აღიარებენ, რომ გინეკოკრატიის ხანაში ყველა ეს თვისებები უმაღლეს ხარისხამდე იყო მათში განვითარებული. თავისუფლების დაკარგვის შემდეგ, აუცილებლათ უნდა მომხდარიყო ცვლილებები და ეს ამ ორი ეპოქის ტანსაცმელსაც კი ემჩნევა. დორიელი ქალის ტანსაცმელი თავისუფლათ ეშვება მხრებიდან და არ ბოჭავს ადამიანის ხელფეხს, ესაა ტანსაცმელი დიანის, რომელიც ისე თავისუფლათ და ამაყათ სდგას ჩვენს მუზეუმებში. პირიქით, იონიელთა ტანსაცმელი უფარავს მთელ ფიგურას და უშლის მოძრაობას. როგორ და რას იცვამს დედაკაცი, ამას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვეულებრივათ გონიათ. იგი დღემდე მისი დამორჩილების ნიშანს და უმწეობის მიზეზს წარმოადგენს. ქალების დღევანდელი ტანსაცმელი უშლის მას მოძრაობას, უნერგავს სისუსტის გრძნობას, რასაც ბოლოს გავლენა აქვს მის მიხვრა-მოხვრაზე და ხასიათზე. სპარტანელთა ჩვეულებით, ახალგაზრდა ქალები მოწიფულობამდე მთლათ ტიტვლები დადიოდენ, რასაც იქაური ჰაეაც ხელს უწყობდა და, რაც ერთი მწერლის აზრით, შესამჩნევათ ავითარებდა მათში უბრალოებისადმი მიდრეკილებას, გარეგნულ ზრდილობიანობაზე ზრუნვას. იმ დროინდელ შეხედულებით, ეს სულაც არ წარმოადგენდა რაიმე სასირცხვოს და ვნებათა-ღელვის გამომწვევს. ყმაწვილებთან ერთათ გოგოებიც იღებდენ მონაწილეობას სხეულის ვარჯიშობაში. ასე იზრდება ძლიერი, თვით-შეგნებული სქესი, რომელმაც იცოდა თავისი თავის ფასი, როგორც ამას ლეონიდის ცოლის პასუხი ამტკიცებს.

## 4. დედის უფლების ნაშთები სხვა-და-სხვა ხალხის ზნე-ჩვეულებებში

გაუქმებულ დედის უფლებასთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული ის ზნე-ჩვეულებები, რომელთა მნიშვნელობა და აზრი სრულიად ვერ გაუგიათ თანამედროვე მწერლებს და პროსტიტუციის სახელით მოუნათლავთ. ასე, მაგალ. ბაბილონში შემდეგი **სარწმუნოებრივი** მოვალეობა არსებობდა: ყველა მოწიფული ქალი უნდა მისულიყო მილიტას ტაძარში და მამაკაცთან შეერთებით, მსხვერპლათ შეწირა თავისი ქალწულობა. ასეთივე ჩვეულება იყო მემფისას სერაპიუმში, სომხითში ანაიტის ღმერთის პატივსაცემათ, კიპროსზე, ტიროსში და სიდონში ასტრატას ანუ აფროდიტას პატივსაცემათ. ასეთ ჩვეულებაზედვე იყო აშენებული იზიდას ღღესასწაულები ეგვიპტეში. ქალწულობის შეწირვა ღმერთებისათვის მსხვერპლი იყო, რომლითაც ქალს უნდა გამოესყიდა უფლება—განსაკუთრებით ერთი მამაკაცის კუთვნილება ყოფილიყო ქორწინების შემდეგ. „რადგან დედაკაცი იმისთვის კი არ დაუჯილდოვებია ბუნებას ყოველგვარი სილამაზით და სიმშვენიერით, რომელიც კი მის განკარგულებაში იყო, რომ მხოლოდ ერთი მამაკაცის ხელში დასჭკნეს! კანონი კრძალავს ყოველგვარ შეზღუდვას, კანონს სძულს ყოველნაირი ბორკილები და ყოველგვარ განკერძოებას ცოდვათ აღიარებს ღვთაებრივობის წინაშე“ *). და აი აქ ღმერთების კეთილგანწყობილება მომავალში უნდა გამოსყიდულიყო ქალწულობის მსხვერპლათ შეწირვით უცხოელ მამაკაცთან.

ძველ შეხედულებათა თანახმათ, ლიბიელი ქალწულნი მამაკაცთან შეერთებით იძენდენ მზითევს. დედის უფლებით, გათხოვებამდე ყველა ქალი თავისუფალი იყო სქესობრივ დამოკიდებულების მხრივ; მამაკაცები ამაში არავითარ უარყოფით თვისებებს არ ხედავდენ, პირიქით, სწორეთ ისეთს ირჩევდენ ცოლათ, რომელზედაც მეტი მოთხოვნილება იყო. ასევე იყო

*) ბახოფენი: „დედის უფლება“.

ფრაკიელებში გეროდოტის დროს: „ისინი არ ტუქსავენ გასათხოვარ ქალიშვილებს, პირიქით, სრულ თავისუფლებას აძლევენ, ვისთანაც უნდათ, იმასთან იცხოვრონ. გათხოვილებს კი სასტიკ ყურადღებას აქცევენ; მათში დიდი სასყიდელია მიცემული ქალის დედმამისათვის". შესანიშნავი იყვენ გიეროდულები აფროდიტის ტაძარში კორინთაში, სადაც 1000-ზე მეტი ქალიშვილი იყო თავმოყრილი; ეს დიდათ მიმზიდველი ადგილი იყო ბერძენ მამაკაცებისათვის. ეგვიპტელი ფარაონის ქალ ხიობეაზე ლეგენდა გადმოგვცემს, რომ თავის ალერსის გაყიდვისაგან შეძენილი ფულით მან ვეებერთელა პირამიდა ააგო.

ასეთ პირობებს ვხვდებით დღესაც მარიანის, ფილიპინის და პოლინეზიის კუნძულებზე და ვაიცის სიტყვით, ბევრ აფრიკის ტომებშიაც. მეორე ჩვეულება, რომელიც უკანასკნელ დრომდე არსებობდა ბალეარის კუნძულებზე და გამომხატველი იყო ყველა მამაკაცის უფლებისა დედაკაცზე, იმაში მდგომარეობდა, რომ ქორწინების ღამეს პატარძალთან პირველათ მოისვენებდენ ყველა ახლო ნათესავები რიგ-რიგათ წლოვანების მიხედვით და სულ ბოლოს კი, ახლათ ჯვარ-დაწერილი ქმარი. ეს ჩვეულება სხვა ხალხებში რამდენიმეთ შეიცვალა იმ მხრით, რომ ასეთი განსაკუთრებული უფლება პირველი ღამისა ქონდათ მხოლოდ მღვდლებს, ან ტომის უფროსებს (მეფეებს), როგორც მთელი ტომის მამაკაცთა წარმომადგენლებს. მალაბარის კაიმარები ქირაობენ პატამარას (მღვდელს) თავიანთ ცოლების დეფლორაციისათვის... მღვდელთ-მთავარი (ნამბური) მოვალეა ასეთი სამსახური გაუწიოს კარ ოლს (ზამორინს) მისი ქორწინების ღამეს და კაროლი ამაში სასყიდლათ აძლევს 50 ოქროს*). ინდოეთში და წყნარ ოკეანის ზოგიერთ კუნძულებზე ასეთ სამსახურს ასრულებენ მღვდლები, ან ტომის მეთაურები (მეფენი) **). ასევეა სენეგამბიაში, სადაც თემის უფროსის მოვალეობას შეადგენს ქალწულების დეფლორაცია და ამაში ის საჩუქარს იღებს. ზოგიერთ ხალხში შემოღებულია

*) კაუცკი: „ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობა". Kosmos 1883 წ.

**) მანტეგაცცა: „სიყვარული კაცობრიობაში".

ქალწულობის დეფლორაცია სულ რამდენიმე თვის ბავშვისთვისაც, რაიც საგანგებო კერპის საშუალებით ხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ yus primae noctis (პირველი ღამის უფლება), რომელმაც გერმანიაში და მთელ ევროპაში საშუალო საუკუნოების დასასრულამდე მოაღწია, ასეთი ტრადიციებისაგან იყო წარმომდგარი. მემამულე, რომელიც თავისი ყმების მფლობელათ და მბრძანებლათ ითვლება, ტომის მეთაურთა უფლებით სარგებლობს. მარა ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

დედის უფლების არსებობაზე გვითითებს აგრეთვე ის თავისებური ჩვეულება, რომელიც დარჩენილა სამხრეთ-ამერიკელ თემებში და არსებობს ბასკებშიაც, რომელთაც ძველი ზნე-ჩვეულებები შერჩენიათ; ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ მშობიარეს მაგივრათ ქმარი წვება ლოგინში და იგრიხება, წვალობს მშობიარესავით, ცოლი კი უვლის მას. ეს იმას ნიშნავს, რომ ქმარმა თავისათ აღიარა ახლათ-შობილი. ასეთი ჩვეულება დღესაც არსებობს ჩინეთის ზოგიერთ მთიელ ხალხებში და ახლო წარსულში კორსიკაშიაც შეხვდებოდით.

გერმანიის კალონიათა მემუარებში, რომელიც გერმანიის მეფის მთავრობამ წარუდგინა რეიხსტაგს (1894/5 წლ. სესია), არის ერთი მემუარი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის შესახებ, სადაც ვკითხულობთ: „საბჭოს გარეშე, რომელიც მოხუცებულ და შეძლებულ პირთაგან შესდგება, ტომის უფროს არავითარი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია და არა მარტო მამაკაცები, არამედ **ხშირათ დედაკაცებიც** და თვით მოსამსახურენიც აძლევენ თავის რჩევას“. მარშალის კუნძულთა ანგარიშების მე-254 გვერდზე ასეთ ადგილს ვხვდებით: „მარშალის ჯგუფის ყველა კუნძულებზე მართველობა არასოდეს არ ყოფილა ერთი რომელიმე პიროვნების ხელში... **და რადგან ქალთაგან ცოცხალი აღარავინ დარჩა ამ კლასიდან (ირიდის) და რადგან მხოლოდ დედას შეუძლია გადასცეს შვილს კეთილშობილება და ღირსება, ამიტომ მათ მეთაურებთან ერთათ ისპობა ირიდიც**“.

მომხსენებელის გამოთქმები და აღწერის კილო გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ურთიერთობანი სრულიად უცხო და გაუგებარია მისთვის და რომ მას არ შეუძლია მათი აზრის გარკვევა*). აქიმი ჰენრიხ ფონ-ვლის ლოცკი, რომელიც მთელი წლობით ცხოვრობდა ტრანსილვანიის ტომებ შორის და ბოლოს მიღებულ იქნა წევრათ ერთ ტომში**), მოგვითხრობს, რომ ოთხ ბოშათა ტომში, რომელთაც მისი იქ ცხოვრების დროს შერჩენილი ქონდათ ძველი კონსტიტუცია, ორში—ამანში და ჩალეში, დედის შტო იყო გაბატონებული. თუ ეული ბოშა ცოლს თხოულობს, ის ცოლის ნათესავებში ირიცხება და ცოლის სახლში გადადის საცხოვრებლათ. ქონება საერთოთ ცოლის ან ცოლის ნათესავებისაა, ქმარი კი—უცხოა და დედათა შტოს უფლებით, შვილები დედის ნათესა-

*) ასეთივე წესებია კამერუნის კალონიაში და დასავლეთ აფრიკის სხვა ადგილებშიაც. ერთი ხომალდის ნემეცი ექიმი, რომელმაც პირადათ გამოიკვლია ეს ქვეყანა და იქაური ხალხის ზნე-ჩვეულებანი, შემდეგსა გვწერს: „ტომთა დიდ ნაწილში მემკვიდრეობის უფლება დედის ჩამომავლობაზეა დამყარებული, მამას მნიშვნელობა არა აქვს, და-ძმებათ მხოლოდ ერთი დედის შვილები ითვლებიან. ქმრის ქონება გადადის არა მის შვილებზე, არამედ მისი დის შვილებზე, ე. ი. დისწულებზე, როგორც მახლობელ ნათესავებზე. ადგილობრივ მკვიდრთა, სახელთ „ვანს“ ერთმა მეთაურმა, დანტერეულ ინგლისურ ენაზე ასე ამიხსნა ეს: „მე და ჩემი და,—აი ვინა ვართ ღვიძლი ნათესავები, რადგანაც ერთი დედის შვილები ვართ; მაშასადამე, მისი შვილიც ჩემი პირდაპირი მემკვიდრეა და ჩემი სიკვდილის შემდეგ, ჩემ სამეფო ტახტზე იგი ავა“. „მამათქვენი?“—შევეკითხე მე. „მე არ მესმის, რა არის მამაჩემი“—მიპასუხა მან. და როდესაც მეორე კითხვა მივეცი: ყავს თუ არა მას კიდევ შვილები? ის სიცილით გადაბრუნდა და მოიგო, რომ მათში მხოლოდ დედაკაცებს ყავთ შვილები და არა მამაკაცებს“.

„მე თქვენ გარწმუნებთ—განაგრძობს ჩემი კორრესპონდენტი—მეფე ბელლას მემკვიდრეთაც კი კამერუნში მისი დის შვილი ირიცხება და არა მისი შვილი. ეგრეთ წოდებულ ბელლას შვილები, რომელთაგან ზოგიერთებს ნემცების ქალაქებში სწავრთნიან, მხოლოდ მისი ცოლების შვილებათ ითვლებიან, ხოლო ვინაა მამა მათი, დანამდვილებით არავინ იცის; ერთზე კი, მგონი, უფლება მაქვს ჩემათაც გამოვაცხადო“.

რას იტყვიან ნეტავ ამ თანამედროვე ხალხის მდგომარეობაზე ისინი, ვინც უარსა ყოფს დედის უფლების არსებობას წარსულში? ჩვენი კორრესპონდენტი გონიერი ადამიანია და საგანს საფუძვლიანათ იკვლევს; მარა განა ყველა ველურთა შორის მცხოვრები ევროპიელი ასე იქცევა? აქედან მომდინარეობს გადამახინჯებული ცნობები ველურთა „უზნეობასა და გარყვნილებაზე“.

**) სურათები ტრანსილვანიის პილავთა (ბოშები) ცხოვრებიდან. ისტორია, ფსიხოლოგია და პოეზია. პამბურგი, 1890 წ.

ვებში რჩებიან. თანამედროვე გერმანიაშიაც კი არსებობს დედის უფლება. „Westdeutshen Rundschau“-ს 10 ივნისიდან 1892 წ. სწერდენ გალტერნის თემიდან (ვესტფალია), რომ იქ ბიურგერის ქონების მემკვიდრეობა, ძველი საგვარეულო დედათა უფლების მიხედვით ნაწილდება. **შვილები დედისგან იღებენ მემკვიდრეობას**, ამ ძველებური ჩვეულების გადასაგდებათ ყოველმა ცდამ ამაოთ ჩაიარა...

დედაკაცი საბერძნეთშიაც ყიდვა-გაყიდვის საგანი იყო. როგორც კი თავის ქმრისა და ბატონის სახლის დირეს გასცილდებოდა, ის აღარ არსებობდა თავისი ოჯახისათვის. ამის ნიშნათ სახლის კარების წინ დასწვავდენ მშვენივრათ მორთულ ურემს, რომლითაც ის მოიყვანეს ქმრის ოჯახში.

ციმბირში ოსტიაკი ახლაც ყიდის საკუთარ ქალიშვილს. საქმროს გამოგზავნილ პირებს ის ევაჭრება ფასში. აფრიკის ზოგიერთ ტომებში დღესაც არსებობს ჩვეულება, რომელიც არსებობდა ებრაელებში იაკობის დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მამაკაცი, რომელსაც უნდა ქალი შეირთოს, მოვალეა ცოლის სასყიდელში ემსახუროს თავის მომავალ სიდედრს. ცნობილია, რომ ჩვენშიაც არა თუ არ გამქრალა ვაჭრული ქორწინება, ის არას დროს არ ყოფილა ისე განვითარებული, როგორც დღევანდელ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ფულიანი ქორწინება, რომელიც საერთოთ მიღებულია თანამედროვე მდიდართა კლასებში, იგივე ყიდვაა ქორწინების. საჩუქარი, რომელსაც დღევანდელი ჩვეულებით საქმრო აძლევს საცოლოს, ნიშანია, სიმბოლოა იმისი, რომ ქმარი ხდება მისი მესაკუთრე.

ქალის ყიდვასთან ერთათ არსებობდა მოტაცებით შერთვა. ქალის მოტაცება არსებობდა არა მარტო ძველ ებრაელებში, არამედ თითქმის ყველა ძველ ხალხებში. ამის უშესანიშნავესი ისტორიული მაგალითია—რომაელების მიერ საბინელი ქალების მოტაცება. მოტაცება ყველაზე „იოლი საშუალება იყო ქალების მოპოვების, სადაც მათი სიმცირე იყო, ან სადაც, როგორც მაგალ. აღმოსავლეთში, მრავალ-ცოლიანობა

იყო გავრცელებული. აღმოსავლეთში, განსაკუთრებით არაბთა მფლობელობის დროს, VII—XII საუკუნეებში, ყველგან მოდებული იყო ქალების მოტაცება.

ქალების მოტაცება სიმბოლიურათ ახლაც არსებობს, მაგალ. სამხრეთ ჩილის არაუკანელებში. სანამ საქმროს მეგობრები ევაჭრებიან საცოლეს მამას, საქმრო ეპარება სახლს და სცდილობს როგორმე ხელი სტაცოს საცოლოს. იგდებს თუ არა ხელში, მოაჯდება იქვე გამზადებულ ცხენს და მოკურცხლავს მახლობელ ტყისაკენ თავ-შესაფარებლათ. ქალები, კაცები და ბავშვები ასტეხენ საშინელ წივილ-კივილს და სცდილობენ წინ გადაეღობონ ქალის მომტაცებელს. მარა, თუ საქმრომ ტყეში თავის შეფარება მოასწრო, ქორწინების საკითხი უკვე გათავებულათ ითვლება, თუნდაც მოტაცება დედამამის სურვილის წინააღმდეგ იყოს ჩადენილი. ასეთივე ჩვეულება აქვთ ავსტრალიის ტომებსაც.

ჩვენებური საქორწინო მაყრიონიც ძალიან წააგავს ქალის მოტაცებას; ქალი მიყავთ, იტაცებენ დედ-მამის ოჯახიდან. მეორე მხრით, ბეჭდების გაცვლა ნიშნავს დედაკაცის მორჩილებას და ქმარზე მიჯაჭვას. ეს ჩვეულება პირველათ რომში გაჩნდა. ქალი იმის ნიშნათ, რომ იგი ამიერიდან მიჯაჭვული ხდებოდა ქმარზე, რკინის ბეჭედს იღებდა მისგან. შემდეგ შემოიღეს ოქროს ბეჭდების ხმარება და ბეჭდების გაცვლა-გამოცვლა ნიშნათ იმისა, რომ ორივე მხარე უკავშირდება ურთიერთს.

მრავალ-ცოლიანობას, რომელსაც წარსულში ვხედავთ და რომელიც ახლაც არსებობს აღმოსავლეთის ხალხებში, მარა ფაქტიურათ მხოლოდ მდიდართა და წარჩინებულთა პრივილეგიას შეადგენს, იმის და მიხედვით, თუ რამდენი ქალის შოვნა და მათი სარჩენი საზრდოს მოპოვება შეუძლიათ,—ამ მრავალ-ცოლიანობას უპირდაპირდება მრავალ-ქმრიანობა. მრავალ-ქმრიანობა უმთავრესათ გავრცელებულია ტიბეტის მთიულ ხალხებში, ინდო-ჩინეთის საზღვრებზე მცხოვრებ გაროსებში, გოდვანის ბაიგასებში, ინდოეთის სამხრეთ საზღვრებზე მცხოვ-

რებ ნაირებში; გავრცელებულია აგრეთვე, როგორც სჩანს, ალეუტებსა და ესკიმოსებშიაც. თავის-თავათ ცხადია, შთამომავლობა დედის მხრით ითვლება და შვილებიც მას ეკუთვნიან. ქალის ქმრები ჩვეულებრივ ძმები არიან, როცა უფროსი ძმა შეირთავს ქალს, დანარჩენი ძმებიც ამ ქალის ქმრებათ ითვლებიან, მარა ქალსაც აქვს უფლება იყოლიოს სხვა ქმრები და თავის მხრივ ქმარსაც შეუძლია რამდენიმე ცოლი მოიყვანოს. რა პირობებმა წარმოშვა მრავალ-ქმრიანობა, ჯერ გამორკვეული არ არის, მარა, რადგან ასეთი ხალხი მთა-გორიან და ცივ ადგილებში სცხოვრობს, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალ-ქმრიანობის წარმოშობაში დიდ როლს თამაშობს ის მოვლენა, რომელსაც ტარნოვსკი*) გვაუწყებს. სარწმუნო მოგზაურებმა გადასცეს ტარნოვსკის, რომ მაღალ ადგილებში დიდიხნით ცხოვრება აყუჩებს სქესობრივ მოთხოვნილებას, რომელიც ბარში დაბრუნების შემდეგ, ისევ იჩენს თავს წინანდელი ძლიერებით. სქესობრივი მოთხოვნილების ასეთი დაჩლუნგება უნდა იყოს, ტარნოვსკის აზრით, იმის მიზეზი, რომ მთა-გორიან ადგილებში ასე ნელა მრავლდება მცხოვრებთა რიცხვი და მემკვიდრეობით გადაცემული ეს თვისება, შეიძლება ერთ-ერთი მომენტი გახდეს გადაგვარებისა, რაიცა ამ შემთხვევაში სქესობრივი გრძნობის დამახინჯებაში გამოიხატება.

ხანგრძლივი ცხოვრება ძლიერ მაღალ მთებზე და ცივ ქვეყნებში მთავარი მიზეზია იმის, რომ მრავალ-ქმრიანობა ზედმეტ მოთხოვნილებებს არ უყენებს ქალს. ცივი ადგილების ასეთი გავლენა თვით დედაკაცის ბუნებასაც ემჩნევა: მაგალ. ესკიმოსის ქალს მე-19 წელს მოსდის რიგი, ცხელ ქვეყნებში მე-9 ან მე-10 წლისას. ზომიერი ჰავის ქვეყნებში კი 14—16 წლისას.

თუ ცხელ ქვეყნებში ძლიერ ვითარდება სქესობრივი მოთხოვნილება, რის გამო იქ მრავალ-ცოლიანობაა გავრცელე-

*) ტარნოვსკი: „ავთმყოფური მოვლენები სქესობრივ დამოკიდებულებაში“, ბერლინი, 1886 წ.

ბული, სამაგიეროთ ციი და მთა-გორიანი ადგილები შესამჩ-ნევათ უნდა ასუსტებდენ სქესობრივ მოთხოვნილებას. ცნობი-ლია, რომ ორსულობა იშვიათია იქ, სადაც ქალი რამდენსამე კაცთან იჭერს საქმეს. ამიტომ მრავალ-ქმრიანობა ასუსტებს მცხოვრებთა გამრავლებას და ეს სავსებით შეესაბამება ასეთ ქვეყნებში არსებულ გამოსაკვებ საშუალებათა სიმცირეს. აქე-დან მტკიცდება, რომ ამ ჩვენთვის უცხო სქესობრივ დამოკი-დებულებას, როგორსაც წარმოადგენს პოლიანდრია (მრავალ-ქმრიანობა), აშკარათ ემჩნევა საწარმოო წესების გავლენა. სა-ჭირო იყო აგრეთვე გვცოდნოდა, მიღებულია თუ არა ჩვეუ-ლებათ ამ ხალხში მდედრობით სქესის ახლათ დაბადებულ ბავშვების დახოცვა, როგორც ამას ვხედებით მონგოლთა ტო-მებში ჩინეთის მაღლობებში და სხვ.

## 5. სახელმწიფო წყობილების წარმოშობა. გვარის გაუქმება რომში.

დედის უფლებაზე აგებული საგვარეულოები გაქრენ და მათი ადგილი ახლათ გაბატონებულმა მამის უფლებამ დაიჭი-რა. ამასთანავე საგვარეულოს ფუნქციები საგრძნობლათ შე-სუსტდა. მისი უმთავრესი დანიშნულება იყო საზოგადო სარ-წმუნოებრივ დაწესებულებებზე და მიცვალებულის დასაფლა-ვებაზე ზრუნვა, ერთმანეთის დაცვა-დახმარება სავალდებულოთ გახდა... შემუშავდა უფლება და, ზოგიერთ შემთხვევებში მო-ვალეობა, დაქორწინების შემდეგ საგვარეულოს წევრათ გახ-დომის, განსაკუთრებით ეს შეეხებოდა მდიდარ მემკვიდრე ქა-ლებსა და ობლებს.

კერძო საკუთრებისა და მასთან დაკავშირებულ მემკვიდ-რეობის უფლებასთან ერთათ, წარმოიშვა კლასობრივი წინა-აღმდეგობანი. დროთა განმავლობაში შეძლებულნი შეერთდენ ღარიბების წინააღმდეგ. ისინი სცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ თემის მართვა-გამგეობა და სამემკვიდრეო თანამდებობათ გაე-ხადათ ის. ფულის წარმოებამ, რომელიც აუცილებელი შეიქ-

ნა, წარმოშვა მანამდე უცნობი მოვლენა—დავალიანება. გარეშე მტერთან ბრძოლამ, შინ ინტერესთა წინააღმდეგობამ, სხვადა-სხვა დარგების: მიწათ-მოქმედების, ხელოსნობის და ვაჭრობის მრავალფეროვანმა ურთიერთობამ მოითხოვა რთული უფლებრივი წესების შემუშავება. ამასთან ერთათ საჭირო შეიქნა ისეთი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრივ მანქანის წესიერ ბრუნვა-მოძრაობას და საბოლოო გადაწყვეტილებას გამოიტანდა სადაო კითხვებზე. ამასვე ითხოვდა ბატონთა და მონათა, მევახშეთა და მოვალეთა გამწვავებული ურთიერთობა. ამნაირათ, აუცილებლათ საჭირო შეიქნა მართებლობა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ამ გართულებულ ცხოვრებას და მრავალგვარ ურთიერთობას ხელმძღვანელობას გაუწევდა, მას წესრიგში მოიყვანდა, შეარიგებდა, შიგ ჩაერეოდა და ზოგს დაიფარავდა, ზოგს კი დასჯიდა. **აღორძინდა სახელმწიფო, როგორც აუცილებელი შედეგი ინტერესთა წინააღმდეგობის, რომელმაც ახალ საზოგადოებრივ წყობილებაში იჩინა თავი.** მისი ხელმძღვანელობა, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ჩაუვარდა ხელში, ვინც ყველაზე მეტათ იყო დაინტერესებული მის დაფუძნებაში და ვისაც თავიანთი სოციალური ძლიერების წყალობით, ყველაზე მეტი გავლენა ქონდა მოპოვებული, ე. ი. მდიდრებს. მესაკუთრე არისტოკრატია და დემოკრატია პირისპირ ეწინააღმდეგებოდენ ერთმანეთს იქაც კი, სადაც სრული პოლიტიკური თანასწორობა იყო გამეფებული.

დედის უფლების დროს წერილობითი კანონი არ ყოფილა. დამოკიდებულებანი სულ სადა, მარტივი იყო და ჩვეულება წმინდათ ინახებოდა. ახალ, უფრო რთულ წყობილებისათვის კი, წერილობითი კანონი ერთ უმთავრეს მოთხოვნილებათ გადაიქცა; მალე საჭირო შეიქნა განსაკუთრებული ორგანოები კანონმდებლობის წასამართავათ. უფლებრივი დამოკიდებულებანი თანდათან გართულდენ; აღორძინდა ცალკე კლასი, რომელმაც მიზნათ დაისახა უფლებრივი წესების შესწავლა და ბოლოს და ბოლოს, ესენი თვითონაც დაინტერე-

სებული შეიქნენ ამ წესების უარესათ გართულებაში. გამოჩნდენ მსწავლულნი, უფლების მცოდნენი, იურისტები, რომელნიც უფლების საზოგადო, საყოველთაო მნიშვნელობის გამო, დიდათ გავლენიან წოდებათ გადაიქცენ. ახალმა მოქალაქობრივ-უფლებრივმა წყობილებამ თავის კლასიური გამოხატულება იპოვა რომის სახელმწიფოში; აქედანაა, რომ რომის უფლებას დღესაც დიდი გავლენა აქვს ევროპაში.

ამნაირათ, სახელმწიფო წესწყობილება აუცილებელი შედეგია ისეთი საზოგადოების, სადაც შრომის დანაწილება საკმაოთ მაღალ საფეხურზეა ასული და, სადაც უკვე ვხვდებით შრომის მრავალგვარ დარგებს, რომელთაც სულ სხვა-და-სხვა, ხშირათ ერთი მეორის წინააღმდეგი და მტრული ინტერესები აქვთ. აქედან გამომდინარეობს აუცილებლობა უფრო სუსტთა დაჩაგვრის. ეს შეიგნეს ნაბოტიელებმაც—არაბთა ტომმა, რომელთაც, დიოდორის სიტყვით, ბრძანება გამოსცეს: არ სთესოთ, არ გააშენოთ ხეხილი, არ სვათ ღვინო და არ ააგოთ სახლები, იცხოვრეთ კარვებში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლეს ძალას (სახელმწიფო მმართველობა) ადვილათ შეუძლია თქვენი ძალადობით დამორჩილებაო... ასეთივე წესები ქონდათ რახებიტებს*), მოსე წინასწარმეტყველის სიმამრის შთამომავლებს. მოსეს კანონმდებლობას სახეში ქონდა, რომ **ებრაელები მიწათ-მომქმედ საზოგადოებათ დარჩენილიყვენ, რადგან კანონმდებლები შიშობდენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაკარგავდენ თავის დემოკრატიულ-კომუნისტურ, თემურ წყობილებას.** ამიტომაც „აღთქმულ ქვეყნათ“ ამოირჩიეს ისეთი მხარე, რომელიც ერთი მხრით მიუვალი მთა-გორიანი ადგილებით—ლიბანიით იყო შემოზღუდული, მეორე მხრით კი—სახელდობრ აღმოსავლეთით და სამხრეთით მცირე მოსავლიანი ადგილებით და უდაბნოებით, რის გამო ებრაელები განკერძოვებული იქნებოდენ დანარჩენ მცხოვრებლებისაგან. ამავე მიზეზით ცდილობდენ

*) Mosaisches Recht, von Joh. David Michaelis Reutlingen 1793 წ., I ტომი, 2-ე გამოცემა.

ებრაელები ზღვიდან მოშორებით დაესახლებინათ, ამით უნდა აეშორებინათ ისინი ვაჭრობის განვითარებას, კოლონიზაციას და სიმდიდრის დაგროვებას. ამავე მიზეზით აიხსნება ის სასტიკი კანონები, რომელნიც უკრძალავდენ მათ უცხოელებთან რაიმე დამოკიდებულების დაჭერას, უცხოელ ქალის შერთვას; ამითვე აიხსნება კანონები ღარიბთა შესახებ, აგრარული კანონები, საიუბილეო წელიწადი, როდესაც ეპატიებოდათ ცოდვები, ერთი სიტყვით—ყველა დაწესებულებანი, რომელთაც მიზნათ ქონდათ ხელი შეეშალათ ერთის ხელში დიდი სიმდიდრის დაგროვებისათვის. ყველა ამის მთავარი აზრი ის იყო, რომ წინ გადაღობებოდენ ებრაელებში **სახელმწიფოებრივი წყობილების დაფუძნებას.**

ამიტომ ებრაელთა ტომები მანამდე შერჩენ თავის ორგანიზაციას, რომელიც საგვარეულო წყობილებაზე იყო დამყარებული, სანამ სრულიად არ დაირღვენ, არ დაიშალენ; ახლაც კი შეხვდებით მის გავლენას მათში.

რომის დაარსებაში მონაწილე ლათინთა ტომებს, როგორც სჩანს, დედათ-მთავრული ეპოქა უკვე გავლილი ქონდათ. თავის ტომში ქალთა სიმცირის გამო ისინი გარედან, საბინელებიდან იტაცებენ ქალებს და მათგან მიიღეს თავისი სახელწოდება—კვირიტები. ამის შემდეგაც რომის მოქალაქეებს სახალხო კრებებზე სულ დიდხანს ეძახოდენ კვირიტებს. Populus romanus ნიშნავდა რომის მცხოვრებლებს ყველას, საერთოთ, წოდება—Populus romanus quiritium კი—აღნიშნავდა რომის მოქალაქეთა წარმოშობას და ღირსებას. რომაელთა საგვარეულოში მამის უფლება იყო გაბატონებული. შვილები იღებდენ მემკვიდრეობას მამისაგან, როგორც მისი სისხლის მემკვიდრენი; ვისაც შვილები არ ყავდა, მისი ქონება მამაკაცის შტოზე გადადიოდა და თუ ასეთიც არ იყო არავინ, მაშინ მთელი ქონება ტომის საკუთრებათ ჩაირიცხებოდა. ქალიშვილი, რაკი გათხოვდებოდა, ამით კარგავდა მემკვიდრეობაში მონაწილეობის უფლებას. ტომებათ და ფრატრიებათ (ძმობა) დანაწილება მთელი საუკუნეების განმავლობაში ედო

საფუძვლათ რომის სამხედრო ორგანიზაციას და მოქალაქობრივი უფლებებით სარგებლობას. მხოლოდ ტომთა პატრიარქალურ ორგანიზაციის დაშლამ და მათი მნიშვნელობის დაკარგვამ შექმნა რამდენიმეთ უკეთესი პირობები რომაელ დედაკაცისათვის; შემდეგ ხანებში ისინი არამც თუ იღებდენ მემკვიდრეობას მამისაგან, არამედ უფლებაც ქონდათ სურვილისამებრ მოეხმარათ ის და ამით ბევრათ უმჯობეს პირობებში იყვენ, ვინემ მათი ბერძენი—ლები. თავისუფალი მდგომარეობა, რომელსაც მათ თანდათანობით მიაღწიეს, საბაბს აძლევს კატონს (დაიბადა 234 წ. ქრ. წინეთ) საყვედურით წარმოსთქვას: „ყოველი ოჯახის პატრონი რომ შესაფერ მორჩილებაში იყოლიებდეს თავის ცოლს, როგორც ეს იყო მათი წინაპრების დროს, მაშინ ამდენი გასაჭირი და დავიდარაბა არ დაატყდებოდა ჩვენ საზოგადოებას დედათა სქესისაგან“ *). და როცა 195 წელს ქრისტეს შობამდე ზოგიერთმა სახალხო ტრიბუნებმა წინადადება შეიტანეს, გაუქმებულიყო წინეთ გამოცემული კანონები ქალთა ფუფუნების წინააღმდეგ, ის ცა და მიწას ანგრევს: „რომ თვითეული ჩვენგანი წინდახედული იყოს და მტკიცეთ იცავდეს თავის უფლებებს და თავის ხმას თავიანთ ცოლების შესახებ, მაშინ ამდენი დავიდარაბაც არ დაგვჭირდებოდა ქალებთან საზოგადოთ. ახლა კი ჩვენი თავისუფლება შეზღუდულია თვით ჩვენსავე ოჯახში, საშინლათ იმსხვრევა, ითელება ფეხქვეშ ფორუმზე დედაკაცთა თავგასულობის წყალობით. და თვითეულ მათგანთან ცალკე ბრძოლაში დამარცხებულთ, საერთოთ ყველასთან ბრძოლაც ველარ გაგვიბედნია... ჩვენ წინაპართ სურდათ, რომ ქალებს არ გაეგებედნა რაიმე, თუნდა კერძო საქმის გაკეთებაც კი მზრუნველის (აპეკუნის) დაუკითხავათ, რომ მათ მუდამ ხელმძღვანელათ ყოლოდა მამა, ძმა, ქმარი; ჩვენ კი იმასაც ვითმენთ, რომ მათ ლამის რესპუბლიკა დაიპყრან და სახალხო კრების საქმეებშიაც კი ერევიან... მოუშვით სადავე ამ ბატონობის მოყვარე ბუნების პატრონთ, ამ თავხედ არსებათ—და მერე თა-

*) Karl Heinzen. Ueber die Rechte und Stellung der Frauen.

ვი დაიიმედეთ, რომ ისინი თვითონვე მოუღებენ ბოლოს თავიანთ თვითნებობას. და ეს ყველაზე მცირეა იმაში, რაც მათ თავისდა უნებურათ გამოაქვთ იმ კანონებისა და ჩვეულებათაგან, რომელთა ასრულებაც მათ ევალება. თავისუფლება უნდათ? არა, სიმართლე რომ ვთქვათ, მათ უნდათ თავ-აშვებულება... და, თუ ჩვენი თანასწორნი გახდენ, მალე გაგვისწრებენ კიდეც წინ".

იმ დროს, რომელზედაც კატონი ლაპარაკობს, მამის სიცოცხლეში მამა იყო მზრუნველი თავისი ქალის, თუნდაც ეს უკანასკნელი გათხოვილი ყოფილიყო, ან სხვას უნიშნავდა მზრუნველათ. მისი სიკვდილის შემდეგ კი, მზრუნველობა გადადიოდა მახლობელ ნათესავ კაცზე. მზრუნველს ყოველთვის ქონდა უფლება, მესამე პირისთვის გადაეცა თავის მოვალეობა. რომაელ დედაკაცს, როგორც ვხედავთ, კანონის წინაშე თავისი ნება არ ქონია.

დაქორწინების ფორმა სხვადასხვანაირი იყო და საუკუნეთა განმავლობაში ბევრი ცვლილებები განიცადა. ყველაზე დიდებულ ქორწინებათ ითვლებოდა ის, რომელსაც მღვდელთმთავარი და ათი მოწმე ესწრებოდა და მეფე-დედოფალი კავშირის ნიშნათ ფქვილისა, მარილისა და წყლისაგან შემზადებულ ხაჭაპურს შესჭამდენ ერთათ. როგორც ხედავთ, ამ ცერემონიას დიდი მზგავსება აქვს ქრისტიანების მიერ საიდუმლო ზიარების მიღებასთან. დაქორწინების მეორე ფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ ძალმომრეობაზე იყო დამყარებული; საქმრო ძალით იტაცებდა საცოლოს და ქორწინება კანონიერათ ითვლებოდა, თუ ქალი, მამის ან მზრუნველის ნებართვით, ერთი წლის განმავლობაში იცხოვრებდა თავის ამორჩეულთან ერთ ჭერ-ქვეშ. მესამე ფორმა ქორწინებისა იმაში მდგომარეობდა, რომ საქმრო და საცოლო ერთმანეთს ფულს აძლევდენ და ცოლ-ქმრობის აღთქმასა სდებდენ. ციცერონის (დაიბადა 106 წ. ქრ. შობამდე) დროს უკვე ყველგან არსებობდა ცოლქმართა გაყრის თავისუფლება და ისიც კი სადაოთ იყო გამხდარი—საჭირო იყო ამის საჯაროთ გამოცხადება თუ არა.

მხოლოდ Lex Julia de adulteriis (კანონი იულიონისა გათიშვის შესახებ), ითხოვდა გათიშვის დიდის ზეიმით გამოცხადებას, რადგან ხშირათ ქმრის მოღალატეობის გამო პასუხის-გებაში მიცემული ცოლები, თავს იმით მართლულობდენ, რომ გათიშული ვართო. იუსტინიანმა (ქრისტიანი იყო, 527—565 წ.წ. სცხოვრობდა ქრ. შემდეგ) აკრძალა ცოლ-ქმრობის გათიშვა და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუშვა ის, თუ ორივე ცოლ-ქმარი დათანხმდებოდა მონასტერში წასვლას. მარა მისი მოადგილე იუსტინიან II იძულებული გახდა ეს აკრძალვა მოესპო.

სიმდიდრისა და მისი ძლიერების ზრდასთან ერთათ, სასტიკ ზნეობრივ სიფაქიზის მაგიერ საშინელმა გარყვნილებამ, ბიწიერებამ და გახრწნილებამ მოიდგა ფეხი რომში. რომი გახდა ცენტრათ, საიდანაც მოედვა მთელ განათლებულ ქვეყანას გარყვნილება და ვნებათა ათასგვარი სახით დაკმაყოფილება. გარყვნილებამ, რასაც იმპერიის ხანაში თვით იმპერატორები მფარველობდენ, პირდაპირ გასაშტერებელი სახე მიიღო. მამაკაცი და დედაკაცი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ბიწიერებაში. დედაკაცთა საროსკიპო სახლების რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს და მასთან ერთათ ფეხს იკიდებს და თანდათან ვრცელდება ბერძნული სიყვარული (ყმაწვილების გახრწნა). რომში ერთ დროს ახალგაზრდა ჰაბუკთა რიცხვი, რომელნიც თავის თავს ყიდდენ, ბევრათ აღემატებოდა როსკიპ-დედაკაცების რიცხვს*).

მდიდრულათ მორთული გეტერები, თაყვანის-მცემლებით გარშემორტყმულნი, დიდი ამბით დაბრძანდებოდენ ქუჩებში სასეირნოთ, ცირკში და თეატრში; ხშირათ მონა-ზანეებს დაყავდათ იგინი ტახტრევანით, რომელზედაც სარკით ხელში, თვალ-მარგალიტით და ძვირფასი ქვებით შემკული, თითქმის

*) ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ, 1. 26—27: „ამისთვის მისცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა; რამეთუ დედათა მათთა გარდასცვალეს ბუნებისა იგი წესი არა ბუნებათ. ეგრეცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათა, განხურდეს გულის-თქმითა მათითა ურთიერთარს, მამანი მამათა თანა სარცხვინელსა იქმოდეს“.

სრულიად ტიტველნი იყვენ წამოწოლილი. მათ თან მისდევ-დენ მონები მარაოთი ხელში და მთელი ბრბო ბავშვების, საჭურისებისა და დამკვრელებისა; სულ ბოლოს ფანტასტიურათ გამოწყობილი ქონდრის კაცები მისდევდენ ამ ცერემონიას.

გარყვნილება ისე მოედო მთელ იმპერიას და ისეთი სახე მიიღო, რომ სახელმწიფოს არსებობა საფრთხეში ჩააგდო. მა-მაკაცის მაგალითს ბაძავდა დედაკაციც. სენეკა (სცხოვ. 2—65 წლებში ქრ. შემდეგ) ამბობს, რომ იყვენ ისეთი დედაკაცები, რომელნიც წელთ-აღრიცხვას თავის საყვარელთა რაოდენობით ითვლიდენ და არა კონსულთა რაოდენობით, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო მიღებული. ქმრის ღალატი საზოგადო მოვ-ლენათ გადაიქცა და, რომ სასჯელი აეცილებინათ თავიდან, თვით წარჩინებული ქალებიც კი როსკიპებათ ეწერებოდენ ედილთა სიაში.

ამ გახრწნილებასთან ერთათ მუდმივმა მოქალაქობრივმა ომებმა და ლატიფუნდიათა სისტემამ იმდენათ გააძლიერა უცო-ლობა და უშვილობა, რომ რომის მოქალაქეების და პატრი-ციების რიცხვმა საგრძნობლათ იკლო. ამიტომ 16 წ. ქრისტეს შობამდე, ავგუსტმა გამოსცა ეგრეთ წოდებული იულიუსის*) კანონი, რომლის ძალითაც შვილის ყოლისათვის ჯილდოს აძლევდენ, რომის იმ მოქალაქეთა და პატრიციებს კი, რო-მელნიც ცოლის შერთვაზე უარს ამბობდენ, სასჯელი მოელო-დათ. ვისაც შვილები ყავდა, ერთი ხარისხით მაღლა აყენებ-დენ უშვილოსა ან უცოლოზე. ამ უკანასკნელთ მხოლოდ ახლო ნათესავებისაგან შეეძლოთ მემკვიდრეობის მიღება. უშვი-ლონი მემკვიდრეობის ნახევარს იღებდენ, ნახევარი კი სახელ-მწიფოს სასარგებლოთ მიდიოდა. ქმრის მოღალატეობაში და-ჭერილი ცოლი, ვალდებული იყო მზითევის ნახევარი ქმრი-სათვის მიეცა. ამ წესების გამო, ბევრი ირთავდა ცოლს იმ იმედით, რომ მალე ღალატში დავიჭერ და მისი მზითევი დამრ-ჩებაო. ამან გამოიწვია პლუტარხის შენიშვნა: რომაელები

*) ავგუსტი კეისრის ნაშვილევია, შვილათ აყვანის გამო იგიც იულიონთა შტოს ეკუთვნის, აქედან წარმოსდგა სახელწოდება: „იულიუსის კანონი“.

ცოლს თხოულობენ იმისთვის კი არა, რომ მემკვიდრე გაუჩნ-
დესთ, არამედ იმისთვის, რომ მემკვიდრეობა (ცოლის ქონება)
დაირჩინონ.

იულიუსის კანონი შემდეგში კიდევ უფრო გააძლიერეს.
ტიბერიუსმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ქალს ნება
არ ქონდა ევაჭრა თავისი სხეულით, თუ მისი ბაბუა, მამა ან
ქმარი რომის მხედართა წოდების არ იქნებოდა. ქმრიან ქალს,
რომელიც როსკიპთა სიაში შეიტანდა თავის თავს, აძევებდენ
იტალიის საზღვრებიდან. მამაკაცის შესახებ, რასაკვირველია,
ასეთი კანონები არ არსებობდა. იუვენალის (პირველი საუკუ-
ნის ნახევარში სცხოვრობდა ქრ. შემდეგ) სიტყვით, რომში
ქმრის მოწამლვა მის დროს, ყოველდღიურ მოვლენათ იყო
გადაქცეული.

## თავი III.

## ქრისტიანობა.

ებრაელები უფრო სხვანაირათ იქცეოდენ, ვინემ იმპერიის
დროინდელი რომაელები, რომლებშიაც ჩვეულებრივ მოვლე-
ნათ გადაიქცა უცოლობა და უშვილობა. თუმცა ებრაელ ქალს
არ შეეძლო თავის სურვილით ქმრის ამორჩევა, რადგან საქმ-
როს მამა უნიშნავდა, მარა გათხოვებას მისთვის რაღაც სა-
ვალდებულო ხასიათი ქონდა და იგი სისწორით უნდა შეეს-
რულებია. თალმუდი ურჩევს: „როდესაც შენი ქალი ჰასაკში
მოვიდეს, მიანიჭე ერთ-ერთ შენს მონას თავისუფლება და მი-
ათხოვე მას ქალი“. ასეთივე ერთგულებით ასრულებენ ებრა-
ელები ღვთის მცნებას: „აღორძინდით და გამრავლდით“. ამ
მცნების მიხედვით, ებრაელები, თითქოს თავის შემავიწრო-
ებელთა და მჩაგვრელთა გამოსაჯავრებლათ, გასაოცარი სის-
წრაფით მრავლდებიან; ისინი მალტუსიანობის დაუძინებელი
მტრები არიან.

ტაციტი ამბობს მათზე: „ისინი მტკიცეთ იცავენ ერთმა-
ნეთს, თავის ნებით უხვათ ეხმარებიან გაჭირვებულთ და მტრო-

ბით და მძულვარებით უყურებენ გარეშეებს. ისინი არც პურს სჭამენ მტრებთან ერთათ და არც დაიძინებენ მათთან. თუმცა ძლიერ ვნებათა-ღელვას განიცდიან, მარა უცხო ქალთან კავშირს მაინც თავს არიდებენ... ისინი მაინც ცდილობენ თავიანთი ხალხის გამრავლებას და დაბადებულის მოკვლა მიუტევებელ ცოდვათ მიაჩნიათ; ომში მოკლულთა და დასჯილთა სულს კი უკვდავათ სთვლიან. აქედან წარმოსდგა მათი სიყვარული გამრავლებისადმი და ზიზღი სიკვდილისადმი". ტაციტს ძლიერ სძულდა და ეზიზღებოდა ებრაელები, რადგან იგინი წინააღმდეგ წინაპართა სარწმუნოებისა, დიდძალ ქონებას და სიმდიდრეს იძენდენ. ის იხსენიებს მათ ყოვლათ „ცუდ ადამიანებათ" და „საძულველ ხალხათ" *).

რომაელთა მმართველობის ქვეშ ისინი მუდიროთ კაეშირდებიან. ხოლო იმ ტანჯვა-წამებამ, რომელიც მათ გამოსცადეს საშუალო საუკუნოების განმავლობაში ქრისტიანებისაგან, წარმოშვა მათში ის ტკბილი, გულითადი ოჯახური ცხოვრება, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას ერთგვარ სამაგალითო ოჯახათ მიაჩნია. რომის საზოგადოებაში კი ამ დროს უკვე გაძლიერებული იყო გახრწნისა და დაცემის პროცესი, რომელიც დაღუპვისაკენ მიაქანებდა მას. წარმოუდგენელ უგნურ გარყვნილებას დაუპირდაპირდა მეორე უკიდურესობა—სასტიკი ასკეტიზმი. როგორც წინეთ გარყვნილებამ, ისე ახლა ასკეტიზმმა რელიგიოზური სახე მიიღო. მეოცნებე ფანატიზმი შეიქნა მის მქადაგებლათ. ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული თავ-აშვებულობა და განცხრომა-ფუფუნება გაბატონებულ კლასებისა, მეტათ აშკარა კონტრასტს წარმოადგენდა მრავალ-მილიონ ხალხის სიღარიბესა და გაჭირვებასთან,—იმ ხალხის, რომელსაც ძლევა-მოსილი რომი მაშინდელი ქვეყნის ყველა კუთხეებიდან ერეკებოდა იტალიაში და მონათ იხდიდა. მათ შორის ოჯახს, შვილებს და დედ-მამას დაშორებული ქალების რიცხვიც დიდი იყო; ისინი ყველაზე ღრმათ გრძნობდენ თავის სიღატაკეს და სწყუროდათ განთა-

*) Tacitus: Historien, წიგნი V.

ვისუფლება. მრავალი რომაელი ქალი, აღშფოთებული იმით, რაც მათ თვალწინ ხდებოდა, ამგვარსავე სულიერ მდგომარეობას განიცდიდა. თავის მდგომარეობის ყოველ ცვლილებას ისინი სიხარულით ეგებებოდენ. ღრმა ცვლილების წყურვილი, წყურვილი განთავისუფლების მოედვა ფართე წრეებს და ყველანი მხსნელს მოელოდენ. იერუსალიმისა და იუდელების სამეფოს დაპყრობით რომაელების მიერ, მოისპო ებრაელების ეროვნული დამოუკიდებლობა და ამ ქვეყნის ასკეტიურ სექტებში წარმოიშვენ მეოცნებენი, რომელნიც ქადაგებდენ ახალ სამეფოს წარმოშობას, სადაც ყველას თავისუფლებას და ბედნიერებას პირდებოდენ.

და აი, ამ დროს მოევლინა ქვეყანას ქრისტე და აღორძინდა ქრისტიანობა. ეს იყო გაპიროვნებული ოპოზიცია პირუტყვულ მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც რომის იმპერიის მფლობელთა და მდიდართა წრეებში იყო გაბატონებული. ეს იყო პროტესტი მასსის დაჩაგვრისა და შეძულების წინააღმდეგ. მარა, რადგან იგი აღორძინდა ებრაელებში, სადაც დედაკაცი ყოველ უფლებას მოკლებული იყო, რადგან იგი დაკავშირებული იყო დაბადების მოძღვრებასთან, რომელსაც ყოველ ბოროტების წყაროთ დედაკაცი მიაჩნდა, ამიტომ იგი ქადაგებდა დედაკაცის უარყოფას, თავის დაჭერას, სხეულის მოკვლას, რომელიც ცოდვის მორევში დასცურავდა იმ დროს და ორ-აზროვანი ფრაზებით იწვევდა მომავალ სამეფოსკენ, რომელიც ზოგს ზეციურ და ზოგს ამ ქვეყნიურ სამეფოთ მიაჩნდა, სადაც მხოლოდ თავისუფლება და სიმართლე სუფევდა. რომის იმპერიის ჭაობში ასეთმა მოძღვრებამ ნოყიერი ნიადაგი იპოვა. როგორც ყველა ჩაგრული და დევნილი, ისე დედაკაციც, რომელიც მოელოდა განთავისუფლებას, თავის დაღწევას აუტანელ მდგომარეობიდან, ნდობით და სასოებით შეუდგა ამ ახალ მოძღვრებას. არ ყოფილა არც ერთი შესანიშნავი მოძრაობა ქვეყნათ, რომელშიაც დედაკაცს არ გამოეჩინოს თავის ძალა, როგორც მებრძოლს ან მოწამეს. ისინი, ვინც აქებდენ ქრისტიანობას, როგორც დიდებულ კულტუ-

რულ მნიშვნელობის მქონეს, არ უნდა ივიწყებდენ, რომ მის გამარჯვებაში დიდი წილი უდევს დედაკაცს. დიდი ღვაწლი დასდო დედაკაცმა ქრისტიანობის გავრცელების საქმეს, როგორც რომის იმპერიაში, ისე საშუალო საუკუნოების ბარბაროსებში. ხშირათ ძლიერნი და წარჩინებულნი ამა ქვეყნისანი, დედაკაცის გავლენით იღებდენ ქრისტიანობას. ფრანგთა მეფე ხლოდვიგს, მაგალ. კლოტილდამ მიაღებინა ქრისტიანობა. ბერტამ—გენტის დედოფალმა და გიზელამ, ჰუნგრეთის დედოფალმა გაავრცელეს ქრისტიანობა თავიანთ სამეფოებში. მრავალ დიდებულ ადამიანების მოქცევასაც დედაკაცს უნდა უმადლოდეს ქრისტიანობა. მარა ძლიერ ცუდათ გადაუხადა დედაკაცს ქრისტიანობამ ასეთი თავდადების სამაგიერო. ისიც ისეთივე ზიზღით უყურებს დედაკაცს, როგორც ყველა აღმოსავლეთის სარწმუნოებრივი მოძღვრებანი. ის უბრძანებს მას ქმრის ყურმოჭრილ მოსამსახურეთ ყოფნას და ახლაც საკურთხევლის წინაშე ფიცს ადებინებს, რომ იგი ქმრის მორჩილებაში გაატარებს ცხოვრებას.

ვნახოთ რას ამბობენ დაბადება და ქრისტეს მოძღვრება დედაკაცსა და ქორწინებაზე.

ათი მცნებით ძველი აღთქმა მიმართავს კერძოთ მამაკაცს. მეოთხე მცნებაში დედაკაცი მსახურსა და შინაურ პირუტყვებთან ერთათაა მოხსენებული: მამაკაცს წინადადება ეძლევა, არ ინდომოს არც ცოლი მოყვასისა მისისა, არც მსახური, არც პირუტყვი, არც ვირი, არც სხვა რამ, რაც ეკუთვნის მოყვასსა მისსა. ასე რომ დედაკაცი საგანია, საკუთრების ნაწილი და როცა ეს საკუთრება სხვის მფლობელობაშია, კაცმა არ უნდა მოისურვოს მისი დაპატრონება. როცა იესოს, რომელიც სასტიკი ასკეტიზმის და თვითკასტრაციის მიმდევართა სექტას ეკუთვნოდა*), მოწაფეები შეეკითხენ—რა აზრისა ხარ ცოლის შერთვის შესახებო, მან ასე უპასუხა: „არა ყოველთა დაიტიონ სიტყვა ეგე, არამედ რომელთა მიცემულ არს. რამეთუ არიან საჭურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისათ

*) მანტეგაცი: „L'amour dans l'humanité".

საჭურისნი იშენეს; და არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, **რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუფევლისა თვის ცათასა**, რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტიენ" (სახარება მათესი. 19. 11—12).

თავის დასაჭურისება, როგორც სჩანს,—ღვთის სასიამოვნო საქმე ყოფილა და სიყვარულსა და ქორწინებაზე უარის თქმა— საქებარი და მოსაწონი.

პავლე მოციქული, რომელსაც უფრო ეკუთვნის ქრისტიანობის დამაარსებლის სახელი, ვინემ თვით ქრისტეს, პავლე, რომელმაც ინტერნაციონალობის ბეჭედი დაასვა მას და გაანთავისუფლა ებრაელთა ვიწრო სექტანტობისაგან, აი რას სწერს კორინთელთა მიმართ: „და რაზედაც მწერდით მე,—კარგია მოერიდოს კაცი ქალთან დაახლოვებას... მხოლოდ გარყვნილების თავიდან ასაცილებლათ, თვითეულ კაცს ჰყავდეს თავის ცოლი და ქალს თავის ქმარი"... „ქორწინებაში ყოფნა მდაბალი მდგომარეობაა. ცოლის შერთვა—კარგია, უცოლობა—სულ უკეთესი". „იმოქმედეთ, რასაც სული გიკარნახებთ და თქვენ თავისუფალი იქნებით სხეულის ვნებათა-ღელვისაგან, რადგანაც ხორცს სულის წინააღმდეგი სურს და სულს კი—ხორცის". „ხოლო რომელნი ქრისტესნი არიან, ჯვარს აცვეს ხორცი ყველა მისი ვნებებითა და სურვილებით".

ის თვითონ მტკიცეთ იცავდა თავის მოძღვრებას და ცოლი არ შეურთავს.

მარა ხორცის ასეთი შეძულება ნიშნავს **დედაკაცისადმი სიძულვილს და ამასთანავე შიშს დედაკაცის წინაშე**, რომელიც მამაკაცის მაცდურათაა წარმოდგენილი, როგორც ამას სამოთხის ამბავი ამტკიცებს. ამავე აზრს ქადაგებენ მოციქულნი და ეკლესიის წმ. მამანი; ეკლესიის ასეთი გავლენა ემჩნევა მთელ საშუალო საუკუნოებს, როცა ეკლესია ქმნიდა მონასტრებს და მღვდელთ-მსახურთა უცოლობას აწესებდა (ევროპაში). ასეთ მიმართულებას ადგია ეკლესია დღესაც.

ქრისტეს მოძღვრებით, დედაკაცი **უწმინდურია, მაცდურია**, რომელმაც ბოროტება დასთესა ქვეყნათ და დაღუპა ადამიანი. ამიტომ მოციქულნი და ეკლესიის მამანი ქორწინებას ყოველთვის ისე უყურებდენ, როგორც აუცილებელ ბოროტებას, ე. ი. სწორეთ ისე, როგორც ახლა პროსტიტუციას უყურებენ. ტერტულიანი ღაღადებდა: „ჰოი, დედაკაცო, შენ უნდა ხვიდოდე მუდამ მწუხარე, ძონძებში გახვეული და სინანულისაგან თვალზე ცრემლ შეუშრობელი, რათა ამით დაგვავიწყო, რომ შენ ჩააგდე ცოდვაში კაცთა ნათესავი! დედაკაცო, ჯოჯოხეთის კარები ხარ შენ!“ და შემდეგ განაგრძობს: „უცოლობა უნდა ვარჩიოთ, თუნდაც კაცთა ნათესავს გაწყვეტა მოელოდეს ამით“. იერონიმე ამბობს: „ქორწინება ყოველთვის ცოდვაა და ყველაფერი, რაც ჩვენ შეგვიძლია—ესაა პატივება და კურთხება მისი“. ამიტომაც აღიარეს იგი ეკლესიის საიდუმლოთ. ორიგენი აცხადებს: „ქორწინება არის უპატიოსნო და უწმინდური რამ. იგია საშუალება გარყვნილებისა, ნდომათა გაძლიერებისა“; და რომ ცთუნება თავიდან აეცილებინა, თავი დაისაჭურისა. „უცოლშვილონი შეიმოსებიან ზეცაში ნათელით, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავები, და მათი მშობელნი კი მიემზგავსებიან ჩამქრალ ვარსკვლავებს“. ევსევი და იერონიმე ორივე ერთხმათ აღიარებენ, რომ დაბადებაში მოყვანილი ადგილი: „აღორძინდით და გამრავლდითო“, არ შეეფერება არც დროს და არც ქრისტიანობას.

კიდევ მრავალს მოვიყვანდით ეკლესიის გავლენიან მოძღვართა ამონაწერებს, რომელნიც იმასვე ქადაგებდენ, მარა მოყვანილიც საკმარისია. თავის განუწყვეტელი ქადაგებით და დარიგებებით, მათ გაავრცელეს ეს არა-ბუნებრივი შეხედულება სქესობრივ კავშირზე, რომელიც, **რაც უნდა იყოს, ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს; მისი შესრულება ერთი უმთავრესი მოვალეობათაგანია ცხოვრებაში მისი მიზნის მისაღწევათ**. ასეთი ქადაგებით, თანამედროვე საზოგადოება ჯერ კიდევ დაავათმყოფებულია და მხოლოდ ნელ-ნელა თავისუფლდება მისგან.

პეტრე ხაზ-გასმით ამბობს: „დედაკაცნო, იყავით მორჩილი თქვენი ქმრების“. პავლე სწერს ეფესელთ: „ქმარი თავია ცოლის, როგორც ქრისტე ეკლესიის“, და კორინთელებს: „ქმარი ხატებაა და დიდება ღვთის, ქალი კი დიდებაა ქმრის“. აქედან გამოდის, რომ ყოველ სულელ და ბრიყვ მამაკაცსაც კი უფლება აქვს, საუკეთესო და წარჩინებულ დედაკაცზე მაღლა დააყენოს თავისი თავი; ცხოვრებაში ასეთ მაგალითს ახლაც ბევრს შევხვდებით.

ასევე იმაღლებს ხმას პავლე დედაკაცის განათლების წინააღმდეგ. ტიმოთესა სწერს (2. 11 და სხვ.): „**დედაკაცი მდუმარედ ისწავებდიან ყოვლითა დამორჩილებითა; მოძღვრებად დედათა არა ვუბრძანებ, არცა მთავრობად ქმრისა, არამედ რათა იყოს იგი მყუდროებით**“. კორინთლებს (14. 34—35): „**დედანი თქვენნი ეკლესიასა შინა ჰსდუმნეთ; რამეთუ არა ბრძანებულ-არს მათდა სიტყვად, არამედ დამორჩილებად**, ვითარცა ჰრჯულიცა იტყვის. **ხოლო უკეთუ სწავლის რაიმე უნდეს, სახლსა შინა თვისთა ქმართა ჰკითხევდ მათ; რამეთუ საძაგელ-არს დედათა ეკლესიასა შინა ზრახვად**“. წმ. თომა აკვინელი (1227—1274 წ.) ამბობს: „დედაკაცი—სწრაფათ მოზარდი ღვარძლია, არა სრული ადამიანი, რომლის სხეულიც მხოლოდ იმიტომ ვითარდება სისწრაფით და ძლიერდება, რომ მცირე ღირებულებისაა და ბუნებაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას. დედაკაცი მხოლოდ იმისთვის ჩნდება, რომ მორჩილი იქნეს და ატაროს უღელი ბატონის და მასწავლებლის, რადგან ბუნებამ მამაკაცს ყოველმხრით უპირატესობა მიანიჭა და ბატონობისათვის გააჩინა იგი“.

ასეთ მოძღვრებას მარტო ქრისტიანობა არ აღიარებს. როგორც ქრისტიანული მოძღვრება წარმოადგენს ებრაელთა სწავლისა და ბერძენთა ფილოსოფიის შერევას და ამათ კი ორთავეს ძველ ინდოელთა, ბაბილონელთა და ეგვიპტელთა კულტურაში აქვს თავის სათავე, აგრეთვე ის უმწეო მდგომარეობა, რომელსაც აკუთვნებს ქალს ქრისტიანული მოძღვრე-

ბა, დედის უფლების გაუქმების შემდეგ საერთო იყო ყველა ძველ კულტურულ ქვეყნისათვის. აი, რა სწერია ძველ ინდოელთა მანუს წიგნში: „უპატიურობის მიზეზი დედაკაცია, მტრული განწყობილების მიზეზი დედაკაცია, ქვეყნიური არსებობის მიზეზი დედაკაცია, ამიტომ უნდა ერიდოთ დედაკაცს“. ამცირებს-რა დედაკაცს, იგი ამავე დროს გულუბრყვილოთ გამოსთქვამს თავის შიშს დედაკაცის წინაშე: „თვით ბუნებისაგან აქვს მიღებული დედეკაცს მიდრეკილება მამაკაცის ცთუნებისადმი“; და განაგრძობს მანუ: „ამიტომ თავის უახლობელეს ნათესავ ქალთანაც არ უნდა დარჩეს კაცი განმარტოებულ ადგილას“.

ამნაირათ, ინდოელთა შეხედულებითაც ისე, როგორც ძველი და ახალი აღთქმის მოძღვრებით, დედაკაცი მაცდურია. ყოველგვარ ბატონობას თან სდევს გადაგვარება იმათი, ვისაც ეს ბატონობა აწევს ტვირთათ. ამიტომ დედაკაცის ასეთ დამორჩილებულ მდგომარეობას, დღევანდლამდეც უფრო სასტიკი სახე აქვს მიღებული აღმოსავლეთის კულტურულათ ჩამორჩენილ ხალხებში, ვინემ ქრისტიანთა ქვეყნებში. დედაკაცის მდგომარეობა ქრისტიანებში, ცოტათ თუ ბევრათ გაუმჯობესდა არა ქრისტიანობის, არამედ დასავლეთის კულტურის წყალობით, რომელიც ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან ბრძოლით აღორძინდა და განვითარდა.

ქრისტიანობა არ ჩაითვლება იმის მიზეზათ, რომ დედაკაცის მდგომარეობა ახლა უკეთესია, ვიდრე ქრისტიანობის აღორძინების ხანაში იყო. თავისდა უნებურათ, ძალდატანებით უარყო მან თავის პირველი შეხედულება დედაკაცზე. ისინი, ვინც გატაცებული არიან „ქრისტიანობის მისიით, როგორც კაცობრიობის განმათავისუფლებელის“, რასაკვირველია, სხვაგვარათ უყურებენ საკითხს. ისინი გაიძახიან, რომ ქრისტიანობამ გამოიყვანა დედაკაცი თავის წინანდელ დამამცირებელი მდგომარეობიდან და ამის დასამტკიცებლათ, განსაკუთრებით ემყარებიან შემდეგში ქრისტიანთა წრეებში აღორძინებულ მარიამის ანუ ღვთის-მშობლის კულტს, რაიცა მათი აზრით,

ნიშანია დედაკაცისადმი პატივისცემის. კათოლიკეთა ეკლესია, რომელიც ამ კულტს მისდევს, საეჭვოა, რომ ასეთ შეხედულებას იზიარებდეს. ზემო-მოყვანილი ადგილები წმ. მამათა ნაწერებიდან,—და ასეთები კი ათასობით შეიძლება სხვაც მოვიყვანოთ,—ყველა ერთათ და თვითეული ცალკე, გაჟღენთილია დედაკაცისა და ქორწინებისადმი მძულვარებით. მაკონის საეკლესიო კრება, რომელსაც მე-VI საუკუნეში სადაოთ ქონდა—აქვს თუ არა დედაკაცს სულიო და მხოლოდ ერთი ხმის უმეტესობით გადასწყვიტა—კი აქვსო, ვერაფერი საბუთია იმის, თითქო ეკლესია მეგობრული თვალით უყურებდეს დედაკაცს. პაპა გრიგორი მე-VII დადგენილება სამღვდელოების უცოლობის შესახებ*), რომლის მიზანი იყო უცოლ-შვილო სამღვდელოების სახით მოეპოვა ისეთი ძალა, რომელსაც ოჯახზე ზრუნვა ხელს არ შეუშლიდა ეკლესიის სამსახურის შესრულებაში, მხოლოდ იმიტომ გავიდა ცხოვრებაში, რომ ეკლესიის შეხედულებით, სხეულის ლტოლვათა აყოლა, ცოდვათ იყო აღიარებული. სხვა-და-სხვა რეფორმატორები, განსაკუთრებით კი კალვინი და შოტლანდიის სამღვდელოება, თავიანთი გააფთრებული ბრძოლით „სხეულის ლტოლვათა“ წინააღმდეგ, არავითარ ეჭვებს არ ტოვებენ იმაში, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობა მტრული თვალით უყურებს დედაკაცებს**).

კათოლიკეთა ეკლესია მოხერხებულათ მოიქცა, როცა მარიამის კულტი შემოიღო წარმართ ღმერთ-ქალთა კულტის ადგილას, რომელიც ყველა ხალხებში არსებობდა, სადაც კი მაშინ ავრცელებდენ ქრისტიანობას. **მარიამმა** დაიჭირა ადგილი სამხრეთ ხალხთა ღმერთების: კიბელასი, მილიტასი, აფროდი-

*) ამ დადგენილების წინააღმდეგ, სხვათა შორის, პროტესტი განაცხადეს მაინცის ეპარქიის მღვდლებმა, ისინი ამბობდენ: „ჩვენ, ეპისკოპოსნო და აბატნო, გაქვთ აუარებელი სიმდიდრე, სამეფო სუფრა და ძვირფასი სანადირო ეტლები, ჩვენ კი, საწყალ უბრალო მღვდლებს, გარდა ცოლისა მანუგეშებელი არავინა გეყავს. ვინ ამბობს, რომ მოთმინება კარგი არ არისო, მაგრამ იგი ეშმარიტათ მძიმეა და სასტიკი“. Yves Guyot. Les theories sociales du Christianisme, გამოცემა 2-ე, პარიზი.

**) ამის მრავალი მაგალითები მოყავს ბოკლს თავის „ინგლისის ცივილიზაციის ისტორიაში“.

ტასი, ვენერასი, ცერერასი და სხვა; გერმანელთა—ფრეიის, ფრიგიის და სხვების. აქ ქალი იყო მხოლოდ მისი იდეალიზაცია თანახმათ ქრისტიანობრივ-სპირიტუალისტური შეხედულებისა.

## თ ა ვ ი IV.

## დ ე დ ა კ ა ც ი ს ა შ უ ა ლ ო ს ა უ კ უ ნ ო ე ბ ს ი.

### 1. ქალთა მდგომარეობა გერმანიაში.

გულუბრყვილო, ფიზიკურათ ჯანსაღი და ზნეობრივათ გაურყვნელი ხალხი, რომელიც ჩვენი წელთ-აღრიცხვის პირველ საუკუნოებში მოაწყდა ზღვის ტალღებსავით აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან იმ დროს უკვე დაუძლურებულ რომის იმპერიას, სადაც თანდათან იმარჯვებდა ქრისტიანობა, მეტათ უბრალო, ცხოვრებისგან შეუბღალველ-დაუმახინჯებელი და სრულიად ზნედაცული იყო. და აი, ეს ჯან-ღონით სავსე ხალხი, მთელი თავისი სიძლიერით წინააღუდგა ქრისტიანეთა ასკეტ-მქადაგებლებს და ეს უკანასკნელნი იძულებული შეიქნენ, ანგარიში გაეწიათ მათი საღი ბუნების მოთხოვნილებისათვის. რომაელები განცვიფრებული იყვენ იმით, რომ ამ ხალხის ზნე-ჩვეულებები სრულიად არ გავდა მათსას. **ტაციტმა** დაუფარავათ აღიარა ეს ფაქტი გერმანელთა შესახებ. აი რას ამბობს ის: „ისინი მტკიცეთ იცავენ ქორწინებას და ეს ღირსია ქება-დიდების, რადგან გერმანელები თითქმის ერთათ-ერთი ბარბაროსი ხალხია, სადაც მამაკაცი ერთი ცოლით კმაყოფილდება. ძლიერ იშვიათათ გაიგონებთ ამ მრავალ-რიცხოვან ხალხში ცოლ-ქმრულ კავშირის ღალატს და თუ მოხდა ღალატი, დანაშაულის ჩამდენს ადგილობრივვე დასჯიან; მსაჯული თვით ქმარია. მოღალატე ცოლს ქმარი აკრეკს თმას და მისივე ნათესავების თვალწინ აძევებს სოფლიდან, ვინაიდან შენდობა და შებრალება არა აქვს ზნეობის დამრღვევს. მეორეთ გათხოვებისათვის ასეთ ქალს არ უშველის არც სილამაზე, არც ახალ-

გაზრდობა, არც სიმდიდრე. შეცოდება სახუმარო საქმეთ არავის მიაჩნია; შეცდომა და შეცდენა სხვისი არ ითვლება ცხოვრების ცოდნათ და მოხმარებათ. ყმაწვილი კაცები გვიან ირთავენ ცოლს და ამით ინახავენ თავიანთ ძალ-ღონეს, ქალიშვილის გათხოვებას არ ეშურებიან და ისინიც ისევე ჰყვავიან ახალგაზდობით და განთქმული არიან თავის სიმაღლით და მოყვანილობით. ორივე სქესი ქორწინდება მათში ერთ და იმავე ხნოვანების, ერთნაირათ ჯან-ღონით სავსე და დედ-მამის ჯანმრთელობა გადადის შვილებზე".

ცხადია, ტაციტი გადაჭარბებული ფერადებით გვიხატავს ძველ გერმანელთა ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, რომ სამაგალითო სურათი დაუსახოს რომაელთ. მოღალატე ცოლს გერმანელები მართლა სასტიკათ სჯიდენ, მარა ცოლ-ქმრობის მოღალატე ქმარს კი ხმასაც არ სცემდენ. ტაციტის დროს საგვარეულო წყობილება ისევ ჰყვაოდა გერმანელებში. რომის პირობებში აღზრდილ ტაციტისათვის სრულიად უცხო და გაუგებარი იყო საგვარეულო ორგანიზაცია და მისი საფუძვლები, ამიტომ ის განცვიფრებით მოგვითხრობს, რომ გერმანელებში დედის ძმა ისე უყურებს თავის დისწულს, როგორც საკუთარ შვილს და რომ ზოგიერთების თვალში დედულის ბიძასა და დისწულს შორის უფრო ახლო ნათესავური კავშირი არსებობს, ვინემ მამასა და შვილს შორის; ასე რომ, როცა საჭირო იყო მძევლის წამოყვანა, დისწული უკეთეს გარანტიათ ითვლებოდა, ვინემ საკუთარი შვილი. ამის შესახებ ენგელსი შენიშნავს: „თუ ასეთი საგვარეულოს ამხანაგები მიცემულ პირობის სიმტკიცისთვის მძევლათ აძლევენ საკუთარ შვილს და მამის მიერ პირობის დარღვევით შვილი იღუპება, ეს მხოლოდ მას, მამას შეეხება. მარა თუ იღუპება დის-შვილი, ამით ილახება მთელი საგვარეულოს წმინდა უფლებები. ახლო ნათესავი, რომელიც ყველაზე მეტათ იყო ვალდებული ეზრუნა ყმაწვილზე, დამნაშავეთ ითვლება მის სიკვდილში: მას ან არ უნდა მიეცა ის მძევლათ, ან პირობა უნდა პირნათლათ შეესრულებია".

დანარჩენში ტაციტის დროს, როგორც ენგელსი ამტკიცებს, დედის უფლება ყველაფრიდან გამოდევნილი იყო მამის უფლებისაგან. შვილები ითვლებოდენ მამის მემკვიდრეებათ: თუ შვილები არ ყავდა, მაშინ კი ძმები და ბიძები, როგორც მამის, ისე დედის მხრივ. დედის ძმის მიღება მემკვიდრეთა რიცხვში მაშინ, როცა გადამჭრელი მნიშვნელობა **მამის შთამომავლობას აქვს**, იმას ამოწმებს, რომ დედის უფლება ჯერ სავსებით გამქრალი არ იყო. ძველ უფლებათა გავლენა იყო იმის მიზეზი, რომ გერმანელები პატივსა სცემდენ დედაკაცს, რამაც ასეთ განცვიფრებაში მოიყვანა ტაციტი. ტაციტი იმასაც კი ამბობს, რომ ძველი გერმანელი მამაკაცის მხნეობა და ვაჟკაცობა ქალისაგან არის მასში ჩანერგილიო. იმისი ფიქრი, რომ მათი ქალები შეიძლება ტყვეთ ჩაუვარდენ მტრებს და მონებათ გახდენ, პირდაპირ აუტანელი იყო გერმანელებისათვის და მტერთან ბრძოლის დროს გასაოცარ მხნეობას და გამბედაობას ბადებდა მათში. მარა დედაკაცშიც იყო გმირული სული, რომელიც ანცვიფრებდა რომაელებს. როცა მარიმ უფლება არ მისცა დატყვევებულ ტევტონელ ქალებს ქალწულების ღმერთ-ქალის--ვესტას მსახური გამხდარიყვენ, მათ თვითმკვლელობა არჩიეს ტყვეობას.

ტაციტის დროს გერმანელები უკვე ბინადარი ხალხი იყვენ; მიწას ყოველ-წლიურათ იყოფდენ კენჭის ყრით; ტყე, წყალი და საძოვარი ადგილები კი, სათემო საკუთრებათ ითვლებოდა. მათი ცხოვრების წესი სადა და მარტივი იყო, უმთავრეს მათ სიმდიდრეს შეადგენდა შინაური პირუტყვები; ტანსამოსათ ხმარობდენ მოუხეშავ მატყლის წამოსასხამს (მანტია), ან ნადირის ტყავს. ქალები და წარჩინებულნი ატარებდენ ტილოს ტანსაცმელს. ლითონის დამუშავებას მხოლოდ ის ტომები მისდევდენ, რომელთაც სიშორის გამო, რომის მრეწველობის ნაწარმოები ვერ წვდებოდა. სამართლის გაჩენა —უმნიშვნელო საქმეებში წარმომადგენელთა ხელში იყო, უფრო დიდ და მნიშვნელოვან საკითხს კი—სახალხო კრება არჩევდა. წარმომადგენელნი არჩეული პირები იყვენ; მარა მათ

ირჩევდენ ყოველთვის თითქმის ერთ და იმავე ოჯახიდან: მამის უფლების განმტკიცებამ ხელი შეუწყო ასეთ წარმომადგენლობის მემკვიდრეობით გადასვლას და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ჩაისახა შთამომავლობითი არისტოკრატია, საიდანაც განვითარდა მეფობა. როგორც საბერძნეთსა და რომში, ისე გერმანიაში კერძო საკუთრების აღორძინებამ, ვაჭრობამრეწველობამ, უცხო პირთა და ხალხთან არევამ დაღუპა, დაანგრია გვარი. გვარის ადგილი დაიჭირა საოლქო ამხანაგობამ—მარკამ, თავისუფალ გლეხთა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში მაგარ ბურჯათ ითვლებოდა არისტოკრატიის ეკლესიის და თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთი ორგანიზაცია მაშინაც არ გამქრალა მთლათ, როდესაც ფეოდალურმა სახელმწიფომ გაიმარჯვა და მრავალი თავისუფალი გლეხი მონებათ და ყმებათ გადააქცია.

საოლქო ამხანაგობის წარმომადგენლები იყვენ ოჯახის უფროსები. გათხოვილი ქალები და გაუთხოვარი ქალიშვილები გამორიცხეს საბჭოდან და მართველობიდან. გაქრა ის დრო, როდესაც ქალები მონაწილეობდენ საგვარეულოს საქმეების გამგებლობაში,—ის დრო, რომელსაც ტაციტი ისეთი განცვიფრებითა და თან ზიზღით იხსენიებს. V საუკუნეში სალიურმა კანონებმა, უფლება წაართვეს დედაკაცს საგვარეულო ქონების მემკვიდრეობა მიეღო.

ოლქის თვითეულ ამხანაგს, რომელიც ცოლს შეირთავდა, განსაზღვრული წილი ეძლეოდა თემის მიწებიდან. ჩვეულებრივათ, ბაბუა-ბებიები, მშობლები და შვილები, ერთ ოჯახში სცხოვრობდენ და, ხშირათ მოხდებოდა, რომ უწლოვანოს, ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ახალგაზრდას, მოწიფულ ქალს შერთავდენ, მხოლოდ იმ აზრით, რომ ზედმეტი სახნავსათესი ადგილი მიეღოთ თემისაგან. მეუღლის მოვალეობას ასეთ შემთხვევაში შვილის ნაცვლათ მამა ასრულებდა*). ახალ-

*) ასე იყო რუსეთშიაც „თემის“ ბატონობის დროს. იხილე ლაველე: „პირველყოფილი საკუთრება“.

გაზრდა ცოლ-ქმარნი იღებდენ ერთ ურემ წიფელის შეშას და ხე-ტყის მასალას ბეღელის დასადგმელათ. როცა ჯვარ-დაწერილთ პირველი შვილი გაუჩნდებოდათ, თუ ქალი იყო, ერთ ურემ შეშას იღებდენ, თუ ვაჟი—ორს*). მდედრობით სქესს ნახევარი ფასი ქონდა**).

დაქორწინება მეტათ მარტივი იყო. საეკლესიო წესის ასრულებას არ საჭიროებდენ. საკმარისი იყო მხოლოდ ორივე მხარეს გაეცხადებინა ცოლ-ქმრობის სურვილი და საქორწინო სარეცელზე ასულიყვენ; ამის შემდეგ ქორწინება უკვე გათავებულათ ითვლებოდა. საეკლესიო წესის შესრულება ქორწინების დასაკანონებლათ, მხოლოდ IX საუკუნეში გახდა სავალდებულო და მხოლოდ ტრიენტის მსოფლიო კრებამ XVI საუკუნეში, აღიარა იგი კათოლიკეთა ეკლესიის საიდუმლოთ.

## 2. ფეოდალიზმი და პირველი ღამის უფლება.

ფეოდალურ სახელმწიფოს აღორძინებასთან ერთათ, თანდათან უარესდებოდა თემის თავისუფალ წევრთა უდიდესი ნაწილის მდგომარეობა. ძლევამოსილი მხედართ-მთავარნი სარგებლობდენ თავის ძლიერებით, რომ რაც შეიძლება მეტი ადგილ-მამული ჩაეგდოთ ხელში; მათ თემის ადგილ-მამულის პატრონათ მოქონდათ თავი და თავისუფლათ უნაწილებდენ მას ერთგულ მხედრობას დროებით, ან სამემკვიდრეო სასარგებლოთ. მხედრობა შესდგებოდა მონებისა, ყმებისა და განთავისუფლებულთაგან, რომელნიც უმეტესათ უცხოელები იყვენ. ამით მათ შექნეს კარის აზნაურნი და მსახური აზნაურობა, რომელნიც ყველაფერში მათ ემორჩილებოდენ. დიდმა ფრანკთა სახელმწიფომ ბოლო მოუღო ძველ საგვარეულო ორგანიზაციის ნაშთებს. წარმომადგენელთა საბჭოს ადგილი

*) გ. ლ. ფონ-მაუერ: Gechichte der Markverfassung in Deutschland".

**) ეს ახლაც ხდება. ამას ამოწმებს სენტ-ბაზიენის ახლოს არმშვენდში არსებული ჩვეულება, სადაც ცოლის მოლოგინებას ქმარი ასე ხვდება: თუ ვაჟი ეყოლა შეღაღადებს: „ათასი ეშმაკი", თუ ქალი: „ასი ეშმაკი". Badisches Volksleben im XIX Iahrhundert von Eduard Hugo Maier, Strassburg 1900 წ.

მხედართ-მთავარმა და ახლათ გამოჩეკილმა აზნაურობამ დაიჭირა.

თემის თავისუფალ წევრთა უმრავლესობა თანდათან დაასუსტა, დააღარიბა ხანგრძლივმა და ხშირმა ომიანობამ და განუწყვეტელმა განხეთქილებამ ბატონებ შორის, რომელთაც ისინი ხარკს აძლევდენ. მთავარ ვალდებულებას—თავის დროზე მხედრობის გამოყვანას გლეხობა ვეღარ ახერხებს. თავადობა და უმაღლესი აზნაურობა მათ ადგილს დაქირავებულ ჯარს იყვანენ. გლეხები ან საერო მფლობელთ აფარებენ თავს და აძლევენ ქონებას დასაცველათ, ან სასულიერო მფლობელთ ეკედლებიან, რადგან ეკლესიამ სულ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დიდი ძალა შექმნა; გლეხები კი თავის მხრივ ფულით და ნატურით ბეგრის გადახდას კისრულობენ. ამნაირათ, აქამდე თავისუფალი გლეხის მამული, ახლა ხარკის გადამხდელ მამულათ გადაიქცა; შემდეგ მას სულ ახალ-ახალი ვალდებულებანი დააკისრეს. დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩავარდნილი გლეხი, ჩქარა პირად თავისუფლებასაც კარგავს. ბატონყმობა და მონობა მაგრათ იდგამს ფესვს, ფართოვდება და ძლიერდება.

მემამულეს განუსაზღვრელი უფლება აქვს თავის ყმებსა და მონებზე. მას უფლება აქვს აიძულოს თავის ყმები, რომ ყველა ვაჟმა 18 წლის შესრულებისას ცოლი შეირთოს და ქალი კი 14 წლისა გათხოვდეს. ის თვითონ უნიშნავს გასათხოვრებს ქმარს და საცოლოებს ცოლს. ასეთივე უფლებებით სარგებლობს იგი ქვრივთა შესახებაც. როგორც ბატონს, უფლება აქვს თავის ქვეშევრდომ მონა და ყმა-ქალების სქესობრივ ურთიერთობის გამგებლობის, რაც ბოლოს jus primae noctis-ათ (პირველ ღამის უფლება) გადაიქცა. ასეთივე უფლებებით სარგებლობდა მისი მოადგილე—გამგე, მარა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ უფლების გამოსყიდვა შეიძლებოდა განსაზღვრული სასყიდლის გაღებით, რომლის შინაარსი თვით მისი სახელწოდებიდანაც ადვილი მისახვედრია: სიქალწულის ხარკი, საპერანგე-შილლინგი, წინსაფარის გროში და სხვ.

ბევრს სადაოთ მიაჩნია პირველი ღამის უფლების არსებობა. ზოგს იგი დიდ უხერხულობაში აგდებს, ეჩოთირება, რადგან იგი სწორეთ იმ ეპოქაში არსებობდა, რომელიც მათ სურთ სამაგალითო ზნეობრივ სიფაქიზის და სათნოების ეპოქათ მოგვაჩვენონ. ზევით ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თავიდან პირველი ღამის უფლება, დედათ-მთავრულ ეპოქასთან დაკავშირებული ჩვეულება იყო. ძველი ოჯახის ორგანიზაციის მოსპობის შემდეგ ჩვეულება დარჩა, რომლის ძალითაც პატარძალი, პირველ ღამეს ქმრის თემის მამაკაცებს ნებდებოდა. მხოლოდ დროთა განმავლობაში ამას საზღვარი ედება და ბოლოს თემის უფროსის, ან მღვდელთ-მსახურის განსაკუთრებულ უფლებათ იქცევა. ფეოდალი ითვისებს ამ უფლებას, როგორც მისი ბატონობის ნიშანს იმ პირზე, რომელიც მის მიწა-წყალზე სცხოვრობს, და ის პირადათ სარგებლობს ამ უფლებით, თუ სურს, ან და უარს ამბობს მაზე და განსაზღვრულ ხარკს იღებს ამის საფასოთ—ფულით ან ნატურით. რამდენათ რეალური იყო პირველი ღამის უფლება, ამას ნათლათ ახასიათებს იაკობ გრიმმი („Weisthümer"-ი I. 43): „მაგრამ რაც შეეხება შინა-ყმებს, მათგანი, ვინც მოინდომებს ცოლის შერთვას, უნდა მოიწვიოს მოურავი თავის მეუღლით, მოურავი ათხოვებს ქვაბს ცხვრის მოსახარშავად, აგრეთვე მოურავმა უნდა მისცეს ურემი შეშა საქორწინოთ, აგრეთვე მოურავმა და მისმა მეუღლემ უნდა მოუტანოს მეოთხედი ღორის სამწვადე. და როდესაც ქორწილი გათავდება, ახალი სიძე მოვალეა, თავისი ცოლი პირველ ღამეს დაუთმოს მოურავს, ან უნდა გამოისყიდოს ეს ხუთი შილლინგის და ოთხი პენინგის გადახდით მის სასარგებლოთ".

ზუგენხეიმი*) ფიქრობს, რომ პირველი ღამის უფლების მითვისება მემამულის მიერ წარმოსდგა იქიდან, რომ დაქორწინებისათვის საჭირო იყო მისი თანხმობა. ამ უფლებას უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ბეარნეში ყველა პირმშონი იმ

*) „ბატონ-ყმობის გადავარდნა ევროპაში XIX საუკუნის ნახევრამდე". პეტერბურგი 1861 წ.

ქორწინებათაგან, რომლებშიაც პირველი ღამის უფლება განხორციელდა თავისუფალი იყვენ. შემდეგში ყველგან შემოიღეს ფულით გამოსყიდვა ამ უფლების. ზუგენხეიმი ამბობს, რომ ამ უფლებას ყველაზე დიდხანს და ენერგიულათ იცავდენ ამუნის ეპისკოპოსები, თითქმის XV საუკუნის დაწყებამდე. XI საუკუნის დამლევს შოტლანდიის მეფე—მალკოლმ III-მ გამოაცხადა, რომ შეიძლება პირველ ღამის უფლების ფულით გამოსყიდვაო. გერმანიაში კი იგი ამის შემდეგაც დიდხანს არსებობდა. შვაბიის მონასტრის, ადელბერგის, 1496 წლის არხივიდან სჩანს, რომ ბერტლინგის ყმანი იმით გამოისყიდდენ ხოლმე პირველ ღამის უფლებას, რომ საქმრო დიდ ქვა-მარილს მოუტანდა ბატონს, საცოლო კი ერთ გირვანქას და შვიდ შილლინგს ფულათ, ან იმოდენა ტაფას, რომელზედაც „მას უკანა ნაწილით დაჯდომა შეეძლებოდა“. ზოგიერთ ადგილებში სასძლოს იმდენათ მეტი ერბო და ყველი მოქონდა სასყიდლათ, „რამდენათაც სქელი და მძიმე იყო მისი უკანა ნაწილი“. ზოგიერთგან კი უნდა მიეძღვნათ მშვენიერი საფიანის სავარძელი, რომელზედაც „თავისუფლათ მოთავსდებოდა იგივე ნაწილი“ *). ბავარიის უმაღლეს სამსჯავროს წევრ ველშეს წერილები ამტკიცებენ, რომ პირველი ღამის გამოსყიდვა XVIII საუკუნეშიაც სავალდებულო იყო ბავარიაში (წერილები გლეხთა ვალდებულების შენახვა-გადავარდნაზე ბავარიაში, ვიურტემბერგში, გესსენში, პრუსიაში და ავსტრიაში. Landshut 1848 წ.). შემდეგგ ენგელსი**) გვაუწყებს, რომ ვალისში და შოტლანდიაში, პირველი ღამის უფლება მთელ საშუალო საუკუნოების განმავლობაში დარჩა, მხოლოდ საგვარეულო ორგანიზაციის გავლენის გამო, ამ უფლებით აქ სარგებლობდა არა მემამულე ან მისი წარმომადგენელი, არამედ

*) Memminger, Stälin und andere: Beschreibung der würtembergischen Aemter. Heft 20. (Oberamt Göppingen). Hormayr: Die Bayern in Morgenlande. Anmerkung S. 38. იხ. Sugenheim: ზემოხს. თხზ. გვ. 360.

**) ფრ. ენგელსი: „წარმოშობა და სხვ.“ გვ. 97.

„კლანის“ (თემის) უფროსი, როგორც ყველა ქმრების წარმომადგენელი.

ამნაირათ, ეჭვი არაა, პირველი ღამის უფლება საშუალო საუკუნოების განმავლობაში და თითქმის უკანასკნელ ხანებამდე არსებობდა და დიდი ადგილიც ეჭირა ფეოდალურ უფლების კოდექსში. პოლონეთის თავად-აზნაურებს თავის უფლებათ მიაჩნდათ ნამუსის ახდა ყველა ქალწულისათვის, რომელიც კი მოეწონებოდათ და ასი როზგი მოელოდა იმას, ვინც საჩივრის განცხადებას გაბედავდა. ქალწულობის შელახვა არც ახლა მიაჩნიათ არა-ჩვეულებრივ და გასაკვირ მოვლენათ მემამულეებს და მათ მსახურებს, და ასეთი ამბები უფრო ხშირათ ხდება, ვინემ გონიათ, როგორც გერმანიაში, ისე ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, რასაც ერთხმათ ემოწმებიან ყველანი, ვინც კი ამ ქვეყნებს და მათ მცხოვრებლებს იცნობენ.

ფეოდალურ ხანაში მემამულეს სასიხარულოთ მიაჩნდა ქორწინებათა ზრდა თავის ხელ-ქვეითებში, რადგან აქედან წარმომდგარი შთამომავლობა ისეთივე მონები იქნებოდა მისი, როგორც მათი დედ-მამა; მისი სამუშაო ძალა ამით იზრდებოდა და შემოსავალს მატებდა. ამიტომ, როგორც **საერო**, ისე **სასულიერო** მემამულენი, ხელს უწყობდენ თავიანთ ყმების დაცოლშვილებას. სულ სხვაგვარ პირობებში იყო ეკლესია, როცა ის ილაშქრებდა ქორწინების წინააღმდეგ, რომ ანდერძით ჩაეგდო ხელში ვისიმე მამულები. ჩვეულებრივათ აქ სახეში ქონდათ დაბალი თავისუფალი მესაკუთრეები, რომელთა მდგომარეობა არსებულ პირობებში, პირდაპირ აუტანელი იყო და რომელნიც ამიტომ მთელ თავის ქონებას სწირავდენ ეკლესიას, რომ მონასტრის ზღუდეთა შორის მოეპოვათ მფარველობა და მყუდრო ცხოვრება. ზოგიერთნი კი მფარველობის მოსაპოვებლათ სწირავდენ ეკლესიას ფულს და აღუთქვამდენ სამსახურს. მარა ხშირათ ამით მათ შთამომავლობას სწორეთ ის ბედი ეწეოდა, რომლის აცდენასაც ასე გულით სცდილობდენ.

მათი შთამომავლები ეკლესიის ყმებათ ხდებოდენ ან მონასტერში მორჩილებათ (послушникъ) შედიოდენ.

### 3. ქალაქების აყვავება.

მე-XI საუკუნეში აყვავებული ქალაქები, განსაკუთრებით დაინტერესებული იყვენ მცხოვრებთა რიცხვის გამრავლებაში და ამიტომ ცდილობდენ ქალაქებში დასახლების და ოჯახის მოკიდების გაადვილებას. ქალაქები თავშესაფარათ გადაიქცენ ფეოდალიზმის მძიმე უღლიდან განთავისუფლების მსურველთათვის, ყველა გამოქცეულ მონებისა და ყმებისათვის. მარა შემდეგში გარემოება ისევ შეიცვალა. როგორც კი ქალაქი გაძლიერდა და ხელოსნების რიცხვი მასში გამრავლდა, მაშინვე იჩინა თავი მტრულმა განწყობილებამ ახლათ მოსულ ხელოსნებისადმი, რომელნიც არა-სასურველ მეტოქეებს წარმოადგენდენ. შექმნეს ახალი პირობები, რომელნიც აძნელებდენ და ხელს უშლიდენ ახლათ მოსულების დასახლებას. დასახლების უფლებას გადასახადი ედვა, ოსტატათ გახდომისთვის გამოცდა იყო საჭირო, რომელსაც დიდი ხარჯი უნდოდა, სახელოსნოში მომუშავეების—ქარგლების და შეგირდების მხოლოდ განსაზღვრული რიცხვის დაჭერა შეიძლებოდა და ყველა ამ გართულებულმა პირობებმა, ხელი შეუწყვეს მრავალი ხალხის უცოლშვილოთ დარჩენას და მაწანწალათ გახდომას. როდესაც XVI საუკუნეში ქალაქთა აყვავების ხანამ გაიარა იმ მიზეზების გამო, რომლებზედაც ქვევით გვექნება ლაპარაკი და დაიწყო მათი დაცემა, საჭიროთ იცნეს ახალ-ახალ დაბრკოლებების შექმნა ქალაქში დასახლებისა და საკუთარ სახელოსნოს გახსნის გასაძნელებლათ.

მემამულეთა ტირანობა, ხელქვეითების შევიწროვება წლითი-წლობით იზრდებოდა, რამაც მრავალი მათი ქვეშევრდომი აიძულა გამწარებულ ცხოვრებას გაქცევოდა და მათხოვრობისა, მაწანწალობისა და ყაჩაღობისათვის მიეყო ხელი, რაშიაც ხელს უწყობდენ გაუვალი ტყე-ღრენი და გზების სრული უვარ-

გისობა. მრავალნი მიდიოდენ მხედრათ იმ პირებთან, ვინც მეტ სასყიდელს მისცემდა და ვისთანაც მდიდარი დავლა უღიმოდათ. გაჩნდა მრავალი მაწანწალა (ლუმპენპროლეტარი) ორივე სქესისა. იგი რისხვათ მოევლინა ქვეყანას. ეკლესია ერთგულათ უწყობდა ხელს საყოველთაო გათახსირებას. სასულიერო წოდების უცოლობა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი გახდა გარყვნილების გაძლიერებისა. ამასვე უწყობდა ხელს იტალიასთან და კერძოთ რომთან განუწყვეტელი კავშირი, მიმოსვლა.

რომი ითვლებოდა ქრისტიანობის სატახტო ქალაქათ, მარა, როგორც პაპის რეზიდენცია და ერთგული მიმდევარი თავის წარმართული წარსულის, იგი მეორე ბაბილონს, გარყვნილების უმაღლეს სკოლას წარმოადგენდა ევროპაში და პაპის სასახლეს რომში პირველი ადგილი ეჭირა ამ მხრივ. რომის იმპერიამ თავის დაცემის შემდეგ, ქრისტიანულ ევროპას უანდერძა ყველა თავის ბიწიერებანი. ისინი ვითარდებიან იტალიაში და იქიდან სასულიერო წოდების წყალობით, რომელსაც მუდმივი მისვლა-მოსვლა ქონდა რომთან, სწრაფათ ვრცელდებიან გერმანიაშიაც. მრავალ-რიცხოვანი სამღვდელოება, შემდგარი უმეტესათ მამაკაცებისაგან, რომელთაც უსაქმურ, განცხრომით ცხოვრებისა და იძულებით უცოლობის გამო, ძალზე განვითარებული ქონდათ სქესობრივი მოთხოვნილება, —ამ მოთხოვნილებას არა-კანონიერი, არა-ბუნებრივი გზით იკმაყოფილებდა და ამით შეჰქონდა გარყვნილება საზოგადოების ყოველ წრეებში. სამღვდელოება საშიში შეიქნა, როგორც ჭირი ქალთა საზოგადოებისათვის ქალაქათ და სოფლათ. ქალებისა და კაცების მონასტრები, რომელთა რიცხვი ლეგიონი იყო, ძლიერ ხშირათ მხოლოდ იმით განსხვავდებოდენ საროსკიპო სახლებისაგან, რომ იქ, მონასტერში უფრო თავ-აშვებულ და აღვირ-წახსნილ სცენებს ქონდა ადგილი. აუარებელი დანაშაულობანი, განსაკუთრებით კი ახლათ-შობილთა მოკვლა, ძლიერ ხშირი და ადვილი დასაფარავი იყო, რადგან მოსამართლეებათ ისინი იყვენ, ვისაც თვითონ პირვე-

ლი ადგილი ეჭირა ამ საერთო გარყვნილებაში. ძლიერ ხშირათ გლეხები თავიანთი ცოლებისა და ქალიშვილების დასაცველათ სულიერ მამის ხელის პოტინისაგან, ისეთ მღვდელს არ იღებდენ, რომელიც არ დათანხმდებოდა ხასის აყვანას. ამ გარემოებამ საბაბი მისცა კონსტაცის ეპისკოპოსს—ხარკი დაედვა თავის ეპარქიაში იმ მღვდლებისათვის, რომელთაც ხასები ყავდათ აყვანილი. ასეთი გარემოებით აიხსნება ის ისტორიული ფაქტი, რომ სწორეთ საშუალო საუკუნოებში, რომელნიც ჩვენი რომანტიკოსების აღწერით, კეთილ-მორწმუნეობის და ზნეობრივი სისპეტაკის ნიმუშათ უნდა ჩაითვალოს. კონსტანცის საეკლესიო კრებას, რომელიც 1414 წ. მოხდა, 1500-დე როსკიპი, მომღერალი და კომედიანტი ქალი დაესწრო.

ასეთი ზნე-ჩვეულება საშუალო საუკუნოებში კი არ აღორძინებულა, არა, იგი უფრო ადრეც დაიწყო და განუწყვეტელ საჩივრებსა და განკარგულებებს იწვევდა. ჯერ კიდევ 802 წელს კარლოს დიდმა გამოსცა განკარგულება, რომელშიაც ნათქვამია: „ქალთა მონასტერი სასტიკათ უნდა იქნეს დაცული, მონოზნები არ უნდა დასეირნობდენ აქეთ-იქით, არამედ უნდა დაცულ იქნენ დიდის ერთგულებით; შფოთი და განხეთქილება არ უნდა ქონდეთ ერთმანეთთან; მორჩილებით უნდა ასრულებდენ იღუმენისა და წინამძღვრის განკარგულებებს. საცა მონასტერს განსაზღვრული წესები აქვს, იქ ყოველ შემთხვევაში სისწორით უნდა აღასრულონ ისინი. არ უნდა მიეცენ გარყვნილებას, ქეიფს, ანგარებას, არამედ ყოველ-მხრივ წყნარ და წესიერ ცხოვრებას უნდა ატარებდენ. მამაკაცს შეუძლია მხოლოდ მღვდელთ-მსახურების დასასწრებლათ შევიდეს ქალთა მონასტერში და ლოცვის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა დასტოვოს იქაურობა“. 869 წლის განკარგულებაში შემდეგი ადგილია: „თუ მღვდელს რამდენიმე ცოლი ყავს, ან ქრისტიანთა ან წარმართთა სისხლსა ღვრის, ან კანონიურ (საეკლესიო) წესებს არღვევს,—მათ უნდა ჩამოერთვათ მღვდელთ-მსახურების უფლება, რადგან ასეთები ერის კაცებზე უარესები არიან“. თუ იმ დროს საჭირო ხდებოდა აეკრძალათ მღვდლე-

ბისთვის რამდენიმე ცოლის ყოლა, აქედან ის დასკვნა შეგვიძ-ლიან გამოვიტანოთ, რომ ჯერ კიდევ IX საუკუნეში მრავალ-ცოლიანობა იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. მართლაც და იმ დროს არ არსებობდა ამის საწინააღმდეგო კანონები.

შემდეგ XII და XIII საუკუნეშიაც კი, მინეზენგერების დროს, რამდენიმე ცოლის ყოლა საძრახისათ არ ითვლებოდა, ასე, მაგალ. ალბერტ იოგანსდორფის ერთ ლექსში, „Minnesangsfrühling"-ის კრებულში შემდეგი ადგილია:

„განა სასირცხოა
პატიოსან ქმარსა
ორი ცოლი ყავდეს?
მაგრამ რის უფლებაც
მამაკაცს ეძლევა,
ეკრძალება ქალსა".

განსაკუთრებით საბედისწერო იყო ზნეობრივ პირობებისთვის ჯვაროსანთა ომები, რომელთა წყალობით ასი ათასობით მამაკაცი წლითი-წლობით მოშორებული იყო სამშობლოს და ეცნობოდა ბიზანტიის იმპერიის ზნე-ჩვეულებებს, რომელიც იქამდე თითქმის სრულიად უცნობი იყო დასავლეთ ევროპისათვის.

დედაკაცის მდგომარეობა იმან უფრო გააუარესა, რომ ერთი მხრით დასახლ-კარება და დაქორწინება მეტის-მეტათ გაძნელდა, მეორე მხრით კი ქალების რიცხვი ბევრათ აღემატებოდა მამაკაცისას. ამის მიზეზათ უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაითვალოს ხანგრძლივი ომები, ბრძოლა, თავდასხმები და საეკლო მოგზაურობის ხიფათიანობა იმ დროში; შემდეგ ის, რომ თავ-აშვებული ცხოვრებისა და განუწყვეტელი ლოთობისაგან, მამაკაცებში ძლიერ ხშირი იყო სიკვდილი. ეს მოვლენა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდებოდა შავი ჭირის დროს, რომელიც ევროპის ხშირი სტუმარი იყო საშუალო საუკუნეებში და, რომელიც კარგ ნიადაგს პოულობდა მაშინდელ საერთო გარყვნილებაში. 1326-დან 1400 წლამდე 32-ჯერ

ეწვია შავი ჭირი ევროპას, 1400—1500 წ. 41-ჯერ და 1500—1600 წლებში 30-ჯერ*).

მრავალი ქალი დაეხეტებოდა შარა-გზებზე, როგორც ფოკუსნიკი, მომღერალი ან კომედიანჩიკი. მოგზაურ შეგირდების და დაბალ სამღვდელოების პირთა თანხლებით, საბაზრო ადგილები, იარმუკები, სავსე იყო ასეთი ქალებით. მეომართა კლასში (ლანდსკნეხტები) ისინი საკუთარ რაზმს აარსებდენ თავიანთი უფროსით და თანამედროვე ამქრული წესების თანახმათ, თავიანთ შორისაც ამქრულ ორგანიზაციას აწყობდენ: თვითეულს თავისი თანამდებობა ქონდა მიცემული სილამაზისა და ხნოვანების მიხედვით. ვინც ამ წრის (ჯარის) გარეშე დაიჭერდა ვისმესთან კავშირს, მას სასტიკი სასჯელი მოელოდა. ბანაკში მეურმეებთან ერთათ უნდა ეზიდათ თივა, ჩალა და შეშა, ამოევსოთ თხრილები, ტბები და ორმოები, ეზრუნათ ბანაკის სისუფთავეზე და სხვ. იერიშის დროს მათ უნდა ამოევსოთ თხრილები ფიჩხით, ტოტებით, რომ გაეადვილებინათ იერიშით მისვლა მტერზე; ისინი ეხმარებოდენ აგრეთვე პოზიციებზე ზარბაზნების დადგმაში და მათ გადატან-გადმოტანაში, როცა ურმები ჩაეფლობოდენ მოუკენჭავ გზებში.

რომ ცოტათი მაინც შეესუსტებინათ ამ აუარებელ დედაკაცთა სიღარიბე და უმწეო მდგომარეობა, XIII საუკუნის ნახევარში ბევრ ქალაქებში მოაწყვეს ეგრეთ წოდებული ბეტტინოვის თავშესაფარები, რომელნიც ქალაქის თვითმართველობის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდენ. მათ ათავსებდენ ასეთ თავშესაფარებში და აიძულებდენ პატიოსნურათ ეცხოვრათ, მარა ვერც ასეთმა თავშესაფარებმა და ვერც დედათა მონასტრების სიმრავლემ, ვერ შესძლეს ყველა გაჭირვებულთა დატევა.

ქორწინების დამაბრკოლებელი პირობები, საერო და საეკლესიერო მფლობელთა მოგზაურობანი სხვა-და-სხვა ქალაქებში თავიანთი მხლებლებით, რაინდებით და მოსამსახურეებით, ახალგაზრდობა, რომელიც ქალაქებში ცხოვრობდა, უკანასკნე-

*) Dr. Karl Bücher: „Die Frauenfrage im Mittelalter". Leipzig 1882 წ.

ლათ თვით ცოლიანებიც, რომელნიც ცხოვრების სიტკბოებისათვის სრულიადაც არ თაკილობდენ ოჯახის გარეშე საქმის დაჭერას სხვა ქალებთან,—ყველა ამ პირობებმა შექმნა საშუალო საუკუნოების ქალაქებში პროსტიტუციის საჭიროება და, რადგანაც იმ დროს ყოველგვარი ხელობა ამქრულ წესზე იყო მოწყობილი, ამიტომ პროსტიტუციაც ამ წესებს დაუმორჩილეს. ყველა დიდ ქალაქებში დაარსდა საროსკიპო სახლები, როგორც ქალაქისა, სახელმწიფო ანუ საეკლესიო პრივილეგია. წმინდა შემოსავალი ასეთ დაწესებულებიდან ერთ-ერთ მათგანის სალაროში მიდიოდა. თვითეულ დაწესებულებაში ქალები ირჩევდენ უფროსს, ხელმძღვანელს, რომელიც იცავდა მათში დისციპლინას, წესრიგს და განსაკუთრებით კი იმას, რომ ამქრის გარეშე მყოფ მოქიშპე ქალებს, ეგრეთ წოდებულ „კურდღლებს“ ზარალი არ მოეტანა ამ დაკანონებულ ხელობისათვის. დამნაშავეს თუ დანაშაულის ჩადენის დროს მოასწრებდენ, მთავრობა დასჯიდა. ასე, მაგალ. ნიურენბერგის ერთი საროსკიპო სახლი ჩივის მაგისტრატთან თავიანთ მოქიშპეებზე, რომ სხვა სახლებშიაც ყავთ ქალები, რომლებიც ღამით ქუჩაში დაიარებიან და იტყუებენ ცოლიანებს და უცოლოებს; ისინი ამას უფრო ფართეთ, უფრო დაურცხვენლათ სჩადიან, ვიდრე ჩვეულებრივ საროსკიპო სახლები და პირდაპირ სირცხვილია, რომ ასეთ ღირსეულ ქალაქში ამგვარ მოვლენას აქვს ადგილი*). საროსკიპო სახლებს განსაკუთრებულ მფარველობას უწევენ; მის ახლო მომხდარ უწესოებისათვის ორჯელ უფრო სასტიკი სასჯელი იყო დადებული. ამ ამქრის (საროსკიპოს) წევრებს უფლება ქონდათ, სხვა ამქრებთან ერთათ მონაწილეობა მიეღოთ პროცესიებში და დღესასწაულებში, მათ ხშირათ მიიპატიჟებდენ ხოლმე სტუმრათ დიდი მფლობელნი, თავადნი და ქალაქის საბჭონი. საროსკიპო სახლები საუკეთესო საშუალებათ ითვლებოდა „ოჯახისა და გაუთხოვარ ქალთა პატიოსნების დასაცველათ“. ამ საბუთით ამართლებდენ ძველათ ათინაში სახელმწიფო საროსკიპო სახლების არსებობას და დღე-

*) Dr. Bücher: ibid.

საც ამით ასაბუთებენ პროსტიტუციის საჭიროებას. მარა ამავე დროს პროსტიტუციის დევნასაც ძალიან ხშირათ ქონდა ადგილი იმავე მამაკაცების მხრით, რომლებიც თვითონვე ავითარებენ პროსტიტუციას ფულით და გარყვნილებით. იმპერატორმა კარლოს დიდმა ბრძანება გამოსცა, რომლის ძალით მეძავი ქალი შიშველი უნდა გამოეთრიათ მოედანზე და გაეწკეპლათ. და თვით ამ უუქრისტიანეს მეფეს და იმპერატორს კი ექვსამდე ცოლი ყავდა და მისი ასულნიც, ალბათ, მამის მაგალითით წაბამამებულნი, სათნოების და ზნეობის დიდი დამცველნი და მომხრენი არ ყოფილან. თავიანთი ყოფაქცევით ბევრ უსიამოვნებას აყენებდენ მამას და მრავალი უკანონო შვილის-შვილებიც შესძღვნეს. ალკუინი, კარლოს დიდის მეგობარი და მრჩეველი, აფრთხილებდა თავის მოწაფეთ „გვირგვინოსან მტრედებისაგან, რომელნიც პფალცზე გადმოფრინდებიან ხოლმე ღამით“,—და ამ სახელის ქვეშ იგი მეფის ასულებს გულისხმობდა.

ის თემებიც კი, რომელნიც ოფიციალურათ აწყობდენ და მფარველობას უწევდენ საროსკიპო სახლებს და ყოველგვარ უპირატესობას ანიჭებდა ვენერას მსახურთ, ამავე დროს უსასტიკეს და მკაცრ სასჯელს უჩენდენ მოტყუებულ და თავმინებებულ ქალიშვილებს. სასოწარკვეთილების გამო შვილის მომკვლელს საშინელი სასჯელი მოელოდა, გათახსირებულ მის შემცდენს კი არავინ აწუხებდა. შესაძლებელია ის მსაჯულთა შორისაც ბრძანდებოდა, რომელთაც სიკვდილის განაჩენი გამოქონდათ ამ უბედურ მსხვერპლისათვის. ასეთი ამბები ახლაც ხშირია*), ღალატი ცოლის მხრივ სასტიკათ ისჯებოდა; დამნაშავე ქალს ყოველ შემთხვევაში სამარცხვინო ბოძი მოელოდა,

*) Joh. Scherr: „Geschichte der deutschen Frauenwelt. 4. Auflage Leipzig. 1879. ლ. რიშე „La femme libre“-ში შემდეგ ამბავს მოგვითხრობს: „პარიჟში ერთ მოსამსახურეს სასჯელი გადაუწყვიტეს შვილის მოკვლისათვის, თვით მისი შვილის მამამ, კეთილმორწმუნე ვექილმა, რომელიც ნაფიც მსაჯულათ ბრძანდებოდა. კიდევ უარესი, ეს ვექილი თურმე თვითონ იყო მკვლელი და დედა მისი კი სრულიად უდანაშაულო, როგორც თვითონ ქალმა აღიარა სასამართლოს წინაშე განაჩენის გამოტანის შემდეგ“.

ქმრის მხრით ღალატს კი ქრისტიანული სიყვარულის მანტიით ფარავდენ.

ვიურცბურგში საროსკიპო სახლის პატრონი ფიცს დებდა მაგისტრატის წინაშე: „ქალაქის ერთგული ვიქნები, ალერსიანი და ყოველ ქვეყნიდან მოვკრეფ ქალებსო“. ასე იყო სხვა ქალაქებშიაც: ნიურენბერგში, ულმაში, ლეიპციგში, კელნში, ფრანკფურტში და სხვ... ულმაში 1537 წელს დახურეს საროსკიპო სახლები, მარა 1551 წელს ამქრებმა მოითხოვეს მათი ხელ-ახლა გახსნა უფრო საშინელი ბოროტების თავიდან ასაცილებლათ. დიდებულ უცხოელ სტუმრებს, მეძავ ქალებს ქალაქის ხარჯით მიგვრიდენ ხოლმე. როდესაც 1452 წ. მეფე ვლადისლავი მიუახლოვდა ვენას, მის შესახვედრათ მაგისტრებმა მეძავი ქალების დეპუტაცია გაგზავნეს; ქალები მხოლოდ თხელი დოლბანდებით იყვენ შემოსილი და შიგ ნათლათ სჩანდა სხეულის მშვენიერი მოყვანილობა. სწორეთ ასევე შეხვდენ მეფე კარლოს V-ს ქ. ბრიუგეში შესვლის დროს, თითქმის მთლათ ტიტველი ქალიშვილები, ჰანს მაკარტს ეს სცენა დიდებულათ აქვს გადატანილი ტილოზე და ეს სურათი გამბურგის მუზეუმში ინახება. ასეთი სცენები იმ დროს არავის ეუცხოვებოდა.

## 4. რაინდობა და ქალის პატივისცემა.

ფანტაზიით მდიდარი რომანტიკოსნი და გაიძვერა ანგარიშიანი ადამიანები სცდილობდენ, განსაკუთრებით მაღალზნეობიან და დედაკაცისადმი ღრმა, ჭეშმარიტ პატივისცემით გამსჭვალულ ხანათ დაეხატათ საშუალო საუკუნოები. ამას ხელი შეუწყეს მინენზენგერლებმა (სიყვარულის მომღერალნი XII და XIV საუკუნ.). სიყვარულის თავგანწირული სამსახური, რაიცა რაინდებმა ისპანიის მავრებისაგან შეისწავლეს, იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, თუ რა დიდი პატივისცემით სარგებლობდა დედაკაცი იმ დროს. აქ უნდა მხედველობაში მივიღოთ შემდეგი გარემოებები; ჯერ ერთი, რომ რაინ-

დები შეადგენდენ სულ მცირე ნაწილს მცხოვრებლებისას და ამის შესაფერათ რაინდთა გულის მპყრობელნიც სულ მცირე პროცენტს წარმოადგენდენ ქალთა საერთო რიცხვთან შედარებით; მეორეთ, რაინდთა შორისაც მხოლოდ უმცირესი ნაწილი მისდევდა ამ სანაქებო სიყვარულის სამსახურს; მესამეთ, ნამდვილი შინაარსი სიყვარულის ასეთი სამსახურისა, სწორეთ არა აქვთ გაგებული მის მაქებართ ან ძალათ ამახინჯებენ. სიყვარულის ასეთი სამსახურის ეპოქა გერმანიაში **ტლანქი მუშტის უფლების ხანა იყო,** როდესაც ყოველგვარი წესების კანონი უარყოფილი იყო და რაინდობა თავ-შეუკავებლათ მისდევდა შარა-გზებზე ძარცვა-გლეჯასა და დარბევას. ასეთი ტლანქი ძალმომრეობის ხანას, როგორლაც არ შეეფერება ნაზ და პოეტურ გრძნობების ბატონობა. პირიქით, ეს ხანა განსაკუთრებით ხელს უწყობდა იმ პატივისცემის დაკარგვას დედაკაცისადმი, რომელიც მანამდე არსებობდა. რაინდობა, როგორც ქალაქში, ისე სოფლათ, მეტ ნაწილათ გაუთლელ, ხეპრე და გარყვნილ ახალგაზრდობისაგან შესდგებოდა, რომელთა კეთილშობილური ლტოლვილება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ დუელში იწვევდენ ერთმანეთს, ქეიფობდენ და თავ-აშვებულ სქესობრივ ინსტიქტებს ყოველ მიზეზის გარეშე იკმაყოფილებდენ. იმ დროის მემატიანეებს საკმარისზე მეტი ცნობები აქვთ მოთხრობილი ძალადობით გახრწნასა და ძალმომრეობაზე, რომელსაც თავად-აზნაურობა სჩადიოდა სოფელ-ქალაქებში, სადაც მათ მე-XIII და ზოგან XIV—XV საუკუნოებშიაც ხელიდან არ გაუშვიათ ქალაქის თვითმართველობები. ძალმომრეობის მსხვერპლთ იშვიათათ შეეძლოთ სამართალი მოეპოვებიათ, რადგან ქალაქში მსაჯულებათ იგივე თავად-აზნაურები იყვენ, და სოფლათაც სისხლის სამართლის გაჩენა მემამულის ხელში იყო. ამნაირათ, მეტის-მეტი გაზვიადებაა იმის თქმა, ვითომ თავად-აზნაურობა და მემამულეები ასეთ უფლებრივ ურთიერთობის დროს, დიდი პატივისცემით ეპყრობოდენ დედაკაცს და ხელით ატარებდენ მას, როგორც რაღაც უმაღლეს არსებას.

რაინდთა უმნიშვნელო უმცირესობა, ერთი შეხედვით, მართლაც ოცნებობდა დედაკაცის სილამაზეზე, მარა ასეთი ოცნება სულაც არ იყო პლატონიური, მას სულ სხვა რეალური მიზნები ქონდა სარჩულათ. თვით სასაცილო ულრიხ ფონ-ლიხტენშტეინი, ეს ოინბაზი ქალთა სილამაზის მეოცნებე მომღერალთა შორის, მხოლოდ იმ დრომდე იყო პლატონიკი, სანამ იძულებული იყო ასეთი როლი ეთამაშა. არსებითათ, სიყვარულის ასეთი სამსახური, ეს შეყვარებულთა გაღმერთება კანონიერ ცოლის მაგიერ, იგივე პერიკლის დროინდელი ბერძნული **გეტერიზმი იყო, საშუალო საუკუნეთა ქრისტიანულ ნიადაგზე გადმოტანილი**. რაინდობის ხანაში გავრცელებული „სიყვარულის სამსახურიც“, ხშირათ ერთმანეთის ცოლების შეცდენაში გამოიხატებოდა. ასეთი „სიყვარული“ ახლაც გავრცელებულია ბურჟუაზიის ცნობილ წრეებში.

ეპვს გარეშეა, სქესობრივი გრძნობების აშკარათ გამოთქმა იმ დროში, იმის დამამტკიცებელი იყო, რომ ამ ბუნებრივ მოთხოვნილებას, რომელიც ყოველ მოწიფულ და საღ ადამიანშია ჩამარხული, სრული უფლება აქვს თავი დაიკმაყოფილოს. ამ შემთხვევაში აქ საღი ბუნება ამარცხებს ქრისტიანულ ასკეტიზმს. მეორე მხრით, საჭიროა ხაზი გაუსვათ, რომ ასეთი გულახდილობა მხოლოდ ერთი სქესის კუთვნილება იყო, მეორე სქესს კი ისე უყურებდენ, თითქო მას არც შეეძლო და არც უნდა ქონოდა ასეთი მოთხოვნილებები. მამაკაცებისაგან ნაკარნახევ სრულიად უმნიშვნელო მორალური კანონის დარღვევაც საკმაო იყო, რომ დედაკაცი სასტიკათ დაესაჯათ. და ქალებმაც ხანგრძლივი ჩაგვრისა და უკულმართი აღზრდის წყალობით, ისე შეითვისეს და შეისისხლხორცეს თავის მბრძანებელთა მონური იდეები, რომ ასეთი მდგომარეობა დღესაც კი ბუნებრივ მოვლენათ მიაჩნიათ.

განა მილიონობით არ მოიპოვებოდა ისეთი მონები, რომელნიც მონობას ბუნებრივ მოვლენათ თვლიდენ და რომელნიც ვერასოდეს ვერ გაინთავისუფლებდენ თავს, თუ ისევ მონათ-მფლობელთა კლასიდან არ მოვლენოდათ განმათავისუფ-

ლებელი? როდესაც შტეინს განმათავისუფლებელი რეფორმები გაეკეთა, განა თვით პრუსიელი გლეხები არ უდგენდენ მთავრობას პეტიციებს, რომ ბატონ-ყმობა დარჩენილიყო ძალაში, „რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღა იზრუნებს ჩვენზე მოხუცებისა და ავათმყოფობის დროსო?..“ განა ახლა კი არ აქვს ადგილი ასეთ შემთხვევას მუშათა მოძრაობაში? რამდენი მუშა აძლევს ნებას თავის ექსპლოატატორებს, გავლენა იქონიონ მათზე და ხელმძღვანელობა გაუწიონ მათ!

დაჩაგრულს ესაჭიროება ამოძრავება და ამხედრება, რადგან მას ინიციატივისთვის საჭირო დამოუკიდებლობა არ მოეპოვება. ასე იყო თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობაშიც და ასეა დედაკაცის განმათავისუფლებელ ბრძოლაშიაც. თვით ბურჟუაზიასაც კი, რომელიც შედარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თავად-აზნაურებისა და სამღვდელოების წრიდან გამოსულმა ხელმძღვანელებმა გაუკვალეს გზა.

საშუალო საუკუნოებს ბევრი ნაკლი ქონდა, მარა მაშინდელი ხალხი საღი გრძნობა-სურვილის პატრონი იყო, რაიცა პირდაპირ გამომდინარეობდა მათი მხიარული, სიცოცხლით სავსე ბუნებიდან. ქრისტიანობამ ვერ შესძლო მისი ჩახრჩობა. თანამედროვე ფარისეველური მორცხვობა და ფარული გარყვნილება ჩვენი დროის შვილთა, რომელთაც ეშინიათ საგანს თავისი ნამდვილი სახელი უწოდონ და ბუნებრივათ ილაპარაკონ სრულიად ბუნებრივ საგანზე,—მათთვის უცხო იყო. მათ არ იცოდენ ორ-აზროვანი სიტყვებით მითითება ისეთ საგანზე, რომლის აშკარათ დასახელება ბუნებრივობის უქონლობისა და ყალბი მორცხვობის გამო ვერ გაუბედნიათ. ასეთი ენა უფრო საშიშია, რადგან იგი მხოლოდ აღელვებს და არ დააკმაყოფილებს. ის აიძულებს მხოლოდ აზრში გაივლოს და აშკარათ კი არ გამოითქვას. ჩვენი სჯა-ბაასი საზოგადოებაში, ლიტერატურული ნაწერები, თეატრი და სხვ., სავსეა ასეთი ორ-აზროვნობით და აკი შედეგიც თვალწინაა. ეს გარყვნილების სპირი-

ტუალიზმია, რომელიც რელიგიოზურ სპირიტუალიზმს ამოფარებია და საშიშ ძალას წარმოადგენს დღეს.

## თავი V.

## რეფორმაცია.

### 1. ლიუტერი.

საშუალო საუკუნოების საღმა სქესობრივმა სურვილებმა, კლასიკური გამოხატულება იპოვა ლიუტერში. ჩვენ აქ ვგულისხმობთ უმთავრესათ ლიუტერს, როგორც ადამიანს, ვინემ როგორც სარწმუნოებრივ რეფორმატორს. ლიუტერში, როგორც ადამიანში, გამოიყურება ხელ-უხლებელი, შეუბღალავი ბუნება, სრულიად დაუმახინჯებელი; ის აიძულებდა მას, პირდაპირ და სისწორით გამოეთქვა თავისი მოთხოვნილება სიყვარულსა და ცხოვრების სიტკბოებაზე. რომის მღვდლათ ყოფნამ აუხილა მას თვალები. მან პრაქტიკულათ თავის თავზე გამოსცადა და შეიგნო ბერ-მონაზონთა ცხოვრების არა ბუნებრივობა. ამიტომ იყო, რომ ის ისე გაცხარებით და გესლიანათ კიცხავდა ბერ-მონაზონთა და სამღვდელოების უცოლობას. მისი სიტყვები ახლაც ზედ-გამოჭრილია იმ ვაჟბატონებზე, რომელთაც საჭიროთ მიაჩნიათ სცოდონ ბუნების წინაშე და თავიანთ შეხედულებით, მორალურ კანონებსა და ზნეობაზე ადვილათ ურიგდებიან ისეთ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც მილიონობით ადამიანს საშუალებას არ აძლევს, რომ ბუნებრივი დანიშნულება შეისრულოს. ლიუტერი ამბობს: „დედაკაცი, თუ ის ზეცისგან არ არის იშვიათი წყალობით დაჯილდოვებული, ვერ შესძლებს უმამაკაცოთ ცხოვრებას ისე, როგორც უსაჭმლოთ, უძილოთ და სხვა ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლათ; მეორე მხრით, არც მამაკაცს შეუძლია უქალოთ ცხოვრება, მიზეზი ისაა, რომ შვილების ყოლის მოთხოვნილება იმდენათვე ღრმათაა დამარხული ადამიანის ბუნებაში, როგორც ჭამა-სმის.

ამიტომ ღმერთმა დააჯილდოვა სხეული ასოებით, საშოთი, თესლით და ყველა იმით, რაც ამ ბუნებრივ მოვლენას ემსახურება. ვინც ამას ეწინააღმდეგება და არ აძლევს მსვლელობას, როგორც ბუნება მოითხოვს, მას უნდა, რომ ბუნება ბუნებათ არ იყოს, რომ ცეცხლი არ სწვავდეს, წყალი არ ასველებდეს, ადამიანი არ სჭამდეს, არ სვამდეს და არ იძინებდეს". თავის ქადაგებაში ცოლ-ქმრულ ცხოვრებაზე ის ამბობს: „როგორც მე არა მაქვს ძალა, რომ მამაკაცის სახე არ მქონდეს, ასევე შენზე არაა დამოკიდებული, რომ უმამაკაცოთ ცხოვრება შესძლო, რადგანაც ეს თავისუფალი თვითნებობა და ბჭობა კი არ არის, არამედ აუცილებელი და ბუნებრივი მოვლენაა, რომ ყველა, ვინც მამაკაცია, საჭიროებს დედაკაცს და დედაკაცი კი—მამაკაცს". ლიუტერი მარტო ცოლ-ქმრულ ცხოვრებისა და სქესობრივი შეერთების აუცილებლობაზე კი არ ლაპარაკობს ასე ენერგიულათ, ის ამტკიცებს აგრეთვე, რომ ქორწინებასა და ეკლესიას შორის, არაფერი არ არის საერთო. ამ მხრით ის იმ ძველი დროის შეხედულებას ადგია, როდესაც ქორწინება მასში მონაწილეთა თავისუფალ ნება-ყოფლობაზე იყო დამყარებული და ეკლესიას მასთან საქმე არ ქონდა. აი რას ამბობს ის ამ საგანზე: „იცოდე, რომ ქორწინება გარეგანი ფორმაა, როგორც სხვა ყველა საერო მოქმედება და თუ მე შემიძლიან წარმართთან, ებრაელთან, თურქთან, მწვალებელთან ერთათ ვჭამო, ვსვა, ვიძინო, ვიარო, ვიყიდო, ვისაუბრო და ვივაჭრო, **ასევე შემიძლიან ვიქორწინო და ქორწინებაში ვიცხოვრო მასთან. და შენ არ გეხება სულელთა კანონები, რომელნიც უარყოფენ ამას...** წარმართი მამაკაცი და დედაკაციც ღვთის შექმნილია ისე წესიერათ და კარგათ, როგორც წმ. პეტრე, პავლე, ლუკა და სხვ. გამოფუყებულ და ფარისეველ ქრისტიანსაც რომ თავი დავანებოთ". შემდეგ ლიუტერი სხვა რეფორმატორებივით, ხმას იმაღლებს ქორწინების ყოველგვარ შეზღუდვის წინააღმდეგ და თავისუფალ ქორწინების ნებართვას მოითხოვს გათიშულთათვისაც, რის წინააღმდეგაც გაილაშქრა ეკლესიამ. ის ამბობს: „თუ როგორ

უნდა შევხედოთ ცოლ-ქმრობის საქმეს და მათ გათიშვას, ამაზე მე ვამბობდი, **რომ ეს უნდა მიენდოს იურისტებს და გადაეცეს საერო მმართველობას, რადგან ცოლ-ქმრული მდგომარეობა სავსებით საერო გარეგნული მდგომარეობაა“.** ამის გამო, საეკლესიო გვირგვინის კურთხევა პროტესტანტებში, მხოლოდ XVII საუკუნის გასულს გახდა აუცილებლათ საჭირო ქორწინების კანონიერებისათვის. მანამდე კი ალიარებდენ ეგრეთ წოდებულ სინდისიერ ქორწინებას, ე. ი. უბრალო პირობის დადებას ერთმანეთ შორის, რომ ერთმანეთს ისე უყურონ, როგორც ქმარსა და ცოლს და ერთათ იცხოვრონ ცოლ-ქმრულ ცხოვრებით. ნემეცთა უფლებით ასეთი ქორწინება კანონიერათ ითვლებოდა. ლიუტერი კიდევ შორს მიდიოდა და უფლებას უტოვებდა თვითეულ მხარეს, რომელიც დაკმაყოფილებას ვერ ჰპოვებდა მეუღლისაგან, თუნდაც ასეთი მხარე ცოლი ყოფილიყო, ქორწინების გარეშე ეძებნა „თავის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რადგან მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა“ *). ლიუტერმა ისეთი დებულებები წამოაყენა, რომლებმაც ძლიერი აღშფოთება უნდა გამოიწვიონ თანამედროვე პატივცემულ ცოლ-ქმართა უმეტესობაში, რომელთაც ასე უყვართ ლიუტერის ხსენება თავის პატიოსნების დასამოწმებლათ. თავის „ცოლ-ქმართა ცხოვრების“ ტრაქტატში (II, 46 იენა 1522 წ.) ის ამბობს: „თუ ჯან-ღონით სავსე ცოლი შეხვდა სუსტ ქმარს და არ შეუძლია აშკარათ აიყვანოს სხვა და არც სურს ხელ-მეორეთ იქორწინოს სხვაზე, მან ასე უნდა მიმართოს თავის ქმარს: „ხომ უყურებ, საყვარელო მეუღლევ, რომ შენ არ შეგიძლიან მომცე ის, რაც მესაჭიროება, შენ მოგვატყუე მეც და ჩემი ახალგაზრდა სხეულიც და მასთან ერთათ საშიშ ჰყავ პატივი და პატიოსნება, და ჩვენ ამით სულაც არ დაგვიდვია პატივი ღვთისათვის, ახლა ნება მომეცი შენი ძმა ან ახლო მეგობარი ავიყვანო საიდუმლოთ და შენ კი მომცემ სახელს **რომ შენი მემკვიდრეობა არ გა-**

*) Dr. Karl Hagen: Deutschlands literarische und religiöse Verhältnisse im Reformationszeitalter. Frankfurt a. m. 1888.

**დავიდეს სხვა მემკვიდრეებზე და ნება მომეცი მოგატყუო ჩემი ნებით, როგორც შენ მომატყუე უნებლიეთ“.** ქმარი, განაგრძობს ლიუტერი, მოვალეა დაეთანხმოს ამაზე. „თუ არ დაეთანხმება, ქალს სრული უფლება აქვს—გაიქცეს სხვა მხარეს და წაყვეს სხვას. მეორე მხრით, თუ ცოლს არ უნდა შეასრულოს მეუღლის მოვალეობა, ქმარს უფლება აქვს სხვა ქალთან დაიჭიროს კავშირი, მხოლოდ წინდაწინვე უნდა აცნობოს ეს ცოლს“ *). როგორც ხედავთ, დიდებული რეფორმატორი ქადაგებს ჩვენი ფარისევლური და ყალბი მორცხვობით მდიდარი დროისთვისაც მეტათ რადიკალურ და უზნეო შეხედულებას.

ლიუტერმა გამოაქვეყნა მხოლოდ ის, რაც იმ დროში ხალხის შეხედულებას შეადგენდა. აი რას გვაუწყებს იაკობ გრიმმი**):

„თუ ქმარს თავის ნებით ვერ მოუხერხებია სიამოვნებით ცხოვრება ცოლთან, გადაიყვანოს მან იგი ზურგით ფრთხილათ ცხრა ნაბიჯის მოშორებით თავის სახლიდან და ფრთხილათ ჩამოსვას იქ, რომ არც მუჯლუგუნი, არც ჩხუბი, არც ცემა, არც ავი სიტყვა და არც ბღვერით ყურება არ დაუწყოს; დაუძახოს თავის მეზობელს, რომ მან ნუგეში სცეს მწუხარებაში მყოფს და თუ მეზობელი ამაზე უარს ეტყვის, მოვალეა ცოლი თვისი გაგზავნოს მომავალ უახლოეს იარმუკაზე (ბაზრობაზე); ქალი მორთულ-მოკაზმული უნდა იყოს, ქმარი მოვალეა ოქრომკედით მოქარგული ჩანთა ჩამოკიდოს მხარზე, რომ ცოლს შეეძლოს იყიდოს, რაც ესაჭიროება; და თუ ესეც არას უშველის, ეშმაკსაც წაუღია მისი თავი“.

საშუალო საუკუნოების გლეხს, ქორწინებით მხოლოდ მემკვიდრის შეძენა უნდოდა და თუ თვითონ უძლური იყო ამ საქმისთვის, ის, როგორც პრაქტიკული ადამიანი, დამშვიდებული სინიდისით უთმობდა სხვას ამ სიამოვნებას, ოღონდ მიზნისთვის მიეღწია და სიკვდილის შემდეგ მემკვიდრე დარჩე-

*) Ibid გვ. 234.

**) Deutsche Rechtsalterthümer და სხვ. გვ. 64.

ნოდა. ვიმეორებთ: საკუთრება ბატონობდა ადამიანზე და არა ადამიანი საკუთრებაზე.

ლიუტერის თხზულებიდან და სიტყვებიდან მოყვანილი ადგილები ქორწინებაზე მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ იქ გამოთქმული აზრები სავსებით ეწინააღმდეგება დღეს ეკლესიაში გაბატონებულ შეხედულებას. სოციალდემოკრატიას სრული უფლება აქვს, სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეყრდნოს ლიუტერს, რომლის შეხედულება ქორწინების კითხვებში, სრულიად თავისუფალია ცრუმორწმუნეობისაგან.

ლიუტერი და სხვა რეფორმატორები, ქორწინების კითხვაში კიდევ უფრო შორს მიდიოდენ; მართალია ეს მოსდიოდათ ოპორტიუნიზმით, ე. ი. მფლობელ თავადთა პატივისცემით, რომლებთანაც ხანგრძლივ კეთილ-განწყობილებას ისინი საჭიროებდენ. რეფორმაციის მომხრე გესსენის ლანდგრაფ ფილიპე I-ს, კანონიერ ცოლს გარდა გულის სატრფოც ჰყავდა, რომელიც ჯვრის დაუწერლათ მასთან კავშირის დაჭერას არ თანხმდებოდა. ეს კი ძნელი საქმე იყო. ცოლის გაშვება სერიოზულ მიზეზების უქონლობით ერთ აურზაურს გამოიწვევდა, ორი კანონიერი ცოლის ყოლა კი, იმ დროის ქრისტიანისათვის არა-ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რომელიც, ეჭვი არაა, უსიამოვნებას მიაყენებდა თავადს. მიუხედავათ ამისა, შეყვარებულმა ფილიპემ უკანასკნელ საშუალებას მიმართა. საჭირო იყო მხოლოდ იმის დამტკიცება, რომ ასეთი ნაბიჯი არ ეწინააღმდეგებოდა დოგმატებს და რეფორმატორებს, განსაკუთრებით ლიუტერს და მელანხტონს მისი მხარე დაეჭირათ. ლანდგრაფმა გამართა მოლაპარაკება ბუტცერთან, რომელიც დაეთანხმა მის გეგმას და შეპირდა—ლიუტერისა და მელანხტონის დათანხმებასაც. თავის შეხედულება ბუტცერმა ასე დაასაბუთა: „რამდენიმე ცოლის ყოლა არ ეწინააღმდეგება სახარებას. პავლე მოციქული, რომელსაც ჩამოთვლილი ყავს ბევრი ისეთები, ვინც ვერ დაიმკვიდრებს სასუფეველსა ცათასა, ორ-ცოლიანებს არ იხსენიებს მათ რიცხვში; კიდევ მეტი, პავლე ამბობს, რომ „ეპისკოპოსს უნდა ყავდეს ერთი ცოლი,

აგრეთვე მოსამსახურეებსაც“. რომ საჭირო ყოფილიყო ყველასათვის მხოლოდ ერთი ცოლის ყოლა, ის ამას პირდაპირ იტყოდა და აკრძალავდა ერთზე მეტის ყოლას. ლიუტერი და მელანხტონი შეუერთდენ ამ დებულებას და მოიწონეს ორ-ცოლიანობა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც თვით ლანდგრაფის ცოლი დაეთანხმა ამაზე იმ პირობით კი, „რომ ქმარს დღეიდან უფრო მეტის ენერგიით შეესრულებია მეუღლის მოვალეობა მისდამი, ვინემ წინეთ“ *). წინეთაც, როდესაც საქმე ინგლისის მეფის ჰენრიხ VIII ორ-ცოლიანობის მოწოდებას შეეხებოდა, ეს საკითხი სისხლს უმღვრევდა ლიუტერს. ეს ნათლათა სჩანს იმ წერილიდან, რომელიც 1524 წ. მისწერა მან საქსონიის კანცლერ ბრინკს. **„პრინციპიალურათ მას, ლიუტერს, არ შეუძლია დაგმოს ორ-ცოლიანობა**, რადგან ის არ ეწინააღმდეგება სამღვთო სჯულს, მას მხოლოდ გული სტკივა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს ქრისტიანებში, რომელნიც მოვალენი არიან ზოგი რამ ნება-დართულიც კი დათმონ“. ლანდგრაფის ქორწინების შემდეგ, რომელიც მოხდა 1540 წ. მარტში, ის ასე უპასუხებს ლანდგრაფს მისგან მიღებულ სამადლობელ წერილზე: „გისურვებთ კმაყოფილი ყოფილიყოთ ჩვენ მიერ მოცემული რჩევით, **რომლის საიდუმლოთ შენახვა ძლიერ გვესიამოვნებოდა, თორემ ბოლოს და ბოლოს გაუთლელი გლეხებიც მოისურვებდენ ასეთივე**, ან უფრო მეტი საბუთების მოყვანას, რის გამო ძლიერ ბევრი სადავიდარაბო საქმე გაგვიჩნდებოდა“.

მელანხტონი უფრო ადვილათ შეურიგდა ლანდგრაფის ორ-ცოლიანობის საკითხს. მან ამაზე ადრეც მისწერა ჰენრიხ VIII-ს, რომ „თვითეულ მეფეს უფლება აქვს თავის სახელმწიფოში ჰოლიგამია შემოიღოს“. მარა ლანდგრაფის ორ-ცოლიანობამ იმდენათ ძლიერი და ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მხარეში, რომ მან 1541 წელს ბრძანება გასცა—გაევრცელებინათ ის თხზულება, რომელიც ამტკიცებდა, რომ

*) Joh. Janssen: Geschichte des deutschen Volks 1525—1555 Freiburg, i. B.

პოლიგამია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სამღვთო სჯულს*). ახლა XII საუკუნე აღარ იყო, როცა მრავალ-ცოლიანობა პროტესტს არ იწვევდა. ისიც სათქმელია, რომ გესსენის ლანდგრაფის ორ-ცოლიანობა პირველი არ იყო. ის კი არა, თავადების ორ-ცოლიანობას XVII და XVIII საუკუნეშიაც ქონდა ადგილი.

აღიარებდა-რა სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ბუნებრივ კანონათ, ლიუტერი ამით მხოლოდ ადასტურებდა იმას, რასაც ფიქრობდენ და ჩადიოდენ მისი თანამედროვენი, განსაკუთრებით მამაკაცები. რეფორმაციამ გააუქმა სამღვდელოების უცოლობა და მონასტრები პროტესტანტთა ქვეყნებში და ამით ასი-ათასობით ადამიანებს შეძლება მიეცა ბუნებრივი მოთხოვნილება კანონიერი გზით დაეკმაყოფილებია. მარა სხვა ასი-ათასებისათვის კი, არსებული ქონებრივი წესწყობილების და მის ნიადაგზე აღმოცენებული კანონების წყალობით, ასეთი დაკმაყოფილება ძველებურათ შეუძლებელი დარჩა.

რეფორმაცია ახლათ აღორძინებულ მსხვილ ბურჟუაზიის პროტესტი იყო ფეოდალთა შევიწროების წინააღმდეგ, როგორც საეკლესიო, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ სფერაში. ახლათ ფეხ-ადგმული მსხვილი ბურჟუაზიის სურვილია —გაითავისუფლოს თავი ამქრული წესებისა, სასახლისა და მემამულის კლანჭებიდან, ის მიისწრიფის სახელმწიფო ცენტრალიზაციისაკენ, ცდილობს საზღვარი დაუდვას ეკლესიებისა და მის მსახურთა უზომო სიმდიდრეს და ფუფუნებას, გააჯქმოს აურაცხელი მონასტრები, ეს ბუდე ზარმაცთა და მუქთა ხორათა, და მათი ძალაც საწარმოვო შრომაში მოიხმაროს.

ამ მხრით ლიუტერი, ბურჟუაზიის მისწრაფებათა წარმომადგენელია სარწმუნოების სფერაში. იცავს-რა ქორწინების თავისუფლებას, მას სახეში აქვს ბურჟუაზიული ქორწინება, რომელიც მხოლოდ ჩვენს დროში განხორციელდა სამოქალაქო ქორწინების და მასთან ერთათ მიმოსვლის, საცხოვრებელ

*) Joh. Janssen: იგივე თხზულება მე-III ტომი.

ადგილის არჩევის და ხელობის თავისუფლების დაკანონების გამო. თუ რამდენათ გაუმჯობესდა ამით დედაკაცის მდგომარეობა, ამაზე შემდეგ ვიტყვით. რეფორმაციის ხანაში კი ესენი არ განხორციელებულა. თუ ერთი მხრით რეფორმაციის წყალობით ბევრმა მიიღო დაქორწინების უფლება, სამაგიეროთ, მეორე მხრით თავისუფალი სქესობრივი კავშირი სასტიკათ გაძნელდა დევნის გამო. თუ კათოლიკე სამღვდელოება ყურადღებას არ აქცევდა სქესობრივ ექსცესებს, პროტესტანტთა სამღვდელოებამ უზრუნველ ჰყო-რა თავისთვის სქესობრივი ლტოლვილების დაკმაყოფილება, სასტიკი დევნა დაუწყო სქესობრივ შეცთომებს; სამეძაო სახლებს ომი გამოუცხადეს და დახურეს ისინი, როგორც „სატანის საბუდარი“; მეძავ ქალებს სდევნიდენ, როგორც „ბელზებელის ასულთ“. მემრუშე დედაკაცს სამარცხვინო ბოძზე აკრავდენ, როგორც ყოველგვარი სისაძაგლის განხორციელებას.

საშუალო საუკუნის სიცოცხლით სავსე მდაბიო მოქალაქე (მეშჩანინი), რომელიც თვითონაც სტკბება და სხვასაც ხელს არ უშლის ტკბილათ იცხოვროს, უეცრათ ღვთის მოსავ, სასტიკათ ზნეობრივ და გულჩათხრობილ შპისბიურგერათ (წვრილ ბურჟუათ) გადაიქცა, რომელიც გროშზე-გროშს ამატებს, რომ მისმა შთამომავალმა—მსხვილმა ბურჟუაზიამ აღვირწახსნილი და მდიდრული ცხოვრება ატაროს. პატიოსანი ბიურგერი თავის მაღლა შეკრული გალსტუკით, თავის ვიწრო შეხედულებით, თავის სასტიკ, მარა ფარისეველურ მორალით, ნამდვილი პროტოტიპი (წინამორბედი ტიპი) იყო საზოგადოების. კანონიერი ცოლი, რომელსაც დიდათ არ მოსწონდა საშუალო საუკუნოების კათოლიკეთა გულის-თქმის აყოლა, თანაუგრძნობდა პროტესტანტთა ასეთ პურიტანობას (თავდაჭერილობას). მარა სხვა ზოგადი პირობები, რომელთაც მეტათ ცუდი გავლენა ქონდათ გერმანიის ცხოვრებაზე, ცუდ კვალს აჩნევენ დედაკაცის მდგომარეობასაც.

## 2. რეფორმაციის შედეგები. 30 წლის ომი.

საწარმოო ურთიერთობათა, ფულის ტრიალსა და საქონლის გასაღების პირობებში მომხდარმა ცვლილებებმა, რომელიც შედეგი იყო ამერიკისა და ოსტ-ინდიაში მიმავალ საზღვაო გზის აღმოჩენის,—ძლიერი რეაქცია გამოიწვია გერმანიის სოციალურ სფერაში. გერმანიამ დაჰკარგა თავის მნიშვნელობა, როგორც ევროპის ვაჭრობის და მიმოსვლის ცენტრმა. ნეიეცთა მრეწველობა და ვაჭრობა დაცემის გზას დაადგა. ამავე დროს ეკლესიის რეფორმაციამ დაარღვია ერის პოლიტიკური მთლიანობა. ნემეცმა თავადებმა რეფორმაცია მოიმიზეზეს და მოინდომეს მეფის ხელიდან განთავისუფლება. მეორე მხრით სცდილობდენ აზნაურების დამორჩილებას და ამ მიზნით მფარველობას უწევდენ ქალაქებს. მარა, რადგან ცუდი დრო დადგა, ბევრი ქალაქი თავის ნებით დაემორჩილა თავადებს. და ბოლოს, ბიურგერობაც ეკონომიურ რეაქციით შეშინებული, შეეცადა თავიდან აეცილებია გარეშეთა არა სასურველი კონკურენცია და თავადებიც სიხარულით მიეგებენ მათ ასეთ მისწრაფებას.

საზოგადოებამ დაკარგა თავის ელასტიურობა და ამასთან ერთათ, ფეხი მოიკიდა ხალხის საერთო სიღატაკემ.

სარწმუნოებრივი ომები და დევნა, რომლითაც სარგებლობდენ თავადები თავის პოლიტიკური და ეკონომიური მიზნის მისაღწევათ, რეფორმაციის შორეული შედეგი იყო; ეს ომები მცირე შეჩერებით, სრული ასი წლის განმავლობაში სწიწკნიდენ გერმანიას და 30-წლიან ომის დასასრულს, იგი ერთიანათ ძალ-ღონე გამოლეული იყო. გერმანია აოხრდა, იგი მკვდრებით და ნანგრევებით სავსე ბრძოლის ველს დაემზგავსა. მთელი ოლქები განადგურებული იყო, ასობით ქალაქები, ათასობით სოფლები გადამწვარი; ბევრი მათგანი საბოლოოთ აღიგავა დედამიწის ზურგიდან. ბევრ ადგილას მცხოვრებთა რიცხვი განახევრდა, ბევრგან მეოთხედი, მეექვსედი და

მეათედი ძლივს-ღა დარჩა წინანდელი რიცხვიდან. ასე მოხდა ნიურენბერგში და მთელ ფრანკონიაში. ასეთ პირობებში გავერანებულ ქალაქთა და სოფელთა ახლათ დასასახლებლათ, ერთ ძლიერ საშუალებას მიმართეს: გამონაკლისის სახით მამაკაცს უფლება მიეცა ორი ცოლი შეერთო. ომიანობამ ამოსწყვიტა მამაკაცები, დედაკაცის რიცხვი კი, ბევრათ აღემატებოდა მათ რიცხვს. 14 თებერვალს, 1650 წელს, ფრანკონიის საოლქო სეიმზე ქ. ნიურნბერგში დაადგინეს, რომ „60 წლის შესრულებამდე მამაკაცს უფლება არა აქვს ბერათ შევიდეს მონასტერში“; შემდეგში კიდევ ახალი ბრძანება გამოსცეს, რომ „ყველა მღვდელთ-მსახური და მოძღვარი, რომელიც რომელიმე ორდენს ან კანონიკატს არ ეკუთვნის, ვალდებულია ცოლი შეირთოს“. „ამასთან ერთათ, ყოველ მამაკაცს ნება ეძლევა ორი ცოლი შეირთოს; აგრეთვე ყველას ერთათ და თვითეულ მამაკაცს ცალკე უნდა მოვაგონოთ და ეკლესიის **კათედრიდან** ხშირათ მივსცეთ დარიგება, რომ ასეთ გარემოებაშიაც შესძლოს მან რიგიანათ თავის დაპერა და საჭიროა სიფრთხილის და წინდახედულობის გამოჩენა; ვუქადაგოთ, რომ ის, როგორც ორი ცოლის ქმარი, მოვალეა ერთნაირათ იზრუნოს ორივე მეუღლეზე და თავიდანვე ეცადოს, რომ მათ შორის განხეთქილება არ ჩამოვარდეს“.

ასე რომ, ეკლესიის კათედრითაც კი სარგებლობენ ორცოლიანობის იდეის საქადაგებლათ და მამაკაცების დასარიგებლათ, თუ როგორ უნდა დაეჭირათ მათ თავი ამ შემთხვევაში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვაჭრობა-მრეწველობა დიდათ შეფერხებული იყო, ალაგ-ალაგ კი სულმთლათ შეჩერდა და მხოლოდ შემდეგში ხელ-ახლათ დაიწყო ნელ-ნელა აღორძინება. მცხოვრებთა მეტი ნაწილი ტლანქი, მოუხეშავი შეიქნა, დემორალიზაციას დაემორჩილა და სავსებით გადაეჩვია რეგულიარულ მოქმედებას.

ომის დროს დაქირავებული მხედრობა არბევდა, აოხრებდა, აუპატიურებდა, ხოცდა, სწვავდა და ანადგურებდა მტერსა

და მოყვარეს; ომის გათავების შემდეგ კი, ამასვე სჩადიოდენ ყაჩაღთა ბრბოები, მათხოვრები და მაწანწალები, რომელნიც შიშის ზარსა სცემდენ მცხოვრებლებს, გლეჯდენ და სძარცვავდენ სავაჭრო ქარავნებს და მოგზაურებს. განსაკუთრებით დედაკაცისათვის დადგა ტანჯვა-ვაების ხანა. დედაკაცისადმი სიძულვილმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და ქალს ათასგვარი გაჭირვება და შევიწროვება დააწვა კისერზე. მამაკაც მაწანწალებსავით, ქალებიც ათასობით დაძრწოდენ ტყე-ღრეში, შარა-გზებზე, ან ავსებდენ თავშესაფარებს და საპყრობილეებს. ყველა ამ უბედურებას ზედ დაერთო მრავალი გლეხის ოჯახის აყრა და განდევნა თავიანთ ადგილ-მამულიდან, რომელიც გაუმაძღარმა თავად-აზნაურობამ მიისაკუთრა. ჩვენ ვიცით, რომ რეფორმაციის შემდეგ, აზნაურები იძულებული იყვენ ყველაფერში დამორჩილებოდენ თავადებს, რადგან სრულიად დამოკიდებული იყვენ მათზე, როგორც სასახლის კარზე და სამხედრო რაზმში მოსამსახურენი; და თავადთაგან შევიწროვებულნი, ისინი გლეხების დაწიოკებით ცდილობენ ერთი-ორათ და სამათ აინაზღაურონ თავადებისაგან მიღებული ზარალი. რეფორმაცია მეორე მხრით, საკმაო საბაბს აძლევს თავადებს—ეკლესიის მიწა-ადგილები და სიმდიდრე დაიუფლონ და მიისაკუთრონ. ასე, მაგალ. კურფიურსტ ავგუსტ საქსონელმა, XVI საუკუნის დასასრულამდე 300 საეკლესიო მამული მიისაკუთრა*). ასევე იქცეოდენ მისი ძმები და ბიძაშვილები და საზოგადოთ ყველა პროტესტანტი თავადები, განსაკუთრებით კი გოგენცოლერნები. აზნაურობა თავადთა მაგალითს ბაძავდა, ისაკუთრებდა არა მარტო სათემო მიწებს და უპატრონოთ მიტოვებულ საგლეხო მამულებს, არამედ მდიდრდებოდა აგრეთვე ყმებისა და თავისუფალ გლეხების განდევნით და მათი მამულების მითვისებით; XVI საუკუნის გლეხთა აჯანყებას, რომელიც დამარცხებით გათავდა, ეს მტაცებელნი თავის გასამართლებელ საბუთათ ხმარობდენ. და რაკი პირველმა ცდამ ნაყოფი მოიტანა, შემდეგში ძალ-მომრეობისა და მოტა-

*) Joh. Janssen: Geschichte des deutchen Volks, ტომი III.

ცებისათვის მიზეზის გამონახვა არ გაუჭირდებოდათ. თავის მიწა-ადგილების გასაფართოებლათ, აზნაურები აიძულებდენ გლეხებს ნახევარ ფასათ დაეთმოთ მათთვის თავის მამულ-დედული; ან არა და, ათასგვარ შევიწროვებით, ინტრიგებით და კანონების გადაუკულმართებით პირდაპირ ერეკებოდენ თავისი მამა-პაპეული ადგილებიდან, რაშიაც ხელს უწყობდა მათ ამ დროს შემოღებული რომის უფლება. ამ სახით მთელი სოფლები, ზოგიერთ პროვინციებში მოსახლე გლეხთა ნახევარი, გადავიდა აზნაურების მფლობელობაში. ასე მაგალ., 12543 მოსახლე რაინდ გლეხებთაგან, რომელნიც კიდევ არსებობდენ მეკლენბურგში 30-წლიან ომის დროს, 1848 წელს, მხოლოდ 1213 მოსახლე-ღა დარჩა. პომერანიაში 1628 წლიდან 12000 გლეხის სახლ-კარი განადგურდა ამ გზით.

მე-XVII საუკუნეში გლეხთა მეურნეობაში მომხდარი ცვლილებები, კიდევ უფრო იზიდავდა აზნაურებს—გლეხთა საკუთრება დაეჩემებიათ და დარჩენილი სათემო მიწა-ადგილები თავის საკუთრებათ ექციათ. შემოიღეს ახალი სისტემა საძოვრების მეურნეობის, რომელიც ნებას აძლევდა გლეხს განსაზღვრულ დროს განვლის შემდეგ, ცვლილება შეეტანა მიწის დამუშავებაში. სახნავ-სათესი მიწა განსაზღვრულ დროს განმავლობაში საძოვრათ იყო გადაქცეული, რაც ხელს უწყობდა პირუტყვთა მოშენებას და შესაძლებელს ხდიდა მუშა ძალების შემცირებას.

ქალაქებში მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იყო, ვინემ სოფლებში. წინეთ დედაკაცს თავისუფლათ შეეძლო ოსტატის სახელწოდება მიეღო და ქარგალ-შეგირდები ყოლოდა; მათ აიძულებდენ კიდეც ამქარში შესვლას, რომ კონკურენციის პირობები ყველასათვის ერთნაირი ყოფილიყო. იყვენ ისეთი ქალებიც, რომელნიც დაუმოუკიდებლათ მისდევდენ ტილოსა და შალეულობის ქსოვას, ჭრა-კერვას, მაუდისა და ხალიჩების ქსოვას; იყვენ ოქრომკედის მოხელენი, ოქროს ქსოვილების, სასარტყლების, საბეჭურების მქსოველები და სხვ. ფრანკფურტში და სილეზიაში იყვენ ტყავეულობის დამმუშა-

ვებელი ქალები, შუა რეინზე ფეიქარი ქალები, გერბისა და სარტყლის მქარგავი ქალები კელნში და სტრასბურგში; ღვედების მქსოველი ქალები ბრემენში, მაუდის მქსოველნი ფრანკფურტში, ოქრომკედის მოხელენი კელნში*). მარა, როცა ხელოსანთა მდგომარეობა დაეცა, მოხელე ქალებს, როგორც საშიშ მეტოქეებს, მტრული თვალით დაუწყეს ყურება. საფრანგეთში ქალებს აუკრძალეს ხელოსნობა უკვე XIV საუკუნის გასულს, გერმანიაში იგი XVII საუკუნის დამლევს. პირველათ მათ აუკრძალეს ოსტატის წოდება—გამონაკლისს მხოლოდ ქვრივნი შეადგენდენ, შემდეგში კი ქარგლობაც აღარ შეეძლოთ მათ. პროტესტანტიზმმა გააუქმა კათოლიკეთა კულტის მდიდრული მორთულობა, რის გამო მრავალი ხელოსნობის დარგი დაეცა, განსაკუთრებით კი ტეხნიკური ხელოვნებანი, ქალების უმეტესობა სწორეთ ამგვარ ხელობას მისდევდა. შემდეგ საეკლესიო მამულების კონფისკაციამ და სეკულიარიზაციამ, სრულიად დასცა ღარიბთა თავ-შესაფარები, რამაც განსაკუთრებით შევიწროვებაში ჩააგდო ქვრივ-ობოლნი.

მე-XVI საუკუნეში ეკონომიურ დაცემამ და გავერანებამ, რაიცა ჩამოთვლილ მიზეზების შედეგი იყო და XVII საუკუნეშიაც გაგრძელდა, თანდათან სასტიკი კანონები გამოიწვია ქორწინების შესახებ. ქარგლებსა და ხელზე მოსამსახურეებს აეკრძალათ დაქორწინება, ან უნდა დაემტკიცებიათ, რომ შემდეგში მათი ოჯახი თემს არ გაუხდებოდა სარჩენათ. მიღებულ წესრიგის დამრღვევს, სასტიკი და ზოგჯერ პირდაპირ ბარბაროსული სასჯელი მოელოდა, როგორც მაგალ. ბავარიის კანონით—წკეპლები და დაპატიმრება. უფრო სასტიკ დევნას, ეგრეთ წოდებულ ველური ქორწინების ჩამდენნი განიცდიდენ, ასეთების რიცხვი კი თანდათან მრავლდებოდა, რადგან კანონიერ ქორწინების ნებართვის აღება გასაჭირი იყო. მცხოვრებთა ზედმეტი სიმრავლის შიშმა შეიპყრო საზოგადოება და მათხოვართა და მაწანწალათა რიცხვის შესამცირებლათ, მთავრობა ერთი-მეორეზე უარეს ბრძანებებს სცემდა.

*) Dr. Karl Bücher: „Die Frauenfrage im Mittelalter“.

# თავი VI.

## მეთვრამეტე საუკუნე.

### 1. სასახლის ცხოვრება გერმანიაში.

საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკ XIV-ს მიბაძვით, ნემეცთა მთავრები, რომელთა რიცხვი იმ დროში დიდი იყო, თავიანთ საყვარლების წყალობით, საშინელ მფლანგველობას ეწეოდენ, რომ ბრწყინვალე და ელვარებით მოსილი ცხოვრება ეტარებიათ. მათი ხარჯები უკულმა პროპორციონალური იყო ქვეყნის სიდიდესა და საწარმოო ძალებთან, ე. ი. რაც უფრო პატარა იყო ქვეყანა და ნაკლები შემოსავალი ქონდა, მით უფრო მეტს ფლანგავდენ მთავრები. მთავართა ცხოვრება XVIII საუკუნეში, ერთი უსაზიზღრესი ფურცელთაგანია ევროპის ისტორიაში.

ერთი მთავარი ცდილობს მეორეს გადააჭარბოს გულზვიადობით, მედიდურობით, უგუნურ მფლანგველობით და ძვირფას სამხედრო ნაღიმობის მოწყობით. მარა წარმოსადგენათაც კი ძნელია ის, რაც ხდებოდა თავდაუჭერელ გარყვნილების გაჯიბრებაში. ძნელი სათქმელია, რომელ სასახლეს უნდა მიეცეს გერმანიაში პირველი ადგილი თავშეუკავებელ მფლანგველობაში და საზოგადოებრივი ცხოვრების გათახსირებაში. დღეს ერთი სასახლე იყო ასეთი, ხვალ—მეორე; არც ერთი გერმანიის სამთავროთაგანი არ ჩამორჩენია დანარჩენს. აზნაურობა თავადებს ბაძავდა და უმთავრეს ქალაქებში ბიურგერიც (ბურჟუა) აზნაურების ფეხის-ხმას მიყვებოდა. თუ ბიურგერის ასულს ბედი გაუღიმებდა და რომელიმე სასახლეში მყოფ დიდ ბატონს, ან თვით მის ბრწყინვალებას მოეწონებოდა, ოცში ცხრამეტი ბედნიერათ სთვლიდა თავს ასეთ ღვთისა და ბატონის მოწყალებით, და მისი ოჯახიც მზათ იყო აზნაურის ან მთავრის ხასათ გაეხადა თავისი ასული. იგივე მეორდებოდა თვით აზნაურთა ოჯახშიაც, თუ მათი ასული რო-

მელიმე მთავრის მოწონების ღირსი გახდებოდა. ხასიათის სიწამხდრე და უსირცხვილობა მოედვა მთელ საზოგადოებას.

ყველაზე მეტი გარყვნილება ტრიალებდა ნემეცთა სატახტო ქალაქებში—ვენაში და ბერლინში. ვენაში, ამ ნემეცთა კაპუიაში, მართალია ამ საუკუნის უმეტესი დრო სპეტაკ ზნეობის მიმდევარ მარია ტერეზიას მეფობას ეჭირა, მარა იგი ულონო იყო გამკლავებოდა ყურებამდე გარყვნილების მორევში ჩაფლულ თავად-აზნაურობას და მის მიმყოლ ბიურგეროობას. მისი უბიწოების კომისიები თავის ჯაშუშობის სისტემით, ხან დრტვინვას იწვევდა და ხან სიცილს საზოგადოებაში. მათი მისსია დამარცხებით დამთავრდა. XVIII საუკუნის ნახევარში, უსირცხვილო ვენის მცხოვრებთა უმეტესობაში შემდეგი თქმულებანი იყო გავრცელებული: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი, ე. ი. შეიყვარე სხვისი ცოლი, როგორც შენი საკუთარი“; ანუ: „თუ ცოლი მარჯვნივ მიიწევს, ქმარი მარცხნივ უნდა წავიდეს“. „თუ ცოლი მფარველს ეძებს, ქმარმა მეგობარი ქალი უნდა ეძებოს“. რა უსირცხვილო და ქარაფშუტული წარმოდგენა ქონდათ იმ დროს ქორწინებაზე და ცოლ-ქმრულ კავშირის ღალატზე, ამას მშვენივრათ ახასიათებს პოეტ ფონ-კლეისტის წერილი, რომელიც 1751 წელს მისწერა თავის მეგობარ გეგეიმს. სხვათა შორის, ასეთი ადგილია იმ წერილში: „თქვენ უკვე იცით მარკგრაფ ჰენრიხის ავანტიურა; მან თავისი ცოლი სოფელში გაისტუმრა და უნდა გაეყაროს, რადგანაც ცოლთან ერთათ საწოლში გელშტეინის პრინცს წაასწრო... მარკგრაფი უკეთესს იზამდა, **რომ სულ გაჩუმებულიყო და არ აეყაყანებია ამ შემთხვევით მთელი ბერლინი; ესეც არ იყოს, გული არ უნდა მოუვიდეს ასეთ ბუნებრივ მოვლენაზე,** მით უმეტეს იმიტომ, რომ არც თვითონაა წმინდა სულის. **ქორწინებას აუცილებლათ თან-სდევს გულის გამოცვლა და ყველა ქმრები და ცოლები თავიანთ წარმოდგენით სხვა საყვარელ პიროვნებაზე ძალაუნებურათ ღალატობენ ერთმანეთს.** როგორ უნდა დასაჯო კაცი იმისთვის, რასაც ის იძულებით სჩა-

დის?“ ბერლინის ზნე-ჩვეულებაზე ინგლისის ელჩი—ლორდ მალსბერი 1772 წ. შემდეგსა სწერდა: „სრული ზნეობრივი გათახსირება მოედვა ორივე სქესის ყველა კლასებს, ამას ზედ ერთვის გაჭირვება, რომელიც გამომდინარეობს ერთი მხრით იქიდან, რომ ახლანდელმა მეფემ მძიმე გადასახადი დაადვა მცხოვრებლებს და მეორე მხრით იქიდან, რომ თავისი პაპის ნაანდერძევ ხელ-გაშლილობას და ფუფუნებით ცხოვრებას მისდევს. ხელ-მოკლე მამაკაცნი მფლანგველობას არ ერიდებიან და დედაკაცი კი—უსირცხვილო გარპიებათ გადაქცეულან. ისინი ნებდებიან იმას, ვინც მეტ სასყიდელს აძლევს. გრძნობათა სინაზე, სინარნარე და ნამდვილი სიყვარული მათ არ ესმით“.

გარყვნილებაში ყველას გადააჭარბა ბერლინმა, ფრიდრიხ ვილჰელმ მეორის დროს (1786—1797 წ. მეფობდა). ის თვითონ აძლევდა გარყვნილების მაგალითს თავის ხალხს. მისი სასახლის მღვდელი ციოლნერი იქამდე დაეცა, რომ მეფის კანონიერ ცოლის სიცოცხლეშივე დასწერა ჯვარი ხასა იულია ფონ-კოსსზე. და როდესაც ეს უკანასკნელი ლოგინობას გადაყვა, მესამეთაც დასწერა ჯვარი მეორე ხასაზე—გრაფინია სოფიო ფონ-დენგოფზე. მართალია, მანამდეც არა ერთი ყოფილა ამის მაგალითი ნემეც მეფეთა და თავადთა შორის. ივლისის გასულს, 1706 წელს, ჰერცოგ ებერგარდ ლიუდოვიკ ვიურტემბერგელმა ცოლის სიცოცხლეშივე იქორწინა თავის ხასა გრეევნიცზე, რომელსაც დღემდისაც „ქვეყნის გამრყვნელის“ სახელი აქვს დარჩენილი ვიურტემბერგში. მათ ჯვარი დასწერა ახალგაზრდა მღვდელმა—პფელერმა მიულენიდან. ებერგარდ ლიუდოვიკის ბიძაშვილი, ჰერცოგი ლეოპოლდი მემპოლგარდელი უფრო შორს წავიდა: მას ერთდა-იმავე დროს სამი ცოლი ყავდა და, რაც უფრო უსაშინელესია, მათში ორნი დები იყვენ. თავისი 13 შვილიდან, ერთ ვაჟს თავისივე ასული შერთო ცოლათ. მართალია, ამ „ქვეყნის მამათა“ ყოფაქცევა დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ქვეშევრდომებში, მარა საქმე ცარიელი უკმაყოფილებით თავდებოდა. მხოლოდ ჰერ-

ცოგ ვიურტემბერგის საქმეში ჩაერია 1708 წ. იმპერატორი და ქორწინება გრევენიცზე უკანონოთ იქნა ცნობილი. მარა გრევენიცი მალე ფაქტიურათ გაყვა ცოლათ ერთ გაკოტრებულ გრაფ ვიურბენსკის და ოც წელიწადს იყო კიდევ ამის შემდეგ ჰერცოგის ხასათ ეს შვაბთა „ქვეყნის გამრყვნელი“.

## 2. მერკანტილიზმი და ახალი კანონმდებლობა ქორწინების შესახებ.

მე-XVI საუკუნეში დაიწყო მთავართა გაძლიერება, რასაც მოყვა მსხვილ სახელმწიფოს დაარსება და მუდმივი ჯარის გაჩენა, რომლის შენახვა მცხოვრებთა გადასახადის გაუდიდებლათ შეუძლებელი იყო; დიდძალ ფულს ნთქავდა აგრეთვე მთავართა უმეტესობის ხელგაშლილობა, ასეთი ხარჯების დასაფარავათ, მრავალ-რიცხოვანი და შეძლებული, გადამხდელი ქვეშევრდომები იყო საჭირო, ამიტომ ზოგიერთი სამთავროები, განსაკუთრებით კი დიდრონი სახელმწიფოები XVIII საუკუნიდან დაწყებული, მრავალგვარ ზომებს იღებდენ, რომ რაც შეიძლება გამრავლებულიყო ხალხი და ხარკის გადახდის შეძლება ქონოდა.

ამ მიზნის განხორციელება გაადვილა სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრების გადატრიალებამ, რაიცა შედეგი იყო ამერიკის აღმოჩენის, აფრიკის ზღვით გარ-შემოვლის, ინდოეთში საზღვაო გზის აღმოჩენის და რაც დედამიწის ყოველი ახალი შემოვლით ძლიერდებოდა. ეს გადატრიალება პირველათ დასავლეთ ევროპას დაეტყო და მალე გერმანიაშიაც გადმოვიდა. ახალი გზების აღმოჩენამ ახალი სავაჭრო მიმოსვლა გააჩაღა, რომლის მზგავსი წინეც არ ყოფილა. ამით პირველათ ისარგებლეს პორტუგალელებმა, ისპანიელებმა ჰოლანდიელებმა, ინგლისელებმა, საფრანგეთმა და ბოლოს კი გერმანიამ. სარწმუნოებრივმა ომებმა და პოლიტიკურმა დაქსაქსვამ დიდი ზარალი მისცა გერმანიას და ის შესამჩნევათ ჩამორჩა ეკონომიური მხრით სხვა ქვეყნებს. მსოფლიო ბაზრის ახალმა მოთ-

ხოვნილებებმა, რომელიც წარმოშვა ახალი ბაზრების აღმოჩენამ ევროპიულ საქონლის გასასაღებლათ, რევოლიუციონურ გზაზე დააყენა როგორც ხელოსნური წარმოება, ისე აზრი, გრძნობა და შეხედულება ევროპის ხალხისა და მთავრობების.

განკერძოებული ხელოსნური წარმოების ადგილი, რომელიც უმთავრესათ ყოველ-დღიურ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი იყო მახლობელ კუთხის, მანუფაქტურამ დაიჭირა, ე. ი. მასსიურმა წარმოებამ, სადაც მრავალი მუშა ხელი ტრიალებდა და შრომის დანაწილებაც ძლიერ იყო განვითარებული. წარმოების ამ ახალი ფორმის ხელმძღვანელი შეიქნა ვაჭარი, დიდი ფინანსიური საშუალებების და უფრო ფართო შეხედულების მქონე. მან ბევრი ადგილიდან გააძევა ხელოსნობა და დაანგრია მისი ამქრული ორგანიზაცია. დადგა დრო, როდესაც დედაკაცს შეძლება მიეცა თავისი ძალ-ღონე სამრეწველო მოქმედებაში დაეხარჯა. ოჯახსა თუ ქარხნებში ტილოს, მატყლის, რთვა-ქსოვის, ოქრომკედის და სხვა წარმოებამ მოქმედების გზა გაუხსნა დედაკაცს. XVIII საუკუნის დასასრულს ინგლისისა და შოტლანდიის სართავ-საქსოვ ქარხნებში და აგრეთვე სტამბებში 100,000-დე ქალი და 80,000 ბავშვები მუშაობდენ; მარა მათი მდგომარეობა ხელფასის და შრომის პირობების მხრით მეტის-მეტათ უნუგეშო იყო. ამავე ყოფაში იყვენ საფრანგეთის ქალებიც, რომელთა რიცხვი 10,000-ბით ითვლებოდა. ახალმა ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ და გამოგონებებმა, უმთავრესათ ორთქლის მანქანის გამოგონებამ და გაუმჯობესებამ და მისმა შედეგებმა, საქონლის ფასის გაიაფებამ, სამუშაო გაუჩინა ფართე მასსას და განსაკუთრებით დედაკაცებს. მსხვილი წარმოება თავის დაბადებას დღესასწაულობდა.

ასეთი ეკონომიური განვითარება თხოულობდა დიდ-ძალ ხალხს და რადგან XVI, XVII და XVIII საუკ. ავანტიურებმა და ომიანობამ ევროპის მცხოვრებთა რიცხვი შეამცირა და XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი ოკეანის გაღმა ქვეყნებში გადასახლებამ იმატა, ევროპის უფრო პროგრესიულმა მთავრობებმა

საჭიროთ დაინახეს გაეადვილებინათ ქორწინების პირობები და ადგილობრივ, სახელმწიფოს შიგნივე დასახლ-კარება.

ყველაზე უწინ ხალხით ისპანია გაღარიბდა თავის მსოფლიო სამეფოს პოლიტიკით და უკვე 1623 წელს იძულებული გახდა გამოეცა კანონი, რომლის ძალითაც 18—25 წლამდე დაცოლშვილებული კაცი—თავასუფალი ხდებოდა რამდენიმე წლით ყოველივე გადასახადისაგან. გაჭირვებულთ და არაფრის მქონეთ, მზითევსაც კი აძლევდენ საზოგადო კასებიდან. 6 კანონიერი ვაჟიშვილის დედმამა განთავისუფლებული იყო ყოველივე გადასახადებისაგან. ამას გარდა, იმიგრაციასა (ჩამოსახლებას) და კალონიზაციასაც (ახალშენის გაშენებას) მფარველობდა ისპანია.

ლიუდოვიკ მე-XIV იძულებული შეიქნა—შებრძოლებოდა მცხოვრებთა რიცხვის შემცირებას, რაიც მისი ხშირი ომიანობის შედეგი იყო და ბრძანება გამოსცა, რომ გადამხდელ წოდების პირი, რომელიც 20—21 წლამდე შეირთავს ცოლს, 4—5 წლით განთავისუფლებული იქნება ყოველივე გადასახადისაგანო. აგრეთვე თავისუფალი ხდებოდა გადასახადებისაგან, ვისაც ათამდე ცოცხალი შვილი ყავდა და არც ერთი მათგანი სასულიერო წოდებას არ ეკუთვნოდა, ე. ი. მღვდლათ ან ბერათ, ან მონაზვნათ არ იყო წასული. აზნაური ასეთ პირობებში 1000-დან 2000-მდე ლივრს იღებდა ხაზინიდან წელიწადში ჯილდოთ და ხარკისაგან თავისუფალი მოქალაქე კი ამის ნახევარს. მარშალი მორიც საქსონელი ურჩევდა ლიუდოვიკ მე-XIV დაედგინა, რომ ქორწინება მხოლოთ 5 წლის ვადით ყოფილიყო.

პრუსიაში 1688, 1721, 1726, 1736 წლების განკარგულებებით და შესაფერი სახელმწიფო ზომების მიღებით, ცდილობდენ ხელი შეეწყოთ იმმიგრაციისათვის, განსაკუთრებით კი იმათ ჩამოსახლებისათვის, რომელთაც თავიანთი რელიგიური რწმენისათვის სდევნიდენ საფრანგეთში და ავსტრიაში. ფრიდრიხ დიდის თეორია მცხოვრებთა გამრავლების შესახებ, ნათლათ გამოიხატება წერილში, რომელიც მან გაუგზავნა

ვოლტერს 1741 წელს, 26 აგვისტოს: „მე ისე ვუყურებ ხალხს, როგორც ირემთა ჯოგს მსხვილი მემამულის ბაღში, რომლის დანიშნულება ისაა, რომ ბაღი ავსოს“. თავისი ომების შემდეგ მას, რასაკვირველია, ხელმეორეთ დასჭირდა თავისი ბაღის ავსება. სწორეთ ასევე მფარველობდენ იმიგრაციას ავსტრიაში, ვიურტემბერგში და ბრაუნშვეიგში; ამასთანავე, როგორც პრუსიაში, აქაც აკრძალული იყო ემიგრაცია. XVIII საუკუნეში ინგლისსა და საფრანგეთში სრულიად გააუქმეს ქორწინების და დასახლების დამაბრკოლებელი კანონები და მათ მაგალითს სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს. XVIII საუკუნის პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში, როგორც პოლიტიკო-ეკონომისტები, ისე მთავრობა ხალხის სიმრავლეს სახელმწიფოს უდიდეს კეთილდღეობის წყაროთ სთვლიდენ. მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულში მათი პოლიტიკა სხვამხრივ გადაიხარა, რაც უმთავრესათ გამოწვეული იყო ძლიერი ეკონომიური კრიზისებით და აგრეთვე რევოლიუციონური მოძრაობით და ომიანობით, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის არც კი შეწყვეტილა, განსაკუთრებით გერმანიაში და ავსტრიაში. ხელ-ახლა გამოსცეს შემზღუდველი კანონები, რომელნიც ცოლის შემრთველისაგან ითხოვდენ უფრო მეტ ხნოვანობას და იმის დასამტკიცებელ საბუთებს, რომ მას საკმაო ქონება ან უზრუნველყოფილი შემოსავალი ქონდა ცოლშვილის სარჩენათ და განსაზღვრული მდგომარეობა ეჭირა ცხოვრებაში. ხელმოკლეთათვის შეუძლებელი გახდა ცოლის შერთვა. თემებს განსაკუთრებით დიდი გავლენა მიეცათ წევრათ მიღებისა და ქორწინების პირობების გამომუშავებაზე. ზოგიერთ ადგილებში გლეხებს აუკრძალეს კიდეც ეგრეთ წოდებულ „დღიურ მოქირავეთა შენობების“ აგება და უბრძანეს, როგორც მაგალ. ბავარიაში, სადაც დღესაც მეტათ ჩამორჩენილი კანონებია დასახლების შესახებ, დაენგრიათ კურფიურსტის ნება-დაურთველათ აგებული „დღიურ მოქირავეთა შენობები“. მხოლოდ საქსონიასა და პრუსიაში დარჩა ძალაში შედარებით ლიბერალური საქორწინო კანონები.

ადამიანის ბუნების დათრგუნვა ძნელია, ამიტომ ქორწინების შევიწროვების შედეგი ის იყო, რომ, თითქოს ყველა დაბრკოლებათა უძლურების დასამტკიცებლათ, საშინლათ გაძლიერდა თავისუფალი სქესობრივი კავშირი; ასე რომ, ზოგიერთ პატარა სახელმწიფოებში უკანონოთ შობილთა რიცხვი, თითქმის უდრიდა კიდეც კანონიერ შვილთა რიცხვს. ასეთი შედეგი მოყვა მამაშვილურ რეჟიმს მისი ქრისტიანული მორალით.

### 3. საფრანგეთის რევოლიუცია და მსხვილი მრეწველობა.

საშუალო წოდების გათხოვილი ქალი სასტიკ კარჩაკეტილ ცხოვრებას ატარებდა; მას იმდენათ ბევრი საქმე ქონდა სახლში, რომ თუ კეთილ-სინდისიერი მეოჯახე იყო, დილიდან საღამომდე რომ ფეხზე მდგარიყო, მაინც ძლივს მოასწრებდა ყველა თავის მოვალეობის შესრულებას, და ამასაც მხოლოდ მაშინ, თუ დამხმარე ქალიშვილები ეყოლებოდა. მას უნდა შეესრულებინა არა მარტო ის ყოველ-დღიური ხელსაქმე, რასაც ახლა წვრილ ბურჟუაზიული დიასახლისი ასრულებს, არამედ კიდევ ბევრი სხვა რამ, რისგანაც თანამედროვე განვითარების წყალობით თავისუფალია დღეს დედაკაცი. მას უნდა ერთა, ექსოვა, გაეთეთრებია ტილო, მას უნდა ეკერა საცვლები და ტანისამოსი, მოემზადებინა საპონი, სანთელი, გამოეხადა ლუდი, ერთი სიტყვით, ის ნამდვილი მუშა იყო, რომელიც მხოლოდ კვირა დღეს მოიცლიდა, რომ ეკლესიაში წასულიყო. ქორწინება შესაძლებელი იყო მხოლოდ თანაბარ საზოგადოებრივ წრის წევრთა შორის, სასტიკი და თან სასაცილო წოდებრივობა განაგებდა ადამიანთა ყველა ურთიერთობათ; ამასვე აგონებდენ ქალიშვილებს, რომელთაც ოჯახის კარჩაკეტილობაში ზრდიდენ. მათი გონებრივი განვითარება სულ დაბლა იდგა და მათი მსოფლმხედველობა ოჯახურ ურთიერთობის იქით არ მიდიოდა; ამას ზედ დაერთო უშინაარსო, გარეგან

ფორმებით გატაცება, რომელთაც ჭკუის და განათლების ადგილი დაიჭირა მათში, და დედაკაცის ცხოვრება რაღაც უაზრო ფუსფუსათ გადაიქცა. რეფორმაციის სული გაქრა, გაბატონდა საშინელი პედანტიზმი, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებები და ცხოვრების ხალისი ჩაახშო, მოკლა სულის მომწყვლელმა ბრძნულმა წესებმა, რომელსაც დიდი „ღირსებით“ წარმოსთქვამდენ ხოლმე; სულიერი სიცალიერე და ფუქსავატობა გაბატონდა ბიურგერებში და ვინც მათ ქვეით იდგა, ისინი ტყვიასავით მძიმე უღელ-ქვეშ იტანჯებოდენ და აუწერელ გაჭირვებას იტანდენ.

საფრანგეთის რევოლიუციამ აღგავა დედამიწის ზურგიდან ძველი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება. რევოლიუციის ქარიშხალმა გერმანიაშიაც გადმოიქროლა და მას ვეღარ დაუდგა წინ ძველი რეჟიმი. საფრანგეთის გაბატონება გერმანიაში ნამდვილი რევოლიუცია იყო ამ უკანასკნელისათვის. საფრანგეთმა ან თვით გაასწორა მიწასთან ყოველივე ძველი, დრო-მოჭმული, ანდა, როგორც ეს პრუსიაში იყო, დააჩქარა მისი დაცემა. ყოველივე ცდა რეაქციონური ხანის, რომელიც 1815 წლიდან დატრიალდა და რომელსაც ისტორიის ბორბლის უკუღმა დაბრუნება სურდა, ამაო შეიქნა, რადგანაც ახალი წყობილება უფრო ძლიერი აღმოჩნდა ძველზე.

ამქრული უპირატესობანი, პიროვნების თავისუფლების უქონლობა, ზოგიერთ ოლქების განსაკუთრებული სასამართლო უფლებები,—ყველა ეს შედარებით პროგრესიულ სახელმწიფოებში, თანდათანობით ჩააბარეს არხივს. გაჩნდა ფაბრიკები, რკინის გზები და გემები, გაიჭრა მთები, გაითხარა მაღაროები, გაჩაღდა შუშისა და თიხის ჭურჭლის მანუფაქტურები, გაჩაღდა საქსოვი მრეწველობა თავის მრავალგვარი დარგებით, მანქანათა ჩამოსხმა, საამშენებლო საქმე და სხვა; უნივერსიტეტი და უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები იძლეოდენ მრეწველობის ასეთ განვითარებისათვის საჭირო გონებრივ ძალებს. ახლათ აღორძინებული მსხვილ კაპიტალისტთა კლასი—მსხვილი ბურჟუაზია ცდილობს თავიდან მოიშოროს

ძველი წესწყობილება, რომელიც მისთვის აუტანელია და ამაში მას მხარს უჭერენ ყველა პროგრესიული ელემენტები. რასაც 1848—9 წლების სახალხო რევოლიუციამ შეურყია ქვევიდან ნიადაგი გერმანიაში, იგი 1866 წელს ზევიდან მომხდარმა რევოლიუციამ გააუქმა. ბურჟუაზიის სურვილისამებრ შექმნილ იქნა პოლიტიკური ერთეული და მას მოყვა დანარჩენ ეკონომიურ და სოციალურ დაბრკოლებების მოსპობა. აღორძინდა ხელობათა თავისუფლება, მიმოსვლის თავისუფლება, მოისპო ქორწინების შემზღუდველი კანონები, შემოიღეს დასახლების თავისუფლება, ერთი სიტყვით, ძალაში შევიდა ისეთი კანონმდებლობა, როგორიც ესაჭიროებოდა კაპიტალიზმის განვითარებას. მუშასთან ერთათ ასეთმა განვითარებამ დედაკაცსაც მოუტანა სარგებლობა: გზა გაუხსნა წინმსვლელობისაკენ. ახალი წესწყობილება ჯერ კიდევ ფეხ-მოკიდებული არ იყო, როცა მთელი რიგი დაბრკოლებები და შემზღუდველი წესები გააუქმეს გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფოებში და ძველი მოდის რეაქციონერები იძულებული იყვენ გულმოდგინეთ ეჩხავლათ: დაეცემა ზნეობა, გაირყვნება ხალხიო. 1863 წელს მაინცის ეპისკოპოსი ფონ-კეტლერი ჩივის: „რომ ქორწინების შემზღუდველი კანონების გაუქმება ცოლ-ქმრობის დაღუპვას ნიშნავს, რადგან ახლა ცოლ-ქმართ საშუალება ეძლევათ თავისუფლათ განშორების“, რითაც ის თავისდა-უნებურათ აღიარებს, რომ თანამედროვე ქორწინებაში მორალური კავშირი იმდენათ სუსტია, რომ მხოლოდ სასტიკი კანონებით, ე. ი. ძალადობით შეიძლება მეუღლეთა კავშირის დაურღვევლათ დაცვაო.

მცხოვრებთა რიცხვის სწრაფმა გამრავლებამ ხშირი ქორწინების წყალობით და ახალმა სოციალურმა უბედურებამ, რომელიც უმაღლესათ განვითარებულ მრეწველობის სისტემამ მოიტანა, როგორც წინა ეპოქებში, ახლაც დაბადა შიში—ვაი თუ ხალხის ზრდა საზღვარს გადასცილდესო. შემდეგში ჩვენ დავინახავთ, რას ნიშნავს ასეთი შიში მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლების წინაშე და გავიგებთ მის ნამდვილ ღირებულებას.

# ნაწილი მეორე.

# დედაკაცი აწმეოში.

## თავი VII.

## დედაკაცი, როგორც სქესობრივი არსება.

### 1. სქესობრივი ლტოლვილება.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დედაკაცს მეორე ადგილი უჭირავს. ჯერ მამაკაცი, მერე—დედაკაცი. მაშასადამე, დღეს მათ შორის პირდაპირ წინააღმდეგ დამოკიდებულებას ვხედავთ, ვინემ დედათ-მთავრულ ხანაში იყო. ასეთი გადატრიალება წარმოშვა უმთავრესათ პირველყოფილი კომუნიზმიდან კერძო საკუთრების ხანაში გადასვლამ.

პლატონი მადლობას უხდის ღმერთებს რვა დიდ მოწყალებისათვის. ამათში პირველ მოწყალებათ იმასა სთვლის, რომ იგი დაიბადა არა მონათ, არამედ თავისუფალ მოქალაქეთ; მეორეთ კი იმას, რომ ის მამაკაცათ დაიბადა და არა დედაკაცათ. ასეთივე აზრია გატარებული ებრაელ მამაკაცთა დილის ლოცვაში: „დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, მეუფეო და მფლობელო ქვეყნისაო, **რამეთუ დედაკაცათ არ გამაჩინე მე**". ებრაელ დედაკაცებისთვის კი ეს ადგილი ასე აქვთ შეცვლილი: **„...რომელმან შეგვქმენ ჩვენ ნებისაებრ თვისისა"**. სქესთა შორის არსებული წინააღმდეგობანი ისე ნათლათ და მკაფიოთ არავის გამოუხატავს, როგორც ეს პლატონის სიტყვებსა და ებრაელთა ლოცვაშია. დაბადების (ბიბლია) ბევრ ადგი-

ლებში, მხოლოდ მამაკაცია გამოყვანილი, როგორც ნამდვილი ადამიანი; ფრანგულ და ინგლისურ ენაზედაც მამაკაცი და ადამიანი, ერთ-და-იმავე სიტყვით გამოიხატება. სწორეთ ამ-გვარათვე, როდესაც „ხალხზე" არის ლაპარაკი, გულისხმობენ მხოლოდ მამაკაცებს. დედაკაცი დაბრიყვებული, არარათ მიჩნეული უძლური არსებაა, და ყოველ შემთხვევაში მამაკაცი მისი მბრძანებელია. მამაკაცები ამას ბუნებრივ მოვლენათ სთვლიან და დედაკაცთა უმრავლესობა კი, აუცილებელ უბედურებათ. ასეთი წარმოდგენა დედაკაცზე საუკეთესოთ გვიხატავს მის დაბეჩავებულ მდგომარეობას.

დამოუკიდებლათ იმისა, იჩაგრება თუ არა ქალი, როგორც პროლეტარი, კერძო საკუთრების სამეფოში იგი იჩაგრება, როგორც დედრობითი სქესის არსება. დედაკაცს ყოველ ნაბიჯზე ხვდება წინ დაბრკოლებანი და შევიწროვებანი, რომელნიც სრულიად უცნობი არიან მამაკაცისათვის. ბევრი რამ, რაც მამაკაცისათვის ნება-დართულია, დედაკაცს აკრძალული აქვს; საზოგადოებრივი უფლებები და თავისუფლებანი, რომლებითაც მამაკაცი სარგებლობს,—დედაკაცს დანაშაულობათ, ან შეცდომილებათ ეთვლება. ის დაჩაგრულია, როგორც სოციალური არსება და როგორც სქესი. ძნელი სათქმელია, რომელი მხრით უფრო ძლიერ იტანჯება იგი და ამიტომ ადვილი გასაგებია მრავალი ქალის ნატვრა: ნეტავი მამაკაცათ დავბადებულიყავიო.

ადამიანის მოთხოვნილებათა შორის, ჭამა-სმის შემდეგ, სქესობრივი მოთხოვნილება ყველაზე ძლიერია. მოდგმის გაგრძელების მოთხოვნილება „ცხოვრებისადმი ნების" უმაღლესი გამოხატულებაა. ასეთი მოთხოვნილება ღრმათაა დამარხული ნორმალურათ განვითარებულ ადამიანის ბუნებაში და სიჭაბუკის ხანაში მისი დაკმაყოფილება, ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობის არსებით პირობათ უნდა ჩაითვალოს. ლიუტერი საკვებით მართალია, როდესაც ამბობს: „ვინც ეურჩება ბუნებრივ მოთხოვნილებას, და უარყოფს იმას, რასაც ბუნება მოითხოვს და უნდა მოითხოვოს, მას მხოლოდ უნდა, რომ

ბუნება ბუნება არ იყოს, ცეცხლი არ წვავდეს, წყალი არ ასველებდეს, ადამიანი არ ჭამდეს, სვამდეს და იძინებდეს". ეს სიტყვები ყოველი ეკლესიის კარებზე უნდა იყოს დაწერილი, სადაც ასე გულმოდგინებით ქადაგებენ „ცოდვილი სხეულის" წინააღმდეგ. ვერც ერთი აქიმი, ვერც ერთი ფიზიოლოგი მეტი სისწორით ვერ გამოსთვამს სქესობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროებას ადამიანისათვის.

მცნება, რომლის ასრულება ადამიანის მოვალეობას შეადგენს, თუ მას სურს ნორმალური განვითარება და ჯანმრთელათ ყოფნა, ეს მცნება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ უნდა უარყოფდეს მისი სხეულის არც ერთ ასოს ვარჯიშობას და არც ერთ ბუნებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. თვითეული ასო უნდა ასრულებდეს იმ ფუნქციას, რომელიც მას ბუნებამ დააკისრა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მთელ ორგანიზმს მოუტანს ვნებას. ადამიანის ფიზიკური განვითარების კანონებიც ისე უნდა შევისწავლოთ, როგორც გონებრივი განვითარების და მათ უნდა მივსდიოთ ცხოვრებაში. ადამიანის სულიერი მოქმედება დამოკიდებულია მის ორგანოთა ფიზიკურ თვისებებზე. სულის სისაღე მჭიდროთ დაკავშირებულია სხეულის ყველა ორგანოთა სისაღესთან. ერთი ნაწილის მოქმედების დარღვევა, იწვევს მეორე ნაწილის მოქმედების დარღვევას. ეგრეთ წოდებული „პირუტყვული მოთხოვნილებანი", არაფრით არ დაუვარდებიან ე. წ. სულიერ მოთხოვნილებებს. ერთიც და მეორეც—ერთ და იმავე ორგანიზმიდან გამომდინარეობენ და გავლენას ახდენენ ერთი მეორეზე. ეს თანაბრათ შეეხება როგორც მამაკაცს, ისე დედაკაცს.

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ სქესობრივ ორგანოთა თვისების ცოდნაც ისეა საჭირო, როგორც სხვა დანარჩენ ორგანოთა თვისების და ადამიანი ყველას თანასწორი ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს. მან უნდა იცოდეს, რომ ორგანონი და მოთხოვნილებანი, რომელნიც თვითეული ადამიანის თვისებას და მისი ბუნების არსებით ნაწილს შეადგენენ და რომელნიც განსაზღვრულ ასაკში **მთლათ** იმორჩილებენ მას, ეს

ორგანონი და მოთხოვნილებანი არ უნდა იყოს მოცული რაღაც საიდუმლოებით; მათი არ უნდა გვრცხვენოდეს, მათ გაცნობას არ უნდა ვუფრთხოდეთ: გამოვდივართ რა ამ შეხედულებიდან, ჩვენ ვამბობთ, რომ სხეულის სხვა-და-სხვა ორგანოთა ფაზიოლოგია, ანატომია და ფუნქციები კაცსაც და ქალსაც არა ნაკლებ უნდა ქონდეთ შესწავლილი, ვინემ სხვა რომელიმე დარგი მეცნიერებისა. თავის ფიზიკური ბუნების ნამდვილი, სწორი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი, ცხოვრების ბევრ პირობებს სრულიად სხვა თვალით დაუწყებს ცქერას, ვინემ დღეს უცქერის. ამით თავის-თავათ მოისპობა ის ბოროტება, რომელსაც ახლა საზოგადოება ჩუმათ, რაღაც სარწმუნოებრივი მოკრძალებით უვლის გვერდს, მარა რომელსაც თითქმის ყოველმა ოჯახმა ძალაუნებურათ ანგარიში უნდა გაუწიოს. დანარჩენ ყველაფერში ცოდნა დიდ ბედნიერებათ ითვლება, მიზნათ, რომელიც ადამიანის საუკეთესო მისწრაფებათა დამამშვენებელია, მარა ეს რაღაც არ ეხება **იმ** საგნების ცოდნას, რომელთანაც პირდაპირ და მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი საკუთარი „მე"-ს არსება, ჯანსაღობა და საფუძველი საზოგადოებრივი განვითარებისა.

**კანტი** ამბობს: „მხოლოდ დედაკაცი და მამაკაცი ერთათ წარმოადგენს მთელ ადამიანს, ერთი სქესი სრულქმნის მეორეს". **შოპენგაუერი** აღიარებს: „სქესობრივი ლტოლვილება —უსრულესი გამოხატულებაა ცხოვრებისადმი ნებისა და ამასთან ერთათ ყველა სურვილთა კონცეტრაციაა (ერთ წერტილში თავის მოყრა). ცხოვრებისადმი ნების განმტკიცება ხდება სქესობრივ კავშირში და ესაა მისი სრული გადაჭრილი გამოხატულება". **მაინლენდერიც** ეთანხმება ამას: „კაცობრიობის ცხოვრების სიმძიმის ცენტრი სქესობრივ ლტოლვილებაში მდებარეობს. მხოლოდ ის უზრუნველყოფს ინდივიდის ცხოვრებას, რაიცა მას უპირველეს ყოვლისა სურს... არაფერს ისე სერიოზულათ არ ეკიდება ადამიანი, როგორც შთამომავლობის განგრძობის საქმეს და არც ერთ სხვა საქმეში არ იჩენს თავს მისი ნების სიმძლავრე და ინტესივობა, როგორც სქესო-

ბრივი შეერთების აქტში". მაზე ბევრათ ადრე ბუდდამ სთქვა: „სქესობრივი ლტოლვილება იმ მწვეტიან კაკვზე უფრო მკვეთრია, რომლის შემწეობითაც იმორჩილებენ გარეულ სპილოებს; ის ალზე უცხოველესია, ის ისარსა გავს, რომელიც ადამიანს სულის სიღრმეში ესობა" *).

თუ კი სქესობრივი ლტოლვილება ასეთი ძლიერია, გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ სიკვდილის დროს სქესობრივი ურთიერთობისაგან თავდაჭერა, ხშირათ იმდენათ მოქმედებს ადამიანის ნერვებზე და მთელ ორგანიზმზე, რომ მძიმე ავათმყოფობას იწვევს და ზოგიერთ შემთხვევაში კი—სიგიჟესა და თვითმკვლელობასაც. რასაკვირველია, სქესობრივი მოთხოვნილება ყველა ინდივიდში ერთნაირათ ძლიერი არ არის და მის ალაგმვაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია შესაფერ აღზრდას, მტკიცე ხასიათს, გრძნობებზე გაბატონებას და განსაკუთრებით იმას, თუ კაცი მოერიდება ენებათა ამშლელ საგნებს, რომელსაც იწვევს ერთგვარი ბაასი, ერთგვარ წიგნების კითხვა, ალკოგოლი და სხვა... საერთოთ ენებათა-ღელვა, თითქოს დედაკაცს უფრო იშვიათათ ემჩნევა, ვინემ მამაკაცს; დედაკაცში ხან-და-ხან ზიზღსა და მძულვარებასაც კი იწვევს სქესობრივი კავშირი. მარა ასეთი მხოლოდ დედაკაცთა მეტათ მცირე ნაწილია, რომლებშიაც ამგვარ მდგომარეობას ქმნის ფიზიკური და ფსიხოლოგიური წინასწარი განწყობილება**).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ადამიანი—კაცია ის თუ ქალი, მხოლოდ იმდენათ წარმოადგენს სრულ ადამიანს, რამდენათაც მასში გამოხატულია თავის სქესის მოთხოვნილებები და ცხოველი ძალა ამ სქესის ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის და, რამდენათაც მათი ფორმა და ხასიათი შეეფერება მათ ბუნებრივ დანიშნულებას. თვითეულმა

*) მაინლენდერი: (Philosophie der Erlösung). II ტ. 12 წერილი. ფრანკფ. მაინზე, 1886 წ.

**) ხშირათ გასათხოვარი ქალი სიძულვილს გრძნობს სქესობრივი კავშირისადმი, სანამ არ შეხვდება ისეთ მამაკაცს, რომელიც თითქო მისთვის გაჩენილაო, სიყვარულით შეიპყრობს მთელ მის არსებას. იხ. ამაზე ფორელის „სქესობრივი საკითხი". რუს. მთარგ. შენიშვნა.

სქესმა უკვე მიაღწია სრულ დამთავრებულ მდგომარეობას. თავის თხზულებაში—„დედაკაცი, როგორც მეუღლე“, კლენკე ამბობს: „ზნეობრივი ადამიანისთვის იძულებით თავის დაჭერა ცოლ-ქმრულ ცხოვრებისაგან ემორჩილება, რასაკვირველია, ზნეობრივ პრინციპს, რომელსაც ხელმძღვანელობს გონიერება, მარა უმწვერვალესათ განვითარებულ თავდაჭერილობითაც კი **შეუძლებელია** სამუდამოთ ჩაახშო მოდგმის გაგრძობის მოთხოვნილება, რომელიც თვით ბუნებისაგან არის ჩანერგილი ორივე სქესის ნორმალურ ორგანიულ გამოხატულებაში. სადაც კი ჯანმრთელ მამაკაცს და დედაკაცს გაუძლია ისე, რომ მთელ თავის ცხოვრებაში არ შეუსრულებია ეს **ვალი** ბუნების წინაშე, იქ ეს სრულიადაც არ ყოფილა **შედეგი წინდაწინვე თავის ნებით, თავისუფლათ მიღებულ გადაწყვეტილებისა**, თუმცა იგი განზრახ თავისუფალ გადაწყვეტილებათ გამოქონდათ და თავის თავს ატყუებდენ: თავისუფალ ნების გამოხატულებაო; პირიქით, **ეს იყო შედეგი სოციალურ დაბრკოლებების და იმ ლოღიკურ დასკვნების, რომელნიც ამცირებენ ბუნებრივ უფლებებს** და ნაძალადევათ აჭკნობენ ადამიანის ორგანოებს. თავის დაჭერა გადაგვარების დაღს ასვამს მთელ ორგანიზმს, მოპირდაპირე სქესის თვისებებსა და ხასიათს უნერგავს ადამიანს, აუშლის მას ნერვებს და ამით აავათმყოფებს მას სულიერათ და ფიზიკურათ. ასეთი მამაკაცი დედაკაცს ემზგავსება და დედაკაცი კი უფრო მამაკაცს მოგვაგონებს ხასიათით და გარეგნულობითაც, და ეს ხდება იმიტომ, რომ სქესობრივი წინააღმდეგობა არ გადაიჭრა ისე, როგორც ამას ბუნება მოითხოვდა; ადამიანი ცალმხრივი დარჩა, **სრული ადამიანობა ვერ მოიპოვა, თავის ყოფნის უმაღლეს წერტილს ვერ მიაღწია**“. ასეთ აზრს ადგია **დოქტორი** ელისაბედ **ბლაკველიც** თავის თხზულებაში: „The moral education of the joung in relation to sex“: „სქესობრივი ლტოლვილება—უსაჭიროესი პირობაა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი არსებობის. ის—ადამიანთა ბუნების ყოვლის შემძლე ძალაა. განუვითარებელ მდგომარეობაში იგი

მოკლებულია გონების ხელმძღვანელობას, მაგრამ ის ამ სახითაც—**ცხოვრების შუაგულში აბილბილებული ალია** და ბუნებრივი თავდები მისი გაქრობის შეუძლებლობისა". რამდენიმეთ ამასვე იმეორებს აქიმი ბ. ტარნოვსკი თავის თხზულებაში—„პროსტიტუცია და აბოლიციონიზმი": ზოგიერთნი ადვილათ იტანენ სქესობრივ თავდაჭერილობახ თავის ორგანიზმის თანდაყოლილ თვისებების წყალობით, ზოგს კი ის ან ქალის გულმკერდზე აკრავს აღგზნებული ცეცხლის ჩასაქროობათ, ან ენებით სავსე მოჩვენების სამეფოში აფრენს, როგორც წმ. ანტონს დაემართა, ან დემონიურ გალიუცინაციებს მოგვრის, ან, უკანასკნელ, ონანაზმის მსხვერპლათ ხდის... ჯანმრთელობის შემეცნება შეიცავს ადამიანის ყველა მოთხოვნილებათა სრულ და ნორმალურ დაკმაყოფილებას—და სწორეთ ეს უნდა ქონდეს დასახული მიზნათ ჰიგიენას და არა ის, რომ ძალით დაახშოს ორგანიზმის ერთი უმთავრესი ფუნქციათაგანი, როგორიცაა სქესობრივი მოთხოვნილება". ლიუტერი, როგორც პრაქტიკული ადამიანი, იოლათ იძლევა ამ კითხვაზე დადებით პასუხს. ის ამბობს: „ვისაც არ შეუძლია დაიცვას თავის უბიწოება, მან ადრევე უნდა იზრუნოს ლუკმაპურზე და შემდეგ ღვთის შეწევნით შეუდგეს ქორწინებას: ჭაბუკი არა უჯვიანეს 20 წლისა და ქალიშვილი კი 15—18 წლისა; ამ დროს ისინი ჯერ კიდევ ჯანსაღნი არიან და უფალი თვით იზრუნებს მათი შვილების გამოკვებაზე. ღმერთი ჰქმნის ადამიანთ და იგივე გამოკვებს მათ" *). სამწუხაროთ, ლიუტერის კეთილი რჩევა თანამედროვე სოციალურ პირობებში განუხორციელებელია და ღვთის იმედს ბავშვთა გამოკვების საქმეში, სრულიად უყურადღებოთ სტოვებს ქრისტიანული სახელმწიფო და ქრისტიანული საზოგადოება.

მაშ ასე, დადებითი მეცნიერების დასკვნა სავსებით ეთანხმება ფილოსოფოსთა აზრს და ლიუტერის საღ და გონიერ ადამიანურ შეხედულებას; აქედან კი გამოდის, რომ ადამიანს უნდა შეძლება მიეცეს—ნორმალურათ დაიკმაყოფილოს ყვე-

*) ლიუტერის სრული თხზულებები ჰალლე. 1744 წ. 10 ტომი გვ. 742.

ლა თავისი მოთხოვნილებანი, რომელნიც არამც თუ მჭიდროთ არიან დაკავშირებული მის შინაგან არსებასთან, არამედ თვით მის არსებით მხარეს წარმოადგენენ. და როცა საზოგადოებრივი პირობების ან ცრუმორწმუნეობების წყალობით ეს შეუძლებელია, ამით დიდი დაბრკოლება ეძლევა ადამიანის პიროვნების განვითარებას. ყველა ამის შედეგს ჩვენი აქიმები, სამკურნალოები, სულით ავათმყოფთა სახლები და საპყრობილეებიც ბევრს გვიჩვენებენ, ათასობით დაღუპულ ოჯახურ ცხოვრებას რომ თავი დავანებოთ. ლეიპციგში გამოცემულ ერთ წიგნაკში ავტორი მოგვითხრობს: „სქესობრივი ლტოლვილება არც ზნეობრივია და არც უზნეო, ის მხოლოდ ბუნებრივია, როგორც შიმშილი და წყურვილი; ბუნებამ კი არ იცის ზნეობა“ *). დიახ, არ იცის, მარა საზოგადოებას არ სურს ამის გაგება.

## 2. უქორწინობა და თვითმკვლელობის გახშირება.

აქიმებსა და ფიზიოლოგებს შორის ძლიერ გავრცელებულია ის აზრი, რომ შეუფერებელი შეუღლება სჯობია სულ უგვირგვინოთ დარჩენას; გამოცდილება ამოწმებს ამასო. სქესობრივ მდგომარეობას დიდი გავლენა აქვს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ცხოვრებაზე.

„თვითმკვლელობა ცოლ-ქმრიანებში უფრო იშვიათი მოვლენაა, თუ ავიღებთ შესადარებლათ ათასს 30 წლის უქორწინო ადამიანს და ათასს ამავე წლოვანობის დაქორწინებულს. ეს ფაქტი ეპვს გარეშეა და მართლაც რომ გასაოცარია. მამაკაცებში ამ მხრივ მაინც დიდი განსხვავებაა. საყურადღებოა აგრეთვე მომეტებული თვითმკვლელობა ადრე დაქვრივებულ მამაკაცებში“ **).

ამტკიცებენ, რომ არა-ნორმალური სქესობრივი ცხოვრების პირობები შესამჩნევათ ზრდიან თვითმკვლელობათა რიცხვს. საზოგადოთ კი ყველა ქვეყნებში თვითმკვლელობა მამაკაცებში უფრო გავრცელებულია, ვიდრე დედაკაცებში. აი ცხრილი:

*) „Die Prostitution vor dem Gesetz“. Von Veritas. ლეიპციგი 1898 წ.

**) Dr. C. Schnapper-Arndt, Socialstatistik. გვ. 196, ლეიპც. 1908 წ.

| ქვეყნები. | წლები. | თვითმკვლელთა რიცხვი 100,000 სულზე. | | დედაკაცთა თვითმკვლელ. მამაკაცთა თვითმკვლელ. შედარებით. |
|---|---|---|---|---|
| | | მამრ. სქ. | მდედ. სქ. | |
| გერმანია . . . | 1899—1902 | 33,0 | 8,4 | 25,5 % |
| ავსტრია . . . . | 1898—1901 | 25,4 | 7,0 | 27,6 „ |
| შვეიცარია . . . | 1896—1903 | 33,3 | 6,4 | 19,2 „ |
| იტალია . . . . | 1893—1901 | 9,8 | 2,4 | 24,5 „ |
| საფრანგეთი . . . | 1888—1892 | 35,5 | 9,7 | 27,3 „ |
| ნიდერლანდია . . | 1901—1902 | 9,3 | 3,0 | 32,3 „ |
| ინგლისი. . . . | 1891—1900 | 13,7 | 4,4 | 32,1 „ |
| შოტლანდია . . | 1891—1900 | 9,0 | 3,2 | 35,6 „ |
| ირლანდია . . . | 1901 | 2,3 | 1,2 | 52,2 „ |
| ნორვეგია . . . | 1891—1900 | 10,0 | 2,5 | 25,0 „ |
| შვეცია . . . . | 1891—1900 | 21,1 | 8,6 | 40,8 „ |
| ფინლიანდია . . | 1891—1900 | 7,8 | 1,8 | 23,1 „ |
| ევროპის რუსეთი . | 1885—1894 | 4,9 | 1,6 | 32,7 „*) |

გერმანიაში 1898 წლიდან 1907 წლამდე თვითმკვლელობათა რიცხვი იყო:

| წლები | საერთოთ | მამრ. სქ. | მდედ. სქ. |
|---|---|---|---|
| 1898 | 10,835 | 8544 | 2291 |
| 1899 | 10,761 | 8460 | 2301 |
| 1900 | 11,393 | 8987 | 2406 |
| 1902 | 12,336 | 9765 | 2571 |
| 1904 | 12,468 | 9704 | 2764 |
| 1907 | 12,777 | 9753 | 3024 |

1898 წელს მამაკაცთა 100 თვითმკვლელობაზე მოდიოდა 26,8 დედაკაცის თვითმკვლელობა, 1899 წ.—27,2; 1900 წ.—26,8; 1904 წ.—28,5; 1907 წ.—31,0. მაგრამ 15—30 წლებში თვითმკვლელობათა შედარებითი რიცხვი პროცენტობით **დედრობით სქესში მეტია, ვინემ მამაკაცებში.** ასე,

*) F. Princing, Handbuch der Mediz. Stat. იენა 1906 წ.

მაგალ. პროცენტობით რომ ვიანგარიშოთ, თვითმკვლელობათა რიცხვი 15—20 წლიანებსა და 21—30 წლიანებში, შემდეგ საყურადღებო ციფრებს მივიღებთ:

| ქვეყნები. | წლები. | 15—20 წლიანნი. | | 21—30 წლიანნი. | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მამრობ. სქეს. | მდედრ. სქეს | მამრობ. სქეს. | მდედრ. სქეს |
| პრუსია . . . . | 1896—1900 | 5,3 | 10,7 | 16,0 | 20,2 |
| დანია . . . . | 1896—1900 | 4,6 | 8,3 | 12,4 | 14,8 |
| შვეიცარია . . . | 1884—1899 | 3,3 | 6,7 | 16,1 | 21,0 |
| საფრანგეთი. . . | 1887—1891 | 3,5 | 8,2 | 10,9 | 14,0*) |

საქსონიაში 1000 თვითმკვლელობაზე 21—30 წლებს უწევს საშუალო რიცხვით:

| | მამრ. სქ. | მდედრ. სქ. |
|---|---|---|
| 1854—68 წწ. | 14,95 % | 18,64 % |
| 1868—80 „ | 17,71 „ | 18,79 „ |
| 1881—88 „ | 15,3 „ | 22,3 „ |

თვითმკვლელობათა მეტ პროცენტს ვამჩნევთ საშუალო რიცხვთან შედარებით დაქვრივებულთა და განქორწინებულთა შორის. საქსონიაში საერთოთ თვითმკვლელობათა საშუალო რიცხვთან შედარებით, განქორწინებულ მამაკაცებში 7-ჯერ მეტი თვითმკვლელობა ხდება, დედაკაცებში კი 3-ჯერ მეტი. განქორწინებულთა და ქვრივთა შორის თვითმკვლელობა უფრო ხშირია იმათში, **რომელთაც შვილი არა ყავთ.** გაუთხოვართაგან, რომელნიც თვითმკვლელობის მსხვერპლი ხდებიან 21—30 წლებში, მრავალნი უბედური სიყვარულის ან დაცემის გამო იკლავენ თავს. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უკანონოთ შობილთა რიცხვის ზრდასთან ერთათ, იზრდება

*) H. Krose die Ursachen der Selbs. ფრეიბურგი, 1906 წ.

თვითმკვლელობა ქალთა შორის. განსაკუთრებით ხშირია თვითმკვლელობა 16—21 წლის ქალებში. ამის მიზეზია სქესობრივი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობა, სიყვარულის კაეშანი, საიდუმლო ორსულობა, ან მამაკაცის მიერ მოტყუება. აი რას ამბობს კრაფტ ებინგი ქალის მდგომარეობაზე სქესობრივი დამოკიდებულების მხრივ: „არ უნდა დავამციროთ დედაკაცის სოციალური მდგომარეობის მნიშვნელობა, როგორც მისი სულით დაავათმყოფების მიზეზის. დედაკაცს, რომელსაც ბუნებით უფრო ძლიერი სქესობრივი მოთხოვნილება აქვს, ვინემ მამაკაცს, ამ მოთხოვნილების პატიოსნურ დასაკმაყოფილებლათ საკუთარი საშუალება არ მოეპოვება ქორწინების გარეშე (მოუდსლი)".

„მხოლოდ ქორწინება აძლევს მას უზრუნველ-ყოფას. მრავალ თაობათა განმავლობაში ამ მხრივ ვითარდებოდა მისი ხასიათი და თვისებები. ჯერ კიდევ ბავშობის დროს ეთამაშება ის თავის ტიკინებს „დედობიას". მარა თანამედროვე ცხოვრება და მოთხოვნილებათა შეუჩერებელი ზრდა, ძალიან ცოტა იმედს აძლევს იმისას, რომ მისი სქესობრივი ლტოლვილება ქორწინების საშუალებით დაკმაყოფილდება. განსაკუთრებით ეს ითქმის მაღალ საზოგადოების ქალებზე, რადგან მათში ქორწინება შედარებით უფრო გვიან და იშვათათ ხდება.

მამაკაცი, თავის ინტელექტუალურ და ფიზიკურ სიძლიერის წყალობით, უფრო კი თავისუფალ სოციალურ მდგომარეობის გამო, ადვილათ ახერხებს სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, თუ არადა ეკვივალენტს მაინც პოულობს თავის ცხოვრების მოწოდებაში, რომელიც იტაცებს მას და ახარჯვინებს მთელ თავის ენერგიას. მაღალ საზოგადოების გასათხოვარ ქალთათვის ეს გზა შეკრულია და ამის შედეგია— შეუგნებელი ანუ შეგნებული უკმაყოფილება თავისი თავით და მთელი ამ ქვეყნით. აქედან ვითარდება დაავადებული ფანტაზია. ხშირათ ასეთი დედაკაცი სარწმუნოებაში ეძებს დაკმაყოფილებას, მარა ამაოთ. სარწმუნოებრივი ოცნებები ონანიზმის ზედ-დართვით ან უმისოთ, ბადებს ნერვების მრავალ-

გვარ ავათმყოფობებს, მათ შორის ისტერიას და შეშლილობას. აი სად იმარხება იმ ფაქტის მიზეზი, რომ გაუთხოვარ ქალთა შორის, შეშლილობას ყველაზე ხშირათ ვხვდებით 29—30 წლებში, ე. ი. ოჯახურ ბედნიერ ცხოვრების იმედის გადაყვავილებისა და დაჭკნობის ხანაში. მამაკაცთა შორის კი შეშლილობა ყველაზე ხშირათ 35—50 წლებში ხდება, ე. ი. არსებობისათვის გაძლიერებულ ბრძოლის ხანაში.

უბრალო შემთხვევა როდია, რომ უქორწინოთა რიცხვის ზრდასთან ერთათ, ქალთა ემანსიპაციის საკითხიც სულ უფრო და უფრო საჭირბოროტო საკითხათ იქცევა. მე მინდა, ამ ფაქტს შეხედონ ისე, როგორც იმის დამამტკიცებელ საბუთს, რომ უქორწინობის გავრცელების გამო, დედაკაცის სოციალური მდგომარეობა თანამედროვე საზოგადოებაში პირდაპირ აუტანელია; მინდა შეხედონ ისე, როგორც ქალთა სამართლიან მოთხოვნას, რომ მათაც მიიღონ იმის ეკვივალენტი (სამაგიერო), რის დანიშნულება აქვს მას მინიჭებული ბუნებისაგან და რაშიაც ხშირათ უარს ეუბნებიან თანამედროვე სოციალური პირობები“ *).

გ. პლოსსი თავის თხზულებაში: „დედაკაცი ბუნებაში და ეთნოგრაფიაში“, აღნუსხავს-რა გაუთხოვარ ქალების სქესობრივ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობით გამოწვეულ შედეგებს, ასე განაგრძობს: „უმაღლესი ყურადღების ღირსია აქიმის და ანტროპოლოგის მხრივ ის ფაქტი, რომ არსებობს ნამდვილი და უებარი საშუალება, რომელსაც შ[illegible]ია არა თუ შეაჩეროს დაჭკნობის პროცესის განვითარება (დროს გადასულ გასათხოვარ ქალთათვის), არამედ დაუბრუნოს კიდეც მათ უკვე დაკარგული სიახალგაზრდავე, თუ წინანდელი ელფერით არა, რამდენიმეთ მაინც.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე სოციალური პირობები, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვაძლევენ ნებას ამ საშუალებით ვისარგებლოთ. ეს საშუალებაა—ნორმალური და წესიერი სქესობრივი კავშირის დაჭერა. ხშირათ შეხვდებით, რომ უკვე

*) Lerbuch der Psichiatrie, შტუტგარტი, 1883 წ.

დროს გადასულ გასათხოვარ ქალს თუ ბედმა გაუღიმა და გათხოვდა, სხეულის მოყვანილობა ისევ უვითარდება, ღაწვებზე ვარდი აუთამაშდება და თვალები ელვარებით გაუბრწყინდებიან ხოლმე. **ამნაირათ, ქორწინება საუკეთესო და ნამდვილი წყაროა ახალგაზრდობისა დედაკაცისათვის.** და ასე, ბუნებას თავის შეურყეველი კანონები აქვს, რომელნიც სისწორით და სავსებით შესრულებას მოითხოვენ, და ყოველგვარი vita praeter naturam (ცხოვრება ბუნების წინააღმდეგ), ცხოვრება არა-ბუნებრივი, ცდა ცხოვრების ისეთ პირობებთან შეგუებისა, რომელნიც არ შეეფერებიან ამ **მოდგმის** ბუნებას, აუცილებლათ გადაგვარების კვალს დააჩნევს როგორც ცხოველის, ისე ადამიანის ორგანიზმს".

აქ დგება ახალი კითხვა: აკმაყოფილებს თუ არა თანამედროვე საზოგადოება ადამიანის ცხოვრების გონიერ მოთხოვნილებებს და უმთავრესათ დედაკაცისას? ანდა შეუძლია კი მათი დაკმაყოფილება? თუ ორივე ამ კითხვაზე უარყოფით ვუპასუხებთ, იბადება მესამე: როგორ და რა გზით შეიძლება მათი დაკმაყოფილება?

## თავი VIII.

## თანამედროვე ქორწინება.

### 1. ქორწინება, როგორც პროფესია.

„ქრისტიანობა და ოჯახი საფუძველია სახელმწიფოსი და ამიტომ, ვინც ბედავს მათ ხელის შეხებას, ის საფუძველს ურყევს საზოგადოებასა და სახელმწიფოს, ის ძირს უთხრის მათ ორივეს",—გაჰკივიან თანამედროვე წყობილების დარაჯნი. მონოგამიური ქორწინება, როგორც ზევით ვამტკიცებდით, ბურჟუაზიულ გამდიდრების წესისა და ბურჟუაზიულ საკუთრების პირმშო შვილია, მაშასადმე, ის ერთი აუცილებელი და უმთავრესი ქვა-კუთხედია ბურჟუაზიულ საზოგადოების; მარა

შეეფერება თუ არა ის ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებებს და საზოგადოების საღ განვითარებას—ეს სულ სხვა კითხვაა.

ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ბურჟუაზიულ, ქონებრივ ურთიერთობაზე დამყარებული ქორწინება, ასე თუ ისე ძალმომრეობაა, რომ მას მრავალი ნაკლი აქვს და ხშირათ არა სავსებით, ან სრულიად არ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას.

შემდეგ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეს სოციალური დაწესებულება სრულიად მიუწდომელია მრავალ-მილიონ ადამიანისთვის და, ყოველ შემთხვევაში, არ წარმოადგენს თავისუფალ სიყვარულზე დაფუძნებულ კავშირს მაშინ, როდესაც მის მაღმერთებელთა აზრით, მხოლოდ ასეთი კავშირი შეეფერება ბუნების კანონებს.

თანამედროვე ქორწინების შესახებ ჯონ სტიუარტ მილლი ამბობს: „ქორწინება ერთათ-ერთი ნამდვილი ბატონ-ყმობაა, რომელსაც კანონი ადასტურებს". კანტის შეხედულებით, მხოლოდ მამაკაცი და დედაკაცი ერთათ წარმოადგენს მთელ ადამიანს. სქესთა ნორმალურ შეერთებაზე არის დამოკიდებული კაცთა ნათესავის საღი განვითარება. სქესობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ერთი უსაჭიროესი რამ არის, როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცის საღ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებისათვის; მარა ადამიანი პირუტყვი არ არის—მისი ძლიერი მოთხოვნილების სავსებით დასაკმაყოფილებლათ, საკმარისი არაა დაკმაყოფილება მხოლოდ მისი ფიზიკური მხარის, იგი საჭიროებს ამასთანავე სულიერ შეერთებას იმ არსებასთან, რომელსაც ის უკავშირდება სქესობრივათ. თუ სულიერი კავშირი არაა, იმ შემთხვევაში სქესობრივი შეერთება წმინდა მექანიკურია და უზნეობათ უნდა ჩაითვალოს. უფრო განვითარებული ადამიანი მოითხოვს, რომ ურთ-ერთის სურვილი დარჩეს სქესობრივი შეერთების შემდეგაც, **რომ მისი გამაკეთილშობილებელი გავლენა გადავიდეს ცოცხალ არსებაზე, რომელიც ამ შეერთებიდან წარმოსდგება***). იმ ფაქ-

*) „აზრი და გრძნობა, რომლითაც ორი ცოლ-ქმარი უახლოვდება ერთმანეთს, უსათუოთ გადამწყვეტ გავლენას ახდენს სქესობრივი შეერთების მოქმედე-

ტმა, რომ შეუძლებელია ასეთი მოთხოვნილება წავუყენოთ ქორწინებათა აუარებელ რიცხვს თანამედროვე საზოგადოებაში, აიძულა ვარნანგენ ფონ-ენზე შემდეგი სიტყვები დაეწერა: „ყველა იმან, რაც ჩვენ დავინახეთ და რაც დაქორწინებულთა და დასაქორწინებელთა შესახებ მოგვცა დაკვირვებამ,—ნებას არ გვაძლევს კარგი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ შეერთებაზე; პირიქით, ეს დაწესებულება, რომელსაც სიყვარული და ურთერთის პატივისცემა უნდა ედვას საფუძვლათ და რომელიც, როგორც მრავალი მაგალითებიდან სჩანს, სულ სხვა საფუძველზე არის აგებული, გათახსირებულ და ზიზღის ღირსათ მიგვაჩნია და ამიტომ, ვუერთდებით ფრიდრიხ შლეგელის სიტყვებს, რომელიც „ატენეიას“ ფრაგმენტებში წავიკითხეთ: „თითქმის ყველა ქორწინებანი—მხოლოდ კონკუბინატია (უკანონო შეერთება), ძალაუნებური შეუღლება, ან უფრო დროებითი ცდა და შორეული დაახლოვება ნამდვილ ქორწინებისა, რომლის ნამდვილი არსება, როგორც სასულიერო, ისე საერო კანონებით იმაში მდგომარეობს, რომ მრავალი პიროვნებანი ერთ პიროვნებათ იქცევიან“ *). კანტისებურათ არის ნათქვამი.

შთამომავლობის ყოლით გამოწვეული სიხარული და მისდამი მოვალეობა ახანგრძლივებს ორ შეყვარებულ ადამიანთა კავშირს. ამიტომ ქორწინების მსურველთ ორივე პირმა უნდა წინასწარ გაითვალისწინონ, რამდენათ შეეფერება მათი თვისებები ასეთ კავშირს. გადაწყვეტილება სრულიად თავისუფლათ და ძალ-დაუტანებლათ უნდა იქნეს გამოტანილი. ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქორწინებას ჩამოშორდება გარეშე ინტერესები, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ასეთი კავშირის ნამდვილ მიზანთან, როგორიც არის ბუნების

ბაზე და ზოგიერთი თვისებები გადაეცემიან ახალ არსებასაც“. Dr. Elisabeth Blakwell: „The moral education of the young in relation to sex“. იხ. აგრეთვე გიოტე „Wahlverwandtschaften“, რომელშიაც ის ნათლათ აღწერს, თუ როგორ მოქმედებენ გრძნობანი, როდესაც ორ ადამიანს საიდუმლო დამოკიდებულებისაკენ იწვევენ.

*) Denkwürdigkeiten, ტომი I, გვ. 280, ლეიპციგი, ფ. ა. ბროკგაუზი.

მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ადამიანთა გვარის გაგრძელებით თავისი საკუთარი არსების გაგრძელება და ერთგვარი წინდახედულობით ბრმა ვნებათა-ღელვის დაცხრობა. მარა, რადგან უმეტეს შემთხვევაში ასეთი პირობები არ მოიპოვება დღევანდელ საზოგადოებაში, აქედან ცხადია, თანამედროვე ქორწინება ჯერ კიდევ ძალიან შორსაა თავის ნამდვილ მიზნისაგან და ამიტომ, მისი იდეალურ დაწესებულებათ ჩათვლა ყოველ საფუძველს მოკლებულია.

რამდენი ქორწინება ხდება სულ სხვა მიზეზებით, ვინემ ზევით აღვნიშნეთ—ამის თქმა ძნელია. თვით მონაწილენი დაინტერესებული არიან იმაში, რომ მათი ქორწინება ქვეყანას სულ სხვანაირათ აჩვენონ, ვიდრე ნამდვილათ არის. ამ სფერაში საზოგადოთ ისეთი ფარისევლობა ბატონობს, რომლის მზგავსი არც ერთ საზოგადოებრივ ხანაში არ ყოფილა. და სახელმწიფოსაც, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ წარმომადგენელს, არავითარი ინტერესი არა აქვს—თავი შეიწუხოს ასეთი გამოკვლევით, რომლის შედეგები თანამედროვე წყობილების ბნელ მხარეებს გამოამზეურებს. მთავარი წესები, რომლებითაც სახელმწიფო საზღვრავს თავის მოხელეთა და მოსამსახურეთა დაქორწინების საკითხს, სრულიად არ შეეფერება იმ მასშტაბს, **რომელიც უნდა ედვას საფუძვლათ ჭეშმარიტ ქორწინებას.**

## 2. დაბადებათა რიცხვის შემცირება.

ქორწინება უნდა იყოს კავშირი ორი ადამიანის, რომელთაც აერთებს ურთ-ერთის სიყვარული და სურვილი ბუნებრივ დანიშნულებათა განხორციელების. მარა ასეთ მოტივს ახლანდელ დროში **თავისი წმინდა სახით** ძლიერ იშვიათათ შეხვდებით. ქალთა უმეტესობა ისე უყურებს ქორწინებას, როგორც თავშესაფარს, რომელიც უზრუნველ-ყოფს მათ და რომელშიაც, მაშასადამე, აუცილებლათ უნდა მოხვდენ, რათაც უნდა დაუჯდეთ. მამაკაცთა უმეტესობა კი, პირიქით,

ანგარიშის თვალით უყურებს ქორწინებას, სწონის და ითვლის —სარგებლობას მოუტანს ის ნივთიერათ, თუ ზარალს. ისეთ ქორწინებასაც კი, რომელშიაც დაბალ ეგოისტურ მოტივებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია, ულმობელი სინამდვილე ისე შლის და არღვევს, რომ იშვიათათ თუ გამართლდება ის იმედები, რომლებიც ფრთას ასხამდენ ცოლ-ქმართ დაქორწინების დროს.

ეს ბუნებრივია. რომ ქორწინებამ ორივე ცოლ-ქმარი დააკმაყოფილოს ურთი-ერთის ცხოვრებით, ამისათვის გარდა ურთ-ერთის სიყვარულისა და პატივისცემისა, საჭიროა **მათი ნივთიერი მდგომარეობის უზრუნველყოფა და განსაზღვრული რიცხვი საარსებო საშუალებათა, რომელიც მათ აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ პირადათ თავიანთთვის და შვილებისათვის.** მუდმივი გაჭირვება და სასტიკი ბრძოლა არსებობისათვის, შეუბრალებლათ უთხრის სამარეს ცოლ-ქმრულ კმაყოფილებას და ბედნიერებას. მაგრამ, რაც უფრო ნაყოფიერია მათი ქორწინება, ე. ი. **რამდენათაც უფრო უკეთ ასრულებენ ისინი თავის დანიშნულებას,** იმდენათ მეტი საზრუნავი ატყდებათ თავზე. გლეხი, მაგალ. აღტაცებაში მოდის, როდესაც მისი ძროხა ხბოსა შობს, ის სიამოვნებით ითვლის გოჭებს და სიამოვნებით აუწყებს ამ ბედნიერებას თავის მეზობლებს; მხოლოდ ის დაღონებული გამოიყურება, როდესაც მისი ცოლი, დედა „ბევრი“ შვილების, რომელთა რჩენა მას დიდ გასაჭირათ მიაჩნია—და ეს „ბევრი“ დიდი რიცხვი არ არის—კვალად ახალ შვილს ძენს, და უფრო დაღვრემილია, თუ საუბედუროთ, ახლათ შეძენილი **მდედრობითი სქესისაა.**

მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიური პირობები საზღვრავენ, როგორც ქორწინებათა რიცხვს, ისე შვილებისას. ამის კლასიკურ მაგალითს გვაძლევს საფრანგეთი. იქ სოფლის მეურნეობაში გაბატონებულია უმთავრესათ შვილებ შორის თანასწორათ გაყოფა ადგილ-მამულისა. მარა, თუ მიწის დაქუცმაცება საზღვარს გადასცდა, ის ოჯახს ველარ

დაარჩენს. და ამიტომ, ფრანგის გლეხი თავისებურათ ებრძვის ამ კანონს, რომელიც ნებას აძლევს მას უსაზღვროთ დააქუცმაცოს თავის საკუთრება: ის ორ შვილზე მეტს იშვიათათ იჩენს. სწორეთ ამაში მდგომარეობს „სანაქებო“ სისტემა ორშვილიანობისა, რომელიც სოციალურ დაწესებულებათ იქცა საფრანგეთში და რომლის წყალობით, სახელმწიფო მმართველთა თავსატეხათ, მრავალ პროვინციებში არამც თუ აღარ მრავლდება ხალხი, არამედ კლებულობს კიდეც. სოფელში ეს შედეგია საქონლის წარმოების და ფულის მეურნეობის, ქალაქში კიდევ უფრო მეტათ იკიდებს ეს ფეხს ინდუსტრიის განვითარების გამო. დაბადებულთა რიცხვი აქ გამუდმებით კლებულობს. მარა ეს ასე არაა მარტო საფრანგეთში, არამედ სხვა კულტურულ სახელმწიფოთა უმრავლესობაშიაც. ამაში გამოიხატება ჩვენი სოციალური პირობების გავლენა და საჭირო იყო ამ მოვლენისათვის მეტი ყურადღება მიექციათ გაბატონებულ კლასებს. 1881 წელს საფრანგეთში დაიბადა 937,057 ბავშვი და 1906 წელს კი—მხოლოდ 806,847; 1907 წელს —773,969. მაშასადამე, 1907 წელს შედარებით 1881 წელთან—163,088 ბავშვით ნაკლები დაბადებულა. მაგრამ დამახასიათებელია ის, რომ **უკანონოთ შობილთა** რიცხვმა, რომელიც 1881 წელს უდრიდა 70,079-ს და უმაღლეს წერტილზე ავიდა 1884 წელს (75,754), შემდეგ კი იკლო, მარა 1907 წელს მაინც 70,866 სულს უდრიდა. ასე რომ, ახალშობილთა რიცხვმა **განსაკუთრებით** დაქორწინებულთა შორის იკლო. დაბადებათა რაოდენობის კლება დამახასიათებელი მოვლენაა, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში ემჩნევა. საფრანგეთში 1000 სულ მცხოვრებზე დაიბადა:

| წლები | რიც. | წლები | | რიც. |
|---|---|---|---|---|
| 1801—1810 | 332 | 1861—1870 | | 261 |
| 1811—1820 | 316 | 1881—1890 | | 239 |
| 1821—1830 | 308 | 1891—1900 | | 221 |
| 1831—1840 | 290 | 1905— | — | 206 |
| 1841—1850 | 273 | 1906— | — | 206 |
| 1851—1860 | 262 | 1907— | — | 197 |

ამნაირათ, დაბადებულთა რიცხვმა 1907 წელს შედარებით 1861 წელთან, 134-ით იკლო 10,000 სულ მცხოვრებზე. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი შედეგი საფრანგეთის მმართველთ და სოციალ-პოლიტიკოსთ თავსატეხ საგნათ აქვთ გადაქცეული. მარა ამ შემთხვევაში საფრანგეთი განკერძოებული როდია. ასეთმა მოვლენამ გერმანიაში და განსაკუთრებით საქსონიაში დიდიხანია იჩინა თავი. დაბადებათა რიცხვი აქ უფრო მეტი სისწრაფით კლებულობს; ასე მაგალ., 1000 მცხოვრებზე დაიბადა გერმანიაში:

| | | |
|---|---|---|
| 1875 წ.—423, | 1890 წ.—370, | 1905 წ.—340, |
| 1880 წ.—391, | 1895 წ.—373, | 1906 წ.—341, |
| 1885 წ.—385, | 1900 წ.—368, | 1907 წ.—332. |

ევროპის სახელმწიფოთა უმეტესობაც ასეთსავე სურათს წარმოადგენს. მაგალ. 10,000 მცხოვრებზე ახალშობილთა რიცხვი მოდიოდა:

| ქვეყნები. | 1871—1880 წ. | 1881—1890 წ. | 1891—1900 წ. | 1901—1905 წ. | 1907 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი და უელსი. | 35,4 | 32,5 | 29,9 | 28,1 | 26,3 |
| შოტლანდია . . | 34,9 | 32,3 | 30,2 | 28,9 | 27,0 |
| ირლანდია . . . | 26,5 | 23,4 | 23,0 | 23,2 | 23,2 |
| იტალია . . . . | 36,9 | 37,8 | 34,9 | 32,6 | 31,5 |
| შვეიცარია . . . | 30,5 | 29,1 | 27,2 | 26,1 | 25,5 |
| ავსტრია . . . . | 39,0 | 37,9 | 37,1 | 35,8 | 35,0 |
| ჰუნგრეთი . . . | 44,3 | 44,0 | 40,6 | 37,2 | 36,0 |
| ბელგია . . . . | 32,3 | 30,2 | 29,0 | 27,7 | 25,7 |
| შვეცია . . . . | 30,8 | 28,1 | 28,1 | 28,1 | 26,8 |
| ნიდერლანდია . . | 36,2 | 34,2 | 32,5 | 31,5 | 30,0 |

როგორც სჩანს, დაბადებათა რაოდენობის კლება საერთო მოვლენაა. საფრანგეთსა და ირლანდიაში ეს მოვლენა განსაკუთრებით საგრძნობელია; მარა ძლიერ სწრაფათ მიდის

ეს შემცირება ინგლისსა, გერმანიასა (საქსონია) და შოტლანდიაშიაც. ამასვე ვამჩნევთ შეერთებულ შტატებში და ავსტრიაში. ეს ტენდენცია უფრო აშკარათ გამოჩნდება, თუ საერთოთ ახალ-დაბადებულთა მაგიერ მხოლოდ ქორწინებაში დაბადებულთ მივიღებთ ანგარიშში, ანუ სხვანაირათ რომ ვსთქვათ, თუ კანონიერ დაბადებულთა რიცხვს შევადარებთ გათხოვილ ქალთა რიცხვთან. აი შესაფერი ცხრილიც:

---

ცოცხლათ დაბადებული კანონიერი ბავშვები 100,000 დაქორწინებულ დედაკაცზე (ხნოვანება 15—49 წ.), საშუალოთ ყოველ წელიწადს.

| 10 წელიწადში. | ინგლისი და უელსი. | შოტლანდია. | ირლანდია. | დანია. | ნორვეგია. | შვეცია. | ფინლიანდია. | ავსტრია. | ჰუნგრეთი. | შვეცია. | გერმანია | პრუსია | ბავარია. | საქსონია. | ვიურტემბერგი. | ბადენი | ნიდერლანდია. | ბელგია. | საფრანგეთი. | იტალია. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1876—1885 | 250 | 271 | 250 | 244 | 262 | 240 | 259 | 246 | 234 | 239 | 268 | 273 | 276 | 267 | 288 | 266 | 293 | 264 | 167 | 248 |
| 1886—1895 | 229 | 255 | 245 | 235 | 259 | 231 | 246 | 250 | 225 | 230 | 258 | 265 | 263 | 250 | 259 | 248 | 286 | 236 | 150 | 249 |
| 1896—1905 | 203 | 235 | 264 | 217 | 246 | 219 | 244 | 242 | 216 | 225 | 243 | 250 | 259 | 216 | 262 | 251 | 272 | 213 | 132 | 232 |

მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ, რომ კაცის შექმნას, რომელიც „ღვთის მზგავსება და ხატებაა“, როგორც ღვთის მოსავნი ამბობენ, უფრო ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე შინაური პირუტყვის გამრავლებას და ეს კი ძლიერ მჭერმეტყველურათ ამტკიცებს, თუ რამდენათ აუტანელი უნდა იყოს თანამედროვე საზოგადოებრივი პირობები. ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი შეხედულებანი არაფრით არ განსხვავდებიან ბარბაროსების შეხედულებათაგან. უკანასკნელნი ხშირათ ჰკლავდენ ახალდაბადებულს, მეტადრე დედრობითი სქესისას; ზოგიერთ ტომებში ეს ჩვეულება დღესაც არსებობს, ჩვენ უკვე აღარა ვხოცთ დედრობითი სქესის ბავშვებს, ამ მხრით ჩვენ საკმაოთ განათ-

ლებულნი ვართ, მაგრამ ჩვენ მათ ხშირათ ისე ვეპყრობით, როგორც მოძულებულებს.

მამაკაცი, როგორც უფრო ძლიერი, ყველგან ერეკება დედაკაცს არსებობისათვის ბრძოლის ველიდან და თუ უკანასკნელი მაინც ებმის ცხოვრების ბრძოლაში, ძლიერი სქესი ხშირათ საშინელი მძულვარებით სდევნის მას, როგორც არასასურველ მეტოქეს. განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენენ მეტოქე დედაკაცისადმი და განსაკუთრებული ენერგიით ებრძვიან მას მაღალი წრის მამაკაცები. მუშებისაგან მოთხოვნილების წამოყენება—დედაკაცს შრომა აეკრძალოსო, იშვიათი მოვლენაა და უფრო გამონაკლისს შეადგენს. მაგალ., როდესაც 1877 წელს ფრანგ მუშათა ერთ-ერთ კონგრესზე წამოაყენეს ასეთი წინადადება, იგი დიდის უმრავლესობით უარყოფილ იქნა. მას აქეთ ყველა ქვეყნის მუშები, რომელთაც კლასობრივი შეგნება აქვთ, ისე უცქერიან მუშა ქალს, როგორც თანასწორ არსებას, რასაც მოწმობენ საერთაშორისო მუშათა კონგრესების დადგენილებანი. შეგნებულ მუშას კარგათ ესმის, რომ თანამედროვე ეკონომიური ვითარება აიძულებს ქალს მამაკაცის მეტოქეთ გამოვიდეს; კარგათ ესმის ისიც, რომ დედაკაცის შრომის აკრძალვა ისეთივე უაზრობაა, როგორც მანქანებით მუშაობის აკრძალვა. ამიტომ ის სცდილობს ჩაახედოს დეოაკაცს მის მდგომარეობაში, გააცნოს დღევანდელი საზოგადოების ვითარება და ასე **გამოწვრთნას ის, როგორ [illegible] პროლეტარიატის შეერთებულ განმათავისუფლებელ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ.**

### 3. ფულიანი ქორწინება, საქორწინო ბირჟები.

თანამედროვე საზოგადოება, ეპვს გარეშეა, შედარებით მაღლა დგას წინანდელ ეპოქებზე, მარა სქესთა დამოკიდებულების საკითხში კი, მას დიდი ცვლილება არ შეუტანია. პროფესორი ლ. ფონ-შტეინი თავის წიგნში—„დედაკაცი პოლიტიკურ ეკონომიის სფერაში“, რომლის შინაარსი სრულიად

არ შეესაბამება ამ სათაურს, პოეტური ფერადებით გვიხატავს ქორწინებას. მარა ამ სურათშიაც აშკარათ სჩანს ქალის დამოკიდებული მდგომარეობა თავის „ლომი“ ქმრისაგან. ის სწერს: „მამაკაცისთვის სასურველია ისეთი არსება, რომელსაც უყვარს იგი და ესმის კიდეც მისი. მისთვის სასურველია ისეთი არსება, რომლის გულშიაც სცემს მისდამი სიყვარული, რომლის ხელი ნაზი მზრუნველობით გადაესმის და გახსნის მის დანაოჟებულ შუბლს, არსება, რომელსაც მოაქვს მშვიდობა, მოსვენება, წესრიგი, თავდაჭერილობა, თავდაბლობა და ათასი სხვა რამ, რასაც ის ყოველ დღე ხვდება ცხოვრებაში; მას სურს ისეთი არსება, რომელიც ნაზ, ქალურ სურნელებას მოფენს თავის გარეშემო და ამით გამაცხოველებელ სითბოს შეიტანს მის ოჯახურ ცხოვრებაში“.

ამ ვითომდა ქებათა-ქებაში დაფარულია დედაკაცის დამცირება და მამაკაცის ეგოიზმი. ბატონი პროფესორი გვიხატავს დედაკაცს, როგორც კეთილ-სურნელების მომფენ არსებას, მარა იგი ამასთანავე პრაქტიკული ანგარიშის ცოდნითაა აღჭურვილი, ოჯახის მეურნეობას უძღვება და ბოლოს გაზაფხულის ნაზ ნიავსავით თავს ევლება ოჯახის დიდ ბატონს, ამ ლომ-მბრძანებელს, რომ მის თვალებში ამოიკითხოს მისი სურვილები, ნაზი ხელებით გადაწმინდოს დანაოჟებული შუბლი, რომელიც ამ დროს შეიძლება რაიმე უებრო სისულელეზეა დაფიქრებული. ერთი სიტყვით, ბ-ნ პროფესორმა აგვიწერა ისეთი ქორწინება, როგორიც **ასში** ერთი თუ გამოერევა და შეიძლება ერთიც არ გამოერიოს. იგი ვერ ამჩნევს, რომ უბედურ ქორწინებათა რიცხვი ათასობით და ათი-ათასობით ითვლება, რომ ქალთა დიდი ნაწილი სრულიად გაუთხოვარი რჩება, ვერ ამჩნევს როგორც იმ მილიონ ქალებს, რომელნიც დილიდან საღამომდე თავის ქმრებთან ერთათ შრომობენ საუღლე ხარივით, რომ საარსებო ლუკმა-პური მოიპოვონ. დიახ, ყველა ამათ ბ-ნი პროფესორი ვერ ამჩნევს და ვერც იცნობს. ასეთ პირობებში მწარე და ულმობელი სინამდვილე უფრო ადვილათ წამურავს პოეტური სურათის ლამაზ ფერა-

დებს, ვინემ ჩრდილოეთის ყინვა დაზრავს სათუთ ყვავილებს. საკმაოა მხოლოდ ერთხელ გადაეველო თვალი ამ აუარებელ ტანჯულ ხალხისათვის და ბ-ნი პროფესორის პოეტური სურათი ერთიანათ დამახინჯდებოდა, მისი ფერადები გამოხუნდებოდა. ის ქალები, რომელთაც ის ხედავს, ძალიან მცირე ნაწილს წარმოადგენენ ქალებისას და ძლიერ საეჭვოა, რომ ისინი თავის დროის შესაფერ სიმაღლეზე იდგენ.

ხშირათ ამბობენ: „დედაკაცის მდგომარეობა—საუკეთესო მაჩვენებელია ხალხის კულტურულობისა“. ეს კი ასეა, მარა აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ჩვენი ნაქები კულტურა არც ისე მაღალია, როგორიც გვგონია. თავის თხზულებაში: „დამოკიდებული დედაკაცი“—თვით ეს სათაური ახასიათებს ავტორის შეხედულებას დედაკაცის მდგომარეობაზე,—ჯონ სტიუარტ მილლი, სხვათა შორის, ამბობს: „მამაკაცის ცხოვრება უფრო ოჯახური შეიქნა. ცივილიზაციის წინმსვლელობა თანდათან მეტი მოვალეობით ბორკავს მამაკაცს დედაკაცთან დამოკიდებულებაში“. შედარებით ეს სიმართლეა, თუ ქმარსა და ცოლ შორის გულახდილი ცოლ-ქმრული დამოკიდებულება არსებობს, მარა განა შეიძლება თუნდა სულ უმნიშვნელო უმცირესობაზე ამის თქმა?! გონიერი ქმარი ადვილათ მიხვდება, თუ რამდენათ სასარგებლოა თვით მისთვის, რომ ცოლი ოჯახურ ცხოვრების და მოქმედების ვიწრო ფარგლებიდან გამოვიდეს, ჩაერიოს საზოგადო ცხოვრებაში და გაეცნოს დროთა ვითარებას. „ბორკილი“, რომელსაც ის ამ შემთხვევაში ადებს თავის თავს, მას არ დაამძიმებს. მეორე მხრით იბადება კითხვა—იქნებ თანამედროვე ცხოვრებამ ისეთი ფაქტორები შექმნა ცოლ-ქმართა ცხოვრებაში, რომელნიც წინანდელზე უფრო ძლიერ უთხრიან ძირს და არღვევენ ქორწინებას?

დღეს ქორწინება უმთავრესათ მატერიალური სპეკულიაციის საგნათაა გადაქცეული. ცოლსათხოვი მამაკაცი ცდილობს ცოლის შერთვით ქონება შეიძინოს. ეს გარემოება ძველ დროშიაც დიდ როლს თამაშობდა. ეს გახდა მთავარი მიზეზი იმის, რომ მამათ-მთავრულ ოჯახის მემკვიდრეობიდან გამორიცხულმა

ქალიშვილებმა, ერთხანს შემდეგ ხელ-ახლა მოიპოვეს მემკვიდ-
რის უფლებები. მარა ქორწინება არასოდეს, არ გამხდარა სპე-
კულიაციის საგანი, ანგარიშის საქმე ისე აშკარათ და ცინი-
კურათ, როგორც დღესაა. დღეს ქორწინებით ვაჭრობა ისეთ
უტიფრობამდე მიდის, რომ სიტყვები „წმინდა ქორწინება“
დაკინვათ გადაიქცენ. როგორც ყველაფერს, ისე ამასაც აქვს
თავისი მიზეზი. არასოდეს, არც ერთ დროში ადამიანთა უმრავ
ლესობისათვის ისე ძნელი არ ყოფილა კეთილდღეობის რამ-
დენიმეთ მაღალ საფეხურამდე მიღწევა, როგორც ახლაა; მარა
არც ღირსეულ, ადამიანურ არსებობისა და ცხოვრებით დატკ-
ბობისადმი მისწრაფება ყოფილა ისეთი **საერთო**, როგორც
დღეს. ვინც მიზანს ვერ აღწევს, ყველა დიდ უკმაყოფილებას
გრძნობს, რადგან ფიქრობს, რომ მასაც ისეთივე უფლება აქვს
ცხოვრებით დატკბობის, როგორიც სხვებს. **ფორმალურათ** არ
არსებობს არც წოდებრივი განსხვავება და არც კლასობრივი.
თვითეული ცდილობს მიაღწიოს იმას, რაც მას თავის საზო-
გადოებრივ მდგომარეობის მიხედვით ღირსეულ მიზნათ მიაჩ-
ნია. მარა ბევრი არიან წვეულნი, ხოლო რჩეულნი კი მცი-
რე. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში რომ ერთი კმაყოფილი
იქნეს თავისი ბედით, ამისთვის ოცი სხვა უკმაყოფილო უნდა
დარჩეს; და ერთი რომ განუსაზღვრელ ნეტარებას ეძლეოდეს,
ასი და ათასი გაჭირვებაში უნდა ლევდეს სულს. მარა ყველას
უნდა ამ უპირატესობით ისარგებლოს და ამისათვის ყოველ-
გვარ საშუალებას ხმარობს, რომელიც კი მისი აზრით მიზანს
მიაღწევინებს, თუ იგი მეტის-მეტი სახელის გამტეხი და გამა-
ოახსირებელი არ იქნება. ყველაზე გამოსადეგ და მახლობელ
საშუალებათ პრივილეგიურ-სოციალურ საფეხურზე აცოცებისა
ითვლება **ფულიანი ქორწინება**. რაც შეიძლება მეტი ფულის
შეძენის სურვილი ერთი მხრით და ჩინ-ორდენებისა და ტი-
ტულის სურვილი მეორე მხრით—აი, ამ გზით და საშუალე-
ბით პოულობენ დაკმაყოფილებას უმაღლეს წრეებში. ქორწი-
ნებას მათში ისე უყურებენ, როგორც სავაჭრო ხელშეკრუ-
ლობას, იგი ერთგვარი პირობაა, რომელსაც გარეგნულათ

ორივე მხარე პატივსა სცემს, დანარჩენში კი ძლიერ ხშირათ თავ-თავის სურვილისამებრ აწყობს თავის ცხოვრებას*).

შედარებით ყოველ დიდ ქალაქებში არის განსაკუთრებული ადგილი და დღე, სადაც უმაღლესი კლასის წარმომადგენელნი ხვდებიან ერთმანეთს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ დაქორწინებას. ამ ადგილებს შესაფერი სახელიც უწოდეს —„საქორწინო ბირჟა". რადგან, როგორც ბირჟაზე, ისე აქაც დიდ როლს თამაშობს სპეკულიაცია და ჩარჩობა, ვერც აქ ასცდები მოტყუებას და შარლატნობას. ვალებში ჩაფლული სამხედრო პირები, რომელთაც მხოლოდ-ღა ძველი აზნაურობით მოაქვთ თავი, მაღალი წრის გაკოტრებული გარყვნილები, რომელთაც მხოლოდ ქორწინების ნავთსადგურში დასვენებით უნდათ აღადგინონ თავიანთი მოშლილი ჯანმრთელობა და ამიტომ საჭიროებენ მომვლელს, მექარხნეები, ვაჭრები,

*) სტრათის დასამთავრებლათ უნდა მოვიხსენიოთ ავგრეთვე უმაღლეს წრეებში გავრცელებული ქორწინება პოლიტიკური მიზნით. ასეთ ცოლ-ქმრობის დროს არსებობს, რასაკვირველია, უფრო მამაკაცისთვის, ვინემ დედაკაცისათვის, პრივილეგია ცოლ-ქმრულ მოვალეობის დარღვევის და გარეშე პირთა კავშირის დაჭერის თავის ჟინისა და მოთხოვნილების მიხედვით. იყო დრო, როდესაც კარგ ტონათ ითვლებოდა, თუ თავადს ერთი საყვარელი მაინც ყავდა; ეს, ასე ვთქვათ, თავადთა ატრიბუტს (ნიშნობლივი პრივილეგია) შეადგენდა. შერრის სიტყვით, თვით სერიოზულობით სახელ-განთქმულ ფრიდრიხ ვილჰელმ I, პრუსიის მეფეს (1713—1714), გარეშეთა შესახედავათ მაინც, გენერლის ერთ ცოლთან ქონდა კავშირი. ყველამ იცის, რომ ავგუსტ ძლიერს, პოლონეთსა და საქსონიის კაროლს, 300 უკანონო შვილი ყავდა და იტალიის მეფეს, ვიქტორ ემმანუელს—32 უკანონო შვილი დარჩა. სულ უკანასკნელ დრომდე არსებობდა საუცხოო მდებარეობის მქონე პატარა ნემეცთა რეზიდენცია, რომელშიაც ერთ-ერთ „ქვეყნის მამას" დაახლოვებით თორმეტამდე ლამაზათ მორთული ვილლა (სახლ-კარობა ბაღით) ქონდა გაშენებული თავის საყვარლებისათვის. ამ საგანზე დიდი ტომების დაწერა შეიძლებოდა და მართლაც დიდი ბიბლიოთეკა არსებობს ასეთ „საიდუმლო" ამბების შესახებ. ევროპის მთავართა სასახლეებისა და თავად-აზნაურთ ოჯახთა უმრავლესობის შინაური ისტორია ხომ ყველა მათი მცოდნესათვის განუწყვეტელ (chronique scandaleuse) სასკანდალო ქრონიკას წარმოადგენს. ასეთ ფაქტების გამო განსაკუთრებით საჭიროთ თვლიან, რომ ისტორიის დამწერმა—სიკოფანტებმა სიეკეთო არ დატოვონ ის, რომ ერთი-მეორის მომყოლი „ქვეყნის მამანი" და „ქვეყნის დედანი", კანონიერი მემკვიდრეები იყვენ ერთმანეთის და ამასთანავე ყველანი უბიწოებისა და უმანკოების მაგალითათ და კეთილშობილ დედ-მამათ და ერთგულ მეუღლეებათ გამოიყვანონ. ავგურები ჯერ არ გამწყდარან და, რომაელ ავგურების მზგავსათ, ჯერ კიდევ სარგებლობენ მასსის უვიცობით.

ბანკირები, რომელთაც გაკოტრება და საპყრობილე მოელით და უნდათ ამ გაჭირვებას თავი დააღწიონ, დაბოლოს ყველა ისინი, ვისაც სურვილი აქვს კაპიტალი და სიმდიდრე შეიძინოს, ან შეიმატოს მოხელეების, რომელთაც დაწინაურების იმედი აქვთ, მარა ამ ხანათ ფულები ესაჭიროებათ—აი, საქორწინო ბირჟის კლიენტები, რომელნიც საქორწინო ვაჭრობას ეწევიან.

ხშირათ აქ არავინ დაგიდევს იმას, თუ როგორია მომავალი საცოლო: ახალგაზრდაა თუ მოხუცი, ლამაზი თუ მახინჯი, ტანადი თუ კუზიანი, განათლებული თუ უვიცი, პატიოსანი თუ მჩატე ხასიათის, ქრისტიანი თუ ებრაელი. განა გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ არ სთქვა: „მოსაწონია და უნდა ვეღრჩიოთ ქორწინება ქრისტიან უ... და ებრაელ ჭ... შორის“ *). ეს თავლის ლექსიკონიდან გადმოტანილი შედარება, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, უმაღლეს წრეებში ძალიან მიღებულია. ფული ასწორებს ყოველ ნაკლს და აქარწყლებს ყოველ სიმახინჯეს. ნემცების სასჯელთა დებულება (§§ 180 და 181), მაღაროებში მუშაობით ან საპყრობილით ემუქრება მემრუშეთა მაჰანკლებს, მარა თუ მშობელი, მზრუნველი ან ნათესავი სამუდამოთ აკავშირებს **თავის შვილს ან ნათესავს საძულველ კაცთან ან ქალთან ფულის, წოდების** ან სხვა რაიმე სარგებლობისათვის, არც ერთ ბრალმდებელს უფლება არა აქვს საქმეში ჩაერიოს, თუმცა აქაც დანაშაული ხდება. არსებობს მრავალი მშვენივრათ მოწყობილი საქორწინო ბიუროები, არსებობენ ყოველგვარი მაჰანკლები, რომელნიც მსუქან ლუკმას ეძებენ „ქორწინების წმინდა საიდუმლოს“ მსურველ ქალ-ვაჟებში. ასეთი „საქმეები“ უფრო მეტ სარგებლობას იძლევა, როცა საზოგადოების უმაღლეს წრეებში გაქვს სამუშაო... 1878 წელს ვენის სასამართლოში სისხლის-სამართლის საქმე გაირჩა. ერთ მაჰანკალ ქალს ბრალს სდებდენ მოწამვლაში და 15 წლით მაღაროებში მუშაობა გადაუწყვიტეს. სასამართლოში გამოირკვა, რომ ვენაში საფრანგეთის

*) იხ. „Fürst Bismarck und seine Leute“, von Bousch.

ელჩათ ნამყოფ გრაფ ბანვილს ცოლის საშოვნელათ 22,000 ფლორინი მიეცა სამაჭანკლო ამ ქალისთვის. ამ პროცესმა უმაღლესი არისტოკრატიის სხვა წევრებსაც ბევრს გაუტეხა სახელი. ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოები, თურმე მრავალი წლის განმავლობაში აძლევდენ ამ დედაკაცს სრულ თავისუფლებას თავის ბნელი საქმეების საკეთებლათ. ზემო-თქმულის შემდეგ, ამის მიზეზების აღნიშვნა—საჭირო არაა. ასეთ ამბებს გადმოგვცემენ გერმანიის სატახტო ქალაქის შესახებაც. ეს ყოველდღიური მოვლენაა ყველგან, სადაც კი ქორწინების მაძიებელნი არსებობენ. უკანასკნელ წლებში ევროპის დავალიანებულ და გაღატაკებულ თავად-აზნაურობისთვის, ყველაზე მომგებიან საქორწინო ვაჭრობის საგნათ გადაიქცენ—ჩრდილო-ამერიკის მდიდარი ბურჟუაზიის მემკვიდრე ქალიშვილები, რომელნიც მხოლოდ წოდებას და ხარისხს დაეძებენ. ამ ურთიერთის მაძიებელთა შესახებ, მეტათ დამახასიათებელი ცნობები დაიბეჭდა 1889 წლის შემოდგომაზე ნევიუერ პრესაში. ამ ცნობებიდან სჩანს მაგალ., რომ კალიფორნიის ერთი ხარისხოვანი მრეწველი რაინდი საუკეთესო საქორწინო აგენტათ აცხადებდა თავის თავს გერმანიის და ავსტრიის გაზეთებში. წინადადებები, რომელიც მან მიიღო, ნათლათ გვაჩვენებენ, თუ როგორი წარმოდგენა აქვთ ქორწინების „სიწმინდეზე“ და მის „პოეტურ“ მხარეებზე საზოგადოების მაღალ წრეებში. ორმა უძველეს აზნაურთა გვარის აფიცერმა სურვილი გამოაცხადა მის წინადადებაზე, რადგანაც მათი ვალი, როგორც თვითონვე გულწრფელათ აღიარეს—60,000 მარკას აღემატებოდა. თავიანთ მაჭანკალს სიტყვა-სიტყვით შემდეგსა სწერდენ:

„თავისთავათ ცხადია, რომ ჩვენ ფულს წინდაწინ ვერ მოგცემთ. სრულ ანგარიშს მიიღებთ თქვენ საქორწინო მოგზაურობის შემდეგ. მხოლოდ საცოლო ისეთ ოჯახიდან უნდა იყოს, რომ არა საკადრისათ ვერავინ ჩათვალოს მასთან დამოყვრება. აგრეთვე ძლიერ სასურველია, თუ საცოლო შესახედავათაც ლამაზი იქნება. თუ საჭიროება მოითხოვს, შეგვიძლია ჩვენი ფოტოგრაფიული სურათებიც გადავსცეთ სადის-

კრეციო მიზნით თქვენ აგენტს, რომელიც აგვიხსნის ყველაფერს დაწვრილებით, გვაჩვენებს სურათებს და სხვა. ჩვენ სრული ნდობით ვუყურებთ ამ საქმეს, როგორც პატიოსნების(!) საკითხს, და ამასვე მოვითხოვთ თქვენგანაც. ველით საჩქაროთ პასუხს თქვენი ადგილობრივი აგენტის საშუალებით, თუ ასეთი გყავთ ვინმე ჩვენში.

ბარონ ფონ მ...
არტურ ფონ ვ...

ბერლინი, 107, ფრიდრიხშტ., 16 დეკემბ. 1880 წ.

ერთი ახალგაზრდა ნემეცი აზნაური ჰანს ფონ-X... ლონდონიდან იწერებოდა, რომ 5 ფუტი და 10 დიუმი სიმაღლე აქვს, უძველეს აზნაურთა გვარს ეკუთვნის და სადიპლომატოში მსახურებს. აღიარებდა, რომ მისი ქონება, მარულაზე უიღბლო ნაძლევების წყალობით, ძლიერ შეილანძღა და ის იძულებულია მდიდარი საცოლო ეძებოს, რომ შეძლება მიეცეს დეფიციტის დაფარვის. და ის მზათაა ახლავე გაემგზავროს ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ხსენებული მრეწველი რაინდი ამტკიცებდა, რომ მრავალ გრაფების, ბარონების და სხვა ასეთების გარდა, სამი პრინცისა და 16 ჰერცოგისგან მიიღო წინადადება საქორწინო კანდიდატებში ჩარიცხვის. მაგრამ მდიდარი ამერიკელი ქალები მარტო ხარისხოვან ბატონებს არ ენატრებათ, ისინი მრავალ ბურჟუათა მისწრაფების საგანს შეადგენენ. ასე, მაგალ. ლეიპციგის არხიტექტორი მაკს ვ... ისეთ საცოლოს ეძებდა, რომელსაც სიმდიდრესთან ერთათ, სილამაზე და განათლებაც უნდა ქონოდა. ქ. კელნიდან რეინზე ახალგაზრდა მექარხნე რობერტ დ... მოითხოვდა თავის საცოლოსაგან მხოლოდ 400,000 მარკას მზითვათ და წინდაწინვე პირდებოდა გაბედნიერებას. მარა რა საჭიროა ასე შორს წასვლა, როცა მაგალითები ახლოც ბევრია? გადაათვალიერეთ სატახტო ქალაქის ბურჟუაზიული გაზეთები, სადაც მრავალი საქორწინო განცხადებებია და ისეთ რამეებს შეხვდებით, რომლის დაწერას ნამუს-დაკარგული ადამიანის მეტი არავინ იკადრებს. ქუჩაში მოხეტიალე მეძავი ქა-

ლი, რომელიც მხოლოდ მწარე გაჭირვებამ ჩააგდო ამ ყოფაში, ამ მაძიებელ ვაჟბატონებთან შედარებით—პატიოსნებისა და უმანკოების მაგალითათ ჩაითვლება. სოციალდემოკრატ ეკსპედიტორს ასეთი განცხადების მიღებისათვის პარტიიდან გააძევებდენ; ბურჟუაზიულ პრესას კი, სრულიადაც არ ეთაკილება ასეთი განცხადებები. განცხადებებს ფულები მოაქვს და მეფე ვესპასიანის არ იყოს, ბურჟუა ფიქრობს, რომ ფული non olet (სუნი არ უდის). ეს, რასაკვირველია, ხელს არ უშლის ბურჟუაზიულ პრესას ერთი ალიაქოთი ასტეხოს ქორწინების „დამრღვევ“ სოციალდემოკრატიულ ტენდენციების წინააღმდეგ. არასოდეს არ ყოფილა ისეთი ფარისეველური ხანა, როგორიც დღესაა.

დღეს გაზეთთა უმრავლესობის განცხადებები—ერთგვარი ბიუროა ქორწინების. ყველა, კაცი თუ ქალი, ვისაც ახლომახლო შესაფერი მეუღლე ვერ უშოვნია, თავისი გულის ლტოლვას ანდობს ღვთის მმოსავ-კონსერვატიულ ან ზნეობრივ-ლიბერალურ გაზეთებს, რომელნიც საფასურისთვის ლამაზ სიტყვების დაუხარჯავათაც არ შურავენ ზრუნვას, რომ ორმა ერთნაირათ განწყობილმა სულმა და გულმა ერთმანეთი მონახოს. დიდი გაზეთებიდან რომ ერთი დღის განცხადებები ამოვკრიბო, მთელი გვერდები აივსებოდა. ხანდისხან შეხვდებით ისეთ საინტერესო ფაქტს, რომ მაგალ. განცხადებით ცდილობენ **სასულიერო პირის** მოპოვებას მეუღლეთ და მეორე მხრით თვით სასულიერო პირებიც ისვრიან ანკესს, იქნება შესაფერი საცოლო წამოეგოსო. ხშირათ ცოლის მაძიებელნი წინდაწინვე იძლევიან პირობას, რომ თუ მეუღლეს კარგი მზითევი მოყვება, ისინი ყურადღებას არ მიაქცევენ თუ მას წარსულში ფეხი დაცდენია. ერთი სიტყვით, შეუძლებელია თანამედროვე საზოგადოების უკეთესათ გაკვრა სამარცხვინო ბოძზე, ვინემ ამგვარ საქორწინო შეთანხმებების საშუალებით.

# თავი IX.

## ოჯახის დარღვევა.

### 1. განქორწინების გახშირება.

სახელმწიფო და ეკლესიაც ლამაზ როლს არ თამაშობენ ასეთ „წმინდა ქორწინების“ საქმეში, რაც უნდა დარწმუნებული იყოს სახელმწიფო მოხელე ან მღვდელი, რომ მათ წინაშე მდგომი წყვილი ყოველად საზიზღარი ანგარიშისათვის იწერენ ჯვარს; რაც უნდა ნათლათ სჩანდეს, რომ საცოლო და საქმრო არ შეეფერებიან ერთმანეთს არც წლოვანობით, არც ფიზიკური და სულიერი თვისებებით: მაგალ. საცოლო 20 წლისაა და საქმრო კი 70 ან პირიქით; საცოლო—ახალგაზრდაა, ლამაზი, სიცოცხლით სავსე, საქმრო კი—მოხუცი, გარყვნილი, მოღუშული; სულ ერთია, არც სახელმწიფოს და არც ეკლესიის წარმომადგენელი ამას წინააღმდეგობას არ გაუწევს. მათ კავშირს **„აკურთხებენ“** და აკურთხებენ მით უფრო მეტი ზეიმით, რამდენათ უხვ ჯილდოს მოელიან „წმ. საიდუმლოს“ შესრულებისთვის.

როდესაც რამდენიმე ხნის შემდეგ გამოაშკარავდება, რომ მათი კავშირი, როგორც **ყველა** ამჩნევდა, ამჩნევდა თვით მსხვერპლიც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ქალია,—უბედური კავშირი შეიქნა და ერთი რომელიმე მხარე გაშორებას ითხოვს, მაშინ, ოო!—მაშინ კი სახელმწიფო და ეკლესია წინ ეღობებიან, დიდათ აძნელებენ განშორებას; წინეთ კი, დაგვირგვინებამდე, არც უკითხავთ, თუ რა აკავშირებდა მათ: სიყვარული და ზნეობრივი მისწრაფებები, თუ შიშველი ეგოიზმი? მხოლოდ ზნეობრივი ზიზღი და სიძულვილი საპატიო მიზეზათ არ ითვლება განქორწინებისათვის. საჭიროა **„აშკარა საბუთები“**, რომელიც სახელს გაუტეხს და გაათახსირებს ერთ მათგანს საზოგადოების თვალში. კათოლიკების მდგომარეობა

ამ მხრივ კიდევ უფრო უარესია იმიტომ, რომ რომის ეკლესია საზოგადოთ არ ცნობს განშორებას, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როცა თვით პაპა აძლევს ამის ნებას, პაპის ნებართვა კი ძნელი საშოვნელია; ის მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში თანხმდება, რომ ცოლ-ქმარმა „საწოლი და სუფრა გამოიყონ". გერმანიის ახალი სამოქალაქო დებულება შესაძჩნევათ აძნელებს გათიშვას. მაგალ. აღკრძალულია ორივე მხრის შეთანხმებით განშორება, რის ნებას იძლეოდა პრუსიის სამოქალაქო უფლება, და გათიშვა კი უმეტეს შემთხვევაში, სწორეთ ასეთი შეთანხმებით ხდებოდა; შეთანხმებით ხდებოდა ხშირათ ისეთ შემთხვევაშიაც, როცა სხვა საპატიო მიზეზი მოიპოვებოდა, მარა მის გამოქვეყნებას საჭიროთ არ სთვლიდენ დამნაშავის პატივისათვის. ასე, მაგალ. 1886 წლიდან 1892 წლამდე, ბერლინში 5623 შემთხვევა იყო ცოლ-ქმართა განშორების და აქედან 1400 ანუ 25% ორივე მხრის თანხმობით მოხდა. ბევრ შემთხვევაში გათიშვისთვის საჭიროა, რომ უკმაყოფილო მხარემ განშორება მოითხოვოს ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როცა ამის საბუთი მიეცა, ე. ი. მეუღლის დანაშაული გაიგო (§ 1565—1568 გერმ. სამოქ. დებულ.). პრუსიის უფლებით კი ასეთი ვადა ერთ წელიწადს გრძელდება. ავიღოთ მეორე მაგალითი: ვთქვათ ახალგაზრდა ცოლმა ჯვრისწერის პირველ ხანებშივე გაიგო, რომ მის ქმარს ქმრობის გაწევა არ შეუძლია. აქ მისგან ძლიერ დიდ მსხვერპლს მოითხოვენ, როცა ექვსი თვის ვადას აძლევენ განშორების მოსათხოვათ, რისთვისაც ერთგვარი ზნეობრივი ძალაა საჭირო. ასეთ გაძნელების გასამართლებლათ შემდეგი მოსაზრებაა წამოყენებული: „მხოლოდ განშორების უმწვერვალესი გაძნელებით შეგვიძლია ნამდვილი წინააღმდეგობა გავუწიოთ ოჯახის **პროგრესიულ** გახრწნას და ხელ-ახლა გავამაგროთ ისო".

ასეთი დასაბუთება დიდ შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. შეუფერებელი ქორწინება არაფერს იგებს იმით, რომ მიუხედავათ მეუღლეთა სიძულვილისა და სულიერათ დაშორებისა, მათ ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრებას აიძულებენ. ასეთი

მდგომარეობა, რომელსაც კანონი იცავს, სრული უზნეობაა. ამას იქამდე მიყავს საქმე, რომ ზოგიერთ შემთხვევაში იძულებული ხდებიან—განგებ შექმნან განშორების მიზეზი, რომ სასამართლო დააკმაყოფილონ; ცხადია, ამით არც სახელმწიფო იგებს რასმე და არც ეკლესია. სამოქალაქო უფლებამ კათოლიკეთა ეკლესიას დაუთმო, რაც „სუფრისა და საწოლის განცალკევება“ შემოიღო, რომელიც წინეთ სრულიად უცნობი იყო მისთვის. მომავალში განშორება შეუძლებელია ისეთ შემთხვევაშიაც, როცა ერთი რომელიმე მეუღლის წყალობით, ცოლ-ქმართ შვილი არ უჩნდებათ. ეკლესიისთვის დათმობათ უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო დებულების განმარტება (§ 1588), რომ „ამ განყოფილების წესებით არ ირღვევა საეკლესიო ვალდებულებები ქორწინების შესახებ“.. ამას, სიმართლე რომ ვსთქვათ, მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა აქვს, მარა კარგათ ახასიათებს იმ სულის-კვეთებას, რომელიც გამეფებული იყო გერმანიაში XIX საუკუნის დასაწყისში. ჩვენთვის აქ საკმარისია აღვნიშნოთ, რომ განშორება გაძნელებულია იმ მიზნით, რომ წინ აღუდგენ ოჯახის პროგრესიულ გახრწნას.

ასე რომ ცოლ-ქმარნი თავის ნების წინააღმდეგ, მთელ სიცოცხლეში ერთმანეთზე მიჯაჭვული რჩება, ერთი-მეორის მონათ იქცევა და იძულებულია აიტანოს ხვევნა-კოცნა, რაც „მეუღლის მოვალეობას“ შეადგენს და, რასაც მას შეიძლება ყოველგვარი ლანძღვა-გინების და ცემა-ტყეპის ატანა ერჩიოს. მანტეგაცცა („სიყვარულის ფიზიოლოგია“) სრულ სიმართლეს ამბობს, როცა აღიარებს, „რომ იმის უარესი ტანჯვა-წამება აღარ იქნება, როცა იძულებული ხარ მთელ სიცოცხლეში იმ პირის ალერსი ითმინო, რომელიც მთელი შენი არსებით გეზიზღება“... ნუ თუ პროსტიტუციაზე უარესი არ არის ასეთი ქორწინება? მეძავ ქალს იმის თავისუფლება მაინც აქვს, რომ უარი სთქვას თავის დამამცირებელ ხელობაზე, მას უფლება აქვს, თუ საროსკიპოში არ სცხოვრობს—არ მიეყიდოს მას, ვინც რაიმე მიზეზით არ მოეწონება. გაყიდული ცოლი კი

უნდა უეჭველათ ეალერსოს ქმარს, თუნდა ათასი და ათი-ათასი საბუთი ქონდეს მისი შეძულების.

როცა თავიდანვე კაცი და ქალი შეგნებულათ სდებს ქორწინების პირობას მდგომარეობისა და ქონების შასაძენათ, მაშინ საქმე უფრო იოლათ ეწყობა ორივე მხარისათვის. ისინი ადვილათ ეგუებიან ერთმანეთს და ქმნიან modus vivendi-ს (ურთიერთ ცხოვრების პირობები). ერიდებიან აურზაურის ატეხას უმთავრესათ შვილების გულისთვის, რომ მათ გული არ გაუტეხონ, თუმცა ბავშვები ყველაზე მეტათ იტანჯებიან მშობელთა ცივი, სიყვარულს მოკლებული ცხოვრებით, აშკარა უკმაყოფილებისა და მკვახე სიტყვების მოწამენიც რომ არ გახდენ. უფრო ხშირათ იგუებენ ერთმანეთს მატერიალური ზარალის თავიდან ასაცილებლათ. როგორც პროცესებიდან სჩანს, უმთავრესი მიზეზი განშორებისა უმეტეს შემთხვევაში — ქმრის ცუდი ყოფა-ქცევაა. სარგებლობს რა თავის გაბატონებული მდგომარეობით, იგი სხვაგან ინაზღაურებს დანაკლისს, თუ ქორწინება ვერ აძლევს მას სრულ დაკმაყოფილებას. დედაკაცისთვის ასეთი საქციელი „დაცემაა“ ცოლი იქნება იგი, ქვრივი თუ გასათხოვარი,— მამაკაცისთვის კი მხოლოდ „უმართებულო“ საქციელი. ასე რომ, ერთ და იმავე საქციელს სხვადა-სხვა გვარათ უცქერიან იმის მიხედვით, თუ ვინაა მისი ჩამდენი—კაცი თუ ქალი და ჩვეულებრივ თვით ქალები, სხვაზე უფრო სასტიკათ და შეუბრალებლათ ჰკიცხავენ ხოლმე თავის „დაცემულ“ დას*).

ჩვეულებრივ დედაკაცი მხოლოდ ქმრის მძიმე ღალატის და სასტიკი შეურაცხყოფის შემდეგ თუ მოითხოვს განშორებას: ეს იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევაში ის მატერიალურათ დამოკიდებულია ქმრისაგან და იძულებულია ქორწინებას ისე უყუროს, როგორც თავშესაფარს; ესეც არ იყოს, განშორე-

*) ალექსანდრე დიუმა სამართლიანათ შენიშნავს „Monsieur Alphonse“-ში: „მამაკაცმა ორგვარი ზნეობა შექმნა: ერთი თავისთვის, მეორე კი დედაკაცისათვის; პირველი მას ნებას აძლევს შეიყვაროს ყოველი დედაკაცი, რომელიც მოეწონება, მეორე კი სამუდამოთ დაკარგულ თავისუფლების ნაცვლათ, მხოლოდ ერთი მამაკაცის შეყვარების უფლებას აძლევს დედაკაცს“.

ბული ცოლი საზოგადოებაში ვერაფერ სახარბიელო მდგომარეობაშია. მას ისე უყურებენ, როგორც საშუალო სქესის არსებას. და თუ მაინც განშორებას მეტ ნაწილათ ცოლები მოითხოვენ, ეს იმას ამტკიცებს, რომ მათ მეტის-მეტათ დიდი დამცირება და ზნეობრივი ტანჯვა დატეხიათ თავს. საფრანგეთში, სანამ ახალი კანონი შეეიდოდა ძალაში (1884 წ.), „სუფრისა და საწოლის განცალკევებას“ უმეტესათ ქალები თხოულობდენ. განშორების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ, თუ ქმარი ცოლის ნების წინააღმდეგ ოჯახში შეიყვანდა დედაკაცს, რომელთანაც საიდუმლო კავშირი ქონდა.

„სუფრისა და საწოლის განცალკევების“ მოთხოვნილება წარადგინეს:

| | საშუალო რიც. წლიურ. | |
|---|---|---|
| | ქალებმა | კაცებმა |
| 1856—1861 წწ. | 1729 | 184 |
| 1861—1866 „ | 2135 | 260 |
| 1866—1871 „ | 2591 | 330 |
| 1901—1905 „ | 2368 | 591 |

მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ იმასაც, რომ მოთხოვნათა რიცხვი თანდათან მატულობს.

რამდენათაც შესაძლებელია გამორკვევა, სხვა ქვეყნებშიც უმეტეს ნაწილათ ქალები ადგენენ განშორების მოთხოვნას. შემდეგი ცხრილი გაგვიადვილებს ყოველივე ამას. პროცენტულათ სურვილი გამოსთქვეს:

ა) განქორწინების:

| ქვეყნები. | წლები. | მამაკაცის მხრივ. | დედაკ. მხრივ. | ორივე მხრივ. |
|---|---|---|---|---|
| ავსტრია . . . . . | 1893—1897 | 4,4 | 5,0 | 90,6 |
| რუმინია . . . . . | 1891—1895 | 30,6 | 68,9 | 0,5 |
| შვეცია . . . . . | 1895—1899 | 36,4 | 45,4 | 8,2 |
| საფრანგეთი . . . | 1895—1899 | 40,0 | 59,1 | — |

| ქვეყნები. | წლები. | მამაკაცის მხრივ. | დედაკ. მხრივ. | ორივე მხრივ. |
|---|---|---|---|---|
| ბადენი . . . . | 1895—1899 | 36,0 | 59,1 | 4,9 |
| ინგლისი და უელსი. | 1895—1899 | 60,4 | 39,6 | — |
| შოტლანდია . . . | 1898—1899 | 43,3 | 56,7 | — |
| ბ) განცალკევების: | | | | |
| ავსტრია . . . . | 1897—1899 | 4,3 | 16,6 | 75,5 |
| საფრანგეთი . . . | 1895—1899 | 15,9 | 84,1 | — |
| ინგლისი და უელსი. | 1895—1899 | 3,0 | 97,0 | — |
| შოტლანდია . . . | 1898—1899 | — | 100 | — |

შეერთებულ შტატებში, სადაც ახლა უკვე შემუშავებულია სტატისტიკა, რომელიც 40 წელიწადს სწვდება, განქორწინება მოითხოვეს:

| | 1867—1886 წ. | % | 1887—1906 წ. | % | 1906 წ. | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| მამაკ.: | 112,540 | 34,2 | 316,149 | 33,4 | 23,455 | 32,5 |
| დედაკ. | 216,176 | 65,8 | 629,476 | 66,6 | 48,607 | 67,5 |

როგორც ვხედავთ, საჩივარი დედაკაცების მხრივ მეტია; იგი უდრის საერთო რიცხვის ორ მესამედს. ამას ვამჩნევთ იტალიაშიაც. იქ 1887 წელს 1221 შემთხვევა იყო ცოლ-ქმრობის განშორების; 1904 წელს კი—2103. ამათში ცოლების მხრივ იყო გამოწვეული 593 და 1142, ქმრებისაგან—214 და 454; ორივე მხრისაგან—414 და 507.

მაგრამ სტატისტიკა გვიჩვენებს არა მარტო იმას, რომ ქალები უფრო ხშირათ მოითხოვენ ცოლ-ქმრობის გაყრას; ჩვენ ვხედავთ ამას გარდა, რომ ამ მოთხოვნათა საერთო რიცხვი საშინელი სისწრაფით იზრდება. 1884 წელს ახალი კანონი გამოსცეს საფრანგეთში განქორწინების მოსაწესრიგებლათ და ამ წლიდან განქორწინებულთა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს.

განქორწინდა ცოლ-ქმარი:

| | |
|---|---|
| 1884 წ.—1757, | 1900 წ.— 7,820, |
| 1885 „ —4127, | 1905 „ —10,019, |
| 1890 „ —6557, | 1906 „ —10,573, |
| 1895 „ —7700, | 1907 „ —10,938. |

ასეთსავე სურათს წარმოადგენს შვეიცარიაც. საშუალო რიცხვით 1886—1900 წლამდე მოდის წლიურათ 882 განშორება.

| | |
|---|---|
| 1891—1895 წ.— 898, | 1899 წ.—1091, |
| —1897 „ —1011, | 1905 „ —1206, |
| —1898 „ —1018, | 1906 „ —1343. |

ავსტრიაში 1899 წელს 989 შემთხვევა იყო ცოლ-ქმართა გათიშვის და განცალკევების; 1900 წელს ეს რიცხვი ავიდა —1473-მდე, 1905 წ.—2147-მდე; 6 წლის განმავლობაში ამ რიცხვმა, როგორც ვხედავთ, გაორკეცებას გადაამეტა. ვენაში 1870—1871 წლამდე—148 შემთხვევა იყო განქორწინების. შემდეგ ეს რიცხვი წლითი-წლობით იზრდებოდა და 1878—1879 წლებში უკვე 319-მდე ავიდა. ვენაში, რომელიც უმთავრესათ კათოლიკეთა ქალაქათ ითვლება, ცოლ-ქმართა განშორების საქმეს ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ, მარა მიუხედავათ ამისა, 80-იან წლების ნახევარში ერთმა მსაჯულმა სთქვა: „საჩივრები დარღვეულ ქორწინების გამო ისეთიეე ხშირია, როგორც დამტვრეული ფანჯრების გამო“.

შეერთებულ შტატებში ცოლ-ქმართა გათიშვა მოხდა: 1867 წელს—9937, 1886 წ.—25,535, 1895 წ.—40,387, 1902 წ.—61,480, 1906 წ.—72,662. ეს რიცხვი რომ მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით 1905 წელს იმდენი ყოფილიყო, რამდენიც 1870 წელს იყო, მაშინ ბევრათ ნაკლები იქნებოდა. საერთოთ კი 1867—1887 წლამდე გათიშვის შემთხვევა იყო—328,716; 1887—1906 წლამდე კი—945,625. ყოველ შემთხვევაში, შეერთებულ შტატებში გათიშვა შედა-

რებით უფრო ხშირი მოვლენაა, ვინემ სხვა სახელმწიფოებში. 100,000 ოჯახზე ეს რიცხვი უდრის: 1870 წ.—81-ს, 1880 წ.—107-ს, 1890 წ.—148-ს, 1900 წ.—200-ს. ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ მათში ადვილია განშორება, მეორე მხრით კი იმით, რომ **შეერთებულ შტატებში ქალს უფრო დამოუკიდებელი მდგომარეობა უჭირავს, ვინემ სხვა ქვეყნებში და ამიტომ თავის დაჩაგვრის და დატანჯვის ნებას ნაკლებათ აძლევს ქმარს.**

გერმანიაში განქორწინების შესახებ განაჩენი გამოიტანეს მსაჯულებმა:

| | |
|---|---|
| 1891 წ.—6678, | 1896 წ.—8601, |
| 1892 „ —6513, | 1897 „ —9005, |
| 1893 „ —6691, | 1898 „ —9143, |
| 1894 „ —7502, | 1899 „ —9563, |
| 1895 „ —8326, | 1900 „ —7928. |

როგორც ხედავთ, 1899—1900 წლამდე განქორწინების რიცხვი 1635-ით შემცირებულა და ეს იმიტომ მოხდა, რომ 1900 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი სამოქალაქო დებულება, რომელმაც გააძნელა ცოლ-ქმართა განშორება. მარა ცხოვრება უფრო მძლავრია, ვინემ კანონი. აი ამის საბუთი. ცოლ-ქმრობის გათიშვამ 1900 წლიდან 1902 წლამდე იკლო, მარა შემდეგ ისევ ყოველწლიურათ მატულობს. ეს იმიტომ, რომ სისხლის სამართლის 1568 მუხლი (ცოლ-ქმრულ ურთიერთობის გაწყვეტა) უფრო ხშირათ შედიოდა ძალაში. რამდენათ გახშირდა ცოლ-ქმრობის დარღვევა 1900 წელს აქეთ, ამას მოწმობენ შემდეგი ციფრები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1901 | წელს | გათიშვა | მოხდა | — 7914, |
| 1902 | „ | „ | „ | — 9096, |
| 1903 | „ | „ | „ | — 9933, |
| 1904 | „ | „ | „ | —10868, |
| 1905 | „ | „ | „ | —11147, |
| 1906 | „ | „ | „ | —12180, |
| 1907 | „ | „ | „ | —12489. |

საქსონიაში, მართალია, ირყევა განქორწინების რაოდენობა, მარა საერთოთ იქაც ეს რიცხვი თანდათანობით იზრდება.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

უსამართლობა იქნებოდა, რომ განქორწინების რიცხვის მეტ-ნაკლებობა სხვა-და-სხვა ქვეყნებში მათი „ზნეობრივი მდგომარეობის“ შედეგათ ჩაგვეთვალა. არავინ არ დაიჟინებს, თითქოს შვეიცის მცხოვრებლებს 4-ჯერ მეტი მიზეზი ქონდესთ განქორწინებისათვის, ვინემ ინგლისელებს. აქ უპირველეს ყოვლისა სახეში მისაღებია კანონმდებლობა, რომელიც ერთ ქვეყანაში აძნელებს გათიშვას, მეორეში კი ხან აძნელებს და ხან აადვილებს*). შემდეგ კი „ზნეობრივი მდგომარეობა“, ე. ი. საშუალო ზომა იმის, რაც საზოგადოთ საკმარისათ არის მიჩნეული იმისთვის, რომ ცოლმა ან ქმარმა განშორება მოითხოვოს. ყოველ შემთხვევაში, ციფრები ნათელ-ყოფენ ერთ რამეს, სახელდობრ იმას, რომ განქორწინების რიცხვი უფრო სწრაფათ იზრდება, ვინემ მცხოვრებლების **და ამავე დროს კი ქორწინებათა რიცხვი კლებულობს.** მარა ამაზე ქვევით.

დიდი განსხვავება ცოლ-ქმართა წლოვანებაში, ძალიან ხშირათ ხდება მიზეზი მათი განქორწინების, როცა, მაგალ., ქმარი ბევრათ უხნესია ცოლზე, ან ცოლი ქმარზე. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი შვეიცარიის ოფიციალურ სტატისტიკიდან:

| განქორწინების რაოდენობა წლიურათ 100,000 ცოლ-ქმარზე წლოვანებაში განსხვავების გამო. | 1881—90 წწ. | 1891—1900 წწ. |
|---|---|---|
| მამაკაცი უხნესია 26 წ. და მეტით. | 271 | 328 |
| „ „ 11—25 „ — — | 189 | 198 |
| „ „ 1—10 „ — — | 193 | 181 |
| კაცი და ქალი თანაბარი ხნის — — | 195 | 190 |
| მამაკაცი ახალგაზრდა 1—10 წ. — — | 226 | 226 |
| „ „ 11—25 „ — — | 365 | 431 |
| „ „ 26 „ ან მეტ. | 759 | 870 |

*) ინგლისში, მაგალ. განქორწინება მდიდრების პრივილეგიაა. განქორწინების პროცესი იმდენათ ძვირი ჯდება, რომ ღარიბი კლასებისათვის მისი წარმოება სრულიად შეუძლებელია, რადგან ამისთვის ლონდონში უნდა იარონ. მთელ მხარეში მხოლოდ ერთი სასამართლო არსებობს განქორწინების საქმეთა გასარჩევათ, სახელდობრ ლონდონში.

ახლა ვიკითხოთ, რამდენათ გავრცელებულია განქორწინება საზოგადოების სხვა-და-სხვა წრეებში; ამის შესახებ ჩვენ გვაქვს შესაფერი ცნობები საქსონიიდან 1905—6 წლების და პრუსიიდან 1895—1905 წლების:

| ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ. | წლიურათ 100,000 ქორწინებაზე მოდის გათიშვა. | |
|---|---|---|
| | საქსონიაში. | პრუსიაში. |
| სოფლის მეურნეობა . . . . . | 59 | 34 |
| მრეწველობა . . . . . | 220 | 158 |
| ვაჭრობა, ტრანსპორტი . . . . | 297 | 229 |
| საზოგადო სამსახ. და თავისუფ. პროფ. | 346 | 165 |

ამგვარათ, ყველაზე უფრო ხშირათ განქორწინებას ადგილი ქონდა საქსონიაში მოხელეთა და თავისუფალ პროფესიების წარმომადგენლებ შორის, პრუსიაში ვაჭრებსა და ტრანსპორტიორთა შორის. შემდეგი ადგილი უკავიათ საქსონიაში ვაჭრებს და ტრანსპორტიორებს, ხოლო პრუსიაში მოხელეებს და თავისუფალ პროფესიის წარმომადგენლებს. მრეწველობას, როგორც საქსონიაში (220), აგრეთვე პრუსიაში (158) მესამე ადგილი უკავია, ყველაზე უმცირეს რიცხვს კი სოფლის მეურნეობა იძლევა, განქორწინებათა რიცხვის ამგვარი ზრდა ქალაქის მცხოვრებთა შორის, სოფელთან შედარებით იმას მოასწავებს, რომ რაც უფრო ფართო ნაწილი საზოგადოებისა ებმება წარმოებაში და რაც უფრო ჩქარა ირღვევა ზღუდეები ძველებური კარჩაკეტილობის, იმდენათ უფრო მრავლდებიან ფაქტორები (მიზეზები) ოჯახის დარღვევის, მარა ამავე დროს ამრავლებენ ისეთ ქალთა რიცხვს, რომელნიც ესწრაფვიან— მოიცილონ კისრიდან თავის მძიმე უღელი.

## 2. ბურჟუაზიული და პროლეტარული ქორწინება.

ოჯახურ უბედურებათა რიცხვი იზრდება და ცოლ-ქმრული ურთიერთობა მახინჯდება და ირღვევა სწორეთ იმდენათ, რამდენათაც მწვავდება ბრძოლა არსებობისათვის და ქორწინება ვაჭრულ ანგარიშს ემორჩილება. ოჯახის რჩენა თანდათან ძნელდება და ეს აიძულებს მრავალ მამაკაცს—სრულიად უარი სთქვას ცოლის შერთვაზე. ამიტომ იმაზე ლაპარაკი, რომ ქალი მხოლოდ უნდა თავის საქმეს აკეთებდეს, მხოლოდ უნდა ოჯახის დიასახლისისა და დედის მოვალეობას ასრულებდესო და სხვ. პირდაპირ **უაზრო ლაყბობაა** და მეტი არაფერი. მეორე მხრით, იგივე პირობები ხელს უწყობენ ქორწინების გარეშე კავშირის გავრცელებას და მეძავ ქალთა რიცხვის ზრდას; ამასთან ერთათ იზრდება მათი რიცხვი, ვინც არაბუნებრივათ იკმაყოფილებენ სქესობრივ მოთხოვნილებას.

მდიდართა კლასში ისე, როგორც ძველ საბერძნეთში, ცოლი ხშირათ უბრალო მანქანათ არის გადაქცეული, მანქანათ, რომელმაც კანონიერი შვილები უნდა შობოს, ოჯახის ეკონომობა გასწიოს, თავს დაადგეს და მოუაროს გარყვნილებისაგან ჯან-ღონე გამოლეულ ქმარს. ქმარი თავის სიამოვნებისა და ჟინის დასაკმაყოფილებლათ იყენებს გეტერებს, რომელთაც ჩვენ კურტიზანკებს და მეტრესსებს ვეძახით და რომელნიც ქალაქის საუკეთესო უბნებში ცხოვრობენ. სხვები კი, რომელთაც შეძლება ნებას არ აძლევთ გეტერა იყოლიონ, როგორც ქორწინებამდე, ისე მის შემდეგ „ფრინთა“ წრეებში ტრიალებენ: მათი გული ამათკენ უფრო მიისწრაფვის, ვინემ კანონიერ მეუღლისაკენ. ამათთან უფრო მხიარულათ გრძნობენ თავს და ზოგიერთ ჩვენ ცოლებსაც ისე გადაბრუნებული აქვთ აზრი და გონება, რომ დარწმუნებული არიან, ყველა ეს სწორეთ ასე უნდა ხდებოდესო*).

*) ბიუხერი თავის თხზულებაში—„ქალთა საკითხი საშუალო საუკუნოებში“, სწუხს ცოლ-ქმრობისა და ოჯახის დარღვევას; ის უარყოფით უყურებს დედაკაცის

მაშ ასე, საზოგადოების მაღალ და საშუალო წრეებში, ქორწინებისა და ოჯახის უმთავრესი ბოროტებაა: ფულისთვის ცოლის შერთვა და ხარისხის მოსაპოვებლათ გათხოვება. ცოლ-ქმრული ურთიერთობა კიდევ უფრო უარესდება ამ კლასთა დაცემული ცხოვრების წყალობით. ეს ეხება აგრეთვე ქალებსაც, რომელნიც ხშირათ სულ უსაქმურობას ეძლევიან, ან გამრყვნელ საქმეს კიდებენ ხელს: ხშირათ მათ სულიერ საზრდოს შეადგენს მხოლოდ ორ-აზროვანი რომანების კითხვა, უზნეო პიესებზე დასწრება, ვნებათა-ამშლელი მუსიკით დატკბობა და ყოველგვარ ცინიკური ამბების მოთხრობა. უსაქმობა და მოწყენილობა აიძულებს მას „სიყვარულში გაერთოს", რასაც კიდევ უფრო ხშირათ ეძებს მამაკაცი. ის ერთი სიამოვნებიდან მეორეზე გადადის, ერთი წვეულებიდან მეორეზე; ზაფხულობით კი წყლებზე და საგარაკოთ მიეშურება, რომ ზამთრის მოწყენილობას თავი დააღწიოს და ახალი გასართობი გამოძებნოს. ასეთ ცხოვრების ტარებით, რასაკვირველია, chronique scandaleuse (სკანდალური ქრონ.) ძალიან მდიდრდება: „სცდებიან" და „აცდენენ".

დაბალ კლასებში ფულისთვის ქორწინება უფრო იშვიათია. მუშა ჩვეულებრივ საცოლოს თავის მისწრაფებათა თანახმათ ირთავს, მარა ოჯახის ბედნიერების შემშლელი პირობები მასაც მრავალი ახვევია გარშემო. ავათმყოფობა და სიკვდილი ხომ ხშირი სტუმარია მუშის ოჯახის. უმუშევრობას უკანასკნელ წერტილამდე მიჰყავს მისი სიღარიბე და ულუკმაპურობა. ახლა რამდენი სხვა მიზეზი ამცირებს მუშის ხელფასს და ხშირათ სრულიადაც უსპობს შემოსავლის წყაროს!

---

შრომის გაძლიერებას ინდუსტრიაში და მოუწოდებს მას—„დაუბრუნდეს თავის სფერას", სადაც მას შეუძლია ნამდვილ „ღირებულების" შექმნა, ე. ი. ოჯახის კერას. დედაკაცის თანამედროვე მეგობართა მისწრაფებანი მას „დილეტანტებათ" მიაჩნია და იმედოვნებს, რომ „ისინი მალე მიაგნებენ უფრო სწორე გზას"; მაგრამ, როგორც სჩანს, მას თვითონაც ვერ გამოუძებნია ეს სწორი გზა. და ბურჟუაზიული თვალსაზრისით, ამის გამოძებნა შეუძლებელია. ქორწინებისა და დედაკაცის თანამედროვე მდგომარეობა ვისმეს ნება-სურვილით არ შექმნილა—ის ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი შედეგია. ხოლო კულტურული განვითარება აუცილებელ კანონების თანახმათ სწარმოებს.

სამრეწველო კრიზისები უსპობენ სამუშაოს, ახალ გამოგონილ მანქანათა შემოღება ქუჩაში ისვრის მათ; ომიანობა, დიდი ბაჟები და საზარალო სავაჭრო ხელშეკრულობანი, არა-პირდა-პირი გადასახადები, მწარმოებელთაგან დევნა რწმენისა და შეხედულებისათვის და სხვა,—ყველა ეს მძიმე უღლათ აწვება მას. ხან რა დაეცემა თავს მეხივით და ხან რა, ხან დიდის და ხან მცირე ხნით რჩება ის უსაქმოთ, ე. ი. მშიერია. ხვალინდელ დღეში ის არასოდეს დარწმუნებული არაა. ბედის ასეთი უკულმართობა ბადებს ნერვების აშლილობას, გამწარებას და ამგვარი სულიერი განწყობილება კი, პირველათ ყოვლისა ოჯახში იჩენს თავს: ყოველ დღე, ყოველ საათს ოჯახში მრავალი უსაჭიროესი მოთხოვნილებები უჩნდება, მას კი მათი დაკმაყოფილება არ შეუძლია. იწყება უკმაყოფილება, ჩხუბი და ლანძღვა-გინება. ირღვევა ცოლ-ქმრობა და ოჯახი.

ანდა ორივე—ცოლიც და ქმარიც მიდიან სამუშაოზე, ბავშვები რჩებიან მარტო, ან უფროსი დის თუ ძმის ანაბარათ, რომელიც თვითონ საჭიროებს ყურის-გდებას და გამდელს. სადილათ თუ შინ მოსვლას ასწრებენ, აფუსფუსებულნი შესჭამენ ხელათ ორ-ლუკმას და ისევ სამუშაოზე გარბიან, ხშირათ კი სიშორის გამო, ქარხნიდან შინ სასადილოთ მოსვლას ვერ ასწრებენ. საღამოს დაღალულ-დაწყვეტილი მოდიან სახლში. სასიამოვნო და მოწყობილ ოჯახის მაგივრათ, მათ ხვდებათ ვიწრო, ამტვერებული სადგომი, სადაც არც ჰაერი და არც სინათლე საკმაოთ არ არის, სადაც ხშირათ აუცილებელი საოჯახო მოწყობილებაც კი არ მოეპოვებათ, რომ ერთი წუთი მაინც დაისვენონ.

ბინათ სიმცირე და აქედან გამომდინარე უბედურებანი, ერთი ბნელ მხარეთაგანია თანამედროვე წყობილების; იგი ბადებს მრავალ ბოროტებას და დანაშაულობას. სამრეწველო ცენტრებში და ქალაქებში, მიუხედავათ ათასგვარ ცდისა—ბინების სიმცირე ყოველ-წლივ იზრდება. და ეს მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის მეტათ საგრძნობელია; ასეთებია: ხელოსნები, მოხელეები, მაწავლებლები, წვრილი ვაჭრები და სხვ...

ქარხანაში დაქანცულ მუშის ცოლს, შინ აუარებელი საქმე მოელის: მუხლების მოკვეთამდე რომ იშრომოს, მაშინაც სულ უსაჭიროეს საქმეს თუ მოასწრებს ოჯახში. შვილებს საჭაროთ მიაძინებენ და შემდეგ ქალი შუაღამემდე სჭრის და კერავს ან ძველებს აკერებს. მას უნდა გონიერი საუბარი, წახალისება, სულის ამაღლება, მარა ქმარი ხშირათ სრულიად უვიცია, ქალმაც არაფერი იცის და მათ სალაპარაკო მასალაც არა აქვთ-რა. ქმარი სამიკიტნოში მიიწევს, იქ ეძებს ის გასართობს, რომელსაც ოჯახში ვერ პოულობს, სვამს და ხარჯავს მაზე მეტს, ვინემ შეძლება ნებას აძლევს; ხანდახან ქალალდის თამაშსაც მიყოფს ხელს, რომელსაც ბევრი მსხვერპლი შეუწირავს მაღალი კლასებიდანაც და აგებს უფრო მეტს, ვინემ თავისთვის ხარჯავს. ამასობაში ცოლი ზის სახლში და ბრაზი ერევა; იგი შრომობს თავ-აუღებლათ, მისთვის არც დასვენებაა, არც სულის მობრუნება; ქმარი კი, ასე თუ ისე, სარგებლობს თავისუფლებით, რომელიც მას არგუნა ბედმა, როგორც მამაკაცს; აქედან ჩნდება უთანხმოება და განხეთქილება. მარა, თუ ცოლიც ღალატობს თავის მოვალეობას, თუ ისიც სახლში დაბრუნებისას სამიკიტნოში მიდის დასასვენებლათ,— მაშინ მათი ხვედრი—გაორკეცებული სიღარიბეა. და მიუხედავათ ამისა, მაინც „საუკეთესო ქვეყანაში“ ვცხოვრობთ.

როგორც ხედავთ, პროლეტართა ოჯახი და ცოლ-ქმრობაც თანდათან ირღვევა. თუ სამუშაო ბევრი ეშოვება მუშას, ესეც ცუდ, დამარღვეველ გავლენას ახდენს მის ოჯახზე, რადგან ხშირათ კვირა-უქმე დღეებშიაც უხდება მუშაობა, ზედმეტ დროსაც ამუშავებენ და ოჯახისათვის კი თავისუფალი დრო აღარ ურჩება. ხშირათ რამდენიმე საათის გზა აქვს ბინიდან ქარხანამდე. ის ვერ სარგებლობს სასადილო დროთი, რომ ოჯახს მიხედოს; გაუთენებლივ მიდის სამუშაოზე, როდესაც შვილებს ჯერ ისევ სძინავთ და ბრუნდება შუაღამეზე, როდესაც შვილები კვალად ლოგინში არიან. ათასი და ათიათასი მშრომელნი, უმთავრესათ კი საამშენებლო მუშები დიდ ქალაქებში, ხშირათ მთელი კვირაობით ვერ ბრუნდებიან ოჯახ-

ში სამუშაოს სიშორის გამო. რაღა გასაკვირალია, რომ ასეთ პირობებში ოჯახი არ ყვაოდეს?! ამავე დროს თანდათან ვრცელდება ქალის შრომა და იგი სდევნის მამაკაცის შრომას, განსაკუთრებით საქსოვ მრეწველობაში, სადაც ათასობით ორთქლით მმოძრავი საქსოვი დაზგა და სართავი მანქანა სარგებლობს დედაკაცისა და ბავშვების იაფი შრომით. აქ კიდევ სულ სხვა სურათს ეხედავთ. ცოლი და შვილები მიდიან ქარხანაში, უსაქმოთ დარჩენილ ქმარს კი ოჯახის მომვლელათ სტოვებენ სახლში. „ჰემნიცის ოლქში, მაგალ. აპრეტურის წარმოებაში, დედაკაცები მხოლოდ ზამთრობით მუშაობენ, რადგან მათი ქმრები, ხელოსნები, კალატოზები ხუროები და სხვ. ამ დროს უსაქმოთ რჩებიან. სხვა ოლქებში საამშენებლო წარმოების მუშათა ცოლები, ქარხანაში ეძებენ ზამთრობით სამუშაოს, და ხშირათ, როცა ცოლი სახლში არ არის, ქმარი უვლის ოჯახს*).

ჩრდილო-ამერიკაში, რომელმაც სწრაფი კაპიტალისტური განვითარებით და მისი თანდაყოლილი უკთღმართი პირობებით ევროპის ყველა სახელმწიფოებს გაუსწრო, ასეთ საზოგადოებრივ მდგომარეობას თავის დამახასიათებელი სახელი უწოდეს. საშრეწველო რაიონებს, სადაც უმეტესათ ქალები შრომობენ და კაცები კი ოჯახში რჩებიან,—tshe towns ეწოდება, ე. ი. „დედაკაცთა ქალაქი“ **).

დღეს ყველა თანახმაა, რომ დედაკაცს უნდა მიეცეს შრომის უფლება ყველა სამრეწველო დარგებში. მოგების სურვილით გატაცებულმა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ დიდიხანია შეიგნო, რომ მამაკაცთან შედარებით, მორჩილი და მცირე

*) Technik und Wirtschaft, აგვისტო, 1909 წ. გვ. 377.

**) ამაზე ამბობს შენიშვნა, რომელიც მოთავსებულია „Lev. Jurn“-ში 1893 წ. „მაინში ქარხნის უბნები იმით განირჩევიან, რომ იქ უმეტეს ნაწილათ მამაკაცები განაგებენ საოჯახო საქმეებს. ბლომათ შეხვდებით ასეთებს იმ ქალაქებში, სადაც მრეწველობაა განვითარებული. თუ ახალ ნასადილევს ეწევევით, ნახავთ, რომ მამაკაცებს წინსაფარი აქვთ გაკეთებული და ჭურჭელს რეცხავენ; სხვა დროს ისინი იატაკს წმენდენ, საწოლს აგებენ, ბავშვებს ბანენ, საჭმელს ამზადებენ, ერთი სიტყვით, დედაკაცის საქმეს ასრულებენ. ეს იმიტომ, რომ დედაკაცები ქარხანაში უფრო მეტს იშოვნიან და ამნაირათ, გაპირვებისთვის ფულს შეინახავენო“.

მოთხოვნილების მქონე დედაკაცი საუკეთესო საექსპლოატაციო ობიექტია*). ამიტომ, წლითი-წლობით მრავლდება იმ დარგებთა რიცხვი, სადაც მეტი ადგილი აქვს დათმობილი დედაკაცის შრომას. მანქანათა გავრცელება და გაუმჯობესება, სამუშაო პროცესის გამარტივება შრომის ფართოთ განაწილების მეოხებით, კონკურენციის ზრდა კაპიტალისტებსა და მთელ ქვეყნებ შორის მსოფლიო ბაზარზე,—ყველა ეს ხელს უწყობს დედაკაცის შრომის გავრცელებას მრეწველობის სხვა-და-სხვა დარგებში. ეს მოვლენა—საერთოა ყველა სამრეწველო ქვეყნებისათვის. მუშა ქალთა რიცხვი იზრდება და მეტოქეთ ევლინება მამაკაც მუშებს. ამას ამტკიცებს საქარხნო ინსპექტორების ანგარიშები და სტატისტიკური ცნობები ქალთა შრომის შესახებ.

ყველაზე უარესია დედაკაცის მდგომარეობა იმ სამრეწველო დარგებში, სადაც თითქმის მხოლოდ ქალები მუშაობენ, როგორც მაგალ. საბაზრო ტანთსაცმელის და საცვლების შეკერვა, განსაკუთრებით თუ სამუშაო სახლებში მიაქვთ. მუშა ქალთა მდგომარეობის გამოკვლევამ საბაზრო ტანთსაცმელისა და საცვლების დარგებში, რომელიც 1886 წელს მოახდინა კავშირის საბჭომ, აშკარათ დაამტკიცა, რომ ხელფასის მეტის-მეტი სიმცირე აიძულებს მათ სხვა საქმესაც მოკიდონ ხელი—თავიანთი სხეულის გაყიდვას. პროსტიტუტკათა უმეტესობა სწორეთ ამ მცირე ხელფასიან მუშა-ქალების წრიდანაა გამოსული.

ჩვენი ქრისტიანული სახელმწიფო, რომლის ქრისტიანულ მოქმედების ნიშან-წყალსაც ვერ ნახავთ სწორეთ იმ საქმეში,

*) „ერთმა მეკარხნემ, ბ-ნმა ე. გადმომცა, რომ მის საქსოვ მანქანებზე განსაკუთრებით ქალები მუშაობენ; ის უპირატესობას აძლევს ქრიანებს, განსაკუთრებით, თუ მათ ოჯახი ყავთ სარჩენი. ისინი გაცილებით უფრო გამრჯელი და ბეჯითნი არიან, ვინემ გაუთხოვარნი და ძალ-ღონეს არა ზოგავენ საარსებო ლუკმის საშოვნელათ. ასე, რომ კეთილი ბუნება, რომელიც ქალის განსაკუთრებულ თვისებას შეადგენს, ენების მომტანი ხდება მათთვის და ყოველივე, რაც ნაზი და ზნეობრივია მათ ბუნებაში—დამონების და ექსპლოატაციის საშუალებათ“. ლორდ ეშლის სიტყვა ათი საათის სამუშაო დღის ბილის თაობაზე 1844 წ.

კ. მარქსი, „კაპიტალი“.

სადაც ეს ყველაზე უფრო გამოსადეგი იქნებოდა, და სამაგიეროთ, უეჭველათ შეხვდებით იქ, სადაც ის ზედმეტია და მავნებელი,—ეს ქრისტიანული სახელმწიფო ისე ვაჭრობს, როგორც ქრისტიანი ბურჟუა და ეს არც გაუკვირდება იმას, ვინც იცის, რომ ქრისტიანული სახელმწიფო—მხოლოდ ნოქარია ქრისტიან ბურჟუასი. სახელმწიფო დიდის გასაჭირით თანხმდება —ერთგვარი საზღვარი დაუდვას შესაფერი კანონის გამოცემით დედაკაცის შრომას და აკრძალოს ბავშვების შრომა, სწორეთ ისე, როგორც მრავალ თავის მოსამსახურეს არ აძლევს კვირა-უქმეში დასვენების ნებას და არც ნორმალურ სამუშაო დღეს უწესებს, რითაც ერთიანათ არღვევს მათ ოჯახურ ცხოვრებას. ფოსტაში, რკინის-გზაში, საპყრობილეში მოსამსახურენი, ყოველ ზომაზე მეტს შრომობენ და ხელ-ფასი კი მით უფრო მცირე ეძლევათ, რამდენათაც უფრო გრძელია მათი სამუშაო დღე.

რადგან ამასთანვე მუშის, წვრილი მოხელის და საზოგადოთ მდაბიო ხალხის შემოსავალთან შედარებით, ბინის ქირა ქალაქებში ძლიერ დიდია, ამიტომ ისინი იძულებული არიან შეზღუდონ ამ მხრივ თავის მოთხოვნილებები: ერთ და იმავე ოთახში ხშირათ იღებენ ღამის გასათევათ ხან მამაკაცებს, ხან ქალიშვილებს, ხან ორივეს ერთათ*); დიდი და პატარა ერთ ვიწრო ოთახში ცხოვრობენ, რომელიც გადამკედლული არ არის და პატარები ხშირათ მოწმე ხდებიან უფროსების ინტიმურ ურთიერთობისა. აუარებელი ცნობები მოწმობენ, თუ რამდენათ ეცემა ასეთ პირობებში ზნეობა და სირცხვილის გრძნობა. აი, ამ პირობებშია დამარხული სათავე ახალგაზრდობის გარყვნილების და გამხეცების, რომელიც ამდენ მსჯელობას იწვევს საზოგადოებაში; ასეთი პირობები არსებობს, როგორც ქალაქებში, ისე სოფლათ. რა გავლენა უნდა ქონ-

*) პრუსიაში, როგორც 1900 წლის აღწერა გვიჩვენებს, სულ 8.467,388 სული მოიპოვება ისეთი, რომელნიც სხვის ოჯახში ცხოვრობენ და ამ ოჯახთან არავითარი ნათესაობა არა აქვთ. ასეთი ელემენტები ქალაქებში უღრიან ერთ მესამედს, სოფელში ერთ მეშვიდედს, ბერლინში კი ნახევარზე მეტს. Mayr, Statistik und Gesselschafts lehre—წიგნი მე-3, 1909 წ.

დეს ბავშვებზე სამრეწველო შრომას? უარესის უარესი, რომ-ლის წარმოდგენაც კი შეიძლება, როგორც ფიზიკური, ისე მორალური მხრით.

საწარმოო შრომაში მონაწილეობას გათხოვილ ქალებისთვისაც ცუდი შედეგი მოაქვს უმთავრესათ ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის ძუძუზე მაწოვრობის ხანაში, როდესაც ის დედის რძით უნდა იზრდებოდეს. ორსულობის დროს მრავალგვარი ავათმყოფობა უჩნდება ქალს, რომელიც მოქმედებს მომავალ ბავშვის და თვით დედის ორგანიზმზე და ხშირათ მუცლის მოწყვეტას ან დღე-ნაკლულის დაბადებას იწვევს. გაივლის თუ არა მშობიარობის წუთები, დედა ისევ მიეშურება ქარხანაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მის ადგილს სხვა დაიჭერს. ასეთ პირობებში პატარას, რა თქმა უნდა, ცუდი მოვლა-პატრონობა მოელის, მისი ხვედრია—შეუფერებელი საჭმელი, ზოგჯერ კი სრული უპმელობა; ხშირათ დასაწყნარებლათ ხაშხაშს და სხვა რამ დამათრობელ წამლებს ასმევენ. ამის შედეგია ბავშვების მასსიური სიკვდილი, ავათმყოფობა და სიმახინჯე, ერთი სიტყვით, რასის გადაშენება. ხშირათ ისე იზრდება ბავშვი, რომ ერთხელაც ვერ ნახავს დედისა და მამის მშობლიურ ალერსს და მოფერებას. ასე იბადება, იზრდება და კვდება პროლეტარი. სახელმწიფოს და საზოგადოებას კი უკვირთ—ამდენი უვიცობა, უზნეობა და დანაშაულობა საიდან გაჩნდაო.

წარსული საუკუნის მე-60 წლებში, როდესაც ინგლისის ბამბეულის წარმოებაში ჩაბმული აუარებელი მუშა-ქალები დარჩენ უსაქმოთ ჩრდილო-ამერიკის მონათა განთავისუფლებისათვის ომის გამო, აქიმებმა სრულიად მოულოდნელი მოვლენა აღმოაჩინეს: მიუხედავათ ათასგვარი გაჭირვებისა—ბავშვთა სიკვდილმა **იკლო**. ეს ახსნეს იმით, რომ ბავშვები ახლა დედის რძით საზრდოობდენ და უკეთესი მოვლა-პატრონობა ქონდათ. ასეთი მოვლენა განმეორდა 70-იან წლების კრიზისის დროს ჩრდილო-ამერიკაში, განსაკუთრებით ნიუ-იორკში და მასაჩუსეტში, როცა უმუშევრობის გამო დედაკაცებს თავი-

სუფალი დრო დაურჩათ შვილების მოსავლელათ. ასეთსავე მოვლენას ქონდა ადგილი, როგორც დაკვირვებამ აღმოაჩინა, შვეციაში უკანასკნელ საერთო გაფიცვის დროს (აგვისტო და სექტ. 1909 წ.). სტოკჰოლმში და სხვა დიდ ქალაქებში, ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში სიკვდილი ისეთი ხშირი სტუმარი აღარ იყო, როგორც წინეთ. სტატისტიკური ნუსხა, რომელიც გვიჩვენებს სიკვდილის რაოდენობას, ამ მოკლე ხნის განმავლობაში, შესამჩნევათ შეიცვალა. ასეთი ცვლილება არ მომხდარა მასში დიდიხანია. სტოკჰოლმის გამოჩენილი აქიმები გვარწმუნებენ, რომ ეს უნდა მიეწეროს ამ არა-ჩვეულებრივ დიდ გაფიცვის გავლენას; ამით აიხსნება, რომ მასსის ჯანმრთელობაც გაუმჯობესდა და სიკვდილიც უფრო იშვიათ მოვლენათ გადაიქცაო. აუარებელ უქმათ დარჩენილ ხალხს შემთხვევა მიეცა გაშლილ ცის-ქვეშ, სუფთა ჰაერზე გაეტარებია დრო და რა თქმა უნდა, ჯანმრთელობისთვის ეს შეუდარებელი იქნებოდა. სანიტარულ ღონისძიებებს, მართალია, დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა უბნებისთვის, მარა იქ მუდამ ისეთი ჰაერი დგას, რომ არ შეიძლება ჯანმრთელობას არ ავნოს. გაფიცვის დროს ლოთობის აკრძალვასაც ქონდა თავისი მნიშვნელობა. ასეთივე ცნობები შეკრიბა აქიმმა ფონ-რეხენბერგმა საქსონიაში ციტტაუსის ოლქის ფეიქართა მდგომარეობის გამოკვლევის დროს, როგორც ის მოგვითხრობს 1890 წელს გამოცემულ თავის თხზულებაში.

შინათ მრეწველობაში, რომელიც პოლიტიკო-ეკონომიურ რომანტიკოსებს ასე იდილიურათ აქვთ წარმოდგენილი, საქმის მდგომარეობა უკეთესი არ არის. აქ ცოლიც და ქმარიც დილიდან საღამომდე სამუშაოზე არიან მიჯაჭვული და მათი ბავშვებიც პატარაობიდანვე ეწევიან მათთან ერთათ აუტანელ შრომას. აქვე ნამუშევრის მონარჩენებით და ნაყარ-ნუყარით სავსე პატარა ოთახში სცხოვრობენ ქმარი, ცოლი, მთელი ოჯახი, ზოგჯერ ქარგლებიც და ამომხრჩვალ ჰაერში სული ეხუთებათ. ცალკე საწოლი ოთახიც არაფრით განსხვავდება სახელოსნოსაგან. ჩვეულებრივ—ეს წარმოადგენს ბნელ ორ-

მოს უფანჯროთ და უვენტილიაციოთ, რომელიც მაშინაც მავნებელი იქნებოდა ჯანმრთელობისათვის, შიგ რომ მხოლოდ ნახევარს ეძინოს იმისას, რამდენსაც ნამდვილათ სძინავს.

არსებობისათვის გამწვავებული ბრძოლა, ხშირათ აიძულებს მამაკაცს და დედაკაცს ისეთ საქციელის ჩადენას, რომელსაც სხვა დროს ზიზღით ზურგს შეაქცევდენ. ასე, მაგალ. 1877 წელს მიუნხენში პოლიციის მიერ შეკრებილი ცნობებიდან გამოირკვა, რომ მეძავ ქალთა უდიდესი ნაწილი მუშების და ხელოსნების ცოლები იყვენ. ახლა რამდენია ისეთი გათხოვილი ქალი, რომელიც პოლიციისაგან ფარულათ ყიდის თავის სხეულს, რადგან პოლიციის კანტროლი შეურაცხყოფს მის სირცხვილის გრძნობას და ადამიანურ ღირსებას.

## თ ა ვ ი X.

## ქორწინება, როგორც უზრუნველყოფილი ცხოვრების საშუალება.

### 1. ქორწინებათა შემცირება.

მეტი საბუთი საჭირო არ არის იმის მისახვედრათ, რომ ასეთი პირობები თანდათან ზრდის იმათ რიცხვს, რომელთაც ქორწინება სამოთხის კარებათ არ მიაჩნიათ და არც ეძებენ ოჯახის მოკიდებას. ამით აიხსნება, რომ კულტურულ ქვეყნების უმრავლესობაში ქორწინებათა რიცხვი წლითი-წლობით კლებულობს. ცნობილია, რომ პურის გაძვირება რომელიმე წელს, ამცირებს ქორწინებათა და დაბადებათა რიცხვს. ხანგრძლივ ეკონომიურ კრიზისებს და საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას, კიდევ უფრო დიდი გავლენა აქვს ამ მხრივ. ამას მოწმობს თითქმის ყველა კულტურული ქვეყნის ქორწინებათა სტატისიკა.

შეერთებულ შტატებში, როგორც მთავრობის ანკეტა გვიჩვენებს 1887—1906 წლამდე სულ 12.832,044 ქორწინება მომხდარა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1887 | წელს | — | — | 483,096 |
| 1891 | „ | — | — | 562,412 |
| 1892 | „ | — | — | 577,870 |
| 1893 | „ | — | — | 578,673 |
| 1894 | „ | — | — | 566,161 |
| 1902 | „ | — | — | 746,733 |
| 1903 | „ | — | — | 786,132 |
| 1904 | „ | — | — | 781,145 |
| 1905 | „ | — | — | 804,787 |
| 1906 | „ | — | — | 853,290 |

ჩვენ ვხედავთ, რომ 1893—4 წლებში კრიზისის გამო, ქორწინებათა რაოდენობას 1894 წელში არა თუ არ უმატნია, არამედ დაუკლია კიდეც. ეს დაკლება უდრის 12,512-ს. ასეთი მოვლენა მეორდება 1904 წელსაც; ამ წელს ქორწინებამ დაიკლო 4987-ით.

საფრანგეთში ქორწინებათა რაოდენობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1873—1877 | წწ. | — | — | 299,000 |
| 1878—1882 | „ | — | — | 281,000 |
| 1883—1887 | „ | — | — | 284,000 |
| 1888—1892 | „ | — | — | 279,000 |
| 1893—1897 | „ | — | — | 288,000 |
| 1898—1902 | „ | — | — | 296,000 |
| 1903—1907 | „ | — | — | 306,000. |

უმაღლესი ციფრი ქორწინებისა მოდის 1873 წ.; მაშინ ყოფილა 321,238 ქორწინება. მას აქეთ ეს რიცხვი კლებულობს. შემდეგ ეკონომიურ აღორძინებასთან ერთათ ისევ მატულობს და 1907 წ. უმაღლეს წერტილს აღწევს. ეს მომატება რამდენიმეთ შედეგია ახალი კანონის, რომელიც გამოვიდა 1907 წლის 21 ივნისს და რომელმაც გააუქმა ზოგიერთი ფორმალური საქორწინო წესები და ამით გაადვილა და გაახშირა დაქორწინება დაბალ ხალხში.

სხვა-და-სხვა ქვეყნებში დაქორწინებულთა რიცხვი 1000 სულზე მოდის საშუალოთ:

| ქვეყნები. | 1871—1875 წ. | 1876—1880 წ. | 1881—1885 წ. | 1886—1890 წ. | 1891—1895 წ. | 1896—1900 წ. | 1901—1905 წ. | 1907 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანიაში . . | 18,84 | 15,63 | 15,40 | 15,68 | 15,88 | 16,83 | 16,00 | 16,20 |
| — პრუსიაში. | 18,88 | 15,86 | 15,92 | 16,32 | 16,40 | 16,86 | 16,20 | 16,40 |
| — ბავარიაში. | 18,92 | 14,65 | 13,64 | 13,96 | 14,76 | 16,09 | 15,20 | 15,40 |
| — საქსონიაში. | 19,96 | 17,70 | 17,62 | 18,64 | 17,52 | 18,76 | 16,60 | 16,80 |
| ავსტრიაში . . | 18,30 | 15,52 | 15,88 | 15,40 | 15,76 | 16,04 | 15,80 | 15,80 |
| უნგრეთში . . | 21,50 | 19,30 | 20,24 | 17,72 | 17,92 | 16,05 | 17,20 | 19,60 |
| იტალიაში. . . | 15,54 | 15,06 | 14,08 | 17,64 | 14,96 | 14,40 | 14,80 | 15,40 |
| შვეიცარიაში . . | 16,06 | 14,90 | 13,80 | 14,00 | 14,72 | 15,59 | 15,00 | 15,60 |
| საფრანგეთში . . | 16,96 | 15,16 | 15,04 | 14,48 | 14,90 | 15,14 | 15,20 | 16,00 |
| ინგლისში და ველს. | 17,08 | 15,34 | 15,14 | 14,70 | 15,16 | 16,14 | 15,60 | 15,80 |
| შოტლანდიაში. . | 14,98 | 13,76 | 13,76 | 18,02 | 13,68 | 14,94 | 14,00 | 14,00 |
| ირლანდიაში . . | 9,72 | 9,04 | 8,66 | 8,66 | 9,48 | 9,87 | 10,48 | 10,20 |
| ბელგიაში . . | 15,44 | 13,94 | 13,94 | 14,34 | 15,24 | 16,45 | 16,20 | 16,20 |
| ნიდერლანდიაში . | 16,64 | 15,76 | 14,28 | 14,04 | 14,48 | 14,88 | 15,00 | 15,20 |
| დანიაში . . . | 15,88 | 15,54 | 15,38 | 13,94 | 13,84 | 14,79 | 14,40 | 15,20 |
| ნორვეგიაში . . | 14,58 | 14,40 | 13,82 | 12,76 | 12,92 | 13,78 | 12,40 | 11,80 |
| შვეციაში. . . | 14,04 | 13,20 | 12,84 | 12,20 | 11,45 | 12,04 | 11,80 | 12,00 |
| ფინლიანდიაში. . | 17,68 | 15,72 | 14,90 | 14,40 | 12,98 | 15,34 | 13,00 | 13,60 |
| ევროპის რუსეთში . | 19,62 | 17,62 | 18,06 | 17,06 | 17,08 | 17,80 | — | — |
| ბულგარეთში . . | — | — | 18,04 | 17,24 | 16,07 | — | — | — |
| სერბიაში. . . | 22,80 | 23,32 | 22,14 | 21,76 | 19,84 | — | — | — |

რომ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ქორწინებათა რაოდენობა ირყევა მრეწველობის კრიზისსა და აყვავების მიხედვით, ეს ძლიერ ნათლათა სჩანს გერმანიის მაგალითიდან. 1872 წელს, ე. ი. პირველ წელიწადს საფრანგეთ-გერმანიის ომის შემდეგ გერმანიაში ისე, როგორც 1873 წ. საფრანგეთში,

ქორწინებათა რიცხვი ყველაზე მეტია. 1873 წლიდან ქორწინებათა რიცხვი კლებულობს და როდესაც 1879 წელს კრიზისმა თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია, ის სულ უკანასკნელ საფეხურზე ჩამოდის (335,113); შემდეგ ის ნელ-ნელა მატულობს 1890 წლამდე, რომელიც აყვავების წელიწადათ ითვლება; შემდეგ წლებში ის ხელ-ახლათ ეცემა და კვალად იწევს აყვავების ხანაში, 1899—1900 წლებში კი, როდესაც მრეწველობა უმწვერვალესათ აყვავებული იყო, უმაღლეს წერტილს მიაღწია (476,491 ქორ. 1900 წ. და 471,519 ქორ. 1899 წ.). შემდეგ იწყება კრიზისი და მასთან ერთათ ქორწინებათა შემცირება. 1902 წ. მისი რიცხვი ეცემა 457,208-მდე, 1906—1907 წლებში კი ისევ უმაღლეს წერტილს აღწევს (498,990 და 503,964), მარა თუ 1906 წელს 1905-თან შედარებით 13,004-ით მეტი ქორწინება იყო, სამაგიეროთ 1907 წელს კრიზისი უკვე ახდენს თავის გავლენას. ამ წელში ქორწინებათა რიცხვი თუმცა აბსოლიუტურათ გაიზარდა (მხოლოდ 4974-ით 1906 წ. შედარებით), მარა ნამდვილათ კი შემცირდა (8,2 ქორწ. ნაცვლათ 1000 სულზე 8,1 ქორწ. უწევს). საზოგადოთ კი, მოყვანილი ციფრები აშკარათ მოწმობენ, რომ ყველა ქვეყნებში ქორწინებათა რიცხვი თანდათან მცირდება. ქორწინებათა რიცხვის უმაღლეს წერტილამდე ასვლა, მესამოცე წლების ნახევრიდან ოთხმოცდა-ათიან წლების ბოლომდე გამონაკლისს შეადგენს; ზემო-ჩამოთვლილ მხარეთა უმრავლესობა კი ამ ხანაშიც უკან ჩამორჩენილია.

სამუშაო ქირის რაოდენობის გარდა, ქონებრივ დამოკიდებულებასაც დიდი გავლენა აქვს ქორწინებათა რიცხვის მეტ-ნაკლებობაზე. „შმოლერის ყოველწლიურში“ (1885 წ.) მოყვანილია ვიურტემბერგის სამთავროს მცხოვრებთა სტატისტიკა, რომლიდანაც ნათლათ სჩანს, რომ, რამდენათაც უფრო მსხვილი მიწის მესაკუთრეთა წრეს ავიღებთ, იმდენათ ნაკლები იქნება 25—30 წლის მამაკაცთა შორის **ცოლიანების რიცხვი**; ხოლო 40—50 წლიანებში კი, პირიქით, **უცოლოთა** რიცხვი **მატულობს**.

წვრილი მიწის საკუთრების გაძლიერება ხელს უწყობს ქორწინებათა გამრავლებას. ის მეტ ოჯახს აძლევს არსებობის შეძლებას, თუმცა ხელმოკლეთ კი. მსხვილი მიწათ-მფლობელობა, პირიქით, წინ ეღობება ქორწინებას: მრეწველობის განვითარებასთან ერთათ იზრდება ქორწინებათა რიცხვი ქალაქის პროფესიებში. მაგალ. შვეიცარიაში 1000 სულზე ამა თუ იმ პროფესიაში 1901—1904 წლამდე დაქორწინებულა:

| | | |
|---|---|---|
| სოფლის წარმოებაში | — — | 4,78 |
| მრეწველობასა და მთა-მად. წარმოებაში | | 7,17 |
| ვაჭრობასა და აღებ-მიცემობაში | — | 7,75 |
| თავისუფალ და სხვ. პროფეს. | — | 6,33 |
| | საშუალოთ | 5,92 |

აქ მოყვანილი ცხრილი ამტკიცებს, რომ გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს არა **მორალურ**, არამედ **მატერიალურ** მიზეზებს. **ქორწინებათა რაოდენობა ისე, როგორც საზოგადოების მორალური მდგომარეობა, დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მატერიალურ საფუძველზე.**

| ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი. | %% შედარება მიწ საკუთრების გეკტარ. | | | მამაკ. %% შედარ. | |
|---|---|---|---|---|---|
| | 5-მდე. | 5—20-მდე. | 20-დან ზევით. | ცოლიანი 25—30 წ | უცოლ. 40—50 წ. |
| ნიურენბერგის ოლქი . . | 79,6 | 20,4 | 0,0 | 63,6 | 4,4 |
| შტუტგარტიდან აღმოსავ. | 78,9 | 17,7 | 3,4 | 51,3 | 8,1 |
| „ სამხრეთით. | 67,6 | 24,8 | 7,6 | 48,6 | 8,7 |
| „ ჩრდილ. . | 56,5 | 34,8 | 8,8 | 50,0 | 10,0 |
| შვარცვალდში . . . . | 50,2 | 42,2 | 7,6 | 48,6 | 10,1 |
| ზემო ნეკარში . . . | 43,6 | 40,3 | 16,1 | 44,3 | 10,8 |
| ნეკარიდან აღმოსავლეთ. | 39,5 | 47,6 | 12,8 | 48,7 | 10,0 |
| ჩ.-აღმ. ჰალეს ჩრ. ოლქ. გამ. | 22,2 | 50,1 | 37,7 | 38,8 | 10,6 |
| შვაბიის ალბი . . . . | 20,3 | 40,8 | 38,3 | 38,8 | 7,5 |
| ჩრდილო ობერშვაბია. . | 19,7 | 48,0 | 32,3 | 32,5 | 9,7 |
| ჰალედან აღმოსავლეთით. | 15,5 | 50,0 | 34,5 | 32,5 | 13,8 |
| ბადენის ტბის მიდამოები. | 14,2 | 61,4 | 24,4 | 23,5 | 26,4 |
| სამხ. და ჩრდ. ობერვაბია. | 12,6 | 41,4 | 46,3 | 30,0 | 19,1 |

## 2. შვილის მოკვლა და ნაყოფის მოსპობა.

გაჭირვება და უიმედობა, რომ შვილებს ვერ აღზრდიან მათი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაფერათ—აი, რა აიძულებს უმთავრესათ ყველა კლასის დედაკაცებს ისეთი საქმე ჩაიდინონ, რომელიც ბუნებას ეწინააღმდეგება და ხშირათ სასჯელთა დებულებასაც არღვევს. ასეთია სხვა-და-სხვა საშუალებების ხმარება დაორსულების თავიდან ასაცილებლათ და ხელოვნურათ მუცლის მოსაშლელათ, როცა ორსულობა მისდა-უნებურათ აჩნდება ქალს. უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ ასეთ საშუალებას მხოლოდ მსუბუქი ჭკუის ან უსინდისო ქალები ხმარობენ-თქო. პირიქით, მრავალ-შვილიანობას ხშირათ პატიოსანი და თავის მოვალეობის ერთგული ქალებიც გაურბიან. რომ შვილი არ გაუჩნდეთ, ისინი აბორტატიულ საშუალებებს მიმართავენ ხოლმე და ქმრებს კი უარს არ ეუბნებიან, რომ გარყვნილების გზას მოარიდონ. ასე სწყვეტენ დედაკაცები ამ დილემას—ორში ერთს ირჩევენ. რასაკვირველია, ისეთებიც მოიძებნებიან, რომელნიც იმ მიზნით ხმარობენ ასეთ საშუალებებს, რომ დაფარონ თავიანთი „დაცემა“, ანდა თავიდან აიცილონ ის ჯაფა, რომელიც მოყვება ორსულობას, მშობიარობას და აღზრდას; ფულით ადვილათ პოულობენ ამაში საჭირო დახმარებას აქიმებისაგან. ხშირათ კი, მხოლოდ იმ მიზნითაც სჩადიან ამას, რომ შეირჩინონ სილამაზე და ფასი არ დაკარგონ ქმრისა, ან საზოგადოთ მამაკაცების თვალში.

ხელოვნურათ მუცლის მოწყვეტა, როგორც სხვა-და-სხვა ნიშნებიდან სჩანს, თანდათან ხშირდება. უკვე ძველმა ხალხებმა იცოდენ მუცლის მოწყვეტა და ახლაც, როგორც განათლებულებმა, ისე ბარბაროსებმა იციან ის. ბერძნებში აშკარათ ხმარობდენ ამ საშუალებას და ეს არ ეწინააღმდეგებოდა იქაურ კანონებს. პლატონის დროს ბებია ქალებს უფლება ქონდათ—ხელი შეეწყოთ ხელოვნურათ მუცლის მოწყვეტისათვის

და არისტოტელიც კანონიერათ სთვლის ასეთ საქციელს გათხოვილ ქალებისაგან, „თუ ისინი წინასწარ მიღებულ ზომების მიუხედავათ მაინც დაორსულდენ“ [1]). ჟიულ რუჟეს [2]) სიტყვით, რომაელ ქალებს ბევრნაირი საბუთი ქონდათ—მიემართათ ხელოვნურათ მუცლის მოწყვეტისათვის. ჯერ ერთი, ამით ისინი ფარავდენ ნება-დაურთველ გარყვნილებას. მეორეთ, მათ უნდოდათ განუწყვეტლივ მისცემოდენ სქესობრივ სიამოვნებას; ბოლოს, ისინი ცდილობდენ ამით აეცილებინათ თავიდან ის ცვლილებანი, რომელთაც ორსულობა და მშობიარობა იწვევს დედაკაცის აგებულებაში. რომაელი ქალი უკვე 25—30 წლ. კარგავდა ახალგაზრდობის ელფერს, ამიტომ ყველანი გაურბოდენ იმას, რაც მათ გარეგნობას ავნებდა. საშუალო საუკუნოებში, ხელოვნურათ მუცლის მომწყვეტისთვის სასტიკი სასჯელი იყო დადგენილი, ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯაც კი; ხოლო თუ თავისუფალი ქალი გაბედავდა ამის ჩადენას, იმას ყმათ აქცევდენ. დღეს მუცლის მოწყვეტა ყველაზე უფრო გავრცელებულია ოსმალეთში და შეერთებულ შტატებში. „ოსმალნი იმ აზრის არიან, რომ 5 თვემდე ჩანასახი არ ჩაითვლება ცოცხალ არსებათ და თავისუფლათ, თამამათ ახდენენ მუცლის მოწყვეტას. მე-6 თვიდან კი, ეს კანონით ისჯება და ამ მოკლე ვადაში ჩადენილი საქმეები 1872 წელს მარტო კონსტანტინოპოლში 3000-მდე ქონდა სასამართლოს გადაცემული“ [3]). კიდევ უფრო ხშირია ასეთი მოვლენა შეერთებულ შტატებში. შტატების ყველა დიდ ქალაქებში არსებობს ისეთი დაწესებულებები, სადაც, როგორც გასათხოვარს, ისე გათხოვილს შეუძლია ვადამდე შვას ბავშვი; ასეთ დაწესებულების შესახებ მრავალ განცხადებებს შეხვდებით იქაურ გაზეთებში [4]). იქაური საზოგადოება მუცლის მოწყვეტაზე ისე არხეინათ და მოურიდებლათ სჯა-ბაასობს, როგორც ნამ-

[1]) Metschnikov Studien uber die Natur de Menschen, ლეიპც., 1904 წ.

[2]) Etudes mèdicales sur l'ancienne Rome, Paris.

[3]) მეჩნიკოვი ხსენებ. თხზულ.

[4]) P. Brouadel. L'avettement... ოფიციალური ანკეტით ნიუიორკში 600-ე პირი იქნება, რომელთაც ეს საქმე თავის პროფესიათ გაუხდიათ.

დვილ მშობიარობაზე. გერმანიაში და ევროპაში ამის შესახებ სულ სხვა აზრი არსებობს; და გერმანიის სასჯელთა დებულება, როგორც მთავარ დამნაშავეს, ისე ხელის შემწყობსაც— მაღაროებში მუშაობით ემუქრება.

მუცლის მოწყვეტას ხშირათ ცუდი შედეგი მოსდევს, ზოგჯერ სიკვდილიც; უმეტეს შემთხვევაში კი ის სამუდამოთ არღვევს ჯანმრთელობას. „რაც უნდა მძიმე მშობიარობა იყოს, მისი ტკივილები მოსატანიც არ არის მუცლის მოწყვეტისგან გამოწვეულ ტკივილებთან“ *). უშვილობა—მისი ჩვეულებრივი შედეგთაგანია. ყველა ამის მიუხედავათ, იგი გერმანიაშიაც ძლიერ ფეხ-მოკიდებულია და თანდათან ვრცელდება. მაგალ. 1882—1886 წლამდე გერმანიაში გაასამართლეს ამ საქმისთვის 836 სული, 1887—1901 წ.—1565, 1902—1906 წ. —2236 პირი. Chronique scandaleuse (სკანდალური ქრონიკა) უკანასკნელ წლებში ძალიან ხშირათ ეხება მუცლის-მოწყვეტას, რამაც დიდი აურ-ზაური გამოიწვია საზოგადოებაში, რადგან ბევრი გამოჩენილი აქიმი და მაღალი საზოგადოების მანდილოსანი აღმოჩნდა ასეთ საქმეში გარეული. გაზეთებში მოთავსებული ურიცხვი განცხადებები მოწმობენ, რომ დღითი-დღე მრავლდება ისეთი დაწესებულებები, სადაც გათხოვილ და გასათხოვარ ქალებს შეძლება ეძლევათ—დაფარონ თავიანთი „შეცდომის“ თუ „დაცემის“ შედეგები**).

მრავალ-შვილიანობის შიშმა, რომელიც ნივთიერ საშუალებების სიმცირით და მათი აღზრდისთვის საჭირო ხარჯების შეუძლებლობით არის გამოწვეული, მთელი კლასების და ხშირათ მთელი ხალხის სისტემათ გახადა დაორსულების წინააღმდეგ საშუალებების ხმარება, რაიც დიდ საზოგადოებრივ უბედურებას წარმოადგენს. მაგალ. საყოველთაოთ ცნობილია, რომ საფრანგეთის საზოგადოების ყველა წრეებში შემოღებუ-

*) Geschichte und Gefahren der Fruchtabtreibung. Von. Dr. Ed. Reich. Leipzig, 1893.

**) შვეციაში მუცლის მოწვეტისათვის ყოველ წელს 100,000 მცხოვრებზე პასუხის-გებაში ეძლოდა: 1851—1880 წ.—3,04; 1881—1890 წ.—6,66; 1891—1900 წ.—19,01. (F. Prinzing. S. 44).

ლია ორ-შვილიანობის სისტემა. განათლებულ სახელმწიფოებში ბევრი არ მოიპოვება ისეთი, სადაც ქორწინებათა რიცხვი იმდენივე იყოს, რამდენიც საფრანგეთში, მარა არც ერთ ქვეყანაში არ იბადება ორთა-შუა რიცხვით ისე ცოტა ბავშვები და არსად ისე უმნიშვნელო რიცხვი არ ემატება მცხოვრებლებს, როგორც საფრანგეთში. ამ სისტემას მისდევენ საფრანგეთის ყველა კლასების წარმომადგენელნი: ბურჟუა, საშუალო მოქალაქე, გლეხი და მუშა. გერმანიის ზოგიერთ ადგილებში განსაკუთრებულმა პირობებმა აიძულეს გლეხი ამავე სისტემისათვის მიემართა. სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში არის მშვენიერი ადგილები, სადაც თითქმის ყოველ გლეხს უდგას ეზოს ბაღში დუდღუბელის ხე (можжевелевое дерево), რომლის შემადგენელ ნაწილებს აბორტატიულ (ორსულობის საწინააღმდეგო) საშუალებათ ხმარობენ. ამ მხარის მეორე ოლქის გლეხობაში დიდიხანია შემოღებულია ორ-შვილიანობის სისტემა: მათ არა სურთ კარ-მიდამოს დანაწილება. აგრეთვე საკვირველი სისწრაფით იზრდება და ვრცელდება გერმანიაში ისეთი ლიტერატურა, რომელშიაც ჩამოთვლილია „ფაკულტატიური უშვილობის“ საშუალებანი. რასაკვირველია, ასეთი ნაწარმოები ყოველთვის „მეცნიერულ“ დროშას ეფარება და თითქო იმის ცდაშია, რომ ხალხი გადაჭარბებულ გამრავლებისაგან დაიფაროს.

მუცლის მოწყვეტასა და ორსულობის წინააღმდეგ საშუალებების ხმარებასთან ერთათ, დიდ როლს თამაშობს პირდაპირი დანაშაულობა. საფრანგეთში დღითი-დღე იზრდება ბავშვების მოკვლა და მიგდება, რასაც ძლიერ ხელს უწყობს მათი სამოქალაქო კანონი, რომელიც უკრძალავს მამის მოძებნას. „Code civil“-ის § 340 ამბობს: „მამის ძებნა აკრძალულია“, § 314 კი, პირიქით: „დედის ძებნა ნება-დართულია“. ბავშვის მამის მოძებნა აკრძალულია, დედისა კი ნება-დართულია. ამნაირათ, კანონი აშკარა უსამართლოთ ექცევა შეცდენილ დედაკაცს. საფრანგეთში მამაკაცს შეუძლია—რამდენიც უნდა შეაცდინოს ქალიშვილები და თავარი ქალები, იგი თა-

ვისუფალია ყოველგვარ პასუხის-მგებლობისაგან და არც საზრდოს მიცემა მოეთხოვება. ასეთი დებულება იმ მოსაზრებითაა გამოცემული, რომ დედაკაცი ყოველთვის შიშს ქვეშ იყოს და არ შეაცდინოს მამაკაცი. გამოდის, თითქო „სუსტ“ მამაკაცს, ამ ძლიერი სქესის წარმომადგენელს, აცდენდეს ყოველთვის დედაკაცი და თვითონ კაცი კი არ აცდენს ქალს. სამოქალაქო კოდექსის § 340-მა გამოიწვია § 312, რომელიც აღიარებს: „L'enfant conçu pendant le mariage a pour pere le mari“ (ცოლ-ქმართა ერთათ ცხოვრების დროს ჩასახული ბავშვის მამათ ითვლება ქმარი). თუ მამის მოძებნა აკრძალულია, მაშასადამე, აქედან ლოღიკურათ ის დასკვნა გამოდის, რომ ცოლის მიერ რქებით შემკულმა ქმარმა არ უნდა სძებნოს ვითომდა მისი ბავშვის მამა, რომელიც ქალმა სხვა კაცთან შეიძინა. ყოველგვარმა ცდამ—გაეუქმებინათ § 340, დღემდე უნაყოფოთ ჩაიარა.

მეორე მხრით, საფრანგეთის ბურჟუაზია მკაცრათ მოექცა მოტყუებულ დედაკაცს იმით, რომ უფლება წაართვა მოეთხოვა საზრდო ბავშვის მამისაგან და ამ სისასტიკის სანაზღაუროთ ბავშვთა თავშესაფარები დაუარსა. ამნაირათ, უკანონოთ შობილი დედასაც ერთმევა და მამასაც. ფრანგთა ფიქციით (ყალბი წარმოდგენა), თავშესაფარში მოთავსებული ბავშვები—ობლებათ ითვლებიან და ასე, საფრანგეთის ბურჟუაზია თავის უკანონო შვილებს **სახელმწიფო ხარჯზე** ზრდის, როგორც „სამშობლოს შვილებს“. მშვენიერი დაწესებულებაა! გერმანიაც ნელ-ნელა ადგება ამ გზას. გერმანიის იმპერიის ახალი სამოქალაქო დებულება, რამდენიმეთ ეწინააღმდეგება წინანდელ უფრო ჰუმანიურ დებულებებს უკანონოთ შობილთა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ. სამოქალაქო დებულების ერთი მუხლი ამბობს მაგალ., რომ „ქორწინების გარეშე შეძენილი შვილი და მისი მამა არავითარი ნათესავები არ არიან ერთმანეთის“, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ მეფე იოსებ II-მ გამოსცა კანონი, რომლითაც გაათანასწორა უფლებით უკანონოთ შობილნი და კანონიერი შვილები.

„უკანონოთ შობილს, რომლის დედასაც მრავალ მამაკაცთან ქონდა კავშირი (conceptio plurium), არა ჰყავს მამა, განმარტავს თანამედროვე გერმანიის კანონმდებლობა. დედის ამჩატების, სისუსტის ან სიღარიბის მიზეზით უნდა დაისაჯოს მისი შვილი! მამის თავქარიანობას კი, კანონი სახეში არ იღებს. „დედას უფლება აქვს და ვალდებულია იზრუნოს თავის უკანონო შვილზე. მარა მშობლის უფლება კი არა აქვს. უკანონოთ შობილის მამა ვალდებულია ისეთი საზრდო გაუჩინოს მას 16 წლამდე, როგორიც შეეფერება **დედის საზოგადოებრივ მდგომარეობას** და შესაფერი აღზრდა-განათლება მიაღებინოს. ასეთი მოვალეობა 16 წლის შესრულების შემდეგაც გრძელდება, თუ უკანონოთ-შობილს იმის შეძლება არ ექნა, რომ თვითონ ირჩინოს თავი. მამა მოვალეა აუნაზღაუროს თავის უკანონო შვილის დედას მშობიარობის ხარჯები და პირველი 6-კვირის განმავლობაში არჩინოს ის და ზოგიერთი აუცილებელი ხარჯებიც გაუსტუმროს, რომელიც ორსულობით, მშობიარობით ან სხვა ამგვარით არის გამოწვეული“. პრუსიის კანონმდებლობით კი, ქორწინების გარეშე დაორსულებულ ქვრივს ანუ გასათხოვარს, რომელიც წინეთ ჩირქ-მოუცხებელი იყო, უფლება ქონდა სარჩენი თანხა მოეთხოვა იმისაგან, ვინც მასთან სქესობრივი კავშირი იქონია და მოეთხოვა იმდენი, რამდენიც მის წოდებას და მდგომარეობას შეეფერებოდა; მხოლოდ მოთხოვნის საერთო ჯამი მამაკაცის ქონების მეოთხედზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. უკანონოთ-შობილს უფლება ქონდა—მოეთხოვა თავის მამისაგან საზრდო და სწავლა-განათლების ხარჯი, მიუხედავათ იმისა, ჩირქ-მოცხებული იყო დედა-მისი წინეთ თუ არა; მაგრამ მოთხოვნილი ხარჯი იმაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, რამდენიც უჯდება გლეხს, ან მდაბიო მოქალაქეს თავის შვილის აღზრდა. თუ სქესობრივ კავშირს წინ უძღოდა ცოლათ შერთვის დაპირება, მსაჯულს ნება ქონდა მიეთვისებინა შეურაცხყოფილისათვის გვარი, წოდება და ხარისხი მისი შემცდენის და ყველა უფლებები უდანაშაულოთ ცნობილ განქორწინებული კაცისა, ხო-

ლო უკანონოთ-შობილი კი—კანონიერ შვილათ ირიცხებოდა. ყველა ეს დღეს გაუქმებულია. უკან-უკან სიარული—აი, ჩვენი კანონმდებლობის სახელმძღვანელო მოტივი.

1831—1880 წლამდე, საფრანგეთის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 8568 შვილის მკვლელობის საქმე გაარჩია; მკვლელობათა რიცხვი პირველ 5 წელს, ე. ი. 1831—1835 წლებში 471 იყო, ხოლო 1876—1880 წლ. კი 970. ამ ხნის განმავლობაში 1032 განაჩენი გამოიტანეს მუცლის მოწყვეტის თაობაზე, აქედან 1831 წელს 471, 1880 წელს კი 100. გერმანიაში შვილის მოკვლისათვის გაასამართლეს 1882—1886 წლამდე 884 სული, 1897—1901 წლ. 887, ხოლო 1902—1907 წლ. 745 სული*). თავისთავათ ცხადია, რომ მუცლის მოწყვეტის მხოლოდ უმნიშვნელო რიცხვი აღწევს სასამართლომდე; ასეთია საზოგადოთ ის შემთხვევები, რომელნიც სიკვდილით ან მძიმე ავათმყოფობით ბოლოვდებიან. აქედან სოფლის მცხოვრებლებზე მოდის შვილის მკვლელობის 75%; ქალაქის მცხოვრებლებზე კი 67%. ქალაქელ ქალს მრავალი საშუალება მოეძებნება მუცლის მოსაწყვეტათ, ამიტომ დიდი პროცენტი მოდის მათზე მუცლის მოწყვეტის და, შედარებით მცირე შვილის მოკვლის. სოფელი კი წინააღმდეგ პირობებში იმყოფება.

ასეთ სურათს წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოება თავის ინტიმურ ცხოვრებაში—ოჯახში. ეს სურათი დიდათ განსხვავდება მეოცნებე პოეტების იდილიურ სურათებისაგან, მარა მას ერთი უპირატესობა აქვს—სინამდვილესთან სწორია. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე ხაზის მომატება.

## 3. აღზრდა ქორწინებისთვის.

მტკიცება არ უნდა, რომ თავისი სულიერი განვითარებით, საზოგადოთ დედაკაცი შედარებით დაბლა სდგას დღეს მამაკაცზე. ბალზაკი, რომელიც სულაც არ არის ქალთა მეგო-

*) Statistik des Deutschen Reiches.

ბარი, მართალია, ამტკიცებს, რომ „დედაკაცი, რომელსაც მამაკაცის განათლება მიუღია, მართლაც აღჭურვილია მრავალი ბრწყინვალე და ნაყოფიერი თვისებებით, როგორც საკუთარი, ისე თავის ქმრის ბედნიერების შესაქმნელათ", ხოლო გიოტე, რომელიც ისე კარგათ იცნობდა თავისი დროის მამაკაცთ და დედაკაცთ, გესლიანათ შენიშნავს „ვილჰელმ მეისტერის მოწაფეობის წლებში" („მშვენიერი სულის აღსარება"): „მეცნიერ ქალებს დავცინოდით, განათლებულებს ვერ ვინელებდით, ალბათ იმიტომ, რომ გვეთაკილებოდა აუარებელ ხეპრე მამაკაცების შერცხვენა"; მარა ყველა ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ საერთოთ დღეს დედაკაცი გონებრივი მხრით მაინც დაბლა სდგას მამაკაცზე. **ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ქალი სწორეთ ისეთია, როგორიც მისმა მბრძანებელმა —მამაკაცმა შექმნა იგი.** დედაკაცის განათლებას უძველეს დროიდანვე იმდენ ყურადღებას აქცევდენ, რამდენსაც პროლეტარის განათლებას და თუ რამ გაკეთებულა დღემდე ამ მხრივ, ის ოდნავათაც საკმარისი არ არის. ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც აზრთა და იდეათა გადაცემ-გადმოცემის მოთხოვნილება საზოგადოების ყველა წრეებში იზრდება და ამ დროს დედაკაცის განვითარების უყურადღებოთ დატოვება უდიდესი შეცდომაა, რომელიც მამაკაცსაც არ სტოვებს თავის კვალ-დაუდებლათ.

მამაკაცის განათლება მიმართულია გონების განვითარებისაკენ, აზროვნობის, ნიჭის გაძლიერებისაკენ, რეალურ ცოდნის გაფართოებისაკენ და მტკიცე ნების, ხასიათის შემუშავებისაკენ, ერთი სიტყვით, სულიერ ფუნქციათა განვითარებისაკენ; ყოველ შემთხვევაში მიზანი ასეთია, თუმცა ძლიერ ხშირათ დღევანდელი განათლება მიზანს ვერ აღწევს და არც შეუძლია მიაღწიოს. დედაკაცის განათლება კი, პირიქით, მაღალ წრეებში მიმართულია უმთავრესათ გრძნობიერების გაძლიერებისაკენ, ესაა განათლება ფორმალური და „ლამაზი", რომლითაც უმთავრესათ ავითარებენ მათ მგრძნობელობას და ფანტაზიას. დედაკაცის განათლების საგნებათ ითვლება მუსიკა,

ბელეტრისტიკა, ხელოვნება, პოეზია. უარეს სისულელეს ვეღარ წარმოიდგენს ადამიანი! აქ ნათლათ სჩანს, რომ უფლების მქონენი, რომლებზედაც დამოკიდებულია დედაკაცის განათლების განსაზღვრა, ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ თავის ყალბი შეხედულებით დედაკაცის ბუნების არსებასა და მის დამორჩილებულ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე. დედაკაცის გრძნობა და ფანტაზია მეტ განვითარებას აღარ საჭიროებს, ეს მხოლოდ ნერვებ-აშლილობას ბადებს მასში. სამაგიეროთ, საჭიროა მასშიაც, როგორც მამაკაცში, გავავითაროთ გონებრივი მუშაობა და ჩავახედოთ პრაქტიკულ ცხოვრებაში. ორივე სქესისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ დედაკაცი აღჭურვილი იყოს: ზედმეტი გრძნობიერების მაგიერ, რომელიც ხშირათ უსიამოვნების მიზეზათ ხდება, გამჭრიახი გონებით და საღი, ფხიზელი აზროვნობის ნიჭით, მეტისმეტ მგრძნობელობისა და სიფრთხილის მაგიერ—ხასიათის სიმტკიცით და ფიზიკური სიმამაცით; ხელოვნებათა ცოდნის მაგიერ, რამდენათაც ის მათ იცნობს, საზოგადოთ—მსოფლიოს, ე. ი. ადამიანისა და ბუნების ძალთა ცოდნით.

საზოგადოთ, აქამდის დედაკაცის გრძნობიერების განვითარებას უზომოთ უწყობდენ ხელს, გონებრივ ნიჭს კი სულ უყურადღებოთ სტოვებდენ, ხშირათ ახშობდენ კიდეც. ამიტომ დედაკაცი გრძნობისა და ფანტაზიის გიპერტროფიით არის ავათ, რის წყალობით ის ადვილათ ითვისებს ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას, ადვილათ ტყუვდება სასწაულთა სფერაში და ასე ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს რელიგიოზურ და სხვაგვარ შარლატნებისათვის და ამასთან ერთათ ბრმა იარაღს ყოველგვარ რეაქციისათვის. მამაკაცები ხშირათ ჩივიან, რომ ამას ვნების მეტი არა მოაქვს-რა მათთვის, მაგრამ არავითარ ზომებს კი არ ღებულობენ მის წინააღმდეგ, რადგან თითონაც ყურებამდე ჩაფლული არიან ცრუ-მორწმუნეობის მორევში.

ხსენებულ განსხვავებიდან გამომდინარეობს ის, რომ დედაკაცები, როგორც ზევითაც დავასახელეთ,-უფრო სხვანაირათ უყურებენ ცხოვრებას, ვინემ მამაკაცები და ეს თავის მხრივ

ახალ განსხვავების და უთანხმოების მდიდარ წყაროს წარმოადგენს ამ ორ სქესს შორის.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა დღეს მამაკაცის არსებით მოვალეობას წარმოადგენს. და თუ მრავალ მამაკაცს დღემდე არ ესმის ეს უდიდესი მოვალეობა,—ეს სრულიადაც არ სცვლის საქმის მდგომარეობას. ყოველ შემთხვევაში სწრაფი ზრდა ეჩჩნევა იმ წრეებს, რომელთაც ესმით, რომ საზოგადოებრივი დაწესებულებები **მჭიდროთ** არიან დაკავშირებული თვითეულის პირად ცხოვრებასთან, და რომ თვითეული კერძო ადამიანის და ოჯახის ბედნიერება თუ უბედურება საზოგადოებრივ დაწესებულებათა მდგომარეობაზე უფროა დამოკიდებული, ვინემ მის პირად თვისებებზე და საქციელზე. თანდათან ფეხს იკიდებს იმის შეგნება, რომ კერძო პიროვნება, რაც უნდა ნების პატრონი იყოს იგი, მაინც უძლურია იმ ნაკლთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელთაც თვით ცხოვრების სიღრმეში აქვთ ფესვები გადგმული. მეორე მხრით, არსებობისათვის ბრძოლა ახლა მეტ ძალას და ენერგიას მოითხოვს, ვიდრე წინეთ. მამაკაცს ახლა ისეთ მოთხოვნილებებს უყენებს ცხოვრება, რომელთა დაკმაყოფილებას მთელი მისი დრო და ძალა სჭირდება. გვერდით კი უდგას ყოვლათ უვიცი და ყველაფრის გულგრილათ მაცქერალი ქალი, რომელსაც არც ავი გაეგება მისი და არც კარგი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქმარსა და ცოლ შორის გონებრივი განსხვავება ახლა უფრო ღრმაა, ვინემ წინეთ, როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობა უფრო მარტივი, ვიწრო და ქალისათვის ადვილგასაგები იყო. შემდეგ, საზოგადოებრივ საქმეებში დღეს მამაკაცთა დიდი ნაწილია ჩაბმული, იმდენი, რამდენიც წინეთ არასოდეს არ ყოფილა, და ეს კი აფართოვებს მათ გონებრივ ჰორიზონტს, მარა ამავე დროს აშორებს ოჯახურ ცხოვრებას, რის გამო დედაკაცი, თითქო განგებ განმარტოვებულათ გრძნობს თავს და ეს ახალი წყაროა უთანხმოებისა. იშვიათია, რომ ქმარი ცოლს მოელაპარაკოს და დაუჯეროს მას რაიმე საქმეში. ჩვეულებრივათ ქმარი იმ შეხედულებისაა, რომ მისი

მისწრაფებანი ცოლის საქმე არაა, რომ უკანასკნელს მისი გაგებაც კი არ შეუძლია. ცოლის განსავითარებლათ ის თავს არ იწუხებს. „შენ ეს არ გესმის“—ასეთია ქმრის მოკლე პასუხი, როდესაც ცოლი სრულ უყურადღებობას შესჩივის თავის ქმარს. დედაკაცის უვიცობას დიდათ უწყობს ხელს მამაკაცთა უმრავლესობის უგუნურება. ყველაზე უკეთესი ცოლ-ქმრობა აქვთ პროლეტარებს, როცა ერთსაც და მეორესაც შეგნებული აქვს, რომ ორივენი ერთ უღელს ეწევიან და რომ მომავალში ღირსეულ, ადამიანურ ცხოვრების მოსაპოვებლათ, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს—სახელდობრ თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი გარდაქმნა და ამით ყველა ადამიანისთვის თავისუფლების მინიჭება. რამდენათაც გავრცელებულია ასეთი შეგნება პროლეტართა ცოლებში, იმდენათ **იდეალური ხდება** მათი ცოლ-ქმრული ცხოვრება, მიუხედავათ მათი გაჭირვებისა და სიღარიბისა. მათ აქვთ საერთო მიზანი, რომლისკენაც ისინი მიისწრაფიან და დაუშრეტელი წყარო სულიერ ამაღლებისა—აზრთა გაზიარება, რომელიც აფერადებს მათ საარსებო ბრძოლას. და ასეთ შეგნებულ პროლეტარ ქალთა რიცხვი წლითი-წლობით იზრდება. ამნაირათ, აქ საფუძველი ეყრება და ვითარდება მოძრაობა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კაცობრიობის მომავალისათვის.

სხვა ცოლ-ქმარ შუა განათლების და შეხედულების განსხვავება უფრო გვიან—სრული მომწიფების ხანაში იჩენს თავს; თავდაპირველათ კი, როდესაც ენებათა-ღელვა ბატონობს, ის შეუმჩნეველია. მარა, როცა სქესობრივ ენებათა-ღელვა ცხრება, მისი ადგილი სულიერმა ერთობამ უნდა დაიჭიროს.

მაგრამ, მიუხედავათ იმისა, შეგნებული აქვს მამაკაცს თავის მოქალაქობრივი მოვალეობანი და ასრულებს მათ თუ არა, ქმარს თავისი ხელობისა და გარეშე ქვეყანასთან განუწყვეტელი კავშირის წყალობით, ხშირათ უხდება სხვა-და-სხვა ელემენტსა და შეხედულებასთან შეხვედრა სულ სხვა-და-სხვა გარემოებებში. ამნაირათ, ის მუდამ გონებრივ სფერაში ტრიალებს,

რაც აფართოვებს მის გონებრივ ჰორიზონტს. ქმარი, ასე ვთქვათ, მუდამ სულიერ ფერის ცვალებებშია; ცოლი კი ყველამდე ჩაფლულია ოჯახის საქმეებში და დროც არ რჩება განვითარებისათვის; ამიტომ ის სულიერათ ჭკნება, იფიტება. ეს ოჯახური უკუღმართობა, რომელიც თავს ატყდება გათხოვილ ქალთა უმრავლესობას, სრული სისწორით აქვს დახატული ბურჟუაზიულათ მოაზრე ჰერხარდ ფონ-ამინტორს თავის „შენიშვნებში ცხოვრების წიგნის კიდურებზე“ *).

ამ წიგნის ერთ თავში—„კოღოთა სასიკვდილო კრებანი“, ჩვენ შემდეგს ვკითხულობთ: „არა შემაძრწუნებელი ამბები, რომელთაგანაც უზრუნველყოფილი არავინაა და რომელთაც შეადგენენ ქმრის სიკვდილი, ან საყვარელი შვილის მორალური დაცემა, ან ხანგრძლივი მძიმე ავათმყოფობა, ან სასურველი, შესისხლხორცებული გეგმების ჩაფუშვა,—არა, ესენი კი არ სპობენ დიასახლისის ახალგაზრდობას და სასიცოცხლო ძალას, ამათა სპობს ყოველ-დღიური წვრილმანი ჭირ-ვარამის გაძღოლა, რომელიც უკანასკნელ სისხლის წვეთსა სწუწნის მათ. რამდენმა მილიონმა ჯან-ღონით სავსე ოჯახის დედამ ჩაახშო, დაკარგა ოჯახის სამსახურში ახალგაზრდური მხნეობა, ღაწვების სიწითლე, ტუჩების ღიმილი, სანამ ბოლოს სახე-დაღარულ, გამხმარ და უსიცოცხლო მუმიათ არ გადაიქცა. მუდამ ახალი კითხვა: „დღეს რა დავამზადო სადილათ?“ ყოველ დღე სადგომის დაგვა-დასუფთავება, გაფერთხვა, გახეხვა, გაფხეკა – აი ის პატარა წვეთები, რომელნიც ნელ-ნელა, მაგრამ შეუბრალებლათ სვრეტენ მის სულსა და სხეულს. სამზარეულო—აი ის ადგილი, სადაც სამწუხარო ბალანსი გამოყავთ შემოსავალ-გასავლის, სადაც იბადება გულის გამაწვრილებელი და დამჩაგვრელი დარდი იმაზე, რომ სანოვაგე და სხვა საარსებო საშუალებები დღითი-დღე ძვირდება, საჭირო ფულის შოვნა ძნელდება და სხვა. გავარვალებულ „საკურთხეველზე“, სადაც ქვაბით საჭმელი იხარშება, აი იქ იწირება მსხვერპლათ ახალგაზრდობა და სითამამე, სილამაზე და მხიარულება, და

*) Sam. Lucas, Elberfeld.

ვიღა იცნობს მოხუც, მწუხარებისაგან ოთხათ მოკაკულ, თვალებ-ჩაწირპლულ მზარეულ დედაკაცში ოდესღაც ამაყ, ვარდისფრათ აღაჟღაჟებულ კეკლუც პატარძალს, მირტის ყვავილების გვირგვინით თავმორთულს? ძველ ხალხში კერა წმინდა ადგილი იყო, რომლის ახლოს ათავსებდენ მფარველ ღმერთებს,—მაშ ჩვენთვისაც წმინდა იყოს კერა, რომელზედაც სახლის ერთგული გერმანელი ქალი, მეუღლე ბიურგერისა, ნელნელა ჭკნება, მსხვერპლათ ეწირება, რომ დაიცვას სახლის სისუფთავე, სავსე სუფრა, ოჯახის ჯანმრთელობა". ასეთ ნუგეშს აწვდის ბურჟუაზიული საზოგადოება დედაკაცს, რომელსაც უწყალოთ სრესს თანამედროვე ურთიერთობანი.

ის ქალებიც კი, რომელნიც მათი სოციალური მდგომარეობის გამო მეტი თავისუფლებით სარგებლობენ, ცალმხრივ და ზერელე განათლებას იღებენ და ეს კი მემკვიდრეობით გადაცემულ ხასიათის თვისებებთან ერთათ, საგრძნობელ დაღს ასვამს დედაკაცის ბუნებას. ქალები უმთავრეს ყურადღებას აქცევენ გარეგან სილამაზეს, მათი უმთავრესი საზრუნავია: ცეკვათამაში და ჩაცმა-დახურვა; ცხოვრების მიზანი—გარყვნილ გემოვნებისა და პირუტყვულ ვნებათა-ღელვის დაკმაყოფილება. შვილებს და მათ აღზრდას სულ არ აქცევენ ყურადღებას: შვილები ისე აბეზრებენ და აძულებენ მათ თავს, რომ პატარაობისას გამდლებისა და ძიძების ანაბარათ ყავთ მიტოვებული და, როცა წამოიზრდებიან—პანსიონებში აბარებენ. საზოგადოთ, ისინი ცდილობენ შექმნან თავიანთი შვილებისგან: ასულთაგან—მშვენიერი ტიკინები და ვაჟთაგან კი—„ოქროს ყმაწვილ-კაცობა". აი ეს „ოქროს ყმაწვილ-კაცობა" იძლევა უმთავრეს კონტინგენტს მუშათა კლასის ქალიშვილთა გამრყვნელებისას; სრული უსაქმობა და უაზრო მფლანგველობა—აი, რა აქვს დასახული ცხოვრების მიზნათ ამ „ოქროს ყმაწვილ-კაცობას".

აქ დახატულ მდგომარეობიდან წარმოსდგება მრავალი თვისებები დედაკაცის ხასიათისა, რომელიც თაობიდან-თაობაზე გადადის და თანდათან ძლიერდება. მამაკაცს უყვარს ამ

თვისებებზე ცალმხრივი ლაპარაკი, მარა ავიწყდება, რომ ამათი მიზეზი თვითონვეა, რომ თავისი ყოფაქცევით ის თვითონ უწყობს ხელს მათ განვითარებას. დედაკაცის ხასიათის ეს გასაკიცხი თვისებები არიან: ჭორიკანობა, ლაყბობა, გაუთავებელი ლაპარაკი სულ მცირე და უმნიშვნელო საგანზე, მხოლოდ გარეგან მხარის დაფასება და ყურადღების მიქცევა, მორთვა-მოკაზმვით გატაცება, თავის მოწონების სურვილი და ამ მიზნით ყოველგვარი „მოდის“ გამოკიდება, შემდეგ, შური და ეპვიანობა სხვა ქალებისადმი, ცბიერება და ფაქტების დამახინჯებისადმი მიდრეკილება.

ეს თვისებები საერთოთ უკვე ახალგაზრდობაშივე იჩენენ თავს ასეთი თუ ისეთი სიძლიერით. ისინი სოციალური პირობების წარმოშობილია და შემდეგ მემკვიდრეობით, მაგალითით და აღზრდით ვითარდება. უვიცათ აღზრდილი სხვის გონივრულ აღზრდას ვერ მოახერხებს.

სქესთა და მთელი ხალხების თვისებათა აღორძინების და განვითარების გამოსაკვლევათ, საჭიროა იმავე მეთოდს მივმართოთ, რომელსაც მიმართავს თანამედროვე ბუნების-მეტყველება, როცა სურს შეისწავლოს ცოცხალ არსებათა და მათ დამახასიათებელ თავისებურობათა გაჩენა და განვითარება. მატერიალურ ცხოვრების პირობებს ძლიერ დიდი გავლენა აქვთ თვითეულ ცოცხალი არსების ხასიათსა და თვისებებზე; ყოველი არსება იძულებულია შეეგუოს არსებულ ცხოვრების პირობებს და აქედან წარმოშობილი თვისებები ბოლოს და ბოლოს მის ბუნებრივ თვისებებათ იქცევა.

ადამიანი ბუნების კანონებს გარეშე არ სდგას და რაც ითქმის ყოველ ცოცხალ არსებაზე ბუნებაში, იგივე ითქმის ადამიანზედაც. ფიზიოლოგიური თვალთახედვის ისრათ ის— უაღრესათ განვითარებული ცხოველია. რასაკვირველია, ეს არა სურთ აღიარონ. თანამედროვე ბუნების-მეტყველების უცოდინარი ძველი ხალხები, რამდენიმე ათასი წლის წინეთ უფრო გონივრულათ უყურებდენ ადამიანის ბევრ მოქმედებას, ვიდრე ახლანდელი ერები უყურებენ, და რაც უმთავრესია, ისინი

პრაქტიკულათ ახორციელებდენ თავის შეხედულებას, რომელიც ცხოვრების გამოცდილებაზე იყო დამყარებული. აღტაცებით ქებათა-ქებას ასხამენ საბერძნეთის ქალთა და კაცთა სიმშვენიერეს და ძლიერებას და ამავე დროს სრულიად ივიწყებენ, რომ ამ თვისებების განვითარებაზე, სახელმწიფოს მიერ შემოღებულ სხეულის ვარჯიშობას და აღზრდას უფრო დიდი გავლენა ქონდა, ვინემ ამ ქვეყნის მშვენიერ ჰავას და მომხიბლველ ბუნებას, გარშემორტყმულ ზღვით და ნავთსადგურებით. სხეულის სილამაზესა, ძლიერებასა და სიმარჯვესთან ერთათ, ბერძნები ცდილობდენ სულის სილამაზე და ელასტიურობა გაევითარებინათ ადამიანში. მართალია, დედაკაცის სულიერ განვითარებას იმ დროშიაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ, ვინემ მამაკაცისას, მარა მის ფიზიკურ განვითარებას კი სერიოზულათ ეპყრობოდენ*). სპარტაში, რომელიც ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევდა ორივე სქესის ფიზიკურ ვარჯიშობას, ქალები და ვაჟები მოწიფულობამდე შიშველი დადიოდენ და ერთათ იღებდენ მონაწილეობას სხეულის ვარჯიშობაში, თამაშობაში და ბრძოლაში. შიშველი სხეული და ბუნებრივი დამოკიდებულება ბუნებრივ მოვლენასთან, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა წრეს-გადასულ გრძნობიერების წინააღმდეგ, რომელისაც შობს ერთი სქესის მეორისაგან ხელოვნურათ დაშორება ყმაწვილობიდანვე. ერთი სქესის სხეული საიდუმლოებას არ წარმოადგენდა მეორისათვის. აქ არავითარი ადგილი არ ქონდა ორ-აზროვან სიტყვას და ქცევას. ბუნება ბუნებათ რჩებოდა. ერთ სქესს ახარებდა მეორის სილამაზე.

კაცობრიობა უნდა დაუბრუნდეს ასეთ ძალდაუტანებელ ბუნებრივ დამოკიდებულებას სქესთა შორის, მან უნდა უკუ-

*) თავის „სახელმწიფო“-ში პლატონი მოითხოვს, „რომ დედაკაციც მამაკაცივით აღიზარდოს“; ის საჭიროთ სთვლის სასტიკ „სქესობრივ შერჩევას“. ამნაირათ, მან იმ დროს უკვე იცოდა სქესთა შერჩევის გავლენა კაცობრიობის განვითარებაზე. არისტოტელიც თავის „პოლიტიკა“-ში ასეთ აღზრდის პრინციპს აღიარებს: „თავდაპირველათ უნდა აღზარდო და განავითარო სხეული, შემდეგ კი გონება“. ჩვენში ძალიან ნაკლებ ფიქრობენ (თუ საზოგადოთ ფიქრობენ როდისმე სხეულზე, თუმცა სხეული გონების მატარებელი და საფუძველია.

აგდოს თანამედროვე ავათმყოფი სპირიტუალისტური შეხედულება ადამიანზე და შექმნას ისეთი მეთოდი აღზრდის, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ განახლებას, გაღონიერებას.

ჩვენში განსაკუთრებით ქალთა აღზრდაზე დღესაც ძლიერ ჩამორჩენილი შეხედულებაა გაბატონებული. იმის თქმა, რომ დედაკაცსაც უნდა ქონდეს ძალა, სიმამაცე და გამბედაობა—დიდ შეცდომათ ითვლება; ყველა ეს „ქალობის“ დაკარგვათ მიაჩნიათ, თუმცა ვერავინ უარყოფს, რომ ასეთი თვისებები არა ერთხელ დაიფარავდენ დედაკაცს მრავალი უსამართლობისა და უსიამოვნებისაგან. პირიქით, მის ფიზიკურ განვითარებას ისე, როგორც გონებრივს, დიდის გულმოდგინებით აფერხებენ, რაშიაც ქალთა უაზრო ტანთსაცმელიც უწყობს ხელს. ის არამც თუ უშლის მის ფიზიკურ განვითარებას, პირდაპირ ასახიჩრებს მას და მიუხედავათ ამისა, თითო-ოროლა აქიმები ძლივს ბედავენ მის წინააღმდეგ ხმის ამაღლებას. ვაი თუ არ მოეწონოს ჩემ პაციენტ ქალსო,—ამის შიში აჩუმებს აქიმს და ხშირათ აიძულებს კიდეც იმლიქვნელოს პაციენტ ქალის წინაშე. თანამედროვე ტანთსაცმელი მეტის-მეტათ უშლის ქალს თავის ძალებით თავისუფლათ სარგებლობას, ვნებს მის ფიზიკურ განვითარებას და აღვიძებს მასში უძლურებისა და სისუსტის გრძნობას. ეს ტანთსაცმელი მავნებელია სხვებისთვისაც, რადგან ის სახლშიაც და ქუჩაშიაც დიდ მტვერს აყენებს. სქესთა სასტიკი განცალკევება სასწავლებელში და საზოგადოებაში, რომელიც სრულიად ეთანხმება თანამედროვე სპირიტუალურ შეხედულებას ქალზე და, რომელიც ქრისტიანობამ დანერგა ჩვენში, მეტის-მეტათ ვნებს დედაკაცის განვითარებას.

დედაკაცი ვერ ახერხებს თავისი ნიჭის და ძალების განვითარებას, მისი გონება ვიწრო იდეიურ ფარგლებშია მომწყვდეული, მას თითქმის ყოველთვის მხოლოდ ქალთა წრეში უხდება ყოფნა და ამიტომ **შეუძლებელია** მისთვის გასცილდეს იმას, რაც ყოველდღიური და ჩვეულებრივია. მისი გო-

ნებრივი ჰორიზონტი ვიწროთაა შემოფარგლული ოჯახურ ურთიერთობით, ნათესავური დამოკიდებულებით და იმით, რაც ამათთან არის დაკავშირებული. ყველა ეს უაღრესათ ავითარებს მასში გაუთავებელ ლაყბობის ნიჭს უდიდეს სისულელეებზე და ჭორიკანობისადმი მიდრეკილებას, რადგან მასში ჩანერგილი ძალები ვარჯიშობას და განვითარებას ითხოვენ. ქმარს ბევრ უსიამოვნებასა გვრის ყველა ეს და ის სასოწარკვეთილებამდე მიყვანილი სწყეველის და კრულავს ამ თვისებებს, რომელთა განვითარება უმთავრესათ თვით მას, ამ „ქმნილებათ გვირგვინს“ აწევს ცოდვათ სინდისზე. მართალია, ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს უფრო გონიერი შეხედულება ცხოვრებაზე, მარა ეს მხოლოდ დასაწყისია, რომელიც ჯერ საზოგადოების ვიწრო წრეებს არ გასცილებია.

## 4. დღევანდელი ცოლ-ქმრობის უვარგისობა.

ჩვენი საზოგადოებრივი და სქესობრივი პირობების მეოხებით, დედაკაცი მთელი მისი არსებით ოჯახზეა მიჯაჭვული და რა გასაკვირალია, რომ მისი სჯა-ბაასი უმეტეს ნაწილათ გათხოვებისა და ქორწინების გარშემო ტრიალებს.

ფიზიკურათ სუსტ, კანონით და ჩვეულებით ქმარზე დამორჩილებულ დედაკაცს, უმთავრეს თავის დამცველ იარაღათ მხოლოდ ენა მოეპოვება და ის, თავისთავათ ცხადია, სარგებლობს კიდეც ამ იარაღით. ამნაირათვე აიხსნება მორთვა-მოკაზმვის და თავის-მოწონების სურვილი, რომელიც „მოდის“ ყოველ სისულელის გამოკიდებაში უმაღლეს ხარისხამდე აღწევს და ხშირათ დიდ განსაცდელში აგდებს მამებსა და ქმრებს. ამის ახსნა ძნელი არაა. დედაკაცი დასატკბობ ნივთს წარმოადგენს მამაკაცისათვის და ეკონომიურ და საზოგადოებრივ თავისუფლებას მოკლებული, მხოლოდ ქორწინებაში ხედავს არსებობის უმთავრეს სახსარს. გათხოვილი ქალი კი, დამოკიდებულია ქმარზე და მისი საკუთრების ნაწილს წარმოადგენს. მის მდგომარეობას ისიც აუარესებს, რომ ქალთა რიცხვი ბევ-

რათ აღემატება მამაკაცის რიცხვს, რასაც ჩვენ შემდეგში დაწვრილებით განვიხილავთ. ეს ბადებს მეტოქეობას ქალთა შორის, რომელიც კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ მამაკაცთა ერთი ნაწილი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, სრულიად ხელს იღებს დაქორწინებაზე. ამიტომ დედაკაცი იძულებულია კონკურენცია გაუწიოს თავისსავე ამხანაგებს და ისიც ცდილობს ყველაზე ლამაზი გამოჩნდეს, რომ საკოლო ყმაწვილებს თავი მოაწონოს და რომელიმე მათგანი მოხიბლოს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთი შეუთანხმებლობა მრავლისაგან მრავალ თაობათა განმავლობაში არსებობს, აღარ გაგვიკვირდება, რომ აქედან წარმომდგარმა შედეგებმა ისეთ უკიდურესობამდე მიაღწია, სადამდეც არაოდეს არ ასულა წინეთ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ საეჭვოა, რომელიმე წინა ეპოქაში ყოფილიყოს ასეთი ქიშპობა ქმრის ძებნაში, როგორიც ეხლაა, რაც გამოწვეულია ერთი მხრით ხსენებული მიზეზებით და მეორე მხრით სხვა-და-სხვა გარემოებით, რომლებზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი. ამასთანავე, არსებობის საშუალებათა შოვნის სიძნელე და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ზრდა აიძულებს დედაკაცს ქორწინებაში ეძიოს თავშესაფარი.

მამაკაცები თავის მხრივ ადვილათ იტანენ საქმის ასეთ მდგომარეობას, რადგან აქედან ერთგვარი სარგებლობა გამოაქვთ თავისთვის. ისინი ბატონის როლს თამაშობენ, როგორც შეეფერება მათ სიამაყეს და მედიდურობას, და ბატონები კი, მოგეხსენებათ, ნაკლებათ უწევენ ანგარიშს მონების წამოყენებულ საბუთებს. და თუ ეს ასეა, დედაკაცის ინტერესი მით უმეტეს მოითხოვს ბრძოლას ისეთ წყობილებისათვის, რომელიც გამოიყვანს მას ამ დამამცირებელ მდგომარეობიდან. რაც შეეხება მამაკაცს, ქალს იმდენი იმედი უნდა ქონდეს მისი დახმარების, რამდენიც მუშასა აქვს ბურჟუაზიის იმედი.

შემდეგ, თუ სახეში მივიღებთ, როგორ თვისებებს აღვიძებს და ანვითარებს ადამიანში პრივილეგიურ მდგომარეობისათვის ბრძოლა სხვა სფერებში, მაგალ. თუნდ მრეწველობაში,

როცა მწარმოებელთა ინტერესები დაეტაკებიან ერთმანეთს,— რა დამამცირებელ და უსინდისო საშუალებას მიმართავენ ხოლმე ბრძოლის მოსაგებათ, როგორ ნავარდობს აქ სიძულვილი, შური და ცილისწამება, თუ ყველა ამას მივიღებთ სახეში, მაშინ ჩვენთვის ადვილი გასაგები იქნება ის ფაქტი, რომ გათხოვებისთვის ბრძოლაშიაც ასეთივე თვისებები იჩენენ თავს ქალებ შორის. აქედან წარმოსდგება ის, რომ საერთოთ ქალები უფრო ვერ რიგდებიან ერთმანეთში, ვიდრე კაცები, რომ ახლო მეგობარი ქალებიც ადვილათ ემდურებიან ერთმანეთს, როდესაც საქმე ეხება მამაკაცის მოხიბლვას, მისთვის თავის მოწონებას და სხვ. ამით აიხსნება აგრეთვე ის გარემოება, რომ ხშირათ სრულიად უცნობი ქალები პირველ შეხვედრისთანავე მტრათ ექცევიან ერთმანეთს; ერთი შეხედვით ამჩნევენ, ვის აცვია შეუსაბამო ფერის ტანთსაცმელი, ან ბანტი რიგზე ვერა აქვს გაკეთებული, ან სხვა რამ ასეთი „დიდი“ შეცდომა აქვს დაშვებული. ერთი მეორეს რომ გადახედავენ, მაშინვე შეამჩნევ მტრობასა და შურს მათ თვალებში. თითქოს უნდათ უთხრან ერთი-მეორეს: „მე მაინც უკეთესი ჩაცმა-დახურვა ვიცი შენზე და ყველას ყურადღებას მე ვიპყრობო“.

მეორე მხრით, დედაკაცი თავის ბუნებით უფრო მალე ღელდება, ვინემ მამაკაცი, ის ნაკლებ მსჯელობს, უფრო თავდადებულია, გულუბრყვილოა, მასში მეტი გრძნობაა, რასაც გმირულ თავგანწირულებამდე მიყავს იგი, როდესაც ის თავის ბავშვს იცავს, ან მახლობელზე ზრუნავს, ან უვლის ვისმე ავათმყოფობის დროს. ის ამ დროს მშვენიერია, შეუდარებელია. ფურიებში (ბოროტი დედაკაცები) კი ეს გრძნობათა ძლიერება მეტათ საზიზღარ სახეს იღებს. მაგრამ, როგორც კარგ, ისე ცუდ მხარეებზე პირველ ყოვლისა გავლენა აქვს სოციალურ მდგომარეობას. ის ანვითარებს, ან აფერხებს— სცვლის მათ. ერთი და იგივე თვისება, რომელსაც ბოროტება მოაქვს ერთგვარ გარემოებაში (რასაკვირველია ცუდში), სხვა დროს, სხვა პირობებში ბედნიერების წყაროთ ხდება, როგორც თავისთვის, ისე მის გარშემო მყოფთათვის. შარლ ფურიემ

საუკეთოოთ დაამტკიცა, რომ ადამიანის ერთ და იმავე თვისებას სხვა-და-სხვა პირობებში სრულიად სხვა-და-სხვა, ერთი-მეორის წინააღმდეგი შედეგი მოაქვს[1]).

უაზრო, უხეირო სულიერი აღზრდის გავლენას ზედ ერთვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გავლენა უაზრო, ან არა საკმარისი ფიზიკური აღზრდისა. ყველა აქიმები თანახმა არიან, რომ დედაკაცის განათლებას აკლია სწორეთ ის, რაც მას ესაჭიროება, როგორც დედას და აღმზრდელს. „მხედარს ასწავლიან იარაღის ხმარებას და ხელოსანს—ხელსაწყოსას, ყოველი თანამდებობა მოითხოვს შესაფერ მომზადებას, ბერ-მონაზვნათ შედგომისათვისაც კი საჭიროა „მორჩილობის“ გავლა. მხოლოდ ქალს არ ამზადებენ თავის სერიოზულ მოვალეობის—დედობის რიგზე შესასრულებლათ[2]). იმ ქალიშვილთა ცხრამეათედს, რომელთაც შემთხვევა ეძლევათ გათხოვდენ, სრულიად არაფერი გაეგება დედისა და ცოლის მოვალეობის. პირდაპირ მიუტევებელი შეცდომაა, რომ დედები შიშობენ თავის ასულებთან სიტყვის დაძვრას მათ უმთავრეს სქესობრივ ფუნქციათა შესახებ, რის გამო ქალები სრულ უვიცობას იჩენენ იმაში, თუ რა მოვალეობა აწევთ თავიანთ თავისა და ქმრისადმი. თხოვდება ქალი და სრულიად ახალ, უცხო სფერაში ეარდება; ქორწინების შესახებ მას მხოლოდ ფანტასტიური სურათი აქვს წარმოდგენილი, რომელიც მეტ ნაწილათ უშინაარსო მოთხრობებიდანაა ამოკითხული და თითქმის სრულიად არ წააგავს სინამდვილეს[3]).

---

[1]) Charles Fourier, sein Leben und sein Theorien. Von A. Bebel. Stuttgart 1888 ₹. J. H. W. Dietz.

[2]) Die Mission unseres Jahrhunderts. Einne Studie zur Frauenfrage von Jrma v. Troll Borostyani, Pressburg und Leipzig.

[3]) „Les femmes qui tyent et les femmes qui votent“ ალექ. დიუმა-შვილი მოგვითხრობს, რომ კათოლიკეთა ერთმა მაღალ-ხარისხოვანმა სამღვდელო პირმა საუბრის დროს გადასცა მას, რომ ას მის მოწაფე ქალთაგან, რომელნიც გათხოვდენ, ერთი თვის განმავლობაში ოთხმოცი მაინც მოვიდა მასთან და სასოწარკვეთილნი ნანობდენ გათხოვებას. ცოტა არ იყოს, ეს სიმაროლესა გავს. ვოლტერისებურად მოაზრე საფრანგეთის ბურჟუაზია თავის სინდისის შესაფერათა სთვლის თავისი ასულის მონასტერში აღზრდას, ის იმ შეხედულებას ადგია, რომ ბრიყვ

უკოდინარობა მეოჯახეობის, რომელიც (მეოჯახეობა) თანამედროვე მდგომარეობაში აუცილებლათ საჭიროა დაქორწინებულთათვის, თავის მხრივ უსიამოვნების ერთ მიზეზს წარმოადგენს. ზოგ ქალს არა გაეგება-რა ოჯახის მოვლა-პატრონობისა და არც ცდილობს გაიგოს, რადგან მას ეს თავის ღირსების დამამცირებლათ მიაჩნია. მისი აზრით, ოჯახის მოვლა მხოლოდ მოსამსახურეების საქმეა; ზოგიერთებს, ხალხის მასსიდან გამოსულთ არსებობისათვის ბრძოლა უშლის მეოჯახეობის შესწავლას, რადგან ისინი იძულებული არიან დილიდან საღამომდე ქარხანაში იშრომონ. თანდათან აშკარავდება, რომ თანამედროვე პირობების განვითარება ნიადაგს აცლის კერძო მეოჯახეობას და მისი შენახვა შეიძლება მხოლოდ ფულების უაზრო ხარჯვითა და დროს დაკარგვით.

მეორე მიზეზი, რომლის გამო მრავალ მამაკაცისთვის ქორწინებას ყოველი მნიშვნელობა აქვს დაკარგული, თვით დედაკაცთა ფიზიკურ განვითარებაშია დამარხული. დღევანდელ საზოგადოებრივ პირობებს და წესს, საცხოვრებელ ბინას, სამუშაოს, გასართობებს, ერთი სიტყვით, ყველა ფორმას ჩვენი ცხოვრებისას, უფრო დამარღვეველი გავლენა აქვს ჩვენზე, ვინემ გამმაგრებელი. სრული უფლება გვაქვს, ჩვენი საუკუნე „ნერვიულ საუკუნეთ“ ჩავთვალოთ და ნერვების სისუსტე კი, აუცილებელი თანამგზავრია ფიზიკური გადაგვარების. სისხლნაკლულობა და ნერვების სისუსტე განსაკუთრებით ქალებ შორის არის გავრცელებული. ეს მოვლენა დიდი საზოგადოებრივი უბედურებაა და თუ რამდენიმე თაობას გაყვა, მთელ კაცობრიობას გადაშენების კარზე მიიყვანს; ერთათ-ერთი ხსნა —ისევ საზოგადოებრივი განვითარების ნორმალურ პირობებში ჩაყენებაა*).

ცოლს უფრო ადვილათ გაუწევ ხელმძღვანელობას, ვიდრე განათლებულს. აქედან ხშირია იმედის გაცრუება, უთანხმოება ცოლ-ქმართ შორის, რის გამო ლაბულე რჩევას იძლევა, ზომიერ ფეიცობაში ვიყოლიოთ ცოლები, რადგან „nothe empire est dertruit, si l'homme est reconnu“, (ჩვენი ბატონობა დამსხვრეულია, თუ ქალმა მამაკაცის ბუნება შეიგნო).

*) პროგრესიული სიდამბლე დედათა სქესში უფრო ვრცელდება, ვინემ მამამაკაცებ შორის, როგორც ამას ამოწმებენ ვენის პსიხიატრიული კლინიკის გამო-

დედაკაცის ორგანიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას და მოვლას თხოულობს მისი სქესობრივი დანიშნულების მხრივ, სახელდობრ საუკეთესო საზრდოს და განსაზღვრულ დროს კი ერთგულ მზრუნველობას. მარა ქალთა უმრავლესობისათვის ამას არავინ ასრულებს და თანამედროვე პირობებში შეუძლებელიც არის მისი შესრულება. ესეც არ იყოს, დედაკაცი მიჩვეულია ყოველგვარი დანაკლისის ატანას და თავის მოვალეობათ სთვლის სადილის დროსაც კი, საუკეთესო ნაჭერი ქმარს მისთავაზოს, თითონ—მცირედით დაკმაყოფილდეს. ბავშვებშიაც ხშირათ ყმაწვილებს უკეთ კვებენ, ვინემ ქალიშვილებს. საზოგადოთ ყველგან ის აზრია გავრცელებული, თითქოს დედაკაცს უფრო ცოტა და უფრო ცუდი საჭმელით შეეძლოს დაკმაყოფილება, ვინემ მამაკაცს. მცოდნეთა აზრით, ამის შედეგია, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით ქალები, ჯანმრთელობის მხრივ შესაბრალის სურათს წარმოადგენენ*). ახალგაზრდა ქალთა უმეტესობა ფიზიკურათ სუსტია, სისხლნაკლული, ნერვებ-აშლილი. ამის მიზეზია არა-ნორმალური მენსტრუაცია, დაავათმყოფება იმ ორგანოებისა, რომელთაც კავშირი აქვთ ქალის სქესობრივ დანიშნულებასთან; ასეთ ავათმყოფობათა წყალობით, ხშირათ მშობიარობა ძნელდება და დედის რძით ბავშვის გამოკვება შეუძლებელი ხდება. „თუ თანამედროვე ქალთა ასეთი დეგენერაცია შემდეგშიაც გაგრძელდა, ახლო მომავალში საეჭვო გახდება—შეიძლება თუ არა კულტურული ადამიანი ძუძუ-მწოველ ცხოველებში ჩავთვა-

---

კვლევანი. 100 მიღებულ ავათმყოფზე დამბლა დაცემული იყო:

| | | | | მამაკ. | დედაკ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1876—1879 | წწ. | — | — | 17,0 | 3,7 |
| 1880—1891 | „ | — | — | 17,3 | 5,4 |
| 1892—1894 | „ | — | — | 17,7 | 6,8 |
| 1895—1897 | „ | — | — | 18,5 | 7,6 |
| 1898—1901 | „ | — | — | 16,2 | 7,5 |

Siehe F. Prinzing. S. 147.

*) დაწვრილებით იხილეთ „Das Frauenbuch“ von Frau H. S. Adams. Dr. med. Stuttgart.

ლოთ“ *). ჯანსაღ მხიარული ამხანაგის, ბავშვების სასარგებ-ლო დედის და ერთგული მეუღლის მაგიერ, რომელიც უნდა ასრულებდეს მეოჯახის წმინდა მოვალეობას, ქმრის წინ სდგას ავათმყოფი, ნერვებ-დასუსტებული ცოლი, რომელსაც აქიმი ვერ შორდება, გრილი ნიავის მოხვედრა ვერ აუტანია და სულ მცირედი შრიალიც კი ნერვებს უშლის. ამაზე აღარ შევჩერ-დებით, რადგან ყველას შეუძლია წარმოიდგინოს ასეთი სუ-რათი და მისი შედეგები: მაგალითებს ყველა შეხვდებოდა თა-ვის ნაცნობ-მეგობართა შორის.

გამოცდილი აქიმები გვარწმუნებენ, რომ ნახევარზე მეტ ქმრიან ქალთა ჯანმრთელობა, უმეტესათ ქალაქში, ცოტათ თუ ბევრათ შერყეულია. როცა ცოლი დაავათმყოფებულია, ან ცოლ-ქმარნი ხასიათით ერთმანეთს ვერ ეთვისებიან, მაშინ მათი ოჯახური სიამოვნება გაფუჭებულია, მოშხამულია და ეს საზოგადოების შეხედულებით, უფლებას აძლევს ქმარს ქორ-წინების გარეშე ეძიოს სიამოვნება, რითაც ცოლს, თუ კი შე-იტყო, გული გაუტყდება, სიცოცხლე ეშხამება. ხანდისხან სქესობრივ მოთხოვნილებების განსხვავება დიდ უსიამოვნებას ბადებს ცოლ-ქმარ შორის, მარა კანონიერი განშორების უფ-ლებას კი არ აძლევს მათ.

არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, **რომ ძლიერ ხში-რათ ქმარია მიზეზი ცოლის მძიმე, ფიზიკურათ დაავათმყო-ფების.** მამაკაცთა უმრავლესობა თავიანთი გარყვნილების წყა-ლობით, ხშირათ სქესობრივ ორგანოთა ქრონიკული სენით არის შეპყრობილი, რასაც ისინი დიდ ყურადღებას არ აქცე-ვენ, რადგან შესამჩნევ უხერხულობას არ გრძნობენ მისგან. ცოლთან სქესობრივ შეერთების დროს კი სენი ედება საშვი-ლოსნოს, რასაც მძიმე შედეგები მოსდევს ქალისთვის, ხშირათ უშვილობაც. საწყალ ქალს ხშირათ იოტის ოდენა წარმოდ-გენაც კი არა აქვს ავათმყოფობის გამომწვევ მიზეზებზე, რო-მელიც სჩაგრავს მას, უწამლავს სიცოცხლეს, უკარგავს აზრს

*) Dr. F. B. Simon. „Die Gesundheitspflege des Weibes“, გვ. 239, შტუტგარტი 1909 წ.

მის ქორწინებას, ოჯახს, ცოლ-ქმრობას; ის უსაყვედურებს თავის თავს, ისმენს საყვედურებს სხვებისაგანაც და ნამდვილათ კი ყველაფერში ქმარია დამნაშავე. მრავალ სიცოცხლით სავსე, ვარდივით ქალს გათხოვებისათანავე ქრონიკული ავათმყოფობა აჩნდება, რის მიზეზი არც თითონ იცის და ვერც მის ნათესავებს აუხსნიათ, რადგან აქიმი ვალდებულია გაჩუმდეს.

„როგორც ახალი გამოკვლევები გვიჩვენებენ, სუსუნატის წყალობით შვილოსნობის დაკარგვა მამაკაცისაგან, **შედარებით ძალიან ხშირათ მიზეზია ცოლ-ქმართა უშვილობის, წინააღმდეგ „ქმნილების ბატონთა“ ძველ გამოსადეგ ტრადიციისა, რომელიც უშვილობაში ცოლს სთვლიდა დამნაშავეთ“** *).

ამნაირათ, მრავალი მიზეზია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უკარგავს ქორწინებას იმ მნიშვნელობას, რომელიც მას უნდა ქონდეს. ამიტომ ძლიერ საეჭვო ღირსების უნდა იყოს იმ მეცნიერთა ბჭობა, რომელნიც ფიქრობენ, რომ ბოლოს მოუღებენ ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლას, თუ მათ ამის მაგიერ ქორწინებაზე მიუთითებენ, როგორც მხსნელზე მაშინ, როდესაც ქორწინება თანამედროვე სოციალური პირობების წყალობით, სულ უფრო და უფრო ირყვნება და შორდება თავის ნამდვილ დანიშნულებას.

---

*) D. S. B. Simon, ხსენებული თხზულება, გვ. 265. სიმონი ძლიერ დაწვრილებით ხსნის, როგორც ამ საკითხს, ისე იმ გაუგებარ მიზეზებს, რომელთა წყალობით მრავალი ქალი ავათმყოფდება ქორწინების შემდეგ; ამ თხზულებაში მამაკაცი ისე დაინახავს თავის თავს, როგორც სარკეში.

# თ ა ვ ი XI.

## დ ა ქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ს შ ა ნ ს ე ბ ი.

### 1. რაოდენობითი დამოკიდებულება სქესთა შორის.

დედაკაცისთვის რჩევის მიცემა—ქორწინებაში უნდა ეძიებდე ხსნას, რადგან იგი შენს მოწოდებას შეადგენსო, რჩევის, რომელსაც უაზრო ვაშას ძახილით ეგებება მამაკაცთა უმრავლესობა—ეს პირდაპირი დაცინვაა მისი, მით უმეტეს, რომ თვით მრჩეველნიც და მისი ტაშის დამკვრელნიც ხშირათ სულ წინააღმდეგს ამტკიცებენ თავის ცქევით.

ფილოსოფოსი შოპენგაუერი, ამ მხრით უბროლო მომაკვდავის შეხედულებას ვერ გასცილებია. ის ამბობს: „დედაკაცი არ არის დიადი შრომისთვის გაჩენილი. მას ახასიათებს არა საქმე, არამედ **მწუხარება**. ცხოვრების ვალს ის იხდის მშობიარობის ტკივილებით, ბავშვზე ზრუნვით, **ქმრის მორჩილებით**. იგი მოკლებულია ცხოვრების ძალთა და გრძნობათა მძლავრ გამოხატულებას. მისი ცხოვრება უფრო წყნარი და უმნიშვნელო უნდა იყოს, ვინემ მამაკაცის. იმის მოწოდებაა ბავშვის **ძიძათ** და აღმზრდელათ ყოფნა, რადგანაც თვით მასში ბევრი რამ მოიპოვება **ბავშვური; ის მთელ თავის სიცოცხლეში დიდ ბავშვათ რჩება,** რაღაც საშუალო არსებათ ბავშვსა და მამაკაც შორის, **რომელიც—ნამდვილი ადამიანია...** ქალიშვილებს უნდა ასწავლიდენ მეოჯახეობას და **მორჩილებას... ქალები—ეს ნამდვილი გაუსწორებელი ფილისტერებია**“.

შოპენგაუერისებურ აზრს აღიარებს ლომბროზოს და ფერეროს თხზულება: „დედაკაცი, როგორც დამნაშავე და პროსტიტუტკა“. ჩვენ არსად შევხვედრივართ ასეთ დიდ მეცნიერულ შრომას (590 გვერდია), რომელშიაც ასე მცირე დასამტკიცებელი მასალა ყოფილიყოს დასკვნების გამოსაყვანათ. სტატის-

ტიკური მასალა მეტ ნაწილათ ძლიერ ღარიბია და მათგან კი ძლიერ გაბედული დასკვნებია გამოყვანილი. ხშირათ ავტორები ათიოდე მაგალითით კმაყოფილდებიან, რომ საბოლოოთ გადაჭრილი დასკვნა გამოიყვანონ. დამახასიათებელია, რომ საუკეთესო მასალები, რომელთაც რაიმე ღირებულება აქვს, აქიმ-ქალის ტარნოვსკაიასაგან არის ნასესხები. სოციალურ ურთიერთობის და კულტურულ განვითარების გავლენა თითქმის სრულიად უყურადღებოთაა წიგნში დატოვებული. ავტორები ყველაფერზე ცალმხრივი ფიზიოლოგიურ-ფსიხოლოგიური თვალთსაზრისით მსჯელობენ, ამავე დროს კი საბუთებში მრავალი ეთნოგრაფიული ცნობები აქვთ ჩართული ხალხის სხვა-და-სხვა წრეების შესახებ, მარა მათი მნიშვნელობის რამდენიმეთ მაინც ღრმათ გამოკვლევაზე თავი არ შეუწუხებიათ. როგორც შოპენგაუერის, ისე ამათი აზრით, დედაკაცი—დიდი ბავშვია, ცრუ par exellance, სუსტი მსჯელობაში, დაუდგრომელი სიყვარულში, გამოუსადეგარი ნამდვილ გმირულ საქმისთვის. იმის დასამტკიცებლათ, რომ დედაკაცი ბევრათ დაბლა სდგას მამაკაცზე, მოყავთ მრავალი ფიზიკური განსხვავებანი და თვისებანი. „დედაკაცის სიყვარული და მისი საფუძველი—დედობრივი თვისებების დამატებას წარმოადგენს; ყველა გრძნობები, რომელნიც კი აკავშირებენ დედაკაცს მამაკაცთან, გამომდინარეობენ არა სქესობრივი იმპულსისაგან, **არამედ მემკვიდრეობითი მორჩილებისა და ერთგულების ინსტიქტებისაგან, რომელნიც მან შეგუების შემწეობით შეიძინა**". როგორ შეიძინეს ასეთი „ინსტიქტები", რა პირობებში წარმოებდა ეს შეგუება, ამ საკითხის გამოსარკვევათ ავტორები თავს არ იწუხებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ უნდა გამოეკვლიათ მათ დედაკაცის სოციალური მდგომარეობა მრავალ ათას წლების განმავლობაში და გაეგოთ, როგორ გადაიქცა დედაკაცი იმათ, რასაც ის ახლა წარმოადგენს. ავტორნი, მართალია, აგვიწერენ დედაკაცის მონურ მდგომარეობას და დამოკიდებულებას სხვა-და-სხვა ერებში და სხვა-და-სხვა კულტურულ ეპოქებში, მარა, როგორც დარვინის მიმდევართ, მათ

თვალებზე ბისტი აქვთ გადაკრული და ყოველგვარი დასკვნა გამოყავთ მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოსაზრებებიდან და სრულიად ვერ ამჩნევენ ეკონომიურ და სოციალურ მიზეზებს, რომელთაც ძლიერი გავლენა აქვთ დედაკაცის ფიზიოლოგიურ და ფსიხოლოგიურ განვითარებაზე.

ავტორნი ბევრს ამბობენ ქალთა ამაო მედიდურებაზე და ამასთანავე არ ფარავენ, რომ კულტურის დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებში, ამაო მედიდურება მამაკაცთა სქესს უფრო ემჩნევა, რასაც დღესაც ვხვდებით ახალი გებრიდის კუნძულებზე, მადაგასკარზე, ორინოკოს მცხოვრებლებში, პოლინეზიის კუნძულებზე და მთელ რიგ აფრიკის ტომებში. კულტურულათ განვითარებულ ხალხში კი, პირიქით, ასეთ სქესს დედაკაცი წარმოადგენს. რათ მოხდა ასე? სადაა ამის ფესვი? პასუხის მიცემა არც ისე ძნელია. კულტურული განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხში, დედათ-მთავრული ურთიერთობა საავსებით არ გამქრალა და ბევრგან ბატონობს კიდეც. დამოუკიდებელი როლი, რომელიც უჭირავს აქ დედაკაცს, ზედმეტათ ხდის მისთვის მამაკაცის კეთილ-განწყობილება ეძიოს; პირიქით, თვით მამაკაცი ცდილობს დედაკაცის ყურადღების დამსახურებას და ამ მიზნით ირთვება, კოხტაობს და ასე ამაო მედიდურებას ეწევა. კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფ ხალხებში და განსაკუთრებით განათლებულ ერებში მცირე გამონაკლს გარდა, ყოველთვის ქალი ეძებს კაცს და არა კაცი ქალს, თუმცა ხანდახან ისიც მოხდება, რომ დედაკაცმა იკისროს ინიციატივა და პირველმა შეაძლიოს თავის ხელი მამაკაცს. ჩვეულებრივ კი, ეგრეთ წოდებული „ზრდილობა“ უკრძალავს ამას; თუმცა ნამდვილათ თავის ხელის შეძლევა ჩანს ყოველ მის მოქმედებაში: ჩაცმა-დახურვაში, თავის დაჭერაში, კეკლუცობაში. რადგან დედაკაცთა რიცხვი მეტია მამაკაცთა რიცხვთან შედარებით და, რადგან სოციალური მდგომარეობა აიძულებს ქალებს ისე უცქირონ ქორწინებას, როგორც უმთავრეს არსებობის სახსარს და როგორც ერთათ-ერთ კანონიერ საშუალებას სქესობრივ მოთ-

ხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და საზოგადოებაში მდგომარეობის შესაქმნელათ, ცხადია, მათ არ შეუძლიათ სხვანაირათ მოიქცენ, ასე რომ აქაც **წმინდა ეკონომიური და სოციალური მიზეზები** იწვევენ მამაკაცში ან დედაკაცში იმ თვისებებს, რომელნიც ჩვეულებრივ სრულიად დამოუკიდებელი გონიათ სოციალური და ეკონომიური პირობებისაგან. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ, როცა საზოგადოება მიაღწევს მაღალ სოციალურ პირობებს, როცა მოისპობა ერთი სქესის დამოკიდებულება მეორისაგან და ორივე სქესი თავისუფალი შეიქნება, მაშინ გაქრება **ამაო მედიდურება და სულელურ „მოდის“ დევნა, ამასთან ერთათ გაქრება ყველა სხვა ნაკლულევანებანი, რომელთა აღმოფხვრა დღეს შეუძლებლათ მიგვაჩნია, რადგან ისინი ბუნებით თანდაყოლილი თვისება გვგონია ადამიანის.**

რაც შეეხება პირადათ შოპენგაუერს, ის, როგორც ფილოსოფოსი, ისეთივე ცალმხრივობას იჩენს დედაკაცის შესახებ მსჯელობის დროს, როგორც თანამედროვე ანტროპოლოგთა და აქიმთა უმრავლესობა, რომელნიც მასში მხოლოდ სქესობრივ არსებას ამჩნევენ და საზოგადოებრივი არსება ვერ დაუნახავთ. აღსანიშნავია, რომ შოპენგაუერი უცოლო იყო და, მაშასადამე, თავისი მხრით არ ცდილა, რომ დედაკაცს გადაეხადა ცხოვრების ვალი, რომელიც მისი აზრით, ამ უკანასკნელს აქვს დაკისრებული. აქ ჩვენ ვხედავთ მოვლენის მეორე მხარეს, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ლამაზი ეუწოდოთ. ყველამ იცის, რომ მრავალი ქალი რჩება გაუთხოვარი მხოლოდ იმიტომ, რომ არ შეუძლიან თავისით გათხოვდეს. მან უნდა უცადოს, რომ წინადადება მიუვიდეს, ე. ი. ამოირჩიონ, თვითონ მას კი ჩვეულება ნებას არ ალევს საქმროს წინადადება მისცეს. თუ საქმრო არ გაუჩნდა, მაშინ ის იმ უბედოთა მრავალ-რიცხოვან რაზმს შეემატება, რომელთაც ცხოვრების დანიშნულება ვერ შეასრულეს და რადგან მატერიალურ უზრუნველ-ყოფას მოკლებულნი არიან, დიდ სილარიბესა და გაჭირვებას ითმენენ და ხშირათ კილვა-დაცინ-

ვის საგნათ ხდებიან. მარა საიდან წარმოსდგება სქესთა რაოდენობის ასეთი უთანხმოება? ზოგნი ამაზე სწრაფათ მოგახლიან: იქედან, რომ ბევრი იბადება მდედრობითი სქესის ბავშვებიო, მაგრამ ამის მთქმელნი სჩანს ძალიან ნაკლებათ იცნობენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას, რასაც ჩვენ ადვილათ დავამტკიცებთ. ზოგნი კიდევ იმ დასკვნამდე მისულან, რომ, რადგან კულტურულ სახელმწიფოებში ქალები მეტია კაცებზე, ავია თუ კარგი, იძულებული ვართ მრავალ-ცოლიანობა შემოვიღოთო. მრავალ-ცოლიანობა კი არა თუ ეწინააღმდეგება ჩვენ ზნე-ჩვეულებას,—ეს ამასთანავე **ქალების დამცირებაა**, რაც, რასაკვირველია, არ უშლის ხელს შოპენგაურს, რომელიც ზიზღით უცქერის ქალებს, განაცხადოს, რომ **„საერთოთ პოლიგამია ბედნიერებაა დედრობით სქესისთვისო“**.

მრავალი კაცი რჩება უცოლოთ იმის გამო, რომ ეშინია **ერთი** ცოლის და ბავშვების რიგიანათ შენახვასაც ვერ შეიძლებო. ორი ცოლის შენახვა კი, მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას თუ შეუძლია და ამ უმცირესობიდან ბევრს კიდეც ყავს ორ-ორი ცოლი და ხან მეტიც—ერთი კანონიერი და ერთი ან რამდენიმე უკანონო.

ამ უპირატესობით აღჭურვილთ, როგორც ბევრ ფულის პატრონთ, საჭიროთ არ მიაჩნიათ მორიდება და ისე იქცევიან, როგორც მოესურვებათ. მარა თვით აღმოსავლეთშიაც კი, სადაც ათას წელთა განმავლობაში არსებობს პოლიგამია, კანონით და ჩვეულებით გამტკიცებული, შედარებით მცირე ნაწილსა ჰყავს ერთ ცოლზე მეტი. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ოსმალთა ჰარამხანის გამრყვნელ გავლენაზე, მარა ავიწყდებათ, რომ ასეთი ცხოვრება ხელმისაწდომია მხოლოდ **უმნიშვნელო** უმცირესობისათვის **გაბატონებულ კლასიდან**, მასსა კი—თითო ცოლით კმაყოფილდება. ქალაქ ალაჟირში 18,282 ქმართაგან—17,319 ერთ-ცოლიანი იყო; 888 ორ-ცოლიანი და მხოლოდ 75 შემთხვევა იყო მრავალ-ცოლიანობის. ოსმალთა სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლში დიდი განსხვავებული მდგომარეობა არ უნდა იყოს ამ მხრივ. სოფლის მცხოვრებთა

შორის აღმოსავლეთში ერთ-ცოლიანობა ძალიანაა გავრცელებული. ამ შემთხვევაში, როგორც ჩვენში, ისე აღმოსავლეთშიაც დიდ როლს თამაშობენ მატერიალური პირობები, რომელნიც აიძულებენ მრავალ მამაკაცს ერთი ცოლით დაკმაყოფილდეს*). თანასწორათაც რომ უწყობდენ პირობები ხელს ყველა მამაკაცს, საყოველთაო მრავალ-ცოლიანობის განხორციელება მაშინაც შეუძლებელი იქნებოდა იმ უბრალო მიზეზით, რომ ამისათვის საკმაო ქალები არ მოიპოვება. **ნორმალურ პირობებში ორივე სქესის რიცხვი თითქმის თანასწორია, რასაც ყველგან ერთ-ცოლიანობის შემოღება მოსდევს.**

დასამტკიცებლათ გადავხედოთ ბიუხერის შრომაში მოყვანილ ცხრილს, რომელიც მოთავსებულია „საყოველთაო სტატისტიკურ არხივში“, 1892 წლის იანვარში:

| ქვეყნები. | მამრობითი სქესი. | დედრობითი სქესი. | მცხოვრებთა საერთო რიცხვი. | 1000 მამაკაცზე მოდის დედაკაცი. |
|---|---|---|---|---|
| ევროპა . | 170,818,561 | 174,914,119 | 345,732,680 | 1024 |
| ამერიკა . | 41,643,389 | 40,540,386 | 82,183,775 | 973 |
| აზია . . | 177,648,644 | 170,219,179 | 347,917,223 | 958 |
| ავსტრია . | 2,197,799 | 1,871,821 | 4,069,620 | 852 |
| აფრიკა . | 6,994,064 | 6,771,360 | 13,765,424 | 968 |
| | 399,301,857 | 394,366,865 | 793,668,722 | 988 |

*) მაიერი სწერს: „რაც შეეხება პოლიგამიას, ის ინდოეთში ზომიერათ არის გავრცელებული. მთელ მხარეში, როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, 1901 წლის აღწერით ყოველ 1000 ქმარზე მოდიოდა 1011 ცოლი. მონოგამიური თანასწორობა, ამნაირათ, დიდათ არ ირღვევა პოლიგამიის არსებობით“. წინ. თხზ. გვ. 77.

ამ ცხრილის ცნობები ბევრს გააკვირვებს. გარდა ევროპისა, სადაც 1000 მამაკაცზე 1024 დედაკაცი უწევს, ყველგან წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი. მართალია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ევროპის გარეშე ქვეყნებში ქალთა რიცხვი სისწორით არ უნდა იყოს ნაჩვენები. მაგალ. იმ ადგილებში, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობენ, დედაკაცთა რაოდენობა, ეჭვი არაა, ნამდვილზე ნაკლებია ნაჩვენები. მარა ის მაინც უნდა აღვიაროთ, რომ გარდა ზოგიერთ ევროპიულ სახელმწიფოებისა, დედაკაცთა რაოდენობა ბევრათ არ აღემატება მამაკაცებისას.

ამ ბოლო დროს სახელმწიფო სტატისტიკურმა დაწესებულებამ ბერლინში, შეიმუშავა სხვა-და-სხვა ხალხთა აღრიცხვის შედეგები და ახალი საყურადღებო სურათი დაგვიხატა. აღრიცხვა შეეხება ევროპისა და მის გარეშე მყოფ სახელმწიფოებს, და სულ 838 მილიონ სულს სწვდება. „ამას თუ დავუმატებთ, რომ ხსენებულ დაწესებულებას ჯერ დაუმუშავებელი აქვს ხალხთ-აღრიცხვის მასალა იტალიის, ბოსნია-ჰერცოგოვინის, კოსტარიკის, არგენტინის, ტრანსვაალის, ორანჟეს რესპუბლიკის, ციპერნის, ფორმოზის და პესკადორის კუნძულების, მაშინ ეს სტატისტიკის მასალა 882 მილიონ სულამდე ავა. ეს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1000 მამაკაცზე საერთოთ 991 ქალი ითვლება... ყოველ აღწერილ ქვეყანაში აღმოჩნდა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები რიცხვით თანასწორი არიან. მხოლოდ აქა-იქ შეიძლება მამაკაცები ცოტაოდნათ აღემატებოდენ დედაკაცებს“ (მაიერი. იგივე თხზულ. გვ. 36—37). სულ სხვას ვხედავთ კერძოთ ევროპაში, რომელიც ჩვენ უმთავრესათ გვაინტერესებს. აქ, გარდა იტალიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებისა, ბოსნია-ჰერცოგოვინის, სერბიის, ბულგარეთის, რუმინიის და საბერძნეთისა—ქალთა რიცხვი ყველგან სჭარბობს მამაკაცებისას. ევროპის მთავარ სახელმწიფოთაგან სქესთა რიცხვი ყველაზე უფრო თანასწორია უნგრეთსა და იტალიაში. აქ მამრობითი სქესის 1000 სულზე 1009 და 1010 დედაკაცი მოდის; მათ მოსდევს ბელ-

გია, სადაც 1000 მამაკაცზე 1013 დედაკაცი მოდის; სამაგიეროთ, პორტუგალიაში (1063 ქ.) და ნორვეგიაში (1082 ქ.) ქალთა რიცხვის სიჭარბე მეტათ თვალსაჩინოა. ამ ქვეყნებს უახლოვდება ამ მხრით დიდი ბრიტანეთი ირლანდიით,—იქ 1000 მამაკაცზე 1063 დედაკაცი მოდის. საფრანგეთს, გერმანიას, ავსტრიას და რუსეთს საშუალო ადგილი უჭირავთ; 1000 მამაკაცზე აქ 1033, 1032, 1035 და 1029 დედაკაცი მოდის*).

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, როგორც მცხოვრებთა აღწერა გვიჩვენებს, გერმანიის სახელმწიფოში ქალთა და კაცთა რიცხვი თანდათან უთანასწორდება ერთმანეთს. 1885 წლის 1 დეკემბერს, დედათა სქესის რიცხვი აღემატებოდა მამაკაცისას 988,376-ით, 1890 წლის 1 დეკემბერს ეს რიცხვი 966,806-ზე ჩამოვიდა, 1895 წელს—957,401-ზე და 1900 წელს 892,684-ზე; 1905 წლ. 1 დეკემბრის აღწერით კი ეს რიცხვი დავიდა 871,916 სულამდე (1029 ქალი მოდის 1000 სულ მამაკაცზე). განსხვავების ასეთ დაკლების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ემიგრაციის შემცირება, რომლის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ. ამას ნათლათ გვიჩვენებს სქესთა რიცხვის შედარება ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ემიგრანტთა დიდი ნაწილი იყრის თავს და სადაც ისეთივე სიმცირეა დედაკაცის, როგორიც გერმანიაში სიჭარბე. 1900 წელს აქ 1000 კაცზე ითვლებოდა 953 ქალი. გერმანიიდან გადასახლებულთა რიცხვი 1881 წ. 220,902 უდრიდა, 1900 წელს კი 22,309-ზე ჩამოვიდა, ხოლო 1908 წელს 19,883-ზე დადგა. ემიგრაცია მამაკაცებში უფრო ძლიერია, ვინემ დედაკაცებში და აი ეს ბადებს სქესთა რიცხვის ასეთ განსხვავებას. იტალიაში, მაგალ. ამ 40 წლის წინეთ მამაკაცების რიცხვი მეტი იყო შედარებით ქალების რიცხვზე. შემდეგ კი ემიგრაციის გამო, მათმა რიცხვმა იკლო და ახლა იქ დედაკაცები უფრო ბევრნი არიან.

*) შნაპერ ანდტი, ნაჩვენ. თხზ. გვ. 107—8.

შემდეგ, მამაკაცებს უფრო მეტი საფრთხე მოელის უბედურ შემთხვევათაგან, ვინემ დედაკაცებს მეურნეობაში, ხელოსნობაში, მრეწველობაში და ვაჭრობაში; ამას გარდა, მამაკაცებში უფრო მეტია დროებით მოშორებული სამშობლოზე, ვინემ დედაკაცებში—ვაჭრები, მეზღვაურები და სხვა. მეორე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სტატისტიკურათ დამტკიცებული მოვლენა არის ის, რომ დედაკაცი უფრო **მეტხანს** ცოცხლობს, ვინემ მამაკაცი და ამიტომ **მოხუცთა** შორის დედაკაცები ბევრათ მეტია მამაკაცებზე. 1900 წლის მცხოვრებთა აღწერა სქესთა ხნოვანების მხრით შემდეგ სურათს იძლევა:

| წლოვანება. | მამრობითი სქესი. | დედრობითი სქესი. | მამრობ. სქესის სჭარბობს. | დედრობ. სქ. სჭარბობს | დედაკაც. უმეტესია. |
|---|---|---|---|---|---|
| 10 წ. უნც. | 6904732 | 6871599 | 33133 | — | — |
| 10—15 წ. | 2925918 | 2912573 | 13345 | — | — |
| 15—21 „ | 3179813 | 3162448 | 17365 | — | — |
| 21—30 „ | 4251204 | 4293775 | — | 72571 | — |
| 30—40 „ | 3669656 | 3731556 | — | 61900 | — |
| 40—50 „ | 2770451 | 2923228 | — | 152777 | — |
| 50—60 „ | 2053085 | 2320273 | — | 267188 | — |
| 60—70 „ | 1300637 | 1545808 | — | 245171 | — |
| 70 ⊿ მეტის | 681751 | 868671 | — | 186920 | — |
| | 27737247 | 28629931 | 63843 | 956527 | 892684 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ 21 წლამდე მამრობითი სქესი აღემატება დედრობითი სქესს*). ეს იმით აიხსნება, რომ ყველგან ვაჟი მეტი იბადება, ვინემ ქალი; ასე, მაგალ. გერმანიის სახელმწიფოში დაიბადა:

*) 1890 წლის აღწერით, ვაჟების რიცხვი აღემატებოდა ქალიშვილებისას მხოლოდ 10 წლამდე; 1895 წლის აღწერით კი 16 წლამდე.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1872 | წელს | 100 | ქალზე | — | — | 106,2 | ვაჟი. |
| 1884 | „ | 100 | „ | — | — | 106,2 | „ |
| 1900 | „ | 100 | „ | — | — | 106,0 | „ |
| 1905 | „ | 100 | „ | — | — | 106,3 | „ |
| 1907 | „ | 100 | „ | — | — | 106,3 | „ |

მაგრამ მამრობით სქესის პირები უფრო ადრე იხოცებიან, ვინემ დედრობითი სქესისა და ეს ხდება ახალგაზრდობაშივე. ზემო-მოყვანილი ცხრილიც გვიჩვენებს, რომ 21 წლის ზევით მამაკაცებს დედაკაცები სჭარბობენ რიცხვით.

100 სულ მცხოვრებზე მომკვდარა:

| წლები | მამრ. სქ. | დედრ. სქ. |
|---|---|---|
| 1872—1875 | 29,5 | 26,3 |
| 1876—1880 | 27,8 | 24,5 |
| 1881—1885 | 27,3 | 24,2 |
| 1886—1890 | 25,8 | 23,1 |
| 1891—1895 | 24,6 | 22,1 |
| 1896—1900 | 22,6 | 20,0 |
| 1901—1905 | 21,0 | 18,8. |

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ 21-დან 50 წლამდე, რომელიც საქორწინო ხანათ ჩაითვლება, დედაკაცთა რიცხვი 257,248-ით აღემატება მამაკაცისას (1890 წ. კი 428,519-ით), 50—70 წლისანებში კი 699,279-ით (1890 წ. 566,400-ით). როგორც ინგლისში, ისე გერმანიაში ყოველ წლობით მატულობს მოხუც დედაკაცთა რაოდენობა. დიდი უთანასწორობაა ქვრივ და განქორწინებულ ქალების და კაცების რიცხვში და ეს უთანასწორობა წლითი-წლობით იზრდება.

1890—1900 წლების აღწერები გვიჩვენებს, რომ:

| | 1890 წ. | 1900 წ. |
|---|---|---|
| ქვრივ მამაკ. რიცხვი უდრიდა | 774,967 | 809,238 |
| „ დედაკ. „ „ | 2,157,870 | 2,352,921 |
| დედაკაცები სჭარბობდენ . . . | 1,382,903 | 1,543,683 |

ამ ქვრივთა შორის იყვენ:

| | 1890 წ. | | 1900 წ. | |
|---|---|---|---|---|
| წლოვან. | მამაკ. | დედაკ. | მამაკ. | დედაკ. |
| 40—60 წ. | 222,286 | 842,920 | 225,191 | 900,357 |
| 60 წ. ზევ. | 506,319 | 1,158,712 | 537,116 | 1,299,905 |

1890 წელს განქორწინებული იყო: 25,271 მამაკაცი და 49,601 დედაკაცი, 1900 წელს კი—31,279 მამაკ. და 60,738 დედაკაცი. მათ შორის:

| | 1890 წ. | | 1900 წ. | |
|---|---|---|---|---|
| | მამაკ. | დედაკ. | მამაკ. | დედაკ. |
| 40—60 წ. | 13,825 | 24,842 | 16,976 | 30,385 |
| 60 წ. მეტ. | 4,917 | 7,244 | 5,713 | 8,452 |

ეს ციფრები გვიჩვენებენ, **რომ ქვრივ და გათიშულ დედაკაცისათვის ძლიერ ძნელია მეორეთ გათხოვება** ქორწინების შესაფერ წლოვანებაშიაც კი. 15-დან 40 წლამდე ქვრივ მამაკაცთა რიცხვი 1890 წელს იყო 46,362, 1900 წ. 46,931; დედაკაცთა კი 1890 წელს 156,235, 1900 წელს—152,659. განქორწინებულ მამაკაცთა რიცხვი 1890 წ. იყო 6519, 1900 წ. 8590; დედაკაცთა კი 1890 წ. 17,515, 1900 წ. 21,901.

ეს ციფრები გვიჩვენებენ, თუ რა საშინელ დაღს ასვამს დედაკაცს გათიშვა.

1900 წელს უქორწინონი იყვენ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15—40 წ. | 6,700,352 | მამაკ., | 5,824,464 | დედაკ. |
| 40—60 „ | 426,388 | „ | 503,406 | „ |
| 60 წ. ზევით | 141,416 | „ | 252,134 | „ |

მაშასადამე, 15—40 წლამდე უქორწინო მამაკაცთა რიცხვი აღემატებოდა დედაკაცებისას 875,888-ით, რაც ხელს უნდა უწყობდეს უკანასკნელების გათხოვებას. მარა მამაკაცი ძლიერ

იშვიათათ ქორწინდება 15—21 წ.; ამ წლოვანებაში 3,175,453 კაცი მოდის 3,064,567 ქალიშვილზე. 21—25 წლის მამაკაცთა დიდ ნაწილს არ შეუძლია ოჯახს მოეკიდოს. ავიღოთ მაგალ. სამხედრო პირები, სტუდენტები და სხვ., ამ წლოვანების ქალები კი ყველა მოწიფული და გასათხოვარია. შემდეგ, მამაკაცთა კარგა ბლომა ნაწილი სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სულ არ ირთავს ცოლს, უცოლოთა რიცხვი 40-ზე მეტი წლის მამაკაცებ შორის 506,035 უდრიდა; ამას უნდა მივუმატოთ კიდევ ქვრივ და გათიშულ მამაკაცთა რიცხვი—აი ამათზე მოდის 812,181 გაუთხოვარი, რომელთაც უნდა მივუმატოთ აგრეთვე ქვრივ და განქორწინებულ ქალთა რიცხვი, რაც საერთოთ 2 მილიონს შეადგენს,—და მაშინ ნათლათ დავინახავთ, თუ რა გარდაუვალი დაბრკოლებები ელობება წინ მრავალ ქალთა გათხოვებას. ცხადია, დედაკაცთა დიდმა ნაწილმა ძალაუნებურათ ხელი უნდა აიღოს სქესობრივ მოთხოვნილების ნორმალურ დაკმაყოფილებაზე დღევანდელ პირობებში, იმავე დროს კი მამაკაცები ადვილათ იკმაყოფილებენ თავს პროსტიტუციის საშუალებით. სულ სხვანაირი იქნება დედაკაცის მდგომარეობა, როცა თანამედროვე სოციალური პირობების გარდაქმნასთან ერთათ მოისპობა ის დაბრკოლებანი, რომელნიც დღეს წინ ელობებიან მამაკაცს ცოლის შერთვაში.

როგორც აღვნიშნეთ, შესამჩნევი განსხვავება მამაკაცთა და დედაკაცთა რიცხვს შორის ოკეანეს იქით გადასახლებითაა გამოწვეული. ხშირათ სამხედრო ბეგრისაგან თავის დაღწევის სურვილი აიძულებს ახალგაზრდა ჯანღონიან სავსე მამაკაცებს საზღვარ-გარეთ გაიქცენ. 1900 წელს რეიხსტაგს მოახსენდა, რომ 135,168 მამაკაცი გადაეცა სასამართლოს ნება-დაურთველათ საზღვარ-გარეთ გახიზნისათვის და 13,055 კაცი კი ამავე დანაშაულისთვის გამოძიების ქვეშ იმყოფებაო. ეს ციფრები ეხება 45 წლისაზე არა უხნეს მამაკაცებს. ასეთი ნება-დაურთველი გახიზვნით გერმანიამ ბევრი დაკარგა. გადასახლება განსაკუთრებით ძლიერდება დიდი ომების შემდეგ, როგორც ეს მოხდა 1866, 1871 და 1874 წლებში. ამას გარდა,

ბევრ მამაკაცთა სიცოცხლე მიაქვს უბედურ შემთხვევებს. 1883-დან 1905 წლამდე უბედური შემთხვევებისაგან მომკვდარა არა ნაკლებ 297,983 სულისა (მათ რიცხვში 1905 წელს 11,792 კაცი და 2922 ქალი), 1886 წლიდან 1907 წლამდე იმ საწარმოო დაწესებულებებში, სადაც დაზღვევა სავალდებულოა მრეწველობაში, მეურნეობაში, სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობაში—უბედურ შემთხვევას უმსხვერპლია 150,719 სული, ამათში ქალები მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. ამასთანავე წარმოებაში ჩაბმულ მუშათაგან ბევრი სახიჩრდება და აღარ შეუძლია ოჯახის მოკიდება (ასეთები 1886—1907 წლ. შეადგენენ 40,744 სულს). მრავალნი უდროოთ იხოცებიან და მათი გაჭირვებული, გაღატაკებული ოჯახი უმწეოთ რჩება. საშინელ მუსრს ავლებს მამაკაცებს ზღვაზე მუშაობა. 1882-დან 1907 წლის დასაწყისამდე დაიღუპა 2848 ხომალდი და დაიხრჩო 3655 ხომალდის მოსამსახურე,—მცირე გამონაკლს გარდა ყველა მამაკაცები—და 1275 მგზავრი.

საზოგადოება მხოლოდ მაშინ დაიცავს თავის წევრებს უბედურ შემთხვევათაგან, როცა ადამიანის სიცოცხლეს მეტი ღირებულება და ფასი მიეცემა, ამას კი ადგილი ექნება სოციალისტურ საზოგადოებაში. დღეს უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლე და მისი ორგანიზმის მთლიანობა მსხვერპლათ ეწირება მწარმოებელთა ხელ-მომჭირნეობას და სიძუნწეს, სხვა შემთხვევებში უბედურების მიზეზი აჩქარებული მუშაობა და მუშის მოქანცვაა. ადამიანის ხორცი იაფათ ფასობს; ერთი მეორეზე იღუპებიან მუშები, მარა არიან სხვები, რომელნიც მათ ადგილს იჭერენ.

განსაკუთრებით უპასუხის-მგებლობა მეფობს ზღვაზე. ინგლისის პარლამენტში პლიმზოლეის მიერ გამოქვეყნებულმა ცნობებმა მე-70 წლებში ნათელყვეს ის ფაქტი, რომ გემების პატრონები მეტ ნაწილათ **უვარგის გემებს** აზღვევდენ დიდ ფასებში და პირველ შემთხვევისათანავე უსინდისოთ ღუპავდენ მათ ზღვაში, მოსამსახურეებისა და მეზღვაურების სიცოცხლე

გროშათაც არ ფასობდა. ეს ეგრეთ წოდებული გემები—კუბოებია, რომელთაც კარგათ იცნობს გერმანია. ერთი წელიწადიც არ გაივლის ისე, რომ საზღვაო სამინისტრომ გემის დაღუპვის მიზეზათ არ დაასახელოს მისი სიძველე, ან ზედმეტი ბარგით დატვირთვა, ან მოუწყობლობა და მოუწესრიგებლობა. უმეტეს შემთხვევაში კი უბედურების მიზეზის გამორკვევა შეუძლებელია, რადგან გემი შუა ზღვაზე იღუპება და ცოცხალი არავინ რჩება, რომ გემის დაღუპვის მიზეზი აღნიშნოს. სწორეთ ამ ნიადაგზე ხდება განსაკუთრებით მძიმე, წინათ-განზრახული ბოროტებანი. დაღუპულ გემის მგზავრთა გადასარჩენათ მიღებული ზომებიც ვერ ასრულებენ ჩვეულებრივ დანიშნულ მიზანს, რადგან მათი მოწყობა თითქმის მარტო კერძო ქველმოქმედებაზეა მიგდებული. ძლიერ უნუგეშო მდგომარეობაშია ზღვაზე მომხდარ უბედურებათა დახმარების საქმე შორეულ უცხო ქვეყნების ნაპირებზე. მხოლოდ მომავალი საზოგადოებრივი წყობილება, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ყველას კეთილდღეობა, იზრუნებს იმაზე, რომ რაც შეიძლება იშვიათათ მოხდეს ზღვაზე უბედურება. მარა არსებული ეკონომიური სისტემა ძარცვა-გლეჯისა, რომელიც ისე ეპყრობა ადამიანებს, როგორც მშრალ ციფრებს, ხშირათ ერთი ტალერის (1 მან. 50 კ.) მოგებისათვის ასალმებს წუთი-სოფელს მუშას და მოსამსახურეს.

## 2. ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები. დედრობითი სქესის გადაჭარბებული სიმრავლე.

ბევრი პირობები უშლის ხელს და ზოგჯერ კი სრულიად შეუძლებელს ხდის ქორწინებას. მამაკაცების კარგა ბლომა ნაწილს თვით სახელმწიფო უშლის ხელს ცოლის შერთვაში. კათოლიკეთა სამღვდელოებას უკიჟინებენ უცოლობას და ამავე დროს ხმასაც არ იღებენ იმაზე, რომ ურიცხვი მხედრობა იძულებულია უცოლო იყოს. აფიცრებმა არა თუ ნებართვა უნდა გამოითხოვონ მთავრობისგან ცოლის შერთვაზე, ცოლის თა-

ვისუფალი არჩევაც კი არ შეუძლიათ, რადგან მათი საცოლე ბრძანების თანახმათ, განსაზღვრული ქონების პატრონი უნდა იყოს. ასე, მაგალ. 1889 წელს **ავსტრიის აფიცერთა კორპუსი** „გაუმჯობესდა“ საზოგადოებრივათ და ამ დროდან აფიცერმა, როგორც სასიძომ ფასი მოიმატა. **30 წლისაზე** უფროსმა კაპიტანმა 8000 გულდენით აიწია ფასში, რადგან **30 წლისაზე უნცროსი** ძნელი მოსაძებნია და თანაც მისათხოვებლათ 30,000 გულდენი მზითვია საჭირო. წინათ თუ 30 წელს გადაცილებული აფიცერი მოისურვებდა ცოლის შერთვას, მოვალე იყო წარედგინა ან საზოგადო თანხა 12,000 გულდენი, ან საბუთი იმის, რომ ჯამაგირის გარეშე 600 გულდენის შემოსავალი მაინც ქონდა წლიურათ; მარა ხშირათ, თუ ამ მცირე გარეშე შემოსავლის ნამდვილ დამამტკიცებელ საბუთებს ვერ წარადგენდა აფიცერი, მაინცა-და-მაინც არ უხირდებოდენ. ახალი კანონით კი, აფიცრისათვის ცოლის შერთვა უფრო გაძნელებულია. კაპიტანმა, რომელიც 30 წელს არ გადასცილებია, ახალი კანონით უნდა წარმოადგინოს ბეთ 30,000 გულდენი, 30 წელს გადაცილებულმა—20,000 გულდენი, შტაბ-აფიცრებს და ზევით—პოლკოვნიკამდე მოეთხოვებათ 16,000 გულდენი, ამავე დროს პოლკის აფიცერთა **ერთი მეოთხედზე მეტი** არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ცოლიანი. საცოლოს მოეთხოვება გათხოვებამდე უმწიკვლო ცხოვრება და საქმროს შესაფერი მდგომარეობა. გენერალური შტაბის აფიცრისათვის მალე სრულიად შეუძლებელი გახდება ცოლის შერთვა: 30 წლისაზე უნცროსმა პოლკოვნიკმა უნდა წარადგინოს ბეთ—36,000 გულდენი, 30 წლისაზე უფროსმა 24,000. 1902 წლიდან გერმანიაში ახალი დადგენილება შევიდა ძალაში: პირველ კლასის კაპიტანზე ნაკლებ ჯამაგირიან აფიცერს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია ცოლის შერთვის ნებართვა მიიღოს, თუ საბუთს წარადგენს, რომ ჯამაგირის გარეშე განსაზღვრული შემოსავალი აქვს. მეორე ხარისხის კაპიტანს, რომლის ჯამაგირი უდრის 4500 მარკას—ასეთი გარეშე შემოსავალი უნდა ქონდეს წლიურათ 1500 მარკაზე არა

ნაკლები, ჟანდარმის აფიცერს, რომელსაც 3300 მარკა ეძლევა ჯამაგირათ, ობერ-ლეიტენანტს და ლეიტენანტს ობერგენერამდე და ფელდეგერთა კორპუსის პოლკის ფელდეგერამდე—უნდა ქონდეთ 2500 მარკა. რაც შეეხება იმ დადგენილებებს, რომელნიც აბრკოლებენ და აძნელებენ ცოლის შერთვას, ისინი ვრცელდებიან უნტერ-აფიცრებზედაც, რომელნიც ვალდებულნი არიან ცოლის შერთვის ნებართვა გამოითხოვონ თავიანთი პირდაპირი უფროსისაგან. ყველა ეს ნათლათ ამტკიცებს, თუ როგორი **მატერიალისტური შეხედულება აქვს** სახელმწიფოს ქორწინებაზე.

საერთოთ საზოგადოებრივი აზრი იმას გვეუბნება, რომ მამაკაცმა 24—25 წლის ადრე არ უნდა შეირთოს ცოლი, რადგან სწორეთ ამ წლოვანებაში იძენს კაცი ბურჟუაზიულ დამოუკიდებლობას. მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ბედმა ისეთი სასიამოვნო მდგომარეობა არგუნა, რომ დამოუკიდებელ ცხოვრებისთვის ზრუნვა არ სჭირდებათ, მაგალ. მეფის ჩამომავალთ, შეუძლიათ თუ მოისურვებენ—კაცი 18—19 წლის და ქალი კი 15—16 წლის შეუდგეს ქორწინებას. 18 წლის მეფე სრულ-წლოვანათ ითვლება და უფლებაც აქვს განაგოს სამეფო, რაც უნდა მრავალ-რიცხოვანი იყოს იგი. ჩვეულებრივი მომაკვდავნი კი, მხოლოდ 21 წლისანი ითვლებიან სრულწლოვანებათ.

ცოლსართავ ხნოვანებაზე შეხედულების ასეთი სხვა-და-სხვაობა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ აქ გადამწყვეტ როლს თამაშობენ სოციალური მიზეზები, რომელთაც არაფერი საერთო არა აქვთ ადამიანის სქესობრივ ბუნებასთან. ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება თავის-თავათ სრულიად დამოუკიდებელია სოციალურ პირობებისა და მათგან წარმოშობილ აზრთა სხვა-და-სხვაობისაგან. მოწიფულ ადამიანში ბუნებრივი მოთხოვნილება მთელი თავისი ძლიერებით იჩენს თავს.

ქალიშვილის ადრე თუ გვიან მომწიფება დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ თვისებებზე, ჰავაზე და ცხოვრების გარემოებებზე. ცხელ ქვეყნებში ქალი 9—10 წლისა შედის ასაკში

და იქ ადვილათ შეხვდებით ამ ხნის დედას, რომელსაც ხელში უჭირავს თავის პირმშო, მარა 25—30 წლისანი, ისინი უკვე მოხუცებულებაში გადადიან*). ზომიერ ჰავიან ქვეყნებში მხოლოდ 14—16 წლის ქალი უკვე მოწიფული ქალია; მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში უფრო გვიან აღწევს მოწიფულობას. ქალაქსა თუ სოფელში ცხოვრებასაც აქვს გავლენა ქალის ადრე თუ გვიან მოწიფულობაზე. ჯანმრთელ, აგებულებით ძლიერ მშრომელ სოფლის ქალს უფრო გვიან უჩნდება რიგი, ვიდრე ქალაქის სისხლ-ნაკლულ განაზებულ, ნერვებ-აშლილ, ჰაეროვან არსებას. სოფელში სქესობრივი მომწიფება ნორმალურია, ქალაქში კი ეს გამონაკლისს შეადგენს. ჩვეულებრივ მას წინ უძღვის ათასგვარი ავათმყოფობანი, რომელნიც ხშირათ სასოწარკვეთილებაში აგდებს აქიმს. ამიტომ აქიმები ხშირათ იძულებული არიან ურჩიონ, რომ ერთათ-ერთი საშუალება მათი ავათმყოფობის მოსარჩენათ—გათხოვებაა. მაგრამ, როგორ გინდა განახორციელო ეს ზომა, როცა მრავლისაგან მრავალი დაბრკოლებანი ეღობებიან წინ ქორწინებას.

ყველა ეს ნათლათ გვიჩვენებს, თუ სად და რაშია საჭირო ცვლილების მოხდენა. ერთი მხრით, ძირიანათ უნდა შეიცვალოს ადამიანის გონებრივი და ფიზიკური აღზრდის სისტემა, მეორე მხრით—უნდა შევქმნათ სულ სხვაგვარი ცხოვრება და სხვაგვარი შრომის პირობები. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ **სრულიად სხვა სოციალურ პირობებში, ვინემ დღესაა.**

ადამიანი, როგორც სქესობრივი არსება ერთი მხრით და როგორც საზოგადოებრივი არსება მეორე მხრით, ღრმა წინააღმდეგობაში ვარდება თანამედროვე სოციალური პირობების გამო. ეს წინააღმდეგობა არც-ერთ ეპოქაში არ ყოფილა ისე თვალსაჩინო, როგორც დღესაა და ამან წარმოშვა მრავალგვარი ბოროტებანი და ავათმყოფობანი, რომელნიც უმთავრესათ დედრობით სქესს ატყდება თავზე. ჯერ ერთი, დედაკაცის ორგანიზმი უფრო მჭიდროთ დაკავშირებულია მის სქესობრივ დანიშნულებასთან, ვიდრე მამაკაცის და მისი გავლე-

*) მეჩნიკოვი. Studien etc. გვ. 118—119.

ნის ქვეშ იმყოფება,—მაგალ. ყოველ-თვიური მენსტრუაციები; შემდეგ, ქალს უფრო მეტი დაბრკოლებანი ეღობება წინ მისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ასეთი წინააღმდეგობა ბუნებრივ მოთხოვნილებასა და საზოგადოებრივ დაბრკოლებათა შორის, აიძულებს მას მიმართოს მის დასაკმაყოფილებლათ არა-ბუნებრივობას, საიდუმლო ბიწიერებას და ექსცესებს, რომელნიც საშინლათ ასნეულებენ ყველა არა საკმაოთ მაგარ ორგანიზმს.

მოთხოვნილების არა-ბუნებრივ დაკმაყოფილებაზე ხშირათ ყოვლად უსირცხვილოთ აცხადებენ. ცოტათ თუ ბევრათ დაფარული სახით აცხადებენ ცნობილ ფაბრიკატებს ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთაც ოჯახში კითხულობენ. ეს რეკლამები უფრო საზოგადოების შეძლებულ ნაწილისათვის არის დანიშნული, რადგან მათი ფასები ისე დიდია, რომ საშუალო და დაბალ წრეებს მათი შეძენის ღონე არ შესწევთ. განცხადებებთან ერთათ აწვდიან საზოგადოებას ამა თუ იმ სქესისათვის დანიშნულ პორნოგრაფიულ სურათებს (განსაკუთრებით მთელ ფოტოგრაფიულ სერიებს), ასეთივე შინაარსის პოეტურ ნაწარმოებებს, რომელთა სათაურებიც კი ვნებათა-ღელვას იწვევენ მკითხველებში და პოლიციისა და სასამართლოსაგან დევნილი არიან. მარა პოლიციას და სასამართლოს სხვა უფრო დიდი მტერი ეგულებათ სოციალ-დემოკრატიის სახით, რომელიც თურმე არღვევს „კულტურას, ქორწინებას და ოჯახს“ და ამიტომ მას უფრო მეტი ყურადღების ღირსათ სთვლიან და ამ საქონლით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველათ საკმაო დრო აღარ ურჩებათ. თანამედროვე მწერლობის ნაწილიც ამავე მიზანს ემსახურება. ამიტომ საკვირველია, რომ ხელოვნურათ გამოწვეული სქესობრივი ექსცესები ჯერ კიდევ საერთო, სოციალურ სნეულებათ არ გადაქცეულან.

შეძლებულ კლასის დედაკაცთა უქმი, მაძღარი ცხოვრება, ხელოვნური საშუალებებით ნერვების გაღიზიანება, ცნობილი ხელოვნებით თავის დაკმაყოფილება, რასაც დიდი მზრუნველობით ავითარებენ თვით ქალები, რომელნიც გრძნობიერე-

ბის გიპერტროფიით და ძლიერი ვნებათა-ღელვით არიან დასნეულებული,—ყველა ეს სქესობრივ მოთხოვნილებას აძლიერებს და ათასგვარ ექსცესებს ბადებს.

ღარიბთა შორის შრომის ზოგიერთი დარგი, განსაკუთრებით თუ დამჯდარი მუშაობაა საჭირო, ხელს უწყობს სისხლის მოგროვებას სქესობრივ ორგანოებში და იწვევს სქესობრივ აღტყინებას. ამ მხრით ერთ უსაშინელეს შრომათ ჩაითვლება ძლიერ გავრცელებული მუშაობა საკერავ „მაშინებზე". ყოველ-დღიურათ 10—12 საათის მუშაობა ასეთ მაშინებზე რამდენიმე წლის განმავლობაში—ყოველ ორგანიზმს დაასნეულებს. წრეს-გადასულ სქესობრივ ლტოლვილებას იწვევს აგრეთვე მაღალ ტემპერატურიან სახელოსნოებში შრომა, მაგალ. შაქრისა და სათეთრებელ ქარხნებში, აგრეთვე ღამით მუშაობა გაზით განათებულ ქარხნებში, რომელნიც საესე არიან ხალხით, მეტადრე თუ ქალი და კაცი ერთათ მუშაობს.

ყველა ეს მოვლენები ერთხელ კიდევ ნათლათ გვიჩვენებენ, თუ რამდენათ უაზრო, შეუსაბამო და დაავადებულია თანამედროვე ცხოვრების პირობები. და ეს ბოროტება, რომელსაც ასე ღრმათ აქვს ფესვები გადგმული თანამედროვე სოციალურ წყობილებაში, არ მოისპობა არც მორალური ქადაგებით და არც იმ „უებარი" საშუალებებით, რომელნიც ყოველთვის მზათა აქვთ სოციალურ და რელიგიოზურ მკითხავებს. პირველათ ყოვლისა, თვით ბოროტების ფესვს უნდა გაეცალოს მჭრელი წალდი. საქმე იმაშია, რომ უნდა შეექმნათ სოციალური პირობები ადამიანის ბუნების შესაფერი აღზრდით, საღი ცხოვრებით, შრომით და ყველასათვის შესაძლებელი გავხადოთ თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

მამაკაცისათვის არ არსებობს მთელი რიგი დაბრკოლებები, რომელნიც წინ ეღობებიან დედაკაცს. თავის გაბატონებული მდგომარეობის მეოხებით, მამაკაცი, რამდენათაც სოციალური დაბრკოლებანი არ უშლიან ხელს, უფრო თავისუფალია საყვარელ არსების არჩევაში, ვინემ დედაკაცი. ქორწინება, რომელსაც საქველმოქმედო თავშესაფარის ხასიათი

აქვს მიღებული, ქალთა რიცხვის სიჭარბე მამაკაცების რიცხვზე, ჩვეულება,—ყველა ეს ხელს უშლის დედაკაცს თავის ნება გამოიჩინოს და აიძულებს ელოდოს, სანამ მამაკაცი არ დაუწყებს მას ძებნას. ჩვეულებრივ ის მზათაა ყოველგვარ საშუალებას ჩაეჭიდოს ქმრის საშოვნელათ, რომელიც დაიხსნის მას საზოგადოების ათვალისწუნებისაგან, რაიცა გაუთხოვრათ დაბერებულ ქალების ხვედრს შეადგენს. ხშირათ იგი მედიდურათ და ზიზღით უყურებს თავის გაუთხოვარ ამხანაგებს, რომელთაც ადამიანურ ღირსების შესანარჩუნებლათ არჩიეს მარტოთ-მარტო იარონ ეკალ-ნარით მოფენილ ცხოვრების გზაზე და არ მიყიდონ თავი პირველათ შეხვედრილ მამაკაცს, რაც ნამდვილი პროსტიტუცია იქნებოდა ქორწინების ქერქში გახვეული.

მეორე მხრით, მამაკაცი, რომელსაც სურს თავისი სიყვარულის მოთხოვნილება ქორწინებით დაიკმაყოფილოს, უმეტესათ განსაზღვრული საზოგადოებრივი ჩარჩოებით არის შეზღუდული. ის მოვალეა დაეკითხოს თავის თავს: შესძლებს თუ არა ასაზრდოოს ცოლი და მომავალი შვილები ისე, რომ მათ საშინელი გაჭირვება არ დაატყდეს თავზე? რამდენათ უფრო იდეალურია მისი შეხედულება ქორწინებაზე, რამდენათ უფრო სერიოზულათ მოწადინებულია სიყვარულით შეირთოს ცოლი, იმდენათ უფრო გულდასმით უნდა მისცეს მან თავისთავს ზემოხსენებული კითხვები. თანამედროვე ქონებრივ ურთიერთობაში ამ კითხვების დადებითი გადაჭრა შეუძლებელია და ამიტომ ბევრი არჩევს უცოლშვილოთ დარჩენას. ზოგიერთები კი, რომელნიც ნაკლებ სინდისიერები არიან, სხვა შეხედულებას ადგანან. ათასობით მამაკაცნი ძლიერ გვიან აღწევენ ისეთ დამოუკიდებელ მდგომარეობას, როგორიც შეეფერება მათ მოთხოვნილებებს, მაგრამ რომ „მათი მდგომარეობის შესაფერათ“ მოახერხონ ცოლის შენახვა, ამისათვის საჭიროა ცოლს დიდი მზითევი მოყვეს. რასაკვირველია, მრავალ ახალგაზრდას გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს ეგრეთ წოდებულ „მდგომარეობის შესაფერ ცხოვრებაზე“; მარა ისინი მომზადებულნი

უნდა იყვენ, რომ ცოლები, ცუდი აღზრდისა და ცრუ სოციალური ჩვეულების წყალობით, ბევრ იმგვარ მოთხოვნილებებს წარუდგენენ, რომელთა დაკმაყოფილება მათ არ შეეძლებათ. ისინი იშვიათათ ხვდებიან კეთილ და მცირე მოთხოვნილების მქონე ქალებს, რადგან ეს უკანასკნელნი სრულიად არ დაიარებიან იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივ ეს უკანასკნელნი ეძებენ საცოლოებს. ხოლო, რომელნიც დადიან, ისინი უმეტეს ნაწილათ ცდილობენ უფრო თავის გარეგნობით იმოქმედონ მამაკაცზე და თავის პირად თვისებებსა და მატერიალურ მდგომარეობას უკულმა აჩვენებენ, რომ ამით საქმრო ჩაიგდონ ხელში. და რაც უფრო ხანში შედის გასათხოვარი ქალი და უჩქარის თავის გასაღებას, მით უფრო მეტ ზომებს და საშუალებებს იღებს საქმროს მოსახიბლავათ. როცა ასეთი ქალი გააბამს ვისმე მახეში და მისთხოვდება, ის, როგორც მიჩვეული მორთვა-მოკაზმვას, ხელ-გაშლილ ცხოვრებას, ათასგვარ სიამოვნებას და სხვას, ვერც ქმრის ხელში დასთმობს ამისთანებს. აქ იხსნება უფსკრული მამაკაცისათვის და ამიტომ მრავალნი ამჯობინებენ—გვერდი აუარონ ამ უფსკრულის ნაპირზე ამოსულ ყვავილს, ვიდრე მის მოწყვეტას თავი გადაყოლონ უძირო უფსკრულში. ისინი მარტოთ-მარტო მიდიან თავისი გზით და პირადი თავისუფლების შეუზღუდველათ ეძლევიან გართობასა და სიამოვნებას. მოტყუება და შეცთომაში შეყვანა ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრებაში ხშირი მოვლენაა და საკვირველი არ არის, რომ ამას თხოვა-გათხოვების საქმეშიაც მიმართავენ ხოლმე და, თუ გასჭრა, ორივე მხრისათვის საშინელ უბედურებას დაატრიალებს.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უზრუნველ-ყოფილნი და განათლებულნი, საშუალოთ უფრო ხანშესულობაში ქორწინდებიან, ვინემ ახალგაზრდობაში. კოპენგაგენში, მაგალ. 1878 წლიდან 1882 წლამდე საშუალო რიცხვით, საქორწინო წლოვანება უდრის თავისუფალ პროფესიის პირებსა, მექარხნეებსა, მსხვილ ვაჭრებსა და ბანკირებში—32,2 წელს, ხელოსნებსა და წვრილ ვაჭრებში—31,2, სავაჭროების მოსამსახურეთა და შუა-

მავლებში—29,7, შინ-მოსამსახურეებსა და ლაქიებში—28, ფაბრიკის მუშებსა, მეზღვაურებსა და შავ-მუშებში—27,5. პრუსიაში 1881—1886 წლ. საქორწინო წლოვანება უდრიდა მამაკაცებისთვის სამთო წარმოებაში—27,6 წ., ფაბრიკის მუშებში—27,7, ლითონის მუშებში—28, ქვაზე მომუშავეებში —28,2, საამშენებლო წარმოებაში—28,6 ხის მომუშავეებში —28,7, მანქანურ წარმოებაში—29,0, განათლებულთა შორის—29, სოფლის მეურნეობაში—29,6, აღებ-მიცემობაში—30,0, ვაჭრობაში—30,9, ეკლესიის მოსამსახურეებში—31,8.

კ. ანზელის სიტყვით, განათლებულნი და უზრუნველყოფილნი ინგლისში 1840—1871 წლებში ორთა-შუა რიცხვით, 29—30 წლისანი ირთავდენ ცოლს და თხოვდებოდენ, მარა მას შემდეგ ამ ხნოვანებამ უფრო აიწია. სხვა-და-სხვა წოდებათა ქორწინება 1880—1885 წლ., როგორც მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს, ორთა-შუა რიცხვით ასეთ ასაკში ხდებოდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთა-მადნეულ. მუშები | ირთავენ | ცოლს | —23,56 წ. |
| სართავ-საქ. მრეწ. მუშ. | „ | „ | —23,88 „ |
| მეჩექმეები და თერძები | „ | „ | —24,42 „ |
| ხელოსნები — | „ | „ | —24,85 „ |
| დღიური მუშები — | „ | „ | —25,06 „ |
| ნოქრები — | „ | „ | —25,75 „ |
| წვრილი ვაჭრები— | „ | „ | —26,17 „ |
| მოიჯარ. და მათი შვილ. | „ | „ | —28,73 „ |
| განათ. და რენტიორები | „ | „ | —30,72 „ |

ეს ციფრები ნათლათ ახასიათებენ, თუ რამდენათაა ქორწინება დამოკიდებული სოციალურ მდგომარეობისაგან. ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში, მე-19 საუკუნის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, დაქორწინების საშუალო წლოვანებამ რამდენიმეთ აიწია და ეს გარემოება ქალაქებში მრეწველობის განვითარებას უნდა მიეწეროს. ავსტრიასა, გერმანიასა და შვეიცარიაში, მაგალ. ადრე დაქორწინებულთა რიცხვის

ზრდა მუშათა კლასის ზრდასთანაა დაკავშირებული. ძველ სამრეწველო ქვეყნებში კი ამ წლოვანებამ რამდენიმეთ აიწია. გამონაკლს შეადგენს რუსეთი, სადაც ქორწინებათა წლოვანების აწევა სათემო მიწათ-მფლობელობის დარღვევის შედეგია.

ამასთანავე, თანდათან იზრდება იმ კაცთა რიცხვი, რომელნიც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო სავსებით ხელს იღებენ ქორწინებაზე. უმეტესათ სწორეთ მაღალ წოდების მამაკაცები გაურბიან ცოლის შერთვას; ერთი იმიტომ, რომ ძლიერ დიდ მოთხოვნილებებს აყენებენ და მეორე—ქორწინების გარეშეც არ აკლიათ გართობა და სიამოვნება. მეორე მხრით, ქალებისთვის ყველაზე უფრო არა სასურველი პირობები იქაა, სადაც მრავალი „პენსიაში“ გამოსული მოხელეები ცხოვრობენ თავის ოჯახობით და ახალგაზრდათა რიცხვი კი მცირეა. ასეთ ადგილებში 20—30%-მდე ადის იმ ქალთა რიცხვი, რომელთა გათხოვების იმედი დაკარგულია. საქმროთა სიმცირეს განსაკუთრებით იმ წრის ქალები გრძნობენ, რომელთაც მათი სოციალური მდგომარეობის გამო დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ და მათ კი მდიდარი მზითევი არ მოეპოვებათ. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ მრავალ-რიცხოვან ოჯახების გასათხოვარ ქალებზე, რომელნიც (ოჯახი) მხოლოდ ჯამაგირზე არიან დამოკიდებული; თავის სოციალური მდგომარეობის გამო ისინი ყველგან მიღებული არიან, მარა ნივთიერი საშუალება კი არ მოეპოვებათ. ამ წრის დედაკაცის ცხოვრება—ყველაზე მწარე და მოშხამულია. ამ წრიდან უჩნდებათ საეკვო ღირსების მეტოქეები მშრომელ ქალებს: მქარგავებს, საცვლების მკერავთ, ხელოვნური ყვავილების დამმზადებელთ, ერთი სიტყვით, შრომის ყველა იმ დარგში მომუშავეთ, სადაც მწარმოებლისთვის უფრო სასარგებლოა საქონელი მუშას სახლში მისცეს დასამზადებლათ. ასეთი ქალები სულ მცირე ხელფასში მუშაობენ, რადგან უმეტეს შემთხვევაში, აქედან აღებული ფული მხოლოდ მორთულობისა და ფუფუნების საგნებისათვის უნდათ. და მწარმოებელი ხშირათ სარგებლობს მათი შრომით, რომ ხელფასი შეუმციროს ღარიბ მუშა ქალებს, უკანასკნელი სის-

ხლის წვეთი გამოსწოვოს მათ და ეს უკანასკნელნიც იძულებული არიან მთელი თავის ძალ-ღონე მიაწყვიტონ ამ მომქანცველ შრომას. ამგვარათვე მრავალი მოხელეების ცოლები, რომელთაც ქმრების მცირე ჯამაგირის გამო არ შეუძლიათ თავის წოდების შესაფერათ მოაწყონ ცხოვრება, თავიანთ თავისუფალ დროს ამ უმზგავსო კონკურენციას ანდომებენ, რაც ძლიერ **მძიმე უღლათ აწვება პროლეტარ ქალთა ფართე წრეებს.**

ბურჟუაზიულ ქალთა საზოგადოების მოქმედება, რომელიც ქალთა შრომის თავისუფლებასა და მათი უმაღლეს სპეციალობაზე დაშვებისაკენ არის მიმართული, გამოწვეულია იმით, რომ მაღალ წრეთა ქალებს ამით სურთ შესაფერი მდგომარეობა შექმნან თავისთვის ცხოვრებაში; და რომ უფრო ადვილათ მიაღწიონ მიზანს, მათ დიდებულების, უდიდებულესობის და უმაღლესობის ცოლთა პროტექტორატის (მფარველობის) ქვეშ აყენებენ თავიანთ საზოგადოებას. ბურჟუაზიული ქალები ამ შემთხვევაში მხოლოდ ბაძვენ ბურჟუა მამაკაცებს, რომელთაც არა ნაკლებ უყვართ ამგვარი პროტექტორატი და ხშირათ აღფრთოვანებაში მოდიან ისეთ მისწრაფებებით, რომელთაგან **მხოლოდ წვრილმანებში ელიან გამარჯვებას.** ამით ისინი სიზიფის შრომას ეწევიან და თავის თავსა და სხვებსაც ატყუებენ, როცა ძირითად ცვლილებების საჭიროებას უარყოფენ. ამათი მხრით ეჭვის შეტანაც კი შეუძლებელია თანამედროვე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილების საფუძველთა გონივრებაში. თავის მისწრაფებათა კონსერვატიული ბუნების წყალობით, ასეთი საზოგადოებები დაზღვეულია ეგრეთ წოდებულ დამრღვევ ტენდენციებისაგან. როდესაც ბერლინში ქალთა კონგრესზე (1894 წლის გაზაფხულზე) უმცირესობამ ის შეხედულება გამოსთქვა, რომ ბურჟუაზიული ქალები ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდენ პროლეტარ ქალებთან, ე. ი. სოციალ-დემოკრატებთან ერთათო, უმრავლესობის აღშფოთებას საზღვარი არ ქონდა. მარა სულ თმებით რომ ქაჩონ, მაინც ვერ ამოათრევენ ბურჟუაზიული ქა-

ლები ერთმანეთს იმ ჭაობიდან, რომელშიაც ჩაფლული არიან. რამდენათ დიდია იმ ქალთა რიცხვი, რომელნიც ზემო-აღნიშნულ მიზეზთა გამო იძულებული არიან უარი სთქვან გათხოვებაზე—**ამის დანამდვილებით აღნუსხვა შეუძლებელია.**

ზედმეტ ქალთა რიცხვი გერმანიაში თანასწორი არ არის სხვა-და-სხვა მხარეში, ოლქში და ხნოვანებაში. 1900 წლის აღწერილობით, მაგალ. ათას სულ მამრობითი სქესზე ამა თუ იმ ხნოვანებაში დედრობითი სქესი მოდიოდა:

| ქვეყნები. | 15 წ-მდე. | 15—40 წ. | 40—60 წ. | 60 წ. ზევ. |
|---|---|---|---|---|
| ბერლინში . . . . . | 1012 | 1044 | 1191 | 1659 |
| საქსონიის საკრ. . . . | 1015 | 1030 | 1017 | 1360 |
| ბავარიის „ რეინ. მარჯ. | 1015 | 1024 | 1087 | 1163 |
| „ „ „ მარც. | 986 | 997 | 1070 | 1157 |
| ვიურტემბერგში . . . . | 1015 | 1041 | 1134 | 1179 |
| ბადენში . . . . . | 1000 | 974 | 1079 | 1173 |
| ჰამბურგში . . . . | 999 | 1031 | 1038 | 1454 |
| ბრანდენბურგში . . . . | 993 | 1015 | 1089 | 1276 |
| პომერანიაში . . . . . | 989 | 1035 | 1199 | 1214 |
| რეინის პროვინციაში . . | 991 | 954 | 1009 | 1120 |
| მთელ გერმანიის იმპერ. . | 995 | 1008 | 1087 | 1218*) |

ასე რომ, გასათხოვარ ასაკში 15—40 წლამდე გერმანიაში ყოველ 1000 მამაკაცზე 8 ქალი ზედმეტია და რადგან ხსენებულ ხნოვანებაში 11,100,673 მამამაკაცი ითვლება და 11,187,779 დედაკაცი, მივიღებთ, რომ ქალების რიცხვი აღე-

*) Statistik des Deutschen Reichs Neue Folge. Band 68, S. 40.

მატება მამაკაცებისას 87,106-ით. ადვილი გასაგებია, რომ ამ 11,187,779 ქალიდან, რომელნიც 1900 წელს ისეთ ასაკში იყვენ (18—45), როცა დედობის გაწევა შეეძლოთ 6,432,772 (ე. ი. 57,71%) იყო ქმრიანი, 283,626 (2,54%) ქვრივი, 31,176 (ე. ი. 0,28%) განქორწინებული, ხოლო 4,399,286 (39,47%) გაუთხოვარი.

სხვა ქვეყნებში ამავე ხნოვანების სქესთა დამოკიდებულება ასეთია:

| ქვეყნები. | 1000 მამაკაცზე ირიცხებოდა დედაკ. | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | წლები. | 15 წ-მდე. | 15—40 წ. | 40—60 წ. | 60 წ. ზევ. |
| გერმანია . . . . | 1900 | 995 | 1008 | 1087 | 1258 |
| ავსტრია . . . . | 1890 | 1005 | 1046 | 1079 | 1130 |
| უნგრეთი . . . . | 1900 | 998 | 1029 | 982 | 1033 |
| სერბია . . . . | 1896 | 969 | 952 | 925 | 804 |
| იტალია . . . . | 1881 | 963 | 1021 | 1005 | 908 |
| შვეიცარია . . . | 1888 | 999 | 1059 | 1103 | 1148 |
| საფრანგეთი . . . | 1896 | 998 | 1012 | 1029 | 1108 |
| ლიუქსენბურგი . . | 1900 | 992 | 883 | 988 | 1063 |
| ბელგია . . . . | 1890 | 992 | 984 | 1018 | 1117 |
| ნიდერლანდია . . | 1899 | 986 | 1031 | 1031 | 1145 |
| დანია . . . . . | 1890 | 978 | 1080 | 1073 | 1179 |
| შვეცია . . . . | 1899 | 971 | 1016 | 1146 | 1252 |
| ინგლისი და უელსი. | 1891 | 1006 | 1075 | 1096 | 1227 |
| შოტლანდია . . . | 1891 | 973 | 1073 | 1165 | 1389 |
| ირლანდია . . . | 1901 | 968 | 1037 | 1103 | 1032 |
| ამერიკის შერ. შტ. | 1900 | 979 | 969 | 889 | 987 |
| ეგვიპტე . . . . | 1897 | 943 | 996 | 943 | 1015 |
| იაპონია . . . . | 1891 | 978 | 962 | 951 | 1146 |
| „ახალი მიწა“ (H. 3.). | 1891 | 978 | 827 | 679 | 665 |
| კვენსლენდი . . . | 1891 | 676 | 698 | 559 | 611 |
| ტასმანია . . . . | 1891 | 277 | 877 | 898 | 632 |
| ახალი ზელანდია. . | 1891 | 979 | 927 | 661 | 654 |
| „დობრ. ნად.“ კონც. | 1891 | 989 | 1008 | 939 | 1019 |

როგორც ხედავთ, თითქმის ყველა ქვეყნებში, სადაც ერთნაირი ანუ მზგავსი ეკონომიური სტრუქტურაა (შენობა, აგებულება), ერთნაირი დამოკიდებულება არსებობს მამრობით და დედრობით სქესთა განაწილების მხრივ სხვა-და-სხვა ასაკებში. ასე რომ, ხსენებულ მიზეზთა წყალობით ქალთა უმრავლესობამ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოდევნოს თავიდან გათხოვების აზრი. ინგლისში, მაგალითათ 1000 ქალში, რომელნიც 15 წელს გადაცილებული არიან, 1901 წელს გათხოვილი იყო—496,4 ქ., შოტლანდიაში—442,8, ირლანდიაში —370,9, შვეციაში—468,2, ნორვეგიაში—469,9.

რას იტყვიან ამაზე ის ვაუბატონები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქალთა მისწრაფებას დამოუკიდებლობისა და უფლებით გათანასწორებისადმი და სამაგიეროთ ოჯახსა და ქორწინებაზე უთითებენ მათ? თუ დღეს მრავალი ქალი რჩება გაუთხოვარი, ეს ხომ მათი ბოროტი ნებით არ არის გამოწვეული?

მერე როგორია ამ სოციალური წყობილების უბედურ მსხვერპლთა ბედი? შელახული, უარყოფილი ბუნება შურს იძიებს და თავისებურ დაღს ასვამს მათ გარეგნობასა და ხასიათს; ამ მხრივ ეგრეთ წოდებული „გაუთხოვრათ დაბერებულნი“ ისე, როგორც მოხუცი ასკეტები, ყველა ქვეყნებში და ჰავაში განირჩევიან სხვებისაგან და ასე ცოცხალი მოწამე არიან იმის, რომ ბუნებრივ მოთხოვნილებათა ჩახშობას დიდი ვნება მოაქვს ადამიანის ბუნებისთვის. აქედან გამომდინარეობს ეგრეთ წოდებული ნიმფომანია და სხვა-და-სხვაგვარი ისტერია. ისტერიას იწვევს ქორწინებაში დაუკმაყოფილებლობაც, რომელიც უშვილობის ერთი მიზეზთაგანია.

ასეთია საერთოთ თანამედროვე ქორწინება და მისი გავლენა. დასკვნა: თანამედროვე ქორწინება **სოციალურ პირობებთან მჭიდროთ შეკავშირებული დაწესებულებაა, მასთან ერთათ ვითარდება და მასთანვე ეცემა. ამგვარი ქორწინება ირღვევა და ისპობა სწორეთ ისე, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოება.**

მაშ ასე, რა დასკვნას დავადექით ბურჟუაზიული ქორწინების შესახებ?

1) დაბადებათა რიცხვი შედარებით კლებულობს, თუმცა მცხოვრებთა რიცხვი საერთოთ მატულობს, რაც მოასწავებს ოჯახის მდგომარეობის დაქვეითებას.

2) განქორწინების მოთხოვნა შედარებით უფრო მეტათ იზრდება, ვინემ მცხოვრებთა რიცხვი. უმეტეს შემთხვევაში განქორწინებას ქალები მოითხოვენ, თუმცა ეკონომიურათ და საზოგადოებრივათ ისინი უფრო მეტ გაჭირვებაში ვარდებიან გათიშვისაგან. ყველა ამიდან სჩანს, რომ გათიშვის გამომწვევი ფაქტორები (სამოქმედო ძალა) მრავლდება და ამნაირათ, თანამედროვე ქორწინება ირღვევა და ისპობა.

3) ქორწინებათა რიცხვი **შედარებით** კლებულობს, თუმცა ამავე დროს მცხოვრებთა რიცხვი მატულობს. ეს იმას ამტკიცებს, რომ ქორწინება ბევრის თვალში სრულიად არ შეესაბამება მის სოციალურ და მორალურ დანიშნულებას და ამიტომ იგი გამოუსადეგრათ, ზედმეტათ და ხშირათ საშიშოთაც ითვლება.

4) თითქმის არც ერთ კულტურულ ქვეყანაში, ერთი სქესის რიცხვი არ უდრის მეორე სქესისას და ეს შეუსაბამობა ყოველთვის ქალებისთვის არის საზიანო. ეს შედეგია არა დაბადების, რადგან შედარებით მამრობითი სქესის ბავშვი მეტი იბადება, ვინემ დედრობითის, არამედ უკულმართი **სოციალური** და პოლიტიკური მიზეზების, რომელთაც ღრმათ აქვთ ფესვები გადგმული სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ პირობებში.

**რადგან ყველა ამ არა ნორმალურ პირობებს, რომელნიც უმთავრესათ საზარალოა დედრობითი სქესისათვის, ბურჟუაზიული საზოგადოების არსებაში აქვთ ფესვი გადგმული და თანდათან ძლიერდებიან, ცხადია, ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ ძალუძს ამ ბოროტების მოსპობა და დედაკაცის განთავისუფლება; ამისათვის სულ სხვა, ახალი საზოგადოებრივი წყობილებაა საჭირო.**

# თავი XII.

## პროსტიტუცია, როგორც აუცილებელი სოციალური დაწესებულება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

### 1. პროსტიტუცია და საზოგადოება.

ქორწინება წარმოადგენს ერთ მხარეს ბურჟუაზიული საზოგადოების სქესობრივ ურთიერთობისას, პროსტიტუცია—მეორეს. ქორწინება—ზედაპირს წარმოადგენს, პროსტიტუცია—ქვედას. როცა მამაკაცი კმაყოფილებას ვერ პოულობს ქორწინებაში, ის ეძებს მას პროსტიტუციაში. ან; როცა მამაკაცი რაიმე მიზეზის გამო უარყოფს ქორწინებას, მაშინაც ის ჩვეულებრივ პროსტიტუციაში ეძებს დაკმაყოფილებას; თავისი ნებით, თუ იძულებით ქორწინების გარეშე მყოფი მამაკაცი ისე, როგორც ცოლიანი, რომელმაც ვერ მოიპოვა ცოლის შერთვით ის, რასაც მოელოდა, უფრო ადვილათ იკმაყოფილებს თავის სქესობრივ მოთხოვნილებას, ვინემ დედაკაცი.

მამაკაცი ყოველთვის უყურებდა პროსტიტუციას, როგორც თავის პრივილეგიას, რომელიც მას „უფლებით აქვს მინიჭებული". ამიტომ ისინი სასტიკათ ადევნებენ თვალყურს დედაკაცს და საშინლათ გაიცხავენ, თუ ვინმე არა პროსტიტუტკა ჩავარდა „შეცდომაში". მარა, რომ ქალებსაც ისეთივე მოთხოვნილებები აქვთ, როგორიც მამაკაცებს და რომ ეს მოთხოვნილებები განსაზღვრულ ასაკში განსაკუთრებული სიძლიერით იჩენენ თავს, ამაზე ფიქრით მაინცა-და-მაინც თავს არ იწუხებენ. მამაკაცი, სარგებლობს-რა თავის გაბატონებული მდგომარეობით, იძულებულს ხდის დედაკაცს ადრევე ჩაკლას, ჩაახშოს თავის ბუნების უძლიერესი მოთხოვნილებები. თვით მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ქორწინება დამოკიდებულია მის უბიწოებაზე. მამაკაცისგან დედაკაცის დამონება არაფერში ისე მკაფიოთ და აღმაშფოთებლათ არაა გამოხატუ-

ლი, როგორც იმაში, რომ ერთ და იმავე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას კაცისაგან და ქალისაგან სულ სხვა-და-სხვა თვალით უყურებენ.

თვით ფიზიკური პირობები განსაკუთრებით ხელს უწყობენ მამაკაცს. სქესობრივი შეერთების მთელი შედეგი ბუნებამ ერთიანათ დედაკაცს დააკისრა; მამაკაცი აქ მხოლოდ სიამოვნებას იღებს, არც საზრუნავი აქვს რამე და არც პასუხ-საგები. მამაკაცის ეს პრივილეგიური მდგომარეობა ხელს უწყობს იმ თავ-აშვებულობას სქესობრივ დამოკიდებულებაში, რომელიც დამახასიათებელია მამაკაცთა უმეტესობის. და რადგან მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ სქესობრივ მოთხოვნილების კანონიერ თუ ნორმალურ დაკმაყოფილებას, ამიტომ იგი ველურ ფორმას იღებს.

**მაშასადამე, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პროსტიტუცია ერთ უსაჭიროეს სოციალურ დაწესებულებას წარმოადგენს—ისე, როგორც პოლიცია, მუდმივი ჯარი, ეკლესია, წარმოება და სხვა.**

აქ არავითარი გადამეტება არ არის და ამიტომ ამის დამტკიცება სულ ადვილია.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ უყურებდენ ძველ დროში პროსტიტუციას; ვიცით, რომ მაშინ საჭიროთ სთვლიდენ მას და მოაწყვეს კიდეც მისი ორგანიზაცია სახელმწიფო ხარჯზე, მაგალ. რომსა და საბერძნეთში. როგორი შეხედულება მეფობდა ამის შესახებ ქრისტიანულ საშუალო საუკუნოებში, ჩვენ უკვე განვიხილეთ. თვით წმ. ავგუსტინმაც კი, რომელიც მოციქულ პავლეს შემდეგ, ქრისტიანობის ერთ უძლიერეს დედაბოძათ ითვლება და გულმხურვალე მქადაგებელი იყო ასკეტიზმის, ვერ შეიმაგრა თავი და აღიარა: „მეძავი ქალები რომ მოვსპოთ, ვნებათა-ღელვა მოსპობს ყველაფერს“. წმ. თომა აკვინელმა, რომელიც ახლაც უდიდეს ავტორიტეტათ ითვლება თეოლოგიაში, კიდევ უფრო მკაფიოთ გამოთქვა ეს აზრი: „როსკიპობას ქალაქებში ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც ჭუჭყის გასაშვებ მილებს სასახლეში. მოსპეთ ეს უკანასკნელი

და სასახლე ჭუჭყით აივსება, იქაურობას საზარელი სუნი აედინება". ასეთივე აზრი გამოსთქვა მილანის პროვინციალურმა საეკლესიო კრებამ 1665 წელს.

ახლა ვნახოთ, რას ამბობენ თანამედროვენი.

აქიმი ფ. ს. ხიუგელი თავის თხზულებაში—„ვენის მეძავ ქალთა ისტორია, სტატისტიკა და რეგლამენტაცია", შემდეგს ამბობს: „ცივილიზაციის პროგრესი თანდათან უფრო რბილ ფორმებს მისცემს პროსტიტუციას, მარა მხოლოდ **მეორეთ მოსვლასთან ერთათ** აღიგვება იგი დედამიწის პირიდან". გაბედული მტკიცებაა, მარა ვისაც საზოგადოება მხოლოდ ბურჟუაზიული სახით აქვს წარმოდგენილი, ვისაც არ სწამს, რომ საზოგადოება შეიცვლება და შექმნის საღსა და ბუნებრივ პირობებს, ის უნდა დაეთანხმოს აქიმ ხიუგელს.

ამავე აზრის არის ჰიგიენის გამოჩენილი მცოდნე მ. რუბნერი, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი და ჰიგიენის ინსტიტუტის გამგე: „როსკიპობა იყო დედამიწის ყველა მხარეებში და ყველა ერის დედაკაცებში; მისი მოსპობა შეუძლებელია, რადგან ის სქესობრივ ურთიერთობის შედეგია, ადამიანის ბუნებაზეა დამოკიდებული და რადგან ხშირათ დედაკაცს ის თანდაყოლილი აქვს ბუნებისაგან. როგორც რომელიმე ხალხში გამოერევა ხოლმე ჩვეულებრივ ადამიანების გარდა გენიოსიცა და სულელიც, ახოვანიცა და ჯუჯაც, აგრეთვე იბადებიან არა-ჩვეულებრივი პირებიც, რომლებიც საროსკიპო გზას უნდა დაადგენ" *). ერთხელაც არ მოუვათ თავში, რომ სხვაგვარ საზოგადოებრივ წყობილებას შეუძლია მოსპოს პროსტიტუციის მიზეზები, და არც უფიქრია ვისმეს ამ მიზეზების სერიოზულათ გამოკვლევა. მართალია, ზოგიერთმა ამ კითხვით დაინტერესებულმა მკვლევარებმა გუმანი მიიტანეს—ნამდვილათ მძიმე სოციალური პირობები უნდა იყოს უმთავრესი მიზეზი იმის, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი ქალები ყიდიან თავის სხეულსო, მარა არც ერთი არ მისულა იმ დასკვნამდე, რომ თუ ასეა, მაშასადამე, სხვაგვარი სოციალური პირობების

*) Max Rubner. Lehrbuch der Hygien. S. 654, 1907 წ.

შექმნაა საჭირო ამ ბოროტების მოსასპობათ. იმ მცირე ჯგუფს, რომელსაც ესმის, რომ პროსტიტუციის უმთავრესი მიზეზები ეკონომიურ ურთიერთობაშია დამარხული, ეკუთვნის ფ. ბადეც, რომელიც თავის თხზულებაში—„Uber Gelegenheitrmacherei und öffentliches Tanzvergnigen“ (ბერლინი 1898 წელი), შემდეგს ამბობს: „მიზეზები უსაზღვრო ზნეობრივი თავაშვებულობისა, რომელმაც წარმოშვა როსკიპობა, თანამედროვე **სოციალურ** პირობებშია ჩამოსახული... **სახელდობრ, საშუალო კლასების დანგრევაში და მათი ნივთიერი კეთილდღეობის გაქარწყლებაში, განსაკუთრებით ეს ითქმის ხელოსანთა წოდებაზე**, რომლის მხოლოდ ძლიერ მცირე ნაწილი-ღა მიაჩანჩალებს დამოუკიდებელი შრომით თავის სიცოცხლეს“. ბადე ასე აბოლავებს თავის მსჯელობას: „მატერიალური გაჭირვება, რომელმაც უკვე მოსპო ნაწილი საშუალო კლასების და დანარჩენსაც განადგურებას უქადის, ზნეობრივ გახრწნილებისაკენ მიაქანებს **ოჯახს და განსაკუთრებით დედრობით სქესს**“.

ბერლინის პოლიციის მიერ შედგენილ სტატისტიკიდან სჩანს, რომ 1871—72 წლებში 2224 სიაში შეტანილ მეძავ ქალთაგან:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1057 | =47,9% | ხელოსანთა წოდებას | ეკუთვნოდა |
| 467 | =22,0 „ | ქარხნის მუშას | „ |
| 305 | =14,4 „ | წვრილ მოხელეს | „ |
| 222 | =10,4 „ | ვაჭრებს — | „ |
| 87 | = 4,1 „ | სოფლის მეურნეთ | „ |
| 26 | = 1,2 „ | სამხედრო პირთ | „ |

102 მეძავი ქალის მამის ვინაობა გამოურკვეველი დარჩა.

ლეიპციგის პოლიციის აქიმი ი. კიუნი ამბობს თავის შრომაში—„XIX საუკუნის პროსტიტუცია სანიტარულ-პოლიციური თვალსაზრისით“: „პროსტიტუცია არა თუ მოსათმენია, იგი **საჭირო ბოროტებაა**, რადგან ის იფარავს დედაკაცს ღალატის ჩადენისაგან (რომლის უფლება მხოლოდ მამაკაცს

ეკუთვნის, ავტორი), სათნოებას (რასაკვირველია ქალისას, მამაკაცები მას არ საჭიროებენ, ავტ.) ცუდი განზრახვისაგან(sic) და ამით დაცემისაგანაც". მოყვანილი ადგილი მეტის-მეტათ ცხადათ ახასიათებს მამაკაცთა ვიწრო ეგოიზმს. კიუნის თვალსაზრისი—არის თვალსაზრისი პოლიციის აქიმის, რომლის მოვალეობაა პოლიციურ თვალყურის დევნებით დაიცვას მამაკაცები არა სასიამოვნო გადამდებ სენისაგან. ასეთივე აზრი გამოსთქვა მისმა მოადგილემ—მედიცინის დოქტორმა ეკშტეინმა, გერმანიის სახლის პატრონთა კავშირის მე-12-ე სიეზდზე 1890 წლის ზაფხულს ქ. მაგდებურგში. პატივცემულ სახლის პატრონებს სურდათ გაეგოთ, რა უყონ, როგორ მოექცენ მათ სახლებში მცხოვრებ მეძავ ქალებს, ანუ როგორ აიცდინონ თავიდან სასჯელი, როცა მათ სახლებში ასეთი ქალები ბინავდებიან. აქიმმა ეკშტეინმა ამის გამო ვრცელი დარიგება წაუკითხა მათ შესახებ იმისა, რომ პროსტიტუცია აუცილებელი ბოროტებაა, რომელიც ყველა ხალხში და ყოველ ეპოქაში არსებობდა. მეორე აქიმი ფოკი (იხ. „Deutsche Vierteljahrsstchrift für öffentliche Gesundheitspflege"-ში XX Band, I. Heft,—მოთავსებული წერილი, სათაურით: „პროსტიტუცია ეთიური და სანიტარული მხრით") აღიარებს, რომ პროსტიტუცია აუცილებელი შესწორებაა თანამედროვე ცივილიზაციის დაწესებულებების". მას აშინებს, რომ ხალხი მეტის-მეტათ გამრავლდება, თუ ყველა მოწიფულმა ცოლი შეირთო და ამიტომ ძლიერ საჭიროთ მიაჩნია, რომ მთავრობამ „მოაწესრიგოს" პროსტიტუცია. ის საფუძვლიანათ სთვლის, რომ მთავრობამ მოაწესრიგოს პროსტიტუცია, თვალყური ადევნოს მას და იზრუნოს, რომ მხოლოდ ისეთი მეძავი ქალები იყვენ ბაზარზე, რომელნიც ათაშანგით არ არიან შეპყრობილი. ის მოითხოვს, სასტიკი თვალყური ადევნონ „ყველა ქალებს, რომელთა გარყვნილებაც" დამტკიცებულია. მაშინაც კი, თუ ქალი არისტოკრატიულ კლასს ეკუთვნის? ეს ძველი სიმღერაა. აქიმი ფოკი იმასაც კი მოითხოვს, რომ განსაზღვრული გადასახადი დაედვას მეძავ ქალებს და **განსაკუთრებული ქუჩა**

**დაინიშნოს მათთვის**. მარტივათ რომ ვთქვათ, **ქრისტიანულ-მა სახელმწიფომ** შემოსავლის წყაროთ უნდა გადააქციოს პროსტიტუცია, მოაწესრიგოს და დაიცვას იგი მამაკაცთა საკეთილდღეოთ. Non olet! (არ ყარს), როგორც წარმოსთქვა ამგვარ შემთხვევაში მეფე ვესპასიანმა. თავისებურ თვალთახედვის წერტილზედა სდგას ვინმე აქიმი სევერუსი, რომელიც თავის წიგნაკში: „პროსტიტუცია და სახელმწიფო მართებლობა“ (დრეზდენი 1899 წ.) ამგვარათვე მოითხოვს პროსტიტუციის დაკანონებას. იგი მასში ძლიერ სასარგებლო დაწესებულებას ხედავს, იმიტომ რომ, ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც აუცილებლათ თან ახლავს ქორწინებას და უიმისოთ ქორწინების თავისუფლება შეზღუდული იქნებოდაო. ავტორის აზრით, პროსტიტუცია ერთგვარი კლაპანია ბურჟუაზიულ საზოგადოებისთვის და დიდი სარგებლობაც მოაქვს. ის ამბობს: „უმეტეს ნაწილათ გაჭირვება, რომლის არსებობა ჰქმნის აუტანელ სოციალურ პირობებს, იქიდან წარმოსდგება, რომ ქორწინება ხდება მოუფიქრებლათ და იმის გაუთვალისწინებლათ—მოეპოვებათ თუ არა საკმაო საშუალება არსებობისათვის. სახელმწიფოს ინტერესია, რომ ამგვარი ქორწინება არ ხდებოდეს, რადგან აქედან წარმომდგარი ბავშვები, რომელთა აღზრდა მშობლებს არ შეუძლიათ და რომელთაც, როგორც კანონიერ შვილებს, ბავშვთა თავშესაფარშიც არ მიიღებენ, **დიდ განსაცდელს უქადიან საზოგადოებას**“. პროსტიტუცია იცავს ბევრს ბუნებრივი კანონის ძალდატანებით დაქორწინებისაგან და ამით თავიდან გვაშორებს ისეთ ოჯახებს, რომელნიც გაამრავლებდენ **საზოგადოების მავნე ელემენტებს**, რადგან მათი შვილები სიღარიბის გამო აღზრდას მოკლებული არიან და უსიხარულო სიყმაწვილე კი, ბადებს მათ გულში **მტრულ განწყობილებას სახელმწიფოსადმი**“. მაშ ასე, მთავრობის მიერ მოწესრიგებულ პროსტიტუციაში იპოვეს ძლიერი საშუალება სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ! ყოველ შემთხვევაში ეს შეხედულება მოკლებული არაა ორგინალობას.

ამნაირათ, როგორც ვთქვით, პროსტიტუცია ერთ უსაჭიროეს სოციალურ დაწესებულებას წარმოადგენს ბურჟუაზიულ საზოგადოებისათვის, ისე, როგორც პოლიცია, მუდმივი ჯარი, ეკლესია, წარმოება და სხვა.

## 2. პროსტიტუცია და სახელმწიფო.

გერმანიაში პროსტიტუციას არა აქვს თვალყურის გდება და სახელმწიფო ორგანიზაცია, როგორც საფრანგეთში, იქ მის არსებობას მხოლოდ ითმენენ. ოფიციალური საროსკიპოები აკრძალულია კანონით და პროსტიტუციის მაჭანკლებს სასტიკი სასჯელი მოელით. მარა ეს მაინც არ უშლის ხელს გერმანიის ქალაქთა უმრავლესობას, როგორც მაგალ. კენიგსბერგს, შტეტინს, ლიუბეკს, ჰამბურგს, ალტონს, ბრემენს, კელნს რეინზე, სტრასბურგს, მაგდებურგს, ბრაუნშვეიგს, კარლსრუეს, შტუტგარტს, მიუნხენს და სხვებს,—იქონიონ, როგორც წინეთ საროსკიპოები, რასაც ადგილობრივი პოლიცია ითმენს. საქმის ასეთი მდგომარეობა ძნელი გასაგებია, მაგრამ რომ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ეს გერმანიის მმართველობასაც კარგათ მოეხსენება. გერმანიის სისხლის სამართალი სასჯელით ემუქრება იმას, ვინც მეძავ ქალს ბინას მისცემს. მეორე მხრით, პოლიცია იძულებულია „ითმინოს“ მეძავ ქალთა არსებობა, რომელთა რიცხვი ათი-ათასობით ითვლება, უნდა დაიცვას კიდეც ისინი თავის ხელობაში, თუ უკანასკნელნი პროსტიტუტკათა სიაში ჩაეწერენ, შემუშავებულ წესებს ემორჩილებიან, ე. ი. რეგულიარულათ აქიმს ასინჯვინებენ თავს. მარა, თუ სახელმწიფო ნებართვას აძლევს პროსტიტუტკებს და ამით ხელს უწყობს მათ ხელობას, არც ისეთი კანონი უნდა არსებობდეს, რომ სახლის პატრონებმა მათ ბინა არ მისცენ. თვით საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და წესრიგი მოითხოვს, რომ მათ ექნეთ სახლი, სადაც შეეძლებათ ცხოვრება და მოქმედება. საკვირველი წინააღმდეგობაა! ერთი მხრით, სახელმწიფო ოფიციალურათ აღიარებს პროსტიტუციის საჭი-

როებას, მეორე მხრით კი—სდევნის მეძავ ქალებს და მათ მა-ჭანკლებს. საქმის ასეთი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ თანა-მედროვე საზოგადოებისთვის პროსტიტუცია სფინქსის ამოცა-ნაა, რომლის ახსნა-განმარტებაც მას არ შეუძლია. გაბატო-ნებული სარწმუნოება და მორალი გმობენ პროსტიტუციას, კანონები სჯიან მის ხელის შემწყობთ, სახელმწიფო კი მაინც ითმენს და იცავს მას. სხვანაირათ რომ ვთქვათ, თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც თავი მოაქვს ზნეობით, სარწმუნო-ებით, ცივილიზაციით და კულტურით, იძულებულია მოთმი-ნებით უყურეს, თუ როგორ ღრღნის და წამლავს გარყვნი-ლების შხამი მათ სულსა და ხორცს. მარა ამგვარი მდგომა-რეობიდან კიდევ ერთი დასკვნაც გამოდის: **ქრისტიანული სა-ხელმწიფო ურიგდება იმ აზრს, რომ ქორწინება არ კმარა და რომ მამაკაცს უფლება აქვს მის გარეშე დაიკმაყოფი-ლოს თავის სქესობრივი მოთხოვნილებები.**

იგივე სახელმწიფო დედაკაცს მხოლოდ იმდენათ აქცევს ყურადღებას, რამდენათაც ის თანახმაა დააკმაყოფილოს მამა-კაცის უკანონო მოთხოვნილებანი, ე. ი. რამდენათაც ის პროს-ტიტუციის გზას ადგება. ამასთანავე თვალყურის გდება და კანტროლი მმართველობის მხრით ვრცელდება მხოლოდ სიაში ჩაწერილ მეძავ ქალებზე და არა იმ მამაკაცებზე, რომელნიც დადიან მათთან; თავისთავათ ცხადია, ეს ასე არ უნდა იყოს, თუ სააქიმო და პოლიციურ ზედამხედველობას მართლა რაიმე სარგებლობის მოტანა აქვს მიზნათ. ამას გარდა, სამართლია-ნობა მოითხოვს, რომ კანონს თანასწორათ ექვემდებარებოდეს ორივე სქესი.

მმართველობის მიერ მამაკაცის დაცვა დედაკაცისაგან, თავ-უკულმა აყენებს მათ ურთიერთობას. **გამოდის, თითქო მამაკაცი უფრო სუსტი სქესის წარმომადგენელი იყოს, ვინემ დედაკაცი, და ვითომ დედაკაცი აცდენდეს ამ სუსტ და საბრალო მამაკაცს.** მითს, სამოთხეში ევას მიერ ადამის შეცდენის შესახებ, დღესაც დიდი გავლენა აქვს ჩვენს აზროვ-ნებასა და კანონებზე და ქრისტიანებს ამით საბუთი ეძლევათ

იმეორონ: „დედაკაცი დიდი მაცდურია და ჭურჭელი ბოროტებისა“. უნდა რცხვენოდეს მაინც მამაკაცებს თავისი სამწუხარო და უღირსი როლის. მარა მათ მოსწონთ კიდეც ეს „სუსტის“ და „ცდუნებულის“ როლი, რადგან იციან, რამდენათ **მეტ მფარველობას გაუწევენ, იმდენათ მეტი შეუძლიათ შესცოდონ.**

როცა მამაკაცებს უხდებათ ერთათ თავის მოყრა, მათ გაძლება არ შეუძლიათ ისე, თუ მეძავი ქალები არ ეყოლათ. ეს დაამტკიცა 1890 წელს ბერლინში გამართულმა მსროლელთა დღესასწაულმა; ამ დღესასწაულზე მომხდარმა ამბებმა აიძულა 2300 ქალი ასეთი პეტიციით მიემართნათ გერმანიის სატახტო ქალაქის თავისათვის: „ნება გვიბოძეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მოგახსენოთ, თუ რა ხდებოდა „კავშირის“ მსროლელთა დღესასწაულზე პანკოოში ამ წლის 6—13 ივლისამდე და რა ცნობები გავრცელდა პროვინციაში ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა წყაროების საშუალებით. ჩვენ ზიზღით და აღშფოთებით ვისმენდით, რომ ამ დღესასწაულის სხვა-და-სხვა გასართობებ შორის, ასეთებიც იყო: „გერმანიის პირველი გეროლდი უდიდესი შანტანი მთელ ქვეყანაზე“, „100 კაცი და 40 ქალი“. იყვენ სხვა პატარა კაფეშანტანები და სასროლი კარვები, რომლებშიაც ქალები გადაეკიდებოდენ თურმე ყველა შემსვლელ მამაკაცს და თავს აძალებდენ. შემდეგ „უფასო კონცერტები“, სადაც ნახევრათ ტიტველი კელნერი ქალები მომხიბლველი ღიმილით, უსირცხვილოთ და მოურიდებლათ იწვევდენ „დასასვენებლათ“, როგორც გიმნაზიელს, ისე ოჯახის მამას, როგორც ახალგაზრდას, ისე ხანში შესულს... ნუ თუ პოლიციას არ შეეძლო, ის თითქმის ტიტველი „მანდილოსანი“ მაინც გაეძევებია, რომელიც იწვევდა თურმე მამაკაცებს ბალაგანში სახელწოდებით „ჰამბურგის საიდუმლონი, ანუ სანტ-პაულის ღამე“. მარა ყველაზე უსაშინელესი, რაც პროვინციის ბიურგერებს (მოქალაქეთ) და ბიურგერშებს ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ ამას დიდებულ სატახტო ქალაქში ექნებოდა ადგილი,—ესაა ხმები იმის შესახებ,

რომ დღესასწაულის მომწყობებს, კელნერებათ კაცების მაგივ-
რათ, რომელნიც ადგილს თხოულობდენ, მრავალი „ახალ-
გაზრდა ქალიშვილები“ აუყვანიათ სრულიად უჯამაგიროთ...
ჩვენ, გერმანელი ქალები, როგორც ცოლები, დედები, დები,
ათასგვარ შემთხვევაში ვგზავნით ჩვენ ქმრებს, შვილებს, ქალი-
შვილებს და ძმებს ბერლინში სამშობლოს სამსახურისათვის და
ამიტომ თქვენდამი ნდობით საესენი, უმორჩილესათ გთხოვთ,
თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ისარგებლოთ იმ დიდი და
მნიშვნელოვანი გავლენით, რომელიც თქვენა გაქვთ, რო-
გორც უმაღლესი თანამდებობის პირს სატახტო ქალაქში და
განკარგულება გასცეთ—გამოიძიონ ეს ადამიანის ღირსების
დამამცირებელი საქმეები, ან და თქვენი მაღალკეთილშობი-
ლების შეხედულებისამებრ, მიიღოთ სხვა მიზნის შესაფერი
ზომები, რომ ამგვარი ორგიები აღარ გამეორდეს; სახელდობრ,
აღარ განმეორდეს მომავალ **სედანის დღესასწაულზე**“(!!). ყო-
ველ დიდ და ეგრეთ წოდებულ ეროვნულ დღესასწაულებზე,
სადაც მრავალი მამაკაცი იკრიბება, ასეთი ამბები აუცილებე-
ლი მოვლენაა*).

გერმანიის მთავრობა რამდენჯერმე შეეცადა თავი დაეხწია
იმ წინააღმდეგობისაგან, რომელიც არსებობს სახელმწიფო
პრაქტიკასა და სისხლის სამართლის შორის. მან რამდენჯერმე
შეიტანა კანონ-პროექტი, რომლითაც, სხვათა შორის, უფლე-
ბას ანიჭებდენ პოლიციას განსაკუთრებული ადგილი მიეჩინათ
მეძავ ქალებისათვის საცხოვრებლათ. რადგანაც ძალაუნებუ-
რათ აღიარეს—პროსტიტუციის მოსპობა შეუძლებელიაო, ამი-
ტომ საუმჯობესოთ ჩასთვალეს განსაზღვრული ადგილი მიეჩი-
ნათ მისთვის და აქ თვალყური ედევნებიათ. ასეთი კანონი—
ყველა ეთანხმებოდა ამას—ხელახლა აკანონებდა საროსკიპო
სახლებს, რომელნიც გასული საუკუნის 40 წლებიდან აკრძა-
ლული იყო პრუსიაში. ამ კანონ-პროექტებმა დიდი აღშფო-

*) „როცა ბუშეს ცირკში შეიკრიბება სოფლის მეურნეთა კავშირი, ან ბერ-
ლინში დიდი კონგრესის სხდომები იმართება, მაშინ აიწევს ხოლმე ფასი... ადამია-
ნის ხორცზე“. Satur Lebeveltnachte der Fridrichstrasse, გვ. 6, ბერლ. 1907 წ.

თება და აუარებელი პროტესტები გამოიწვიეს მთავრობის წინააღმდეგ, რადგან იგი ამით მფარველობას უწევდა პროსტიტუციას და ნერგავდა იმ რწმენას, რომ პროსტიტუცია არ ეწინააღმდეგება ზნეობას და სახელმწიფოს მიერ დასაშვები ხელობაა. ამ კანონ-პროექტებს ძლიერი პროტესტით შეხვდა რეიხსტაგის კომისია და საზოგადო კრებაც, რის გამო იგინი დღემდე მაუღებელი დარჩა. მარა მარტო ისიც, რომ ასეთი კანონ-პროექტი შეიტანეს რეიხსტაგში, თავისთავათ ამტკიცებს, რომ ეს საქმე მეტათ არეულ მდგომარეობაშია.

პროსტიტუციის სახელმწიფო რეგლამენტაცია და კანტროლი არა თუ ბადებს მრავალ მამაკაცში იმ რწმენას, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს პროსტიტუციას, არწმუნებს კიდეც მათ, რომ ისინი უზრუნველყოფილი არიან ავი სენის გადადებისაგან, და ეს რწმენა ამჩატებს მამაკაცებს და ასე აძლიერებს მათში პროსტიტუციით სარგებლობას. საროსკიპოები კი არა თუ ამცირებენ ვენერიულ ავათმყოფობას, პირიქით, უფრო აძლიერებენ მათ, რადგან მამაკაცები უფრო გაუფრთხილებელნი და მოუფიქრებელნი ხდებიან. თუ რა შეხედულებას ბადებს ხალხში მთავრობის მიერ საროსკიპო სახლების მფარველობა, ეს იქიდან სჩანს, რომ მაგალ. ინგლისში, პროსტიტუციის კანონის თანახმათ სიაში შეტანილ მეძავ ქალებს, ხუმრობით „კოროლევის (დედოფლის) ქალიშვილებს“ უწოდებდენ, რადგან მათ ეს „პრივილეგია“ კოროლევას მიერ გამოცემულ კანონით მოიპოვეს.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ვერც კანტროლი და ვერც პოლიციურ-საექიმო შემოწმება ვერ შველის ავი სენის წინააღმდეგ.

ასე, მაგალ. მედიცინის „ტაინი სოვეტნიკი“, აქიმი ალბერტ ეილენბერგი 1898 წელს ასეთ პასუხს იძლევა „რეგლამენტაციის წინააღმდეგ მებრძოლ ვენის დედათა კომიტეტის“ შეკითხვებზე: „პოლიციის მიერ მეძავ ქალთა თვალყურის დევნების საკითხში მე, ვიღებ-რა სახეში მის პრაქტიკულ სიძნელეს, პრინციპიალურათ თქვენი პეტიციის აზრს ვეთანხმები და

ყველა ქვეყნებში მიღებული ჩვეულებრივი პრაქტიკა მიმაჩნია უსამართლოთ და უღირსათ; ამასთანავე ვეკვობ, რომ მან სადმე დასახულ მიზანს მიაღწიოს".

1892 წლის 20 ივლისს, ბერლინის აქიმთა საზოგადოებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ საროსკიპო სახლების ხელ-ახლა შემოღება მოსაწონი არაა არც მორალური და არც ჰიგიენური თვალსაზრისით.

სქესობრივ ავათმყოფობათა თვისება ისეთია, რომ ერთბაშათ, ერთი ნახვით მათი გამოცნობა ძნელია, ხშირათ შეუძლებელიც. რომ ნამდვილათ დავრწმუნდეთ მის არსებობაში, ხშირათ ამისთვის დღეში რამდენიმე გამოკვლევის მოხდენა იქნება საჭირო. მეძავ ქალთა შესახებ ასეთი გამოკვლევა მათი სიმრავლის გამო მოუხერხებელია, ამასთანავე ეს ხარჯსაც ბევრს მოითხოვს. როცა ერთ საათში 30 და 40 ქალს „სინჯავენ", ეს მხოლოდ „ფარსია", თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი; ესეც არ იყოს, კვირაში ორჯელ გასინჯვა სრულიადაც არაა საკმარისი. აქიმი ბლაშკო ამბობს*): „საყოველთაოთ გავრცელებული აზრი, თითქო კანტროლი იფარავდეს ვისმე ავი სენისაგან, სამწუხაროთ, მეტათ შემცდარი აზრია. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა, ვინც კი კავშირს იქერს მეძავ, ან მსუბუქი ხასიათის ქალთან, ყოველთვის დიდ განსაცდელში აგდებს თავს".

ასეთ კანტროლს იმიტომ არ შეუძლია სერიოზული სარგებლობის მოტანა, რომ იგი არ ვრცელდება მამაკაცზე და ამათ ყოველთვის შეუძლიათ გადაიტანონ სენი ერთი ქალიდან მეორეზე. ახლათ გასინჯულ მეძავ ქალს, რომელიც სრულიად ჯანმრთელი იყო, იმავ საათში შეიძლება გადაედვას სენი მამაკაცისაგან და აქედან სენი ედება სხვებსაც მეორე „გასინჯვამდე", ან იმ დრომდე, სანამ თვითონ ქალი შეამჩნევდეს, რომ ის ავათ არის. ამნაირათ, კანტროლი სრულიად უსარგებლოა

*) Handbuch der Hjgien Herausgegeben von Dr. med. Fh. Well X Band „Hjgiene der Prostitucion und venerichen Krankheiten. Bearbeitet von Dr. Blaschko. Berlin Iena 1901. S. III.

და ამავე დროს თვითეული „გასინჯვა“, რომელსაც მამაკაცი აქიმები ეწევიან და არა ქალები, ბოლოს და ბოლოს სრულიად უკარგავს გასინჯულთ სირცხვილის გრძნობას. ამას ამოწმებენ მრავალი აქიმები, რომელნიც პოლიციურ-სააქიმო პრაქტიკას ეწეოდენ*). ამას აღიარებს თვით ბერლინის პოლიციის ოფიციალური ანგარიშიც, რომელშიაც ვკითხულობთ: „უნდა დავეთანხმოთ აგრეთვე იმას, **რომ როსკიპთა სიაში შეტანა იწვევს მათ ზნეობრივათ უფრო დაბლა დაცემას და დაქვეითებას**“ **).

პროსტიტუტკები არაფერს არ შურავენ, რომ კანტროლს როგორმე თავი დააღწიონ. პოლიციის კანტროლს შედეგათ ის მოსდევს, რომ ერთხელ საროსკიპოში ჩავარდნილ ქალისთვის მეტის-მეტათ ძნელი და თითქმის შეუძლებელი ხდება ოდესმე პატიოსან შრომას დაუბრუნდეს. **ქალი, რომელიც პოლიციის კანტროლს ქვეშ ჩავარდა, სამუდამოთ დაკარგულია საზოგადოებისათვის; რამდენიმე წლის განმავლობაში იგი უმეტეს ნაწილათ სავსებით იღუპება.** სამართლიანი და დასაბუთებული აზრი გამოსთქვა პოლიციის მიერ პროსტიტუციის რეგლამენტაციის შესახებ, „უზნეობის წინააღმდეგ მებრძოლთა“ მეხუთე კონგრესმა ჟენევაში: „სავალდებულო საექიმო შემოწმება ერთი უსასტიკესი სასჯელთაგანია მეძავ ქალთათვის, რადგანაც იძულებით „გასინჯვა“ სამუდამოთ ღუპავს მას, უხშობს-რა საბოლოოთ სირცხვილის გრძნობას, იმ ნაშთს სირცხვილისას, რომელიც კიდევ ბჟუტავს ამ დაცემულ ადამიანის არსებაში. მთავრობას, რომელიც პოლიციის საშუალებით აწესრიგებს პროსტიტუციას, ავიწყდება, რომ ის ერთ-

*) „ნამდვილათ კანტროლის სისტემა სრულიად უძლურია ვენერიულ სნეულებათა გავრცელებასთან ბრძოლაში. მას არ შეუძლია მათი რამდენიმეთ შესუსტებაც კი. ტყუილი იმედები, რომელზედაც ამდენს ჩასჩიჩინებენ მამაკაცებს, მხოლოდ გაუფრთხილებლობას ბადებს მათში. და აქედან წარმომდგარი სქესობრივი კავშირის გახშირება თუ მეტათ არა, იმდენათ მაინც აძლიერებს სენის გადადების საშიშროებას, რამდენათაც ამცირებს მას სენით შეპყრობილის იზოლიაცია (გაცალკევება)“. ავგ. ფორელი, სქ. საკითხი. გვ. 838, გამ. 1907 წ.

**) Zweiter Vervaltungsberichts des königl. Polizei-Presidiums von Berlin fur die jahre 1881—1890. S. 351—359.

ნაირათ უნდა იცავდეს ორივე სქესს და არა ამცირებდეს და სთელავდეს ზნეობრივათ დედაკაცს. ყოველი სისტემა პროსტიტუციის ოფიციალურ მოწესრიგებისა, ნიადაგს უმზადებს პოლიციის თვითნებობას და სასამართლოს გარანტიების დარღვევას, რომელიც (გარანტიები) უზრუნველყოფილი აქვს ყოველ პიროვნებას, თვით უდიდეს დამნაშავესაც კი, ამათი თვითნებობით არც დაპერა და არც დატუსაღება არ შეიძლება. ასეთი უფლებათა დარღვევა მიმართულია მხოლოდ დედაკაცის წინააღმდეგ და აი, აქედან გამომდინარეობს არა-ბუნებრივი უთანასწორობა ქალსა და კაც შორის. აქ დედაკაცი უბრალო იარაღათ, ხელსაწყოთ არის გადაქცეული, აქ მას ისე აღარ უყურებენ, როგორც პიროვნებას. **იგი კანონის გარეშე სდგას**".

თუ რა სარგებლობა მოაქვს პოლიციის კანტროლს, ამას საუკეთესოთ გვიჩვენებს ინგლისის მაგალითი. 1867 წელს კანონიერ რეგლამენტაციის შემოღებამდე, ოფიციალური ანგარიშით ვენერიული სენით იყო ავათ მხედრობაში 1000 კაცზე 91; 1886 წელს, ე. ი. რეგლამენტაციის გამოცხადებიდან 19 წლის შემდეგ, უკვე 110 ავი სენით შეპყრობილი მოდიოდა 1000-ზე, ხოლო 1892 წელს, ე. ი. 6 წლის შემდეგ რეგლამენტაციის ხელ-ახლა გაუქმებიდან, მხოლოდ 79 სენიანი აღმოჩნდა 1000 სულზე. ქალაქის მცხოვრებთაგან 1879—1882 წლ., ე. ი. რეგლამენტაციის დროს 1000 სულში 10 გამხდარა ავათ ათაშანგით; 1885—1889 წლ. კი, ე. ი. რეგლამენტაციის გაუქმების შემდეგ მხოლოდ 8,1.

როსკიპ ქალებზე, რომელთაც აქიმები სინჯავდენ, ამ კანონმა უფრო ძლიერი და სულ სხვაგვარი ზედ-მოქმედება გამოიჩინა, ვინემ ჯარის-კაცებზე: 1866 წ. 1000 როსკიპ ქალზე 121 ავათმყოფი მოდიოდა, 1868 წელს კი, როდესაც კანონი უკვე ორი წლის შემოღებული იყო—202 შემთხვევა მოხდა დასნეულებისა 1000 სულზე; შემდეგ ეს რიცხვი ეცემა, მაგრამ 1874 წელს მაინც 16-თ აღემატებოდა 1866 წ. რიცხვს. აგრეთვე ამ კანონის მოქმედების ხანაში, პროსტიტუტკების

სიკვდილი საშინლათ გაძლიერდა. 1865 წელს 1000 სულზე 9,8 შემთხვევა იყო სიკვდილის, 1874 წ. კი—23. როდესაც 60-იან წლების დასასრულში ინგლისის მთავრობამ მოინდომა ყველა ქალაქებზე გავრცელებინა ეს კანონი, ქალთა აღშფოთებას საზღვარი არა ქონდა. ასეთი კანონის გამოცემაში მათ მთელი დედრობითი სქესის შეურაცხყოფა დაინახეს.

„Habeas corpus-ი, ეს ძირითადი კანონი,—ამბობდენ ისინი, რომელიც იფარავს ინგლისის ყოველ მოქალაქეს პოლიციის მიერ თავის უფლებათა გადამეტებისაგან, უქმდება ქალთათვის; ყოველ ხეპრე, შურისძიებით ან ქვენა-გრძნობებით გატაცებულ პოლიციელს, ნება ეძლევა დაიჭიროს ქუჩაში ყველასგან პატივცემული მანდილოსანი, თუ კი მას ეპვი აქვს, რომ ის პროსტიტუტკაა, ამავე დროს კი მამაკაცთა თავგასულობა დაუსჯელი რჩება, პირიქით, მათ ხელს უწყობენ და მფარველობენ კიდეც“.

თუმცა დედრობითი სქესის პირთა ასეთი გამოსვლა ჟოზეფინა ბუტლერის ხელმძღვანელობით, ორ-აზროვან ღიმილსა და დამამცირებელ შენიშვნებს იწვევდა ვიწრო ჭკუის მამაკაცების მხრივ, მარა ქალები მაინც დიდის ენერგიით განაგრძობდენ ბრძოლას ამ დამამცირებელ კანონის წინააღმდეგ. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ცალკე ბროშურებში მრავალი წერილები იბეჭდება მის „სასარგებლოთ“ და „საწინააღმდეგოთ“ და ამან შეაჩერა მისი გავრცელება მთელ ინგლისზე. 1886 წელს კი ეს კანონი სავსებით გაუქმებულ იქნა*). გერ-

*) ნამდვილი დახმარება გაუწიეს ამ ბრძოლაში ქალებს ინგლისის მუშებმა. აი რას სწერს ამის შესახებ ჟოზეფინა ბუტლერი თავის შესანიშნავ წიგნში—„ერთი ჯვაროსანთა ომის ისტორიიდან“: „ჩვენ გადავწყვიტეთ მიგვემართა ერისთვის. 1869 წელს შემოდგომის თვეებში ჩვენ პირადათ მივსწერეთ ორივე პარლამენტის წევრებს და აგრეთვე საერო და სასულიერო პარტიათა მეთაურებს. ჩვენ წერილებზე მიღებულ პასუხებიდან დავინახეთ, რომ სრულ თანხმობას მხოლოდ რამდენიმე მათგანი გვიცხადებდა. ამ წრეებზე ვამყარებდით ჩვენ უმთავრეს იმედს, და რადგან იქ შესაფერი თანაგრძნობა ვერ მოვიპოვეთ, მივმართეთ მუშათა კლასს. მუშებისგან კი სულ სხვანაირი პასუხი მივიღეთ. მე კარგათ ვიცი, რომ მუშათა კლასს თავის ნაკლულევანება აქვს, არც ის არის თავისუფალი ვიწრო თავმოყვარეობისაგან, ამით ის

მანიის პოლიციაც სწორეთ ასეთივე უფლებებით არის აღჭურვილი და მრავალი შემთხვევაც გამოქვეყნდა ბერლინიდან, ლეიპციგიდან, კელნიდან, ჰანოვერიდან და მრავალი სხვა ქალაქებიდან, რომელნიც ამტკიცებენ, რა ხშირი და ადვილია ამ უფლებებით ბოროტათ სარგებლობა და ასე სრულიად პატიოსანი ადამიანისთვის უსიამოვნების მიყენება, მარა ჩვენში დღემდე არავის აუმაღლებია ხმა ამგვარი უკანონობის წინააღმდეგ*). წვრილ-ბურჟუაზიულ ნორვეგიაშიაც კი აღკრძალეს 1884 წელს **საროსკიპო სახლები**, ხოლო სატახტო ქალაქ ქრისტიანიაში 1885 წელს გააუქმეს პროსტიტუტების ძალდატანებით სიაში შეტანა და „გასინჯვა". **1893 წლის იანვარში ეს კანონი გავრცელდა მთელ სახელმწიფოზე.** სრულ სიმართლეს აღიარებს ქ-ნი გილიომ-შაკი, როდესაც ამბობს: „რაღაზე ვასწავლით ჩვენ შვილებს პატივი სცენ უბიწოებასა და ზნეობრივ სიწმინდეს, როდესაც თვით სახელმწიფო აუცილებელ ბოროტებათ სთვლის გარყვნილებას და ახალგაზრდა ყმაწვილს, რომელიც ჯერ კიდევ არ მომწიფებულა სულიერათ, ენებათა-ღელვის დასაცხრობათ სთავაზობს ქალს, როგორც საქონელს, მთავრობის მიერ ბეჭედ-დასმულს".

რამდენიც არ უნდა დაავათმყოფოს გარყვნილმა, ვენერიულ სენით შეპყრობილმა მამაკაცმა ეს უბედური არსებანი, რომელნიც უმეტეს ნაწილათ მწარე გაჭირვებამ და მამაკაცის ღალატმა დააყენა ამ სამარცხვინო გზაზე, ის მაინც ხელუხლებელი დარჩება, მარა ვაი იმ ავათმყოფ პროსტიტუტის ბრალი, რომელიც საჩქაროთ არ მიმართავს აქიმს. საგარნიზონო ქალაქები, უნივერსიტეტები, ზღვის პირას მდებარე ქალაქები,

---

არ განირჩევა საზოგადოების სხვა წრეებისაგან, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მუშები საიმედო თანაგრძნობას გამოგიცხადებენ ყოველთვის, როცა სამართლიანობის სახელით მიმართავ მათ". ამოღებულია კამპფმეიერიდან გვ. 69.

*) „1901 წ. ვენაში პოლიციელებმა ერთი ფრანგის ქალი შეიპყრეს, ციხეში დაამწყვდიეს და ძალით აქიმებს გაასინჯვინეს. ამის გამო შვიდი შეკითხვა შევიდა რეიხსრატში. 1902 წ. ჰამბურგში და კილში რამდენიმე დედაკაცს როსკიპობა შესწამეს და შეიპყრეს. ამ შემთხვევამ გამოიწვია დიდი სადემონსტრაციო კრება ჰამბურგში. კრებას ყველა პარტიის წევრები დაესწრო". პ. კამპფმეიერი, გვ. 60.

სადაც თავს იყრიან ძალღონით სავსე ახალგაზრდები, ვენერიულ ავათმყოფობის ბუდეთ ითვლებიან და აქედან ეს სენი მთელ მხარეს ედება. რამდენათ წმინდაა ზნეობრივათ ჩვენი სტუდენტების უმეტესობა, ამაზე „საზოგადოებრივ უზნეობის წინააღმდეგ მებრძოლთა მოამბე“ (15 აგვისტო, 1893 წ. ბერლინი), შემდეგს მოგვითხრობს: „სტუდენტთა დიდ უმრავლესობას სრულიათ უკუღმართი და პირდაპირ სამარცხვინო წარმოდგენა აქვს ზნეობაზე“. და აი, სწორეთ ამ წრეებიდან გამოდიან მთავრობის მოხელენი, ბრალმდებელნი, მსაჯულნი და სხვ., რომელთაც თავი მოაქვთ სამშობლოს სიყვარულით და მშობლიური ზნე-ჩვეულებით.

რამდენათ გაუარესებულია ამ მხრით ცხოვრების პირობები სპეციალურათ სტუდენტებ შორის, ეს სჩანს იქიდან, რომ 1901 წლის შემოდგომაზე მრავალმა პროფესორებმა და აქიმებმა, რომელთა შორის ცნობილი სპეციალისტები ერიენ, მოწოდებით მიმართეს გერმანელ სტუდენტებს, რომელშიაც უთითებდენ სქესობრივ ექსცესების მავნებელ შედეგებზე და აფრთხილებდენ მოეშალათ გადამეტებული ხმარება ალკოგოლის, რომელიც ძლიერ ავითარებს სქესობრივ სურვილებს. ახლა უკვე შეიგნეს, რომ ყოველთვის საქმის მიფუჩეჩება შეუძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერს თავისი სახელი უნდა ეწოდოს, თუ გვინდა რამდენიმეთ მაინც შევამციროთ უბედურება, რომლის ყველა მძიმე და სახიფათო შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია. სხვა კლასსაც თავს არ ატკენს, რომ ყურადღებას მიაქცევდეს ამ გაფრთხილებას.

„ვიძიო ცოდვა შენი შთამომავალსა შენსა ზედა, ვიდრე მესამე და მეოთხე თაობამდე“. ამბობს დაბადება და ეს სიტყვები სავსებით მართლდება გარყვნილ, ვენერიული სენით დაავადებულ მამაკაცზე, მარა, სამწუხაროთ, მის უდანაშაულო ცოლზედაც.

სიყმაწვილეში დამბლის-დაცემა, ან ხერხემლის ტვინის გამოშრობა, თავის ტვინის გამოლაყება, სხვა-და-სხვა გვარი ნერვების ავათმყოფობანი, თვალების დასნეულება, მეამელის გა-

ჩენა, წელების ანთება, უშვილობა და უდროთ ჩამოხმობა,— ძლიერ ხშირათ შედეგია უყურადღებოთ დატოვებული, გამოუცნობი, ან და ადვილ-გასაგები მიზეზებით დამალული ათაშანგისა. თანამედროვე უკეულმართ წყობილების მეოხებით, ხშირათ ეს უკოდინარობა და ამჩატება ჩამოახმობს და დამჭკნარ არსებათ აქცევს ხოლმე ახალგაზრდა, ვარდივით გაშლილ ქალს. ის მსხვერპლი ხდება საშინელი სენის, რომელიც მისმა ქმარმა ქორწინებამდე ან მის შემდეგ შეიძინა თავის გარყვნილებით[1]). აქიმი ა. ბლაშკო უფრო შორს მიდის, როდესაც ამბობს[2]): „ეპიდემიური ავათმყოფობანი, როგორიც არიან ხოლერა და ყვავილი, ხუნაგი და საოფლე (სახადი), რომელთა მოქმედება ყველას თვალში ეცემა და შიშის ზარსა სცემს ადამიანს, თუმცა ბევრათ გვანან ათაშანგს თავისი მავნებლობით, მარა ისე საშინლათ არ არიან მოდებული ყველგან, როგორც ეს უკანასკნელი... ათაშანგს, შეიძლება ითქვას, საზოგადოება გასაშტერებელი გულგრილობით ეკიდება". საქმე იმაშია, რომ „სირცხვილათ" მიაჩნიათ ამაზე აშკარათ ლაპარაკი. თვით გერმანიის რეიხსტაგმაც კი ვერ გამოიჩინა იმდენი გაბედულება, რომ კანონში შესწორება შეეტანა: ავათმყოფობისაგან დამზღვევმა კასებმა ვენერიულ ავათმყოფობაზედაც ისე უნდა იზრუნონ, როგორც სხვებზეო[3]).

ათაშანგის შხამი ყველა სხვა შხამზე შეუპოვარია და ორგანიზმიდან მისი გამოდევნა გაცილებით უფრო ძნელია, ვინემ სხვა რომელიმე შხამის. ხშირათ, რამდენიმე წლის შემდეგ მას მერმე, როცა ავათმყოფი მორჩა და ჰგონია, რომ სნეულების კვალიც კი გაუქრა სხეულიდან, მისი შედეგები მოულოდნე-

[1]) Die gesundheitsschädliche Tragweite der Prostitution. Von Dr. Oskar Lassar, Berlin 1892. August, Hirschvald.

[2]) Die Behandlung der Geschlechtskrankheiten in Krankenkassen und Heilanstalten. Berlin 1890. Fischers Medizin Buchandlung.

[3]) ეს კანონი ავათმყოფთა დაზღვევის შესახებ (§ 6), რომელმაც გამოიწვია სათემო მართველობის განკარგულება,— სქესობრივ გარყვნილებისაგან დასნეულებულთ სულ არ მისცეთ დახმარება საავათმყოფო კასიდან, ან და თუ მისცეთ, მხოლოდ ნაწილი მეცითო,—ეს კანონი გაუქმებულ იქნა 1903 წლის 25 მაისის კანონ-პროექტით, რომელიც ძალაში შეეიდა 1904 წლის 1 იანვრიდან.

ლათ გამოაჩნდება ხოლმე ცოლსა და შვილებს; საერთოთ, ცოლისა და შვილების მრავალგვარი ავათმყოფობა თავისი წარმოშობით, ხშირათ მამის ვენერიული ავათმყოფობის შედეგია. 1899 წელს ახალგაზრდობის მფარველ საზოგადოებამ პეტიცია წარუდგინა რეიხსტაგს, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ გერმანიაში 30,000-მდე ბრმა ბავშვი იბადება მშობელთა სუსუნატის გადადების გამო და რომ ქალთა 50%-ის უშვილობაც ამავე მიზეზით აიხსნება*). უშვილო ცოლ-ქმართა რიცხვი მართლაც განსაცვიფრებლათ დიდია და, რაც დრო მიდის, მათი რიცხვი თანდათან მატულობს. ამავე მიზეზით აიხსნება ბავშვთა გონებრივი სიჩლუნგე და რამდენი უბედურების მოტანა შეუძლია ყვავილის აცრის დროს ათაშანგიან სისხლის ერთ პატარა წვეთს, ამის მაგალითები ყველას ენახვება.

ბევრი ვენერიული სენით შეპყრობილი სცდილობდა— ხელახლა შემოელოთ საიმპერიო კანონი, რომლითაც საავალდებულოთ უნდა გამხდარიყო ვენერიულ ავათმყოფთა აქიმობა, მარა კანონმდებლებს დღემდის ვერ გაუბედიათ ასეთ ნაბიჯის გადადგმა, რადგან ალბათ ეშინიათ, რომ ამით არ გამომზეურდეს უდიდესი ბოროტება მთელ თავის საშინელებით და სიდიადით. სპეციალისტები იმ აზრს დაადგენ, რომ სუსუნატი, რომელსაც წინეთ უბრალო ავათმყოფობათ სთვლიდენ, მეტათ საშიში სნეულებაა. ხშირათ ეს სენი განკურნებული გეჩვენებათ, მარა ის ისევ მოქმედებს ორგანიზმში, ასე რომ აქიმ ბლაშკოს სიტყვით (1898 წლის ლექციები ბერლინში), პოლიციურ-საექიმო გასინჯვის დროს მხოლოდ $^1/_4$—სულ ბევრი $^1/_3$ სუსუნატით დასნეულებულ პროსტიტუტკებს თუ შეატყობენ მის არსებობას. ფაქტიურათ როსკიპთა დიდი უმრავლესობაა შეპყრობილი ამ სენით, მარა კანტროლის დროს მხოლოდ ზოგიერთებს ატყობენ. და რადგანაც ამ ზოგიერთები-

*) ბრმაოა თავშესაფარებში მოთავსებულ პირთაგან, დაბადებიდან ავი სენით იყო შეპყრობილი: ბერლინში 21,8%, ვენაში 31%, ბრესლაეში 35,1%, ბუდაპეშტში 47,8%, მიუნხენში 78,8%. Fh. Veyl. „სოციალური ჰიგიენა", გვ. 62, იენა 1904 წ.

დან მხოლოდ ერთი ნაწილი იკურნება სენისაგან, ცხადია, აქ საზოგადოება პირისპირ უდგას საშინელ უბედურებას, რომლის წინააღმდეგ დღეს-დღეობით მას არავითარი საშუალება არ მოეპოვება და რომელსაც დიდი ვნება მოაქვს მისთვის—განსაკუთრებით კი დედრობითი სქესისათვის.

როცა მამაკაცები, ნებით თუ უნებლიეთ, უარს ამბობენ ცოლის შერთვაზე და სქესობრივ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ გარყვნილებას სჩადიან,—ამით ისინი ხელს უწყობენ ამ სენის გავრცელებას. ყველაზე დიდ სარგებლობას ის სავაჭრო იძლევა, რომელიც უზნეობის იმედით არსებობს და ეს იზიდავს ყოველ ისეთ მოსაქმეს, რომელსაც სინიდისი მაინცა-და-მაინც არ აწუხებს და ესენი ათასგვარი სიამოვნების მიწოდებით ცდილობენ მყიდველის მიზიდვას. აქ სახეში იღებენ თვითეული მყიდველის მოთხოვნილებას, ხარისხს, მდგომარეობას, მატერიალურ საშუალებას და გულუხვობას. საროსკიპო სახლებმა რომ ყველა თავისი საიდუმლოებანი გამოაქვეყნონ, მაშინ აშკარა შეიქნება, რომ იქ მცხოვრებნი, რომელთაც ხშირათ არც სახელი აქვთ, არც აღზრდა, არც განათლება, მარა სამაგიეროთ აქვთ სხეულის მიმზიდველობა,—მეტათ დაახლოებული დამოკიდებულება ქონიათ საზოგადოების ბურჯებთან, დიდათ განათლებულ და ინტელიგენტ მამაკაცებთან. იქ დაბრძანდებიან მინისტრები, უმაღლესი სამხედრო პირები, ტაინი სოვეტნიკები, დეპუტატები, მსაჯულები და სხვა. იქვე ნახავთ კეთილშობილ გვარის წარმომადგენელთ, ბანკირებს, ფულის, ვაჭრობის და მრეწველობის არისტოკრატებს, ყველა იმათ, რომელთაც ღირსებით საზოგადოებაში დიდი ღირსებით და დინჯათ უჭირავთ თავი, როგორც „მორალის, მშვიდობიანობის, ქორწინების და ოჯახის“ წარმომადგენელთა და მფარველთა, რომელნიც სათავეში უდგანან ქრისტიანულ საქველმოქმედო დაწესებულებებს და პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებებს. ერთი ასეთი სახლის პატრონი X... ქუჩაზე ბერლინში, თავის საკუთარ დასურათებულ ფურცელსა სცემს, სადაც დაწვრილებით აღწერილია იქ მოსიარულე სა-

ზოგადოების საქმენი საგმირონი. დარბაზი 400 კაცს იტევს და იქ ყოველ საღამოს იკრიბება გამოჩენილი საზოგადოება, რომელიც, როგორც თვით ფურცელში სწერია, ფულის და შთამომავლობის უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნის. ხმაურობა და მხიარულება ხშირათ ყოველ საზღვარს სცილდება და საშიშ სახეს იღებს, როცა იქ ბრძანდებიან და ეს თითქმის ყოველ დღე ასეა—მრავალი „დამები“ სცენის სამეფოდან, ულამაზესი ქალები ნახევარ-არისტოკრატიისა და მოხერხებული დირექცია მხიარულების დასაგვირგვინებლათ, გათენებისას ნადირობას მართავს გველ-თევზებზე... მშვენიერი სქესის სტუმრები, კაბებ-წამოკაპიწებული შემოეხვევიან გარშემო აუზს და სცდილობენ დაიჭირონ გველ-თევზა. პოლიციამ ეს ძლიერ კარგათ იცის, მარა არ უნდა ხელი შეუშალოს მაღალი საზოგადოების მხიარულებას. სხვა რა სახელი უნდა ვუწოდოთ, თუ არა „უმდაბლესი მაჰანკლობა“, ქვემოთ მოყვანილ დაპატიჟების ბარათს, რომელსაც უგზავნის უმაღლესი არისტოკრატიის მამაკაცებს ბერლინის ერთი მოცეკვავეთა დაწესებულება: „ქვემო ხელმომწერ ადმინისტრაციას სანადირო დარბაზისა, რომლის დირექციას გააცვნეს თქვენი თავი, დიდათ პატივცემულო ბატონო, როგორც გატაცებული მონადირე, პატივი აქვს მიაქციოს თქვენი ყურადღება ახლათ მოწყობილ, დიდებულ სანადირო პარკს მრავალი სხვა-და-სხვა ფრინველებით და უმდაბლესათ გთხოვთ, მობრძანდეთ და დაესწროთ წითელ ფრინველებზე პირველ ნადირობის გამართვას სანადირო ზალებში, 26 აგვისტოს. განსაკუთრებული გარემოება ხდის ჩვენ ჭალას სასიამოვნო და მოხერხებულ გასართობ ადგილათ: სანადირო პარკი სატახტო ქალაქის შუაგულშია მოწყობილი და ფრინველებიც არავითარ შემთხვევაში არ იმყოფებიან მფარველობის ქვეშ“.

თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება წააგავს კარნავალის მოთამაშე ბრბოს, რომელთაგან ყველა ერთი მეორის მოტყუებას და გასულელებას ცდილობს. აქ ყველანი დიდი ღირსებით ატარებენ თავის ოფიციალურ ტანთ-საცმელს, რომ

შემდეგში არა ოფიციალურათ, უფრო თავ-დაუჭერლათ მიეცენ გარყვნილებას და ავ-ხორცობას. გარეგნულათ კი, ყველაფერი მორალის, სარწმუნოების და ზნეობრივ სიფაქიზის ბეჭედით არის აღნიშნული. არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ისე განვითარებული ფარისევლობა და პირმოთნეობა, როგორც დღევანდელში. ავგურთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

### 3. ქალებით ვაჭრობა.

დედაკაცთა მიწოდება გარყვნილებისათვის უფრო სწრაფათ იზრდება, ვინემ მოთხოვნილება. სოციალური პირობების თანდათანი გაუარესება, გაჭირვება, შეცდენა, გარეგნულათ ბრწყინვალე და ვითომდა თავისუფალ ცხოვრებისაკენ მისწრაფება,—ყველა ეს ხელს უწყობს როსკიპობის ახალ-ახალ კანდიდატურის გამოჩენას საზოგადოების სხვა-და-სხვა ჯგუფებიდან. ასეთ პირობების დამახასიათებელ სურათს გვაძლევს გერმანიის სატახტო ქალაქის ცხოვრებიდან ჰანს ვახენხუზენის რომანი*). აი როგორ ხსნის ავტორი თავისი რომანის მიზანს: „ჩემი წიგნი მოუთხრობს დედრობითი სქესის მსხვერპლებზე, მათ დამცირებაზე და დაჩაგვრაზე, რომელიც შედეგია **თანამედროვე არა ბუნებრივ და შეუსაბამო საზოგადოებრივ და ბურჟუაზიულ პირობების** და აგრეთვე პირადათ მათიც, მათი უხეირო აღზრდის, ფუფუნების მოთხოვნილებისა და ცხოვრების ბაზარზე ამჩატების. ის მოუთხრობს დედრობითი სქესის გადაჭარბებულ გამრავლებას, რაც დღითი-დღე უარეს უიმედობაში აგდებს იმათ ბედს, რომელნიც ახლათ იბადებიან, ან ასაკში მოდიან. მე ვწერდი, როგორც ბრალმდებელი, რომელიც დამნაშავის ცხოვრებას აღწერს, რომ აქედან მისი დანაშაული გამოიყვანოს“. მაშ ასე, თუ რომანი ეწოდება გამოგონილ, სიმართლეს მოკლებულ ამბავს, მაშინ ეს რომანი არაა; ესაა მხოლოდ ცხოვრების სწორი და ცოცხალი, შეუფერადებელი სურათი.

*) „Was die strasse verschilingt“. Socialer Roman in 3 Bänden. A. Hoffmann et Komp. Berlin.

ბერლინში სქესობრივი ურთიერთობა არც უკეთესია და არც უარესი სხვა დიდ ქალაქებზე. ძნელი გასარჩევია, რომელი ქალაქი უფრო წააგავს ძველ ბაბილონს—მართლ-მადიდებელი პეტერბურგი, თუ კათოლიკეთა რომი, ქრისტიანულ-გერმანული ბერლინი, თუ წარმართი პარიზი. მზგავსი სოციალური პირობები მზგავს მოვლენებს შობენ. „პროსტიტუციას აქვს თავისი წერილობითი და დაუწერელი კანონები, საკუთარ საშუალებათა წყაროები, თავის მოსაწვევი ადგილები, სადაც ის იკრიბება ყოველი წრიდან, უღარიბესი ქოხიდან დაწყებული უმდიდრეს სასახლემდე, თავისი აუარებელი ხარისხები უმდაბლესიდან დაწყებული გაფაქიზებულ და ხელოვნურათ გამოზრდილებამდე. მას აქვს თავის საკუთარი გასართობები და შესახვედრათ დანიშნული ადგილები; თავის პოლიცია, საავათმყოფოები, საპყრობილე და ლიტერატურაც კი“ *). „ჩვენ გავაუქმეთ ოზირისის ღღესასწაული, ვაკხანალიები, ინდიელთა გაზაფხულის ორგიები, მარა პარიზში და სხვა დიდ ქალაქებში, ღამით საზოგადო და კერძო სახლებში იმართება ორგიები და ვაკხანალიები, რომელთაც ვერ აღწერს ვერც ერთი გაბედული კალამი“ **).

ასეთ პირობების გამო ქალის სხეულით ვაჭრობა საშინლათ გავრცელდა. ამ ვაჭრობის ორგანიზაცია შესანიშნავათ არის მოწყობილი და პოლიცია იშვიათათ ამჩნევს მას, მიუხედავათ იმისა, რომ მას ვეებერთელა ბუნაგი აქვს **ცივილიზაციის და კულტურის ცენტრებში**. მთელი ლაშქარი მაკლერების, აგენტების და გადამგზავნელების ისე აწარმოებენ კაცებით და ქალებით ვაჭრობას, თითქოს საქმე ეხებოდეს რომელიმე უსულო ნივთის გავრცელებას; ამზადებენ ყალბ მოწმობებს, ადგენენ ატესტატებს, რომლებშიაც დაწვრილებით არის აწერილი თვითეული „ცალის“ ნიშნები და აბარებენ გადამგზავნელებს მყიდველისთვის წარსადგენათ. როგორც ყველა სხვა საქონლის ფასი, ისე ამისი, დამოკიდებულია მის ღირ-

*) Dr. Elisabeth Blacvell The moral education.

**) Mantegazza. „L'Amour daur l'humanitè“.

სებაზე და საქონელსაც ხარისხებათ ყოფენ მყიდველთა გემოვნების და მოთხოვნილების მიხედვით და გზავნიან სხვა-და-სხვა ადგილებში და ქვეყნებში. რა და რა გასაოცარ ხრიკებს არ მიმართავენ ხოლმე, რომ თავიდან აიცილონ პოლიციის ყურადღება და დევნა; ხშირათ დიდძალ ფულს არ იშურებენ, რომ თვალები აუხვიონ კანონის დარაჯთ. ასეთ შემთხვევათა მთელი რიგი აღმოაჩინეს, მაგალ. პარიზში*).

გერმანიას ძლიერ ცუდი სახელი აქვს მოპოვებული იმით, რომ მსოფლიოს ნახევრისათვის სავაჭრო ქალთა იარმუკას წარმოადგენს. გერმანელთა თანდაყოლილი ლტოლვილება მოგზაურობისადმი ემჩნევა, ვგონებ, გერმანელ ქალთა ნაწილსაც, რადგან მათ ავსტრო-ჰუნგრეთის ქალებს გარდა, ყველა ქვეყნის ქალებზე უფრო მეტი წილი უდევთ საერთაშორისო პროსტიტუციაში. გერმანელი ქალებით ავსებენ ოსმალეთის ჰარამხანებს და საროსკიპო სახლებს ციმბირში და, ასე გასინჯეთ, თვით ბომბეიაში, სინგაპურში, სან-ფრანცისკოში და ჩიკაგოშიც. ვ. იოსტი თავის მგზავრის წერილებში—„იაპონიიდან ციმბირით გერმანიაში“, ასე ასწერს გერმანელ ქალებით ვაჭრობას: „ჩვენს ზნეობით სავსე გერმანელებში ხშირათ აღშფოთებას იწვევს მონებით ვაჭრობა, რომელსაც რომელიმე დასავლეთ აფრიკის ზანგების მთავარი ეწევა, ან, როცა ასეთივე მოვლენა ხდება კუბაში ან ბრაზილიაში; უკეთესი კი იქნებოდა, რომ საკუთარ თვალში დვირე შეგვემჩნია; **არ არის მეორე ისეთი მხარე, რომ გერმანიასა და ავსტრიას უსწორდებოდეს თეთრ მონა-ქალებით ვაჭრობაში. არც ერთი ქვეყნიდან არ გაყავთ ამდენი ცოცხალი საქონელი.** სრული

*) ბევრი მხრით არის საინტერესო პოლიციის დამოკიდებულება პროსტიტუციასთან. ასე, მაგალ. ერთ პროცესში გამოირკვა, რომ პოლიციის კომისარი სარგებლობდა პროსტიტუტკით, რომ თვალყური ედევნებია ერთი სტუდენტისათვის, რომელიც ანარქისტი ეგონა; ეს იყო ბერლინში. პრაგის პოლიციის უფროსმა 1902 წლის აგვისტოში შეატყობინა ერთ-ერთ გაზეთის რედაქციას, ამა და ამ დაბალი პოლიციელის ცოლს საროსკიპო სახლის გახსნის ნებართვა წაერთვა, იმიტომ, რომ მისი ქმარი ტუსაღ ქალს ცუდათ მოეპყრაო. ამნაირათ, პრაგის პოლიცია თავის მოხელეებს საროსკიპოთა გახსნის ნებართვას ურიგებს ჯილდოთ სამსახურისათვის. საუცხოვო პირობებია!

სისწორით შეგვიძლია აღვნიშნოთ მათი გზის მიმართულება. ჰამბურგიდან მათ გზავნიან სამხრეთ-ამერიკაში; ნაწილი მიდის ბახიასა და რიო-დე-ჟანეიროში, მაგრამ ამათი დიდი ნაწილი დანიშნულია მონტევიდეოსა და ბუენოსაირესისათვის, დანარჩენი კი მაგელანის სრუტით მიყავთ ველპარაიზამდე. მეორე გზა მიდის ინგლისით, ან პირდაპირ ჩრდილოეთ-ამერიკაში, მარა აქ მეტოქეობას ვერ უძლებს ადგილობრივ „საქონელს“ და, ამიტომ ანაწილებენ და გზავნიან მდ. მისისიპით ახალ-ორლეანსა და ტეხასში ან დასავლეთისაკენ, კალიფორნიაში. აქედან აწვდიან მათ მთელი ზღვის-პირა ქალაქებს პანამამდე; კუბა, ვესტ-ინდია და მექსიკა კი ახალ-ორლეანიდან იღებენ თავიანთ დაკვეთილს. სხვა ჯგუფი გერმანელ ქალიშვილებისა, „ბოგემელთა“ სახელწოდებით იგზავნება ალპის მთით იტალიაში და იქიდან კი ალექსანდრიასა, სუეცსა, ბომბეიასა, კალკუტასა და სხვა ადგილებში სინგაპურამდე, გონკონგამდე და თვით შანხაიამდე. ჰოლანდიის ინდოეთი და აღმოსავლეთ-აზია იაპონიითურთ—სახარბიელოს არას წარმოადგენენ, რადგან ჰოლანდია, თავის კალონიებში ცხოვრების ნებას არ აძლევს ამ ხელობის თეთრ ქალებს და იაპონიაში კი, ადგილობრივი ქალებიც საკმაოთ ლამაზი და იაფი არიან; ამასთანავე, ამერიკელების კონკურენცია სან-ფრანცისკოდან მათ ხელს უშლის სასარგებლო ხელშეკრულობის გამოჩარხვაში. რუსეთში კი აღმოსავლეთ პრუსიიდან, პომერანიიდან და პოლონეთიდან მოყავთ ქალები. ჩვეულებრივათ პირველი სადგურია რიგა. აქ იკრიბებიან პეტერბურგის და მოსკოვის „ვაჭრები“ და აგზავნიან თავიანთ საქონელს ნიჟნი-ნოვგოროდში, ურალს იქით ირბიტში, კრესტოვსკაში და ციმბირის შორეულ ადგილებში; ასე, მაგალ. ჩიტაში ვნახე გერმანელი ქალი ამ გზით გაყიდული. განსაცვიფრებელ ოსტატურათ არის მოწყობილი ეს ვაჭრობა; მას აწარმოებენ აგენტების და კომივოიაჟერების შემწეობით და **გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს რომ ანგარიში მოეთხოვა თავის ელჩებისაგან, ძლიერ საინტერესო სტატისტიკური ცნობების შეკრება შეიძლებოდა.**

ასეთი ვაჭრობა ყვავის და ვითარდება, როგორც ეს არა ერთხელ აღუნიშნავთ გერმანელ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს რეიხსტაგის ტრიბუნიდან.

განსაკუთრებით გაჩაღებული აქვს ცოცხალი საქონლით ვაჭრობა გალიციას და ჰუნგრეთს კონსტანტინეპოლთან და ოსმალეთის სხვა ქალაქებთან. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ებრაელ ქალებს, რომელნიც ასე რომ არ იყოს, იშვიათათ მოხვდებოდენ საროსკიპო სახლებში. ხარჯების და გზის ფული ხშირათ წინდაწინვე ეგზავნებათ აგენტებს. მთავრობის თვალის ასახვევათ, დამკვეთს ისეთ დეპეშას უგზავნიან, რომელიც არავის ეპვში არ შეიყვანს. ზოგიერთი დეპეშები ასეთი შინაარსისაა: **„ნ ბოჩკა ჰუნგრეთის ღვინო იგზავნება ამა და ამ დროს და ამა და ამ ადგილას ვარნში“**. და აქ უნდა იგულისხმო 5 ლამაზი ქალიშვილი, ან **„სამი ტომარა კართოფილი გაიგზავნა გემით „ლლოიდ-მინერვა“**. აქ იგულისხმება სამი ნაკლებ ლამაზი, ან **ჩვეულებრივი „საქონელი“**. ან კიდევ: **„პარასკევს ვიქნები კობროში, მომაქვს ორი თოფი წმინდა აბრეშუმი“**.

## 4. პროსტიტუციის ზრდა. უქორწინო დედები.

როსკიპთა რიცხვის განსაზღვრა ძნელია, სისწორით აღნუსხვა კი—პირდაპირ შეუძლებელი. პოლიციას შეუძლია დაახლოვებით გამოიანგარიშოს იმათი რიცხვი, ვინც უმთავრესათ ამ ხელობით სცხოვრობენ, მარა ასეთი დაახლოვებითი აღნუსხვაც არ შეუძლია იმ მრავალ-რიცხოვანი რაზმების, რომელთათვისაც როსკიპობა დამატებითი შემოსავლის წყაროა. ყოველ შემთხვევაში, დაახლოვებითი ანგარიშიც მეტათ დიდ რიცხვს გვაძლევს. ფონ-ეტინგენის ანგარიშით, მესამოცე წლების დასასრულს ლონდონში 80,000-მდე მეძავი ქალი სცხოვრობდა. 1906 წლის 1 იანვარს, პარიჟში როსკიპთა სიაში ჩაწერილი იყო 6196 ქალი, მარა მათგან თითქმის $^1/_3$-ზე მეტი გაურბოდა პოლიციურ-სააქიმო შემოწმებას. მთელ პარიჟში

1892 წელს, სულ 60-მდე საროსკიპო სახლი არსებობდა 600—700 ქალით, 1900 წ. კი—42. საროსკიპოთა რიცხვი საერთოთ წლითი-წლობით კლებულობს (1852 წ. იყო 217). სამაგიეროთ, ფარულ როსკიპთა რიცხვი შესამჩნევათ იზრდება. ქალაქის გამგეობის გამოკვლევით, 1889 წელს პარიჟში მეძავ ქალთა რიცხვი განსაცვიფრებლათ დიდი იყო, სახელდობრ—120,000. პოლიციის პრეფექტის ლეფრინის ანგარიშით, პარიჟში ითვლება 6000 სიაში შეტანილი როსკიპი და 70,000 ფარული. 1871—1903 წლ. პოლიციას შეუპყრია 725,000 როსკიპი და ამათგან 150,000 დაუტუსაღებია; 1906 წ. კი დაჭერილთა რიცხვი უდრიდა—56,196-ს.

ბერლინში როსკიპთა რიცხვი იყო:

| | |
|---|---|
| 1886 წელს—3006 | 1897 წელს—5098 |
| 1890 „ —4039 | 1899 „ —4544 |
| 1893 „ —4663 | 1905 „ —3287 |

1890 წელს 6 აქიმი თითო ორ-ორ საათს უნდებოდა დღეში მათ შემოწმებას. მას შემდეგ აქიმების რიცხვი აიყვანეს 12-მდე. რამდენიმე წლის შემდეგ, მიუხედავათ მამაკაც აქიმთა პროტესტებისა, მოიწვიეს აქიმი ქალიც. პოლიციის სიაში ჩაწერილ მეძავ ქალთა რიცხვი ბერლინშიაც დიდი არაა მაშინ, როცა მათი საერთო რიცხვი, მცოდნე პირების ანგარიშით 50,000 **იქნება** (ზოგნი მაგალ. თვლიან 24,000—25,000-მდე, რაუბერი კი—30,000-მდე). 1890 წელს მხოლოდ ლუდხანებში 2022 კელნერი ქალი იყო, რომელთაც თავის სხეულის გაყიდვა თითქმის ყველას ხელობათ ქონდა გადაქცეული. პოლიციის დადგენილებათა დარღვევისთვის დატუსაღებულ მეძავთა რიცხვის ზრდაც იმას მოწმობს, რომ პროსტიტუცია სისტემატიურათ ვითარდება. დატუსაღებულთა რიცხვი შეადგენდა:

| | |
|---|---|
| 1881 წელს—10,878 | 1896 წელს—26,703 |
| 1890 „ —19,605 | 1897 „ —22,915 |

1897 წელს დატუსაღებულთაგან 17,018 ქალი სასამართლოს გადასცეს—ასე რომ, დღეში 57 საქმე მოდიოდა.

რამდენათ დიდია როსკიპთა რიცხვი საერთოთ გერმანიაში? ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ მათი რიცხვი 200,000-დე უწევს. შტრეინბერგის ანგარიშით, ფარულ და აშკარა როსკიპების რიცხვი 92,220 იქნება, ან 75,000-დან 100,000-დე. კამილლა შნედერმა სცადა 1908 წელს ჩაწერილ როსკიპთა სისწორით აღრიცხვა. მისი ნუსხა 1905 წლისთვის შეიცავს 79 ქალაქს; „რადგან დიდი ქალაქები, სადაც უნდა ვიგულისხმოთ შესაძჩნევი რიცხვი იქნება როსკიპების, ბლომათ მოიპოვება, ამიტომ ის ფიქრობს, რომ საკმაოთ დავიცავთ სისწორეს, თუ ჩავთვლით, რომ მათი რიცხვი უდრის 15 ათასს. ეს შეგვიძლია დავასკვნათ იქიდან, რომ გერმანიაში, სადაც მრგვალი ციფრით 60,600,000 სული ითვლება, ერთი ჩაწერილი როსკიპი მოდის 4040 მცხოვრებზე“.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბერლინში | მოდის | ერთი | — | — | 608 | მცხოვ. |
| ბრესლავში | „ | „ | — | — | 514 | „ |
| ჰანნოვერში | „ | „ | — | — | 529 | „ |
| კილში | „ | „ | — | — | 527 | „ |
| დანციგში | „ | „ | — | — | 487 | „ |
| კელნში | „ | „ | — | — | 369 | „ |
| ბრაუნშვ. | „ | „ | — | — | 303 | „ |

კანტროლს დაქვემდებარებულ მეძავთა რიცხვი განუწყვეტლივ მცირდება*).

სხვა-და-სხვა გამოკვლევებით, ოფიციალურ მეძავთა რიცხვი ისე უდრის ფარულთა რიცხვს, როგორც 1 უდრის 5-ს ან 10-ს. ამნაირათ, ჩვენ წინ დგას ვეებერთელა არმია, რომელსაც თავის საარსებო ხელობათ აქვს აღებული სხეულით ვაჭრობა, რაც სნეულების და სიკვდილის სახით ითხოვს ანაზღაურებას საზოგადოებისაგან**).

*) Kom. Schneider, Die Prost. etc. 1908, ლეიპციგი.

**) ბერლინში პროფესიონალურ საავთმყოფო კასების წევრებში 1000 ავათმყოფზე მოდიოდა: 1892—1895 წლ. —34,6 სუსუნატიანი მამაკ., 9,8 დედაკ.; რბილშანკრიანი—8,8 მამაკ., 1,5 დედაკ.; ათაშანგიანი—10,2 მამაკ., 7,7 დედაკ ; 1896—1900 წლ.—42,4 სუსუნ. მამაკ., 8,4 დედაკ.; რბ. შანკ.—11,9 მამაკ., 1,6 დედაკ.;

როსკიპთა დიდ უმრავლესობას რომ მოსწყინდა და შეზიზღდა თავისი ყოფა-ცხოვრება, ეს დამტკიცებულია. მაგრამ, ვინც ერთხელ მოხვდება ამ წრეში, მისი იქიდან თავის დაღწევა ძნელია. ბრიტანიის კონტინენტალურ და საერთაშორისო ფედერაციის ჰამსბურგის განყოფილებამ, 1899 წელს მოაწყო შეკითხვა როსკიპების. თუმცა სულ მცირე რიცხვმა უპასუხა დასმულ კითხვებზე, მაგრამ ეს პასუხებიც ძლიერ დამახასიათებელია. კითხვაზე: განაგრძობდით თუ არა თქვენ ხელობას, რომ სხვაგვარათ შეგეძლოთ თავის რჩენა? ერთმა უპასუხა: „რა საქმე უნდა დაიწყო, როდესაც ყველას ეზიზღები?“ მეორემ უპასუხა: „საავთმყოფოში ყოფნის დროს ყველას ვეევედრებოდი შველას“. მესამემ: „ჩემი ვალების გადახდით დამიხსნა მეგობარმა“. საროსკიპო სახლის პატრონთა უღელ-ქვეშ ხანგრძლივი ყოფნით ყველა იტანჯება. ერთი უპასუხებდა, რომ მას ახლაც მართებს „დედობილის“ 700 მარკა. ტან-საცმელს, საცვლებს, მორთულობას, ძლიერ ძვირ ფასებში ყიდის მათზე სახლის პატრონი, მეტათ ბევრ ფასს ახდევინებენ საჭმელ-სასმელშიც. ამას გარდა, მათ უნდა იხადონ კიდევ ცალკე ბინის ქირა. ეს ქირა 6, 8, 10 მარკას უდრის დღეში. ერთი სწერს, რომ ყოველ-დღიურათ უნდა უხადოს თავის „ლუის“ 20—25 მარკა. სანამ ამ ვალს არ გადაიხდის, მას არც ერთი სახლის პატრონი არ მიიღებს. პასუხებში მოიპოვება აგრეთვე სამდურავი პოლიციაზე, რომელსაც სახლის პატრონთა მხარე უფრო უპირავს, ვიდრე უმწეო ქალების. ერთი სიტყვით, ჩვენ ქრისტიანულ ცივილიზაციის შუაგულში ვხვდებით უსაზიზღრეს მონობას. რომ უკეთ დაიცვან **თავიანთი წოდებრივი ინტერესები**, საროსკიპოთა პატრონებმა საკუთარი ორგანოც კი დაიარსეს, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი აქვს.

მეძავ ქალთა რიცხვი იზრდება იმდენათ, რამდენათაც მრავლდება მუშა ქალების რიცხვი, რომელნიც სხვა-და-სხვა

---

ათაშან.—12,1 მამაკ., 4,5 დედაკ.; 1901—1902 წლ.—45,8 სუს. მამაკ , 9.7 დედაკ.; რბილ შანკ.—13.0 მამაკ., 2,0 დედაკ.; ათაშან.—15.9 მამაკ., 7,0 დედაკ (F. Prinzing, ნაჩვენ თხზ. გვ. 229).

მრეწველობაში შრომობენ და არც ისე მცირე შრომის ქირას იღებენ, რომ შიმშილით დაიხოცონ და არც ისე დიდს, რომ ოდნავ მაინც რიგიანათ იცხოვრონ. პროსტიტუციის გაძლიერებას ხელს უწყობს მრეწველობის კრიზისი, რომელიც აუცილებელი თანამგზავრია ბურჟუაზიული საზოგადოების და რომელსაც გაჭირვება და სიღარიბე შეაქვს ასი-ათას ოჯახებში. ობერ-კონსტებლი ბოლტონი სწერდა ქარხნის ერთ ინსპექტორს 1865 წლის 31 ოქტომბერს, რომ ჩრდილო-ამერიკელ მონათა განმათავისუფლებლობით გამოწვეულ ბამბის კრიზისის დროს ინგლისში, ახალგაზრდა როსკიპთა რიცხვს გაცილებით უფრო ბევრი მოემატა, ვინემ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში*). მარა მშრომელი ელემენტების გარდა, პროსტიტუცია ხშირათ მაღალი პროფესიის ქალებსაც იმსხვერპლებს ხოლმე. ლომბროზო და ფერერო იმოწმებენ მასსეს**), რომელიც ლაპარაკობს პარიჟის შესახებ, რომ იქ მაღალი თუ დაბალი ხარისხის გუვერნანტკის დიპლომი—უფრო თვით-მკვლელობის, ქურდობის და როსკიპობის დიპლომია და არა რაიმე შემოსავლიანი ადგილის საშოვნელი.

პარან დიუშატლემ თავის დროზე შეკრიბა სტატისტიკური ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ 5183 როსკიპ ქალთაგან 1441 გაჭირვების გამო მისდევდა ამ ხელობას, 1255 ობოლი იყო და სხვა ცხოვრების საშუალება არ მოეძევებოდა, 86 იმიტომ ვაჭრობდა თავის სხეულით, რომ მშობლები ერჩინა, 1426 კი საყვარლებისაგან იყო თავ-დანებებული. 404 ქალი აფიცრებს და ჯარის-კაცებს შეეცდინათ და ჩამოეყვანათ პარიჟში, 289 იყო შინ-მოსამსახურე, ბატონისაგან შეცთენილი და გაგდებული, 289 გადასახლდა პარიჟში ლუკმა-პურის საშოვნელათ. თავისი სქესის ყველა დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა თავ-გამოდებული დამცველი მისტრის ბუტლერი ამბობს: „შემთხვევითმა გარემოებებმა: დედ-მამის სიკვდილმა, უმუშევრობამ, მცირე სამუშაო ქირამ, სიღარიბემ, ცრუ-

*) კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტომი I, გვ. 480.

**) Ibid. გვ. 458.

დაპირებამ, მოტყუებამ, შეცთენამ—აი, რამ მიიყვანა ისინი დაღუპვამდე". მეტად საგულისხმო ცნობები მოყავს კ. შნეიდტს თავის წაგნაკში („ბერლინელ კელნერ ქალთა უმწეო მდგომარეობა") იმ მიზეზების შესახებ, რომელთაც მიიყვანეს ისინი პროსტიტუციამდე. პირველათვე თვალში გეცემა ის გარემოება, რომ უმეტეს შემთხვევაში მოახლეთ ნამყოფი ქალები დგებიან კელნერებათ, ე. ი. იგივე როსკიპებათ. იმ პასუხთა შორის, რომელნიც შნეიდტმა მიიღო მათგან შეკითხვის ფურცლების საშუალებით, შეხვდებით ასეთ მიზეზების აღნიშვნას: „ჩემი ბატონისაგან შემეძინა ბავშვი და მოვალე ვარ ვარჩინო". სხვები აჩვენებენ: „იმიტომ, რომ ჩემი პასპორტი გამიფუჭეს". სხვები კიდევ: „იმიტომ, რომ პერანგების კერვით და სხვა ამგვარებით თავი ვერ ვირჩინე". ან: „ქარხნიდან დამითხოვეს და სამუშაო ველარ ვიშოვნე". ან კიდევ: „მამა მომიკვდა და 4 წვრილი და-ძმანი დამრჩენ, რომელთაც რჩენა უნდოდა". ცნობილია, რომ როსკიპთა უმრავლესობას **ბატონების მიერ** შეცთენილი მოახლეები შეადგენენ. აქიმ მაქს ტაუბეს თავის შრომაში („უკანონოთ შობილთა მფარველობა"), ბევრისგან ბევრი მაგალითები მოყავს იმის, როგორ შეუცთენიათ ბატონებს და მათ შვილებს მოახლე ქალები. მარა არც უმაღლესი კლასის ქალებია უზრუნველყოფილი პროსტიტუციისაგან და აქ ამის მიზეზია არა სიღარიბე, არამედ მოტყუება, ან სურვილი თავისუფალ ცხოვრების, მორთვა-მოკაზმვის და დროს ტარების. აი რას ვკითხულობთ ჩვენ ამის შესახებ ერთ თხზულებაში—„გარყვნილი ქალები და ზნეობის პოლიცია" *):

„თავზარი ეცემა ხოლმე პატივცემულ ბიურგერს, მღვდელს, დიდი თანამდებობის მოხელე, ან სამხედრო პირს და სხვ., როცა გაიგებენ, რომ მათი გასათხოვარი ქალი საიდუმლოთ ეძლევა გარყვნილებას **და რომ შესაძლებელი ყოფილიყო ყველა მათი სახელი და გვარის გამოქვეყნება, მაშინ ან სოციალური რევოლიუცია მოხდებოდა, ან და პატიოსნე-**

*) ბერლინი, 1889 წ. Wilh. Issleib (Gustav Schuhr).

ბასა და ზნეობაზე წარმოდგენა ხალხში ძირიანათ შეირ-ყეოდა“.

ამ წრეებიდან გამოდიან უმაღლესი ხარისხის როსკიპები. მსახიობ ქალთა უმრავლესობა, რომელთაც ჯამაგირი მარტო ტანთ-საცმელის საფასურათ არ ყოფნის, იძულებულია ამ უწ-მინდურ ხელობას მიმართოს*). ეს ითქმის იმ მრავალ ქალებზე-დაც, რომელნიც გამყიდველებათ არიან დაქირავებული. ძლი-ერ ბევრი მწარმოებლები იმდენათ სინდის-გარეცხილები არიან, რომ მცირე ხელფასის გასამართლებლათ „მეგობრების“ დახ-მარებაზე უთითებენ.

საცვლებისა და ტანისამოსის მკერავი, „მოდისტკები“ და ქარხანაში მომუშავენი, რომელთა რიცხვი ათი და ასი-ათასო-ბით ითვლება, ამგვარსავე მდგომარეობაში არიან. მწარმოებ-ლები და მათი მოსამსახურეები, ვაჭრები, მემამულეები და სხვ. ასეთები, ხშირათ ერთგვარ პრივილეგიათ სთვლიან მათთან მო-მუშავე ქალების და მოახლეების თავის ვნებათა-ღელვის დასა-კმაყოფილებელ საგნათ გადაქცევას. ჩვენი ღვთის-მოსავი კონ-სერვატორები ხშირათ გვითითებენ სოფლის ცხოვრების პირო-ბებზე, რომელნიც ზნეობის მხრივ რაღაც განსაკუთრებულ იდილიათ აქვთ დახატული დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებთან შედარებით. მარა ვინც იცნობს სოფელს, კარ-გათ ეცოდინება, რომ ეს ასე არ არის. ამას ამოწმებს ერთი მსხვილი მემამულის რეფერატიც 1889 წლის შემოდგომაზე წაკითხული, რომელზედაც საქსონიის გაზეთები შემდეგს მოგვი-თხრობენ:

„გრიმმა. ერთმა დიდმა მემამულე დოქტორმა—ფონ ვ. ვახტერმა სადიოცეზო კრებაზე, რომელიც აქ შედგა ამ დღე-ებში, საინტერესო რეფერატი წაიკითხა სქესობრივ უზნეო-ბაზე ჩვენი სოფლის თემებში და იქაური ურთიერთობა ლა-

*) აქიმი ფ. მერინგი თავის თხზულებაში—„კაპიტალი და მრეწველობა“ (ბერლინი. 1891 წ.), მოგვითხრობს, რომ ერთი მსახიობი ქალი, რომელიც ნიკს მოკლებული არ იყო, თვეში 100 მარკას იღებდა მაშინ, როდესაც მარტო ტან-საცმელისათვის არ ყოფნიდა თვეში 1000 მარკა. დეფიციტს „მეგობარის“ ჯიბე ფარავდა.

მაზ ფერადებით არ შეუზავებია. დიდის გულ-ახდილობით აღიარა რეფერენტმა, რომ ხშირათ **ბატონებს, ცოლ-შვილიანებსაც კი, საიდუმლო დამოკიდებულება** აქვთ თავიანთ მოსამსახურე ქალებთან, რის ნაყოფს ან **ფულით ფარავენ** ხოლმე, ან სპობენ ბოროტ-მოქმედების ჩადენით. სამწუხაროთ, არ შემიძლია დავფარო, რომ სოფლათ გარყვნილებას ხელს უწყობენ არა მარტო ქალაქში ნაძიძარი ქალები, რომელთაც იქ დაკარგეს ნამუსი და ჯარის-კაცათ ნამყოფი ახალგაზრდები, რომელნიც სამსახურში ყოფნის დროს ეჩვევიან გარყვნილებას, ამათთან ერთათ **გარყვნილება შემოაქვს სოფლათ განათლებულ წრეებს**, დიდ მამულების **გამგეებს** და სამხედრო პირებს აღლუმების დროს. დოქტორ ფონ-ვახტერის სიტყვით, **ძლიერ იშვიათია, რომ 17 წლის სოფლის გასათხოვარი ქალიშვილი უმანკო იყოს**". რეფერენტის გულწრფელობამ და პირდაპირობამ ის დაიმსახურა, რომ შეურაცხყოფილმა მხედრობამ მას ბოიკოტი გამოუცხადა. ასეთივე ბედი ეწვია პასტორ ვაგნერს პრიცერბეში, რომელმაც თავის თხზულებაში („ზნეობა სოფლათ"), მწარე სიმართლე უთხრა ბ-ნ მემამულეებს. როსკიპთა უმრავლესობა იმ ასაკიდან ვარდება უფსკრულში, როდესაც თითქმის შეუძლებელიცაა პასუხი მოსთხოვო მათ თავიანთ საქციელში. 1878—1887 წლებში, პარიჟში ფარულ პროსტიტუციისთვის დატუსაღებულთა შორის 12,615 უწლოვანო იყო, რაც 46,7% შეადგენდა; 1888—1898 წლებში მათი რიცხვი უდრიდა—14,072, ე. ი. 48,8%-ს. ასეთსავე მოკლე, მარა სამწუხარო სურათს იძლევა ლეპილორი პარიჟის როსკიპთა უმრავლესობის შესახებ: 16 წლის გახრწნილი ქალი 17 წლისა უკვე როსკიპია, 18 წლისა კი—ათაშანგით დამპალი. ბერლინში 1898 წელს სიაში შეტანილ 846 როსკიპთაგან 229 მცირე-წლოვანი იყო, სახელდობრ:

| | |
|---|---|
| 7—15 წლისა | 59—18 წლისა. |
| 21—16 „ | 49—19 „ |
| 33—17 „ | 66—20 „ *). |

*) ბ. ბეტმანი. ნაჩე. თხზ. გვ. 794.

1894 წელს ერთი დიდი სკანდალი დატრიალდა ბუდაპეშტში; გამოირკვა, რომ 400-მდე 12—15 წლის ქალიშვილი მდიდარ გარყვნილთა ბრბოს მსხვერპლი გამხდარიყო. ჩვენშიაც „მდიდარ და განათლებულ პირთა“ შვილებს, თავის უფლებათ მიაჩნიათ დაბალი წოდების ქალიშვილების შეცთენა და შემდეგ გაგდება. ცხოვრების პირობების უცოდინარი, გამოუცდელი, მეტ ნაწილათ უსიხარულოთ და უმეგობროთ აღზრდილი ხალხის შვილები, ადვილათ ებმიან მაცთურთა მახეში, როცა ისინი ტკბილი და მომხიბვლელი სიტყვებით უბნევენ მათ აზრსა და გონებას. ამას მოსდევს დაგვიანებული დარდი, სასოწარკვეთილება და ბოლოს დანაშაულის ჩადენა. 1907 წ. გერმანიაში დაბადებულ 2,060,973 ბავშვიდან 179,178 უკანონო იყო. ძნელი წარმოსადგენია, რამდენ ტანჯვას და გულის-ტრიალს გამოსცდიდენ მათი დედები ამ უკანონო შვილების გამო, თუნდა ისიც მივიღოთ სახეში, რომ მათ ნაწილს მამები იშვილებდენ. **მიტოვებულ ქალთა თვითმკვლელობის, ან ბავშვების მოკვლის მიზეზი ხშირათ მათი სილარიბე და გაჭირვებაა.** შვილის მკვლელობის პროცესები ამ მხრივ სამწუხარო და საგულისხმიერო სურათს გვიშლიან თვალწინ. 1894 წლის შემოდგომაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ კრემსში (ქვემო ავსტრია) **ჩამოლრჩობა გადაუწყვიტა** ახალგაზრდა ქალს, რომელიც მშობიარობის მერვე დღეს გამოისტუმრეს თურმე უგროშ-კაპეიკოთ თავის ბავშვიანა ვენის სამშობიარო სახლიდან და გამწარებულმა, სასო-დაკარგულმა მოკლა თავის ბავშვი. მისი გარყვნილი, საზიზღარი მამის შესახებ კი არავინ არაფერი იცოდა. 1899 წლის გაზაფხულზე ასეთი ცნობა მოვიდა **პოზნანიდან**: „ორშაბათს პოზნანის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაამართლა 22 წლის **მუშა ქალი კატერინა გორბაცკისა**, ქ. ალექსანდროვიდან ნეიშტადტის ახლო, რომელსაც ბავშვის მოკვლა ედებოდა ბრალათ. ბრალდებული 1897 და 1898 წლებში **კათოლიკე პრობსტ** (**დეკანოზი**) **მერკელთან მსახურობდა** ნეიშტადტში. მას კავშირი ქონდა პრობსტთან და წარსული წლის ივნისში ეყოლა დედ-

რობითი სქესის ბავშვი, რომელსაც ნათესავებთან ზრდიდა. პირველ ორ თვეს პრობსტი $7^1/_2$ მარკას აძლევდა, შემდეგში კი ყოველივე ხარჯის გაწევაზე უარი უთხრა, როგორც ამბობს თვით გორბაკისა. რადგან ბავშვისთვის ცალკე საცვლების რეცხა და ცალკე ზედმეტ ხარჯის გაწევა სჭირდებოდა, **მან გადასწყვიტა მისი თავიდან მოშორება.** და წარსული სექტემბრის ერთ კვირა დღეს **ბალიშით დაალრჩო იგი. ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავეთ იცვნეს ის წინათ განზრახულ, მარა მოუფიქრებელ მკვლელობის ჩადენაში სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებებით.** ბრალმდებელი უსასტიკეს სასჯელს—5 წლის ციხეს მოითხოვდა, მარა სასამართლომ მხოლოდ სამი წლის ციხე მიუსაჯა". მოტყუებული, უსინდისოთ მიტოვებული, უმწეო, შერცხვენილი და სასოწარკვეთილი ქალი ჰკლავს თავის სხეულის ნაყოფს, მას სამართალში აძლევენ და მაღაროებში, ან საღრჩობელაზე აგზავნიან. ნამდვილი, სინიდის დაკარგული მკვლელი კი დაუსჯელი რჩება; მან შეიძლება მალე ცოლიც მოიყვანოს „პატიოსანი, კეთილშობილი ოჯახიდან" და ყველასაგან პატივცემული და კეთილსათნოიანი პირი შეიქნეს. განა ცოტანი არიან ისეთები, რომელთაც ფეხით გაუთელიათ პატიოსნება, სინიდისი, ადამიანობა და ამავე დროს ყოველგვარ აღმატებით აღჟურვილნი დასეირნობენ არხეინათ? ქალს რომ უფლება ქონდეს მონაწილეობა მიიღოს კანონების შემუშავებაში, ბევრი რამ შეიცვლებოდა ამ მხრივ მათ სასარგებლოთ. თავისთავათ ცხადია, რომ ბევრი შვილის მკვლელობა არ აშკარავდება. 1899 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში, ფრანკენტალში რეინზე ერთ მოახლე ქალს ბრალს დებდენ იმაში, რომ მან რეინში დაალრჩო თავის ახლათ შობილი უკანონო ბავშვი. სასამართლომ ცნობები მოთხოვა პოლიციის სამმართველოებს, ლიუდვიგს ლაფენიდან დაწყებული ჰოლანდიის საზღვრებამდე—თუ ნახეთ სადმე ამა და ამ დროს განმავლობაში მდინარე რეინის ნაპირზე გამორიყული კვდარი ბავშვიო. ამ მოთხოვნას განსაცვიფრებელი შედეგი მოყვა: პოლიცია ატყობინებდა, რომ ხსენებულ

დროს განმავლობაში, მათ 38 დამღრჩვალი ბავშვის გვამი იპოვნეს, რომელთა დედები დღემდე გამოურკვეველი დარჩენ.

ყველაზე სასტიკათ, როგორც დავინახეთ, საფრანგეთის მთავრობა იქცევა, რომელიც უკრძალავს მამის ძებნას და სამაგიეროთ აარსებს „აღმზრდელ სახლებს". 1793 წლის კონვენტის დადგენილება ამბობს: „ბავშვის ფიზიკური და მორალური განვითარება—ერის საქმეა. დღეიდან მათ ეწოდებათ ობოლი. სხვა სახელწოდება მათ არ მოეპოვებათ". მამაკაცისათვის ეს მეტათ ხელსაყრელი იყო, რადგან ამ დღიდან ერთი მათგანის მოვალეობა ყველას ეკისრებოდა და მისი საქციელი ფარდა-აუხდელი რჩებოდა ცოლისა და საზოგადოების წინაშე. მოაწყვეს სახელმწიფო აღმზრდელი სახლები. ობოლთა და მიგდებულ ბავშვთა რიცხვი 1833 წელს 130,945 უდრიდა; ყოველი მეათე ბავშვი ითვლებოდა კანონიერ შვილათ, რომლის თავიდან მოცილება სურდათ მის მშობლებს. ბავშვებს არავითარი მოვლა არ ქონდათ და ამიტომ ბუზებივით იხოცებოდენ. ბავშვთა 59%, ე. ი. ნახევარზე მეტი ერთ წლამდე ვერ აღწევდა; მე-12-ე წლამდე იხოცებოდა 78%, ასე რომ, ყოველი ასიდან მხოლოდ 22 სძლებდა 12 წელზე მეტს. მე-60-ე წლების დასაწყისში არსებობდა უკვე 175 ბავშვთა თავშესაფარი. 1861 წელს ამათში მოიყვანეს 42,194 მიგდებული ბავშვი, 26,156—მშობლებისაგან მიტოვებული და 9716—ობოლი, სულ 78,066 ბავშვი; ესენი უნდა აღზრდილიყვენ საზოგადოების ხარჯზე. 1905 წელს იპოვნეს 3348 მიგდებული ბავშვი, მიტოვებულ ბავშვთა რიცხვი უდრიდა—84,271; საერთოთ საეჭვოა, რომ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ასეთ ბავშვების რიცხვი შემცირებულიყოს.

ავსტრიასა და იტალიაშიაც დაარსეს აღმზრდელი სახლები. „Ici on fait mourir les enfants" („აქ ხოცავენ ბავშვებს"), ასეთი წარწერა მოუხდება ამ სახლებსო, წინადადებას იძლეოდა თურმე ერთი მონარქი. ავსტრიაში ახლა თანდათან აუქმებენ ასეთ სახლებს და დღეს სულ 8 სახლია დარჩენილი, მათში 1890 წელს იმყოფებოდა 9000-ზე მეტი ბავშვი,

მათ გარეშე გაბარებული იყო 30,000-ზე მეტი. ამ ბავშვების შენახვა ჯდება 2 მილ. გულდენი. ამ უკანასკნელ დროს მათი რიცხვი რამდენიმეთ შემცირებულია. წინეთ კი, მაგალ. 1888 წელს ავსტრიასა და გალიციაში სახელმწიფო ზრდიდა 40,865 ბავშვს, ამათგან 10,466 აღმზრდელ სახლებში იყო მოთავსებული, 30,399 კი კერძო პირებზე იყო მიბარებული, რამაც 1,817,372 გულდენი ხარჯი მოითხოვა. სიკვდილი გაბარებულ ბავშვებში უფრო ხშირი იყო, ვინემ აღმზრდელ სახლებში, განსაკუთრებით გალიციაში; 1888 წელს გალიციის აღმზრდელ სახლებში 31,25% მეტი ბავშვი მოკვდა შედარებით, ვინემ სახელმწიფოს სხვა ადგილებში; კერძოთ გაბარებულთაგან კი 84,21% მოკვდა. ნამდვილი მასსიური ამოჟლეტაა. პოლონეთის შლიახტა თითქოს სცთილობს, რაც შეიძლება ჩქარა მოიცილოს თავიდან საბრალო პატარები.

მთელ იტალიაში 1894—1896 წლამდე აღსაზრდელათ გაბარებულ იქნა 118,531 ბავშვი, საშუალო რიცხვი წლიურათ შეადგენს 29,633-ს; ამათში 58,901 ვაჟია და 59,630 ქალი, ქორწინების გარეშე შობილი 113,141; კანონიერი 5390 (5% მხოლოდ). რამდენათ ძლიერი იყო სიკვდილი მათში, ეს სჩანს შემდეგი ნუსხიდან.

| | 1890—92 წ. | 1893—96 წ. | 1897 წ. |
|---|---|---|---|
| აღსაზრ. აყვან. იქნა | —91,549 | 109,899 | 26,661 |
| 1-ლ წელს გარდაიც. | —34,186 | 41,386 | 9,711 |
| ეს შეადგენს 100-ზე | — 37,3 | 37,6 | 36,4 |
| ქორწინ. გარეშე შობ. დაიხოც. იტალიაში | — 25% | 27,2% | 23,4% |
| კანონ. ბავშ. დაიხოც. | — 18% | 17,5% | 15,9% |

მარა ყველას გადააჭარბა სანტა ‘კაზა დელ-ანუნციატის თავშესაფარმა ნეაპოლში: აქ 1896 წელს 853 ძუძუ-მწოვარა ბავშვთაგან გარდაიცვალა 850. 1906 წელს ბავშვთა თავშესაფარში მიიღეს 18,896 ბავშვი. 1902—6 წლამდე ამ საბრა-

ლო პატარაებში 37,5% დაიხოცა, ე. ი. ერთ მესამედზე მეტი გამოესალმა წუთი სოფელს*).

ცნობილია, რომ ქორწინების გარეშე შობილთა შორის უფრო ხშირია სიკვდილი, ვინემ კანონიერ შვილებში. პრუსიის სტატისტიკით, 10,000 ცოცხალ დაბადებულთაგან გარდაიცვალა:

| | | 1881—1885 წ. | 1886—1890 წ. | 1891—1895 წ. | 1896—1900 წ. | 1904 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქორწინებაში შობილნი. | ქალაქში | 211 | 216 | 203 | 195 | 179 |
| | სოფელში | 186 | 187 | 187 | 185 | 172 |
| ქორწინების გარეშე შობ. | ქალაქში | 398 | 395 | 385 | 374 | 333 |
| | სოფელში | 319 | 332 | 336 | 336 | 306 |

„რომ როსკიპობა ხშირათ შედეგია მოახლე ქალთა სამწუხარო მდგომარეობის, ამის დამახასიათებელი და დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ 94,779 ქორწინების გარეშე შობილთაგან 1906 წ. განმავლობაში, ქალაქელ მოახლეებს ეკუთვნოდა 21,164 ბავშვი, სოფლელ მოახლეებს 18,869; ორივეს ერთათ 40,033, ე. ი. 42%. თუ ავიღებთ ერთათ სოფლის მოსამსახურეებს და სოფლის მუშა ქალებს—მათი მონაწილეობა ქორწინების გარეშე ბავშვთა შობაში უდრის 30%, მაშინ, როცა მრეწველობაში და ვაჭრობაში ჩაბმულნი იძლევიან მხოლოდ 14% (13,460)“ **).

ქორწინებაში და მის გარეშე შობილთა შორის დიდი განსხვავებაა სიკვდილის მხრივ, დაბადებიდან პირველი თვის განმავლობაში: ამ ხანში ქორწინების გარეშე შობილთაგან **სამჯერ მეტი** კვდება, ვინემ კანონიერებში. არა-წესიერი ორსულობისა და მშობიარობის დროს მოუვლელობა, უპატრო-

*) Handworterbuch. Der Staatswissensehaffen.

**) გ. მაიერი. ნაჩ. თხზ. გვ. 140.

ნობა—აი ამის უბრალო მიზეზები. ცნობილი „ანგელოზების შექმნა“ და ცუდი მოპყრობაც აძლიერებს ამ უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მკვდრათ დაბადებულთა რიცხვიც უკანონოებში მეტია, ალბათ იმიტომ, რომ ორსულობის დროსვე სცთილობენ მუცელში ჩაკლან ბავშვი. ამას უნდა ისიც დაუმატოთ, რომ ბავშვის მოკვლის ცნობები ყოველთვის არ აღწევს ჩვენამდი, რადგან მოკლულს ხშირათ მკვდრათ დაბადებულებათ აჩვენებენ ხოლმე. „ბავშვის მკვლელობის 205 შემთხვევას, რომელთაც სასამართლოს ყურამდე მიაღწიეს საფრანგეთში, უნდა დავუმატოთ კიდევ, ბერტელოს აზრით, 1500 ვითომდა მკვდრათ დაბადებული და 1400 განზრახ, შიმშილით მოკლული“ *).

1000 დაბადებულზე მკვდარი მოდის:

| ქვეყნები. | წლები. | ქორწინებ. დაბ. | ქორწ. გარეშე დაბადებულნი. |
|---|---|---|---|
| გერმანია . . . . . | 1891—1900 | 3,15 | 4,25 |
| პრუსია . . . . . | 1900—1902 | 3,02 | 4,41 |
| საქსონია . . . . . | 1891—1900 | 3,31 | 4,24 |
| ბერნი . . . . . | 1891—1900 | 2,98 | 3,61 |
| ვიურტემბერგი . . . | 1891—1900 | 3,30 | 3,48 |
| ბადენი . . . . . | 1891—1900 | 2,62 | 3,35 |
| ავსტრია . . . . . | 1891—1900 | 2,64 | 3,86 |
| შვეიცარია . . . . | 1897—1903 | 3,40 | 6,14 |
| საფრანგეთი . . . . | 1891—1895 | 4,40 | 7,54 |
| ნიდერლანდია . . . | 1891—1900 | 1,38 | 8,13 |
| დანია . . . . . | 1893—1894 | 2,40 | 3,20 |
| შვეცია . . . . . | 1891—1895 | 2,46 | 3,30 |
| ნორვეგია . . . . . | 1891—1900 | 2,47 | 4,06 |
| ფინლიანდია . . . . | 1891—1900 | 2,54 | 4,43 |
| იტალია . . . . . | 1891—1896 | 3,89 | 5,16**) |

*) Schnapper Arndt, ნაჩვ. თხზ. გვ. 181.

**) F. Prinzing. Die Ursachen der Totgeburten. 1907 წ. გვ. 43—44.

სიკვდილს გადარჩენილნი სამაგიეროს უხდიან საზოგადოებას ცუდი მოპყრობისთვის იმით, **რომ განსაცვიფრებლათ დიდ პროცენტს იძლევიან ყველა ჯურის ბოროტ-მომქმედებისას.**

## 5. დანაშაული ზნეობის წინააღმდეგ და სქესობრივი სნეულებანი.

მოკლეთ უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მეტათ გავრცელებულ ბოროტებას. ესაა წრეს-გადასული სქესობრივი სიამოვნება, რომელიც უფრო მავნებელია, ვინემ მისი დაკლება. ექსცესები ღუპავს ორგანიზმს. უღონობა, უშვილობა, ხერხემლის ტვინის დასუსტება, გონების სიჩლუნგე, სულიერი დაქვეითება და სხვა ავათმყოფობანი—აი ამის შედეგები. **ზომიერება** სქესობრივ დამოკიდებულებაშიაც ისეა საჭირო, როგორც სმა-ჭამაში და ადამიანის სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. მარა ზომიერების დაცვა დიდ სიძნელეს წარმოადგენს ახალგაზრდობისათვის, რომელსაც ყველაფერი თავზე საყრელი აქვს. ამიტომ არიან უმაღლეს წრეებში ბევრი „ახალგაზრდა მოხუცები". ახალგაზრდა და მოხუც გარყვნილთა რიცხვი ძლიერ დიდია და სქესობრივი სიამოვნებით მოყიჟებულნი, რაიმე განსაკუთრებულ გამაღიზიანებელ საშუალებას საჭიროებენ. იმათ გარდა, რომელთაც თანდაყოლილი აქვთ თავისივე სქესის სიყვარული, სხვებიც ბევრნი მისდევენ ბერძენთა ეპოქის არა-ბუნებრივობას. სქესობრივი კავშირი მამაკაცისა მამაკაცთან ბევრათ უფრო გავრცელებულია, ვიდრე ეს ზოგიერთებს გონია; პოლიციის ბიუროს ზოგიერთი საიდუმლო აქტები გასაოცარ ცნობებს შეიცავენ ამის შესახებ*). მარა ქალებ შორისაც იკიდებს ფეხს ძველი საბერძნეთის არა-ბუნებრივობა. ლესბიური სიყვარული, სადიზმი ძლიერ გავრცელე-

*) მოლტკეს, ლინარის და ელენბერგის პროცესებმა ბევრათ უფრო საშინელი სურათი გადაგვიშალეს თვალწინ, ვინემ მოველოდით. მათ დაგვანახვეს, რომ ასეთი ექსცესები მეტის-მეტათაა მოდებული მაღალ სფერებში, განსაკუთრებით სამხედრო პირებში და სასახლის კარზე.

ბულია პარიჟელ ქმრიან მანდილოსანთა შორის და, ტაკელის სიტყვით, პარიჟის არისტოკრატ მანდილოსანთა შორის უაღრეს განვითარებამდეა მისული. ამბობენ, რომ ბერლინში მთელ როსკიპთა $^1/_4$ ეძლევა ტრიბადიას და უმაღლეს წრის მანდილოსანთა შორისაც მრავალი მოწაფე ყავს საფოსო. მეორე არა-ბუნებრივი სქესობრივი დაკმაყოფილება გამოიხატება ბავშვების გახრწნაში, რაიცა ამ ბოლო წლების განმავლობაში საშინლათ გავრცელდა. გერმანიაში ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულობისთვის დაისაჯა:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1895 | წელს | — | — | 10,239 პირი. |
| 1905 | „ | — | — | 13,432 „ |
| 1906 | „ | — | — | 13,557 „ |

174 მუხლის ძალით (ბავშვების გახრწნა) დაისაჯა 1902 წელს—58. 1907 წ.—72; 176 მუხლის ძალით (14 წ. უხნესთა გახრწნა) დაისაჯა 1902 წელს—4090, 1906 წ.—4548, 1907 წ.—4397. იტალიაში ზნეობის წინააღმდეგ დანაშაულობათა რიცხვი იყო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1887 | წელს—4590 | ანუ | ასი-ათას მცხოვ.— | 19,44, |
| 1903 | „ —8461 | „ | „ „ | —25,67. |

ასეთი მოვლენა ემჩნევა ავსტრიაშიც. „დანაშაულთა ასეთი გამრავლება 1880 წლიდან 1890 წლამდე, სამართლიანათ ამბობს გ. ჰერცი, გვიჩვენებს, რომ ზნეობრივ გარყვნილების არა უკანასკნელ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ეკონომიური წყობილება, რომელიც აუარებელ ხალხს აღებინებს ხელს ქორწინებაზე და ერთი ადგილიდან მეორეში ერეკება“ *). „ლიბერალური პროფესიები“, რომელთაც ეკუთვნიან უმთავრესათ უმაღლეს კლასთა წარმომადგენელნი, გერმანიაში სისხლის დანაშაულობათა 5,6% იძლევიან; ბავშვთა გახრწნაში კი 13%-ს შეადგენენ. ეს შედარება უფრო დიდი იქნებოდა,

*) Hygo Herz. Berbrechen und Berbrechertum in Osterreich. გვ. 65, ტიუბინგენი, 1908 წ.

რომ მათ მრავალი საშუალება არ მოეპოვებოდესთ დანაშაულობის დასამალავათ. წარსულ საუკუნის მე-80-ე წლებში „Pall Mall Gazette"-ს გამოქვეყნებულმა ცნობებმა გვიჩვენა, თუ როგორ ბოროტ-მოქმედებენ ბავშვებით ინგლისში. საშინელებაა!

ვენერიულ ავათმყოფობაზე და მის გაძლიერებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ციფრები, რომელთაც გვაძლევს გერმანიის საავათმყოფოები. ამ საავათმყოფოებში იყვენ ავათმყოფები:

| წლები: | სუსუნატით. | ათაშანგით. |
|---|---|---|
| 1877—1879 | 23,344 | 67,750 |
| 1880—1872 | 28,700 | 79,220 |
| 1883—1885 | 30,038 | 65,980 |
| 1886—1888 | 32,275 | 53,664 |
| 1889—1891 | 41,381 | 60,793 |
| 1892—1894 | 50,541 | 78,093 |
| 1895—1897 | 53,587 | 74,092 |
| 1898—1901 | 83,374 | 101,225 |
| 1902—1904 | 68,350 | 76,678 |

თუ დასნეულების წლიურ საშუალო რიცხვს ვიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ 25 წლის განმავლობაში სუსუნატით სნეულთა საშუალო რიცხვი 7781-დან 22,750-მდე ასულა; ათაშანგის კი—22,583-დან 25,559-მდე. მცხოვრებთა რიცხვს მოემატა ამ ხანაში 25%; სუსუნატიანებს 182%, ათაშანგიანებს 19%.

ჩვენ გვაქვს აგრეთვე სტატისტიკური მასალა, რომელიც ეხება არა წლებს, არამედ ერთ დღეს. ეს მასალა გვიჩვენებს, რამდენი სუსუნატიანი, ათაშანგიანი და რბილ-შანკირიანი ავათმყოფი ყავდათ აქიმებს 1900 წლის 30 აპრილს. ეს ცნობები შეგროვდა სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით. შეკითხვის ფურცლები დაურიგდათ პრუსიის ყველა აქიმებს; ამათგან, მართალია, მხოლოდ 63,5%-მა გამოგზავნა პასუხი,

მარა მათი პასუხებიდანაც სჩანს, რომ 1900 წლის 30 აპრილს პრუსიაში ყოფილა დაახლოვებით 41,000 ვენერიული სენით ავათმყოფი. ამათში 11.000 ახალ-დამართებული ქონიათ სენი. მარტო ბერლინში ამ დღეს 11,600 კაცი ყოფილა ავი სენით შეპყრობილი, ამათში 3000 ახლათ ათამანგ შეყრილი.

100,000 წლოვან ადამიანთაგან სააქიმოთ დადიოდა:

| | კაცი. | ქალი. |
|---|---|---|
| ბერლინში — — — — — | 1419 | 457. |
| 17 ქალაქში, სადაც 100,000 მეტი მცხოვ. — | 999 | 279 |
| 42 „ „ 30,000—100,000 „ — | 584 | 176 |
| 47 „ „ 30,000 ნაკლებია — | 450 | 169 |
| დანარჩენ ქალაქ. და სოფ. საზოგადოებებში — | 80 | 27 |
| სულ გერმანიაში — | 282 | 92 |

ცალ-ცალკე ქალაქებს თუ ავიღებთ, ვნახავთ, რომ ეს სენი უფრო გავრცელებულია დიდი წყლის ნაპირებზე, იქ, სადაც უმაღლესი სასწავლებლებია, სადაც ჯარი სდგას, ან სადაც მრეწველობა და ვაჭრობაა განვითარებული (კენიგსბერგში 100,000 მცხოვრებლებზე ავი სენით შეპყრობილი იყო 2152 მამაკაცი და 619 დედაკაცი, კელნში—139 კაცი და 402 ქალი, ფრანქფურტში მაინზე 1505 კ. და 399 ქ.).

რაც შეეხება ბერლინს, ბლაშკო ფიქრობს, რომ ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც არის ბერლინი, ყოველ წლობით 1000 სულ 20—30 წლის ახალგაზრდა მამაკაცზე თითქმის 200, ე. ი მეხუთედი ნაწილი სუსუნატით არის შეპყრობილი და დაახლოვებით 24—სიფილისით. ის ხანი, რომლის განმავლობაშიც მამაკაცთა ახალგაზრდობა ამ გადამდები სენის მსხვერპლი ხდება, საერთოთ წელიწადზე მეტია. ზოგიერთ ჯგუფებში ის უდრის 5 წელიწადს, ზოგში 10-ს და მეტსაც. ამნაირათ, ერთი ახალგაზრდა კაცი ხუთი წლის განმავლობაში, ერთჯერ ხდება ავათ სუსუნატით, 10 წელიწადში კი ორჯერ. 4—5 წლის შემდეგ ათში ერთი და 8—10 წლის შემდეგ ხუთში ერთი ახალგაზრდა მამაკაცი სიფილისის მსხვერპლი

ხდება. სხვანაირათ რომ ვთქვათ, იმ მამაკაცებში, რომლებიც 30 წლის შემდეგ ეკიდებიან ცოლ-ქმრობას, თითოს ორჯერ ქონია სუსუნატი, ოთხში ან ხუთში ერთი სიფილისით ყოფილა შეპყრობილი. ასეთია სიფრთხილით შედგენილი და აქიმებისაგან გადმოცემული ციფრები. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ აქიმების წინაშე ასეთი ავათმყოფები საიდუმლოთ აღიარებენ ხოლმე თავის უბედურებას. ამ ციფრებში, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული არა იქნება-რა. 1900 წლის 30 აპრილის ანკეტისაგან (შეკითხვა) გამოყვანილ დასკვნებს ამტკიცებს სამხედრო აქიმი შვეინინგი თავის ვრცელ თხზულებაში, რომელიც ეხება პრუსიის ჯარს. ეს თხზულება გამოვიდა 1907 წელს*).

ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილები დარიგებულია პროვინციებში, თვითეულ ამ ნაწილში ავათმყოფების რაოდენობა ისეთივეა, როგორც ზემოთ-მოყვანილი სტატისტიკა გვიჩვენებს. მარა ზოგიერთ ნაწილებში ეს რაოდენობა უმაღლეს წერტილამდის არის ასული. ასეთია, მაგალ. მესამე ნაწილი ამ ჯარის, რომელიც ბრანდებურგში არის მოკრებილი. ბერლინიც უნდა ჩაითვალოს გადამდები სენის უმთავრეს ბუდეთ; აქედან გამოდის ავათმყოფთა 2 პროცენტი. მეცხრე ნაწილში ბერლინის ადგილი უპირავს ჰამბურგს, მეთორმეტეში—დრეზდენს, მეთვრამეტეში—ლეიპციგს.

შვეინინგს გამოანგარიშებული აქვს აგრეთვე, რამდენი პროცენტია ვენერიული სენით შეპყრობილი ცალ-ცალკე ოლქებში. ეს ანგარიში კიდევ უფრო ნათლათ გვიჩვენებს, თუ როგორ არის გავრცელებული ავათმყოფობა მოქალაქეთა რაოდენობასთან შედარებით.

1000 სულზე ვენერიული სენით შეპყრობილი იყო:

| | 1903 წ. | 1904 წ. | 1905 წ. |
|---|---|---|---|
| ბერლინში — — — | 40,9 | 37,2 | 45,2 |
| 27 ქალაქში, 100,000-ზე მეტი მცხოვრებით— — | 14,9 | 16,7 | 15,8 |

*) General oberartst Professor Dr. Schumburg die geschlechtkramkheiten. Leipzig 1909 წ.

| | 1903 წ. | 1904 წ. | 1905 წ. |
|---|---|---|---|
| 26 ქალ., 50,000—100,000 მცხოვრებით — — | 11,6 | 9,6 | 9,5 |
| 33 ქალ., 25,000—50,000 მცხოვრებით — — | 8,2 | 6,8 | 9,1 |
| ქალაქები, სადაც მცხოვ. რიც. 25,000 ნაკ. და სოფ. საზ.— | 4,3 | 5,0 | 4,0 |
| სახელმწიფოში საერთოთ — | 7,6 | 8,1 | 7,8 |

პირველი ადგილი უჭირავს შონებერგს. აქ 58,4% ავათმყოფია 1000 ჯარის-კაცზე. ავიღოთ პრუსიის გარეშე ქალაქები—გამბურგში 1000 ჯარის-კაცზე—29,8% არის ავათ; ლეიპციგში—29,4, დრეზდენში—19, ხემნიცში—17,8, მიუნხენში—16,4.

გ. მეირის გამოკვლევით, ვენერიული ავათმყოფობა მატულობს ყოველ წელიწადს და ეს შემდეგ ციფრებში გამოიხატება. 1000 სულზე 1903—4 წელს:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პრუსიაში | ემატება | —19,6% | ვენერ. | ავათმყოფი. |
| ავსტრო-უნგრ. | „ | —60,3 „ | „ | „ |
| საფრანგეთში | „ | —27,1 „ | „ | „ |
| იტალიაში | „ | —85,2 „ | „ | „ |
| ინგლისში | „ | —125 „ | „ | „ |
| ბელგიაში | „ | —28,3 „ | „ | „ |
| ნიდერლანდიაში | „ | —31,4 „ | „ | „ |
| რუსეთში | „ | —40,5 „ | „ | „ |
| დანიაში | „ | —45 „ | „ | „ |

შესანიშნავათ მატულობს ეს გადამდები სენი ზღვის ჯარში. 1905—6 წელს 1000 სულზე ავათ იყო:

| | | |
|---|---|---|
| გერმანიის ჯარში | საზღვარ-გარეთის გემებზე— | 113,6 |
| | შინაურ მდინარეებზე — | 58,8 |
| | სოფლათ — — | 57,8 |

ინგლისის ჯარში 1905 წ. ირიცხებოდა 121,55 ავათ-მყოფი; 1906 წ.—121,94. აქედან სჩანს, რამდენათ ედება საზოგადოებას დღევანდელი წეს-წყობილებისგან გამოწვეული გარყვნილება, გათახსირება, ათასგვარი სენი და სხვა-და-სხვა სახის დანაშაულობა. შეწუხებულ მდგომარეობაშია მთელი საზოგადოება და ყველაზე მეტათ დედაკაცები იტანჯებიან.

ეს უკანასკნელები გრძნობენ ამას და ეძებენ გამოსავალს. პირველათ ისინი მოითხოვენ ეკონომიურ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ქალს მამაკაცთან თანაბრათ უნდა გაეხსნას სამოქმედო ასპარეზი ყველა იმ სფერებში, რომელნიც მის ძალას და ნიჭს შეეფერებიან; განსაკუთრებით მოითხოვენ ეგრეთ წოდებულ ლიბერალურ პროფესიებში დაშვებას. მერე საფუძვლიანია მათი ასეთი მოთხოვნა? შესაძლებელია თუ არა ყოველივე ამის განხორციელება? და გამოიყვანს კი ეს დედაკაცს დღევანდელი მდგომარეობიდან?—აი კითხვები, რომელნიც გადაჭრილ პასუხს მოითხოვენ.

## თავი XIII.

## დედაკაცი მრეწველობაში.

### 1. ქალთა შრომის განვითარება და გაფართოვება.

დედაკაცი ცდილობს საკუთარი შრომით თავის რჩენას, ის პირად დამოუკიდებლობას ეძებს. ამ მოძრაობას რამდენიმეთ თანაუგრძნობს ბურჟუაზიული საზოგადოება; თანაუგრძნობს ისე, როგორც მუშათა მისწრაფებას მისვლა-მოსვლის თავისუფლებისადმი. ამის მთავარი მიზეზი ბურჟუაზიის კლასიურ ინტერესებში უნდა ვეძიოთ. მისთვის საჭიროა სრული განთავისუფლება დედაკაცის და მამაკაცის მუშა ხელის, რომ წარმოება განვითარების უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს. მანქანები და ტეხნიკა უმჯობესდება, შრომის პროცესი თანდათან ქუცმაცდება წვრილ-წვრილ ნაწილებათ და სულ მცირე

ტეხნიკურ ძალას და ცოტაოდენ ხელის გაჩვევას თხოულობს. მეორე მხრით ძლიერდება კონკურენცია მრეწველთა შორის, ჩაღდება ბრძოლა სამრეწველო ოლქებსა და მთელი მსოფლიოს ქვეყნებ შორის; ამასთან ერთათ იზრდება ქალის სამუშაო ძალის მოთხოვნილება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოთ ის სპეციალური მიზეზები, რომელნიც იწვევენ ქალთა შრომის თანდათანობით გაძლიერებას სხვა-და-სხვა საწარმოო დარგებში. მამაკაცის გვერდით, ან უკეთ მის ადგილას, ქალი ადვილათ შოულობს სამუშაოს, რადგან მისი ნივთიერი მოთხოვნილებები მცირეა მამაკაცთან შედარებით. თვით მისი ბუნება, როგორც სქესობრივი არსებისა, აიძულებს მას უფრო იაფათ მიაწოდოს მრეწველს თავის ძალა. საშუალო რიცხვით, ის უფრო ხშირათ განიცდის ფიზიკურ დასუსტებას, ვინემ მამაკაცი, ეს იწვევს მუშაობის ხშირათ შეწყვეტას და ამას კი შრომის ორგანიზაციის თანამედროვე პირობებში, ხშირათ მთელი წარმოების შეჩერება მოსდევს. ორსულობა და მშობიარობა ახანგრძლივებენ ასეთ შეწყვეტას *). მწარმოებელი სარგებლობს ამ შემთხვევით და აქედან წარმომდგარ ყოველგვარ **უსიამოვნებას** და წარმოების წესიერ მსვლელობის დარღვევას **სავსებით ინაზღაურებს მისი ხელფასის შემცირებით**. ამას გარდა, ქალი უფრო მიჯაჭვულია იმ ადგილზე და ახლო-მახლო არეზე, სადაც ცხოვრობს, ვინემ მამაკაცი; უმეტეს შემთხვევაში მას არ ეადვილება, როგორც მამაკაცს, ადგილის გამოცვლა. ამას გარდა, ქალების შრომა, განსაკუთრებით გათხოვილ ქალების, როგორც ეს სჩანს „კაპიტალის“ ზემო-მოყვანილ ამონაწერიდან, სხვა მხრივაც გამოსადეგია მწარმოებლისთვის. მუშაობაში გათხოვილი ქალი „უფრო გულ-დადებული და საზრიანია“, ვინემ გაუთხოვარი. შვილების გამოკვებაზე ზრუნვა აიძულებს მას მთელი

*) საფაბრიკო ინსპექტორის შულერის ცნობებით, თვითეულ ქალზე, რომელიც საავათმყოფო კასის წევრათ ითვლება, მოდის წლიურათ 7,17 ავათმყოფობით გაცდენილი დღე, მამაკაცზე კი—4,78. ავათმყოფობის ხანგრძლივობა თვითეულ შემთხვევაში ულრის საშუალოთ: ქალის—24,8 დღეს, კაცის—21,2 დღეს. Schwarz Die Folgen etc. 1904 წ.

თავის ძალღონე შეალიოს შრომას, რომ საარსებო ლუკმა არ დაკარგოს და ამიტომ იგი ხშირათ ბევრ ისეთ რამეს იტანს, რასაც გაუთხოვარი ქალი და მით უმეტეს მუშა მამაკაცი არ მოითმენს. საერთოთ, მუშა ქალი დღესაც იშვიათათ ბედავს თავის ამხანაგ მამაკაცებთან შეერთებას გაუმჯობესებულ სამუშაო პირობების მოსაპოვებლათ. და ეს უმატებს მას ფასს მწარმოებელის თვალში: ის ხშირათ საუკეთესო საშუალებაა მწარმოებელის ხელში ურჩ მამაკაც მუშების დასაოკებლათ. ამას გარდა, ის უფრო გულ-მოდგინეა, უფრო მოქნილი თითები აქვს, მისი გემოვნება უფრო განვითარებულია; საერთოთ, ის ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისებით არის შემკული, რომელიც მამაკაცს არ მოეპოვება და რომელიც წარმოებაში ძლიერ გამოსადეგია.

გულ-მოწყალე კაპიტალისტმა ძალიან კარგათ იცის ქალის ამგვარი თვისებების ფასი და ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ მრეწველობის განვითარებასთან ერთათ, ყოველ წლიურათ ფართოვდება მუშა ქალის სამოქმედო ასპარეზი წარმოებაში. მაგრამ ისიც საყურადღებოა, **რომ ამით იგი ცოტაოდნავაც ვერ იუმჯობესებს თავის სოციალურ მდგომარეობას.** ქალთა მუშა ძალის ხმარება წარმოებაში არა იშვიათათ ანთავისუფლებს მუშა მამაკაცებს სამუშაოსაგან; მარა გამოდეევნილ მამაკაცს ცხოვრება უნდა და ის იძულებული ხდება ნაკლებ ხელფასში შეაძლიოს კაპიტალისტს თავის შრომა; ეს გარემოება თავის მხრივ ამცირებს მუშა ქალის ხელფასსაც. ამნაირათ, სამუშაო ხელფასის შემცირება ჭახრაკივით ტრიალებს და თავ-ქვე მიექანება, ამას ხელს უწყობს და ამოძრავებს შრომის პროცესის ტეხნიკური განვითარება, განსაკუთრებით იმით, რომ იგი ამ ნაკლებ მუშა ძალას თხოულობს და ასე ათავისუფლებს წარმოებიდან მუშა ქალებსაც, რის გამო მუშა ხელის მიწოდება თანდათან ძლიერდება; ახალ სამრეწველო დარგების აღორძინება რამდენიმეთ ებრძვის, ასუსტებს შედარებით ზედმეტ მუშა ხელის გაჩენას, მარა ეს საკმარისი არაა იმისთვის, რომ დიდი ხნით გააუმჯობესოს შრომის პირობები. მრეწვე-

ლობის ისეთ დარგებშიაც, როგორც მაგალ. ელექტრო-ტეხ-ნიკურში, მამაკაცების მაგიერ ქალები მუშაობენ. ყველა ფაბ-რიკებში, სადაც პატარა მოტორი მუშაობს და რომელნიც ელექ-ტრო-ტეხნიკურ საზოგადოების უწყებაში იმყოფებიან, უმეტეს ნაწილათ ქალიშვილები მუშაობენ. სამუშაო ხელფასის ერთ-გვარ ზომაზე აცილება აიძულებს მწარმოებელს თავის მანქა-ნების გაუმჯობესებაზე ზრუნვას შეუდგეს, რომ ნებას მოკლე-ბული, უსულო ავტომატი აამოქმედოს ადამიანის ხელებისა და გონების მაგიერ. კაპიტალისტურ წარმოების დასაწყისში მამა-კაცი მუშა უპირდაპირდებოდა თითქმის მხოლოდ მამაკაც მუ-შას, დღეს კი ერთი სქესის წინააღმდეგ გამოდის მეორე სქესი და ერთი ასაკის წინააღმდეგ მეორე ასაკი. ქალი სდევნის მა-მაკაცს, ბავშვები და მოზარდნი კი სდევნიან ქალის შრომას. აი მთელი ზნეობრივი წესრიგი თანამედროვე მრეწველობის.

ასეთი მდგომარეობა ბოლოს და ბოლოს სრულიად აუ-ტანელი შეიქნებოდა, რომ მუშათა კავშირები არ არსებობდენ და თავის მძლავრი ორგანიზაციებით არ ილაშქრებდენ ამის წინააღმდეგ. ასეთ კავშირებში თავის შეფარება განსაკუთრე-ბით საჭიროა მუშა ქალისათვის, რადგან მას კერძოთ უფრო ნაკლები წინააღმდეგობა და ბრძოლა შეუძლია შრომის სას-ტიკ პირობებთან, ვინემ მამაკაცს. მუშა ქალები თანდათან იგნებენ ამას. მუშათა ღია პროფესიონალურ ორგანიზაციებში შედიოდენ გერმანიაში: 1892 წელს—4355 ქალი, 1899 წ. —19,280, 1900 წ.—22,884, 1905 წ.—74,411, 1907 წ. —136,929, 1908 წ.—138,443 *). 1892 წ. მუშა ქალების რიცხვი კავშირში შეადგენდა 1,8 პროცენტს, 1908 წ. კი— 7,6 პროც.; როგორც საერთაშორისო ანგარიშიდან სჩანს, მუშათა პროფესიონალურ კავშირებში ქალთა რიცხვი უდრი-და ინგლისში—201,709-ს, საფრანგეთში—88,806, ავსტრი-აში—46,401.

მწარმოებლებს უნდათ სამუშაო დღე გააგრძელონ და ამით ზედმეტი ღირებულება ბლომათ გამოსწუწნონ თავიანთ

*) ყველა გერმანულ პროფ. კავშირ. მათი რიცხვი უდრის—168,111 სულს.

მუშებს, ეს სურვილი ადვილი განსახორციელებელი ხდება, რადგან დედაკაცები სუსტ წინააღმდეგობას უწევენ მათ. ამით აიხსნება, რომ მაგალ. საქსოვ მრეწველობაში, სადაც მომუშავეთა ნახევარზე ბევრათ მეტს ქალები შეადგენენ, სამუშაო **ღღე ყველგან უფრო გრძელია**, ვინემ სხვა დარგებში. ამიტომ, სწორეთ აქ იყო ყველაზე უფრო საჭირო სახელმწიფო მფარველობა და სამუშაო ღღის კანონმდებლობითი გზით შემოკლება. ოჯახში მუშაობამ შეაჩვია დედაკაცი განუსაზღვრელ შრომას და ამიტომ დამქირავებელიც გადამეტებულ მოთხოვნილებებს უყენებს მას.

სხვა სამრეწველო დარგებში, მაგალ. „მოდისტკები", ხელოვნურ ყვავილების მკეთებლები და სხვ. [1]), თვითონ ამცირებენ თავის ხელფასს და სამუშაო დროსაც თვითონვე იგრძელებენ: შინ მოაქვთ ხოლმე ზედმეტი სამუშაო და ვერ ამჩნევენ, რომ ამით თავის თავს კონკურენციას უწევენ; ნებაყოფლობითი 16 საათის შრომით ისინი იმაზე მეტ ხელფასს მაინც ვერ იღებენ, რამდენსაც დაკანონებულ 10 საათის მუშაობაში აიღებდენ[2]).

რამდენათ გავრცელებულია ქალთა შრომა სხვა-და-სხვა კულტურულ ქვეყნების მრეწველობაში, ამას გვიხასიათებს აქ მოყვანილი ცხრილი, სადაც აღნიშნულია, თუ რამდენი მცხოვრებია საერთოთ მხარეში და ამათში რამდენი პროცენტი ქალი და კაცია ჩაბმული წარმოებაში[3]).

---

[1]) განსაკუთრებით ეს ხდება კომფეტების წარმოებაში, ხდება სხვა ფაბრიკებშიაც, მაგალ. ზინებერგის სათამაშოების ფაბრიკაში. R. Wilbrondt. Arbeitezunon Schutz und Heimarbeit j 84 იენა 1906 წ.

[2]) ამ მხრივ მუშა ქალთა მფარველი კანონი, რომელიც ციურიხის კანტონის მცხოვრებლებმა მიიღეს 1894 წელს 45.909 ხმით 12,531 ხმის წინააღმდეგ, საუცხოო დადგენილებებს შეიცავს. ის უკრძალავს მუშა ქალს შინ საჭუშაოს წაღებას იმ სახელოსნოდან, სადაც ის მუშაობს. წინააღმდეგ შემთხვევაში დასჯას ემუქრება. ეს კანონი საერთოთ ყველა სხვა არსებულ კანონებზე უკეთ იცავს მუშა ქალს. ის ადგენს აგრეთვე, რომ კანონით განსაზღვრულ ზედმეტ მუშაობისათვის 25 პროც. მეტი ხელფასი ეძლეოდეს მათ; ეს საუკეთესო საშუალებაა ზედმეტი მუშაობის ბოროტათ სარგებლობის ამოსაკვეთათ.

[3]) Handwörterbuch der Staatswissenschaften. 2 Band. 2 Auflage.

## დედაკაცთა შრომის განვითარება და გაფართოება მრეწველობაში.

| ქვეყნები. | წელი | მცხოვრ. რაოდენობა. | | | მრეწველ. ცხოვრობენ. | | | ამათი პროცენტული დამოკიდებულება. | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მამაკ. | დედაკ. | სულ. | მამაკ. | დედაკ. | სულ. | მამაკაცთა | დედაკაცთ. | და საერთოთ მცხოვრებთა რაოდენობასთან |
| გერმანია . . . . | 1907 | 3461100 | 31259429 | 61720529 | 18599236 | 9492881 | 28092117 | 61,1 | 30,4 | 45,5 |
| ავსტრია . . . . | 1900 | 12852693 | 13298015 | 26150708 | 8257294 | 5850158 | 14107452 | 64,2 | 44,0 | 53,9 |
| პუნგრეთი . . . . | 1900 | 9582152 | 9672407 | 19254559 | 6162298 | 2668697 | 8830995 | 64,3 | 27,6 | 45,9 |
| რუსეთი . . . . | 1897 | 62477348 | 63162673 | 125640021 | 25995237 | 5276112 | 31271349 | 41,6 | 8,4 | 24,9 |
| იტალია . . . . | 1901 | 16155130 | 16320123 | 32475253 | 10488462 | 5284064 | 16272526 | 68,0 | 32,4 | 50,1 |
| შვეცია . . . . | 1900 | 1627025 | 1688418 | 3315443 | 1057817 | 498760 | 1556577 | 65,0 | 29,5 | 46,9 |
| საფრანგეთი . . . | 1901 | 18916889 | 19533899 | 38450788 | 12910565 | 6804510 | 19715075 | 68,2 | 34,8 | 51.3 |
| ბელგია . . . . | 1900 | 3324834 | 3368714 | 6693548 | 2123072 | 948229 | 3071301 | 63,8 | 28,1 | 45,9 |
| ნიდერლანდია . . . | 1899 | 2520603 | 2583535 | 5104138 | 1497159 | 433548 | 1930707 | 59,4 | 16,8 | 37,8 |
| დანია . . . . | 1901 | 1193448 | 1256091 | 2449540 | 752559 | 353980 | 1106539 | 63,1 | 28,2 | 45,2 |
| შვეცია . . . . | 1900 | 2506436 | 2630005 | 5136441 | 1422979 | 551021 | 1974000 | 56,8 | 21,0 | 38,4 |
| ნორვეგია . . . . | 1900 | 1066695 | 1154784 | 2221477 | 599057 | 277613 | 876670 | 56,1 | 24,0 | 39,5 |
| ინგლისი და უელსი . . | 1901 | 15728613 | 16799230 | 32527843 | 10156976 | 4171451 | 14328727 | 64,6 | 24,8 | 44,1 |
| შოტლანდია . . . | 1901 | 2173775 | 2298348 | 4472103 | 1391188 | 591624 | 1982812 | 64,0 | 25,8 | 44,3 |
| ირლანდია . . . | 1901 | 2200040 | 2258735 | 4458775 | 1413943 | 549874 | 1963817 | 64,3 | 24,3 | 44,0 |
| დიდი ბრიტანეთი და ირლანდია. | 1901 | 20102408 | 21356313 | 41458721 | 12912107 | 5313249 | 18275356 | 64,5 | 24,9 | 44,1 |
| შეერთებულ შტატებში . . | 1900 | 39059242 | 372244145 | 76303387 | 23956115 | 5329807 | 29285902 | 61,3 | 14,3 | 38,4 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ მრეწველობაში მომუშავე ქალთა რიცხვი საკმაოთ მნიშვნელოვან პროცენტს წარმოადგენს მცხოვრებლებისას. ავსტრიასა, საფრანგეთსა და იტალიაში ეს პროცენტი ყველაზე მაღალია, რაც სტატისტიკური გამოანგარიშების წესით აიხსნება, განსაკუთრებით ავსტრიასა და იტალიაში; სახელდობრ მით, რომ ამ ქვეყნების ანგარიშში შეტანილია არა მარტო ის ქალები, რომლებიც უმთავრეს წარმოების დარგებში მუშაობენ, არამედ ისინიც, რომლებიც დამატებით წარმოებაში იღებენ მონაწილეობას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალთა პროცენტი ყველაზე მცირეა. მარა საყურადღებოა აგრეთვე შევადაროთ სამრეწველო მცხოვრებლების ზრდა წინა ხანებში. ავიღოთ გერმანია:

| ქალები | მცხოვრებთა რაოდენობა. | | მრეწველობაში ირიცხება. | | ამათი პროცენტული დამოკიდებულება. | | 100 მომუშავეზე მრეწველობაში იყო: | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მამაკაცი | დედაკაცი. | მამაკაცი | დედაკაცი. | მამრ. სქ. მცხოვრ. | დედ. სქ. დედ. | მამრ. სქ. | დედ. სქ. |
| 1882 | 22150749 | 2371364 | 13415415 | 5541517 | 60,57 | 24,02 | 71,24 | 28,76 |
| 1895 | 25409161 | 26361123 | 15531841 | 6578350 | 61,13 | 24,96 | 70,25 | 29,75 |
| 1907 | 30461100 | 31259429 | 18599236 | 9492881 | 61,06 | 30,37 | 66,21 | 33,79 |

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ სამრეწველო პირთა რიცხვი უფრო სწრაფათ იზრდება, ვინემ მცხოვრებთა რიცხვი და ეს იმიტომ, რომ მუშა ქალები ეტანებიან მრეწველობას და რომ მრეწველობაში მამაკაცთა რიცხვი თითქმის უცვლელათ რჩება მაშინ, როდესაც ასეთ ქალთა რიცხვი იზრდება, როგორც შედარებით, ისე აბსოლიუტურათ; ბოლოს ამავე ცხრილიდან სჩანს, რომ ქალთა შრომა, რაც დრო გადის, იმდენათ მეტ მუშა მამაკაცს აძევებს სამუშაოდან.

გერმანიაში 1882—1895 წლამდე, საერთოთ მრეწველობაში მყოფთა რიცხვი გაიზარდა 16,6 პროცენტით, 1895—

1907 წლამდე კი—19,34 პროც.; სახელდობრ ცალკე აღებულ მამაკაცების რიცხვმა იმატა 1882—1895 წლამდე 15,8 პროც., ქალებისამ კი—18,7 პროც.; 1895—1907 წლამდე 44,14 პროცენტით. საერთოთ მცხოვრებთა რიცხვს 1882—1895 წლების განმავლობაში მოემატა 19,8 პროც., 1895—1907 წლამდე კი—19,34 პროცენტი. ასე რომ მრეწველობით მცხოვრებთა რიცხვი საერთოთ გაიზარდა, მარა მრეწველობაში ჩაბმულ მამაკაცთა რიცხვს არ მოუმატია. ქალთა რიცხვი კი ძლიერ გაიზარდა. ერთიც და მეორეც იმას გვეუბნება, რომ არსებობისათვის ბრძოლა დღეს უფრო გამწვავებულია და მეტ ძალას და უნარს თხოულობს, ვინემ წინეთ.

1882—1895 წლამდე და 1895—1907 წლამდე, გერმანიის მცხოვრებთა რიცხვს მოემატა (+) ან მოაკლდა (—).

მრეწველობაში ჩაბმული პირები.

1882 წლიდან 1895 წლამდე:

| | | | |
|---|---|---|---|
| დედრობითი სქესი | +1,005,529 | =23,60% |
| მამრობითი „ | +2,133,577 | =15,95 „ |
| ქალები მოსამსახურე | + 31,543 | = 2,46 „ |
| კაცები „ | — 17,151 | =40,35 „ |

1895 წლიდან 1907 წლამდე:

| | | |
|---|---|---|
| დედრობითი სქესი | +2,979,105 | =56,59% |
| მამრობითი „ | +3,077,382 | =19,85 „ |
| ქალები მოსამსახურე | — 64,574 | = 4,91 „ |
| კაცები „ | — 9,987 | =39,38 „ |

შემდეგი წლების განმავლობაში მრეწველობაში იყო:

| | | დედაკ. | მამაკ. |
|---|---|---|---|
| სასოფლო მეურნეობაში | 1882 წ. | —2,534,909 | 5,701,587 |
| „ „ | 1895 წ. | —2,753,154 | 5,539,538 |
| „ „ | 1907 წ. | —4,598,986 | 5,284,271 |
| მრეწვ. და სამთო წარმ. | 1882 წ. | —1,126,976 | 5,269,489 |
| „ „ „ | 1895 წ. | —1,521,118 | 6,760,102 |
| „ „ „ | 1907 წ. | —2,103,924 | 9,152,330 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დედაკ. | მამაკ. |
| ვაჭრობა, აღებ-მიცემობ. | 1882 | წ. | — | 298,110 | 1,272,208 |
| „ „ | 1895 | წ. | — | 579,608 | 1,758,903 |
| „ „ | 1907 | წ. | — | 931,373 | 2,546,253 |
| სხვადასხ. გვარი დაქ. შრ. | 1882 | წ. | — | 183,836 | 213,746 |
| „ „ „ | 1895 | წ. | — | 233,865 | 198,626 |
| „ „ „ | 1907 | წ. | — | 320,904 | 150,791 |
| სახ. სამს. ⁄ თავის. პროფ. | 1882 | წ. | — | 115,272 | 373,593 |
| „ „ „ „ | 1895 | წ. | — | 176,648 | 618,335 |
| „ „ „ „ | 1907 | წ. | — | 288,311 | 799,025 |
| ზღვის და ხმელ. ჯარში | 1882 | წ. | | — | 542,282 |
| „ „ „ | 1895 | წ. | | — | 630,978 |
| „ „ „ | 1907 | წ. | | — | 651,194 |

სამრეწველო პირებს დააკლდა (—) ან მოემატა (+).

1882 წლიდან 1895 წლამდე:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დედაკ. | % | | მამაკ. | % |
| სასოფ. მეურნეობ. | + | 218245 | = 8,60 | + | 162049 | = 2,80 |
| მრეწ. ⁄ სამთო წარ. | + | 394142 | = 35,00 | + | 1490613 | = 28,30 |
| ვაჭრობა, აღებ-მიც. | + | 281498 | = 98,40 | + | 486695 | = 38,30 |
| სხვადსხ. გვ. დაქ. შრ. | + | 50029 | = 27,20 | — | 15120 | = 7,10 |
| სახელმწ. სამსახ. და თავის. პროფეს. | + | 61376 | = 53,25 | + | 154285 | = 33,25 |
| ზღ. და ხმელ. ჯარში | | — | — | + | 179153 | = 39,65 |
| და სრულიად | + | 1005290 | = 23,60 | + | 2133577 | = 15,90 |

1895 წლიდან 1907 წლამდე:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დედაკ. | % | | მამაკ. | % |
| სასოფ. მეურნეობ. | + | 1845832 | = 67,04 | — | 255267 | = 4,61 |
| მრეწ. ⁄ სამთო წარ. | + | 582806 | = 38,31 | + | 2392228 | = 35,39 |
| ვაჭრობა, აღებ-მიც. | + | 351765 | = 60,69 | + | 787350 | = 44,76 |
| სხვადსხ. გვ. დაქ. შრ. | + | 87039 | = 37,20 | — | 47835 | = 24,08 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სახელმწ. სამს. და | დედაკ. | % | მამაკ. | % |
| თავის. პროფეს. | + 111663 | — | + 180690 | — |
| ზღ. და ხმელ. ჯარში | — | — | + 20216 | — |
| და სრულიად | + 2979105 | — | +3077382 | — |

მრეწველობაში სხვათა შორის ირიცხებოდენ.

1895 წელს:

| | დედაკ. | % | მამაკ. | % |
|---|---|---|---|---|
| დამოუკ. მრეწველები | 1069007= | 20,1 | 4405039= | 31,3 |
| ნოქრები . . | 39418= | 0,81 | 582407= | 4,1 |
| მუშები და სხვა . | 3745455= | 77,09 | 9071097= | 64,6 |
| | 4853880= | 100,00 | 14058543= | 100,00 |

1907 წელს:

| | დედაკ. | % | მამაკ. | % |
|---|---|---|---|---|
| დამოუკ. მრეწველები | 1052165 | — | 4438123 | — |
| ნოქრები . . | 159889 | — | 1130839 | — |
| მუშები და სხვა . | 6422229 | — | 11413892 | — |
| | 7634283= | 100,00 | 16982854= | 100,00 |

1907 წელს ქალების რიცხვი მრეწველობაში 1895 წელთან შედარებით იყო:

| | 1907 წ. | 1895 წ. | % |
|---|---|---|---|
| მრეწველობაში (შ.-მრ.) | 477290 | 519492—42202= | 8,10 |
| ვაჭრ. და ტრანსპორტ. | 246641 | 202616+44025= | 21,77 |
| სოფლის მეურნეობაში | 328237 | 346896—18659= | 9,04 |

ყველაზე მეტი დედათა სქესის პირი იყო:

| | 1907 წ. | 1895 წ. |
|---|---|---|
| სოფლის მეურნეობაში . . | 4,585,749 | 2,745,840 |
| ტანისამოსის დამზადება-გაწ. | 883,184 | 713,021 |
| სავაჭრო დაწესებულებებში . | 545,177 | 299,829 |

| | 1907 წ. | 1895 წ. |
|---|---|---|
| საქსოვ წარმოებაში . . . | 528,235 | 427,961 |
| სასტუმროებსა და ლუდხან. | 339,555 | 261,450 |
| სასაზრ. ნივთ. და საკმ. დამზ. | 248,962 | 140,333 |
| ლითონის დამუშავებაში . . | 73,039 | 36,210 |
| ქვისა და თიხის წარმოებაში. | 72,270 | 39,555 |
| ქაღალდის წარმოებაში . . | 67,322 | 39,222 |
| ხის და სახარატო წარმოებ. | 48,028 | 30,346 |

აი ის დარგები გერმანიაში, სადაც დედაკაცების შრომა უფროა გავრცელებული, ვიდრე მამაკაცების:

| | დედაკ. | მამაკ. |
|---|---|---|
| მეურნეობაში . . . | 4,217,132 | 2,737,768 |
| საქსოვ წარმოებაში . . | 466,210 | 390,312 |
| ტანისამოსის წარმოებაში . | 403,879 | 303,264 |
| საწმენდ სახელოსნოებში . | 85,684 | 58,035 |
| სასტუმროებში და სარდაფ. | 266,930 | 139,002 |
| შინა მოსამსახურეებში . | 279,208 | 36,761 |
| საავათმყოფოებში . . | 129,197 | 78,520 |

ამ ციფრებიდან ნათლათ ვხედავთ, თუ როგორი მდგომარეობაა დღეს გერმანიაში. მრეწველობაში მომუშავეთა რიცხვი უფრო გაზრდილა, ვიდრე საერთო მცხოვრებთა რაოდენობა; მრეწველობაში მუშა ქალები უფრო მომატებია, ვიდრე კაცები. დედაკაცების მუშაობა საოცარი სისწრაფით ვრცელდება ყველგან. მამობრივი სქესის პირთა რაოდენობა მრეწველობაში, შედარებით ერთ წერტილზეა შეჩერებული, დედათა სქესისა კი იზრდება, შედარებითაც და თავისთავათაც. ეს კიდევ ცოტაა. მცხოვრებთა რიცხვმა მოიმატა იმიტომ, რომ მზრუნველობა გაფართოვდა, აქ ახლა შედარებით უფრო ბევრია მომქმედი პირი, ვიდრე აქამდის, მრეწველობის გაფართოვება კი აიხსნება დედაკაცთა შრომის განვითარებით. დედაკაცები გადავიდენ მრეწველობაში და გამოაკლდენ ოჯახს. 1895 წელს ოჯახის ქალთა რაოდენობა 7081 პროცენტს უდრიდა,

1907 წელს კი 63,90 პროცენტამდე დაიწია ამ რიცხვმა. ერთი სიტყვით, დედაკაცის შრომამ ფართოთ გზა გაიკაფა და სწორეთ სასაცილოა ფილისტერების ბრძნული სიტყვები: დედაკაცი ოჯახს უნდა ეკუთვნოდესო.

ინგლისის წარმოებაში იყო:

| | | | | ყოველ 100 სულზე. | |
|---|---|---|---|---|---|
| წლ. | საერთოთ | მამაკ. | დედაკ. | მამაკ. | დედ. |
| 1871 | 11593466 | 8270186 | 3323280 | — | — |
| 1881 | 11187564 | 7783646 | 3403918 | 69,59 | 30,41 |
| 1891 | 12751995 | 8883254 | 4016230 | 68,09 | 31,91 |
| 1901 | 14328727 | 10156976 | 4171751 | 70,09 | 29,91 |

მაშასადამე, 30 წლის განმავლობაში, მრეწველობაში დაბანდებულ მამრობითი სქესის პირთა რიცხვს მოუმატია 1,886,790, ე. ი. 22,8 პროც.,. დედრობითი სქესისას კი— 848,471=25,5 პროც.; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ 1881 წ. (კრიზისის დროს), მამრობითი სქესის პირთა რიცხვი მრეწველობაში შემცირდა 1871 წელთან შედარებით 486,540 სულით, დედაკაცთა რიცხვს კი მოემატა 80,638. 1901 წ. მუშა ქალთა რიცხვს შედარებით მოუკლია, მარა საქმე იმაშია, რომ მეურნეობაში არ ხერხდება ახლა ნამდვილი გამოკვლევა; არ ვიცით, რამდენია აქ 1891 წელთან შედარებით. მოიჯარადრეების ცოლები და ქალიშვილები ითვლებიან, როგორც უსაქმოთ დარჩენილნი. უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ამ ოცი წლის განმავლობაში გამრავლებულა ის დარგები, სადაც უმეტეს ნაწილათ მამაკაცები მუშაობენ, პირიქით საქსოვი წარმოება დაქვეითებულა შედარებით და 1891 წელს აქეთ თავისთავათაც (აბსოლიუტურათ):

| | მუშათა რიცხვი. | | საერთო მომატ. პროც | დედაკ. მომატ. |
|---|---|---|---|---|
| | 1881 წ. | 1901 წ. | | |
| ქვის და მიწის შემუშავ. | 528474 | 805185 | 53 | 5006 |
| ლით. შემუშ. ტ მანქ. წარ. | 812915 | 1228504 | 52 | 61233 |
| საამშენებლო წარმოებ. | 764911 | 1128680 | 47 | 2485 |
| საქსოვ წარმოებაში. . | 1094636 | 1155397 | 5 | 633222 |

დედაკაცთა რიცხვი მაინც უფრო გაზრდილა მრეწველობაში. ეს მომატება 1851—1861 წლებში უდრიდა 12,6 პროც., 1871—1881 წლამდე 7,6 პროც., 1891—1901 წლებში 1,8 პროცენტამდე დაუწევია ამ რიცხვს. 1907 წელში მთელ საქსოვ წარმოებაში ითვლებოდა 407,360 მუშა კაცი—36,6 პროც. და 679863 მუშა ქალი—63,4 პროცენტი.

დედაკაცის შრომა კიდევ უფრო გაფართოვებულა ტანისამოსის წარმოებაში და სავაჭრო დაწესებულებებში. აღმოჩნდა ამას გარდა, რომ ახალგაზრდა ქალები ხნიერ დედაკაცების ალაგს იჭერენ მრეწველობაში. ხნიერი ქალები უმეტეს ნაწილათ ოჯახს ეკიდებიან, ახალგაზრდები (25 წლამდე) მარტოხელათ ცხოვრობენ და ამიტომ ქალიშვილებს უფრო ხშირათ შეხვდებით ამა თუ იმ საწარმოო დარგში, ვიდრე ქმრიან და დაქვრივებულ დედაკაცებს.

სამრეწველო დარგები, რომლებშიაც ქალთა რიცხვი შესამჩნევათ აღემატებოდა მამაკაცებისას, უმთავრესათ შემდეგი იყვენ ინგლისში:

| | | დედ. სქ. | მამრ. სქ. |
|---|---|---|---|
| შინა მოსამსახურეებში | — | 1690686 | 124263 |
| ტანთსაცმელის დამზად. | — | 711786 | 414637 |
| საქსოვ წარმოებაში | — | 663222 | 492175 |
| აქ უნდა ვიგულისხმოთ: | | | |
| ა) ბამბის წარმოება | — | 328793 | 193830 |
| ბ) სართველი წარმ. | — | 153311 | 106598 |
| გ) თოკის წარმოება | — | 104587 | 45732 |
| აბრეშუმის „ | — | 22589 | 8966 |
| საკერავი „ | — | 28962 | 9587 |

ქალების ხელფასი თითქმის ყველგან მცირეა მამაკაცთა ხელფასთან შედარებით, და ეს მაშინაც კი, როცა სამუშაო დრო ერთნაირია ორთავე სქესისთვის. საქსოვ წარმოებაში, მაგალ., როგორც ახალი შეკითხვიდან სჩანს, მამაკაცები საშუალოთ ერთი კვირის განმავლობაში იღებდენ 1906 წელს

28 შილინგს და ერთ პენს (28,55 მარკა—14 მან.), დედაკაცები კი—15 შილინგს და 5 პენს (15,66 მარკა—8 მანეთი). ეტლის წარმოებაში, სადაც ამ უკანასკნელ დროს მანქანები შემოიღეს, და ამიტომ დედაკაცის მუშაობა შესანიშნავათ გაფართოვდა, 12—18 შილინგს იღებს თითეული მუშა ქალი; ეს კვირეული ხელფასია. როცა მამაკაცები მუშაობდენ მათ ადგილზე, 30—40 შილინგს ღებულობდენ სათითაოთ. ამავე მოვლენას ვამჩნევთ ქაღალდის წარმოებაში, წიგნების საკინძავ დაწესებულებებში და ფეხსაცმელების დამზადებაში. ყველაზე უფრო ცოტას იღებენ ქალები საცვლების მზადებაში: 10 შილინგი კვირაში აქ საუკეთესო ხელფასათ ითვლება. საზოგადოთ ქალი იღებს ვესამედს, ან ნახევარს მამაკაცთან შედარებით.

ასეთივე განსხვავებაა მამაკაცების და დედაკაცების ხელფასში სხვა დარგებშიაც, მაგალ. ფოსტის სამსახურში, მასწავლებლობაში და სხვა. მხოლოდ ბამბეულობის წარმოებაში, ლანკაშირში, ერთ და იმავე სამუშაო დროს, ორივე სქესის პირებს თითქმის თანასწორი ხელფასი ეძლეოდათ.

შეერთებულ შტატებში დედაკაცის შრომა განვითარებულია ამნაირათ:

| | 1880 წ. | 1890 წ. | 1900 წ. |
|---|---|---|---|
| მეურნეობაში . . | 594510 | 678884 | 977336 |
| თავისუფალ ხელობაში . | 177255 | 311687 | 430597 |
| შინაურ და კერძო სამს. | 1181300 | 1667651 | 2095449 |
| ვაჭრ. ⁄ გაზიდვა-შემოზ. | 63058 | 228421 | 503347 |
| ფაბრიკებში . . | 631034 | 1027928 | 1312668 |
| სულ ქალები . | 2647157 | 3914571 | 5319397 |
| | (14,7%) | (17,4%) | (18,8%) |
| მამაკაცები . . | 14774942 | 18821090 | 23753836 |
| | (85,3%) | (82,6%) | (81,2%) |
| | 17392099 | 22735661 | 29073233 |
| | (100%) | (100%) | (100%) |

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ მრეწველობაში დედაკაცთა რიცხვი 3,914,571-დან (1890 წ.) 5,319,347-დე ასულა (1900 წ.); ერთი სიტყვით, უფრო სწრაფათ გაზრდილა ეს რიცხვი, ვიდრე საერთო მცხოვრებთა რაოდენობა. ამ უკანასკნელს მომატებია მხოლოდ 21 პროც. 1890 წ., ეს უდრიდა 62,122,250 სულს, 1906 წლამდე მომატებია 76,313,387 სული. შეუწყვეტლივ კლებულობს აგრეთვე მამობრივი სქესის მუშათა რიცხვი, შედარებით რასაკვირველია; ყველგან ქალები იჭერენ მათ ადგილს. ახლა ესენი შეადგენენ 18,8 პროც., 1880 წელს კი მხოლოდ 14,7 პროც. შეადგენდენ.

ქალებს ახლა ყველგან შეხვდებით; სულ 312 დარგია აღნიშნული და მხოლოდ ცხრა დარგში არ მუშაობენ ისინი. 1900 წ. მათ შორის ირიცხებოდენ 5 გემის გზის მაჩვენებელი (ლოცმანი), 45 ორთქლმავალის მატარებელი და ცეცხლის დამთები, 185 მჭედელი, 508 მანქანაზე მომუშავე, 11 მბურღავი, 8 ქვაბის მკეთებელი. „ამ ციფრებს დიდი სოციოლოგიური მნიშვნელობა არა აქვთ, რა თქმა უნდა. ესენი გვიმტკიცებენ მხოლოდ, რომ დღეს იშვიათათ შეხვდებით ისეთ დარგს, სადაც ქალები სრულიად არ მუშაობენ. უკანასკნელი გარემოება აიხსნება ან დედაკაცის ბუნებრივი თვისებებით, ან იმით, რომ კანონი მათ უკრძალავს ყველგან მუშაობას“ *).

ყველაზე უფრო დედაკაცის შრომა განვითარებულია შემდეგ დარგებში:

| | |
|---|---|
| სასტუმროებში და შინა-სამსახ. — | 1,213,828 |
| ქალის ტანთსაც. დამზადებაში — | 338,114 |
| სოფლის მეურნეობაში — | 497,836 |
| სარეცხავ სახელოსნოებში — | 332,665 |
| სასწავლებლებში — — | 327,905 |
| მიწათ-მოქმედებაში — — | 307,788 |
| საქსოვ წარმოებაში — — | 231,458 |
| ვაჭრობაში — — | 146,265 |
| მკერავებში — — | 138,724 |

*) Statistik of Women at work. Wachington, 1908.

| | | |
|---|---|---|
| საავათმყოფოებში | — | — 108,691 |
| სხვა-და-სხვა პროფესიებში | — | 106,916 |

სულ ამ დარგებში ითვლება 358,333=74,1 პროცენტი ყველა იმ დედაკაცების, რომლებიც მრეწველობაში ირიცხებიან. ამას გარდა არიან კიდევ 85086 სტენოგრაფისტკები, 82,936 ქუდის მკერავები, 86,000 ნოქრები, 72,896 ბუხგალტრები; ერთი სიტყვით, 19 დარგში სათითაოთ ითვლება 50,000 მუშა; ამათში 4,293,894 ქალია, ეს 88,8 პროც. შეადგენს ყველა იმ დედაკაცებისას, რომლებიც მრეწველობაში ირიცხებიან.

ახლა ვნახოთ ის დარგები, სადაც ქალები უმეტესობას შეადგენენ მამაკაცებთან შედარებით. ყოველ 100 მუშაში ითვლება:

| | დედაკ. | მამაკ. |
|---|---|---|
| ტანთსაცმლის წარმოებაში | 99,4 | 9,6 |
| არშიების დამზადებაში | 98 | 2 |
| საკერავ წარმოებაში | 96,8 | 3,2 |
| საყელოების დამზადებაში | 77,6 | 22,4 |
| სართავ წარმოებაში | 72,8 | 27,2 |
| ხელთათმანების მზადებაში | 62,6 | 37,4 |
| წიგნის საკინძავებში | 50,5 | 49,5 |
| საქსოვ ფაბრიკებში | 50 | 50 |
| ეკონომკები — | 94,7 | 5,3 |
| საავათმყოფოებში — | 89,9 | 10,1 |
| სარეცხ სახელოსნოებში | 86,8 | 13,2 |
| შინა მოსამსახურეებში | 81,9 | 18,1 |
| ბინის გამქირავებლებში | 83,4 | 16,6 |
| სტენოგრაფიაში — | 76,7 | 23,3 |
| მასწავლებლებში — | 73,4 | 26,6 |
| მუსიკის მასწავლებლებში | 56,9 | 43,1 |

4,833,630 დედაკაცია სულ მრეწველობაში, არიან 16 წლის და უფრო. ხნიერებიც, ამათში 3,143,712 მარტოხელია,

769,477 ქმრიანი, 857,005 ქვრივი და 63,436 გათიშული. „დედაკაცის შრომა პროცენტულათ გაფართოვდა, დედაკაც მუშებში კი, როგორც ამერიკული ანგარიში გვეუბნება, შედარებით თანდათან მატულობს ქმრიან ქალთა რიცხვი. 1890 წელს ერთი ქმრიანი დედაკაცი ერია 22 მწარმოებელში, 1900 წელს კი—ერთი 18-ში“.

ბლომათ შეხვდებით მრეწველობაში დაქვრივებულ და ქმრებისგან გაშორებულ დედაკაცებს. 1900 წ. ითვლებოდა—2721438 ქვრივი, ამათგან მრეწველობაში 857005, ესე იგი 31,5 პროცენტი ირიცხებოდა. ქმრებისგან გაშორებული იყვენ —114935, ამათში 1900 წელს 55,3 პროც. მრეწველობით ცხოვრობდა, 1890 იგივე რიცხვი 49 პროც. შეადგენდა. სულ 303 დარგში იყო დედაკაცის შრომა ფეხმოკიდებული:

| | | | |
|---|---|---|---|
| 79 | მათგანში | ირიცხებოდა | 100-ზე ნაკლები, |
| 59 | „ | „ | 100-დან—500-მდე, |
| 31 | „ | „ | 500-დან—1000-დე, |
| 125 | „ | „ | 1000-ზე მეტი, |
| 63 | „ | „ | 5000-ზე მეტი. |

მამაკაცებში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | დოლარზე | ნაკლებს | იღებდა— | 18 პროც. |
| 7 — 9 | დოლარს | — | —15,4 | „ |
| 9 —20 | „ | — | —60,6 | „ |
| 20—25 | „ | — | — 4,8 | „ |
| 25 | დოლარზე | მეტს — | — 2 | „ |

კვირეული ხელფასი საშუალოთ 11,16 დოლ.

დედაკაცებში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 7 | დოლარზე | ნაკლებს | იღებდა | 66,3 პროც. |
| 7 — 9 | დოლარს | — | — | 19,6 „ |
| 9 —15 | „ | — | — | 13,2 „ |
| 15—20 | „ | — | — | 0,8 „ |
| 20—25 | „ | — | — | 0,1 „ |

საშუალოთ კვირ. ხელფ. 6,17 დოლ. შეადგენს.

ჩვენ ვხედავთ, რომ მამაკაცებში 66,6% ღებულობს 9 დოლარზე მეტს, დედაკაცებში მხოლოდ 14,1% იღებს ამდენს, ორი მესამედი კი (66,3%) 7 დოლარზე ნაკლებს იღებდა*). მამაკაცები საშუალოთ 11,16 დოლარს იღებდენ ყოველ კვირაობით, დედაკაცები კი—6,17 დოლარს, ე. ი. თითქმის ნახევარს.

ასეთივე განსხვავებაა მოხელეებშიაც. 185,874 სამოქალაქო მოხელე პირში ითვლებოდა 172,053 მამაკაცი (92,6%) და 13,821 დედაკაცი (7,4%). კოლუმბიაში, სადაც ცენტრალური მართველობა არსებობს, დედაკაცთა 39% ირიცხება სხვა-და-სხვა სამსახურში. მიუხედავათ ამისა, 720 დოლარზე ნაკლებს ღებულობს მათში 47,2 პროც., მამაკაცებში კი—მხოლოდ 16,7 პროც. იღებს ასე მცირე ხელფასს.

საფრანგეთში, როგორც 1901 წლის აღწერიდან სჩანს, სულ 19,715,075 სული ირიცხებოდა მრეწველობაში. ამათში იყო 12,910,565 მამაკაცი და 6,804,510 დედაკაცი. სხვა-და-სხვა დარგებში ეს რიცხვი განაწილებული იყო ამნაირათ:

| | მამაკ. | % | დედაკ. | % |
|---|---|---|---|---|
| მეურნეობაში | 5517677 | 72 | 2658952 | 28 |
| ვაჭრობაში | 1131621 | 55 | 689999 | 35 |
| საშინაო სამსახ. | 223861 | 73 | 791176 | 77 |
| თავის. ხელობაში | 226561 | 67 | 173278 | 33 |
| მრეწველობაში | 3695213 | 63,5 | 2124642 | 36,5 |

„დედაკაცთა რიცხვი უდრის ნახევარს". როგორც სხვა ქვეყნებში, დედაკაცები აქაც შედარებით ნაკლებათ მოიპოვებიან იმ დარგებში, სადაც მუშაობა დიდ ფიზიკურ ძალას მოითხოვს, (სამთო წარმოებაში, მაგალ. 100 მამაკაცზე 2,03 ქალი ითვლება, ქვის სამტვრევში—1,65, ლითონის წარმოებაში—1,06). პირიქით, დედაკაცის შრომა ფართოთ არის გავრცელებული: საქსოვ წარმოებაში—116 ქალია 100 მამა-

*) Earning of Wege carners, Bulletiu 93. S. 11 Wachingt. 1908.

კაცზე, ტანთსაცმლის დამზადებასა და სარეცხ სახელოსნოებში —1247, საცვლების საკერავებში—3886*).

საზოგადოთ, როგორც ქ-ნი მილჰოდა გვაუწყებს, დედაკაცები მუშაობენ უფრო იმ დარგებში, სადაც სამუშაო დღე გრძელია და ხელფასი კი ნაკლები. „სამწუხარო ფაქტია: მრეწველობაში, სადაც სამუშაო დღე შემოკლებულია, სულ რამდენიმე ათასი ქალი მუშაობს; იმ სახელოსნოებში, სადაც სამუშაო დღე დიდხანს გრძელდება, დედაკაცები ასი-ათასობით მუშაობენ“.

რაც შეეხება სამუშაო ქირას, ბურჟუაზიული მწერალი ე. ლევასერი გვეუბნება, რომ დედაკაცი ძალიან იშვიათათ იღებს ორ მესამედს მამაკაცთან შედარებით, ხშირათ კი ნანახევარს ღებულობს მხოლოდ.

## 2. გათხოვილ ქალების ფაბრიკებში მუშაობა, შინათ-მრეწველობა და ჯანმრთელობისთვის მავნებელი დარგები.

მუშა ქალებში გათხოვილი დედაკაცები დიდ პროცენტს შეადგენენ; ეს გარემოება, რასაკვირველია, არღვევს მუშათა ოჯახურ ცხოვრებას. გათხოვილი ქალების რიცხვი მრეწველობაში თანდათან იზრდება, 1899 წ. მინდობილობით გერმანიის საფაბრიკო ინსპექციას უნდა გამოეკვლია, თუ რამდენ ხანს გრძელდება ქალთა სამუშაო დღე და აგრეთვე რა მიზეზია, რომ გათხოვილი ქალები მრეწველობას ეტანებიან.

ამ გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ სხვა-და-სხვა ფაბრიკებში 229,334-მდე დედაკაცი მუშაობს. ამას გარდა, სამთა-მადნო წარმოებაში 1063 დედაკაცი ირიცხება, ესენი ღამეც მუშაობენ; ბადენში ყველა იმ საწარმოო დაწესებულებებში, რომლებიც საფაბრიკო ინსპექციას ექვემდებარებიან, გათხოვილ დედაკაცთა რიცხვი გაზრდილა 10,878-დან (1894 წელს) 15,046-მდე (1899 წელს); პირველათ ეს რიცხვი შეადგენდა

**) Questions ouvrierss et industrielles en France sous les troisième republique. P. 275—276 Paris, 1907.

27,05 პროც., შემდეგ—31,27 პროცენტს ყველა მოზრდილი მუშა ქალებისას.

სულ 229,334 ითვლება მრეწველობაში, აქედან მსხვილ წარმოებაში დედაკაცი შედის:

| | |
|---|---|
| საქსოვ წარმოებაში . . . | 111,194 |
| სასაზრდოო მასალის დამზადებაში . | 39,580 |
| ქვის და თიხის შემუშავებაში . . | 19,475 |
| ტანსაც. დამზ. და საწმენდ სახელოს. | 13,956 |
| ქაღალდის წარმოებაში . . . | 11,049 |
| ლითონის შემუშავებაში . . . | 10,739 |
| ხის შემუშავებაში . . . . | 5,635 |
| პოლიგრაფიულ წარმოებაში . . | 4,770 |
| მანქანების წარმოებაში . . . | 4,493 |
| ქიმიურ „ . . . | 4,380 |
| დანარჩენ „ . . . | 5,363 |
| სულ . . | 229,334 |

საქსოვ წარმოებას გარდა, დედაკაცის შრომა ძალიან გავრცელებულია სახმარი მასალის დამზადებაში, მეტადრე თამბაქოს და პაპიროსის წარმოებაში; შემდეგ ქაღალდის წარმოებაში, მეტადრე ჩვრების გამორჩევაში და ბოლოს—აგურის ქარხნებში. „გათხოვილი ქალები მუშაობენ იქ, სადაც შედარებით მძიმე წარმოებაა (ქვის სამტვრევში, აგურის წარმოებაში, საღებავში, ქიმიურ ფაბრიკებში, შაქრის წარმოებაში), ახალგაზრდა ქალები 21 წლამდის მუშაობენ ფარფორის წარმოებაში, სართავ სახელოსნოებში, ქაღალდის ფაბრიკებში, თამბაქოს ქარხნებში და ტანთსაცმლის დამზადებაში. ხნიერ ან გათხოვილ დედაკაცებს კი, სხვა უფრო ჭუჭყიან სამუშაოზე შეხვდებით“ *).

*) იქ, სადაც საფეიქრო ქარხნები ერთათ არიან თავმოყრილი, გათხოვილი ქალები 28 პროცენტზე მეტს შეადგენენ ყველა მუშა ქალებისას. მაგალ. საქსონია ატენბერგში 56 პროცენტამდე ადის მათი რიცხვი; რეუსში—58 პროცენტამდე.

ქვემო ელზასის ინსპექტორი ამბობს, რომ ეხლანდელი წარმოება მოითხოვს იაფ-ფასიან მუშებს. გათხოვილი ქალები უფრო ადვილათ ემორჩილებიან შემავიწროებელ პირობებს და კაპიტალისტებსაც ეს უნდათ. ისინი ეძებენ ასეთ მუშებს და

რით აიხსნება, რომ გათხოვილი ქალების და ქვრივი, ან ქმრისაგან გაშორებული დედაკაცები თითქმის უმეტესობას შეადგენენ მრეწველობაში? მოვიხსენიებთ აქ რამოდენიმე გარემოებას ამ მოვლენის ასახსნელათ. პოსტდამში დედაკაცები მიტომ ყიდიან თავის შრომას, რომ ქმრების ჯამაგირი არ ყოფნით საცხოვრებლათ. ბერლინში ორი ინსპექტორის გამოკვლევით, დედაკაცთა 53,62 პროც. მრეწველობაში მიდის, რადგან ქმრების ჯამაგირი არ ყოფნით. ასევე გვიჩვენებენ საფაბრიკო ზედამხედველები დასავლეთ პრუსიის, ფრანკფურტის, ვირტემბერგის და სხვა ოლქების შესახებ. მაგდებურგის ინსპექტორი ამბობს, რომ ამავე მიზეზით მის ოლქში დედაკაცთა უმეტესობა ეძებს სამუშაოს; ბევრი მათგანი იმიტომ მიდის მრეწველობაში, რომ ქმრები თავისთვის უზომოთ ხარჯავენ ფულს, წინ-დაუხედავათ ცხოვრობენ. ზოგი მუშაობს ფაბრიკა-ქარხნებში იმიტომ, რომ თავიდანვე ამნაირ მუშაობას არიან შეჩვეული და ოჯახის არა გაეგებათ-რა. ეს უკანასკნელი მიზეზი შეეხება მუშა-ქალთა უმცირესობას, უმეტესობა კი იძულებულია იმუშაოს. ეს დაგვიმტკიცა კიდევ ხეზე მომუშავეთა პროფესიონალურმა კავშირმა, შტუტგარტში 1900 წ. მომხდარი შეკითხვის საშუალებით.

რაც შეეხება სამუშაო ქირას, ყველამ იცის, რომ ქალის შრომა ყოველთვის ნაკლებათ ფასდება, ვინემ კაცის, მაშინაც კი, როცა ისინი თანაბარ სამუშაოს ასრულებენ. ამ მხრივ მწარმოებელი არაფრით განსხვავდება სახელმწიფოსა და თემისაგან. რკინის გზასა და ფოსტაში, ერთ და იმავე სამუშაოში

ადვილათაც შოულობენ, რადგან მისვლა-მოსვლა ახლა ძალიან გაადვილებულიაო. ბადენის საფაბრიკო ზედამხედველი ამბობს: „მცირე ჯამაგირს ჯერდებიან მუშა ქალები და ამიტომაც დამქირავებლები მეტი სიამოვნებით აძლევენ მათ სამუშაოს. სამუშაო ქირა დაცემულია ყველგან, სადაც დედაკაცის შრომა ფართოთ არის გავრცელებულიო".

კობლენცის ზედამხედველი ამბობს: „გათხოვილი დედაკაცები საზოგადოთ უფრო ემორჩილებიან ექსპლოატაციის პირობებს, ბეჯითათაც მუშაობენ გაუთხოვარ ქალებთან შედარებით. უკანასკნელები გაურბიან მძიმე და ჭუჭყიან სამუშაოს, გათხოვილი ქალები კი ამას არ ერიდებიან. მაგალ. ჩერების გამორჩევაში (ქაღალდის წარმოებისთვის) უფრო ხშირათ გათხოვილი დედაკაცები მუშაობენ. R. Wilbrandt. Die Weber in der Gegenwart, 1906.

ქალები უფრო ნაკლებს იღებენ, ვინემ კაცები. მასწავლებელ ქალს ყველა საზოგადოებაში ნაკლებს აძლევენ, ვინემ მასწავლებელ მამაკაცს. ამის მიზეზი შემდეგია: ქალს ნაკლები მოთხოვნილებები აქვს, და რაც უმთავრესია, ის უფრო უმწეოა. ის მუშაობს, რადგან ქმრის ან მამის შემოსავალი არ ყოფნის. ქალთა მუშაობა დიდ ცოდნას არ მოითხოვს, ის დროებითია და შემთხვევითი; ქალებში უმუშევრობა ხშირი სტუმარია და ამიტომ ისინი ადვილათ ურიგდებიან ყოველნაირ პირობებს; ქალი ხშირათ დაკავებულია თავის საცხოვრებელ ადგილზე. ამის გამო ქალების სამუშაო დღე უფრო გრძელია, ვიდრე მამაკაცების და ეს ყველგან ასეა, სადაც კანონმდებლობა მფარველობას არ უწევს მათ.

მანჰეიმში 1893 წ. ფაბრიკის მუშათა ხელფასის გამოკვლევის თანახმათ, აქიმ ვერსიგაფენმა გაყო მუშის კვირეული შემოსავალი სამ კლასათ. დაბალ კლასს ეკუთვნის ჯამაგირი 15 მარკამდე, საშუალოს 15—20-მდე, მაღალს 24 მარკაზე ზევით. ხელფასის ცხრილი გვაძლევს შემდეგ სურათს:

| | დაბალი. | საშუალო. | მაღალი. |
|---|---|---|---|
| ყველა მუშები | 29,8% | 49,8% | 20,4% |
| მამაკაცები | 20,9 „ | 56,2 „ | 22,9 „ |
| დედაკაცები | 99,2 „ | 0,7 „ | 0,1 „ |

მუშა ქალები იღებენ უმეტეს ნაწილათ ე. წ. მშიერ ხელფასს. კვირეულ ხელფასს იღებდა:

| | |
|---|---|
| 5 მარკას ქვევით . . . | 4,62% |
| 5— 6 მარკამდე . . . . | 5,47 „ |
| 6— 8 „ . . . . | 43,96 „ |
| 8—10 „ . . . . | 27,45 „ |
| 10—12 „ . . . . | 12,38 „ |
| 12—15 „ . . . . | 5,38 „ |
| 15-ზე მეტს . . . . | 0,74 „ |

ბერლინის საფაბრიკო ინსპექციამ მოახდინა შეკითხვა ხელფასის შესახებ და გამოარკვია, რომ მუშა ქალები საშუალოთ კვირაში იღებენ 11,36 მარკას.

| | |
|---|---|
| 6 მარკაზე ნაკლებს იღებდა . . | 4,3% |
| 6 — 8 მარკას . . . . . | 7,8 „ |
| 12—15 „ . . . . . | 27,6 „ |
| 15—20 „ . . . . . | 11,1 „ |
| 20—30 „ . . . . . | 1,1 „ |

უმეტეს ნაწილათ იღებენ 8—15 მარკას (75,7 პროც.), კარლსრუეში მუშა ქალები საშუალოთ 10,02 მარკას იღებენ კვირაში*).

ყველაზე მცირე ხელფასს იღებენ მუშები შინათ-მრეწველობაში—მამაკაცებიც და დედაკაცებიც, განსაკუთრებით კი უკანასკნელნი. სამუშაო დრო აქ განსაზღვრული არ არის, სეზონის დროს ის ყოველ საზღვარს სცილდება. ძლიერ ხშირია შინათ-მრეწველობაში ეგრეთ წოდებული „ოფლის-ღვრის სისტემა“, ე. ი. სამუშაო ურიგდება მუშებს მესაშვალეების, ზედამხედველების და ხელოსნების ხელით, რომელნიც თავის ადმინისტრატიულ შრომის ფასათ, ბლომა ნაწილს იღებენ მუშების ხელფასიდან.

რამდენათ დაცემულია ქალის შრომის ფასი შინათ-მრეწველობაში, ამას ნათლათ გვიჩვენებენ შემდეგი ცნობები ბერლინის შინათ-მრეწველობის შესახებ. მამაკაცების ჰრელ პერანგების (ბუმაზეის) შესაკერავათ 12-ში აძლევდენ 1889 წელს 2-დან $2^1/_2$ მარკამდე (მარკა 40 კ.), 1893 წელს კი—მათი შეკერვის ფასი 1 მარკა და 20 პფენინგი-ღა იყო. საშუალოთ დახელოვნებულმა მკერვალმა, რიჟრაჟიდან შუაღამემდე უნდა უკირკიტოს, რომ 6—8 პერანგი შეკეროს. კვირეული შემოსავალი ასეთი მკერვალისა უდრის 4—5 მარკას. წინსაფრების მკერვალი აკეთებს კვირაში 2 მარკა და 50 პფენინგიდან 5

*) Marie Braun, Drei Klassen von Lohnarbeitern in Industrie und Handel. Karlsr. 1906.

მარკამდე, საყელოების მკერვალი 5—6 მარკას, ბლუზების კარგი მოხელე 6 მარკას, **ძალიან კარგი** მკერავი ბავშვების მთელ ტანთსაცმელის 8—9 მარკას, ჟაკეტკების გამოცდილი მკერვალი 5—6 მარკას, ძლიერ გამოცდილი მკერვალი ზედაწელისა წმინდა მატერიიდან, თუ დილის 5 საათიდან საღამოს 10 საათამდე იმუშავებს, ძალიან დიდი—12 მარკას გააკეთებს. ქალის შლიაპების მოხელენი, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლათ გააკეთონ შლიაპების გარნიტურა მოდელების მიხედვით, იღებენ 30 მარკას თვეში, დახელოვნებული გარნიტურის მკეთებლები, რომელნიც მთელი წლობით ადგიან ამ ხელობას, **სეზონის დროს იღებენ თვეში 50—60 მარკას.** სეზონი გრძელდება საერთოთ 5 თვეს. ქოლგების მკეთებელი დღეში 12 საათის შრომით აიღებს ერთ კვირაში 6—7 მარკას. ასე დაცემული ხელფასი აიძულებს ქალებს პროსტიტუციას მოკიდონ ხელი, რადგან არც ერთ მუშა ქალს არ შეუძლია ბერლინში 9—10 მარკაზე ნაკლები იყოფინოს კვირაში, **რაც უნდა მცირე მოთხოვნილებები ქონდეს.**

მოყვანილი ფაქტები აშკარათ ღაღადებენ, რომ თანამედროვე განვითარების პირობები, თანდათან ერეკებიან ქალს ოჯახურ და შინაურ ცხოვრებიდან. ქორწინება და ოჯახი ირღვევა, ინგრევა და თუ ამას მივიღებთ მხედველობაში, დედაკაცის მარტო ოჯახისა და ქმარ-შვილისაკენ მითითება—ეს ნამდვილი უაზრობა იქნება. ეს შეუძლია ჩაიდინოს მხოლოდ იმას, ვინც თავის ხოჭოში ცხოვრობს წლითი-წლობით და არაფერზე არ ფიქრობს, ვინც ვერ ხედავს, ან არ უნდა დაინახოს ის, რაც ხდება ცხოვრებაში მის გარშემო.

მრეწველობის მრავალ დარგში მხოლოდ ქალები მუშაობენ, ბევრში ისინი უმრავლესობას შეადგენენ და დანარჩენ სამრეწველო დარგთა უმეტეს ნაწილში კი, მათი რიცხვი მეტნაკლებათ, მარა განუწყვეტლივ იზრდება; ისინი ახალ დარგებშიაც იკიდებენ ფეხს. 1891 წლის სამრეწველო კანონით, გერმანიაში უფროს მუშა-ქალებისათვის დაწესებულია **ფაბრიკებში** 11 საათის ნორმალური სამუშაო დრო, მარა ამას გა-

ნუწყვეტლივ არღვევენ მრავალი გამონაკლისებით, რომლის უფლება ეძლევა მართველობას. აკრძალულია მუშა-ქალების ღამით მუშაობა, მარა კავშირის საბჭოს (გერმანიაში) აქაც შეუძლია, გამონაკლისის სახით, დაუშვას იგი იმ ფაბრიკებში, რომელნიც შეუწყვეტლივ მუშაობენ, ან სადაც წარმოებას სეზონური ხასიათი აქვს, როგორც, მაგალ. შაქრის წარმოებაში.

მხოლოდ 26 სექტემბერს, 1906 წელს მომხდარი საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალით (ბერნში), 11 საათის დასვენება ღამით სავალდებულო გახდა ფაბრიკებისათვის. სოციალ-დემოკრატია გულმოდგინეთ იბრძოდა და იბრძვის იმისთვის, რომ ღამე მუშაობა სრულიათ აკრძალული იქნეს დედაკაცებისთვის და დღით მუშაობა კი—8 საათამდე შემოკლდეს. ამ ბრძოლამ თავის ნაყოფი მოიტანა. ახლა მთავრობა და ბურჟუაზიული პარტიები დათმობის გზას დაადგენ. როგორც იქნა გამოაჩინეს კომისიაში დამამული კანონ-პროექტი მრეწველობის შესახებ, ამოგლიჯეს იქიდან პატარა ადგილი, რომელიც დედაკაცთა შრომის მოწესრიგებას შეეხებოდა. შემდეგ, 1907 წელს სამუშაო დღე ქალებისთვის 10 საათით განსაზღვრეს ყველა წარმოებაში, სადაც 10-ზე მეტი მუშა ირიცხება. კვირაუქმეების წინა დღით კი—8 საათს არ უნდა გადასცილებოდა დედაკაცების მუშაობა. მშობიარობის დროს ისინი 8 კვირის განმავლობაში თავისუფალი უნდა იყონ. როცა დაბრუნდებიან სამუშაოთ, მოწმობა უნდა წარმოადგინონ, რომ მშობიარობის შემდეგ 6 კვირაზე ნაკლებ დროს არ გაუვლია. დედაკაცები ამის შემდეგ არ უნდა ამუშაონ kockerei და საამშენებლო მასალის ზიდვაში. ამ კანონთან ერთათ მიიღეს ისეთი წინადადება, რომელსაც სოციალ-დემოკრატია თავ-გამოდებით ებრძოდა: უმაღლეს დაწესებულებებს შეუძლიათ ნება მისცენ, რომ 50 დღის განმავლობაში, დანიშნულ დროზე მეტი ამუშაონ დედაკაცები.

საყურადღებოა 137 მუხლი, რომელიც შეეხება შინაურ ექსპლოატაციას. აქ ჯერ არ შეუხედია კანონმდებლობას. აი

ამ მუხლის შინაარსი: „მეფაბრიკეს ნება არა აქვს დედაკაცს ან მოზარდ მუშას სამუშაო გაატანოს შინ, თუ ამ უკანასკნელმა ფაბრიკის კედლებში გაატარა დანიშნული დრო“. რა თქმა უნდა, ეს კანონი უნაკლულო არ არის, მარა შედარებით მაინც წინმსვლელობას მოასწავებს.

დედაკაცი მუშაობს დღეს არა მარტო იმ სამრეწველო დარგებში, სადაც მისი სუსტი ძალითაც შეიძლება ყველაფრის გაკეთება, არამედ ყველგან, სადაც ექსპლოატაციას შეუძლია ზედმეტი მოგება გამოსწუწნოს მას ძარღვებიდან. ასეთებს ეკუთვნიან, როგორც **მძიმე, ისე უსიამოვნო** და ჯანმრთელობისთვის საშიშარი სამუშაოები. აი აქ ჩვენ ვხედავთ, რა მნიშვნელობა აქვს ფანტასტიურ წარმოდგენას ქალზე, როგორც ნაზ, სათუთ გრძნობებიან არსებაზე, როგორც მას აქებადიდებენ პოეტები და რომანისტები მამაკაცების ნერვების ვასაღიზიანებლათ.

ფაქტები თავისას ლაპარაკობენ, ჩვენც საქმე გვაქვს მხოლოდ ფაქტებთან და ამიტომ ყალბ დასკვნებს ვერიდებით, სანტიმენტალური ლაყბობისთვის არ გვცალია. ფაქტები კი გვეუბნებიან, როგორც უკვე ვიცით, რომ ქალები მუშაობენ: სართავ-საქსოვ, ქიმიურ, ლითონის დამმუშავებელ, ბამბეულის, მანქანების, ხის დამმუშავებელ მრეწველობაში, საქმელ ნივთიერებათა და ფუფუნების საგნების წარმოებაში, სამთო-მადნო მრეწველობაში—დღისით, ბელგიაში კი ღამითაც, თუ ქალი 21 წელს გადაცილებულია. შემდეგ მათ ფართე ასპარეზი აქვთ მებაღეობაში, მიწის დამუშავებაში, საქონლის მოვლა-მოშენებაში და მათთან შეკავშირებულ დარგებში; და ბოლოს წარმოების მრავალ სფერებში, დიდი ხნიდან განსაკუთრებით მარტო ქალები მუშაობენ,—ეს ასე ვთქვათ, მათი პრივილეგიაა. ასეთებია: თეთრეულობის და სხვ. სამკერვალოები, ის წარმოებები, სადაც ამზადებენ სხვა-და-სხვა „მოდის“ საქონელს. ამას გარდა, ისინი ასრულებენ გამყიდველების, კანტორის მოსამსახურის, მასწავლებლის, ბავშვთა ბაღის მეთვალყურის როლს, მწერლობენ, მხატვრობენ და სხვ... საშუალო წოდების ქალე-

ბი ათი-ათასობით არიან გამომწყვდეული საწვრილმანო დუქ-ნებში, მაღაზიებში, ან ბაზარში ვაჭრობენ და ამნაირათ, არც დრო აქვთ და არც შეძლება ოჯახში საქმიანობის და ბავშვე-ბის აღზრდის. უკანასკნელ, ახალგაზრდა და განსაკუთრებით ლამაზი ქალები, თანდათან ეტანებიან რესტორანებსა და თე-ატრებში სამსახურს, შედიან კელნერებათ, მომღერლებათ, მოცეკვავებათ და სხვ. მსუნაგ მამაკაცთა მისაზიდავათ, რასაც დიდი ვნება მოაქვს მათი პიროვნებისათვის, რყვნის და ათახ-სირებს მათ ადამიანობას. ამ სფერაში საშინელი ბოროტება მეფობს, აქ თეთრ-კანიანთა მონობა დღესასწაულობს უსაზღვ-რო ორგიებს.

ზემო მოყვანილ სამუშაოებში ბევრი **უდიდეს საშიშრო-ებას** წარმოადგენს. მაგალ. ჩალის შლიაპების დამზადება-გაწ-მენდის დროს ხმარობენ გოგირდის სიმჟავეს და ალკოგოლიან ნივთიერებას, რაც მეტათ მავნებელია ორგინიზმისათვის. ძაფე-ულობის გათეთრების დროს ხმარობენ ქლორს, რომლის ორთ-ქლის შესუნთქვას დიდი ვნება მოაქვს ჯანმრთელობისათვის. ადვილათ შეიძლება აგრეთვე მოწამლვა ფერად ქაღალდებისგან ობლატკების (სახვევი) და ყვავილების დამზადების დროს, მე-ტახრომოტიპიებში მუშაობისაგან, შხამების და ქიმიური პრო-დუქტების მომზადების დროს, კალისაგან სალდათების და სხვ. სათამაშოების ჩამოსხმის დროს და სხვა. ორსულთა შრომა სარკეების წარმოებაში (სარკეების დაფარვა ვერცხლის წყლით) პირდაპირ მომაკვდინებელია მშობიარობისთვის.

პრუსიაში ცოცხლათ დაბადებულ ბავშვებისაგან, წლის შესრულებამდე კვდება საშუალოთ 22 პროც., ხოლო სარკე-ების ვერცხლის წყლით მფარველ ქალთა შვილებისაგან კი— აქიმ **გირტის** ანგარიშით კვდება ამ ხანში 40 პროც., შუშის მხვეწელებში (შლიფოვჩიკი) 55 პროც., კალისგან საგნების მკეთებლებში 40 პროცენტი. 1890 წელს ასოთ-ჩამომსხმელ წარმოებაში მომუშავე ქალებში, ვისბადენის ოლქში, 78 მშო-ბიარეთაგან მხოლოდ 37 ქონდა ნორმალური მშობიარობა. აქიმ **გირტის** ანგარიშით, განსაკუთრებით მავნებელია ჯან-

მრთელობისათვის ფეხმძიმეობის მეორე ნახევარში ფერად ქალალდების და ხელოვნურ ყვავილების წარმოებაში -მუშაობა, ბრიუსელის არშიების უმარილით დაფიფქვა, სარკეების ვერცხლის წყლით დაფარვა, კაუჩუკის (ხის წებო) წარმოებასა და ისეთ დარგებში მუშაობა, სადაც ისინი იძულებული ირიან ისუნთქონ ნახშირბადის ოკისი (ჟანგი), ნახშირის სიმჟავე, გოგირდიან წყალბადის გაზი და სხვა ასეთები. ძლიერ მავნებელია აგრეთვე მუშაობა ფოსფორიან წუმწუმათა ქარხნებში და ხელოვნური მატყლის წარმოებაში. ბადენის საფაბრიკო ინსპექტორს 1893 წლის ანგარიშში მოხსენებული აქვს, რომ მრეწველობაში მომუშავე ქალებ შორის, დღე-ნაკლულ დაბადებულთა **წლიური** საშუალო რიცხვი 1882—6 წლ. უდრიდა 1039, ხოლო 1887—91 წლ. კი 1244. წლიურათ საშუალო რიცხვით, ოპერაცია სჭირდებოდა 1882—6 წლებში 1118 მშობიარეს, 1887—91 წლ. 1385-ს. კიდევ უფრო უარესი ფაქტები გამომჟღავნდებოდა, რომ ასეთი გამოკვლევა მთელ გერმანიაში მომხდარიყო. მარა საფაბრიკო ინსპექტორები ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან მოკლე შენიშვნით: „განსაკუთრებული ვნება ფაბრიკებში მუშაობის გამო ქალებს არ ემჩნევათ“. ანკი როგორ შეეძლოთ ამის შენიშვნა, როცა ქარხნის დახედვას ერთ წუთზე მეტს არ ანდომებენ და აქიმებსაც არ ეკითხებიან? რომ დიდი ხიფათი მოელის ყოველ წუთს მომუშავის ხელ-ფეხს და სიცოცხლესაც, განსაკუთრებით საქსოვ წარმოებაში, წუმწუმის ქარხნებში და სამეურნეო მანქანებზე მუშაობისაგან,—ეს ყველასათვის ცხადია. ამასთანავე ბევრი ზემო-მოყვანილ სამუშაოთაგანი უმძიმეს და დამქანცველ სამუშაოთ ითვლება მამაკაცებისათვისაც კი. ხშირათ ამბობენ, ესა თუ ის სამუშაო სათაკილოა ქალისათვისო, მარა რა აზრი აქვს ამის თქმას, თუ არ შეგვიძლია სხვა უფრო შესაფერ საქმეზე მიუთითოთ?

აქიმ **გირტს** აღნიშნული აქვს ზოგიერთი სამრეწველო დარგები და სამუშაოები, სადაც ახალგაზრდა ქალიშვილებს ალაგი არ უნდა ქონდეთ, რადგან აქ მუშაობა მავნებელია

მათი სქესიური ფუნქციებისათვის; აკრძალული უნდა იყოს მუშაობა, მაგალ. თითბრის, საღებავების, ნაუდაკის (ზუმფარა), ქაღალდების დამზადებაში, მატყლის მოთელვაში (შლიაპებისთვის), შუშის ნივთების გაელვარება-გახვეწაში (შლიფოვკა), თვლების გასუფთავება ბრონზისაგან (ლიტოგრაფია), სელის დაჩეჩა, ცხენის ძუების დასწორება, თანაქის მოკალვა, სელის წისქვილებზე მუშაობა, ხელოვნური მატყლის მზადება.

ახალგაზრდა ქალიშვილებს შეუძლიათ შემდეგ სამუშაოების შესრულება, თუ შესაფერი თავდამცველი ზომები იქნება მიღებული (ვენტილიაცია და სხვ.): ქაღალდის შპალიერების დამზადება, ფაიფურის, კარანდაშების, საფანტის, ეფირის ზეთის, საფუარის, რკინიან ლილა-კალაქვის (желѣзистосинильній калій), ბრომის, ქონის, სოდის, პარაფინის, ულტრამარინის, შხამიან ფერად ქაღალდების და შხამიანი ობლატკების დამზადება, მეტროხრომოტიპიაში შრომა, ფოსფორიან წუმწუმების*), ხელოვნური ყვავილების დამზადება, ჩვრების გადარჩევა ხარისხებათ, გადარჩევა და დაჭრა თუთუნის ფურცლების, ბამბის გაპენტვა, მატყლის და აბრეშუმის ამოხვევა, ბუმბულების დამზადება, ძაგრის გადარჩევა ფოჩებისათვის, ჩალის შლიაპების წმენდა, რეზინის (ხის წებო) გადადნობა, მატერიების შეღებვა და დაბეჭდვა, კალის სალდათების შეღებვა, ბურნუთის გახვევა, სინების შეღებვა, ვერცხლის წყლით სარკეების დაფარვა, ნემსების, ფოლადის კალმების და ქინძისთავების გახვეწა (შლიფოვკა).

მართალი უნდა ვთქვათ, არაფერი სასიამოვნო სანახავია ფეხმძიმე დედაკაცი, როცა ის მამაკაცთან ერთათ ექაჩება მძიმეთ დატვირთულ კაჭკას რკინის გზებზე, ან როცა ის კირსა

*) 26 სექტემბერს, 1908 წ. მოხდა საერთაშორისო შეთანხმება დანიის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ლიუქსემბურგის, ნიდერლანდიის და შვეიცის შორის, რომლის ძალით ყველა ხსენებულ სახელმწიფოებში, 1911 წლის პირველი იანვრიდან აკრძალულია თეთრი ფოსფორის ხმარება წუმწუმის წარმოებაში. გერმანიაში უკვე 1907 წლის პირველ იანვრიდან აიკვეთა ასეთი ფოსფორის დამზადება, 1908 წლის პირველი იანვრიდან აიკვეთა მისი ბაზარზე გამოტანა. ინგლისში ასეთი კანონი გამოიცა 1909 წელს.

და ცემენტს აწვდის, ან მძიმე ქვებს უზიდავს სახლის ამშენებელს. ამით ქალს ართმევენ და ფეხქვეშ უთელავენ ყოველივე ქალურს, როგორც მეორე მხრით, ბევრი სამუშაოები ართმევენ მამაკაცს მამაკაცურ შეხედულებას. ასეთია შედეგი სოციალური ექსპლოატაციის, სოციალური ომის. ჩვენი უკუღმართი სოციალური პირობები თავდაყირა აყენებენ ყველაფერს.

ადვილი მისახვედრია, რომ ქალთა შრომის ფართოთ გავრცელება წარმოების სხვა-და-სხვა სფერებში, რაიცა თანდათან მატულობს, სასიამოვნოთ არ ურჩებათ დაინტერესებულ მამაკაცებს. ეჭვს გარეშეა, ქალთა შრომის ასეთი გავრცელება თანდათან ბოლოს უღებს მუშის ოჯახურ ცხოვრებას, რასაც თავისთავათ ცოლ-ქმრობისა და ოჯახის დარღვევა ახლავს თან; ამ ნიადაგზე ძლიერდება გარყვნილება, დემორალიზაცია (მოშლა, გახრწნა), დეგენერაცია (გადაგვარება), ყოველგვარი სნეულება და ბავშვთა სიკვდილი. მცხოვრებთა სტატისტიკა გერმანიის იმპერიაში გვიჩვენებს, რომ ბავშვთა სიკვდილმა გასაოცრათ იმატა ქალაქებში, რომლებიც ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში სამრეწველო ცენტრებათ გადაიქცენ.

სოფელში რძე თანდათან ძვირდება, ბავშვებს ველარ აძლევენ რძეს, ხეირიანათ ველარ ასაზრდოებენ მათ და ამიტომ ბავშვების სიკვდილი იქ დღითი-დღე მატულობს. ძუძუ-მწოვარი ბავშვები ხშირათ იხოცებიან ობერპვალცში, ზემო და ქვემო ბავარიაში, ლიგნიცის ზოგიერთ ადგილებში, ბრესლავში და კემნიცში. 1907 წელს, მაგალ. 100 ბავშვში პირველ წელიწადსვე სიცოცხლეს გამოესალმა:

| | | |
|---|---|---|
| შტადტამჰოლში . . . | 40,14 | პროც. |
| პარსბერგში . . . . | 40,06 | „ |
| ფრიდბერგში . . . . | 39,29 | „ |
| კელჰეიმში . . . . | 37,71 | „ |
| მიუნხენში . . . . | 37,63 | „ |
| გლაუხაუში (საქსონიაში) . . | 33,48 | „ |
| ვალდენბურგში (სილეზიაში) . | 32,49 | „ |

ხემნიცში . . . . . 32,49 პროც.
რეიხენბახში (სილეზიაში) . . 32,18 „
ანაბერგში. . . . . 31,41 „

უარეს მდგომარეობას ვხედავთ იმ სოფლებში, სადაც ფაბრიკული წარმოება ფართოთ არის ფეხ-მოკიდებული. აქ 100 ბავშვში 40—50-მდე იხოცება.

მიუხედავათ ამისა, სოციალური განვითარება, რომელიც ასეთ სამწუხარო შედეგებს იძლევა, მაინც პროგრესს წარმოადგენს, ისეთსავე პროგრესს, როგორიცაა მრეწველობის, მიმოსვლის, ქორწინების თავისუფლება და სხვა, რომელნიც ხელს უწყობენ მსხვილი კაპიტალის განვითარებას და ამით სასიკვდილო ჭრილობას აძლევენ საშუალო წოდებას.

მუშებს აზრათაც არ მოსვლიათ ხელოსანთა წოდებისთვის მხარის დაჭერა, როცა ეს უკანასკნელი ცდილობს მიმოსვლის და მრეწველობის თავისუფლების შეზღუდვას და ამქრული წესების აღდგენას, რომ ამით ხელოვნურათ გაახანგრძლივოს წვრილი წარმოება, რადგან საქმე აქ სწორეთ ამაშია. რაც შეეხება ქალთა შრომას, მისი ძველ მდგომარეობაში დაბრუნება შეუძლებელია, მარა ეს არ უარყოფს რიგიანი მფარველობითი კანონების საჭიროებას ქალთა შრომის უზომო ექსპლოატაციის ასალაგმავათ, ზოგიერთ დარგებში მის შასაზღუდავათ და ბავშვთა შრომის სრულიად ასაკრძალავათ იმ ასაკში, როცა ისინი სკოლაში უნდა დაიარებოდენ. აქ მუშათა ინტერესი საესებით ეთანხმება სახელმწიფოებრივ და საერთოთ კაცობრიობის ინტერესებს.

როცა სახელმწიფო იძულებული ხდება, (როგორც იყო უკანასკნელათ 1893 წელს, როცა ჯარის გაძლიერება უნდოდათ), შეამციროს ტანის ზომა ახალგაზრდების ჯარში გასაყვანათ, რადგან ჩვენი სამრეწველო პირობები ისე აჩიავებენ და ამახინჯებენ ადამიანს, რომ სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგარ ახალგაზრდობათა რიცხვი წლითი-წლობით მატულობს, ცხადია, რომ იგი დაინტერესებული უნდა იყოს მუ-

შათა შრომის პირობების გაუმჯობესებაში*). საბოლოო მიზნათ უნდა დასახულ იქნეს იმ **ნაკლის** მოსპობა, რომელიც ახლავს შრომის იარაღების—მანქანების გაუმჯობესებას და თანამედროვე შრომის სისტემას; მეორე მხრით, საჭიროა ისეთი შრომის ორგანიზაციის მოწყობა, რომ საზოგადოების ყველა წევრებს შეძლება მიეცეს ისარგებლონ იმ ნაყოფით, რომელსაც ისინი აძლევენ კაცობრიობას და რომელიც მათ შეუძლიათ კიდევ უფრო მეტი მისცენ გაუმჯობესებულ პირობებში.

დიდ უაზრობათ და ენით გამოუთქმელ ბოროტებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ კულტურის პროგრესით და მისი შენაძენით (გამოგონებანი და სხვ.), რომელიც ნაყოფია მთელი საზოგადოების კულტურული შრომის, მხოლოდ ისინი სარგებლობენ, ვისაც ნივთიერი ძლიერების გამო მიუთვისებია ისინი, ათასობით ბეჯითი მუშა-ქალები და კაცები, ხელოსნები და სხვ. კი მუდამ იმის შიშსა და ფიქრში არიან—ვაი თუ ადამიანის გენიამ ახალი მანქანა გამოიგონოს, რომელიც ათასჯერ უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს წარმოებაში, ვინემ ხელით მუშაობა, და ამნაირათ სრულიათ ზედმეტი და გარიყული შევიქნეთ ცხოვრებაშიო**). ამგვარათ, ის, რასაც ყველა

*) ჯარში გაწვეულთა შორის სამხ. სამსახურისთვის გამოსადეგი აღმოჩნდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1902 წელს | —58,5 პროც. | 1905 წელს | —56,3 პროც. |
| 1903 „ | —57,1 „ | 1906 „ | —55.9 „ |
| 1904 „ | —56,4 „ | 1907 „ | —54,9 „ |

გამოცხადების შემდეგ გაანთავისუფლეს უვარგისობის გამო:

| | |
|---|---|
| 1881—5 წლებში . . | 2,07 პროც. |
| 1891—5 „ . . | 2,30 „ |
| 1901—5 „ . . | 2,47 „ |

W. Classen Die Abnehmende Kriegstuchtigkeit im Deutschen Reiche und Land von 1902—7. Archiv for Bassen und Geselçehafteivlogie, 1909.

**) 1871 წელს ბრედფორდში საფაბრიკო ინსპექტორმა, ა. რედგრავემ წაიკითხა ლექცია, რომელშიაც სხვათა შორის სთქვა: „ამ უკანასკნელ ხანებში მე გამაკვირვა მატყლის ქარხნებში მომხდარმა ცვლილებამ. წინეთ ეს ქარხნები სავსე იყო ქალებით და ბავშვებით, ახლა კი, მგონი, მთელ სამუშაოს მანქანები ასრულებენ. ჩემ შეკითხვაზე ერთმა მექარხნემ მოიგო: „წინანდელ სისტემის დროს ჩემთან მუშაობდა 69 სული; როცა გაუმჯობესებული მანქანები შემოვიღე, მათი რიცხვი 39-დე დავიყვანე. უკანასკნელ დროს კი, ახალ გაუმჯობესებათა გამო შესაძლებელი გახდა მათი რიცხვის 18-ზე ჩამოყვანა“. მაშასადამე, რამდენიმე წლის განმავლობაში, მუ-

სიხარულით უნდა ეგებებოდეს, როგორც პროგრესს, დღეს ბევრში უსიამოვნებას და მტრულ გრძნობებს იწვევს; პირველ ხანებში არა ერთხელ ქონდა ადგილი ამ ნიადაგზე მუშათა არეულობას და მანქანების მილეწ-მოლეწვას. ასეთივე მტრული განწყობილება არსებობს დღეს ბევრგან მუშა-ქალებსა და მუშა-კაცებ შორის. ესეც ერთი არა ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ, უნდა ვეცადოთ ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნას, რომელიც განურჩევლათ სქესისა, მიანიჭებს ყველას სრულ თანასწორობას

ეს ადვილი მისაღწევია, თუ ყველა საწარმოო იარაღები სეზოგადოების საკუთრებათ გადაიქცევიან; თუ ტეხნიკურ და მეცნიერულ გაუმჯობესებათა და დამხმარე საშუალებათა შემოღებით, შრომის ნაყოფიერება განვითარების უმაღლეს საფეხურზე იქნება აყვანილი და თუ ყველა, ვისაც შრომის უნარი აქვს, მოვალე იქნება განსაზღვრული სამუშაო შეასრულოს, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, რის სამაგიეროთ საზოგადოება თავის მხრივ ყოველგვარ საშუალებას მისცემს თვითეულ პირს—თავის პირად ძალის და ნიჭის გასავითარებლათ.

ქალიც ისე, როგორც მამაკაცი, უნდა სასარგებლო წევრი გახდეს საზოგადოების. მას ისე, როგორც მამაკაცს, საშუალება უნდა მიეცეს თავის გონებრივ და ფიზიკურ ძალთა გასავითარებლათ; აასრულებს-რა თავის მოვალეობას, მას შეუძლია მოითხოვოს ამის სამაგიეროთ მისი უფლებების აღიარება. თავისუფალი და მამაკაცთან გათანასწორებული, იგი ამით დაზღვეული იქნება მისი პიროვნების დამამცირებელ მოთხოვნილებების წაყენებისაგან.

ასეთ წყობილებისაკენ მიაქანებს საზოგადოებას თანამედროვე განვითარება, მის განხორციელებას აიძულებს მას დღეს გაბატონებული საშინელი ბოროტება-უკულმართობა...

---

შათა რიცხვს დააკლდა 80 პროც., ნაწარმოებთა რიცხვი კი, ყოველ შემთხვევაში, არ შემცირებულა მრავალ საინტერესო ცნობებს იძლევა ამის შესახებ მარქსის „კაპიტალი“.

# თავი XIV.

## ქალთა ბრძოლა უფლებისათვის.

### 1. რევოლიუცია ოჯახურ ცხოვრებაში.

თუმცა ზემოთ დახასიათებული ევოლიუცია ქალთა მდგომარეობისა მეტათ თვალსაჩინოა და ვინც ბრმა არ არის, ყველა უნდა ხედავდეს მას, მარა მიუხედავათ ამისა, ყოველ დღე გაიგონებთ გულის გამაწვრილებელ ყბედობას ქალის „ბუნებრივ დანიშნულებაზე“, რომელიც მას ოჯახისა და შინაური ცხოვრებისაკენ უთითებს. ასეთ ლაპარაკს ყველაზე ხშირათ შეხვდებით იქ, სადაც ქალები ცდილობენ მაღალ ადგილებზე მიღების უფლება მოიპოვონ, მაგალ. სამოსწავლო და ადმინისტრატიულ ნაწილში, სააქიმო, იურიდიულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგებში და სხვა. გამოიგონებენ რაღაც სასაცილო საბუთს და გადმოგიშლიან წინ ისეთი მეცნიერული სიდინჯით, თითქო მათი პირით თვით მეცნიერება ლაპარაკობდეს. საზოგადოთ, ზოგიერთ ვაჟბატონებს, რომელთაც თავის თავი უდიდესი მსწავლულები ჰგონიათ, აქაც ისე, როგორც სხვა დარგებში, ძალიან უყვართ მეცნიერების სახელით სარგებლობა; მათი მთავარი საბუთი ისაა, რომ ქალი შედარებით დაბლა დგას მამაკაცზე გონებრივი ნიჭით და ამ სფერაში არაფერი შესანიშნავის შექმნა არ შეუძლიაო.

დედაკაცის ნიჭისა და მოწოდების ასეთი დაფასება იმდენათ ეთანხმება მამაკაცთა უმრავლესობის შეხედულებებს, რომ მის გამომთქმელს ყოველთვის იმედი უნდა ქონდეს მათი თანაგრძნობის.

სანამ საერთო განვითარება და შეგნება ისე დაბალ საფეხურზე იქნება, როგორც დღესაა, ყოველი ახალი იდეა— დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს, განსაკუთრებით, როცა გაბატონებული კლასის ინტერესი მოითხოვს, რომ განვითარება,

რამდენათაც შეიძლება, მის საკუთარ წრეებს არ გადაშორდეს. ამიტომ ახალი იდეები, პირველათ მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობაში პოულობენ თანაგრძნობას; მათ ჩვეულებრივათ სასაცილოთ იღებენ, ცილს წამებენ და სდევნიან კიდეც. მარა, თუ იდეა სწორი და გონიერია, თუ ის თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილებისგან არის წარმოშობილი, როგორც მისი აუცილებელი შედეგი, მაშინ ის თანდათან გავრცელდება და მისი მომხრე უმცირესობა ბოლოს და ბოლოს დიდ უმრავლესობათ გადაიქცევა. ასეთი ბედი ქონდა ყველა ახალ, ცხოველ-მყოფელ იდეებს და ქალთა ნამდვილ, სრულ ემანსიპაციის იდეასაც ასეთივე გამარჯვება მოელის.

განა ქრისტიანობის აღმსარებელნი ერთ დროს უმნიშვნელო უმცირესობას არ შეადგენდენ? განა რეფორმაციას, ან თანამედროვე ბურჟუაზიას არ ყავდა სასტიკი და ძლიერი მოწინააღმდეგე? მარა ისინი მაინც გამარჯვებული გამოვიდენ. განა გერმანიის სოციალ-დემოკრატია მოისპო, როცა 12 წლის განმავლობაში ხელ-ფეხ შეკრული იყო განსაკუთრებული კანონებით? პირიქით, არასოდეს არ ყოფილა მისი გამარჯვება ისე უეჭველი, როგორც მაშინ, როცა იგი უკვე დასამარებული ეგონათ.

ამბობენ, რომ დედაკაცი სახლში უნდა იჯდეს და ბავშვებს ზრდიდესო; მეფე ყოველთვის უნდა იყოს, რადგან ის აქამდის იყო ყველგან მას აქეთ, რაც ისტორია არსებობსო— ასე გამოდის. „ჭკვიანური“ აზრია პირველიც და მეორეც. ჩვენ არ ვიცით, სად და როდის გაჩნდა პირველი მეფე. არ ვიცით აგრეთვე, სად დაიბადა პირველი კაპიტალისტი, მარა ჩვენ ვიცით და ვხედავთ, რომ მეფობა შეიცვალა საუკუნოების განმავლობაში. იმას თანდათან აკლდება უფლება და შორს აღარაა ის დრო, როცა მეფობას ნიადაგი გამოეცლება,—ასეთია განვითარების ლოღიკა. ეს შეიძლება ითქვას სხვა სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა შესახებაც. ისინი იცვლებიან და ბოლოს სულ მოისპობიან.

ამ წიგნის ისტორიულ ნაწილში ჩვენ ვნახეთ, რომ ქორწინების ფორმა და ქალთა მდგომარეობა „მუდამ“ ისეთი არ ყოფილა, როგორიც დღესაა. ჩვენ ვნახეთ, რომ ისინი ნაყოფია ისტორიულ განვითარების, რომელიც არავითარ შემთხვევაში დამთავრებულათ არ ჩაითვლება. თუ დაახლოვებით 2350 წლის წინეთ დემოსთენი ამბობდა, რომ ქალის ერთათ-ერთი დანიშნულებაა: „კანონიერი შვილები წარმოშვას ქვეყნათ და ერთგული მცველი იყოს ოჯახისო“,—დღეს ეს შეხედულება უკვე დრო-მოჭმულია. განა შეიძლება დღეს ვინმემ ასეთი მიზანი დაუსახოს ქალს, როგორც ბუნებასთან შეფარდებული და ქალის დამცირების სურვილი არ დააბრალონ? თუმცა ახლაც მოიძებნებიან ისეთი ჭკუის-კოლოფები, რომლებიც გულში სავსებით ეთანხმებიან ძველ ათინელ მოქალაქის აზრს, მარა ერთიც ვერ ბედავს დღეს აშკარათ იმის გამოთქმას, რასაც 2 ათასი წლის წინეთ თავისუფლათ, საჯაროთ აღიარებდა საბერძნეთის ერთი უდიდესი ადამიანი და რაც მაშინ **ყველას თავისთავათ გასაგებ აზრათ მიაჩნდა.** და აი, ამაშია დღევანდელი პროგრესი.

თუმცა თანამედროვე წყობილებამ ბევრს დაუნგრია ოჯახი, მარა მეორე მხრით, მან კეთილი გავლენა იქონია ცოლქმრობის განვითარებაზე. რამდენიმე ათეული წლის წინეთ, ჩვენი ბიურგერისა (მოქალაქე) და გლეხისთვის თავისთავათ ცხადი იყო, რომ ქალს უნდა ეჭრა, ეკერა და ერეცხა, თუმცა ეს დიდიხანია გამოვიდა „მოდიდან“ და ამასთანავე პური ეცხო, ერთა, ექსოვა, გამოეხადა ლუდი, საპონი, სანთელი და სხვ.; უსაზღვრო მფლანგველობათ ითვლებოდა ოჯახს გარეთ ტანისამოსის შეკერვინება. წყლის-საყვანები, გზები, გაზით ან ნავთით სამზარეულოების გახურება და მით უმეტეს ელექტრონი და სხვა მრავალი დღეს არსებული მოწყობილებანი სამზარეულოსა და სახლისათვის მათ არ იცოდენ. ეჭვი არ არის, ახლაც არსებობს ჩამორჩენილი წესები, მარა ეს გამონაკლისია. ქალთა უმრავლესობას აღარ აწევს ვალათ ის საოჯახო საქმეები, რომელთაც წინეთ აკეთებდა, რადგან თა-

ნამედროვე წარმოება ამას უფრო უკეთ, მოხერხებულათ და იაფათ ამზადებს, ვინემ მეოჯახე ქალი შეასრულებდა. ამიტომ სახლებში, განსაკუთრებით ქალაქ ადგილას, არც არსებობს ამისთვის საჭირო მოწყობილება. ამრიგათ, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ჩვენს ოჯახში დიდი რევოლიუცია დატრიალდა და ჩვენ არ ვაქცევთ ამას ყურადღებას, ეს იმიტომ, რომ ის თავისთავათ ადვილ-გასაგებათ გვეჩვენება. ცვლილებები, რომელნიც, ასე ვთქვათ, ადამიანის თვალწინ ხდება, სრულიად შეუმჩნეველი რჩება მისთვის, თუ ისინი ერთბაშათ და უეცრათ არ არღვევენ მისი ცხოვრების ჩვეულებრივ მსვლელობას; მარა ის მთელი თავის ძალ-ღონით ილაშქრებს იმ აზრების წინააღმდეგ, რომელნიც მას შეჩვეულ ცხოვრების კალაპოტიდან გადმოგდებას უქადიან.

ამ რევოლიუციამ, რომელიც მოხდა ჩვენ ოჯახურ ცხოვრებაში და დღესაც თანდათანობით მიდის წინ, მეორე მხრივაც არსებითათ შესცვალა ქალის ოჯახური მდგომარეობა. ქალმა მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოიპოვა. ჩვენი ბებიები ვერ ბედავდენ და არც ფიქრობდენ, რომ მათ მუშებს ან შეგირდებს ცალკე სუფრაზე ესადილათ ხოლმე, ამიტომ ისინი პატივცემულ და სამაგალითო ცოლებათ ითვლებოდენ, მარა სამაგიეროთ, არც ის მოსვლიათ აზრათ ამ ბებიებს, რომ კვირაში ერთხელ მაინც წასულიყვენ თეატრში, კონცერტზე, ან სხვა გასართობ ადგილებში. ხოლო რაც შეეხება საზოგადოებრივ საქმეებში ჩარევას, რომელი ძველებური კეთილი და პატივცემული ცოლი გაბედავდა ამისთანა რამეს, რასაც არა ერთი ქალი სჩადის დღეს? აარსებენ საზოგადოებებს მრავალი სხვა-და-სხვა მიზნის მისაღწევათ, სცემენ გაზეთებს, მართავენ კონგრესებს. მუშა-ქალები ადგენენ პროფესიონალურ კავშირებს, დადიან მამაკაცების კრებებზე და საზოგადოებებში, ზოგ ადგილას გერმანიაში სამრეწველო სასამართლოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც ქონდათ, თუმცა რეიხსტაგის რეაქციონურმა უმრავლესობამ უარი უთხრა მათ 1890 წელს ასეთ უფლების მიცემაზე.

ვინ მოისურვებს ზემო-აღნიშნულ ცვლილებების მოსპობას? თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნათელ მხარეებთან ამ ცვლილებებს თავის ბნელი მხარეებიც აქვს, რომელნიც ჩვენი ცხოვრების გახრწნილმა პირობებმა წარმოშვა, მარა საერთოთ მაინც ნათელი მხარეები სჭარბობენ. და თუმცა ქალთა უმრავლესობა კონსერვატორებია, მარა მაინც არავის ებადება სურვილი—ძველი დროის ვიწრო პატრიარქალურ პირობებს დაუბრუნდეს.

შეერთებულ შტატების საზოგადოება, რასაკვირველია, ბურჟუაზიულ ნიადაგზე დგას, მარა მას არ სჭირდება ევროპიელებსავით ძველ ტრადიციებთან და ყალბ შეხედულებათა ნაშთებთან ბრძოლა და ამიტომ იქ უფრო ადვილათ ითვისებენ ახალ იდეებსა და წესებს, მით უმეტეს, თუ აქედან რაიმე სარგებლობას გამოელიან. იქ დიდიხანია სულ სხვა თვალით უცქერიან ქალის მდგომარეობას, ვინემ ჩვენში. იქ, მაგალ. ცოტათ თუ ბევრათ შეძლებულ წრეებში, დიდიხანია მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ არა თუ მოსაწყენი და დამქანცველია, ჯიბისთვისაც სასარგებლო არ არის, რომ ცოლი თვითონ აცხობდეს პურს, ხდიდეს ლუდს და სხვა. მათ ზედმეტათ მიაჩნიათ აგრეთვე, რომ ქალი საკუთარ სამზარეულოში მუშაობდეს. ასეთ სამზარეულოების მაგიერობას დიდიხანია მოსადილე ამხანაგობათა ცენტრალური სამზარეულოები ასრულებენ, სადაც მრავალგვარი მანქანები და შესაფერი საშუალებებია შემოღებული. ამხანაგობის ქალები რიგ-რიგობით მსახურებენ იქ და საჭმელს უფრო იაფათ და უფრო გემრიელს აკეთებენ; ამასთანავე საჭმელი აქ ბევრგვარი მზადდება, ჯაფა და ფართიფურთი კი ცოტა სჭირდება. ჩვენი აფიცრები არც სოციალისტები არიან და არც კომუნისტები, მარა ისინიც ასე იქცევიან: აარსებენ ეკონომიურ ამხანაგობებს, ირჩევენ გამგეს, რომელიც ნარდათ ყიდულობს საჭირო სანოვაგეს, შემდეგ ირჩევენ ამა თუ იმ თავ საჭმელს და სადილს ყაზარმის სამზარეულოში აკეთებენ. აფიცრები უფრო იაფათაც გამოდიან, ვინემ სასტუმროებში და სადილიც უკანასკნელზე უკეთესი თუ

აქვთ, თორემ ნაკლები არა. მრავალი მდიდარი ოჯახობა, როგორც ვიცით, სასტუმროებსა და პანსიონებში ცხოვრობს მთელი წლის განმავლობაში და სრულიათაც არ გრძნობს საკუთარი სამზარეულოს საჭიროებას, პირიქით, დიდათ სასიამოვნოთ ურჩებათ მისგან განთავისუფლება. მარტო ის ფაქტი, რომ შეძლებული და მდიდარი ქალები სრული უარყოფით უყურებენ სადილის მზადებას და დამზადებაზე ზრუნვასაც,— საკმაოთ ნათლათ გვიჩვენებს, თუ რამდენათ ბუნებრივი მოწოდება ქონდა ქალს ასეთ მოქმედებისადმი. ფაქტია, რომ თავადების და საერთოთ არისტოკრატიულ ოჯახებში, ისე, როგორც სასტუმროებში, საქმელების დასამზადებლათ ყოველთვის მამაკაცს ქირაობენ მზარეულათ და ეს შეგვეძლო იმის საბუთათაც გამოგვეყენებია, რომ მზარეულობა უფრო მამაკაცის საქმეა, ვინემ დედაკაცის. ეს მიიღონ ყურადღებაში იმათ, რომელთაც ისე ვერ წარმოუდგენიათ ქალი, თუ არა მკლავებდაკაპიწებული და სამზარეულო კოვზით ხელში.

არაფერი არაა ისე ადვილი, როგორც ცენტრალურ საზოგადო სამზარეულოსთან ერთათ ცენტ. სამრეცხველოს და საშრობის მოწყობა საყოველთაო სასარგებლოთ და ამას აწყობენ კიდეც დიდ ქალაქებში მდიდარი კერძო პირები და სპეკულიანტები. ცენტრალურ სამზარეულოსთან შეიძლება მოეწყოს ბინების ცენტრალური გათბობა ორთქლის საშუალებით, შეიძლება აგრეთვე თბილი და ცივი წყალის გაყვანა ყოველ ოჯახში, რითაც მრავალ საფუსფუსო და უნაყოფო შრომას აგვაცილებდა თავიდან. დიდ სასტუმროებს, ბევრ კერძო სახლებს, საავათმყოფოებს, შკოლებს, ყაზარმებს, საზოგადო შენობებს და სხვა ყველას აქვს ასეთი და სხვა ამგვარი მოწყობილობები, მაგალ. ელექტრონით განათება, ვანნები და სხვა. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ დღეს ყველა ამეებით სარგებლობენ მხოლოდ საზოგადო შენობები და მდიდარი კლასები; ისინი რომ ყველასთვის ხელმისაწდომი ყოფილიყო, ვინ მოსთვლის, რამდენი დრო, შრომა და ენერგია დაიზოგებოდა, მცხოვრებთა კეთილ-მდგომარეობა შესამჩნევათ აიწევდა.

1890 წლის ზაფხულზე გაზეთებში მოთხრობილი იყო, თუ რა ბრწყინვალე შედეგები მოიტანა შეერთებულ შტატებში ცენტრალურმა გათბობამ და ვენტილიაციამ. სხვათა შორის, ერთ ალაგას ვკითხულობთ:

„ჩრდილოეთ ამერიკაში ამ მოკლე დროში ბევრგან სცადეს ერთი ადგილიდან სითბოს მიცემა მთელი უბნის, ან ქალაქის ნაწილისათვის, რამაც შესამჩნევი ნაყოფი მოიტანა; თვით მოწყობილობა ისე ყურადღებით და მიზნის შესაფერათ აღმოჩნდა გაკეთებული, რომ ასეთი შედეგების და ფინანსიური სარგებლიანობის გამო, ეჭვი არ უნდა, მათ ფართოთ გავრცელება მოელის. შემდეგ სცადეს ქალაქის ზოგიერთ პატარა ნაწილებისთვის ერთი ადგილიდან მიწოდება სითბოსი და **წმინდა ჰაერის**, როგორც თბილის, ისე გაცივებულის“.

რაც მაშინ მხოლოდ გეგმები იყო, ის დღეს უკვე განხორციელებულია და უფრო გაუმჯობესებულათ მოწყობილი. წვრილი ბურჟუაზიული შეუგნებლობით და უგრძნობლობით აიხსნება ის, რომ ჩვენში ზერელეთ და უარყოფით ეპყრობიან ასეთ გეგმებს, თორემ გერმანიის დღევანდელ ტეხნიკურ პირობებში, კერძო სამზარეულო და სხვა ოჯახური მოწყობილობები სრულიად ზედმეტია, ისე, როგორც ზედმეტია ხელოსნური წესების ბოგინი თანამედროვე მანქანური წარმოების ხანაში. მე-XIX საუკუნის დასაწყისში, ორთქლმავალ გემის აშენების იდეა ნაპოლეონ პირველმა სიგიჟეთ გამოაცხადა. რკინის გზის იდეაც დიდხანს ითვლებოდა ჭკვიან კაცებესაგან დიდ სისულელეთ და უაზრობათ; მათი აზრით, ადამიანს მატარებელში გაძლება არ შეეძლო, რადგან სწრაფი მოძრაობისაგან სული უნდა შეგუბებოდა. ასე ეპყრობიან დღესაც ახალ იდეებს. ასი წლის წინეთ რომ ვისმეს წინადადება მიეცა: ქალებს რომ წყლის ზიდვით წელს ვწუვეტთ, მოდი წყლისსაყვანები გავაკეთოთო,—მას, ეჭვი არ უნდა, ქალების და მოსამსახურეების გაზარმაცების სურვილს დასწამებდენ.

მაგრამ, დიდი ტეხნიკური რევოლიუცია გასაოცარი სისწრაფით მიდის წინ ყველა დარგებში და მას წინ ვერავითარი

ძალა ვერ ეღობება. ბურჟუაზიულ საზოგადოებას წილათ ხვდა ბოლომდე დაიყვანოს ეს რევოლიუცია, რომელიც მან გამოიწვია ცხოვრებაში, **სინათლეზე გამოიტანოს საზოგადოების გარდაქმნის ყველა ჩანასახები, ღრმათ და ფართოთ განავითაროს ახალ საფუძველზე მდგარი საზოგადოება და ყველას კუთვნილებათ გახადოს იგი.**

ამნაირათ, ჩვენი ცხოვრების სოციალური განვითარება მიმართულია არა იქითკენ, რომ ხელახლა მეოჯახის ვიწრო ცხოვრებაში ჩააბას ქალი, როგორც ეს უნდა ოჯახის კერის ფანატიკოსებს და რასაც ისინი დასტირიან, როგორც უდაბნოში მოგზაური ებრაელები დასტიროდენ ეგვიპტეში დატოვებულ ხორციან ქოთნებს. **არა, იგი მოითხოვს, რომ ქალმა გაარღვიოს ოჯახის ვიწრო ფარგლები და სრული მონაწილე გახდეს საზოგადოებრივ ცხოვრებისა, რომელიც მაშინ მარტო მამაკაცების საკუთრება აღარ იქნება; იგი თხოულობს, რომ ქალმა მონაწილეობა მიიღოს კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში.** ლაველე („პირველყოფილი საკუთრება“, თ. 20) მართალია, როცა ამბობს: „რამდენათაც ვითარდება ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ცივილიზაციას, იმდენათ სუსტდება სათნოება და ოჯახური კავშირი და ამასთან ერთათ სუსტდება მათი გავლენა ადამიანის მოქმედებაზე; ეს ფაქტი იმდენათ საყოველთაოა, რომ შეგვიძლია ის სოციალურ განვითარების კანონათ აღვიაროთ. შეიცვალა არა მარტო ქალის მდგომარეობა ოჯახში, არამედ ვაჟიშვილისა და ქალიშვილის მდგომარეობაც. ამათაც თანდათან ისეთი თავისუფლება მოიპოვეს, რომლის მზგავსი წინეთ არ ქონიათ; განსაკუთრებით ამას ვამჩნევთ შეერთებულ შტატებში, სადაც აღზრდას უმთავრესათ აქვს მიზნათ დასახული, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი პიროვნება განავითაროს. ცუდი მხარეები, რომელთაც ის დღეს-დღეობით არაა მოკლებული,— აუცილებელი კავშირით არ არიან მასთან გადაბმული; მარა მათ დღევანდელ სოციალურ წყობილებაში აქვთ გადგმული ფესვები.

ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია ისეთი მოვლენის წარმოშობა, რომელსაც თავის ბნელი მხარეები არ ეხლება. ბურჟუაზიული საზოგადოება თავის განვითარებაში ყოველთვის ორ-მხრივი და ორივე პირით მჭრელია.

ლაველეს მზგავსათ, აქიმი შეფლეც ჩვენი დროის ცივილიზაციის გავლენას აწერს ოჯახის ხასიათის შეცვლას*). იგი სწერს: „მთელ ისტორიაში წითელ ძაფივითაა გაყოლებული ზემო-აღნიშნული ტენდენცია, რომელიც ოჯახს მხოლოდ მის სფეციფიურ (განსაკუთრებულ) ფუნქციებს უტოვებს. ოჯახი ერთი მეორეზე კარგავს ყველა ფუნქციებს, რომელთა წარმომადგენლობა მან დროებით იკისრა. სადაც იგი ასრულებდა ამა თუ იმ სოციალურ ფუნქციებს, როგორც სურროგატი (მაგიერი), დღეს იგი იქ გადაყენებულია დამოუკიდებელ დაწესებულებებისაგან, როგორიცაა დაწესებულებები უფლების, წესრიგის, ძალის, ღვთის-მსახურების, სწავლება-აღზრდის, ტეხნიკის და სხვ.—გადაყენებულია დღიდან მათი აღორძინებისა“.

## 2. დედაკაცის სულიერი თვისებები.

ქალები წინმსვლელობისაკენ მიისწრაფვიან, თუმცა ჯერ-ჯერობით ასეთები უმცირესობას შეადგენენ და ამ უმცირესობაშიაც ბევრს არა აქვს ნათლათ წარმოდგენილი თავის მიზანი. მათ სურთ არა თუ გაეჯიბრონ მამაკაცებს თავის ძალებით საინდუსტრიო და სამრეწველო დარგებში, მათ უნდათ ოჯახშიაც უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი მდგომარეობა მოიპოვონ; მათ უნდათ მოიხმარონ თავის სულიერი ძალა და ნიჭი მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობის დასაჭერათ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასარევათ. მათ განსაკუთრებით ხშირათ აძლევენ პასუხათ, რომ ისინი საამისო ნიჭით არ არიან დაჯილდოვებული, რადგან ბუნებამ სულ სხვა დანიშნულება დააკისრა მათ. მართალია, უმაღლეს პროფესიონალურ მოქმედების საკითხი თანამედროვე საზოგადოებაში მხოლოდ ქალთა უმცირეს ნაწილს ეხება, მარა მას პრინციპიალური მნიშვნე-

*) Bau und Leben des socialen Körpers. I Band. Tübingen 1878 წ.

ლობა აქვს. მამაკაცთა დიდ უმრავლესობას სერიოზულათ გონია, რომ ქალები მუდამ მათ მორჩილებაში უნდა დარჩენ სულიერათ და უფლება არა აქვთ მათთან გათანასწორების; ამიტომ ისინი გადაჭრით წინააღმდეგი არიან ქალთა ამგვარი მისწრაფების.

თუმცა ამავე მამაკაცებს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვთ იმის, რომ ქალი ისეთ სამუშაოზე დადგეს, რომელიც მეტათ მძიმე, ძნელი და ქალის აგებულებისათვის მავნებელია და, რომლითაც დიდათ იჩაგრება დედისა და აღმზრდელის მოვალეობა, მარა ის კი არ სურთ, რომ ქალს ნება მიეცეს ისეთ პროფესიებში სამსახურის, სადაც ასეთი დაბრკოლებები და საშიშროებაც ნაკლებია და რომელნიც მის ბუნებას და აგებულებას უფრო შეეფერებიან.

გაძლიერებულმა აგიტაციამ ქალთა უმაღლეს სასწავლებლებში დაშვების სასარგებლოთ, ძლიერი წინააღმდეგობა გამოიწვია გერმანიაში. წინააღმდეგობა მიმართულია უმთავრესათ იქითქენ, რომ ქალებს ნება არ მიეცეს სააქიმო ფაკულტეტებზე შესვლის. ასეთ მოწინააღმდეგეთ ეკუთვნიან: პოხხამერი, ფელინგი, ს. ბინდერი, ხეგარი და სხვები. ფონ-ფერნბახი ფიქრობს, რომ მეცნიერებაში ქალებს ნიჭის გამოჩენა არ შეუძლიათ და საბუთათ იმას ასახელებს, რომ მათ აქამდე არ წარმოუშვიათ გენიოსი და, მაშასადამე, არ შეუძლიათ ფილოსოფიის შეთვისება და ფილოსოფიური აზროვნებაო. მარა რაკი მსოფლიოს ფილოსოფოსი მამაკაცები საკმაოთ ჰყავს, მას შეუძლია იოლათ წავიდეს ფილოსოფოსი ქალიც რომ არ ეყოლოს. ამასთანავე იმის თქმა, რომ ქალებს აქამდე არ მოუციათ ფილოსოფოსიო, დიდ და .უდაო საბუთათ არ გამოდგება. გენიოსები ციდან არ ცვივა, იმათ უნდა დედამიწაზე მიეცეს შეძლება გაჩენის და განვითარების, და ასეთი შეძლება კი დღემდე არ ქონიათ ქალებს. მთელი ათასი წლები გაატარეს მათ ჩაგვრა-მონობაში; ათასგვარი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ მათ გონებრივ ძალთა განვითარებას. როცა ლაპარაკობენ, რომ ქალებს ნიჭი და უნარი არ შესწევთ გენიოსის წარმო-

შობისო, როცა გენიოსებათ არ სცნობენ იმ შესანიშნავ ქალებს, რომელთა რიცხვი კარგა ბლომათაა,—ეს დიდი სიყალბეა, ისეთი სიყალბე, როგორც იმის მტკიცება, თითქოს კაცებში იმათ მეტი გენიოსი არ ყოფილიყოს, რომელნიც ცნობილი არიან ისტორიაში; მარა თვითეულმა სოფლის მასწავლებელმა იცის, თუ რამდენი მოწაფის ნიჭი იკარგება იმიტომ, რომ განვითარების გზა დახშული აქვთ. ხშირათ შეხვდებით ცხოვრებაში ნიჭით სავსე ახალგაზრდებს, განვითარების შესაფერ პირობებში ესენი მთელი საზოგადოების დამამშვენებელ გენიოსებათ გადაიქცეოდენ. გენიოსებისა და ნიჭიერ პირთა რიცხვი მამაკაცებში ბევრათ უფრო მეტია, ვინემ გამოუჩენია ცხოვრებას. ეს ითქმის დედაკაცების შესახებაც, რომელთაც ათას წლების განმავლობაში სტანჯავდენ სულიერათ, აწამებდენ და ამახინჯებდენ, რა თქმა უნდა, უფრო შეუბრალებლათ, ვინემ მამაკაცებს. ვინ იცის, როგორ ნიჭს და სულიერ ძალას გამოიჩენდენ მამაკაცები ან ქალები, რომ შესაფერ პირობებში იყვენ ჩაყენებული. ჩვენ არ გვაქვს არავითარი საზომი ამის გამოსაკვლევათ.

დღეს ადამიანებსაც ისე ემართებათ, როგორც მცენარეთა სამეფოს. მილიონობით ძვირფასი თესლები ვერ ახერხებენ ნაყოფის აღმოცენებას, რადგან ნიადაგი, რომელზედაც ისინი დაეცენ, გამოუსადეგარია ან უკვე დაჭერილია სხვა თესლისაგან და კიდეც რომ აღმოაცენონ, სხვა მცენარეები დაუხშობენ მზის სინათლეს, ჰაერს და წაართმევენ საზრდოს. ადამიანის ცხოვრებაც იმავე ბუნების კანონებს ემორჩილება. რომელიმე მებაღემ რომ დაიჟინოს—ამა და ამ მცენარის ჯიშის გაუმჯობესება შეუძლებელიაო და ამ მხრივ კი არავითარი ნაბიჯის გადადგმა არ ქონდეს ნაცადი, უფრო გამოცდილი მეზობელი მას, ეჭვი არაა, გულუბრყვილო ადამიანათ, ან სულელათ მიიღებდა. ასეთსავე სახელს დაიმსახურებს ყოველი გლეხი, რომელიც უარს იტყვის თავის შინაურ პირუტყვის: ძროხის, ფუტრის, ან სხვ. უფრო კარგი ჯიშის ცხოველთან აღრევაზე, რომ ამით გაუმჯობესებული ჯიშის საქონელი მიიღოს.

დღეს ძნელათ მოიძებნება იმდენათ უგუნური გლეხი, რომ ასეთი გონიერი მოქმედების ნაყოფიერებას ვერ ამჩნევდეს თავის მცენარეებისა და ცხოველების გასაუმჯობესებლათ. სულ სხვაა—შეუძლია თუ არა მას არსებულ პირობებში ამ საუკეთესო მეთოდით ისარგებლოს. მხოლოდ ადამიანთა ჯიშისათვის მსწავლულებსაც კი არ სურთ აღიარონ ის კანონი, რომელიც შეურყევლათ დამტკიცებული და მიღებულია დანარჩენი ცხოველებისათვის. ბუნებისმეტყველების ცოდნა არაა საჭირო იმისთვის, რომ ცხოვრების დაკვირვებიდან შესაფერი საგულისხმო დასკვნები გამოიყვანო. რატომ განირჩევიან სოფლელი ბავშვები ქალაქელებისაგან? რით აიხსნება, რომ მაღალ კლასების ბავშვები სახით, სხეულის აგებულებით და ზოგიერთი სულიერი თვისებებით დიდათ განსხვავებული არიან დაბალი კლასის ბავშვებისაგან? რასაკვირველია იმით, რომ ისინი სულ სხვა-და-სხვა პირობებში ცხოვრობენ და იზრდებიან.

ცალმხრივობა, რომელიც საფუძვლათ უდევს პროფესიონალურ აღზრდას, თავის დაღს ასვამს ადამიანის ხასიათსაც. უმეტეს შემთხვევაში, ადვილათ შეიძლება მღვდლის და სოფლის მასწავლებლის გამოცნობა, თუ მათ თავის დაჭერას და სახის გამომეტყველებას დააკვირდება კაცი. ადვილი გამოსაცნობია სამხედრო პირიც, თუნდა ის სამოქალაქო ტანსაცმელში იყოს გამოწყობილი. მეწაღეს ადვილათ გაარჩევ თერძისაგან, დურგალს—ჩილინგრისაგან. ტყუპები, რომელნიც პატარობისას გაჭრილ ვაშლივით გვანდენ ერთმანეთს, შემდეგში შესამჩნევათ განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან, თუ სხვა-და-სხვა პროფესიას დაადგენ ცხოვრებაში; თუ ერთმა, მაგალ. მჭედლის მძიმე ხელობას მოკიდა ხელი, მეორემ კი ფილოსოფიის შესწავლას. მემკვიდრეობას ერთი მხრით და შეგუებას მეორე მხრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განვითარებაში ისე, როგორც ცხოველთა სამეფოში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ადამიანი ყველაზე ადვილ-მოსახრელი და ცვალებადი ქმნილებათაგანია. ხშირათ საკმარისია რამდენიმე წლით სხვა ცხოვრების პირობებში და სხვა საქმეში ჩაყენება, რომ

ადამიანი სრულიად გამოიცვალოს. ადამიანს, რომელიც ღარიბულ ცხოვრებიდან შედარებით უკეთეს პირობებში გადადის, გარეგანი სახის ცვლილება აშკარათ ემჩნევა. მისი წარსული, შეიძლება, ყველაზე ძლიერათ მის სულიერ კულტურას დაეტყოს; ეს იმიტომ, რომ ადამიანთა უმრავლესობას განსაზღვრულ ხნოვანებას იქით, სრულიად ეკარგება მისწრაფება გონებრივ განვითარებისადმი და ხშირათ არც საჭიროებს მას. დაბალ კლასიდან მაღლა ამომხტარი ტარაკუტა, იშვიათათ გრძნობს ამ დანაკლისით რაიმე უსიამოვნებას. ჩვენს დროში, როცა მთელი ყურადღება ფულებსა და ქონებრივ სიმდიდრეს აქვს მიქცეული, **მეტი სიამოვნებით სცემენ თაყვანს ფულით სავსე ტომარას, ვინემ დიდი ცოდნით და ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანს, განსაკუთრებით თუ ეს უკანასკნელი, საუბედუროთ, ღარიბია და არც მაღალი ხარისხი მოეპოვება.** ოქროს კერპის თაყვანისცემა არასოდეს არ ყოფილა ისე გავრცელებული, როგორც ჩვენს დროში. სამაგიეროთ, ჩვენ „საუკეთესო ქვეყანაში“ ვცხოვრობთ.

ყველაზე განსაცვიფრებელ მაგალითს იმისას, თუ როგორ ასხვაფერებს ადამიანს ცხოვრების პირობების ძირითადი სხვა-და-სხვაობა, სამრეწველო ცენტრები გვაძლევენ. იქ მუშები და კაპიტალისტები ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თითქოს ადამიანთა სხვა-და-სხვა რასას ეკუთვნოდენ. ამ განსხვავებამ განცვიფრებაში მოგვიყვანა ჩვენ ერთი საარჩევნო კრების დროს, 1877 წლის ზამთარში, ერთ სამრეწველო ქალაქში. გამართული იყო კამათი ერთ ლიბერალ პროფესორთან და კრებაზე ორივე მხარეს თანასწორი მომხრეები ყავდა. დარბაზის წინა ნაწილი ეპირა ჩვენ მოწინააღმდეგეებს, რომელნიც თითქმის ყველანი ჯანსაღი, ჩასუქებული და რამდენიმეთ მაღალი მოყვანილობის იყვენ; უკანა ნაწილსა და ქანდარაზე კი გადმომდგარიყვენ მუშები და მდაბიო მოქალაქენი, რომელთაგან ცხრა მეათედი ფეიქრებისგან შესდგებოდა. ისინი იყვენ უმეტესათ მორჩილი ტანის, წელში მოხრილი, ვიწრო გულ-მკერდიანი და მკრთალ სახეზე მწუხარებისა და გაჭირვების ბეჭედი ქონ-

დათ დასმული. პირველი იყვენ წარმომადგენელნი მაძღარ სათ-ნოების და საკრედიტო ზნეობის, რომელიც ბურჟუაზიულ ქვეყნის ზნეობას შეიცავს. მეორენი კი—წარმოადგენდენ მუშა ფუტკრებს, ტვირთ-მზიდველ პირუტყვებს, რომელთა შრომის ნაყოფით მდიდრები ასე არხეინათ და მხიარულათ გრძნობდენ თავს. საკმარისია ერთი თაობის ცხოვრება ჩააყენო თანაბარ პირობებში და უმრავლესობა დაკარგავს ასეთ განსხვავებულ გამომეტყველებას; ყოველ შემთხვევაში, განსხვავება გაქრება მათ შვილებში.

საერთოთ, ქალების სოციალური მდგომარეობის გამოცნობა უფრო ძნელია, ვინემ კაცების. ქალები უფრო მალე ეგუებიან ახალ პირობებს და სწრაფათ ითვისებენ მაღალ ცხოვრების ზნე-ჩვეულებებს. მათ მეტი უნარი აქვთ შეგუების, ვინემ მოუხეშავ, მძიმე მამაკაცებს.

რაც მცენარისთვისაა კარგი ნიადაგი, სინათლე და ჰაერი, ისაა ადამიანისთვის საღი სოციალური პირობები, რომლებიც შეძლებას აძლევენ მას თავის სულიერი და ფიზიკური ძალის და უნარის გასავითარებლათ. ცნობილი თქმულება: „ადამიანი ის არის, რასაც სჭამს“ (Der Mensch ist, war er isst), რამდენიმეთ ცალმხრივი გამომხატველია ამავე აზრის. საქმე მარტო იმაში კი არაა, თუ რასა სჭამს ადამიანი, არამედ იმაში, თუ როგორია მისი ცხოვრების ყველა პირობები, როგორია ის სოციალური წრე, რომელშიაც ის ტრიალებს, რომელიც აჩერებს, ან აჩქარებს მის სულიერ და ფიზიკურ განვითარებას და ცუდ, ან კეთილ გავლენას ახდენს მის გრძნობებზე, აზროვნებაზე და მოქმედებაზე. ყოველ დღე ვხედავთ, როგორ იღუპებიან სულიერათ და მორალურათ ნივთიერი მხრით უზრუნველყოფილი პირები მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ოჯახის და პირად დამოკიდებულების ვიწრო ფარგლის გარეშე, ისინი ცუდ **სოციალურ პირობებში** იმყოფებიან, სოციალურ ბუნების გავლენა კი იმდენათ ძლიერია, რომ ისინი ხშირათ კარგავენ სწორ გზას. ამ მხრივ გარშემორტყმულ საზოგადო პირობებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, ვინემ

ოჯახურ ცხოვრებას. მაგრამ, თუ განვითარების სოციალური პირობები თანაბარი იქნება ორივე სქესისათვის და ამ განვითარებას არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება, თუ საზოგადოება საღ სოციალურ მდგომარეობაში იქნება ჩაყენებული, **მაშინ ქალიც მიაღწევს თავის არსების უაღრეს განვითარებას, ისეთ განვითარებას, რომელზედაც ჩვენ არ შეგვიძლია დღეს სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ, რადგან კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში ასეთი მდგომარეობა არ ყოფილა.** რაც ნიჭი დღემდე გამოიჩინეს ზოგიერთმა ქალებმა, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მომავალში მათგან ბევრს უნდა მოველოდეთ, რადგან ეს ქალები იმდენათ მაღლა იდგენ ქალთა საერთო მასაზე, რამდენათაც გენიოსები მაღლა დგანან მამაკაცთა მასაზე. თუ იმ მასშტაბით ვიხელმძღვანელებთ, რომლითაც ჩვეულებრივათ ზომავენ, მაგალ. ხელმწიფეთა მოღვაწეობას, უნდა აღვიაროთ, რომ საერთოთ ქალებმა მეტი ნიჭი გამოიჩინეს მართვა-გამგეობაში, ვინემ მამაკაცებმა. მაგალითებათ შეგვიძლია დავასახელოთ იზაბელა და ბლანკა კასტილიელები, ელიზავეტა ჰუნგრეთელი, ეკატერინა სფორცა, მილანის და იმოლის ჰერცოგინია, ელიზავეტა ინგლისელი, ეკატერინა რუსთ ხელმწიფა, მარია ტერეზია და სხვა. რომელი რასა და რომელი მხარეც უნდა აიღოთ, აღმოჩნდება, რომ ქალები ყველგან მშვენივრათ მართავდენ თვით ველურ და შფოთიან ხალხებს; ეყრდნობა-რა ამ ფაქტს, ბურდახი შენიშნავს, **რომ ქალებს უეჭველათ მეტი პოლიტიკური ნიჭი უნდა ქონდეთ, ვინემ კაცებსო.** როცა 1901 წელს ინგლისის კოროლევა—ვიქტორია გადაიცვალა, ერთი გავლენიანი ინგლისური გაზეთი სწერდა, რომ უმჯობესი იქნებოდა მხოლოდ ქალები ყოფილიყვენ ტახტის მემკვიდრეებათ ინგლისში, ვინაიდან ინგლისის ისტორია გვიჩვენებს, რომ ქალი უკეთესათ მართავს ქვეყანას, ვინემ მამაკაცი.

არა ერთი დიდებული ისტორიული პირის შარავანდედს დააკლდებოდა ბრწყინვალე სხივები, რომ დაწვრილებით ვიცოდეთ, თუ რა უნდა მიეწეროს მის შემოქმედებაში პირადათ

იმის ღირსებას და რა სხვის გავლენას. საფრანგეთის რევოლიუციის ერთ უდიდეს გენიოსათ გერმანელი ისტორიკოსები, მაგალ. ფონ-ზიბელი, სთვლიან გრაფ მირაბოს; მარა ისტორიულმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველა მისი სიტყვები შედგენილი იყო სხვა-და-სხვა მეცნიერთა დახმარებით, რომელნიც მუშაობდენ თავისთვის, ფარულათ, ჩუმათ. ის ოსტატურათ სარგებლოდა მათი სამსახურით. მეორე მხრით, ისეთი ადამიანები, როგორიც იყვენ საფო, დიოტიმა (სოკრატის დროს), გიპატია ალექსანდრიელი, ქალბატონი როლანი, მარიამ ულსტანკრაფტ, ოლიმპია დე-მუჟ, ქალბატონი ფონსტალი, ჟორჟ ზანდი და სხვ., დიდი ყურადღების ღირსი არიან. მათთან შედარებით ბევრ მამაკაცის სახეს მიეფინება ჩრდილის ზეწარი. ქალების გავლენა, როგორც შესანიშნავ მამაკაცთა დედების, დიდიხანია კარგათ ცნობილია. ქალებმა შექმნეს ყველაფერი, რის შექმნაც კი შესაძლებელი იყო **არსებულ უკულმართ პირობებში**. ეს კი უტყუარი საბუთია იმის, რომ მომავალშიაც შეგვიძლია მათი იმედი ვიქონიოთ. მართლაც, მხოლოდ მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაეხსნათ გზა დედაკაცებს, ისინი დაუპირდაპირდენ მამაკაცებს სხვა-და-სხვა სფერებში და კიდეც გამოიჩინეს უნარი.

ვთქვათ, რომ საშუალოთ ქალებს არ შესწევთ ისეთი განვითარების ნიჭი, როგორც მამაკაცებს, რომ მათ შორის არ იბადებიან გენიოსები და დიდი ფილოსოფოსები, ყოველ შემთხვევაში უნდა ვიკითხოთ: განა ეს გარემოება ქონდათ მხედველობაში, როცა კანონი ყველა მამაკაცებს ათანასწორებდა უფლებით „გენიოსებთან“ და „ფილოსოფოსებთან“? იგივე მეცნიერები, რომელნიც უარყოფენ ქალების უმაღლეს ნიჭს, ასეთსავე დასკვნას ადგანან მუშებისა და ხელოსნების შესახებაც. როცა აზნაურობა მედიდურობს თავის „კეთილშობილური“ სისხლით და თავის გვარიშვილობით, მათ დამცინავი ღიმილით და მხრების აჩეჩით აძლევენ პასუხს, მარა ამავე დროს თვითონ არისტოკრატათ მოაქვთ თავი დაბალ წოდებასთან შედარებით და ტრაბახობენ, რომ მათ პირად ღირსებების და

ნიჭის წყალობით მიაღწიეს მაღალ მდგომარეობას და არა სასარგებლო ცხოვრების პირობებით. საყურადღებოა, რომ ერთი და იგივე ადამიანები, ერთ სფერაში თავისუფალი არიან ცრუ-მორწმუნეობისაგან და მზათ არიან გაიცხონ ყველანი, ვინც მათსავით თავისუფლათ არ აზროვნობს, მეორე სფერებში კი, სადაც საქმე ეხება მათ წოდებრივ, ან კლასობრივ ინტერესებს, მათ პატივმოყვარეობას და თავმოყვარეობას, განსაკვიფრებელ ვიწრო, უგუნურ შეხედულებას ადგიან და ფანატიკურათ იცავენ მას ყოველი თავისუფალი აზრისაგან. მაღალ სფერების მამაკაცები უარყოფით, ზევიდან ქვევით უცქერიან დაბალ წოდების მამაკაცებს და ყველა მამაკაცები საერთოთ კი—ქალებს. მამაკაცთა უმრავლესობას ქალი მხოლოდ მისი სიამოვნებისა და სამსახურისთვის გონია გაჩენილი. მათ არ შეუძლიათ ქალი თანასწორ-უფლებიან არსებათ აღიარონ, რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ ცრუმორწმუნეობას. ქალი უნდა იყოს მშვიდი, წყნარი და მორჩილი, უნდა შეზღუდოს თავის სამოქმედო ასპარეზი ოჯახური საქმეებით და დანარჩენი კი დაუთმოს ქმნილებათა ბატონს, მამაკაცს. ქალმა უნდა შეიკავოს ყოველი საშუალებით საკუთარი აზრი და მისწრაფებები და უცადოს, თუ რას გადასწყვეტს მისი ამ ქვეყნიური განგება—მამა, ან ქმარი. რაც უფრო მორჩილი იქნება იგი მამის და ქმრის, იმდენათ მეტ ქებას დაიმსახურებს, როგორც გონიერი, ზნეობრივი და კეთილ-სათნოიანი ადამიანი, და თუ ასეთი თავის ძალდატანება ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვათა სიმძიმის ქვეშ ამოხდის მას სულს,—ამას არავინ იძევს. საკვირველია, როცა **ყველა ადამიანების თანასწორობაზე** ვლაპარაკობთ, რათ უნდა გამოვტოვოთ აქედან კაცობრიობის **ნახევარი?** ეს ხომ სისულელე იქნებოდა!

ქალს ისეთივე უფლება აქვს თავის ძალების განვითარებისა და მათი თავისუფლათ მოხმარის, როგორც მამაკაცს. ისინი თანასწორ-უფლებიანია, რადგან ქალიც ისეთივე ადამიანია, როგორც მამაკაცი და, მაშასადამე, იმას უფლებაც უნდა ქონდეს, რომ მასავით თავისუფლათ ისარგებლოს თავის ძალე-

ბით, როგორც თავისი თავის ბატონ-პატრონმა. რომ ბედმა მას ქალათ დაბადება არგუნა, ამას არ შეუძლია და არც უნდა შექონდეს რაიმე ცვლილება მის მდგომარეობაში. ქალის გამორიცხვა საერთო თანასწორობიდან მხოლოდ იმ საბუთის ძალით, რომ იგი ქალათ დაიბადა და არა კაცათ, რაშიაც ქალიც იმდენათაა „დამნაშავე", რამდენათაც მამაკაცი,—დიდი უსამართლობა იქნება, ისე, როგორ უსამართლობაა უფლების და თავისუფლების მიკუთვნება რომელიმე სარწმუნოების, ან პოლიტიკურ შეხედულებას დაუქვემდებარო, და დიდი უაზრობა იქნება ისე, როგორც უაზრობაა ორი ადამიანის მოსისხარ მტრებათ ჩათვლა. მარტო იმიტომ, რომ ჩამომავლობით ისინი ორ სხვა-და-სხვა ტომს, ან ერს ეკუთვნიან. ასეთი შეხედულება დამამცირებელია თავისუფალ ადამიანისთვის. კაცობრიობის პროგრესი იმაში მდგომარეობს, რომ იგი თანდათან აუქმებს ყველა იმას, რაც ქმნის ადამიანისაგან ადამიანის, კლასისაგან კლასის და სქესისაგან სქესის დამონებას და დამორჩილებას. **არსებობის უფლება აქვს მხოლოდ იმ უთანასწორობას, რომელიც თვით ბუნებამ წარმოშვა ადამიანთა არსებაში და რომელსაც ბუნებრივი მიზნის მაღწევა აქვს დაკისრებული: ბუნებრივ ფარგლებს ვერც ერთი სქესი გადასცილდება და ვერც მეორე, რადგან ამით თვით ეს ბუნებრივი მიზანი მოისპობოდა.**

### 3. მამაკაცის და დედაკაცის ფიზიკური და სულიერი ბუნების სხვადასხვაობა.

ქალთა თანასწორობის მოწინააღმდეგენი უმთავრესათ იმას ემყარებიან, რომ ქალს თავის ტვინი უფრო ნაკლები აქვს, ვინემ მამაკაცს და რომ სხვა თვისებითაც იგი კაცზე დაბლა დგას და ამით უნდათ დაამტკიცონ, რომ საერთოთ ქალი უფრო დაბალი არსებაა, ვინემ მამაკაცი. მარა ფაქტია, რომ მამაკაცები და დედაკაცები—სხვა-და-სხვა სქესის ადამიანებია და რომ თვითეულს თავის განსაკუთრებული ორგანოები აქვს

სქესობრივი მიზნის შესაფერათ; ფაქტია ისიც, რომ მათ განსხვავებული როლი აქვთ დაკისრებული ბუნებრივი მიზნის განხორციელებაში და რომ აქედან წარმოსდგება მთელი რიგი-განსხვავებანი მათ ფიზიოლოგიურ და ფსიხიურ თვისებებში. ამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია, მარა ეს არ გამოდგება ქალისა და კაცის სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობის დასასაბუთებლათ. კაცობრიობა, საზოგადოება შესდგება **ორივე** სქესისაგან, **ისინი აუცილებლათ საჭირო** არიან მისი არსებობისა და განვითარებისათვის. თვით გენიალური მამაკაციც უდედოთ არ დაბადებულა და ხშირათ დედას უნდა უმადლოდეს იმ საუკეთესო თვისებებს, რომელნიც მასში მოიპოვებიან და რომელთაც მას სახელი მოუხვეჭეს. მაშ რა უფლებით ვეუბნებით ქალს უარს მამაკაცთან გათანასწორებაში?

გამოჩენილ ავტორიტეტთა შეხედულებით, არსებითი განსხვავება ქალისა და კაცის ფიზიკურ და სულიერ თვისებებში, მდგომარეობს შემდეგში: ჰაველოკ ელლისი გვეუბნება, მაგალ., რომ მამაკაცის სხეულის სიდიდე უდრის 170 სანტიმეტრს საშუალოთ, დედაკაცის—160 სანტ. (ფირორდტის აზრით—172 და 160, ზემო-გერმანიაში კრაუზეს აზრით—173 და 163); განსხვავება, მაშასადამე, შეადგენს 10—12 სანტიმეტრს. მამაკაც-დედაკაცის სხეულის სიდიდე ისეთ დამოკიდებულებაში არიან ერთმანერთთან, როგორც 100 : 93. სხეულის სიმძიმე მოზრდილებში უდრის 65, ან 54 კილოგრამს. საშუალო ტანის დედაკაცს ფეხები 15 მილიმეტრით ნაკლები აქვს, ვიდრე ასეთივე ტანის მამაკაცს. პფიცნერი ფიქრობს, რომ ასეთ განსხვავებას უბრალო შეხედვით ვერც კი გავარჩევთო. „სხეულის სიდიდე—აგებულება, ფეხების სიგრძე და სხვ., სულ არ არის დამოკიდებული სქესობრივი სხვადასხვაობიდანო“. ხელი კი დედაკაცს უფრო მოკლე აქვს, ვიდრე მამაკაცს (100 : 91,5), მამაკაცის ხელი უფრო ფართოა და დიდი, ამას გარდა, მისი უსახელო თითი მაჩვენებელ თითთან შედარებით გრძელია. დედაკაცს კი, პირიქით, მაჩვენებელი თითი მოგრძო აქვს, უსახელო—მოკლე.

რაც შეეხება თავის სიდიდეს, ამ მხრივ მამაკაცსა და დედაკაც შორის ისეთი დამოკიდებულებაა, როგორც 100 : 94, თავის შედარებითი სიმაღლე გამოიხატება ისე, როგორც 100 : 100,8. პფიცნერის აზრით, თავის სიგრძე გამოიხატება 100 : 91-ში, ეს აბსოლიუტურათ. საერთოთ, სხეულთან შედარებით კი მამაკაცი ისეთ დამოკიდებულებაშია ამ მხრივ დედაკაცთან, როგორც 100 : 103.

დედაკაცს უფრო პატარა, თხელი და სუსტი აგებულების ძვლები აქვს, ვიდრე მამაკაცს. ქალის კუნთებიც სუსტია შედარებით. ეს სისუსტე მისი საყურადღებო თვისებაა. ამას გარდა, დედაკაცის კუნთებში წყალიც მეტი ურევია. ბირბას ანგარიშით, მამაკაცის კუნთებში 72,5 პროცენტი წყალი შედის, დედაკაცისაში—74,4. ქალის გულის ფიცარი უფრო მოკლეა და ღრმა. დანარჩენი განსხვავება სქესობრივ დანიშნულებასთან არის შეკავშირებული. გულის სიმძიმე სხეულთან შედარებით მამაკაცისთვის **ფირორდტის** აზრით, გამოიხატება 1 : 215-ში, **გლეუდინინგის** აზრით—1 : 158-ში. დედაკაცისთვის პირველის ანგარიშით—1 : 206, მეორის ანგარიშით—1 : 149. მამაკაცის გული იწონის 350, დედაკაცის 300 გრამს.

სისხლის შედგენილება გამოიხატება შემდეგში: მამაკაცის სისხლში 78,15 პროც. წყალია, დედაკაცისაში—80,11%. ერთსა და იმავე სივრცეში (ერთ კუბიკურ მილიმეტრში) დედაკაცს უფრო ნაკლებათ აქვს სისხლის სხეულები (кровяные шарики), ვინემ მამაკაცს; პირველს 3 მილიონი, მეორეს 4,5 მილიონი აქვს. ქალის სხეულის საზრდოობა უფრო სუსტია, ეს ალბათ იმიტომ, რომ მისი გული შედარებით პატარაა და სისხლში წყალი ურევია. აქედან ადვილი გასაგებია მისი ყბების სუსტი აგებულობაც.

რაც შეეხება თავის ქალას, **ბარტელი** ამბობს, რომ აქამდის არ შეგვინიშნავს სქესობრივი განსხვავებაო, ჯერ არ ვიცით, როგორი თავის ქალა ეკუთვნის მამაკაცს და როგორი დედაკაცს. აბსოლიუტურათ რომ ავიღოთ, მამაკაცის თავის ქალა საერთო მოყვანილობით უფრო დიდია, თავის შინაგანი

ნაწილი და სიმძიმეც ამის მიხედვით მამაკაცს მეტი აქვს; ეს დამოკიდებულება გამოიხატება ისე, როგორც 1000 : 888.

ტვინის წონა საშუალოთ მამაკაცისთვის გამოიხატება—1388 გრამში, დედაკაცისთვის—1255 გრამში*). უმეტეს ნაწილათ (84 პროც.) მამობრივ სქესის ტვინი იწონის 1250—1550 გრამს, დედაკაცის (91 პროც.)—1100—1450 გრ.; მარა შედარება არ შეიძლება ამ წონის, დედაკაცი საზოგადოთ უფრო პატარაა, ვინემ მამაკაცი. შედარებით თუ ვიანგარიშებთ, ვნახავთ, რომ სხეულის სიმძიმის თითო კილოგრამზე, მამაკაცს აქვს 21,6 გრამი ტვინი, დედაკაცს—23,6 გრამი. ეს იმით აიხსნება, რომ დედაკაცის სხეული უფრო პატარაა**).

სულ სხვა შედეგს მივიღებთ, თუ ორთავე სქესიდან ერთნაირი ზომის პირებს ვიქონიებთ მხედველობაში შედარების დროს. **მარხანდის** გამოკვლევით, დედაკაცის ტვინი ყოველ შემთხვევაში უფრო ცოტას იწონის, ვიდრე მამაკაცის. მაგრამ ბლაკემანი, ელაისლი და კარლ პირსონი, ინგლისში მოგროვებულ ცნობების მიხედვით ამტკიცებენ, რომ ტვინის სიმძიმის მხრივ ჩვენ ვერ ვხედავთ საყურადღებო განსხვავებას ორთავე სქესის წარმომადგენლებშიო. ერთი სიტყვით, მამაკაცის ტვინი უდრის დედაკაცისას იმ შემთხვევაში, თუ სხეულის სიდიდით და ხნოვანებით ისინი ერთმანეთისგან არ განირჩევიან და თუ თავის ქალაც ერთნაირი აქვთ.

**მარხანდიც** კი შენიშნავს ერთ ალაგას, რომ დედაკაცის ტვინის სიპატარავე, ალბათ მისი ნერვების სისუსტით აიხსნებაო. „ყოველ შემთხვევაში—დასძენს აქ გროსერი, ჯერ ეს მიკროსკოპიულათ გამოკვლეული არ არის და ძნელიც არის

| | მამაკ. ტვინი | დედაკ. ტვინი. |
|---|---|---|
| *) საშუალოთ ბიშოფის აზრით იწონის | 1362 გრ. | 1219 გრ. |
| ბოიდის (ინგლის.) „ „ | 1325 „ | 1183 „ |
| მარხანდის (პესენი) „ „ | 1399 „ | 1248 „ |
| რეციუსის „ (შვეცია) „ „ | 1388 „ | 1252 „ |

**) გენიალურ მამაკაცებს ჩვეულებრივ პატარა ტანი აქვთ, მაგრამ ტვინით საესენი არიან. ეს ბავშვის ერთი უმთავრესი ნიშანია და მათი სახის გამომეტყველება და ტემპერამენტი მოგვაგონებს ბავშვს. Dr. Hávelock Ellis: „Mann und Weib“, გვ. 892.

ამის დამტკიცებაო“. ძნელი გამოსაკვლევია, როგორც სჩანს, ტვინის ნერვები და მათი შედარება სქესობრივი მხრივ. საყურადღებოა შემდეგი გარემოება: თვალი და ყური დედაკაცს შედარებით პატარა აქვს, მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი სმენა და მხედველობა ნაკლები იყოს. დედაკაცის ტვინი თუ შედარებით პატარაა, ეს უმთავრესათ იმით აიხსნება, რომ მას კუნთებიც (мускулатура) შედარებით სუსტათ აქვს განვითარებული*).

რამდენათ ეს განსხვავება დამოკიდებულია სქესობრივ განვითარებისაგან, მისი შეცვლა შეუძლებელია. არც იმაზე შეიძლება გადაჭრილი აზრის გამოთქმა, თუ რამდენათ შესაძლებელია სისხლის, ტვინის შემადგენლობის და სხვ. განსხვავების შეცვლა ცხოვრების პირობების შეცვლით (კარგი საზრდოობით, სულიერი და ფიზიკური ვარჯიშობით, შესაფერ სამუშაოზე დაყენებით და სხვ.), **მარა ის კი აშკარაა, რომ თანამედროვე დედაკაცი უფრო დიდათ განირჩევა მამაკაცისაგან თავის თვისებებით, ვინემ პირველყოფილი დროის და ჩამორჩენილ ხალხების დედაკაცი და ეს ადვილი გასაგებიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ კულტურულ ხალხთა სოციალურ ვითარების გავლენას ქალის აგებულებაზე და ფსიხიკაზე ამ უკანასკნელ 1000—1500 წლის განმავლობაში.**

ჰაველოკ ელლისის ანგარიშით, თუ მამაკაცის თავის ქალას დამტევნელობას მივადარებთ 1000-ს, მაშინ დედაკაცის თავის ქალას ექნება დამტევნელობა:

| | | |
|---|---|---|
| ნეგრებში . . . . | 984 | |
| ჰოტენტოტებში . . . | 951 | |
| ინდუსებში . . . . | 944 | |
| ესკიმოსებში . . . . | 931 | |
| ჰოლლანდიელებში . . . | 919 | (909) |
| რუსებში . . . . | 884 | |

*) Otto Grosser. Der Körperbau des Weibes in „Mann und Weib.“, Stutgart, 1907.

| | |
|---|---|
| გერმანელებში . . . . | 838—897*) |
| ჩინელებში . . . . | 870 |
| ინგლისელებში . . . . | 860—862 |
| პარიჟელებში (19 წ.) . . | 858. |

ერთი მეორის მოწინააღმდეგე ცნობები ნემცების შესახებ იმის შედეგია, რომ რაოდენობით და თვისებით განსხვავებულ მასალებით უსარგებლიათ კვლევის დროს. ამიტომ ეს ცნობები დიდათ საიმედო ცნობებათ ვერ ჩაითვლება. მარა ერთი დასკვნის გამოყვანა კი შეუცდომლათ შეიძლება ამ ციფრებიდან, სახელდობრ იმის, რომ ზანგების, ჰოტენტოტების და ინდუსების დედაკაცებს უფრო დიდი თავის ქალა ქონიათ, ვინემ ნემეც, ინგლისელ და პარიჟელ ქალებს; ხოლო რომ ეს უკანასკნელები უფრო განვითარებული არიან პირველებზე,— ამას, მგონი, მტკიცება არ უნდა.

ცნობილ გარდაცვალებულ პირთა ტვინის წონის შედარების დროსაც ბევრ წინააღმდეგობას და გასაკვირველ ფაქტებს ვხვდებით. პროფესორ რეკლამის ცნობებით, ბუნების მკვლევარ კივუვიეს ტვინი იწონიდა 1830 გრამს, ბაირონის 1807 გრ., მათემატიკოს დირიშლესი 1520 გრ., გამოჩენილ მათემატიკოს გაუსის 1492 გრ., ფილოლოგ გერმანის 1358 გრ., პარიჟის პროფესორის გაუსმანის 1226 გრ.; ამ უკანასკნელის ტვინს ნაკლები წონა ქონდა საშუალო ქალის ტვინზე (ბიშოფის აზრით, ეს უკანასკნელი 1250 გრ. იწონის); მარა დახეთ ბედის მწარე დაცინვას, აღმოჩნდა, რომ თვით პროფესორ ბიშოფის ტვინი იწონიდა მხოლოდ 1245 გრ., ე. ი. საშუალო ქალზე ნაკლებს და ეს ბიშოფი კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ქალი მამაკაცზე დაბლა დგას, რადგან მისი ტვინი საშუალოთ 100 გრამით ნაკლებს იწონისო. გამბეტას ტვინის წონაც ბევრით ნაკლებია ქალის საშუალო ტვინის წონაზე, სახელდობრ—1180 გრ., ამბობენ დანტესაც საშუალოზე ნაკლები წონის ტვინი ქონდაო. ამგვარ ცნობებს გვაძლევს

*) ხუთი სხვა-და-სხვა ავტორის ანგარიშით—838, 864, 878, 883, 897.

ჩვენ აქიმი ჰაველოკ ელლისიც. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ჩვეულებრივი ინდივიდუმის ტვინი, რომელიც ბიშოფმა აწონა, უდრიდა 2222 გრამს, მწერალ ტურგენევის ტვინი 2012 გრ., მესამე ადგილი ეჭირა ერთი იდიოტის ტვინს ხენტის საგრაფოდან. ჩვეულებრივი მუშის ტვინი იწონის 1225 გრ., ეს ტვინიც ბიშოფს ქონდა გამოკვლეული. ყველაზე მძიმე ქალის ტვინები იწონიდენ 1742—1580 გრამს. ორი მათგანი სულით ავათმყოფებს ეკუთვნოდა. ნემეცთა ანტროპოლოგიურ კონგრესზე, რომელიც 1902 წ. შეიკრიბა დორტმუნდში, პროფესორ ვალდეიერმა*) აღიარა: ფილოსოფოს ლეიბნიცის თავის ქალას გამოკვლევამ (გარდაიც. 1716 წ.) დაგვანახვა, რომ მისი სივრცე უდრიდა მხოლოდ 1450 კუბ. სანტიმს, რაც დაიტევს 1300 გრამ ტვინსო. ჰანზემანი, რომელმაც გამოიკვლია მომზენის, ბუნზესი და ადოლფ მენცელის ტვინი, ამბობს, რომ მომზენის ტვინის სიმძიმე უდრიდა 1429,4 გრ. და, მაშასადამე, დიდათ არ აღემატებოდა საშუალო ადამიანის ტვინის სიმძიმეს. მენცელის ტვინი იწონიდა მხოლოდ 1298 გრ., ბუნზესი კიდევ უფრო ნაკლებს—1295 გრამს. ეს უკანასკნელი, როგორც სჩანს, საშუალოთ ადამიანის ტვინზე ნაკლები ყოფილა და დედაკაცის ტვინსაც ბევრით არ აღემატება. ამ საყურადღებო ფაქტებიდან ნათლათ სჩანს, რომ სულიერი თვისება არ განიზომება ტვინის რაოდენობით და ამიტომ ძველი შეხედულება, რომელიც ამ აზრს აღიარებდა,— უარყოფილ უნდა იქნეს.

რეიმონდ პირლს ინგლისში შეკრებილი ცნობებიდან გამოყავს შემდეგი დასკვნა: „სულიერი ნიჭიერება არ არის ტვინის სიმძიმეზე დამოკიდებული, ჩვენ არ გვაქვს არც ერთი საბუთი ამ დამოკიდებულების დასამტკიცებლათო“ **).

ინგლისელი ანტროპოლოგი ე. დიუკვორკი ამბობს: „ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ მამაკაცის მძიმე ტვინს დიდი სულიერი ნიჭი ახლავს თან. ამ

*) ზემო-მოყვანილი თხზულება გვ. 105.

**) Baymond Pearl, Variation or Correlation in brainweight, 1905.

ნიჭის გამოსაკვლევათ ვერ გამოვიყენებთ ვერც ტვინის სიმძიმეს, ვერც თავის ქალას სივრცეს და ვერც თავის სიდიდეს*).

კოჰლბრიუგი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს სხვა-დასხვა ხალხის ტვინს იკვლევდა, ამბობს: „ნიჭი და ტვინის წონა ერთმანეთისაგან სულაც არ არიან დამოკიდებულიო. მართალია, გამოჩენილი პირების ტვინი მძიმეა, მარა ეს სიმძიმე აღემატება მხოლოდ საზოგადო—საშუალო ზომას. ეს პირები ხშირათ მაღალ კლასს ეკუთვნიან, ამ კლასის წარმომადგენლებისგან ტვინის სიმძიმის მხრივ ისინი არ განირჩევიან. ტვინის სიმძიმე გონებრივ ვარჯიშობაზეა დამოკიდებული. საყურადღებოა მხოლოდ ის გარემოება, რომ ნიჭიერებას არავითარი კავშირი არა აქვს ტვინის სიმძიმესთან; მნიშვნელობა არა აქვს არც თავის გარეგან მოყვანილობას, ამით ვერ ავხსნით ადამიანის გენიოსობას, ვერც მის უბრალო ნიჭიერებას“ **).

ამნაირათ, მტკიცდება, რომ როგორც ტანის სიდიდეზე არაა დამოკიდებული მისი ფიზიკური ძალა, ისე ტვინის სიმძიმეზე არაა დამოკიდებული მისი სულიერი ძალა. დიდ ცხოველებს—სპილოს, ვეშაპს თავისთავათ დიდი და მძიმე ტვინი აქვთ, სხეულთან შედარებით კი პატარა ფრინველების და ძუძუმწოვარა ცხოველების ტვინი მეტს იწონის. ხშირათ პატარა ცხოველი (ჭიანჭველა, ფუტკარი) სჯობია თავის ნიჭით და ასე ვთქვათ ინტელიგენტობით დიდ ცხოველს (ცხვარს, ძროხას); სწორეთ ამგვარათვე ბევრი პატარა ტანის და შესახედავათ სადა ადამიანი სჯობია ნიჭით და განვითარებით მაღალ და მოყვანილ ტანის ადამიანს. დღეს თითქმის ეჭვი აღარაა, რომ მნიშვნელობა აქვს არა ტვინის რაოდენობას, არამედ მის **ორგანიზაციას და აგრეთვე მის გავარჯიშებას.**

ჩემის აზრითო—ამბობს პროფესორი სტიდი, ტვინის ქერქის ნაზი აგებულება უმთავრესი მიზეზია სულიერი ფუნქცი-

*) W. Durkworth, Modphology uand Anthropology. Cambridge, 1904.

**) Kohlbrugge, Untersuchungen über Grosshirnfurchen der Menschenrassen. Zeitschritt für Morfologie und Anthropologie. II B. Z. Heft. Stuttgart, 1098.

ების სხვა-და-სხვაობის, ამაზე დამოკიდებულია ნერვების უჯრედების მოქმედება, მათი სიდიდე, რაოდენობა და მოყვანილობა, ამით აიხსნება აგრეთვე სისხლის მატარებელი შტოების თვისება, უჯრედების საზრდოობა და ნოყიერი მასალის შეთვისება.

როგორც ყველა ორგანოს, ისე ტვინსაც თავის ნიჭისა და ძალების განსავითარებლათ ესაჭიროება შესაფერი ვარჯიშობა და საზრდოობა. თუ ასე არ იქნა, ან და თუ განვითარება სწორ გზას აცდა, მაშინ იმ ნაწილების მაგიერ, რომელნიც გონიერების საფუძველს შეადგენენ, ის ნაწილები განვითარდება, სადაც მეტი ფანტაზიაა მოთავსებული. ეს აფერხებს განვითარებას და ამახინჯებს გონებას. ერთი მხარის განვითარებით, იჩაგრება და სუსტდება მეორე.

არიან ისეთი ანტროპოლოგები, მაგალ. **მანუვრიე** და სხვა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დედაკაცები მორფოლოგიურათ მამაკაცებზე მაღლა დგანანო. ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული აზრია. „ჩვენ თუ ორთავე სქესის წარმომადგენლებს ერთმანეთს შევადარებთ,—ამბობს დიურვორცი, ვნახავთ, რომ მორფოლოგიური მხრივ მათში დიდი განსხვავება არ არსებობსო“.

ჰაველოკ ელლისი იზიარებს ამ შეხედულებას შემდეგი შესწორებით. ის ფიქრობს, რომ ფიზიკურ ნიშნეულობათა სხვა-და-სხვაობა დედობრივ სქესში უფრო ნაკლებათ არის გავრცელებული, ვინემ მამაკაცებშიო. დედაკაცები უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს სხეულის აგებულებით, მამაკაცებში კი ამ მხრივ დიდი განსხვავებაოა. მარა კარლ პირსონმა კრიტიკულ წერილებში დაამტკიცა, რომ ეს ყალბი მეცნიერების ცრუ-მორწმუნეობა არისო.

ვინც ცოტაოდნათ მაინც იცის ქალთა განვითარების ისტორია, ვერ უარყოფს, რომ ამ მხრით ქალი დიდათ იჩაგრებოდა მრავალ წლების განმავლობაში და იჩაგრება დღესაც. და თუ მიუხედავათ ამისა, პროფესორი ბიშოფი ამტკიცებს, რომ ქალს მაინც არ შეეძლო თავის გონების და ინტელიგენ-

ტობის განვითარებაო, ასეთი მსჯელობა ამ საგანზე ამტკიცებს მხოლოდ მისი გამომთქმელის უვიცობას და განზრახ ყურის მოყრუებას. ქალთა მდგომარეობის ისტორია ჩვენი კულტურული განვითარების განმავლობაში, აშკარათ გვიჩვენებს, რომ თუ ქალი განსხვავდება დღეს მამაკაცისაგან თავის ფიზიკური და სულიერი განვითარებით, ამის მიზეზი მამაკაცის გაბატონებული მდგომარეობაა, რომელიც ვინ იცის, რამდენი ათასი წელი გრძელდება და დღესაც არ დასრულებულა.

ბუნების-მეტყველები არ უნდა უარყოფდენ, რომ მათი მეცნიერების კანონები სავსებით შეეხებიან ადამიანსაც. მემკვიდრეობას და შეგუებას ისეთივე მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის, როგორც ყოველ სხვა ბუნების ქმნილებისთვის. და თუ ადამიანი არ წარმოადგენს ბუნებაში გამონაკლისს, ცხადია, ევოლიუციური მოძღვრება მასაც უნდა ეხებოდეს; აქედან დღესავით ნათელია, ადვილ გასაგებია ყველა ის, რაც უამისოთ ბუნდოვანი და გაუგებარი იქნებოდა, რაც ამიტომ მეცნიერულ სოფისტიკის და მისტიურ მეცნიერების საგნათ იყო გამხდარი.

ქალის და კაცის ტვინის განსხვავებული განვითარება გამოწვეულია მათი აღზრდის სხვა-და-სხვაობით, თუ კი შეიძლება რაიმე აღზრდაზე ლაპარაკი წარსულ ეპოქების უმრავლესობაში და განსაკუთრებით ქალის აღზრდაზე. ფიზიოლოგები ერთხმათ აღიარებენ, რომ ტვინის ნაწილები, რომლებზედაც დამოკიდებულია გონიერება, მთავარი ტვინის წინა ნაწილში არიან მოთავსებული, ისინი კი, რომლებზედაც უმთავრესათ გრძნობები და სულის განწყობილებაა დამოკიდებული, ამ ტვინის შუა ადგილას მოიპოვებიან. მამაკაცებს უფრო განვითარებული აქვთ წინა ნაწილი, დედაკაცებს კი შუათანა. ამის მიხედვით, განვითარდა შემეცნება ქალისა და კაცის სილამაზეზე. ბერძენთა შემეცნებით, რომელიც დღემდე გადამწყვეტ როლს თამაშობს სილამაზის განსაზღვრაში, **ქალს უნდა ქონდეს ვიწრო შუბლი, კაცს კი მაღალი და ფართე,** განსაკუთრებით ამ უკანასკნელს აქვს მნიშვნელობა. ასეთი შემეც-

ნება სილამაზეზე, რომელიც გამომხატველია ქალთა დამორჩილებულ მდგომარეობის, იმდენათ ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი თვით ქალებსაც, რომ ისინი ულამაზოს ეძახიან მაღალ შუბლს და ხელოვნური საშუალებებით ცდილობენ ბუნების შესწორებას: დაბლა უშვებენ თმებს, რომ მხოლოდ შუბლის ნაწილი გამოაჩინონ.

### 4. დარვინიზმი და საზოგადოების მდგომარეობა.

ამნაირათ, შეუძლებელია იმის თქმა, თითქოს ქალი ტვინის მასსის სიმცირის გამო მამაკაცზე დაბლა იდგეს, მარა მიუხედავათ ამისა, არ უნდა გვიკვირდეს, რომ დღეს ქალების მდგომარეობა გონებრივი მხრით ისეთია, როგორსაც ვხედავთ. დარვინს უფლება ქონდა ეთქვა, რომ გამოჩენილ მამაკაცთა სიას პოეზიაში, მხატვრობაში, სკულპტურაში, მუსიკაში, მეცნიერებაში და ფილოსოფიაში ვერ შეედრება გამოჩენილ ქალთა სია ამავე სფერაში. მარა განა შეიძლება სხვანაირათ იყოს? **ეს ხომ უფრო გასაკვირველი იქნებოდა.** ამიტომ აქიმი დოდელი („Die neuere Schöpfungsgeschichte") შენიშნავს, რომ სხვანაირათ მაშინ იქნებოდა, მთელი საუკუნოების განმავლობაში რომ ქალებსა და კაცებს ერთნაირი აღზრდა მიეღოთ და ერთნაირი შეძლება მიცემოდათ ხელოვნებებსა და მეცნიერებაში გონების ვარჯიშობის. დღევანდელი დედაკაცი საერთოთ ფიზიკურათაც ბევრათ სუსტია მამაკაცზე, რასაც ვერ ვხედავთ ბევრ ველურ ხალხებში*). რის მიღწევა შეიძლება ბავშვობიდანვე ვარჯიშობით და შესაფერი აღზრდით, ამის მაგალითს ვხედავთ ცირკის ჯამბაზებსა (აკრობატები) და ცხენოსან ქალებში, რომელნიც გასაოცარ გამბედაობასა, უშიშრობას, დახელოვნებას და ფიზიკურ ძალას იჩენენ თავის საქმეში.

*) საამისო ცნობებს იძლევა, როგორც ადნიშნული გვქონდა, აქიმ პაველოკ ელლისი თავის წიგნში, საიდანაც არა ერთი ციტატა გვაქვს ამოღებული. იქიდან სჩანს, რომ ველურ და ნახევრათ ველურ ხალხებში, ქალი ფიზიკური ძალით და სიდიდით არა თუ უდრის, რამდენიმეთ კიდეც სჯარობს მამაკაცს. მეორე მხრით, ელლისი თანახმაა იმის, რომ ჩვენი კულტურული განვითარების წყალობით, განსხვავება მამაკაცის და დედაკაცის თავის ქალას სივრცეში პროგრესიულათ იზრდება.

რადგან ასეთი განვითარება შედეგია ცხოვრების პირობების და აღზრდის, ან ბუნების-მეტყველთა მოუხეშავ ტერმინოლოგიით—შერჩევის კანონის, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ, **როცა ადამიანი შეგნებულათ და მიზნის შესაფერათ მოაწყობს თავის განვითარების საქმეს**, კაცობრიობის ფიზიკური და სულიერი ცხოვრება საუკეთესო ნაყოფს გამოიღებს.

როგორც მცენარეები და ცხოველები არიან დამოკიდებული თავის არსებობის პირობებისგან, როგორც მათში კარგი პირობები ხელს უწყობს განვითარებას, ცუდი პირობები კი აფერხებს მას, როგორც იქ გარეშე ძალდატანება აიძულებს მათ შესცვალონ თავის არსება და ბუნება, ან სრულიად გაქრენ, მოისპონ, ისეა ადამიანიც. იმ წესს და საშუალებებს, რომლებითაც ადამიანი პოულობს არსებობის სახსარს, გავლენა აქვს როგორც მის გარეგნულ შეხედულებაზე, ისე მის აზრსა, გრძნობებსა და მოქმედებაზე. თუ ცუდი საარსებო პირობები, ე. ი. სოციალურ მდგომარეობის ნაკლულევანებები აფერხებენ ინდივიდუმის ნორმალურ განვითარებას, ცხადია, ამ საარსებო პირობების, ე. ი. სოციალური მდგომარეობის შეცვლით, ადამიანს შეუძლია ცვლილება შეიტანოს თავის საკუთარ არსებაში. მაშასადამე, საქმე იმაშია, რომ ისეთი სოციალური პირობები შევქმნათ, რომ თვითეულ ადამიანს შეძლება მიეცეს სავსებით, ხელ-შეუშლელათ განავითაროს თავის პიროვნება და შეგუების და განვითარების კანონები, რომელთაც დარვინის სახელით—დარვინიზმი ეწოდება, შეგნებულათ და მიზნის შესაფერათ იქნეს გამოყენებული საზოგადოებისაგან. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს.

ადამიანი, როგორც მოაზროვნე და შეგნებული არსება, უნდა შეგნებულათ ცვლიდეს და აუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს, ე. ი. თავის სოციალურ მდგომარეობას და ყველა იმას, რაც ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული; ამასთანავე უნდა ცდილობდეს, რომ განვითარების პირობები ერთნაირათ ხელსაყრელი იყოს ყველასათვის. თვითეულ ადამიანს უნდა შეძ-

ლება მიეცეს განავითაროს მასში ჩასახული ნიჭი და თვისებები თავის პირად სასარგებლოთ და საყოველთაო საკეთილდღეოთ. მარა მას ისეთი ძალა-უფლება არ უნდა მიეცეს, რომ თავის მოძმეს, ან მთელ საზოგადოებას ვნება მოუტანოს. მისი პირადი კეთილდღეობა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობა უნდა სავსებით ეთანხმებოდეს და ფარავდეს ერთმანეთს; ინტერესთა ჰარმონიით უნდა შეიცვალოს ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც ბატონობს დღევანდელ საზოგადოებაში.

დარვინიზმი, როგორც ყოველი ჭეშმარიტი მეცნიერება, უმწვერვალესათ დემოკრატიულია*). თუ დარვინისტთა ერთი ნაწილი წინააღმდეგ აზრს ადგია, ეს იმის ბრალია, რომ მათ ვერ შეუთვისებიათ ამ მეცნიერების ნამდვილი მნიშვნელობა. ნამდვილმა მოწინააღმდეგეებმა, განსაკუთრებით სამღვდელოებამ, რომელიც საუცხოოთ გრძნობს თუ რა არის მისთვის სასარგებლო და რა მავნებელი, შეიგნეს ეს და ამიტომ დაასმინეს დარვინიზმი, როგორც სოციალისტური და ატეისტური მოძღვრება. ამაში სავსებით დაეთანხმა თავის მოსისხლე მტრებს რუდოლფ ვირხოვი, როცა ბუნების-მეტყველთა სიეზდზე მიუნხენში, 1877 წელს პროფესორ ჰეკელის წინააღმდეგ ასეთი დებულება წამოაყენა: „დარვინის თეორიას სოციალიზმისაკენ მივყევართ“ **). ვირხოვის მიზანი იყო სახელი გაეტეხა დარ-

*) „ტაძარი მეცნიერებისა—არის ტაძარი დემოკრატიისა“, ამბობს ბოკლი თავის თხზულებაში: „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში“.

**) ციგლერი თავის ზემო-აღნიშნულ თხზულებაში: „ბუნების-მეტყველება, სოც-დემ. და სხვ.“, მე-11 და 12 გვერდზე მიკიჟინებს, თითქოს მე სისწორით არ მქონდეს გადმოცემული ჩემ წიგნში ვირხოვის აზრი. მარა მისი საკუთარი გადმოცემა ვირხოვის აზრების, ამტკიცებს ჩემ სისწორეს. ვირხოვმა სთქვა: „თქვენ მხოლოდ წარმოიდგინეთ, როგორ გამოიყურება ევოლიუციონური თეორია უკვე დღესვე სოციალისტის თავში! (სიცილი). დიახ, მმ. ხხ. ბევრს ეს სასაცილოთ ეჩვენება, მარა ეს სერიოზული საქმეა და მე მინდა იმედი ვიქონიო, რომ ევოლიუციონური თეორია არ მოგვიტანს ჩვენ იმ საშინელ შედეგებს, როგორიც მოყვა ამგვარ თეორიებს ჩვენს მეზობელ სახელმწიფოში. ყოველ შემთხვევაში ეს თეორია, თუ მას ლოდიკურ დასკვნამდე გავყვებით, მეტათ საშიშ მხარეს შეიცავს და მე იმედი მაქვს შენიშნავდით, რომ სოციალიზმი დაუახლოვდა მას; ჩვენ უნდა პირდაპირ შევხედოთ ამ ფაქტს. და აი ჩვენ ჩავიდინეთ ის, რისაც ასე ეშინოდა ვირხოვს, ჩვენ გამოვიყვანეთ დარვინის თეორიიდან ის ლოდიკური დასკვნები, რომელ-

ვინიზმისთვის, რადგან ჰეკელი თხოულობდა ევოლიუციონური მოძღვრების შეტანას საშუალო პროგრამაში. შკოლაში დარვინიზმის და სხვა თანამედროვე გამოკვლევათა მიხედვით, ბუნების-მეტყველების სწავლებას ებრძვიან ყველა ისინი; ვისაც სურთ გაახანგრძლივონ თანამედროვა წყობილება და მდგომარეობა... ამ მოძღვრების რევოლიუციონური გავლენა აშკარაა და აქედან იბადება მოთხოვნა, რომ იგი მხოლოდ რჩეულთა წრეებში ისწავლებოდეს. ჩვენ კი ასე ვფიქრობთ: თუ დარვინის თეორიას, როგორც **ვირხოვი** ამტკიცებს, სოციალიზმის მოძღვრებისაკენ მივყევართ, ეს ერთი ზედმეტი საბუთია არა ამ თეორიის წინააღმდეგ, არამედ სოციალიზმის სასარგებლოთ. მეცნიერებმა არ უნდა მიხედონ იმას, თუ როგორ სახელმწიფო წყობილებას, ან სოციალურ ურთიერთობას თხოულობს ესა თუ ის მეცნიერული მოძღვრება, ისინი არ უნდა დაგიდევდენ, ამართლებს თუ არა მეცნიერება არსებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას, მათ უნდა გამოიკვლიონ მხოლოდ— სწორია თუ არა ესა თუ ის თეორია და თუ სწორია, უნდა მიიღონ იგი ყველა მისი დასკვნებით და შედეგებით. ვინც სხვანაირათ იქცევა პირადი ანგარიშებით, ან ძლიერთა გულის მოსაგებათ, ან კლასიური და პარტიული ინტერესების დასაცველათ, ის არ იქცევა კეთილშობილურათ და მხოლოდ სახელს უტეხს მეცნიერებას. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენებური ამჭრული მეცნიერების წარმომადგენელნი, განსაკუთრებით ჩვენს უნივერსიტეტებში, იშვიათათ თუ **დაიკვეხებენ თავის აზრის დამოუკიდებლობას** და ხასიათის სიმტკიცეს. ხშირათ იმის შიშით, რომ შემოსავალი არ დაკარგონ და ზევიდან კეთილგანწყობილება არ მოაკლდეთ, უტიტულოთ, უორდენოთ და უაღმატებოთ არ დარჩენ,—ეს მეცნიერების წარმომადგენელნი ოთხათ იღუნებიან წელში, ლაჩრულათ მალავენ თავის აზრს,

---

ნიც ვერ გამოიყვანა მისი მიმდევრების უმეტესმა ნაწილმა ვირხოვი აფრთხილებდა კრებას ამ მოძღვრების საშიშ მხარეებისაგან, რადგან წინდაწინვე ხედავდა, რომ სოციალიზმი გამოიყვანდა და უნდა გამოეყვანა ყველა დასკვნები, რომელნიც ამ მოძღვრებიდან გამომდინარეობენ.

რწმენას და ხანდახან საჯაროთაც ქადაგებენ სრულიად წინააღმდეგს, ვინემ ნამდვილათ ფიქრობენ და სწამთ. თუ თვით დიუბუა რეიმონმა ერთ უქვეშევრდომილეს დღესასწაულის დროს 1870 წ. წარმოსთქვა: „უნივერსიტეტები—ეს გოგენ-ცოლლერნების სულიერ გვარდიის აღმზრდელი დაწესებულებებიაო“, ადვილი წარმოსადგენია, რაღას უნდა ფიქრობდენ მეცნიერების მიზნის შესახებ სხვები, რომელნიც თავის მნიშვნელობით ბევრათ დაბლა დგანან დიუბუა რეიმონზე. მაშ ასე, მეცნიერებას ამცირებენ, ძალმომრეობას შინაყმათ ხდიან.

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია, რომ პროფესორი ჰეკელი და მისი მოწაფეები: პროფ. ს. შმიდტი, ფონ-გელვალდი და სხვ. მთელი თავის ენერგიით პროტესტს აცხადებენ იმ საშინელი ბრალდების წინააღმდეგ, რომ დარვინიზმი სოციალიზმს უწევს სამსახურს და სრულიად წინაალმდეგ აზრს აღიარებენ: დარვინიზმი არისტოკრატიულია, რადგან ის გვასწავლის, რომ ბუნებაში ყველგან უძლიერესი და უმაღლესი ორგანიზაციის მქონე ცოცხალი არსება ძლევს და ჩაგრავს უფრო სუსტ და დაბალი ორგანიზაციის არსებას. და რადგან მათი აზრით, შეძლებული და განათლებული კლასი წარმოადგენს ორგანიზაციულათ უკეთ მოწყობილს და უძლიერეს არსებას საზოგადოებაში, ცხადია, ამ კლასის გაბატონებული მდგომარეობა თავისთავათ ადვილ-გასაგები მოვლენაა, რომელიც სავსებით მართლდება ბუნების კანონებით.

ამ მიმდინარეობის მომხრე დარვინისტებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ეკონომიურ კანონებზე, რომელნიც ბატონობენ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. და სწორეთ ამ ბრმა ეკონომიურ კანონების ბატონობა საზოგადოების მწვერვალზე ასკუპებს უმთავრესათ არა უკეთეს და ყველაზე მეტათ დახელოვნებულს, არამედ **ყველაზე გამოქნილს და გარყვნილს,** და შეძლებას აძლევს მას საუკეთესო ხელ-შემწყობი პირობები შექმნას თავის არსებობისა და შთამომავლობისათვის, რომელსაც თითის განძრევაც კი არ სჭირდება ამისთვის. არც ერთ ეკონომიურ სისტემის დროს არ ყოფილა კეთილშობილ და

ადამიანურ თვისებების პატრონისთვის ისე დაკარგული საზოგადოების მაღალ საფეხურზე ასვლის იმედი, როგორც დღევანდელ კაპიტალისტურ სისტემის დროს. გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ რამდენათაც წინ მიდის თანამედროვე სისტემის განვითარება, იმდენათ ეს იმედი თანდათან ილევა და ისპობა. უსაზღვრო უსირცხვილობა და წარბ-შეუხრელობა საშუალებების არჩევასა და მოხმარაში უფრო ნამდვილი და გამოსადეგი იარაღია, ვინემ ადამიანის ყველა კეთილშობილური გრძნობები ერთათ აღებული. ასეთ ნიადაგზე აშენებულ საზოგადოების ჩათვლა „უნიჭიერესთა და უკეთესთა“ საზოგადოებათ მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც იოტის ოდენათაც არა გაეგება-რა ამ საზოგადოების არსებისა და ბუნების, ან ვისაც ბურჟუაზიულ ცრუ-ჰორწმუნეობის წყალობით, დაკარგული აქვს ლოლიკური აზროვნებისა და დასკვნების უნარი. ბრძოლა არსებობისათვის გაჩაღებულია ყველა ორგანიზმებს შორის იმ პირობების მიუხედავათ, რომელნიც აიძულებენ მათ იბრძოლონ. ეს ბრძოლა შეუგნებლათ სწარმოებს. ასეთ ბრძოლას ადგილი აქვს ყველა საზოგადოებაში, რომელშიაც გაქრა და დღემდე არ გამეფებულა ინტერესთა სოლიდარობა. ეს ბრძოლა იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ფორმას იღებენ თავის განვითარების პროცესში ადამიანთა ურთიერთობანი; ეს ბრძოლა კლასობრივ ბრძოლას წარმოადგენს, რომელიც თანდათან მაღალ საზოგადოებრივ საფეხურზე გადადის. მარა ადამიანები იმით განირჩევიან დანარჩენ ცხოველებისაგან, რომ ამ ბრძოლის პროცესში თანდათან ძვრებიან საზოგადოების სულსა და გულში და ბოლოს იგნებენ მისი განვითარების კანონებს, რომლებიც ბატონობენ დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. **ბოლოს და ბოლოს ადამიანებისთვის საჭიროა მხოლოდ ვისარგებლოთ ამ შემეცნებით არსებულ სოციალურ-პოლიტიკური დაწესებულებების განხილვის დროს და შევიტანოთ შიგ შესაფერი ცვლილებები.** ამნაირათ, განსხვავება ადამიანსა და პირუტყვს შორის იმაში მდგომარეობს, რომ **ადამიანს შეგვიძლია მოაზროვნე ცხო-**

**ველი ვუწოდოთ, ცხოველს კი—არა მოაზროვნე ადამიანი.** ეს ვერ შეუგნიათ თავის ცალმხრივობით დაბრმავებულ დარვინისტთა უმრავლესობას და ამიტომ გამოყავთ ყალბი დასკვნები*).

პროფესორი ჰეკელი და იმის მომხრეები უარყოფენ აგრეთვე იმ აზრს, რომ დარვინიზმიდან ლოღიკურათ გამომდინარეობს ატეიზმი, **გააუქმეს რა** „შემოქმედი“ მეცნიერულ საბუთებისა და მოსაზრებების შემწეობით, ახლა აცახცახებული ცდილობენ, როგორმე უკანა კარებიდან შემოაპარონ იგი. ამ მიზნით ქმნიან თავისებურ „სარწმუნოებას“, ან უკეთ სარწმუნოების მზგავსს, რომელსაც უწოდებენ „უმაღლეს ზნეობას“, „ზნეობრივ პრინციპებს“ და სხვ.; პროფესორ ჰეკელმა ბუნების-მეტყველთა ეიზენახის კრებაზე 1882 წელს, რომელსაც დიდი ჰერცოგის ვეიმარის ოჯახობა დაესწრო, სცადა სარწმუნოების დაცვა და თავის მასწავლებელი დარვინიც მორწმუნე ადამიანათ გამოიყვანა, მარა ეს ცდა მხოლოდ მისი დამარცხებით გათავდა, რაშიაც დარწმუნდება ყველა, ვინც ჰეკელის რეფერატს წაიკითხავს და იქ მოყვანილ დარვინის წერილს გაეცნობა**). დარვინის წერილი, მართალია ფრთხილი ენით,

*) პროფ. ენრიკო ფერრიმ გამოაქვეყნა ერთი თხზულება: „სოციალიზმი და თანამედროვე მეცნიერება, დარვინი—სპენსერი—მარქსი“; აქ ის ჰეკელის წინააღმდეგ ამტკიცებს, რომ დარვინიზმი და სოციალიზმი სავსებით ეთანხმებიან ერთმანეთს და ამიტომ შემცდარია ჰეკელი, როცა ის დარვინიზმს არისტოკრატიულ თეორიათ სთვლისო. ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით ფერრის და, რა თქმა უნდა, ვერ ვიზიარებთ მის შეხედულებას დედაკაცის განსაკუთრებულ თვისებების შესახებ, სადაც ის ლომბროზოს და ფერრის აზრს იმეორებს. ელლისმა თავის „მამაკაცი და დედაკაც“-ში დაასაბუთა, რომ, თუმცა ამ ორი სქესის თვისებები სხვადასხვანაირია, მარა ღირებულებით ორივენი თანასწორი არიან. ეს სავსებით ეთანხმება კანტის იმ მოსაზრებას, რომ დედაკაცი და მამაკაცი მხოლოდ ორივე ერთათ შეადგენენ სრულ ადამიანს. ჩვენ მაინც ფერრის წიგნს უმნიშვნელოთ არ ვთვლით. არ ვიცით მხოლოდ, რათ დასჭირდა მთარგმნელს ერთ შენიშვნაში „ბებელის უსაფუძვლო შეხედულებებზე“ ლაპარაკი. ამის დამტკიცება ძალიან გაუჭირდება ბ. მთარგმნელს; ჩვენი მხრით კი ვიტყვით, რომ თვითონ ეს შენიშვნა სრულიად უსაფუძვლოა, მით უმეტეს, რომ ის მიკერებულია ფერრის იმ დებულებებთან, რომლებსაც ჩვენ **სავსებით** ვეთანხმებით.

**) „Zukunft“-ის № 8 (1885 წ. ბერლინი), პროფესორმა ჰეკელმა გამოაქვეყნა წერილი რეიხსტაგში შეტანილ გადატრიალების კანონ-პროექტის შესახებ, სადაც ბოლოში სხვათა შორის სწერია: „მე რასაკვირველია, მეგობარი არა ვარ

მარა სრულიად წინააღმდეგს ამბობს იმისას, რაიცა პროფ. ჰეკელის აზრით უნდა ეთქვა. დარვინი იძულებული იყო ანგარიში გაეწია თავის თანამემამულე ინგლისელების სარწმუნოებრივ მიდრეკილებისათვის და საჯაროთ არასოდეს არ გამოუთქვამს თავის ნამდვილი შეხედულება სარწმუნოებაზე. მარა კერძო საუბარში კი გამოუთქვას ის, რაც გამოაშკარავდა ვეიმარის კრების შემდეგ, სახელდობრ, აქიმ ლ. ბიუხნერთან საუბრის დროს მას უთქვამს, რომ თავის ცხოვრების მეორმოცე წლებიდან, ე. ი. **1849 წლიდან მას აღარაფერი სწამს, რადგან ,ვერავითარი საბუთი ვერ მოუძებნია სარწმუნოებისათვის.** უკანასკნელ წლებში სიკვდილის წინ, დარვინი ეხმარებოდა ერთ ატეისტურ გაზეთს ნიუიორკში.

## 5. დედაკაცი და თავისუფალი პროფესიები.

ქალებმა ყველგან უნდა კონკურენცია გაუწიონ კაცებს სულიერ ცხოვრების ასპარეზზე. ისინი ვერ დაუცდიან იმას, თუ როდის მოეხასიათებათ მამაკაცებს მათი გონებრივი ფუნქციების განვითარება და თავისუფალი გზის გაკაფვა. და ასეთი მოძრაობა დღეს მართლაც ფართოთ წარმოებს. ქალებმა უკვე სძლიეს მრავალი დაბრკოლებები და გონებრივი შრომის ასპარეზზე გამოვიდენ. ბევრ ქვეყნებში საუკეთესო შედეგებსაც მიაღწიეს. მოძრაობა, რომელსაც მიზნათ აქვს უნივერსიტეტებში, უმაღლეს შკოლებში და ამის შესაფერ პროფესიებში სამოღვაწეოთ ქალების დაშვებას მიაღწიოს და, რომელიც თანდათან ძლიერდება, დღევანდელი უკუღმართი პირობების გამო მხოლოდ ბურჟუაზიული წრის ქალებით ისაზღვრება. პროლე-

ბებელის, რომელიც მე არა ერთხელ მეკამათებოდა და სხვათა შორის თავის წიგნში ქალთა შესახებ პირდაპირ ცილი დამწამა". ბრალდება, რომელსაც აქ მე მიყენებს ჰეკელი, უძლიერესი ბრალდებათაგანია, რომლის წამოყენებაც კი შეიძლება ვისმეს წინააღმდეგ. ჰეკელი ალბათ ვერ ამჩნევს, რომ ეს ნიშნავს, ვინმეს ნება მიუცია თავის თავისთვის მის შესახებ შეგნებულათ წამოეყენებია ყალბი ბრალდებები. მე არა ვგრძნობ, რომ ასეთი რამ ჩამედინოს და ვუცდი, სანამ პროფესორი ჰეკელი დაამტკიცებდეს თავის ბრალდებას. მანამდე კი მე მას უკუვაგდებ, როგორც მოუფიქრებელს.

ტარი ქალები ამაში პირდაპირ დაინტერესებული არ არიან, რადგან მათთვის დღეს უმაღლესი სწავლა და შესაფერი საზოგადოებრივი მდგომარეობა ხელ-მიუწდომელია. მარა მიუხედავათ ამისა, ამ მოძრაობით და მისი გამარჯვებით ყველანი დაინტერესებული არიან. პირველათ ყოვლისა იმიტომ, რომ პრინციპიალურათ ეს მოთხოვნილება ეხება საერთოთ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ უფლებრივ გათანასწორებას მამაკაცებთან. მეორეთ, აქედან ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რის გაკეთება შეუძლია ქალებს დღეს, როცა საერთოთ მათი განვითარება ასე ცუდ პირობებშია ჩაყენებული. შემდეგ, ქალები დაინტერესებული არიან იმაში, რომ, მაგალ. ავათმყოფობის დროს თუ საჭიროთ დაინახავენ აქიმ ქალს მიმართონ, რომელთანაც უფრო თამამათ და დაურცხვენლათ შეუძლიათ მისვლა, ვინემ მამაკაცთან. ჩვენებურ ქალთა უმრავლესობისათვის, აქიმი ქალები ნამდვილი ღვთის მოწყალება იქნებოდა იმიტომ, რომ დღეს ავათმყოფობის დროს განსაკუთრებით, თუ ავათმყოფობა სქესობრივ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული, ქალებს ძლიერ უძნელდებათ მამაკაცთან მისვლა ააქიმო დახმარებისთვის. ხშირათ სულაც არ მიდიან და თუ მიდიან, მიდიან ძლიერ გვიან, როცა სნეულება მორეული აქვთ და მორჩენა გაძნელებულია. ამას მრავალი უსიამოვნო და მძიმე შედეგები მოაქვს, როგორც ქალებისთვის, ისე მათი ქმრებისთვის. იშვიათია ისეთი აქიმი, რომელიც არ უჩიოდეს ქალთა ასეთ მორცხვობას და თავის სნეულების მალვას, რაც ხშირათ დანაშაულის ჩადენას უდრის.

ადვილი გასაგებია, მარა დიდი უაზრობა და უგუნურება კია, როცა მამაკაცებს და განსაკუთრებით აქიმებს არ უნდათ შეისმინონ, თუ რამდენათ საჭირო და კანონიერია ქალებისაგან აქიმობის შესწავლა.

აქიმი ქალები ახალი მოვლენა არაა. ძველ ხალხთა უმრავლესობაში, მათ შორის გერმანელებშიაც, აქიმობას ქალები მისდევდენ. მე-IX და X საუკუნეებში, არაბების სამეფოში და მავრების ბატონობის დროს ისპანიაში, დიდი სახელი ქონდათ

გავარდნილი აქიმ ქალებს და დოსტაქრებს (ოპერაციის მკეთებლებს), რომელნიც სწავლობდენ აქ კორდოვის უნივერსიტეტში. მავრების გავლენით ქალებს იღებდენ იტალიის უნივერსიტეტებშიაც, მაგალ. ბოლონიაში და პალერმოში. და როცა „წარმართთა“ გავლენა გაქრა, იტალიაში ხელ-ახლა აკრძალეს მათი მეცადინეობა. უნივერსიტეტის კოლეგიამ ბოლონიაში 1377 წელს შემდეგი დეკრეტი გამოსცა: „და რადგან დედაკაცია სათავე ცოდვის, იარაღი ეშმაკის, მიზეზი სამოთხიდან გამოდევნის და ძველი აღთქმის დაკარგვის და, რადგან ამისთვის უნდა ყოველი გზით ვერიდოთ მასთან რაიმე საქმის დაჭერას,—ჩვენ გადაჭრით ვუკრძალავთ და ნებას არ ვაძლევთ, რომ ვინმემ შემოუშვას აღნიშნულ კოლეგიაში ქალი, რაც უნდა პატივცემული იყოს ის. და თუ მაინც ჩაიდენს ვინმე ამას, ის უნდა სასტიკათ დასჯილ იქნეს რექტორისაგან“.

ქალთა დაშვებას უნივერსიტეტებში პირველათ ყოვლისა ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქალების კონკურენცია კარგ გავლენას ახდენს ვაჟების ბეჯითობაზე, რაიცა მათ დღეს ძლიერ აკლიათ, როგორც ერთხმათ აღიარებენ ყოველ მხრიდან. თავისთავათ ესეც დიდი მოგებაა. ამით არსებითათ უნდა გაუმჯობესდეს ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდობის ზნე-ჩვეულებებიც. ლოთობას, დროს ტარებას, ჩხუბს, ტრაქტირებში ხეტიალს სტუდენტებისთვის დიდი ვნება მოაქვს. იქ, იმ დაწესებულებებში, სადაც იზრდებიან მომავალი სახელმწიფო პირები, მსაჯულები, ბრალმდებლები, პოლიციის უმაღლესი მოხელენი, მღვდლები, ხალხის წარმომადგენლები და სხვ., ისეთი ტონი დამყარდება, რომელიც უფრო შეეფერება იმ მიზანს, რომლისთვისაც ეს დაწესებულებები არსებობენ. ამ ტონის გაუმჯობესება კი დიდათ საჭიროა, რასაც ერთხმათ აღიარებენ მიუდგომელი მცოდნე პირები.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში დიდი სისწრაფით იზრდება იმ სახელმწიფოთა რიცხვი, რომელნიც უნივერსიტეტების და სხვა უმაღლეს სასწავლებლების კარი გაუღეს ქალებს. ვერც ერთი სახელმწიფო, რომელსაც კულტურულ სა-

ხელმწიფოთ მოაქვს თავი, დიდხანს ვერ აღუდგება წინ ამ მოთხოვნილებას. ყველაზე წინ მიდიოდა ამ მხრით შეერთებული შტატები, მას მისდევდა რუსეთი—ორი სახელმწიფო, რომელნიც ყოველ მხრივ კონტრასტს წარმოადგენს ერთმანეთისას. ჩრდილო-ამერიკის კავშირში ქალებს ყველა შტატებში აქვთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება. უტაში 1850 წლიდან, იოკში 1860-დან, კანხასში 1866-დან, ვისკონსინში 1868-დან, მინნეზოტში 1869-დან, კალიფორნიასა და მისსურიში 1870-დან, ოგიოში, ილინოისში და ნებრასკში 1871 წლიდან. შემდეგ მათ გზას დაადგენ დანარჩენი შტატებიც. საუნივერსიტეტო ცოდნის შეძენასთან ერთათ, ქალებმა გზა გაიკაფეს სხვა-და-სხვა შესაფერ პროფესიებშიაც: 1900 წლის აღწერით, შეერთებულ. შტატებში ქალები იყვენ 7399 აქიმათ და დოსტაქრათ, 1041 არქიტექტორათ, 5989 მწერლათ, 3405 მღვდლათ, 1010 ვექილათ და 327,905 მასწავლებლათ.

ევროპაში უნივერსიტეტი ღიაა ქალებისათვის, უმთავრესათ შვეიცარიაში. სტუდენტ ვაჟების და ქალების რიცხვი იყო:

| წლები. | საერთ. | მათ შორის სტუდ. ქალი. | თავისუფალი მსმენ. ქალი. |
|---|---|---|---|
| 1896—97 | 4181 | 391 | 728 |
| 1900—01 | 5301 | 854 | 1429 |
| 1905—06 | 7676 | 1502 | 2757 |
| 1906—07 | 8521 | 1904 | 3156 |

სხვა-და-სხვა ფაკულტეტებ შორის 1906 წელს, ზაფხულის სემესტრში, სტუდენტ ქალების რიცხვი ასე იყო განაწილებული: იურიდიულ ფაკულტეტზე იყო 75, სააქიმოზე 1181, ფილოსოფიურზე 648; ეროვნებით ეს ქალები ეკუთვნოდენ—შვეიცარიელებს 172 და უცხოელებს 1732. ქალთა რიცხვმა საზღვარ-გარეთის სტუდენტობაში მოიკლო, რადგან გერმანიის სხვა-და-სხვა უნივერსიტეტებში სწავლობენ ახლა, აკრძალული აღარ აქვთ უმაღლესი განათლება, თუმცა ისე თავისუფლათ არ იღებენ მათ, როგორც მამაკაცებს. 1906—09 წ. უნივერსიტეტებში ჩარიცხულ ქალთა რიცხვი შეადგენდა 30 პროც.

ყველა სტუდენტებისას, მსმენელი ქალები შეადგენდენ 37 პროც.; ინგლისში ქალებს შეუძლიათ უნივერსიტეტებში ლექციების სმენა, მხოლოდ ოკსფორდში და კემბრიჯში ჯერ ხარისხის მიღების ნებას არ აძლევენ მათ. საფრანგეთში 1905 წელს 33,168 სტუდენტი ირიცხებოდა, ამათში 1922 ქალი იყო (774 საზღვარ-გარეთიდან). ესენი დანაწილებული იყვენ აშნაირათ: იურიდიულ განყოფილებაზე 57, სააქიმოზე 386, საბუნებისმეტყველოზე 259, სალიტერატუროზე 338, დანარჩენებზე 382.

აი ის სახელმწიფოები, სადაც ქალებს იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში; შეერთებული შტატები, ინგლისი, ჰოლანდია, ბელგია, დანია, შვეცია, ნორვეგია, რუსეთი, გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, სათათრეთი და ავსტრალია. სააქიმო პრაქტიკის ნება აქვთ ქალებს: ინდოეთში, აბისინიაში, სპარსეთში, მაროკკოში, ჩინეთში და სხვ.; აქიმი ქალები განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქვეყნებში პოულობენ ნიადაგს და მკვიდრ მდგომარეობას. სარწმუნოება და ზნე-ჩვეულებები, რომელნიც ათასნაირ ზღუდეს ავლებენ აღმოსავლეთელ ქალებს, აუცილებელ საჭიროებათ ხდიან ქალის ყოლას მათ სააქიმოთ.

დიდი ბრძოლისა და დავიდარაბის შემდეგ, ბოლოს გერმანიაც შედგა დიდი გაჭირვებით ამ ახალ გზაზე. კავშირის საბჭოს დადგენილებით, 1899 წლის 24 აპრილიდან ქალებს და კაცებს თანასწორ პირობებში დაუშვებენ სააქიმო და კბილის სააქიმო გამოცდაზე და აგრეთვე პროვიზორის ხარისხის მისაღებ გამოცდაზე. მეორე დადგენილებით, 1900 წლის 28 ივლისიდან აქიმ ქალებს, რომელნიც გერმანიის ქვეშევრდომებათ ითვლებიან და საზღვარ-გარეთ დაამთავრეს სწავლა, პრაქტიკის უფლება ეძლევათ გერმანიის იმპერიაში, სტუდენტ ქალებს კი, თუ გერმანიაში გადმოვლენ, ჩაეთვლებათ ის საგნები, რომელნიც საზღვარ-გარეთის უნივერსიტეტში გაიარეს. ზოგიერთ უნივერსიტეტებში, მაგალ. ჰტიდელბერგში და გეტტინგენში, 1898 წლამდეც ქონდა ქალებს შესვლის უფლება.

შემდეგ კი ეს უფლება საყოველთაო გახდა. 1901—2 წლის ზამთრის სემესტრში, უნივერსიტეტების სიებში იყო აღნიშნული 1270 მსმენელი ქალი.

ამას გარდა მთელ რიგ ნემეცურ ქალაქებში არსებობს ქალთა გიმნაზიები და რეალური სასწავლებლები, მაგალითათ კარლსრუეში, შტუტგარტში, განნოვერში, კენიგსბერგში, გამბურგში, ფრანკფურტში მაინზე, ბრესლავში, ბერლინში, შენბერგში, მანჰეიმში და სხვ.

1902 წლის ზაფხულზე, ბერლინის უნივერსიტეტის საბჭომ უარყო სტუტენტ ქალების თხოვნა—ნამდვილ სტუდენტებათ ჩაერიცხათ ისინი, თუ სიმწიფის მოწმობას წარმოადგენდენ ნემეცურ გიმნაზიებიდან; ქალთა უმაღლეს სასწავლებელში დაშვების მოწინააღმდეგე გავლენიანი წრეები, ჯერ კიდევ სავსებით არ დამარცხებულან. მაგალ. 1902 წ. მარტში, პრუსიის განათლების მინისტრმა სიტყვა სთქვა ლანდტაგში, რომელშიაც, სხვათა შორის, ასეთი აზრი გააცარა: ქალთა გიმნაზიების დაარსება—ეს ისეთი ექსპერიმენტია, რომელსაც სახალხო განათლების სამინისტროს ადმინისტრაცია თავის თავზე ვერ იღებს. მას ეშინია, რომ ბუნებისაგან დაწესებული და კულტურით განვითარებული განსხვავება ქალსა და კაც შორის დაირღვევა, წაიშლება, დაზარალდება, თუ ქალები გიმნაზიებში და უნივერსიტეტებში იქნებიან დაშვებული. ნემეცთა ოჯახმა უნდა დაიცვას შეძლებისდაგვარათ ნემეც ქალთა თავისებურობანი.

აქ აზროვნება სავსებით მისდევს ძველ შაბლონს. ბევრი ნემეცი პროფესორი წინანდებურათ უარყოფით უყურებს ქალთა უმაღლეს განათლებას; ზოგიერთები კი აღიარებენ, რომ ქალთა დიდი ნაწილი, რომელნიც უმაღლეს სასწავლებელში არიან მიღებული, სავსებით, ხშირათ საუკეთესოთაც აკმაყოფილებენ ამ სასწავლებლების მოთხოვნილებებს; ხოლო როგორ უყურებს ქალთა საკითხს ნაწილი და შეიძლება უმეტესი ნაწილიც სტუდენტების, ამას გვიჩვენებს ჰალლეს სტუდენტ-კლინიცისტების საპროტესტო წერილი, რომლითაც მათ. მი-

მართეს 1902 წელს ყველა უნივერსიტეტების სტუდენტ-კლინიცისტებს... პირველათ ისინი განმარტვენ, რომ მათი პროტესტი გამოიწვია ფერეინის „ქალთა განათლება—ქალთა დაშვება უნივერსიტეტში“ აგიტაციამ ქალების დასაშვებათ სააქიმო ფაკულტეტზე,—და შემდეგ განაგრძობენ: „რაკი ამ ნაბიჯით კითხვა საჯაროთ დაისვა საზოგადოების სამსჯავროს წინაშე, ჰალლეს კლინიცისტები, მოვალეთ ვთვლით ჩვენს თავს მივმართოთ იმ წრეებს, რომელთათვის ამ კითხვის გადაწყვეტას უდიდესი ინტერესი და მნიშვნელობა აქვს, სახელდობრ, ნემეცთა უნივერსიტეტების კლინიცისტებს, რადგან თქვენ ან თავის პირადი გამოცდილებით გეცოდინებათ ზემო-აღნიშნული აუტანელი მოვლენები, ან შეგიძლიანთ მაინც ადვილათ წარმოიდგინოთ **რა სამწუხარო და ყოველივე სირცხვილის გამქრობი მდგომარეობა უნდა გამოიწვიოს შეერთებულმა კლინიკურმა სწავლებამ; ეს მდგომარეობა იმდენათ საზიზღარი და გულშემზარავია, რომ მათი უფრო მეტი სისწორით აღნიშვნა ზრდილობის ყოველ საზღვარს გადააბიჯებდა.** სააქიმო ფაკულტეტმა ჰალლეში, პირველმა სცადა გერმანიის იმპერიაში ქალების დაშვება სააქიმო განათლების მისაღებათ და უნდა აღვიაროთ, ამ ცდამ **უარყოფითი შედეგები მოგვცა. იქ, სადაც კეთილშობილური მისწრაფებები იყო გამეფებული, ქალებთან ერთათ ფეხი შემოდგა ციინიზმა,** და ისეთი სცენები, რომელნიც ერთნაირათ იწვევენ აღშფოთებას, როგორც მასწავლებლებში და მსმენელებში, ისე პაციენტებში—ჩვეულებრივი მოვლენაა. **ქალთა ემანსიპაცია აქ პირდაპირ უბედურებათ იქცა, რადგან ის ეწინააღმდეგება ზნეობას, ებრძვის მას;** ამიტომ აქ მას საზღვარი უნდა დაედვას. კოლლეგებო! ვინ იქნება ისეთი კადნიერი, რომ იმ ფაქტების შემდეგ წინააღუდგეს ჩვენს კანონიერ მოთხოვნილებებს! ჩვენ ვთხოულობთ: **აეკრძალოს ქალებს კლინიკებში მუშაობა,** რადგან გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ქალისა და კაცის შეერთებული მეცადინეობა კლინიკებში, ერთი მხრით ხელს უშლის ამ დარგის საფუძვლიანათ შესწავლას და მეორე

მხრით ძირიანათ არღვევს ზრდილობის და მორალის ელემენ-ტარულ წესებს. ჩვენგან აღძრულ კითხვას მარტო ადგილობ-რივი ხასიათი არა აქვს. უკვე მაღალ სფერებშიაც ლაპარაკობ-ენ, რომ ქალებს საბოლოოთ მიეცეს ნება სააქიმო ფაკულტე-ტებზე შესვლის. ჩვენ ახლა ყველა თანაბრათ დაინტერესებუ-ლი ვართ ამ საერთო საქმეში და ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ: „დაადექით გარკვეულ გზას ამ საკითხში და შემოუერთეთ თქვენი ხმა ჩვენს პროტესტს“.

ეს „პროტესტი“ გასაოცარი საბუთია იმის, თუ რამდე-ნათ ვიწრო აზრისა და შურიანი გულის პატრონი არიან კლი-ნიცისტი სტუდენტები გერმანიაში, რამდენათ ეშინიათ მათ ქალთა კონკურენციის; განა მთელი მათი მორალური მისწრა-ფებები ასეთ შიშსა და შურზე არაა დამყარებული? გერმანი-ისთვის გამოდის საშიში ის მოვლენა, რომელიც ათი წლობით არსებობს სხვა კულტურულ სახელმწიფოებში და არავითარი ზიანი არ მოუტანია სტუდენტების ზნეობისა და ზრდილობია-ნობისათვის. ნემეცი სტუდენტები მაინცა-და-მაინც განთქმული არ არიან ზნეობრივი ყოფა-ქცევით და სათნოიანობით; ამიტომ უკეთესს იზამენ, რომ ასეთ ოხუნჯობას თავს დაანებებდენ. თუ ზნეობა და ზრდილობა არ ილახება იმით, რომ მოწყალების დები ესწრებიან ყოველგვარ ოპერაციებს, როგორც კაცებისას, ისე ქალებისას და სერიოზულ დახმარებასაც უწევენ მათ, ამ დროს თუ ზრდილობა და ზნეობა არ ილახება იმით, რომ ხში-რათ ათი-თხუთმეტი ახალგაზრდა ყმაწვილი ესწრება სასწავლო მიზნით მშობიარობას და ქალების ოპერაციას, რაღათ უნდა შეილახოს ის სტუდენტ-ქალების დასწრებით? განა სასაცილო არაა ამ უფლების წართმევა მოვითხოვოთ ქალებისათვის?

პროფ. ბიშოფი სულ სხვა საბუთით ეწინააღმდეგებოდა სა-აქიმო ნაწილზე ქალების დაშვებას, ვინემ გალლელ კლინიცის-ტები, სახელდობრ, ის უთითებდა **სტუდენტების თავხედობასა და უზრდელობაზე,** რაც მან საკუთარი გამოცდილებით კარ-გათ იცოდა. მარა, როგორი პოზიციაც უნდა დაიჭირონ ქალ-თა უმაღლეს განათლების შესახებ ამ კონკურენციით დამფრთ-

ხალმა და გონებით ღატაკმა მამაკაცებმა, ეს კითხვა უკვე გადაჭრილია ქალების სასარგებლოთ. ამიერიდან ქალთა უმაღლესი განათლების შეჩერება შეუძლებელია.

18 აგვისტოს, 1908 წელს, გამოვიდა უმაღლესი განკარგულება, რომლის ძალითაც ქალებს ნება ეძლევათ უნივერსიტეტში განათლება მიიღონ. აქამდის ამათ თავისუფალ მსმენელებათ იღებდენ მხოლოდ. სტუდენტების სახელმძღვანელოთ გამოსულ დადგენილებებში მოხსენებული იყო, რომ ქალების უნივერსიტეტში ჩასარიცხავათ მინისტრის თანხმობაა საჭირო *).

1908—09 სასწავლო წლებში უკვე 1077 ქალი იყო ჩაწერილი ლექციებზე; ზაფხულში, 1908 წ. იყო 377 და 1906 წელს კი 254. ამათგან ბერლინში სწავლობდა 400, ბონნაში —69, ბრესლავში—50, ერლანგენში—11, ფრეიბურგში—69, გისენში—23, გეტინგენში—71, გრისვალდში—5, ჰალლეში—22, ჰეიდელბერგში—109, იენაში—13, კილში—2, კენიგსბერგში—17, ლეიპციგში—44, მარბურგში—27, მიუნხენში—134, ტიუნბინგენში—6, გიურცბურგში—7. მხოლოდ შტრისბურგის, როსტოკის და მიუნსტერის უნივერსიტეტებში არ იყო არც ერთი სტუდენტი ქალი. თავისუფალ მსმენელათ 1908 წლის ზაფხულში ირიცხებოდა 1887 ქალი, ზამთრის სემესტრში 1908—09 წელს—1767. ამათგან ბერლინში—313, შტრასბურგში—249, ბრესლავში—168, მიუნხენში—131, ბონნაში —120, კენიგსბერგში—116, ლეიპციგში—95, გისენში—93, გეტინგენში—73, ტიუბიგენში—67, ჰალლეში—54, ფრეიბურგში—50, დანარჩენებში 50-ზე ნაკლები. სტუდენტებათ ჩარიცხულ ქალებში 3 ღვთისმეტყველებას სწავლობდა, 31—იურიდიულ მეცნიერებას, 334—აქიმობას, 709—ფილოსოფიას.

ქალების უნივერსიტეტში დაშვებამ გამოიწვია ქალთა საშუალო სასწავლებლების რეფორმა. იმ დადგენილების ძალით, რომელიც 1899 წელს 31 მაისს გამოვიდა, სამოსწავლო დრო

*) მინისტრის განკარგულებით შეიძლებოდა აგრეთვე ქალები არ დაეშვათ ხოლმე ზოგიერთ ლექციებზე.

ასეთ სასწავლებელში 9 წლით იყო განსაზღვრული, ზოგიერთ შემთხვევებში 10 წლის სწავლის შემოღებაც შეიძლებოდა. შემდეგ საჭიროებამ მოითხოვა მეათე კლასის მომატება ყველგან. 1901 წელს 213 სახელმწიფო სასწავლებლებში 90 იყო ცხრა კლასიანი და 54—ათ კლასიანი; ოქტომბერში 1907 წ., პირველი შემცირდა—69-მდე დაიწია, მეორე კი გამოაკლდა —54-დან აიწია 132-მდე. ასეთივე ცვლილება მოხდა კერძო სასწავლებლებშიაც; 1907 წელს იყო 110 ცხრა-კლასიანი და 138 ათ-კლასიანი სასწავლებელი. ასეთ ობიექტიურ განვითარებას ბიუროკრატიის ბეჭედი ეჭირვებოდა, საჭირო იყო, რომ გერმანელი ქალის „თავისებურ ბუნებას“ ჩირქი არ მოსცხებოდა. 1908 წელს, 18 აგვისტოს, მთავრობამ გამოსცა ახალი კანონი, რომლის ძალითაც ქალთა საშუალო სასწავლებელში 10 კლასი უნდა დაარსებულიყო. „განათლების დასამთავრებლათ, როგორც ეს შეეფერება გერმანელი ქალის მომავალ დანიშნულებას“, მთავრობამ საჭიროთ დაინახა ერთი, ან ორ კურსიანი ლიცეი. ყურადღება მიაქციეს მაღალი წოდების ქალიშვილებსაც. ამათ მოსამზადებლათ აკადემიისთვის განიზრახეს ცალკე სასწავლებლების დაარსება, მარა სხვა საშუალო სკოლებთან ერთათ ესენი ერთი გამგეობის ქვეშ უნდა ყოფილიყვენ. ამნაირათ, მთავრობამ მიიღო 6 წლის შემდეგ ის, რაც 1902 წელს უარყო. ეს გამოიწვია ეკონომიურმა განვითარებამ. მოვისმინოთ ოფიციალური განმარტება:

„თანამედროვე კულტურის განვითარებამ გამოიწვია ცვლილება საზოგადოებაში და სწავლა-განათლების საქმეში. დრომ მოიტანა ახალი საჭიროება და ჩვენც უნდა ყურადღება მივაქციოთ შუათანა და მაღალი წრის ქალთა მდგომარეობას, უამისოთ საზოგადოებისთვის გამოუსადეგარი დარჩება დედაკაცის სულიერი ძალა, რომელიც თავისთავათ ძვირფას განძათ უნდა ჩაითვალოს. ქალები ახლა მამაკაცებთან შედარებით, უმრავლესობას შეადგენენ, მაღალ წრეებში მამაკაცები ქორწინებას ერიდებიან, ამიტომ განათლებული წრიდან გამოსული ქალები უარყოფენ თავის პირდაპირ დანიშნულებას, ცოლის და დე-

დის მოვალეობა აღარაფრათ მიაჩნიათ. და ამათ ახლა უნდა გაუადვილოთ სწავლა-განათლების შესაფერი საქმის შოვნა. ამათ უნდა შეძლება მიეცეთ პედაგოგიურ ასპარეზზე თავისუფლათ გამოსვლის. მათ უნდა შეეძლოთ აგრეთვე შესაფერათ გამოიყენონ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა".

ვისმეს ეგონება, რომ ეს სტრიქონები თვით ჩემი წიგნიდანაა ამოღებული.

როგორც სჩანს, ქალთა განათლების საქმეს ახლა წინ ვეღარაფერი გადაეღობება.

აქიმი ქალები, ბევრი თუ ცოტა, დედამიწის ყველა კულტურულ ქვეყნებში არიან. არიან ბევრ ისეთ ქვეყნებშიაც, რომელნიც კულტურულ ქვეყნებათ არ ჩაითვლებიან. განსვენებულ ლიხუნ-ჩანგს შინაურ აქიმათ ქალი ყავდა, რომელიც თავის სამშობლო ქალაქ ფაუტჩანგის ქალთა საავათმყოფოში მუშაობდა. განსვენებული კოვალევსკის ქალი, ცნობილი მათემათიკოსი, 1889 წლიდან სიკვდილამდე (1891 წ.), მათემატიკის პროფესორათ იყო სტოკჰოლმის უნივერსიტეტში. პროფესორი ქალები ბევრია შეერთებულ შტატებში, თითოოროლას შეხვდებით აგრეთვე იტალიაში, შვეიცარიაში, ინგლისში და საფრანგეთში, სადაც ცნობილმა ფიზიკოსმა—მარია კიურიმ, თავის ქმართან ერთათ აღმოაჩინა რადიო-აქტიური ნივთიერებანი და პოლონი და ახლა, ქმრის სიკვდილის შემდეგ (1906 წელს), მისი ადგილი უჭირავს უნივერსიტეტში. ქალებს ხშირათ უჭირავთ საზოგადოებრივი და კერძო ადგილები: აქიმის, კბილის აქიმის (დანტისტკის), იურისტის, მსაჯულის, ქიმიკოსის, ფიზიკოსის, გეოლოგის, ბოტანიკოსის და სხვა. ახლა ქალების საქმეა დაამტკიცონ, რომ მათ მამაკაცებზე არა ნაკლებ შეუძლიათ თავის თავზე მიღებული მოვალეობის შესრულება; 1899 წელს ციურიხის კანტონის ამრჩეველთა უმრავლესობამ სახალხო კენჭის-ყრით დაადასტურა, რომ ქალებს უფლება მისცემოდა ვექილობის. ეს გადაწყვეტილება გავიდა 21,717 ხმით 20,046-ის წინააღმდეგ. ამერიკაში ქალებს უფლება აქვთ ვექილათ შესვლის 34 შტატში, ასევ

აგრეთვე საფრანგეთში, ჰოლლანდიაში, შვეიცარიაში, დანიაში, ფინლიანდიაში, კანადაში, ავსტრალიაში და რუსეთში*).

თუ ბევრი მამაკაცები და განსაკუთრებით მეცნიერები ეწინააღმდეგებიან ხშირათ ქალთა უმაღლეს განათლებას, ეს იმიტომ, რომ ეშინიათ მეცნიერების დამცირების, რომლის პრესტიჟი თურმე უეჭველათ უნდა დაეცეს, თუ ქალებს უფლება მიეცა სამეცნიერო შრომას მოკიდონ ხელი. მეცნიერული შრომა, ამათი აზრით, განსაკუთრებული პრივილეგიაა, რომელიც მხოლოდ რჩეულ მამაკაცებისათვისაა მისაწვდომი.

სამწუხაროთ, ჩვენი უნივერსიტეტები და საერთოთ განათლების საქმე ჯერ კიდევ მრავალ ნაკლულევანებებითაა სავსე. როგორც სახალხო შკოლებში უკარგავენ ბავშვს უძვირფასეს დროს ისეთი რამეების სწავლებით, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველ გონიერებას და მეცნიერულ ცოდნას, როგორც იქ უტენიან თავს და უხშობენ აზრს აუარებელ გამოუსადეგარი ბალასტით, რომელიც ცხოვრებაში სრულიად საჭირო არ არის მათთვის და მხოლოდ ხელს უშლის მათ განვითარებას შკოლაში,—ისეა საშუალო სასწავლებლებშიაც. იმ სასწავლებლებში, სადაც ახალგაზრდობას უნივერსიტეტისათვის ამზადებენ, აუარებელ მშრალ და გამოუსადეგარ სამოსწავლო მასალას ანელებიებენ ყმაწვილებს და ამით საუკეთესო დროს და ძვირფას გონებრივ ძალას უაზროთ და უსარგებლოთ ახარჯვინებენ. ამგვარათ მიმდინარეობს უმეტეს შემთხვევაში სწავლის საქმე უნივერსიტეტშიაც. ბევრ დაძველებულ, დრო-მოჭმულს და ზედმეტს ასწავლიან იქაც კარგსა და სასარგებლოსთან ერთათ. ერთხელ დაწერილ ლექციას პროფესორთა უმრავლესობა, ყოველ სემესტრში უცვლელათ იმეორებს, საოხუნჯო მასალასაც კი არ აახლებს... პროფესორის მაღალი თანამდებობა ბევრის ხელში უბრალო ხელობათაა გადაქცეული და დიდი დაკვირვების ნიჭი არაა საჭირო, რომ მოსწავლემ ეს შეამჩნიოს. უნივერსიტეტის ტრადიციები საკმაოთ ზრუნავენ იმა-

*) ამ უკანასკნელმა უკვე პირი იბრუნა და ვექილობის უფლება წაართვა ქალებს (ფლეიბიცის ინციდენტი). მთარგმნელი.

ზე, რომ ახალგაზრდა სტუდენტი მაინცა-და-მაინც დიდათ სერიოზულათ არ მოეკიდოს სტუდენტის მოვალეობას; და თუ ვინმემ მაინც სერიოზულ მეცადინეობის სურვილი გამოიჩინა, ამას მალე ჩაუხშობს პროფესორთა დიდი ნაწილის პედანტური მოპყრობა თავის საგნისადმი. გულმოდგინეობის შესუსტება ჩვენ მაღალ და საშუალო სასწავლებლებში, საყოველთაო მოვლენათაა გადაქცეული და ეს გარემოება მაღალ სფერებსაც კი აფიქრებს. ამას გვერდს უმშვენებენ კარიერიზმი და ნეპოტიზმი (უხასიათობა), რომელიც ამ ჩვენ მტკიცე ხასიათის ადამიანებით ღარიბ დროში, დიდ წარმატებაშია და თანდათან ბატონდება მაღალ სასწავლებლებში. ცოდნისა და ნიჭის მაგიერობას უწევენ კეთილ-საიმედობა და მაღალი პირების დახმარება; ეს უკანასკნელი სისტემა თანდათან ვრცელდება. ყველაზე გამოსადეგი ხელობა—პატრიოტობაა, ე. ი. ისეთ ადამიანათ ყოფნა, რომელსაც საკუთარი აზრი არ მოეპოვება და რომელიც სამაგიეროთ, გულ-მოდგინეთ უგდებს ყურს, თუ როგორ ფიქრობენ და რას ამბობენ მაღალ სფერებში, რომელმაც იცის, საით ქრის ქარი და იქით მიყვება, ცოცავს, პირმოთნეობს;—დიახ, ასეთ პატრიოტათ ყოფნა უფრო გამოსადეგი და სასარგებლოა, ვინემ მტკიცე ხასიათის, დიდი ცოდნისა და ნიჭის გამოჩენა. როცა გამოცდის დრო დგება, ასეთი სუბიექტები 2—3 თვის განმავლობაში ამოკბილავენ, რაც უსაჭიროესია, რომ როგორმე „გაძვრენ“ გამოცდაში; გამოცდის გათავების შემდეგ, ასეთი სუბიექტები შემოსავლიან მოხელის ადგილს, ან პროფესიონალურ მდგომარეობას მოიპოვებენ და შეუდგებიან წმინდა მექანიკურ მუშაობას, როგორც ნამდვილი ხელოსანი, და იმავე დროს საშინლათ ჯავრობენ, თუ რომელიმე „უდიპლომო“ პატივისცემით და მოკრძალებით არ მოეპყრო მათ „დიპლომიანობას“ და უმაღლეს რასის ადამიანებათ არ ჩათვალა ისინი. მაღალ პროფესიათა წარმომადგენლების უმეტესობა: აქიმები, ვექილები, მსაჯულები, პროფესორები, მოხელენი, მხატვრები და სხვ., ერთგვარი ნამდვილი **ხელოსნებია თავის სფერაში და მოხარული არიან, რომ**

**საბმლით სავსე ბაგას მიაგნეს.** ადამიანი, რომელიც წინ მიისწრაფის, გვიან ტყობილობს, რამდენი უსარგებლო უსწავლია და რამდენი ისეთი დარჩენია გაუცნობელი, რაც ყველაზე უფრო საჭიროა მისთვის და ახლა ძალა-უნებურათ უნდა შეუდგეს მის შესწავლას. თავის სიყმაწვილის საუკეთესო ხანაში მას აწამებდენ უვარგის და თავის გამლაყებელ საგნების შესწავლით, ახლა კი ჯერ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ როგორმე თავიდან გამოდევნოს ეს უსარგებლო და მავნებელი ბალლასტი და მხოლოდ შემდეგ შეუძლია თანამედროვე შეხედულებები შეითვისოს და ასე საზოგადოების სასარგებლო და საჭირო წევრი გახდეს. ზოგიერთი პირველ საფეხურს ვერ სცილდება, ზოგი მეორე საფეხურზე იყინება და მხოლოდ მცირე ნაწილს ყოფნის ენერგია და ნიჭი მესამე საფეხურამდე მისაღწევათ.

მარა „დეკორუმი“ თხოულობს საშუალო საუკუნოების ნაძველარას და უაზრო სამეცნიერო ბალლასტის შერჩენას და, რადგან ქალებს არ იღებდენ საუნივერსიტეტოთ მოსამზადებელ სასწავლებლებში და დღესაც არ იღებენ ბევრგან, ამ გარემოებით სარგებლობდენ ქალებისთვის აუდიტორიის კარების დასახშობათ. ლეიპციგში მე-70 წლებში, ერთი გამოჩენილი პროფესორი გულ-ახდილათ გაუტყდა ერთ ქალს, რომ „**გიმნაზიური განათლება, მართალია, აუცილებელი არ არის სააქიმო სწავლის გასაგებათ და შესათვისებლათ, მარა ის მაინც უნდა მოეთხოვოს აქ შემომსვლელს,** რადგან უამისოთ მეცნიერების პრესტიჟი (სახელი) დაეცემა“.

ამ ბოლო დროს გერმანიაშიაც იზრდება ოპოზიცია—საქიმო ფაკულტეტზე შესასვლელათ კლასიკური განათლების მოთხოვნის წინააღმდეგ. რადგან ბუნების-მეტყველებამ დიდი ნაბიჯი წადგა წინ და მისი მნიშვნელობა ცხოვრებაში თანდათან იზრდება, მისი შესწავლა ყველასათვის საჭიროა; გიმნაზიებში კი, სადაც კლასიკურ ენებს, ბერძნულს და ლათინურს ეძლევა უპირატესობა, ბუნების-მეტყველება ნაკლებ მნიშვნელოვან საგნათ ითვლება და უყურადღებოთაა მიტოვებული.

ამის წყალობით, ახალ სტუდენტებს ხშირათ აუცილებელი ცოდნაც არ მოეპოვებათ ბუნებისმეტყველებიდან, რომელსაც მეცნიერების ზოგიერთი დარგისთვის, როგორც, მაგალითათ მედიცინისათვის, გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს. ამ ცალმხრივ განვითარების წინააღმდეგ, ამ ბოლო დროს თვით მასწავლებელთა წრეებშიაც იჩინა თავი ოპოზიციამ. საზღვარგარეთ, მაგალ. შვეიცარიაში, დიდიხანია უმთავრესი მნიშვნელობა ეძლევა ბუნების მეცნიერულ შესწავლას და ვისაც საკმაო წინასწარი ცოდნა აქვს საბუნებისმეტყველო საგნებში და მათემათიკაში, ყველას იღებენ აქიმობის შესასწავლათ, თუნდა ეგრეთ წოდებული კლასიკური განათლება არ ქონდეს მიღებული. ასეა შეერთებულ შტატებში და სხვ.

რუსეთში, სადაც ებრაელების დევნა კანონათ არის გადაქცეული, 1897 წ. მეფემ გამოსცა ბრძანება, რომ ქალთა სააქიმო ინსტიტუტში მარტო ქრისტიანები მიიღება თავისულათ, სხვა სარწ. წრეებიდან კი—მხოლოდ ხუთი პროცენტიო. ებრაელებს აქედან ეკუთვნოდათ სამი პროცენტი, ოსმალებს—ორი. ეს არის ერთი მაგალითი რუსეთის უკან მსვლელობის. ამ ვეებერთელა სახელმწიფოს მით უფრო არ ეპირვება ასეთი შემავიწროებელი კანონი, რომ ერთი მხრით მას არა ჰყავს საკმაოთ გამოცდილი აქიმები, მეორე მხრით რუსეთში ქალებმა სარწმუნოების და ჩამომავლობის განურჩევლათ, დიდი თავგანწირულება გამოიჩინეს აქიმობაში.

აქიმმა პროფესორმა—ერისმანმა, რომელმაც მრავალი წლები დაჰყო რუსეთში, შემდეგი გადმოგვცა ცენტრალურ სააქიმო საზოგადოების 59 კრებაზე, ოლტენში წაკითხულ რეფერატში: „ძლიერ კარგი შედეგები მოგვცა ამ პირველ წლებში აქიმ ქალთა მუშაობამ, ამ უკანასკნელებმა თავიდანვე მოიპოვეს ნდობა მცხოვრებლებში; კეთილშობილურ გაჯიბრებიდან აქიმ მამაკაცებთან, ისინი თითქმის სრული გამარჯვებული გამოვიდენ. მალე გამოირკვა, რომ საერთოთ თვითეულ აქიმ ქალს მეტი პაციენტები მოდიოდა წლიურათ, ვინემ აქიმ კაცს, თუმცა ეს უკანასკნელნიც დიდი ენერგიით და თავგამოდებით

ასრულებდენ თავის მოვალეობას. ქალ აქიმებს განსაკუთრებით აუარებელი ავათმყოფი ქალები ესეოდა სააქიმო დახმარების მისაღებათ*).

მეორე მხრით, ქალთა კონკურენციას, რომლისაც ასე ეშინიათ დაინტერესებულ მამაკაცებს, განსაკუთრებით სააქიმო პრაქტიკაში, არასოდეს არ მოუტანია უარყოფითი შედეგები. პირველათ იმიტომ, რომ აქიმ ქალებთან უმეტესათ ისეთი ავათმყოფი ქალები დადიან, რომელნიც იშვიათათ და მხოლოდ უკანასკნელ შემთხვევაში თუ მიმართავენ აქიმ კაცს რჩევისთვის, მეორეთ იმიტომ, რომ ბევრი სააქიმო ცოდნით აღჭურვილი ქალი, როგორც გამოირკვა, გათხოვების შემდეგ ან სულ არ კიდებს ხელს პრაქტიკას, ან მალე ანებებს მას თავს. ამის მიზეზი ისაა, რომ ქალის ოჯახური მოვალეობანი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით თუ წვრილი შვილებიც ყავს, იმდენათ დიდია, რომ ბევრი მათგანი ვერ ახერხებს ერთ და იმავე დროს ორ ბატონს ემსახუროს. განსაკუთრებით აქიმი დღე და ღამ ყოველ საათს მზათ უნდა იყოს თავის მოვალეობის შესასრულებლათ, რომელიც მისი პროფესიიდან გამომდინარეობს და ეს კი ბევრი ქალისთვის შეუძლებელია**).

უკანასკნელი ანგარიშით, რომელიც 1808 წელს ეხება, ინგლისში ითვლებოდა 16 საფაბრიკო ინსპექტორი ქალი, რომელთაგან მისს ანდერსონს, როგორც უფროს ინსპექტორს, 15 თანაშემწე ქალი ყავდა. შეერთებულმა შტატებმა და საფ-

*) Die Organisation der unentgeltlichen poljklinischen Krankenpflege in den grossen Städten Russlands (St. Petersbourg und Moskau). Deutsche vierteljahresschrift für öffentliche Gesundheitspflege. Braunschweig.

**) რამდენათ ძნელია დედაკაცისთვის ოჯახსაც გაუძღვეს და იმავე დროს სხვა საჭირო საქმეს მოეკიდოს, ამის შესახებ ადელე გერარდი, ელენა სიმონი თავიანთ წიგნში: „დედობა და სულიერი მუშაობა“, საინტერესო მასალას იძლევიან. არიან ქალებში მწერლები, მხატვრები, მგალობლები, სცენის მოღვაწეები, რომელნიც საკუთარი გამოცდილებით ამბობენ, რომ საზოგადოებამ უნდა გარდაქმნას თავისი შინაგანი დამოკიდებულება და მაშინ აუარებელი განათლებული დედაკაცები ადვილათ იშოვიან საქმეს; ახლა კი ისინი უსაქმოთ არიან და ეს ხომ სრულიად არ შეეფერება თვით საზოგადოების ინტერესებსო.

რანგეთმაც გადასწყვიტეს, როგორც იქნა, ადგილი მისცენ ქალებს საფაბრიკო ინსპექციაში, რის მოთხოვნილება მით უფრო მეტია, რომ მუშა ქალთა რიცხვი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, წლითი-წლობით მრავლდება და ამასთანავე იზრდება ისეთ დაწესებულებათა რიცხვი, სადაც განსაკუთრებით მხოლოდ ქალები მუშაობენ, ან მომუშავეთა დიდ უმეტესობას შეადგენენ. მათ მაგალითს მიბაძეს გერმანიის ზოგიერთმა სახელმწიფოებმა: ბადენმა, ბავარიამ, ჰესენმა, პრუსიამ, საქსონიამ, ვეიმარმა, ვიურტემბერგმა და სხვ., თანაშემწეებათ ქალები დაუნიშნეს საფაბრიკო ინსპექტორებს და ზოგიერთმა მათგანმა დიდი ყურადღება დაიმსახურა თავის მოქმედებით. პრუსიის საფაბრიკო ინსპექციაში მონაწილეობას იღებს სამი დედაკაცი—ბერლინში, დიუსელდორიკში, ბრესლავში და ვისბადენში თითო დედაკაცი. აქედან სჩანს, რომ პრუსია ამ მხრივ უკან ჩამორჩენილია; რა თქმა უნდა, საჭიროება მოითხოვს, რომ დედაკაცები უფრო ფართო მონაწილეობას იღებდენ საფაბრიკო ინსპექციაში. სხვაგან, მაგალ. პოსტდამში, სადაც 32,229 მუშა ქალია, ფრანკფურტში—31,971 და ლეიპციგში —3178, ერთი დედაკაციც კი არ არის საფაბრიკო ინსპექტორათ დანიშნული.

ფაქტია, რომ მუშა ქალი მეტი ნდობით უყურებს თავის სქესის წარმომადგენელს და ამიტომ ინსპექციის წევრმა ქალებმა დიდი გავლენა მოიპოვეს, რაც მამაკაცებისთვის მიუწდომელი იყო. ამ დაწესებულების ნაკლულევანება ჯერ-ჯერობით იმაში გამოიხატება, რომ თანაშემწე ქალები ყველგან არ სარგებლობენ საჭირო დამოუკიდებლობით და ჯამაგირიც არა აქვთ შესაფერი. მთავრობათა უმეტესი ნაწილი ამ კითხვაში გაუბედავათ, უსისტემოთ მოქმედებდა*).

გერმანიაში განსაკუთრებით, ძლიერ უნდობლობას და მტრულ განწყობილებას ვამჩნევთ ქალთა უმაღლეს საზოგადო-

*) ბავარიაში 1897 წლიდან, როცა პირველი ინსპექტორი ქალი დაინიშნა, 1907 წლამდე მათი რიცხვი 26-დე ავიდა. გერმანიის კავშირის 14 სახელმწიფოებში კი, არც ერთი ინსპექტორი ქალი არ მოიპოვება.

ებრივ თანამდებობაზე დაშვების წინააღმდეგ. მიზეზი შემდეგია: სამხედრო წოდება აქ ყოველ წელს იმდენ სამსახურიდან გასულ აფიცრებს და ვადა-გათავებულ უნტერ-აფიცრებს იძლევა კანდიდატებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ თანამდებობებზე, რომ სხვა წრეების მუშა ძალებისთვის თითქმის სრულიად არ რჩება ადგილი. და თუ მაინც ნიშნავენ ქალებს, მათ შედარებით ძალიან ნაკლებ ჯამაგირს უნიშნავენ, რითაც უნდათ დაანახვონ, რომ მათ უფრო ნაკლები ფასი აქვთ, ვინემ მამაკაცებს. ამასთანავე აქ ქალები თამაშობენ ხელფასის და ჯამაგირის შემამცირებელის როლს.

ქალთა ნიჭის მრავალფეროვნობა, განსაკუთრებით ნათლათ დაგვანახვა ჩიკაგოს გამოფენამ 1893 წელს. მშვენიერი შენობა, რომელშიაც ქალთა ხელოვნების და მრეწველობის ნაწარმოები იყო მოთავსებული, ქალების შედგენილი გეგმით და ქალ არქიტექტორების ხელმძღვანელობით იყო აშენებული; და შიგ გამოფენილი საგნები, რომელნიც განსაკუთრებით ქალებისაგან იყო გაკეთებული, ხშირათ აღტაცებას იწვევდა მნახველებში,—იმდენი გემოვნება და ხელოვნება გამოსჭვივოდა მათში.

გამოგონებათა სფერაშიაც ქალებმა ბევრი რამ შეძინეს კაცობრიობას და მომავალში, ეჭვი არ უნდა, კიდევ მეტს შესძენენ. ერთმა სპეციალურმა ამერიკელმა გაზეთმა გამოაქვეყნა სია ქალთა გამოგონებების და მათ შორის ჩვენ ვპოულობთ შემდეგს: გაუმჯობესებული სართველი მანქანა, მბრუნავი საქსლე, რომელიც სამჯერ მეტ ნაქსოვს იძლევა, ვინემ ჩვეულებრივი ჯაჭვიანი ელევატორი, გემის ვინტის მოწყობილობა, ცეცხლის გაჩენის დროს თავის დასაცველი აპარატი, აპარატი მატყლის ასაწონათ, რომელიც აქამდე არსებულ ყველა სასწორებზე უფრო სწორი და მგრძნობიარეა, რის გამო დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს მატყლის წარმოებაში, მოძრავი აუზი ცეცხლის მქრობ რაზმისთვის, მოწყობილობა ორთქლის მაშინებში ნავთის შესასხამათ შეშისა და ნახშირის მაგიერ, გაუმჯობესებული ნაპერწკლების მქრობელი ლოკომოტივების-

თვის, ნიშნის მისაცემი მანქანა ლიანდაგზე გზის გადაყვანის დროს, ვაგონების უცეცხლოთ გათბობის სისტემა, ზეთიანი ფლანელი, ხახუნის შესამცირებელი (რკინის გზებში), საწერი მანქანა, ნიშნის მიმცემი—შუშხუნა ფლოტისათვის, ტელეისკოპი ზღვის სიღრმეში ჩასახედათ, რკინის გზებზე ხმაურობის შესამცირებელი საშუალება, კვამლის მქრობელი, მანქანა ქალალდის პარკების დასაკეცათ და სხვა. განსაკუთრებით ბევრი გაუკეთებიათ ქალებს საკერავ მაშინის გასაუმჯობესებლათ, მაგალ. იალქნების შესაკერათ მძიმე და მაგარი ტილოსაგან, აპარატი ძაფის გასაყრელათ მანქანის მოძრაობის დროს, გაუმჯობესება ტყავის საკერ მაშინის და სხვ.; ეს უკანასკნელი გამოგონება ეკუთვნის ნიუიორკელ ქალს, რომელსაც დიდიხანია უნაგირების მალაზია აქვს გახსნილი. ზღვის სეღრმეში ჩასახედ ტელესკოპს, რომელიც ქ-ნ მატერმა გამოიგონა და მისმა ასულმა გააუმჯობესა, დიდი მნიშვნელობა აქვს გემის ფსკერის გასასინჯათ ხმელეთზე გადმოუტანლათ. ამ ტელესკოპის საშუალებით შეიძლება მონახვა და დათვალიერება ჩაძირულ გემების, აღმოჩენა ზღვაში დაბრკოლებების, ტორპედების და სხვ.

თავის არა ჩვეულებრივი სირთულით და გენიალური კონსტრუქციით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ევროპასა და ამერიკაში ქალალდის პარკების დამმზადებელი მანქანა. ბევრი მამაკაცი და მათ შორის არა ერთი გამოჩენილი მექანიკოსი ცდილობდა ამგვარიეე მანქანის გამოგონებას, მარა ამაოთ. ეს მოახერხა მისს ნადეჟდა ნეიდმა. შემდეგ ამ ქალმა მოიგონა კიდევ ქალალდის პარკების საკეცი მანქანა, რომელიც 30 კაცის სამუშაოს ასრულებს; ის თვითონ აჩვენებდა მას ამგერსტში მასსაჩუსტეში.

# თავი XV.

## ქალთა უფლებრივი მდგომარეობა.

### 1. ბრძოლა მოქალაქ. უფლებათა გათანასწორებისთვის.

სოციალურათ დამოკიდებული მდგომარეობა რასის, კლასის ან სქესის, ყოველთვის პოულობს თავის გამოსახულებას სახელმწიფო კანონებსა და პოლიტიკურ დაწესებულებებში. პარაგრაფებათ ჩამოწერილი კანონები გაბატონებულთა ინტერესების გამომხატველია და მთელი საზოგადოების უფლებათ კი არის აღიარებული. **ქალსაც, როგორც დამორჩილებულ, დაჩაგრულ სქესს, კანონმდებლობის მიერ ასეთი მდგომარეობა აქვს მიჩენილი.** კანონებს აქვთ დადებითი და უარყოფითი მხარეები. უარყოფითი—რამდენათაც ისინი უყურადღებოთ სტოვებენ დაჩაგრულთ უფლებათა განაწილების დროს და დადებითი—რამდენათაც ისინი უთითებენ მათ თავის დაჩაგრულ მდგომარეობაზე, ან რაიმე გამონაკლს ქმნიან მათთვის.

საერთოთ, ჩვენი სამართალი დამყარებულია რომის სამართალზე, რომელიც ცნობს ადამიანს, როგორც მფლობელს. ძველ გერმანულ სამართალს, რომელიც უფრო ღირსეულათ ეპყრობოდა ქალს, მხოლოდ რამდენიმეთ აქვს შერჩენილი ძალა და მნიშვნელობა. ფრანგულ ენაზე მამაკაცი და ადამიანი ერთი და იმავე სიტყვითაა აღნიშნული „l'homme", ინგლისურათ „mon"; საფრანგეთის სამართალი ადამიანათ ცნობს მხოლოდ მამაკაცს, ასე იყო ამ რამდენიმე ათეულ წლების წინეთ ინგლისშიაც, სადაც ქალი დამონებული ყავდა მამაკაცს. ასე იყო ძველათ რომშიაც—არსებობდენ რომის მოქალაქენი და მოქალაქეთა მეუღლენი, მარა არ არსებობდა მოქალაქე—ქალი.

გერმანიაში ქალის უფლებრივი მდგომარეობის რამდენიმეთ გაუმჯობესებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მრავალგვარ

და მრავალფეროვან უფლებრივ ურთიერთობათა მაგიერ, ერთი სამოქალაქო სამართალი შემოიღეს და ამით მთელ გერმანიაზე გავრცელდა ის უფლებები, რომლებითაც სარგებლობდენ ქალები ამა თუ იმ ადგილას. ამას გარდა, გაუთხოვარ ქალს ყოველ გამონაკლს გარეშე, უფლება მიეცა მზრუნველათ დადგომის. ქალს უფლება მიეცა ქორწინებისა და ანდერძის დაწერის დროს მოწმეთ ყოფნისა; ქალმა მიიღო აგრეთვე იურიდიული საქმიანობის უფლება (дѣловую правоспособность), ე. ი. უფლება ყოველგვარ ხელშეკრულობის დადებისა, გარდა პირად ვალდებულებათა (როგორც ცოლი); მას შეუძლია ქმრის ნება-დაურთველათ დადგეს მზრუნველათ (აპეკუნობა). ცოლ-ქმრულ ურთიერთობის ვალდებულება აწევს ორივე მხარეს, თუ რომელიმე მხარე ბოროტათ არ სარგებლობს თავის უფლებით. მაგრამ, თუ ცოლ-ქმართა შეხედულებები ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის მამაკაცს; მასვე ეკუთვნის საცხოვრებელ ადგილის და ბინის არჩევის უფლება. თუ ქმარი ბოროტათ სარგებლობს თავის უფლებით, ქალი პასუხს არ აგებს ამით გამოწვეულ შედეგებზე. ოჯახის ხელმძღვანელობა ეკუთვნის ქალს. მას აქვს ეგრეთ წოდებული „კლიტის უფლება“, რის გამო მას შეუძლია ქმრის საოჯახო საქმეებზეც იზრუნოს და მისი წარმომადგენელობა იკისროს. ქმარმა უნდა შეასრულოს ცოლის გაცემული ვალდებულება, მარა მას შეუძლია შეზღუდოს, ან სრულიად წაართვას თავის ცოლს „კლიტის უფლება“. თუ ქმარი ბოროტათ სარგებლობს ამ უფლებით, მზრუნველთა სასამათლოს შეუძლია დაუბრუნოს ცოლს „კლიტის უფლებები“. ცოლი ვალდებულია, თავის თავზე იდვას ოჯახური საქმეები და დაეხმაროს ქმარს წარმოებაშიც, თუ ასეთი დახმარება ჩვეულებრივია მისი წრის პირთა ცხოვრებაში.

ცოლისა, და ქმრის ქონების განცალკევება რეიხსტაგმა უარყო. განცალკევება შეიძლება მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულობით, რომელსაც ძალიან იშვიათათ დებენ ხოლმე და ეს შემდეგში ხშირათ აუტანელ მდგომარეობას ქმნის ოჯახში.

კანონით კი, პირიქით, შემოღებულ იქნა საერთო გამგებლობა მთელი ქონების. ამის ძალით, ქმარს ეკუთვნის გამგებლობა და მფლობელობა ცოლის ადგილ-მამულის და ქონების, მარა ეს უფლება ეხება მხოლოდ ქალის მოტანილ ქონებას. მეორე მხრით, ცოლს უფლება აქვს თავის ნებისამებრ განაგოს და მოიხმაროს ის, რასაც ქორწინების შემდეგ შეიძენს თავის შრომით, ან წარმოებით. ქმარს უფლება არა აქვს, რაიმე ვალდებულება დაადვას ქალის მოტანილ ქონებას, ქალს შეუძლია— მოსთხოვოს ქმარს უზრუნველყოფა თავის ქონების, თუ საფუძვლიანი ეშვი აქვს, რომ მას რაიმე ხიფათი მოელის ქმრისაგან, მარა ჩვეულებრივ ის გვიან ტყობილობს ამას. ცოლს შეუძლია—მოითხოვოს ქონების საერთო გამგებლობის მოსპობა, თუ ქმრის მოქმედებას შესამჩნევი ზიანი მოაქვს იმ წყაროებისთვის, რომლიდანაც იღებენ ცხოვრების სახსარს ცოლი და შვილები. ქმარი პასუხს აგებს იმ ზარალში, რომელიც მისი ცუდი გამგებლობისგან წარმოსდგება.

განქორწინების დროს ცოლის უფლებებს შეიძლება დიდი ზიანი მიეცეს. განქორწინების შემდეგ ქმარს რჩება ის ქონება, რომელიც ცოლ-ქმარის საერთო შრომითაა შეძენილი, თუნდაც **განქორწინების მიზეზი ქმარი იყოს** და შეძენაზე კი, უმეტესათ ქალის შრომა იყოს დახარჯული; ქალს შეუძლია მხოლოდ მოითხოვოს, რომ ქმარმა მას მისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესაფერი საზრდო გაუჩინოს, თუ საკუთარი ქონება, ან ხელფასი არ აძლევს ასეთ ცხოვრების საშუალებას. ქმარს რჩება აგრეთვე ქალის ქონების ძველი შემოსავალი.

მამის უფლების მაგიერ მშობლების უფლებაა შემოღებული, მარა თუ მშობლების აზრი შეიტაკენ, უპირატესობა მამის აზრს ეძლევა. როცა მამა კვდება, მშობლიური უფლებები შვილებზე და მათი საკუთრებით სარგებლობა დედაზე გადადის. გათიშული ქალი კი, თუნდაც ის ზრდიდეს შვილს, მაინც ვერ მიიღებს მისი ქონების წარმომადგენლობას და გამგებლობას. მამა კი სრული მშობლიური უფლებებით სარგებლობს.

ინლისისში ჩვეულებითი უფლებით, 1870 წლამდე ქმარი იყო ცოლის მოძრავ ქონების მფლობელი. უძრავი ქონება კი ცოლის საკუთრებას შეადგენდა, მარა ქმარს უფლება ქონდა მისი გამგებლობის და სარგებლობის. ინგლისში სასამართლოს წინაშე ქალი არაფერს არ ნიშნავდა. მას არ შეეძლო არავითარი იურიდიული მოქმედების შესრულება, არ შეეძლო კანონიერი ანდერძის დატოვებაც, ის ნამდვილი ყმა იყო თავისი ქმრის. თუ ქალი დანაშაულს ჩაიდენდა ქმრის თანადასწრებით —პასუხის-მგებლობა უკანასკნელს ედებოდა, ქალს კი ისე უცქეროდენ, როგორც მცირე-წლოვანს. თუ იგი ვისმეს ზარალს ან ვნებას მიაყენებდა, ამას ისე უცქეროდენ, როგორც **შინაური პირუტყვის** ჩადენილს; პასუხის-მგებლობა ქმარს ეკისრებოდა. ეპისკოპოს ი. ნ. ვუდის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა ვესტმინსტერის კაპელაში, სჩანს, რომ ასი წლის წინეთ ქალს ნება არ ქონდა სუფრაზე ეჭამა და არ შეეძლო ლაპარაკი დაეწყო, სანამ არ შეეკითხებოდენ. საწოლს ზემოდან ბატონ ქმრის უფლების ნიშნათ შოლტი ეკიდა, რომლითაც ის სარგებლობდა კიდეც, თუ ცოლი ურჩობას გაუწევდა. დედას მხოლოდ ქალიშვილები ემორჩილებოდენ, ვაჟები კი ისე უყურებდენ, როგორც მოსამსახურეს, 1870, 1882 და 1893 წლებში გამოცემულ კანონებით კი, ცოლი ერთათ-ერთი მფლობელია თავის ქონების, რომელიც მას მოყვა ჯვარის დაწერის დროს, ან რომელიც მემკვიდრეობით, ან საჩუქრათ მიიღო. ასეთი უფლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ განსაკუთრებული ხელშეკრულებით ცოლ-ქმართა შორის. ამ საკითხში ინგლისის კანონმდებლობა შეერთებულ შტატების გზას დაადგა.

მას აქეთ, რაც Custody of Infants Act (1886) გამოიცა, მშობლიური უფლება მამის სიკვდილის შემდეგ დედაზე გადადის. 1890 წ. გამოცემული Insteat Act-ის ძალით, მემკვიდრეობითი უფლება შეიცვალა: მამას, როგორც წინეთ, უპირატესობა ეძლევა. ორთავეს—ცოლსაც და ქმარსაც უფლება აქვთ, თავისი ქონება ვისაც უნდათ, იმას უანდერძონ.

თუ ცოლმა ვერ მოასწრო სიცოცხლეში განკარგულების მოხ-
დენა, მისი სიკვდილის შემდეგ; მთელი მისი მოძრავი ქონება
ქმრის ხელში უნდა გადავიდეს. დედას კი ასეთ შემთხვევაში
შეუძლია მიითვისოს მხოლოდ ერთი მესამედი ქმრის მოძრავი
ქონების, შეუძლია აგრეთვე მიიღოს მიწათ-მფლობელობიდან
შემოსული ღალის ერთი მესამედი, დანარჩენი ქონება კი შვი-
ლებზე უნდა გადავიდეს.

1908 წ. გამოიცა ახალი კანონი: „Married women's Property Act". ამ კანონის ძალით, დაქორწინებული ქალი ვალდებულია გადაუხადოს მშობლებს და ქმარს ის, რაც დახარჯულა მის შესანახავათ. ბევრია კიდევ საშუალო საუკუნოებიდან დარჩენილი დედაკაცის შემავიწროებელი ნაშთები. ცოლ-ქმრობის გათიშვა დედაკაცისთვის მძიმე პირობებითაა განსაზღვრული. ღალატი ქმრის მხრივ დედაკაცს არ აძლევს უფლებას, რომ ქორწინების დარღვევა მოითხოვოს.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია ქალთა კანონმდებლობა საფრანგეთში და რომთა სახელმწიფოების უმრავლესობაში, რომელნიც საფრანგეთის სამოქალაქო დებულების (Code civil) გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ან სადაც თვით ეს დებულება მოქმედებს მცირედი ცვლილებებით. ასეა ბელგიაში, ისპანიაში, პორტუგალიაში, იტალიაში, რუსულ პოლონეთში, ნიდერლანდიაში და შვეიცარიის კანტონების უმრავლესობაში. ამ კოდექსით, გათხოვების შემდეგ ქალი ქმრის მზრუნველობაში გადადის. § 215-ის ძალით, მას ქმრის ნება-დაურთველათ არ შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში, თუნდაც საქმე საზოგადოებრივ უფლების დაცვას ეხებოდეს. § 213-ის ძალით, ქმარი მოვალეა დაიცვას ცოლი და ეს უკანასკნელი კი უნდა მორჩილი იქნეს მისი. ნაპოლეონ პირველის შეხედულებას ქალებზე, სავსებით ახასიათებს მისი სიტყვები, რომელთაც დღესაც არ დაკარგვიათ თავის მნიშვნელობა: „ერთი რამ არ არის ფრანგული—ესაა ქალი, რომელსაც შეუძლია მხოლოდ ის აკეთოს, რაც მოსწონს" *). ქმარი განაგებს იმ ქონებას, რო-

*) Louis Bridel. „La Puissance Maritale". Lausanne. 1879.

მელიც ცოლს მოყვა თან, შეუძლია გაყიდოს და დააგირაოს ეს ქონება ცოლის თან-დაუსწრებლათ და დაუკითხავათ. ამის შედეგი ისაა, რომ ფაქტიურათ ცოლი მონათ არის გადაქცეული. ქმარს შეუძლია სასტუმროებში როსკიპებთან გაფლანგოს ცოლის მოტანილი ქონება, შეუძლია წააგოს და ცოლშვილი ულუკმაპუროთ დასტოვოს. ქმარს უფლება აქვს ცოლის ხელფასი თვითონ მიიღოს ხოლმე დამქირავებლისაგან. დედაკაცი იძულებულია ცოლ-ქმრობას მოეკიდოს ასეთ დამამცირებელ პირობებში, როგორ შეუძლია უარის თქმა!..

ზემო-აღნიშნულ ქვეყნებში (საფრანგეთში 1897 წლამდე), დედაკაცს არ შეუძლია მოწმეთ გამოვიდეს ხელშეკრულობის დადების, ანდერძის დაწერის და ნოტარიალურ აქტების შედგენის დროს. მარა დახეთ წინააღმდეგობას, მას უფლება აქვს მოწმეთ გამოვიდეს სასამართლოში—ყველა სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც მის ჩვენებას შეუძლია ადამიანის სიკვდილით დასჯაც გამოიწვიოს. **სისხლის სამართლის წინაშე ის სრულ-უფლოვან ადამიანათ ითვლება და ყოველგვარ დანაშაულობისთვის მას ისეთივე საწყაულით მიუწყავენ, როგორც მამაკაცს.** ბატონ კანონმდებლებს ვერ შეუგნიათ ეს წინააღმდეგობა. ქალს, თუ ის ქვრივია, შეუძლია თავის ქონება ვისაც უნდა იმას უანდერძოს, მარა სახელმწიფოთა უმრავლესობა მას არ იღებს მოწმეთ ანდერძის დაწერის დროს, თუმცა იმავე დროს იგი სამოქალაქო კოდექსის 1029 მუხლის ძალით, შეიძლება ანდერძის ამსრულებლათ იქნეს დანიშნული. იტალიაში 1877 წლიდან ქალს იღებენ სრულ-უფლებიან მოწმეთ სამოქალაქო საქმეებშიაც.

„Code civil"-ის თანახმათ, საფრანგეთში ქმარს შეუძლია გათიშვა მოითხოვოს, თუ ცოლს ღალატი შენიშნა ცოლ-ქმრულ კავშირის; ქალს კი 230 მუხლის ძალით შეუძლია მხოლოდ მაშინ გაეთიშოს ქმარს, თუ ეს უკანასკნელი მასთან ერთ ჭერ-ქვეშ მოიყვანს ხასას. ეს მუხლი გაუქმებულია 1884 წლის 27 ივლისის კანონით, მარა საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში დარჩენილია ერთი მეტათ დამახასიათებე-

ლი განსხვავება. თუ ცოლს დაუმტკიცდა ქმრის ღალატი, მას სჯიან ციხეში ჩასმით 3 თვიდან 2 წლამდე, ქმარი კი ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზემო-აღნიშნულ 230 მუხლის წინააღმდეგ, თავის ცოლთან ოჯახში მიიყვანს ხასას და ქალი ამაზე საჩივარს განაცხადებს. დამნაშავე ქმარს უსჯიან ამ შემთხვევაში მხოლოდ ჯარიმას 100-დან 2000 ფრანკამდე (მუხლ. 337 და 339 სისხლის სამართ. კოდექსი). ასეთი უფლებრივი უთანასწორობა შეუძლებელი იქნებოდა, საფრანგეთის პარლამენტში რომ ქალებსაც ქონოდა ადგილი. ამგვარი სამართალია ბელგიაშიაც. ქალს ცოლ-ქმრულ კავშირის დარღვევისთვის იქაც ისეთი სასჯელი მოელის, როგორც საფრანგეთში. ქმარი კი მხოლოდ მაშინ ისჯება, თუ თავის ოჯახშივე ჩაიდინა ცოლ-ქმრობის ღალატი და სასჯელათ ენიშნება ერთი თვიდან ერთ წლამდე დატუსაღება. ამნაირათ, ბელგიაში რამდენიმეთ უფრო სამართლიანი სასჯელია დაწესებული; მარა ორმაგი უფლება, ერთი უფრო მძიმე—ქალისთვის და მეორე უფრო მსუბუქი—კაცისთვის იქაც არსებობს. ასეთივე მუხლებია შეტანილი საფრანგეთის გავლენით ისპანიის და პორტუგალიის კანონმდებლობაში. იტალიის სამოქალაქო სამართლით (1865 წ.), ქალს უფლება ეძლევა გათიშვა მოითხოვოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმარს ოჯახში მოყვანს ხასა, ან ისეთ ადგილას აცხოვრებს, რომ ამით დიდ შეურაცხყოფას აყენებს ცოლს.

1907 წელს, 21 ივნისს, ძალაში შევიდა ერთი კანონი, რომელმაც შესცვალა Code civil-ის ზოგიერთი მუხლები. იმავე წლის 3 ივლისს, ორთავე პალატამ მიიღო ახალი კანონი; დედაკაცი ამ კანონის ძალით, სრული მესაკუთრეა ყოველივე იმ ქონების, რომელიც მას ან თავის შრომით შეუძენია, ან მემკვიდრეობით მიუღია, ან ნაჩუქარი აქვს. ქმარს აღარ აქვს უფლება ასეთ ქონებაზე. ეს პირველი ნაპრალია საფრანგეთის კანონმდებლობაში; დედაკაცის უფლება ახლა აქ იმ დონეზეა დაყენებული, როგორც ინგლისში 1870 კანონის ძალით იყო. გაცილებით შორს მიდის Code clvil-თან შედარებით შვეიცა-

რიის სამოქალაქო კანონი, რომელიც 10 დეკემბერს გამოვიდა და პირველ იანვარს, 1912 წ. ძალაში შევიდა. ეს კანონი წინ უსწრებს საზოგადოთ ბურჟუაზიულ კანონმდებლობას. ადგილობრივი კანონების მაგივრათ, შვეიცარიას ახლა ერთნაირი კანონი აქვს ყველა ადგილებში. აქამდის სხვა-და-სხვანაირი კანონით ხელმძღვანელობდენ ჟენევაში, ვაადტში და იტალიურ შვეიცარიაში. აქ ადგილობრივი კანონები Code civil-ის დამატებას შეადგენდენ. ბერნში და ლიუცერნში ავსტრიის უფლებით ხელმძღვანელობდენ; ურში, უიტერვალდში და სხვაგან აქამდის ძველი ჩვეულებრივი უფლება იყო გამეფებული. ახლა კანონის ძალით უზრუნველყოფილია დედაკაცის და ბავშვების თავისუფლება. ცოლს ახლა საკუთრებათ ეძლევა ერთი მესამედი იმ ქონების, რომელიც მისი დახმარებით აქვს ქმარს შეძენილი. მემკვიდრეობის მხრივაც აქ უკეთეს პირობებშია დედაკაცი, ვიდრე გერმანიაში. მას შეუძლია მიიღოს მემკვიდრეობის ერთი ნახევარი სრულ საკუთრებათ და ნება აქვს ქმართან ერთათ მთელ სიცოცხლეში ისარგებლოს მეორე ნახევრით. იმ მამაკაცს, რომელიც ცოლშვილს უყურადღებოთ სტოვებს, არ შეუძლია თავისი გავალებული ქონება აიღოს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოვალემ დაქორწინებულ მეუღლეს უნდა გადაუხადოს ასეთი ქმრისგან აღებული ვალი. გათიშულ მეუღლეს აკრძალული არა აქვს ქორწინებით დაუკავშირდეს იმას, ვისთანაც მან ცოლ-ქმრული ღალატი ჩაიდინა (შესაფერი მუხლი (§ 298) საფრანგეთის Code civil-ში 1904 წელს მოისპო). ცოლ-ქმრის ქონების გაწესრიგებაში აქ ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კანონმდებლობით; ამ შემთხვევაში პირველათ ყურადღება ექცევა მეუღლეობის დროს მომხდარ ხელშეკრულობას. ქორწინების გარეშე დაბადებულ, ე. წ. „უკანონო“ ბავშვებს ნება აქვთ მიიღონ მამისგან არა მარტო საზრდო, არამედ მამის წოდებრივი უფლებებიც. ამ ბავშვებს ეძლევათ ისეთივე უფლება, როგორც „კანონიერ“ ცოლ-ქმრობაში დაბადებულებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მამას წინათვე

სიტყვა მიუცია თავისი „უკანონო“ ცოლისთვის დაქორწინების შესახებ.

შვეციაში 1874 წლის, 11 დეკემბრის კანონით, ქალს შეუძლია თავისუფლათ მოიხმაროს ის, რასაც პირადი შრომით შეიძენს. დანიის სამოქალაქო კოდექსშიაც (1880 წ.) ასეთი პრინციპია გატარებული. გარდა ამისა, დანიის სამართლით ცოლი პასუხს არ აგებს ქმრის მოვალეობის წინაშე. ამასვე ამბობს ნორვეგიის სამართალი (1888 წლის *).

ფინლიანდიაში 1889 წელს აქეთ ძალაშია შესული ისეთი კანონი, რომელიც დაქორწინებულ და დაუქორწინებელ ცოლს ერთნაირ უფლებას აძლევს ცოლ-ქმრული ქონების სარგებლობაში. კანონში შეტანილია მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი კერძო შემთხვევებისათვის. ნორვეგიის კანონში გამოთქმულია ის აზრი, რომ დედაკაცს ქორწინების შემდეგ თავისუფლება ეკარგება.

„როგორც სკანდინავიაში, ისე სხვა ქვეყნებში საერთო მოძრაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ კანონის ძალით დედაკაცი მესაკუთრეა თავის შრომით შეძენილი ქონების. ეს ჯერ ინგლისში იყო განხორციელებული. გაბატონებულმა კლასებმა ამნაირათ უარყვეს პატრიარქალური დამოკიდებულება ღარიბ მამაკაცსა და მუშა დედაკაც შორის. ამ „პატარა“ მამაკაცს აღარა აქვს უფლება თავისი ცოლის ნამუშევარი მიითვისოს. თავიანთ წრეებში კი ასე ადვილათ ვერ მოიძულებენ პატრიარქალურ დამოკიდებულებას. იქ მამაკაცს მეტი უფლება უნდა ქონდეს ისე გამოიყენოს თავისი მდიდარი ცოლის ქონება, როგორც მოესურვება“ **).

დანიის კანონმდებლობამ 1908 წ., 27 მაისს, ერთი ნაბიჯი წასდგა წინ. ვთქვათ დაქორწინებულმა ქმარმა აღარ მოინდომა თავისი ცოლის რჩენა, ან მამამ ამ მხრივ შვილები

*) უფლებრივ მდგომარეობის განხილვის დროს, ჩვენ ბევრჯერ ვისარგებლეთ ლუიბრიდერის თხზულებით: „Le droit de femm et le mariage“. Paris 1893.

**) Mar. Weber, Ehefrau und Mutter in der Rechtsentwikelung, Tubingen, 1907.

დასტოვა უყურადღებოთ,—ამ შემთხვევაში ადგილობრივმა თვითმართველობამ უნდა განსაზღვროს ის ხარჯი, რომელიც საჭიროა მათთვის და ეს ხარჯი უნდა გამოიღოს ხოლმე საზოგადოებამ.

ბავშვების აღზრდა და აღზრდის შესახებ განკარგულების მიცემა, სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში უფლებით ეკუთვნის მამას. ზოგიერთგან მეორე-ხარისხოვან მონაწილეობას იღებს დედაც. ძველი რომაული პრინციპი, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგია დედათა უფლების ეპოქის და რომელიც ამბობს, რომ ყოველი უფლება და უფროსობა შვილებზე ეკუთვნის მამას, ყველგან მთავარი ტონის მიმცემია კანონმდებლობაში.

რუსეთში დედაკაცს შეუძლია მიითვისოს მარტო თანმოყოლილი ქონება. რაც შეეხება მის ნაშრომს, ამ შემთხვევაში ის ქმრისგან არის სავსებით დამოკიდებული. მისი ნებადაურთავათ ქალს არ შეუძლია პასპორტი აიღოს და უამისოთ რუსეთში ბინის გამოცვლაც არ შეიძლება. ვთქვათ დედაკაცმა მოინდომა რაიმე საქმის წარმოება, ის თავის სურვილს ვერ განახორციელებს, თუ ნება არ აიღო ქმრისგან. ქორწინების დარღვევა ისეთ შემავიწროებელ პირობებში არის განსაზღვრული, რომ დედაკაცისთვის თითქმის შეუძლებელია გათიშვა და თავისუფლათ ცხოვრება. აქამდის, როცა თემური წეს-წყობილება არსებობდა, დედაკაცი უკეთეს მდგომარეობაში იყო. ეს იმიტომ, რომ თემში კომუნისტური ნაშთები ცოცხლობდენ. მაშინ ქალი სრული გამგე იყო თავისი ქონების. კომუნიზმი საზოგადოთ ისეთი სოციალური წყობილებაა, სადაც დედაკაცის უფლებას ფრთები არა აქვს შეკვეცილი. ასე იყო იმ ხანაში, როცა დედის უფლება იყო გამეფებული*) და, რაც უკვე მოვიხსენიეთ ჩვენ ზემოთ.

*) რამდენათ მართალია ასეთი შეხედულება, ეს სჩანს არისტოფანის კომედიიდან—„ქალთა ხალხის კრება“. არისტოფანი მოგვითხრობს თავის კომედიაში, რომ ათინის სახელმწიფო წყობილება ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ აღარ იცოდენ რა ექნათ. პრიტანებმა სახალხო კრებაზე კითხვა დაუსვეს ათინელ მოქალაქეთ: „როგორ ვიხსნათ სახელმწიფოო?“—ამის პასუხათ ერთმა კაცურათ ჩაცმულმა ქალმა, წინადადება შეიტანა გადაეცათ სახელმწიფო მართველობა ქალებისათვის და

შეერთებულ შტატებში ქალებმა მოიპოვეს კერძო უფლებრივი გათანასწორება, მათ ხელი შეუშალეს ინგლისურ და მზგავს კანონმდებლობის შემოღებას პროსტიტუციის შესახებ.

## 2. ბრძოლა პოლიტიკურ თანასწორობისათვის.

აშკარა უფლებრივმა უთანასწორობამ დაბადა ქალთა პროგრესიულ წრეებში პოლიტიკურ უფლებების მოთხოვნილება, რომ კანონმდებლობითი გზით შეძლებოდათ თანასწორობის მოპოვება. ამ აზრით ხელმძღვანელობდა მუშათა კლასიც, როცა მან აგიტაცია გააჩაღა პოლიტიკურ ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. რაც სწორია და გამოსადეგი მუშათა კლასისთვის, იგი არ შეიძლება არა სწორი და გამოუსადეგარი იყოს ქალებისთვის. ქალებს, როგორც დაჩაგრულთ, დამცირებულთ და უუფლებოებს, არა თუ უფლება აქვთ, პირდაპირ მოვალენი არიან ყოველი საშუალება იხმარონ, რომელიც კი გამოსადეგათ მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებელი მდგომარეობა მოიპოვონ. რეაქციონური ღამის ფრინველები ასეთ მისწრაფების წინააღმდეგ, რასაკვირველია, დიდ განგაშს ასტეხენ.

მაგრამ, რა უფლებით? ვნახოთ.

გონებრივი ნიჭით ცნობილი სხვა-და-სხვა ეპოქის და ერის ქალები იქაც კი დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობენ, სადაც მათ პირადათ არ სჭერიათ ხელში მეფის სკიპტრა. ასეთ გავლენისგან თავისუფალი არ იყო თვით პაპის სასახლეც. თუ მათ არ შეეძლოთ თავის უფლებით პირდაპირი გავლენა ქონოდათ საქმეზე, ისინი თავის გონებით, ხერხით, ცბიერობით, ან ინტრიგებით აღწევდენ მიზანს. განსაკუთრებით დიდი იყო

---

ეს წინადადება, როგორც „ერთათ ერთი დღემდე უცადი", წინააღმდეგის უთქმელათ იქნა მიღებული. ქალები სათავეში ჩაუდგენ მართველობას და მაშინვე შემოიღეს კომუნიზმი. თავისთავათ ცხადია, არისტოფანი დასცინის მათ კომუნიზმს, მარა აქ დამახასიათებელია ის, რომ რაკი საზოგადოებრივი კითხვების გადაჭრა მიენდო ქალებს, მათ მაშინვე კომუნიზმი შემოიღეს, როგორც ერთათ-ერთი გონიერი საკელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება მათი შეხედულებით. არისტოფანს შეიძლება არც ესმოდა, რა ეშმარიტება დაღადებდა ამ ხუმრობით.

მათი გავლენა მთელი საუკუნეების განმავლობაში საფრანგეთის სასახლეში; არა ნაკლები გავლენა ქონდათ აგრეთვე ისპანიასა და იტალიაში. მე-XVIII საუკუნის დასასრულში, მაგ. ისპანიის მეფის, ფილიპე მე-V-ის დროს, 13 წელს იყო პირველ მინისტრათ მარია ტრემუილსკისა, ჰერცოგინია გრაიანისა და კნეინა ურსინისა, და საუცხოოთაც უძღვებოდა ისპანიის პოლიტიკას. კაროლების საყვარლებიც ხშირათ განსაცვიფრებელ ნიჭსა და მოხერხებას იჩენდენ სახელმწიფოს პოლიტიკურ მართვა-გამგეობაზე. აღვნიშნავთ მხოლოდ საყოველთაო ცნობილ სახელებს: მენტენონი—ლიუდოვიკ XIV-ს საყვარელი და პომპადური—ლუი XV-ს საყვარელი. დიდ გონებრივ მოძრაობას, რომლის გამომხატველი და მატარებელი იყვენ მე-XVIII საუკუნეში მონტესკიე, ვოლტერი, დელამბერი, ჰოლბახი, ჰელვეცი, ლამენტრი, რუსსო და სხვ., ქალებისთვისაც უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია. შეიძლება ბევრი ქალი გაიტაცა ამ შემთხვევაში მოდამ, ან ინტრიგისადმი ლტოლვილებამ, შეიძლება ბევრს არა ღირსეული მოტივი ამოქმედებდა, როცა ამ დიად მოძრაობაში ერეოდა, რომელიც კრიტიკული თვალით უყურებდა ძველ სახელმწიფოს და ფეოდალურ საზოგადოების ყველა საფუძვლებს და ნიადაგს უთხრიდა მათ,—მარა ეჭვს გარეშეა, რომ მრავალ ქალთა მონაწილეობა დიადი მიზნისადმი, ცხოველი ინტერესით და წრფელი აღფრთოვანებით იყო გამოწვეული. უკვე რამდენიმე ათეული წლით ადრე საფრანგეთის რევოლიუციამდე, რომელიც გრიგალივით დაეცა ძველ საფრანგეთს თავზე, ძირს ჩამოაგდო და მიანგრ-მოანგრია ყველაფერი ძველი და აღტაცება გამოიწვია ყველა კულტურულ ქვეყნების მოწინავე ადამიანებში, უკვე რამდენიმე ათეული წლის წინეთ ამ რევოლიუციამდე, აუარებელი ქალი დაიარებოდა მეცნიერულ და პოლიტიკურ კლუბებში, სადაც საშინელი გაბედულათ და რადიკალურათ არკვევდენ ფილოსოფიურ, საბუნებისმეტყველო, სარწმუნოებრივ, სოციალურ და პოლიტიკურ კითხვებს და ხშირათ თვითონაც იღებდენ მონაწილეობას საერთო კამათში. როცა 1789 წელს ბასტილიის

აღებით დაიწყო რევოლიუციის პირველი საგალობელი,—ქალები, როგორც მაღალი წრის, ისე ხალხიდან გამოსულნი, აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მოძრაობაში და შესამჩნევ გავლენას ახდენდენ, როგორც მის სასარგებლოთ, ისე საწინააღმდეგოთ. ისინი უკიდურესი იყვენ კარგშიაც და ცუდშიაც, ყველაფერში, რაშიაც კი გამოჩნდებოდენ. ისტორიკოსთა უმეტესობას აწერილი აქვს უმთავრესათ რევოლიუციის ექსცესები, რომელიც ასეთ დროში სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, რადგან იგი შედეგია ხალხის გაბრაზების—გაბატონებულ კლასთა აუწერელ გარყვნილების, ექსპლოატაციის, მატყუვრობის, სულმდაბლობის, ზნე-დაცემულობის და გამცემლობის წინააღმდეგ, მარა სრულიად უყურადღებოთ სტოვებენ მის დიად საქმეებს. ასეთ ცალმხრივ აღწერათა გავლენით, შილლერმა წამოიძახა: „ისინი ასპიდათ გადაიქცენ და საშინელება სიცილათ აქციეს“. ნამდვილათ კი ამ წლებში მათ აუარებელი მაგალითები მოგვცეს გმირობის, სულის სიმაღლის და განსაცვიფრებელი თავ-დადების და რომ მიუდგომელი, უპარტიო წიგნი დაწერილიყო „ქალთა მოღვაწეობის შესახებ საფრანგეთის რევოლიუციაში“, ეჭვი არაა, მათ საპატიო ძეგლი დაედგმოდათ, ბრწყინვალე შარავანდედით შემოსილი*). მიშლეც კი რევოლიუციის ავანგარდს უწოდებს ქალებს. საერთო გაჭირვება, რომლისგანაც იტანჯებოდა საფრანგეთის ხალხი ბურბონების სამარცხვინო მძარცველობის დროს, განსაკუთრებით უფრო მძიმე ლოდათ აწვებოდა ქალებს, ვინემ კაცებს, როგორც ეს ხდება ყოველთვის თანაბარ პირობებში. კანონმა ყოველგვარი პატიოსნური საშუალება მოუსპო მათ თავის სარჩენათ და ისინი ძალა-უნებურათ პროსტიტუციის მსხვერპლი ხდებოდენ. ამას დაერთო 1789 წლის შიმშილობა, რომელმაც მათი და მათი მახლობლების გაჭირვება უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. გაჭირვებამ აიძულა ისინი ოქტომბერში იერიშით მისულიყვენ ქალაქის საბჭოზე და მასსიური დემონსტრაციით წასულიყვენ ვერსალისაკენ (სასახლის რეზიდენცია); ამავე მი-

*) ადლერი: „შესანიშნ. ქალები საფრ. რევოლიუციაში“, 1900 წ.

ზეზმა აიძულა ქალთა ერთი ნაწილი პეტიციით მიემართა ნაციონალურ კრებისთვის, „რათა ხელ-ახლა შემოეღოთ თანასწორობა კაცსა და ქალს შორის, დაემყარებინათ თავისუფლება შრომის და ხელობის და მიეცათ მათთვის მათი ნიჭის და ძალის შესაფერი ადგილები სამსახურში“. მათ ესმოდათ, რომ უფლების მოპოვება შეიძლება მხოლოდ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებით, და რომ ძალა-უფლების დასაპყრობათ საჭიროა მჭიდრო კავშირი, მტკიცე ორგანიზაცია; ამიტომ მათ მთელი საფრანგეთი მოფინეს ქალთა კავშირებით, რომლებშიაც ზოგან აუარებელი ქალი იყო ჩაწერილი. მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე მამაკაცთა კრებებშიაც. თუ გენიალურმა ქ-ნ როლანდმა ხელმძღვანელი პოლიტიკოსის როლი ითამაშა „რევოლიუციის სახელმწიფო პირებ შორის“ ჟირონდისტებში, მჭერმეტყველმა და ცეცხლის მფრქვეველმა ოლიმპიადა დე-გუშმა, თავს იდვა მდაბიო ხალხის ქალთა ხელმძღვანელობა და ისეთი ძლიერი აღფრთოვანებით იცავდა მათ, როგორიც კი შეეძლო მისი ტემპერამენტის ადამიანს.

როცა 1793 წელს კონვენტმა აღიარა „ადამიანის უფლებები“, ის მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო უფლებები მხოლოდ მამაკაცის. ოლიმპიადა დე-გუშმა და ლუიზა ლაკომბმა სხვებთან ერთათ დაუპირდაპირეს მას 17 მუხლათ ჩამოწერილი ქალის უფლებები, რომელიც მათ დაასაბუთეს კიდეც 28 ბრიუმერს (10 ნოემბერს 1793 წელს) პარიზის კომუნის წინაშე; ეს დასაბუთება დღესაც სრულ სიმართლეთ უნდა ჩაითვალოს; იქ ნახავთ ისეთ აზრსაც, რომელიც მაშინდელ მდგომარეობას შეეფერება: „თუ ქალს უფლება აქვს საღრჩობელაზე ავიდეს, მას უფლება უნდა ქონდეს აგრეთვე ტრიბუნაზე ასვლის“. მათი მოთხოვნილებები აუსრულებელი დარჩა, მარა მათი სიტყვები ქალთა საღრჩობელაზე ასვლის შესახებ კი ქალთა სისხლით აღიბეჭდა. ქალების გამოსვლამ ერთი მხრით თავის უფლებების დასაცველათ და მეორე მხრით კონვენტის ძალმომრეობის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ეშაფოტისთვის მოამწიფა პირველათ ყოვლისა ოლიმპიადა დე-გუში; მას თავი მოკვეთეს

იმავე წლის 3 ნოემბერს. 5 დღის შემდეგ ასევე დასაჯეს ქ-ნი როლანიც. ორივენი დაიხოცენ, როგორც გმირები. მათი დასჯის წინ—1793 წ. 17 ოქტ., კონვენტმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი თავის მტრულ განწყობილებას ქალებისადმი იმით, რომ ყველა ქალთა კავშირების დაკეტვა დაადგინა. შემდეგში ის იქამდეც მივიდა, რომ ქალთა პროტესტის პასუხათ, რომელიც მათი უფლებების დარღვევით იყო გამოწვეული, კონვენტის და სხვა საზოგადო კრებებზე დასწრება აუკრძალა ქალებს და საერთოთ ის უცქეროდა მათ, როგორც მეამბოხეებს.

როცა საფრანგეთს მონარქიული ევროპა მოაწვა და კონვენტმა „სამშობლო განსაცდელში“ გამოაცხადა, საფრანგეთის ქალებმაც სცადეს ის, რაც 20 წლის შემდეგ პრუსიელმა ქალებმა ჩაიდინეს, ე. ი. სცადეს იარაღით ხელში დაცვა თავის სამშობლოსი, რომ ამით დაემტკიცებინათ თავის უფლება კაცებთან გათანასწორებისა. მარა კომუნაში მათ წინააღმდეგ გამოვიდა რადიკალი შომეტი და შესძახა: „რომელ დროიდან მიეცა ქალებს ნება თავის სქესის უარყოფის და მამაკაცათ გადაქცევის? რომელ დროიდან შემოიღეს ჩვეულებათ ოჯახის კერაზე ერთგული ზრუნვის მიტოვება, მიტოვება ბავშვების, აკვნის და საზოგადო ადგილებში სიარული, ტრიბუნიდან სიტყვების წარმოთქმა, სამხედრო ჯარში შესვლა, ერთი სიტყვით, ისეთ მოვალეობის შესრულება, რომელნიც ბუნებამ მხოლოდ მამაკაცს დააკისრა? ბუნებამ უთხრა მამაკაცს: „იყავ მამაკაცი! დოღი, ნადირობა, მიწათ-მოქმედება, პოლიტიკა და ყოველგვარი ფიზიკური შრომა,—აი შენი პრივილეგია“. მან უთხრა დედაკაცს: „იყავ დედაკაცი! ბავშვებზე ზრუნვა, ოჯახურ ცხოვრების წვრილმანები, დედის საამო მღელვარება,—აი შენი **საქმე!** უგუნურო დედაკაცებო, რისთვის გინდათ თქვენ მამაკაცებათ გახდეთ? განა ადამიანები საკმაოთ არ არიან დაყოფილი? რაღა გინდათ მეტი? ბუნების სახელით გეუბნებით, დარჩით იმათ, რაც ხართ; ნუ შეგშურდებათ ჩვენი მღელვარე ცხოვრების ხიფათები და დაკმაყოფილდით იმით, რომ ჩვენ ვივიწყებთ ყველა ამას ოჯახის მყუდრო ნავთ-სადგურში, სა-

დაც თვალწინ გვეშლება წარმტაცი სურათი ჩვენი ბავშვების, რომელნიც ბედნიერი არიან თქვენი დედობრივი ნაზი მზრუნ-ველობით".

ეჭვს გარეშეა, რომ რადიკალმა შომეტმა წარმოსთქვა მხოლოდ ის, რაც დღესაც მამაკაცთა უმრავლესობის ნამდვი-ლი გულის ნადებია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთში აქ მიზნის შესაფერი განაწილებაა შრომის, სახელდობრ იმაში, რომ მამაკა-ცებს ევალება ქვეყნის დაცვა, ქალებს სამშობლოზე და ოჯახის კერაზე ზრუნვა. დანარჩენი მისი მჭერმეტყველება კი ცარიელი ფრაზებია. რასაც ის ამბობს მიწათ-მოქმედებაში მამაკაცების შრომის შესახებ, სრულიად არ ეთანხმება სინამდვილეს, რად-გან მიწათ-მოქმედებაში უძველეს დროიდან დღემდე, ქალს კაცზე საიოლო შრომა არ ქონია. ნადირობასა და ჯირითზე ძალის ხარჯვა კი—სიამოვნებაა და არა შრომა. პოლიტიკა საშიშია მხოლოდ იმათთვის, ვინც ისტორიის **წინააღმდეგ** მი-დის, დანარჩენ შემთხვევაში იგი ყოველთვის იძლევა იმდენ სიამოვნებას, რამდენ ენერგიის ხარჯსაც თხოულობს. მამაკა-ცის ეგოიზმი—აი, რა გამოსჭვივის ამ სიტყვაში.

მე-XVIII საუკუნის 70 და 80 წლებში, როცა შეერთე-ბულმა შტატებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს ინგლისისაგან და დემოკრატიული კონსტიტუცია შემოიღეს, მათშიაც იმგვა-რი მისწრაფებები განვითარდენ, როგორიც საფრანგეთში წარ-მოშვეს ენციკლობედისტებმა და საფრანგეთის რევოლიუციამ. აქ ქალთა პოლიტიკურ უფლებების მომხრეთ გამოვიდენ პირ-ველათ ყოვლისა მერსი, ოტისი, უორენი, ცოლი შეერთე-ბულ შტატების მეორე პრეზიდენტის—მისტრის ადამს და სხვა მათგვარი სულიერი განწყობილების მქონე ქალები. მათი გაე-ლენით შტატმა—„ახალმა ჯერსეიმ", საარჩევნო უფლება მი-ანიჭა ქალებს, მარა 1807 წელს ეს ისევ გააუქმეს. საფრან-გეთში რევოლიუციის დაწყებამდე 1787 წ., კონდორსემ, მო-მავალმა ჟირონდისტმა, საუცხოო წერილი დასწერა ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ და მათთვის სრული პოლიტი-კური თანასწორობა მოითხოვა.

მეზობელ ქვეყანაში მომხდარ დიად ამბების გავლენით, სრუტის მეორე ნაპირზე ინგლისშიაც აღიმაღლა ხმა ქალთა დასაცველათ შეუპოვარმა მარია უელსტონკრაფტმა, რომელიც დაიბადა 1759 წელს; 1790 წ. მან გამოუშვა წიგნი საფრანგეთის რევოლიუციის სასტიკ მოწინააღმდეგის ბერკის საპასუხოთ, რომელშიაც იცავდა „ადამიანის უფლებათა“ მოთხოვნილებებს. მარა მალე მან დაიწყო უფლებების მოთხოვნა თავის სქესისათვის. ეს იყო 1792 წელს, როცა გამოვიდა მისი წიგნი: „A Vindication of the Rights of women“ (ქალთა უფლების დაცვა), რომელშიაც იგი სასტიკ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა-რა დედრობითი სქესის წარმომადგენელთ, საყოველთაო კეთილდღეობის სახელით თხოულობდა ქალთა სრულ გათანასწორებას და გაბედულათ იცავდა თავის დებულებებს. მარა მას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და აუარებელი უსამართლო და მძიმე ბრალდებები აატანინეს... მძიმე სულიერი ბრძოლის შემდეგ იგი მოკვდა 1797 წელს, თანამედროვეთაგან სასაცილოთ აგდებული და მიტოვებული.

მარა განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სწორეთ იმ დროს, როცა საფრანგეთში, ინგლისში და შეერთებულ შტატებში გაისმა პირველი გაბედული ხმა ქალთა თანასწორობის სასარგებლოთ, დიდათ ჩამორჩენილ გერმანიაშიაც გამოჩნდა გერმანელი მეცნიერი თ. გ. ფონ-გიპპელი, რომელმაც 1792 წელს გამოაქვეყნა თავის წიგნი: „ქალთა მოქალაქეობრივ გაუმჯობესებაზე“, რომელშიაც ის პირველათ ანონიმურათ (ხელმოუწერლათ) იცავდა ქალთა თანასწორობას. ეს ისეთი დრო იყო, როცა ამაზე უფრო უადგილო არ იქნებოდა, რომ ვინმეს დაეწერა: „მამაკაცთა მოქალაქობრივ გაუმჯობესებაზე“. მარა მით უფრო გასაკვირველია იმ ადამიანის გამბედაობა, რომელმაც ლოღიკურის თანდათანობით გაატარა თავის წიგნში ქალთა და კაცთა თანასწორობის იდეა და დიდი მოხერხებით და გონივრულათ იცავდა ამას. ამის შემდეგ ქალთა თანასწორობის საკითხი დიდხანს იყო უკანა რიგში ჩაყენებული, სანამ ბოლოს იგი პროგრესიულ ქალთა მოძრაობის ლოზუნგათ

არ გადაიქცა ყველა კულტურულ სახელმწიფოებში. საფრანგეთში სქესთა საზოგადოებრივ თანასწორობას იცავდენ სენსიმონისტები და ფურიერისტები. 1848 წ. ფურიერისტმა კონსიდერანმა, წინადადება შეიტანა საფრანგეთის პარლამენტის კონსტიტუციონურ კომისიაში ქალთა პოლიტიკურათ გათანასწორების შესახებ. 1851 წ. ასეთივე წინადადება მისცა პალატას პიერ ლერუმ, მარა ორივე ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

დღეს საქმე უკვე არსებითათ განსხვავებულია. მას შემდეგ განვითარება წინ წავიდა, ყოველგვარი ურთიერთობანი ძლიერ შეიცვალენ და მათთან ერთათ შეიცვალა ქალთა მდგომარეობაც. დღეს ისინი ბევრათ უფრო მჭიდროთ არიან გადაქსოვილი მთელი თავის არსების ყველა ძაფებით საზოგადოებრივ განვითარების პროცესთან, ვინემ წინეთ იყვენ და დამოუკიდებლათაც უფრო მეტ გავლენას ახდენენ მასზე. ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა კულტურულ ქვეყანაში ასი-ათასობით და მილიონობით მუშაობენ ქალები მამაკაცებთან ერთათ სხვადა-სხვა პროფესიებში, რომ იმათი რიცხვი, რომელნიც მხოლოდ თავის პირად ძალასა და ნიჭს უნდა დაეყრდნონ არსებობისთვის ბრძოლაში, წლითი-წლობით იზრდება. ამიტომ ქალისთვის არა ნაკლებ საინტერესოა, ვიდრე მამაკაცისთვის საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ჩვენი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობანი. ისეთი კითხვები, როგორც, მაგალ. შემდეგია: როგორი შინაური და გარეშე პოლიტიკა უფრო სასურველია—ის, რომელიც ხელს უწყობს ომიანობას, თუ წინააღმდეგი; როცა სახელმწიფოს ათასობით ახალგაზრდა, ჯანსაღი მამაკაცები გაყავს ჯარში და ათი-ათასობით დევნის საზღვარ-გარეთ; როცა აუცილებლათ საჭირო საგნები ძვირდება გადასახადებისა და ბაჟებისაგან, რის გამო ისედაც გაჭირვებული ოჯახი კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ვარდება, მით უმეტეს, თუ მრავალ-რიცხოვანია და თუ ცხოვრების სახსარის შოვნა უამისოთაც არ ეადვილება,—ყველა ეს ისეთი საკითხებია, რომელნიც თანაბრათ ეხებიან ქალსაც და კაცსაც. ქალებიც იხდიან პირდაპირ და არა-პირდაპირ გადა-

სახადს თავის შემოსავლიდან და ჯამაგირიდან. აღზრდის სისტემასაც მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ერთი უმთავრესი მომენტთაგანია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი მომავალი მდგომარეობისთვის, როგორც დედა, იგი ამაში ორნაირათაა დაინტერესებული.

შემდეგ ასი-ათასობით და მილიონობით სპეციალობაში ჩაბმული ქალები, პირადათ დაინტერესებულნი არიან სოციალურ კანონმდებლობის ხასიათსა და მიმართულებაში; სამუშაო დღის სიდიდე, ღამე და კვირა-უქმე დღეებში შრომა, ბავშვების შრომა, სამუშაო ხელფასის მიცემის და დათხოვნის ვადა, ფაბრიკა-ქარხნებში უბედურ შემთხვევათაგან დასაფარავათ წინასწარი ზომების მიღება, ერთი სიტყვით, შრომის მფარველობა; შემდეგ კანონმდებლობა დაზღვევის, სამრეწველო სასამართლოების და სხვ. შესახებ,—ყველა ეს დიდათ საინტერესო და საჭირბოროტო საკითხებია ქალებისთვისაც. მუშებმა ცოტა, ან სულ არ იციან რა პირობებშია წარმოების ის დარგები, სადაც უმთავრესათ, ან განსაკუთრებით ქალები მუშაობენ. მწარმოებლები, როგორც დაინტერესებული პირები, ფარავენ თავის წარმოების ნაკლულევანებას, რადგან თვითონ არიან ამაში დამნაშავე; რაც შეეხება საფაბრიკო ინსპექციას, ის ხშირათ არ ვრცელდება ისეთ წარმოებებზე, სადაც განსაკუთრებით მარტო ქალები მუშაობენ, ან თუ ვრცელდება,—მისი ზედამხედველობა ძლიერ სუსტი და არა საკმარისია. ყველაზე მეტათ კი სწორეთ ამ დარგებშია საჭირო მფარველობითი ზომების მიღება. საკმარისია გავიხსენოთ, რა ვიწრო შენობებში, როგორ შეხუჭული და სასუნთქავ ჰაერს მოკლებული არიან მუშა ქალები დიდ ქალაქების სამრეწველოებში და სხვ.; ამათგან იშვიათათ გაისმის საჩივარი, დრტვინვა და ისე კი არავის აგონდება მათი მდგომარეობის გამორკვევა. ამას გარდა, ქალი, რომელიც მრეწველობას მისდევს, დაინტერესებულია სავაჭრო და სატარიფო კანონმდებლობაში და სამოქალაქო სამართალში. ამნაირათ, ეჭვს გარეშეა, რომ ქალი მამაკაცზე არა ნაკლებ დაინტერესებულია, კანონმდებლობის

საშუალებით გავლენა იქონიოს საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებზე. მისი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეჭვი არაა, შესამჩნევათ წასწევდა წინ ამ უკანასკნელ და ახალ ჰორიზონტს გადაუშლიდა.

ასეთ მოთხოვნილებებზე ჩვეულებრივ მოკრით ეუბნებიან უარს: ქალებს არაფერი ესმით პოლიტიკის, მათი დიდი უმრავლესობა ოდნავათაც არაა პოლიტიკით დაინტერესებული, მათ არც შეუძლიათ საარჩევნო უფლებით სარგებლობაო. ეს მართალიცაა და არცაა მართალი. სინამდვილეა, რომ აქამდე ქალთა ძლიერ მცირე ნაწილი მოითხოვდა პოლიტიკურ თანასწორობას, განსაკუთრებით გერმანიაში. პირველი ქალი, რომელმაც ეს მოთხოვნილება წამოაყენა გერმანიაში მე-60 წლებში, იყო ქ-ნი გედვიგა დომი. ამ უკანასკნელ დროს ქალთა თანასწორობის სასარგებლოთ, გაცხარებულ აგიტაციას ეწევიან სოციალ-დემოკრატიის თანამგრძნობი მუშა-ქალები და ბურჟუაზიულ წრეებშიაც ამ მოთხოვნილების მომხრე ქალთა რიცხვი დღითი-დღე იზრდება.

იმაზე მითითება, რომ დღემდე ქალები ნაკლებ ინტერესს იჩენდენ პოლიტიკისადმი,—ვერაფერი საბუთია. თუ ქალები დღემდე ყურადღებას არ აქცევდენ პოლიტიკას, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ **უნდა** მიექციათ. რასაც ახლა ამბობენ ქალთა საარჩევნო უფლების წინააღმდეგ, სწორეთ ეს საბუთები მოყავდათ მე-60 წლებში მამაკაცების საყოველთაო საარჩევნო უფლების წინააღმდეგაც. ამ თხზულების ავტორი 1863 წელს თვითონაც იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც საყოველთაო არჩევნების **წინააღმდეგ** მიდიოდენ; 4 წლის შემდეგ კი, სწორეთ ამ საყოველთაო არჩევნების წყალობით მოხვდა დეპუტატათ რეიხსტაგში. ასე მოუვიდა ათასობით სხვებსაც: სავლესაგან პავლეთ იქცენ. ბევრი მამაკაცი დღესაც არ სარგებლობს ამ თავის დიდ-მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებით, ან ვერ სარგებლობს, მარა ამ საბუთით მათთვის საარჩევნო უფლება არავის ჩამოურთმევია და არც არავის მოსდის აზრათ მისი ჩამორთმევა. რეიხსტაგის არჩევნებში ჩვეულებრივ 25—30

პროცენტამდე მამაკაცი არ იღებს მონაწილეობას და ასეთები ყველა **კლასებს** ეკუთვნიან; იმ 75 პროცენტში, რომელნიც ხმას აძლევენ, უმრავლესობა, ჩვენის აზრით, ისე ვერ ხმარობს ამ უფლებას, როგორც უნდა მოეხმარა, რომ თავის ინტერესი სისწორით ქონდეს შეგნებული. შეუგნებლობის მიზეზი—მათი პოლიტიკური განუვითარებლობაა.

მაგრამ პოლიტიკური განვითარება იმით არ გავრცელდება, რომ მცხოვრებლების მასსა საზოგადოებრივ საქმეებს ჩამოაშორო; პირიქით, სწორეთ ამ განვითარების შესაძენათ არის საჭირო პოლიტიკური უფლებით სარგებლობის ნების მიცემა. უვარჯიშოთ ხელოსანი ვერავინ გახდება. გაბატონებულ კლასებს, როგოც დაინტერესებულთ, დღემდე პოლიტიკურ მცირე-წლოვანობის მდგომარეობაში ყავდათ ჩაყენებული ხალხის უდიდესი ნაწილი. ამიტომ დღევანდლამდე ამ ხალხის უმცირესობა, რომელსაც შეგნებული ქონდა თავის კლასიური ინტერესები, მიზნათ ისახავდა მთელი თავის ენერგიით და ენტუზიაზმით ებრძოლა საზოგადოების ინტერესების დასაცველათ, და თავის ბრძოლით გაელვიძებია, საკუთარ ფეხზე დაეყენებია შეუგნებელი მასსა. ასე იყო ყველა დიდ მოძრაობაში, ამიტომ ეს არც უნდა გვიკვირდეს და არც გულს გვიტეხდეს. ასეა საქმე ქალთა მოძრაობაშიაც. ქალთა მოძრაობის ნაყოფი გვიჩვენებს, რომ დახარჯულ ენერგიას და მსხვერპლს ტყუილ უბრალოთ არ ჩაუვლია და რომ მომავალში ქალთა მოძრაობა სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

როცა ქალები გაუთანასწორდებიან უფლებით მამაკაცებს, მაშინ გაძლიერდება მათში მოვალეობის შეგნებაც. როცა მათ მოიწვევენ ხმის მისაცემათ, ისინი დაეკითხებიან თავის თავს: ვის მივცეთ ხმა? რომელს მივემხროთ? ამ წამიდან ქალსა და კაცს შორის დაიწყება ერთგვარი ურთიერთობა, რომელიც არ ავნებს მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას, პირიქით, გააუმჯობესებს კიდეც მას. ნაკლების მცოდნე ქალი თავისთავათ მიმართავს მეტის მცოდნე მამაკაცს. აქედან დაიწყება აზრთა და იდეათა გაზიარება, ერთმანეთის გაცნობა, სწავლა, ერთი

სიტყვით, შეიქნება ისეთი მდგომარეობა, რომელსაც აქამდე მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ქონდა ადგილი კაცსა და ქალ შორის. და ეს ახალ სხივს შეიტანს მათ ცხოვრებაში. სქესთა განვითარებისა და რწმენის განსხვავება, რომელიც სამწუხაროთ, ჩვეულებრივი მოვლენაა და ხშირათ უთანხმოებას და შფოთს ბადებს ქალსა და კაც შორის, დიდათ უშლის ხელს მამაკაცს თავის მოვალეობის ასრულებაში და ამით ვნებს საერთო კეთილდღეობას; მაშინ ასეთი განსხვავება თანდათან გაქრება. თანამოაზრე ცოლი ხელის შემშლელის მაგიერ, საუკეთესო დამხმარე და მეგობარი იქნება ქმრისათვის მის მოღვაწეობაში; ქალი წააქეზებს მას თავის მოვალეობის ასასრულებლათ და თვითონაც გვერდში ამოუდგება. ქალი წუწუნს აღარ დაიწყებს იმაზე, რომ შემოსავლის ერთი ნაწილი ჟურნალ-გაზეთებზე, ან სააგიტაციო მიზნისთვის იხარჯება, რადგან გაზეთი მისთვისაც საინტერესო და საჭირო იქნება, და რადგან მას კარგათ ეცოდინება, რომ ერთგვარი მსხვერპლია საჭირო აგიტაციის გასაწევათ, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმის მოპოვება, რაც არა აქვს მას, მის ქმარს, მის შვილებს, ე. ი. ღირსეული, ადამიანური არსებობის.

ამნაირათ, ორივეს ერთათ გამოსვლა საყოველთაო კეთილდღეობის მოსაპოვებლათ, რომელიც მჭიდროთაა დაკავშირებული მათ საკუთარ კეთილდღეობასთან, გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენს მათზე. მოხდება სწორეთ იმის წინააღმდეგი, რასაც უქადიან ისინი, ვინც ცხვირს იქით ვერაფერს ხედავს და ვინც მტერია სრულ, საყოველთაო თანასწოროობაზე აგებული საზოგადოებრივ წყობილების. ასეთი ურთიერთობა სქესთა შორის თანდათან გაუმჯობესდება; გაუმჯობესდება იმდენათ, რამდენათაც საზოგადოებრივი წყობილება გაანთავისუფლებს ქალსა და კაცს ნივთიერი ზრუნვისა და გადამეტებული ჯაფისაგან. ვარჯიშობა და აღზრდა აქაც, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, დიდ დახმარებას აღმოუჩენს მათ. თუ წყალში არ ჩადი, ისე ცურვას ვერ დაეჩვევი. ვისაც უცხო ენის შესწავლა სურს, ივარჯიშოს, თორემ ამ ენაზე ლაპარაკს

ისე ვერ შეეჩვევა. ეს ყველასთვის თავისთავათ ცხადია, მარა ბევრს არ ესმის, რომ ეს ასეა საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეებშიაც. ნუ თუ ჩვენ ქალებს ნაკლები ნიჭი შესწევთ, ვინემ მათზე დაბლა მდგომ ზანგებს, რომელთაც პოლიტიკური თანასწორობა მიანიჭეს ჩრდილოეთ ამერიკაში? ნუ თუ განვითარებულ ქალს უფრო მცირე უფლებები უნდა ქონდეს, ვინემ რომელიმე ტლანქ, გაუნათლებელ მამაკაცს, მაგალ. უვიც პომერანელ დღიურ მუშას, ან ულტრამონტანის პოლონელ მაღაროს მუშას? და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბედმა მათ მამაკაცათ გაჩენა არგუნა? შვილს მეტი უფლებები აქვს, ვინემ დედას, თუმცა ადვილათ შეიძლება მისგან ქონდეს მემკვიდრეობით მიღებული თავის საუკეთესო თვისებები და მისი წყალობით იყოს ისეთი, როგორიც არის. მართლაც რომ გასაკვირველია!

ამასთანავე, ჩვენ საეგებიოს არაფერს ვამბობთ და არც უცნობ სივრცეში, ან ბნელში გადახტომას ვთხოულობთ! ჩრდილო-ამერიკამ, ახალმა ზელანდიამ, ავსტრალიამ და ფინლიანდიამ უკვე გაკაფეს გზა ქალთა პოლიტიკურ თანასწორობის. ვაიომინგოს შტატში ჩრდილო ამერიკაში, უკვე 1869 წელს მისცეს ქალებს საარჩევნო უფლება. ეს იყო პირველი ცდა. 1872 წ. 12 ნოემბერს, მსაჯული კინგმანი ლარამიიდან შემდეგს სწერდა ამის შესახებ ერთ ქალების გაზეთს ჩიკაგოში:

„დღეს შესრულდა სამი წელიწადი მას აქეთ, რაც ჩვენ ტერიტორიაზე ქალებმა საარჩევნო უფლება მიიღეს და მასთან ერთათ უფლება ყოველგვარ თანამდებობაზე შესვლისა, როგორც დანარჩენ ამრჩევლებსა აქვთ. ამ ხნის განმავლობაში ისინი ირჩევდენ და მათაც ირჩევდენ სხვა-და-სხვა თანამდებობაზე; ქალები იყვენ ნაფიც და მომრიგებელ-მოსამართლეებათ. საერთოთ ისინი მონაწილეობდენ ყველა არჩევნებში და, თუმცა ვფიქრობ, რომ ზოგიერთი ჩვენგანი პრინციპიალურათ წინააღმდეგი იყო მათი მონაწილეობის, მარა დარწმუნებული ვარ, ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ქალთა გამოსვლას არჩევნებში **აღმზრდელი** მნიშვნელობა ქონდა ჩვენთვის. ამის შე-

დეგია ის, რომ არჩევნები მშვიდათ და წესიერათ ტარდება და რომ ამავე დროს მოსამართლეებისთვის შესაძლებელი გახდა ისეთ დანაშაულობათა დასჯა, რომელნიც წინეთ სრულიად დაუსჯელი რჩებოდენ.

„როცა, მაგალ. პირველათ მოეწყო ჩვენი ტერიტორია, ერთ კაცს ვერ ნახავდი, რომ ჯიბეში რევოლვერი არ დებოდა და სულ მცირეოდენი შედავება საკმაო იყო, რომ ეს იარაღი აემოქმედებინა. მე არ მახსოვს მაგალითი, რომ მამაკაცთაგან შემდგარ ჟიურის გაემტყუნებიოს მსროლელი მამაკაცი. მარა, როცა ნაფიც მოსამართლეთა შორის იქნებოდა ორი ან სამი ქალი,—ისინი ყოველთვის სასამართლოს ჩვენებას მისდევდენ“...

ეს იყო სამი წლის შემდეგ. როგორღა ფიქრობენ ისინი 25 წლის შემდეგ ქალთა საარჩევნო უფლების შემოღებიდან? ამას გვიჩვენებს მიმართვა, რომელიც 1894 წლის 12 ნოემბერს დაუგზავნა ამ შტატის სახალხო წარმომადგენლობამ მთელი ქვეყნის პარლამენტებს. ამ მიმართვაში სწერია:

„ვაიომინგოში ქალთა საარჩევნო უფლებას და იმით სარგებლობას ცუდი შედეგები არ გამოუწვევია; პირიქით, ბევრი მხრით კარგი ნაყოფი მოიტანა: შესამჩნევათ შეამცირა ამ შტატში ბოროტ-მოქმედება, სილარიბე და ეს მოხდა სრულიად ძალდაუტანებლათ... იგი ხელს უწყობს არჩევნების მშვიდობიანათ და წესიერათ ჩატარებას, კარგი მთავრობის დამყარებას, კულტურის და საზოგადოებრივ წესიერების შესამჩნევათ გაძლიერებას. და ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმ ფაქტით, რომ აგერ 25 წელი გადის მას აქეთ, რაც ქალებს საარჩევნო უფლება მიენიჭათ ჩვენში და ამ ხნის განმავლობაში ვაიომინგოს არც ერთ ოლქს არ დასჭირვებია ღარიბთა თავშესაფარები, ციხეები თითქმის ცარიელია და ბოროტ-მოქმედება თითქმის სრულიად გაქრა. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობილნი, ჩვენ დაბეჯითებით ვურჩევთ ყველა განათლებულ სახელმწიფოებს, რომ დაუყოვნებლივ შემოიღონ საარჩევნო უფლება ქალებისათვის“.

ჩვენ დიდი პატივისცემით ვეპყრობით ქალთა პოლიტიკურ მოქმედებას ვაიომინგოში, მარა ისე შორს ვერ წავალთ, როგორც ქალთა საარჩევნო უფლების გატაცებული მომხრენი მიდიან იქაურ სახალხო წარმომადგენლობაში; ჩვენ მარტო ქალთა საარჩევნო უფლების შემოღებას ვერ მივაწერთ იმ შესაშურებელ მდგომარეობის შექმნას, რომელშიაც, მიმართვის სიტყვით, იმყოფება ეს შტატი. ჩვენ გვგონია, რომ აქ მთელ რიგ სოციალურ მიზეზების გავლენას აქვს ადგილი; მარა ის კი ეპვს გარეშეა, რომ ქალთა საარჩევნო უფლებამ ბევრი კარგი და საგულისხმო შედეგები მოუტანა ვაიომინგოს და **ვნება კი არავითარი** არ მიუცია. ეს საუკეთესო საბუთია ქალთა საარჩევნო უფლების სასარგებლოთ.

ვაიომინგოს მაგალითს ბლომათ ყავს მიმბაძველები. დღეს მთელი რიგი სახელმწიფოები არსებობს დედამიწის ყველა ნაწილებში, რომლებშიაც ქალს მცირე თუ ბევრი პოლიტიკური უფლებები აქვს მინიჭებული. შეერთებულ შტატების კოლორადოს შტატში ქალებმა საარჩევნო უფლება მიიღეს 1894 წელს და მაშინვე აირჩიეს რამდენიმე წარმომადგენელი ქალი, 1895 წელს ქალთა საარჩევნო უფლება შემოიღეს უაიტის შტატში, 1896 წელს—იდაგოში, 1908 წელს—სამხრეთ დაკოტაში, 1909 წელს ვაშინგტონში; 1899 წელს, ე. ი. 5 წლის შემდეგ კოლორადოში ქალთა არჩევნების შემოღებიდან, ამ შტატის პარლამენტმა 458 ხმით 3-ის წინააღმდეგ, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ვიღებთ რა მხედველობაში, რომ **თანასწორი საარჩევნო უფლება** ორივე სქესისათვის უკვე ხუთი წელიწადია არსებობს კოლორადოში და რომ ამ ხნის განმავლობაში ქალებიც ისე საყოველთაოთ სარგებლობდენ ამ უფლებით, როგორც მამაკაცები, რასაც შედეგათ მოყვა ის, რომ საზოგადოებრივ თანამდებობაზე **უფრო შესაფერ კანდიდატებს ირჩევენ**, არჩევნების მეთოდი **გაუმჯობესდა**, კანონმდებლობა დღეს **უკეთესათაა** დაყენებული, საყოველთაო განათლებამ **აიწია** და პოლიტიკური გრძნობა პასუხის-მგებლობისა, ქალთა გავლენით

**ძლიერ განვითარებულია,**—ქვედა პალატა ადგენს, რომ მიღებულ შედეგების მიხედვით, იგი ქალთა **პოლიტიკურ თანასწორობის** შემოღებას ურჩევს ყველა შტატებს ჩრდილო-ამერიკის კავშირისას, როგორც საუკეთესო საკანონმდებლო ზომას, რომელსაც შეუძლია უმაღლესი და საუკეთესო წესრიგის დამყარება".

ზოგიერთ სხვა შტატებში პარლამენტებმა გადასწყვიტეს დედაკაცებისთვის საარჩევნო უფლების მიცემა, მარა ხალხმა კენჭის-ყრით უარყო ეს გადაწყვეტილება. ასე მოხდა კანზაში, ოკლაიომაში, ნებრასკაში, ინდიანაში და ორეგონში. კანზაში და ოკლაიომაში ორჯერ გამეორდა ეს, ორეგონში სამჯერაც. მარა აღმოჩნდა, რომ ქალთა პოლიტიკური ემანსიპაციის მოწინააღმდეგე უმრავლესობა თანდათან კლებულობს.

„მრავალგვარი უფლება აქვთ მოპოვებული დედაკაცებს კომუნალურ თვითმართველობაში, თუმცა საზოგადოთ ბევრი არა შეუძენიათ რა ამ ნიადაგზე. სრული მოქალაქობრივი უფლება მინიჭებული აქვთ დედაკაცებს ოთხ სახელმწიფოში, აქ ესენი პოლიტიკურათ გათანასწორებული არიან. აქტიური და პასსიური საარჩევნო უფლება ადგილობრივ თვითმართველობაში ქალებს მარტო კანზაში აქვთ. ეს თავისთავათ შეიცავს მეორე უფლებას:. ქალებს შეუძლიათ სრული მონაწილეობა მიიღონ სამოსწავლო მართველობის არჩევნებში და რეფერენდუმში, როცა გადასახადის საკითხია გადასაჭრელი. აქტიური საარჩევნო უფლება აქვთ ადგილობრივ მიჩიგანში 1893 წელს აქეთ. საყოველთაო კი არ არის ეს უფლება, რადგან უსწავლელი ქალები მოკლებული არიან მას. ლუიზანაში, მონტანაში, იოვაში და ნიუიორკში ქალებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კენჭის ყრაში, როცა ადგილობრივ გადასახადების საკითხია გადასაწყვეტი. ქალებმა სამოსწავლო მართველობის საქმეში ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოიპოვეს. მათ სრული საარჩევნო უფლება აქვთ ამ ნიადაგზე შტატების უმეტეს ნაწილში. სხვა ალაგებში ზოგან მარტო აქტიური უფლება აქვთ, მაგალ. კენტუკში და ოკლამოში, თუმცა კენტუკში

ზოგიერთებს ორივე უფლება ეძლევათ. კალიფორნიაში, იოვა-ში, ლუიზანაში, მაინში, პენსილვანიაში და რჰოდე ისლანდში, ქალები მხოლოდ პასიური უფლებით სარგებლობენ, მარა შე-უძლიათ მარტო განსაზღვრული ალაგები დაიჭირონ ხოლმე სამოსწავლო მმართველობაში*).

ახალ ზელანდიაში 1893 წლიდან ქალები უფრო ცხო-ველ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში, ვინემ მამაკაცები, თუმცა მათ მხოლოდ აქტიური საარჩევნო უფლება აქვთ მი-ნიჭებული, არჩევა შეიძლება მხოლოდ მამაკაცის. 139,915 სრულწლოვან ქალიდან 1893 წელს საარჩევნო სიაში ჩაეწერა 109,461-ი, ე. ი. ყოველ 1000-ზე 785-ი. არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 90,290, ე. ი. თვითეულ 1000-ზე 64,5-მა. 1896 წელს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 108,783 ქალმა (68%), 1902 წელს—138,565, 1905 წელს—175,046 ქალმა.

1884 წელს ტასმანიის ქალებმა მიიღეს უფლება სათემო არჩევნებშა მონაწილეობის, 1903 წელს კი პოლიტიკურ არ-ჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს; 1895 წელს მი-იღეს პოლიტიკური უფლებები სამხრეთ ავსტრალიაში, აღმო-სავლეთ ავსტრალიაში 1900 წელს; ახალ ჩრდილო უელსში ამ უფლებით სარგებლობენ 1902 წლიდან, კვინსლანიაში 1905 წლიდან, ვიქტორიაში—1908 წლიდან. ამ კოლონიათა სახელ-მწიფო კავშირმა, 1902 წელს მისცა დედაკაცებს სრული უფ-ლება პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის. ეს იმას ნიშ-ნავს, რომ თითონ ქალების არჩევაც შეიძლება, მაგრამ პარ-ლამენტში ჯერ ვერც ერთ მათგანს ვერ ვხედავთ.

სრულწლოვან დედაკაცებს ისეთივე პასსიური და აქტიუ-რი საარჩევნო უფლება აქვთ პარლამენტში, როგორც მამაკა-ცებს. ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში კი არ არის დაცული ასეთი დემოკრატიზმი. თვითმართველობაში მონაწი-ლეობის უფლება აქვს იმას, ვინც სამხედრო სამსახურშია ნამ-ყოფი. 1889 წლიდან შეიძლება დედაკაცების არჩევა ღარიბ-

*) კლარა ცეტკინი. Zur Frage des Trauenwalrechts, 1907. 1909 წელს დედაკაცებს მიეცათ საარჩევნო უფლება ჩრდილო-დაკოტში და ვაშინგტონში.

თათვის სამზრუნველოებში, თუ ისინი შესაფერ გადასახადს იხდიან. ასეთ დაწესებულებებში თავმჯდომარეთაც შეიძლება ქალის არჩევა; შეიძლება აგრეთვე ამათი არჩევა სამოსწავლო მართველობაში.

ოქტომბრის დიდმა გაფიცვამ რუსეთში 1905 წელს და მოძრაობის დროებითმა გამარჯვებამ ფინლიანდიას კონსტიტუცია დაუბრუნა. მუშათა კლასმა გარედან იმდენი გავლენა იქონია სეიმზე, რომ მან საყოველთაო საარჩევნო უფლება დააკანონა დედაკაცებისთვისაც. ამ უფლებას მოკლებული დარჩენ მარტო ისინი, ვინც ქველმოქმედებით ცხოვრობენ და ან პირადი ვალი მართებთ სახელმწიფოსი—მამაკაცს ორი მარკა და დედაკაცს—ერთი. 1907 წელს ხალხის წარმომადგენლობაში მონაწილეობას იღებდა 19 ქალი, 1908 წ.—უკვე 25.

ნორვეგიაში 1889 წელს აქეთ დედაკაცები მონაწილეობას იღებენ სამოსწავლო მმართველობაში. ადგილობრივ საბჭოდან შეიძლება მათი გაგზავნა სამოსწავლო საბჭოში. ვისაც შვილი ყავს, შეუძლია სასკოლო ინსპექტორის არჩევნებშიც მიიღოს მონაწილეობა,—ეს ქალაქებში. სახელმწიფოში ყველას, ვინც კი გადასახადს იხდის, უფლება აქვს სამოსწავლო ოლქის კრებებზე მონაწილეობა მიიღოს. დედაკაცებს შეუძლიათ სასკოლო ინსპექტორის ალაგიც დაიჭირონ. სხვა ადგილობრივ საქმეებშიაც თანდათან გაფართოვდა ქალების გავლენა. 1901 წელს ნორვეგიაში დედაკაცებმა მიიღეს აქტიური და პასსიური უფლება ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის. ამის პირობაა: დედაკაცი უნდა იყოს 25 წლისა, ნორვეგიის ქვეშევრდომათ ითვლებოდეს და ხუთი წლის განმავლობაში ამ სახელმწიფოში ცხოვრობდეს. ამას გარდა, უკანასკნელ წელიწადში მაინც უნდა იხდიდეს იმდენ გადასახადს, რამდენიც შეეფერება უმცირეს წლიურ შემოსავალს—337,50 მარკას სოფლათ და 450 მარკას—ქალაქში. ვინც ამ შემოსავლის კვალობაზე გადასახადს იხდის, იმას, როგორც ვთქვით, სრული საარჩევნო უფლება ეძლევა. 200,000 ქალს მიეცა ამნაირათ უფლება, ამათში 30,000 მარტო ქ. ქრისტიანიაშია. პირ-

ველათ ამ რეფორმის შემდეგ სხვა-და-სხვა ალაგას აირჩიეს 50 ქალი წარმომადგენლათ და 160 მოადგილეთ (право должность); ამათგან ქრისტიანიის ქალაქის მართველობაშია—6 წარმომადგენელი და ერთი მოადგილე. 1907 წელს, 1 ივლისს, პოლიტიკური საარჩევნო უფლებაც მიენიჭათ დედაკაცებს, მაგრამ სულ სხვა პირობებით, ვინემ მამაკაცებს. ეს პირობები მათთვის იგივეა, რაც ადგილობრივ არჩევნებში. ამრიგათ, თითქმის 250,000 სრულ წლოვანი პროლეტარი ქალები ჯერ მოკლებული არიან პოლიტიკურ უფლებას.

შვეციაში გაუთხოვარ ქალებს იმავ პირობებში ეძლევათ აქტიური საარჩევნო უფლებები პროვინციალურ და სათემო არჩევნებში, როგორც მამაკაცებს, ე. ი. თუ ისინი სრულწლოვანი არიან და იხდიან იმდენს მაინც, რამდენიც შეეფერება უმცირეს შემოსავალს, რომელიც უდრის 562,50 მარკას. ჯერ კიდევ 1887 წელს 62,000 დედაკაციდან მარტო 4000 იღებდა მონაწილეობას კენჭის ყრაში. ადგილობრივი არჩევნებიდან წინეთ სულ განდევნილი იყვენ ქალები; 1889 წელს პირველათ მისცა მათ კანონმა ნება, რომ ლარიბთა სამზრუნველოებსა და სამოსწავლო საბჭოებში ყოფილიყვენ არჩეული. შემდეგ—1909 წელს შვეციაში დედაკაცებს მიეცათ პასსიური საარჩევნო უფლება ყველა ადგილობრივ თვითმართველობაში; 1902 წ. მეორე პალატამ 114 ხმით 64-ის წინააღმდეგ, უარყო პოლიტიკური საარჩევნო უფლება დედაკაცებისთვის, ეს გამეორდა 1905 წელსაც—109 ხმით 88-ის წინააღმდეგ.

დანიაში ხანგრძლივი აგიტაციის შემდეგ, 1908 წლის აპრილში, ქალებს სრული საარჩევნო უფლება მიეცათ ადგილობრივ თვითმართველობაში. ამისთვის დედაკაცი უნდა იყოს 25 წლის და უნდა იხდიდეს წლიური შემოსავლის კვალობაზე (უმცირესი—900 მარკა) გაწერილ გადასახადს. ეს უფლება ეძლევა დედაკაცს იმ შემთხვევაშიაც, თუ მისი ქონება ქმრის ქონებასთანაა შეერთებული და ქმარი შესაფერ გადასახადს იხდის. ამას გარდა, საარჩევნო უფლება აქვთ შინა-მოსამსახურე ქალებს, ვისაც ჯამაგირში ეთვლებათ ბინა და ხარჯი.

1909 წელს მოხდა პირველი არჩევნები ორივე სქესის მონაწილეობით და ქ. კოპენგაგენში 7 ქალი აირჩიეს ქალაქის თვითმართველობაში. ისლანდიაში 1907 წელს მიიღეს დედაკაცებმა სრული საარჩევნო უფლება ადგილობრივ დაწესებულებებში.

ინგლისში ქალთა საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლას მთელი ისტორია აქვს. საშუალო საუკუნოებში ძველი უფლების ძალით, საარჩევნო უფლებით მემამულე ქალები სარგებლობდენ; როგორც მემამულეებს, მათ ქონდათ აგრეთვე სამართლის გაჩენის უფლებაც. დროთა მსვლელობაში მათ დაკარგეს ეს უფლებები. საარჩევნო რეფორმის 1832 წ. აქტში ნახმარი იყო სიტყვა „person“, რაც ინგლისურ ენაზე ნიშნავს ორივე სქესის პირთ, ქალსაც და კაცსაც. მიუხედავათ ამისა, კანონს ქალთა შესახებ ვიწრო განმარტება მისცეს და ქალები არჩევნებიდან გამორიცხეს, 1867 წლის ბილში კი სიტყვა „person“-ის ნაცვლათ ნახმარია სიტყვა „man“—მამაკაცი, ჯონ სტიუარტ მილმა წინადადება შეიტანა „man“-ის მაგიერ სიტყვა „person“ ეხმარათ და ამით ქალებისთვისაც მიეცათ ნება არჩევნებში მონაწილეობის იმავე უფლებით, როგორც კაცებისთვის. წინადადება უარყოფილ იქნა 194 ხმით 73-ის წინააღმდეგ. 16 წლის შემდეგ (1883 წ.), ხელახლა სცადეს ქალებისთვის საარჩევნო უფლების მინიჭება. ახლაც ეს წინადადება 168 ხმის უმეტესობით უარყვეს. შემდეგი ცდა მოხდა 1884 წელს. კრებას წევრთა უდიდესი ნაწილი დაესწრო და წინადადება უარყოფილ იქნა 136 ხმის უმეტესობით. მარა უმცირესობა თავისას არ იშლიდა. 1886 წელს ორჯელ წაკითხვის დროს მიღებულ იქნა წინადადება ქალთათვის საპარლამენტო საარჩევნო უფლების მიცემის შესახებ, მარა პარლამენტის დათხოვამ შეუშალა ხელი მის საბოლოოთ მიღებას.

1888 წ. 29 ნოემბერს, ლორდ სოლსბერიმ სიტყვა წარმოსთქვა ედინბურგში, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი აზრი გაატარა: „მე გულწრფელათ მრწამს, რომ შორს არაა ის დრო, როცა ქალებიც მამაკაცებთან ერთათ მიიღებენ მო-

ნაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში და თავის გავლენას შეიტანენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრების განსაზღვრაში". ალფრედ როსელ უელსი, ცნობილი ბუნების-მეტყველი და დარვინიზმის მომხრე, ასე ამბობს ამ საკითხის შესახებ: „თუ მამაკაცებსა და დედაკაცებს სრული თავისუფლება ექნებათ თავის საუკეთესო იმპულსებს მისდიონ, თუ ორივე სქესი საუკეთესო აღზრდას მიიღებენ, თუ ადამიანის არსებას ყალბ ზღუდეებს არ შემოავლებენ სქესთა შემთხვევითი სხვადასხვაობის გამო, თუ საზოგადოებრივ აზრის ხელმძღვანელათ საუკეთესონი და უბრძნესნი იქნებიან და მათ სისტემატიურ გავლენას დაექვემდებარება ახალგაზრდობა, მაშინ დავინახავთ, რომ ადამიანის შერჩევის სისტემა სრულ თავის ძალას გამოიჩენს და ამას კაცობრიობის განახლება მოყვება შედეგათ. სანამ ქალები იძულებული არიან ისე უყურონ ქორწინებას, როგორც სიღატაკის და მოძულებისაგან თავის დაღწევის საშუალებას, ისინი ბევრათ უფრო ცუდ პირობებში იმყოფებიან, ვინემ მამაკაცები. ამიტომ ყველა იმ დაბრკოლებათა მოსპობა, რომელნიც ხელს უშლიან ქალებს მამაკაცთა კონკურენტათ გამოვიდენ წარმოების ყველა დარგებში და პროფესიებში,—აი რა უნდა იქნეს პირველი ნაბიჯი ქალთა ემანსიპაციის საკითხში. ჩვენ უფრო შორსაც წავალთ: ქალებს ნება უნდა მიეცეს **პოლიტიკური უფლებებით სარგებლობის**, რომ თავისი წარმომადგენლები აირჩიონ პარლამენტში; ბევრი ზღუდისა და დაბრკოლებისაგან იქნებოდენ ქალები თავისუფალი და ბევრ უაზრო ტანჯვას ასცდებოდენ, რომ მათ პარლამენტში თავის წარმომადგენლები ყოლოდათ".

1902 წლის 27 აპრილს, სერ. ა. როლიტის წინადადება ქალთა პოლიტიკურ უფლებების შესახებ, ხელმეორეთ წაკითხვის დროს უარყვეს 175 ხმით 152-ის წინააღმდეგ; შემდეგ 1897 წელს, 3 თებერვალს, ქვედა პალატამ მიიღო წინადადება ქალთა საარჩევნო უფლების შესახებ, მარა ეს პროექტი აღარ ეღირსა მესამეთ გარჩევას (третье чтеніе), რადგან მოწინააღმდეგეებმა ყოველნაირი საშუალება იხმარეს ამისთვის. ეს

გამეორდა 1904 წელსაც. 1906 წ. ქვედა პალატის დეპუტატთა უმეტესობა მიემხრო ქალთა საარჩევნო უფლებას და არჩევნების დროს გამოაცხადა კიდეც ეს მომხრეობა. 21 ივნისს, 1908 წელს, მოხდა ჰაიდპარკში დიდი დემონსტრაცია ამის შესახებ. ბოლოს 28 თებერვალს, 271 ხმით 92 წინააღმდეგ მიღებულ იქნა შტინგერის წინადადება: მიეცეს დედაკაცებს კენჭის-ყრის უფლება და ეს უფლება განისაზღვროს ისე, როგორც მამაკაცთა საარჩევნო უფლებაა განსაზღვრულიო.

ადგილობრივ თვითმართველობაში ქალთა საარჩევნო უფლება თანდათან ფართოვდება. საეკლესიო სამრევლოს კრებებზე დედაკაცს, თუ ის გადასახადს იხდის, ისეთივე ხმა აქვს, როგორც მამაკაცს.

1899 წლიდან ინგლისში ქალები გათანასწორებულნი არიან მამაკაცებთან სათემოს, საქალაქოს და საგრაფოს არჩევნებში. ისინი თანასწორ პირობებით სარგებლობენ აქტიურ და პასსიურ საარჩევნო უფლებებით. ასეთივე უფლებით სარგებლობენ ისინი საშკოლო და ღარიბთა თავშესაფარ კომისიების არჩევნების დროს, სასოფლო, სათემო და საოლქო საბჭოებში; აგრეთვე ღარიბთა სამზრუნველო დაწესებულებებში საარჩევნო უფლება აქვს სქესის მიუხედავათ ყველას, ვინც მესაკუთრეა ან დამქირავებელი, ვინც ადგილობრივ თემში, ან ოლქში ცხოვრობს. პასსიური საარჩევნო უფლება აქვთ ხსენებულ დაწესებულებებში ყოველ სრულ-წლოვან მცხოვრებს სქესის მიუხედავათ. სამოსწავლო გამგეობაში ქალებს აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება, 1870 წელს აქეთ პასსიურიც; მამაკაცებისგან ამ მხრივ არ განირჩევიან ისინი. პასსიური უფლება დედაკაცებს წაერთვათ მხოლოდ ლონდონის ოლქში—1903 წელს გამოცემული რეაქციონური კანონის ძალით. 1869 წელს აქეთ დამოუკიდებელ და გაუთხოვარ ქალებს კენჭის-ყრის უფლება აქვთ ქალაქის საბჭოებში. 1907 წელს ორი კანონი გამოიცა, რომლებითაც ქალებს მიენიჭა საარჩევნო უფლება საგრაფო და სათემო საბჭოებში; ეს დაკანონდა მთელი ინგლისის და შოტლანდიისთვის. მარა მომ-

რიგებელი მსაჯულის თანამდებობა დედაკაცს მაინც არ მიეცემა, თუნდაც რომ აირჩიონ ის ხსენებულ დაწესებულებებმა. მამაკაცებს კი აქვთ ეს უფლება. ამას გარდა, ქალის არჩევა შეიძლება საეკლესიო და ღარიბთათვის სამზრუნველო საბჭოებში. 9 ნოემბერს, 1908 წ. ალდებურგში დედაკაცი ქალაქის თავათ აირჩიეს; ეს პირველი შემთხვევაა ქალის ქალაქის თავათ არჩევის. 1908 წ. ინგლისის ღარიბთა სამზრუნველო საბჭოებში იყო—1162 დედაკაცი, სამოსწავლო საბჭოებში—615 დედაკაცი.

ირლანდიაში ქალები, რომელნიც დამოუკიდებლათ იხდიან სახელმწიფო გადასახადს, აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ სათემო არჩევნებში 1887 წლიდან, 1896 წლიდან კი აქტიური და პასსიური უფლება აქვთ ღარიბთა სამზრუნველო დაწესებულებებში.

ინგლისის კოლონიებში—ჩრდილო ამერიკაში, ქალებს უფლება აქვთ ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ისე, როგორც თვითონ ინგლისში; ასეა ამ კოლონიების პროვინციათა უმრავლესობაში. ასეთივე უფლება ახლა ინგლისის მთავრობამ აფრიკის კოლონიებშიაც მიანიჭა დედაკაცებს.

საფრანგეთში პირველათ 1880 წლის 27 თებერვალს წასდგა კანონმდებლობამ ნაბიჯი წინ. მაშინ დაარსდა საარჩევნო კრებული, რომელშიაც უნდა შესულიყვენ სკოლის წარმომადგენელი და თავშესაფართა უფროსი და უნცროსი ზედამხედველი ქალები, ამათ გამგეობის ქვეშ უნდა ყოფილიყო სახალხო შკოლების საქმე. 23 იანვარს, 1898 წ. გამოვიდა მეორე კანონი: მოვაჭრე ქალებს უფლება მიეცათ სავაჭრო სასამართლოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების. 27 მარტს, 1907 წ. კანონმა სამრეწველო სასამართლოების რეფორმა მოახდინა და მაშინ ქალებსაც მიეცათ აქტიური საარჩევნო უფლება ამ დაწესებულებებში; 1908 წლის 25 ნოემბერს აქეთ კი ისინი სარგებლობენ პასსიური უფლებითაც.

იტალიაში 1893 წლიდან წინააღმდეგ გერმანიისა, ქალებს აქტიური და პასსიური უფლება აქვთ სამზრუნველო სასამართლოში მონაწილეობის მისაღებათ.

ავსტრიაში იმ ქალებს, რომელთაც დიდი საკუთრება აქვთ და მსხვილ მიწათ-მფლობელთა კლასს ეკუთვნიან, შეუძლიათ აქტიური საარჩევნო უფლებით ისარგებლონ პირადათ, ან რწმუნებულობის საშუალებით. თემებში ქალებს უფლება აქვთ სათემო წარმომადგენლების არჩევნებში მონაწილეობის, თუ ისინი, როგორც თემის წევრები, იხდიან გადასახადს საკუთრებაზე, სამრეწველოზე ან შემოსავალზე. გათხოვილი ქალები სარგებლობენ თავის საარჩევნო უფლებით ქმრების საშუალებით, სხვები კი რწმუნებულების საშუალებით.

ლანდტაგის არჩევნებში ქალებს უფლება ქონდათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიწათ-მფლობელთა კლასს ეკუთვნოდენ, მარა ქვემო ავსტრიის გარეშე არ შეეძლოთ ამ უფლებით პირადათ სარგებლობა. მარტო აქ აძლევს 1896 წ. გამოცემული კანონი მსხვილ მიწათ-მფლობელებს ნებას—პირადათ მიიღონ ხოლმე არჩევნებში მონაწილეობა სქესის განურჩევლათ. სამრეწველო სასამართლოების არჩევნებში ავსტრიის ქალებს მარტო აქტიური უფლება აქვთ ისე, როგორც ნიდერლანდიაში.

გერმანიაში საპარლამენტო არჩევნებიდან ქალები გამორიცხული არიან; არც აქტიური, არც პასსიური უფლება ამათ აქ არა აქვთ. ზოგიერთ ადგილობრივ თვითმართველობაში ქალები სარგებლობენ საარჩევნო უფლებით, მარა ეს მხოლოდ გერმანიის რამოდენიმე სახელმწიფოშია. პასსიური უფლება კი არსად არა აქვთ დედაკაცებს, არც ქალაქის და არც სოფლის მმართველობაში. ქალაქებში აქტიურ უფლებასაც მოკლებული არიან ისინი; გამონაკლისს შეადგენენ ამ მხრივ ქალაქები—საქსონია-ვეიმარ-ეიზენახი, შვარცბურგი, რუდოლშტადი და შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენი, რეინის მარჯვენა ნაპირის ბავარია და ლიუბერკის პატარა ქალაქი ტრაფემიუნდი.

ბავარიის ქალაქებში სახლის პატრონ ქალებს და საქსონ-ვეიმარში, შვარცენბურგში ყოველ მოქალაქე დედაკაცს აქვს საარჩევნო უფლება, მარა პირადათ უფლების განხორციელება მარტო ტრაფემიუდში შეუძლიათ*). რაც შეეხება სათემო დაწესებულებებს, აქ ჩვეულებრივათ ქალებს აქტიური საარჩევნო უფლება ეძლევათ,—ამისთვის კი ყველგან საჭიროა ან მიწათ-მფლობელობა, ან განსაზღვრული გადასახადი, მარა არჩევნებში პირადათ ვერ მიიღებენ მონაწილეობას, ვინმეს უნდა გადასცენ თავისი ხმა, რასაკვირველია, დედაკაცის არჩევაც აკრძალულია. ასეა პრუსიაში, ბრაუნშვეიგში, შლეზვიგ-ჰოლშტეინში, საქსონ-ვეიმარში, ჰამბურგში და ლიუბეკში. საქსონიაში ქალს ნება აქვს პირადათ მიიღოს მონაწილეობა ასეთ არჩევნებში, თუ ის მიწის მესაკუთრეა და გაუთხოვარი. თუ ქმრიანია, მაშინ ქმარზე გადადის მისი უფლება. ზოგიერთ სახელმწიფოებში ყოველ თემის მოქალაქეს აქვს ადგილობრივი საარჩევნო უფლება, სხვა ცენზი აქ საჭირო არ არის, მაგრამ ქალები უმეტეს ნაწილათ მოკლებული არიან ამ უფლებას. ასეა ვიურტემბერგში, ბავარიის პფალცში, ბადენში, ჰესენში, ოლდენბურგში, ანჰალტში, გოტაში და რეუსში. სხვაგან, მაგალ. საქსონ-ვეიმარ-ეიზენახში, კობურგში, შვარცბურგ-რუდოლშტადში და შვარცბურგ-ზონდერჰაუზენში ქალებს ისეთივე მოქალაქობრივი უფლება აქვთ, როგორც მამაკაცებს, საარჩევნო უფლებაც თანასწორი აქვთ და ეს უფლება საკუთრებაზე არ არის დამოკიდებული. მარა პირადათ ვერც აქ სარგებლობენ ამით.

პრუსიის სოფლებში, სადაც კი დედაკაცებს განსაზღვრული საარჩევნო უფლება აქვთ, ისინი ან პირდაპირ იღებენ მონაწილეობას სამაზრო კრებისთვის წარმომადგენლების არჩევაში, ან სხვას გადასცემენ ხოლმე ხმას. საარჩევნო წრეში, სადაც მსხვილი მესაკუთრეები, სამთო და სხვა სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენლები შედიან, ქალებს შეუძლიათ პირდაპირ აირჩიონ სამაზრო წარმომადგენლები; სათემო ოლქებში

*) Politisches Handbuch für Frauen. 909.

კი არა პირდაპირ, რადგან აქ სოფლის ყრილობა და საბჭოები ამომრჩევლებს ირჩევენ მხოლოდ,—ესენი კი მერმე წარმომადგენლებს გზავნიან სამაზრო კრებაში. ეს კრება პროვინციალურ ლანდტაგში გზავნის თავის არჩეულებს; ქალების მონაწილეობა აქ იმდენად განსაზღვრულია, რომ მათ პროვინციის მართვა-გამგეობაში ძალიან ნაკლები გავლენა აქვთ.

უკანასკნელ წლებში ქალები თანდათან ფართო მონაწილეობას იღებენ ობოლ-ღარიბთა მზრუნველობის საქმეში (ბავარიის გარდა), არჩევნებშიაც აქვთ აქ მონაწილეობის უფლება, ზოგიერთ ქალაქებში სამოსწავლო კომისიებში ირჩევენ წარმომადგენლებს (მაგალ. პრუსიაში, ბადენში, ვიურტემბერგში, ბავარიასა და საქსონიაში); მანგეიმში დედაკაცებს ხმა აქვთ ბინების გამსინჯავ კომისიის არჩევნებშიაც.

ამნაირათ, ავსტრიასა და გერმანიაში საარჩევნო უფლება ეკუთვნის უმთავრესათ არა პიროვნებას, არამედ მფლობელობას. ეს მეტათ საგულისხმო და დამახასიათებელია გაბატონებულ სახელმწიფო მორალისა და უფლებისათვის. ადამიანი პოლიტიკურათ არარაობას უდრის, თუ მას არა აქვს ქონება და ფული. არა გონება და განათლება, არამედ ქონება, ფული სწყვეტს დღევანდელ დღეს უფლების საკითხს.

მაგრამ ის პრინციპი, რომელიც მუდამ მცირეწლოვანათ თვლის ქალს და ამიტომ ართმევს მას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, ფაქტიურათ ამითაც ირღვევა. მარა მაინც ჯიუტობენ და არ უნდათ სრული უფლება მისცენ ქალებს. ამბობენ, საშიშია ქალებისთვის საარჩევნო უფლების მიცემა, რადგან ისინი ადვილათ ემორჩილებიან სარწმუნოებრივ ცრუმორწმუნეობას და კონსერვატორები არიანო, მაგრამ ამის მთქმელთ ავიწყდებათ, რომ ერთიც და მეორეც შედეგია მათი უვიცობის; საჭიროა მათი აღზრდის გაუმჯობესება და იმის დანახვება, თუ რაში მდგომარეობს მათი ნამდვილი ინტერესი. კათოლიკეთა (ულტრამონტანები) აგიტაციამ ამიტომ მოიტანა ასეთი ნაყოფი გერმანიაში, რომ იგი **სოციალურ ინტერესებს** აკავშირებდა **სარწმუნოებრივთან.** ულტრამონტანელი

მღვდლები დიდხანს ეჯიბრებოდენ თვით სოციალ-დემოკრატებსაც სოციალური უკეთესობის გამოაშკარავებაში. აქედან წარმოსდგა მათი გავლენა მასსაზე. და როცა ეს კულტურული ბრძოლა დათავდება, მაშინ მათი გავლენაც თანდათან გაქრება. სასულიერო წოდება დღეს უკვე იძულებულია მთავრობის ოპოზიციაში დგომას თავი დაანებოს; ამასთანავე კლასთა ბრძოლის გაღრმავება აიძულებს ანგარიში გაუწიოს კაპიტალისტურ ბურჟუაზიას და კათოლიკე აზნაურობას; ამნაირათ, იგი ძალაუნებურათ თანდათან მეტ თავდაჭერილობას იჩენს სოციალურ სფერაში. ამით ის კარგავს თავის გავლენას მუშებზე, განსაკუთრებით, როცა იძულებულია სახელმწიფოს მმართველების და გაბატონებულ კლასთა სასარგებლოთ მიიღოს, ან დაადასტუროს ისეთი კანონები და ზომები, რომელნიც აშკარათ მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ არიან მიმართული. ამავე მიზეზებით დაეცემა ბოლოს და ბოლოს სასულიერო წოდების გავლენა ქალებზედაც. კრებებიდან და გაზეთებიდან ქალები გაიგებენ, საკუთარი გამოცდილებითაც დაინახავენ, თუ რაში მდგომარეობს მათი ნამდვილი ინტერესები და ამნაირათ, ისინიც მალე მამაკაცებსავით თავისუფალი გახდებიან სამღვდელოების გავლენისაგან*).

ბელგიაში, სადაც ულტრამონტანიზმი (კათოლიკობა) ჯერ თითქმის ისევ უსაზღვროთ ბატონობს ხალხის ფართო მასსაზე,

*) სამღვდელოებამ ძალიან მალე იგრძნო ეს მისთვის არა სასურველი გარემოება. რასაკვირველია, ბურჟუაზიულ წრეებსაც ფართოთ მოედო ქალთა მოძრაობა, აქაც დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მან და ამიტომ კათოლიკეთა ცენტრის მეთაურები მიხვდენ, რომ ცარიელი უარყოფით ვეღარაფერს გახდებიან; უცებ ამ ვაჟბატონებმა პირი იბრუნეს. აქაც ჩვეულებრივი პირმოთნეობა გამოიჩინეს და ახლა იცავენ იმას, რასაც გუშინ ებრძოდენ. ახლა მათ საპეროთ მიაჩნიათ ქალებისთვის არა მარტო უმაღლესი სწავლა,—თავისუფლება უნდა მიეცეს მათ, როგორც კრების ისე კავშირებისო.—ამბობენ. ეს კიდეე ცოტაა; დედაკაცებს საარჩევნო უფლებაც უნდა ქონდეთო,—ამტკიცებენ ზოგიერთი უფრო ჭკუიანი პირები მათში, ალბათ იმედი აქვთ, რომ ეს ეკლესიისთვის სასარგებლო იქნება. ამას გარდა, ხელს უწყობენ ქალთა ორგანიზაციებს—შინა მოსამსახურეებისასაც კი. ეს, რასაკვირველია, მათი გულწრფელობით არ აიხსნება, თავისთავათ ქალთა უფლების მომხრე ისინი სულაც არ არიან, მხოლოდ უნდათ, რომ ქალები პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბანაკში არ გადავიდენ.

კათოლიკე სამღვდელოების ერთი ნაწილი ქალთა საარჩევნო უფლების შემოღებაში ხედავს საუკეთესო იარაღს სოციალ-დემოკრატების შესამუსრავათ და ამიტომ თხოულობს მას. გერმანიაშიაც ყოველთვის, როცა სოციალ-დემოკრატია თხოულობდა რეიხსტაგში ქალთა საარჩევნო უფლების შემოღებას, ზოგიერთი კონსერვატიული დეპუტატები ამავე საბუთით უჭერდენ მათ მხარს: ეს მათ საუკეთესო საშუალებათ მიაჩნდათ სოციალ-დემოკრატიის წინაღმდეგ საბრძოლველათ. ეჭვი არაა დღეს-დღეობით, როცა ქალები ასე უვიცნი არიან და ერთიანათ სამღვდელოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, ასეთი მოსაზრება ყოველ საფუძველს მოკლებულათ არ ჩაითვლება. მარა ჩვენ ამ საბუთით არ შეგვიძლია ქალთა საარჩევნო უფლება უარვყოთ. დღეს-დღეობით მუშებშიაც ასი-ათასობით და მილიონობით მოიძებნება ისეთი პირები, რომელნიც თავის კლასიურ ინტერესების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ და საეკლესიო პარტიათა წარმომადგენლებს აძლევენ ხმას, რითაც აშკარათ ამტკიცებენ თავის პოლიტიკურ მოუმწიფებლობას, მარა ამ საბუთით აბა ვის უფიქრია მათთვის საარჩევნო უფლების წართმევა? უფლებების წართმევის, ან მიუცემლობის მიზეზი არის, რომ ეშინიათ მასსის უვიცობის, ამ შემთხვევაში ქალების უვიცობის, რომელნიც ისეთები არიან, როგორიც შექმნა ისინი დღეს გაბატონებულმა კლასებმა; მიზეზი ისაა, რომ ეშინიათ — ვაი თუ დაჭკვიანდენ და საკუთარი გზით წავიდენო.

გერმანიის ზოგიერთი სახელმწიფოები ამ მხრივ იმდენათ ჩამორჩენილი არიან, რომ ქალებს ნებას არ აძლევენ პოლიტიკურ კრებებისა და კავშირების უფლებით ისარგებლონ. პრუსიაში, ბავარიაში, ბრაუნშვეიგში და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში, მათ არ შეუძლიათ პოლიტიკური კავშირები შეადგინონ (ფერეინები); პრუსიაში, როგორც 1901 წელს გადასწყვიტა უმაღლესმა ადმინისტრატიულმა სასამართლომ, მათ არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ საზოგადოებათა დღესასწაულებშიაც კი. ბერლინის უნივერსიტეტის რექტორმა 1901 წლის შემოდგომაზე, ჩვენი აზრით, დიდი

უტაქტობა ჩაიდინა, როცა რეფერატის წაკითხვა აუკრძალა ქალს სტუდენტების სოციალ-მეცნიერულ საზოგადოებაში. იმავე წელს ბრაუნშვეიგის პოლიციამ აუკრძალა ქალებს ევანგელიურ-სოციალურ კონგრესზე დასწრება. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა 1902 წელს უმოწყალესათ განაცხადა, რომ იგი ნებას დართავს ქალებს პოლიტიკურ საზოგადოებათა კრებებს დაესწრონ, თუ მათთვის განსაკუთრებული განყოფილება იქნება ზალაში მიჩენილი, როგორც ებრაელების ქალებს აქვთ სინაგოგაში; ეს აშკარათ ეწინააღმდეგება კანონს და კარგათ ახასიათებს არსებული საზოგადოებრივ წყობილების დაწვრილმანებას.

დიდი ხანი არ არის, რაც პოსადოვკიმ რეიხსტაგში მედიდურათ წამოიძახა: „ქალებმა პოლიტიკაზე ხელი უნდა აიღონო“. ეს იყო 1904 წლის თებერვალში. მარა ბოლოს ბურჟუაზიულ პარტიებსაც კი უხერხულათ მიაჩნიათ ის მდგომარეობა, რომელიც იყო აქამდის. პროლეტარ ქალთა მოძრაობამ გზა გაუკაფა კავშირის თავისუფლებას და აი 19 აპრილს, 1908 წელს, გამოვიდა ახალი კანონი, რომლის გამო დედაკაცებს ახლა კავშირის და კრების თავისუფლება ისეთივე აქვთ, როგორიც მამაკაცებს. ეს ერთათ-ერთ საყურადღებო გაუმჯობესებათ უნდა ჩაითვალოს გერმანიაში.

აქტიურ საარჩევნო უფლებასთან შეერთებულია, რასაკვირველია, პასსიურიც. „ქალი რეიხსტაგის ტრიბუნაზე—რა სანახავი იქნება?“—გვესმის აქეთ-იქიდან. სხვა ქვეყნებში კი ჩვენ უკვე ვხედავთ ქალებს პარლამენტის ტრიბუნაზე და ყველა შეეჩვია მათ გამოსვლას და ლაპარაკს სხვა-და-სხვა კრებებსა და კონგრესებზე. ჩრდილოეთ ამერიკაში მათ ნახავთ ეკლესიის კათედრაზე, ნაფიც ვექილთა სკამზე და რატომ არ შეიძლება მათი რეიხსტაგის ტრიბუნაზე გამოსვლა? პირველივე ქალი, რომელიც შემოვა რეიხსტაგში, შეიძლებს საყოველთაო პატივისცემა დაიმსახუროს. როცა პირველათ მუშები შევიდენ რეიხსტაგში, მათ შესახებაც ასე ოხუნჯობდენ და ამტკიცებდენ, რომ მუშები მალე შეიგნებენ, რა სისულელე ჩაიდინეს

ასეთი კაცების არჩევითო. მარა მათმა წარმომადგენლებმა მალე მოახერხეს საყოველთაო ყურადღების დამსახურება და ახლა იმის შიში უფრო აქვთ—ვაი თუ ძალიან ბევრი აირჩიონ ასეთებიო. მარა ეს უკბილო ოხუნჯები არ სცხრებიან. „აბა წარმოიდგინეთ ფეხმძიმე დედაკაცი რეიხსტაგის ტრიბუნაზე—რა ესტეტიური სურათი იქნება?“ ამ ვაჟბატონებს ის წესიერათ მიაჩნიათ, როცა ფეხმძიმე დედაკაცების ძალღონით სარგებლობენ სრულიად არა ესტეტიურ სამუშაოების შესასრულებლათ და ხშირათ ღუპავენ ამით მის ქალობას, ზრდილობას, ჯანმრთელობას. უსინდისოა ის ადამიანი, რომელიც ფეხმძიმე დედაკაცს დასცინის. მას ავიწყდება, რომ მისი დედა ისეთივე მდგომარეობაში იყო, როცა მუცლით ატარებდა მას. ეს უბრალო მოსაზრება სიწითლეს უნდა გვრიდეს ამ ვაჟბატონს; ცოლის ასეთ მდგომარეობაში ჩაყენებით ის თვითონ ელის სასურველი შთამომავლობის გაჩენას. მერე, რატომ სირცხვილით არ სწვავს ეს გარემოება და ხმას არ აკმენდინებს მას? *)

**ქალი, როგორც შვილების დედა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, იმდენ სამსახურს მაინც უწევს საზოგადოებას, რამდენსაც მამაკაცი, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე დებს თავს, რომ დაიცვას თავის ქვეყანა და ოჯახი დასაპყრობათ შემოსეულ მტერთაგან.** ის შობს და ზრდის

*) „ფინლიანდიაში ქალთა წარმომადგენლების ნახევარს შეადგენენ დედები და დაქორწინებული დედაკაცები. სოციალ-დემოკრატებიდანაც იყვენ რამოდენიმე ასეთები. სხვათა შორის, ამათში ერია სამი დედა. ესენი დაუბრკოლებლათ ასრულებდენ თავის მოვალეობას, მხოლოდ ორიოდე კვირის განმავლობაში კრებებს ვერ ესწრებოდენ. ორსულობას ამათი პარლამენტარული მოღვაწეობის დროს, უბრალოთ უყურებდენ, ბუნებრივ მოვლენათ მიაჩნდათ და გასაკვირალს ვერაფერს ხედავდენ. პირიქით, ამ გარემოებამ კრებაზე ერთგვარი აღმზრდელობითი გავლენაც იქონია. რაც შეეხება თვითონ მოღვაწეობას, ჩვენ მხოლოდ ვიტყვით, რომ ეს ქალები პარტიის ნდობით სპეციალურ კომისიებში იყვენ არჩეული. ალბათ სასარგებლო ყოფილა მათი მოღვაწეობა. მუშათა კომისიაში 12 მამაკაცთან 4 ქალი იღებდა მონაწილეობას. ამ კომისიას უნდა შეემუშავებია კანონმდებლობა შრომის დაცვის, დაზღვევის შესახებ და აგრეთვე ახალი წესრიგის შემოღება მრეწველობაში. კანონ-პროექტების განსახილველ და შესამუშავებელ კომისიაში ორი დედაკაცი ირიცხებოდა ნამდვილ წევრათ, ერთი თავმჯდომარეთაც იყო არჩეული. და ღირსეულათაც შეასრულეს ქალებმა თავისი მოვალეობა ამ წარმომადგენლობაში“. (Dokumente des Fortschritts. 909.—ფინლანდიელი დეპუტატ ქალის წერილი).

მომავალ მამაკაცებს, რომელმაც სამწუხაროთ, ძალიან ხშირათ „პატიოსნების ასპარეზზე“ უნდა დაღუპოს თავისი სიცოცხლე. ეს კიდევ ცოტაა. ქალის სიცოცხლე ყოველ მშობიარობის დროს დიდ ხიფათშია; ჩვენი დედები მშობიარობის დროს თვალებში უყურებენ სიკვდილს და ბევრი გადაყოლია კიდეც ძეობას. „პრუსიაში მშობიარობის დროს ძალიან ხშირათ ესალმებიან დედაკაცები სიცოცხლეს სამშობიარო ანთებისაგან. ტიფისგანაც კი არ კვდება ამდენი. 1905—1906 წლ. 10,000 დედაკაციდან ტიფს უმსხვერპლია 0,73 და 0,62, მშობიარობას კი 2,13 და 1,97. „ვინ იცის, როგორ შეიცვლებოდა მდგომარეობა—სამართლიანათ ამბობს პროფ. ჰერფი, მამაკაცებიც რომ განიცდიდენ ამნაირ ტანჯვას? განა მაშინ ყველაფერი არ ამოძრავდებოდა?“ *). ძეობისაგან გადაცვლილ, ან სამუდამოთ დასნეულებულ ქალთა რიცხვი ბევრათ აღემატება ბრძოლის ველზე დაჭრილ და დახოცილ მამაკაცთა რიცხვს. 1816-დან 1876 წლამდე პრუსიაში მშობიარობის ანთებამ იმსხვერპლა 321,791 ქალი, საშუალო რიცხვით 5363 სული წლიურათ. ინგლისში მშობიარობის დროს გარდაიცვალა 1847—1901 წლამდე 213,533, ახლა ყოველგვარ ჰიგიენურ ზომების მიუხედავათ 4000-მდე კვდება წლიურათ. და ეს რიცხვი შესამჩნევათ აღემატება ამავე ხანაში სხვა-და-სხვა ომებში მოკლულ მამაკაცთა რიცხვს. ასეთ ანთებით გარდაცვლილთა რიცხვს ზედ ერთვის ამაზე ბევრათ დიდი რიცხვი ძეობით დასნეულებულთა, რომელთაც ეს სნეულება უსწრაფებს სიცოცხლეს**) და ეს ერთი უმთავრესი საფუძველია იმის, რომ ქალებმა სრული გათანასწორება მოითხოვონ მამაკაცებთან. ეს უნდა გავახსენოთ განსაკუთრებით იმათ, რომელნიც ეყრდნობიან-რა იმ საბუთს, რომ მამაკაცს მოვალეობათ აწევს სამშობლოს დაცვა,

*) Prof. Dr. Otto v. Herff, Jm Kampfe gegen das Kindbettfieber, 908.

**) მშობიარობის ანთებით გადაცვლილ თვითეულ ქალზე უნდა ვიანგარიშოთ საშუალოთ 15—20 დაავათმყოფებული, რომელნიც მთელ სიცოცხლეში წვალობენ სქესობრივ ორგანოთა ტკივილებისაგან, რაიცა მთელ ორგანიზმს ასუსტებს“. Das Frauenbouch, Band I. S. 363, von Frau B. H. Adams, Dr. med. Stuttgart, 1894, Süddeutsches Verlagsinstitut.

უპირატესობას ანიჭებენ მას ქალების წინაშე. იმასაც ივიწყებენ, რომ ბევრი მამაკაცი დღევანდელ პირობებში სრულიად არ ასრულებს ამ მოვალეობას, მისთვის ის მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი.

ამ ზერელე და მჩატე საბუთებს ქალთა საზოგადოებრივ მოღვაწეობის წინააღმდეგ ადგილი არ ექნებოდა, რომ სქესთა შორის ხელოვნურათ აღმოცენებულ ანტაგონიზმის ნაცვლათ ბუნებრივი ურთიერთობა იყოს გამეფებული. მარა მათ აშორებენ ერთმანეთს ახალგაზრდობაშივე, აშორებენ აღზრდის დროს და საზოგადოებაშიაც. ასეთ ანტაგონიზმის დანერგვაში დანაშაული მიუძღვის უმთავრესათ ქრისტიანობას, რომელიც ყველაფერში და ყოველთვის აშორებს სხვა-და-სხვა სქესის პირთ ერთმანეთისაგან, ხელს უშლის ერთი-მეორის ცოდნას და ამით აბრკოლებს მათში თავისუფალ ამხანაგურ ურთიერთობას, ერთმანეთის ნდობას, ერთმანეთის ხასიათის გაგებას და შეთვისებას*).

გონიერ საფუძველზე აგებულ საზოგადოების ერთი უპირველესი საქმეთაგანი იქნება ამ მავნებელ, უაზრო განცალკევების მოსპობა და ბუნებრივი ურთიერთობის ხელის შეწყობა. დღეს არა-ბუნებრივი ურთიერთობა მყარდება უკვე შკოლიდანვე. პირველი არა-ბუნებრივობაა—სქესთა განცალკევება, მეორე—გადაუკულმართებული სწავლა და შკოლიდან ყველა იმ საგნების განდევნა, რომელნიც ეხებიან ადამიანს, როგორც სქესობრივ არსებას. მართალია, ყველა ხეირიან შკოლაში ასწავლიან დღეს ბუნების ისტორიას. ბავშვი იგებს, რომ ფრინველები სდებენ კვერცხებს და ჩეკენ ბარტყებს, იგებს, რომ აღრევისათვის საჭიროა მამალ-დედალი ფრინველი, რომ ორივენი საერთო ძალით აკეთებენ ბუდეს, ჩეკენ კვერცხებს და ასაზრდოებენ ბარტყებს. ის სწავლობს იმასაც, რომ ძუძუ-

*) ნეისის რეინზე სათემო წარმომადგენლები იქამდე მივიდენ, რომ 1902 წ. უარი განაცხადეს საზოგადო საბანაოს დაარსებაზე იმ მოსაზრებით, რომ მხოლოდ საბანაო შარვლებით დაფარულნი ბავშვები ერთმანეთის შიშველ ტანს დაინახავენ და ამით მათი ზნეობა შეილახებაო.

მწოვარა ცხოველები ბადებენ ცოცხალ ლეკვებს, ცინტლებს, ხბოებს, ზაქებს და სხვ.; მას ესმის აგრეთვე ლაპარაკი ცხოველთა სქესობრივ შეერთებაზე და მამლების ომზე დედლის გულისთვის. მან იცის აგრეთვე, რამდენი ლეკვი, ცინტალი და სხვ. იბადება ერთათ, იცის, რამდენხანს ატარებს მათ დედა მუცლით, მარა ადამიანის წარმოშობა და განვითარება კი მისთვის უცნობია, საიდუმლოების ზეწრით მოცული. და თუ ბავშვმა თავის ბუნებრივ ცნობის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ მშობლებს მიმართა (მასწავლებლისთვის კითხვას ის ვერ ბედავს), ისინი რაიმე ფანტასტიურ, დაუჯერებელ ზღაპრებს მოუყვებიან, რომელნიც ბავშვს, რასაკვირველია, ვერ აკმაყოფილებენ და ცუდ შთაბეჭდილებას კი ახდენს მასზე, განსაკუთრებით, როცა ის ერთ მშვენიერ დღეს ტყობილობს თავის წარმოშობის ნამდვილ ისტორიას. იშვიათია ისეთი ბავშვი, რომელსაც 12 წლამდე არ ქონდეს ეს. შეტყობილი. ამას ერთვის ისიც, რომ სოფლათ და ქალაქებში ბავშვები პატარობიდანვე უყურებენ ეზოში, ქუჩაზე, საბალახოზე, შინაურ ფრინველთა და პირუტყვთა შეერთებას და სხვ.; მათ ესმით, როგორ მოურიდებლათ და დაუფარავათ მსჯელობენ მისი დედმამა, მოსამსახურეები, ან უფროსი ძმები და დები პირუტყვის დამაკებასა და დაბადებაზე. ყველა ეს აეკვებს ბავშვს დედმამის ნათქვამის სიმართლეში მისი წარმოშობის შესახებ. ბოლოს და ბოლოს დგება დღე ცნობადისა, მარა სულ სხვა გზით და საშუალებით, ვინემ ბუნებრივი და გონიერი აღზრდის დროს დადგებოდა. ბავშვს უჩნდება თავის საიდუმლო, რომელიც აშორებს მას მშობლებს, აშორებს დედას. ამნაირათ, მალულობიას თამაშით სულ სხვა შედეგებს აღწევენ, ვინემ თავის უგუნურობით და ჭკუა-მოკლეობით მოელოდენ. ვისაც ახსოვს თავის სიბავშვის და სიყმაწვილის ამხანაგები, მას ეცოდინება, თუ რა შედეგი მოსდევს ხშირათ ამ მალულობიას.

ერთი ამერიკელი ქალი*) მოგვითხრობს თავის თხზულე-

*) Wormanhood. Its Sanctities and Fidelities by Isabella Beecher-Hooker. Boston 1874.

ბაში, რომ მისი 8 წლის შვილი დაჟინებით ეკითხებოდა მას თავის წარმოშობის ამბავს და ისიც დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს, რადგან არ სურდა ბავშვის ზღაპრებით მოტყუება. ბავშვმა სრული ყურადღებით მოისმინა მისი ნაამბობი და რაკი გაიგო, რამდენი ტანჯვა და შრომა მიაყენა მან თავის დედას, მას აქეთ გასაოცარ სიყვარულს და პატივისცემას იჩენდა მისდამი. სიყვარულით და პატივისცემით დაუწყო ყურება სხვა ქალებსაც. ავტორის შეხედულება სწორი და საღი შეხედულებაა: ნამდვილია, რომ მხოლოდ ბუნებრივი აღზრდისაგან შეიძლება კაცის და ქალის ურთიერთობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით მამაკაცებში ქალებისადმი მეტი პატივისცემის და თავდაჭერილობის გაღვიძება. ვინც თავისუფალია ბურჟუაზიულ ცრუ-მორწმუნეობისაგან, მას სხვა დასკვნის გამოყვანა არ შეუძლია.

რომელი მხრიდანაც უნდა შევუდგეთ დღევანდელი პირობების გარჩევას, ბოლოს და ბოლოს ყოველთვის იმ დასკვნამდე მივალთ, რომ **აუცილებლათ საჭიროა ძირითადი გარდაქმნა დღევანდელი სოციალურ პირობების** და ამით ძირითადი შეცვლა სქესთა ურთიერთობის და მდგომარეობის. ამ მიზნის მალე მისაღწევათ ქალმა მოკავშირენი უნდა მოიპოვოს და ის პოულობს კიდეც მათ მუშათა მოძრაობაში. შეგნებულმა პროლეტარიატმა დიდიხანია ალყა შემოარტყა კლასიურ საზოგადოების ციხე-სიმაგრეებს, რომელიც მონობის სხვა ფორმებთან ერთათ იცავს აგრეთვე ერთი სქესის ბატონობას მეორეზე. ციხეს უნდა სანგრები შემოვავლოთ და ყველა სიდიდის ზარბაზნებიდან დავუშინოთ ტყვია. სარდლებს და საჭირო იარაღს ალყის შემომრტყმელნი ყველგან ადვილათ იპოვიან. სოციალური მეცნიერება და ბუნების-მეტყველება, ისტორიული გამოკვლევანი და პედაგოგიკა, ჰიგიენა და სტატისტიკა აუარებელ საბრძოლველ მასალას და იარაღებს აძლევენ ამ მოძრაობას. მათ არ ჩამორჩება არც ფილოსოფია; „განთავისუფლების ფილოსოფიაში“ ისიც ღაღადებს „იდეალურ სახელმწიფოს“ განხორციელებას.

კლასიურ სახელმწიფოს დაპყრობას და გარდაქმნას აადვილებს ის გარემოება, რომ მის დამცველ რაზმებში დიდი განხეთქილება და დაყოფაა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ისინი მიუხედავათ საერთო მტრის წინააღმდეგ შეერთებული ბრძოლისა, მუდამ თავს ესხმიან ერთი მეორეს დავლის წასართმევათ. ამ მხრით კი ერთი ჯგუფის ინტერესები არსებითათ ეწინააღმდეგება მეორისას. ჩვენი სასარგებლოა ისიც, რომ მტრის ბანაკში დღითი-დღე იზრდება უკმაყოფილება, რადგან ბევრი მისი მეომრები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან; ისინი დღემდე თავის უვიცობით და შეუგნებლობით იბრძოდენ ჩვენსა და თავის თავის წინააღმდეგ; მარა დღეს ისინიც თანდათან იგნებენ საქმის ნამდვილ მდგომარეობას და ჩვენ ლაშქარს ემატებიან. ამათ გარდა, ჩვენთანვე მოდიან ყველა პატიოსანი პირები ჩვენ მოწინააღმდეგე მოაზრეთაგან, რომელნიც თავის ცოდნით და შეგნებით, თავის კლასის ინტერესებზე მაღლა დადგენ და იდეალურმა მისწრაფებებმა მოიყვანეს აქ, ჩვენთან, სადაც მასსა იბრძვის კაცობრიობის განთავისუფლებისთვის.

მაგრამ ბევრს აქამდეც ვერ შეუგნია, რომ სახელმწიფო და საზოგადოება გახრწნის ხანას განიცდის და ამიტომ საჭიროა განვმარტოთ.



# ნაწილი მესამე.

# სახელმწიფო და საზოგადოება.

## თავი XVI.

## კლასიური სახელმწიფო და თანამედროვე პროლეტარიატი.

### 1. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

საზოგადოების განვითარება უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში, განსაკუთრებული სისწრაფით მიექანება წინ ყველა კულტურულ სახელმწიფოებში, რაიცა თავის მხრივ აჩქარებს წინმსვლელობას ადამიანის მოქმედების ყველა სფერაში. ამიტომ ჩვენი სოციალური ურთიერთობანი ისეთ დაუდგრომლობას, რყევას, არევ-დარევას და რღვევა-შენებას განიცდიან, რომლის მზგავსი დღემდე არავის მოსწრებია. გაბატონებული კლასები ველარ გრძნობენ ფეხ-ქვეშ მტკიცე ნიადაგს; მათი დაწესებულებები თანდათან კარგავენ სიმტკიცეს, რომელიც დღეს განსაკუთრებით საჭიროა მათთვის, რომ ყოველ მხრიდან მოტანილ იერიშებს გაუძლონ. მოუსვენრობას, დაურწმუნებლობის გრძნობას მოუცავს საზოგადოების ყველა მაღალი და დაბალი წრეები. გაბატონებული კლასები უკანასკნელ ძალღონეს იკრებენ, რომ სოციალური ორგანიზმის აქაიქ შესწორებით და შეკეთებით ბოლო მოუღონ ამ აუტანელ მდგომარეობას, მარა ყველა ცდა ამაოთ იკარგება, რადგან მათი საშუალებები დამაკმაყოფილებელი არ არის. აქედან უფრო ირყევა რწმენა, იზრდება მოუსვენრობა. ვერ ასწრებენ

დასანგრევათ გამზადებულ სახლისათვის ერთი ძელის შეყენებას რომელიმე ახალი კანონის სახით, რომ ათ-თხუთმეტ სხვა ადგილას ამჩნევენ ასეთი ძელების კიდე უფრო მეტ საჭიროებას. ამავე დროს თვითონაც გამუდმებული დავა და უთანხმოება აქვთ ერთმანეთში. რაც ერთ პარტიას აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მასსის რამდენიმეთ მაინც დასაშოშმინებლათ და შესარიგებლათ, იმ მასსის, რომელშიაც თანდათან იზრდება უკმაყოფილება, ის მეორე პარტიის წარმოდგენით, ძლიერ შორს წასვლას ნიშნავს. ის მიუტევებელი სისუსტე და გადამეტებული დათმობაა, რომელიც მხოლოდ ახალ დათმობის მადას გაუღვიძებს და გაუძლიერებს ხალხს. ამას ამტკიცებს დაუსრულებელი კამათი და დავა პარლამენტებში ყოველ ახალ კანონისა და დაწესებულებების გამო, რომლისაგან ბოლოს არც მშვიდობა მყარდება და არც კმაყოფილება. თვითონ გაბატონებულ კლასებ შორისაც არსებობენ წინააღმდეგობანი, რამდენიმეთ შეურიგებელნი, და ეს კიდევ უფრო ამწვავებს სოციალურ ბრძოლას.

მთავრობები, როგორც გერმანიაში ისე სხვაგან, ვერხვის ტოტებივით იხრებიან. მათთვის აუცილებელია ერთ-ერთ საზოგადოებრივ ძალას დაეყრდნონ, რადგან უამისოთ არსებობა არ შეუძლიათ და აი, ისინი ხან ერთის მხარეზე გადადიან და ხან მეორისაზე. თითქმის ევროპის არც ერთ პროგრესიულ სახელმწიფოში არ ყავს მთავრობას ისეთი მტკიცე საპარლამენტო უმრავლესობა, რომელზედაც სრული დანდობა შეეძლოს. სოციალური წინააღმდეგობანი შლიან და არღვევენ ყოველ უმრავლესობას; და კურსის ასეთი განუწყვეტელი ცვალებადობა, განსაკუთრებით გერმანიაში, ყოველსავე რწმენას უკარგავს გაბატონებულ კლასებს თავის თავისადმი. დღეს ერთ პარტიას უჭირავს გრდემლის ადგილი და მეორეს ჩაქუჩის— ხვალ კი პირიქით. ერთი ანგრევს იმას, რასაც მეორე დიდი შრომით და ენერგიით აშენებდა. არევ-დარევა მატულობს, უკმაყოფილება ძლიერდება, ბრძოლა მწვავდება და რამდენიმე თვის განმავლობაში იხარჯება იმდენი ენერგია, რამდენიც წი-

ნეთ მრავალ წელიწადს იკმარებდა. ამასთანავე საზოგადოებას თანდათან მეტი ხარჯი აწვება კისერზე სხვა-და-სხვა ბაჟების და გადასახადების სახით, უზომოთ იზრდება სახელმწიფო ვალი.

თავის ბუნებით და არსებით სახელმწიფო კლასიური ორგანიზაციაა. ჩვენ ვნახეთ, როგორ შეიქნა საჭირო მისი დაარსება ახალ აღორძინებულ კერძო საკუთრების დასაცველათ და აგრეთვე იმისთვის, რომ სახელმწიფო დაწესებულებებისა და კანონების საშუალებით წესრიგი დაემყარებინათ, როგორც კერძო მესაკუთრეთა შორის, ისე მათსა და საკუთრებას მოკლებულთა შორის. კერძო საკუთრების ბუნება ისეთია, რომ როგორი სახეც უნდა მიიღოს მისმა მითვისებამ ისტორიულ განვითარების პროცესში, მსხვილი მფლობელნი მაინც ყველაზე ძლიერნი იქნებიან სახელმწიფოში და ისეთ მიმართულებას მისცემენ მას, როგორც მათ ინტერესებს შეეფერება. ამასთანავე კერძო საკუთრება ისეთი თვისებისაა, რომ მისი მფლობელი ვერასოდეს ვერ დაკმაყოფილდება იმით, რაც აქვს და ყოველი საშუალებით ეცდება თავის ქონების გადიდებას. აქედან წარმოსდგება სურვილი სახელმწიფოს ისე მოწყობის, რომ მისი საშუალებით რაც შეიძლება სრულათ დაიკმაყოფილონ თავის გაუმაძღარი მადა. ამნაირათ, სახელმწიფო დაწესებულებები და კანონები კლასიურ კანონებათ და დაწესებულებებათ ხდებიან, მარა სახელმწიფო მართებლობის და წყობილების არსებობაში დაინტერესებული პირები ვერ დაიცავდენ მას მასსისაგან, რომ ამ უკანასკნელს კარგათ ქონდეს გათვალისწინებული და შეგნებული მათი ნამდვილი ბუნება და ხასიათი. მაშასადამე, გაბატონებულთათვის საჭიროა რათაც უნდა დაუჯდეთ, მასსის შეგნებას წინ გადაეღობონ და მას ხელი შეუშალონ.

მაშასადამე, მასსას რაც შეიძლება ნაკლები ცოდნა უნდა მიეცეს არსებულ პირობების შესახებ. ეს კიდევ ცოტაა. მას უნდა ჩაეგონოს, რომ დღევანდელ მორჩილება-მფლობელობის წყობილება მუდმივია, რომ ის ყოველთვის ასეთი იყო და მომავალშიც ასეთი დარჩება, რომ მისი გაუქმების სურვილი ნიშ-

ნავს ისეთ წყობილების წინააღმდეგ წასვლას, რომელიც ღვთისაგან არის დაწესებული. რაც უფრო უვიცია მასსა, რაც უფრო ძლიერია მასში ცრუ-მორწმუნეობა, მით უკეთესია გაბატონებულთათვის. ამიტომ მათი უვიცობაში დატოვება სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინტერესს შეადგენს, ან უკეთ რომ ვთქვათ, იმ კლასების ინტერესს, რომელთაც არსებულ სახელმწიფოში იპოვეს თავის კლასიური ინტერესების საუკეთესო გამომხატველი და დამცველი ორგანიზაცია. სახელმწიფო და საეკლესიო იერარქიაც უერთდება მესაკუთრეებს საერთო ინტერესების საერთო ძალებით დასაცველათ.

საკუთრების მოპოვების სურვილი და მესაკუთრეთა რიცხვის ზრდა ხელს უწყობს კულტურის აღორძინებას და განვითარებას. პროგრესის ნაყოფით სარგებლობის მსურველ წრეების რიცხვი იზრდება და ბევრნი რამდენიმეთ აღწევენ კიდეც მიზანს. ახალ საფუძველზე ღორძინდება ახალი კლასი, რომელსაც ძველი გაბატონებული კლასები თავის სწორათ არ ცნობენ, შესაფერათ არ აფასებენ და რომელიც ამიტომ ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მათ გაუთანასწორდეს. ბოლოს და ბოლოს მათ შორის ჩაღდება კლასიური ბრძოლა, იწყება რევოლიუცია, რომლის საშუალებით ახალ კლასს სურს გაბატონებულთა შორის ჩაირიცხოს. ბრძოლის პირველ ხანებში მას ფართე მასსის დამცველათ და დაჩაგრულთა, გაყვლეფილთა მფარველათ მოაქვს თავი და ეს უკანასკნელნი ეხმარებიან მას ბრძოლის მოგებაში.

მაგრამ, რაკი გაბატონდება და სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მონაწილეობას მოიპოვებს, ეს ახალი კლასი მაშინვე თავის ძველ მტრებს უერთდება ყოფილ მოკავშირეთა წინააღმდეგ და რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩაღდება ხელ-ახალი კლასიური ბრძოლა. ახალი გაბატონებული კლასი ვერ გაზრდის თავის ძალებს და ვერ გაიფართოვებს სამოქმედო ასპარეზს, თუ თავის კულტურული შენაძენის ერთი ნაწილი მაინც არ მიაწოდა იმ კლასს, რომელსაც ის ჩაგრავს და ყვლეფს; ამით ის აძლიერებს უკანასკნელის შემოქმედებითი ნიჭს და პოლი-

ტიკურ შორს-მჭვრეტელობას. ამრიგათ, გაბატონებული კლასი თავის მოსასპობ იარაღს თვითონვე აძლევს ხელში დაჩაგრულ კლასს. ამიერიდან მასსის ბრძოლა მიმართულია ყოველგვარ კლასიური ბატონობის წინააღმდეგ, რა სახითაც უნდა არსებობდეს იგი.

რადგან ეს უკანასკნელი კლასი პროლეტარიატია, ამიტომ მის მიზანს შეადგენს არა მარტო თავის-თავის განთავისუფლება, არამედ განთავისუფლება ყველა დაჩაგრულების და მაშასადამე ქალებისაც.

კლასიურ სახელმწიფოს ბუნება მოითხოვს, რომ დამოკიდებული კლასები რამდენათაც შეიძლება მოკლებული იყონ ყოველგვარ უფლებებს; ის მოითხოვს აგრეთვე, რომ გადასახადები და ბეგარა კი მათ აწვეთ კისერზე. ამას აადვილებს ის გარემოება, რომ სხვა-და-სხვა ხარჯების და გადასახადების აღება ისე ოსტატურათ არის მოწყობილი, რომ მასსისათვის მისი ნამდვილი სახე და მნიშვნელობა დაფარულია. აშკარაა, რომ მხოლოდ პირდაპირ გადასახადებზე დაყრდნობა საზოგადოებრივ ხარჯების დასაფარავათ, დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა ხალხში, მით უმეტეს, თუ მცირე შემოსავლიანებს მეტს გადაახდევინებდენ. უბრალო მოსაზრება მოითხოვს, რომ გაბატონებულმა კლასებმა ამ მხრივ საზღვარს არ გადააცილონ და პირდაპირი გადასახადების მაგიერ, არა პირდაპირი გადასახადები შემოიღონ უმთავრეს საჭირო საგნებზე. ამ სახით გადასახადი წვრილ-წვრილათ ემატება ყოველ-დღიურ ხარჯებს; იგი საქონლის ფასშია დაფარული და ამიტომ უმრავლესობისთვის შეუმჩნეველია. ამნაირათ, გადამხდელებმა არ იციან, ვერ ხედავენ რამდენს იხდის თვითეული მათგანი. მართლაც, ვის რამდენი გადასახადი და ბაჟი მოუწევს მისგან დახარჯულ პურზე, მარილზე, ხორცზე, შაქარზე, ყავაზე, ლუდზე, ნავთზე და სხვ.,—ეს ძნელი გამოსაანგარიშებელია. ამიტომ ბევრი ვერც კი ამჩნევს, როგორ აცალიერებენ მის ჯიბეს. შემდეგ, ეს გადასახადები იმდენათ მეტია, რამდენათ მეტი მხარჯველია ოჯახში, ე. ი. რამდენათ მეტი წევრი ყავს ოჯახს. ამნაირათ, ეს

ისეთი უსამართლო წესია გადასახადთა განაწილების, რომ მისი უარესის წარმოდგენაც კი ძნელია. ამავე დროს გაბატონებული კლასები ამაყობენ თავის პირდაპირი გადასახადების სიდიდით და ამ საბუთით მოითხოვენ თავისთვის განსაკუთრებულ პოლიტიკურ უფლებებს, რომლებიც ჩაგრულ კლასებისთვის სულ არ ემეტებათ. ამას დაუმატეთ სახელმწიფო დახმარება, რომელიც უზრუნველყოფილი აქვთ ხალხის ხარჯზე გაბატონებულ კლასებს საარსებო საშუალებებზე სადამოუნო ბაჟების დადებით, ერთ-დროულ შემწეობის, ჯილდოების დანიშვნით და სხვა. საერთოთ ეს შეადგენს ყოველ-წლიურათ რამდენიმე ათეულ მილიონს. ამას ერთვის აგრეთვე მომხმარებელთა საშინელი ექსპლოატაცია უსაჭიროეს საგნებზე ფასის აწევით ტრესტებისა, სინდიკატებისა და კარტელებისაგან, რომელთაც სახელმწიფო მფარველობს თავის სამეურნეო პოლიტიკით, ან „უპროტესტოთ“ ითმენს და ზოგჯერ მონაწილეთაც უხდება.

სანამ გაყვლეფილი კლასები შეუგნებელი არიან და ყველა ამ ზომების ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა არ ესმისთ, ისინი საშიშ ძალას არ წარმოადგენენ სახელმწიფოსა და გაბატონებულ კლასებისთვის. მარა, თუ ყველა ამის აზრი და მნიშვნელობა შეგნებული აქვს მასსას, დაჩაგრულ-გაყვლეფილ კლასებს,—ხოლო პოლიტიკური განვითარების ზრდა კი თანდათან აადვილებს ასეთ შეგნებას,—მაშინ მასსა აღშფოთებულია და ზიზღით და მტრობით ივსება ასეთ აშკარა უსამართლო ზომების წინააღმდეგ. ირღვევა, ქრება უკანასკნელი ნაპერწკალი გაბატონებულ კლასთა სამართლიანობისადმი რწმენის; შემეცნებულია როგორც ბუნება ასეთ ზომების შემომღებელ სახელმწიფოსი, ისე ბუნება მისი დამცველი საზოგადოებისა; შედეგი—ბრძოლაა ორივეს მოსასპობათ.

სხვა-და-სხვა ერთი მეორის მოწინააღმდეგე ინტერესთა დასაკმაყოფილებლათ, სახელმწიფო და საზოგადოება ერთიმეორეზე აკოწიწებს ორგანიზაციებს, მარა ვერც ერთ მათგანს ვერ აწყობს რიგიანათ და ვერ ანხორციელებს ცხოვრებაში.

ისინი ნახევარ-ზომებს ვერ სცილდებიან, ასეთი ზომები კი ვერავის აკმაყოფილებს. ცხოვრებისაგან წამოყენებული კულტურული მოთხოვნილებები დაკმაყოფილებას და ყურადღებას თხოულობენ, მარა მათი ცოტაოდნათ დაკმაყოფილებაც კი დიდ ხარჯს მოითხოვს, მით უფრო, რომ მას გარს მრავალი პარაზიტები ახვევია. ამავე დროს ის დაწესებულებები, რომელნიც არსებითათ ეწინააღმდეგებიან კულტურულ მიზნებს, არა თუ განაგრძობენ არსებობას, ფართოვდებიან კიდეც. ასეთია წინააღმდეგობა არსებულ სოციალურ წყობილების. და რამდენათაც ვითარდება შეგნება ამ დაწესებულებათა უვარგისობის, რამდენათაც ხმამაღლა აცხადებენ მათ **ხორცმეტათ**, იმდენათ უფრო ძლიერ ჩაგვრასა და შევიწროვებას აყენებენ ისინი ხალხს. პოლიცია, ჯარი, სასამართლოები, ციხეები, ადმინისტრატიული მექანიზმი,—ყველა ეს ფართოვდება და თანდათან მეტ ხარჯს ითხოვს საზოგადოებისაგან, მარა შინაურ და გარეშე მშვიდობიანობის დაცვას კი ვერ ახერხებს; **პირიქით** არღვევს მათ.

სრულიად არა-ბუნებრივი მდგომარეობაა დამყარებული ერთა ურთიერთობაში. და ეს ურთიერთობა თანდათან რთულდება იმის მიხედვით, თუ რამდენათ ვითარდება საქონლის წარმოება, უმჯობესდება მიმოსვლის საშუალებანი, ადვილდება გაცვლა და უკანასკნელ, სამეურნეო და მეცნიერული გამოგონებანი ვრცელდება ერებ შორის. სდებენ სავაჭრო და საბაჟო ხელშეკრულებებს, საერთაშორისო საშუალებით გაყავთ ძვირათ ღირებული გზები მიმოსვლის გასაადვილებლათ (სუეცის არხი, სანგოტარდის გვირაბი და სხვ.). ზოგიერთი სახელმწიფოები დიდძალ დახმარებას აძლევენ იმ გემებს, რომელნიც დედამიწის სხვა-და-სხვა ნაწილებ შორის მიმოგზაურობენ. არსებობს მსოფლიო საფოსტო კავშირი, რაც ერთი უმთავრესი ნიშანია კულტურული პროგრესისა, იკრიბება საერთაშორისო კონგრესები სხვა-და-სხვა პრაქტიკულ და მეცნიერულ კითხვების გამოსარკვევათ,—საუკეთესო ლიტერატურული და მეცნიერული ნაწარმოებნი ყველა კულტურულ ერებს ეფინება თარ-

გმანების საშუალებით და ყოველივე ეს იქით არის მიმართული, რომ შექმნას **ინტერნაციონალიზმი და ძმობა** ხალხთა შორის. მარა, მეორე მხრით ვხედავთ ამ განვითარების სრულ წინააღმდეგ მოვლენასაც, ასეთია ევროპის და მთელი კულტურული კაცობრიობის პოლიტიკური მდგომარეობა და საომარი მზადება.

ორივე მხრით ხელოვნურათ ასაზრდოვებენ ეროვნულ მძულვარებას და შოვინიზმს; გაბატონებული კლასები ცდილობენ ჩააგონონ ხალხს, რომ ერები ერთი მეორის წინააღმდეგ არიან ამხედრებული, როგორც მოსისხლე მტრები და მხოლოდ მოხერხებულ დროს უცდიან, რომ თავს დაესხან და აღგავონ იგი პირისაგან მიწისა. თუ სახელმწიფოს შიგნი ერთი კაპიტალისტი ებრძვის მეორეს, სამაგიეროთ, საერთაშორისო ასპარეზზე ერთი ქვეყნის კაპიტალისტთა მთელი კლასი გამოდის მეორე ქვეყნის კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ. სარგებლობენ-რა მასსის პოლიტიკური სიბრმავით, კაპიტალისტები ექიშპებიან ერთმანეთს ისეთ შეიარაღების შემოღებაში, რომლის მზგავსი დდემდე არ უნახავს ქვეყნიერება. ამ ქიშპობამ წარმოშვა ვეებერთელა ჯარები, მან შექმნა მასსიური ჟლეტის და ნგრევის საუკეთესო იარაღები ხმელეთის და ზღვის ჯარებისათვის, რამდენათაც კი მოსახერხებელია ეს მე-20 საუკუნის ტეხნიკურ პირობებში. ამ ქიშპობამ წარმოშვა ისეთი ძვირფასი სანგრევი იარაღების გამოგონება, რომელნიც ბოლოს თვით მის შემძენთაც ასუსტებენ და აუძლურებენ. ჯარის და ფლოტის შესანახი ხარჯები წლითი-წლობით იზრდება და ბოლოს უძლიერესი ერიც სიღატაკის კარამდე მიყავს. 1908 წ. მარტო გერმანიამ დახარჯა არმიასა და ფლოტზე (ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი), ჯარში ნამსახურ პენსიონერებზე და იმ საიმპერიო ვალების პროცენტებში, რომელნიც სამხედრო მიზნითაა აღებული, სულ 1500 მილიონ მარკაზე მეტი და ეს ხარჯები მუდამ დღე მატულობს.

ნეუმარკის ანგარიშით, ევროპის სახელმწიფოებს დაუხარჯავსთ:

| | მილიონი ფრანკი. | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1866 წ. | 1870 წ. | 1887 წ. | 1906 წ. |
| ხმელ. და ზღ. ჯარზე— | 3000 | 3500 | 4500 | 6725 |
| სახელმწ. ვალის დასაფ.— | 66000 | 75000 | 117000 | 148000 |
| პროკენტების გადასახ.— | 2400 | 3000 | 5300 | 6000 |

ამნაირათ, ევროპა ყოველ წელიწადს იხდის 6725 მილ. ფრანკს (5448 მილ. მარკას—2724 მილ. მანეთს) ჯარის შესანახავათ და 6000 მილ. ფრანკს (4860 მილ. მარკას—2430 მილ. მანეთს) ვალების დასაფარავათ; ვალები კი სამხედრო მიზნით იყო გამოწვეული. ერთი სიტყვით, საუცხოო მდგომარეობაა!

ევროპის გზას ადგიან ამერიკა და აზია. შეერთებულ შტატებს დაუხარჯავსთ 1875 წ. 386,8 და 1907—08 წ. 1436,9 მილ. მარკა. იაპონიაში ჩვეულებრივი ხარჯი ხმელეთის და ზღვის ჯარის შესანახავათ (პენსიაც რომ ვიანგარიშოთ), 1875 წელს 20,5 მილ. მარკას უდრიდა და 1908—09 წლ. 220,4 მილ. მარკას.

ასეთი ხარჯების შემდეგ, გასაკვირალი არაა, რომ კულტურულ განმანათლებელი მიზნები სრულიად უყურადღებოთაა მიტოვებული და აუცილებელი კულტურული საქმეები გაუკეთებელია. თითქმის მთელი შემოსავალი ამ გარეშე დაცვას უნდება და სახელმწიფოს ნამდვილი მიზანი აღარავის ახსენდება. ყველაზე საღი და ღონიერი ნაწილი მცხოვრებლებისა აურაცხელი ჯარების შევსებას უნდება; მათ განვითარებასა და გაწვრთნაზე იმდენ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას ხარჯავენ, თითქოს ჩვენი დროის უმაღლეს დანიშნულებას მასსიური ელეტისთვის მზადება შეადგენდეს. ამასთანავე, საჟლეტ იარაღებს განუწყვეტლივ აუმჯობესებენ, ისეთი სწრაფლ-მსროლელი, შორს-მსროლელი და ძლიერი იარაღები შემოაქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს ისინი საშიშია მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ერთ მშვენიერ დღეს რომ ეს უზარმაზარი მექანიზმი მოძრაობაში მოვიდეს, ამოქმედდეს (ევროპის სახელმწიფოებს

შეუძლიათ 16—20 მილიონი ჯარის-კაცის გამოყვანა) აღმოჩნდება, რომ ამოდენა ჯარის არც ხელმძღვანელობა შეიძლება და არც მიმართულების მიცემა. სადაა ისეთი ღენერალი, რომ ამათი გაძღოლა შეიძლოს, სადაა იმოდენა ბრძოლის მოედანი, რომ ეს აურაცხელი ჯართა-წყობა დაიტიოს? ვის მოეპოვება ისეთი ადმინისტრატიული მექანიზმი, რომ ამდენ ჯარს რამდენიმე ხნის განმავლობაში სურსათი აძლიოს? ასეთი ომი რომ მოხდეს, ვერავითარი საავათმყოფოები ვერ დაიტევს ყველა დაჭრილებს და ვერც მოკლულთა დასაფლავებას მოასწრებენ.

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ასეთი ომი წარმოუდგენელ არევ-დარევას გამოიწვევს და გაანადგურებს მთელ ევროპას, და გაზვიადებას არავინ დაგვწამებს, თუ ვიტყვით, რომ **პირველი ასეთი დიდი ომი—უკანასკნელი ომი იქნება.** გაკოტრებულთა რიცხვს ანგარიში არ ექნება. საქონლის გატანა შეწყდება და ათი-ათასობით ფაბრიკები დაიკეტება. საარსებო საშუალებები ველარ შემოვა და ამით სანოვაგე საშინლათ გაძვირდება. ისეთ ოჯახთა რიცხვი, რომელთა მრჩენელი ომში იქნება წასული და რომელთაც მაშასადამე დახმარება სჭირია, მილიონებს გადააჭარბებს. ვის შეუძლია იშოვოს ყველა ამის სახსარი? მარტო გერმანიას ომის დროს ჯარის და ფლოტის შენახვა დაუჯდება დღეში 45—50 მილიონი მარკა.

ევროპის სამხედრო პოლიტიკურმა მზადებამ თუ ამ გზით იარა, ექვი არ უნდა, ახლო მომავალში დიდ კატასტროფას უნდა მოველოდეთ, რომელიც ჯურღმულში გადასტყორცნის ბურჟუაზიულ საზოგადოებას. ამ საზოგადოებამ ისეთი პიროებები წარმოშვა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე, რომელნიც ერთიანათ ძირს უთხრიან მის არსებობას. ის თავის ხელით იმზადებს თავის აღსასრულს იმ საშუალებებით, რომელსაც თვითონვე ქმნის, როგორც ურევოლიუციონერესი ყველა დღემდე არსებულ საზოგადოებათა შორის.

უკიდურეს მდგომარეობაშია ჩაყენებული ჩვენი თემების*)

*) სოფლის საზოგადოება გერმანიაში, წვრილი თვითმართველობა რამდენიმე სოფლის. მთარგმნელი.

უმრავლესობა, რომლებიც დიდი გასაჭირით შოულობენ სახსარს წლითი წლობით ახალ-ახალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ჩვენ სწრაფათ მოზარდ დიდ ქალაქებს და სამრეწველო ცენტრებს, რომელთაც აუარებელ მოთხოვნილებებს უყენებს მცხოვრებთა განსაცვიფრებელი გამრავლება, და ხალხისაგან გაცლილ, ყოველ საშუალებას მოკლებულ თემებს მხოლოდ დიდი გადასახადების და ვალების შემწეობით შეუძლიათ ყველა აუცილებელ საზოგადო საჭიროებათა დაკმაყოფილება, შკოლებისთვის შენობის აგება, გზების გაყვანა, განათება, კანალიზაცია (არხების გაყვანა), წყლის მიწოდება, განათლების ორგანიზაცია, ქველმოქმედება, სანიტარული ზომები, პოლიცია, თვითმართველობა,—ყველა ეს აუარებელ ხარჯებს ითხოვენ და ეს ხარჯები წლითი-წლობით მატულობს. ამასთანავე, შეძლებული უმცირესობა თავის მხრივ მაღალ მოთხოვნილებებს უყენებს თემებს, რომელთაც დიდი ხარჯები სჭირია. ისინი მოითხოვენ საშუალო სასწავლებლების, თეატრის, მუზეუმის აგებას, არისტოკრატიულ უბნის მოწყობას: ბაღების გაშენებას, შესაფერ განათებას, ქუჩების მოკირწყლვას და სხვ. მცხოვრებთა უმრავლესობა ხშირათ უკმაყოფილებას აცხადებს ასეთ პრივილეგიების წინააღმდეგ, მარა ძალთა განწყობილებას მაინც თავისი გააქვს. უმცირესობის ხელშია ძალა-უფლება და იგი სარგებლობს კიდეც ამით, რომ საზოგადო ხარჯზე დაიკმაყოფილოს თავის კულტურული მოთხოვნილებები. თავისთავათ ამ მაღალ კულტურულ მოთხოვნილებების წინააღმდეგ არაფერი ითქმის, რადგან იგი პროგრესის, განვითარების ნიშანია, მარა უბედურება ის არის, რომ მათი დაკმაყოფილება **უმთავრესათ** მარტო შეძლებულ კლასებისთვის არის სასარგებლო, ხარჯებში კი ყველანი იღებენ მონაწილეობას; ამიტომ სამართალი მოითხოვს, რომ ყველა სარგებლობდეს მითი. მეორე ბოროტება კიდევ ისაა, რომ მათი მართვა-გამგეობა—საუკეთესო მართვა-გამგეობათ ვერ ჩაითვლება და ძალიან ძვირი კი ჯდება. არა იშვიათათ მოსამსახურეებს არც ნიჭი შესწევთ და არც ცოდნა ნაკისრ მრავალმხრივ მოღვაწეობისთვის,

რომელიც ხშირათ სპეციალურ სწავლას მოითხოვს. სათემო რჩევის წევრებს უმეტეს შემთხვევაში, ძლიერ ბევრი შრომა სჭირდებათ თავის-თავის სარჩენათ და არ შეუძლიათ საკმაო დრო გადასდონ საზოგადო მოვალეობის რიგიანათ ასასრულებლათ. ხშირათ კი პირდაპირ ემსახურებიან კერძო ინტერესებს საზოგადო ინტერესების საზიანოთ. შედეგები ხარკის გადამხდელთ აწვება კისერზე; მარა ყველა ამის ძირითად ცვლილებებზე დღეს ფიქრიც არ შეუძლია საზოგადოებას. ასეთია დღევანდელი პირობები. მარა, რა სახითაც უნდა კრიბონ გადასახადები, ბოლოს და ბოლოს უკმაყოფილება მაინც იბადება და ვითარდება: თუ დღევანდელი მართვა-გამგეობა და შემოსავლის აკრეფა უცვლელათ დარჩა, თემთა უმრავლესობას რამდენიმე ათეულ წლების შემდეგ, სულ აღარ შეეძლება თავის უსაჭიროეს მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. და ამნაირათ, სათემო ცხოვრებაში ისე, როგორც სახელმწიფოში, აუცილებელი გახდება ძირითადი ცვლილებების შეტანა, რადგან მას ბევრი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება აქვს დაკისრებული. იგი წარმოადგენს ცენტრს, გულს, საიდანაც უნდა დაიწყოს მთელი საზოგადოების გარდაქმნა, რამდენათაც ამის სურვილი და ძალა მოიპოვება. ან კი როგორ შეიძლება სათემო საქმეები კარგათ მიდიოდენ იქ, სადაც დღეს ყველაფერზე კერძო ინტერესებია გაბატონებული და საზოგადო ინტერესს უკანასკნელ რიგში აყენებენ?

ასეთია მოკლეთ ჩვენი სათემო ცხოვრების მდგომარეობა და ის მხოლოდ ანარეკლია, გამოსახულებაა ჩვენი საზოგადოების სოციალურ მდგომარეობისა.

## 2. კლასთა წინააღმდეგობის გამწვავება.

დღევანდელ ცხოვრების პირობებში არსებობისთვის ბრძოლა თანდათან ძლიერდება. ბრძოლა ყველასი—ყველას წინააღმდეგ, უმაღლეს წერტილზეა ასული და შეუბრალებლათ წარმოებს ყოველგვარ საშუალებით, ავის და კარგის განურჩევ-

ლათ. თქმულება: „Ôte toi de là, que je m'ymette“ (ჩამოდექი—მე უნდა დავიჭირო შენი ალაგი), დღეს პრაქტიკულათ ხორციელდება მუჯლუგუნებისა და მუშტის საშუალებით. სუსტმა უნდა დაუთმოს ძლიერს. სადაც ნივთიერი ძალა, ფულების და საკუთრების ძლიერება არ შესწევთ, იქ ათასგვარ საზიზღარ საშუალებას ხმარობენ მიზნის მისაღწევათ. სიცრუე, მოტყუილება, სიყალბე, ცრუ ფიცი, ყალბი თამასუქები და სხვ. ათასგვარ სისაძაგლეს მიმართავენ ხოლმე თავიან სურვილების განსახორციელებლათ. ამ ბრძოლაში პირისპირ უდგანან ადამიანი—ადამიანს, კლასი—კლასს, სქესი—სქესს, ასაკი—ასაკს. პირადი სარგებლობა ერთათ-ერთი რეგულიატორია (ხელმძღვანელი, მომწესრიგებელი) ადამიანთა ურთიერთობის, სხვა მოსაზრება კი განდევნილია. ათასობით და ათი-ათასობით ყრიან ქუჩაში მუშა ქალებს და მამაკაცებს, როცა ამას მოითხოვს მექარხნის სარგებლობა, და ეს უკანასკნელნი იძულებული არიან საზოგადოებრივ ქველმოქმედებას მიმართონ, ან ქუჩის მოწანწალეთა რიცხვს შეუერთდენ. მუშები, ასე ვთქვათ, ჯოგ-ჯოგათ დაიარებიან ერთი ადგილიდან მეორემდე საქმის საშოვნელათ, მოვლილი აქვთ კიდით კიდემდე ყველა ქვეყნები; მათ სახეზე და სულიერ განწყობილებაზე უმუშევრობის, შიმშილობის და ტანჯვის შედეგებია აღბეჭდილი, რის გამო მათ მეტი ზიზღით და თან ძრწოლით უყურებს დღეევანდელი კმაყოფილი საზოგადოება. ამ „პატივცემულ“ საზოგედოებას ვერც კი წარმოუდგენია, რას ნიშნავს მთელი თვეობით ცარიელი მუცლით ხეტიალი ერთი ადგილიდან მეორემდე. ის მოითხოვს წესიერებას, სისუფთავეს და ამისთვის უმრავლესობას აიძულებს ელემენტარულ მოთხოვნილებათა უარისყოფას. ამავე დროს ახლანდელი უკულმართი წეს-წყობილების ბურჯები, ზიზღით უყურებენ ამ უმრავლესობას და ვერც კი მალავენ ამ ზიზღს. გაჭირვებულთა ოჯახობა კალმით აუწერელ მდგომარეობაშია და მარტო საზოგადოებრივი დახმარების იმედით უდგია სული. ხშირათ იმედ-გადაწყვეტილნი საშინელ ბოროტებას ჩადიან თავის-თავისა და შვილების წინაშე: კლავენ მათ და თავსაც

იკლავენ. ასეთ საშინელ შემთხვევათა რიცხვი საოცრათ იზრდება კრიზისების დროს. გაზეთის ერთსა და იმავე ნომერში ერთ ადგილას მოყვანილია შემაძრწუნებელი ფაქტები უკიდურეს გაჭირვებისა და უილაჯობისა, მეორე ადგილას კი წაიკითხავთ ანგარიშებს დიდებულ დღესასწაულებისა და ბრწყინვალე ოფიციალურ ცერემონიების შესახებ. იქ უდარდელათ დღესასწაულობენ, ლხინობენ, თითქოს ყველგან მხიარულება და კმაყოფილება იყოს გამეფებული.

საყოველთაო გაჭირვება და არსებობისთვის ბრძოლის თანდათანი გაძნელება, აუარებელ ქალებს და ქალიშვილებს აყენებს პროსტიტუციის და გარყვნილების გზაზე. დემორალიზაცია (გახრწნა, დარღვევა), სიმხეცე და ბოროტ-მოქმედება ხშირდება, სამაგიეროთ ფასი ედება ციხეებს, კატორღებს და ეგრეთ წოდებულ გამასწორებელ სახლებს, რომელნიც ძლივს იტევენ ყველა იქითკენ გამგზავრებულთ.

ბოროტ-მოქმედება პირდაპირ და მჭიდროთ დამოკიდებულია სოციალურ მდგომარეობისაგან, მარა საზოგადოებას გაგონებაც კი არ სურს ამისი; ის სირაქლემასავით თავს ფრთის ქვეშ იმალავს, რომ არ დაინახოს მისი გამამტყუნებელი მდგომარეობა; ის თავს იტყუილებს და სხვებსაც ატყუებს: ამბობს, რომ ყველა ამაში მუშების „სიზარმაცე“, მრავალგვარ სიამოვნების თავშეუკავებელი სურვილი და სარწმუნოების შესუსტებაა დამნაშავეო. ეს ან უხეირო მოტყუებაა თავის-თავის, ან საძაგელი ფარისევლობა. ვინ არ იცის, რომ რამდენათ უფრო ცუდ პირობებში იმყოფება უმრავლესობა, იმდენათ ხშირია ბოროტ-მოქმედება; ბრძოლა არსებობისათვის მხეცურ ძალადობის ხასიათს იღებს და ეს ბადებს ისეთ სულიერ განწყობილებას, როცა თვითეული მოსისხლე მტერს ხედავს მოპირდაპირეში. საზოგადოებრივი კავშირი სუსტდება, ირღვევა და ადამიანები ისე უცქერიან ერთმანეთს, როგორც მტრები*).

*) ოკვე პლატონი ამტკიცებდა, თუ რა შედეგი უნდა მოყოლოდა ასეთ მდგომარეობას: „რაკი სახელმწიფოში კლასები არსებობენ, იგი მთლიანათ არ ჩაითვლება: მასში ერთის მაგიერ ორი სახელმწიფოა, ერთს შეადგენენ ღარიბები, მეო-

გაბატონებული კლასები, რომელნიც ვერ ამჩნევენ, ან არ სურთ შეამჩნიონ ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზები, თავისებური ზომებით ცდილობენ ბოროტებასთან გამკლავებას. როცა ხედავენ, რომ იზრდება სიღარიბე, გაჭირვება და მისი შედეგები—დემორალიზაცია და ბოროტმოქმედება, ისინი არც კი ცდილობენ ამ ბოროტების პირველ წყაროს ძირითად მიზეზის მოძებნას, რომ მისი მოსპობით განკურნონ საზოგადოება შედეგებისაგან; პირიქით ამათ ხელს აფარებენ და სამაგიეროთ თვით შედეგებს სდევნიან. და რამდენათაც ვითარდება ბოროტება და მატულობს ბოროტმოქმედებათა რიცხვი, იმდენათ უფრო სასტიკ დევნასა და მკაცრი სასჯელის შემოღებას მოითხოვენ. მათ გონიათ, რომ შეიძლება ეშმაკის განდევნა ბელზებელის შემწეობით. თვით პროფესორ ჰეკელსაც კი საუკეთესო საშუალებათ მიაჩნია, რაც შეიძლება მძიმე სასჯელის დადება და განსაკუთრებით სიკვდილით დასჯის გახშირება. ის ამ შემთხვევაში თავიდან ბოლომდე ეთანხმება მათ, ვისაც ისტორიის უკან დაბრუნება უნდათ, თუმცა სხვა კითხვებში ისინი მოსისხლე მტრები არიან ჰეკელის.

ჰეკელი ფიქრობს, რომ გაუსწორებელი ბოროტმოქმედნი და უსაქმურნი უნდა ამოფხვრილ იქნენ, როგორც მყრალი ბალახი, რომელიც ართმევს სასარგებლო მცენარეებს მზის სინათლეს, ჰაერს, სინოყიერეს. ჰეკელს რომ სოციალური მეცნიერებისთვისაც მოეკიდა ხელი და მარტო ბუნებისმეტყველებით არ დაკმაყოფილებულიყო, მას ეცოდინებოდა, რომ ეს ბოროტმოქმედნი, ეს დამნაშავენი ადვილათ შეიძლება საზოგადოების სასარგებლო და საჭირო წევრათ გადაქცეულიყვენ, თუ საზოგადოებას შესაფერი ცხოვრების პირობები მიეცა მათთვის. მას ეცოდინებოდა, რომ ბოროტმოქმედის მოსპობა, ან

---

რეს მდიდრები და ორივენი ერთათ ცხოვრობენ და ერთმანეთს უთვალთვალებენ. გაბატონებულ კლასს ბოლოს და ბოლოს აღარ შეუძლია ომის წარმოება, რადგან ამისთვის მას სპირდება მასსის დახმარება, რომლის შეიარაღება მას უფრო საშიშოთ მიაჩნია, ვინემ მტრის". „სახელმწიფო" პლატონის. არისტოტელი ამბობს: „მასსიური გაღატაკება—უბედურებაა, რადგან შეუძლებელია ასეთ ხალხისაგან არეულობის მოხდენას ხელი შეუშალო". „პოლიტიკა" არისტოტელისა.

განცალკევება სრულიადაც არ შეუშლის ხელს ახალ ბოროტ-მოქმედების აღმოცენებას ისე, როგორც ღვარძლის ამოჭრა ვერ იხსნის ყანას ხელახლა გატევრებისაგან, თუ ამ მყრალი ბალახის ძირი და თესლი არ იქნა მოსპობილი. ბუნებაში მავნე ორგანიზმის სავსებით, აბსოლიუტურათ გაქრობა ადამიანს არ შეუძლია და ვერც როდისმე შესძლებს, **მარა გაუმჯობესება საკუთარი, მის მიერვე შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა იმდენათ მაინც, რომ არსებობის პირობები ერთნაირათ გამოსადეგი იყოს ყველასათვის, რომ თვითეულს სრული თავისუფლება მიეცეს განვითარების და იძულებული არ იყოს სხვისი დაჩაგვრით და შევიწროვებით დაიკმაყოფილოს შიმშილი, საკუთრების სურვილი, თავმოყვარეობა და სხვ.—ეს კი შესაძლებელია.** ბოროტმოქმედებათა **მიზეზების** მოძებნით და მათი გაუქმებით მოისპობა თვით ბოროტმოქმედებაც*).

ვისაც ბოროტმოქმედების მიზეზების აღმოფხვრით სურს მისი მოსპობა, ის, თავის-თავათ ცხადია, თანაგრძნობით ვერ მოეკიდება ძალდატანებითი დასჯის საშუალებებს. რასაკვირველია, მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს საზოგადოებას, რაც ის თავისებურ ზომებს იღებს ბოროტმოქმედთაგან თავის დასაცველათ, მარა სამაგიეროთ შეუძლია, ენერგიულათ მოითხოვოს საზოგადოების არსებითათ გარდაქმნა, ე. ი. ბოროტ-მოქმედებათა მიზეზების ძირიან-ფესვიანათ ამოგდება.

რომ ბოროტმოქმედებანი და დანაშაულობანი შედეგია საზოგადოების სოციალურ მდგომარეობის,—ეს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ სოციოლოგებს და სტატისტიკოსებს. წარმოების დაცემის ხანაში, ყველაზე უფრო გავრცელებულია ერთი დანაშაული—მათხოვრობა, რომელსაც საზოგადოება სდევნის მიუხედავათ იმისა, რომ ქრისტიანული მოძღვრება შეწყალე-

*) ასეთი აზრი აქვს გამოთქმული პლატონსაც თავის „სახელმწიფო"-ში: „ბოროტმოქმედების მიზეზებია გაუნათლებლობა, ცუდი აღზრდა და ცუდი სახელმწიფო წყობილება". ამნაირათ, პლატონს უკეთ პქონდა შეგნებული საზოგადოების არსება, ვინემ ბევრ მის მიმდევარ მეცნიერებს, რომელნიც 2ª საუკუნით მაზე გვიან ცხოვრობენ. ვერაფერი სანუგეშო პროგრესია!

ბას და შემწეობის მიცემას ქადაგებს. და აი, საქსონიის საკროლოს სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ რამდენათ უფრო მწვავდებოდა კრიზისი გერმანიაში, რომელმაც 1890 წლიდან 1895 წლამდე გასტანა, იმდენათ მეტი იყო სასამართლოსაგან მათხოვრობისათვის დასჯილთა რიცხვი. 1890 წელს ამ დანაშაულობისათვის დასაჯეს 8815 სული, 1891 წ. 10,075, 1892 წელს კი—13,120. ასეა ავსტრიაშიაც: 1891 წელს აქ მათხოვრობისა და მოხეტიალეობისთვის დაისაჯა 90,926 პირი, 1892 წ.—98,998*). ეს ძლიერი ზრდაა.

მასსიური სიღატაკე ერთ მხარეზე, აუარებელი სიმდიდრის დაგროვება მეორეზე,—ასეთია ჩვენი დროის დამახასიათებელი თვისება. ფაქტია, რომ შეერთებულ შტატებში 5 პირს: ი. დ. როკფელლერს, ე. ხ. ჰარიმანს, დ. პირპონტ მორგანს, ვ. ნ. ვანდერბილდს და გ. დ. გულდს, 1900 წელს ქონდათ ხუთივეს ერთათ 3200 მილიონი მარკის ქონება, ისინი ნამდვილი ბატონებია შეერთებული შტატების ეკონომიურ ცხოვრების და, როგორც გვიჩვენებს მორგანისაგან 1901 წელს დაარსებული გემის პატრონთა ტრესტი,—ეს გავლენა ვრცელდება ევროპაზედაც; აქედან შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ საით მიდის ჩვენი ცხოვრების განვითარება. კაპიტალისტთა მსხვილი კავშირები ყველა კულტურულ ქვეყნებში, ჩვენი დროის უშესანიშნავეს მოვლენათ უნდა ჩაითვალოს; მათი სოციალ-პოლიტიკური გავლენა თანდათან ძლიერდება და გადამჭრელ მნიშვნელობას იძენს.

---

*) H. Herh. Verbrechen und Verbrechertum in Österreich, Tübingen, 1908 წ.—დანაშაული იმით აიხსნებაო, ამბობს ავტორი, რომ აქ ისევ ძველი ეკონომიური სისტემაა გამეფებული. წარმოების და ხმარების ორგანიზაცია, ნაწარმოების დანაწილება—ყოველივე ისეა მოწყობილი, რომ დანაშაულს ფართო ნიადაგი აქვს.

# თავი XVII.

## კონცენტრაცია კაპიტალისტურ წარმოებაში.

### 1. სოფლის მეურნეობის შევიწროება და მრეწველობის გაფართოვება.

კაპიტალისტური სამეურნეო სისტემა ბატონობს, როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ ორგანიზაციაში; მისი გავლენა ვრცელდება აგრეთვე საზოგადოების აზროვნებასა და გრძნობებზე. კაპიტალიზმი ხელმძღვანელი ძალაა. კაპიტალისტი ბატონი და ბრძანებელია პროლეტარების, რომელთა სამუშაო ძალას ის ყიდულობს წარმოებაში მოსახმარათ, როგორც საქონელს; ყიდულობს განსაზღვრულ ფასათ, რომლის მეტ-ნაკლებობა ისე, როგორც ყოველი საქონლის ფასის, დამოკიდებულია მიწოდება-მოთხოვნილების მეტ-ნაკლებობაზე და საწარმოო ხარჯებზე,—მის გარშემო ტრიალებს: ხან აღემატება და ხან დაბლა დგას მაზე. მარა კაპიტალისტი მოწყალებისათვის არ ყიდულობს მუშა ძალას, არც იმისთვის, რომ ვალი დასდოს მუშას, თუმცა ყოველთვის იჩემებს—ვალი დავსდეო; იგი ყიდულობს მუშა ძალას იმისთვის, რომ იქიდან ზედმეტი ღირებულება გამოსწოვოს რომელსაც ის იჯიბავს საწარმოო მოგების, პროცენტის, საიჯარო ფასის, ან მიწის რენტის სახით. ნაწილი ამ ზედმეტი ღირებულებისა, რომელსაც მწარმოებელი არ ხარჯავს პირად საჭიროებებზე, ისევ წარმოებაში ბანდდება, კაპიტალათ იქცევა და ამნაირათ, შეძლებას აძლევს მას თავის წარმოება გააფართოვოს, საწარმოო პროცესი გაუმჯობესოს და ახალი სამუშაო ძალა ჩააბას საქმეში. ეს თავის მხრივ შეძლებას აძლევს მას, მეხივით დაატყდეს თავზე თავის სუსტ კონკურენტებს და როგორც ჯავშან-იარაღში ჩამჯდარი რაინდი დაერევა უიარაღო ქვეითა მგზავრთ, ისე დაერიოს და დაიფრინოს ისინი.

ასეთი უსწორო ბრძოლა ვრცელდება წარმოების ყველა სფერებში და ქალი, როგორც უიაფესი მუშა ძალა ბავშვებისა და მოზარდების შემდეგ, თანდათან დიდ ადგილს იჭერს მასში. ასეთ მდგომარეობას ის შედეგი მოაქვს, რომ საზოგადოება გარკვევით იყოფა ორ სრულიად განცალკევებულ ბანაკად: ერთი მხრით დგას შედარებით მცირედი ჯგუფი ძლიერი კაპიტალისტების, მეორე მხრით აუარებელი, კაპიტალს მოკლებული მასსა, რომელიც იძულებულია ყოველ-დღიურად მუშა-ძალის გაყიდვით ირჩინოს თავი. საშუალო წოდება სულ უფრო და უფრო კრიტიკულ, საიგებიო მდგომარეობაში ვარდება. იმ სამუშაოებს, რომელიც წინეთ წვრილ წარმოების სამფლობელო იყო, ერთი-მეორეზე ეპატრონება მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობა, რადგან სასტიკი კონკურენცია აიძულებს კაპიტალისტებს ახალ-ახალი დარგები გამოძებნონ თავის საექსპლოატაციოთ. კაპიტალი დაძრწის, „ვითარცა მხეცი ტყეველათ და ეძებს, ვინ ჩაყლაპოს“. წვრილები და სუსტები შეუბრალებლათ ისპობიან და თუ სხვა რომელიმე დაუპყრობელ დარგს ვერ შეაფარეს თავი, რაც თანდათან ძნელდება, მაშინ საჭირაო მუშათა არმიაში უნდა ჩაეწერონ. ყოველივე ცდა ხელოსნების და საშუალო წოდების დაცემისაგან დახსნისა უნაყოფოა. ხელოვნურ ზომებს შეუძლია მხოლოდ რამდენიმე ხნით თვალი აუბას ამა თუ იმ პირს და ნამდვილი მდგომარეობის შეგნება გაუძნელოს, მარა ბოლოს ილიუზიები მაინც გაიფანტებიან სინამდვილის ულმობელ ფაქტების წინაშე. მსხვილებისაგან წვრილების ჩაყლაპვის პროცესი ძლიერი და შეუბრალებელია, როგორც ბუნების კანონი; თვითეულს შეუძლია თავის თვალით დაინახოს და იგრძნოს ეს.

როგორ შეიცვალა გერმანიის სოციალური აგებულება უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში: 1882 წლიდან 1895 წლამდე და 1895 წლიდან 1907 წლამდე,—ამაზე შეგვიძლია სწორი წარმოდგენა შევადგინოთ, თუ შესაფერ სამრეწველო აღწერათა ციფრებს შავადარებთ ერთმანეთს.

დაბანდებული იყვენ:

| | სხვა-და-სხვა პროფესიის პირები | | | მეტი ან ნაკლები 1882 |
|---|---|---|---|---|
| | 1882 | 1895 | 1907 | წელ. შედარებით. |
| სოფლის მეურნეობა . . . | 8236496 | 8292692 | 9883257 | + 1646761= 19,99 |
| ინდუსტრია . . . . | 6396465 | 8281220 | 11256254 | + 4859789= 75,98 |
| ვაჭრობა და ტრანსპ. . . . | 1570318 | 2338511 | 3477626 | + 1907308=121,46 |
| საოჯახო სამსახური . . . | 397582 | 432491 | 471695 | + 74113= 18,63 |
| სახელმწ. სამსახ. და თავის. პროფ. | 1031147 | 1425961 | 1738530 | + 707383= 68,56 |
| პროფესიის გარეშე . . . | 1354486 | 2142808 | 3404983 | + 2650497=151,40 |
| სულ . . | 18986494 | 22913683 | 30232345 | + 11245851= 53,95 |

| . | იგივე პირები ოჯახებიანათ: | | | მეტი ან ნაკლები 1882 |
|---|---|---|---|---|
| | 1882 | 1895 | 1907 | წელ. შედარებით. |
| სოფლის მეურნეობა . . . | 19225455 | 18501307 | 17681176 | — 1544279= 18,18 |
| ინდუსტრია . . . . | 16058080 | 20253241 | 26386537 | + 10328457= 64,25 |
| ვაჭრობა და ტრანსპ. . . . | 4531080 | 5966846 | 8278239 | + 3747159= 82,69 |
| საოჯახო სამსახური . . . | 938294 | 886807 | 792748 | + 145546= 15,57 |
| სახელმწ. სამსახ. და თავის. პროფ. | 2222982 | 2835014 | 3407126 | + 1184144= 53,33 |
| პროფესიის გარეშე . . . | 2246222 | 3327069 | 51704703 | + 2928481=130,36 |
| სულ . . | 45222113 | 51770284 | 61720529 | + 16498416= 34,27 |
| აქვე მოგვყავს ხელზე მოსამსახ. . | 1324924 | 1339318 | 1264755 | — 60169= 4,53 |

ეს ციფრები გვეუბნებიან, რომ ამ 25 წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები მომხდარა, როგორც მცხოვრებთა შორის, ისე მრეწველობაში, სამთო და საამშენებლო წარმოებაში, ვაჭრობაში, გაცვლა-გამოცვლაში მცხოვრებთა რიცხვმა მოიმატა; სასოფლო მეურნეობას კი შემოაკლდა მუშა ხელი. 1882 წლიდან 1895-მდე ითვლებოდა 6,548,171 მცხოვრები, 1895—1907 წლებში ამ რიცხვმა 9,950,245-მდე აიწია. ეს მომატება მოხდა მრეწველობაში. მართალია, მეურნეობის უმთავრეს დარგს ახლა 1,646,761 პირი მოემატა, მაგრამ საერთო მცხოვრებთა რიცხვი უფრო თვალსაჩინოთ გაიზარდა, ასე რომ შედარებით მეურნეობას 1,544,279 კაცი მოაკლდა, ეს 8 პროცენტს უდრის.

სულ სხვანაირათაა საქმე ინდუსტრიასა და მრეწველობაში, ვაჭრობასა და ტრანსპორტში, ორივე ამ კატეგორიათა თვითეულ დარგში ჩაბმულ პირთა და მათი ოჯახობის რიცხვი შესამჩნევათ გაიზარდა და მცხოვრებთა საერთო ზრდას ბევრათ გადააჭარბა. 1895 წლამდე მრეწველობაში იმდენივე მომქმედი პირი ირიცხებოდა, რამდენიც მეურნეობაში, ახლა კი— 1,372,997-ით, ე. ი. 15 პროცენტით მეტია იქ. რაც შეეხება ოჯახის წევრთა რიცხვს—ესეც გაცილებით უფრო ჩქარა იზრდება მრეწველობაში, ვიდრე მეურნეობაში. ამ მხრივ პირველი აღემატება მეორეს 8,705,361-ით, ე. ი. 49 პროცენტით (1885 წელს მარტო 1,751,934-ით აღემატებოდა), ვაჭრობაში და აღებ-მიცემობაშიც დიდი სისწრაფით იზრდება მწარმოებელთა რიცხვი და მათი ოჯახობა.

**აქედან გამოდის, რომ სოფლის მეურნეობაში ჩაბმულ მცხოვრებთა რიცხვი, ე. ი. უმთავრესათ საზოგადოების კონსერვატიული ელემენტები, რომელნიც არსებულ წყობილების მთავარ ბურჯს წარმოადგენენ, თანდათან უკანასკნელ რიგში დგებიან და მათ წინ უსწრებენ ინდუსტრიასა და მრეწველობაში, ვაჭრობასა და ტრანსპორტში ჩაბმულნი.** სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურის პირთა, თავისუფალ პროფესიებში მომუშავეთა და მათ ოჯახთა

შესამჩნევი ზრდა არ ცვლის საერთო სურათს. ამას გარდა უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ აღრიცხვის დროს ამ ჯგუფს მოაკლდა დამოუკიდებელ მწარმოებელთა რიცხვი, თუმცა შედარებით ძალიან ცოტა. მუშათა რიცხვი კი მატულობს; მომატება დაიწყო 1895 წ. და გრძელდებოდა 1907 წელშიაც. 1882—1895 წ-დე ზრდა უფრო სწრაფი იყო: 38,29 პროც. მატულობდა; მერე—1907 წლამდის კი მარტო 21,96 პროცენტს. უპროფესიო პირთა რიცხვის ზრდა აიხსნება იმით, რომ ბევრი ცხოვრობს რენტით, დაშავების, სიბერის და დაუძლურების საზღვევ თანხიდან აღებული პენსიით, საზოგადოებრივი დახმარებით; ამას გარდა, ზოგი მოსწავლეა, ზოგიც თავშესაფარებში, საგიჟეში, ციხეებში და სხვაგან იმყოფებიან.

დამახასიათებელია საოჯახო სამსახურში მყოფთა რიცხვის მცირედი ზრდა და შინ მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება, რაიცა ნიშნავს პირველათ ყოვლისა იმ პირთა რიცხვის შემცირებას, რომელთაც ქონება ნებას აძლევს მოსამსახურე იყოლიოს და მეორეთ იმას, რომ ეს პროფესია ნაკლებათ იზიდავს პროლეტარ ქალებს, რომელნიც დამოუკიდებელ ცხოვრებას უფრო ეტანებიან.

1882 წელს სოფლის მეურნეობა შეადგენდა უმთავრეს პროფესიას მცხოვრებთა 43,38 პროცენტისთვის, 1895 წელს 36,19 პროცენტისთვის, 1907 წელს მხოლოდ 32,69 პროცენტისთვის; სულ სოფელში მცხოვრებთა რიცხვი 1882 წელს 42,51 პროცენტი იყო, 1895 წელს ამ რიცხვმა 35,74 პროცენტამდე დაიწია და 1907 წელს კი მხოლოდ 28,65 პროც. ირიცხებოდა. პირიქით, მრეწველობის (სამთა-მადნო და საამშენებლო წარმოებასთან ერთათ), მთავარ დარგებში მომქმედი პირები. 1882 წელს 33,69 პროცენტს შეადგენდენ, 1895 წ. —36,14 პროცენტს და 1907 წელს კი—37,23 პროცენტამდე ავიდა მათი რიცხვი. ოჯახობიანა რომ ვიანგარიშოთ, მრეწველობაში ვნახავთ—1882 წელს 35,51 პროც. მცხოვრებს, 1895 წ. 39,82 პროც. და 1907 წ. უკვე 42,75 პროცენტს. ვაჭრობაში და აღებ-მიცემობაში შესაფერისი ციფრებია:

| | ოჯახობიანა. | ცალკე. |
|---|---|---|
| 1882 . . | 10,02 | 8,27 |
| 1895 . . | 11,52 | 10,21 |
| 1907 . . | 13,41 | 11,50 |

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ გერმანიაში 56,16 პროცენტი (საქსონიაში კი 74,5 პროც.) ვაჭრობით და მრეწველობით ცხოვრობს, სოფლის მეურნეობაში კი მარტო 28,65 პროცენტია მთელი ხალხის (საქსონიაში 10,07% მხოლოდ).

## 2. პროლეტარიზაციის განვითარება. მსხვილ მრეწველობის გამეფება.

საყურადღებოა აღვნიშნოთ, როგორ ნაწილდებიან ამა თუ იმ დარგში მყოფნი დამოუკიდებელ, მოსამსახურე და მომუშავე კატეგორიებათ და რამდენი იყო ქალი და კაცი თვითეულ კატეგორიაში. შესაფერი ციფრები გვაძლევენ ასეთ სურათს:

| | | დამოუკიდებელნი. | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1882 | 1895 | 1907 |
| სოფლის მეურნეობაში | მამრ. სქ. . | 2010865 | 2221826 | 2172740 |
| | დედ. სქ. . | 277168 | 346899 | 328234 |
| | სულ . | 2288033 | 2568725 | 2500974 |
| მრეწველობაში | მამრ. სქ. . | 1621668 | 1542272 | 1499832 |
| | დედ. სქ. . | 579478 | 519492 | 477290 |
| | სულ . | 2201146 | 2061764 | 1977122 |
| ვაჭრობაში | მამრ. სქ. . | 550936 | 640941 | 765551 |
| | დედ. სქ. . | 150570 | 202616 | 246641 |
| | სულ . | 701508 | 843557 | 1012192 |
| საერთოთ | მამრ. სქ. . | 4183469 | 4405039 | 4338123 |
| | დედ. სქ. . | 1007218 | 1069007 | 1052165 |
| | სულ . | 5190687 | 5474046 | 5490288 |

| | | მოსამსახურენი. | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1882 | 1895 | 1907 |
| სოფლის მეურ-ნეობაში | მამრ. სქ. . | 60763 | 78066 | 82548 |
| | დედ. სქ. . | 5881 | 18107 | 16264 |
| | სულ . | 66644 | 96173 | 98812 |
| მრეწველობაში | მამრ. სქ. . | 96807 | 254421 | 622071 |
| | დედ. სქ. . | 2269 | 9324 | 63936 |
| | სულ . | 99076 | 263745 | 686007 |
| ვაჭრობაში | მამრ. სქ. . | 138387 | 249920 | 426220 |
| | დედ. სქ. . | 3161 | 11987 | 79689 |
| | სულ . | 141548 | 261907 | 505909 |
| საერთოთ | მამრ. სქ. . | 295957 | 582407 | 1130839 |
| | დედ. სქ. . | 11311 | 39418 | 159889 |
| | სულ . | 307268 | 621825 | 1290728 |

| | | მ უ შ ე ბ ი. | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1882 | 1895 | 1907 |
| სოფლის მეურ-ნეობაში | მამრ. სქ. . | 3625959 | 3239646 | 3028983 |
| | დედ. სქ. . | 2251860 | 2388148 | 4254488 |
| | სულ . | 5881819 | 5627794 | 7283471 |
| მრეწველობაში | მამრ. სქ. . | 3551014 | 4963409 | 7030427 |
| | დედ. სქ. . | 545229 | 992302 | 1562698 |
| | სულ . | 4096243 | 5955711 | 8593125 |
| ვაჭრობაში | მამრ. სქ. . | 582885 | 836042 | 1354482 |
| | დედ. სქ. . | 144377 | 365005 | 605043 |
| | სულ . | 727262 | 1233047 | 1959525 |
| საერთოთ | მამრ. სქ. . | 7763858 | 9071097 | 13694160 |
| | დედ. სქ. . | 2941466 | 3745455 | 4161961 |
| | სულ . | 10705324 | 12816552 | 17838121 |

ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ სოფლის მეურნეობაში დამოუკიდებელ მეურნეთა რიცხვს მომატებია 280,692 მცხოვრები, რაც 12,5 პროც. შეადგენს; შემდეგ კი 1907 წლამდის 67,751 სული მოკლებია; ასე რომ 1882 წელთან შედარებით 212,941 სული, ე. ი. 9,2 პროცენტი მომატებია მარტო მეურნეობას. პირიქით, მუშათა რიცხვი, რომელსაც 1882—1895 წლ. 254,025 კაცი მოაკლდა (4,3 პროც.), თვალსაჩინოთ გაიზარდა 1895 წ. აქეთ; ამ ხანში მოემატა მას 254,025, ე. ი. 29,4 პროცენტი. დაუკვირდეთ ამ უკანასკნელ ციფრებს და ვნახავთ, რომ ოჯახის წევრები გამრავლებულან,—ესენი ეხმარებიან უფროს მუშებს. ამით აიხსნება მუშათა რიცხვის საზოგადო ზრდა (მამრ. სქესის წევრებს მომატებია 170,532, დედრობითისას 1,820,398, სულ—1,990,930); დედრობითი სქესის მუშები უფრო მრავლდებიან, როგორც ვხედავთ. ავიღოთ, მაგალ. სოფლის დღიური მუშები და შინა-მოსამსახურეები,—ამათში მამრობით სქესს მოკლებია 381,195 სული, დედრობითს კი 45,942 მომატებია, საერთოთ მეურნეობას 335,253 მუშა ხელი მოკლებია. არა მარტო დამოუკიდებელი მწარმოებლები, მოჯამაგირეები და დღიური მუშებიც კი შემცირებულან აქ. უკანასკნელმა აღრიცხვამ მეურნეობაში აღმოაჩინა ბევრი სხვადასხვანაირი პროფესია—წინეთ კი ამდენი არ იყო. ეს იმით აიხსნება, რომ ოჯახს მოემატა თანაშემწე —მუშა ხელი და, როგორც ზემოთ ვთქვით, უკანასკნელები დედრობით სქესს შეადგენენ.

სულ სხვას ვხედავთ მრეწველობაში. 25 წლის განმავლობაში აქ დამოუკიდებელ მწარმოებელთა რიცხვი ძალიან შემცირდა: 234,024 (10,6 პროც.) მოაკლდა მას (1882—1895 წლამდე მოაკლდა 139,382=5,2%). მცხოვრებთა რიცხვი კი საერთოთ დაახლოვებით 36,48 პროცენტით გაიზარდა (1882—1895 წლ. 14,48% მოემატა მას). გამოაკლდენ სწორეთ ისეთი სამრეწველო დაწესებულებები, სადაც თითო, ან ორ-ორი თანაშემწე მუშა იყო დაქირავებული.

მუშა ხელი კი თანდათან ემატება მრეწველობას. 1882—1895 წლამდე 1,859,468-მდე სული მოემატა, შემდეგ 1907 წლამდე—2,637,414 სული. ავიღოთ მარტო უფროსი მუშები, გამოვრიცხოთ ოჯახის წევრი—თანაშემწეები, და მაშინ ვნახავთ, რომ მუშათა რიცხვი გამრავლებულა: 1895 წ. იყო 5,899,708, 1907 წელს კი—8,460,338. ამნაირათ, სამრეწველო დარგებში სამი მეოთხედი (75,16%) მუშაა, დანარჩენ ნაწილს შეადგენენ დამოუკიდებელი მწარმოებლები და ქარგლები. წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ ვაჭრობასა და ტრანსპორტშიაც, სადაც დამოუკიდებელთა, მოსამსახურეთა და მუშათა რიცხვმა შესამჩნევათ იმატა. ვაჭრობაში დამოუკიდებელთა შორის განსაკუთრებით ბევრს ვხედავთ ქალებს, ესენია—ქვრივები, რომელნიც საწვრილმანო დუქნის გაღებით ცდილობენ თავის გატანას, ან ცოლები, რომლებიც ამით ფიქრობენ ოჯახის შემოსავლის შემატებას.

1882—1907 წლ. ამ დარგში დამოუკიდებელთა რიცხვს მოემატა 310,584, ე. ი. 44,3 პროც., მუშა და მოსამსახურე პირები კიდევ უფრო გამრავლდენ (364,361=258,8% მოსამსახურე პირი მოემატა და 1,235,263=169,4% მუშა), აი რა სწრაფათ იზრდებოდა მსხვილი ვაჭრობა მეტადრე 1895—1907 წლებში. მოსამსახურეთა რიცხვი გაორკეცდა, ამათში დედრობითი სქესის პირები ექვსჯერ მეტათ გამრავლდენ.

საერთოთ ყველა ამ სამ დარგში 1882—1907 წლ. დამოუკიდებელთა რიცხვი მარტო 5,7 პროცენტით გაიზარდა, ის უკან ჩამორჩა საერთო მცხოვრებთა ზრდას (ამ უკანასკნელს მოემატა 36,48%); პირიქით, მოსამსახურეთა რიცხვმა აიწია 325,4 პროცენტით; სჩანს, რომ მსხვილი წარმოება შესანიშნავათ ფართოვდება. მუშათა რიცხვს მოემატა 39,1 პროცენტი, აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ 5,490,288 დამოუკიდებლებში ბევრი წმინდა პროლეტარულ ცხოვრებას ატარებს. მაგალ. 2,086,368 დამოუკიდებელ მრეწველთაგან, თითქმის 994,743 მარტოხელა მწარმოებელი იყო და 875,518-ს კი თითოს ხუთ მუშაზე ნაკლები ყავდათ. 1907 წელს ითვლებოდა 709,231

უმთავრესი სავაჭრო დაწესებულება, 232,780 მათგანში მარტოხელა მწარმოებელი იყო, ამას გარდა ვაჭრობაში, საქონლის გადაზიდვაში და ყიდვა-გაყიდვაში ირიცხებოდა 35,306 დაწესებულება, სადაც მარტოხელა მწარმოებელი მოქმედებდა, აქვე იყვენ 5240-მდე მოჯამაგირე პირები, ათასობით — დასაზღვევე საზოგადოებათა აგენტები, მატარებლები და სხვ.

ამასთანავე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ დარგებში დამოუკიდებელთა რიცხვი არ უდრის წარმოებათა რიცხვს, თუ, მაგალ. რომელიმე ფირმას 10 განყოფილება აქვს, რაც ხშირია თამბაქოს ვაჭრობაში, ან თუ მომხმარებელ საზოგადოებას 10 დუქანი აქვს, თვითეული მათგანი წარმოადგენს ცალკე საწარმოოს. ასეა სამრეწველო დაწესებულებაშიაც, მაგალ. თუ მანქანების მექარხნეებს აქვთ რკინის ჩამომსხმელი ქარხანა, სადურგლო სახელოსნო და სხვ. ამიტომ აღებული ციფრები არ გვაძლევენ ნამდვილ სურათს წარმოების კონცეტრაციისას ერთი მხრით და მწარმოებელთა მდგომარეობისას მეორე მხრით.

ბევრი ნაკლი აქვს აგრეთვე ახალ აღრიცხვასაც, რომელიც მოხდა 12 ივნისს, 1907 წელს, მაგრამ ნათლათ სჩანს მაინც, რომ კაპიტალის კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას დიდი ნაბიჯი წაუდგამს წინ, როგორც მრეწველობაში, ისე ვაჭრობა-აღებმიცემობაში. ეს სტატისტიკა ამტკიცებს, რომ მთელ ეკონომიურ ცხოვრებას ახლა მრეწველობა ედება სარჩულათ, ამავე დროს საწარმოო ძალები თავს იყრიან უმცირესობის ხელში. ეს პროცესი შესანიშნავათ ვითარდება.

წვრილი წარმოება მცირდება. ჯერ კიდევ 1882 წელს 1,877,872 დამოუკიდებელი მწარმოებელი ირიცხებოდა, 1895 წელს 1,714,351-მდე დავიდა ეს რიცხვი, ბოლოს 1907 წ. დარჩა მხოლოდ 144,628; ცხადია, 431,587, ე. ი. 22,9% მოკლებია სულ. წვრილი წარმოება თანდათან ნაკლებ მონაწილეობას იღებს საზოგადო მრეწველობაში; ამას ვამჩნევთ ყოველი აღრიცხვის დროს. 1882 წ., მაგალ. ის 59,1 პროცენტს შეადგენდა, 1895 წ. 46,5 პროც., 1907 წ. კი—37,3

პროცენტამდე დაიწია. მსხვილი მრეწველობა პირიქით გაიზარდა: ჯერ ის 22,0 პროცენტს უდრიდა (1882 წ.), მერე 29,6 პროცენტამდე ავიდა (1895 წ.), უკანასკნელათ (1907 წ.) 37,3 პროცენტს შეადგენდა. რამდენათ მსხვილია წარმოება, იმდენათ უფრო ჩქარა იზრდება ის. 1895—1907 წ. წვრილ მრეწველობას მოემატა 12,2 პროც., შუათანას—48,5 პროც., მსხვილ მრეწველობას—75,7 პროცენტი; ასე იყო განაწილებული მომქმედ პირთა რიცხვი. ამნაირათ, მსხვილ წარმოებას 5,350,025-ით მეტი ყავდა 1907 წელს, მაშინ, როდესაც 1882 წელს იქ უფრო ნაკლები იყო მწარმოებელი, ვიდრე წვრილ მრეწველობაში. ახლა პირველი მეფობს, ყველა მომუშავეთა ნახევარზე მეტი იქაა. აი ციფრები: ყოველ 100 კაცზე მსხვილ მრეწველობაში ითვლება:

| | | |
|---|---|---|
| სამთო წარმოება . . . . | 96,6 | პროც. |
| სამანქანო წარმოება . . . | 70,4 | „ |
| ქიმიური წარმოება . . . | 69,8 | „ |
| ბეწვეულობის წარმოება. . . | 67,5 | „ |
| ქაღალდის წარმოება . . . | 58,4 | „ |
| ქვის და მიწის წარმოება . . | 52,5 | „ |
| საპნის, ქონის და ზეთის . . | 52,3 | „ |

დანარჩენ დარგებში მსხვილ მრეწველობას უკვე 1895 წ. ყავდა უმეტესობა და ახლა ხომ კიდევ უფრო მაღლა სდგას ის ამ მხრივ (ლითონის დამმუშავებელ წარმოებაში ირიცხება 47,0%, კალიგრაფიაში—43,8, აღებ-მიცემობაში—41,6, საამშენებლო წარმოებაში—40,5); ერთი სიტყვით, განვითარებაში მსხვილ მრეწველობას ყველგან პირველი ადგილი უჭირავს.

წარმოების და კაპიტალის კონცენტრაცია განსაკუთრებული სისწრაფით ხდება იქ, სადაც კაპიტალისტური წარმოება სავსებითაა გაბატონებული, მაგალ. ლუდის წარმოებაში. გერმანიის იმ ნაწილში, სადაც ლუდზე ბაჟია დადებული, ე. ი. გარდა ბავარიისა, ვიურტენბერგისა, ბადენისა და ილზას-ლოტარინგისა, იყო:

| წლები | საერთოთ ლუდის სახდელები. | ამათგან სამრეწვ. ლუდ. სახ. | დაამზადეს 1000 გექ.-ლიტრობ. |
|---|---|---|---|
| 1873 . . | 13561 | 10927 | 19655 |
| 1880 . . | 11564 | 10374 | 21136 |
| 1890 . . | 8969 | 8054 | 32279 |
| 1900 . . | 6903 | 6285 | 44734 |
| 1905 . . | 5995 | 5602 | 46264 |
| 1906 . . | 5785 | 5423 | 45867 |
| 1907 . . | 5528 | 5251 | 46355 |

ამნაირათ, საერთოთ ლუდის სახდელების საერთო რიცხვი შემცირდა 1873-დან 1907 წლამდე 8033, ე. ი. 593%-ით; სამრეწველო ლუდის სახდელები—5676, ე. ი. 51,9%-ით; დამუშავებულ ლუდის რაოდენობა კი გაიზარდა 26,700,000 გექტოლიტრით, ე. ი. 135,7%-ით. ეს ნიშნავს წვრილ და საშუალო წარმოებათა დამხობას და მსხვილის ზრდას, რომელთა საწარმოო ძალა რამდენიმეჯერ მეტია წინანდელზე. 1873 წელს ერთი ლუდის სახდელი იძლეოდა 3450 გექტოლიტრ ლუდს და 1907 წელს—8385-ს. ასეა ყველგან, სადაც კაპიტალიზმი იჭერს უმთავრეს ადგილს. ავსტრიაში 1876 წელს 2248 ლუდის სახდელი იყო. აქ იხდებოდა 11,671,278 გექტოლიტრა, 1904—1905 წლებში კი—1285 ქარხანაში იხდებოდა გაცილებით მეტი = 19,098,540 გექტოლიტრი ლუდი.

ასეთსავე სურათს წარმოადგენს გერმანიის ქვა-ნახშირის და მთა-მადნეულობის მრეწველობის განვითარება. პირველში უმთავრეს სამრეწველოთა რიცხვი უდრიდა 1871—5 წლებში 623-ის, 1889 წელს კი—406-ზე ჩამოვიდა, თვით ნაწარმოებთა რაოდენობა კი გაიზარდა—34,485,400 ტონიდან 67,342,200 ტონამდე ავიდა, ხოლო მუშათა საშუალო რიცხვი ამ წარმოებაში გაიზარდა 172,074-დან 239,954-მდე.

შემდეგი ციფრებიდან დავინახავთ, როგორ ხდებოდა კონცენტრაცია ქვა-ნახშირის წარმოებაში 1907 წლამდე:

## ქ ვ ა ნ ა ხ შ ი რ ი.

| წლ. | უმთავრესი საწარ. დაწესებულ. | მუშათა რიცხვი საშუალ. | ნაწარმოების რაოდენობა. | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1900 . . | 338 | 413693 | 109290,2 | ათასი | ტონი |
| 1905 . . | 331 | 493308 | 121298,2 | „ | „ |
| 1906 . . | 322 | 511108 | 137117,9 | „ | „ |
| 1907 . . | 313 | 545330 | 143185,7 | „ | „ |

### მეორე გვარი ქვა-ნახშირი (буро-каменн. уголь).

| წლ. | უმთავრესი საწარ. დაწესებულ. | მუშათა რიცხვი საშუალ. | ნაწარმოების რაოდენობა. | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1900 . . | 569 | 50911 | 40498,0 | ათასი | ტონი |
| 1905 . . | 533 | 54969 | 52512,1 | „ | „ |
| 1906 . . | 536 | 58637 | 56419,6 | „ | „ |
| 1907 . . | 535 | 66462 | 62546,7 | „ | „ |

ამნაირათ, ქვა-ნახშირის წარმოებაში მე-70 წლებს აქეთ შემცირდა რიცხვი საწარმოო დაწესებულებების, სამაგიეროთ გამრავლდა მუშა ხელი 216,9 პროცენტით, მოიმატა თვითონ წარმოებამაც 420,6 პროცენტი.

საერთოთ სამთო მრეწველობაში ირიცხებოდა:

| წლები. | უმთავრესი საწარ. დაწესებულ. | მუშათა რიცხვი საშუალ. | ნაწარმოების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1871—75 . . | 3034 | 277878 | 51056,0 |
| 1887 . . | 2146 | 337634 | 88873,0 |
| 1889 . . | 1962 | 368896 | 99414,0 |
| 1905 . . | 1862 | 661310 | 205592,6 |
| 1906 . . | 1862 | 688853 | 229146,1 |
| 1906 . . | 1958 | 734903 | 242615,2 |

აქაც ვხედავთ, რომ საწარმოო დაწესებულებათა რიცხვი შემცირდა 35,5 პროცენტით, მუშა-ხელი კი გამრავლდა 164,4 პროცენტით, წარმოებამაც მოიმატა 374,5 პროცენტი.

გამდიდრებულ კაპიტალისტების მცირე ჯგუფს დაუპირდაპირდა პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა. თითო დაწესებულებაში საშუალოთ 1871—1875 წლამდე ირიცხებოდა 92, 1887 წ. 160 და 1907 წ. უკვე 307 მუშა, თუმცა ამ დროს წინა წელთან შედარებით საწარმოო დაწესებულებებიც გამრავლდენ: 1906 წ. იყო 1862, 1907 წ. კი—1958.

„რეინ-ვესტფალიის სამრეწველო ოლქში 1907 წ. იყო 156 ქარხანა, მაგრამ ამათში მარტო 34 (21,8 პროცენტს) ეკუთვნოდა 50 პროცენტზე მეტი მამოძრავებელი ძალა. ნახშირის სინდიკატში, რომელშიაც თითქმის ყველა ქარხნები შედიან, მარტო 76 წევრი ირიცხებოდა; ასე გაიზარდა კონცენტრაცია. იმ ანგარიშით, რომელიც მოხდა 1907 წლის თებერვალში, ნახშირის სინდიკატი ამზადებს 77,9 მილ. ტონნ ნახშირს“ *).

1871 წელს მოქმედებდა 306 სადნობი ფეჩი (доменная печь), 23,191 კაცი მუშაობდა ამ ფეჩებზე. ესენი აწარმოებდენ 1,563,682 ტონნ ზოდ რკინას; 1907 წელს კი მარტო 303 ფეჩზე 45,201 მუშა იდგა, ესენი ამზადებდენ 12,875,200 ტონნ რკინას. თვითეული ფეჩი 1871 წ. გვაძლევდა 5110 ტ. რკინას, 1907 წ. 42,191 ტონს. მარტში 1906 წელს, ერთ ჟურნალში—„Stahe und Eisen“ (ფოლადი და რკინა“) დაიბეჭდა ცნობა, საიდანაც ჩანს, რომ ერთი სამთო ქარხანა გერმანიაში 24 საათის განმავლობაში 820 ტონნ რკინას ამზადებდა. მარა 1907 წელს იყო 12 ქარხანა ისეთი, რომელნიც საათში 1000 ტონს და მეტსაც იძლეოდა თითო. 1871—72 წლებში 311 შაქრის ქარხანა ხარჯავდა 2,250,918 ტონნ ჭარხალს, 1907—908 წლებში კი 365 ქარხანა 13,482,750 ტ., საშუალოთ თითო ფაბრიკა ხმარობდა 1871—72 წლ. 7237 ტონნ ჭარხალს, ხოლო 1907—08 წლებში 36,939 ტონს. პირველი ხნის განმავლობაში ის 186,441 ტონს (ე. ი. 8,28 პროც.) შემუშავებულ მასალას გვაძლევდა, მეორე ხანში (1907—908 წლ.) 2,017,071 ტონს=14,96 პროცენტით მეტს.

*) Neue Zeit. 27 iahrg. I. B. S. 663.

ტეხნიკური რევოლიუცია წარმოებს არა მარტო მრეწველობაში, იგი ძლიერია ტრანსპორტის საქმეშიაც. გერმანიის სავაჭრო ფლოტი ზღვაზე შეადგენდა:

| | | | იალქნიანი გემები. | | რომელნიც იტევდენ. | | მოსამსახურეთა რიცხვი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1871 | წ. | . | 4372 | | 900361 | ტ. | 34739 |
| 1901 | „ | . | 2270 | | 525140 | „ | 12922 |
| 1905 | „ | . | 2294 | | 493644 | „ | 12914 |
| 1908 | „ | . | 2345 | | 433749 | „ | 12800 |
| 1909 | „ | . | 2361 | | 416514 | „ | 12844 |
| 1871 წელთან შედარებით აკლია: | | | | | | | |
| | | | 2011 | | 483847 | | 21895 |

ამნაირათ, იალქნიანი ნავოსნობა შესამჩნევათ კლებულობს; იალქნიანი გემები ნაკლებს იტევენ საქონელს, მოსამსახურენიც თანდათან აკლდებიან ამ გემებს. 1871 წელს თვითეულ იალქნიან გემზე მოდიოდა 205,9 ტონი და 7,9 კაცი, 1909 წელს კი 176,4 ტ. და 5 კაცი მოსამსახურე. სულ სხვა სურათს წარმოადგენს გერმანიის ორთქლის გემები ზღვაზე. გერმანიას ქონდა:

| | | | ორთქლის გემები. | | რომელნიც იტევდენ. | | მოსამსახურეთა რიცხვი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1871 | წ. | . | 147 | | 81994 | | 4736 |
| 1901 | „ | . | 1390 | | 1347875 | | 36801 |
| 1905 | „ | . | 1657 | | 1774072 | | 46747 |
| 1908 | „ | . | 1922 | | 2256783 | | 57995 |
| 1909 | „ | . | 1953 | | 2302910 | | 58451 |
| 1871 წელს აქეთ მოემატა: | | | | | | | |
| | | | 1806 | | 2221006 | | 53715 |

ამნაირათ, შესამჩნევათ იმატა ორთქლის გემების რიცხვმა, კიდევ უფრო იმატა მათმა დამტევნელობამ, ხოლო მოსამსახურეთა რიცხვმა **შედარებით** იკლო. 1871 წელს საშუალოთ ორთქლის გემები იტევდენ 558 ტონს, მოსამსახურეთა რიცხვი

უდრიდა 32,1 კაცს, 1909 წელს კი იტევდენ 1230 ტონს, მოსამსახურეთა რიცხვი უდრიდა 29 კაცს.

წარმოების კაპიტალისტურ განვითარებას მოწმობს აგრეთვე მამოძრავებელ ძალთა განსაცვიფრებელი ზრდა. პროფესორ რაუხბერგის ცნობებით, 1875 წელს გერმანიაში მარტო იმ წარმოებებში, სადაც 5-ზე მეტი მუშაა, 1,055,755 ცხენის ძალის მქონე მანქანა მუშაობდა 25,150 სამრეწველოში. 1895 წელს კი 66,175 სამრეწველოში 2,938,526 ცხენის ძალის, ე. ი. 3-ჯერ მეტი. ამაში არ შედის რკინის გზა, ქალაქის ტრამვაი, გემები და სხვ.

პრუსიაში ითვლებოდა ცხენის ძალა:

| წლ. | | |

| მრეწველობის დარგები: | 1879 წ. | 1897 წ. | 1907 წ. |
|---|---|---|---|
| სამთა-მადნო . . | 516000 | 143000 | 2284000 |
| ქვა და აგური . . | 29000 | 132000 | 255000 |
| ლითონის დამუშავება. | 23000 | 57000 | 113000 |
| მანქანების წარმოება . | 22000 | 61000 | 529000 |
| ბეწვეულობის წარ. . | 88000 | 243000 | 323000*). |

საარაკოა ასეთი განვითარება საწარმოო ძალების, ასეთი კონცენტრაცია კაპიტალის. ზოგიერთები მაინც ცდილობენ ეს ფაქტი გადააფუჩეჩონ. ასე მოიქცა მაგალითათ საერთაშორისო სტატისტიკური დაწესებულების მეთერთმეტე კრებაზე კოპენ-გაგენში (აგვ. 1907 წ.) ერთი საფრანგეთის ეკონომისტი Jves Guhot-ი. რალაც ხელდახელ გამომცხვარ ციფრების მიხედვით მან შეიტანა წინადადება: სიტყვა „კონცენტრაცია" უნდა გამოირიცხოს სტატისტიკიდანო. მას, სხვათა შორის, კარლ ბიუხერმა გასცა პასუხი: შეიძლება საწარმოო დაწესებულებათა რიცხვი აბსოლიუტურათ მრავლდებოდეს და ამავე დროს ძლიერი კონცენტრაცია ხდებოდეს. ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ანგარიშის დროს ხშირათ ერთ დაწესებულებას ორათ თვლიან. ერთი ბანკი და მისი 100 სადეპოზიტო კასები 101-ათ იანგარიშეს, ერთი ლუდის სახდელი, რომელსაც 50 ალაგას ქონდა სავაჭრო ადგილი 51-ათ ჩათვალეს. რა თქმა უნდა, ამნაირი სტატისტიკით ჩვენ ვერაფერს ავხსნით.

„ამას წინეთ ახალმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კონცენტრაციას სასოფლო მეურნეობაში არა აქვს ადგილი. სულ სხვაა, მაგალ. სამთო წარმოებაში, ვაჭრობაში, საქონლის გაზიდვა-დაზღვევაში და საამშენებლო წარმოებაში; რაც შეეხება საერთოთ მრეწველობას, ძნელი გამოსაცნობია ხდება კონცენტრაცია აქ თუ არა, რადგან ყოველ კულტურულათ განვითარებულ ხალხში ჩვენ წარმოების გაფართოებას ვხედავთ. ეს ასეც უნდა იყოს და აი რატომ: 1) მრეწველობას ემორჩილე-

*) Prof. Dr. S. Reher, Kraft. Ökonomische, technische und kulturgeschichtliche studien über die Machtenttaltung der Staaten. 313. 1908.

ბა ახლა ის, რაც აქამდე შინაურ წარმოებაში მზადდებოდა, 2) ახლა ბუნებრივ ნაწარმოების მაგივრათ, შემუშავებულ ნივთებს ხმარობენ (ხის მაგივრათ, მაგალ. რკინას და სხვ.), 3) ახლა გამოგონილია მისვლა-მოსვლის გასაუმჯობესებელი საშუალება—მაგალ. ავტომობილი, 4) ახლა გაადვილებულია გაზიდვა (ექსპორტი). აი სწორეთ ყოველივე ამის გამო, კონცენტრაცია მტკიცეთ უნდა იყოს ფეხ-მოკიდებული. ეს არ მოითხოვს სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობის შემცირებას, პირიქით, შეიძლება გამრავლდეს კიდეც ეს დაწესებულებები. სადაც მოსახმარი საქონელი მრეწველობაში მზადდება, იქ წვრილი წარმოება უსათუოთ მოისპობა; აქამდე ის საჭირო იყო, რადგან მოსახმარ ღირებულებას გვაძლევდა, ახლა კი ამ მხრივ საჭირო აღარ არის. ამიტომ მეურნეობის მთავარ დარგებში კაპიტალისტური წარმოება სწრაფათ იკიდებს ფეხს. უგუნურობაა სოციალისტებთან ბრძოლა მაშინ, როცა ისინი მართალს ამბობენ. და აი, სწორეთ ამ მუხლში (კონცენტრაციის შესახებ), სოციალისტების აზრი სინამდვილეს ეთანხმება“ *).

ასეთივე სურათს წარმოადგენს ყველა სამრეწველო ქვეყნების ეკონომიური განვითარება. ყველა კულტურულ სახელმწიფოების ლტოლვილებაა, ასე თუ ისე სამრეწველო ქვეყნათ გადაიქცენ; მათ უნდათ ამზადონ არა მარტო თავისთვის საჭირო ნივთები, არამედ გასაზიდათაც. ამიტომაა, რომ ლაპარაკობენ მსოფლიო მეურნეობაზე და არა მარტო ნაციონალურზე. მრავალ სამრეწველო და სოფლის მეურნეობაში დამზადებულ ნაწარმოებთა ფასების რეგულიატორი (მომწესრიგებელი, მიმართულების მიმცემი) მსოფლიო ბაზარია და იგივე საზღვრავს ერთა სოციალურ მდგომარეობას. წარმოების იმ მხარედან, რომელიც უმთავრესი ტონის მიმცემია მსოფლიო ბაზარზე, სახელდობრ ჩრდილოეთ ამერიკის კავშირიდან ხვდება უმეტეს ნაწილათ მუჯლუგუნები წარმოებას, რასაც რევო-

*) Bulletin de l'institut international de Statistique 17 Band S. 183 184. კოპენგაგენი. 1864.

ლიუციური ცვლილებები შეაქვს მსოფლიო ბაზრის პირობებსა და თვით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. უკანასკნელ სამი ათეული წლების აღწერამ ასეთი შედეგები მოგვცა. წარმოებაში დაბანდებული კაპიტალი შეადგენდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1880 | წელს . . . | 2790 | მილ. დოლლარს |
| 1890 | „ . . . | 6525 | „ „ |
| 1900 | „ . . . | 9813 | „ „ |

სამრეწველო ნაწარმოების ღირებულება უდრიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1880 | წელს . . . | 5369 | მილ. დოლლარს |
| 1890 | „ . . . | 8372 | „ „ |
| 1900 | „ . . . | 13000 | „ „ |

შეერთებული შტატები, როგორც სამრეწველო სახელმწიფო ამ ჟამათ მთელ ქვეყანას სათავეში უდგას. როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა გაზიდვა ამ ქვეყნიდან დღითი-დღე იზრდება. და ამ განვითარების შედეგია ის, რომ იქაური ვეება კაპიტალები დასაბანდებელ ადგილებს ეძებენ უცხო ქვეყნებში, რის გამო მათ დიდი გავლენა აქვთ მოპოვებული ევროპის მრეწველობასა და ტრანსპორტზე. კაპიტალთა ამ მოძრაობის ხელმძღვანელათ გამოდიან არა კერძო კაპიტალისტები, არამედ კაპიტალისტთა და მრეწველთა კავშირები, რომელნიც, სადაც კი გამოჩნდებიან, ყველგან მუსრს ავლებენ კერძო მწარმოებლებს, თვით უძლიერესსაც კი. რა უნდა გააწყოს ასეთი ძალის წინაშე საშუალო, ან წვრილმა მწარმოებელმა, როცა თვით უძლიერესიც იძულებულია ფარ-ხმალი დაყაროს?

### 3. სიმდიდრის კონცენტრაცია.

როცა წარმოების კონცენტრაცია ხდება და ამავე დროს შრომის ნაყოფიერებაც მატულობს, მაშინ შედარებით კლებულობს მუშათა რიცხვი, სიმდიდრეს კი უმცირესობა ეპატრონება,—უმცირესობა საერთოთ მცხოვრებთა რაოდენობას-

თან შედარებით. ასეთია ეკონომიური განვითარების კანონი. ამას საუცხოოთ გვიმტკიცებს შემოსავლის განაწილება სხვადა-სხვა კულტურულ ქვეყნებში.

მსხვილ გერმანულ სახელმწიფოებიდან, საქსონიაში ყველაზე ძველი და შედარებით საუკეთესოა შემოსავლის დაკვალათ გაწერილ გადასახადის სტატისტიკა. შესაფერი კანონი მოქმედებს 1879 წლიდან. მარა უკეთესია შემდეგი წლები ავიღოთ, რადგან პირველ წლებში შემოსავალი ძალიან მცირეთ არის ნაჩვენები. საქსონიის მცხოვრებლებს 1880-დან 1905 წლამდე მოემატა 51 პროც.; 1882—1904 წლამდე იმ პირთა რიცხვი, რომელთა შემოსავალი გადასახადისთვის შეფასებულია, გაიზარდა 120 პროცენტით, მათი საერთო შემოსავალი კი 23 პროცენტით. 90 წლებამდე 300 მარკაზე მცირე შემოსავალი თავისუფალი იყო გადასახადისაგან, მას შემდეგ კი ყველა 400 მარკაზე ნაკლები შემოსავალი გაათავისუფლეს. 1882 წელს გადასახადებისაგან გათავისუფლებულ იქნა 75,697 პირი, ე. ი. 6,61 პროც. ყველა შეფასებულებიდან. 1904 წელს კი მათი რიცხვი უდრიდა 205,667-ს, რაც შეადგენს 11,03 პროცენტს. სახეში უნდა მივიღოთ ისიც, რომ საქსონიაში შემოსავლის-დაკვალ გადასახადის სტატისტიკურ ცნობებში, ქმრის ქონებასთან მიწერილია ცოლის და შვილების (16 წლისაზე ნაკლების) ქონება.

გადამხდელთა რიცხვი, რომელთაც 400—800 მარკის შემოსავალი ქონდათ, შეადგენდა 1882 წელს შეფასებულთა 48 პროცენტს, 1904 წელს კი—43,81 პროც., მათი ერთი ნაწილი ამნაირათ მაღალ გადამხდელ კლასში გადავიდა. ამ კლასის საშუალო შემოსავალი ამ ხნის განმავლობაში—421 მარკიდან ავიდა 582 მარკამდე, ე. ი. მიემატა 37 პროცენტი, მარა ვერ მიაწია საშუალო რიცხვს—600 მარკას. გადამხდელთა საერთო რიცხვი, რომელთაც 800-დან 1250 მარკამდე შემოდიოდათ, შეადგენდა 1882 წელს შეფასებულთა 12 პროცენტს. 1904 წელს კი—მათი რიცხვი უდრიდა 16,74 პროცენტს. 1882 წელს 3300 მარკაზე ნაკლებ შემოსავლიანთა

რიცხვი შეადგენდა 95,96 პროცენტს ყველა გადამხდელებისას. 1904-ში კი 3400 მარკაზე ნაკლებ შემოსავლიანთა რიცხვი 95,96 პროცენტს. თუ გავიხსენებთ, რომ ლასსალის ანგარიშით 1863 წელს პრუსიაში 3000 მარკაზე მეტი შემოსავლის პატრონთ ქონდათ მთელი შემოსავლის 4 პროც., და რომ შემდეგ ფულის ფასი დაეცა, ბინის ქირა, გადასახადები და საჭმელ-სასმელის და სხვა აუცილებელ საგნების ფასი გაიზარდა, გაიზარდა ცხოვრების მოთხოვნილებებიც,—აშკარა იქნება, რომ ფართო მასსის მდგომარეობას შედარებით არაფერი დიდი გაუმჯობესება არ დატყობია.

საშუალო შემოსავალი 3400—10000 მარკამდე 1904 წელს შეადგენდა მხოლოდ 3,24 პროც. ყველა შეფასებული ქონებისას, შემოსავალი 10,000 მარკაზე მეტი კი—ერთ პროცენტზე ნაკლებს (0,80) საცენზო შემოსავალი (12,000—2000 მარკამდე)—უდრიდა 0,80 პროცენტს. 12,000 მარკაზე მეტი შემოსავალი 1882 წელს ქონდათ 4124 პირს, 1904 წ. ამ რიცხვმა აიწია 11,771-მდე, მოიმატა 188 პროცენტი. უდიდეს შემოსავალს 1882 წელს 2,570,000 მარკა შეადგენდა, 1906 წელს კი—5,900,600 მარკა. აქედან სჩანს, რომ თუმცა დაბალი კლასის შემოსავალიც გაიზარდა, მარა იმდენათვე, თუ მეტით არა, გაიზარდა საქონლის ფასებიც. ამიტომ საშუალო კლასებს ძალიან მცირე გაუმჯობესება ეტყობა; მდიდართა რიცხვი და ქონება კი საშინლათ გაიზარდენ. ამნაირათ, კლასიური წინააღმდეგობანი გამწვავდენ.

პროფესორი ადოლფ ვაგნერი იკვლევს სახალხო შემოსავლის განაწილებას პრუსიაში 1892—1902 წლამდე და შემდეგ დასკვნამდე მიდის; ის მთელ ამ სახელმწიფოს მცხოვრებთ ყოფს სამ დიდ ჯგუფათ: 1) **დაბალი** (უმცირესი შემოსავალი 420 მარკა, საშუალო—900 მარკამდე, უდიდესი—2100 მარკამდე), 2) **შუათანა** (უმცირესი შემოსავალი 2100—3000 მარკა, საშუალო—6000-მდე და უდიდესი შემოსავალი 9500 მარკამდე), და 3) **მაღალი ჯგუფი** (უმთავრესი შემოსავალი 9500—3500 მარკა, საშუალო—100,000-მდე და უდიდესი—

100,000 მარკაზე მეტი); საერთო შემოსავალი თითქმის თანასწორათაა ამ სამ ჯგუფში განაწილებული. მაღალი ჯგუფი შეადგენს 3,51 პროცენტს მცხოვრებლებისას; ამას აქვს მთელი შემოსავლის 32,1 პროცენტი. დაბალი ჯგუფი, რომელშიაც შედიან გადასახადისგან განთავისუფლებული პირები (70,66%), მესაკუთრეა საერთო შემოსავლის 32,9 პროცენტის, შუათანა ჯგუფს, რომელიც 25,83 პროც. შეადგენს, ეკუთვნის შემოსავლის 34,9 პროცენტი. ავიღოთ ახლა მხოლოდ ისეთი შემოსავლიანი პირები, რომლებიც გადასახადს იხდიან. ვნახავთ, რომ მთელი ნახევარი და მეტიც ამნაირი შემოსავლის ეკუთვნის იმ ცენზიანებს, რომლებიც 1892 წელს 86,99 პროცენტს შეადგენდენ და 1902 წელს—88,04 პროცენტს ყველა ცენზიანებისას. სათითაოთ ამათი შემოსავალი უდრიდა 900—3000 მარკას. 12 პროცენტს ყველა ცენზიანებისას შეადგენენ ისინი, ვისაც 3000 მარკაზე მეტი შემოსავალი ეკუთვნოდა 1892 წელს 49 პროც., ხოლო 1902 წელს—48 პროცენტი ხსენებული შემოსავლის. წვრილ ცენზიანების საშუალო შემოსავალი მთელ პრუსიაში უდრიდა სათითაოთ: 1892 წელს 1374 მარკას, 1902 წელს 1348 მარკას; 1,89 პროცენტამდე მოიკლო ამან. მსხვილი ცენზიანების საშუალო შემოსავალი კი პირიქით გადიდდა: 1892 წ. ის 8811 მარკას უდრიდა თითოზე, 1902 წ.—9118 მარკამდე ავიდა ეს შემოსავალი (3,48% მოემატა), მაღალ ჯგუფს, რომელიც 1892 ყველა ცენზიანების 0,5 პროცენტს შეადგენდა და 1902 წ. 0,63 პროცენტს,—ეკუთვნოდა შემოსავლის 15,95 პროცენტი 1892 წელს და 18,37 პროც. 1902 წელს. ძალიან ნაკლებათ ეტყობა ზრდა შუათანა ჯგუფის დაბალ და საშუალო წრეებს, ცოტა უფრო მალე მატულობს დაბალი ჯგუფის ზემო ნაწილი. რაც შეეხება მაღალი წრის ჯგუფს, ის ყველაზე უფრო სწრაფათ იზრდება. რამდენათაც მეტი შემოსავალი აქვს რომელიმე ჯგუფის ცენზიანებისას, რამდენათ უფრო მდიდარი არიან ისინი, იმდენათ იზრდება შედარებითი რიცხვი ამ ჯგუფის. თანდათან მატულობს

დიდი და უდიდესი შემოსავლის მქონეთა რიცხვი, თანდათან იზრდება თვითეული მათგანის შემოსავალიც. ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ შემოსავლის კონცენტრაციას; ეს შემოსავალი გროვდება მარტო მცირეოდენი მდიდრების ხელში კი არა, არამედ ეკონომიურათ დაწინაურებულ წრეში, ეს წრე იზრდება რაოდენობით, თუმცა თავისთავათ, შედარებით ის ყოველთვის პატარაა. „აქედან შეგვიძლია შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ: საერთო შემოსავალი იზრდება, ყოველი საზოგადოებრივი კლასი მატულობს რიცხვით. რა თქმა უნდა, თანასწორობას აქ ადგილი არა აქვს. ეკონომიური განვითარება ამ მხრივ ხელს უწყობს ყველაზე უფრო მაღალ წრეებს, მერე დაბალ კლასს; საშუალო წრეს კი ძალიან ნაკლებათ. ამნაირათ, გაღრმავდა კლასობრივი სხვადასხვაობა, რამდენათაც შემოსავლის რაოდენობა სარჩულათ უდევს ამ სხვადასხვაობას“ *).

1908 წელს პრუსიაში იყო 104,993 ცენზიანი, თვითეულის შემოსავალი უდრიდა 9500 მარკას, საერთო კი—3,123,273,000 მარკას შეადგენდა. ამათში 3796 პირს ქონდა 934,000,000 მარკა, თვითეულ მათგანს კი—100,000 მარკაზე მეტი. 77 ცენზიანს ერთ მილიონზე მეტი შემოსავალი ეკუთნოდა. 104,904 ცენზიანს, ე. ი. 1,78 პროცენტს იმდენივე შემოსავალი ქონდათ, რამდენიც 3,109,540 პირს (52,9%-ს).

ავსტრიაში ცენზიანების 12 პროცენტს ეკუთვნის შემოსავლის 24 პროცენტი; თვითეულ მათგანს აქვს 4000—12000 კრონამდე. ავიღოთ მარტო ისინი, ვისაც 12,000 კრონამდე აქვს შემოსავალი. ვნახავთ, რომ ესენი შეადგენენ 97 პროც.; ამათ ეკუთვნის შემოსავლის 74 პროცენტი. დანარჩენი 26 პროცენტი კი—ცენზიანების სამი პროცენტის საკუთრებას შეადგენს**). გადასახადისგან განთავისუფლებული უმცირესი შემოსავალი აქ უფრო მეტია, ვიდრე პრუსიაში—1200 კრონი, რაც უდრის 1014 მარკას. წვრილ-ცენზიანები, რომელთაც 1200—4000 კრონი ქონდათ სათითაოთ, 1904 წელს 84,3

*) Ad. Wagner. Zur Methode der Statistik...

**) F. Leiter. Die Verteilung des Einkommens in Osterreich, 123. 1908.

შეადგენდენ. 200,000 კრონი ქონდათ 1898 წელს 255 პირს, 1904 წელს—307-ს, ე. ი. 0,032 პროცენტს. ესენი ეკუთვნოდენ მდიდართა ჯგუფს.

დიდ ბრიტანიაში და ირლანდიაში L. G. Chioza-ს გამოკვლევით, ერთ მეცხრედ ნაწილს ეკუთვნის შემოსავლის მთელი ნახევარი (16,600 მილ. მარკაზე მეტი). ის ხალხს ყოფს სამ ნაწილათ: მდიდრები (700 გირ. სტერლინგი*), საშუალო წრეები (600—700 გირ. სტერლინგი) და ღარიბები (ამათი შემოსავალი 160 გირ. სტერლინგზე ნაკლებია).

| | | ოჯახობიანა. | შემოსავალი. | |
|---|---|---|---|---|
| მდიდრები | 250000 | 125000 | 585000000 | გირ. სტ. |
| საშ. წრეები | 750000 | 3750000 | 245000000 | „ „ |
| ღარიბები | 5000000 | 38000000 | 880000 | „ „ |
| | | 43000000 | 1710000000 | |

ერთი მესამედი მთელი შემოსავლის ეკუთვნის ხალხის 30-ედ ნაწილს. ბუტის და როუნტრის გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ ლონდონში და ნიუიორკში ხალხის 30 პროცენტს ხელში აქვს თითქმის მთელი სიმდიდრე და საზოგადოება სიღატაკის კლანჭებში ყავს ჩაჭერილი.

საფრანგეთში მემკვიდრეობის სტატისტიკის მიხედვით, ლევასსერმა გამოიკვლია შემდეგი: მთელი შემოსავლის ორი მეხუთედი ნაწილი ეკუთვნის 98 პროცენტს ყველა მესაკუთრეებისას,—ამათი შემოსავალი უდრის 100,000 ფრანკზე ნაკლებს; ერთი მესამედი—1,7 პროცენტს ეკუთვნის, მეოთხედი ნაწილი მთელი შემოსავლის კი სულ პატარა ჯგუფის (მცხოვრებთა 0,12 პროცენტის) ხელშია.

აი, რამდენია საკუთრებას მოკლებული და რა მცირეა მესაკუთრეთა წრე.

„უთანასწორობა იზრდება—ამბობს გ. შმოლლერი,—ეს ეპვს გარეშეა... ცხადია, რომ სიმდიდრის განაწილება შუა ევროპაში 1300—1900 წლამდე, თანასწორათ არ ხდებოდა

*) გირვანქა სტერლინგი უდრის 10 მანეთს.

და ეს პროცესი დღითი-დღე ღრმავდებოდა სხვა-და-სხვა ქვეყნებში სხვა-და-სხვა გვარათ, რასაკვირველია... ახალმა განვითარებამ მოიტანა კლასთა წინააღმდეგობის გამწვავება, ამას კი თან მოყვა სიმდიდრის და შემოსავლის უთანასწოროთ განაწილება" *).

ასეთი პროცესი კაპიტალისტური განვითარებისა და კონცენტრაციისა, რომელიც ყოველ ქვეყანაში წარმოებს და რომელიც მიუხედავათ ტრესტების და სინდიკატებისა, ვერ სპობს წარმოების ანარქიას,—ქმნის გადაჭარბებულ წარმოებას, აჩერებს გასაღებას და ასე შობს კრიზისებს.

## თავი XVIII.

## კრიზისი და კონკურენცია.

### 1. კრიზისის მიზეზი და შედეგები.

დღევანდელ ეკონომიურ ურთიერთობაში კრიზისი აუცილებელია, რადგან შეუძლებელია იმის გამოანგარიშება, თუ რამდენათ შეეფერება არსებული მოთხოვნილება ამა თუ იმ ნაწარმოების რაოდენობას. არ არის ისეთი საზომი, ბუღალტერიულ საზოგადოებას არ მოეპოება ისეთი ძალა, რომ მთელი წარმოების მოწესრიგება შესძლოს. ერთი იმიტომ, რომ ამა თუ იმ საქონლის მომხმარებელნი გაფანტულნი არიან და მათი შეძლება, რომელზედაც დამოკიდებულია მათი მოთხოვნილების ავათ თუ კარგათ დაკმაყოფილება, მრავალ მიზეზებზეა დამოკიდებული, და მწარმოებლისთვის შეუძლებელია ყველა ამათი გათვალისწინება. შემდეგ, თვითეულ მწარმოებელის გვერდით დგანან სხვა ასეთივე მწარმოებლები და არც ერთმა მათგანმა არ იცის, თუ ვინ რამდენი ნაწარმოების დამუშავებას და ბაზარზე გამოტანას აპირებს. თვითეული მათგანი ცდილობს

*) G. Schmoller, Grundriss der allgemeinen Volkswirtschafts Lehre 2 Band, S. 454, 463.

მეტოქეები ბაზრიდან განდევნოს და ამ მიზნით ათასგვარ საშუალებას ხმარობს—ფასების დაკლება, რეკლამები, გრძელვადიანი ნისია, კომივოიაჟერების გზავნა. აქეთ-იქით, და ბოლოს ფარულათ და ცბიერათ ძაგება მეტოქის საქონლისა; ეს უკანასკნელი ზომა განსაკუთრებით ხშირია კრიზისების დროს, ასეთია საშუალებები. ამნაირათ, მთელი წარმოება კერძო პირთა სუბიექტიურ ანგარიშზეა დამყარებული. თვითეულმა მრეწველმა საქონლის განსაზღვრული რიცხვი უნდა გაყიდოს, ეს საჭიროა მისი არსებობისათვის, მარა ის ცდილობს სულ მეტის და მეტის გასაღებას, რადგან ამაზეა დამოკიდებული არა მარტო ზედმეტი შემოსავალი, არამედ მეტოქეების დამარცხება, მოსპობა და მთელი ბაზრის საკუთრათ დაპატრონება. რაკი გასაღება უზრუნველყოფილია და მოთხოვნილება მატულობს, მრეწველი მეტის ენერგიით იწყებს თავის წარმოების გაფართოებას და მეტ საქონელს ამზადებს. მარა დროებითი **კარგი** პირობების გამო, ასეთსავე ენერგიულ მუშაობას იწყებენ **ყველა** კაპიტალისტები. ამრიგათ, წარმოება მალე წინ უსწრებს, აჭარბებს მოთხოვნილებას. ბაზარი უეცრათ ივსება საქონლით. მყიდველი კი არსადაა, ფასები ეცემა, წარმოება ფერხდება. წარმოების შემცირება ერთ რომელიმე დარგში—იწვევს ამ დარგის მუშების შემცირებას, მათ ხელფასის დაკლებას და ასე მომხმარებელ ძალის შესუსტებას. ამის აუცილებელი შედეგია სხვა დარგებში წარმოების გაძნელება და საქონლის გასაღების შემცირება. წვრილი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, მეტრაქტირეები, მეპურეები, ყასბები და სხვ., რომელთაც მუშები ყავდათ უმთავრეს მუშტრებათ, წინანდულათ ველარ ვაჭრობენ და კოტრდებიან.

რა შედეგები მოაქვს ასეთ კრიზისებს, ამას გვიჩვენებს უმუშევართა აღწერა ბერლინის მუშათა კავშირებისაგან 1902 წლის იანვრის ბოლოში: ბერლინში და მის გარეთ უბნებში აღმოჩნდა 70,000 სრულიად უმუშევარი და 60,000 ნახევრათ უმუშევარი; 13 თებერვალს, 1909 წელს, ბერლინის პროფესიონალურმა კავშირებმა კიდევ მოახდინეს უმუშევართა აღ-

რიცხვა, აღმოჩნდა 106,722 (92,655 მამაკაცი და 14,167 დედაკაცი) უმუშევრათ დარჩენილი. ინგლისში 1908 წელს სექტემბერში, 750,000 უმუშევარი ირიცხებოდა. ესენი იყვენ მუშები, რომლებიც სამუშაოს ეძებდენ და ვერ პოულობდენ ამ საუკეთესო ქვეყანაში. ადვილი წარმოსადგენია ამ ხალხის საბრალო მდგომარეობა.

ერთი წარმოება აწვდის მეორეს ნედლ მასალას, მეორე დამოკიდებულია მესამესაგან და ასე; მაშასადამე, ერთის გაჭირვებას გავლენა აქვს დანარჩენებზე. ერთის დაცემა, გაკოტრება ბევრ სხვასაც გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს. ძალიან ბევრს აქვს აუარებელი ვალდებულებები გაცემული წარმოების ხელშემწყობი პირობების იმედით და დღეს მათი შესრულება აღარ შეუძლია, აქედან მწვავდება კრიზისი, რომელიც თვიდან თვეზე ძლიერდება, აუარებელი დამზადებული საქონელი, იარაღები, მანქანები უქმათ დგას და ფასი ეკარგება. საქონელი ხშირათ ჩალის ფასათ იყიდება. ეს აკოტრებს, როგორც გამყიდველს, ისე მასთან ერთათ ბევრ სხვა მრეწველებსაც, რომელნიც ამით იძულებულნი არიან თავის საქონელიც საწარმოო ხარჯებზე იაფათ გაასაღონ. მარა კრიზისების დროსაც არ წყდება გამალებული მუშაობა წარმოების წესების გასაუმჯობესებლათ, რომ ამით გაუძლონ მეტოქეთა კონკურენციას, სძლიონ მათ, დაიპყრან ბაზარი; მარა ამით მხოლოდ ახალ კრიზისს უმზადებენ ნიადაგს. დაკლებულ ფასების წყალობით, რამდენიმე წლის განმავლობაში ზედმეტი დამზადებული საქონელი საღდება, კრიზისი თანდათან ნელდება და წვრილ მწარმოებელთა გაკოტრება დროებით ჩერდება. საზოგადოებაც ნელ-ნელა მაგრდება წელში, მოთხოვნილება მატულობს და მასთან ერთათ ჩაღდება წარმოება, პირველათ ფრთხილათ და თანდათანობით; მარა რაკი შეხედავენ, რომ ხელსაყრელი პირობები გრძელდება, წარსულის გაკვეთილი ავიწყდებათ და ძველი ისტორია ხელახლა მეორდება. ყველას უნდა აინაზღაუროს ის, რაც კრიზისის დროს დაკარგა და ყველას იმედი აქვს, რომ ახალი კრიზისის დადგომამდე მოასწრებს

ამას. მარა, რადგან ყველა მწარმოებელი ამ აზრით ხელმძღვანელობს და თვითეული აუმჯობესებს საწარმოო იარაღებს, რომ მეორეს **აჯობოს**, გამანადგურებელი კატასტროფა წინანდელზე უფრო ადრე დგება და მეტი სიძლიერითაც ასრულებს თავის დამარღვეველ მუშაობას. აუარებელ სამრეწველოს შეისვრის ჰაერში, როგორც ქარი ნაფოტს და ანარცხებს მიწაზე. აქედანაა წარმომდგარი ის საშინელება, რომელსაც განვიცდით ყოველ კრიზის დროს. რამდენათ ვითარდება მასსიური წარმოება და მებრძოლი კონკურენცია არა მარტო მრეწველთა შორის, არამედ მთელ ეროვნებათა შორისაც, იმდენათ ხშირია კრიზისები. წვრილი ბრძოლა მუშტრის მოსაზიდავათ— მთელი ოლქების ბაზარზე გასაბატონებლათ, თანდათან ძლიერდება და დიდ ხარჯებს მოითხოვს. აუარებელი საქონელი გროვდება მაღაზიებში, საწყობებში და აუარებელი ხალხი კი, შიმშილსა და გაჭირვებას განიცდის.

1901-მა და 1907—8 წლებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს ზემო-ნათქვამი. რამდენიმე ხნით მრეწველობის შეფერხების შემდეგ, რომლის განმავლობაში მსხვილ კაპიტალისტურ წარმოებას ზრდა არ შეუწყეტია, ჩვენ ვხედავთ მრეწველობის ძლიერ აყვავებას, რომელიც რამდენიმეთ ხელოვნურათ იყო გამოწვეული სამხედრო და საზღვაო უწყებათა შეკვეთილ სამუშაოებით. ამ წლებში აღმოცენდა აურებელი ახალი წარმოება სხვა-და-სხვა დარგის, ბევრი არსებული გაფართოვდა და გაუმჯობესდა, რომ თანამედროვე ტეხნიკის სიმაღლეზე დამდგარიყო და რაც შეიძლება მეტი საწარმოო ძალები გაეეითარებია. ამდენათვე გაიზარდა ისეთ წარმოებათა რიცხვი, რომელნიც კერძო მრეწველების ხელიდან კაპიტალისტურ ამხანაგობათა, ან აქციონერულ საზოგადოებათა ხელში გადავიდენ, რამაც შესაძლებელი გახადა მათი ერთი ათათ გაფართოვება და განაყოფიერება. მრავალი ათასი მილიონი მანეთია დაბანდებული ამ აქციონერულ საზოგადოებებში. მეორე მხრით, ყველა ქვეყნის კაპიტალისტები ცდილობენ ნაციონალურ და საერთაშორისო კავშირების დაარსებას. კარტელები, ტრესტე-

ბი სოკოსავით მრავლდებიან, ისინი აწესებენ გადაჭრილ ფასებს, ცდილობენ მოაწესრიგონ წარმოება და სარგებლობენ სტატისტიკური ცნობებით, რომ თავიდან აიცილონ ზედმეტის დამზადება და ფასების დაცემა. წარმოების მრავალ დარგებში დაარსდა ვეებერთელა მონოპოლიები მრეწველობის სასარგებლოთ და მუშების და მცხოვრებლების საზარალოთ, რომლის მზგავსი ჯერ არაფერი მოსწრებია ქვეყნიერებას. ბევრს ეგონა, რომ კაპიტალმა იპოვა საშუალება მსოფლიო ბაზარზე ყოველმხრივ გასაბატონებლათ მომხმარებელთა საზარალოთ და თავის სასარგებლოთ. მარა გარეგნული ბრწყინვალება ხშირათ თვალთმაქცურია. კაპიტალისტური წარმოების კანონები უფრო ძლიერი გამოდგა, ვინემ ყველაზე გამოცდილი და დახელოვნებული წარმომადგენელნი თანამედროვე სისტემისა, რომელნიც ფიქრობენ მის ხელმძღვანელობას და დაჩემებას. კრიზისი მაინც დატრიალდა მიუხედავათ ყველა ამ ღონისძიებებისა და ამით ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ მათი ღრმა-აზროვანი გამოანგარიშებანი სულ ფუჭია და ბურჟუაზიული საზოგადოება თავის ბედს ვერ გაექცევა.

კაპიტალიზმი ყველგან თავის გზით მიდის, რადგან ის ტყავს ვერ გამოიცვლის. ის თავის მსვლელობაში გვერდს ვერ აუხვევს ერთგვარ წესს და ამით თავდაყირა აყენებს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ-ეკონომიის კანონებს. ამ კანონების მიხედვით თავისუფალ კონკურენციას, რომელიც თავი-და-თავი საქმეა ბურჟუაზიულ საზოგადოების, უნიჭიერესი პირები უნდა წამოეყენებია წარმოების სათავეში. გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ სათავეში დგება ყველაზე სინიდის-გარეცხილი და გამოქნილი ადამიანი. აქციონერული საზოგადოებანი ახშობენ ყოველსავე ინდივიდუალობას. კარტელი და ტრესტი კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრით. ქრება, იკარგება არა მარტო კერძო მწარმოებელი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება,— თვით აქციონერული საზოგადოებაც კი მხოლოდ ერთ რგოლსლა წარმოადგენს იმ ჯაჭვისას, რომელიც ხელთ უპყრია კაპიტალისტთა კლასს, რათა სწუწნოს და ატყავოს საზოგადოება.

ერთი მუჭა მონოპოლისტები ბატონდება მთელ საზოგადოებაზე, იგი უკარნახებს მათ საქონლის ფასებს, იგი უკარნახებს მუშებს შრომისა და ხელფასის პირობებს.

ასეთი განვითარება გვიჩვენებს, რამდენათ ზედმეტია კერძო მწარმოებელი; სჩანს ისიც, რომ ნაციონალურ და საერთაშორისო საფეხურამდე ასული წარმოება—ესაა მიზანი მთელი საზოგადოების, მარა იმ განსხვავებით, რომ საზოგადოება მიისწრაფის—მოაწესრიგოს წარმოება და განაწილება მისი ნაყოფისა ისე, რომ იგი **ემსახურებოდეს არა მარტო კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს, როგორც ახლაა, არამედ მთელ საზოგადოებას.**

ეს ეკონომიური რევოლიუცია, რომელიც საშინელი სისწრაფით ადის ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განვითარების უმაღლეს საფეხურზე, ახალ, მნიშვნელოვან მოელენათა წყალობით ერთი-ორათ მწვავდება. ერთი მხრით, ჩრდილოეთ ამერიკის კონკურენციის შეუჩერებელი ზრდა წლითი-წლობით მეტ საფრთხეს უმზადებს ევროპას; ეს საფრთხეა—გარეშე ბაზრების კარგვა და შინაურ ბაზარზე მომწყვდევა; მეორე მხრით, მას უჩნდება მტრები აღმოსავლეთში, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ მეტათ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააგდებს მთელ მსოფლიოს.

კონკურენცია, როგორც ამბობს კომუნისტური მანიფესტი, დედამიწის ყოველ კუთხეში მიერეკება კაპიტალისტებს. კაპიტალისტი ეძებს ახალ ბაზარს თავის საქონლისთვის, ე. ი. ისეთ ქვეყნებს, რომლის მცხოვრებლებში მას შეუძლია შესაფერი მოთხოვნილებები გამოიწვიოს და თავის საქონელი გაასაღოს. ამ ლტოლვილების ერთ მხარეს გვისურათებს ის გატაცება, რომელსაც იჩენენ დიდი სახელმწიფოები და განსაკუთრებით გერმანია ახალშენების ძებნაში. გერმანიამ მართლა დიდი ადგილები იგდო ხელთ აფრიკაში, მარა იქ ისეთი პირველყოფილი ხალხი ცხოვრობს, რომელიც სრულიადაც არ გრძნობს ევროპიულ საქონლის საჭიროებას. ამ ლტოლვილების მეორე მხრის გამომხატველია კაპიტალისტურ კულტურის გადანერგვა

ისეთ ქვეყნებში, რომელნიც შედარებით მაღალ კულტურულ საფეხურზე დგანან, მარა კაპიტალიზმის განვითარებას არ სცნობენ და ხშირათ სასტიკ წინააღმდეგობასაც უწევენ თანამედროვე განვითარებას. ასეთია აზიელები: ინდოელები, იაპონელები, ჩინელები და სხვა. აქ საქმე ეხება ისეთ ქვეყნებს, რომელნიც მთელი დედამიწის მესამედ მცხოვრებლებს შეიცავენ და ისეთ ხალხებს, რომელნიც, როგორც მაგალ. იაპონელები, რაკი ერთხელ შეინძრევიან და მაგალითს ნახვენ,—თვითონვე ავითარებენ კაპიტალისტურ წარმოებას და თან ისეთ პირობებს მქნიან, რომელთაც საბედისწერო მნიშვნელობა ექნება ყველა პროგრესიულ ერებისთვის. მათი შრომის უნარი ეპვს გარეშეა, ეპვს გარეშეა ისიც, რომ მათ შედარებით მცირე მოთხოვნილებები აქვთ და როცა საჭიროება მოითხოვს, განსაცვიფრებელ შეგუების ნიჭს იჩენენ. ამით ძველ ქვეყანას და შეერთებულ შტატებს უჩნდება ძლიერი ეკონომიური მეტოქე, რომელიც თითქოს მოწოდებულია დაამტკიცოს, რომ კაპიტალისტური სისტემის ბატონ-პატრონობა მთელ დედამიწის ზურგზე შეუძლებელია ამ სისტემის შინაგან წინააღმდეგობათა გამო.

ერთი მეორის მოქიშპე ერები და უპირველეს ყოვლისა შეერთებული შტატები, ინგლისი და გერმანია უკვე ცდილობენ გზა მოუჭრან ერთი მეორეს და ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ ხელთ იგდონ საუკეთესო და უდიდესი ნაჭერი მსოფლიოსი. მსოფლიო ბაზარზე გაბატონებისთვის ბრძოლა თხოულობს მსოფლიო პოლიტიკის წარმოებას, ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებში ჩარევას. და რომ ჩარევა უნაყოფო წყლის ნაყვათ არ დარჩეს, საჭიროა ძალა, განსაკუთრებით სამხედრო ძლიერება ზღვაზე,—აქედან ის ვეებერთელა ფლოტი, რომლის მზგავსი აქამდე არ ყოფილა; ეს კი თავის მხრივ დიდ პოლიტიკურ კატასტროფას უქადის კაცობრიობას.

ამნაირათ, ეკონომიურ კონკურენციის ფარგლების გაფართოვებას თან სდევს პოლიტიკურ კონკურენციის ზრდა. წინა-

ალმდეგობანი ვითარდებიან, მაღლა-მაღლა მიცოცავენ საერთა-შორისო კიბეზე და ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ერთგვარ მოვლენებს, ერთგვარ ბრძოლას ბადებენ. ასეთ დაავადებულ მდგომარეობას იწვევს, როგორც ფორმა წარმოების, ისე წესი წარმოებათა განაწილების.

## 2. წვრილი ვაჭრობა და საარსებო საშუალებათა გაძვირება.

ადამიანთა საზოგადოებაში ინდივიდუმები ათასი უხილავი ძაფით არის გადაბმული ერთი მეორესთან და რაც უფრო მაღალ კულტურულ საფეხურზე დგას რომელიმე ერი, იმდენათ მეტი და მრავალფეროვანია მის წევრთა შემაერთებელი ძაფები. თუ რაიმე არევ-დარევა მოხდა, ეს ყველა წევრთათვის საგრძნობელია. წარმოების არევ-დარევას გავლენა აქვს განაწილებასა და მოხმარაზე და პირიქით.

კაპიტალისტურ წარმოების დამახასიათებელ თვისებათ ითვლება საწარმოო საშუალებათა კონცენტრაცია ვეებერთელა სახელოსნოებსა და ფაბრიკებში. განაწილებაში კი სულ წინაალმდეგი მიმდინარეობა ემჩნევა. კონკურენციის გამანადგურებელ ძალთა მიერ დამოუკიდებელ მწარმოებელთა სიიდან ამოფხეკილ ათ პირში, ცხრა მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა ჩაჩხერვას ცდილობს; ის იწყებს ვაჭრობას, რომ თავის არსებობა როგორმე უზრუნველყოს*).

აქედან თვალსაჩინოა ზრდა შუათანა კლასის: ვაჭრების, მედუქნეების, დამტარებლების და მაშასადამე, მესაშვალეების, მაკლერების, აგენტების, მეტრაქტირეების და სხვ., როგორც

*) ძველი სახელოსნოს გაუქმება არ არის ერთათ-ერთი მიზეზი იმისი, რომ საწვრილმანო ვაჭრობა არა-ჩვეულებრივათ გაერცელდა. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება მსხვილ წარმოებისკენ მიექანება, მაგრამ იმავე დროს წვრილ-წვრილ საქმეებსაც უმზადებს ნიადაგს. ახალი გამოგონებები, მაგალ. ხელს უწყობენ უფრო მსხვილი მრეწველობის განვითარებას, მაგრამ გზა-და-გზა წარმოშობენ ხოლმე წვრილფეხა ვაჭრებს. წვრილი ვაჭრობა სხვათა შორის მიტომ იზრდება, რომ ამაში თავს აფარებენ აურაცხელი უსაქმოდ დარჩენილი პირები, რომლებსაც სხვა გზით ცხოვრების იმედი აღარა აქვთ" (Neue Zeit, 25 Iahrg. 2 Band, S. (695).

ამას გვიჩვენებს სტატისტიკური ცნობები. ამ პირთა უმრავლესობა, რომელთა შორის ბევრი ქალი ურევია, ჩვეულებრივ დიდ ჯაფას ეწევიან, მარა მათი ცხოვრება მაინც ვერაფერ სანატრელ სურათს წარმოადგენს. ბევრი მათგანი თავის დასარჩენათ ადამიანთა დაბალ გრძნობებს ეყრდნობიან და მათი დაკმაყოფილებით პოულობენ საზრდოს. აქედან არა-ჩვეულებრივი განვითარება რეკლამების, განსაკუთრებით იმ სფერაში, სადაც სურვილთა და წადილთა დაკმაყოფილება აქვთ მიზნათ დასახული.

ჩვენ არ უარვყოფთ და უმაღლესი თვალსაზრისით დიდათ სასიხარულოცაა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ემჩნევა ლტოლვილება ცხოვრებით დატკბობისადმი. თანდათან ვრცელდება შეგნება, რომ ნამდვილ ადამიანათ ყოფნისათვის **საჭიროა** ადამიანური ცხოვრება და ცდილობენ დააკმაყოფილონ ეს მოთხოვნილება იმ სახით და ფორმით, რომელიც შეეფერება მათ შეხედულებას ცხოვრების სიამოვნებაზე. სიმდიდრის განაწილებაში საზოგადოება **უფრო არისტოკრატიული** შეიქნა, ვინემ წინა ეპოქებში იყო. უკიდურეს ღარიბთა და მდიდრებ შორის ახლა უფრო დიდი ზღვარია, ვინემ ოდესმე ყოფილა; თავის იდეებით და კანონებით კი საზოგადოება დღეს უფრო დემოკრატიულია*). მასსა თხოულობს სრულ თანასწორობას და ხშირათ დამახინჯებული სახით ახორციელებს მას, რადგან თავის უვიცობით სწორი გზისთვის ვერ მიუგნია; ის ცდილობს მაღლა მდგომთ წაბაძოს ყველაფერში და ეპოტინება ყველა მისთვის ხელმისაწდომ სიამოვნებას. ყოველგვარ ვნებათა აღმძვრელ საშუალებას ხმარობენ ამ ლტოლვილების საექსპლოატაციოთ, რასაც ხშირათ სამწუხარო შედეგები მოაქვს. თავის-თავათ კანონიერი მისწრაფება უმეტეს შემთხვევაში

*) პროფ. ად. ვაგნერი თავის პირველ გადაკვეთებულ რაუსის „პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელოში“ ამგვარსავე აზრს გამოსთქვამს. 361 გვ. ამბობს: „სოციალური საკითხი—ეს შეცნობილი წინააღმდეგობაა სახალხო მეურნეობის განვითარებისა და საზოგადოებრივ განვითარების პრინციპებ შორის, რომელიც მდგომარეობს თავისუფლებასა და თანასწორობაში და იდეალს წარმოადგენს პოლიტიკურ ცხოვრებაში განსახორციელებელს“.

ყალბ გზაზეა დამდგარი და ხშირათ ბოროტმოქმედებამდე მიყავს ადამიანი, საზოგადოება კი მხოლოდ თავისებურ ღონისძიებებს იღებს ამის წინააღმდეგ; შეცვლით კი არაფერს ცვლის.

მოსაშვალე ვაჭართა რიცხვის ზრდას დიდი ბოროტება მოაქვს. თუმცა ეს პირები დიდ შრომას ეწევიან, ხშირათ მწარე ჯაფაში ლევენ სულს, მარა მიუხედავათ ამისა მათი უმეტესობა მაინც პარაზიტს წარმოადგენს, რომლის მოქმედება არაფერს არ ძენს საზოგადოებას და კაპიტალისტთა კლასივით —სხვისი შრომის ნაყოფით ცხოვრობს. მოსაშვალე ვაჭართა გამრავლება აუცილებლათ იწვევს საარსებო საშუალებათა გაძვირებას. ეს სიძვირე ხშირათ იქამდე მიდის, რომ საქონელში რამდენჯერმე მეტ ფასს თხოულობენ, ვინემ თვით მწარმოებელს აქვს მასში აღებული*). მარა, როცა საქონლის ზედმეტი გაძვირება მოუხერხებელი და გამოუსადეგარია, რადგან შეიძლება მომხმარებლები დააფრთხოს, მაშინ მას ხელოვნურათ აუარესებენ: ფალსიფიკაციით, ყალბი წონით და ზომით ცდილობენ იმ მოგების მიღებას, რომელიც სხვა გზით ვერ აიღეს. ქიმიკოსი შევალიე ამბობს, რომ სასმელ-საჭმლის სხვა-

*) აკიმი ე. ზაკსი თავის თხზულებაში—„შინათ-მრეწველობა ტიურინგიაში“ მოგვითხრობს, რომ 1869 წელს 244½ მილ. გრიფელის დამზადებაში მუშებმა 122,000-დან 200,000 გულდენი აიღეს, საბაზრო ფასი კი ამ საქონლისა მომხმარებლისთვის ღირდა 1,200,000 გულდენს, ასე რომ იგი 6-ჯერ მეტი იყო იმაზე, რაც მისმა დამმზადებლებმა აიღეს. 1888 წლის ზაფხულში 5 ცენტნერი ვირ-თევზა (треска) ღირდა პირველ ხელში 5 მარკა. ნაპრობით გამყიდველი აძლევდა ნარდათ მოვაჭრეს 15 მარკას, საზოგადოება კი იხდიდა 5 ცენტნერში 25 მარკას. მეორე მხრით, აუარებელ საარსებო საშუალებებს სპობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ბაზრის ფასები ვერ ფარავენ გადატანის ხარჯებს. მაგალ., როცა ქაშაყ თევზს ბევრს იჭერენ, ხშირათ თევზით სავსე ნავს ყიდიან იქვე მიწის გასაპოხიერებლათ, მხარის შიდა ადგილებში კი ბევრს საჭმელათ ვერ შეუბედნია მისი ყიდვა. ასეთივე შემთხვევა იყო კალიფორნიაში 1900 წელს, როცა აუარებელი კართოფილი მოვიდა. როცა 1901 წელს შაკრის ფასი დაეცა, ერთი სპეციალური გაზეთი სერიოზულათ ურჩევდა მეკარხნეებს შაკრის ერთი ნაწილი წყალში ჩაეყარათ და მოესპოთ—ამით ფასები აიწევსო. ცნობილია, რომ შარლ ფურიეს მაშინ დაებადა თავის საზოგადოებრივ სისტემის იდეა, როცა ტულონის ერთ ვაჭართან შეგირდათ ყოფნის დროს ბრძანება მოუვიდა ერთი ხომალდი ბრინჯი ჩაეძირა ზღვაში, რომ ამით ბრინჯის ფასი აწეულიყო. მან სამართლიანათ იფიქრა: საზოგადოება, რომელიც ასეთ ბარბაროსულ და უაზრო საშუალებას არ ერიდება, უეკველია ყალბ საფუძველზე უნდა იყოს აგებულიო და ასე სოციალიზმის მიმდეგარი შეიქნა.

და-სხვა ფალსიფიკაციათა შორის, მან იცის 32 საშუალება ყავის ფალსიფიკაციის, 30 ღვინის, 28 შოკოლადის, 24 ფქვილის, 23 არაყის, 20 პურის, 19 რძის, 10 ერბოსი, 9 ზეითუნის ზეთის, 6 შაქრის და სხვა. უმთავრესათ მოტყუებას წვრილი მედუქნეები მისდევენ, განსაკუთრებით წინდაწინვე აწონილ საქონლის გაყიდვის დროს; ხშირათ გირვანქის მაგიერ 24 ან 26 ლოტს აძლევენ მუშტარს და ასე ცდილობენ, რაც ფასს დააკლეს, ის წონაში ერთი-ორათ აინაზღაურონ. ყველაზე მეტი ზარალი მოდის აქედან მუშებს და საზოგადოთ ღარიბ ხალხს, რომელსაც საქონელი ნისიათ გამოაქვს და ამიტომ იძულებულია ხმა-გაკმენდით ითმინოს, თუმცა ხედავს, რომ ატყუებენ. დიდათ თაღლითობენ წონაში მეპურეებიც. მოტყუება განუყრელი თანამგზავრია ჩვენი სოციალური წყობილების და ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებულებები, მაგალ. მაღალი არა პირდაპირი გადასახადები, სადამოჟნო ბაჟები და სხვ. პირდაპირ უწყობენ ხელს ამაში. არსებობისთვის ბრძოლა აიძულებს მატყუარებს მოხერხებულ საშუალებებს მიმართონ; ამასთანავე საფუძვლიანი და სასტიკი კანტროლი იშვიათათ არსებობს. იმ საბუთით, რომ ფალსიფიკაციის აღმოსაჩენათ ძვირფასი მანქანებია საჭირო, ხელს იღებენ სერიოზულ კანტროლის მოწყობაზე და ამით ზარალი ეძლევა როგორც მყიდველთ, ისე „პატიოსან ვაჭრებსაც". სადაც კი კანტროლის მოსაწყობათ ნამდვილი ზომებია მიღებული, იქ საქონლის ფასი მაღალია, რადგან დაბალ ფასათ მხოლოდ ყალბი საქონლის გაყიდვა შეიძლება.

ამ ბოროტების თავიდან ასაცილებლათ, რომელიც ყველგან და ყოველთვის ხალხის ფართე მასსას აძლევს ზარალს, — აარსებენ ხოლმე მომხმარებელ საზოგადოებებს. განსაკუთრებით გერმანიაში სამხედრო პირების და მოხელეების მომხმარებელმა საზოგადოებებმა ისეთი გავლენა იქონიეს, რომ მრავალი კერძო სავაჭროები დაიკეტა. მუშათა მომხმარებელი საზოგადოებებიც ამ უკანასკნელ 10 წელიწადში შესანიშნავათ განვითარდენ და სხვათა შორის ცდილობენ თვითონვე ამზადონ

ზოგიერთი სახმარი საქონელი. ჰამბურგში, ლეიპციგში, დრეზ-დენში, შტუტგარტში, ბრესლავში, ვენაში სამაგალითოთაა მოწყობილი ეს საზოგადოებები. წლიური შემოსავალ-გასავალი გერმანიის მომხმარებელ საზოგადოებებისა რამდენიმე ას მილ. მარკას უდრის. ამას წინეთ ჰამბურგში დაარსდა ცენტრალური საეკრო დაწესებულება, რომელიც ერთბაშათ ყიდულობს საქონელს და იაფ-ფასათ უგზავნის გერმანიის მომხმარებელ საზოგადოებებს. ეს საზოგადოებები ამით ნათლათ ამტკიცებენ, რომ მოსაშვალე სავაჭროების არსებობა სრულიად ზედმეტია. ესა და კარგი თვისების საქონლის მიწოდება—აი მათი უდიდესი ღირსება. მათი წევრები აქედან დიდათ მნიშვნელოვან ნივთიერ სარგებლობას ვერ ხედავენ და ამით შემსუბუქებული ტვირთი სრულიადაც საკმაო არ არის ცხოვრების პირობების არსებითათ გასაუმჯობესებლათ. ხანდახან თუ გამგეობა ცუდათ აწარმოებს საქმეს, წევრები ზარალშიაც ვარდებიან; მრეწველებიც ხშირათ სარგებლობენ მომხმარებელ საზოგადოებებით, რომ მუშები მიაჯაჭვონ თავიანთ ქარხანა-ფაბრიკებზე და მათი ხელფასი შეამცირონ; მარა მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება მაინც სასარგებლოა. იგი სიმპტომია იმის, რომ ფართე წრეებში შეიგნეს—მოსაშვალე ვაჭრები ზედმეტია. საზოგადოება ბოლოს და ბოლოს ისეთ ორგანიზაციას შეკრავს, რომ ვაჭართა კლასი სრულიად ზედმეტი შეიქნება და ნაწარმოები მოსაშვალეთა ხელში გაუვლელათ გადავა პირდაპირ მწარმოებლიდან მომხმარებლებზე, მხოლოდ გადამტანნი, დამნაწილებელნი იქნებიან საჭირო და ეს პირებიც საზოგადოებას ეყოლება დაქირავებული. სანოვაგის საერთოთ ყიდვასთან დაკავშირებულია მოთხოვნილება მათი საერთოთ დამზადების პირდაპირ სუფრაზე მოსატანათ, რაც თავის მხრივ ბევრ ენერგიას, ადგილს, მასალას და სხვა-და-სხვა ხელსაწყოებს დაზოგავდა.

# თ ა ვ ი XIX.

## რევოლიუცია სოფლის მეურნეობაში.

### 1. ოკეანის გალმა მხარის კონკურენცია.

მრეწველობასა და მიმოსვლის საშუალებებში მომხდარმა ეკონომიურმა რევოლიუციამ დიდი ცვლილება შეიტანა სოფლის მეურნეობის პირობებშიაც. სამრეწველო და სავაჭრო კრიზისების გავლენა სოფელსაც დაეტყო. ასი-ათასობით სოფლის ოჯახები მუშაობენ დროებით, ან მუდმივათ სხვა-და-სხვა სამრეწველო დაწესებულებებში და მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს. პირველათ იმიტომ, რომ წვრილ მეურნეთა უმრავლესობას საკმაო სამუშაო არა აქვს თავის მეურნეობაში თავისთვის და ოჯახობისთვის; მეორეთ იმიტომ, რომ მსხვილი სოფლის მეურნეობისთვის ხშირათ **უფრო სასარგებლოა სოფლის ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი მაშინვე დაამუშავონ თავისსავე მამულში და ასე მზა ფაბრიკატებათ აქციონ.** ამით ისინი თავიდან იშორებენ ნედლ მასალის, მაგალ. კარტოფილის და ხორბლის გადაზიდვის ხარჯებს, სპირტის გამოსახდელათ, ჭარხლისას—შაქრის გამოსაყვანათ და სხვა. ამით შესაძლებელი ხდება სოფლის წარმოების და სამრეწველო შრომის ერთმანეთზე გადაბმა და არსებულ მუშა ძალებით მთელი წლის განმავლობაში სარგებლობა; ამასთანავე ეს ძალა სოფელში უფრო იაფათ იშოვება და მეტ მორჩილებასაც იჩენს, ვიდრე სამრეწველო ოლქებში და ქალაქებში. ამას დაუმატეთ ისიც, რომ შენობები და ბინები სოფლათ უფრო იაფია და გადასახადები ნაკლები, რადგან მემამულეები ერთ და იმავე დროს კანონმდებელნიც არიან და ამასრულებელნიც. მათ ეკუთვნის დეპუტატთა უმრავლესობა პარლამენტში, მათ ხელშია გამგებლობა და პოლიციური ძალა. ყველა ამის გამო სოფელს მუდამ დღე ახალ-ახალი ქარხნები ემატება. ურთიერთი

გავლენა მიწათ-მოქმედებისა და მრეწველობისა, ერთმანეთზე წლითი-წლობით იზრდება და აქედან დიდი სარგებლობა აქვთ უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, მსხვილ მიწათ-მფლობელებს.

მსხვილ მიწათმფლობელობის კაპიტალისტურმა განვითარებამ გერმანიაში დაახლოვებით ისეთივე პირობები წარმოშვა, როგორიც ინგლისსა და შეერთებულ შტატებში. დღეს ველარ შეხვდებით სოფლათ იმ იდილლიურ განწყობილებას, რომელიც არსებობდა რამდენიმე ათეული წლების წინეთ. თანამედროვე კულტურა სოფლის ყველა მივარდნილ კუნჭულებში შეიჭრა. განსაკუთრებით რევოლიუციური გავლენა აქვს ამ მხრით მილიტარიზმს—გასაოცარი ზრდა მუდმივი ჯარისა, რომლის ბეგარას თავის სისხლით იხდის სოფელი, მძიმე ტვირთათ აწვება მას. ჯარისკაცთა დიდ უმეტესობას სოფლის ახალგაზრდობა იძლევა. და როდესაც სოფლის გლეხკაცის შვილი დღიური მუშა, ან მოჯამაგირე 2—3 წელს ჯარში ყოფნის შემდეგ ბრუნდება სოფლათ ქალაქის და ყაზარმის ატმოსფერით გაჟღენთილი, სადაც მას დიდი ზნეობრივი მიდრეკილებები არ შეუძენია, მას ბევრი ახალი შეხედულებები და კულტურული მოთხოვნილებები მოაქვს სოფლათ, რომელთა დაკმაყოფილებას ცდილობს მომავალშიაც. ამიტომ ის თხოულობს პირველათ ყოვლისა მეტ ხელფასს, მცირედით დაკმაყოფილების უნარი მან სამუდამოთ დაკარგა ქალაქში. უმეტეს შემთხვევაში ის არჩევს სოფელს გაშორდეს და ყოველი ცდა მისი დაბრუნებისა, რომელსაც სამხედრო მთავრობაც უქერს მხარს, უნაყოფოთ რჩება. მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება და განვითარებაც ამგვარათვე იწვევს სოფლის მოთხოვნილებათა ზრდას. ქალაქთან დაახლოვებული სოფელი ეცნობა ცხოვრების ახალ მიმზიდველ მხარეებს, ითვისებს ახალ იდეებს და კულტურულ მოთხოვნილებებს, რომელნიც წინეთ სრულიად უცნობი იყო მისთვის. აქედან იბადება უკმაყოფილება თავის მდგომარეობით. ამავე დროს სახელმწიფო, პროვინცია, თემი და სხვ. ახალ-ახალ მოთხოვნილებებს უყენებენ, როგორც

გლეხს, ისე სოფლის მუშას და ეს ერთი-ორათ აძლიერებს უკმაყოფილებას. ამას ერთვის კიდევ რამდენიმეთ მეტათ საყურადღებო მომენტი.

ევროპის სოფლის მეურნეობა, სპეციალურათ გერმანიის, წარსულ საუკუნის 70 წლებიდან თავის განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა. ამ დრომდე სახელმწიფოები სარგებლობდენ თავის სოფლის ნაწარმოებით, ან როგორც მაგალ. ინგლისს მეზობელ ქვეყნებიდან — საფრანგეთიდან და გერმანიიდან შემოქონდათ საჭირო სანოვაგე; მას აქეთ კი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. ჩრდილო ამერიკაში ამ ხნის განმავლობაში გასაოცრათ, კოლოსალურათ განვითარდა გადაზიდვის საშუალებები, ნავოსნობა, რკინის გზები და სხვა, რის გამო იქიდან შემოიტანეს ევროპაში საარსებო საშუალებები და დასცეს აქ პურის ფასი, ასე რომ სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით სხვა-და-სხვა ხორბლეულობის, შუა და დასავლეთ ევროპაში ნაკლებ მომგებიანი შეიქნა; ამასთანავე შეიცვალა ყველა საწარმოო ურთიერთობანი. რუსეთთან ერთათ, რომელიც ცდილობდა ევროპის ბაზარზე თავის პურის გაზიდვა განეევითარებია, აქ შემოვიდა პური არგენტინიდან და ინდოეთიდან. დროთა მსვლელობაში ამას ერთი სოფლისთვის სასარგებლო მოვლენაც დაერთო. ზემო-მოყვანილ მიზეზების გამო დაიწყო სოფლიდან გლეხების და მოქირავე მუშების გადასახლება; ზოგი ოკეანის იქით მიეშურება, ზოგი ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში გადადის, ასე რომ სოფელს მუშა-ხელის ნაკლებობა დაეტყო. პატრიარქალურ პირობების ნაშთებმა, რომელნიც განსაკუთრებით აღმოსავლეთ გერმანიაში არიან დარჩენილი, ცუდათ მოპყრობამ, ყოველგვარ თავისუფლების შებოჭვამ კიდევ უფრო გააძლიერა სოფლიდან გაქცევის მიდრეკილება.

რამდენათ ბევრი მუშა ხელი დაკარგა სოფელმა ამ გადასახლების წყალობით, მაგალ. 1840—1905 წლამდე, ამას დავინახავთ შემდეგი ციფრებიდან. პრუსიის პროვინციებმა: აღმოსავლეთ და დასავლეთ პრუსიამ, პომერანიამ, სილეზიამ,

პოზნანმა, საქსონიამ, შლეზვიგ-ჰოლშტინიამ, ჰანოვერმა და გოგენცოლერნმა დაკარგეს 4,049,200 სული. ამავე დროს განმავლობაში ბავარიიდან, ვიურტემბერგიდან, ბადენიდან და ელზას ლოტარინგიიდან წასულა 2,026,700 სული. ბერლინს კი ამ ხანებში შემატებია 1,000,000 ჩამოსახლებული, გამბურგს 402,000, საქსონიას 326,200, რეინის პროვინციას 343,000, ვესტფალიას 246,100.

## 2. გლეხი და მსხვილი მემამულე.

ამ ცვლილებებმა გამოიწვიეს ის, რომ სოფლის მეურნეობამ კაპიტალის მხრივაც იგრძნო ნაკლებობა; ამიტომ თუ წინეთ წარმოების განვითარება მსხვილების სასარგებლოთ იყო, თუ წინეთ მსხვილი მეურნეობა სპობდა და აქრობდა საშუალოსა და წვრილს, ახლა ბევრ შემთხვევაში წინააღმდეგმა ტენდენციამ იჩინა თავი. ცხოვრების ძალდატანების გამო სოფლის მწარმოებელნი იძულებული გახდენ ძველებური გაურყევლობა დაეგდოთ, რადგან აშკარათ დაინახეს, რომ ძველი გზით სიარული შეუძლებელია, რომ საჭიროა განძრევა და მეურნეობის ახალი წესების შემოღება. გერმანიის იმპერია და ცალკე სახელმწიფოები თავის მხრით შეეცადენ შემწეობა აღმოეჩინათ სოფლის მეურნეობის დაცემულ მდგომარეობისთვის —შესაფერი საბაჟო და სატრანსპორტო პოლიტიკით და სხვადა-სხვა მიზნით პირდაპირი დახმარების მიცემით საზოგადოების ხარჯზე. ამიტომ დღეს მიწისაგან მეტადრე საშუალო და მსხვილი მესაკუთრენი დიდ სარგებელს გამოელიან, რადგან მათი დამუშავება შეიძლება გაუმჯობესებული საშუალებით. ამიტომაც ამ უკანასკნელ წლებში საშინლად გაძვირდა მიწა.

სოფლის მეურნეობის აყვავების აუცილებელი პირობა ისაა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ისიც კაპიტალისტურ ნიადაგზე იქნეს დაყენებული. აქაც მრეწველობაზე არა ნაკლებ საჭიროა მანქანის, განვითარებულ ტეხნიკის შემოღება ადამიანის მუშა ძალის ნაცვლათ, ან მის დასახმარებლათ. ეს

ასე ხდება კიდეც, რასაც მოწმობს მანქანათა რიცხვის გამრავლება სოფლის მეურნეობაში; 1882—1895 წლამდე სასოფლო მეურნეობაში ორთქლის გუთნები ძლიერ გავრცელდენ; პირველათ იყო 836, ბოლო წელში კი—1696; სალეწ მანქანებმაც ფართოთ მოიკიდეს ფეხი: 75,690—259,364-მდე ავიდა ამათი რიცხვი. იმასთან შედარებით, რის გაკეთებაც შეიძლებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით—ეს მეტათ მცირეა და გვიჩვენებს ერთი მხრით სოფლის მეურნეობის ჩამორჩენას პრუსიაში და მეორე მხრით იმას, რომ მიწის საშუალებების სიმცირე კერძო მემამულის ხელში შეუძლებლათ ხდის მანქანების უფრო ფართოთ გავრცელებას. მანქანა თხოულობს ცოტათ თუ ბევრათ დიდ მანძილზე რომელიმე ერთი მცენარეულობის დათესვას, მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მისი რაციონალური გამოყენება. ამას ხშირათ ეწინააღმდეგება მრავალრიცხოვან წვრილ და საშუალო გლეხების მეურნეობა, მიწის პატარ-პატარა დანაწილება, ნაჭრებათ დაყოფა, რომელზედაც სხვა-და-სხვა გვარი კულტურაა შემოღებული.

როგორაა განაწილებული სოფლის დამუშავებული ადგილები გერმანიის იმპერიაში, ამას დაგვანახვებს შემდეგი ნუსხა, რომელიც კ. კაუცკის „აგრარული საკითხი"-დან არის ამოღებული:

| სოფლის წარმოება. | მეურნეობათა რიცხვი. | | | +მომატ. თუ—მოკ. | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1882 | 1895 | 1907 | 1882—95 | 1895-907 |
| 2 ჰექტ. ქვევით. | 3061831 | 3236367 | 337859 | +174536 | +142142 |
| 2 — 5 | 981407 | 1016318 | 1006277 | + 34911 | — 10041 |
| 5 —20 | 926407 | 998804 | 1065539 | + 72199 | + 66735 |
| 20--100 | 281510 | 281767 | 269191 | + 257 | — 19576 |
| 100 ზევ. | 24991 | 25061 | 23566 | + 70 | — 1495 |
| | 5276344 | 5558317 | 5736082 | +281973 | +177765 |

| სოფლის წარმოება. | რამდენი მიწა ეკირათ ჰექტარობით | | | +მომატ. თუ—მოკ. | |
|---|---|---|---|---|---|
| | 1882 | 1895 | 1907 | 1882—95 | 1895-907 |
| 2 ჰექტ. ქვევით. | 1825938 | 1808444 | 1731317 | — 17494 | — 77127 |
| 2 — 5 | 3190203 | 3285984 | 3304872 | + 95781 | + 18888 |
| 5 —20 | 9158398 | 9721875 | 10421875 | +568477 | +699690 |
| 20—100 | 9908170 | 9869837 | 9322106 | — 38333 | —547731 |
| 100ზევ. | 7786263 | 7831801 | 7055013 | + 45538 | —776788 |
| | 31868972 | 32517941 | 31834873 | +648969 | —683068 |

1907 წ. 5,736,082 წარმოება ირიცხებოდა და ამ რიცხვში 438,478-ს ხუთ-ხუთი ჰექტარი ადგილი ქონდათ; ეს უდრის 76,8 პროცენტს მთელი სასოფლო წარმოებისას. ამ მიწებზე შეიძლებოდა მხოლოდ ღარიბული ცხოვრება. ალაგ-ალაგ მიწა ძალიან ნოყიერია და ამიტომ კარგ მოსავალსაც მისცემს დამმუშავებელს, მარა ჩვენ ვერ მივიღებთ მხედველობაში ასეთ გამონაკლისს, მით უფრო, რომ 2,731,055 მეურნეობას მარტო თითო ჰექტარი და კიდევ უფრო ნაკლები მიწა უჭირავს თითოს.

მაგრამ 5 ჰექტარზე მეტიან მამულებშიც ბლომათაა ისეთები, რომელიც ნიადაგის გამოუსადეგრობისა, ან ცუდი ჰავის, თუ ცუდი გეოგრაფიული მდებარეობის, ან მიმოსვლის სიძვირისა და სხვა პირობების გამო, მძიმე და აუტანელ შრომას მოითხოვენ, რომ როგორმე გაჯახირებული წლიური საზრდო მისცენ თავის პატრონებს. გადაუჭარბებლათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფლის მეურნეთა ცხრა-მეათედს არ მოეპოვება შესაფერი ცოდნა და საშუალებები თავის მიწა-წყლის რაციონალურათ (გონივრულათ) მოსახმარათ, რაც ადვილი იქნებოდა მათში რომ ცოდნა ყოფილიყო. ამასთანავე წერილი და საშუალო გლეხი იმ ფასათ ვერ ასაღებს თავის ნაწარმოებს, რამდენიც ის ღირს, რადგან მას ჩარჩები, მოსაშვალეები ახვევია,

რომელთა ბრჭყალებიდან თავი ვერ დაუღწევია. ვაჭარი, რომელიც განსაზღვრულ დღეს და დროს ჩამოიველის ხოლმე სოფელს და რომელიც ჩვეულებრივ სხვა, უფრო მსხვილ ვაჭრებზე ყიდის სოფლათ შეძენილ საქონელს, რასაკვირველია, მხოლოდ თავის სარგებლობაზე ფიქრობს. ოჯახ-ოჯახ სიარული და ნაწილ-ნაწილათ ყიდვა მეტ ჯაფას თხოულობს, ვინემ რომელიმე მსხვილ მესაკუთრესთან პარტიობით ყიდვა, ამიტომ წვრილ და საშუალო გლეხს ის ნაკლებ ფასს აძლევს საქონელში, ვიდრე მსხვილ მეურნეს, და თუ ამასთანავე მათი საქონელი ღირსებით დაბალია, რაც ხშირი მოვლენაა მათში, მაშინ გლეხი ძალაუნებურათ უნდა ისეთ ფასს დაჯერდეს, როგორსაც ჩარჩი შეაძლევს. ამას ისიც ერთვის, რომ წვრილ გლეხს და წვრილ მოიჯარადრეს არ შეუძლია საქონლის ფასის აწევას უცადოს. მას იჯარის ფული, პროცენტები, სახელმწიფო გადასახადები და სხვ. აქვს შესატანი; მან უნდა გაისტუმროს მევალე, თავის დროზე გაუსწოროს ნისია მედუქნეებს და ხელოსნებს და სხვ. ამიტომ ის ხშირათ იძულებულია დაუყონებლივ გაყიდოს თავის ნაშრომ-ნაოფლარი, თუნდაც სრულიად გამოუსადეგარი დრო იყოს გაყიდვისთვის. როცა მიწის გაუმჯობესება უნდა პატივით, ან როცა თანამემკვიდრეებსა, ან შვილებს გამოეყოფა, საჭირო ხარჯების დასაფარავათ იგი ჩვეულებრივ იძულებულია თავის ნაჭერი მიწა დააგირაოს; მარა კრედიტორები სოფლათ ცოტაა; არჩევანი გლეხის ხელთ არაა და ამიტომ დაგირავების პირობები ყოველთვის მისი საზარალოა. მას მძიმე ტვირთათ აწევება დიდი სარგებელი და ვალის გადახდის განსაზღვრული ვადები; მოუსავლობას ან ნათესის შეურჩევლობას შეუძლია გაკოტრების კარზე მიაყენოს მისი მეურნეობა. ხშირათ სოფლის ნაწარმოებთა მყიდველი და ფულის მსესხებელი ერთი და იგივე პირია და მაშინ გლეხი სულ-ხორციანათ უვარდება ხელში თავის მევალეს. მთელი კუთხის და ოლქის გლეხები ყავთ ამნაირათ ხელში ჩაგდებული სოფლის ჩარჩებს; ასეთია გლეხები, რომელნიც ამუშავებენ სვიას, ღვინოს, თამბაქოს და მწვანილეულობას სამხრეთ

გერმანიაში, ან რეინზე და საზოგადოთ წვრილი გლეხობა შუა გერმანიაში. გირავნობის ფურცლის პატრონი სწუწნის მათ სისხლს, ის განზრახ სტოვებს მათ თავიანთ თითის სიგრძე ნაპრებზე, რომელნიც ფაქტაურათ მათ აღარ ეკუთვნის. ამ კაპიტალისტურ წურბელას ასეთი თარეში უფრო სასაგებლოთ მიაჩნია, ვინემ მიწის ჩამორთმევა და მაზე საკუთარი მეურნეობის დაწყება, ან მისი გაყიდვა. ამნაირათ, ათასობით ვითომც მესაკუთრე გლეხები ნამდვილათ დიდიხანია მოკლებული არიან ყოველივე საკუთრებას. მსხვილი მიწათ-მფლობელიც, რომელსაც მეურნეობის გაძღოლა არ შეუძლია, ან ცუდ პირობებში აქვს მიწა შეძენილი, მალე უვარდება ხელში შეუბრალებელ კაპიტალისტს. კაპიტალი ეპატრონება მიწას და რომ ორკეცი სარგებელი გამოაღებინოს მას, ხშირათ ყოფს დიდ მამულს პატარ-პატარა ნაპრებათ, ყიდის თვითეულ ნაპერს ცალკე და აქედან ბევრათ მეტ ფასს იღებს, ვინემ ერთათ გაყიდვით მიიღებდა. ამასთანავე, წვრილ მიწათ-მფლობელთა გამრავლებით ნიადაგს იმზადებს ჩარჩულ ხელობის გასაგრძობათ. ცნობილია, რომ ქალაქებშიაც ის სახლები მეტ შემოსავალს იძლევა, რომელიც ბევრ პატარ-პატარა ბინებათაა დაყოფილი. მცირე ნაპრებათ დაყოფილ მამულს, უმთავრესათ ღარიბი მყიდველები იძენენ და თუ მათი რიცხვი ბევრი არაა, კეთილის მყოფელი კაპიტალისტი მოზრდილ ნაპრებსაც აძლევს მათ; და თუ მთელ ფასს ვერ ჩაუთვლიან ხელში, გადაუხდელ ნაწილში ზორბა პროცენტების ზედართვით მთელ გაყიდულ მამულს იგირავებს. და ძაღლის თავიც სწორეთ აქაა დამარხული: თუ წვრილ მემამულეს ბედმა გაუღიმა და მთელი თავის ძალღონის ზედშელევით საკმაო შემოსავალი გამოაღებინა თავის ნაპერ მიწას, ან სადმე იაფი სესხი იშოვა ხომ კარგი, თუ არა და მამულს უნდა გამოეთხოვოს.

როცა წვრილ გლეხკაცს, ან მოიჯარადრეს რამდენიმე მსხვილფეხა შინაური პირუტყვი უკვდება, ეს მისთვის დიდი უბედურებაა. როცა ქალიშვილს ათხოვებს, ესეც ვალათ აწვება და თან ოჯახს იაფი მუშა-ხელი აკლდება. როცა შვილი

დაკოლშვილდება, იგი თავის კუთვნილ მიწას ან შესაფერ სასყიდელს მოითხოვს. ხშირათ ის იძულებულია ნიადაგის გაპოხიერებაზე ხელი აიღოს და თუ საკუთარი პირუტყვის ნაკელი არ ყოფნის, რაც ძალიან ხშირი მოვლენაა, მოსავალი კლებულობს, რადგან ნაკელის საყიდელი თანხა არ მოეპოვება. ხშირათ მას იმის საშუალებაც არ მოეძებნება, რომ საუკეთესო თესლი შეიძინოს, ან მანქანების უპირატესობით ისარგებლოს; ნათესის შეცვლა ისე, როგორც მისი ნიადაგის ქიმიურ შედგენილობას შეეფერება, მისთვის უმეტეს შემთხვევაში ხელმიუწდომელია. მას არ შეუძლია აგრეთვე ისარგებლოს იმ უპირატესობით, რომელსაც იძლევა მეცნიერება და გამოცდილება, რომ საქონლის მოვლა-მოშენებას ბარაქა დაატანოს. შესაფერ საზრდოს სიმცირე, შესაფერ ბაგის და სხვა საჭირო მოწყობილობის უქონლობა,—ყველა ეს ხელს უშლის მას ამაში. ამნაირათ, აუარებელი სხვა-და-სხვა მიზეზები უძნელებენ წვრილსა და საშუალო გლეხკაცს არსებობას*).

სულ სხვას ვხედავთ მსხვილ სასოფლო მეურნეობაში, რომელიც რამდენიმე დამოუკიდებელ მეურნეობას შეიცავს, მარა აუარებელი ადგილები კი უჭირავს. ზემო-მოყვანილ სტატისტიკიდან სჩანს, რომ 23,566 მსხვილ მეურნეობას ქონია 7,055,013 ჰექტარი დასამუშავებლათ გამოსადეგი ადგილმამული, ე. ი. 2,019,824 ჰექტარით მეტი 4,384,786 წვრილ მეურნებთან შედარებით, რომელთაც თვითეულს 5 ჰექტარზე მეტი მიწა არ მოეპოვებათ.

მაგრამ დამოუკიდებელ მეურნეობათა, ან სამრეწველოთა სტატისტიკა არ ეთანხმება მიწის-მფლობელთა სტატისტიკას. მაგალ. 1895 წელს იყო 912,958 წმინდა საიჯარო მეურნეობანი სხვა-და-სხვა სიდიდისა; 1,694,251-ს მხოლოდ მიწის ნაწილი ქონდათ კერძო საკუთრებათ, ნაწილი იჯარით აღებული და 983,913 მეურნე კი, სხვა-და-სხვა სახით სარგებლობდა მიწით, მაგალ. ზოგიერთი სამსახურისათვის, ან როგორც თემის წევრი და სხვ.; ზოგიერთ კერძო პირებს კი პირ-

*) Hofer, Neue Zeit 1908—9, 2 Band.

იქით—მრავალი ცალ-ცალკე მდებარე მამულები და მეურნეობები აქვთ საკუთრებათ. ყველაზე მსხვილ მიწის მესაკუთრეთ გერმანიაში პრუსიის კაროლი ითვლება, რომელსაც 83 მამული აქვს, სივრცით 98,740 ჰექტარი, მას მოსდევს:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თავ. ფონ-პლესი | 75 | მამული, | რომელიც | შეიცავს— | 70,170 ჰექ. |
| გოგენც. ზიგმარინგენი | 24 | მამ. | „ | „ —59,968 | „ |
| ჰერცოგი ფონ-უესტი | 52 | „ | „ | „ —39,742 | „ |
| თავ. ფონ-გოგენ. ერინგენი | | | „ | „ —39,365 | „ |
| „ „ რატიბერი | 51 | „ | „ | „ —33,096 | „ |

1895 წელს პრუსიაში იყო 145 ფიდეიკომისი*), რომელიც შეიცავდა 2,121,636 ჰექტარს, ე. ი. 6,09% მთელი ამ მხარის მიწისას. ეს 145 ფიდეიკომისი ეკუთვნის 939 მფლობელს და სივრცით 206,000 ჰექტარით მეტია ვიურტემბერგის საკოროლოზე, რომელიც მხოლოდ 1,915,000 ჰექტარს შეიცავს, 1903 წ. 1034 მესაკუთრის ხელში იყო 1152 ფიდეიკომისი; ამნაირი მიწები 1903 წელს შეიცავდენ 2,197,115, 1904 წ. 2,232,592 ჰექტარს. ამათში 90% შეადგენდა განსაზღვრულ ნაწილებს და თითო მათგანში 1000 ჰექტარი იყო შეერთებული. 10 პროცენტს ფიდეიკომისთა მესაკუთრეებისას 5000 ჰექტარი თავისუფალი მიწა ქონდა ხელში და ამას გარდა ისინი ფიდეიკომისების 53,3 პროცენტსაც პატრონობდენ. საშუალო და მსხვილი მიწათ-მფლობელნი ბუნებრივათ დაინტერესებულნი არიან არსებული წყობილების შენარჩუნებაში; სულ სხვაა წვრილი მიწის მესაკუთრენი, რომელნიც არსებულ ურთიერთობათა რაციონალურათ გარდაქმნისაგან ბევრ სარგებლობას ნახავდენ. მსხვილი საკუთრების ბუნება ისეთია, რომ იგი მუდამ ისწრაფვის გაფართოვდეს და დაიპყროს გარეშემო ადგილები. მართლაც, ზემო სილეზიიდან, ლაუზიციდან, ჰე-

*) ფიდეიკომისები ეწოდება ისეთ მამულს, რომლის მემკვიდრეობა და გადაცემა განსაკუთრებულ კანონებს ემორჩილება. ფიდეიკომისები გადადის მხოლოდ ამავე გვარის კაცთა ხელში უფროს შვილზე. მათი გაყიდვა ან დაგირავება აკრძალულია. ასეთია რუსეთში „заповѣдныя имѣнія“ („საანდერძო მამულები“).

მთარგ.

სენის საჰერცოგოდან და სხვ. არა ერთხელ მოსულა ცნობები მსხვილ მესაკუთრეთაგან გლეხთა აუარებელ მიწების შეყიდვის შესახებ.

ავსტრიაში მსხვილი საკუთრება ბევრათ უფრო გავრცელებულია, ვინემ გერმანიაში და კერძოთ პრუსიაში. ავსტრიაში უმაღლეს არისტოკრატიასა და ბურჟუაზიასთან ერთათ, მიწის დიდი ნაწილი ეკუთვნის რომის ეკკლესიას. გლეხთა უმიწაწყლოთ დატოვება აქ ხშირი მოვლენაა. შტირიაში, ტიროლში, ზალცბურგში, ზემო და ქვემო ავსტრიაში გლეხებს ყოველი ღონისძიებით ერეკებიან თავის მიწა-წყლიდან მსხვილი მემამულეები და მათ ქონებას თვითონ ეპატრონებიან. რაც ხდებოდა ოდესღაც ირლანდიასა და შოტლანდიაში, იმასვე ვხედავთ დღეს ავსტრიის საუკეთესო ადგილებში. კერძო პირები და საზოგადოებები აუარებელ მიწებს ყიდულობენ და რის ყიდვაც დაუყოვნებლივ არ შეიძლება, იმას იჯარით იღებენ და სანადირო ადგილებათ აქცევენ; მთის პირის, ღელემინდვრების და სოფლის შესავალი ადგილები დაჭერილი აქვთ ამ ახალ ბატონებს და ყველა ურჩ მეპატრონეს, რომელსაც. არ სურს თავის კარმიდამოს და სახნავ-სათესს გამოეთხოვოს, ყოველგვარ შევიწროვებას აყენებენ, რომ საკუთრების გაყიდვა აიძულონ. ძველი, დამუშავებული ნიადაგი, რომლის ნაყოფით არა ერთი და ორი თაობა ცხოვრობდა ათას წლების განმავლობაში, ამ ვაუბატონების ხელში ისევ პირველყოფილ მდგომარეობას უბრუნდება და შვლებითა და ქურციკებით ივსება; მთები კი, რომლებსაც კეთილშობილი ბურჟუა-კაპიტალისტები თავის საკუთრებას ეძახიან, გარეულ თხების ჯოგთა სამეფოთ არის გადაქცეული. არა ერთი სოფლის საზოგადოება ვარდება სილატაკეში იმის გამო, რომ შეძლება არა აქვს ალპის მთის საძოვრებზე გარეკონ საქონელი, ხშირათ კი იმიტომ, რომ გარეკის ღუფლებას ართმევენ. მერე ვინ არიან ეს ვაუბატონები, რომელნიც სპობენ გლეხთა საკუთრებას და დამოუკიდებლობას? აქ როტშილდთან და ბარონ მეიერ-მელგობთან ერთათ მოქმედებენ ჰერცოგები კობურგისა და მეინინ-

გენისა, თავადები და პრინცები ფონ-გოგენლოები და თავად ლიხტენშტეინი, ჰერცოგი ბრაგანცა, თავ. როზენბერგი, თავ. ფონ-პლესი, გრაფები შენფელდი, ფესტეტიკსი, შაფგოტში, გრაუტმანს დორფი, მონადირეთა საზოგადოებანი და სხვ. ყველგან მსხვილი მიწის საკუთრება იზრდება და ვითარდება.

1875 წელს, მაგალ. ქვემო ავსტრიაში იყო ცხრა მიწათ-მფლობელი, რომელთაგან თვითეულს 5000-ზე მეტი იოხი ეკუთვნოდა; ეს შეიცავს 89,490 ჰექტარს. 1895 წელს კი 24 მესაკუთრეს 213,574 ჰექტარი მიწა ქონდათ. მთელ ავსტრი-აში მსხვილ მიწათმფლობელობას ეკუთვნის 8,700,000 ჰექტ., მაშინ, როდესაც წვრილი მესაკუთრეების ხელში 21,300,000 ჰექტარი მიწაა. 297 ოჯახი ნაანდერძევ მიწას (ფიდეიკომისი) პატრონობს, რაც შეადგენს 1,200,000 ჰექტარს. ერთი მხრით ვხედავთ მილიონამდე წვრილ მესაკუთრეებს, ესენი 71 პრო-ცენტს ამუშავებენ მთელი მიწისას; მეორე მხრით, რამოდენიმე ათას მსხვილ-მფლობელს მთელი ავსტრიის 29 პროცენტი მი-წა უჭირავს. გამდიდრებული მიწათ-მფლობელები მოიპოვებიან ყველგან, სადაც კი არსებობს გადასახადის გამწესრიგებელი მართველობა. ორიოდე მსხვილი მესაკუთრე ბატონობს ხშირათ ამა თუ იმ ოლქში, ესენი უძღვებიან წინ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. თითქმის ნახევარმა ყველა მსხვი-ლი მესაკუთრეებისამ სულ რამოდენიმე ოლქში მოიხვეჭა სიმ-დიდრე. ბევრმა მათგანმა ეს ე. წ. სამეფო პროვინციებში (коронныя земли) შეიძინა. ქვემო ავსტრიაში, ბოგემიაში, სილეზიაში და მერიაში ვერ ნახავთ ახლა ისეთ ოლქს, რომ იქ ორი-სამი მსხვილი მფლობელი არ იჯდეს. მრეწველობამ მოიგერია ის ცოტაოდნათ, მაგალ. ჩრდილო ბოგემიაში და ბოგემია—მერის საზღვარზე. სხვაგან კი მსხვილი მიწათმფლო-ბელობა ფართოვდება, მაგალ. ზემო-ავსტრიაში, სადაც შედა-რებით შეძლებული გლეხობა ცხოვრობს, აგრეთვე გერცში, გრადისკაში, შტეიერმარკში, ზალცბურგში, გალიციაში და ბუკოვინაში. ნაკლებათ იზრდება ეს საკუთრება იმ ადგილებში, სადაც დიდიხნიდან მსხვილი მიწათმფლობელები მეფობენ, ამათ

საკუთრებას არაფერი აკლდება, არც ემატება. ასეა მაგალ. ბოგემიაში, მერიაში, სილეზიაში და ქვემო-ავსტრიაში.

ქვემო ავსტრიაში სულ 1,982,300 ჰექტარი მიწაა. აქედან მსხვილ მფლობელებს (393 სულს) 54,655 ჰექტ. ეკუთვნით, ეკლესიის საკუთრებას შეადგენს 79,181 ჰექტარი. 13 საკუთრება უდრის 425,079 ჰექტარს, ე. ი. 9 პროც. მთელი მიწისას, აქედან მარტო ერთი გრაფის ხელში 33,124 ჰექტარია. მერიაში არის სულ 2,281,220 ჰექტარი მიწა, აქედან ეკლესიის ხელშია 81,857 ჰექტარი (3,8%), 116 მსხვილი საკუთრება შეიცავს გაცილებით მეტ მიწას, ვიდრე 500,000 წვრილი საკუთრება ათ-ათი ჰექტარიდან შემდგარი,—ესენი 92,1 პროცენტს შეადგენენ მთელი საკუთრებისას. ავსტრია-სილეზიაში სულ არის 514,677 ჰექტარი მიწა, ეკლესიას აქედან 50,845 ჰექტარი ეკუთვნის, 204,118 ჰექტარია 79 მესაკუთრის ხელში. ბოგემიაშია 5,194,500 ჰექტარი და დაახლოვებით 1,237,085 მსხვილი მფლობელი. აქ მიწა ერთი მხრით წვრილ ნაკრებათ არის დანაწილებული, მეორე მხრით ძალიან გაფართოვებულია მსხვილი საკუთრება. არის საკუთრება ნახევარ ჰექტარზე ნაკლები, ყველა ეს პატარა ნაკრები რომ შევაერთოთ, მივიღებთ 43 პროცენტს მთელი საკუთრებისას. არის მეორენაირი საკუთრებაც—5 ჰექტარამდის; ამისთანა ნაკრებია მესაკუთრეთა ოთხი მეხუთედის ხელში. ეს 70,577 საკუთრება (81%) შეიცავს სულ 12,5 პროცენტს მთელი ბოგემიის მიწისას. მეორე მხრით—35,6 პროცენტი 776 პირს ეკუთვნის,—ესენი კი მარტო 0,1 პროც. შეადგენენ ყველა მესაკუთრეებისას. უფრო ნათლათ წარმოვიდგენთ მიწის განაწილებას, თუ ავიღებთ მსხვილ ნაკრებს—200 ჰექტარზე მეტს. მაშინ თვალწინ გადაგვეშლება შემდეგი სურათი;

| | | ჰექტარი. | ყვ. ერთათ. |
|---|---|---|---|
| 380 | პირს აქვთ სათითაოთ | 200 — 500 | 116143 |
| 141 | „ „ „ | 500 —1000 | 101748 |
| 104 | „ „ „ | 1000—2000 | 150567 |
| 151 | „ „ „ | 2000-ზე მეტი | 1436084 |

უკანასკნელ ჯგუფში არის 31 მესაკუთრე,—თვითეულ მათგანს აქვს 5000—10,000 ჰექტარი მიწა; აქვე არის 21 მესაკუთრე—თვითეული მათგანი პატრონობს 10,000—20,000 ჰექტარ მიწას. არიან კიდევ უფრო მსხვილი მესაკუთრეებიც, მაგალ. თავ. ლობკოვიცი, ფერდ კინსკი, კარლ შვარცენბერგი, ალფრედ ვინდიშგრეცი, გრაფი ვალშტეინი, იოგ. ჰარახი, კარლ ბუკოვი—ამათ სათითაოთ 20,000—30,000-მდე ჰექტ. მიწა აქვთ. კლამ-გალანს, სარ. კცერინს ამაზე მეტიც აქვთ. თავ. ლიხტენშტეინს 36,189 ჰექტარი ეკუთვნის, თავ. ფიურსტემბერგს 39,162 ჰექტარი, თავ. მანსფელდს 57,691 ჰექტ., შვარცენბერგს 177,310 ჰექტარი=3,4% მთელი მიწის. სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს 35,873 ჰექტარი. ეს 64 მსხვილი მიწათ-მფლობელობა სულ შეიცავს 1,082,884 ჰექტ. =20,9 პროცენტს მთელი ბოგემიის მიწისას. ეკლესიას ეკუთვნის 150,395 ჰექტარი=3 პროცენტი.

ასე იყო საკუთრება განაწილებული 1896 წ., მას აქეთ კიდევ უფრო გაღრმავდა უთანასწორობა. 1902 წლის აღრიცხვიდან სჩანს, რომ 18,437 წარმოება (0,7 პროც. საერთო რიცხვის) შეიცავდა 9,929,920 ჰექტარს—ერთ მესამედს მთელი მიწისას.

შვარცის ოლქის 7 და ცელლის ოლქის 16 მთის კალთა, სადაც წინეთ საძოვრები იყო, დღეს **სანადირო ადგილებათაა** გადაქცეული ახალ მეპატრონეთაგან. მთელი კარლენდელევის ვაკიანი მთების საბალახოები დახშულია შინაურ პირუტყვებისათვის. ავსტრიის უმაღლესმა თავად-აზნაურობამ გერმანიის მდიდარ ბურჟუებთან ერთათ შეისყიდეს მთიან ადგილებში 70,000 იოხზე მეტი მიწა და ერთიანათ სანადიროთ გაუშვეს. მთელი სოფლები აყარეს, მრავალი სახლკარი დაანგრიეს, მცხოვრებლები გარეკეს და ადამიანის და შინაური ოთხფეხის მაგიერ ქურციკები, ირმები და გარეული თხები გააშენეს. ბევრი იმითგანი, რომელნიც ასე ულმობელათ აველურებენ მთელ პროვინციებს, შემდეგ გამოდიან პარლამენტებში და გაცხარებული ლაპარაკობენ გლეხთა გაჭირვებაზე; ამავე დროს

კი ბოროტათ ხმარობენ თავის გავლენას, რომ ღარიბების ხარჯზე სახელმწიფო დახმარება მოიპოვონ შემოტანილ პურზე, ხეზე, საქონელზე, ხორცზე—ბაჟების დადებით, არაყის მხდელ კაპიტალისტებისთვის ჯილდოს მიცემით და სხვ.

უფრო პროგრესიულ სამრეწველო სახელმწიფოებშიაც ისპობა წვრილი წარმოება, მაგრამ არა გაბატონებულთა კლასის ფუფუნებისა და განცხრომის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, არამედ მეურნეობის კაპიტალისტურ ნიადაგზე დასაყენებლათ, რათა მიწას მეტი სასარგებლო ნივთიერება გამოაღებინოს და ასე, გამრავლებულ მცხოვრებთ საზრდო მიაწოდონ. ასეთ პირობებს ვხედავთ პირველ ყოვლისა ბელგიაში, სადაც მრეწველობა უმაღლეს ხარისხამდეა განვითარებული. ემილ ვანდერველდეს თავის წერილში: „მიწის საკუთრება ბელგიაში“ 1834—1894 წლამდე, შემდეგი ცნობები მოყავს „Annuarie statistique“-დან: შემცირდა მხოლოდ წვრილ მეურნეთა რიცხვი, რომელთაც 5 ჰექტარზე ნაკლები მიწა ქონდათ, განსაკუთრებით იმათი, რომელთაც 2 ჰექტარიც არ მოეპოვებოდა. იმ მეურნეთა რიცხვს კი, რომელთაც 10 ჰექტარზე მეტი უჭირავთ, პირიქით მოემატა 3789 სული. აქ ნათლათ ვხედავთ მიწის საკუთრების კონცენტრაციას, რომელიც უფრო შეეფერება მსხვილ სასოფლო-სამეურნეო პროგრესს და რაციონალურ საქონლის მოშენებას. 1880 წლიდან დაიწყო სრულიად წინააღმდეგი მოძრაობა მეურნეობაში, ვინემ 1866—80 წლებში იყო. 1880 წელს არსებობდა 910,396 დამოუკიდებელი სოფლის მეურნეობა, 1895 წელს კი მათი რიცხვი არ აღემატებოდა 29,625-ს; ამგვარათ, 15 წლის განმავლობაში გამოაკლდათ 80,771 წარმოება, ე. ი. 9 პროც. და ეს გამოკლება შეეხო უმთავრესათ წვრილ მეურნეებს, რომელთაც 5 ჰექტარზე ნაკლები უჭირავთ. 5—10 ჰექტარიან მეურნეთა რიცხვს კი პირიქით მოემატა 675-ი, 10—20-მდე მოემატა 2168, 20—30 ჰექ. 414, 30—40 ჰექ. 164, 40—50 ჰექ. მოემატა 187, 50 ჰექ. ზევით კი—181.

## 3. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის.

ნიადაგის შედგენილობას და დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურის განვითარებისათვის. მიწასა და მის ნაყოფზეა დამოკიდებული უპირველეს ყოვლისა მცხოვრებთა არსებობა. მიწის მომატება-გადიდება თავის სურვილისამებრ შეუძლებელია, მით უფრო საჭიროა ის ყველასათვის, ვინც სარგებლობს მითი და ამუშავებს მას. გერმანიამ, რომელსაც ყოველ-წლიურათ ემატება დაახლოებით 750,000 სული მცხოვრები, ბლომა პური და ხორცი უნდა შემოიტანოს გარედან, თუ სურს, რომ ამ აუცილებელ საგნების ფასი მასსისთვის ხელმისაწდომი იქნეს.

მარა აქ თავს იჩენენ ერთი-მეორის წინააღმდეგი ინტერესები სამრეწველო და მიწათმომქმედი მცხოვრებლების. ვინც მიწათმოქმედებაში არაა ჩაბმული, მისი ინტერესია საარსებო ნივთები იაფათ იყიდოს, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი კეთილდღეობა, როგორც ადამიანის და როგორც მრეწველობაში, ან ვაჭრობაში ჩაბმული პირის. საარსებო საშუალებათა გაძვირება ნიშნავს გამოკვების პირობათა გაუარესებას მცხოვრებთა დიდი ნაწილისთვის, რომელიც მიწათმოქმედების ნაყოფს ყიდულობს, თუნდაც მათი ხელფასი და სხვა შემოსავალიც შესაფერათ გაიზარდოს. მუშათა ხელფასის მომატება იწვევს სამრეწველო ნაწარმოებთა ფასის მომატებას და ამას კი მსოფლიო ბაზრის განსაზღვრულ პირობებში ხშირათ გასაღების შემცირება მოყვება. ხოლო თუ ხელფასი და სხვა შემოსავალი არა სოფლის მეურნეთა არ აწეულა სოფლის ნამუშევრის გაძვირებასთან ერთათ, მაშინ, ცხადია, მათი მოთხოვნილების ერთი ნაწილი დაუკმაყოფილებელი უნდა დარჩეს და ამით პირველათ ყოვლისა მუშტარი მოაკლდება მრეწველობასა და ვაჭრობას.

მიწათ-მფლობელის საქმე კი სულ სხვაა. როგორც მწარმოებელი, ის დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი მოგება

ნახოს თავის საქმიდან და მისთვის სულ ერთია, რომელი ნაწარმოები მოუტანს ამას. თუ საზღვარგარეთელი პურის შემოტანა უშლის მას პურის წარმოებიდან სასურველი მოგების მიღებას, ის თავს ანებებს პურს და სხვა ნაწარმოების დამუშავებას მიყოფს ხელს, რომლისაგანაც მეტ მოგებას მოელის. პურის და ქერის მაგიერ ჰარხალს მოიყვანს შაქრის დასამზადებლათ, ან კარტოფილს—სპირტის გამოსახდელათ. ყველაზე ნოყიერ მიწებზე თუთუნს დარგავს—ბოსტან-ბაღების გაშენების მაგიერ. სხვები ათასობით ჰექტარს სტოვებენ საბალახოთ ცხენებისთვის, რადგან ცხენებს დიდი ფასი აქვთ, როგორც სამხედრო საქმეში გამოსადეგთ. მეორე მხრით, ვეებერთელა, გაუალი ტყეები, რომლებიც შეიძლებოდა გაეჭრათ და საყანეთ აეღოთ, ხელუხლებელი დგანან გამოჩენილ ბატონთა სანადიროთ, გასართობათ; და ეს ხდება ისეთ ადგილებში, სადაც რამდენიმე ასი ჰექტარის გაჭრა და დათესვა არავითარ ცუდ გავლენას არ იქონიებდა ჰავაზე.

ამნაირათ, შეიძლებოდა გერმანიაში 1000 ოთხ-კუთხი კილომეტრი ნოყიერი მიწის გამოყენება სახნავ-სათესათ. მარა ამას ეწინააღმდეგება ნივთიერი ინტერესები მოხელეთა ერთი ნაწილისა—ტყის მცველებისა და ნადირობის სურვილი მსხვილი მემამულეების, რომელთაც არ უნდათ თავის სანადირო ადგილებსა და ნადირობით გართობაზე ხელი აიღონ. რომ ასეთ ტყის გაჭრას მხოლოდ იქ უნდა ექნეს ადგილი, სადაც იგი მართლა მოიტანს სარგებლობას—ეს თავის-თავათ ცხადია. მეორე მხრით, შეიძლება ბევრი ადგილების, განსაკუთრებით მთა-გორიანი და ვერანა მიწების გაშენება ტყით, რაც მთელი მხარისთვის დიდათ სასარგებლო იქნებოდა.

ხშირათ უარყოფენ ტყის სერიოზულ მნიშვნელობას წყლების და სინესტეს შენახვაში, ეს აშკარა უსამართლობაა. რამდენათ დიდი გავლენა აქვს ტყეს სინესტესა და წყლების შენახვაზე და ამით ნიადაგის ნაყოფიერებაზე, ამას გვიმტკიცებს სარწმუნო ცნობები, რომელიც პარვუსის და აქიმ ლემანის წიგნშია მოყვანილი — „დამშეული რუსეთი“. ავტორები საკუ-

თარ გამოცდილებით ამტკიცებენ, რომ უგეგმოთ და უთავბოლოთ, უანგარიშოთ ტყის გაჩეხა რუსეთის საუკეთესო მოსავლიან პროვინციებში, ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მოუსავლობისას, რომლისაგან ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში, სისტემატიურათ იმშევა ეს წინეთ ნაყოფიერი ქვეყანა. სხვა მრავალ ფაქტებთან ერთათ ისინი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში სტავროპოლის მაზრაში დამშრალა 5 პატარა მდინარე და 6 ტბა, ბუზულუკის მაზრაში 4 მდინარე და 4 ტბა, სამარის მაზრაში 6 პატარა მდინარე, ბუგულსლანის მაზრაში 2. ნიკოლაევის და ნოვოუზენის მაზრაში 4 მდინარეს ნაკელით აგუბებენ და ასე ძალის-ძალათ აჩერებენ გაპარვისაგან. ბევრი სოფლები, რომელნიც წინეთ წყლის ნაპირებზე იყვენ გაშენებული, დღეს უწყლოთ არიან დარჩენილი და ჭის წყალიც კი მხოლოდ 45—60 მეტრის სიმაღლეზე ამოუდისთ. ამის გამო ნიადაგი მაგარია და სქდება. ტყის გაჩეხვისაგან დაშრა წყაროები და შემცირდა წვიმები.

მიწის კაპიტალისტურ ექსპლოატაციას კაპიტალისტური წესები შემოაქვს მეურნეობაში. აქაც მოგებაა გაბატონებული. სოფლის მეურნეთა ერთ ნაწილს ჩვენში დიდიხნის განმავლობაში, შესანიშნავი მოგება ქონდა ჭარხლის მოყვანის და მასთან დაკავშირებულ შაქრის წარმოებისაგან. გადასახადის სისტემაც ხელს უწყობდა შაქრის გაზიდვას საზღვარ-გარეთ, რადგან ჭარხალზე დადებული გადასახადების და შაქრის ბაჟების დიდი ნაწილი საზღვარ-გარეთ გატანის დროს ჯილდოს სახით უბრუნდებოდათ მრეწველებს. ხშირათ შაქრის მწარმოებელნი გატანისათვის მეტ ჯილდოს იღებდენ, ვიდრე თვითონ იხდიდენ ჭარხლის ბაჟათ. და ასეთი ჯილდოს წყალობით, რომელიც შინაურ გადამხდელთ აწვებოდათ კისერზე, ისინი საზღვარ-გარეთ იაფათ ასაღებდენ აუარებელ შაქარს და აღებული ფულით აფართოვებდენ ჭარხლის პლანტაციებს. აქედან შაქრის მექარხნეებს ყოველ-წლიურათ 31 მილ. მარკა (მარ. 40 კ.) მოგება რჩებოდათ. რამდენიმე ასი-ათასი ჰექტარი მიწა, სადაც წინეთ პური, ქერი და სხვ. ასეთები მოყავდათ, ჭარხლის პლან-

ტაციებათ აქციეს და ფაბრიკას ფაბრიკაზე აშენებდენ; ამის შედეგი იყო—კრიზისი და გაკოტრება. ჰარხლის წარმოების დიდმა მოგებამ გავლენა იქონია მიწის ფასებზედაც, ფასმა აიწია. ამას მოყვა წვრილი საკუთრების შემცირება, რადგან წვრილი მესაკუთრენი დიდ ფასებს დაეხარბენ და სიხარულით თანხმდებოდენ თავის ადგილ-მამულის გაყიდვას. საუკეთესო მიწები სავაჭრო სპეკულიაციის საგნათ გადაიქცენ. პურსა და კარტოფილს მხოლოდ დაბალ ხარისხის მიწებზე-ღა სთესავდენ, რის გამო მალე საჭირო შეიქნა ამ ნაწარმოებთა უცხოეთიდან შემოტანა. ბოლოს და ბოლოს ჯილდოს გაცემამ იმდენი ზარალი მიაყენა მთელ მხარეს, რომ მთავრობა და პარლამენტები იძულებულ იყვენ მოესპოთ ის და ამნაირათ, რამდენიმეთ დაბრუნებოდენ წარმოების ბუნებრივ პირობებს.

დღევანდელ პირობებში არა თუ წვრილს, ბევრ საშუალო გლეხსაც მიუხედავათ თავ-აუღებელი შრომისა, ჯაფისა და თავის შეწუხებისა არ შეუძლია ისეთი სოციალური მდგომარეობა მოიპოვოს, რომლის უფლებაც მას აქვს, როგორც კულტურულ ქვეყნის მოქალაქეს. რასაც სახელმწიფო და საზოგადოება აკეთებს ამ წრეების გასაღონიერებლათ, რომელნიც უმთავრეს ბურჯს წარმოადგენენ არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებისას, ყველა ეს მხოლოდ დაკერებას და შეკეთებას წააგავს და არა არსებით გაუმჯობესებას. აგრარული ბაჟები მიწათ-მფლობელთა ამ ჯგუფებს თუ ვნებს, თორემ დახმარებას არ უწევს. მათ დიდ უმრავლესობას იმაზე ნაკლები მოსავალი მოსდის, რამდენიც თავის სარჩენათ სჭირდება და იძულებულია საარსებო საშუალებათა ერთი ნაწილი ფულით შეიძინოს. ფულისთვის კი უნდა მრეწველობას, ან სხვა გარეშე სამუშაოს მიმართოს. ამიტომ წვრილი გლეხების დიდი ნაწილი მრეწველობის და ტრანსპორტის განვითარებით უფრო დაინტერესებულია, ვინემ მიწათ-მოქმედების გაუმჯობესებით, რადგან მის შვილებს მხოლოდ წარმოებასა და ტრანსპორტში შეუძლიათ საარსებო საშუალებათა მოპოვება, უამისოთ კი არც სამუშაო ექნებათ და არც ხელფასი. მოუსავლო-

ბის დროს ერთი ასათ მეტი გლეხი ყიდულობს სოფლის ნაწარმოებს; მაშასადამე, რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ან აგრარულმა ბაჟებმა, ან უცხოეთიდან შემოტანის აკრძალვამ და საერთოთ აგრარულმა დაბრკოლებებმა საზღვარზე იმათ, ვისაც შინ გასაყიდი არაფერი აქვს და ზოგიერთ შემთხვევაში კი ბევრი რამ აუცილებელი სანოვაგე საყიდელი უხდება?! და სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია სულ ცოტა სოფლის მეურნეთა 80 პროცენტი.

როგორ უპატრონებს თავის მამულს, რას დასთესს შიგ მიწათ-მოქმედი—ეს კერძო საკუთრების ბატონობის დროს მისი საქმეა. მას მოყავს ის, რაც უფრო სასარგებლოთ და მომგებიანათ მიაჩნია, საზოგადოების მოთხოვნილებები და ინტერესები მის ყურადღებას ოდნავათაც არ იპყრობს. მიბრძანდით, საითაც გნებავთო!

ასე იქცევა მრეწველიც. ის ხშირათ ბეჭდავს უზნეო სურათებს, გარყვნილ შინაარსიან წიგნებს, აშენებს ფაბრიკებს საარსებო საშუალებათა ფალსიფიკაციისათვის და სხვ. ასეთი „მოღვაწეობა“ მავნებელია საზოგადოებისათვის, იგი ავრცელებს უზნეობას, რყვნის ხალხს, მარა ის ამავე დროს ფულების წყაროა, ის მეტ მოგებას აძლევს თავის პატრონს, ვინემ ზნეობრივი სურათები, მეცნიერული წიგნები და არა-თაღლით საარსებო საგნების გაყიდვა. მოგებაზე გამსუნაგებული მოსაქმე კი მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ პოლიციას თვალი აუხვიოს და თავის სამარცხვინო ხელობას თამამათ განაგრძობს, ღრმათ დარწმუნებული, რომ აქედან მოპოვებული ფულების გამო მას შენატრებენ კიდეც დიდის პატივით და თაყვანისცემით მოეპყრობიან საზოგადოებაში.

ჩვენი დროის მამონიური (მამონი—ეშმაკი) ხასიათი ყველაზე აშკარათ ისახება ბირჟასა და მის მოქმედებაში. მიწა და სამრეწველო ნაწარმოებნი, მიმოსვლის საშუალებანი, მეტეოროლოგიური და პოლიტიკური პირობები, შეძლება და შეუძლებლობა, მასსიური სიღატაკე და უბედური შემთხვევანი, საზოგადოებრივი ვალები, გამოგონებანი და აღმოჩენანი, ჯან-

მრთელობა, ავათმყოფობა ან სიკვდილი გავლენიან პირების, ომი და ომის მოლოდინი, ხშირათ სპეციალური მიზნით შეთხზულ-შექმნილი, ყველა ეს და ბევრიც სხვა ასეთი, დღეს საგანია სპეკულიაციის, ექსპლოატაციის და ურთიერთის მოტყუების; კაპიტალისტურ მატადორებს (გაველ. ხარის გამაღიზიანებელნი ისპანიის ცირკში) დიდი გავლენა აქვთ დღეს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და თავის უძლეველი ძალის და კავშირების წყალობით აუარებელ სიმდიდრეს იძენენ. მინისტრები და მთავრობები მათ ხელში საბრალო ტიკინებია, რომლებიც ხტიან და აცუნდრუკებენ სცენაზე, როგორც კი ეს კულისებში მდგომი ბირჟის მატადორები მოსწევენ მავთულს. სახელმწიფო მართებლობას კი არ უჭირავს ხელში ბირჟა, არამედ ბირჟას—მართებლობა. ხშირათ მინისტრი იძულებულია თავის სურვილის წინააღმდეგ რწყოს ამ „შხამიანი ხის“ ძირები, რომელთაც ის სიამოვნებით ამოგლეჯდა, შეძლება რომ მისცა და თავის უნებურათ კი სასიცოცხლო ძალებს მატებს.

ყველა ეს ფაქტები, რომელნიც მოუშორებელ ჭირივით აკვიატებია ჩვენ საზოგადოებას, საჩქარო და საფუძვლიანათ წინააღმდეგობის გაწევას მოითხოვენ, რადგან ბოროტება დღითი-დღე იზრდება, მარა საზოგადოება უმწეოთ დგას ამ ბოროტების წინაშე, როგორც მხდალი ცხოველი კლდის ნაპრალზე და არ იცის რას ეწიოს. ის რაღაც მოჯადოებულ წრეში ტრიალებს, როგორც ჯარა და თავის სისუსტით და უმწეობით მეტათ სამწუხარო და სულელურ სურათს წარმოადგენს. ვისაც დახმარების სურვილი აქვთ, ისინი ჯერ სუსტნი არიან; ვინც უნდა დახმარებოდა, მათ შეგნება აკლიათ. სხვებს შეეძლოთ დახმარება, მარა არ სურთ; მათ თავის საკუთარ ძალის იმედი აქვთ და უკეთეს შემთხვევაში მადამ პომპადურსავით იმეორებენ: „ჩვენს შემდეგ ყველაფერი წყალსა და მეწყერსო“. მარა ეს წყალი და მეწყერი რომ მათ სიცოცხლეშივე მოზღვავდეს?



# ნაწილი მეოთხე.

# საზოგადოების სოციალიზაცია.

## თავი XX.

## სოციალური გადატრიალება.

### 1. საზოგადოების გარდაქმნა.

და წარღვნა მართლაც ახლოვდება; თანდათან ირღვევა საფუძველი, რომელზედაც აგებულია დღევანდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი შენობა. ძველი ქვეყანა გრძნობს ძირ-ბუდიანათ შერყევას, გრძნობს, რომ მისი შემაგრება მხოლოდ ახალი, მაგარი ბოძების შეყენებით შეიძლება, მარა ეს მოითხოვს დიდ მსხვერპლს გაბატონებულ კლასებისაგან. და აი, ამაშია მთავარი დაბრკოლება. ყოველი წინადადება, რომლის განხორციელებასაც შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს გაბატონებულ კლასთა მატერიალურ ინტერესებს, ან რაიმე მხრით შემცირებას უქადის მათ პრივილეგიებს, სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს მათში: მას ებრძვიან, აძაგებენ, აბეზღებენ, როგორც არსებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილების გადატრიალებისაკენ მიმართულს. მარა დაავადებული ქვეყანა ვერ განიკურნება ისე, თუ გაბატონებულ კლასთა უპირატესობებს არ შევეხეთ და ბოლოს და ბოლოს სრულიად არ გავაუქმეთ ისინი.

მშრომელი კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლა — არ არის ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლათ; ესაა ბრძოლა

თანასწორ უფლებისა და თანასწორ მოვალეობის დასამყარებლათ და ყოველგვარ უპირატესობის გასაუქმებლათ,—ამბობს სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. აქედან ცხადია, რომ ნახევარ-ზომებით და წვრილმან დათმობებით არაფრის მიღწევა არ შეიძლება.

მარა გაბატონებულ კლასებს თავის პრივილეგიური მდგომარეობა სრულიად ბუნებრივ და თავის-თავათ გასაგებ მოვლენათ მიაჩნიათ, რომლის სამართლიანობასა და სამარადისო არსებობაში ეპვის შეტანაც კი არ შეიძლება. ამიტომ, თავის-თავათ ცხადია, ისინი უარყოფით უყურებენ და ებრძვიან ყოველგვარ ცდას, რომელიც მათი პრივილეგიურ მდგომარეობის შერყევისაკენაა მიმართული. ეს კი არა, თვით ისეთი კანონები და წინადადებები, რომელთაც არავითარი ცვლილება არ შეაქვთ არსებულ საზოგადოებრივ წყობილების საფუძვლებში, არც მათ პრივილეგიურ მდგომარეობას უქადიან შემცირებას და მხოლოდ ნივთიერ მსხვერპლს მოითხოვენ მათგან, ასეთი კანონები და წინადადებებიც დიდ აღშფოთებას და წინააღმდეგობას იწვევენ მათში. პარლამენტებში მთელი ხვავები დგება დაბეჭდილ სიტყვების, ნაორატორების და ბოლოს კი აქლემისგან რწყილიც არ გამოდის. სულ უბრალო და მარტივი კანონების შესახებ, რომელიც მუშათა მფარველობას შეიცავს, ისეთ ალიაქოთს და განგაშს ასტეხენ ხოლმე, თითქოს მთელი საზოგადოების არსებობა ამაზე იყოს დამოკიდებული; და თუ დიდი ბრძოლის შემდეგ როგორმე გამოსტაცეს მათ მცირედი დათმობები, ეს უკანასკნელნი მწყალობლის პოზას იღებენ და ისეთ კვეხნას მოყვებიან, თითქოს მთელი თავის ქონება მუშებზე გადაეგოთ. ასეთსავე სიჯიუტეს და წინააღმდეგობას იჩენენ, როცა საქმე ეხება დაბალ კლასების მათთან გათანასწორებას ფორმალური—იურიდიული მხრით, როცა მაგალითათ, მუშათა ხელშეკრულობის საკითხში ერთნაირ უფლებას ანიჭებენ ორივე მხარეს მოლაპარაკების დროს.

ასეთი ჯიუტობა და უაზრო ამხედრება ყოველი უბრალო და ადვილ-გასაგებ მოთხოვნილებების წინააღმდეგ, ერთხელ კი-

დევ ამტკიცებს იმ თქმულებას, რომ გაბატონებულ კლასის საბუთებით რაიმეში დარწმუნება შეუძლებელია. ის დაიჯერებს მაშინ, როცა გარემოებები, ცხოვრების პირობები აიძულებენ შეიგნოს და დათმობის გზას დაადგეს. ასეთი გარემოებაა დაჩაგრულთაგან თავის კლასიური ინტერესების შეგნება, რაიცა შედეგათ მოსდევს საზოგადოებრივ პირობების განვითარებას. კლასიური წინააღმდეგობანი თანდათან მწვავე, თვალსაჩინო და საგრძნობელი ხდება. დაჩაგრული და გაყვლეფილი კლასები თავის თვალით ხედავენ დღევანდელ საზოგადოებრივ ურთიერთობის უვარგისობას, მათი აღშფოთება არსებულ უკუღმართობით თანდათან ძლიერდება და ამასთან ერთათ იზრდება დაჟინებული მოთხოვნა არსებულის შეცვლის და ადამიანური პირობების დამყარების. მოედება-რა ფართო წრეებს ეს შეგნება, **ბოლოს და ბოლოს საზოგადოების დიდ უმრავლესობას დაიპყრობს, რომელიც არსებითათ დაინტერესებულია ასეთ ცვლილებების მოხდენაში.** და რამდენათაც ხალხის მასსა იგნებს არსებულის უვარგისობას და მისი ძირიანათ შეცვლის აუცილებლობას, იმდენათ **გაბატონებულ კლასებს ეკარგებათ წინააღმდეგობის უნარი, რადგან მათი ძალა დაჩაგრულ კლასთა უვიცობასა და შეუგნებლობაზეა დამყარებული.** ეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია; ამიტომ სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ყველაფერს, რაც მას ხელს შეუწყობს. მსხვილ კაპიტალისტურ წინმსვლელობასთან ერთათ იზრდება იმის შეგნება, რომ არსებული საზოგადოებრივი წყობილება არსებითათ ეწინააღმდეგება ხალხის დიდ უმრავლესობის კეთილდღეობას, რომ მათი ერთათ მორიგება შეუძლებელია. რაც უნდა დიდი მსხვერპლი და ენერგიის ხარჯვა იქნეს საჭირო ამ საზოგადოებრივ წინააღმდეგობის მოსასპობათ, ის მაინც მოისპობა, როცა უმაღლეს წერტილამდე განვითარდება. ამ წერტილისკენ ის მდევის ნაბიჯით მიექანება.

რა ზომები უნდა იქნეს მიღებული განვითარების ამა თუ იმ ფაზაში, ეს მრავალ სხვა-და-სხვა გარემოებებზეა დამოკიდებული. ძნელია წინდაწინვე იმის გათვალისწინება, თუ რომე-

ლი ზომის მიღება უფრო შესაფერი იქნება გარემოებების მიხედვით ამა თუ იმ კონკრეტიულ შემთხვევაში; არც ერთ მთავრობას, არც ერთ სამინისტროს, რაც უნდა ძლიერი და გამჭრიახი იყოს, არ შეუძლია წინდაწინვე გაითვალისწინოს, თუ რა ზომებს მოითხოვს მისგან გარემოება მომავალ წელში. ჰო და, რაღა უნდა ითქვას ისეთ ზომებზე, რომელნიც დამოკიდებული არიან მომავალ გარემოებებზე, რომელთა შესახებ სისწორით იმის გათვალისწინება და გამოანგარიშებაც კი არ შეგვიძლია ამ თავიდანვე, თუ როდის დადგებიან ისინი? ღონისძიებათა საკითხი—ეს ტაქტიკის საკითხია ბრძოლაში, მარა ტაქტიკური ნაბიჯი დამოკიდებულია მოწინააღმდეგის მოქმედებასა და იმ საშუალებებზე, რომელიც მოპირდაპირეთა განკარგულებაშია. საშუალება, რომელიც დღეს გამოსადეგია, ხვალ შეიძლება ვნების მომტანი შეიქნეს, თუ შეიცვალა გარემოებები, რომელშიაც ის სასარგებლო იყო. მიზანი ყოველთვის ერთია, მისი მისაღწევი საშუალებები კი მრავალი; ამა თუ იმ საშუალების უპირატესობა დამოკიდებულია ადგილსა და გარემოებაზე; საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველთვის ნამდვილი და **გადამჭრელი** საშუალებების მიღებას ვეცადოთ, **რომლის ნებასაც გვაძლევს ადგილი და გარემოება.** ამნაირათ, მომავალი სურათის გასათვალისწინებლათ, ძალა-უნებურათ ჰიპოტეზებით (აზრი, რომელიც სავსებით დასაბუთებული არაა) უნდა დავკმაყოფილდეთ და წინასწარ ნააზრი ნამდვილ ფაქტებათ მივიღოთ. **ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ თვალთახედვითი ისრით და ვამბობთ, რომ ზემო-აღწერილი უკულმართობანი იმ ზომამდე განვითარდებიან ახლო, თუ შორეულ მომავალში, რომ მცხოვრებთა უმრავლესობისათვის მათი სიმწვავე მეტათ ცხადი, თვალსაჩინო და საგრძნობელი შეიქნება, კიდევ მეტი, პირდაპირ აუტანელი გახდება; და მაშინ იფეთქებს შეუჩერებელი მისწრაფება არსებული ურთიერთობის ძირიან-ფესვიანათ გარდაქმნისა და ყველაზე სწრაფი დახმარება—ყველაზე უფრო მიზნის შესაფერათ იქნება მიღებული.**

ყოველგვარ საზოგადოებრივ უბედურებათა წყარო და სათავე სოციალური წესწყობილებაა; დღეს ეს წყობილება დაფუძნებულია კაპიტალიზმზე, კაპიტალისტურ წარმოების წესებზე, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთ მუჭა კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის შრომის ყველა საშუალებები: მიწა, მაღაროები, დაუმუშავებელი მასალა, იარაღები, მანქანები, გადაზიდვის საშუალებები და ამით ისინი ჩაგრავენ ხალხის უმრავლესობას; აქედან მომდინარეობს მუდმივ ანგრეული და ხვალინდელ დღეში დაურწმუნებელი ყოფნა, შეიწროვება და დამცირება ჩაგრულთა კლასების. აქედან ყველაზე მოკლე და სწრაფი ნაბიჯი განთავისუფლებისაკენ—ესაა საყოველთაო ექსპროპრიაცია კაპიტალისტური საკუთრების და მისი საზოგადოებრივ კუთვნილებათ გამოცხადება. **ამნაირათ, საქონლის წარმოება გადაიქცევა სოციალისტურ წარმოებათ, ე. ი. საზოგადოებრივ წარმოებათ თვით საზოგადოების სასარგებლოთ. მსხვილი მეურნეობა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა, რაც დღემდე სილარიბის და დაჩაგვრის წყაროს წარმოადგენდა დამონებულ კლასებისთვის, ამიერიდან უმაღლეს კეთილდღეობისა და ჰარმონიის წყაროთ იქცევა ყველასათვის.**

## 2. ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია.

შრომის საშუალებათა საზოგადო საკუთრებათ გამოცხადება—ეს საზოგადოების ახალ ნიადაგზე დაფუძნებაა. ცხოვრებისა და შრომის პირობები ამით ძირითად ცვლილებებს განიცდიან **ორივე სქესისათვის** ყველა სფერებში: მრეწველობაში, მიწათ-მოქმედებაში, ქორწინებაში, აღზრდაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, გართობაში და სხვ. ადამიანის არსებობა ახალ შინაარსს იძენს. სახელმწიფო ორგანიზაციას თანდათან ეკარგება ნიადაგი და **სახელმწიფო ქრება.** ერთნაირათ ის თვითონვე სპობს თავის თავს.

ამ წიგნის პირველ ნაწილში ახსნილია, თუ რატომ წარმოსდგა სახელმწიფო. ის—ნაყოფია საზოგადოებრივ განვითარების, მისი პირველყოფილ კომუნისტურ მდგომარეობიდან გამოსვლის, რომელიც იმდენათ ირღვეოდა, რამდენათაც ვითარდებოდა **კერძო საკუთრება.** კერძო საკუთრების გაჩენით საზოგადოების წიაღში ვითარდება ინტერესთა წინააღმდეგობა, ჩნდება მოწინააღმდეგე წოდებები და კლასები, რასაც აუცილებლათ მოყვება ბრძოლა სხვა-და-სხვა ინტერესების მქონე ჯგუფებ შორის, და ამით თვით ახალი წყობილება საფრთხეში ვარდება. ახალ წყობილების მოწინააღმდეგეთა ასალაგმავათ და კერძო საკუთრების დასაცველათ, რომელსაც ისინი მოსპობას უქადიან, საჭიროა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შესძლებს ამ თავდასხმის მოგერებას და საკუთრებას „კანონიერათ და ნაკურთხათ“ გამოაცხადებს. **ასეთი ორგანიზაცია და ძალა, რომელიც იცავს და მფარველობს საკუთრებას, არის სახელმწიფო.** ის ანიჭებს კანონით მესაკუთრეს თავის საკუთრებას და ვინც ამ კანონით დაფუძნებულ წყობილებას დაარღვევს, მას სჯის და ასამართლებს, როგორც მსაჯული და შურისმაძიებელი. ამნაირათ, გაბატონებულ კლასთა ინტერესი და სახელმწიფო მართველობა თავის შინაგანი არსებით ყოველთვის კონსერვატიულია. სახელმწიფო ორგანიზაცია იცვლება მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს საკუთრების ინტერესები. და თუ ამნაირათ სახელმწიფო **აუცილებელი ორგანიზაციაა** ისეთ საზოგადოებრივ წყობილებისათვის, რომელიც კლასიურ ბატონობაზეა აგებული, ცხადია, კერძო საკუთრების გაუქმებით და კლასთა წინააღმდეგობის მოსპობით **უნდა გაქრეს მისი არსებობის საჭიროება და აუცილებლობა.** იმ ურთიერთობის მოსპობით, რომელიც ბატონობიდან გამომდინარეობს, თანდათან ისპობა სახელმწიფო, სწორეთ ისე, როგორც ქრება სარწმუნოება, როცა აღარ არის რწმენა ზესთაბუნებრივი არსებისა და გონიერებით დაჯილდოვებულ ზეციურ ძალებისადმი. სიტყვას უეჭველათ თავისი შინაარსი უნდა ქონდეს. თუ შინაარსი დაკარგა, ის ცნებას

ველარ გამოხატავს. აქ კაპიტალისტურ ჰანგის მოტრფიალე მკითხველმა შეიძლება იკითხოს: „ეს ყველაფერი კარგი, მარა რა უფლების ძალით და საბუთით ამართლებთ ასეთ ცვლილებებს, რომელნიც ერთიანათ არღვევენ არსებულ წყობილების საფუძვლებს? უფლებრივი ძალა და საბუთი აქაც იგივეა, რაც ყველა ცვლილებებისა და გადატრიალების დროს—**საყოველთაო კეთილდღეობა**. უფლების წყაროა არა სახელმწიფო, არამედ საზოგადოება, სახელმწიფო ძალა მხოლოდ ნოქარია საზოგადოების, რომელსაც უფლება აქვს გამგეობის და მიზომვის. გაბატონებულ საზოგადოებას დღემდე წარმოადგენდა უმცირესობა და ის მოქმედებდა მთელი საზოგადოების (ხალხის) სახელით, ის თავის თავს თვლიდა „მთელ საზოგადოებათ“, როგორც ლიუდოვიკ მე-XIV თვლიდა თავს მთელ სახელმწიფოთ: „სახელმწიფო—ეს მე ვარო!“ (L'etat c'est moi). როცა ჩვენი გაზეთები სწერენ: „სეზონი დაიწყო და საზოგადოება ქალაქში ბრუნდება, ან სეზონი თავდება და საზოგადოება სოფლისაკენ მიეშურებაო,—ისინი საზოგადოების ქვეშ გულისხმობენ არა ხალხს, არამედ ზედა-სართულის 10,000 გაბატონებულთ, რომელნიც შეადგენენ „საზოგადოებას“ ისე, როგორც შეადგენენ „სახელმწიფოს“. მასსა—ეს პლებსია, vile multitude, ოხერი, ბრბო, ხალხი. ასეთ მდგომარეობის თანახმათ, რასაც სახელმწიფო აკეთებს „საყოველთაო საკეთილდღეოთ“, ის პირველ ყოვლისა სასარგებლოა და საკეთილდღეო გაბატონებულ კლასებისათვის. ამათ ინტერესებისთვის ითხზება კანონები. „რესპუბლიკის კეთილდღეობა—აი უმაღლესი კანონი“ (Salus reipublicae suprema lex esto), ამბობდა, როგორც ვიცით, ძველ რომაელთა უფლებრივი პრინციპი. მარა ვინ შეადგენდა რომის რესპუბლიკას? დამორჩილებული ხალხები? მილიონი მონები? არა. ესენი იყვენ მხოლოდ შედარებით მცირე-რიცხოვანი რომის მოქალაქენი, პირველ ყოვლისა რომის არისტოკრატია (თუ მხედრობა), და ეს მოქალაქენი ცხოვრობდენ დამორჩილებულთა ხარჯზე.

როცა საშუალო საუკუნოებში აზნაურებმა და მფლობელმა თავადებმა დაიტაცეს საზოგადოებრივი ქონება, ისინი „თავის უფლებით“ სჩადიოდენ ამას „საყოველთაო კეთილდღეობისათვის“. როგორ შეუბრალებლათ მოუღეს ბოლო თემთა საზოგადო საკუთრებას და უმწეო გლეხთა კერძო მიწა-წყალს, ამაზე ღაღადებს ყოველი ფურცელი საშუალო საუკუნეთა ისტორიისა, ვიდრე აქამომდე. უკანასკნელი ათასი წლის აგრარული ისტორია—ესაა ისტორია სათემო და საგლეხო საკუთრების მტაცებლობის, რომელსაც თავად-აზნაურობა და ეკლესია ეწეოდა ევროპის ყველა კულტურულ ქვეყნებში. როცა შემდეგ საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ მოახდინა საეკლესიო და საბატონო მიწების ექსპროპრიაცია, მანაც „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელით ჩაიდინა ეს; და უდიდესი ნაწილი იმ რვა მილიონ მიწის მესაკუთრეთა, რომელნიც მთავარ ბურჯს წარმოადგენენ დღეს ბურჟუაზიულ საფრანგეთისათვის, ამ ექსპროპრიაციის ნასუფრალით არსებობენ. „საყოველთაო კეთილდღეობის“ სახელით არა ერთხელ დაადვა ისპანიამ აკრძალვა საეკლესიო მამულებს, იტალიამ კი კონფისკაცია (ჩამორთმევა) უყო, რითაც დღევანდელ „წმინდა საკუთრების“ მხურვალე დამცველთა ვაშა და ტაშისცემა დაიმსახურა. ინგლისის თავად-აზნაურობა ათასი წლის განმავლობაში ართმევდა საკუთრებას ირლანდიის და ინგლისის მდაბიო ხალხს, ხოლო 1804-დან 1832 წლამდე „საერთო კეთილდღეობის გულისთვის“, სრულიად „კანონიერათ“ დაასაჩუქრა თავის თავი 3,511,710 აკრი სათემო მიწებით. და როცა ჩრდილო ამერიკის მონათა განმათავისუფლებელ დიდი ომების დროს მრავალი მილიონი მონა გამოაცხადეს განთავისუფლებულათ, თუმცა ისინი თავის ბატონების კეთილ-შენაძენ საკუთრებას წარმოადგენდენ,—ამასაც „საყოველთაო ბედნიერება“ ქონდა საფუძვლათ. მთელი ბურჟუაზიული განვითარება საზოგადოთ —ერთი დაუსრულებელი პროცესია ექსპროპრიაციის და კონფისკაციის: ფაბრიკანტი ექსპროპრიაციას ახდენს და ყლაპავს ხელოსანს, მსხვილი ვაჭარი—მეწვრილმანეს, ბოლოს ერთი

კაპიტალისტი მეორეს, ე. ი. უფრო მსხვილი—წვრილს. თუ ბურჟუაზიას დავუჯერებთ, ყველა ეს ხდება „საყოველთაო კეთილდღეობისთვის“ და „საზოგადოების სასარგებლოთ“.

18 ბრიუმერს და 2 დეკემბერს, ნაპოლეონებმა (I და III) „იხსნეს საზოგადოება“, და საზოგადოება ულოცავდა მათ. და თუ მომავალში საზოგადოება იხსნის თავის თავს და ხელთ იგდებს თავის შექმნილ საკუთრებას, ეს იქნება ყველაზე შესანიშნავი საქმე ისტორიაში, **რადგან აქ იგი მოქმედებს არა იმისთვის, რომ ერთი დაჩაგროს მეორის სასარგებლოთ, არამედ იმისთვის, რომ ყველა თანასწორ საარსებო პირობებში ჩააყენოს და თვითეულს მისცეს შეძლება ღირსეული, ადამიანური არსებობის.** ზნეობრივი თვალსაზრისით ეს ყველაზე დიადი ღონისძიებაა, რომელიც კი ოდესმე მიუღია საზოგადოებას.

რა ფორმებში ჩამოისხმება ეს დიადი პროცესი საზოგადოებრივი ექსპროპრიაციის და როგორი იქნება მისი განსაკუთრებული თვისებები,—ამის წინასწარ გადაწყვეტა შეუძლებელია. ვის შეუძლია თქვას, როგორი პირობები იქნება იმ დროს?

თავის მეოთხე სოციალურ წერილში ფონ-კირხმანთან, სათაურით: „კაპიტალი“, როდბერტუსი სწერს 117 გვერდზე: „საკუთრების მოსპობა მიწასა და კაპიტალზე **ოცნება არ არის** და პოლიტიკურ-ეკონომიური თვალთახედვითი ისრით აქ წარმოუდგენელი არაფერია. ეს, ეჭვი არაა, **ყველაზე რადიკალური ზომა იქნება საზოგადოების დასახსნელათ,** რომელიც, მოკლეთ რომ ვთქვა, იტანჯება რენტის ზრდისაგან მიწასა და კაპიტალზე. ამიტომ, ეს ერთათ-ერთი ფორმაა მიწასა და კაპიტალზე საკუთრების მოსპობის, **რომელიც ერთი წუთითაც არ შესწყვეტს ნაციონალურ სიმდიდრის ტრიალს და განვითარებას**“. რას იტყვიან ჩვენი აგრარიები (მემამულე) მათი პარტიული ამხანაგის ასეთ შეხედულების გამო?

რაგვარი მდგომარეობაა მოსალოდნელი ასეთი ზომების განხორციელების შემდეგ, გადაჭრით ვერ ვიტყვით. არავინ არ

იცის და არც შეუძლია იცოდეს, როგორი სოციალური ორგანიზაციის შექმნას შესძლებს მომავალი თაობა თვითეულ კერძო შემთხვევაში და რამდენათ სრულათ და უნაკლულოთ მოახერხებენ თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. საზოგადოებაში, როგორც ბუნებაში, ყველაფერი წარმავალია, ცვალებადია, ერთი ჩნდება, მეორე იკარგება; ძველს, მიმკვდარებულს ცვლის ახალი, სიცოცხლით მჩქეფარე ძალა. აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი აღმოჩენანი, გამოგონებანი, გაუმჯობესებანი მისდევენ განუწყვეტლივ ერთი-მეორეს, რომელთა მნიშვნელობის და გავლენის გათვალისწინება უმეტეს შემთხვევაში არავის შეუძლია და ესენი კი რევოლიუციონურ, გარდამქმნელ ძალას წარმოადგენენ.

ამნაირათ, ქვევით ჩვენ შეეუდგებით საზოგადო პრინციპების განვითარებას, რომელნიც თავისთავათ გამომდინარეობენ უკვე მოყვანილ განმარტებებიდან და რომელთა ცხოვრებაში გატარება შეგვიძლია რამდენიმეთ მაინც წინდაწინვე გავითვალისწინოთ. საზოგადოება დღემდისაც ისეთი არსება იყო, რომელიც არავითარ ხელმძღვანელობას არ ექვემდებარება და კერძო პიროვნებებს თავის სურვილისამებრ მიმართულების მიცემა არ შეუძლია, თუმცა ბევრს ეს ასე ეჩვენება: „ფიქრობენ მიგვყავსო და თვითონ კი მისდევენ“. ის ისეთი ორგანიზმია, რომელიც თვის განსაზღვრულ შინაგან კანონების თანახმათ ვითარდება; მომავალში საზოგადოების ხელმძღვანელობა და მიმართულების მიცემა კერძო პიროვნებათა ნება-სურვილის მიხედვით წინანდელზე უფრო შეუძლებელი იქნება. წინაალმდეგ შემთხვევაში, ეს იქნებოდა დემოკრატია, რომელიც მისწვდა თავის არსებობის საიდუმლოებას, გამოიცნო თავის საკუთარი განვითარების კანონები და ახლა მიზნის შესაფერათ მართავს მათ პროგრესიულ გზაზე სასვლელათ.

## თ ა ვ ი XXI.

## სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონები.

### 1. ყველა შრომის შემძლენი მუშაობენ.

რაკი საზოგადოება იქნება შრომის ყველა იარაღების მფლობელი, **სოციალისტურ საზოგადოების ძირითად კანონათ გახდება სავალდებულო შრომა ყველა შრომის შემძლე პირთათვის სქესის განურჩევლათ.** საზოგადოებას არ შეუძლია უშრომოთ იარსებოს. მაშასადამე, მას უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ყველამ, ვისაც თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურს, თავის გონებრივი და ფიზიკური ძალების მიხედვით შესაფერი მონაწილეობა მიიღოს ნივთების დამზადებაში საყოველთაო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. მიუტევებელ უაზრობას ამბობენ ისინი, ვინც ამტკიცებს, თითქო სოციალისტებს სურდესთ შრომის გაუქმება. უსაქმურები და ზარმაცები მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ცხოვრობენ. სოციალიზმი კი ისე ამბობს, როგორც დაბადება: „ვინც არ შრომობს, არც უნდა ჭამდეს“. მაგრამ შრომა უნდა ნაყოფიერ, სასარგებლო მოქმედებაში გამოიხატოს. ამიტომ ახალი საზოგადოება მოითხოვს, რომ თვითეულმა ხელი მოკიდოს რაიმე განსაზღვრულ სამრეწველო, სახელოსნო, სამიწათმოქმედო ან სხვა სასარგებლო საქმეს და ასე რომელიმე განსაზღვრული სამუშაო ფუნქცია შეასრულოს არსებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. **არ არსებობს სიამოვნება შრომის გარეშე და შრომა—სიამოვნების გარეშე.**

რადგან ყველა ვალდებულია იმუშაოს, ცხადია, ყველა თანასწორათ დაინტერესებული იქნება სამ უმთავრეს პირობების განხორციელებაში: პირველი, შრომა უნდა ზომიერი იყოს დროს მხრივ და არ ქანცავდეს ადამიანს; მეორე, შეძლების დაგვარათ ის უნდა იქნეს სასიამოვნო და მრავალფეროვანი;

მესამე, უნდა იქნეს, რაც შეიძლება ბარაქიანი, რადგან ამაზეა დამოკიდებული სიდიდე სამუშაო დღის და სიამოვნების. ეს სამი პირობა კი თავის მხრივ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი და რაგვარი საშუალებები და სამუშაო ძალაა მომუშავეთა განკარგულებაში და რა მოთხოვნილებებს უყენებს ცხოვრებას საზოგადოება. სოციალისტური საზოგადოების მიზანი ის კი არ არის, რომ ყველამ პროლეტარული ცხოვრება ატაროს, არამედ ის, **რომ ბოლო მოეღოს ადამიანთა უმრავლესობის პროლეტარულ ცხოვრებას**. ამიტომ იგი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ცხოვრების სიტკბოება აგემოს თვითეულ ადამიანს. ამნაირათ, ჩვენ წინ დგება საკითხი: რამდენათ დიდი იქნება საზოგადოების მოთხოვნილება?

რომ ამ კითხვაზე პასუხის მიცემა შეუძლია ისეთ გამგებლობას, რომელიც საზოგადოებრივ მოქმედების ყველა სფერას გასწვდება, ამ მხრივ შეგვიძლია ჩვენი სოფლის საზოგადოებები მიზნის შესაფერ ნიმუშათ მივიღოთ; და თუ ისინი მეტათ დიდი აღმოჩნდება წარმოებისთვის რიგიანათ თვალყურის დასაჭერათ, შეიძლება მათი ორათ, ან სამათაც გაყოფა. როგორც პირველყოფილ საზოგადოებაში, ისე ახლაც, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა სრულწლოვანი წევრები **სქესის განურჩევლათ**; ისინი დანიშნავენ სანდო პირებს საქმის გასაძღოლათ და სახელმძღვანელოთ. ადგილობრივ თვითმართველობებს სათავეში ეყოლება, რასაკვირველია, არა მთავრობა, აღჭურვილი უფლებით და ბატონობით, არამედ ცენტრალური აღმასრულებელი კოლეგია ანუ გამგეობა. ვინ დანიშნავს ამ ცენტრალურ გამგეობას, მთელი ხალხი აირჩევს მათ პირდაპირ, თუ სათემო გამგეობა—ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამ კითხვებს დაეკარგებათ მაშინ ისეთი ხასიათი, როგორიც დღეს აქვთ, რადგან ეს არ იქნება ისეთი თანამდებობა, რომელიც აძლევს ადამიანს განსაკუთრებულ პატივს, მეტ უფლებას, გავლენას და დიდ შემოსავალს; ესაა ნდობა, რომლითაც დააჯილდოვებენ ნიჭიერს, სულ ერთია **ქალი იქნება თუ კაცი** და მისი გამოცვლა თუ ხელ-ახლა არჩევა, დამოკიდებუ-

ლი იქნება ამრჩეველთა სურვილსა და ცხოვრების მოთხოვნილებებზე. ყველა თანამდებობაზე მხოლოდ დროებით აირჩევენ... ამავე მოსაზრებით ჩვენთვის საინტერესო არ არის, იქნება ცენტრალურსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის საშუალო ორგანიზაციები, მაგალ. საპროვინციო, საქალაქო და სხვა. თუ საჭირო აღმოჩნდება, მათაც შექმნიან, თუ არა და თავს დაანებებენ. აქ გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების მოთხოვნილებებს, რამდენათაც ის თავს იჩენს პრაქტიკაში. თუ საზოგადოების განვითარების წყალობით ძველი დაწესებულებები ზედმეტი ბარგი შეიქნება, მათ გააუქმებენ უჩხუბრათ და უდავიდარაბოთ, რადგან მათი დარჩენა არავის კერძო ინტერესს არ მოუტანს სარგებლობას—და მათ ადგილს ახალს შემოიღებენ. აქედან სჩანს, **რომ ასეთი მართველობა ფართე დემოკრატიულ საფუძველზეა დაფუძნებული და არსებითათ განსხვავდება დღევანდელისაგან.** რა გამწვავებული ბრძოლაა გაზეთებში, როგორი სიტყვიერი ომია პარლამენტებში, რამდენი ოფიციალური ქაღალდი ჭრელდება კანცელარიებში მხოლოდ იმისთვის, რომ რაიმე უმნიშვნელო ცვლილება შეიტანონ მმართველობის სისტემაში!

უფრო მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, თუ დამდენი და რაგვარი ძალებია საზოგადოების განკარგულებაში, რამდენი და რა თვისების იარაღები და შრომის საშუალებები, ე. ი. ფაბრიკები, სახელოსნოები, მიმოსვლის საშუალებები, მიწა, ნიადაგი და სხვ. და სხვ. მოეპოვებათ, და აგრეთვე როგორი შრომის უნარს იჩენენ მომუშავენი. შემდეგ საჭიროა გამოანგარიშება სათადარიგოთ შემონახულ სარჩო-საბადებლისა და იმ მოთხოვნილებების, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია საზოგადოების არსებობისათვის განსაზღვრულ დროს განმავლობაში. როგორც დღევანდელი სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივი კავშირები ადგენენ ყოველწლიურ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს, ისე გაითვალისწინებენ მომავალშიც მთელ საზოგადოებრივ წყობილებას და მდგომარეობას, რითაც, რასაკვირველია, უარყოფილ არ იქნება ცვლილებები და

შესწორებები, რომელსაც გაფართოვებული, ან ახლათ აღორძინებული მოთხოვნილებები წამოაყენებს. სტატისტიკა ითამაშებს უმთავრეს როლს, ის დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს და სერიოზულ დახმარებას გაუწევს ახალ საზოგადოებას; ის იქნება საზომი საზოგადოებრივ მოქმედებისათვის.

სტატისტიკით დღესაც ფართოთ სარგებლობენ ამგვარ მიზნის მისაღწევათ. სახელმწიფო და კომუნალური ბიუჯეტები (ხარჯთ-აღრიცხვა) მთელ რიგ სტატისტიკურ გამოკვლევებზეა დაფუძნებული, რომელთაც ყოველწლიურათ ახდენენ მართველობის თვითეულ სფერაში. ხანგრძლივი გამოცდილება და მიმდინარე მოთხოვნილებების ერთგვარი მუდმივობა, ერთ დონეზე დგომა აადვილებს ამ სამუშაოს შესრულებას. თვითეულ ცოტათ თუ ბევრათ დიდი ფაბრიკის პატრონს, თვითეულ ვაჭარს შეუძლია **ნორმალურ პირობებში** საკმაო სისწორით იანგარიშოს, რამდენი რა დასჭირდება მას მომავალ 3—4 თვის განმავლობაში და როგორ უნდა მოაწესრიგოს მან თავის საყიდლების და წარმოების საქმე. ყველა ეს ადვილი შესაჩვევია და დიდ შრომას არ მოითხოვს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა რაიმე მნიშვნელოვანი და სერიოზული ცვლილება მოხდება ცხოვრებაში.

ცხადია, რომ წარმოების ბრმა, ანაქიული წესები ბადებს კრიზისებს, ე. ი. ის, რომ არ იციან რამდენი აწყვია საწყობებში, როგორ საღდება და რამდენათ დიდი, ან მცირე მოთხოვნილებები არსებობს ამა თუ იმ საქონლის მსოფლიო ბაზარზე და სხვ.; ამან გამოიწვია უკანასკნელ ხანებში სხვა-დასხვა საწარმოო დარგების მსხვილ მწარმოებელთა შეერთება ტრესტებათ, სინდიკატებათ, კარტელებათ, რომელთა მიზანია —ერთი მხრით განსაზღვრული ფასების დაწესება საქონელზე და მეორე მხრით წარმოების მოწესრიგება გამოცდილებისა და მიღებულ შეკვეთის თანახმათ. ანგარიშობენ თვითეულ სამრეწველოს საწარმოო ძალებს, საქონლის მოსალოდნელ გასაღებას და აქედან ადგენენ ნუსხას, თუ ვინ რამდენი საქონელი უნდა დაამზადოს მახლობელ თვეების განმავლობაში. ხელშეკ-

რულობის დამრღვევს პირობის ძალით დიდი ჯარიმების გადახდა და განდევნა მოელის. ამ ხელშეკრულობას საზოგადოების სასარგებლოთ კი არ სდებენ მწარმოებლები, არამედ მის წინააღმდეგ და თავის ინტერესების დასაცველათ, მათი მიზანია კოალიციის ძლიერებით ისარგებლონ თავის მოგების გასადიდებლათ; აწესრიგებენ-რა საერთო წარმოებას, ისინი ისეთ ფასს ადებენ საქონელს, რომელსაც კერძო მწარმოებელი ვერასოდეს ვერ აიღებდა ურთერთის კონკურენციის გამო. ამნაირათ, იჩაგრება მომხმარებელი, რომელიც იძულებულია აუცილებელ საჭირო ნივთებში იმდენი ფასი გაიღოს, რამდენსაც კაპიტალისტთა გაუმაძღრობა მოითხოვს. რამდენათაც სინდიკატები და კარტელები მავნებელია მომხმარებლისათვის, იმდენათ მავნებელია მუშებისთვისაც. წარმოების საერთო მოწესრიგება იწვევს მრავალ მუშის და ფაბრიკის მოსამსახურის ადგილიდან განთავისუფლებას და ეს უკანასკნელნი რომ შიმშილით არ მოკვდენ, იძულებული არიან უფრო იაფ-ფასათ მიაწოდონ თავის შრომა მრეწველებს, ვინემ სამუშაოზე მყოფი ამხანაგები იღებენ. ამის გარეშეც კარტელების სოციალური ძლიერება იმდენათ დიდია, რომ მუშათა ორგანიზაციებს მეტის-მეტათ უძნელდებათ მისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ამნაირათ, მწარმოებლებს ორნაირი სარგებლობა აქვთ აქედან: საქონელში დიდ ფასებს იღებენ და მუშებს კი მცირე ხელფასით ისტუმრებენ. წარმოების ასეთი მოწესრიგება მრეწველთა კავშირისაგან **თავიდან ბოლომდე ეწინააღმდეგება იმ მოწესრიგებას, რომელსაც მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში ექნება ადგილი.** დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მრეწველთა ინტერესებს, მომავალში მთელ საზოგადოებას ექნება. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საუკეთესოთ მოწყობილ კარტელსაც კი არ შეუძლია გაითვალისწინოს და გამოიანგარიშოს ყველა ფაქტორები (მომქმედი ძალები): კონკურენცია და სპეკულიაცია განაგრძობს თარეშს მსოფლიო ბაზარზე; უეცრათ გამოჩნდება, რომ ანგა-

რიშში შეცდომა შეპარულა და მთელი ის ხელოვნურათ ახუ-ხულავებული შენობა ერთბაშათ ინგრევა.

როგორც მსხვილ მრეწველობას, ისე ვაჭრობას აქვს თავის ფართოთ დაყენებული სტატისტიკა, მსხვილ სავაჭრო ცენტრებსა და ნავთ-სადგურებიდან ყოველ კვირეულათ მოდის ცნობები, თუ რამდენია იქ გასაყიდი ნავთი, ყავა, ბამბა, შაქარი, პური და სხვ.; ეს ცნობები ხშირათ სწორი არაა, რადგან საქონლის პატრონები ხშირათ დაინტერესებული არიან სიმართლე დაფარონ და გარეშე პირებს არ შეატყობიონ ხოლმე. მარა ეს ცნობები მაინც საკმარის მასალას გვაძლევენ იმის გამოსარკვევათ, თუ რა მდგომარეობაში იქნება ბაზარი ახლო მომავალში. მარა აქ სახეში მისაღებია სპეკულიაცია, რომელიც ხშირათ ატყუილებს მათ და აცუდებს ყველა მათ ანგარიშებს, რის გამო შეუძლებელია რამდენიმეთ მაინც დაიმედებულათ საქმის წარმოება. როგორც ათასობით დამოუკიდებელი მრეწველობის არსებობა და მათი ინტერესების წინააღმდეგობა შეუძლებლათ ხდის საერთოთ მთელი წარმოების მოწესრიგებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ასე შეუძლებელია განაწილების მოწესრიგებაც მრავალ-რიცხოვან ვაჭართა სპეკულიაციის და მათი ინტერესების წინააღმდეგობის გამო. რაც აქამდის გაკეთებულა ამ მხრივ, ის მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ბევრისგან ბევრის გაკეთება შეიძლება, თუ კერძო ინტერესების მაგიერ ყველგან საზოგადო ინტერესი იქნება გამეფებული. დასამტკიცებლათ დავასახელებთ მოსავლის სტატისტიკას, რომელსაც ყოველ-წლიურათ კრებენ სახელმწიფოები სხვა-და-სხვა კულტურულ ქვეყნებში და რომელიც ნებას გვაძლევს ყოველ-წლიურათ გამოვიანგარიშოთ: როგორი მოსავალი მოვა, რამდენი ნაწარმოები წავა საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ და რა ფასები იქნება ბაზარზე.

სოციალისტურ საზოგადოებაში ყველა ურთიერთობანი წესრიგში იქნება მოყვანილი; მთელ საზოგადოებაში სოლიდარობა გამეფდება. ყველაფერი წინდაწინვე განსაზღვრული წესით და შემუშავებული გეგმის თანახმათ იწარმოებს, ასე

რომ ამა თუ იმ მოთხოვნილების რაოდენობა საზოგადოებაში სულ ადვილი გამოსაანგარიშებელი იქნება. სულ მცირე გამოცდილებაც იკმარებს, რომ ყოველივე ცოცხლათ და უბრალოთ გაკეთდეს. თუ მაგალ. სტატისტიკურათ დამტკიცებულია, რამდენი პური, ხორცი, ფეხსაცმელები, საცვლები და სხვ. არის საჭირო, თუ მეორე მხრით სისწორით გამოანგარიშებულია და აწონილ-დაწონილი შესაფერ დაწესებულებათა საწარმოო ძალა, ცხადია, **აქედან ადვილათ შეგვიძლია დავასკვნათ: საშუალოთ რამოდენი საზოგადოებრივ აუცილებელი შრომაა საჭირო ყოველ-დღიურათ. შემდეგ აქედანვე გავიგებთ, საჭიროა ახლა სამრეწველოების გახსნა ამა თუ იმ საქონლის დასამზადებლათ, თუ შეგვიძლია არსებულიც დავხუროთ, როგორც ზედმეტი, ან სხვა მიზნისთვის გადავაკეთოთ.**

თვითეულ პირს შეუძლია აირჩიოს, რომელ დარგში სურს მუშაობა. შრომის დარგებ. ს სიმრავლის და მრავალფეროვანების გამო, შესაძლებელია ყოველგვარ სურვილის მხედველობაში მიღება და დაკმაყოფილება. თუ ერთ რომელიმე დარგში საჭიროზე მეტი მუშა მოგროვდა, მეორეში კი ნაკლები, გამგეობა თვითონ მიიღებს შესაფერ ზომებს, რომ ძალთა განწყობილება მოთხოვნილებას შეუფარდოს. წარმოების ორგანიზაცია და ძალების მიმართვა იქით, სადაც ეს საჭიროა,—აი უმთავრესი მოვალეობა არჩეული ხელმძღვანელების. რაც უფრო შეთანხმებულ-შერჩეული იქნება სამუშაო ძალები, მით უფრო მწყობრათ ამოძრავდება შრომის მანქანები. შრომის თვითეული შტო და განყოფილება თვითონ ირჩევს თავის ხელმძღვანელთ: ესენია არა ზედამხედველნი და მეთვალყურენი, როგორც დღევანდელ სახელოსნოს გამგენი და უფროსები; ესენია ამხანაგები, რომელნიც საერთო მინდობილობით ასრულებენ ხელმძღვანელის ფუნქციას კაპიტალისტურ მწარმოებლის ფუნქციის მაგიერ. გასაკვირველი არ იქნება, რომ განვითარებულ ორგანიზაციის და საყოველთაო უმაღლეს განათლების გამო, შესაძლებელი გახდეს ამ მოვალეობის რიგ-

რიგობით ასრულება, ასე რომ ყველა მონაწილენი **განურჩევ-ლათ სქესისა,** რიგ-რიგობით შეასრულებენ ხელმძღვანელ ორ-განოთა მოვალეობას.

## 2. ინტერესთა სოლიდარობა.

სადაც შრომა სრულ თავისუფლებასა და დემოკრატიულ თანასწორობის საფუძველზეა აგებული, სადაც განხორციელე-ბულია პრინციპი: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, სადაც ძმობა და სოლიდარობაა გამეფებული,—იქ ყველა მი-ისწრაფის იშრომოს, შექმნას, მეორეს აჯობოს და ეს მისწრა-ფება ისეთი ძალაა, რომლის მზგავსს ვერ იპოვით თანამედ-როვე ეკონომიურ წყობილებაში. იქ ტრიალებს სული შემო-ქმედების, აღტაცება, რომელსაც დიდი გავლენა აქვს შრომის ნაყოფიერებაზე.

შემდეგ, **რადგან ყველა ერთი მეორისათვის მუშაობს,** თვითეული დაინტერესებულია, რაც შეიძლება სრული და საუკეთესო ნივთები დაამზადოს და რაც შეიძლება ნაკლები ძალა და სამუშაო დრო დახარჯოს; ეს ერთი იმიტომ, რომ სამუშაო დრო არ გაიფლანგოს, მეორე იმიტომ, რომ დრო მოინარჩუნონ ახალ წარმოებათა დასამუშავებლათ, რომელიც მათ უმაღლეს მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. **ასეთი სა-ურთიერთო ინტერესი ბადებს საყოველთაო მისწრაფებას შრომის პროცესის გაუმჯობესებისა და გაადვილებისადმი. ყველას უმწვერვალესათ განვითარებული აქვს პატივ-მო-ყვარეობა, რაც აქეზებს მათ ახალ-ახალ გამოგონებითა და აღმოჩენით სახელი მოიხვეჭონ და თვითეული ცდილობს, აჯობოს მეორეს თავის აზრებით და იდეებით*).** ამნაირათ,

*) „გამოცდილება გვაჩვენებს, რომ გაჯიბრების დროს ადამიანი ენერგიის უმწვერვალეს განვითარებას იჩენს, რომ საზოგადოება გააკვირვოს და ქება დიმსა-ხუროს. ამიტომ გაჯიბრებას თავის ნაყოფი მოაქვს ყველგან, სადაც ადამიანები აშ-კარათ მიისწრაფიან ერთმანეთს წააცილონ, აჯობონ, მაშინაც კი, როცა საქმე ისეთ უბრალო და უმნიშვნელო საქმეს ეხება, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვს საზოგადოებისთვის. გაჯიბრება საზოგადოებისთვის მეტი სარგებლობის

ხდება სრულიად წინააღმდეგი იმის, რასაც სოციალიზმის მტრები ამტკიცებენ. რამდენი გამომგონი იღუპება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში! რამდენის ნაშრომით სარგებლობენ სხვები და მას კი განზე აგდებენ! კერძო საკუთრების მაგიერ რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებას გონება და ნიჭი უდგეს სათავეში, დღევანდელ მრეწველთა უმრავლესობას ადგილი უნდა დაეცალა თავის მუშების, ხელოსნების, ტეხნიკების, ქიმიკოსების და სხვებისთვის. 100 შემთხვევაში 99 გამოგონება, აღმოჩენა და გაუმჯობესება სახელდობრ ამ პირებს ეკუთვნით, მარა სარგებლობა კი აქედან იმას ეძლევა, ვისაც სქელი ჯიბე აქვს. რამდენი ამისთანა გამომგონი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შეხვდენ ისეთ კაცს, რომელიც სახსარს მისცემდა ამ გამოგონებათა და აღმოჩენათა განსახორციელებლათ. ვინ იანგარიშებს, რამდენ სახელ-განთქმულ გამომგონს დაულევია გამწარებული სული ყოველ-დღიურ ცხოვრების მძიმე გაჭირვებისაგან. ქვეყნის ბატონ-პატრონობა ხელთ უპყრიათ არა გონიერი თავის და გამჭრიახი ჭკუის მქონეთ, არამედ დიდი შეძლების პატრონთ. ამით იმის თქმა არ მინდა, თითქო ნათელი აზრის და სავსე ჯიბის ერთ პიროვნებაში შეერთება შეუძლებელი იყოს. მე ვამბობ მხოლოდ, რომ დღეს ისინი უმეტეს შემთხვევაში განცალკევებულია ცხოვრებაში.

ყველამ იცის პრაქტიკიდან, რა უნდობლობით ეპყრობა მუშა ყოველგვარ გაუმჯობესებას, ყოველგვარ ახალ გამოგონებას. და ის ერთი მხრით მართალიცაა. ჩვეულებრივ აქედან

---

მოტანაში, ეს ისეთი სახის კონკურენციაა, რომელსაც სოციალისტები არ უარყოფენ". (ჯონ სტიუარტ მილი, „პოლიტიკური ეკონომია"). თვითეული კავშირი, თვითეული კრებული ადამიანებისა, რომელსაც ერთი და იგივე მიზანი აქვს, აუარებელ მაგალითს გვაძლევს ასეთ უმაღლეს მისწრაფებისას, რომელიც მიზნათ ისახავს არა ნივთიერ, არამედ იდეალურ გამარჯვებას. გამარჯვებულთ აქეზებს, რასაკვირველია, თავის გამოჩენის, სახელის მოხვეჭის სურვილი, პატივ-მოყვარეობა, მარა ამას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის. ასეთი პატივ-მოყვარეობა სიკეთეთ უნდა ჩაითვალოს, ის საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურება და კერძო პირსაც ანიჭებს სრულ კმაყოფილებას. პატივ-მოყვარეობა მხოლოდ მაშინ არის მავნე და უარსაყოფი, როცა იგი მთელის საზიანოთ, ან სხვის დასაჩაგრავათაა ამოქმედებული.

სარგებლობს არა ის, არამედ მისი დამქირავებელი; მუშას ეშინია, რომ ახალი მანქანა, ახალი თვალსაჩინო გაუმჯობესება ქუჩაში გამოაგდებს მას, როგორც ზედმეტს. და სიხარულით შეგებების მაგიერ, ის წყევა-კრულვით იხსენიებს ახალ გამომგონს, რომელიც კაცობრიობის სიამაყეს შეადგენს და დიდი სარგებლობის მოტანას უქადის საზოგადოებას. რამდენი წარმოების პროცესის გაუმჯობესებანი, მუშებისაგან გამოგონებული, მოუხმარებლათაა დარჩენილი! მუშა მალავს, არ ამხელს მათ, რადგან ეშინია, რომ სარგებლობის მაგიერ მხოლოდ ზარალს მოიმკის ამით. ეს ბუნებრივი შედეგია ინტერესთა წინააღმდეგობის*).

სოციალისტურ საზოგადოებაში ინტერესთა წინააღმდეგობა თავიდან აცილებულია. თვითეული ავითარებს თავის ძალებს და ნიჭს თავის საკუთარ სარგებლობისთვის და იმით მთელ საზოგადოებასაც უწევს სამსახურს. დღეს პირადი ეგოიზმის დაკმაყოფილება და საყოველთაო კეთილდღეობა უმეტეს შემთხვევაში ერთმანეთის წინააღმდეგია, ერთი-მეორის **უარ-**

*) ფონ-ტიუნენი ამბობს თავის თხზულებაში—„განმარტოვებული სახელმწიფო“: „ინტერესთა წინააღმდეგობის მიზეზითაა, რომ პროლეტარი და მესაკუთრე მტრული თვალით უცქერიან ერთმანეთს და ისინი შეურიგებელი იქნებიან, სანამ არ მოისპობა ინტერესთა განსხვავებულობა. აღმოჩენანი საფაბრიკო წარმოებაში, გზატკეცილების და რკინის გზების გაყვანა და სავაჭრო ხელშეკრულობები დროთა განმავლობაში, შესამჩნევად ზრდიან არა მარტო შრომის დამქირავებელთა კეთილდღეობას, არამედ ნაციონალურ სიმდიდრესაც; მარა თანამეზოგე საზოგადოებრივ წყობილებაში აქედან სრულიად არაფერი ხვდება მუშას; მისი მდგომარეობა ამით არ იცვლება და მთელი ზედმეტი შემოსავალი მრეწველ-კაპიტალისტებს და მიწათმფლობელებს ხვდება წილათ“. ეს უკანასკნელი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს გლადსტონის ნათქვამს ინგლისის პარლამენტში 2864 წელს: „ეს გამაბრუებელი ზრდა შემოსავლისა და ძლიერევნის (უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ინგლისში) სასარგებლო იყო მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებულ კლასებისთვის“. და თავის თხზულების 207 გვ. ფონ-ტიუნენი ამბობს: „ბოროტება ისაა, რომ მუშა გათიშულია თავის ნაწარმოებისაგან“.

თავის თხზულებაში—„კანონმდებლობის პრინციპი“, მორელი ამბობს: „საკუთრება გვყოფს ჩვენ ორ კლასათ: მდიდრებათ და ღარიბებათ. პირველთ უყვართ თავის ქონება, მარა არ სურთ სახელმწიფო დაიცვან, მეორეებს არ შეუძლიათ სამშობლო უყვარდეთ, რადგან ის მათ მხოლოდ გაჭირვებას აკუთნებს“. მარა ყველას უყვარს თავის სამშობლო, როცა საერთო ქონება აქვთ, რადგან ასეთ ერთობის გამო სარგებლობენ ტკბილი ცხოვრებით და ბედნიერებით“.

**მყოფელია. ახალ საზოგადოებაში ასეთი წინააღმდეგობა მოსპობილია, პირად ეგოიზმის დაკმაყოფილება და საყოველთაო კეთილდღეობაზე ზრუნვა—ერთმანეთთან ჰარმონიულათ შეწყობილ-შეთანხმებული, ისინი ერთი და იგივე არიან*).**

ადვილი გასაგებია, რომ ასეთ მორალურ მდგომარეობას დიდი გავლენა ექნება: შრომის ბარაქიანობა მძლავრათ გაშლის ფრთებს. განსაკუთრებით გაიზრდება ის იმიტომ, რომ მოისპობა მუშა ძალების წვრილ-წვრილათ დაყოფა მრავალრიცხოვან წვრილ სახელოსნოებში, რომელთაც ხეირიანი საშუალებები და სამუშაო იარაღები არ მოეპოვებათ. წვრილ და საშუალო ფაბრიკების შეერთება მსხვილ წარმოებაში, სადაც ყველა თანამედროვე ტეხნიკური გაუმჯობესებები იქნება შემოღებული, თავიდან აგვაცდენს აუარებელ მუშა ძალის, დროის, ,ყოველგვარ ,მასალის (განათება, გათბობა და სხვ.) და ადგილის ზედმეტ ხარჯებს, როგორც ეს ხდება დღესაც და ამით ერთი ათათ მეტი ბარაქა მიეცემა ადამიანის შრომას. რამდენათ დიდი განსხვავებაა წვრილ, საშუალო და მსხვილ წარმოებათა ნაყოფიერებაში, ამას გვიჩვენებს მასაჩუსეტის შტატის სამრეწველო აღწერა 1890 წელს. ათი უმთავრესი დარგის სამრეწველოები დაყვეს ამ აღწერის დროს სამ ხარისხათ, კლასათ. დაბალ კლასს მიაკუთვნეს ისეთი წარმოებები, რომელთა წლიური ნაწარმოები 40,000 დოლარზე ნაკლები ღირდა. 40,000-დან 150,000 დოლარის ღირებულების შემქმნელნი ჩათვალეს საშუალო კლასში და 150,000 დოლარზე მეტ ღირებულების მწარმოებელნი უმაღლესში. შედეგი ასეთი იყო:

*) აფასებს რა კომუნიზმის სასარგებლო და უარყოფით მხარეებს ჯონ-სტიუარტი, შემდეგ აზრს გამოსთქვამს თავის „პოლიტ. ეკონომიაში“: „ასეთ შეხედულების გასავითარებლათ (ე. ი. რომ საზოგადოებრივი ინტერესი არის იმავე დროს კერძო ინტერესი) არ მოიპოვება საუკეთესო ნიადაგი, ვინემ კომუნისტური ასოციაცია. ყოველგვარი სულიერი პატივ-მოყვარეობა ისე, როგორც ფიზიკური და სულიერი მოკმედება, რომელნიც დღეს კერძო და თავმოყვარეობრივ ინტერესების დაცვაზე იხარჯება, მაშინ სულ სხვა სამოქმედო ფარგალში მოხვდებიან და საერთო კეთილდღეობისადმი მისწრაფებაში მოიპოვებენ სრულ დაკმაყოფილებას“.

| | საწარმოო დაწესებულ. რიცხვი. | %-ად საწარმ. დაწ. საერთო. | საერთო ღირებულ. ფასებ. | დამოკიდებულ. ყველა საწარმ. ნაწილ. |
|---|---|---|---|---|
| დაბალი კლასი | 2042 | 55,2 | 51660617 | 9,4 |
| საშუალო „ | 968 | 26,2 | 105868635 | 19,5 |
| მაღალი „ | 686 | 18,6 | 390817300 | 71,1 |

წვრილ საწარმოო დაწესებულებათა რიცხვი თითქმის ორჯერ აღემატება საშუალო და მსხვილ საწარმოო დაწესებულებათა რიცხვს, მიუხედავათ ამისა მხოლოდ 9,4 პროცენტს იძლევა საერთოთ მთელი შემოსავლისას. მსხვილები—ყველა წარმოებათა მეოთხედზე ნაკლებს წარმოადგენენ, მარა $2^1/_2$-ჯერ მეტ ნაწარმოებს ამზადებენ, ვინემ ყველა დანარჩენი საწარმოო დაწესებულებები. მარა მსხვილი წარმოების კიდე უფრო რაციონალურათ მოწყობა შეიძლება, ასე რომ ტეხნიკის უმაღლეს საფეხურზე საერთოთ წარმოებაში შრომა ბევრათ უფრო ბარაქიანი იქნება.

ტ. ჰერცკას თავის წიგნში—„სოციალური განვითარების კანონები“, საინტერესო გამოკვლევა მოყავს იმის შესახებ, თუ რამდენი დროს მოგება შეიძლება წარმოების რაციონალურ ნიადაგზე დაყენებით. მან გამოიანგარიშა, რამდენი მუშა ძალა და დრო დასჭირდება ავსტრიის 22 მილიონ მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მსხვილ წარმოების საშუალებით. ამ მიზნით მან შეაგროვა ცნობები მსხვილ წარმოებათა ნაყოფიერების შესახებ სხვა-და-სხვა დარგებში და ამაზე დააფუძნა თავის ანგარიში. მას არ გამოპარვია მხედველობიდან ის გარემოება, რომ მიწათმოქმედების ნაყოფით, ან ხორცით ავსტრიის მცხოვრებთა დასაკმაყოფილებლათ საჭიროა $10^1/_2$ მილიონი ჰექტარი სახნავ-სათესი მინდვრები და 3 მილიონი ჰექტარი სათიბ-საძოვრები. შემდეგ ჰერცკამ ანგარიშში მიიღო საცხოვრებელი მიწების აშენება და თვითეულ ოჯახზე ჩათვალა 150 ოთხ-კუთხი მეტრიანი სახლი 5 ოთახით, თითო სახლმა უნდა გაძლოს 50 წელიწადი. აღმოჩნდა, რომ სოფლის მეურ-

ნეობა, შენობები, დამზადება ფქვილის და შაქრის, დამუშავება ქვანახშირის, რკინეულობის, მანქანების და სხვ. მოითხოვეს სულ 615,000 მუშა ხელის წლიურ შრომას ჩვეულებრივ სამუშაო დროს განმავლობაში. მარა ეს 615,000 კაცი **შეადგენს ავსტრიის ყველა შრომის შემძლე მცხოვრებთა 12,3%, თუ მივიღებთ, რომ 16 წლის ქვევით და 50 წლის ზევით არც კაცი და არც ქალი მონაწილეობას არ მიიღებენ წარმოებაში.** თუ ყველა 5 მილიონი შრომის შემძლე მამაკაცი, რომელიც ცხოვრობდა ავსტრიაში ამ ანგარიშების გამოყვანის დროს, იმუშავებს ამ 615,000-ის მაგიერ, მაშინ თვითეულს დასჭირდებოდა მხოლოთ 37 დღის შრომა, ე. ი. საშუალო რიცხვით 6 კვირა და ამით დაკმაყოფილებულ იქნებოდა 22 მილიონი მცხოვრების ყველა საარსებო მოთხოვნილებები, მარა თუ 37 დღის მაგიერ 300 დღეს იმუშავებენ, შრომის ამ ახალ ორგანიზაციის დროს თვითეულს მოუწევს დღეში 11 საათის მაგიერ მხოლოდ $1^3/_8$ **საათის შრომა ყველა აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.**

ჰერცკა მხედველობაში იღებს მაღალ წრეთა ფუფუნების მოთხოვნილებებსაც და ამბობს, რომ შესაფერ წარმოებათა დამზადება ყველა 22 მილიონისთვის ასეთივე ფუფუნების საგნების დასამზადებლათ მოითხოვს ზედმეტ 315,000 მუშას. სულ ამნაირათ, ჰერცკას აზრით, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთი სამრეწველო დარგები ავსტრიაში საკმაოთ განვითარებული არაა, საჭირო იქნებოდა დაახლოვებით ერთი მილიონი მუშა, ე. ი. შრომის შემძლე მამაკაცთა 20% (ამაში არ შედიან 16 წლისაზე ნაკლები და 50 წლისაზე უხნესნი), რომ მცხოვრებთა მთელი წლის მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებიათ 60 დღის განმავლობაში. თუ ყველა შრომის შემძლე მამაკაცები მიიღებენ მუშაობაში მონაწილეობას, თვითეულს მოუწევს საშუალოთ $2^1/_2$ საათის მუშაობა დღეში*).

*) რას იტყვის ამ ანგარიშის შესახებ ბ. ევგენი რიხტერი? თავის „ცოცხალებაში“ ის დასკვნის ჩვენს აზრს, რომ შრომის პროცესის უმაღლეს ტექნიკურ ორგანიზაციას და საყოველთაო სავალდებულო შრომის შეძლებას შედეგად უნდა

ასეთი ანგარიში არავის გააკვირვებს, თუ საქმის ნამდვილ მდგომარეობას ჩაუკვირდება. ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი მცირე სამუშაო დღის გამო 50 წლის ზეზნეს მამაკაცებშიაც, გარდა ავათმყოფებისა და სუსტებისა, ყველამ მიიღოს მონაწილეობა შრომაში და რომ მათთან ერთათ იშრომოს 16 წლის მომცრო ახალგაზდობამ და ქალთა უმრავლესობამაც, რომელნიც დაბანდებული არ არიან ბავშვების აღზრდით, საშვლის დამზადებით და სხვა. ამით შეიძლება სამუშაო დროს ხელახლა შემცირება, ან კულტურულ მოთხოვნილებების გაზრდა და დაკმაყოფილება. არავის არ შეუძლია უარყოს, რომ შრომის პროცესის გაუმჯობესება არა თუ მნიშვნელოვან, პირდაპირ განსაცვიფრებელ ნაბიჯს წადგამს წინ და ამით აუარებელ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. მეორე მხრით ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ მომავალში ყველასათვის შესაძლებელი უნდა იქნეს მრავალგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელთაც დღეს მხოლოდ უმცირესობა იკმაყოფილებს, და რომ უმაღლესი კულტურული განვითარება წარმოშობს ბევრ ახალ მოთხოვნილებებს, რომელნიც ამგვარათვე უნდა დაკმაყოფილებულ იქნენ. **ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოება არ დაკმაყოფილდება პროლეტარულ ცხოვრებით, ის ეცდება იცხოვროს ისე, როგორც მაღალ განვითარებულ კულტუროსან ხალხს შეფერის და ასე იცხოვრებენ ყველა მისი წევრები პირველიდან უკანასკნელამდე.** მარა საზოგადოების წევრები ვერ დაკმაყოფილდებიან მარტო ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით, მათ უნდა ექნეთ ამასთანავე საკმაო თავისუფალი დრო, რომ მეცნ-

---

მოყვეს სამუშაო დროს განსაცვიფრებელი შემცირება-თქო. ის ცდილობს, რაც შეიძლება შეამციროს მსხვილი წარმოების ნაყოფიერება, სამაგიეროთ აზვიადებს წვრილი წარმოების მნიშვნელობას და ამგვარათ ეძებს საბუთს იმის დასამტკიცებლათ, რომ წარმოების იმდენათ განაყოფიერება, რამდენათაც ეს საჭიროა, შეუძლებელი საქმეაო. ამნაირათ, იმის დასამტკიცებლათ, რომ სოციალიზმი შეუძლებელიაო,— არსებულ წყობილების დამცველნი იძულებული არიან დღევანდელი საზოგადოების ყველა უპირატესობანი დაგმონ და აძაგონ.

ნიერება შეისწავლონ და ხელოვნებით დასტკბენ, გაერთონ, დაისვენონ და სხვ.

### 3. შრომის ორგანიზაცია.

სხვა მხრივაც სოციალისტური საზოგადო მეურნეობა არსებითათ განსხვავდება ბურჟუაზიულ ინდივიდუალურ მეურნეობისაგან. დებულება: „იაფი და ცუდი“, რომელიც სახელდახელო მცნებაა ბურჟუაზიულ წარმოების დიდი ნაწილისათვის, რადგან მომხმარებელთა დიდ უმრავლესობას მხოლოდ იაფი საქონლის ყიდვა შეუძლია, რომელიც მალე ფუჭდება,— ეს დებულება მომავალ საზოგადოებაში კარგავს თავის ძალას და მნიშვნელობას. დაამზადებენ მხოლოდ საუკეთესოს, რომელიც ამიტომ დიდხანს შეინახება და უფრო იშვიათათ მოითხოვს გამოცვლას. „მოდის“ სისულელეები, რომელნიც იწვევენ უსაზღვრო მფლანგველობას და ხშირათ გემოვნებასაც ამახინჯებენ, საბოლოოთ მოისპობიან. ეჭვს გარეშეა, ტანსაცმელი უფრო ლამაზი და მიზნის შესაფერი იქნება, ვინემ ახლაა (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი 15—20 წლის „მოდები“, განსაკუთრებით მამაკაცების, მეტის-მეტათ მოკლებული არიან გემოვნებას), მარა მაშინ ადგილი არ ექნება წელიწადში 4-ჯერ „მოდის“ შეცვლას, რაც ნამდვილი სისულელეა, და თუ დღეს არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ასაზრდოვებს ერთი მხრით ის, რომ ამით ქალები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს; მეორე მხრით კი ამპარტავნობა, მედიდურობა და თავის სიმდიდრის საჯაროთ გამოფენის სურვილი. ამას გარდა, ბევრი ადამიანის არსებობა დღეს პირდაპირ ამ სულელურ „მოდის“ გავრცელებაზეა დამოკიდებული და მათი ინტერესები თხოულობს მის ხშირათ გამოცვლას და გაძლიერებას. ტანისამოსის სულელურ „მოდებს“ ხშირათ ემატება სახლის სტილის სულელური „მოდის“ აყოლა. აქ ექსცენტრიულობა უმაღლეს ხარისხამდე ადის. სტილი, რომელიც მთელი საუკუნოებით ვითარდებოდა და რომელიც სხვა-და-

სხვა ხალხებმა შეიმუშავეს, რამდენიმე წლის შემდეგ მოდიდან გამოდიან. ვიღა კმაყოფილდება დღეს ევროპიულ ხალხების სტილით, და გადადიან იაპონელების, ინდუსების, ჩინელების და სხვ. სტილზე. მხატვრულმა მრეწველობამ აღარ იცის, რა უყოს აუარებელ ნიმუშებს და მოდელებს. ძლივს მოასწრებენ ერთ სტილთან შეგუებას, მის შესაფერ მოწყობილების შეძენას და, როცა დანახარჯის ანაზღაურებას შეუდგებია, აღმოჩნდება, რომ უკვე ახალი სტილი შემოდის მოდაში, რომელიც თხოულობს ხელახალ ხარჯს, დროს, ფულს, ფიზიკურ და გონებრივ ენერგიას. ასეთი ფრენა ერთი მოდიდან მეორეზე საუკეთესო გამომსახველია ჩვენი ეპოქის ნერვებ-აშლილობის. ვერავინ იტყვის, რომ ასეთი აჩქარება, ასეთი ნახტომები გონიერი იყოს და რომ მათი საზოგადოების სისაღის ნიშნათ ჩათვლა შეიძლებოდეს.

**მხოლოდ სოციალიზმი შეიტანს მეტ სიმტკიცეს საზოგადოების ცხოვრება-ჩვეულებაში.** მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი დამშვიდებით, სიამოვნებით ცხოვრება და განვთავისუფლდებით დღევანდელ აფუსფუსებისა და აცერცეტებისაგან, მაშინ გაქრება ნერვებ-აშლილობაც—ეს შავი ჭირი ჩვენი ეპოქისა.

შრომა, რაც შეიძლება სასიამოვნო უნდა იყოს, ამისთვის საჭიროა ერთგვარი გემოვნებით და პრაქტიკულათ მოწყობილი სახელოსნოები, უდიდესი დაცვა ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისაგან, თავიდან აშორება უსიამოვნო სუნის, ორთქლის, კვამლის და სხვ. ერთი სიტყვით ყველაფრის, რაც ჯანმრთელობას ვნებს და მძიმე გავლენას ახდენს ადამიანზე. თავდაპირველათ ახალი საზოგადოება იმ მუშა ძალებით და დამხმარე საშუალებებით დაიწყებს მუშაობას, რომელსაც ძველი საზოგადოება უანდერძებს. მარა ეს საკმარისი არაა. მრავალი, ერთი-მეორეს დაშორებული, ყოველმხრივ და ყველაფერში უმწვერვალესათ ნაკლულევანებებით სავსე სახელოსნოები, მანქანების და იარაღების სიმრავლე, რომელთა შორის კარგი და გამოსადეგი არეულია გამოუსადეგარს და დაძველებულში—

ყველა ეს არ შეეფერება არც მუშათა რიცხვს და არც მათ მოთხოვნილებას,—რომ სამუშაო მომარჯვებული და სასიამოვნო იყოს. ამიტომ ახალ, სრულ, სინათლით და წმინდა ჰაერით სავსე, ყველაფრით მოწყობილ და გამშვენიერებულ სახელოსნოების აშენება,—პირველი და აუცილებელი მოთხოვნილებაა სოციალისტურ საზოგადოების. ხელოვნებას და ტეხნიკას, გამოგონების ნიჭს და მოხერხებას, ფართე ასპარეზი ეშლება წინ სამოქმედოთ; მანქანათა ჩამომსხმელი, იარაღის დამმზადებელი და საამშენებლო ხელოვნების ყველა დარგებს და აგრეთვე შრომის იმ დარგებს, რომელთაც კავშირი აქვთ შენობის შინაგან მოწყობასა და გამშვენიერებასთან აუარებელი სამუშაო ექნებათ. აქ გამოდგება ყველაფერი, რაც ადამიანის გენიას შეუქმნია, რომ შენობა შრომისთვის მომარჯვებული და სასიამოვნო იქნეს, რომ გაიწყოს მიზნის შესაფერი ვენტილიაცია (ჰაერის საწმენდი), განათება, გათბობა, ტეხნიკური და სანიტარული ნაწილი. მამოძრავებელ ძალთა ეკონომია, ეკონომია გათბობის, განათების, დროის ისე, როგორც შრომისა და ცხოვრების საუკეთესოთ მოწყობა, მოითხოვს, რომ სახელოსნოები მიზნის შესაფერ პუნქტებში იქნეს თავმოყრილი. სადგომი ბინები დაშორებული იქნება სახელოსნოებზე და ამით თავიდან ავიშორებთ სამრეწველო და სახელოსნო მოქმედების ცუდ მხარეებს. ამასთანავე ეს ცუდი მხარეები მრავალგვარ შესაფერი მოწყობილებით მინიმუმამდე იქნება დაყვანილი და ბოლოს სრულიად გაქრება. თანამედროვე ტეხნიკასაც კი მოეპოვება იმის საშუალება, რომ ყოველგვარ ხიფათისგან დაიფაროს მუშა ისეთ წარმოებაშიაც, როგორიცაა, მაგალ. მაღაროებში, ქიმიურ წარმოებაში მუშაობა და სხვ. ამ საშუალებებს ბურჟუაზიული საზოგადოება არ ხმარობს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი დიდ ხარჯს მოითხოვენ, მუშათა დაცვის მოვალეობა მხოლოდ იმდენათ არსებობს, რამდენათაც ეს მისთვის აუცილებელი საჭიროა. უსიამოვნო მხარეები, რომელიც აქვს, მაგალ. მაღაროში მუშაობას, შეიძლება აშორებულ იქნეს მაღაროების განსაკუთრებულ მოწყობილობით, ფართე ვენტი-

ლიაციით, ელექტრონული განათებით, სამუშაო დროს შემ-
ცირებით, მუშების ხშირი შეცვლით და სხვ.; დიდი შემოქმე-
დებითი ნიჭი არ უნდა ისეთ საშუალების გამოგონებას, რო-
მელიც, მაგალ. სახლების აშენების დროს დაიფარავს მომუ-
შავეებს უბედურ შემთხვევათაგან და ამით საამშენებლო შრო-
მას სასიამოვნო შრომათ გახდიან. მაგალ. უდიდეს შენობის
აგების დროსაც კი შეიძლება შესაფერი ზომების მიღება სიც-
ხისა და წვიმისაგან მუშების დასაფარავათ.

ამას გარდა ისეთ საზოგადოებაში, როგორიცაა სოციალის-
ტური, საკმარისზე ბევრათ მეტი მუშა ძალა იქნება, რის გამო
ადვილი განსახორციელებელია მუშების ხშირი შეცვლა და
ზოგიერთ სამუშაოების რომელიმე განსაზღვრულ დროს და
დღეებში შესრულება.

რაც შეეხება მტვერის, კვამლის და არა სასიამოვნო სუ-
ნის აშორებას, ამ საკითხის გადაჭრა დღესაც არ გაუძნელდება
ქიმიას და ტეხნიკას. და თუ ეს დღემდე არ გადაწყვეტილა,
ან მხოლოდ ნაწილი გადაწყდა—ეს წარმოსდგება იქიდან, რომ
კერძო მრეწველებს არ სურთ საჭირო ხარჯების გაღება. ამ-
ნაირათ, საწარმოო ადგილები, მიწის ქვეშ იქნება თუ .მიწის
ზევით, არსებითათ გაირჩევა თანამედროვე ადგილებისაგან;
რასაკვირველია, თავის გაუმჯობესებებით. კერძო მეურნეობაში
გაუმჯობესებულ მოწყობილობის საკითხი—უპირველეს ყოვ-
ლისა ფულის საკითხია, ე. ი. იმის, შეუძლია წარმოებას მათი
ატანა და ანაზღაურება თუ არა? თუ მათი ანაზღაურება შე-
უძლებელია, დაე მუშები გაწყდენ; კაპიტალისტი კი ხელსაც
არ გაანძრევს, თუ მოგება არ ნახა. ადამიანობას ბურჟუასთვის
ფასი არა აქვს*).

---

*) „კაპიტალი—ამბობს „Quarterbu Reviewer"—გაურბის აყალ-მაყალს და
დავას, იგი მშიშარა ბუნებისაა. ეს მართალია, მარა მთელი სიმართლე არაა. კაპი-
ტალს ეშინია მოგების დაკარგვის, ან ძალიან მცირე მოგების აღების, როგორც
ბუნებას სიცალიერის. თუ შესაფერ მოგებას ნახულობს, მაშინ კაპიტალი გაბედუ-
ლია, უზრუნველყავით მისთვის 10 პროც. მოგება და ის ყოველ საქმეში შეგიძ-
ლიათ გამოიყენოთ; 20 პროც. და ის ამოძრავდება; 50 პროც. და ის პირდაპირ
თავგანწირულ გმირობას გამოიჩენს; 100 პროც. და ის ფეხქვეშ გათელავს ადამი-

მოგების როლი სოციალისტურ საზოგადოებაში გათავებულია. სოციალისტურ საზოგადოებისთვის არ არსებობს სხვა მოტივი (მამოძრავებელი მოსაზრება), გარდა თავის წევრთა კეთილდღეობისა. რაც მათ დაიცავს, სარგებლობას მოუტანს —უნდა შემოღებულ იქნეს, რაც ენებს—უნდა მოისპოს. არავის არ დაატანენ ძალას, რომ სახიფათო საქმეში მონაწილეობა მიიღოს. თუ აუცილებელი იქნება რაიმე საქმის დაწყება, სადაც ადამიანს ხიფათი მოელის, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ბევრი თავისუფალი მსურველი გამოჩნდება, მით უმეტეს, რომ ეს იქნება საქმე კულტურის მამოძრავებელი, წინ-წამწევი და არა დამრღვევი.

## 4. შრომის ნაყოფიერების ზრდა.

ფართოთ სარგებლობა მამოძრავებელ ძალებით, უსრულეს მანქანებით და იარაღებით, შრომის ძლიერი დანაწილება და მუშა ძალთა ხელოვნური კომბინაციების შექმნა იმ სიმაღლეზე აიყვანს წარმოებას, რომ ცხოვრების ყველა საჭირო ნაწარმოებთა დასამზადებლათ, **აუცილებელი სამუშაო დრო შეიძლება განსაცვიფრებლათ შემცირებულ იქნეს.** შრომის ნაყოფიერების გაძლიერება ყველას მოუტანს სარგებლობას: **შრომის ნაყოფიერების გაძლიერებასთან ერთათ იზრდება თვითეულის ხვედრი ნაწარმოები; მეორე მხრით, გაძლიერებული ნაყოფიერება იმის საშუალებას იძლევა, რომ საზოგადოებრივ საჭირო სამუშაო დრო შევამციროთ.**

მამოძრავებელ ძალებით სარგებლობაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ალბათ ელექტრონი. უკვე დღეევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოება ცდილობს ყველგან იგი იმსახუროს. რაც უფრო მეტი და სრული იქნება ეს სამსახური, მით უკეთესია საყოველთაო პროგრესისთვის. ამ ბუნების ძალთა შორის უძლიერესი რევოლიუციური მოქმედება **მით**

ანის ყველა კანონებს; 800 პროც. და არაა ისეთი ბოროტება, რომ მან ვერ გაბედოს, თუნდაც საღრჩობელა მოელოდეს. თუ აყალ-მაყალი და დავა მოგების მომტანია— ის ხელს შეუწყობს მას". (კ. მარქსი. „კაპიტალი", 1 წიგნი).

**უფრო ადრე** გასწყვეტს ბურჟუაზიულ ქვეყნის ბორკილებს და გაგვიღებს სოციალიზმის კარებს. მარა ამ ძალებით სავსებით სარგებლობა, მათი ფართოთ გამოყენება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას. თუ ნაწილი მაინც განხორციელდა იმ იმედების, რომელსაც იძლევა ელექტრონით სარგებლობა დღემდე, მას შეუძლია, როგორც მამოძრავებელ ძალას და როგორც სინათლისა და სითბოს მომცემელს, დაუფასებელი სამსახური გაუწიოს საზოგადოებას ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებაში. ელექტრონი იმით განირჩევა ყველა სხვა ძალებისგან, რომ ბუნებაში იგი უხვათ მოიპოვება. ჩვენი საჩქეფები, ჩხრიალები, ზღვის ტალღათა მიმოქცევა, ქარი, მზის სხივები აუარებელ ძალას მოგვცემენ, თუ კი მათ მიზნის შესაფერ სარგებლობას მოვახერხებთ.

„ენერგიის ისეთ სიმდიდრეს, რომელიც ბევრათ აღემატება მოთხოვნილებას, წარმოადგენს დედამიწის ზედა-პირის ნაწილი, რომელსაც მზის სხივები რეგულიარულათ აძლევენ იმდენ სითბოს, (უმეტეს ნაწილათ აქ სრულიად უნაყოფოს და ხშირათ მაზარალებელს), რომ ის თამამათ იკმარებს მთელი დედამიწის ტეხნიკური წარმოებისათვის. ძალიან დიდი ადგილი არაა ამისთვის საჭირო. **რამდენიმე ოთხკუთხი მილი ჩრდილოეთ ამერიკაში სრულიად საკმარისი იქნებოდა ისეთ ქვეყნის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, როგორიც გერმანიის იმპერიაა.** მზის სითბოს მოგროვებით შეგვიძლია ძალიან მაღალი ტემპერატურა (სიმხურვალე ჰავის) მივიღოთ და ამასთან ერთათ ყველა სხვა ძალების: გადასატანი მექანიკური მუშაობა, აკუმულიატორების გატენა, სინათლე, სითბო და ელექტროლიუზის საშუალებით კი გასათბობი მასალა“ *).

ასეთ პერსპექტივების (სურათი) გადამშლელი, რომელიმე მეოცნებე ადამიანი კი არაა, არამედ ნამდვილი პროფესორი ბერლინის უნივერსიტეტის და პრეზიდენტი საიმპერატორო ფიზიკო-ტეხნიკურ ინსტიტუტისა, ადამიანი, რომელსაც ერთი

*) Die Energie der Arbeitetc. 1900 წ. ლეიპციგი.

პირველ ადგილთაგანი უჭირავს მეცნიერებაში. ბრიტანიის საზოგადოების მე-79-ე კონგრესზე (კანადაში) 1909 წლის აგვისტოში, ცნობილ ინგლისელმა ფიზიკოსმა—ტომსონმა თავის პირველ სიტყვაში სთქვა: „შორს აღარაა ის დრო, როცა ჩვენ გამოვიყენებთ მზის სხივებს და ამით მთელ ცხოვრებას გარდავქმნით. ნახშირი და წყლის ძალა მაშინ ადამიანისთვის საჭირო აღარ იქნება. ყველა დიდ ქალაქებს გარშემო ისეთი მანქანა ექნებათ შემოდგმული, რომელიც მზის სხივებს ერთათ თავს მოუყრის, სითბოს გამოკრებს და მოაგროვებს... ეს იგივე ძალაა, რომელიც ახლა ნახშირში, საჩქეფებში იმყოფება და მთელი ქვეყნის საქმეს აწარმოებს. უზომო ძალას ფანტავს მზე დედამიწაზე. ჩვენ კარგათ წარმოვიდგენთ ამას, თუ გავიხსენებთ ლანგლეის გამოკვლევას. მისი ანგარიშით, როცა ცა მოწმენდილია და მზეც პირდაპირ დაგვყურებს, მაშინ ის თითო აკრ მიწაზე იმდენ ენერგიას გვაძლევს, რომ 7000 ცხენის ძალას უდრის. მართალია, ჩვენმა ინჟინრებმა ვერ გამოიყენეს ჯერ ეს უზარმაზარი წყარო ენერგიის, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ამ მიზანსაც მივაღწევთ. როცა დედამიწას ნახშირი გამოელევა, როცა წყლის ძალითაც ველარ დავაკმაყოფილებთ ჩვენ მოთხოვნილებებს, მაშინ მივმართავთ ამ დაუშრეტელ წყაროს და იქიდამ გამოვიღებთ ენერგიას, რამდენიც საჭირო იქნება ყოველგვარი საქმისთვის. მაშინ სახარის უდაბნო მრეწველობის ცენტრათ გადაიქცევა და ადგილს ფასი დაედება იმის მიხედვით, თუ რამდენათ მოსახერხებელი იქნება იქ მზის სხივების მოგროვება*). და რადგან აკუმულიატორების გამოგონებით შესაძლებელი გახდა აუარებელი ძალის შემონახვა ფარულ, უმოძრაო მდგომარეობაში, სადაც გინდა და რამდენ ხანსაც გინდა, ამიტომ შეგვიძლია გამუდმებით ვისარგებლოთ არა მარტო მზის სხივებით, ზღვის მოქ-

*) ჯერ კიდევ 1884 წელს, ავგ. მუხოტმა სცადა მრეწველობისთვის მზის სხივები გამოეყენებია და ამ მიზნით ააგო შესაფერისი მანქანა; შემდეგ ეს მანქანა პიფრემ გააუმჯობესა. ასეთი ვეებერთელა მანქანა (ჰელიომოტორი) სდგას ახლა კალიფორნიაში, სადაც მას წყლის ამოსაღებათ ხმარობენ, წყალი საშინელი სისწრაფით ამოაქვთ ჰიდან ამის მეოხებათ—11,000 ლიტრა ერთ წამში.

ცევით და უკუ-ქცევით, არამედ ქარის, მთის ნაკადულების და სხვ. ძალებით, რომელთა მოგროვება მხოლოდ ხანგამოშვებით შეიძლება. ამნაირათ, ბოლოს და ბოლოს ადამიანის არც ერთი მოქმედება არაა ისეთი, რომ საჭიროების დროს მის ნაცვლათ მამოძრავებელ ძალების ამუშავება არ შეიძლებოდეს...

წყლის ძალა წარმოებაში პირველათ ელექტრონის საშუალებით გამოიყენა კაცობრიობამ. ბ. ტ. კოჰენის ანგარიშით, რვა ევროპის სახელმწიფოში ახლა წყლის ძალა იმდენი აქვთ, რომ იგი უდრის:

| | | | | 1000 მცხოვრებზე მოდის: |
|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტანია | 963000 | ცხენის | ძალას | 23,1 |
| გერმანია. . | 1425900 | „ | „ | 24,5 |
| შვეიცარია . | 1500000 | „ | „ | 138 |
| იტალია . . | 5500000 | „ | „ | 150 |
| საფრანგეთი . | 5857000 | „ | „ | 169 |
| ავსტრო-ჰუნგრ. | 460000 | „ | „ | 454,5 |
| შვეცია . . | 675000 | „ | „ | 1290 |
| ნორვეგია . | 7500000 | „ | „ | 3409 |

გერმანიაში—ბადენს და ბავარიას აქვს ამისთვის უდიდესი მანქანები. ბადენს შეუძლია მარტო რეინის ზემო ნაწილში ორი ათასი ცხენის ძალით ისარგებლოს, ბავარიას 300,000 ცხენის ძალა აქვს თავის განკარგულებაში (ხმარობს 100,000 ცხენის ძალას). პროფ. რეიბოკი ამბობს, რომ ის ენერგია, რომელიც შეგვიძლია გამოვიტანოთ დედამიწის ყველა წყლებიდან 8 მილიარდ ცხენის ძალას შეედრებაო. მარტო ერთი მეთექვსმეტედი ნაწილი რომ გამოვიყენოთ ამ ენერგიის, მაშინაც 500 მილიონი ცხენის ძალა იქნება ჩვენ ხელშიო. ეს ათჯერ მეტი იქნება იმ ძალასთან შედარებით, რომელიც 1907 წლის განმავლობაში მოგვცა ნახშირმა, დაახლოვებით ამ წელს 100,000 მილიონი ტონი ნახშირი დაიწვა წარმოებაში. მართალია, ეს ანგარიში თეორეტიულია, მარა ჩვენ მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დიდ სამსახურს გაგვიწევს მომა-

ვალში „თეთრი ნახშირი“ მარტო მდინარე ნიაგარის მიდამოებში, რომელიც 231,880 კვადრ. კილომეტრს შეიცავს (ეს 43 პროცენტია მთელი გერმანიის სივრცის—540,000 კილომეტრის), შეგვეძლება გაცილებით მეტი ძალა შევაგროვოთ, ვიდრე დღეს ინგლისი, გერმანია და შვეცია გვაძლევენ*). მეორე—ოფიციალური ანგარიშით შეერთებულ შტატებში სარგებლობენ წყლის ძალით, რომელიც 20 მილიონ ცხენის ძალას უდრის. ამოდენა ძალას მოგვცემს მხოლოდ 300 მილ. ტონი ნახშირი ერთ წელიწადში. იმ ქარხნებს, სადაც ამ „თეთრი“, ან „მწვანე“ ნახშირის ძალით მოეწყობა წარმოება, არ ექნებათ ცეცხლი და აღარც ბოლის ასაშენები მილები დასჭირდებათ.

ელექტრონის ძალით ჩვენ შეგვეძლება გავაორკეცოთ მიმოსვლის სისწრაფე. ჯერ წარსულ საუკუნის მე-90-ე წლების დამდეგს ბ. **მეემსი** (ბალტიმორაში) ამბობდა, რომ შესაძლებელია ისეთი ელექტრონული ეტლის გაკეთება, რომელიც 300 კილომეტრს გაიკლის ერთ საათშიო. პროფ. ელ. ტომსონი **ლინში** (მასაჩუსეტშია) ფიქრობდა, რომ შესაძლოა ისეთი ელექტრონული მატარებლის გაკეთება, რომელიც ერთ საათში 260 კილომეტრს გაივლის, თუ გზა შესაფერათ იქნება მოწყობილი და ნიშნების გადაცემ-გადამოცემა გაუმჯობესდებაო. ეს იმედები თითქმის გამართლდენ კიდეც. 1901—1902 წლებში ბერლინიდან ცოსსემდის სამხედრო გზაზე გაიმართა გამოსაცდელი მიმოსვლა და აღმოჩნდა, რომ ერთ საათში მატარებელმა 150 კილომეტრი გაიარა. სიმენსის ეტლის სისწრაფე უდრის, როგორც სცადეს 1903 წ.—201 კილომეტრს საათში. შემდეგ წლებში იქამდის მიაღწიეს, რომ ორთქლით მატარებელი გადის 150 კილომეტრს საათში.

ახლა 200 კილომეტრს გადის საათში. ავგ. შერლმა წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმათ მოწყობილ ლიანდაგზე მისი აზრით, მატარებელი გაივლის საათში 200 კილომეტრს;

*) T. Kohen, Über eine grosse Europeische wasserkraftanlangeu und ihre wirtschaftliche Bedeutung. 909.

ამნაირათ, დიდი ქალაქები დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ახლანდელი გზა კი მარტო საქონლის გადასატან-გადმოსატანათ უნდა დარჩესო*).

ელექტრონული ძალა რკინის გზებზე—ეს სადღეისო კითხვაა ინგლისში, ავსტრიაში, იტალიაში და ამერიკაში. ფილადელფიიდან ნიუიორკამდე მალე გაიმართება ელექტრონული მიმოსვლა—საათში 200 კილომეტრი; ასეთია პროექტი.

სწრაფი მიმოსვლა მოეწყობა აგრეთვე ზღვაზედაც. დიდი მნიშვნელობა ექნება ამ მხრივ ორთქლით მოძრავ ტურბინს. ტეხნიკაში ამას პირველი ადგილი უჭირავს დღეს. რაც ზოგიერთ ინჟინერებს მომავლის საქმეთ მიაჩნდათ, ის სადღეისო კითხვათ გადაიქცა და მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო... ელექტრო-ტეხნიკამ დაგვანახვა, თუ რა ფართოთ შეგვიძლია გამოვიყენოთ ახლათ მოპოვებული ძალა. უმეტეს ნაწილათ ორთქლ-ტურბინებს დღეს მამოძრავებელი მანქანებისთვის (динамомашины) ხმარობენ. ამის უპირატესობა ოკეანზე მიმოსვლისთვის უკვე დამტკიცებულია. მაგალითათ ინგლისის გემი „ლუზიტანია“, რომელიც ორთქლ-ტურბინით არის გამართული, აგვისტოში 1909 წ. ირლანდიიდან ნიუიორკამდე მისვლას მოუნდა 4 დღე, 11 სათი და 42 წამი; საშუალოთ ის გადიოდა 48 კილომეტრს საათში. 1863 წელს აგებული „ამერიკა“, რომელიც მაშინ სწრაფლ-მავალათ ითვლებოდა, მარტო 23,16 კილომეტრს ასწრებდა ამავე დროს განმავლობაში. შორს აღარაა ის დრო, როცა ელექტრონული ძალით ავამოძრავებთ ვეებერთელა მატარებლებს. პატარეებისთვის ამას ახლაც ხმარობენ. სწრაფი და იმავე დროს უბრალო, შეურყეველი მოძრაობა საუცხოვო საშუალებათ ხდის ორთქლ-ტურბინს გემზე ელექტრონული ძალის საწარმოებლათ. მართვაც ამ ახალი მანქანის გაცილებით ადვილია. ელექტრონი რკინის

*) 4 ნოემბერს, 1904 წელს დამტკიცებული წესების ძალით, სამგზავრო მატარებელის სიჩქარე განსაზღვრულია 100 კილომეტრით საათში. 1908 წელს პრუსიის სამინისტრომ გადასწყვიტა, რომ ლეიპციგ-ბიტერფელდ-მაგდებურგის და ლეიპციგ-ჰალეს რკინის გზებზე მიმოსვლა ელექტრონული მატარებლებით უნდა მოეწყოსო.

გზებზე, ელექტრონული ძალა ნაოსნობაში,—ამას ვხედავთ დღეს და ამის გაუმჯობესებას ველით ახლო მომავალში.

ელექტრონი მოახდენს რევოლიუციას სიმძიმის გადატანგადმოტანის ტეხნიკაშიაც: „ორთქლის ძალით ჩვენ ვისარგებლეთ და ავაგეთ ასაწევი მანქანები, ელექტრონული ძალით კი მთლათ გარდაქმნეს ეს მანქანები. ახლა ესენი უფრო თავისუფლათ მოძრაობენ, ენერგიაც მუდამ თან ახლავთ“.

ელექტრონულმა ძალამ დიდი სამსახური გაგვიწია აგრეთვე ასაწევი კრანის მომართვაში (подъемный кранъ), ჯერ კიდევ ორთქლით მოქმედობს ეს კრანი. უშნოთ მოღუნული ცხვირით მთლიანი რკინისაგან, რომელიც მძიმე ოთხ-კუთხ საფუძველზეა დამაგრებული, ზანტი მოძრაობით და გამაყრუებელი ხმაურობით ორთქლის გამოშვების დროს, ეს კრანი პირველყოფილ ტლანქ იარაღს მოგვაგონებს. როცა ის მოძრაობაში მოდის, საშინელ ძალას იჩენს, მარა ამისთვის საჭიროა მუშა ხელები, რომელნიც ჯაჭვების დახვევით შეაკავებენ მის რგოლებზე ამსიმძიმე ნივთს. ის გამოსადეგია მხოლოდ დიდი სიმძიმის ასაწევათ, რადგან ის ნელი და ძნელი დასანგრევი მანქანაა. მარა სრულიად გამოუსადეგარია სწრაფულ და ხშირი აწევ-დაწევისთვის. სულ სხვა სურათს წარმოადგენს ელექტრონის შემწეობით ამოძრავებული ფოლადის კრანი, რომელსაც მხოლოდ ერთი მმართველი სჭირია და რომელიც თავისით, უხმაუროთ მიაქანებს ზევით თავის ტვირთს.

ამ მანქანების დაუხმარებლათ მოუხერხებელი იქნებოდა საქონლის სწრაფათ გადაზიდვა. გადაზიდვის მოთხოვნილება კი დღითი-დღე იზრდება. ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ გემის ორი სხვა-და-სხვა გვარი კრანი—ძველი და ახალი და გავიგოთ სათითაოთ მათი ძალა, ჩვენ შეგვიძლია ამისთვის ვისარგებლოთ იმ გამოცდილებით, რომელიც გვქონდა გასული საუკუნის შუა წლებიდან მის დასასრულამდე. მაშინ ვნახავთ, რომ პირველის საშუალებით შეიძლება 60 ტონიანი სიმძიმის გადატანა, მეორეთი—200 ტონიანის. ბესსემერის ფოლადის წარმოება (производ. бессемеревой стали) შეიძლება მხოლოდ იმ შემთ-

ხვევაში, თუ ხელთ გვექნება სწრაფლ-მოძრავი ასაწევი მანქანები. უამისოთ არ მოესწრება აუარებელი ნაწარმოების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე.

ესსენში მოძრაობს 608 კრანი, ეს შეერთებული ძალა ზიდავს 6513 ტონს; ამოდენა სიმძიმე მოთავსდება 650 ვაგონში. მცირე ხარჯით ვერ გავუძღვებოდით მსოფლიო აღებ-მიცემობას, რომ გემების დაცლა სწრაფათ არ წარმოებდეს. ელექტრონის კრანით გემიდან საქონლის ამოღება—ეს ისეთი საქმეა, რომელიც წლიურ ხარჯს თითქმის ნახევრათ ამცირებს, 23,000 მარკის მაგივრათ იხარჯება 13,000 მარკა. ჩვენ ჯერ მარტო ათი წლის გამოცდილებით ვხელმძღვანელობთ ამ ანგარიშში. ტეხნიკა დღითი-დღე ახალ გზას იკაფავს ყოველნაირ მიმოსვლის გაადვილებაში: ჰაერში ფრენა, რაც ამ ორი ათეული წლის წინეთ ოცნება ეგონათ, დღეს სინამდვილეთ გადაიქცა. მართალია ჯერ სხვადასხვანაირი საფრენი მანქანები უბრალო გასართობათ მიაჩნიათ, ჯერ მხოლოდ სამხედრო მიზნისთვის უნდათ გამოიყენონ ეს გამოგონება, მარა მოვა დრო, როცა ეს საშუალება საწარმოო ძალებს გაამდიდრებს. დიდ წინმსვლელობას ვხედავთ აგრეთვე უმავთულო ტელეგრაფ-ტელეფონის მოწყობაში. მოკლე დროში ამის მეოხებით სულ სხვა ნიადაგზე დამყარდება საქვეყნო ურთიერთ დამოკიდებულება. მთელ სამთო წარმოებაში (მხოლოდ მიწის ქვეშ ჯერ არა) ჩვენ ვამჩნევთ ისეთ ცვლილებას, რომელსაც ამ ათი წლის წინეთ ვერც კი წარმოვიდგენდით. ეს ცვლილება გამოიწვია იქ ელექტრონული ძალის ხმარებამ.

საარაკო პერსპექტივები გაითვალისწინა საფრანგეთის ყოფილმა მინისტრმა, პროფესორმა ბერტელომ 1894 წელს გაზაფხულზე ქიმიურ ფაბრიკანტთა სინდიკატის ბანკეტზე თავის სიტყვაში ქიმიის მნიშვნელობის შესახებ. ბ-მა ბერტელომ დაასურათა თავის სიტყვაში, თუ რა მდგომარეობაში იქნება ქიმია 2000 წელში და, თუმცა მის დასურათებაში ბევრი რამ გადამეტებულია, მარა მასში მაინც იმდენი სწორი აზრია გამოთქმული, რომ ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენიმე ადგილს.

ლაპარაკობს-რა ქიმიის პროგრესზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, ბ-ნი ბერტელო აღნიშნავს შემდეგს: „გოგირდის სიმჟავის წარმოება, გათეთრება, გაფერადება, ჭარხლის შაქარი, საქიმო ალკალოიდები, გაზი, მოოქვრა და მოვერცხვლა და სხვ., შემდეგ აღორძინება ელექტრო-ქიმიის, რომელმაც სრულიად შეცვალა მეტალურგია, აღმოჩენა ტერმო-ქიმიის და ამაფეთქებელ ნივთიერების, რომელმაც ახალი ძალა მიაწოდა მადნებში მომუშავეთ და სამხედრო ხელოვნებას, ბოლოს ორგანიულ ქიმიის საკვირველებანი ფერადების, სურნელების, სამკურნალო და ანტისეპტიური საშუალებების წარმოებაში და სხვ. მარა ეს მხოლოდ **დასაწყისია**, მალე გადაჭრილ იქნება უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა. 2000 წელში აღარ იქნება არც სოფლის მეურნეობა და არც გლეხები, რადგან ქიმია გააუქმებს მიწის დამუშავებას. აღარ იქნება ქვანახშირის მაღაროები და, მაშასადამე, აღარც ქვა-ნახშირის მუშათა გაფიცვები. სათბობ მასალის ადგილს ქიმიური და ფიზიკური პროცესები დაიჭერს. საბაჟოები და ომები გაქრება: ჰაერში ფრენამ, რომელიც გამოიყენებს ქიმიურ ნივთიერებათა მამოძრავებელ ძალას, სასიკვდილო განაჩენი წაუკითხა ამ დაძველებულ დაწესებულებებს. ინდუსტრიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ იპოვოს ძალის მომცემი წყარო, დაულეველი და რაც შეიძლება მცირე ენერგიის დახარჯვით ადვილი გასაახლებელი. აქამდე დამწვარ ნახშირის ქიმიურ ენერგიის შემწეობით ვღებულობდით ორთქლს; მარა ქვა-ნახშირის მოპოვება ძნელია, რადგან იგი დღითი-დღე მცირდება. საჭიროა ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ ვისარგებლოთ **მზის სითბოთი და მიწის გულის სიმხურვალით**. დღევანდელ საინჟინერო ხელოვნებას, მომავალზეც რომ არ ვილაპარაკოთ, საფუძვლიანი იმედი აქვს ორივე ამ წყაროებით განუსაზღვრელათ ისარგებლოს: შეუძლებლათ არ ითვლება ჭების ამოჭრა 3—4 ათასი მეტრის სიღრმეზე. ამით კი მოგვეცემა წყარო ყოველგვარ სითბოსათვის და მრეწველობისათვის. თუ ამას დავუმატებთ **წყლის ძალას**, რამდენი და როგორი მანქანებიც უნდა ავა-

მუშაოთ, ეს ძალები მთელი საუკუნოების განმავლობაში მაინც შესამჩნევათ არ შემცირდებიან.

დედამიწის სითბოს საშუალებით მოსახერხებელი იქნებოდა მრავალი ქიმიური პრობლემის გადაჭრა, მათ შორის ქიმიის უმაღლესი ამოცანის: ქიმიური საშუალებით მასაზრდოებელ ნივთიერების დამზადების. პრინციპიალურათ ეს ამოცანა უკვე გადაჭრილია. ქონის და ზეთიანი ნივთიერების სინტეზი (შეერთება) დიდიხანია ცნობილია, ცნობილია შაქარი და ნახშირბადი, მალე მიაღწევენ აზოტისტურ ნივთიერებათა სინტეზს. საარსებო საშუალებათა საკითხი წმინდა ქიმიური საკითხია: იმ დღიდან, როცა შესაფერ იაფ ძალას მოიპოვებენ, შესაძლებელი გახდება ნახშირბადის შემწეობით ყოველგვარ სასაზრდოო ნივთიერების შექმნა ნახშირბადის სიმჟავისა, წყალბადისა და მჟავბადისაგან, წყლისა და ატმოსფერის აზოტისაგან. რასაც აქამდე აკეთებდენ მცენარეები, მათ აწი წარმოება დაამუშავებს და უკეთესათაც, ვინემ ბუნება. მოვა დრო, რომ თვითეული ჯიბით ატარებდეს საკმაო ნაწილს ქიმიურ ნივთიერებისას, რომლითაც ის დაიკმაყოფილებს საჭმლის მოთხოვნილებას, ე. ი. მოთხოვნილებას ქონის, ცვილის და ნახშირბადისას, მიუხედავათ დღის და წლის დროისა, მიუხედავათ წვიმისა და გვალვისა, სეტყვისა და მავნე მწერებისა. ეს იქნება ისეთი გადატრიალება, რომლის დაახლოვებით წარმოდგენაც კი არ შეიძლება დღეს-დღეობით. პურის მინდვრები, ვენახები, საბალახოები გაქრებიან; ადამიანი უფრო სათნო და ზნეობრივი გახდება, რადგან ცოცხალ არსებათა მოკვლას და შეჭმას აღარ ისაჭიროებს. მაშინ მნიშვნელობა დაეკარგება ნაყოფიერ და უნაყოფო მიწების განსხვავებას და **შეიძლება უდაბნოები უფრო საყვარელ საცხოვრებელ ადგილათაც გადაიქცეს ადამიანისათვის,** რადგან ის უფრო ჯანსაღი საცხოვრებელი ადგილი იქნება, ვინემ ათასგვარ სენის ბაცილებით გაჟღენთილი ნაყარი ნიადაგი და ჭაობიანი, დამპალი ვაკეები, სადაც ახლა ეწევიან პურის მოყვანას. მაშინ სრულ განვითარებას მიაღწევს **ხელოვნება** ადამიანის ცხოვრების ყველა მშვენიერე-

ბით. დედამიწა აღარ იქნება დასახიჩრებული გეომეტრიულ ფიგურებათ, რომელიც გაყავთ ახლა მიწათ-მოქმედებაში, ის იქნება **ბაღი**, სადაც შეგიძლიათ სურვილისამებრ აღზარდოთ ბალახი და ყვავილი, ჩირგვები და ტყეები და რომელშიაც ადამიანებს ყველაფერი უხვათ ექნებათ, როგორც ოქროს საუკუნოებში. ამით ადამიანი არ შეიძენს სიზარმაცეს და გარყვნილებას. ბედნიერება უშრომლათ შეუძლებელია და ადამიანი იმუშავებს იმდენს, რამდენსაც წინეთ, რადგან იმუშავებს **თავის თავისთვის**, რათა უმაღლეს საფეხურზე აიყვანოს თავის გონებრივი, ზნეობრივი და ესტეტიური განვითარება.

მკითხველს შეუძლია, რაც სურს, ის ჩასთვალოს სრულ სიმართლეთ ბერტელოს სიტყვაში, მარა ერთი ეპვს გარეშეა, სახელდობრ ის, რომ მომავალში მრავალ-მხრივი პროგრესის წყალობით ნაწარმოებთა რაოდენობა, მრავალფეროვანება და კარგი თვისებები დიდათ გაიზრდება; დღეს წარმოდგენაც კი ძნელია იმის, რამდენათ უფრო სასიამოვნო იქნება მომავალ თაობათა ცხოვრება.

პროფესორი ტომსონი სავსებით იზიარებს ვერნერ სიმენსის შეხედულებას, რომელმაც 1887 წელს ბერლინში ბუნებისმეტყველთა სიეზდზე განაცხადა, რომ ელექტრონის ძალის შემწეობით შესაძლებელია მარტივი **ელემენტები პირდაპირ საჰმელ ნივთიერებათ ვაქციოთო.** ვერნერ სიმენსი ფიქრობდა, რომ შორეულ მომავალში უსათუოთ შესაძლებელი იქნება ხელოვნურათ დამზადება ისეთი ნახშირბადების, როგორიცაა მაგალ. ყურძენი, ყურძნის შაქარი და ქიმიურათ მასთან დაახლოვებული სახამებელი (კრახმალი), რაიცა მართლაც მოასწავებს „ქვის პურათ გარდაქმნას". ქიმიკოსი ვ. მეიერი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ხის ძაფები ვაქციოთ ადამიანის მასაზრდოებელ წყაროთო. ფიზიოლოგ ეიზელერმა ფაქტიურათ მოამზადა კიდეც ხელოვნურათ ყურძნის შაქარი და ამნაირათ მიაღწია იმას, რის განხორციელებას ვერნერ სიმენსი მხოლოდ შორეულ მომავალში მოელოდა. მას აქეთ ქიმიამ კიდევ დიდი ნაბიჯი წასდგა წინ. 1906 წელს ვ. ლიობმა ელექტრონული

ძალის ზეგავლენით ხელოვნურათ ნახშირბადის სიმჟავე მოამზადა. 1907 წელს ემ. ფიშერმა შექმნა სინტეტიური ორგანიული სხეული, რომელიც ძალიან უახლოვდება ცილეულობას; 1908 წელს ვილშტატერმა და ბენცმა მოამზადეს ხლოროფილი (ეს ნივთიერება მცენარეულობაში შედის და მას მწვანე ფერს აძლევს).

ამას გარდა, მეცნიერებმა შექმნეს მთელი რიგი ისეთი სხეულების, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ორგანიზმის გამრავლებაში და მემკვიდრეობით თვისებების გადაცემაში. ამ-ნაირათ, შორს აღარაა ის დრო, როცა მეცნიერება შეიძლებს კვერცხის ცილის ხელოვნურათ მომზადებას,—ეს ხომ ორგანიული ქიმიის უმთავრესი საკითხია.

## 5. გონებრივი და ფიზიკური მუშაობის შეთანხმება.

ადამიანის ბუნების თვისება მოითხოვს სამუშაოს თავისუფლათ არჩევას და გამოცვლას. მუდმივი განმეორება საუკეთესო საქმელსაც შეაზარებს ადამიანს; ასევე ითქმის ყოველ დღე ერთ და იმავე გულის გამაწვრილებელ საქმის განმეორებაზე. იგი აჩლუნგებს და ასუსტებს ადამიანს. ადამიანი მუშაობს ამ შემთხვევაში სრულიად მექანიკურათ, მუშაობს მხოლოდ იმიტომ, რომ ვალდებულია იმუშაოს, მარა სრულიადაც არ გრძნობს შრომის წადილს, სიამოვნებას. თვითეულ ადამიანში ჩანერგილია მთელი რიგი სხვა-და-სხვა ნიჭისა და მიდრეკილებების, რომელნიც საჭიროა მხოლოდ გავაღვიეოთ და გავავითაროთ, რომ მათი გზის გაწალდვით საუკეთესო ნაყოფი მივიღოთ. მხოლოდ მაშინ გახდება ადამიანი ნამდვილ, სრულ ადამიანათ. სოციალისტური საზოგადოება შეძლებას მისცემს ყველას დააკმაყოფილოს საქმის შეცვლის მოთხოვნილება. საწარმოო ძალთა ძალუმი გაზრდა, შრომის პროცესის გამარტივებასთან დაკავშირებული, შესაძლებლათ გახდის მუშაობა დროს შესამჩნევათ შემცირებას და ამასთანავე **გაადვილებს სხვა-და-სხვა ხელობის შესწავლას.**

ხელობის შესწავლის ძველმა სისტემამ უკვე მოჭამა თავის დრო. თუ ის კიდევ არსებობს—ეს იმიტომ, რომ არსებობს დროს გადასული, დახავსებული ფორმები წარმოებისა, როგორიცაა წვრილი ხელოსნობა; მარა რადგან იგი ქრება ახალ საზოგადოებაში, ცხადია, მასთან ერთათ გაქრება მისი შესაფერი დაწესებულებები და ფორმები და მათ ადგილს ახლები დაიჭერენ. უკვე დღესაც საფაბრიკო წარმოება გვიჩვენებს, რამდენათ მცირეა ისეთ მუშათა რიცხვი, რომელნიც მხოლოდ ერთ რომელიმე სპეციალურათ შესწავლილ ხელობას მისდევენ. მუშები მრავალ სხვა-და-სხვა სპეციალობას ეკუთვნიან. უმეტეს შემთხვევაში, სულ მცირე დრო კმარა სამუშაო რომელიმე ნაწილაკის შესასწავლათ, რომელშიაც შემდეგ ჩაბჟინებული არიან გრძელი სამუშაო დროს განმავლობაში სრულიად უცვლელათ და თავის მიდრეკილებების განჯკითხავათ აძლევენ მას მთელ თავის ძალას და მანქანასთან შრომით თვითონაც მანქანათ იქცევიან*); ასეთი მდგომარეობა მოისპობა მხოლოდ საზოგადოებრივ ორგანიზაციის გარდაქმნით. სამრეწველო ხელობაში სავარჯიშოთ და დასახელოვნებლათ დრო ყველასთვის საკმაო იქნება. დიდი სამოსწავლო სახელოსნოები ყოველგვარ კომფორტით მორთული და უმაღლესი ტეხნიკური მოწყობილობა, ახალგაზრდას და მოხუცს ერთნაირათ გაუადვილებს ამა თუ იმ სპეციალობის შესწავლას. ამასთანავე, იქნება ქიმიური და ფიზიკური ლაბორატორიები მეცნიერების უკანასკნელ სიტყვის თანახმათ მოწყობილი, არ დაეტყობა ნაკლებობა შესაფერ სამოსწავლო ძალებსაც. მხოლოდ მაშინ შეიტყობენ, რამდენ გასაკვირველ ნიჭს და მიდრეკილებებს ახშობდა და ყალბ გზაზე აყენებდა კაპიტალისტური წარმოების სისტემა**).

*) „მუშათა დიდი მასსა, როგორც ინგლისში, ისე სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, ფაქტიურათ ისე მცირე თავისუფლებით სარგებლობს თავის ხელობის და საცხოვრებელ ადგილის არჩევაში, იმდენათ დამოკიდებულია დადგენილ წესებისა და უცხო „ნებისაგან“, რომ მეტი დამოკიდებულება შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილ მონობაში“. ჯონ სტიუარტ მილი, „პოლიტ. ეკონომ.“.

**) ერთი ფრანგი მუშა, სანფრანციისკოდან დაბრუნებული სამშობლოში, სწერს: „მე ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, თუ ყველა იმ ხელობაში გამოვდგებოდი, რომ-

მაგრამ გარდა იმისა, რომ შესაძლებელი იქნება სამუშაოს გამოცვლის მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს, მომავალი საზოგადოება პირდაპირ მიზნათ დაისახავს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რადგან ამაზეა **დამოკიდებული ადამიანის ჰარმონიული განვითარება.** პროფესიონალური ფიზიონომიები, რომელთა რიცხვი მრავალია ჩვენს საზოგადოებაში, თანდათან უნდა გაქრენ, სულ ერთია რაიმე განსაზღვრულ ცალმხრივ მოქმედებაში იხატება მათი სპეციალობა, თუ არაფრის კეთებაში. დღეს ძალიან მცირეა ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც შეძლება აქვთ თავის მოქმედება მრავალფეროვანი გახადონ. აქა-იქ თუ შეხვდებით ისეთ ბედნიერთ, რომელთაც განსაკუთრებული პირობები ხელს უწყობენ თავის პროფესიის შემზარებელ ერთფეროვნებას თავი დააღწიონ და ფიზიკურ მუშაობის შემდეგ სულიერ მუშაობაში იპოვონ შვება-მოსვენება. მეორე მხრივ შეხვდებით გონებრივ მუშაკებს, რომელნიც რაიმე ფიზიკურ სამუშაოს, ხელობას, მებაღეობას და სხვ. ეწევიან. ფიზიკური და სულიერ შრომის შეზავებას რომ დიდი და კეთილის-მყოფელი გავლენა აქვს ადამიანზე, ამას ყველა ჰიგიენისტი დაგიმოწმებსთ; **მხოლოდ ასეთი მოქმედება ეთანხმება ბუნებას.** მარა საჭიროა, რასაკვირველია, არა ზედმეტი შრომა, არამედ ინდივიდუალურ ძალის შესაფერი.

თავის თხზულებაში: „მეცნიერების და ხელოვნების მნიშვნელობა“, გრაფი ლ. ტოლსტოი სასტიკათ კიცხავს ხელოვნების და მეცნიერების გიპერტროფიულ, არა ბუნებრივ ხასიათს, რომელიც მათ ჩვენი საზოგადოების არა ბუნებრივობის წყა-

---

ლებშიაც მომიხდა მუშაობა კალიფორნიაში. მე ღრმათ დარწმუნებული ვიყავ, რომ არაფრისთვის გამოსადეგი არა ვარ, გარდა სასტამბო მუშაობისა... მხოლოდ ამ ფათერაკის მაძიებელთა ქვეყანაში, სადაც ხელობას უფრო ხშირათ იცვლიან, ვინემ პერანგებს, მეც, სადაც მომიხვდებოდა, იქ ვდგებოდი ისე, როგორც სხვები. რადგან მადნებში მუშაობა დიდათ სარფიანი არ გამოდგა, მე გადავედი ქალაქში, სადაც ერთი-მეორეზე ვიყავი სტამბის მუშათ, მხერხავათ, მკალავათ და სხვ. ამ გამოცდილებამ დამანახვა, რომ ბევრ საქმეში გამოსადეგი ვარ და ახლა უფრო ნაკლებათ ვგრძნობ ჩემ თავს ლოკოკინათ, და უფრო მეტათ—ადამიანათ“. კ. მარკსი, „კაპიტალი“ ტომი I.

ლობით შეიძინეს. ის სასტიკათ კიცხავს ფიზიკურ შრომისადმი ზიზღს, რომელმაც მოიცვა ჩვენი საზოგადოება და რჩევას იძლევა—ბუნებრივ პირობებს დავუბრუნდეთ. ყოველი ადამიანი, რომელსაც სურს ბუნების თანახმათ იცხოვროს და კმაყოფილება იგრძნოს, უნდა ატარებდეს დღეებს: 1) სამიწათმოქმედო შრომაში, 2) სახელოსნო შრომაში, 3) სულიერ მუშაობაში, 4) სულიერათ განმავითარებელ გართობაში. გრ. ტოლსტოი, რომელმაც მიყო ხელი ამნაირ ცხოვრებას და, როგორც თვითონ ამბობს, მხოლოდ მას შემდეგ იგრძნო, რომ ის ნამდვილი ადამიანია, უყურადღებოთ სტოვებს იმ ფაქტს, რომ რაც მისებრ დამოუკიდებელ ადამიანისათვის შესაძლებელია, ის თანამედროვე პირობებში სრულიად ხელმიუწდომელია ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის. ვინც იძულებულია ყოველდღე მძიმე შრომის ჭაპანი ზიდოს 10—12 და მეტ საათის განმავლობაში, რომ ამით თავის გაჭირვებული სიცოცხლე გაიტანოს, ვინც ამასთანავე უვიცობაშია დაბადებული და აღზრდილი, მას არ შეუძლია ტოლსტოისებურათ მოაწყოს თავის ცხოვრება. ეს არ შეუძლია არც იმას, ვინც იძულებულია არსებობისთვის ბრძოლის მოთხოვნილებას დაემორჩილოს; ისინი კი, ვისაც ეს შეუძლია, სრულიადაც არ გრძნობენ ამის საჭიროებას. ამით ჩვენ გვინდა გავფანტოთ ის ილლიუზიები, რომლითაც გატაცებულია ტოლსტოი, როცა ფიქრობს, თითქო ქადაგებით და მაგალითით შეიძლებოდეს საზოგადოების გარდაქმნა. ტოლსტოის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ასეთი ცხოვრება რაციონალურია, მარა, რომ ცხოვრების ასეთი წესი საყოველთაო ნორმალურ წესათ გადაიქცეს, ამისთვის საჭიროა სულ სხვა სოციალური ურთიერთობა, საჭიროა ახალი საზოგადოება.

**მომავალ საზოგადოებაში ეს პირობები განხორციელდება, იქნებიან უანგარიშო სხვა-და-სხვა გვარი მეცნიერები და მხატვრები, მარა თვითეული მათგანი დღის ერთ ნაწილს გაატარებს ფიზიკურ შრომაში, დანარჩენ დროს კი**

**თავის სურვილისამებრ მეცნიერებას, ხელოვნებას, მუსაიფს, გართობას მოახმარს*).**

ამნაირათ, მოსპობილ იქნება გონებრივი და ფიზიკური შრომის წინააღმდეგობა, რომელსაც გაბატონებული კლასები შეძლების-დაგვარათ აღრმავებენ, რათა გონებრივი საშუალებები დაისაკუთრონ თავის ბატონობის შესანარჩუნებლათ.

## 6. მოხმარების ზრდა-განვითარება.

ზემო-თქმულიდან ცხადია, რომ მომავალ საზოგადოებაში საწარმოო კრიზისები და უმუშევრობა შეუძლებელია. კრიზისები იქიდან წარმოსდგება, რომ კაპიტალისტური წარმოება, მოგების სურვილით გატაცებული და იმავე დროს მოთხოვნილების სიდიდის უცოდინარი, საქონლით ავსებს ბაზარს, ე. ი. მეტი ნაწარმოები გამოაქვს, ვინემ საჭიროა. რადგან კაპიტალისტურ ეკონომიურ სისტემის დროს ნაწარმოები წარმოადგენს საქონელს, რომელიც მიისწრაფის პატრონი გამოიცვალოს, ამ უკანასკნელით სარგებლობა მომხმარებელთა ყიდვის შეძლებაზეა დამოკიდებული. მარა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობისთვის ყიდვის შეძლება მეტათ შეზღუდულია, რადგან მისი სამუშაო ძალა თავის ნამდვილ ღირებულებაზე დაბლა ფასობს და ხშირათ სულ უსაქმოთაც რჩება, თუ დამსაქმებელს

*) რამდენი შეუძლია კარგ პირობებში ჩაყენებულ ადამიანს, ამის მაგალითს გვაძლევს ლეონარდო დავინჩი, რომელიც იყო გამოჩენილი მხატვარი, ცნობილი მექანდაკე, იშვიათი არხიტექტორი და ინჟინერი, საუცხოო ფორტიფიკატორი, მემუსიკე და იმპროვიზატორი. ბენვენუტო ჩელინი იყო გამოჩენილი ძვირფას ქვების მთლელი (იუველირი), საუცხოო მემოდელე, კარგი მოქანდაკე, ცნობილი ფორტიფიკატორი, საუცხოო „სალდათი“ და კარგი მემუსიკე. აბრამ ლინკოლნი იყო შეშის მჭრელი, მიწათ-მოქმედი, მენავე, ნოქარი და ვეკილი, ბოლოს შეერთებულ შტატების პრეზიდენტობა მიიღო. გადაკარბება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ადამიანთა უმრავლესობა სწორეთ იმ პროფესიაშია ჩაბმული, რომელიც არ შეეფერება მათ ნიჭს, რადგან ამ გზაზე დააყენა ისინი არა თავისუფალმა ნებამ, არამედ გარეშე გარემოებებმა თავის იძულებითი გავლენით. ზოგიერთი ცუდი პროფესორი შეიძლება მშვენიერი მეჩექმე იქნებოდა და ზოგიერთი კარგი მეჩექმე კი— შეიძლება კარგი პროფესორი ყოფილიყო.

მისგან ზედმეტი ღირებულების გამოწუწვნა არ შეუძლია. ძალა მყიდველი და ძალა მომხმარებელი—ორი სხვა-და-სხვა ცნებაა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მრავალ მილიონ ადამიანს ესაჭიროება ახალი ტანისამოსი, ფეხსაცმელები, ავეჯეულობა, საცვლები, საჭმელი და სასმელი, მარა ფული არა აქვს და ამიტომ მოოხოვნილებებს ვერ იკმაყოფილებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაუკმაყოფილებელი რჩება მათი მომხმარებელი ძალა. საქონლით ბაზარი ავსებულია, მასსა კი შიმშილს განიცდის; მას უნდა იმუშაოს, მარა ვერავის პოულობს ისეთს, რომ მისი სამუშაო ძალა იყოდოს, რადგან მწარმოებელი აქედან მოგებას არ მოელის. მოკვდი, გაირყვენი, შეიქენ მაწანწალა, ბოროტმოქმედი, რაც გინდა, მე კაპიტალისტს არაფერი არ შემიძლია, მას არ უნდა საქონელი, რომელსაც მუშტარი აღარ ყავს, რომელიც შესაფერი მოგების მომცემი არაა. და ის თავისებურათ სრულიად მართალია.

ახალ საზოგადოებაში ეს წინააღმდეგობაც თავიდან აშორებული იქნება; ახალი საზოგადოება ქმნის არა „საქონელს“ რომ „გაყიდოს“, არამედ ნივთებს ცხოვრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, **ნივთებს, რომლებითაც ისარგებლებენ, მოიხმარენ; გარეშე ამისა მათ არავითარი მიზანი არ ექნებათ.** აქ მოხმარებას საზღვარს არ უდებს ამა თუ იმ პირის შეძლება, ქონება, როგორც ეს ხდება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, **საზღვარის დამდები აქ—მთელი საზოგადოების საწარმოო ძალებია.** თუ სამუშაო იარაღები და მუშა ძალები საკმაოა, ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეიძლება, საზოგადოებრივ მომხმარებელ ძალას საზღვარი ედება მხოლოდ **მომხმარებელთა დაკმაყოფილებით.**

მაგრამ, რაკი ახალ საზოგადოებაში არ არის საქონელი, ცხადია, არ უნდა იყოს არც ფული. ფული ხშირათ პირდაპირ წინააღმდეგი გონიათ საქონლის, მარა ნამდვილათ ისიც საქონელია. ფული არა მარტო საქონელია, იგი იმავე დროს საზოგადოებრივი ფორმაა ეკვივალენტის (სადარო, სამაგიერო,

თანაბარი), საზომი ღირებულებისა ყველა დანარჩენ საქონლისათვის. მარა ახალი საზოგადოება ქმნის არა საქონელს, არამედ ნივთებს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, მოსახმარ ღირებულებას, რომლის დამზადება საზოგადოებრივ სამუშაო დროს განსაზღვრულ რაოდენობას თხოულობს. სამუშაო დრო, რომელიც საშუალოთ აუცილებლათ საჭიროა რომელიმე საგნის დასამზადებლათ, წარმოადგენს მხოლოდ საზომს, რომლითაც ის საგანი განიზომება საზოგადოების მოსახმარათ. საზოგადოებრივ შრომის 10 წუთი ერთ ნივთში დახარჯული, უდრის საზოგადოებრივ შრომის 10 წუთს მეორეში დახარჯულს,—არც მეტს, არც ნაკლებს; საზოგადოება არ ეძებს „მოგებას", მას სურს მხოლოდ ხელი შეუწყოს თანაბარ ღირსების თანაბარ მოსახმარი ღირებულების მქონე ნივთების გაცვლა-გამოცვლას თავის წევრებ შორის, ბოლოს და ბოლოს, მისთვის საჭიროც არ არის ნივთის მოსახმარი ღირებულება იანგარიშოს, ის ამზადებს იმას, რაც ესაჭიროება. თუ, მაგალ. საზოგადოება ხედავს, რომ ყველა საჭირო ნაწარმოებთა დასამზადებლათ აუცილებელია ყოველ დღე სამი საათის სამუშაო დრო, ის აწესებს 3 საათის სამუშაო დღეს*). თუ წარმოების წესები იმდენათ გაუმჯობესებული იქნება, რომ ყველა საჭირო საგნების დამზადება 2 საათის სამუშაო დღის საშუალებითაც მოესწრება, მაშინ საზოგადოება 2 საათის სამუშაო დროს შემოიღებს. თუ, მაგალ. საზოგადოება მოისურვებს უფრო მაღალ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ვინემ ორი ან სამი საათის შრომით დაკმაყოფილდება, მიუხედავათ მუშა ძალთა ზრდისა და შრომის პროცესის განაყოფიერებისა, მაშინ ის მეტ სამუშაო დროს დააწესებს. ეს მისი ნებაა, მისი ქეიფი.

---

*) ყოველთვის უნდა სახეში გვქონდეს, რომ მთელი წარმოება უმაღლეს ტეხნიკურ საფეხურზეა აყვანილი, და რომ **ყ ვ ე ლ ა ნ ი** შრომობენ, ასე რომ ზოგიერთ შემთხვევაში 8 საათის სამუშაო დროც შეიძლება გრძელი გვეჩვენოს. ოუენი, რომელიც მსხვილი ფაბრიკის პატრონი იყო და, მაშასადამე, შეიძლება მცოდნე კაცათ ჩაითვალოს, მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში იმ აზრის იყო, რომ 2 საათის სამუშაო დროც საკმარისი იქნება.

რამდენი საზოგადოებრივი სამუშაო დრო იხარჯება თვითეულ ნივთზე, ეს ადვილი გამოსაანგარიშებელია*). ამნაირათვე განისაზღვრება სამუშაო დროს ამ ნაწილის დამოკიდებულება საერთოთ მთელ სამუშაო დროსთან. რაიმე მოწმობა, დაბეჭდილი ქაღალდის ნაგლეჯი, ოქრო ან თანაქა დაამოწმებს ნამუშევრის დროს რაოდენობას და მის მფლობელს შეუძლია გასცვალოს ეს ნიშანი მოსახმარათ საჭირო ნივთებზე**).

---

*) „საჭირო არ არის საზოგადოებრივ შრომის მასსა, რომელიც რომელიმე ნივთზეა დახარჯული, გარეშე გზით და საშუალებით იქნეს განსაზღვრული. ყოველდღიური გამოცდილებით ადვილათ დავინახავთ საშუალოთ რამდენი დროა საჭირო ამისთვის. საზოგადოებას შეუძლია პარდაპირ იანგარიშოს, რამდენი სამუშაო საათია დახარჯული ორთქლის მანქანაზე, უკანასკნელი მოსავლის ერთ გექტოლ. ხორბალზე, განსაზღვრულ თვისების მაუდის 100 ოთხ-კუთხ მეტრში და სხვ.; ამნაირათ, ის არ შეუდგება განსაზღვრულ ნაწარმოებში განხორციელებულ შრომის გამოხატვას შედარებით, მუდამ რაყვაში მყოფ და არა საკმარის ზომით, რომელსაც წინეთ აუცილებლობის გამო ქონდათ მიღებული, ე. ი. მესამე პროდუქტით; ამის მაგიერ ის ბუნებრივ, ადეკვატურ, აბსოლიუტურ ზომას—დროს იხმარს, მით უმეტეს, რომ მან ეს ძლიერ კარგათ და აბსოლიუტურათ იცის... საზოგადოება შეიმუშავებს წარმოების გეგმას წარმოების საშუალებათა მიხედვით, რომელთაც უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის მუშა ძალა. სხვა-და-სხვა საგნების შედარებითი სარგებლობა მათ დასამზადებლათ აუცილებელ საჭირო დროს რაოდენობასთან ერთათ, საბოლოოთ გადასწყვეტს ამ გეგმის საქმეს და ყველა ამას შეასრულებენ სულ უბრალოთ, „ღირებულების“ ჩაურევლათ“. ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი. გერმ. გამოც.

**) ფულს კი არ გააუქმებენ, ის თავის-თავათ გაუქმდება, როგორც ზედმეტი, რაკი შრომის ნაწარმოებს დაეკარგება საქონლის ხასიათი. ბ. ეეგ. რიხტერს ისე აცვიფრებს ფულის არ არსებობა სოციალისტურ საზოგადოებაში, რომ თავის „ცთომილებაში“ მთელ თავს უძღვნის ამ საგანს. ის ვერ მიმხვდარა, რათ უნდა იყოს სულ ერთი, ნამუშევარ დროს დამბოწმებელი დაბეჭდილი ქაღალდის ნაკერი იქნება, ოქრო თუ თანაქა. ის ამბობს: „ოქროს სახით თანამედროვე წყობილების ალქაჯი ისევ მკვიდრდება სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოში, რადგან ოქროს თავის საკუთარი ღირებულება აქვს, როგორც ლითონს, შენახვით არ ფუჭდება და ამნაირათ, ოქროს ნაკერების მფლობელს შეუძლია დიდი ღირებულება დაგროვოს თავის ხელში, შრომის მოვალეობა გამოისყიდოს და სესხიც გასცეს სარგებლით“. ისიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, რაც ბ. რიხტერს არას გზით არ სურს დაინახოს, ე. ი. რომ ბოლოს და ბოლოს იარსებებს სოციალისტური საზოგადოება და არა სოც.-დემოკრატიული სახელმწიფო, მას დიდ სულელებათ უნდა მიაჩნდეს თავის მკითხველები, როცა თანამედროვე ოქროს ნაცვლათ, თანაქას აჩეჩებს ხელში. ბ. რიხტერი ვერ გასცილებია ბურჟუაზიულ შეხედულებებს და, რასაკვირველია, ვერ შეუგნია, რომ იქ, სადაც არ არის კაპიტალი, არ არის საქონელი, არ შეიძლება იყოს ფული, ხოლო, სადაც არ არის კაპიტალი, არ არის ფული,—საიდან უნდა გაჩნდეს პროცენტები? ბ. რიხტერი იმდენათ ჩაფულულია კაპიტალისტურ

თუ ვინმე ხედავს, რომ მას მცირე მოთხოვნილებები აქვს და შედარებით მეტს იღებს თავის შრომაში, შეუძლია ნაკლები დრო იმუშაოს, თუ სურს გააჩუქოს ის, რაც თვითონ არ სჭირია, შეუძლია გააჩუქოს, ხელს არავინ შეუშლის. თუ **თავის ნებით** იშრომებს სხვის მაგიერ, რომ შეძლება მისცეს ამ უკანასკნელს ტკბილს უმოქმედობაში გაატაროს თავის დღენი, ან თუ გაუნაწილებს მას თვის უფლებას საზოგადოებრივ ნაწარმოებებზე, არც ამაში შეუშლის ხელს ვინმე. მარა არავის არა აქვს უფლება ძალა დაატანოს მას და სხვის სასარგებლოთ ამუშაოს, არავის არ შეუძლია დააკლოს მას მისი კუთვნილი, რომელიც შრომაში ერგება. ყველას შეუძლია დაიკმაყოფილოს თავის სურვილები და მოთხოვნილებები, თუ მათი შესრულება საზოგადოთ შესაძლებელია, მარა არა სხვის ხარჯზე. ის იღებს იმდენს, რამდენსაც ამზადებს, არც მეტს და არც ნაკლებს, და თავისუფალია ყოველივე ექსპლოატაციისაგან მესამე პირის მხრივ.

## 7. საყოველთაო შრომის ვალდებულება.

„მარა რა ვუყოთ ზარმაცებს და ბეჯითებს, ინტელიგენტებს და უვიცებს, მათ შორის ხომ დიდი განსხვავებაა?“—ეს ერთი მთავარი კითხვათაგანია, რომელსაც გვისვამენ ჩვენი მოწინააღმდეგენი და რომლის შესაფერი პასუხი დიდ თავისმტვრევას იწვევს მათში. რომ დღეს მოხელეთა იერარქიაში განსხვავებას არ აძლევენ ბეჯითს და ზარმაცს, ინტელიგენტს და უვიცს, რომ ჯამაგირის მომატებასა და აღმატების მიცემაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უმთავრესათ **ხანგრძლივ სამსახურს,** თუ რასაკვირველია, უმაღლესი ადგილისთვის განსაკუთრებული განათლება არ არის საჭირო,—ამაზე ეს გონება-მახვილი ბრძენნი ერთხელაც არ დაფიქრებულან. მასწავ-

შეხედულებათა ჭაობში, რომ ვერ წარმოუდგენია ქვეყანა უკაპიტალოთ. ჩვენთვის გაუგებარია, რისთვის უნდა მოაგროვოს სოციალისტური საზოგადოების წევრმა თავის ნაშრომის ოქროს მოწმობები, ან ვის უნდა ასესხოს ისინი პროცენტებით, როცა ყველას მოეპოვება ის, რაც მას აქვს და რითაც ის ცხოვრობს.

ლებლები, პროფესორები (განსაკუთრებით უკანასკნელები იძ-ლევიან გულუბრყვილო კითხვებს) ეძებენ კარგ ადგილს, რო-მელსაც დიდი ჯამაგირი ეძლევა, არა თავის პირად ღირსებე-ბის მიხედვით. რამდენი შემთხვევაა, რომ სამხედრო პირებში, მოხელეებში და მეცნიერების მსახურთა შორის აღმატებას აძლევენ არა იმას, ვინც უფრო ღირსეულია, არამედ იმას, ვინც მამით, ნათესაობით, ან ქალებში გამარჯვებით არის გან-თქმული. მარა, რომ სიმდიდრეც არ გაიზომება ბეჯითობით და ინტელიგენტობით, ამის გასაკვირველ მაგალითს გვაძლე-ვენ პირველი კლასის ამრჩევლები პრუსიის სამ-კლასიან არჩევ-ნებში, ე. ი. ბერლინის მეტრაქტირეები, მებულკეები, ყასბე-ბი, რომელთაც მიცემითი ბრუნვა ვერ გაურჩევიათ მოთხრო-ბითისაგან, მაშინ, როდესაც ბერლინის ინტელიგენცია, მეც-ნიერები, იმპერიის და სახელმწიფოს უმაღლესი სამსახურის პირები, მეორე და მესამე კლასის ამრჩევლებში არიან ჩარიც-ხულნი. მომავალში არ იქნება განსხვავება ზარმაცებსა და ბე-ჯითებ შორის, ინტელიგენტებსა და უვიცებ შორის, რადგან გაქრება ის, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ ამ ცნებებში. საზოგა-დოება „ზარმაცებს“ უწოდებს იმას, ვინც უმუშევრათ დარჩე-ნის გამო იძულებულია აქეთ-იქით იწანწალოს და ბოლოს და ბოლოს მართლა მაწანწალათ იქცევა, ან იმას, რომელიც ძლიერ დაეშვა ძირს ცუდი აღზრდის გამო. მარა ვინ იტყვის ზარმაციაო ისეთ კაცზე, რომელიც ფულის ტომარას აზის და უსაქმობასა და მხიარულებაში ატარებს დროს; ეს ხომ შეუ-რაცხყოფა იქნებოდა ამ პატივცემულ ადამიანის.

როგორაა საქმე ახალ საზოგადოებაში? აქ ყველანი თა-ნაბარ პირობებში ვითარდებიან და თვითეული იმ საქმეს სწავ-ლობს, რასაც მისი ნიჭი და მიდრეკილებები უჩვენებს, ამი-ტომ სხვა-და-სხვა პირის შრომის ნაყოფიერებაში შესამჩნევი განსხვავება არ იქნება*). საზოგადოებრივი ატმოსფერა, რომე-

*) „ყველა ნორმალურ ორგანიზაციის მქონე ადამიანს დააზლოვებით თანას-წორი გონება დაყვება დაბადების დროს და მხოლოდ აღზრდა, კანონები და გარე-მოებები ქმნიან მათ სხვადასხვაობას. სწორათ გაგებული კერძო ინტერესი საკუთარ

ლიც აქეზებს თვითეულს თავი გამოიჩინოს, ასეთ განსხვავების შესუსტებას უწყობს ხელს. როცა ეს თუ ის პირი ხედავს, რომ ის აღებულ სფერაში იმდენს ვერ აკეთებს, რამდენსაც სხვები, ის გადადის სამუშაოთ სხვა დარგებში, რომელიც უფრო შეეფერება მის ნიჭს და ძალას. ვისაც მრავალ ადამიანთან უმუშავნია, უეჭველათ ეცოდინება, რომ ხშირათ ერთ რომელიმე საქმეში უნიჭო და გამოუსადეგარი ადამიანი, სხვა საქმეში საუკეთესოთ ასრულებს თავის მოვალეობას. არ მოიპოვება ისეთი ნორმალური ადამიანი, რომ ამა თუ იმ სფერაში თვით უმაღლესი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაუჭირდეს, თუ შესაფერ საქმეზე იქნება დაყენებული. და რა უფლებით მოითხოვს ვინმე, რომ მას უპირატესობა მიენიჭოს მეორის წინაშე? თუ ბუნება ისე სასტიკათ მოექცა რომელიმე პიროვნებას, რომ მას დიდი სურვილისა და მონდომების მიუხედავათ არ შეუძლია იმდენი გააკეთოს, რამდენსაც სხვები აკეთებენ, **მაშინაც ბუნების შეცდომისათვის ადამიანი რათ უნდა დასაჯოს საზოგადოებამ.** თუ პირიქით, ბუნებამ უაღრესათ დააჯილდოვა რომელიმე პიროვნება ნიჭით, რომელიც მას სხვაზე მაღლა აყენებს, აქაც საზოგადოება ვალდებული არაა უზღას მას ის, რაც მის პირად დამსახურებას არ შეადგენს. საყურადღებოა ისიც, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ყველანი თანაბარი აღზრდის და ცხოვრების პირობებში იმყოფებიან, რომ თვითეულს სრული შეძლება აქვს—თავისუფლათ განავითაროს თავის ნიჭი და შეიძინოს ცოდნა, რომელიც შეეფერება მის თვისებებს და მიდრეკილებებს; ესაა თავდები იმის, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ნიჭი და ცოდნა უფრო მაღლა იქნება და ამავე დროს უფრო **თანასწორათ** განაწილებული, რაც სრულიადაც არ შეუშლის ხელს მათ **მრავალმხრივობას და მრავალფეროვანობას.**

როცა რეინზე მოგზაურობის დროს გიოტე კელნის საკ-

---

ეთანხმება საზოგადოებრივს". (პელეეცი: „ადამიანზე და მის აღზრდაზე"). ადამიანთა დიდი უმრავლესობის შესახებ პელეეცი მართალია. ადამიანში არის მხოლოდ სხვა-და-სხვა ჩანასხი სხვა-და-სხვა პროფესიების.

რებულო ტაძრის სიძველეთ იკვლევდა, მან საამშენებლო აქ-ტებში იპოვა ერთი საბუთი, რომელიც ამტკიცებს, რომ მა-შინდელ არქიტექტორებს განსაზღვრულ სამუშაო დროში თა-ნაბარი მაღალი ხელფასი უძლევიათ თავის მუშებისათვის. ისი-ნი იმიტომ ჩადიოდენ ამას, რომ უნდოდათ სამუშაო კარგათ და სინდისიერათ ყოფილიყო შესრულებული. ხშირათ ეს ანო-მალიათ ეჩვენება ბურჟუაზიულ საზოგადოებას. მას ნარდათ მუშაობის სისტემა აქვს შემოღებული, რომლის გამო მუშები ხშირათ აიძულებენ ერთმანეთს მეტი გააკეთონ და ამით კი მწარმოებელს საშუალება ეძლევა—ნაკლები ქირა აძლიოს მათ და უკლებს კიდეც. გონებრივი შრომის ნაყოფიერებაზედაც იგივე ითქმის, რაც ფიზიკურ შრომაზე. ადამიანი თავის დროის და პირობების შვილია. გიოტე რომ მე-IV საუკუნეში დაბა-დებულიყო და განვითარებისთვის ისეთივე ხელსაყრელი პირო-ბები ქონოდა, იგი იქნებოდა არა დიდებული პოეტი და ბუ-ნებისმეტყველი, არამედ დიდი მამა ეკლესიისა და ამ მხრივ შეიძლება წმ. ავგუსტინიც კი დაეჩრდილა. მეორე მხრით, გიო-ტე რომ ყოფილიყო შკილი არა მდიდარი ფრანკფურტის პატ-რიცის, არამედ ღარიბი ფრანკფურტელი მეჩექმის, დიდათ სა-ეჭვოა, რომ მას დიდ საჰერცოგოს მინისტრობა მიეღო ვეი-მარში; უფრო მოსალოდნელია, რომ მეჩექმობას მოკიდებდა ხელს და ამ პატივცემულ ხელობას შერჩებოდა სიკვდილამდე. გიოტემ თვითონაც აღიარა, რომ მას დიდი სარგებლობა მო-უტანა ნივთიერი და საზოგადოებრივი მხრით ხელსაყრელ პი-რობებში ცხოვრებამ, რომელსაც არ ულალატნია მისთვის დაბადების დღიდან და რომლის წყალობით მიაღწია მან თა-ვის ასეთ განვითარებას; ამაზე ის მოგვითხრობს თავის „ვილ-ჰელმ მეისტერ"-ში. ნაპოლეონ პირველი რომ 10 წლით გვიან დაბადებულიყო, ის ვერასოდეს ვერ გახდებოდა საფრანგეთის იმპერატორი; და 1870—71 წლების ომები რომ არა, გამბე-ტა ვერასოდეს ვერ გახდებოდა ის, რაც გახდა. ინტელიგენ-ტური მშობლების ნიჭიერი ბავშვი რომ ველურებში ვაცხოვ-როთ—ველური გახდება. **ამნაირათ, რასაც თვითეული ადა-**

**მიანი წარმოადგენს, ეს სულ საზოგადოების წყალობაა.** იდეები არ წარმოადგენენ ნაყოფს ზესთაბუნებრივობით ჩადებულს ადამიანის თავში, მას ქმნის „დროების სული, საზოგადოებრივი პირობები, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი“ და, რომელიც ბადებს მის თავში ამა თუ იმ იდეას. არისტოტელს არ შეეძლო დარვინის იდეები ქონოდა; დარვინსაც სხვა რიგათ უნდა ეაზროვნა, ვინემ არისტოტელს. ყველა ისე ფიქრობს, როგორც „დროების სული“, ე. ი. გარემოცული საზოგადოებრივი არე და პირობები უკარნახებენ. ამით აიხსნება, რომ სხვა-და-სხვა პირებს ხშირათ **ერთ და იმავე დროს** ებადებათ ერთი და იგივე აზრი; ერთ და იმავე დროს ახდენენ სხვა-და-სხვა, ერთმანეთისაგან დაშორებულ ადგილებში ერთ და იმავე აღმოჩენებს და გამოგონებებს. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ 50 წლის წინეთ გამოთქმულ იდეას ყურადღებას არავინ აცქევს, 50 წლის შემდეგ განმეორებულს კი—მთელი ქვეყანა მოძრაობაში მოყავს. იმპერატორ სიგიზმუნდს შეეძლო 1415 წელს დაერღვია გუსისთვის მიცემული სიტყვა და იგი დასაწვავათ მიეცა კონსტანცში, 1521 წელს კი კარლოს მე-V-ე, რომელიც უფრო გატაცებული ფანატიკოსი იყო კატოლიციზმის, იძულებული გახდა თავისუფლათ გაეშვა ლიუტერი ვორმსის საეკლესიო კრებიდან. იდეები ნაყოფია საზოგადოებრივ ცხოვრების, საზოგადოებრივ ურთიერთობის. რაც ითქმის საერთოთ მთელ საზოგადოებაზე, ის ითქმის აგრეთვე სხვა-და-სხვა კლასებზედაც, რომელთაგან შესდგება საზოგადოება განსაზღვრულ ისტორიულ ეპოქაში. თვითეულ კლასს აქვს თავის საკუთარი ინტერესები, საკუთარი იდეები და შეხედულებანი; ამისთვის ეწევიან ისინი კლასიურ ბრძოლას, რომელიც ღერძია კაცობრიობის ისტორიის და თანამედროვე კლასთა წინააღმდეგობაში აღწევს თავის უმაღლეს განვითარებას. ამნაირათ, პიროვნება განისაზღვრება არა მარტო ამა თუ იმ **ეპოქით**, არამედ იმ საზოგადოებრივი კლასით, რომელსაც ის ეკუთვნის და რომელიც თავის განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამს მის გრძნობებს, ნიჭს და ყოფა-ცხოვრებას.

თანამედროვე საზოგადოების გარეშე—არ არსებობს თანამედროვე იდეები. გვგონია, რომ აშკარაა და ადვილი გასაგები. ახალ საზოგადოებაში ამას ზედ ერთვის ისიც, რომ საშუალებები, რომელიც სჭირდება თვითეულს თავის განვითარებისათვის, **საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენენ.** ცხადია, საზოგადოება ვალდებული არაა განსაკუთრებული სასყიდელი გაიღოს იმაში, რაც მხოლოდ მისი წყალობით შეიქნა შესაძლებელი, რაც არსებითათ **მისი წარმოშობილია.**

აი, რის თქმა შეიძლება ფიზიკურ და გონებრივ შრომის დაფასების შესახებ. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მომავალში შეუძლებელია რაიმე განსხვავების არსებობა დაბალსა და მაღალ შრომის შორის, როგორც ეს დღეს არსებობს, როცა მექანიკს რაღაც მაღალ არსებათ მიაჩნია თავისი თავი ქუჩის მწმენდელთან შედარებით და სხვ.; იქ საზოგადოება ავალებს თვითეულს მხოლოდ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის გაწევას და ამიტომ ყოველგვარ შრომას თანაბარი ფასი აქვს. თუ რომელიმე არა სასიამოვნო და საზიზღარ სამუშაოს მექანიკური, ან ქიმიური საშუალებით სასიამოვნო შრომათ გადაქცევა არ მოხერხდა,—**თუმცა მე არ ვეჭვობ, რომ მოხერხდება,**—მაშინ ყველანი ვალდებული იქნებიან რიგ-რიგობით აასრულონ ასეთი სამუშაო და თავის წილი გაიკეთონ. აქ ადგილი არა აქვს ცრუ-მორცხვობას და სასარგებლო შრომისათვის ზიზღით ცქერას, ასეთი ზიზღი მხოლოდ დღევანდელ მუქთახორათა სამეფოში არსებობს, რადგან დღეს უსაქმურობა სანატრელ და სახარბიელო ხვედრათ ითვლება; და მუშას იმდენათ მეტი მედიდურობით დაჰყურებენ ზევიდან ქვევით, რამდენათ უფრო მძიმე, მომქანცველ და არა სასიამოვნო შრომას ასრულებს ის, რამდენათ უფრო აუცილებელია მისი შრომა საზოგადოებისათვის. ფასიც დღეს შრომას იმდენათ ნაკლები აქვს, რამდენათ არა სასიამოვნოა ის. ეს აიხსნება იმით, რომ დღეს აუარებელი მუშა კულტურის დაბალ საფეხურზე დგას და საწარმოო პროცესის გამუდმებულ გაუმჯობესებათა წყალობით უმუშევართა სათადარიგო არმიის

წევრია. თავის არსებობის შესანარჩუნებლათ, ეს მუშები მეტათ მცირე ფასში თანხმდებიან ყოველგვარ უსიამოვნო შრომის ასრულებას, ასე რომ ამგვარ სამუშაოსათვის მანქანების შემოღება „სახეირო“ არ არის, მაგალ. თქმულებათაა გადაქცეული, რომ ქვის ტეხა ერთი ყველაზე მძიმე სამუშაოთაგანია და რომ ის სულ მცირე ხელფასს იძლევა; ძნელიც არ არის ქვის მანქანების საშუალებით დამტვრევა, როგორც ეს შემოღებულია ჩრდილო-ამერიკის შტატებში, მარა ჩვენში იმდენი თავისუფალი იაფი მუშა-ხელი მოიპოვება, რომ მანქანები „ხარჯს ვერ გაასწორებენ“ *). ქუჩების და ფეხისადგილების წმენდა, ნაგავის გაზიდვა, წყლის ქვეშ შენება და სხვ. — ყველა ეს განვითარების დღევანდელ საფეხურზეც ადვილათ შეიძლება მანქანების და ტეხნიკურ მოწყობილებათა საშუალებით შესრულდეს ისე, რომ ამ სამუშაოების ყველა არა სასიამოვნო

*) „რომ საპირო იყოს ავირჩიოთ, ან კომუნიზმი ყველა მისი შინაარსით, ან თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილება ყველა მისი ბორკილებით და უსამართლოებით, რომ კერძო საკუთრების აუცილებელი შედეგი იყოს ის, რომ შრომის ნაყოფის განაწილება უკუღმა პროპორციონალურია შრომის სიმძიმესთან შედარებით, რასაც ვხედავთ დღეს, ე. ი. ის, რომ უმეტესი ნაწილი ეძლევა იმას, ვისაც არასოდეს არ უმუშავნია, იმის ცოტა ნაკლები ნაწილი იმას, ვისი შრომაც მხოლოდ ნომინალურია (სახელათაა) და ასე თანდათან კლებულობს, ასე რომ სასყიდელი მცირდება იმდენათ, რამდენათაც მძიმე და უსიამოვნოა შრომა და ყველაზე მომქანცველი, წელში გამწყვეტ შრომას არ შეუძლია იმდენი შემოსავალი მისცეს მშრომელს, რომ მისი ცხოვრების აუცილებელი მოთხოვნილებები დაფაროს,—რომ ასეთ ალტერნატივის წინაშე ვიდგეთ, ვამბობ მე, ან ყველაფერი ეს, ან კომუნიზმი, —მაშინ ყველა საბუთები კომუნიზმის წინააღმდეგ, დიდი და პატარა ერთათ—მტვერის უმძიმესი არ გამოვიდოდა სამართლიანობის სასწორზე“. ჯონ სტიუარტ მილლი: „პოლიტ. ეკონომია. მილლმა დიდი ენერგია დახარჯა, რომ გონებაში ჩაეგდო ბურჟუაზიული საზოგადოება და ცვლილებები შეეტანა მასში, მარა თავისთავათ ცხადია, უნაყოფოთ. და ამნაირათ ის, როგორც ყოველი დაკვირვებული ადამიანი, რომელმაც იცის საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ბოლოს სოციალისტი გახდა, მარა სიცოცხლეში ამის გამხელა არ გაუბედია; მხოლოდ განკარგულება მოახდინა, რომ სიკვდილის შემდეგ გამოექვეყნებიათ მისი ავტობიოგრაფია, რომელიც მის სოციალისტურ აღსარებას შეიცავს. ამ შემთხვევაში მასაც ისე მოუვიდა, როგორც დარვინს, რომელსაც არ უნდოდა სიცოცხლეში გამოეცხადებია თავი ატეისტათ. ბურჟუაზიული საზოგადოება ათასობით ადამიანებს აიძულებს ამგვარი მალულობია ითამაშოს. ბურჟუაზია ფარისევლობს, როცა ის ლოიალურ გრძნობებს, სარწმუნოებას და ავტორიტეტებს აღიარებს, მას მხოლოდ უნდა, რომ მასსამ აღიაროს ყველა ეს სათნოებანი, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი ბატონობა; თვითონ კი გულში დასცინის მათ.

მხარეები მუშებისთვის თავიდან აცილებულ იქნეს. მარა არსებითათ რომ ვთქვათ, მუშა, რომელიც სწმენდს ფეხისადგილებს, რათა ჯანმრთელობისათვის მავნე მიაზმებისაგან დაიცვას მცხოვრებლები, ძლიერ სასარგებლო წევრია საზოგადოების; ის პროფესორი კი, რომელიც გაბატონებულ კლასთა ინტერესებისათვის ამახინჯებს, ათაღლითებს ისტორიას, ან ღვთისმეტყველი, რომელიც ზესთაბუნებრივი ტრანსცენდენტიური მოძღვრებით უბნელებს გონებას და უბნევს აზრს მოსწავლე ახალგაზდობას,—მეტის-მეტათ მავნე პირებათ უნდა ჩაითვალონ.

დღევანდელი მეცნიერების მსახურნი, რომელნიც თავის სამსახურისთვის ჯილდოსა და აღმატებას იღებენ, უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენენ გილდიას, რომელსაც რიგიანი სასყიდელი ეძლევა და სამაგიეროთ, უნდა გაბატონებულ კლასების დაცვა და დაფარვა იკისროს მეცნიერული ავტორიტეტით. მან უნდა დაამტკიცოს ამ წყობილების სამართლიანობა, აუცილებლობა და ასე ძირი გაუმაგროს არსებულ ცრუ-შეხედულებას. ეს გილდია უმეტეს შემთხვევაში რყვნის მეცნიერებას, შხამავს გონებას და ამით კულტურის საწინააღმდეგო შრომას ასრულებს, როგორც ბურჟუაზიის და მისი კლიენტების ინტერესთა დამცველათ დაქირავებული*). საზოგადოება, რომელიც შეუძლებელს გახდის მომავალში ასეთ ელემენტების არსებობას, ამით დიდ განმათავისუფლებელ შრომას შეასრულებს კაცობრიობის სასარგებლოთ.

მეორე მხრით, ჭეშმარიტი მეცნიერება ხშირათ არა სასიამოვნო და პირდაპირ შესაზარ მუშაობას მოითხოვს, მაგალ. აქიმს უხდება გახრწნილი გვამის გაჭრა, ან ჩირქით სავსე ადგილის გაკვეთა; ქიმიკოსს უხდება—განავალის გამოკვლევა და სხვ. ეს სამუშაოები ხშირათ უფრო საზიზღარია, ვინემ ისინი, რომელთაც დღიური მუშები, ან ეგრეთ წოდებული შავი მუშები ასრულებენ. მარა არავის არ უნდა ეს აღიაროს. განსხვა-

*) მეცნიერება უვიცობასაც ისე ხშირათ ემსახურება, როგორც პროგრესს. ბოკლი: „ცივილიზაციის ისტორია ინგლისში".

ვება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში საჭიროა სპეციალური განათლება, მეორის შესრულებას კი დიდი ცოდნა არ უნდა. და აქედან წარმოსდგება სრულიად სხვა-და-სხვა გვარი დამოკიდებულება ამ სამუშაოებთან. მომავალ საზოგადოებაში, სადაც ყველას შეძლება ექნება უმაღლესი განვითარება მიიღოს და სადაც გაქრება დღეს არსებული განსხვავება განვითარებულსა და განუვითარებელს შორის, გაქრება აგრეთვე განსხვავება რთულსა და მარტივ შრომის შორის, მით უმეტეს, რომ ტეხნიკის განვითარებას საზღვარი არა აქვს და იგი ადვილათ ახერხებს მანქანების და ტეხნიკურ პროცესების შემწეობით ყოველგვარ სამუშაოს შესრულებას. საკმარისია გავითვალისწინოთ ტეხნიკურ ხელოვნების განვითარება, მაგ. სპილენძზე ამოკრა, ქსილოგრაფია და სხვ. ყველაზე არა სასიამოვნო შრომა ხშირათ ყველაზე სასარგებლოა და ჩვენი შეხედულება სასიამოვნო და არა სასიამოვნო შრომაზე, როგორც სხვა მრავალი ცნებები ბურჟუაზიულ საზოგადოებისა, მეტათ ზერელეა, რადგან მხოლოდ გარეგან თვისებებზეა დაფუძნებული.

## 8. ვაჭრობის გაუქმება. გაცვლა-გამოცვლის გარდაქმნა.

რაკი წარმოება ზემო-აღნიშნულ ნიადაგზეა აშენებული, ცხადია, ახალი საზოგადოება ქმნის (როგორც ეს ნაჩვენებია) საზოგადოებრივ მოსახმარ ნივთებს და არა საქონელს. ამით ისპობა ვაჭრობაც, რამდენათაც სხვა ხალხებთან დამოკიდებულება, რომელთაც ბურჟუაზიული წყობილება აქვთ შერჩენილი, არ მოითხოვს ძველ ვაჭრობის ფორმას, რომელსაც აზრი აქვს და არსებობა შეუძლია მხოლოდ საქონლის მწარმოებელ საზოგადოებაში. აქედან სდგება დიდი არმია ორივე სქესისა, რომელიც თავისუფალია საწარმოო მოქმედებისათვის. ის ამზადებს მოსახმარ საგნებს და ამით ან აფართოვებს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ან ამცირებს საზოგადოებრივ აუცილებელ სამუშაო დროს. დღეს კი ეს პირები ცოტათ თუ ბევრათ სხვისი შრომის ნაყოფით იკვებებიან, როგორც პარაზი-

ტები და ვერ უარვყოფთ, ბევრ შრომას და ენერგიას ხარჯავენ, რომ რამდენიმეთ ასატანი საარსებო პირობები მოიპოვონ. ახალ საზოგადოებაში მეწვრილმანეები, მეტრაქტირეები, მაკლერები, მოსაშვალეები საჭირო არ იქნებიან. ასი და ათასი სავაჭროებისა და დუქნების მაგიერ, რომელიც გახსნილია დღეს თვითეულ თემში, მაშინ მცხოვრებთა სიმრავლის მიხედვით გაიხსნება მსხვილი სავაჭრო საწყობები, ლამაზათ მორთული ბაზრები, ძვირფასი გამოფენები, რომლებსაც რამდენიმე გამგე ეყოფა. ასეთი ცვლილება—მთელი რევოლიუციაა დღევანდელ დაწესებულებების. მთელი დღევანდელი ვაჭრული ფუსფუსის მაგიერ, საკმაო იქნება ცენტრალური ადმინისტრატიული მოქმედება, რომლის ფუნქციები სრულიად უბრალო და მარტივია, და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ცენტრალიზაციასთან ერთათ ეს ფუნქციები თანდათან გამარტივდება. ასეთსავე გარდაქმნას განიცდიან ყველა დაწესებულებები, რომელნიც გადაზიდვას და მიმოსვლას ემსახურებიან.

ტელეგრაფები, ტელეფონები, რკინის გზები, მდინარეზე და ზღვაზე მცურავი გემები, ქალაქის ტრამვაი და საზოგადოთ ყველა დაწესებულებები და საშუალებები, რომელნიც საზოგადოებრივ მიმოსვლას და კავშირს აადვილებენ, **საზოგადოების საკუთრებაში გადადის**. ბევრი ამ დაწესებულებათაგანი, როგორც მაგალ. ფოსტა-ტელეგრაფი, ტელეფონი და რკინის გზა, გერმანიაში უმეტეს ნაწილათ დღესაც სახელმწიფოს ხელშია, ასე რომ მათი საზოგადოებრივ საკუთრებათ გარდაქმნა მხოლოდ ფორმალური საქმეა. აქ კერძო ინტერესების შელახვა არ დაგვჭირდება. თუ სახელმწიფო შემდეგშიაც ამ გზით იმოქმედებს, მით უკეთესია. მარა ამ ქონების სახელმწიფოს გამგეობაში გადასვლა—სრულიად არ ნიშნავს მათ სოციალისტურ გარდაქმნას, როგორც ეს ბევრს გონია შეცდომით. ამ დაწესებულებებით სახელმწიფო ისეთივე კაპიტალისტურ ექსპლოატაციას ეწევა, როგორც კერძო კაპიტალისტი. არც მოსამსახურეებს და არც მუშებს მისგან განსაკუთრებული სარგებლობა არა აქვთ. სახელმწიფოს არ სცხელა მათთვის ისე, როგორც

არ სცხელა კერძო მრეწველებს; როცა მაგალ. იმპერიის საზღვაო უწყებას და რკინის გზის სახელოსნოებს განკარგულება მოდის—40 წლისაზე უხნესი მუშები არ მიიღოთ სამუშაოზეო, ეს მხოლოდ მაჩვენებელია სახელმწიფოს კლასიურ ხასიათის, ე. ი. იმის, რომ ის ექსპლოატატორთა სახელმწიფოა და ამიტომ აღშფოთებას და წინააღმდეგობას უნდა იწვევდეს მუშების მხრივ. როცა ასეთი ზომები სახელმწიფოს ხელიდან გამოდის, ეს ბევრათ უარესია, ვინემ კერძო კაპიტალისტების ზომები. უკანასკნელი სახელმწიფოსთან შედარებით, რაც უნდა იყოს მცირე კაპიტალისტათ ჩაითვლება და თუ ის არ მოგცემთ სამუშაოს, შეიძლება შოვნა მეორესთან. სახელმწიფოს კი, როგორც მონოპოლიურ დამქირავებელს, შეუძლია ერთბაშათ ათასობით ადამიანი აქციოს მათხოვრათ. ამნაირათ, ის მოქმედებს კაპიტალისტურათ და არა სოციალისტურათ; ამიტომ სრულიად საფუძვლიანია, როცა სოციალისტები პროტესტს უცხადებენ იმათ, ვინც თანამედროვე სახელმწიფო წარმოებას სოციალისტურ წარმოებათ თვლის და ამაში ხედავს სოციალისტურ მისწრაფებათა განხორციელებას.

ამგვარათვე, როცა მილიონ კერძო წარმოებების, სავაჭროების და ყოველგვარი მოსაშვალეების ადგილს მსხვილი ცენტრალური დაწესებულებები დაიჭერენ, მთელი ტრანსპორტი (გადაზიდვა) სრულიად სხვა სახეს მიიღებს. აუარებელი წვრილი ამანათები, რომელიც ყოველ დღე ეგზავნება ამდენსავე მესაკუთრეებს და აუარებელ შრომას, დროს და მასალას მოითხოვს, ახლა ვეება ტრანსპორტებათ იქცევა და რამდენიმე დიდ დეპოებსა და ცენტრალურ სახელოსნოებში გაიგზავნება. ამნაირათ, აქაც შრომა გამარტივებულია. როგორც ერთი ათას მუშიანი წარმოებისთვის უფრო ადვილია დასამუშავებელი მასალის გზავნა, ვინემ ასი წვრილი სახელოსნოსთვის ამდენივე მასალის მიწოდება, ისე ცენტრალური საწარმოო და გამანაწილებელი დაწესებულებების დაარსება მთელი მაზრებისა და მისი ნაწილებისათვის, შესამჩნევათ შეამცირებს ყოველგვარ ხარჯებს. ეს სარგებლობას მოუტანს როგორც მთელ საზოგა-

დოებას, ისე თვითეულ წევრს; ასე შეთანხმებულია კერძო და საზოგადო ინტერესები ახალ წყობილებაში. სახელოსნოების, მიმოსვლის საშუალებების და საცხოვრებელ ბინების ფიზიონომია სავსებით შეიცვლება, ისინი უფრო სასიამოვნო და მიმზიდველი სახის იქნებიან. ნერვების ამშლელი ხრიგინი, სივიწროვე და ბობოქრობა აფუსფუსებული ქალაქისა, სადაც ათასობით საბარგე ურმების და ეტლების რახა-რუხით ყურთასმენა აღარაა, შედარებით დაწყნარებულ ხასიათს მიიღებს. მოწყობა გზების, ქუჩების, სადგომების, მათი გაწმენდა, წესი ადამიანთა ცხოვრებისა და ურთიერთობის,—ყველა ეს ძლიერ შეიცვლება. დაუბრკოლებლივ შეიძლება ყოველგვარ ჰიგიენურ ზომების გატარება ცხოვრებაში, რომელნიც დღეს ან სულ არ ხორციელდებიან, ან და ისეთ ხარჯს იწვევენ, რომ მხოლოდ არისტოკრატიულ უბნებს შეუძლია იმით ისარგებლოს.

მიმოსვლის საშუალებები ასეთ პირობებში უმაღლეს განვითარებამდე.მიაღწევენ, შეიძლება ჰაერში მოგზაურობა შეიქნეს იმ ხანებში მიმოსვლის საუკეთესო საშუალებათ. მიმოსასვლელი გზები—ეს ის ძარღვებია, რომლების საშუალებით წარმოებს საქონლის გაცვლა-გამოცვლა—სისხლის ტრიალი—მთელ საზოგადოებაში და რომელნიც ემსახურებიან ადამიანთა სულიერ და პირად დაკავშირებას ერთმანეთთან; ისინი ამნაირათ მეტათ სასარგებლო და გამოსადეგნი არიან კეთილდღეობის და განათლების შესაფერ სიმაღლემდე ასაყვანათ მთელ საზოგადოებაში. მიმოსვლის საუკეთესო საშუალებათა გავრცელება და გაფართოვება, მათი შორეულ პროვინციების მივარდნილ კუთხეებში გაყვანა,—**აუცილებელ საჭიროებას და საყოველთაო ინტერესს წარმოადგენს.** აქ ახალ საზოგადოების წინ დგება ახალი ამოცანები, ბევრათ უფრო რთული და ძნელი, ვინემ თანამედროვე საზოგადოებას შეუძლია წამოყენება. ესაა—უმაღლესი განვითარება მიმოსვლის სისტემის და მთელ ქვეყანაზე თანასწორათ მოფენა ადამიანთა მასსის, რომელიც დღეს დიდ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებ-

შია შეჯგუფული, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, როგორც მათი ჯანმრთელობისთვის, ისე სულიერი და ნივთიერი კულტურის განვითარებისთვის.

## თ ა ვ ი XXII.

## სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა.

### 1. კერძო მიწათ-მფლობელობის გაუქმება.

წარმოების და საქონლის დასატრიალებელ საშუალებებთან ერთათ საზოგადოებას ეკუთვნის მთელი მიწაც, როგორც პირველყოფილი მატერია ადამიანის ყოველგვარ შრომისა და საფუძველი მისი არსებობისა. თავის განვითარების უმაღლეს საფეხურზე საზოგადოება უკანვე იღებს იმას, რასაც იგი ფლობდა განვითარების დასაწყისში. ყველა ხალხებს განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მიწის საზოგადო მფლობელობა ქონდათ შემოღებული. საზოგადო საკუთრება საფუძველია პირველყოფილ საზოგადოების, ერთი უმეოროთ შეუძლებელია. მხოლოდ კერძო საკუთრების და მასთან დაკავშირებულ **ბატონობის ფორმების** აღორძინებით განიდევნა საზოგადო საკუთრება, როგორც ვიცით, მძიმე ბრძოლის შემდეგ, და მიწა მითვისებულ იქნა, როგორც კერძო საკუთრება. მიწის დაუფლება და კერძო საკუთრებათ გადაქცევა იყო პირველი მიზეზი ადამიანისგან ადამიანის დამონების, რომელმაც ყოველგვარი საფეხურები გაიარა ძველი მონებიდან დაწყებული, მე-XX-ე საუკუნის „თავისუფალ“ დაქირავებულ მუშამდე; მარა ათასწლოვან განვითარების შედეგი ის იქნება, რომ დამონებულნი კვლავ საზოგადო საკუთრებათ გარდაქმნიან მთელ მიწას.

მიწის ასეთი დიადი მნიშვნელობა კაცთა არსებობისათვის წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ყოველგან, მთელ მსოფლიოში: ინდოეთში, ჩინეთში, საბერძნეთში (კლეომენი), ეგვიპტეში, რომში (გრაკხები), ქრისტიანთა საშუალო საუკუნეებში (სარ-

წმუნოებრივი სექტები, მწვალებლები, მიუნცერი, გლეხთა ომები), აკტეკების და ინკების სამფლობელოში, თანამედროვე სოციალურ მოძრაობაში—ერთი სიტყვით, ყოველ სოციალურ ბრძოლაში მებრძოლთა უმთავრესი მოთხოვნილებები მიწის მფლობელობის გარდაქმნას ეხება. დღესაც მიწის საზოგადო კუთვნილებათ გამოცხადება სამართლიან ზომათ მიაჩნია ისეთ პირებსაც, როგორიცაა ადოლფ ზამტერი, ადოლფ ვაგნერი, აქიმი შეფლე, ჰენრი ჯორჯი და სხვ., რომელთაც დანარჩენ სფერებში საზოგადო საკუთრების არაფერი სწამთ*).

*) თვით ეკლესიის მამები—პაპები და ეპისკოპოსები—იმ ხანაში, როცა საზოგადო საკუთრება ბატონობდა, მარა მისი დატაცება, დარღვევა ფართოთ იყო გავრცელებული, ვერ იკერდენ თავს კომუნისტურ აზრების ქადაგებისაგან. მართალია მე-XIX საუკუნის სილაბუსებს და ენციკლიკებს ასეთი ტონის აღარა სცხია-რა; რომის პაპები უკვე ბურჟუაზიულ საზოგადოების ქვეშევრდომებათ იქცენ და როგორც მისი ერთგული დამცველნი, სოციალიზმს წყევა-კრულვით ესხმიან თავს. ძველათ კი, მაგალ. ეპისკოპოსი კლიმენტი (გარდაიცვალა 102 წ. ქრ. შემდეგ), ამბობდა: „ყველა ნივთებით სარგებლობა ამ ქვეყნათ უნდა საერთო იყოს ყველასათვის. უსამართლობაა იმის თქმა: ეს ჩემი საკუთრებაა, ეს მე მეკუთვნის და ის სხვასო. აქედან წარმოსდგება განხეთქილება და მტრობა ადამიანთა შორის". ეპისკოპოსი ამბროსი მილანელი (374 ქ. შემ.) ღაღადებდა: „ბუნება თავის სიუხვეს ფენს ყველას საერთოთ, ვინაიდან ღმერთმა შექმნა ყოველი ნივთი, რათა საყოველთაო სიტკბოებას და სიამოვნებას ემსახურებოდეს და ამიტომ მიწა საზოგადო საკუთრებაა. ამნაირათ, ბუნებამ შექმნა უფლება ერთობის, კერძო საკუთრება კი უსამართლო მითვისების ნაყოფია". წმ. იოანე ოქროპირი (გარდაიც. 407 წ.) თავის ქადაგებაში, რომელიც კონსტანტინოპოლის მცხოვრებთა ზნეობრივ გარყვნილების და ვნება-აშვებულობის წინააღმდეგ იყო მიმართული, შემდეგს ამბობდა: „არავინ არ უნდა უწოდოს ამა თუ იმ ნივთს თავის საკუთრება. ღვთისაგან გვაქვს ყველაფერი მოცემული საზოგადო მოსახმარათ, ჩემი და შენი—ცრუ სიტყვებია". წმ. ავგუსტინი (480 წ.) ასეთ აზრს გამოსთქვამს ამის შესახებ: „რადგან არსებობს კერძო საკუთრება, ამიტომ არსებობენ სასამართლოს პროცესები, მტრობა, განხეთქილება, ომები, აჯანყებანი, ცოდვანი, უსამართლობანი, მკვლელობანი. საიდან წარმოსდგა ეს უბედურებანი? მხოლოდ და მხოლოდ საკუთრებისაგან. მაშ მოვერიდოთ, ძმანო, ნივთის დაფლობას თავის საკუთრებათ, ან ყოველ შემთხვევაში, ნუ შევიყვარებთ მას". პაპა გრიგოლ დიდი, რომელიც მე-VI საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა, ქადაგებს: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მიწა, რომლიდანაც გამოხვედით, რომლიდანაც შექმნილხართ, საზოგადო კუთვნილებაა ყველა ადამიანების და რომ ამიტომ მიწის ნაყოფი, რომელსაც იგი გამოიღებს, ყველას უნდა ეკუთვნოდეს განურჩევლათ". ბოსსიუეტი, ცნობილი ეპისკოპოსი მონსის (გარდ. 1704 წ.), ასე ამბობს თავის „სამღვთო წერილის პოლიტიკაში": „მთავრობა რომ არ იყოს, მთელი მიწა და მისი ნაყოფი ყველა ადამიანების საზოგადო კუთვნილება იქნებოდა, როგორც ჰაერი და სინათლე. ბუნების პირველ კანონით, არავის არა აქვს უფლება რომელიმე ნივთი დაისაკუთროს. ყველაფერი ეკუთვნის ყველას; ბურჟუაზიული მთავრო-

მცხოვრებთა კეთილდღეობა დამოკიდებულია მიწის შემუშავებასა და მოხმარაზე, ამიტომ მისი კულტურის უმაღლეს საფეხურზე აყვანა დიდ ინტერესს წარმოადგენს მთელი საზოგადოებისთვის. რომ ასეთი განვითარება კერძო საკუთრების ხანაში შეუძლებელია, ამაზე უკვე ზევითა გვაქვს ნათქვამი. მიწის საუკეთესოთ სარგებლობა მარტო მის დამუშავებაზე არ არის დამოკიდებული. აქ მნიშვნელობა აქვს ისეთ ფაქტორებს, რომლებიც მიუწდომელია, როგორც უმსხვილეს კერძო საკუთრების, ისე უძლიერეს ასოციაციებისთვის და, რომლებიც ხშირათ სახელმწიფოს საზღვრებსაც სცილდებიან და საერთაშორისო ხასიათს იღებენ.

## 2. მ ე ლ ი ო რ ა ც ი ა.

საზოგადოება უნდა უყურებდეს დედამიწას, როგორც ერთ მთელს, მისი ტოპოგრაფიული მდებარეობით, მთებით, ხევებით, ვაკეებით და ტყეებით, მდინარეებით, გუბეებით, ჭალებით, ჭაობებით, მინდვრებით და სხვა. ეს ტოპოგრაფიული პირობები უცვლელ გეოგრაფიულ მდებარეობის გამო, ძლიერ გავლენას ახდენს ჰავაზე და ნიადაგის ნაყოფიერებაზე. აქ იშლება ფართო ასპარეზი, სადაც ადამიანს ბევრი დაკვირვების და აუარებელი ცდის მოხდენა შეუძლია. სახელმწიფოს დღემდე ამ მხრით ბევრი არაფერი გაუკეთებია, პირველათ იმიტომ, რომ ასეთ კულტურულ მიზნისთვის ის ძალიან მცირე საშუა-

---

ბიდან წარმოსდგება საკუთრება". უკანასკნელ ფრაზას სისწორისათვის მცირედი ცვლილება მოუხდებოდა. უნდა ითქვას: რადგან საზოგადო საკუთრება კერძო საკუთრებათ გადაიქცა, ამიტომ მივიღეთ ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც მოვალეა დაიცვას იგი. ერთი თანამედროვეთაგანი, ზაკარიე ფონლინგენტალი ამბობს თავის „40 წიგნში სახელმწიფოზე" შემდეგს: „ყველა ტანჯვანი და უკეღმართობანი, რომელთაც ებრძვიან თანამედროვე განათლებული ხალხები, შეიძლება მივაწეროთ მიწის საკუთრებათ დანაწილებას, როგორც მიზეზს". ყველა აღნიშნულ პირებს, რამდენიმეთ სწორათ აქვთ წარმოდგენილი კერძო საკუთრების ბუნება, რომელიც თავის არსებობის დღიდან, როგორც ამბობს წმ. ავგუსტინი, სთესს ქვეყანაზე სასამართლოს პროცესებს, მტრობას, უსამართლობას, განხეთქილებას—ომებს, აჯანყებებს, მკვლელობას—ერთი სიტყვით, ყოველგვარ ბოროტებას, რომელიც გაქრება მხოლოდ მისი მოსპობის შემდეგ.

ლებას ხარჯავს და კიდეც რომ სურდეს ამ მხრით მეტის გაკეთება, მას ხელს შეუშლიან ამაში მსხვილი მესაკუთრეები, რომელთაც ეკუთვნის გადამჭრელი სიტყვა კანონმდებლობაში. კერძო საკუთრებაში ჩაურევლათ ამ სფერაში არაფრის მიღწევა არ შეიძლება, მარა სახელმწიფოს არსებობა ხომ „წმინდა კერძო საკუთრების ხელუხლებლობაზეა“ დაფუძნებული, მსხვილი მესაკუთრეები ხომ მისი მთავარი ბურჯებია და აბა საიდან უნდა შესწევდეს მას იმის ძალა, რომ მათ წინააღმდეგ წავიდეს? აქ კი საჭიროა გრანდიოზული საქმის დაწყება: ნიადაგის გაუმჯობესების ფართოთ დაყენება, ზოგან ტყის გაკაფვა, ზოგან გაშენება, ზოგან მორწყვა, ზოგან ჭაობების დაშრობა და სხვ., და მხოლოდ ამით მივიღებთ ნიადაგის უმაღლეს ნაყოფიერებას.

ნიადაგის კულტურის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არხების და მდინარეების გაყვანას მეცნიერულ პრინციპების თანახმათ. წყლით იაფი ტრანსპორტის მოწყობის საკითხი, რომელიც უდიდეს საკითხათაა მიჩნეული დღევანდელ საზოგადოებაში,—მომავალ საზოგადოებისთვის ასე დიდ-მნიშვნელოვანი არ იქნება, მარა წყლით მიმოსვლას მაინც სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც გამოსადეგს და იოლს, რომელიც სულ მცირე შრომას და მასალას მოითხოვს. მარა ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ექნება არხების და მდინარეების სისტემას მიწის მოსარწყავათ, ან გასაშრობათ, ნიადაგის გასანოყიერებლათ სილით, შლამით და სხვ.

ცნობილია, რომ წყლით და მდინარეებით ღარიბ ქვეყნებში უფრო ხშირათ იცის მეტათ ცხელი ზაფხული და საშინელი ცივი ზამთარი, ვინემ მდინარეებით და წყლებით მდიდარ ქვეყნებში; ამიტომ ზღვის ნაპირზე უკიდურესი ტემპერატურა—გამონაკლს შეადგენს. ასეთი უკიდურესობანი მავნებელია და თან ბევრი უსიამოვნების მომგვრელი, როგორც ადამიანისთვის, ისე მცენერეებისთვისაც. არხების სისტემას და წყლის მიწოდების განვითარებას ამ მხრით, ეჭვი არაა, კარგი

გავლენა ექნება. ფართოთ დაყენებული არხების სისტემა და მათი დიდ აუზებთან შეერთება, სადაც შეიძლება წყლის მოგროვება და შენახვა, დიდ სარგებლობას მოუტანს თოვლის დნობისა და წყალდიდობის დროს, როცა მდინარეები გადმოდიან ნაპირებიდან და წალეკას უქადიან მიდამოს. ასეთი აუზები აუცილებელი იქნება მთის ნაკადულებისა და მდინარეების მოსაწესრიგებლათ. წყლის მოვარდნა და ნაპირების წალეკვა მაშინ შეუძლებელი გახდება. დიდი წყლის გუბეები ბევრი ორთქლის წარმოშობით ხელს შეუწყობენ წვიმების რეგულიარულათ (თავის დროზე, რიგზე) მოსვლას; ხოლო სადაც მიუხედავათ ამისა, უწვიმობის გამო ნიადაგს მორწყვა დასჭირდება, იქ ეს ადვილი მოსახერხებელი იქნება გიდრავლიური მანქანებით და სხვა მოწყობილობებით.

დღემდე უნაყოფო, ვერანა მიდამოები ხელოვნური მორწყვით შეგვიძლია უნაყოფიერეს ადგილებათ გადავაქციოთ; იქ, სადაც ახლა ცხვრებიც ძლივს შოულობენ საკმაო საზრდოს და უკეთეს შემთხვევაში შელანძულ ფიქვებს გაუშვერიათ ცისკენ გაწვრილებული ტოტები, უხვ მოსავალს მივიღებთ; იქ აუარებელი მცხოვრებლები მოიპოვებენ საზრდოს და კმაყოფილებას.

ასე, მაგალ. შრომის დახარჯვაა მხოლოდ საჭირო, რომ ბრანდენბურგის ქვიშიანი მიდამოები, ეს „ნემეცთა იმპერიის წმინდა ქვიშნარები“ სამოთხეს დაემზგავსოს თავის ნაყოფიერებით. ეს აღნიშნა ერთმა რეფერენტმა თავის ლექციაში, რომელიც 1894 წელს იქნა წაკითხული გერმანიის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე*), მარა ბრანდენბურგის მემამულეებს არ შეუძლიათ საჭირო არხების გაყვანა, მოსარწყავ მოწყობილობის დადგმა და სხვ. და ამნაირათ, ვეებერთელა მიდამოები იმპერიის სატახტო ქალაქის ცხვირ წინ ისეთ უკულტურო

*) ოფიციალურ ანგარიშში, რომელიც ჩიკაგოში გაიგზავნა გამოფენაზე, სხვათა შორის ნათქვამია: „საჭიროა ვეცადოთ წყლით სარგებლობას მეგაღეობაში და მებოსტნეობაში, და ამ მიზნით დაარსებული წყლის ამბანაგობები უდაბნოების სამოთხეთ გადაქცევას შესძლებდენ ჩვენში“.

მდგომარეობაშია, რომ მომავალ თაობისთვის, ეჭვი არაა, ასეთი უყურადღებობა პირდაპირ გაუგებარი იქნება. მეორე მხრით, არხების გაჭრით შეიძლება მრავალი ჭაობების დაშრობა, მაგ. ჩრდილოეთ და სამხრეთ გერმანიაში და მათი დასამუშავებლათ გავარგისება. არხებით და აუზებით შეიძლება ვისარგებლოთ თევზების მოსაშენებლათ და ეს ერთი კარგი წყარო იქნება საზრდოობის. ბოლოს ისინი საშუალებას მისცემენ უწყლო მაზრებს წყლები გაიყვანონ და კარგი საბანაოები გააწყონ*).

აი რამდენიმე მაგალითი იმის, თუ რა გავლენა აქვს მორწყვას. ვეისენფელსის მახლობლათ კარგათ მოწყობილი მინდორი $7^1/_2$ ჰექტარზე იძლევა 480 ცენტნერ თივას, გვერდით მდებარე 5 ჰექტარი ურწყავი კი—მხოლოდ 32 ცენტნერს. ამნაირათ, პირველ შემთხვევაში 10-ჯერ მეტი თივა მოდის, ვინემ მეორეში. რიზის მახლობლათ 65 აკრი მიწა იძლეოდა წმინდა შემოსავალს 5850 მარკას, მორწყვის შემდეგ კი ეს შემოსავალი 11,100 მარკამდე ავიდა, მორწყვის მოწყობაზე გაწეულ ხარჯს გარდა. ბუხენბერგერის გამოკვლევით, უნაყოფო სილიანი მიწა ლიპპის მარჯვენა ნაპირზე, ნაყოფიერ ადგილათ გადაიქცა მორწყვის შემდეგ. აქამდე იქ არავითარი მოსავალი არ მოდიოდა. ახლა 124,000 მარკის დახარჯვამ—400,000 მარკა წმინდა შემოსავალი მოიტანა. ქვემო ავსტრიაში მიწა ისეთი ნაყოფიერი გახადა მორწყვამ, რომ ის ერთ მილიონ კრონზე—ექვსი მილიონი კრონის მოსავალს იძლევა. შემუშავება დიდ ხარჯს მოითხოვს, მაგრამ ამ ხარჯს მოგებაც მეტი მოაქვს.

გერმანიაში ბრანდენბურგის გარდაც ბევრგანაა ისეთი ადგილები, რომელთა ნიადაგი ქვიშიანია და მხოლოდ წვიმიან

*) „ავსტრო-უნგრეთში მიწები არსად ისეთი შემუშავებული არ არის, როგორც ბოგემიაში, მარა აქაც მოიპოვება 650,000 ჰექტარი მიწა, რომელს ც გაშრობა სჭირდება,—ეს მეოთხედ ნაწილს შეადგენს სახნავი ადგილებისას. ამას გარდა, ერთი მესამედი იმ 174,000 მიწის, რომელიც მინდვრათაა გაშვებული, ან ნამეტანი მშრალია, ან ნოტიოა. რადა ითქმის ისეთ შედარებით დაქვეითებულ ქვეყნებზე, როგორიც არის მაგალ. გალიცია!“ (Dr. Eugen Filippowitsch, Volkswirtschaftpolitik, S. 97. 1909).

წელიწადს იძლევა მოსავალს. ეს მიწები რომ არხებით მოფინოთ, მორწყოთ და ნიადაგის შედგენილობა გაუმჯობესოთ, სულ მცირე ხანში 5-ჯერ და 10-ჯერ მეტ თივას და პურს მოგცემსთ, ვინემ დღეს იძლევა. ისპანიაში იყო მაგალითი, რომ სარწყავმა მიწებმა 37-ჯერ მეტი მოსავალი მისცა პატრონს, ვინემ ასეთმავე ურწყავმა მიწამ. ამნაირათ, საკმარისია წყლის გაყვანა, რომ დედამიწამ აუარებელი სასაზრდოო მასალა მისცეს ქვეყანას.

მაგრამ, სადაა კერძო პირები, ან სახელმწიფოები, რომ აასრულონ, რაც საჭიროა და აუცილებელი? თუ მწარე გამოცდილების შემდეგ რომელიმე სახელმწიფომ ინება მრავალგვარ უბედურებისაგან დაზარალებულთა აღელვებულ მოთხოვნებისათვის ყურის თხოვება, მაშინაც ზანტათ და ფრთხილათ ანგარიშობს, რამდენის დახარჯვა იკმარებს ამ შემთხვევაში ხალხის დასაშოშმინებლათო. მას ეშინია ზედმეტი გროში არ გადამიყვესო, მაშინ, როდესაც ყაზარმების ასაშენებლათ და ჯარების შესანახათ დაურიდებლათ იფლანგება ფული მარჯვნივ და მარცხნივ. აქ კი — თუ ვინმეს დიდი დახმარება მივეცით, სხვებიც ბევრი დაგვიწყებს თხოვნასო. „ადამიანო, მოეხმარე შენ თავს, მაშინ ღმერთიც შენი შემწე იქნებაო“, — ამბობს ბურჟუაზიული თქმულება. „ყველა თავისათვის, არავინ ყველასათვის“.

თითქმის არც ერთ წელიწადს არ გაუვლია ისე, რომ გერმანიის სახელმწიფოთა ამა თუ იმ პროვინციაში ცოტა თუ დიდი ზარალი არ მოეტანოს წყალდიდობას და ნაპირებზე მდინარეების და მთის ნაკადულების გადმოსვლას, ან ნიაღვარის მოსქდომას. ვეებერთელა ნოყიერი ნიადაგი ილეკება წყლით, ისილება ქვიშით, ან ივსება ნაგვით და ასე მთელი წლობით, ან სამუდამოთ კარგავს ნაყოფიერებას.

მთელი ბაღები, მრავალ წლობით წვითა და დაგვით ნაცოდვილები, მიაქვს წყალს; სახლებს, ხიდეებს, გზებს, ჯებირებს ლეკს, რკინის გზებს აფუჭებს, შინაურ საქონელს იტაცებს, ნათესს სპობს, ნიადაგის გაუმჯობესებას აქარწყლებს.

აუარებელი მინდვრები რჩება წყალდიდობის შიშით დაუმუშავებელი, ან თუ მუშავდება, ისიც ზერელეთ და უგულოთ, რომ დიდი ზარალი მაინც არ ნახონ, თუ წყალმა წალეკა.

ამავე დროს მდინარის კალაპოტის გასწორება მხოლოდ „ვაჭრობისა და მიმოსვლის“ ცალმხრივ ინტერესებს ემსახურება, რაც აორკეცებს წყალდიდობის საშიშროებას. ტყეების გაჭრა-განადგურება მთებში, რასაც განსაკუთრებით უდარდელათ სჩადიან კერძო მესაკუთრენი, დიდათ უწყობს ხელს წყალდიდობისაგან მიდამოების წალეკვის გახშირებას. მოგების გულისთვის ტყეების უგუნურათ განადგურებამ შესამჩნევათ გააფუჭა ჰავა და შეამცირა ნიადაგის ნაყოფიერება პრუსიის და პომერანიის, კარინტიის და შტირიის, იტალიის, საფრანგეთის, ისპანიის და სხვა ქვეყნების მრავალ ადგილებში.

მთებში ტყის გაჭრის შედეგია ხშირი წყალდიდობა. რეინის, ოდერის და ვისლის ნაპირებიდან ხშირათ გადმოსვლას აწერენ უმთავრესათ შვეიცარიის, გალიციის და პოლონეთის ტყეების გაჩეხას. ესევე მიზეზები იწვევენ ხშირათ წყლის მოვარდნას იტალიაში, განსაკუთრებით მდინარე პოს მიდამოებში. კორინის ალპებზე ტყის გაჭრამ დიდათ გააფუჭა ჰავა ტრიესტსა და ვენეციაში. ამავე მიზეზით დაეკარგათ ნაყოფიერება მადეირას, მთელ ოლქებს ისპანიაში, უნაყოფიერეს პროვინციებს რუსეთში და ოდესლაც ნოყიერ და ამწვანებულ ქვეყნებს წინა აზიაში*).

ახლა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამაც გაიგო, რომ ამ ნიადაგზე სტიქიას აღარ უნდა მიენდოს საქმე—„რაც მოხდება, მოხდებაო“, ველარ ვიტყვით დღეს. ჩვენ შეგვიძლია გონიერი საშუალებები ვიხმაროთ და ბუნებრივი ძალები ისე დავიმორჩილოთ, რომ მიწის ნაყოფიერებას იმით აღარა ევნოს, პირიქით ხელი შეუწყონ კიდეც. ადვილათ მოეწყობა ისეთი

*) შვაპპახის აზრით, ტყეს დიდი სარგებლობა მოაქვს იმით, რომ ის მიწას იცავს,—მთიანი ადგილებიდან ნიაღვარს არ უშვებს, ვაკე ადგილებში სილას არ აჩენს. ტყის მოსპობის ბრალია, რომ რუსეთში სახნავი მიწები ახლა სილით არიან მოფენილი.

ვეებერთელა აუზები, რომელიც აუარებელ წყალს ერთ ალაგას შეგვანახვინებს და მრეწველობა-მეურნეობისთვის საჭირო ელექტრონულ ძალას მოგვცემს. ამ მხრივ დიდი ენერგია გამოიჩინა ბავარიამ, რომელმაც მოაწყო წყლების მოსაგროვებელი მანქანები და მდინარეებიდან იმდენი ელექტრონული ძალა გამოიტანა, რამდენიც საჭიროა რკინის გზებზე მიმოსვლისთვის და მრეწველობისთვის. ძველი აგრარული ბავარია ამნაირათ საკაა თანამედროვე სამრეწველო კუთხეთ გადაიქცევა.

### 3. მიწის დამუშავების გარდაქმნა.

თავისთავათ ცხადია, ასეთ დიდ საქმეების ერთბაშათ, ერთი ხელის დაქნევით შესრულება შეუძლებელია, მარა ახალი საზოგადოება მთელ თავის ძალღონეს იხმარს მათ შესასრულებლათ, რადგან მისი **ერთათ-ერთი მიზანია კულტურის სამსახური და ყველა დაბრკოლებების დაძლევა ამ გზაზე.** დროთა განმავლობაში ის შექმნის ისეთ მოწყობილებას და გადაჭრის ისეთ ამოცანებს, რომელზედაც ოცნებაც კი არ შეუძლია თანამედროვე საზოგადოებას, რადგან მას მათი აზრში გავლებით თავბრუ ესხმება.

ზემო-აღნიშნულ და სხვა ამგვარ ზომებით, სოფლის მეურნეობა შეუდარებლათ უკეთეს პირობებში იქნება ჩაყენებული. ზემო-თქმულს გარდა სხვაც ბევრი რამ შეუწყობს ხელს მის განვითარებას. დღეს მრავალი ოთხ-კუთხი მილი ადგილებია დათესილი კარტოფილით, რომლისგანაც ხდიან არაყს განსაკუთრებით გაჭირვებასა და სიღატაკეში მყოფი მცხოვრებლებისათვის: მათთვის არაყი ერთათ-ერთი ხელმისაწდომი „ნუგეშია გაჭირვებაში“. კულტურულ ადამიანებში არაყის მოთხოვნილება გაქრება და ეს ადგილები და მაზე დაბანდებული მუშა ძალები უფრო სასარგებლო და სასაზრდოო ნაყოფის მოწევას მოკიდებენ ხელს. 400,000 ჰექტარზე მეტი საუკეთესო საყანე ადგილებია დათესილი ჭარხლით, რომლი-

დან გაკეთებულ შაქრით ავსებენ ინგლისს, შვეიცარიას, შეერთებულ შტატებს და სხვ. მათმა კონკურენციამ სძლია იმ ქვეყნებს, სადაც შესაფერ ჰავის გამო შაქრის ლერწამიდან გამოყავთ შაქარი. ჩვენი მუდმივი ჯარი, განვითარებული წარმოება, განვითარებული ტრანსპორტი ნაწარმოების, განვითარებული მიწათ-მოქმედება და სხვ. თხოულობს მილიონობით ცხენს და შესაფერ მიწის სივრცეს მათ მოსაშენებლათ და გამოსაკვებათ. არსებითათ შეცვლილი სოციალური და პოლიტიკური პირობები გაანთავისუფლებენ ამ მიწის უდიდეს ნაწილს და აუარებელ მუშა ხელს კულტურის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ წარმოებაში ჩასაბმელათ. ამ რამდენიმე ხნის წინათ მრავალი ოთხ-კუთხი კილომეტრი მიწა მოაკლეს სოფლის მეურნეობას და მთელი დაბები გაანადგურეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალი შორს-მსროლელი იარაღების და საომარ წესებისთვის ისეთი ფართე მოედნებია საჭირო სასროლათ და სავარჯიშოთ, რომლებზედაც მთელი კორპუსები გაიმართება. მომავალში ყველა ამას ანდერძი აეგება.

ფართე სფერა ნიადაგის, ტყისა და წყლის მეურნეობისა დიდიხანია მსჯელობის საგანს შეადგენს ლიტერატურაში. არც ერთი სფერა არ დარჩენილა განუხილავი: ტყის გაშენება, მორწყვა, ნიადაგის გაშრობა, მცენარეულობის კულტურა, პარკიან და ძირნაყოფიანი მცენარეები, მებოსტნეობა, ხეხილის, ყვავილების გაშენება, საქონლის საკმელ მცენარეების მოყვანა, ბალახის კულტურა, რაციონალური პირუტყვის მოშენება, მეთევზეობა, შინაურ ფრინველების გამოზრდა, მეფუტკრეობა, ნიადაგის გამანოყიერებელი ნივთიერებანი და მათი დამზადება, ამა თუ იმ ადგილისათვის თესლის შერჩევა, ნათესთა შეცვლის სისტემა, მანქანების და იარაღების წარმოება, მრავალგვარ მიზნის შესაფერ სასოფლო-სამეურნეო შენობების აგება, მეტეოროლოგიური პირობები და სხვა,—ყველა ეს მეცნიერულ შესწავლის და გამოკვლევის საგნათ არის გამხდარი. ისე დღე არ გაივლის, რომ მეურნეობის ამა თუ იმ სფერაში ახალი გამოკვლევა, ან აღმოჩენა არ მოახდინონ. ნია-

დაგის დამუშავება ტაერის და ფონ-ლიბიხის შემდეგ მეცნიერებათ იქცა და ერთი უპირველესი და უმთავრესი მეცნიერების ადგილი დაიჭირა; იგი ისე გაიზარდა და ისეთი მნიშვნელობა მოიპოვა, რომ მისი მზგავსი მატერიალურ საწარმოო მოქმედებას იშვიათათ სჭერია. მარა თუ ყველა ამ ცოდნათა პროგრესს შევადარებთ ჩვენი სოფლის მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობას, აღმოჩნდება, **რომ დღემდე კერძო მესაკუთრეთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს უსარგებლნია რამდენიმეთ ამ პროგრესით** და მაოაც მხოლოდ თავის კერძო ინტერესები ქონიათ სახეში და არა საზოგადო. ეს უკანასკნელი სრულიად უყურადღებოთ დაუტოვებიათ. სოფლის მეურნეთა უდიდესი ნაწილი, შეიძლება თამამათ ვთქვათ, მათი 99 პროცენტი სრულიად ვერ სარგებლობს იმ უპირატესობით, რომელსაც იძლევა თანამედროვე მეცნიერება და ტეხნიკური პროგრესი; მათ ან საკმაო საშუალება არა აქვთ, ან ცოდნა, ან ორივე ერთათ. მომავალ საზოგადოებას ამ სფერაში თეორეტიულათ და პრაქტიკულათ კარგათ შემზადებული ნიადაგი დახვდება, რომელზედაც მას დასჭირდება მხოლოდ ორგანიზაციის აწყობა, რომ ბრწყინვალე შედეგები მიიღოს.

## 4. მსხვილი და წვრილი წარმოება. ელექტრონის ძალა მეურნეობაში.

ხშირათ სოციალისტურ წრეებშიაც შეხვდებით ისეთ აზრს, თითქო წვრილ წარმოებას მწარმოებლის და მისი ოჯახის წევრთა პირადი ბეჯითობით, გამრჯელობით შეეძლოს კონკურენციის გაწევა მსხვილ წარმოებისთვის; სპეციალისტები დიდიხანია წინააღმდეგ შეხედულებას დაადგენ. რაც უნდა დიდი ნაყოფი გამოიღოს გლეხის შრომამ, რომელიც წელებზე ფეხს იდგამს თვითონ და დღეს უმწარებს ოჯახის წევრებსაც, მისი მდგომარეობა მაინც შესაბრალისი იქნება კულტურული ადამიანის თვალსაზრისით. თანამედროვე ტეხნიკა და აგრონომია ყოველ შემთხვევაში მეტ ნაყოფს აღებიებენ მიწას, ვინემ მისი

გამრჯელობა, მთელი ძალღონის სამუშაოზე მილევა და ხელ-მომჭირნეთ ცხოვრება. მარა უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ მეცნიერებით და ტეხნიკით სარგებლობას შეუძლია ნამდვილ კულტურულ ადამიანათ აქციოს გლეხი, რომელიც დღეს მონაა თავის ერთი ციდა საკუთრების და ილოტი (მონა საბერძნეთში) თავისი მევალის (კრედიტორის).

მსხვილ წარმოების უპირატესობანი სოფლის მეურნეობაში, თუ წარმოება რაციონალურ ნიადაგზეა დაყენებული, აურაცხელია. მსხვილი წარმოება მოასწავებს უპირველეს ყოვლისა, დასამუშავებელ ადგილების ზრდა-გაფართოვებას, რადგან ამით ისპობა აუარებელი გზები და საზღვარ-ნაკილები, რომელნიც აუცილებელ არიან წვრილათ დაჭრილ-დასერილ მიწაზე. ამავე დროს ინახება აუარებელი დრო: 50 მუშა მსხვილ წარმოებაში, გაუმჯობესებული იარაღიც რომ არ მივიღოთ ანგარიშში, მაინც გაცილებით მეტს გააკეთებს, ვინემ ამდენივე მუშა წვრილ წარმოებაში დაფანტული. მიზნის შესაფერი კომბინაცია და მოხმარა მუშა-ძალების შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში. ამას ერთვის დიდი უპირატესობა მანქანებით და გაუმჯობესებულ ხელსაწყოებით მუშაობას, ნაწარმოებების სამრეწველო მიზნით სარგებლობა, რაციონალური მოშენება პირუტყვების, ფრინველების და სხვ. განსაკუთრებით დიდ შეღავათს მისცემს სოფლის მეურნეობას ელექტრონის გამოყენება, რომელიც ბევრათ სჯობია ნაყოფის დამუშავებაში ყველა სხვა საშუალებებს.

თხზულებაში—„სოფლის მეურნეობის წარმატება საწარმოო ხარჯების შემცირებით; გამოკვლევა იმ უპირატესობათა, რომელთაც აძლევს სოფლის მეურნეობას მანქანური ტეხნიკა და ელექტრონი“, ავტორი*) სამაგალითო ანგარიშს ადგენს მსხვილ წარმოებისთვის. ის ამტკიცებს, რომ მანქანებით მუშაობა 5000 ცხენის ძალას გადაარჩენს და ასე ერთბაშათ, დაახლოვებით 40,000 მარკა კაპიტალის დახარჯვით, მივაღწევთ

*) P. Mack. Althof—Ragnit, Rittmeister a D. und Rittergutsbesitzer, Königsberg 1900.

საქონლის გაიაფებას 12,000 მარკით ან მეტითაც, ანუ 48 მარკით ნაკლები ხარჯი იქნება თითო ჰექტარზე, ამაში შეტანილი არაა მოსავლის ზრდა მანქანების მიერ ნიადაგის ღრმათ და სისწორით დამუშავებისაგან*). მარცვლიან მცენარეთა უმრავლესობა ღრმათ დათესვისაგან 20—40 პროცენტს მეტ ნაყოფს იძლევა, ძირნაყოფიანი მცენარეები კი—50 პროცენტს. საშუალოთ რომ მივიღოთ 20 პროცენტის მომატება მოსავალზე, მაშინ ზემო-აღნიშნულ მამულში უნდა მოვიდეს წინანდელთან შედარებით 55,85 მარკის ზედმეტი მოსავალი ჰექტარზე, რაიცა აღნიშნულ ხარჯების შემცირებასთან ერთათ შეადგენს 103,45 მარკის მოგებას ჰექტარზე. თუ მიწის ფასს ვიანგარიშებთ 800 მარკას, მაშინ მოუწევს $13^1/_2$ პროც. ზედმეტი მოგება. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ დაარსებულ იქნეს ელექტრონის ძალის ცენტრები, საიდანაც მიეცემა ძალა ყველა კერძო მეურნეებს. ამ ცენტრებიდან შეიძლება ძალის მიღება, როგორც მანქანების ასამუშავებლათ, ისე სადგომების გასათბობათ და გასანათებლათ. მარა როგორია ის მანქანები და მოწყობილობანი, რომლების საშუალებითაც შეიძლება დღესაც ელექტრონის მამოძრავებელ ძალით სარგებლობა? ელექტრონის საველე რკინის გზები, ელექტრონის გუთნები, სათესი მანქანები, დასანიავებელი, სალეწი, მანქანები თესლების ხარისხებათ დასარჩევათ, სათიბი იარაღები, წისქვილები, ჩალის მჭრელები, ერბოს გამომხდელი, ცხვრების გასაკრეჭი, კარტოფილის, ჭარხლის სათხრელი მანქანები და სხვ. შემდეგ წიწილების გამოსაჩეკი აპარატები და სასაზრდოო ქვაბები ცენტრალური ელექტრონის სადგურების დაარსების შემდეგ, შეიძლება ელექტრონული განათება იქნეს შემოღებული არა

*) დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მეურნეობაში ამ ბოლო დროს ახალმა იარაღმა, რომლითაც ისე ამუშავებენ მიწას, რომ გვალვას მოსავალზე გავლენა აღარ აქვს. ჩრდილო ამერიკის ადგილებში, სადაც წვიმა ნაკლებათ მოდის, საუცხოოთ გამოიყენეს ეს იარაღი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ მანქანები, რომლებიც ამოკლეჭენ სამუშაო დროს და არ მოითხოვენ იმდენ მუშა ხელს, რამდენიც იყო საჭირო მეურნეობაში აქამდე. ასეთია, მაგალ. გაუმჯობესებული სალეწი მანქანა, თივის სწრაფათ ასაღები მოწყობილობა. ასეთია კიდევ კარტოფილის გასარჩევი, დასარგავი და დასაწყობი მანქანა და სხვ.

მარტო სახლებში და ქუჩებში, არამედ თავლებში, ბაკებში, სარდაფებში, ბეღლებში, კალოებზე და სხვ. საჭიროების დროს შეიძლება მკა და თიბვა ელექტრონის სინათლეზე. ბ. მაკმა იანგარიშა, რომ თუ ყველგან ელექტრონი იქნება შემოღებული, მუშა საქონლის ერთი მესამედი საჭირო აღარ იქნება (ესე იგი 1,741,300 თავი), რის გამო ყოველ წლიურ 1,002,989,000 მარკის ხარჯი შეგვრჩება. აქედან უნდა გამოვაკლოთ ელექტრონის ძალის ხარჯები და მაშინ წელიწადში დარჩება წმინდა შემოსავალი 741,794,000 მარკა.

ახლა სოფლის მეურნეობაში ხმარობენ ელექტრონულ ძალას და ამიტომ აქაც ტეხნიკურ-მრეწველური პროცესი იკიდებს ფეხს. ელექტრონით ამოძრავებული მანქანა აადვილებს და აჩქარებს წარმოებას.

100 კილოგრამი პურის გალეწვა და დამზადება, მაგალ. მოითხოვს:

1) რომ ყოველნაირი სამუშაო ხელით გაკეთდეს—104 სამუშ. საათს;

2) პატარა სალეწი მანქანები რომ ვიხმაროთ—41,4 სამ. საათს;

3) ელექტრონული ძალით ამოძრავებული სალეწავი მანქანით (20 ცხენის ძალა) თუ ვისარგებლეთ—26,4 სამუშ. საათს;

4) ელექტრონული ვეებერთელა სალეწი მანქანა, რომელიც 60 ძალას უდრის—სამუშაო დროს შეგვამოკლებინებს —10,5 საათამდე.

ელექტრონული გუთნის ხმარებას მეურნეობაში ახლა ვეღარაფერი შეუშლის ხელს. როგორც ელექტრონული ძალით მოწყობილი გაზიდვა, ისე ელექტრონული გუთანი ახლა შესანიშნავათ არის განვითარებული. ორთქლით ამოძრავებული გუთანი მძიმე მოსახმარია და ძვირიც; ის ფართო მიწებზეა მხოლოდ გამოსადეგი. ელექტრონული გუთანი კი ჩვენ შეგვიძლია საშუალო ზომის მიწებზედაც გამოვიყენოთ. ამით დაიხვნება ისეთი უსწორ-მასწორი ადგილებიც, საცა უბრალო ხელის მოსაკიდებელი გუთანი გაჭირვებით მუშაობს. ელექტ-

რონული გუთანი სწრაფად მუშაობს, ხარჯსაც გაცილებით ნაკლებს მოითხოვს. შეეადარება ის ამ მხრივ ცხენით, ხარით და ორთქლით ამოძრავებულ გუთანს. ი რამდენი დაიხარჯება თითო მორგან მიწის შემუშავებაზე:

| | ნახნავის სიღრმე დიუიმობით: | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 4 | 6 | 8 | 11 | 14 |
| ცხენით მუშაობაში . . | 2,50 | 3,00 | 4,20 | 7,70 | 13,30 |
| ხარით . . | 3,65 | 4,65 | 5,80 | 7,90 | 10,20 |
| ორთქლის გუთნით (თუ დაქირავებულია) . . | 6,00—7,50 | 6,70—8,40 | 7,60—9,35 | 9,15—11,00 | 10,70--1255 |
| ორთ. გუთ. (თუ საკუთარია) . | 4,50—6,00 | 5,00—6,70 | 5,85,760 | 7,30—915 | 8,85—1070 |
| ელექ. გუთნით (თუ ის უღრის 40 ცხ. ძალას). | 2,70 | 3,55 | 4,60 | 6,25 | 7,95 |
| 60 „ „ | 2,65 | 3,40 | 4,30 | 5,70 | 7,10 |
| 80 „ „ | 2,50 | 3,15 | 3,90 | 5,20 | 6,50 |

ელექტრონული ენერგიის გადატანა, მისი დანაწილება გაცილებით ადვილია, ელექტრონული მანქანების შენახვა-მოხმარება სულ უბრალო საქმეა მეურნეობაში, ამიტომ, საუცხოვო ნიადაგი აქვს ამ ენერგიის მოხმარებას. სოფლის გაშლილი მინდვრებისთვის საკმაოა სულ ერთი წვრილი მავთული, რომ საჭირო ენერგია მოგროვდეს. სოფლად ჩვენ შეგვიძლია ელექტრონული ძალა მცენარეულობის მოვლა-მოშენებაშიაც გამოვიყენოთ, როგორც ვიცით, ის ხელს უწყობს მცენარის საზრდოობას.

უკანასკნელ წლებში მცენარეთა ფიზიოლოგიაში და პრაქტიკულ აგრონომიაში, გულმოდგინეთ ეცნობიან ელექტრონული ძალის მნიშვნელობას, მის გავლენას მცენარეულობის ზრდა-ნაყოფიერებაში. ეს საქმე შეასრულა პროფ. ლემშტრომმა, რომელიც გარდაიცვალა 1906 წელს. დიდ, შემუშავებულ მინდვრებზე იმან გააბა მთელი ბადე მავთულების (проволочная сѣть). ამ ბადეს გადასცა შესაფერი მანქანის საშუალებით დადებითი ელექტრონი (положительный зарядъ), უარყოფითი მიწაზე დასდო. შემდეგ შეკავებული ელექტრონული ძალა გაანთავისუფლა ისე, რომ მიწის ერთ ნაწილზე ემოქმედნა ამ ძალას, მეორე ასეთივე ნაწილი თავისუფლათ დასტოვა. ასე უნდოდა ამ მეცნიერს გამოერკვია ელექტრონული ძალის გავლენა. სხვა-და-სხვა ალაგას მოახდინა მან ასეთი შედარება და ბოლოს დაახლოვებით ერთი შედეგი მიიღო: აღმოჩნდა, რომ ელექტრონის ზეგავლენით ჯერ მოსავალმა მოიმატა 30—100 პროცენტამდე, ამას გარდა მოსავალის დამწიფებას უფრო ცოტა დრო მოუნდა, თვისებითაც ეს მოსავალი უკეთესი გამოდგა. ხსენებული მეცნიერის მეთოდს თან ახლდა რამოდენიმე პრაქტიკული ნაკლი. ერთმა ინგლისელმა მეურნემ მოინდომა ამ ნაკლულევანების გასწორება და **ლემშტრომის** მეთოდით დაინტერესა ცნობილი ინგლისელი ფიზიკოსი **ლოდჟი**. როგორც ახალი ცნობებიდან სჩანს, ლოდჟმა გამოსცვალა ელექტრონის გადასაცემი მანქანა და მისგანვე ვერცხლის წყლისგან გაკეთებული მავთული იხმარა. 1906

წლიდან 1908 წლამდე, ამ მეცნიერმა მოახდინა სხვა-და-სხვა ალაგას თავისი გამოკვლევები; თვითეული გამოკვლევა ეხებოდა 10 ჰექტარ მიწას. აღმოჩნდა, რომ მავთული შეიძლება 5 მეტრის სიმაღლეზე გაკეთდეს. ასეთი სიმაღლე ხელს არ შეუშლის ელექტრონის მოქმედებას. მუშაობა კი ასეთი სიმაღლის ქვეშ უფრო მოსახერხებელია, ადვილათ გატარდება, მაგალითათ დატვირთული ეტლი და სხვ.; ლემშტრომმა მარტო 40 სანტიმეტრზე გააბა მავთული. ელექტრონის ქვეშ მოსული პური გაცილებით უკეთესი გამოდგა, ვიდრე თავისუფლათ გაზრდილი. ეს გვიჩვენა სხვა-და-სხვა ალაგას გამოცდილებამ და ამ გამოცდილებით ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ, როგორც მეურნეობაში, ისე ბაღოსნობაში.

ფაულეროვის ორთქლის გუთანი კომპაუნოვის ორი ლოკომოტივით რომ მიზნის შესაფერათ გამოიყენო, საჭიროა 5000 ჰექტარი მიწა, ე. ი. იმაზე მეტი, ვინემ გლეხთა თემების უმეტესობას მოეპოვება გერმანიაში. გამოანგარიშებულია, რომ, რაც 1895 წელს სახნავ-სათესი მიწა იყო, ყველა რომ მანქანების საშუალებით დაემუშავებიათ და სხვა გაუმჯობესებებით ესარგებლათ, დაახლოვებით 1600 მილ. მარკის ხარჯს აიცდენდენ თავიდან. რულანდის*) აზრით, მარტო პურის მცენარეთა სნეულების მოსპობა საკმარისია, რომ გერმანიას უცხოეთიდან პურის შემოტანა აღარ დასჭირდეს. წიგნაკში: „ჩვენი მინდვრის და ყანის ბალახები“, აქიმი ზონნებერგი კორსმიდან სწერს, რომ ოფიციალურ გამოკვლევით ბავარიის სოფლის მეურნეობა კარგავს წლიურათ ყანის გატეევრებით 30% მოსავლისას. ორი ნაჭერი მიწისაგან, რომელიც თითო 4 ოთხკუთხ მეტრს უდრიდა და რომელთაგან ერთი ბალახით იყო გატეევრებული, მეორე კი გაწმენდილი იყო, ნოვაკკიმ ასეთი ნაყოფი მიიღო:

| | ღერო | მოსავალი | ჩალა | |
|---|---|---|---|---|
| გატეევრებულ ნაჭერზე | —216 | 180 | 239 | გრამი |
| გაწმენდილ „ | —423 | 526 | 1077 | „ |

*) Dr. Ruhland: „Die Grundprinzipien aktueller Agrarpolitik“. Tübingen, 1893.

აქიმი ფონ-რიუმკერი, სოფლის მეურნეობის პროფესორი ბრესლავის უნივერსიტეტში, აცხადებს, რომ მეურნეობის კარგი მოვლა და ნიადაგის განაყოფიერება, რაც სტატისტიკურ ცნობებზე უნდა იყოს დაფუძნებული, თითქმის სრულიად არ არსებობს გერმანიაში. ნათესის შეცვლა და ნიადაგის დამუშავება წარმოებს სქემატიურათ, განუსჯელათ, უაზროთ და ისეთი უხერხული, გამოუსადეგარი იარაღებით, რომ შრომა და ენერგია აუცილებლათ უნდა მცირედი ნაყოფით ჯილდოვდებოდეს. **ისეთი უბრალო რამეც კი, როგორიც არის მარცვლების ხარისხებათ დაყოფა, ვერ პოულობს მიმდევრებს გერმანიის სოფლის მეურნეობაში.**

ქვემო მოყვანილ ცხრილში პროფესორი ფონ-რიუმკერი გვიჩვენებს, თუ რამდენს მატულობს მოსავალი თესლის ხარისხებათ დაყოფისაგან.

| პურმა მოიტანა: | ხარისხ. დაუყოფელ მარცვლისგან ჰექტარზე | ხარისხ. დაყოფილ მარცვლებისგან ჰექტარზე | მოიმატა: |
|---|---|---|---|
| საერთო მოსავალი | 8,000 კილოგ.; | 10,800 კილ. | +2,800 კილ. |
| მარცვალი . | . 1,668 „ | 2,885 „ | +1,217 „ |
| ჩალა და ბზე | . 6,332 „ | 7,915 „ | +1,583 „ |
| მოსავლის წონა ჰექტოლიტრ. | 77,2 „ | 78,7 „ | + 1,5 „ |

ამნაირათ, მოსავალს მოემატა ხარისხებათ დაყოფის გამო 1,200 კილოგრამი მარცვალი ჰექტარზე, რაც 180 მარკას შეადგენს, თუ ორკეც ცენტნერის ფასათ ჩავაგდებთ 15 მარკას. ხარისხებათ დაყოფა მოითხოვს ხარჯებს არა უმეტეს 4,40 მარკისა ჰექტარზე. **ამგვარათ, მარცვლის ხარისხებათ დაყოფის შემოღება 175,60 მარკა წმინდა შემოსავალს სტოვებს ჰექტარზე, გარდა ჩალისა და ბზისა. შემდეგ მთელი რიგი მაგალითებიდან რიუმკემ გამოიანგარიშა, რომ თვითეულ ადგილისათვის შესაფერი თესლის შერჩევით მოსავალი და საერთო შემოსავალი შესამჩნევათ აიწევს;** მოემატება ჰექტარზე:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰვავს | 300— 700 | კილოგ. | მარც. | 42— 95 | მარკ. | ღირ. |
| პურს | 300— 800 | „ | „ | 45—120 | „ | „ |
| ქერს | 200— 700 | „ | „ | 34—119 | „ | „ |
| ფეტვს | 200—1200 | „ | „ | 26—156 | „ | „ |

თუ თესლის ხარისხებათ დაყოფისა და ადგილის შერჩევით დათესვისაგან მომატებულ შემოსავალს შევადარებთ, **მაშინ მარტო პურის მოსავალს მივიღებთ ზედმეტს 1500—2000 კილოგრამს, ან 220—295 მარკას ჰექტარზე.**

თხზულებაში—„გერმანიის სოფლის მეურნეობის მომავალი“, ნაჩვენებია, რამდენს მოიმატებს მოსავალი, თუ ნიადაგი უხვათ იქნება განოყიერებული მინერალურ ნივთიერებით სუპერფოსფატით და ტომასოვის ფქვილით, კაპნიტით და ფოსფორის სიმჟავით. გერმანიაში პურის ყანა მოიტანდა საშუალოთ ჰექტარზე 36 ორკეც ცენტნერს, ჰვავის—24 ორკეც ცენტნერს. ჰვავით დათესილი ადგილების ერთი ნაწილი შესაფერი განოყიერების და დამუშავების წყალობით, პურისთვის გამოსადეგი გახდება და ასე საშუალო შემოსავალი დათესილ ჰექტარზე თუ ვიანგარიშებთ ორ მეხუთედ პურს და სამ მეხუთედ ჰვავს—შეადგენს 28,8 ორკეც ცენტნერს ჰექტარზე. სათესლესა და მცირე ღირებულების მარცვლების გამოკლებით ხალხის სასაზრდოოთ დარჩება 26 ორკეცი ცენტნერი. 7,9 მილიონ ჰექტარს, რომელიც დღეს დათესილია, შეიძლება 1,5 მილ. ჰექტარი მოემატოს, თუ დასასვენებლათ გაშვებულ მინდვრების, ჭაობების და ხრიოკების ერთ ნაწილს*) პურის სათეს ადგილათ გადავაქცევთ; ამ 9,4 მილ. ჰექტარის დამუშავებით მივიღებთ 251,92 მილ. ორკეც ცენტნერ ხორბალს. კაცის თავზე რომ 175 კილოგრამი ხორბალი ვიანგარიშოთ წელიწადში, **მაშინ ეს პური ეყოფა საზრდოთ 144 მილ. ადა-**

*) ცარიელი, დასვენებული და საბალახო მიწა ხუთ მილ. ჰექტარს უდრის. ჩვენ უნდა ვიანგარიშოთ ნაკლები—4½ მილ. ჰექტარი. შეიძლება ამაშიაც ერიოს ტყე და მაშასადამე, რამოდენიმე ჰექტარი გამოაკლდეს, მარა მეორე მხრით შეიძლება მისი სახნავ მიწათ, ან მინდვრათ გადაქცევა. ამნაირათ, რაც ერთ ალაგას დაეკლდება, ის მეორე ალაგიდან შეივსება.

**მიანს.** 1900 წლის აღწერით გერმანიაში ითვლება 56,345,000 მცხოვრები, ასე რომ ტეხნიკის და მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობაშიაც კი გერმანიის ნიადაგს შეუძლია $2^1/_2$-ჯერ მეტი მცხოვრებლები გამოკვებოს; დღეს კი თანამედროვე კერძო საკუთრების წყალობით, გერმანია იძულებულია გარედან შემოიტანოს $^1/_9$ იმის, რაც მას ხორბალი სჭირდება საზრდოთ. თანამედროვე ეკონომიურ სისტემის დროს კიდეც რომ მივიღოთ დაახლოვებით ასეთი შედეგები,—ეს ყოველგვარ სანოვაგის ისეთ გაძვირებას გამოიწვევს, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა მათ ვერ შეიძენს და ამნაირათ მიზანი მიუღწეველი დარჩება. მხოლოდ კომუნისტურ წარმოების დროს შეიძლება უმაღლეს საფეხურზე ასეთ შედეგების მიღწევა; მარა ეს ზემოაღნიშნულ ავტორებს ფიქრათაც არ მოსვლიათ. ერთი მათი გამოანგარიშებათაგანი გვიჩვენებს, რომ ინტენსიური კულტურის შემოღებით გერმანიის სოფლის მეურნეობაში შეგვიძლია მივიღოთ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი . . | 145,1 | მილ. | ორკეც | ცენტნ. |
| კარტოფილი . . | 144,0 | „ | „ | „ |
| ფეტვი, ქერი, მუხუდო, ცერცვი . . | 78,7 | „ | „ | „ |
| მინდვრის თივა. . | 146,2 | „ | „ | „ |
| ნათესი თივა . . | 110,0 | „ | „ | „ |
| საქონ. საკვ. თალგამი. | 226,0 | „ | „ | „ |

საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ბ. მაკის ჩვენებით, ელექტრონული ძალის შემოღება ძალზე შეამცირებს მომუშავე საქონლის საჭიროებას, ასე რომ შესაძლებელი იქნება ან საკლავ საქონლის გამრავლება, ან საბალახოების ერთი ნაწილის დათესვა.

მეორე დარგი სოფლის მეურნეობისა, რომლისგანაც შეიძლება მეტი სარგებლობის ნახვა, ვინემ დღეს ნახულობენ, —ესაა შინაურ ფრინველების მოშენება და კვერცხების მოგროვება. გერმანიაში ყოველ-წლიურათ შემოაქვთ 149,7 მილ.

მარკის კვერცხი (1907 წ.) და 40 მილ. მარკის ცოცხალი ფრინველი. ყველა ამ დარგებში საჭიროა გამოსაჩეკი მანქანების შემოღება, ჯიშის გაუმჯობესება, მოვლა და სხვ., რაც ჯერ ისევ განუვითარებელ მდგომარეობაშია. შემდეგ განვითარების პროცესში მსხვილი წარმოება გამოიწვევს კონცენტრაციას თავლებისას, სხვა-და-სხვა საქონლის საწყობებისას, სარდაფებისას, საკვებ მოწყობილობისას, მიწის პატივისას და სხვ. ამით დაიზოგება აუარებელი ძალა, დრო და მასალა. ამას გარდა, ყველა ამ მოწყობილობებით რაციონალური სარგებლობა იმდენ უპირატესობას მოგვცემს, რომელიც მხვილ წარმოებაშიც კი იშვიათია; საშუალო და წვრილზე ხომ ლაპარაკიც მეტია. რა მცირე ყურადღებას აქცევენ, მაგალ. თავლების ჰიგიენურ მოწყობას, რამდენათ კოქლობს საკვების მიწოდება და სხვ.; სჩანს მე-XX საუკუნის გლეხმაც არ იცის ჯერ, რომ პირუტყვებისთვისაც ისე აუცილებელია სიწმინდე, სინათლე და ჰაერი, როგორც ადამიანისთვის და რომ ამათ კარგი გავლენა აქვთ მის მდგომარეობაზე. რომ ამით რძის, კარაქის, ყველის, კვერცხების, თაფლის, ხორცის წარმოება შეუდარებლათ უკეთეს და საღ პირობებში იქნება ჩაყენებული, ეს თავისთავათ ცხადი უნდა იყოს.

არსებულ ადამიანის და მანქანების ძალთა მოხერხებული შეერთებით და გამოყენებით, სულ სხვა სახეს მიიღებს როგორც ყანების დამუშავება, ისე მოსავლის მოწევა. ფარდულების, სახმობების და სხვ. მოწყობით შესაძლებელი გახდება ყოველგვარ ამინდში მკა; დიდი ზარალი, რომელიც ახლა ცუდი ამინდებისგან მოსდის ჩვეულებრივ სოფლის მცხოვრებთ, მაშინ თავიდან აცილებული იქნება. მაგალ. ჰოლციის ანგარიშით, ცუდი ამინდების გამო მეკლენბურგში 8—9 მილიონი მარკის ზარალი მოდის, კენიბერგის ოლქში კი 12—15 მილიონის.

## 5. მევენახეობა მომავალში.

ბოსტნეულობის, ხილის, ბაღის ნაყოფის მოყვანა მომავალში უკეთესათ განვითარდება და გაუმჯობესდება. ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბოსტნეულობას, საზოგადოთ ხეხილს და კერძოთ ვაშლის მოშენებას, თუმცა ნიადაგი ამისთვის შესაფერისი გვაქვს. ეს სჩანს იქიდან, რომ ყოველ-წლობით ჩვენ შემოგვაქვს 40 მილ. მარკის ახალი ხილი და 20 მილიონზე მეტის გამხმარი. საკმაოა გერმანიის უმეტეს ნაწილს თვალი გადავავლოთ, რომ გავიგოთ, თუ რამდენათ მოუვლელია ჩვენი ხეხილი. ზოგიერთი ადგილები, მაგალ. ვიურტემბერგი, ნაქებია ხეხილით, მაგრამ აქაც დიდი გაუმჯობესებაა საჭირო. სასოფლო მეურნეობა-ბაღოსნობას ფართო ნიადაგი აქვს ჩვენში. შემუშავება ეპირვება აგრეთვე გარეულ ხილეულობას (ягодная культура), ეს საქმე ახლახან ცოტაოდნათ ფეხს იკიდებს.

დახურულ შენობაში, სადაც სითბო და სისველე ხელოვნურათ ვითარდება, ყოველ დროს შესაძლებელია წვანილის, ხილის და სხვ. მოყვანა. ყვავილის მაღაზიები დიდ ქალაქებში სუსხიან ზამთარშიაც საუცხოვო ყვავილოვან ბაღს წარმოადგენენ, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებიან გაზაფხულისას. ხილის ხელოვნურათ მოყვანის ერთ განსაცვიფრებელ მაგალითს წარმოადგენს ბაღის დირექტორის გაუტის „ხელოვნური ვენახი“ სილეზიის ბრიგაში. მას ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და წინაპრებიც ყავდა სხვა-და-სხვა ქვეყნებში, მაგალ. ინგლისში. ამ ვენახის მოწყობილობა და შედეგები ისე მომხიბველელათ აქვს აწერილი ფოსსის გეზეთს 1890 წელს, 27 სექტემბრის ნომერში, რომ მოზრდილი ამონაწერი მოგვყავს აქედან:

„დაახლოვებით ოთხ-კუთხ სივრცეზე, რომელიც 500 მეტრს, ე. ი. $^1/_5$ მორგენს უდრის, აშენებულია შუშის სახლი 4,5—5 მეტრის სიმაღლის; კედლები ამართულია სწორეთ აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით.

სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მისდევს 12 მწკრივი რიგ-რიგზე ჩაყოლებული ფიცრები, რომელნიც 1,8 მეტრით არიან ერთ-მანეთზე დაშორებული და ამასთანავე დაფენებულ სახურავს სვეტების მაგიერობას უწევენ. შიგ 25 სანტიმეტრის სიმაღ-ლეზეა დაყრილი მიწა და ზედ 1,25 მეტრის სიმაღლის კვლე-ბია გაკრილი. მთელი მიწა მილებითაა დაქსელილი სინოტიეს მოსასპობათ და ზევიდან მასრებია ჩასობილი ნიადაგში ჰაერის ჩასაშვებათ. კვალები მეტათ მსუქანი მიწისაგან შესდგება და ფხვნილი კირის, ნახერხის, სილის, გამხმარი ნაკელის, დაფ-ქული ძვლის და კალის მარილის მიმატებით მეტათ ფხვნილი და ნასვრეტებიანია (ფოსოებიანი). ამ კვალში ბ. გაუპტმა ორმწკრივათ ჩაყოლებულ ფიცრებს გასწვრივ დარგო 360 ვა-ზი ისეთი ჯიშის, რომელიც საუკეთესო ღვინოებს იძლევა რეინზე: თეთრ და წითელ რისლინგს, ტრამინერს, თეთრ და შავ მუსკატს და ბურგუნდიის ღვინოს.

შენობაში ჰაერის ასამუშავებლათ (ვენტილიაცია) გარდა კედლების მრავალი გამოკრილ ადგილებისა, სახურავში 20 მეტრის სიგრძის საცობებია გაკეთებული, რომელნიც თავ-მორგვიანი და ხელიანი ბერკეტების საშუალებით იღებიან და იხურებიან. ამ საცობებს როგორც გსურს, ისე დააყენებ, რაც უნდა ძლიერი ქარი ქროდეს. ვაზების მოსარწყავათ გაკეთე-ბულია 26 „დუში“, რომლებიც 1,25 მეტრის სიგრძე რე-ზინზეა გამობმული. ამ რეზინის თავი წყლის მილებშია ჩაშ-ვებული. გარდა ამისა, ბ. გაუტმა შემოიღო თავის ვენახში მეორე უფრო მნიშვნელოვანი საშუალება მიწის სწრაფათ და საფუძვლიანათ მოსარწყავათ, სახელდობრ **ხელოვნური წვი-მები**. სახურავს ქვეშიდან გაყვანილია 4 სპილენძის მილი პაწია ნაჩვრეტებით, რომელნიც თითო მეტრზეა დაშორებული ერთი მეორესაგან. ამ ნაჩვრეტებიდან წყალი წვრილათ ასხამს ზევით, ხვდება სინის წმინდა ბანდულს და ცვრებათ იფრქვევა. რეზი-ნის მილებით საფუძვლიან მორწყვას უნდება რამდენიმე საათი. მარა საკმარისია მოუშვათ კრანი (ონკანი) და მთელ შენობაში წმინდა, მაცოცხლებელ წვიმას დაუშობს, რომელიც თანაბრათ

ასველებს ვაზებს, მიწას და ჯავარიან ქვის საფეხურებს. ეს შენობა გაუთბობლათაც 8—10 გრადუს (რეომიურით) მეტ სითბოს აყენებს გარეშე ჰავასთან შედარებით. ვენახის დასაცავათ ყველაზე საშიშ და მავნებელ მტრისაგან—ფილოქსერისაგან, საკმარისია დახუროთ სადრენაჟო (ნიადაგის გასაშრობი) მილები და წყლის საყვანიდან მოუშვათ წყალი. ვაზები წყლით დაიფარება და წყალს კი მათი მტერი ვერ იტანს. ქარიშხლის, ყინვის, სიცივის, ზედმეტ წვიმების და სხვა ასეთებისაგან ვენახს იფარავენ შუშის კედლები. სეტყვისაგან სინის ბადე, გვალვისაგან ხელოვნური წვიმა. ასეთი ვენახის პატრონი თვითონ ქმნის ამინდს და შეუძლია დასცინოს შეუბრალებელ და გულქვა ბუნების ყველა ჭირვეულობას, უამინდობას, რომელნიც მოსპობას უქადიან მევენახის შრომის და ენერგიის ნაყოფს.

ბ. გაუპტის მოლოდინი სავსებით გამართლდა. ვაზები შესანიშნავათ დაიზარდენ თბილ, თანასწორ ჰავაში; ყურძენი სავსებით დამწიფდა და 1885 წლის შემოდგომაზე ისეთი წვენი მისცა, რომელიც შაქრის ელემენტებით, მოსავლიანობით და სიმჟავის სიმცირით სრულიათაც არ დაუვარდება რეინზე მოსულ მორსის წვენს. მშვენივრათ დამწიფდა ყურძენი შემდეგ წელსაც და ვენახებისთვის ცუდ ამინდიან 1887 წელსაც. ამ შენობაში, როცა ვაზები სრულიად დაზრდილია, ე. ი. 5 მეტრის სიმაღლე აქვთ და თავიდან ბოლომდე შეხირხლულია მტევნებით, 20 გექტოლიტრი ღვინო მოვა და ამ სასიამოვნო ღვინის თვითეული ბოთლი დაუჯდება მრეწველს არა უმეტეს 40 პფენინგისა.

არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ რაიმე დაბრკოლებები გადაეღობება წინ ამ ახალ მევენახეობის განვითარებას, რომელიც ყველაზე დიდ და უტყუარ მოსავალს იძლევა. ასეთი შუშის სახლები, ასეთივე ჰაერის ასამუშავებლებით (ვენტილიაციით) და სხვ. შეიძლება მოეწყოს არა მორგენის $^1/_5$-ზე, არამედ რამოდენიმე მორგენის სივრცეზე. იქ ყურძენი რამდენიმე კვირით ადრე დამწიფდება, ვინემ ცის

ქვეშ, გაშლილ ჰაერზე; ვაზები ყვავილობის დროს დაცული იქნება გაზაფხულის ყინვებისა, წვიმების და სიცივეებისაგან, მტევნების ზრდის დროს—გვალვისაგან, დამწიფების დროს—ფრინველებისაგან და სამუდამოთ—ფილოქსერისაგან; აქ მტევნები ნოემბერ-დეკემბერშიაც შერჩებათ ვაზებს. ამის მომგონმა და მომწყობმა თავის რეფერატში, რომელიც მან წაიკითხა 1888 წელს მებაღეობის ხელშემწყობ ფერეინის კრებაზე და რომლიდანაც მე მომყავს ზოგიერთი ტეხნიკური ცნობები გაუპტის ვენახის შესახებ, მომხიბლველი სურათი დაგვიხატა ამ საქმის მომავლის: რადგან ახლა ვენახის მოშენება შესაძლებელია მთელ გერმანიაში ისეთ უნაყოფო, ხრიოკ და ქვიშიან ნიადაგზედაც, როგორიცაა მაგალ. ბრანდენბურგის უარესი ადგილები, რადგან ახლა მისი განოყიერებაც შეიძლება შესაფერი პატივით და მორწყვით, ცხადია, რა დიდ კულტურულ ინტერესს წარმოადგენს მთელი ქვეყნისათვის შუშის ქვეშ გაკეთებული ვენახები. მე ვუწოდებდი ამ კულტურას **„მომავლის მევენახეობას“**.

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს, რომ ამ ვენახიდან მოყვანილმა ღვინომ უმაღლესი ქება დაიმსახურა სპეციალისტებისაგან და უმატებს, „რომ ამ ვენახში ბევრი ადგილია სხვა რაიმეს მოსაყვანათ, რაც კარგ შემოსავალს მისცემს პატრონს. ბ. გაუპტს ვაზებ შუა დარგული აქვს ვარდები, საიდანაც აპრილში და მაისში აუარებელ ყვავილებს კრეფს, აღმოსავლეთის და დასავლეთის მხრივ კედლებზე გადაშლილია ატმის ტოტები, რომლის ლამაზი სამკაული აპრილში ზღაპრული სიმშვენიერის ელფერს მისცემენ ამ შუშის ვენახ-სასახლეს“.

ამ ჟამათ ბელგია აქცევს დიდ ყურადღებას ამნაირი ხილის მოვლას, მარა გერმანიაშიც ფართოთაა დაყენებული მისი დამუშავება; გულმოდგინეთ ეკიდებიან, მაგალ. ანანასის მოშენებას.

არაფერი არ უშლის ასეთ შენობების მოწყობას ეფრო ფართოთ და გრანდიოზულათ სხვა მცენარეებისთვისაც; ამით ჩვენ შეგვეძლება ორი-სამი მოსავალი მივიღოთ წელიწადში

ზოგიერთი პურის მცენარეებისაგან. დღეს ასეთი წარმოების საკითხი უპირველეს ყოვლისა შემოსავლის, მოგების საკითხია და ამიტომ მათი ნაწარმოები ხელმისაწდომია მხოლოდ შეძლებულთათვის, რომელნიც შესაფერ ფასის გაღებას არ იშურებენ. სოციალისტურ საზოგადოებისთვის კი ერთათ ერთი საკითხი მუშა ძალაა; თუ მუშა ძალა არსებობს, საქმე სისრულეში იქნება მოყვანილი საყოველთაო სასარგებლოთ და სასიამოვნოთ.

## 6. მიწის ნაყოფიერების შემცირება და მასთან ბრძოლა.

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ უკვე თანამედროვე ტეხნიკას არსებითი ცვლილებები შეაქვს მასაზრდოებელ მასალებში. **მარა ყველა ამ აღმოჩენების გამოყენება მეტის-მეტათ ნელა ხდება, რადგან ძლიერნი ამა ქვეყნისანი—აგრარიები და მათი სოციალური და პოლიტიკური ბურჯები ცოცხლათ დაინტერესებული არიან იმაში, რომ ხელი შეუშალონ ამ აღმოჩენათა ფართე გავრცელებას.** მართალია, ყოველ კვირა დღე ყველა ეკლესიებში ლოცულობენ „კეთილგამოღებისათვის ნაყოფთა ქვეყნისათა“, მარა გულში კი იმ სიტყვებს უმატებენ, რომლითაც მორწმუნეებმა უნდა მიმართონ წმ. ფლორიანეს: „წმინდაო ფლორიანე, დაიფარე ჩვენი სახლკარი და გადაწვი სხვისიო“. თუ მოსავალი სხვა ქვეყნებში კარგია, მაშინ ფასი ეცემა და ეს შიშის ზარსა სცემს მემამულეს. რაც სხვებს მოუხდება, ის მას ვნებს; ამიტომ იგი წინააღმდეგია ყოველი გამოგონების და აღმოჩენის, რომელსაც სარგებლობა მოაქვს ყველასათვის და არა მარტო მისთვის. ჩვენი საზოგადოება ყველგან თავის-თავის წინააღმდეგობაში ვარდება.

ნიადაგის ნაყოფიერების შენახვა და მომატება დამოკიდებულია უპირველეს ყოვლისა მიწის პატივზე. ამიტომ პატივის მოპოვება ახალი საზოგადოებისთვისაც ერთ-ერთი არსე-

ბითი ამოცანაა*). პატივი იგივეა მიწისათვის, რაც საჴმელი ადამიანისთვის, ამასთანავე ნიადაგისთვის ყოველგვარი პატივი ერთნაირათ გამოსადეგი არაა, როგორც ადამიანს არ მოუხდება თანაბრათ ყოველგვარი საჴმელი. ნიადაგს უნდა დაუბრუნდეს სწორეთ ის ქიმიური ნაწილები, რომელნიც დაკარგა მან ყანის მოყვანით და უნდა გაძლიერებულ იქნეს ის ელემენტები, რომლებსაც თხოულობს ამა თუ იმ მცენარის მოყვანა. ამიტომ მომავალში ქიმიის შესწავლა და გამოყენება მეტის-მეტათ გავრცელდება.

ცხოველების და ადამიანის ნაკელი შეიცავს სწორეთ ისეთ ქიმიურ ელემენტებს, რომლებიც საჭიროა მიწისათვის მასაზრდოებელ ნივთიერებათა უხვად აღმოსაცენებლათ; ამიტომ საჭიროა მოეწყოს ამ პატივის შენახვა და მიზნის შესაფერათ გამოყენება. ამ მხრით დღეს ძალიან ცოტა კეთდება. ქალაქები და სამრეწველო დაბები აუარებელ მასაზრდოებელ ნივთიერებას იღებენ გარედან, მარა მის ნაშთებში მყოფ ძვირფას მიწის სასუქ ელემენტებს კი ძალიან ცოტას უბრუნებენ ნიადაგს.

ამის შედეგია ის, რომ ქალაქებისა და სამრეწველო დაბებისაგან დაშორებული მეურნეები, თავის ნაწარმოების უდი-

*) „არსებობს რეცეპტი მიწის განოყიერებისა და მ სი მუდმივ შერჩენისა; თუ ეს საშუალება სისწორით დავიცავით ის ბევრათ უმჯობესი იქნება, ვინემ აქამდე ხმარებული საშუალებები სოფლის მეურნეობაში. ეს საშუალება შემდეგია: „თვითეულმა სოფლის მეურნემ, რომელსაც მიაქვს ქალაქში ერთი ტომარა პური, ან ცენტნერი ჯარხალი, კარტოფილი და სხვა, უნდა მოიტანოს იქიდან ჩინელ კულივით ამდენივე (რაც შეიძლება მეტი) ნიადაგის შემადგენელი ნაწილები თავის ნაყოფისა და დაუბრუნოს ის იმ ყანას, რომელსაც ნაყოფი წაართვა. არ უნდა დაიწუნოს არც კარტოფილის კანი, არც ჩალა; მას უნდა ესმოდეს, რომ ეს კანი საჭიროა მისი კარტოფილისთვის, ჩალა მისი პურის დათავთავებისთვის; ამაში ბევრი ხარჯი არ გაუვა, აქ დაბანდებული ფული კი უფრო საიმედოა, ვინემ შემნახველ კასაში შეტანილი და არც ერთ კაპიტალს არ შეუძლია მეტი რენტის მოტანა; მისი ყანები 10 წლის შემდეგ 2-ჯერ მეტ მოსავალს მოუტანენ. მას ექნება მეტი პური, ხორცი, ყველი, მუშაობა კი იგივე წინა წლებთან შედარებით, და ის მუდამ იმის დარდში აღარ იქნება, საიდან გამოვიგონო ისეთი საშუალება, რომ ყანები არ გამომეფიტოსო... ძვლები, ჭვარტლი, ნაცარი, ცხოველების სისხლი და ყოველგვარი ნაყარ-ნუყარი უნდა ინახებოდეს და იგზავნებოდეს ყანაში. მთავრობა და პოლიცია უნდა ზრუნავდენ სანაგვე ადგილების შესაფერ მოწყობაზე, რათა ეს ნივთიერებანი არ დაიკარგონ ტყუილ-უბრალოთ“. ლიბიხი: „ქიმიური წერილები“. 1865.

დეს ნაწილს აძლევენ ქალაქს ყოველ-წლიურათ და სამაგიეროთ, საგრძნობლათ იჩაგრებიან საკმაო მიწის პატივის უქონლობისაგან. არა იშვიათათ ის პატივი, რომელიც გროვდება ადგილობრივ შინაურ პირუტყვისა და ადამიანისაგან, საკმარისი არაა, რადგან ეს—ადამიანები და პირუტყვები სჭამენ მხოლოდ მოსავლის ნაწილს,—და აი აქედან იწყება ბარბაროსული სისტემა მიწის დამუშავების, რომელიც ასუსტებს მიწას და ამცირებს მოსავალს, თუ ბუნებრივი პატივის დანაკლისი ხელოვნური საშუალებით არ იქნა შევსებული. ყველა ქვეყნები, რომელთაც გააქვთ მიწის ნაწარმოები და სამაგიეროთ არ იღებენ ნიადაგის გასანოყიერებელ ნივთიერებას, ადრე თუ გვიან უეჭველათ დაქვეითდებიან ნიადაგის გამოფიტვისაგან, ასეთებია ჰუნგრეთი, რუსეთი, დუნაის ნაპირას მდებარე სახელმწიფოები და სხვ.

ლიბიხმა გასულ საუკუნის შუა წლებში შეიმუშავა მოძღვრება სათეს მიწისთვის წართმეულ ნივთიერებათა დაბრუნების შესახებ, შესაფერ გამაპოხიერებელ საშუალებების თავის მოყრით და უკანვე მიწოდებით. შულცე-ლიუპიცმა დაამტკიცა, რომ არსებობენ ისეთი მცენარეები, რომელნიც არ შეიცავენ აზოტისტურ ნივთიერებებს, მარა მაინც ამდიდრებენ ნიადაგს აზოტით. ეს გავლენა ახსნა შემდეგ ხელრიგელმა. მან დაგვანახვა, რომ არსებობს მილიონობით ისეთი ბაცილები, რომელთაც სიმბიოზი აქვთ ძირნაყოფიან მცენარეებთან და ჰაერიდან გადააქვთ აზოტი მცენარეებში. თუ ლიბიხის შემდეგ აქამდე აგრონომია ეყრდნობოდა სასოფლო-სამეურნეო ქიმიას, ამიერიდან მან მოიპოვა ახალი საფუძველი—სასოფლო-სამეურნეო ბაქტერიოლოგია. გარდა ამისა, გერმანიას აქვს აუარებელი მადნები კალაქვის, კაინიტის, ტომასოვის ფქვილი; სუპერფასფოტი და ფოსფორის სიმჟავე დაუშრეტელი წყაროა მადნეული პატივისა და ამით შეგნებულ სარგებლობას და მიწის შესაფერ დამუშავებას შეუძლია აუარებელი მასაზრდოებელი ნივთიერება მისცეს საზოგადოებას.

მიწის ხელოვნურათ განაყოფიერებას ახლა დიდ ყურადღებას აქცევენ და ამისთვის სხვა-და-სხვა საშუალებებს ხმარობენ. გერმანიას 1906 წლის განმავლობაში დაუხარჯავს 300 მილ. მარკა, სხვათა შორის გოგირდ-მჟავის ამმიაკზე—58,3 მილიონი, ცილეზალპეტერზე—120, დანარჩენი კი დახარჯულა ტომას. ფქვილში, სუპერფოსფატში, კალის მარილში და სხვ. ამ საშუალებებში ყველაზე უფრო სასარგებლოა ის მასალა, რომელიც აზოტისგან შესდგება. ასეთი მასალა შესანიშნავათ ანოყიერებს მიწას. აი ფაქტები: **ვაგნერის** გამოკვლევით, ჰესენში (გერმანიაშია) ქერის მოსავალმა მოიკლო 1,7 პროცენტი, როცა მიწას აკლდა ფოსფორის სიმჟავე, ხოლო როცა კალი აკლდა—მოსავალმა 19 პროცენტით დაიწია; ყველაზე უფრო კი აზოტის ნაკლულობა დაეტყო, ამ უკანასკნელ შემთხვევაში 89 პროცენტი მოაკლდა მოსავალს. შემდეგ გამოკვლევა შეეხებოდა თითო ჰექტარ მიწას ერთი წლის განმავლობაში. მიწამ მოიტანა 96 მარკის მოსავალი, როცა სავსებით იყო განოყიერებული; 62 მარკის ღირებულება მოვიდა, როცა კალი მოაკლეს ნიადაგს; 48 მარკა მოიტანა მოსავალმა, როცა ფოსფორის სიმჟავე აღარ გაურიეს გასანოყიერებელ საშუალებებში და მხოლოდ 5 მარკის ღირებულობა მოიტანა მიწამ მაშინ, როდესაც აზოტი მოაკლეს მას. გამოიანგარიშეს, რომ გერმანიას შეუძლია მოიყვანოს პური და კარტოფილი არა მარტო თავის საყოფი, არამედ საზღვარ-გარეთაც ბლომათ გაიტანს ამ საქონელს, თუ ის აზოტის ნივთიერებას გაორკეცებს მიწის გასანოყიერებლათ. უმთავრესი წყარო გასანოყიერებელი მასალის Salpeterlagen Chiles და Guanolager მალე მოისპობა, მაშინ, როდესაც აზოტის ნივთიერება თანდათან მეტი სჭირდებათ გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ამ უკანასკნელ 10 წელიწადში შეერთებულ შტატებშიაც.

ინგლისელმა ფიზიკოსმა **ვილიამ კრუკსმა** ჯერ კიდევ 1889 წელს დააყენა ეს კითხვა და სთქვა, რომ ამის გადაჭრა გაცილებით უფრო საყურადღებოა, ვიდრე ბრიტანიის ნახშირის მოსალოდნელი გამოლევაო. ქიმიის უმთავრესი საქმეა

გამოძებნოს ისეთი საშუალება, რომ აზოტის ნივთიერება გამოიკრიბოს იმ უზარმაზარ წყაროდან, რომელსაც ჰაერი ეწოდება. წარმოიდგინეთ, რომ ერთ კვადრატ სანტიმეტრზე ჰაერი ერთ კილოგრამს იწონის და ოთხი მეხუთედი ამ ჰაერის აზოტის ნივთიერებისაგან შესდგება. ასე რომ ვიანგარიშოთ, მთელი ატმოსფერა 4000 მილიონ ტონნ აზოტს შეიცავს. ჩვენ ვიცით, რამდენი იხარჯება ახლა სალპეტერი და ამის მიხედვით აზოტი უნდა დაიხარჯოს 300,000 ტონამდე. სხვა რომ ველარაფერი ვიშოვნოთ მიწის გასანოყიერებლათ, აზოტის ქიმიური შეერთება ეყოფა მიწას 14,000 მილიონი წლის განმავლობაში. ეს გამოადგება მთელ კაცობრიობას სალპეტერის მაგივრათ. ასე ფიქრობდა კრუკსი.

დღეს უკვე გადაჭრილია ეს კითხვა. ჯერ კიდევ 1889 წ. **ფრანკმა** და **კარომ** კირი და ნახშირი მოაქციეს ატმოსფერიდან გამოკრეფილი აზოტის გავლენის ქვეშ და მიიღეს ნივთიერება, რომელიც შეიცავდა 14—22 პროცენტამდე წმინდა აზოტს. ახალი გასანოყიერებელი მასალა კირ-აზოტის სახელით დღეს ბაზარზეა უკვე გამოსული. გამოკვლევა ამით არ დათავებულა. 1903 წ. ნორვეგიელმა მეცნიერებმა **ბირკელანდმა** და **ეიდმა** აზოტი ჰაერიდან პირდაპირ სალპეტერის სიმჟავეში გაატარეს, დასწვეს ეს უკანასკნელი ნივთიერება და ასე მოახერხეს მასთან აზოტის ქიმიურათ შეერთება. ამ გამოკვლევამ მოგვცა ისეთი მასალა, რომელიც სალპეტერთან ერთათ იშოვება ბუნებაში და ზოგ ალაგას ერთი-მეორეზეა დაწყობილი. ეს რამდენიმე წელიწადია ახალი მასალა—ნორგ-სალპეტერი იყიდება გერმანიის ბაზარზე. 1905 წელს **ოტტო შიონჰერმა** აღმოაჩინა კიდევ ერთი ნივთიერება, რომელიც ტეხნიკურათ უფრო გამოსადეგია, ვიდრე ბირკ ელანდ-ეიდისგან აღმოჩენილი. მოსამზადებლათ ის ელექტრონულ ძალას გარდა, ძალიან იაფ მასალას მოითხოვს—წყალს და ქვა-კირს მხოლოდ. სასოფლო მეურნეობას ამნაირათ მიწის გასანოყიერებლათ ახალი საშუალება ეძლევა. მისი წარმოება ადვილი მოსაწყობია ტეხ-

ნიკურათ. ეს იქნება სამრეწველო პროცესი, რომელიც აუარებელ მასალას მისცემს მეურნეობას.

ა. მიულლერის აზრით, ჯანსაღი ადამიანი წელიწადში იძლევა 48,85 კილ. მაგარ და 438 კილ. თხელ ექსკრემენტებს (ნაკელს და შარდს). პატივის დღევანდელ ფასებში ეს ნივთიერება ღირს, თუ ისინი ორთქლათ ქცევისაგან არ დაიკარგება, დაახლოვებით 5,15 მარკა. მათი სავსებით გამოყენება იმითაა ძნელი, რომ ამისთვის საჭიროა მათ თავმოსაყრელათ შესაფერი ფართე შენობის აგება და გადატანაში ბლომა ხარჯების გაღება. ეს ხარჯები შედარებით მეტი ჯდება, ვინემ გუანოს მოტანა ოკეანეს იქითა მხარიდან, მარა გუანოს რაოდენობა მცირდება იმდენათ, რამდენათაც მატულობს მისი მოთხოვნილება. თვითეული ადამიანი დაახლოვებით იმდენს იძლევა პატივს, რამდენიც საჭიროა იმ ადგილების დასაპატივებლათ, რომელზედათ მისი საყოფი საშმელ-სასმელი მოდის. ექსკრემენტების უდიდესი ნაწილი ქალაქებიდან მდინარეში იყრება და აოხრებს მათ; სამზარეულოს, სახელოსნოს და მრეწველობის ნაშთებს კი უდარდელათ სპობენ მაშინ, როდესაც მათ შეეძლო დიდი სამსახური გაეწია ნიადაგისათვის.

ახალი საზოგადოება გამოძებნის გზას და საშუალებას, რომ ამ უთავბოლო მფლანგველობას ბოლო მოუღოს. თუ რის გაკეთებაც შეიძლება დღეს, ამის მაგალითს გვაძლევს გერმანიის სატახტო ქალაქში მოწყობილი არხების სისტემა, რომლის მნიშვნელობის შესახებ სოციალისტები სხვა-და-სხვა აზრს ადგანან. ახალი საზოგადოება უფრო ადვილათ გადაჭრის ამ კითხვას, სხვათა შორის იმიტომაც, რომ **მცხოვრებთა დეცენტრალიზაციასთან ერთათ გაქრება დიდი ქალაქები.**

## 7. წინააღმდეგობის მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის.

არავის არ მიაჩნია საღ მოვლენათ თანამედროვე ევროპელ-თელა ქალაქების არსებობა. გაბატონებული სამრეწველო და სამეურნეო სისტემა ერეკება მცხოვრებთა აუარებელ მასსას მსხვილ ქალაქებისაკენ*). აქაა ტახტი მრეწველობის და ვაჭრობის, აქ იყრიან თავს წყლის და ხმელეთის გზები, აქ არიან მსხვილი ქონების პატრონნი, ცენტრალური მთავრობა, სამხედრო ძალის უფროსები, უმაღლესი სასამართლოები. აქაა უმაღლესი სასწავლებლები, სამხატვრო აკადემიები, აუარებელი ადგილები გასართობათ და სასიამოვნოთ, გამოფენები, მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო ზალები და სხვ.; ათასობით სპეციალისტებს თავის სპეციალობა ერეკება აქეთკენ, ათასობით მოდიან სიამოვნების მაძიებელნი და ათი-ათასობით

*) ხალხთ აღწერამ, რომელიც 12 ივნისს, 1907 წელს მოხდა, დაგვანახვა, რომ გერმანიაში 42 ქალაქია და თითოში 100,000 მცხოვრები ირიცხება. 1816 წ. აქ ორი ქალაქი ყოფილა მარტო და 100,000 მცხოვრებზე მეტი, 1871 წ. იყო მარტო 8 ქალაქი. ბერლინში ამ დროს 826,000 მცხოვრები ყოფილა, 1900 წელს —1,888,000, 1905 წელს—2,040,148. 14,7 პროცენტს ამ მცხოვრებლებში მოზარდი თაობა შეადგენდა. 1907 წელს—42 ქალაქში ყოფილა 11,790,000 ს. ეს შეადგენს 19 პროცენტს მთელი გერმანიის მცხოვრებლებისას. ზოგიერთ ამ დიდი ქალაქების მახლობლათ არიან ადგილები, სადაც მრეწველობაა განვითარებული და, სადაც ამიტომ ქალაქისოდენი მცხოვრებლები ირიცხება. დიდმა ქალაქებმა ამიტომ საჭიროთ დინახეს ეს მახლობელი ადგილები შემოეერთებინათ. ამით მცხოვრებთა რიცხვი უცებ გაიზარდა ამ ქალაქებში. აი ციფრები.

1885 წლიდან 1905-მდე მცხოვრებთა რიცხვი ავიდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიპციგში. . . . . | 170000-დან | 503672-მდე |
| კელნში . . . . . | 161000 „ | 428722 „ |
| მაგდენბურგში . . . . | 114000 „ | 240633 „ |
| მიუნხენში . . . . . | 270000 „ | 538983 „ |
| ბრესლავში . . . . . | 299000 „ | 470904 „ |
| ფრანკფურტში—მაინზე . . . . | 154000 „ | 334978 „ |
| ჰანოვერში . . . . . | 140000 „ | 250024 „ |
| დიუსელდორფში . . . . | 115000 „ | 253274 „ |
| ნიურბერგში . . . . . | 115000 „ | 294426 „ |
| ხემნიცში . . . . . | 111000 „ | 294927 „ |
| ჰესენში . . . . . | 65074 „ | 239692 „ |

დაიმედებულნი, რომ აქ უფრო იოლათ იშოვიან სამუშაოს და უკეთეს ცხოვრებას მოაწყობენ.

ამ დიდი ქალაქების აღორძინება, ფიგურალურათ რომ ვთქვათ, ისეთ ადამიანს წააგავს, რომელსაც მუცელი დაუსრულებლივ ეზრდება; ფეხები კი უწვრილდება და ბოლოს და ბოლოს ამ სიმძიმის ზიდვას ვეღარ შეიძლებს. ქალაქის გარშემო მდებარე სოფლებიც ქალაქის სახეს იღებენ, მათშიაც აუარებელი პროლეტარი იყრის თავს; ეს უმეტეს ნაწილათ ღარიბი საზოგადოებებია, რომელნიც იძულებული არიან მრავალ გადასახადების გასასტუმრებლათ მთელი თავის ძალღონე ჩააკლან შრომაში და მაინც ვერ აკმაყოფილებენ გაძლიერებულ მოთხოვნილებებს. ბოლოს და ბოლოს ისინი უახლოვდებიან ქალაქს, ან ქალაქი მიდის მათ საზღვრამდე და ისინი ეკვრიან ქალაქს, როგორც პლანეტა ეკვრის მზეს, თუ ახლოს გაუარა. მარა ამით ურთიერთ ცხოვრების პირობებს ოდნავაც არ აუმჯობესებენ. პირიქით, ისინი უარესდება კიდეც მრავალრიცხოვან მცხოვრებლების ერთათ თავმოყრისა და ბინების ავსების გამო. მასსის შეჯგუფება, რაც თანამედროვე განვითარების პირობებში აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს და რაიც რამდენიმეთ ხელს უწყობს რევოლიუციონურ ცენტრების შექმნას, ახალ საზოგადოებაში გადმოსვლის ხანაში დაასრულებს თავის მისსიას. მათი ხელახლა გაშლა, გაფანტვა აუცილებელი იქნება; **მცხოვრებლები ისევ გაიწევენ დიდი ქალაქებიდან სოფლებში და შექმნიან ახალ თემებს შეცვლილ პირობების თანახმათ და სამრეწველო მოქმედებას სოფლის მეურნეობასთან შეაერთებენ.**

როცა მიმოსვლის გაადვილებით და წარმოების გაფანტვით ქალაქის მცხოვრებლებს შეძლება მიეცემათ სოფელში გადაიტანონ ის, რაც მათ კულტურულ მოთხოვნილებას შეადგენს, როცა იქ გაჩნდება განმანათლებელი ინსტიტუტები, მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო ზალები, ბიბლიოთეკები, საზოგადო საკრებულოები და სხვ., მაშინვე დაიწყება გადასახლებაც. ცხოვრება მოიპოვებს დიდი ქალაქის ყველა სასი-

ამოვნო მხარეებს და **თავიდან აიშორებს უარყოფითს.** სოფლის მცხოვრებლები მონაწილე გახდებიან მრეწველობის, მრეწველები სოფლის მეურნეობის და მებაღეობის; ეს ისეთი შეცვლაა სამუშაოსი, რომ მისი განხორციელება დღეს მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლია და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდ სამუშაო დღეს შემოიღებს და ასე თავს დაიქანცავს.

როგორც ყველა დანარჩენ სფერაში, ისე აქაც ბურჟუაზიული საზოგადოება ასეთ განვითარებისაკენ მიისწრაფის: წლითი-წლობით იხსნება ახალ-ახალი სამრეწველოები სოფლათ; დიდი ქალაქების ცუდი საარსებო პირობები, ბინის ქირის სიძვირე, მაღალი ხელფასი,—ყველა ეს აიძულებს ბევრ მწარმოებელს სოფელს მიაშუროს და იქ გააჩაღოს თავის წარმოება. მეორე მხრით, მსხვილი მიწათ-მფლობელები კიდებენ ხელს მრეწველობას (შაქრის, არაყის, ლუდის ქარხნები, ცემენტის, ჭურჭლის, ხის, ქაღალდის წარმოება და სხვ.). ამას გარდა, დღესაც ათი-ათასობით მცხოვრები ითვლება ქალაქის გარეთ-უბნებში, რასაც მიმოსვლის გაადვილება და გაუმჯობესება უწყობს ხელს.

**მოსახლეობის დეცენტრალიზაციის წყალობით გაქრება დღეს არსებული წინააღმდეგობა სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა შორის.**

გლეხი, ეს თანამედროვე ილოტი (მონა საბერძნეთში), რომელიც დღემდე განმარტოვებული იყო სოფლათ და მოწყვეტილი ყოველსავე კულტურულ განვითარებას, ახლა თავისუფალ ადამიანათ გადიქცევა, რადგან კულტურული ადამიანი შეიქნება ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით*).

*) პროფესორი ადოლფ ვაგნერი ზემო-მოყვანილ თხზულებაში „პოლიტიკურ ეკონომიის სახელმძღვანელო რაუსისა", ასე ამბობს: „სოფლის წვრილი კერძო საკუთრება დაუფასებელ ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს მცხოვრებთა მნიშვნელოვან ნაწილისთვის, სახელდობრ დამოუკიდებელ გლეხკაცობისთვის და მის თავისებურ სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობისა და ფუნქციებისთვის". თუ ავტორს არ სურს თავის კონსერვატიულ მეგობრების გულის მოსაგებათ აღტაცებული ღაღადისი მორთოს გლეხთა ბედნიერ ცხოვრებაზე, მან უნდა აღიაროს, რომ ისინი უღარიბესი ხალხია. წვრილი გლეხისთვის არსებულ პირობებში მიუწდომე-

ბისმარკის ძველი სურვილი დიდი ქალაქების მოსპობის შესახებ, ასრულდება, მარა სულ სხვა მიზნით, ვინემ ის მოელოდა*).

## თავი XXIII.

## სახელმწიფოს გაუქმება.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ზემო-თქმულს, დავინახავთ, რომ კერძო საკუთრების მოსპობა შრომის საშუალებებზე და მათი საზოგადო კუთვნილებათ გარდაქმნა, თანდათან გააქრობს ყველა იმ ბოროტებებს, რომელთაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და რომელიც თანდათან აუტანელი ხდება. კლასიური ბატონობა მოისპობა, საზოგადოება განსაზღვრული მის მიერვე შემუშავებული გეგმის თანახმათ დაიწყებს მოქმედებას და თვითონვე იქნება თავის ხელმძღვანელი და კანტროლის გამწევი. დაქირავებულ შრომის გაუქმებით და ადამიანისაგან ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობით, გაქრება ყოველივე საშუალება ერთმანეთის მოტყუების, ყინულზე გაცურების, მოსამზადებელ ნივთიერებათა ფალსიფიკაციის (გაყალბების), ბირჟაზე თამაშობის და სხვ.; მამმონის ტაძრები დაცალიერდება, რადგან სახელმწიფო ქაღალდები, აქციები, ობლიგაციები, თამასუქები და სხვ. უბრალო გასახვევ ქაღალდებათ გადაიქცევა. შილერის სიტყვები:

---

ლია უმაღლესი კულტურა, დილით საღამომდე წელში მოკაკული ეწევა ის მძიმე შრომას და ხშირათ ძაღლზე უარესათ კი ცხოვრობს. ის არ სარგებლობს თვითონ ხორცით, ერბოთი, კვერცხით, რძით, რომელიც მას მოყავს, ის მას სხვებისთვის ამზადებს. არსებულ პირობებში მას არ შეუძლია მაღალ მდგომარეობას მიაღწიოს და ამიტომ კულტურის შემფერხებელ ელემენტს წარმოადგენს. ვისაც უყვარს უკან წასვლა, ვის ინტერესსაც წარმოადგენს რეაქციის სამსახური, მას შეუძლია კმაყოფილება მოიპოვოს ამ სოციალური ელემენტების შენახვით, მარა კაცობრიობის პროგრესი კი მათი გაქრობის მომასწავებელია.

*) ბისმარკი ერფურტის კავშირის პარლამენტში მეხს ატეხდა თავზე დიდ ქალაქებს, როგორც რევოლიუციის ცენტრებს, რომელნიც მიწასთან გასწორების ღირსია. ის მართალი იყო. ბურჟუაზიული საზოგადოება თანამედროვე პროლეტარიატის სახით თვითონვე ქმნის თავის მესაფლავეებს.

„როცა ვალის წიგნები მოისპობა—მთელი ქვეყანა შერიგდებაო“, რეალურ სინამდვილეთ გადიქცევა და დაბადების სიტყვები: „ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო“—ახლა კანონი გახდება თვით ბირჟის რაინდებისა და კაპიტალიზმის მუქთახორებისთვის; მარა სამუშაო, რომელსაც თანაბარ პირობებში შეასრულებდენ საზოგადოების ყველა წევრები—მათ ტანჯვას და დასნეულებას კი არ გამოიწვევენ, არამედ სიამოვნებას და ფიზიკურ ჯანმრთელობის გაუმჯობესებას. საკუთრებაზე ზრუნვა, რომელიც, როგორც პატეტიურათ ირწმუნებიან მრეწველები და კაპიტალისტები, ხშირათ უფრო მძიმეა, ვინემ მუშის უზრუნველყოფას მოკლებული და სამწუხარო ხვედრი, ამიერიდან აღარ დაამძიმებს მათ. ბირჟის მოთამაშენი განთავისუფლდებიან სპეკულიაციისაგან, რომელიც ბევრს უტეხს გულის ძგერას, ბევრს აგდებს დარდში და უშლის ნერვებს. **უზრუნველყოფილი იქნება ხვედრი მათი და მათი შთამომავლობის და ისინი კარგათ იგრძნობენ თავს.**

კერძო საკუთრებისა და კლასიურ წინააღმდეგობების მოსპობა თანდათან დასცემს სახელმწიფოს. „კაპიტალისტური წარმოება აპროლეტარებს-რა მცხოვრებთა დიდ უმრავლესობას, ამით ქმნის ძალას, რომელმაც, თუ თავის დაღუპვა არ სურს, უნდა გადატრიალება მოახდინოს. აიძულებს-რა განსაზოგადოებრივებულ საწარმოო საშუალებათა სახელმწიფო საკუთრებათ გადაქცევას, იგი ამით თვითონ უჩვენებს მათ გზას ამ გადატრიალებისაკენ.

„სახელმწიფო იყო ოფიციალური წარმომადგენელი მთელი საზოგადოების, მისი გამპიროვნებელი, თვალხილულ კორპორაციათ გადამქცევი, მარა ის იყო ასეთი მხოლოდ იმდენათ, **რამდენათაც ის იყო სახელმწიფო იმ კლასის,** რომელიც თავის დროზე წარმომადგენლობდა მთელ საზოგადოებას: ძველათ მოქალაქეების, რომელნიც მონებს ფლობდენ, საშუალო საუკუნოებში ფეოდალურ აზნაურობის, ჩვენ დროში ბურჟუაზიის. როცა უკანასკნელი ფაქტიურათ მთელი საზოგადოების წარმომადგენელი ხდება, **ამით იგი ზედმეტათ ხდის**

**თავის არსებობას.** რაკი აღარ იარსებებს დასაჩაგრავი საზოგადოებრივი კლასი, რაკი გაუქმდება კლასიური ბატონობა და განცალკევებულ არსებობისათვის ბრძოლა, რომელსაც საწარმოო ანარქიაში აქვს ფესვები გამაგრებული, რაკი ამით თავიდან აშორებული იქნება აქედან გამომდინარე შეჯახება და ექსცესები, მაშინ აღარავინ და აღარაფერი იქნება დასაჩაგრავი, დასამორჩილებელი და, მაშასადამე, აღარც განსაკუთრებული რეპრესიული ძალა—სახელმწიფო იქნება საჭირო. პირველი აქტი, რომელსაც სახელმწიფო შეასრულებს, როგორც ნამდვილი წარმომადგენელი მთელი საზოგადოების, სახელდობრ—საწარმოო საშუალებათა დასაკუთრება მთელი საზოგადოების სახელით, ამავე დროს უკანასკნელი აქტი იქნება მისი, როგორც სახელმწიფოსი: სახელმწიფო ძალის ჩარევა საზოგადოებრივ ურთიერთობაში თანდათან ზედმეტი შეიქნება ყველა სფერაში და ის თავისთავათ გაქრება. პიროვნებათა მართვა შეიცვლება ნივთების გამგეობით და საწარმოო პროცესის ხელმძღვანელობით. სახელმწიფოს კი არ „გააუქმებენ", იგი თვით მოკვდება" (ენგელსი. ანტიდიურინგი").

სახელმწიფოსთან ერთათ გაქრებიან მისი წარმომადგენლები: მინისტრები, პარლამენტები, მუდმივი ჯარი, პოლიცია, ჟანდარმერია, სასამართლოები, ბრალმდებლები და ვექილები, ციხის ზედამხედველები, გადასახადთა და საბაჟო გამგეობა. სასამართლოს და ადმინისტრაციის დარბაზები, ციხეები და სხვ. სულ სხვანაირ, უკეთეს დანიშნულებისთვის გამოდგებიან. ათი-ათასობით კანონები, ბრძანებები, განკარგულებები სახვეე ქაღალდათ იქცევიან, მათ მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა-ღა შერჩებათ... გაქრება დიდი და იმავე დროს წვრილმანი საპარლამენტო ომები, რომლის მონაწილეთ ჰგონიათ, რომ თავის დაუსრულებელი „რეჩებით" ისინი ბატონობენ მსოფლიოზე და მიმართულებას აძლევენ მას. ამათ ადგილს დაიჭერენ კოლეგიები და დელეგაციები, რომელთა მოვალეობა იქნება წარმოების და განაწილების საუკეთესოთ მოწყობაზე ზრუნვა, აუცილებელ საჭირო სარჩოს რაოდენობის გან-

საზღვრა; მიზნის შესაფერი ახალ გამოგონებებით სარგებლობა ხელობასა, განათლებასა, მიმოსვლასა და წარმოების პროცესში, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ყველა ეს პრაქტიკულათ გასაგები, თვალსაჩინო საგნებია, რომელთაც თვითეული ობიექტიურათ ეპყრობა, რადგან არავის არა აქვს კერძო ინტერესი, რომელიც საზოგადოების წინააღმდეგ მიდიოდეს. არავის არა აქვს სხვა ინტერესი, გარეშე საზოგადო ინტერესისა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი საუკეთესოთ, გამოსადეგათ და მიზნის შესაფერათ იქნეს მოწყობილი.

ასი-ათასი წინანდელი სახელმწიფოს წარმომადგენლები დაივალებენ სხვა-და-სხვა სპეციალურ მოვალეობის შესრულებას და თავის ინტელიგენტობით და ძალებით ხელს შეუწყობენ საზოგადოების სიმდიდრის ზრდას და მდგომარეობის გაუმჯობესებას. მომავალში არ იქნება არც პოლიტიკური და არც სისხლის სამართლის დანაშაულობანი და შეცდომილებანი; ქურდობა მოისპობა, რადგან გაქრება კერძო საკუთრება და, რადგან ახალ საზოგადოებაში ყველას შეეძლება თავის შრომითაც იოლათ და საუკეთესოთ დაიკმაყოფილოს ყველა თავის მოთხოვნილებები. არ იქნებიან მაწანწალები, რომელნიც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ საზოგადოების ნაყოფს წარმოადგენენ; ისინი გაქრებიან მის დაცემასთან ერთათ. მკვლელობა? რისთვის? არავის არ შეუძლია სხვისი ჯიბით გამდიდრდეს; ხოლო მკვლელობა მტრობით და შურისძიებით პირდაპირ, ან არა პირდაპირ დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე. ტყუილზე ფიცი, ყალბი ხელმოწერა, მოტყუება, მემკვიდრეობის დამალვა, ბოროტი განზრახვით გაკოტრება? საიდან უნდა დარჩენ ესენი, როცა არ არსებობს კერძო საკუთრება, რომლის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს ბოროტებანი. გადაწვა? მარა ვის მოუვა თავში ასეთი სიგეჟე, როცა მტრობას ნიადაგი აღარ ექნება საზოგადოებაში. ყალბი ფულების კეთება? „ახ ფულები ხომ ოცნებაა“ და ასეთი ცდა ამაო იქნება. ღვთის გმობა? უაზრობაა. ყოვლის შემ-

ძლე და ყოვლად კეთილ ღმერთს მიანდობენ შეურაცხმყოფელის დასჯას, თუ მანამ არ გადაწყდება დავა მის არსებობაზე.

ამნაირათ, თანამედროვე საზოგადოების ყველა საფუძვლები ზღაპრათ იქცევა; მშობლები მოუთხრობენ მათზე შვილებს, როგორც ძველ, შორეულ წარსულის მითოლოგიურ (ძველი თქმულება, ზღაპარი) ამბავს. და ცნობები ახალ იდეის მიმდევართა დევნის შესახებ ისეთსავე განცვიფრებას გამოიწვევს მათში, როგორც ჩვენში კუდიანების და მწვალებლების დაწვა კოცონზე. ყველა იმ „დიდებულ პირთა“ სახელები, რომელნიც ცნობილი იყვენ ახალ იდეათა დევნით და აღტაცებასა და ქებათა-ქებას იწვევდენ ჭკუა-მოკლე თანამედროვეებში, დავიწყებას მიეცემიან და სულ ბევრი-ბევრი ძველი ისტორიის გულდასმული მკვლევარი თუ წააწყდება სადმე მათ სახელს ძველ თხზულებების გადასინჯვის დროს. სამწუხაროთ, ჩვენ არა ვართ მოწამე ამ ბედნიერ ხანის, როცა კაცობრიობა **თავისუფლათ ამოისუნთქებს.**

## თ ა ვ ი XXIV.

## სარწმუნოების მომავალი.

როგორც სახელმწიფო, ისე სარწმუნოება. იმას არ „გაიუქმებენ“. „ღმერთს არ ჩამოაგდებენ“. მორწმუნეთ არ ამოგლეჯენ რწმენას გულიდან. საზოგადოთ არ ჩაიდენენ არაფერს იმის მზგავსს, რაშიაც უაზროთ ბრალს სდებენ დღეს ატეისტ (ღმერთის უარმყოფელი) სოციალ-დემოკრატებს. ასეთ უაზრობას სოციალ-დემოკრატია სიამოვნებით უთმობს ბურჟუაზიის იდეოლოგებს, რომელთაც საფრანგეთის რევოლიუციის დროს მიმართეს ასეთ ზომებს და, რასაკვირველია, სამარცხვინო დამარცხება მოიმკეს. თავდასხმა, ძალდატანება, ვისიმე რწმენის შევიწროვება, როგორიც უნდა იყოს ეს რწმენა—საჭირო არაა; სარწმუნოებრივი ორგანიზაციები თავისთავათ, თანდათანობით გაქრება და მათთან ერთათ თანდათან გაქრება ეკლესიაც.

სარწმუნოება—ტრანსცენდენტალური (ზესთაბუნებრივი) გამოსახულებაა ყოფილ საზოგადოების მდგომარეობისა. რამდენათ წინ მიდის კაცობრიობის განვითარება, რამდენათ იცვლება საზოგადოება, იმდენათვე იცვლება სარწმუნოებაც; იგი როგორც ამბობს მარქსი, ხალხთა ლტოლვილებაა ფანტაზიით წარმოდგენილ ბედნიერებისადმი, ლტოლვილება, გამოწვეული მათი თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობით, **რომელიც თხოულობს ილლიუზიებს***) (ოცნება), მაგრამ ის გაქრება, როცა ნამდვილ ბედნიერების შეგნება და მისი ამ ქვეყნათ განხორციელების იმედი დაიმკვიდრებს მასსაში. გაბატონებული კლასების ინტერესი მოითხოვს—ხელი შეუშალონ ხალხის ასეთ გაცნობიერებას, და ამიტომ ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ სარწმუნოება, როგორც საშუალება მათი ბატონობის გასამაგრებლათ. ეს ყველაზე აშკარათ გამოსჩვევის ცნობილ დებულებაში: „**ხალხისთვის** უნდა შენახულ იქნეს სარწმუნოება“. კლასიურ ბატონობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში ეს ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციათაგანია (საქმე, მოვალეობა) ადმინისტრაციის. არსდება კასტა, რომელიც ივალებს ამ ფუნქციის შესრულებას და მთელ თავის გონებრივ ძალას ხმარობს, რომ შეინახოს და გააფართოვოს სარწმუნოების გავლენა, რადგან ამით იზრდება მისი საკუთარი ძალა და ავტორიტეტი (განმავლობა).

თავდაპირველათ კულტურის დაბალ საფეხურზე—პრიმიტიულ-საზოგადოებრივ ურთიერთობის დროს არსებობს ფეტიშიზმი (ულსულო საგნების გაღმერთება), უფრო მაღალ საფეხურზე—სარწმუნოება ხდება პოლითეიზმათ (მრავალ ღმერთთა აღიარება), კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ჩნდება მონოთეიზმი (ერთ ღმერთობა). ღმერთებს კი არ შეუქმნია კაცი, თვითონ კაცმა შექმნა თავისთვის ღმერთები; და შექმნა ისინი „ხატად და სახად თვისად“ და არა პირიქით. მონოთეიზმიც თანდათან ირღვევა, ადგილს უთმობს პანთეიზმს (ბუნების გაღმერთება) და თვითონ თანდათან ნიავდება. ბუნებისმეტყველე-

*) კ. მარქსი: „კრიტიკა ჰეგელის უფლების ფილოსოფიისა“.

ბამ ზღაპრების სამეფოში მიუჩინა ბინა თქმულებას—ექვსი დღის განმავლობაში ქვეყნის შექმნის შესახებ. ასტრონომიამ, მათემატიკამ, ფიზიკამ ახსნეს ზეცა და ის სამყაროს სივრცეთ დაგვიხატეს; ვარსკვლავთა გუნდი ეთერის სამეფოში, სადაც ანგელოზები სხედან ტახტზე, უბრალო ვარსკვლავებათ და პლანეტებათ იქცენ, რომელთა ბუნება ყოველივე ანგელოზურ ცხოვრებას უარყოფს. გაბატონებული კლასები ხედავენ, რომ მათ არსებობას ხიფათი მოელის და გამწარებული ებღაუჭებიან სარწმუნოებას, როგორც ყოველგვარ ავტორიტეტის სიმტკიცის და შეურყეველობის დედაბოძს. ასე იქცეოდენ გაბატონებული კლასები წინეთაც*). ბურჟუაზიას თვითონ არაფერი სწამს; მთელი თავის განვითარებით და აქედან წარმოშობილ თანამედროვე მეცნიერებით იგი არღვევს რელიგიოზურ რწმენას და ყოველგვარ ავტორიტეტს. მისი სარწმუნოება მოჩვენებითია, თვალთმაქცურია, და ეკლესია იღებს ამ ყალბ მეგობრის დახმარებას, რადგან თვით ბურჟუაზიაც საჭიროებს მის დახმარებას. „სარწმუნოება საჭიროა ხალხისთვის“.

ახალ საზოგადოებისთვის ასეთი მოსაზრებები არ არსებობს. ის ცოცხლობს და სულდგმულობს ადამიანთა წინმსვლე-

---

*) როგორ ფიქრობდენ ამაზე ძველათ, ამას გვიჩვენებს არისტოტელის სიტყვები: „ტირანმა (სახელწოდება თვითმპყრობელის ძველ საბერძნეთში) ისე უნდა აჩვენოს ყველას თავი, თითქო ის გატაცებით და მეტის-მეტათ სერიოზულათ ეკიდება სარწმუნოების საქმეს, რადგან, როცა ქვეშევრდომები ფიქრობენ, რომ მათი მფლობელი ღვთის მოშიში და მსახურია, ნაკლებათ გრძნობენ მის მოქმედებათა უკანონობას და უსამართლობას; მეორე მხრით, ადვილათ არ დაიწყებენ მის წინააღმდეგ მოქმედებას, რადგან მის მხარეზე ხომ თვით ღმერთებია“. („პოლიტიკა“).

„ხელმწიფეს უნდა ქონდეს კარგი ადამიანური თვისებები, ან კიდევ უკეთესია, უნდა ეჩვენებოდეს ყველას, რომ ასეთ თვისებათა მფლობელია, განსაკუთრებით ის სათნოებით, კეთილმსახურებით და სარწმუნოებით გაჟღენთილი უნდა ჩანდეს. ზოგიერთები კიდეც რომ მიხვდენ მისი სულის ნამდვილ შინაარსს, მაინც ჩუმათ იქნებიან, რადგან ხელმწიფური დიდება იფარავს ხელმწიფეს, და მას შეუძლია, თუ კი მისი სარგებლობა მოითხოვს, წინააღმდეგი თვისებებიც გამოიჩინოს. თუ ის ბევრ შემთხვევაში, როცა ეს ხელს არ უშლის, ღვთის მოშიშათ აჩვენებს თავს ქვეშევრდომებს. მასსა პატივისცემის ღირსათ ჩათვლის მას მაშინაც კი, როცა ის სამართლიანობის, რწმენის და სარწმუნოების წინააღმდეგ წავა. საზოგადოთ, ხელმწიფე განსაკუთრებით უნდა მფარველობდეს სარწმუნოებას და ეკლესიას“. მაკიაველი, „ხელმწიფო“. 18 თავი.

ლობით და ჭეშმარიტი მეცნიერებით. თუ ვისმე სარწმუნოებრივი მოთხოვნილებები აქვს, მას შეუძლია დაიკმაყოფილოს იგი თავის მზგავს ადამიანებთან ერთათ. საზოგადოება ამაზე არ იზრუნებს; მღვდელმაც უნდა სხვებთან ერთათ იმუშაოს, თუ ცხოვრება უნდა და რადგან ის ამასთანავე სწავლასაც მიიღებს, ცხადია მასაც დაუდგება დრო, როცა დაინახავს, რომ **ყველაზე უდიდესი საქმე—ადამიანათ ყოფნაა.**

ზნეობა და მორალი არსებობენ უსარწმუნოებოთაც, წინაალმდეგის თქმა შეუძლია მხოლოდ გულუბრყვილოებს, ან ფარისევლებს. ზნეობა და მორალი გამომხატველია იმ ცნებების, რომელნიც აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებებს და მათ ყოფაქცევას; სარწმუნოება შეიცავს ადამიანის დამოკიდებულებას ზესთაბუნებრივ არსებასთან; მარა, როგორც სარწმუნოება, ისე მორალი გამომდინარეობენ საზოგადოების სოციალურ მდგომარეობიდან. კანიბალს (ადამიანის მჭამელი) ადამიანის მჭამლობა ზნეობრივ საქმეთ მიაჩნია; ზნეობრივათ მიაჩნდა **ბერძნებს და რომაელებს მონობა,** საშუალო საუკუნის ფეოდალი ზნეობრივ მოვლენათ სთვლიდა **ბატონ-ყმობას.** უდიდეს ზნეობრივ მოვლენათ ეჩვენება თანამედროვე კაპიტალისტს შრომის დაქირავება და აქედან გამომდინარე ურთიერთობანი, ქალთა შრომის ექსპლოატაცია, ბავშვების დემორალიზაცია (ზნეობრივი დაცემა) სამრეწველო შრომით და სხვ.*), აი—ოთხი საზოგადოებრივი საფეხური, ოთხი ცნება ზნეობაზე და არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს უმაღლეს ზნეობრივ ცნებას. უმაღლესი ზნეობრივი მდგომარეობა ეწოდება იმას, როცა ადამიანთა ურთიერთობა **თავისუფლებასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული,** როცა ადამიანის ყოველგვარ ურთიერთობას ერთი ძირითადი დებულება უდევს საფუძვლათ: „ნუ უზამ სხვას იმას, რაც არ გინ-

*) თუ ბურჟუას გაუჭირდა რაიმე ამაშფოთებელი მოვლენისთვის გამამართლებელ საფუძვლის გამოძებნა, შეგვიძლია ნაძლევი დავდოთ, რომ ის სამართლიანობას და „ზნეობას“ ჩააფრინდება. 1894 წელს ევანგელიკურ-სინოდალურ კრებაზე ერთმა ლიბერალმა „სოვეტნიკმა“ „ზნეობრივათ“ აღიარა ის, რომ საეკლესიო კავშირში საარჩევნო ხმით მხოლოდ ისინი სარგებლობენ, ვინც გადასახადს იხდის(!).

და, რომ სხვებმა გიყონ შენ". საშუალო საუკუნოებში პირველ რიგზე იდგა ადამიანის ჩამომავლობა ჩინებულ წინაპართაგან. დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკუთრებას, მომავალ ადამიანს კი ფასი ექნება, როგორც ადამიანს. და ეს მომავალი ეკუთვნის სოციალიზმს...

## თ ა ვ ი XXV.

### აღზრდა-განათლება სოციალისტურ საზოგადოებაში.

განსვენებულმა დეპუტატმა ლასკერმა, მე-70 წლებში რეფერატი წაიკითხა ბერლინში, რომელშიაც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოების ყველა წევრებისთვის შესაძლებელია თანაბარი განათლების მიღებაო. მარა დეპ. ლასკერი სოციალიზმის წინააღმდეგი იყო და შეუდრეკელი მომხრე კერძო საკუთრების და კაპიტალიზმის; განათლების საკითხი კი დღეს უპირველეს ყოვლისა **ფულის საკითხია**. და ამგვარ პირობებში თანაბარი განათლების მიღება ყველასაგან **შეუძლებელია**. ზოგიერთებს, მართალია, შეუძლია რამდენიმეთ ხელის შემშლელ გარემოებებს არ შეუშინდეს, ყოველგვარ დაბრკოლებებს სძლიონ, აუარებელი ენერგია დახარჯონ, რომელიც ყველას არ მოეპოვება და ასე უმაღლესი განათლება მიიღონ. მარა მასსას კი—არასოდეს, სანამ ის სოციალურათ დამორჩილებული და დაჩაგრულია*).

*) „კულტურის და კეთილდღეობის განსაზღვრული საფეხური—აუცილებელი გარეშე პირობაა ფილოსოფიური სულის განვითარების .. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ფილოსოფიას ხელს კიდებენ ისეთი ერები, რომელნიც შედარებით მაღალ საფეხურზე დგანან კულტურის და კეთილდღეობის მხრივ". ტენმანი. მოყვანილი აქვს ბოკლს ტ. I გვ. 10. „მატერიალური და ინტელექტუალური ინტერესები ერთი მეორეს მისდევენ, ერთი უმეოროთ შეუძლებელია. ამათ შორის ისეთივე კავშირია, როგორც სულსა და ხორც შორის. მათი დაშორება—სიკვდილს მოასწავებს". ფონ-ტიუნერი, „განკერძოვებული სახელმწიფო". „საუკეთესო ცხოვრებათ განსაკუთრებით ცალკე პიროვნებებისათვის და საერთოთ მთელი სახელმწიფოსთვის უნდა ჩაითვალოს ის, სადაც სათნოება ამ ქვეყნიურ კეთილდღეობით ჯილდოვდება, რის გამო შესაძლებელი ხდება ყველაფერ მშვენიერსა და კარგში მონაწილეობა". არისტოტელი, „პოლიტიკა".

ახალ საზოგადოებაში საარსებო პირობები ყველასათვის ერთნაირია. მოთხოვნილებები და მიდრეკილებები ყოველთვის განსხვავებული იქნებიან, რადგან ეს განსხვავება ადამიანის ბუნებაშია ჩამარხული. მარა თვითეულს საშუალება ექნება საყოველთაო, თანასწორ საარსებო პირობებში განვითარდეს. ერთ-სახოვანი თანასწორობა, რომელსაც აწერენ სოციალიზმს —დიდი უაზრობაა, როგორც მრავალი სხვა ბრალდებები. სოციალიზმი რომ აქეთკენ მიისწრაფოდეს, ეს უგუნურება იქნებოდა, რადგან ამით იგი წინააღუდგებოდა ადამიანის ბუნებას და უნდა უარი ეთქვა საზოგადოების განვითარებაზე მისი საკუთარი პრინციპების თანახმათ*). კიდეც რომ მოახერხოს სოციალიზმმა უეცრათ მთელი საზოგადოების ხელში ჩაგდება და მისი არა ბუნებრივ პირობებში ჩაქედვა, საზოგადოება ამ ახალ პირობებს მძიმე ხუნდებათ ჩათვლის და მალე დაამსხვრევს,

*) ბ. ევგენი რიხტერი თავის „ცთომილებაში" ხელახლა ღეკს და ვეღარ ინელებს იმ ბანალურ ფრაზას, რომ თითქოს სოციალისტებს სურდესთ „ძალდატანებითი სახელმწიფო" დაარსონ. რომ ბოლოს და ბოლოს სახელმწიფოზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ეს მგონი ზემოთქმულის შემდეგ, ჩვენი წიგნის მკითხველებისთვის ცხადზე უცხადესია. ევგენი რიხტერს კი გონია, რომ საზოგადოებას შეუძლია შემოიღოს თავისთვის ისეთი სახელმწიფო, ან სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ეწინააღმდეგება მის სიკუთარ ინტერესებს. მარა თავის ნებით ისეთი სახელმწიფოს, ან ახალი სახელმწიფო წყობილების შ ე ქ მ ნ ა, რომელიც არსებითათ ეწინააღმდეგება წინანდელს ხომ შეუძლებელია. ეს ეწინააღმდეგება ყველა კანონებს, რომლების თანახმათ არსებობს და ვითარდება სახელმწიფო და საზოგადოება. ბ. ევგენი რიხტერს და მისი თანამოაზრე ამხანაგებს შეუძლიათ იმით ინუგეშონ თავი, რომ თუ სოციალიზმი ისეთ სისულელის განხორციელებას ფიქრობს, როგორსაც ისინი აწერენ, ის მათდა უბრძოლველათაც დაიღუპება.

ასე ეცემა ევგენი რიხტერის მეორე შენიშვნაც, თითქო ისეთი „სოციალური მდგომარეობისთვის, როგორიც სოციალისტებს სურს, საჭირო იყოს ადამიანების ანგელოზებათ გარდაქმნა". ანგელოზები, როგორც ვიცით, არ არსებობენ და ჩვენ ისინი არც გვესაჭიროება. ერთი მხრით ადამიანები იმყოფებიან საზოგადოებრივ პირობათა გავლენის ქვეშ, მეორე მხრით თვით საზოგადოებრივი პირობები—ადამიანების გავლენის ქვეშ—და აქ უკანასკნელი მით უფრო მეტ როლს თამაშობს, რამდენათაც მეტია შეგნება იმ საზოგადოების, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და რამდენათ უ ფ რ ო მიზნის შესაფერათ გამოიყენებენ თავის შემეცნებას თავის საზოგადოებრივ ორგანიზაციის გასაუმჯობესებლათ. ჩვენ არ გეპირია სხვაგვარი ადამიანი, ჩვენ გვინდა მხოლოდ უფრო ჭკვიანი და შორს-გამჭვრეტი პირები, ვინემ დღევანდელ ადამიანთა უმრავლესობაა, და რომ ისინი უფრო ჭკვიანი და შორს-გამჭვრეტელი გახდენ, ჩვენ აგიტაციას ვეწევით და ვაკვეყნებთ ისეთ თხზულებებს, როგორიც ესაა.

რითაც სოციალიზმი სამუდამოთ დაიმარხავს თავს. მარა საზოგადოების განვითარება თავის შინაგან კანონებს ემორჩილება და მისი მოქმედებაც მათ ეთანახმება*).

ახალ საზოგადოების ერთი უმთავრესი საზრუნავი იქნება —მოზარდ თაობის შესაფერისათ აღზრდა. ყოველი ახალ დაბადებული ბავშვი, სასურველი შემატებაა საზოგადოებისთვის, რომელიც ხედავს მასში თავის მერმისს, თავის არსებობის განგრძობას და განვითარებას, და ის ვალდებულათ თვლის თავს, შეძლებისამებრ იზრუნოს ამ ახალ არსებაზე. მის პირველ საზრუნავ საგანს შეადგენს მშობელი, დედა. შესაფერი სადგომი, საამოთ მოწყობილი, ყოველგვარი ხელსაწყოები, რომელიც დედობის ამ საფეხურზეა საჭირო, ყურადღებით მოვლა-პატრონობა როგორც დედის, ისე ბავშვის,—ასეთია პირველი პირობა. თავისთავათ ცხადია, ბავშვს დედამ უნდა აწოვოს ძუძუ, სანამ ეს საჭირო და შესაძლებელი. მოლეშოტი, ზონდერეგერი და ყველა ჰიგიენისტები თანახმა არიან, რომ არაფერს არ შეუძლია დედის რძის მაგიერობა გაუწიოს ბავშვს.

ვინც ევგენი რიხტერსავით სწუხს იმაზე, რომ მომავალში ახალგაზრდა დედა სამშობიარო სახლში მოილოგინებს, სადაც ისეთ პირობებში იქნება, როგორიც დღეს მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ შექმნან; მას უნდა ახსოვდეს, რომ დღეს **სულ ცოტა, ადამიანების ოთხი მეხუთედი** მაინც იბადება და იზრდება ისეთ პრიმიტიულ პირობებში, რომელიც მთელი ჩვენი კულტურის და ცივილიზაციის შემარცხვენელია. დანარჩენ მეხუთედ დედებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობს რიგიანი მოვლით და შესაფერი მოწყობილობით, რომელიც საჭიროა ქალისთვის მელოგინეობისა და მეძიძურობის დროს. **ფაქტიურათ ქალაქებში, სადაც კარგათ მოწყობილი სამშობიარო სახლები მოიპოვება, დღესაც ბევრი ქალი, როცა**

*) საკვირველია, რომ აქამდე სოციალიზმის არც ერთი მოწინააღმდეგე თავის განუსაზღვრელი ჭკუამოკლეობის გამო არ ამტკიცებს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ყველას ერთნაირ კერძს მიაწვდიან, ერთგვარ საცვლებს და ტანსაცმელს მისცემენ, რათა ამნაირათ დაეგვირგვინებია ერთსახოვან თანასწორობის სურათი. (ასეთი წიგნი არის რუსულ ლიტერატურაში. მთარ.).

**მშობიარობის მოახლოვებას გრძნობს, ასეთ სახლში მიდის, რომ იქ გამოიაროს მშობიარობა. მარა ამ სამშობიარო სახლებში ისეთ დიდ ფასს თხოულობენ, რომ მხოლოდ ზოგიერთ ქალებს შეუძლიათ ისარგებლონ ამით, სხვებს კი, ცრუ-წარმოდგენა აჩერებს.** ამნაირათ, აქაც ვხედავთ იმის მაგალითს, **რომ ბურჟუაზიული ქვეყანა თავის საშოში ატარებს მომავალ წყობილების ჩანასახებს.**

კეთილშობილ „მანდილოსანთა“ უმრავლესობის დედობრივ მოვალეობას განსაკუთრებული ელფერი ადევს იმით, რომ ისინი, რამდენათაც შეიძლება, თავის დედობრივ მოვალეობას შვილისადმი **პროლეტართა ძიძებს** აკისრებენ. ცნობილია, რომ ბერლინის ბურჟუაზიის „მანდილოსნები“, რომელთაც არ სურთ ან არ შეუძლიათ შვილს მეძუძურობა გაუწიონ, ვენდის ზაუზიციდან (შპრეევალდიდან) იწერენ ძიძებს. აქ ნამდვილი წარმოებაა ძიძების, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის ქალიშვილები ცდილობენ ადრე დაორსულდენ, რომ მშობიარობის შემდეგ ძიძათ დადგენ ბერლინელი მდიდრის ოჯახში. არა იშვიათია ისეთი ქალიშვილები, რომელთაც 3—4 უკანონო შვილი შეუძენიათ იმ მიზნით, რომ ძიძათ გამხდარიყვენ და ამ ხელობით იმდენი თანხა შეუძენიათ, რომ სასურველ საცოლეთ ითვლებიან შპრეევალდის ახალგაზრდა ყმაწვილკაცობაში. ბურჟუაზიულ მორალის თვალსაზრისით, ასეთი ყოფაქცევა სასტიკი გაკიცხვის ღირსია, მარა ბურჟუაზიულ ოჯახის ინტერესების მიხედვით კი—იგი სასურველი და საქებარია.

ახალ საზოგადოებაში, რაკი ბავშვი წამოიზრდება, ის თავის ტოლებთან ითამაშებს ერთ ჭერ ქვეშ. აქ მოიპოვება ყველაფერი, რაც მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას დაეხმარება თანახმათ მისი შეგნების და მოთხოვნილებისა. ვისაც ბავშვისთვის თვალყური უდევნია, იცის, რომ ბავშვი **ყველაზე უფრო ადვილათ აღიზრდება თავის ტოლ-ამხანაგთა წრეში.** მათი მისწრაფება ამხანაგობისადმი მეტათ ცხოველია. განსაკუთრებით პატარაები ხშირათ იღებენ მაგალითს თავის

უფროსი ამხანაგებისაგან და მათ უფრო ხალისით მიყვებიან, ვინემ მშობლებს. ამ თვისებებით მომავალში საესებით ისარგებლებენ ბავშვების აღზრდის დროს*). საბავშვო ბაღებს და სათამაშო ზალებს უნდა მოყვეს პირველ-დაწყებითი ცნებების მიწოდება და სხვა-და-სხვა სამრეწველო შრომის გაცნობა, რაც დაკავშირებული უნდა იქნეს თამაშობასთან. შემდეგ მოყვება მათი შესაფერი, ზომიერი, სულიერი და ფიზიკური შრომა, შეერთებული გიმნასტიკურ ვარჯიშობასთან და თავისუფალ მოძრაობასთან სათამაშო და საგიმნასტიკო მოედანზე, ყინულზე, წყალში ცურაობა და სხვ.; **ამას დაერთვის ჭიდაობა, ფეხშეწყობილი სიარული (მარშიროვკა) და ყოველგვარი ვარჯიშობა ორივე სქესისათვის.** მიზანია—საღი, ფიზიკურათ გამოწრთობილი და სულიერათ, ნორმალურათ განვითარებული შთამომავლობის აზღრდა. ერთი მეორეს მიყვება სხვა-და-სხვა პრაქტიკული მუშაობა: მებაღეობა, მიწათ-მოქმედება, საფაბრიკო წარმოება, წარმოების ტეხნიკური პროცესი და სხვ. უყურადღებოთ არ იქნება დატოვებული, რასაკვირველია, სულიერი განვითარება და ცოდნის სხვა-და-სხვა დარგების შესწავლა.

განათლების სისტემაში მოხდება იგივე პროცესი გაწმენდის და გაუმჯობესების, რაც საწარმოო პროცესის სისტემაში. უკუგდებულ იქნება აუარებელი ზედმეტი, დაძველებული, სულიერ და ფიზიკურ განვითარების ხელშემშლელი სამოსწავლო მეთოდები და საგნები. ბუნებრივი საგნების ცოდნა, გონების ძალებთან შეფარდებული, უფრო გააღვიძებს სწავლის, ცოდნის წყურვილს, ვინემ ისეთი განათლების სისტემა, სადაც საგნები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან და ურთერთის გავლენას აქარწყლებენ. მაგალ., როცა ერთი მხრით ასწავლიან სარწმუნოებას დაბადების (ბიბლიის) თანახმათ და მეორე მხრით კი ბუნებისმეტყველებას. ახალ საზოგადოების მაღალ კულტურულ განვითარების შესაფერათ იქნება გამართული შკოლის

*) ეს აზრი კარგათ განავითარა ფურიემ, თუმცა მან შემდეგ უტოპიზმში შეტოპა. „C. Fourier, sein Leben und seine Theorien“. Stuttgart, 1907 წ.

შენობა თავის სამოსწავლო და აღმზრდელი მოწყობილობებით. საზოგადოებისაა სწავლის და განათლების საშუალებები, ტანსაცმელი და საერთოთ რჩენა-შენახვა; არც ერთი მოწაფე არ უნდა იქნეს სხვაზე ცუდ მდგომარეობაში*). აქ ჩვენ ხელახლა გვესმის აღშფოთებული ხმები ბურჟუაზიულ საზოგადოების „წესიერების ბურჯთაგან“ **). შკოლა უნდათ ყაზარმათ გადაქცეონ, მშობლებს უსპობენ ყოველგვარ გავლენას შვილებზე —ყვირიან ეს გაალმასებული მოწინააღმდეგენი. პირველ ყოვლისა ამაზე აქ სიტყვა არ დაძრულა. და მომავალ საზოგადოებაში მშობლებს ბევრათ მეტი თავისუფალი დრო ექნებათ, ვინემ დღეს აქვთ უმეტეს შემთხვევაში; საკმარისია გავიხსენოთ 10 საათის და მეტის სამუშაო დღე მუშების უმრავლესობისათვის, ფოსტის, რკინის გზის, ციხის და პოლიციის მოსამსახურეთათვის და სხვა, გავიხსენოთ რა აუარებელი დრო ეხარჯებათ თავის საქმეზე მწარმოებლებს, გლეხებს, ვაჭრებს, სამხედრო პირებს, ბევრ აქიმებს და სხვ., საკმარისია გავიხსენოთ ყველა ეს და ცხადი იქნება, რომ მომავალში ბევრათ მეტი დრო ექნებათ თავის ბავშვების მისახედავათ, ვინემ ჩვენს დროში აქვთ. **ამას გარდა თვით მშობლების ხელში იქნება აღზრდის წესები; ისინი თვითონ გადაწყვეტენ და განსაზღვრავენ, როგორი ღონისძიებები და დაწესებულებები უნდა შემოვიღოთ და რა არა. აქ ჩვენ ვცხოვრობთ სრულ დემოკრატიულ სახელმწიფოში. აღმზრდელი კომიტეტები შესდგება მშობლებისაგან—დედისა და მამისაგან და აღმზრდელთაგან.** განა შეიძლება, რომ ამათ მშობელთა გრძნო-

*) კონდორსე თავის აღზრდის სისტემაში თხოულობს: „აღზრდა უნდა იყოს უფასო, თანასწორი, საყოველთაო, ფიზიკური, სულიერი, სამრეწველო და პოლიტიკური; და უნდა მიზნათ ქონდეს—ნამდვილი, ფაქტიური თანასწორობა“.

ასე ამბობს რუსსოც თავის პოლიტიკურ ეკონომიაში: „აღზრდა უნდა იყოს საზოგადოებრივი, თანასწორი და საყოველთაო, რათა აღიზარდონ ადამიანები და მოქალაქეები“.

არისტოტელი აცხადებს: „რადგან სახელმწიფოს ერთი მიზანი აქვს—ყველა წოდებისთვის ერთი და იგივე აღზრდა უნდა არსებობდეს, და მაზე ზრუნვა—სახელმწიფოს ევალებოდეს და არა კერძო პირთ“.

**) მაგალ. ეეგ. რიხტერისაგან მის „ცთომილებებში“.

ბების და ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედონ? ეს ხდება მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოში, რადგან დღეს სახელმწიფო თავის საკუთარ აღზრდის ინტერესებს მისდევს, მშობელთა უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს ისე აქვთ წარმოდგენილი, თითქო ჩვენი მშობლებისათვის უდიდეს სიამოვნებას წარმოადგენდეს მთელი დღე შინ, თავის გვერდით ყოლა ბავშვების და მათი აღზრდა; ნამდვილათ კი საქმე სულ სხვანაირათაა. რა ძნელია და რამდენ ჯაფას მოითხოვს ბავშვის აღზრდა,—ეს კარგათ იციან იმათ, რომელნიც ასეთ მდგომარეობაში იმყოფება. რამდენიმე ბავშვის ყოლა, მართალია, აადვილებს აღზრდას, მარა ეს იმდენ შრომას და ენერგიას მოითხოვს, რომ მშობლები, განსაკუთრებით დედა, რომელსაც აწევს თითქმის მთელი სიმძიმე აღზრდის, ხშირათ მოხარულია, როცა შვილებს შკოლაში აგზავნის და ამით რამდენიმე ხნით მაინც შინიდან იცილებს. ამას გარდა, მშობელთა დიდ ნაწილს არ შეუძლია რიგიანათ აღზარდოს თავის შვილები, დიდ უმრავლესობას ამის დროც არა აქვს; მამები თავის საქმეს უნდებიან, დედები თუ საჭიროათ არ უხდებათ წასვლა, შინ ხელსაქმეს მაინც ვერ აუდიან; ზოგიერთებს დროც რომ ქონდეს, აღმზრდელობის ნიჭი არ შესწევს. განა ბევრ მშობელს შეუძლია თავის შვილის განათლებას შკოლაში თვალყური ადევნოს და კვალ-და-კვალ მისდიოს? დედას ზოგიერთ შემთხვევაში უფრო შეუძლია ეს, მარა მას შესაფერი ცოდნა არ მოეპოვება. სწავლის მეთოდები და საგნები ისე მალმალე იცვლება, რომ სრულიად გაუგებარი და უცხო ხდება მშობლებისათვის.

შემდეგ ბავშვთა დიდი უმრავლესობის შინაური მდგომარეობა იმდენათ ღარიბულია, რომ მათთვის აქ არც საჭირო მოწყობილობაა, არც წესრიგი და არც მყუდროება, რომ საშკოლო სამუშაოების შინ შესრულება შეიძლებოდეს; მშობლებისაგან რაიმე დახმარებაზე ლაპარაკიც მეტია. ხშირათ მათ აუცილებლათ საჭირო სასწავლო ნივთებიც არ მოეპოვებათ. სადგომი პატარაა, გაჭეჭილია ხალხით, მთელი ოჯახი ერთ ვიწ-

რო ბინაზეა მიხუჭული, საკმაო ავეჯიც არა აქვთ და ბავშვს რომ მუშაობა სურდეს, შესაფერ ადგილს ვერ იშოვის. ხშირათ არაა საკმაო სინათლე, ჰაერი, სითბო; სახელმძღვანელოები თუ აქვს, ისიც ძველი და უვარგისი. ხშირათ პატარეებს შიმშილი აწუხებს და ამით ყოველი სურვილი და ლტოლვილება ეკარგებათ სწავლისადმი. ამას გარდა, ასი-ათასობით ბავშვები სამრეწველო და საოჯახო სამუშაოებშია ჩაბმული, რითაც მათი ნორჩი ბუნება იჩაგრება და მცირედი სწავლის შეთვისებასაც ვეღარ ახერხებს. როცა ბავშვებს თამაში უნდათ ან სწავლა, ხშირათ უვიც მშობლების სურვილი ეღობება წინ. ერთი სიტყვით, დაბრკოლებები ურიცხვია და საკვირველი ისაა, რომ ასეთ პირობებში ახალგაზრდობა კიდევ ასე კარგათ იზრდება. ეს მოასწავებს იმას, რომ ადამიანის ბუნება საღია და მასში ცხოველი მისწრაფება ბუდობს პროგრესისა და გაუმჯობესებისაკენ.

ამ ბოროტების ერთ ნაწილს თვით ბურჟუაზიული საზოგადოებაც აღიარებს და ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდის გასაადვილებლათ აწესებენ უფასო სწავლას შკოლებში; ზოგიერთ ადგილებში სახელმძღვანელო წიგნებსაც უფასოთ არიგებენ. ეს ორი საგანია, რომელთაც მე-80 წლებში მაშინდელმა საქსონიის სახალხო განათლების მინასტრმა, სოციალისტ დეპუტატების საპასუხო სიტყვაში **„სოციალ-დემოკრატიული მოთხოვნილებები“** უწოდა. საფრანგეთში დიდიხნის უყურადღებობის შემდეგ, სახალხო განათლებამ ბოლოს ისევ მიიპყრო ყურადღება და შესამჩნევათაც წაიწია წინ, მაგალითათ პარიზში **შემოიღეს ბავშვებისთვის საზოგადო სადილები ქალაქის ხარჯზე.** ღარიბებს სადილი უფასოთ ეძლევათ, შეძლებულებს კი მცირე გადასახადი შეაქვთ ქალაქის კასაში. ამნაირათ, ეს უკვე კომუნისტური დაწესებულებაა, ბურჟუაზიულ ქერქში, რომელიც მშვენივრათ მოქმედებს ბავშვებისა და მშობლების სასიხარულოთ და სასიამოვნოთ.

თანამედროვე საშკოლო სისტემის უვარგისობა, ე. ი. რომ მას არ შეუძლია მეტათ ზომიერ მოთხოვნილებების შეს-

რულებაც, რომელსაც უყენებენ—მტკიცდება იმით, რომ დღეს მრავალ ათას ბავშვს **უსმელ-უჭმელობის გამო აღარ შეუძლია თავის საშკოლო მოვალეობების შესრულება. ყოველ ზამთარში ათასობით ღარიბი ბავშვები დიდ ქალაქებში უსმელ-უჭმელი მიდიან დილით შკოლაში, ათას სხვას საკმარისი საჭმელი არა აქვს.** ყველა ამ ბავშვებისთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ მათ საზოგადოებრივი ხარჯით ასმევ-აჭმევდენ და ჩააცმევდენ. საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც კარგი სასმელ-საჭმელით და ტანსაცმელით ასწავლის მათ, თუ რას ნიშნავს ადამიანობა, ისინი არ ჩათვლიან „საკატორღე ციხეთ". ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია ამ სიღარიბის უარყოფა და გულშემატკივარი პირები შეერთებული ძალით ცდილობენ უფასო სასადილოების გახსნას, რომ **ქველმოქმედების საშუალებით** რამდენიმეთ მაინც შეასრულონ ის, რაც საზოგადოების მოვალეობას შეადგენს. ახლა ადგილობრივი დაწესებულებები შედიან ბავშვების გაჭირვებულ მდგომარეობაში და საერთო საშუალებებით დახმარებას უწევენ მათ. მარა ეს რა თქმა უნდა ცოტაა; საჭიროა სავალდებულოთ გადაიქცეს ის, რაც დღეს ქველმოქმედებათ გამოაქვთ*).

სრულიად მართალია, რომ ჩვენს შკოლებში ცდილობენ, რამდენათაც შეიძლება, გაკვეთილი არ გაატანონ ბავშვს შესასწავლათ, რადგან ყველამ შეიგნო, რომ შინ გატნეული საშკოლო სამუშაო რიგიანათ არასოდეს არ სრულდება. შეძლებულ მშობლების შვილები ღარიბ მშობლების შვილებთან შედარებით, პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან მათ შინ უკეთესი მოწყობილობა აქვთ და ხშირათ გამდელები და რეპეტიტორები ეხმარებიან; მარა მეორე მხრით, მდი-

*) „ამ ჟამათ პარიჟის 20 ადგილას არის საბავშვო დაწესებულებები, სადაც მათ სადილს—ხორცს და მწვანილეულობას აწოდებენ. მარტო ესაა სავალდებულო, მაგრამ ზოგიერთ ალაგას საუზმესაც აძლევენ ბავშვებს" (Helene Simon, Schule und Brot. S. 44, Hamburg, 1907). მუშათა ინიციატივამ ინგლისში გამოიწვია წინადადება, რომელიც შეეხებოდა ბავშვებისთვის სადილის დროის გაწესრიგებას. ეს წინადადება 1906 წელს კომისიას გადაეცა გასარჩევათ.

დართა შვილებში ადვილათ იკიდებს ფეხს სიზარმაცე და გარ-
ყვნილება, რადგან მშობლების სიმდიდრის შემხედვარეს სწავ-
ლა ზედმეტ ბარგათ მიაჩნია, ამავე დროს ის ხშირათ ხედავს
უზნეობის მაგალითებს და ძალიან ძნელია, რომ მან ამ მაც-
დურ ძალას თავი დაახწიოს. ვინც ყოველ დღე, ყოველ სა-
ათში ხედავს და ესმის, რომ ყველაფერი დამოკიდებულია ჩინ-
ზე, წოდებაზე, სიმდიდრეზე, ცხადია მის თავში უკულმართი
შეხედულება შემუშავდება ადამიანსა და მის მოვალეობაზე,
საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებზე.

სიმართლე რომ ვთქვათ, ბურჟუაზიულ საზოგადოებას
არავითარი საფუძველი არა აქვს იმის, რომ ასე აღშფოთებუ-
ლი შეხვდეს ბავშვების კომუნისტურ აღზრდას, რომელსაც სო-
ციალისტები ექომაგებიან, რადგან მან თვითონვე შემოიღო იგი
პრივილეგიან წრეებისთვის, მარა შემოიღო **დამახინჯებული
სახით.** გავიხსენოთ **კადეტთა კორპუსები, სამხედრო ობოლ-
თა თავშესაფარები, ინსტიტუტები, სემენარიები** და სხვ.,
მათში რამდენიმე ათასი ბავშვი, რომლის ნაწილი უმაღლეს
წოდებას ეკუთვნის, **სრულიად ცალმხრივათ და უგუნურათ
იზრდება, მონასტრის მონაზვნებივით სასტიკათ კარჩაკეტი-
ლი,** იზრდება წინდაწინვე განსაზღვრული პროფესიისათვის.
ბევრი პრივილეგიური წოდების პირები, როგორც, მაგალ.
აქიმები, სამღვდელო პირები, მოხელენი, მეფაბრიკენი, მემა-
მულენი, რომელნიც სოფლათ, ან ისეთ დაბებში ცხოვრობენ,
სადაც საშუალო სასწავლებელი არ არსებობს, თავის შვილებს
დიდ ქალაქებში აგზავნიან და იქ პანსიონებში აბარებენ; მთე-
ლი წლის განმავლობაში მხოლოდ არდადეგების (კანიკულე-
ბის) დროს თუ ნახავენ თავის შვილებს.

ამნაირათ, განა წინააღმდეგობა არაა, რომ ჩვენი მოპირ-
დაპირენი აღშფოთებას აცხადებენ ბავშვთა კომუნისტური
აღზრდის გამო, რომელიც აშორებს შვილებს მშობლებისგან
და იმავე დროს კი თვითონ **შემოღებული აქვთ** ამგვარივე
აღზრდის **სისტემა თავის საკუთარი ბავშვებისთვის, მარა
მხოლოდ დამახინჯებული, ყალბი და უვარგისი სახით?**

მდიდართა კლასის შვილების აღზრდაზე გამდელების, ბონნების, გუვერნანტკების, შინაურ მასწავლებლებისგან შეიძლება მთელი თავების დაწერა, რომელიც ნათელს მოფენდა მათ თავისებურ, შინაურ ცხოვრებას; და ჩვენ დავინახავდით, **რომ აქ ყველაზე მეტათ არის გავრცელებული პირმოთნეობა, ფარისევლობა და ყველაზე ნაკლებია იდეალური მდგომარეობა მასწავლებლებისა და მოსწავლეების.**

სრულიად შეცვლილი სისტემა აღზრდისა, რომელიც ერთნაირი ყურადღებით ეპყრობა ახალგაზრდობის როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ აღზრდა-განვითარებას, მოითხოვს, რომ პედაგოგიურ ძალთა რიცხვიც გაიზარდოს. მოზარდი თაობის აღზრდაზე ისე უნდა ზრუნავდეს საზოგადოება, როგორც ჯარის-კაცების აღზრდაზე ზრუნავენ დღეს ჯარში, სადაც ერთი უნტერ-აფიცერი მოდის 8—10 ჯარის-კაცზე. მომავალში თუ ამდენივე მოწაფე მოუწევს თითო მასწავლებელს, მაშინ ადვილათ მივაღწევთ იმას, რის მიღწევასაც ვისახავთ მიზნათ. ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარების არსებით ნაწილს წარმოადგენს მექანიკური შრომა სამაგალითო სახელოსნოებში, გაშლილ ჰაერზე მუშაობა ყანებსა და ბაღებში და სხვ.; ახალი საზოგადოება მოახერხებს ამის განხორციელებას, ის მრავალგვარ სამუშაოს შემოიღებს, რომ მოსწავლეები არ დაიქანცონ და ამით აღზრდის, რაც შეიძლება საღსა და სრულიად განვითარებულ ადამიანებს.

შემდეგ აღზრდა უნდა იყოს **თანასწორი და საერთო ორივე სქესისთვის**; მათი ცალ-ცალკე სწავლების გამართლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სქესობრივი განსხვავება აუცილებლათ თხოულობს ამას. ამ მხრით შეერთებულმა შტატებმა ბევრათ გაასწრეს წინ დანარჩენ ქვეყნებს. იქ ორივე სქესის პირები ერთათ იზრდებიან პირველდაწყებით შკოლის სკამებიდან—უნივერსიტეტის დასრულებამდე. **როგორც სწავლება, ისე სამოსწავლო სახელმძღვანელოები უფასოა, მათ რიცხვში შედის ის ნივთებიც, რომელნიც საჭირო არიან ქიმიის და ფიზიკის შესასწავლათ,** და ის

საგნებიც, რომელიც სჭირდება მოსწავლეს პრაქტიკულ სამუშაოებისა და ცდისათვის. შკოლების უმრავლესობას აქვს თავის დარბაზები, აბანოები, აუზები საცურაოთ, სათამაშო ზალები და სხვ. საშვალო შკოლებში ქალიშვილებიც მონაწილეობას იღებენ გიმნასტიკაში, ცურვაში, ნავოსნობაში, მწყობრ ნაბიჯით სიარულში (მარშიროვკა).

სოციალისტური აღზრდის სისტემა კიდევ უფრო მეტს მოგვცემს; მოწყობილი და მოწესრიგებული, შესაფერი კანტროლის ქვეშ დაყენებული აღზრდა გაგრძელდება იმ ჰასაკამდე, რომელშიაც საზოგადოება სრულ-წლოვანათ ჩათვლის ახალგაზრდობას. ამის შემდეგ ორივე სქესის ახალგაზრდობას შეეძლებათ სავსებით და ყოველმხრივ ისარგებლონ თავის უფლებებით და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგენ. საზოგადოება დარწმუნებული იქნება, რომ ღირსეული, ყოველმხრივ განვითარებული თანამოქალაქენი აღზარდა, რომელთათვის არაფერი ადამიანური უცხო არაა, რომელნიც ისე კარგათ იცნობენ თავის ბუნებას, თავის საკუთარ არსებას, როგორც საზოგადოების მდგომარეობას და არსებას, რომელშიაც ისინი შედიან სრულუფლოვან წევრებათ.

მაშინ გაქრება გამუდმებული, გაძლიერებული ექსცესები (ნაწრეტი, ცუდი მოქმედება) თანამედროვე ახალგაზრდობის, რომელიც შედეგია დღევანდელი საზოგადოების მდგომარეობის, მისი გახრწნილების და სიმდაბლის. გულზვიადობა, უდისციპლინობა, უზნეობა, უხამსი სიამოვნების წყურვილი, რითაც განსაკუთრებით „სახელგანთქმული“ არიან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლენი, გიმნაზიელები, სტუდენტები და სხვა, ყველა ეს გამოწვეულია და ძლიერდება ჩვენი ოჯახური ცხოვრების გახრწნით და სოციალურ ცხოვრების მომშხამველი გავლენით. ამგვარათვე მოეღება ბოლო ფაბრიკა-ქარხნების, უვარგისს საცხოვრებელი ბინების, ახალგაზრდობის ზნეობრივ აღვირწახსნილობის, დამოუკიდებლობის ცუდ გავლენას იმ ჰასაკში, როცა ადამიანი ყველაზე უფრო საჭიროებს ამაებს და აღზრდას, ენებათა დაძლევას და თავის შე-

კავებას. ყველა ამ ბოროტებას მომავალი საზოგადოება ისე გააქრობს, რომ ძალდატანებისთვის მიმართვა არ დასჭირდება; ახალი საზოგადობრივი წყობილება და მასში გაბატონებულ საზოგადოებრივი სულიერი ატმოსფერა შეუძლებელს გახდის ასეთ მოქმედებას. როგორც ბუნებაში ორგანიზმი ავათმყოფდება და ირღვევა მხოლოდ იქ, სადაც გახრწნის პროცესია ფეხმოკიდებული, ისეა საზოგადოებაშიაც.

არავინ არ უარყოფს, რომ თანამედროვე აღზრდა-განვითარება დიდი და სერიოზული სნეულებით არის შეპყრობილი და რომ ეს სნეულება უფრო ძლიერია საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ვინემ დაბალში. ზნეობრივ სისაღის მხრივ სოფლის შკოლა გიმნაზიასთან შედარებით, ისე როგორც ქალთა სახელსაქმო შკოლა, სადაც ღარიბი ბავშვები სწავლობენ, არისტოკრატიულ პანსიონთა უმრავლესობასთან შედარებით სამაგალითოთ უნდა ჩაითვალოს. ამის მიზეზების გამოძებნა ძნელი არაა. საზოგადოების მაღალ წრეებში დახშობილია ყოველი მისწრაფება უმაღლეს-მიზნისაკენ, **მათ აღარ აქვთ არავითარი იდეალი. უიდეალონი და უმაღლეს შეგნებულ მოქმედებას მოკლებულნი, ისინი ერთიანათ სიამოვნების წყურვილს და გრძნობათა ჭარბ დაკმაყოფილებას ემონებიან, რასაც ბევრი მორალური და ფიზიკური ექსცესები მოსდევს.** განა შეიძლება სხვანაირი იყოს ასეთ ატმოსფერაში აღზრდილი ახალგაზრდობა? ფიზიკური დატკბობა ცხოვრებით, უსაზღვროთ და უზომოთ — აი, რას ხედავს ის თავის გარშემო, რას ეჩვევა იგი ბავშობიდანვე. სად უნდა მიისწრაფოდეს, რას უნდა დაეძებდეს მდიდარი დედმამის შვილი, როცა ეს სრულიად ზედმეტია მისთვის? ბურჟუაზიის შვილთა უმრავლესობისთვის უმაღლესი განათლება ის იქნება, თუ თავის ნებით ჯარში შესულის (вольноопредѣл.) მოწმობაზე დაიჭირა გამოცდა. თუ ეს მიღწეულია, ისინი უკვე იალბუზის წვეროზე არიან და თავი ნახევარ-ღმერთებათ მიაჩნიათ. და თუ ამასთანავე ჯიბეში აქვთ „პატენტი“ სათადარიგო აფიცრის, მათ სიამაყეს და მედიდურობას საზღვარს ვეღარ მოუნახავთ.

იმ გავლენის გამო, რომელიც აქვს ამ თაობას, სუსტს ხასიათით და ცოდნით, მარა ძლიერს ენებათა დაკმაყოფილების და სამსახურში წარჩინების სურვილით, შეგვიძლია მთელ დღევანდელ ეპოქას სათადარიგო აფიცრების ეპოქა ვუწოდოთ. მისი განსაკუთრებული თვისებებია—ძლიერი გულისთქმა, უხასიათობა და ცოტა ცოდნა, ლაქიობა, ქედის მოხრა უფროსების წინაშე, მედიდურობა და სისასტიკე უმცროსებთან.

უმაღლესი კლასის ქალიშვილები უმეტეს ნაწილათ იმისთვის იზრდებიან, რომ ტიკინები გახდენ, „მოდას“ მისდიონ და სალონის „დამები“ შეიქნენ, რომელნიც ერთი სიამოვნებიდან მეორეზე გადადიან და ბოლოს და ბოლოს ცხოვრებამოყიჟებულთ, საშინელ მოწყენილობისთვის თავი ვერ დაულწევიათ და მრავალი მოგონილი, თუ ნამდვილი სნეულებით იტანჯებიან. როცა დაბერდებიან ეს „დამები“, ღვთის მავედრებელ მორწმუნეებათ, სპირიტკებათ და სხვ. იქცევიან, მუდამ ქვეყნის ზნეობრივ დაცემაზე წუწუნებენ და ასკეტიზმს ქადაგებენ.

დაბალ წრეებისთვის კი განათლების შემცირებას ცდილობენ. პროლეტარს უნდა ნამეტანი ჭკუიანი გახდეს, ის აღარ ურიგდება თავის მონურ მდგომარეობას და შეიძლება აღსდგეს კიდეც ამ ქვეყნიურ ღმერთების წინააღმდეგ. მარა ეს აბა რა სახარბიელოა! პირიქით, რაც უფრო უგუნურია მასსა, მით უფრო ადვილია მაზე ბატონობა და ბრძანებლობა. „ყველაზე უგუნური მუშა ყველაზე უფრო სასურველიაო“,—აცხადებენ აღმოსავლეთელ მემამულეები თავის კრებებზე. ამ დებულებაშია—მთელი მათი პროგრამა.

ამნაირათ, აღზრდა-განათლების საკითხშიაც ისე, როგორც სოციალურ საკითხებში, თანამედროვე საზოგადოება სრულიად უმწეოა; მას არავითარი გარკვეული მიზანი არ მოეპოვება. რას შვრება ის? ის მიმართავს ჯვარს, სარწმუნოებას, მორჩილებას და კმაყოფილებას უქადაგებს იმათ, ვინც უიმისოთაც ყველაფერში მორჩილია და არაფერს თხოულობს.. ის ქადაგებს მოთმინებას იქ, სადაც უამისოთაც ძალაუნებურათ ითმენენ,

რადგან აუცილებლათ საჭირო რაიმეც კი არ მოეპოვებათ. ვინც თავხედობას და სიმკაცრეს გამოიჩენს, გამასწორებელ რაზმში აგზავნიან, რომელნიც პიეტისტების გავლენის ქვეშ იმყოფება. ესაა უკანასკნელი სიტყვა ჩვენი საზოგადოების პედაგოგიურ სიბრძნის სალაროდან.

შეუგნებელი პროლეტარიატის ბავშვები აღზრდის მხრივ საშინელ პირობებში არიან ჩაყენებული. ათასგვარი ბოროტმოქმედებაა გავრცელებული „აღსაზრდელ“ სახლებში. ამათი ხელმძღვანელები ხშირათ დაბრძანდებიან ხოლმე დამნაშავის სკამზე ამის გამო. არა ერთხელ გამომჟღავნებულა სასამართლოს წინაშე შემზარავი ამბავი. სიამოვნებით აღიარებს ხოლმე ხშირათ დამნაშავე მისგან ჩადენილ საქმეებს. ჟრუანტელი დაუვლის ადამიანს მთელ სხეულში, როცა გაიგონებს ამ საზარელ ამბავს. ვინ იცის რამდენი ამისთანა საშინელებაა საზოგადოებისგან დაფარული!

## თავი XXVI.

### ხელოვნება და მწერლობა სოციალისტურ საზოგადოებაში.

ახალი საზოგადოება ზრუნავს ახალგაზრდობის სწავლა-განვითარებაზე, სანამ ისინი დასრულწლოვანდებოდენ, შემდეგ კი ყველამ თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე. თვითეული იმას მოკიდებს ხელს, რის მიდრეკილებას და ნიჭსაც გრძნობს. ერთნი ჩასჭიდებენ ხელს ბუნებისმეტყველების რომელიმე ბრწყინვალეთ განვითარებულ დარგს: ანტროპოლოგიას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, ფიზიკას, ქიმიას, ისტორიის წინა დროის შესწავლას და სხვ., მეორენი შეისწავლიან ისტორიას, ფილოსოფიას, ხელოვნების თეორიას და სხვ.; ერთნი თავის მიდრეკილების თანახმათ დაიწყებენ მემუსიკობას, მეორენი გახდებიან მხატვარი, მესამენი მექანდაკენი, მსახიობნი და სხვ.; მომავალში არ იქნება ამქრული მხატვრები, ამქრული მეცნიერები, ამქრული ხელოსნები. ათასობით განვითარდება

ბრწყინვალე ნიჭი, ტალანტი, რომელიც დღემდე დაფარული იყო; და თავის უნარს და ცოდნას გამოიჩენენ იქ, სადაც შემთხვევა ნებას მისცემს. აღარ იქნებიან პროფესიები მემუსიკეთა, მსახიობთა, მეცნიერთა, მხატვართა, მარა მით უფრო მრავალი იქნება ასეთი ხალხი **ზეგარდამო ნიჭით, გენიალობით დაჯილდოვებული.** და შემოქმედების ნაყოფი იმდენათ წაიწევს წინ, წააცილებს ყველაფერს, რაც ამ სფერაში შეუქმნია დღემდე კაცობრიობას, რამდენათაც სამრეწველო, ტეხნიკურ და სამეურნეო სფერაში აჯობებს მომავალი საზოგადოების მოქმედება დღევანდლისას.

დადგება ხანა, ერა ხელოვნების და მეცნიერების, რომლის მზგავსი არ უხილავს დღემდე ქვეყნიერებას და ამის შესაფერათ წარმოიშობიან ახალი შრომანი და ქმნილებანი.

ადამიანურ საარსებო პირობების დამყარება რომ აყვავებას გამოიწვევდა, ეს განსვენებულ რიხარდ ვაგნერმაც კარგათ იცოდა, როცა 1850 წელს სწერდა თავის თხზულებას —„ხელოვნება და რევოლიუცია“. ეს თხზულება იმითაა შესანიშნავი, რომ იგი სწორეთ რევოლიუციის დამარცხების შემდეგ გამოვიდა, იმ რევოლიუციის, რომელშიაც თვით ვაგნერი იღებდა მონაწილეობას. ვაგნერი წინასწარმეტყველებს იმაზე, თუ რას მოგვიტანს მომავალი; ის პირდაპირ მიმართავს მუშათა კლასს, რომელიც უნდა დაეხმაროს მხატვრებს ნამდვილ, ჭეშმარიტ ხელოვნების შექმნაში. აი რას ამბობს ის სხვათა შორის: „თუ **მომავალ თავისუფალ ადამიანისთვის** საარსებო საშუალებათა მოპოვება არ იქნება ცხოვრების მიზანი, თუ ახალი შემოქმედი რწმენისა და **უკეთესი ცოდნის** წყალობით საარსებო საშუალებათა მოპოვება შესაფერ ბუნებრივ მოქმედების გამო თავსატეხი საკითხი აღარ იქნება, ერთი სიტყვით, თუ წარმოება იქნება არა ჩვენი ბატონი, **არამედ ჩვენი მოსამსახურე, მაშინ ცხოვრების მიზნათ დავისახავთ ცხოვრების სიამეს და ვეცდებით ისე აღვზარდოთ ჩვენი შვილები, რომ შეეძლოთ და ღირსიც იყონ ამ სიამით დატკბობის. აღზრდა, რომელიც გამომდინარეობს ძალთა**

**ვარჯიშობისა და ფიზიკურ სილამაზეზე ზრუნვისაგან, რაც შედეგია ბავშვისადმი ბუნებრივი დაუბრკოლებელი სიყვარულის და იმ სიხარულის, რომ მათი აყვავებულ სილამაზეს მოესწრო, ეს აღზრდა მხატვრულ აღზრდათ გადაიქცევა და თვითეული ადამიანი რაიმე მხრით მხატვარი იქნება. ბუნებრივ მიდრეკილებათა განსხვავება წარმოშობს მრავალგვარ მიმართულებებს, რომელთა წინდაწინ წარმოდგენაც კი ძნელია“.** ეს აზრები სავსებით სოციალისტურია და სრულიად ეთანხმება იმას, რაც ჩვენ ვთქვით ზევით.

მომავალში საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო საჯარო ხასიათს მიიღებს. საით მიდის განვითარება, ამას ყველაზე ნათლათ გვიჩვენებს ღრმა ცვლილებები ქალთა მდგომარეობაში წინანდელ დროებასთან შედარებით. ოჯახური ცხოვრება მისი აუცილებელი მხარეებით იქნება განსაზღვრული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ფართე ნიადაგი გადაიშლება. დიდი შენობები რეფერატებისა და კამათის გასამართავათ და ყველა საზოგადოებრივ საქმეების გასარჩევათ, რომელნიც მთელმა საზოგადოებამ უნდა გადასწყვიტოს, როგორც უმაღლესმა მბრძანებელმა, სასადილო, სათამაშო, სამკითხველოს დარბაზები, ბიბლიოთეკები, საკონცერტო დარბაზები და თეატრები, მუზეუმები, სავარჯიშო (გიმნასტიკა) მოედნები, სასეირნო ბაღები და ხეივნები, საზოგადო საბანაოები, ყოველგვარი დაწესებულებები აღზრდა-განვითარების მოსაწყობათ, ლაბორატორიები და სხვა—ყველა ესენი საუკეთესოთ მოწყობილნი, შეძლებას მისცემენ საზოგადოებას უმაღლეს წერტილამდე განავითაროს ხელოვნება, მეცნიერება და სხვა-დასხვა გვარი გასართობები. დაწესებულებები ავათმყოფების, უძლურების და დასუსტებული მოხუცების მოსავლელათ, უმაღლეს მოთხოვნილებებთან იქნება შეფარდებული. რა პატარა, დაჩიავებულ-დაკნინებული მოგვეჩვენება მაშინ ჩვენი სახელგანთქმული ეპოქა! მთელი ეს მაღალთა კეთილგანწყობილების ძიება, მათი თვალებში ცქერა ერთგულ ძაღლივით, შური და ბრძოლა ერთმანეთთან პრივილეგიურ მდგომარეობის მოსაპო-

ვებლათ, რომლისთვისაც დღეს არავითარ ბინძურ საშუალებებს არ ერიდებიან. ამასთანავე დღითი-დღე უფრო გულის ამღვრევი ხდება თავის ნამდვილ შეხედულებათა დაფარვა, კარგი თვისებების დამალვა, რომელნიც უფროსებს არ მოეწონება, ხასიათის დასაჭურისება, პირმოთნეობა გრძნობით, სულიერ განწყობილებით, ერთი სიტყვით, ყველა ის თვისებები, რომელნიც **შეიძლება აღვნიშნოთ, როგორც სიმხდალე, სულის სიმდაბლე და უხასიათობა.** ყოველივე ის, რაც ამაღლებს და აკეთილშობილებს ადამიანს—თავის ღირსების შეგნება, დამოუკიდებელი და მოუსყიდველი საკუთარი აზრი და რწმენა, თავის შეხედულების თავისუფლათ, დაუფარავათ გამოთქმა—თანამედროვე პირობებში უმეტეს ნაწილათ, დიდ შეცდომათ და ნაკლულევანებათ ითვლება. არა იშვიათათ იღუპება დღეს ასეთ თვისებების მატარებელი, რომელიც ვერ მოახერხებს მათ გულშივე ჩაკვლას. ბევრნი ვეღარც კი გრძნობენ თავის დამცირებას, იმდენათ შეეჩვიენ ასეთ მდგომარეობას. ძაღლს თავისთავათ გასაგებ მოვლენათ მიაჩნია ის, რომ მას ბატონ-პატრონი ყავს, რომელსაც ის თვალებში შესცქერის და რომელიც მიუხედავათ ამისა, გულმოსულობის დროს ჯოხით უმასპინძლდება მას.

სოციალურ ცხოვრების გადატრიალებასთან ერთათ, ძირიან-ფესვიანათ შეიცვლება ლიტერატურაც. გაქრება იურიდიული ლიტერატურა და ღვთისმეტყველება, რომელსაც ახლა ყოველ-წლიურ გამოცემათა რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ დარგებ შორის. საღვთისმეტყველო ლიტერატურისადმი ინტერესი გაქრება, იურიდიული—საჭირო აღარ იქნება. გაქრება ისეთი ნაწარმოებებიც, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებათა გულისთვის ყოველ-დღიურ გაჩაღებულ ბრძოლას ეწეოდენ, რადგან **აღარ** იქნება ეს უკანასკნელი. შესაფერი გამოკვლევები კულტურულ-ისტორიულ გამოკვლევებათ იქცევა; მოისპობა აუარებელი უნიჭო ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დღეს გემოვნების გარყვნის მომასწავებელია და რომლის გამოცემა ხშირათ მხოლოდ მათი

ავტორების პატივმოყვარეობის წინაშე მსხვერპლის შეწირვაა და მეტი არაფერი. თანამედროვე პირობების თვალსაზრისით, შეგვიძლია გადაუჭარბებლათ ვთქვათ, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებთა $^4/_5$ გაქრობით **არავითარი ზიანი არ მოუვა არც ერთ კულტურულ ინტერესს და მოთხოვნილებას.**

ამდენათ დიდია ზერელე, ან პირდაპირ მაენე და გათახსირებულ ნაწარმოებთა რიცხვი. ლიტერატურულ სფერაში ეს თანაბრათ შეეხება, როგორც ბელეტრისტიკას, ისე ჟურნალისტიკას. უფრო უნიჭო და ზერელე ნაწარმოები, ვინემ ჩვენი საგაზეთო ლიტერატურის უდიდესი ნაწილია, ძნელათ მოიძებნება. ჩვენი გაზეთების შინაარსით რომ გავზომოთ ჩვენი კულტურულ სიმდიდრის და მეცნიერულ შეხედულების მდგომარეობა, ძალაუნებურათ იმ დასკვნას დავადგებით, რომ იგი მეტათ დაცემული ყოფილა. პიროვნებათა მოქმედებას და საქმის მდგომარეობას ისეთი თვალსაზრისით სჯიან, რომელიც წარსულ საუკუნეებს შეეფერება და მეცნიერულ კრიტიკისაგან დიდიხანია უარყოფილია. ჟურნალისტთა უმეტესი ნაწილი ისეთ პირებისაგან შესდგება, რომლებზედაც სრული სიმართლით შენიშნა ბისმარკმა: „ისინი შემცდარან თავის მოწოდებაში“, მარა მათი თვალსაზრისი და სასყიდლის რაოდენობა სავსებით შეეფერება ბურჟუაზიულ საქმიანობის ინტერესებს. ამას გარდა, მრავალი გაზეთები და პერიოდული ბელეტრისტული გამოცემები, განცხადებათა განყოფილებაში სხვა-და-სხვა გათახსირებულ რეკლამებს ათავსებენ; მათი საბირჟო განყოფილებაც ამგვარსავე ინტერესს ემსახურება მეორე სფერაში. მათი შინაარსი გამომცემელთა ნივთიერი ინტერესებით ისაზღვრება.

ბელეტრისტიული ლიტერატურა **საშუალოთ** რამდენიმეთ უკეთესია საგაზეთო ლიტერატურაზე. აქ განსაკუთრებით განვითარებულია სქესიური ურთიერთობის სფერა და მისი ექსცესები; ერთი მხრით გამოყვანილია უსირცხვილო სიტიტვლე, მეორე მხრით დახავსებული ცრუ-წარმოდგენანი და უგუნური ცრუმორწმუნეობანი. მიზანია—ბურჟუაზიული ქვეყნის გამოყ-

ვანა საუკეთესო ქვეყნათ მიუხედავათ ზოგიერთ ნაკლულევანებისა, რომელნიც, რასაკვირველია, მხოლოდ წვრილმანებს შეეხება.

ამ ფართე და მნიშვნელოვან სფერაში მომავალ საზოგადოებას საფუძვლიანათ დასჭირდება **ცოცხის მოსობა.** აქ უნდა გაბატონდეს მხოლოდ მეცნიერება, ჭეშმარიტება, მშვენიერება და აზრთა ბრძოლა საუკეთესოსათვის. ყველას, ვინც რამე ხეირიანს შექმნის, საშუალება ექნება ამ სფერაში მონაწილეობა მიიღოს. ის არ იქნება დამოკიდებული გამომცემლის კეთილგანწყობილებაზე, ფულის ინტერესზე, ცრუ წარმოდგენაზე, არამედ მხოლოდ უპარტიო მცოდნე პირების დასკვნაზე, რომელთა არჩევაში ისიც მიიღებს მონაწილეობას; თუ მათ გადაწყვეტილებას მაინც არ დაეთანხმება, შეუძლია საზოგადოებასთან განასაჩივროს; დღეს კი ასეთი რამ შეუძლებელია, როგორც გაზეთის რედაქციის, ისე კერძო გამომცემლის შესახებ, რომელიც მხოლოდ თავის კერძო ინტერესებს უწევს ანგარიშს ასეთი მოფიქრებით. შეხედულების გამოთქმა, თითქო სოციალისტურ საზოგადოებას აზრთა ბრძოლის აკრძალვა ქონდეს სახეში, შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც ბურჟუაზიულ ქვეყანას თვლის საუკეთესო საზოგადოებათ, ან მტრობით, შურით ცილს წამებს და ამცირებს სოციალიზმს. სრულ დემოკრატიულ საფუძველზე აგებული საზოგადოება არ იცნობს და ვერც მოითმენს რაიმე აკრძალვას. **მხოლოდ აზრთა სრული თავისუფლება უზრუნველყოფს განუწყვეტელ პროგრესს, რომელიც საზოგადოების ცხოველმყოფელ პრინციპს წარმოადგენს.** ტლანქ, უხამსო ტყუილს ამბობს, ვინც ბურჟუაზიულ საზოგადოებას აცხადებს აზრთა თავისუფლების ნამდვილ მომხრეთ და დამცველათ. გაბატონებულ კლასთა ინტერესების წარმომადგენელი პარტიები აქვეყნებენ ბეჭდვის საშუალებით მხოლოდ იმას, რაც არ ვნებს მათ კლასიურ ინტერესებს, და ვაი მისი ბრალი, ვინც ამის წინააღმდეგ შეცოდებს. მისი სოციალური მდგომარეობა დაიმსხვრევა, რაც ყველამ კარგათ იცის, ვინც დღევანდელ მდგომარეობაში ჩახედულია. ხოლო

როგორ ექცევიან გამომცემელნი და წიგნის გამყიდველნი მათი გამოსარჩენისთვის გამოუსადეგ ლიტერატურულ შრომებს, ამაზე ბევრის თქმა შეუძლიათ თვით მწერლებს. და ბოლოს, თვით ჩვენი კანონმდებლობა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ და სასჯელთა დებულება აშკარათ გვიჩვენებს, თუ რა სული ტრიალებს გაბატონებულ და მმართველ წრეებში. აზრის ნამდვილი თავისუფლება მათ უსაშინელეს ბოროტებათ მიაჩნიათ ბოროტებათა შორის.

## თ ა ვ ი XXVII.

### პიროვნების თავისუფალი განვითარება.

#### 1. არსებობის უზრუნველყოფა.

ადამიანს საშუალება უნდა მიეცეს სავსებით განვითარდეს —აი ესაა საზოგადოებრივ ცხოვრების მიზანი. ამიტომ არ შეიძლება ის იმ ნაჭერ მიწაზე მიჯაჭვული დავტოვოთ, რომელზედაც შემთხვევით დაიბადა. გაზეთებიდან და წიგნებიდან ქვეყნისა და ხალხის შესწავლა საკმარისი არაა, საჭიროა პირადი დაკვირვება და საკუთარი გამოცდილება. მომავალ საზოგადოებაში ყველასთვის შესაძლებელი უნდა იქნეს, რაც ბევრისთვის უკვე თანამედროვე საზოგადოებაშიაც შესაძლებელია, თუმცა უმეტეს შემთხვევაში დღეს გაჭირვება აიძულებს ადამიანებს ადგილის გამოცვლას. **ცხოვრების ყველა ურთიერთობათა გამოცვლის მოთხოვნილება ღრმათაა ჩამარხული ადამიანის ბუნებაში.** იგი გამომდინარეობს განვითარების, სრულქმნის სურვილისაგან, რომელიც ყოველი ცოცხალი არსების თვისებას შეადგენს. ბნელ სადგომში ამოსული მცენარე თითქო შეგნებულათ მიისწრაფვის სინათლისაკენ, რომელიც კედლის ჭუჭრუტანიდან შემოდის. ასეა ადამიანიც. და მის თანდაყოლილ მისწრაფებას გონივრული დაკმაყოფილება უნდა მიეცეს. ადგილის გამოცვლისადმი მისწრაფება არ ეწინააღმდე-

გება ახალ საზოგადოების პირობებს, პირიქით, მხოლოდ ამ საზოგადოებაში იქნება შესაძლებელი ყველასათვის ამ ლტოლვილების დაკმაყოფილება. უმწვერვალესათ განვითარებული მიმოსვლის საშუალებები და საერთაშორისო ურთიერთობანი კიდევ უფრო გააძლიერებენ ამ მისწრაფებას და თან გაადვილებენ მის დაკმაყოფილებას. მომავალში შეუდარებლათ მეტი ადამიანი შემოიარს მთელ ქვეყანას მრავალი სხვა-და-სხვა მიზნით, ვინემ ამას ვხედავთ დღეს.

საზოგადოების ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ აუარებელი სხვა-და-სხვა საგნებია საჭირო. ამის შესაფერათ საზოგადოება დააწესებს სამუშაო დღეს, ან უფრო გრძელს, ან მოკლეს წლისა, დროსა და წამოყენებულ მოთხოვნილებების მიხედვით. განსაზღვრულ დროს უმთავრესათ სოფლის წარმოებაში იქნება ბევრი სამუშაო, მეორე დროს მრეწველობაში და ხელოსნობაში. საზოგადოება ისე გაანაწილებს სამუშაო ძალებს, როგორც საჭიროება მოითხოვს. აუარებელ მუშა ძალთა მიზნის შესაფერი კომბინაციებით და გაუმჯობესებულ ტეხნიკის წყალობით, რომელიც მის განკარგულებაში იქნება, იგი ადვილათ შეასრულებს იმას, რაც დღეს შეუძლებლათ არის მიჩნეული.

საზოგადოება იზრუნებს არა მარტო ახალგაზრდობაზე, არამედ მოხუცებზე, სნეულებზე და უძლურებზედაც. თუ ვინმემ შრომის უნარი დაკარგა, მას თემი გაუწევს დახმარებას. ესაა არა ქველმოქმედება, არამედ მოვალეობის ასრულება, ესაა არა სამადლოთ მონარჩენი ლუკმის მიგდება, არამედ ყურადღებით და ზრდილობიანათ მოვლა-დახმარება, რომელიც დამსახურებული აქვს მას, რადგან ისიც, სანამ ძალღონე შესწევდა და შრომა შეეძლო, სინდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე. სიბერის უკანასკნელი დღეები ტკბილი, სასიამო იქნება ყველასათვის, რადგან საზოგადოება არაფერს დაიშურებს მათთვის, რის მიცემაც კი შეუძლია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითეულს იმედი აქვს, ოდესმე ისიც ისარგებლებს ისეთივე მოვლით, როგორიც ახლა

ექნება მოხუცებს. მოხუცს არ დასტანჯავს ის აზრი, რომ სხვები მოუთმენლათ ელიან მის სიკვდილს, რათა მემკვიდრეობას დაეპატრონონ. გაქრება იმის შიშიც, რომ მოხუცებულთ და დაუძლურებულთ გადაისვრიან, როგორც გამოწურულ ლიმონს. ისინი დამოკიდებული არ იქნებიან არც შვილების დახმარებასა და მოწყალებაზე, არც თანამედროვე თემის სამათხოვრო გროშებზე*). კარგათ ცნობილია, რა მდგომარეობაშია მშობელთა უმრავლესობა, რომელთაც შვილების ხარჯზე ეხდებათ ცხოვრება და რა გამრყვნელი გავლენა აქვს ჩვეულებრივ შვილებზე და კიდევ უფრო ნათესავებზე იმ გარემოებას, რომ მისი სიკვდილით **მემკვიდრეობის მიღებას** მოელიან. რა ქვენა გრძნობები იღვიძებენ ამ დროს, რამდენი ბოროტმოქმედება ხდება ამ ნიადაგზე: მკვლელობა, მემკვიდრეობის დამალვა, ფიცის გატეხა, მოტყუება და სხვ.

მომავალი საზოგადოების მორალური და ფიზიკური მდგომარეობა, შრომის წესი, ბინა, საზრდოობა, ტანსაცმელი, გასართობები—ყველაფერი ხელს შეუწყობს იმას, რომ შეძლებისამებრ შეამციროს უბედური შემთხვევები, მძიმე და ქრონიკული სნეულებანი. ბუნებრივი სიკვდილი, როგორც შედეგი სასიცოცხლო ძალთა გამოლევის, საყოველთაო წესათ გადაიქცევა. რწმენა, რომ საიქიო ამ ქვეყნათაა და რომ სიკვდილით თავდება პირადი არსებობა, შეაჩვევს ხალხს გონივრულ ცხოვრებას. ყველაზე მეტ სიამოვნებას ნახავს ის, ვინც

*) „ადამიანს, რომელიც თავის სიცოცხლეში ბევრს და ენერგიულათ შრომობდა, მოხუცობის ხანაში არ უნდა სჭირდებოდეს არც შვილების მოწყალება, არც ბურჟუაზიულ საზოგადოების ქველმოქმედება. დამოუკიდებელი, ზრუნვასა და ჯაფისაგან თავისუფალი მოხუცობა—აი ბუნებრივი სასყიდელი ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის ხანაში განუწყვეტელი შრომის და ოფლის ღვრის“. ფონ-ტიუნენი, „განცალკევებული სახელმწიფო“. მაგრამ, როგორაა საქმე დღევანდელ საზოგადოებაში? მილიონობით ადამიანებს ერუანტელი უელის ტანში, როცა მოაგონდება, რომ სიბერე უახლოვდება და მას ქუჩაზე გადისვრიან, როგორც გამოუსადეგარს. თანამედროვე მრეწველობის სისტემის წყალობით ადამიანები ადრე ბერდებიან; სანაქებო დაზღვევა მოხუცობისა და უძლურებისაგან გერმანიის იმპერიაში, მეტათ მცირე დახმარებას იძლევა—ამას აღიარებენ თვით მისი გატაცებული დამცველებიც: ეს დახმარება ბევრათ უფრო მცირეა, ვინემ სამსახურიდან დათხოვილი „ჩინოვნიკების“ პენსიები.

დიდხანს ისიამოვნებს. ყველაზე უკეთ აფასებს ხანგრძლივ ცხოვრებას სასულიერო წოდება, რომელიც „საიქიოსთვის“ ამზადებს ხალხს. უდარდელი და უზრუნველი ცხოვრება უადვილებს მათ ცხოვრების გახანგრძლივებას.

## 2. საზრდოობის გარდაქმნა.

ცხოვრების მოთხოვნილებებს ეკუთვნის უპირველეს ყოვლისა სმა და ჭამა. ეგრეთ წოდებულ „ბუნებრივ ცხოვრების წესის“ მოტრფიალენი ხშირათ კითხულობენ, რათ უყურებს სოციალდემოკრატია ასე განურჩევლათ ვეგეტარიანობას. ყველა ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია. ვეგეტარიანობამ, ე. ი. მოძღვრებამ მცენარეული საჭმლით საზრდოობის შესახებ, პირველათ ყოვლისა ისეთ წრეებში იპოვა მომხრეები, რომელნიც შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში არიან და შეუძლიათ აირჩიონ, რომელიც უნდათ ხორცსა და მცენარეულობას შორის. მარა, ადამიანთა დიდი უმრავლესობისთვის ასეთი არჩევანი არ არსებობს. ისინი იძულებული არიან შემოსავლის კვალობაზე იცხოვრონ, რომლის სიმცირე ხშირათ მარტო მცენარეულობით და ისიც ნაკლებ ნოყიერი მცენარეულობით კვებას არგუნებს წილათ. მუშა ხალხისთვის ტიურინგიაში, სილეზიაში, საქსონიაში და სხვაგან უმთავრესი საზრდო კარტოფილია, პურს—მეორე ადგილი უჭირავს; ხორცი თუნდ ნაკლები ღირსებისაც კი, იშვიათათ იპოვება მათ სუფრაზე. სოფლის მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი, თუმცა პირუტყვის მოშენებასაც მისდევს, მარა ხორცით მაინც იშვიათათ იკვებება, რადგან იძულებულია გაყიდოს სახორცე საქონელი, რომ აღებული ფულით სხვა აუცილებელი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს.

ამ აუარებელ ხალხისათვის, რომელიც ძალაუნებურათ ატარებენ ვეგეტარიანულ ცხოვრებას, დრო-გამოშვებით რიგიანი ბივშტეკსი, ან ცხვრის წვადი, საზრდოობის საუცხოვო

გაუმჯობესება იქნებოდა*). ვეგეტარიანობის მიმდევარი, მართალია, როცა ის ხორცის მარგებლობის გაზვიადებას ეწინააღმდეგება. მარა ის მართალი არაა, როცა ხორცით საზრდოობის წინააღმდეგ ილაშქრებს იმ მოსაზრებით, რომ თითქოს იგი მავნებელი და საშიში იყოს, უფრო ხშირათ კი სანტიმენტალური მოტივებით, მაგალ. იმიტომ, რომ ბუნებრივი გრძნობები უკრძალავს მას ცხოველების დაკვლას და მძორის ჭამას. მას ავიწყდება, რომ სიამით და დამშვიდებით ცხოვრების სურვილი გვაიძულებს ომი გამოუცხადოთ ცოცხალ არსებათა დიდ ნაწილს, როგორც მტაცებლებს და მოვსპოთ ისინი; თუ არ გვინდა თვითონ გავხდეთ მხეცების მსხვერპლი, ჩვენ უნდა დავხოცოთ და გავჟლიტოთ ისინი. დაუბრკოლებლივ გამრავლების ნება რომ მივცეთ ადამიანის კეთილ „მეგობარ“ შინაურ ცხოველებს, ისინი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში ისე გამრავლდებიან, რომ ერთიანათ შეგვჭამენ და მთელ ჩვენ საზრდოს გაანადგურებენ. ტყუილია იმის მტკიცება, თითქო ვეგეტარიანული საჭმელი ხელს უწყობდეს მხიარულ სულიერ განწყობილებას. სათნო გულის ვეგეტარიანებშიც სწრაფათ გაიღვიძა „მხეცმა“, როცა ინგლისელების სასტიკმა მოპყრობამ აიძულა აჯანყებულიყვენ მათ წინააღმდეგ.

საჭმლის ნაყოფიერება არ გაიზომება მარტო ცილის რაოდენობით. საჭიროა ისიც ვიცოდეთ, თუ რამდენათ რჩება

*) ეს რომ ნამდვილათ ასეა, ამას გვიმტკიცებს ორი იტალიელი გამომკვლეველი. გამოიკვლიეს საკვები მასალა ერთი ხალხის, რომელიც ძველი დროიდან მარტო მცენარეულობით იკვებება. ეს სოფლის ხალხი იმყოფება სამხრეთ იტალიაში—აბრუცაში; შესაბრალის ეკონომიურ პირობებში სცხოვრობს. ის იკვებება სიმინდით, მწვანილეულობით და ზეითუნის ზეთით; კვერცხს, რძეს, ყველს ვერ შოულობენ. ხორცს წელიწადში სამჯერ, ან ოთხჯერ თუ დაინახავთ მათ სუფრაზე. 15 დღის განმავლობაში თითო სულს 100 გრამი ხორცი აძლიეს, 15 დღის შემდეგ 200 გრამი ხორცი მისცეს თვითეულს. აღმოჩნდა, რომ ხორცმა კარგი გავლენა იქონია, სხეული ამის შემდეგ უკეთესათ იღებდა საჭმელს. აქამდე ადამიანს უსარგებლოთ ეკარგებოდა აუარებელი საკვები მასალა. ახლა თავისუფლათ ითვისებდა არა მარტო ორგანიულ ცილს, მცენარეულ საჭმელსაც უკეთ ინელებდა. მით უფრო გასაკვირველია ეს, რომ მათი მცენარეული საჭმელი ძალიან ძნელი მოსანელებელი იყო. თითქმის სულ სიმინდით იკვებებოდენ, სიმინდი კი შეიცავს აუარებელ ცელულოიზს. („Neue Zeit“).

მოუნელებელი ეს ცილი სხვა საკმელთან შედარებით. ამ მხრივ ხორცი და ბრინჯი, ან კარტოფილი ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორც 2,5 : 20, ან 2,5 : 22; ე. ი. 100 გრამ ცილისგან ხორცთან იკარგება 2,5 გრამი, ბრინჯთან ან კარტოფილთან—20 თუ 22 გრამი რჩება მოუნელებელი. რუსეთის ცნობილმა ფიზიოლოგმა პავლოვმა და მისმა შკოლამ დაამტკიცა, რომ პური გაცილებით მეტ ფერმენტს იძლევა მონელების დროს, ვიდრე ხორცი. პავლოვმა დაგვანახვა კიდევ, რომ კუჭიდან გამოსული მოსანელებელი სითხე ორი ნაწილისგან შესდგება: კუჭის სითხე გამოდის ერთი მხრით შესაფერი საკმლით ლორწოიან გარსის გაღიზიანებისაგან, მეორე მხრით ის გამოდის, როგორც ნერწყვი, გრძნობის ორგანოთა გაღიზიანებით გამოწვეული. მადის გამოსაწვევი სითხე დამოკიდებულია საზოგადოთ ადამიანის პსიხიურ მდგომარეობაზე; ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს, მაგალ. შიმშილს, მწუხარებას, გულის მოსვლას, სიხარულს და სხვას. რა თქმა უნდა, საკმლის შედგენილობასაც თავისი გავლენა აქვს. სხვადა-სხვა გვარი საკმლის მონელებაში სხვადასხვანაირი მნიშვნელობა აქვს მადის გამოსაწვევ სითხეს: ზოგიერთ საკმელს, მაგ. პურს, მოხარშულ კვერცხის ცილს, ან წმინდა კრახმალს სულ ვერ მოინელებს კუჭი, თუ ეს სითხე არ ექნა. მაშინ ამათი მონელება შეიძლება სხვა შესაფერ საკმელთან ერთათ. ხორცის მონელება, როგორც პავლოვი გვეუბნება, შეიძლება თავისთავათაც, მხოლოდ მადის გამოსაწვევი სითხე უფრო აჩქარებს ამის მონელებასაც. „**ამიტომ ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომელიც შეკავშირებულია ადამიანის სულიერ მდგომარეობასთან. აქ იდება ხიდი საკმლის მონელების ფიზიოლოგიასა და სოციალურ დამოკიდებულებათა შორის. თანამედროვე ქალაქები და მეტადრე იქაური მუშების ფართო მასსა ისეთ პირობებში ცხოვრობენ, რომ ნორმალური მადა მათ დაკარგული აქვთ. დახშულ ქარხნებში მუშაობა, მუდმივი ზრუნვა ლუკმა პურზე, დაღლილობა და შევიწროება, როგორც სულიერათ, ისე**

**ხორციელათ—ყოველივე ეს აფუჭებს და სპობს მადას.** ასეთ მდგომარეობაში სხეულს არ შეუძლია იქონიოს იმდენი სითხე, რამდენიც საჭიროა მცენარეული საჭმელის მოსანელებლათ. ხორცი კი ისეთი საკვები საშუალებაა, რომელიც ასე ვთქვათ, თვითონ ეძებს თავის მოსანელებელ მასალას. ხორცის მონელება შეიძლება უმადოთაც. ეს კიდევ ცოტაა. ხორცი იწვევს თავის მხრივ მადას და ამით აადვილებს მცენარეული საჭმელების მონელებას. ხორცთან ერთათ სხეული უკეთესათ ითვისებს დანარჩენ საკვებ ნივთიერებას. აქედან სჩანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხორცეულ საჭმელს თანამედროვე ადამიანისათვის.

ზონდერეგერმა პირდაპირ მოარტყა ნიშანში, როცა განაცხადა: „არ არსებობს რაიმე განსაზღვრული თანდათანობა სასაზრდოო საშუალებებში მათი მარგებლობისა და საჭიროების მიხედვით; არსებობს მხოლოდ უცვლელი კანონი მათი მასაზრდოებელი ნივთიერების შერევის“. მართალია მხოლოდ, რომ მარტო ხორცეული საჭმელით საზრდოობა შეუძლებელია, მცენარეულობით საზრდოობა კი შეიძლება, თუ საჭმელი შესაფერათაა შერჩეული. მეორე მხრით, არავის არ შეუძლია დაკმაყოფილდეს ერთი რომელიმე მცენარეულობის საჭმელით, თუნდაც ის ყველაზე ნოყიერი და მარგებელი იყოს. ყველაზე უკეთესი მასაზრდოებელია ცერცვი (ბაკლა), მუხუდო, ოსპი, ერთი სიტყვით, პარკიანები. მარა, იძულებული იყო მარტო ამაებით ისაზრდოო—ეს ნამდვილი წამებაა, თუმცა შესაძლებლათ სცნობენ ამას. მაგალ. კარლ მარქსი „კაპიტალის“ I ტომში მოგვითხრობს, რომ ჩილის სამთა-მადნო ქარხნების პატრონები აიძულებენ მუშებს ცერცვით ისაზრდოონ, რადგან ის ავითარებს მათში ფიზიკურ ღონეს და უადვილებს ისეთ სიმძიმის ზიდვას, რომელსაც უამისოთ ვერ ასწევდენ. მუშები უარს ამბობენ ცერცვის ჭამაზე, მიუხედავათ მათი მდგომარეობისა, მარა მათ ძალა-უნებურათ კვებენ ამ საჭმელით. ადამიანების ბედნიერება და კეთილდღეობა სრულიადაც არაა დამოკიდებული განსაზღვრულ საზრდოსაგან, როგორც

ამას ამტკიცებენ ვეგეტარიანები; გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჰავას, შეჩვევას და პირად გემოვნებას*).

კულტურულ წარმატებასთან ერთათ, თითქმის განსაკუთრებით ხორცეული საზრდო მონადირე და მწყემს ხალხებისა, თანდათან ადგილს უთმობს მცენარეულობას. მრავალგვარ მცენარეთა დამუშავება ნიშანია მაღალი კულტურის. ამას გარდა, ერთ და იმავე სივრცის მიწა მეტ მცენარეულ საზრდოს მოგვცემს, თუ მას დავთესთ, ვინემ ხორცეულს, თუ მას მაგალ. სათიბათ, ან საბალახოთ გავუშვებთ. ამით უპირატესობა ეძლევა მცენარეულობით სარგებლობას. ხორცის ტრანსპორტებში, რომელსაც ჩვენ ვიღებთ სამხრეთ აფრიკიდან და ავსტრალიიდან, მტაცებლური სამეურნეო სისტემის გამო რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში გამოილევა. მეორე მხრით, პირუტყვებს და ფრინველებს აშენებენ არა მარტო ხორცისთვის, არამედ მატყლის, ბუმბულის, ჯაგარის, ტყავის, რძის, კვერცხების და სხვა ასეთების შესაძენათ. ამაზეა დამოკიდებული წარმოების მრავალი დარგი და ადამიანთა მრავალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამას გარდა, სამრეწველო და საოჯახო მეურნეობის ნარჩენები შეიძლება საუკეთესოთ მოვიხმაროთ, თუ პირუტყვების მოვლა-მოშენებასაც მივსდევთ. ეს ნარჩენები შინაურ საქონლის საუკეთესო საზრდოს წარ-

*) „ყოველ-დღიური საკვები მასალა მცენარეული ნაწილებისგან შესდგება, ხორცეული ნივთიერებ. ძალიან ნა ლებათ არის შიგ გარეული. გლეხის სუფრაზე ხორცს იშვიათათ ნახავთ. მართალია, ცხოერება უმისოთაც შეიძლება. მცენარეულობა სხვა-და-სხვა გვარია, ადამიანს შეუძლია გამოიცვალოს ხოლმე საკმელი გემოვნების მიხედვით. ის კარგათ გრძნობს თავს მაშინაც. როცა მარტო ამ საკმელით იკვებება. მაგრამ დღეს ადარ სჯერდებიან ცარიელ მცენარეულ საკვებს და თითქმის ყველა ქვეყნებში სცდილობენ, რომ გემოს მოსამატებელი ნივთიერება გაურიონ ხოლმე შიგ. ამისთვის სამზარეულოში ხმარობენ ათასნაირად მომზადებულ ხორცეულობას. ამნაირად, საკმლის გამოცვლა საზოგადო მოთხოვნილებათ არის დღეს გადაქცეული. იცვლება ხალხის ზნე-ჩვეულება და შეხედულება, ხალხს ადარ აკმაყოფილებს ძველი ჯამა-ს





აც. ყველგან ხდება ეს ცვლილება. იაპონიაშიც, სადაც აქამდე თავისებურათ, სოფლურათ იკვებებოდენ, ახლა ევროპიული საკმელი ვრცელდება. ზღვის ჯარში ახლა ამას ხშირათ ხმარობენ, რადგან დარწმუნდენ, რომ მუშაკაცისთვის ეს გაცილებით უფრო მარგებელია და ნოყიერი. საზოგადო მოთხოვნილებაა, რაც შეიძლება ბლომათ იქონიონ ეს ქონიანი და გემრიელი საკვები ნივთიერება". (M. Rubner Volksernähungsfragen S. 31 bis 32. Leipzig 1908.

მოადგენს. მომავალში ზღვამაც უფრო მეტათ უნდა გადაუშალოს ადამიანს თავის სიმდიდრე ცოცხალ საზრდოს მიწოდების მხრივ. მაშინ საეჭვოა განმეორდეს ის, რასაც დღეს ვხედავთ, ე. ი. რომ მრავალი თევზის დაჭერის დროს მისი დიდი ნაწილი ნიადაგის გასაპოხიერებლათ გადაიყაროს, მარტო იმ მიზეზით, რომ არსებულ სატრანსპორტო და საკონსერვო მოწყობილობანი ვერ აუდიან მათ დამზადებას, ხოლო შორს გაგზავნა გასაყიდათ კი მეტათ ძვირი ჯდება. როდესაც მოისპობა განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, როცა ქალაქებიდან ხალხი ისევ სოფელს დაუბრუნდება, მაშინ შეიძლება ხორცეულობამ ისევ მეორე ადგილი დაიჭიროს და ადამიანმა ისევ მცენარეულ საჭმლის ხმარებას მოუმატოს. რასაკვირველია, შესაფერი დამზადება შეაესებს ამ საჭმელს საჭირო ნივთიერებით და მაშინ ის ხორცის მაგიერობას გაგვიწევს. მარა ვერ ვიტყვით, რომ მომავალ საზოგადოებაში მარტო მცენარეულობამ იკმაროს საზრდოთ; ეს არც მოსალოდნელია და არც აუცილებელი.

### 3. კომუნისტური სამზარეულო.

საზრდოობაში მეტი მნიშვნელობა აქვს ღირსებას, ვინემ რაოდენობას: ბევრი საჭმელი ვერ გიშველის, თუ ამ ბევრს კარგი ღირსება არა აქვს. ღირსება შესამჩნევათ ემატება საჭმელს კარგი დამზადებით. **საჭმელის დამზადებაც ისე, როგორც ადამიანის მოქმედების სხვა დარგები, მეცნიერულ საფუძველზე უნდა იქნეს აგებული, ამისთვის საჭიროა შესაფერი ცოდნა და მოწყობილობა.**

დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ ჩვენ ქალებს, რომელნიც ამზადებენ დღეს უმეტეს ნაწილათ საჭმელებს, ხშირათ შესაფერი ცოდნა არა აქვთ და არც შეიძლება ქონდეთ. დიდი სამზარეულო ტეხნიკის განვითარება დღეს იმ ხარისხამდეა ასული, რომ მისი მზგავსი საუკეთესოთ მოწყობილ კერძო სამზარეულოშიაც არ მოიპოვება. იდეალს ყველაზე უფრო შე-

ეფერება ისეთი სამზარეულო, სადაც ელექტრონის გათბობა და განათებაა მოწყობილი. არც კვამლი, არც სიცხე, არც სუნი! სამზარეულო სალონს უფრო წააგავს, ვინემ სამზად ოთახს. მას აქვს ყოველგვარი ტეხნიკური მოწყობილობანი, რომელთა საშუალებით კეთდება ყველა რთული და არა სასიამოვნო საქმეები. აქვეა მრავალგვარი აპარატები, რომელნიც ელექტრონს მოყავს მოძრაობაში და რომელნიც სწმენდენ კარტოფილს, წვანილს, ამზადებენ ძეხვებს, კეპენ, ხარშავენ და წვავენ ხორცს, ფქვავენ ყავას, ჭრიან პურს, თავს აცობენ და ხდიან ბოთლებს, ჭრიან ყინულს და სხვა. ყველა ამის და მრავალ სხვა მოწყობილობების საშუალებით რამდენიმე მზარეულს შეუძლია ზომიერი შრომით დაამზადოს საჭმელი რამდენიმე ასი ადამიანისათვის. ესევე ითქმის სარეცხ და ჭურჭლის საწმენდ მოწყობილობაზე.

კერძო სამზარეულო დიდათ მომქანცველი და უნაყოფოთ ბევრი დროს წამრთმევი დაწესებულებაა მილიონი ქალებისათვის. აქ ჭკნება მათი ყმაწვილ-ქალობა, ტყდება ჯანი და იკარგება გუნება, ხალისი. სამზარეულო ყოველდღიური ზრუნვის და წუხილის საგანია, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ხელმოკლეთ ცხოვრობს, ეს კი ოჯახთა დიდი უმრავლესობის ხვედრია. კერძო სამზარეულოს მოშორება ქალთა უმრავლესობისთვის დიდი თავისუფლების მიღება იქნება. კერძო სამზარეულო ისეთივე ჩამორჩენილი და დრო-მოჭმული დაწესებულებაა, როგორც წვრილი სახელოსნო; ორივე მოკლებულია ძალთა ეკონომიას, ორივეში მეტი დრო, ძალა, გასათბობი, გასანათებელი და დასამზადებელი მასალა იხარჯება.

საჭმლის მარგებლობა იმდენათ მეტია, რამდენათ ადვილია მისი მონელება და სისხლ-ხორცათ გარდაქმნა. ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა*). ამნაირათ, ახალ საზოგადოებაში შესაძლებელი იქნება საზრდოობის ისეთი წესის შემოღება, როგორიც ბუნებას შეეფერება. კატონი, ძველი რომის საქებ-

*) საჭმლის თვისება, რომელიც ადვილ მოსანელებელათ ხდის მას, უმნიშვნელოვანესი მომენტია ინდივიდუმის საზრდოობაში. Niemeyer, Gesundheitslehre.

რათ ამბობს, რომ მისი დაარსებიდან პირველი 6 საუკუნის განმავლობაშიაც იყვენ იქ სააქიმო ხელობის მცოდნენი. მარა მათ პრაქტიკა არ ქონდათო. რომაელები ისეთ ზომიერ და უბრალო ცხოვრებას ატარებდენ, რომ იშვიათათ ხდებოდენ ავათ და მოხუცებულობით სიკვდილი ჩვეულებრივი მოვლენა იყოო. ეს ძირიანათ შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთი მხრით განვითარდა მუქთახორობა და გარყვნილება, მეორე მხრით კი—გაჭირვება და ბოროტმოქმედებანი. მომავალ საზოგადოებაში მუქთახორობა და გარყვნილება ამოიკვეთება, გაჭირვება, სილარიბე და შევიწროვება გაქრება, რადგან ყველას საკმაოთ ექნება ყველაფერი, რაც ადამიანს ესაჭიროება.

ჰენრიხ ჰეინე სწერდა:

ჩვენს უხვათ მრჩენელ დედამიწასა
საკმაოთა აქვს ყველასთვის პური,
და მასთან ერთათ ტკბილი მუხუდო,
ვარდ-ყვავილები და სიყვარული.
დე, ჩვენ წილათ გვხვდეს ტკბილი მუხუდო,
გარს შემოვაცლით უვარგის ჩენჩოთ
ციურ სამეფოს—საიქიოს კი—
ანგელოზებს და ჭიეჭავთ დაუთმობთ.

„ვინც კარგათ ჭამს, კარგათ ცხოვრობს“ (ე. ი. დიდხანს), სთქვა მე-16-ე საუკუნეში ერთმა იტალიელმა კორნარომ, რომლიდანაც მოყავს ამონაწერი ნიმეიერს. ბოლოს და ბოლოს ქიმიაც, დღემდე რომ არ ყოფილა, ისეთ როლს ითამაშებს ახალ, გაუმჯობესებულ სასაზრდოო ნივთიერებათა დამზადებაში. დღეს ამ მეცნიერებით ბოროტათ სარგებლობენ სანოვაგის ფალსიფიკაციისათვის, რომ მყიდველი მოატყუონ. მაგრამ აშკარაა, რომ ქიმიურათ მომზადებული საზრდო, რომელსაც ბუნებრივი ნაყოფის ყველა თვისებები ექნება,—საუკეთესოთ მიაღწევს მიზანს. რა სახითაა ნაყოფი მოპოვებული, ეს მეორე ხარისხოვანი კითხვაა, თუ კი დანარჩენში აკმაყოფილებს ის ყველა მოთხოვნილებებს.

## 4. შინაური ცხოვრების გარდაქმნა.

როგორც სამზარეულოში, ისე ოჯახურ ცხოვრებაში რევოლიუცია აუცილებელია; მრავალი სამუშაო, რომელიც დღეს მიუცილებლათ საჭიროა, სრულიად გაუქმდება. როგორც საქმელის დასამზადებლათ მოწყობილი ცენტრალური დაწესებულებები გააუქმებენ კერძო სამზარეულოებს, ისე ცენტრალურ გათბობის და ელექტრონით ცენტრალურ განათების მოწყობა გაანთავისუფლებს ადამიანს ყველა იმ საფუსფუსო სამუშაოებისაგან, როგორიცაა ბუხრის გაჩაღება, ლამპის და სხვა ასანთებ აპარატების გაწმენდა, აწყობა და სხვ.; მილების გამოყვანა შეძლებას მიცემს ყველას სხვის დაუხმარებლათ ცივი, ან თბილი წყლით იბანოს, როგორც მოისურვებს. ცენტრალურ სამრეცხეველოებსა და საშრობებში მოეწყობა საცვლების რეცხვა და შრობა. ტანისამოსის და ნოხების გაწმენდაც ასევე იქნება მოწყობილი შესაფერ ცენტრალურ დაწესებულებებში. ჩიკაგოს გამოფენაზე იყო ნოხების საწმენდი მანქანა, რომელიც სულ მოკლე ხანში ასრულებდა თავის სამუშაოს, რითაც აღტაცებაში მოყავდა გამოფენის მნახველი ქალები. ელექტრონის კარები თითის დაჭირებით იღება და თავისით იხურება. ელექტრონული მოწყობილობით გადააქვთ წერილები და გაზეთები ზედა სართულებში, ელექტრონის მაღლა-ასაყვანი მანქანები ათავისუფლებენ ადამიანს კიბეზე ასვლისაგან. სახლის შინაური მორთულობა, კედლები, იატაკი, ავეჯი, ყველაფერი ისე შეიძლება მოეწყოს, რომ მათი დაწმენდა ძნელი არ იქნეს და თან მტვერი არ დადგეს, სადგომი ბაქტერიებით არ აივსოს. ყოველგვარ ნარჩენებს, ნაკუწებს, ნაყარ-ნუყარს, როგორც ჭუჭყიან წყალს და სხვ., განსაკუთრებული მოწყობილობის საშუალებით გაიტანენ სახლიდან. შეერთებულ შტატებში და ზოგიერთ ევროპიულ ქალაქებში, მაგალ. ციურიხში, უკვე არსებობს ასეთი ყოველგვარი კომფორტით მორთული სახლები, რომლებშიაც მრავალი შეძლებული ოჯახი ცხოვრობს,—

სხვებისთვის ეს დღეს ხელმიუწდომელია—და აღნიშნულ გაუმჯობესებათა უდიდესი ნაწილით სარგებლობს*).

აქ ჩვენ ხელახლა გვეძლევა იმის საბუთი, თუ როგორ უწალდავს გზას ბურჟუაზიული საზოგადოება ოჯახურ ცხოვრებაში რევოლიუციის დატრიალებას, რასაკვირველია, მხოლოდ რჩეულთათვის. რაკი ძირიანათ შეიცვლება ამ მხრივ ოჯახური ცხოვრება, საჭირო აღარ იქნება მოსამსახურე—ეს „მონა თავის ქალბატონის ჭირვეულობისა“, მარა ამასთანავე გაქრება „ქალბატონიც“. „უმოსამსახუროთ არ არსებობს კულტურა“, კომიკური პაფოსით გაიძახის აღშფოთებული ბ. ფონ ტრეიჩკე. მას არ შეუძლია უმოსამსახუროთ წარმოიდგინოს საზოგადოება, როგორც არისტოტელს არ შეეძლო მისი წარმოდგენა **უმონოთ**. გასაკვირველია, რომ ბ. ფონ-ტრეიჩკე მო-

*) ვილემსდორფში 1908 წელს 2521 სახლი ირიცხებოდა; ამათში მოწყობილი იყო:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ერთი ადგილიდან ყველა ოთახების გათბობა | 1001 | სახლში | —39,71 | პროც. |
| თბილი წყლის მილები. . . | 1373 | „ | —54,46 | „ |
| ელექტრონის განათება. . . | 1288 | „ | —51,09 | „ |
| საბანაო ოთახები . . . | 2063 | „ | —81,83 | „ |
| ბორბლიანი სკამები . . . | 699 | „ | —27,73 | „ |
| მტვერის ამოსაცლელი. . . | 304 | „ | —12,06 | „ |

გაზით განათება კი ყველგან იყო მოწყობილი.

ბერლინში და მის გარშემო დღეს ულვე შეხვდებით ისეთ სახლებს, რომელთაც მარტო თითო სამზარეულო აქვთ. აქ მზად დება საჭმელი მთელი სახლის მცხოვრებთათვის. ამნაირათ, ბურჟუაზიული საზოგადოება თავის წიაღში ატარებს ნასახს სოციალისტური წესწყობილებისას. „მომავალში საზოგადო ბინასთან იქნება მოწყობილი ყველასთვის საკმაო გაზის, ელექტრონის და სითბოს გედასაცემი საშუალება. აქვე იქნება შკოლა და კრებისთვის საჭირო ოთახები. აქვე მოეწყობა ერთი საზოგადო სამზარეულო, რომლითაც ყველანი ისარგებლებენ. ადვილათ შეიძლება, რომ საჭმლის გადაცემაც ავტომატიურათ მოეწყოს. ეს მოხერხდება სითბოს და სინათლის გადასაცემი მილების საშუალებით. საჭირო იქნება მხოლოდ სახლებში ამ ადგილების გაფართოვება. იქ მაშინ თავისუფლათ იმოძრავებს პატარა ელექტრონული ეტლი, რომელიც გადასცემს თავის ალაგას საჭმელ-სასმელს, როცა მას ტელეფონით მოითხოვენ. ასეა, მაგალ. მოწყობილი ელექტრონის ფოსტა, რომელიც დიდ ქალაქებში მიწის ქვეშაა გატარებული ერთი უმთავრესი საფოსტო დაწესებულებიდან მეორეში წერილების გადასაცემათ. ასე მოეწყობა საჭმელების სამზარეულოდან ოთახებში გადაცემაც. ეს გაცილებით უფრო ადვილი იქნება, ვინემ ჰაერში ფრენა, რაც ამ ცოტა ხნის წინეთ განუხორციელებელ ოცნებათ მიგვაჩნდა“. (Dokumente des Fortschritts. Heft 9. 1909).

სამსახურეში ხედავს „უმაღლესი კულტურის მატარებელს“. ევგენი რიხტერის მზგავსათ ტრეიჩკეც ძლიერ შეწუხებულია წაღების და ტანისამოსის გაწმენდით, რადგან მათი აზრით, ამ საქმის თავათ ასრულება ყველას არ შეუძლია, თუმცა ვინ არ იცის, რომ დღეს ცხრა შემთხვევაში ათიდან ამას ასრულებს თვითეული თავისთვის, ან ცოლი ქმრისთვის, ან ვაჟი და ან ქალიშვილი—მთელი ოჯახისთვის; ამიტომ ჩვენ შეგვეძლო გვეპასუხნა, რომ რასაც აქამდე ცხრა-მეათედი ასრულებდა, იმის ასრულება უკანასკნელ მეათედსაც არ გაუჭირდება, მარა არის სხვა გამოსავალიც. რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი აუცილებელი სამუშაო დაევალოს ორივე სქესის **ახალგაზრდობას?** შრომა სასირცხვო არაა, თუნდაც იგი ჩექმების წმენდაში გამოიხატოს, ეს შეიგნო არა ერთმა კეთილშობილმა აფიცერმაც, რომელთაგან ბევრი გარბის შეერთებულ შტატებში ვალებით შეწუხებული და იქ ჩექმების მწმენდელათ დგება. ბ. ევგენი რიხტერი თავის წიგნაკში „სოციალისტურ საიმპერიო კანცლერსაც“ კი ჩექმების გაწმენდის საკითხში აკარგვინებს პორტფელს, რის გამო ირღვევა „მომავალი სოციალისტური სახელმწიფოც“.

„სოციალისტური საიმპერიო კანცლერი“ უარს ამბობს თავის ხელით თავის ჩექმების გაწმენდაზე და ეს ხდება მისი დაღუპვის მიზეზათ!

სოციალიზმის მოწინააღმდეგენი აღტაცებაში მოვიდენ „მომავალ სახელმწიფოს“ ასეთი დასურათებით და ამით თვითონვე მისცეს თავის თავს გონებრივი სიღარიბის მოწმობა. ამით გამოააშკარავეს, თუ რა მცირეს მოითხოვენ ისინი სოციალიზმის კრიტიკისაგან. წარმოდგენილი მაქვს, რა მწუხარება უნდა გამოეცალა ბ. ევგენი რიხტერს, როცა მისმა პარტიულმა ამხანაგმა (ნიურენბერგიდან) სწორეთ მისი წიგნაკის გამოსვლის შემდეგ მოკლე დროში **გამოიგონა ჩექმების საწმენდი მანქანა;** ან როცა ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზე ნახავდა **ელექტრონის მანქანას წაღების საწმენდათ,** რომელიც საუცხოოთ ასრულებდა თავის დანიშნულებას. ამნაი-

რათ, პრაქტიკულათ გაუქმებულ იქნა ის საბუთი, რომელიც ევ. რიხტერმა და ტრეიჩკემ წამოაყენეს სოციალისტურ საზოგადოების წინააღმდეგ და რაც უმთავრესია, გაუქმებულ იქნა თვით ბურჟუაზიულ საზოგადოების მიერ აღმოჩენილი საშუალებებით.

ამგვარათ, რევოლიუციური გარდაქმნა, რომელიც ძირიანათ ცვლის ძველ ცხოვრების ყოველგვარ ურთიერთობებს და განსაკუთრებით ქალის მდგომარეობას, ჩვენ თვალწინ წარმოებს. და მხოლოდ დროს საკითხია ის, თუ როდის აიღებს თავის ხელში საზოგადოება ამ გარდაქმნის საქმეს, რომ გააფართოვოს, დააჩქაროს და გააერთიანოს ეს გარდაქმნის პროცესი და ამასთანავე **შეძლება მისცეს ყველას—გამოუკლებლივ ისარგებლონ მისი აუარებელი და მრავალგვარი ნაყოფით.**



## თ ა ვ ი XXVIII.

# დედაკაცი მომავალში.

ეს თავი შეგვიძლია შევამოკლოთ. ის შეიცავს მხოლოდ დასკვნებს, რომელნიც გამომდინარეობენ იქიდან, რაც აქამდე ვთქვით ქალთა მდგომარეობის შესახებ მომავალ საზოგადოებაში და რომელთაც თვით მკითხველიც ადვილათ გამოიყვანს.

ახალ საზოგადოებაში ქალი სოციალურათ და ეკონომიურათ სრულიად დამოუკიდებელია. მან არ იცის, რა არის ბატონობა და ექსპლოატაცია, მისი ნატამალიც კი გამქრალია. მამაკაცთან დამოკიდებულებაში იგი თავისუფალი და თანასწორია. ის თვითონაა მჭედელი თავისი ბედის. ის იზრდება ისე, როგორც მამაკაცი, გარდა ზოგიერთ გამონაკლისა, რომელიც მისი სქესობრივი განსხვავებით და სქესობრივი ფუნქციებით არის გამოწვეული. როგორც ბუნებრივ პირობებში მყოფს, მას ადვილათ შეუძლია თავისი ფიზიკურ და გონებრივ ძალის განვითარება თავის მოთხოვნილებების თანახმათ. ის ირჩევს თავის სამოქმედოთ ისეთ სფერას, რომელიც უფრო შეეფერება მის სურვილს, მიდრეკილებას და უნარს, და თანაბარ პირობებში ისიც ისე მოქმედებს, როგორც მამაკაცი. დღის ერთ ნაწილს პრაქტიკულ მუშაობას ანდომებს რომელიმე დარგში, მეორე ნაწილში ის მასწავლებლის, აღმზრდელის ან ავათმყოფის მომვლელის როლს კისრულობს, მესამეში—ხელოვნებას და მეცნიერებას სწავლობს, დანარჩენ დროს კი რაიმე ადმინისტრატიულ ფუნქციას ასრულებს. ის სწავლობს მეცნიერებას, შრომობს, სარგებლობს გართობით და

სიამოვნებით სხვა ქალებთან და კაცებთან ერთათ, როგორც მოესურვება და როცა ამის შემთხვევა მიეცემა.

საყვარელ მამაკაცის არჩევაში ისიც ისე თავისუფალია და დამოუკიდებელი, როგორც მამაკაცი დედაკაცის არჩევაში. ან ის ირჩევს, ან მას ირჩევენ, მარა ორივე შემთხვევაში მის შეკავშირებას არავითარი სხვა მოსაზრება არ ხელმძღვანელობს, გარდა მისი ბუნების ლტოლვილებისა. შეუღლება წარმოადგენს კერძო ხელშეკრულობას, რომელშიაც არავითარი თანამდებობის პირი არ ერევა, ისე, როგორც საშუალო საუკუნოებამდე არსებობდა. სოციალიზმი აქ ახალს არაფერს ქმნის, ის მხოლოდ ხელახლა იწვევს ცხოვრებაში და უმჯობეს საზოგადოებრივ წყობილების გამო უმაღლეს კულტურულ საფეხურზე აყავს ის, **რაც საყოველთაოთ ცნობილი იყო წინეთ; სანამ კერძო საკუთრება გაბატონდებოდა.**

ადამიანი თვითონ უნდა განაგებდეს თავის თავს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილებით სხვას ვნება არ მოუტანოს. **სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადამიანის კერძო საქმეა ისე, როგორც სხვა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.** არავინ არ აძლევს ამაში სხვას ანგარიშს და დაუკითხავათ არც არავინ უნდა ჩაერიოს; როგორ ვსვამ, ვჭამ და ვიცვამ—ეს ჩემი კერძო საქმეა და ამგვარივეა ჩემი დამოკიდებულება მეორე სქესის პირთან. გონებრივი განვითარება, პიროვნების სრული დამოუკიდებლობა, ყველა თვისებები, რომელიც საღი აღზრდისა და საზოგადოებრივ პირობების გამო ბუნებრივ სახეს მიიღებენ მომავალ წყობილებაში, ადვილათ დაიფარვენ ადამიანს ისეთ საქციელისაგან, რომელიც ვნების მომტანი იქნება მისთვის. მომავალ საზოგადოებაში კაცს და ქალს მეტი თვით-აღზრდა აქვს და მეტი ცოდნა თავის საკუთარი არსების, ვინემ დღევანდელ საზოგადოების ქალსა და კაცს. მარტო ის ფაქტი, რომ გაქრება სულელური და სასაცილო შიში ისეთ საგნებზე საუბრის, რომელნიც სქესობრივ ურთიერთობასთან არიან დაკავშირებული, თითქოს ისინი რაღაც დიდ საიდუმ-

ლოებას წარმოადგენდენ, შეუდარებლათ მეტ ბუნებრივობას შეიტანს სქესთა ურთიერთობაში, ვინემ ეს დღესაა. თუ ცოლ-ქმრული კავშირი ქალსა და კაცს შორის აუტანელი გახდა, თუ მათ ერთმანეთზე გული გაუტყდათ და მძულვარება იგრძნეს ერთი-მეორის, ზნეობრივობა მოითხოვს, რომ ასეთი კავშირი გაუქმდეს, როგორც არა ბუნებრივი და მაშასადამე უზნეო. და რადგან გაქრება ყველა ის პირობები, რომელნიც გაუთხოვრობას უქადდენ მრავალ ქალს, ან და თავის სხეულის გაყიდვას აიძულებდენ, ამიტომ გაქრება მამაკაცების უპირატესობაც ქალების წინაშე. მეორე მხრით შეცვლილი საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩამოაშორებს ცოლ-ქმრულ ცხოვრებას ბევრ დაბრკოლებებს და არევ-დარევას, რომელთაც ახლა ცუდი გავლენა აქვთ მაზე და რომელნიც ხშირათ სრულიად შეუძლებლათ ხდიან მას, ან ფრთის გაშლის ნებას არ აძლევენ. საზოგადოების ფართე წრეები თანდათან იგნებენ ქალთა თანამედროვე მდგომარეობის წინააღმდეგობას, უკუღმართობას, არა-ბუნებრივობას, რაც ნათლათაა გამოხატული როგორც სოციალურ, ისე ბელეტრისტულ ლიტერატურაში, თუმცა ხშირათ შეუფერებელი და უხერხული სახით. რომ თანამედროვე ქორწინება სრულიად არ შეეფერება თავის დანიშნულებას, ამას არც ერთი გონიერი ადამიანი არ უარყოფს; და ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ისეთი პირებიც კი, რომელთაც არ შეუძლიათ ბოლომდე გაყვენ ცხოვრების ლოღიკას და თანამედროვე საზოგადოებრივ წყობილების შეცვლა მოითხოვენ, სრულიად ბუნებრივათ თვლიან სიყვარულის თავისუფალ არჩევას და ცოლ-ქმრული კავშირის თავისუფალ დარღვევას; ისინი ფიქრობენ, რომ მხოლოდ პრივილეგიან კლასებს უნდა მიენიჭოს სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლება. აი რას ამბობს, მაგალ. მატილდა რეიხგარტ-შტრომბერგი თავის პოლემიკაში მწერალ ქალის ფანნი ლევალდის ემანსიპატორულ მისწრაფებების წინააღმდეგ:

„თუ თქვენ მოითხოვთ, რომ ქალი სავსებით გათანასწორებულ იქნეს მამაკაცთან სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვ-

რებაში, მაშინ ჟორჟ ზანდიც მართალია თავის ემანსიპატორულ მისწრაფებებში, რომელნიც მხოლოდ იმაში მდგომარეობენ, რაც დიდიხანია მამაკაცების უდაურ კუთვნილებას შეადგენს. **და, მართლაც, არ შეიძლება რაიმე გონიერი საბუთების მოყვანა იმის დასამტკიცებლათ, თუ რატომ უნდა მიცეს ამ თანასწორ-უფლოვანობაში მონაწილეობა მხოლოდ თავს და არა გულს ქალისას, რატომ არ უნდა იყოს იგი თავისუფალი—მიეცეს და მიიღოს ისე, როგორც მამაკაცის გულია თავისუფალი.** პირიქით, თუ დედაკაცს თვით ბუნებისგან მიცემული აქვს უფლება და ვალდებულიცაა,—ვინაიდან ჩვენ არ უნდა დავმარხოთ უქმათ მოცემული ტალანტი—ძალა დაატანოს, დასჭიმოს თავის ტვინის ძაფები, რათა მეტოქეობა გაუწიოს მეორე სქესის სულიერ გიგანტებს, მას იმის უფლებაც უნდა ქონდეს, რომ **ამ უკანასკნელებსავით ააჩქაროს თავის გულის-ძგერა სხეულის ძალთა თანასწორობის დასაცველათ იმ საშუალებებით, რომელიც მას საუკეთესოთ მიაჩნია.** არავითარ ზნეობრივ აღშფოთებას არ იწვევს ჩვენში, როცა ვკითხულობთ, რომ გიოტე (ჩვენ ვიღებთ ამ დიდებულ პირს მაგალითათ) ხშირათ და მრავალჯერ აპნევდა თავის გულის ცეცხლს და თავის დიდებულ სულის აღტაცებას ხან ერთი და ხან მეორე ქალის გულისთვის. დაკვირვებული ადამიანი ამაში არა ბუნებრივს არაფერს ხედავს, რადგან ის დიდი და ძნელათ დასაკმაყოფილებელი სულის პატრონი იყო და მხოლოდ ვიწრო მორალისტი გაამტყუნებს მის ასეთ მოქმედებას. მაშ, რატომ დასცინით თქვენ დიდსულოვან ქალებს?.. წარმოიდგინეთ, რომ ყველა ქალები ჟორჟ-ზანდისებური დიდი სულის პატრონი არიან, რომ ყველა ქალი ლუკრეცია ფლორინია, რომლის შვილები—ყველა სიყვარულის შვილებია—და ყველა ამ შვილებს იგი ზრდის ნამდვილი დედობრივი სიყვარულით და თავდადებით და ამასთანავე შეგნებულათ და გონივრულათ. რა მოუვიდოდა მაშინ ქვეყანას? **ყოველ ეჭვს გარეშეა, ქვეყანა მაშინაც ისე განაგრძობდა არსებობას და წინმსვლელობას, როგორც დღეს,**

**და შეიძლება გაცილებით უკეთესათაც ეგრძნო თავის თავი“.**

მაგრამ, რატომ მხოლოდ „დიდი სულის“ პატრონებს შეუძლია ასეთი მოთხოვნილებების წამოყენება? რატომ არ შეიძლება ეგევე მოითხოვონ სხვა, არა დიდ სულის პატრონებმაც? თუ გიოტეს და ჟორჟ ზანდს (ავიღოთ მხოლოდ ეს ორი დიდი პიროვნებები მრავალთაგან, რომელნიც ამგვარათ იქცეოდენ) შეუძლიათ თავის გულისთქმას აყვენ, თუ გიოტეს სიყვარულის ამბებიდან მთელი ბიბლიოთეკებია შემდგარი, რომელთაც რაღაც თაყვანისმცემლური გატაცებით ულაპავენ მისი პატივისმცემელი ქალები და კაცები, რათ უნდა დავგმოთ სხვებში ის, რაც გიოტეს და ჟორჟ ზანდის ხელში აღტაცების და ექსტაზის საგნათ არის გადაქცეული?

მართალია, სიყვარულის თავისუფალი არჩევანი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში განუხორციელებელია—ამას გვეუბნება მთელი ეს წიგნი, მარა აბა ყველანი ისეთ პირობებში ჩაყენეთ, როგორშიაც ახლა მხოლოდ ნივთიერათ უზრუნველყოფილნი და სულიერათ რჩეულნი იმყოფებიან და ნახავთ, რომ მაშინ ყველას შეძლება ექნება ასეთი თავისუფლებით ისარგებლოს. „ჟაკში“ ჟორჟ ზანდს აწერილი ყავს ქმარი, რომელიც თავის ცოლის ღალატის გამო ასეთ აზრებს გამოსთქვამს: „არც ერთ ადამიანს არ შეუძლია საზღვარი დაუდვას სიყვარულს და არავინ არა დამნაშავე, როცა მას გრძნობს ან კარგავს. ქალს თუ რამე ამცირებს—ეს მხოლოდ მატყუარობა. ქორწინება ირღვევა არა მაშინ, როცა ქალი მიდის თავის საყვარელ არსებასთან, **არამედ მაშინ, როცა ის ამის შემდეგ ისევ ქმართან ათევს ღამეს“**. ამიტომ ჟაკი მოვალეთ თვლის თავს—ადგილი დაუთმოს თავის მეტოქეს (ბორელს) და ასეთ ფილოსოფიას გამოსთქვამს ამის გამო: „ბორელი რომ ჩემს ადგილას ყოფილიყო, ლაზათიანათ მიბეგვავდა თავის ცოლს და შემდეგ ისევ მოხვევდა მკლავებს სასიყვარულოთ ცემითა და კოცნით შეურაცხყოფილ დედაკაცს და არც კი გაწითლდებოდა სირცხვილისაგან. არიან ისეთი მამაკაცები, რომელნიც აღმოსავ-

ლეთური ჩვეულებისამებრ კლავენ თავის მოღალატე ცოლს, რადგან ისინი ისე უცქერიან მას, როგორც თავის კანონიერ საკუთრებას; მეორენი ჩხუბს უტეხენ თავის მეტოქეს, კლავენ, ან დევნიან მას და შემდეგ ალერსსა და კოცნას თხოვენ თავის ცოლს, რომელიც მათ, როგორც ირწმუნებიან, თურმე ძლიერ უყვართ, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ზიზღით გაურბის თავის მტანჯველს, ან სასოწარკვეთილი, იმედ-მიხდილი ეძლევა მას. ეს ჩვეულებრივი მოქმედებაა ცოლ-ქმრული სიყვარულის და მე მგონია, რომ ღორების სიყვარულიც არაა ისე მდაბალი და უხამსი, როგორც ასეთი ადამიანების" *). ზემო-მოყვანილ ამონაწერის შესახებ ბრანდესი შენიშნავს: „ეს ქეშმარიტება, რომელიც თანამედროვე განათლებულ ქვეყანას ელემენტარულ ქეშმარიტებათ მიაჩნია, ამ 50 წლის წინათ აღმშფოთებელ სოფიზმათ ითვლებოდა". მარა აშკარათ ჟორჟ ზანდის აზრების მომხრეობას დღემდე ვერ ბედავს „შეძლებული და განათლებული ქვეყანა", თუმცა ფაქტიურათ უკვე ახორციელებს მათ ცხოვრებაში. როგორც მორალის და სარწმუნოების სფერაში, ისე ცოლ-ქმრულ კავშირის შესახებაც ვერ იშლის ის ფარისევლობას.

რასაც გიოტე და ჟორჟ ზანდი სჩადიოდენ, იმასვე სჩადის დღეს ათასი და ათი-ათასი სხვა, რომელთაც გიოტესა და ჟორჟ ზანდს ვერ შევადარებთ, მარა ამით ოდნავათაც არ კარგავენ თავის სახელს და გავლენას საზოგადოებაში. საჭიროა მხოლოდ თვალსაჩინო ადგილი გეჭიროს საზოგადოებაში და მაშინ ყველაფერი თავისთავათ მოეწყობა. მიუხედავათ ამისა, გიოტე და ჟორჟ ზანდის თავისუფალი მოქმედება ბურჟუაზიული მორალის თვალსაზრისით, დიდ უზნეობათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ის დარღვევაა საზოგადოებაში მიღებულ მორალურ კანონების და სავსებით ეწინააღმდეგება თანამედროვე სოციალურ მდგომარეობის ბუნებას. ძალდატანებით ქორწინება ნორმალურ მოვლენათ ითვლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში; კიდევ მეტი, ეს ერთათ-ერთი ფორმაა მორალური

*) გეორგ ბრანდეს. ლეიპციგი 1888 წ.

სქესობრივი შეერთების. ყველა სხვაგვარი შეერთება კი უზნეობაა. ბურჟუაზიული ქორწინება, როგორც ჩვენ უცილობლათ დავამტკიცეთ, გამომდინარეობს ბურჟუაზიული ქონებრივ ურთიერთობისაგან, იგი მჭიდროთ დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან, მემკვიდრეობის უფლებასთან და მიზნათ აქვს „კანონიერ შვილების“ წარმოშობა მემკვიდრეებათ. საზოგადოებრივი პირობების გავლენით ამას თავზე ახვევენ იმათაც, ვისაც სამემკვიდრეო არაფერი გააჩნია; ეს საზოგადოებრივი კანონია, რომლის დარღვევას სახელმწიფო სდევნის იმით, რომ სატუსაღოში სვამს ქალსა და კაცს, ვინც კი ცოლ-ქმრულ კავშირს უღალატებს*).

სოციალისტურ საზოგადოებაში სამემკვიდრეო არაფერი იქნება, თუ მემკვიდრეობათ არ ჩავთვლით სახლის ავეჯეულობას და პირად სამკაულს, ასე რომ ამ მხრივაც ქორწინების თანამედროვე ფორმას ნიადაგი გამოეცლება. ამასთანავე მოისპობა მემკვიდრეობის უფლების საკითხი, რომლის გაუქმება სოციალიზმს არც კი დასჭირდება. თუ კერძო საკუთრება არ არსებობს, მემკვიდრეობის უფლება ვისთვის რა საჭიროა?

ამნაირათ, დედაკაცი **თავისუფალია** და ბავშვები არ ეზღუდვენ მას ამ თავისუფლებას, მხოლოდ ცხოვრების სიამოვნების შემატება კი შეუძლიათ. აღმზრდელები, მეგობარი ქალები და მოზარდი ქალიშვილები დაეხმარებიან მას, როცა დახმარება საჭირო იქნება.

შეიძლება შემდეგშიაც გამოჩნდენ ისეთი კაცები, რომლებიც ა. გუმბოლდტივით იტყვიან: „მე არ ვარ ოჯახის მამათ გაჩენილი. გარდა ამისა, მე ცოლის შერთვა ცოდვათ მიმაჩნია,

*) აქიმი შეფლე თავის თხზულებაში: „შენობა და ცხოვრება სოციალური სხეულის“ ასე ამბობს: „განქორწინების გაადვილებით ცოლ-ქმრული კავშირის შესუსტება, რასაკვირველია, სასურველი არაა, რადგან იგი ადამიანთა შეერთების ზნეობრივ მიზნების წინააღმდეგია და ენება მოაქვს მცხოვრებთა გამრავლებისა და ბავშვების აღზრდისათვის“. ზემო-თქმულის თანახმათ, ჩვენ ასეთი შეხედულება არა თუ შემცდარათ მიგვაჩნია, პირდაპირ უზნეობათ ვთვლით მას. იგივე შეფლე აღიარებს, რომ საზოგადოებაში, რომელიც უფრო მაღალ კულტურულ საფეხურზე დგას, ვინემ დღევანდელი, შეუძლებელია ისეთი დაწესებულების შემოღება და შენახვა, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მის ზნეობრივ შეხედულებ.ს.

ბავშვების გაჩენა დანაშაულობათ". მერე რა? სხვების ბუნებრივ მოთხოვნილებათა ძალა იზრუნებს ამ დანაკლისის შევსებაზე. ჩვენ არ გვაწუხებს არც გუმბოლდტის მიერ ქორწინების შეზარება, არც ფილოსოფიური პესიმიზმი შოპენჰაუერის, მანლენდერის, ან ფონ-გარტმანის, რომელთაც გონიათ, რომ „იდეალურ სახელმწიფოში" კაცობრიობა თავის თავის მოსპობამდე მივა. ამაზე ჩვენ ისეთივე შეხედულების ვართ, როგორც ფ. რ. რატცელი, რომელიც სრულიად სამართლიანათ სწერს: „ადამიანმა აღარ უნდა შეხედოს აწი თავის თავს, როგორც გამონაკლს ბუნების კანონებიდან; მან უნდა გამოძებნოს კანონიერება თავის საკუთარ მოქმედებასა და აზროვნებაში და ეცადოს ბუნების კანონების თანახმათ მოაწყოს თავის სიცოცხლე. მაშინ იგი იქამდე მივა, რომ თავის მზგავსთან შეკავშირებულ ცხოვრებას, ე. ი. ოჯახსა და სახელმწიფოს, წარსულ საუკუნეთა შეხედულების თანახმათ კი არ მოაწყობს, არამედ გონივრულ პრინციპზე ააშენებს თანახმათ ბუნებრივი შემეცნებისა. პოლიტიკა, მორალი, უფლებრივი პრინციპი, რომელნიც დღეს ყოველგვარ წყაროებიდან საზრდოობენ, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივ კანონებს დაემორჩილებიან. ღირსეული ადამიანური ცხოვრება, რომელზედაც მრავალ ათას წლების განმავლობაში ოცნებობდენ საუკეთესო ადამის შვილები, ბოლოს სინამდვილეთ გადაიქცევა" *).

ასეთი დრო **მდევის ნაბიჯით გვიახლოვდება.** ადამიანთა საზოგადოებამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში განვითარების ყველა ფაზა გამოიარა, რომ ბოლოს ისევ მისდგომოდა იმას, საიდანაც დაიწყო, ე. ი. კომუნისტურ საკუთრებას, სრულ ძმობასა და თანასწორობას, მარა არა მარტო საგვარეულოს წევრებისათვის, არამედ **ყველა ადამიანებისთვის.** ასეთია პროგრესის დიადი გზა. თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა, რომლის დამყარებას ამაოთ შეეცადა ბურჟუაზიული საზოგადოება, რომელზედაც მან წაიტეხა ფეხი და კვლავაც წაიტეხს, განხორციელდება მხოლოდ სოციალისტურ წყო-

*) ამოღებულია ჰეკელიდან: „ბუნებრივი ისტორია შექმნისა".

ბილებაში. ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ შესძლო მხოლოდ თეორიის შემუშავება, პრაქტიკა კი, როგორც სხვა მრავალ საგნებში, აქაც ეწინააღმდეგება მის თეორიას. მხოლოდ სოციალიზმი შეაერთებს თეორიასა და პრაქტიკას.

მარა უბრუნდება რა თავის განვითარების გამოსავალ წერტილს, კაცობრიობა ახლა განუსაზღვრელათ უფრო მაღალ კულტურულ საფეხურზე დგას, ვინემ ამ წერტილიდან გამოსვლის ხანაში იდგა. პირველყოფილ საზოგადოებას, საგვარეულოს ან კლანს საზოგადო საკუთრება ქონდა, მარა მოუხეშავი, ტლანქი ფორმით და სრულიად განუვითარებელ მდგომარეობაში. განვითარების გზამ, რომელიც მას შემდეგ გაიარა საზოგადოებამ, სრულიად მოსპო საზოგადო საკუთრება, გარდა მცირეოდენ უმნიშვნელო ნაშთებისა, დაარღვია საგვარეულოები და ბოლოს ატომებათ დაყო მთელი საზოგადოება, მარა თავის სხვა-და-სხვა ფაზებში მან ძლიერ მაღლა ასწია საზოგადოების საწარმოო ძალა და გაამრავალფეროვანა მოთხოვნილებები, გვარისა და ტომებისაგან შექმნა ერი, ნაცია და მსხვილი სახელმწიფოები; ამასთანავე მან წარმოშვა ისეთი მდგომარეობა, რომელიც სასტიკათ ეწინააღმდეგება საზოგადოების მოთხოვნილებებს. მომავლის ამოცანა ამიტომ ისაა, რომ გადაჭრას ეს წინააღმდეგობა, ხელახლა საზოგადო კუთვნილებათ გადააქციოს მიწა და შრომის იარაღები და უფრო ფართო საფუძველი მისცეს მას.

სიზოგადოება უკანვე იბრუნებს იმას, რაც ოდესღაც მის კუთვნილებას შეადგენდა და რაც თვითონ მან შექმნა. იგი შესაძლებლათ ხდის ყველასთვის ახლათ შექმნილ პირობების თანახმათ მოაწყოს თავის ცხოვრება კულტურის **უმაღლეს** საფეხურზე, ე. ი. ის **აკუთნებს ყველას იმას, რაც პრიმიტიულ მდგომარეობაში შეიძლებოდა მხოლოდ კერძო პირების, ან კლასების პრივილეგია ყოფილიყო.** ახლა დედაკაცი **ხელახლა** მოიპოვებს **აქტიურ** როლს, რომელიც ოდესღაც ეპირა მას პირველყოფილ საზოგადოებაში, მაგრამ არა

როგორც ქალბატონი, არამედ როგორც თანასწორი წევრი საზოგადოების.

„სახელმწიფოებრივ განვითარების დასასრული სავსებით ემზგავსება კაცობრიობის არსებობის დასაწყისს. პირველყოფილი თანასწორობა ხელახლა ბრუნდება. ყოფა-ცხოვრება დედის უფლებაზე დამყარებული,—აი ამით იწყება და ბოლოვდება ადამიანთა საზოგადოების ისტორიის რგოლი". ასე სწერს ბახოფენი თავის თხზულებაში—„დედობრივი უფლება". მორგანი ასეთ აზრს გამოსთქვამს: „ცივილიზაციის დასაწყისიდან სიმდიდრის ზრდა ისე ძლიერდება, სიმდიდრით სარგებლობა ისე ვრცელდება, მისი ფორმები ისე მრავალგვარი ხდება, გამგეობა იმდენათ დახელოვნებულია კერძო მესაკუთრეთა ინტერესების სასარგებლოთ, რომ ხალხისთვის ეს სიმდიდრე ისეთ ძალათ გადაიქცა, რომელსაც ადამიანი ვერ მოერევა". ადამიანის გონება უმწეოთ და უიმედოთ დგას დღეს ამ თავის ქმნილების წინაშე. მარა მოვა დრო, როცა ადამიანის გონება იმდენათ გაღონიერდება, რომ ამ სიმდიდრეზე გაბატონებას მოახერხებს; მაშინ ის განსაზღვრავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას საკუთრებასთან, რომელსაც ის იცავს და საზღვარს დაუდებს კერძო მესაკუთრეთა უფლებებს. **საზოგადოების ინტერესები აბსოლიუტურათ წინ დგას კერძო პირთა ინტერესებზე, ერთიც და მეორეც უნდა სამართლიანათ და ჰარმონიულათ შეთანხმებულ იქნენ ერთმანეთთან.** მხოლოდ სიმდიდრის გამოკიდება არ წარმოადგენს კაცობრიობის საბოლოო დანიშნულებას; პროგრესი კი მომავალშიაც კანონათ რჩება ისე, როგორც წარსულში იყო. ცივილიზაციის დაწყებიდან გასული ხანა მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს კაცობრიობის განვლილ ხანისას, და უფრო მცირე ნაწილს იმ დროისას, რომელიც მან აწი უნდა გაიაროს. საზოგადოების გახრწნა, რომელიც მუქარით დგას ჩვენს წინაშე, დასასრულს უქადის იმ ისტორიულ გზას, რომლის ერთათ ერთი მიზანი სიმდიდრის შეძენა იყო; იმიტომ რომ, ასეთი ცხოვრების გზა თავის წიაღში ატარებს მის გამხრწნელ ელემენტებს.

**„დემოკრატია მმართველობაში, ძმობა საზოგადოებაში, თანასწორობა უფლებაში, საყოველთაო აღზრდა — აი, ნათელი სხივი მახლობელი უმაღლესი საფეხურის, რომლისთვისაც განუწყვეტლივ მუშაობს გამოცდილება, გონება და მეცნიერება.**

ეს იქნება აღდგენა უმაღლესი ფორმით ძველი საგვარეულოს თავისუფლების, ძმობის, თანასწორობის“.

ამნაირათ, სულ სხვა-და-სხვა თვალსაზრისის მიუხედავათ, მეცნიერები მეცნიერულ კვლევის საშუალებით ერთ და იმავე დასკვნამდე მივიდენ. დედაკაცის სრული ემანსიპაცია და მისი გათანასწორება მამაკაცთან,—აი ერთი მიზანთაგანი ჩვენი კულტურული განვითარების, რომლის განხორციელებას ვერავითარი ძალა ვერ გადაეღობება დედამიწის ზურგზე. მარა მას საფუძვლათ უნდა დაედვას ის სოციალური გარდაქმნა, რომელიც მოსპობს ადამიანის ბატონობას ადამიანზე და ამნაირათ კაპიტალისტის ბატონობას მუშებზე. მხოლოდ მაშინ მიაღწევს კაცობრიობა თავის უმაღლეს განვითარებას. მხოლოდ მაშინ დადგება „ოქროს საუკუნე“, რომელზედაც ათას-წლობით ოცნებობდა კაცობრიობა. **კლასიური ბატონობა მიაღწევს თავის აღსასრულის დღეს და მასთან ერთათ აღსასრული დაუდგება მამაკაცის ბატონობას დედაკაცზე.**

## თ ა ვ ი XXIX.

## ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი.

ღირსეული, ადამიანური არსებობა შეუძლებელია მხოლოდ ერთ რომელიმე რჩეული ხალხის ხვედრი იყოს, რადგან ის ამ შემთხვევაში განცალკევებული იქნება და ასეთ მდგომარეობის დამყარებას და შენარჩუნებას ვერ შეიძლებს. მთელი ჩვენი განვითარება საერთაშორისო და ნაციონალურ ძალთა და ურთიერთობათა გავლენის ნაყოფია. თუმცა ნაციონალური იდეა დღესაც ხშირათ ბატონობს ადამიანთა გონებაში და

იარაღია სოციალურ და პოლიტიკურ ბატონობის, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ ნაციონალურ ფარგლებში, მარა მიუხედავათ ამისა, ჩვენ უკვე დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ, ინტერნაციონალიზმისაკენ.

სავაჭრო, საბაჟო, სანაოსნო ხელშეკრულობები, მსოფლიო საფოსტო კავშირი, საერთაშორისო გამოფენები, კონგრესები საერთაშორისო უფლების და საერთაშორისო წონა-ზომების, აგრეთვე სხვა საერთაშორისო მეცნიერული კონგრესები და კავშირები, საერთაშორისო მეცნიერული ექსპედიციები, აღებ-მიცემობა და ტრანსპორტი, განსაკუთრებით მუშათა საერთაშორისო კონგრესები, რომელნიც ახალი დროის მომასწავებელია და რომელთა გავლენით უნდა აიხსნას ის, რომ 1890 წელს გერმანიის იმპერიის მოწოდებით შესდგა ბერლინში საერთაშორისო კონფერენცია მუშათა კანონმდებლობის შესამუშავებლათ—ყველა ეს მოწმობს, რომ კულტურულ ერთა ურთიერთობამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო, მიუხედავათ მათი ნაციონალურ განცალკევებისა, რომელიც ძალიან ხშირათ ირღვევა. ნაციონალური მეურნეობის მაგიერ ჩვენ ვამბობთ მსოფლიო მეურნეობაზე და ამ უკანასკნელს უფრო მეტ მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან უმთავრესათ მაზეა დამოკიდებული კერძო ნაციათა კეთილდღეობა და წარმატება. ჩვენი ნაწარმოებთა კარგა დიდი ნაწილი იცვლება სხვა ქვეყნის ნაწარმოებებზე და უამისოთ ჩვენ არსებობა არ შეგვიძლია. და როგორც ერთ დარგში წარმოების შეფერხება ვნებს დანარჩენ დარგებს, ისე ერთი ქვეყნის ნაციონალური წარმოების შეფერხება საგრძნობელ ვნებას აყენებს სხვა ერთა წარმოებას. ცალკე ქვეყნების დამოკიდებულება ერთმანეთთან, მიუხედავათ გარდამავალ ხან-გამოშვებით არევ-დარევისა, როგორიცაა ომები და ერთა ერთი-მეორეზე მისისიანება,—თანდათან მჭიდრო და ძლიერი ხდება, რადგან ამას მოითხოვს ყველაზე ძლიერი ინტერესები, სახელდობრ, ნივთიერი. ამ ურთიერთობას ამაგრებს ყოველი ახალი გზის გაყვანა, მიმოსვლის საშუალებათა ყოველი გაუმჯობესება, ყოველი გამო-

გონება და გაუმჯობესება წარმოების სფერაში, რომელიც აიაფებს საქონელს. ამ შემაერთებელ ჯაჭვში დიდი მნიშვნელობა აქვს პირდაპირი დამოკიდებულების დამყარებას, რომელიც ერთი-მეორეზე დაშორებულ ერებსა და ქვეყნებ შორისაც ადვილი შესაძლებელია. მეორე მძლავრ ბერკეტს წარმოადგენს გადასახლება და კოლონიზაცია. ერთი ერი ბევრ რამეს სწავლობს მეორისგან, მეორე ცდილობს გაუსწროს მესამეს და ასე. სხვა-და-სხვა ნივთიერ ნაწარმოებთა გაცვლას თან მოსდევს ადამიანის გონებრივ ნაწარმოებთა გაცვლა, როგორც ორგინალის, ისე თარგმანების საშუალებით. ახალ, უცხო ენების შესწავლა მილიონი ადამიანისთვის მიუცილებელ საჭიროებათ ხდება. ნივთიერ სარგებლობის შემდეგ, არაფერი ისე ძლიერ არ უწყობს ხელს ერთა შორის ანტიპატიის გაქრობას და სიმპატიის დამყარებას, როგორც უცხო ერის ენისა და ლიტერატურის გაცნობა.

ამ დაახლოვების პროცესს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის ნიადაგზე წარმოებს, უნდა მიეწეროს ის, **რომ სხვა-და-სხვა ქვეყნები თანდათან ემზგავსებიან ერთმანეთს თავის სოციალური მდგომარეობით.** ყველაზე პროგრესიულ და **ამიტომ უმთავრეს მნიშვნელობის მქონე** კულტურულ ერებში ეს მზგავსება იმდენათ დიდია, რომ ვინც ერთი მათგანის ეკონომიურ აგებულებას შეისწავლის, მას ამით ეცოდინება უკვე საზოგადო ხასიათი დანარჩენ ქვეყნების. აქაც დაახლოვებით იმასვე ვხედავთ, რასაც ბუნებაში, სადაც ერთი მოდგმის ცხოველებს ყველას ერთგვარი ჩონჩხის აგებულობა და წყობილება აქვთ, ასე რომ თუ ჩონჩხის ერთი ნაწილი ხელთა გაქვს, თეორეტიულათ შეგიძლია მთელი ცხოველის სურათი აღადგინო.

აქედან გამოდის შემდეგი დასკვნა: სადაც ერთგვარი სოციალური საფუძველი არსებობს, იქ მოქმედებაც ერთგვარი უნდა იყვეს—დიდძალი სიმდიდრის დაგროვება და მისი წინააღმდეგობანი, დაქირავებული შრომის მონობა, მანქანების საშუალებით მასსის დამორჩილება, შეძლებულ უმცირესობის

ბატონობა მასსაზე ყველა იმ შედეგებით, რომელნიც იქედან გამომდინარეობენ.

მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ კლასიურ წინააღმდეგობას და კლასიურ ბრძოლას, რომელიც აზანზარებს მთელ გერმანიას, გაჩაღებულია აგრეთვე დანარჩენ ევროპასა, შეერთებულ შტატებსა, ავსტრალიასა და სხვა ქვეყნებში. მთელ ევროპაში, რუსეთიდან პორტუგალიამდე, ბალკანეთიდან, ჰუნგრეთიდან და იტალიიდან—ინგლისამდე და ირლანდიამდე მეფობს ერთი და იგივე სული უკმაყოფილების, ერთი და იგივე სიმპტომები სოციალური მღელვარების, ხვალინდელ დღეში დაურწმუნებლობის და დაშლა-დარღვევის. გარეგნული სახე ამ მოძრაობისა სხვა-და-სხვა ქვეყნებში განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელ საფეხურზე დგას განვითარება, როგორია მცხოვრებთა თვისებები და მათი პოლიტიკური მდგომარეობა; არსებითათ კი ყველგან ერთი და იგივეა. მათი მიზეზი ღრმათაა ჩამარხული სოციალურ წინააღმდეგობებში. მოძრაობა წლითი წლობით მწვავდება, მღელვარება და უკმაყოფილება ღრმათ და ფართეთ ედება საზოგადოებრივ ორგანიზმს, სანამ რომელიმე უკანასკნელი საბაბი (შეიძლება სრულიად უმნიშვნელო) არ გამოიწვევს საერთო აფეთქებას. მაშინ ის ელვის სისწრაფით მოედება მთელ კულტურულ ქვეყანას და ყველა სოციალურ ძალებს გამოიწვევს ბრძოლის ველზე, როგორც მომხრეს, ისე მოწინააღმდეგეს.

გაცხრველდა ბრძოლა ძველსა და ახალ ქვეყანას შორის. ბრძოლის ასპარეზზე გამოდის მასსა, ბრძოლაში ჩაბმულია აუარებელი გონებრივი ძალა, ცოდნა, ინტელიგენტობა, რომლის მზგავსი არც ერთ ბრძოლაში არ უხილავს ქვეყნიერებას და ვერც იხილავს მეორეთ ამგვარსავე შეჯახებაში, **იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სოციალური ბრძოლაა.** მე-XX საუკუნის დასაწყისში ნათლათ სჩანს, როგორ უახლოვდება ეს ბრძოლა თავის უკანასკნელ ფაზისს, რომელიც ახალი იდეების გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ახალი საზოგადოება საერთაშორისო საფუძველზე შენდება. ერთა შორის ძმური კავშირი დამყარდება, ისინი ძმურათ ხელს გაუწვდიან ერთი მეორეს და მხოლოდ იმის ცდაში იქნებიან, რომ ახალი მდგომარეობა მთელ დედამიწაზე გაბატონდეს*). ერთი ერი დაუახლოვდება მეორეს არა როგორც მტერი, არა იმ მიზნით, რომ ექსპლოატაცია გაუწიოს და შეავიწროვოს, არა როგორც უცხო სჯულის წარმომადგენელი, რომელსაც უნდა თავის სჯული მას თავზე მოახვიოს; არა, ის დაუახლოვდება როგორც მეგობარი, რომელსაც სურს მისი აღზრდა და კულტურულ ერათ გარდაქმნა. ახალი საზოგადოების კულტურული და საკოლონიზაციო მუშაობა თავის არსებით და საშუალებებით ისე განირჩევა თანამედროვე კოლონიალურ პოლიტიკისაგან, როგორც ახალი საზოგადოება —დღევანდელისაგან. მაშინ არ აამოქმედებენ თოფებსა და ზარბაზნებს, არ წაიმძღვარებენ წინ არაყსა და სამღვთო-წერილს. კულტურულ მისიას მშვიდობიანი მიზანი ექნება, რომელიც დაანახვებს ბარბაროსებს და ველურებს, რომ ცივილიზატორები მათ სამტროთ კი არ არიან მოსულები, არამედ **სამეგობროთ**. გონიერმა მოგზაურებმა და მკვლევარებმა დიდიხანია იციან, რამდენათ ნაყოფიერია ასეთი მაგობრობა. როცა დიდი ერები ერთ დიდ ფედერაციათ შეკავშირდებიან, ომის ყიჟინა სამუდამოთ შეწყდება. საუკუნო მშვიდობა განუხორციელებელი ოცნება აღარ იქნება, როგორც არწმუნებენ ქვეყანას მუნდიროსნები. როცა ხალხს შეგნებული აქვს თავის ნამდვილი ინტერესები, იცოდეთ, რომ ეს დრო დამდგარია. ამ ინტერესებს ემსახურება არა შფოთი და ომი, არა ჯარი და შეიარაღება, რომელიც წელში სწყვეტს მთელ ერებს და ქვეყნებს, არამედ მშვიდობიანი შეთანხმება და შეერთებული კულტურული მუშაობა. გაბატონებული კლასები და მათი მართე-

*) ნაციონალური ინტერესები სრულიადაც არ ეთანხმებიან დღეს კაცობრიობის ინტერესებს. ცივილიზაციის უმაღლეს საფეხურზე ეს მოწინააღმდეგე ინტერესები ერთი მეორეს შეუერთდებიან, მაშინ ერთნაირ ინტერესებს ექნება მარტო ალაგი.

ბლობა შეიარაღებაზე ერთგული ზრუნვით აღწევენ იმას, რომ, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, სამხედრო შეიარაღება და ომები ბოლოს და ბოლოს საშინელებათ გადაიქცევიან და შეუძლებელი ხდება. ამნაირათ, ეს უკანასკნელი იარაღიც, როგორც ყველა წინანდელები, სიძველეთა მუზეუმში გადასახლდება, რათა მომავალმა თაობებმა დაინახონ, როგორ მხეცებივით ესეოდენ და ჟლეტდენ ერთმანეთს მათი წინაპრები, სანამ უკანასკნელ ადამიანმა არ სძლია „მხეცს“ თავის არსებაში.

რომ ომები შედეგია მხოლოდ ნაციონალური განთვითების და ინტერესთა წინააღმდეგობის, რომელსაც ხან აქ, ხან იქ ხელოვნურათ აზვიადებენ გაბატონებული კლასები, რათა დიდი ომით გამოსავალი გზა მისცენ საშიშ შინაურ მოძრაობას, ამას ცხადათ ამტკიცებს გარდაცვალებულ ფელდმარშალის—მოლტკეს სიტყვები მისი სიკვდილის შემდეგ გამოსულ მის ნაწარმოებთა I ტომში, რომელიც საფრანგეთ-გერმანიის 1870 წლის ომს შეეხება; იქ ასეთ შენიშვნას ვკითხულობთ წინასიტყვაობაში:

**„სანამ ერები განცალკევებულ-განთვითებულ ცხოვრებას ატარებენ, მათ შორის ყოველთვის იქნება დავა, რომლის გადაჭრა მხოლოდ იარაღს შეუძლია. კაცობრიობის ინტერესებისათვის, იმედი უნდა ვიქონიოთ, მომავალში ომები უფრო იშვიათი გახდება, მარა ამასთანავე უფრო საშინელიც“**. მარა ეს ეროვნული განთვითება, ე. ი. მტრული განცალკევება ერთი ერისა მეორისაგან, თანდათან ქრება მიუხედავათ იმისა, რომ მოწინააღმდეგენი ცდას არ აკლებენ მის შესაჩერებლათ. ამნაირათ, მომავალ თაობებს ბევრი შრომა არ დასჭირდებათ იმის განსახორციელებლათ, რის განხორციელებაზე ამდენს ფიქრობენ გენიალური ადამიანები, მარა მიზანს ვერ მიაღწიეს. ასე, მაგალ. კონდორსემ წამოაყენა იდეა ერთი მსოფლიო ენის შემუშავების. შეერთებულ შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა — უილლის გრანტმა, ერთ თავის სიტყვაში სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „რადგან აღებ-მიცემო-

ბამ, სწავლამ, აზრების და ნივთების სწრაფმა გადაცემ-გადმოცემამ ერთიანათ შესცვალა ყველაფერი, მე ვფიქრობ, რომ ღმერთი ამზადებს ქვეყანას **ერთ ერათ** გადასაქცევლათ **ერთი** ენით და ისეთ უნაკლულო მდგომარეობით, როცა ჯარი და სამხედრო ფლოტი საჭირო არ იქნება". სრულიად ბუნებრივია, რომ წმინდა სისხლის იანკის თვალში ღმერთი, რომელიც ნაყოფია ისტორიულ განვითარების, ასეთი მომრიგებლის როლს თამაშობს. ეს არ უნდა გვიკვირდეს: ფარისეველობა და აზრის სივიწროვე სარწმუნოებრივ საკითხებში არსად ისე არაა გაძლიერებული, როგორც შეერთებულ შტატებში. რამდენათაც სუსტია სახელმწიფო ძალა და თავის ორგანიზაციის საშუალებით მასსის მორჩილებაში ყოლა არ შეუძლია, იმდენათ ეს როლი სხვა ძალამ—სარწმუნოებამ, ეკლესიამ უნდა იკისროს. ამიტომ ბურჟუაზია ყველაზე უფრო მართლ-მორწმუნეა იქ, სადაც სახელმწიფო ძალა სუსტია. ასეა შეერთებულ შტატებს გარდა ინგლისში, ბელგიაში და შვეიცარიაში. რევოლიუციონერი რობესპიერი, რომელიც ისე ათამაშებდა არისტოკრატების და სამღვდელოების თავებს, როგორც კეგელის ბურთებს*), როგორც ვიცით, თვითონ ძლიერი რელიგიოზური ადამიანი იყო და ამიტომ უბრძანა ხელახლა ეღიარებინათ უმაღლესი არსება, რომელიც რამდენიმე ხნის წინეთ კონვენტმა გაუქმებულათ გამოაცხადა, რაც ისეთივე უაზრობა იყო, როგორც მისი ხელახლა შემოღება. რადგან საფრანგეთის რევოლიუციის დაწყებამდე საფრანგეთის ქარაფშუტა და გარყვნილი არისტოკრატია თავს იწონებდა თავის ათეისტობით, რობესპიერმა მასში რაღაც არისტოკრატიული დაინახა და პირდაპირ ასეთი სიტყვებით დასძინა კონვენტთან: **„ათეიზმი არისტოკრატიულია.** უმაღლეს არსების იდეა, რომელიც იფარავს უდანაშაულოთ დაჩაგრულს და სჯის გამარჯვებულ ბოროტმოქმედებას—სავსებით ხალხური იდეაა. **კიდეც რომ არ იყოს ღმერთი, იგი საჭიროა გამოვიგონოთ"**. კეთილ-მსახურმა რობესპიერმა იცოდა, რომ სათნოებით სავსე ბურჟუ-

*) ერთნაირი სათამაშო ხის ბურთებია.

აზიული რესპუბლიკა ვერ შესძლებდა სოციალურ წინააღმდეგობათა შერიგებას. **აქედან რწმენა უმაღლეს არსების**, რომელიც სამართალს მიუზღავს ყველას და აპით შეარიგებს იმას, რაც ადამიანებს ვერ შეურიგებია,—ასეთი რწმენა აუცილებელი საჭიროება იყო პირველი რესპუბლიკისთვის.

ეს დრო გავიდა. ერთი კულტურული პროგრესი გამოიწვევს მეორეს; კაცობრიობა წამოაყენებს და გადაჭრის სრულ ახალ-ახალ საკითხებს და ბოლოს ისეთ კულტურულ განვითარებას მიაღწევს, როცა აღარ იქნება ნაციონალური შუღლი, არც ომები, არც სარწმუნოებრივი მტრობა და სხვა ამგვარი ნაშთები წარსული ბარბაროსობისა.

## თ ა ვ ი XXX.

## მცხოვრებთა რაოდენობის საკითხი და სოციალიზმი.

### 1. მცხოვრებთა გადაჭარბებულ სიმრავლის შიში.

ისეთი ადამიანები მოიპოვებიან, რომელთაც **მცხოვრებთა რაოდენობის საკითხი** მიაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან და მწვავე საკითხათ, რადგან, მათი აზრით, მცხოვრებთა სიჭარბე ადვილი მოსალოდნელია, და ფაქტიურათ ის დღესაც არსებობს. ეს საკითხი განსაკუთრებით საერთაშორისო თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული, რადგან მცხოვრებთა გამოკვების და დასახლების საკითხი დღეს საერთაშორისო საკითხს წარმოადგენს. მცხოვრებთა საკითხის შესახებ მალტუსიდან მოყოლებული დღემდე დიდი კამათია გაჩაღებული. თავის ცნობილ თხზულებაში (ცდა მცხოვრებთა გამრავლების პრინციპის აღმოჩენისა), რომელსაც კ. მარქსის სიტყვით „ზერელე, შკოლნიკურ და ხუცურ-დეკლამატორულ პლაგიატს წარმოადგენს ჯემს სტიუარტის, ტოუნსენდის, ფრანკლინის, უელსის და სხვ. თხზულებებიდან“, რომელიც „არ შეიცავს არც ერთ დამოუკიდებლათ მოფიქრებულ დებულებას“, მალტუსს ის

აზრი აქვს გამოთქმული, რომ კაცობრიობა მრავლდება გეომეტრიული პროგრესიით (1, 2, 4, 8, 16, 32 და სხვ.) სასაზრდოო საშუალებათა რაოდენობა კი—არითმეტიკული პროგრესიით (1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და სხვ.). აქედან აუცილებელი დასკვნაა, რომ მცხოვრებთა რიცხვსა და სასაზრდოო ნივთიერებათა შორის არ არსებობს შეზომილ-შეწონილება, რის შედეგია მასსიური გაჭირვება და ბოლოს მასსიური სიკვდილი. ამიტომ აუცილებელია „თავდაჭერილობა“ ბავშვების გამრავლებაში. ვისაც საკმაო სახსარი არა აქვს ოჯახის გამოსაკვებათ, მან ქორწინებაზე უარი უნდა სთქვას, რადგან მის შთამომავლობას „ბუნების მეჯლისზე“ ადგილი არ ექნება.

მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლების შიში დიდიხანია არსებობს. როგორც ეს თხზულება გვეუბნება, ამის შიში იყო ძველ საბერძნეთსა და რომში, შემდეგ იგი გაჩნდა საშუალო საუკუნოების დასასრულში. ის თავს დასტრიალებდა პლატონს და არისტოტელს, რომაელებს და საშუალო საუკუნის დაბალ მოქალაქეთ, თავს დასტრიალებდა ვოლტერს, რომელმაც მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ვრცელი წერილი უძღვნა ამ საკითხს. მას მიყვენ სხვა მწერლებიც, სანამ ბოლოს თვითონ მალტუსმა ყველაზე მარტივათ და მკაფიოთ არ წამოაყენა ამ საშიშროების არსებობა.

მცხოვრებთა გადაჭარბებულ სიმრავლის შიში ყოველთვის მაშინ გამოჩნდება ხოლმე, როცა არსებული საზოგადოებრივი წყობილება გახრწნასა და დარღვევას განიცდის. ამ დროს აღმოცენებული უკმაყოფილება უნდათ გადააბრალონ მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლებას, საარსებო საშუალებათა სიმცირეს და არა ამ საშუალებათა მოპოვების და განაწილების სისტემას. ამ უკანასკნელს ერთგულათ აფარებენ ხელს.

ადამიანისაგან ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაცია დამყარებულია კლასიურ ბატონობაზე; კლასიურ ბატონობის პირველ და ყველაზე მოხერხებულ საშუალებას კი წარმოადგენს მიწის დასაკუთრება. საზოგადო კუთვნილებიდან იგი თანდათან კერძო საკუთრებათ გადადის; მასსა ხელცარიელი რჩება და

იძულებულია საარსებო საშუალებების მოსაპოვებლათ შეძლებულთ ემსახუროს. ასეთ გარემოებებში ოჯახისთვის ყოველი ახალი წევრის შემატება ისე, როგორც ახალი კონკურენტის გამოჩენა საგრძნობელ უბედურებას წარმოადგენს. ჩნდება ნიშნები მცხოვრებთა გადაჭარბებულ სიმრავლის, რომელიც იმდენათ მეტ შიშსა და ძრწოლას სთესს, რამდენათ მეტი მიწა გროვდება კერძო მონოპოლისტების ხელში და რამდენათ კარგავს იგი ნაყოფიერებას, ან იმიტომ რომ ცუდათ ამუშავებენ, ან იმიტომ რომ საყანე ადგილებს ცხვრების საბალახოთ უშვებენ, ან სანადირო ადგილებათ აქცევენ დიდი ბატონების გასართობათ, და ამნაირათ, ადამიანის სასაზრდოო ნივთიერებათა მოყვანა კლებულობს. რომმა და იტალიამ საშინელი სიძლიერით იგრძნეს პურის სიმცირე, როცა მთელი მიწა 3000 ლატიფუნდიების პატრონთა ხელში გადავიდა. ამან დაბადა აღშფოთებული ყიჟინი: „ლატიფუნდიები ღუპავენ რომსო“. მთელი იტალიის მიწები ვეებერთელა სანადირო და გასართობ ადგილებათ გადაიქცა და ხშირათ სრულიად დაუმუშავებელი რჩებოდა, რადგან მონების შრომით მისი დამუშავება უფრო ბევრ ხარჯს იწვევდა, ვინემ აფრიკიდან და სიცილიიდან საზრდოს შემოტანა. ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, პურის ვაჭრობის საქმე ჩარჩ-ბაცაცებს ჩაუვარდა ხელში და სპეკულიაციის საგნათ გადაიქცა, რაშიაც პირველი ადგილი რომის მდიდარ აზნაურებს ეპირათ. ეს იყო უმთავრესი მიზეზი ადგილობრივ პურის მოყვანის შეწყვეტისა. პურის ყიდვა-გაყიდვა და სპეკულიაცია მეტ მოგებას აძლევდა აზნაურებს, ვინემ თავის საკუთარი მიწის დამუშავება.

ასეთ პირობებში რომის ბიურგერი (მოქალაქე), ან გაკოტრებული აზნაური საუმჯობესოთ თვლიდა ცოლის შერთვასა და შვილების გაჩენაზე ხელი აეღო მიუხედავათ იმისა, რომ დაქორწინებისა და შვილების ყოლისათვის განსაკუთრებული პრემია (ჯილდო) იყო დანიშნული, რათა გაბატონებული კლასი არ შემცირებულიყო.

ამგვარ მოვლენას ვხედავთ აგრეთვე საშუალო საუკუნოების მიწურულში, როცა აზნაურობას და სამღვდელოებას მრავალ საუკუნოთა განმავლობაში შეჩენით, ძალით თუ მოხერხებით აუარებელ გლეხების საკუთრება და სათემო მიწები ქონდათ მითვისებული. როცა ამდენი უსამართლობით წელში გაწყვეტილი გლეხობა აჯანყდა, მაგრამ დათრგუნვილ იქნა, როცა გათამამებულ თავად-აზნაურობის მტაცებლობა ერთიორათ გაძლიერდა და გაუნამუსდა, როცა პროტესტანტი ხელმწიფეები ბოლოს საეკლესიო მიწებსაც გადასწვდენ წასართმევათ, მათი აოხრებული ქვეყანა ყაჩაღებით, მათხოვრებით და მაწანწალებით აივსო. ყველაზე მეტი იყო მათი რიცხვი რეფორმაციის შემდეგ. გაძარცულმა გლეხობამ ქალაქებს მიაშურა, მარა აქაც, როგორც აღნიშნული გვქონდა, ცხოვრების პირობები თანდათან გაძნელდა და ამნაირათ, ყველგან გაჩნდენ „ზედმეტი მცხოვრებლები“.

მალტუსი მაშინ მოევლინა ინგლისის საზოგადოებას, როცა არკრაიტის, ხარგრიფსის და უატტის გამოგონებათა წყალობით მთელი რევოლიუცია მოხდა სამრეწველო მექანიკასა და ტეხნიკაში, რაიცა პირველ ყოვლისა ბამბეულობის და ტილოს წარმოებას დაეტყო. შედეგი ის იყო, რომ ამ დარგის შინათ-მრეწველობაში მყოფი მუშები ათი-ათასობით ულუკმაპუროთ დარჩენ. მიწის საკუთრების კონცენტრაცია და მსხვილი მრეწველობის განვითარება განსაცვიფრებელი სისწრაფით იზრდებოდა. აუარებელი სიმდიდრის მოგროვება ერთ მხარეზე იწვევდა მასსიურ სიღატაკეს მეორე მხარეზე. ასეთ პირობებში გაბატონებულ კლასებს, რომელთაც ეს ქვეყანა თავის ბურჟუაზიულ წყობილებით საუკეთესო ქვეყანათ მიაჩნდათ, ცხადია, რაიმე გამამართლებელი საბუთი უნდა გამოეძებნათ ხალხის მასსიური გაღატაკების, მაშინ, როდესაც ნაციონალური სიმდიდრე საერთოთ იზრდებოდა და მრეწველობა აყვავებული იყო. მათთვის ყველაზე გამოსადეგი და სასარგებლო იყო მთელი ბრალის მუშებისთვის გადადება, მიზეზათ მათი ხშირი შვილოსნობის გამოცხადება და არა კაპიტალისტური წარმო-

ების და მიწების ლენდლორდთა ხელში მოგროვების გამოაშკარავება, რამაც ზედმეტი მუშა-ხელი წარმოშვა. ასეთ გარემოებებში მალტუსის მოწაფური, ზერელე, ხუცურ-დეკლამატორული პლაგიატი საუკეთესო დასაბუთება იყო არსებული ბოროტების; იგი სავსებით ეთანხმებოდა გაბატონებულ კლასის ფარულ აზრებს და სურვილებს, და ამართლებდა მათ მთელი ქვეყნის წინაშე. ამით აიხსნება ის უმაგალითო მოწონება ერთი მხრით და სასტიკი წინააღმდეგობა მეორე მხრით, რომელიც წილათ ხვდა მალტუსის მოძღვრებას. მალტუსმა საჭირო მომენტში უთხრა ინგლისის ბურჟუაზიას შესაფერი სიტყვა და ამიტომ მიუხედავათ იმისა, რომ მისი თხზულება არც ერთ დამოუკიდებლათ მოფიქრებულ დებულებას არ შეიცავდა, იგი გამოჩენილი და შესანიშნავი პირი შეიქნა და მისი სახელით მოინათლა მთელი მოძღვრება*).

## 2. გადაჭარბებულ მცხოვრებთა წარმოშობა.

მალტუსის გამაფრთხილებელი ხმა და მისი სასტიკი მოძღვრება, რომლითაც მან მუშათა კლასს მიმართა და ვნების მოტანის გარდა მწარე დაცინვაც დააყარა,—გამოწვეული იყო ახალი საზოგადოებრივი პირობებით, რომელნიც ყოველ ათ წელში აფართოვებდა თავის მოქმედებას. ეს იყო არა მარტო მალტუსის სამშობლო ინგლისში, ეს მოედვა ყველა ქვეყნებს, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი გაბატონდა და თავის შედეგები მოიტანა, ე. ი. მიწის მტაცებლური სისტემა **და მანქანებით, ფაბრიკებით ფართე მასსის დამორჩილება.** ეს სისტემა, როგორც ვიცით, იმაში მდგომარეობს, რომ მუშა ჩამოშორებულია სამუშაო საშუალებებს—მიწას და იარაღებს და ეს საშუალებები კაპიტალისტურ საკუთრებას შეადგენს. ეს სისტემა ქმნის ახალ სამრეწველო დარგებს, ავითარებს მათ,

*) თუ მალტუსის პატივისმცემელთა შორის ვხედავთ დარვინს და სხვებს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეკონომიური ცოდნის სისუსტე მეტათ ცალ მხრივ შეხედულებებს ბადებს მეცნიერულ ბუნებისმეტყველთა სფერაში.

ბადებს წარმოების კონცენტრაციას და ამით ქუჩაში ერეკება აუარებელ ხალხს, რომელიც მისთვის „ზედმეტია“. ხშირათ ის ხელს უწყობს, როგორც ძველ რომში ლატიფუნდიების და ყველა მათი შედეგების წარმოშობას. ირლანდია კლასიკურ ქვეყნათ უნდა ჩაითვალოს ევროპაში მტაცებლურ სისტემის განვითარების მხრივ. 1876 წელს აქ იყო 12,378,244 აკრი სათიბი და საბალახო და მხოლოდ 3,373,508 აკრი სახნავ-სათესი. და ყოველწლიური მცხოვრებთა რიცხვის შემცირება ხელ-ჩაკიდებული მისდევს სახნავ-სათესი მიწების სათიბებათ და საბალახოებათ გადაქცევას ცხვრებისა და ძროხებისათვის, ან სანადირო ადგილებათ—ლენდლორდებისათვის. ამას გარდა, ირლანდიის სახნავ-სათესი მიწა ხშირათ მრავალ-რიცხოვან წვრილ მოიჯარადრეების ხელშია, რომელთაც არ შეუძლიათ რიგიანათ ისარგებლონ ამ მიწებით. ამნაირათ, ირლანდია ისეთ ქვეყანას მოგვაგონებს, რომელიც ხვნა-თესვის მაგიერ ხელახლა მწყემსობას უბრუნდება. მის მცხოვრებთა რიცხვი, რომელიც მე-XIX საუკუნის დასაწყისში უდრიდა 8 მილიონს, დღეს 5 მილიონს არ აღემატება და აქედანაც რამდენიმე მილიონი სრულიად „ზედმეტათ“ ითვლება. ირლანდიის მღელვარება ინგლისის წინააღმდეგ, ამნაირათ, სულ ადვილი ასახსნელია. მიწათ-მოქმედების და მიწათ-მფლობელობის პირობებით ირლანდიას ძალიან ჩამოგავს ბრიტანეთის მეორე მხარე — შოტლანდია*). ამგვარივე ამბები ხდება ჰუნგრეთშიაც, რომე-

*) „2,000,000 აკრი, ამათ შორის ყველაზე უნაყოფიერესი ადგილები შოტლანდიაში გაშვებულია. ბუნებრივათ ამოსული ბალახი საუკეთესო საზრდოთ ითვლება პერსის საგრაფოში. გარეულ ფრინველთა „პარკი“ ბენ ოლდერისა, საუკეთესო მიწებს შეიცავს ბადენოხის ოლქში. შავი მთის ტყეების ნაწილი შოტლანდიაში საუკეთესო საბალახოს წარმოადგენდა შავი ცხვრებისათვის. რამოდენა სივრცე უპირავს სანადიროთ, გასართობათ გაფერანებულ ადგილებს, ეს იქიდან ჩანს, რომ იგი პერსის საგრაფოს აღემატება. რამდენი საწარმოო ძალები დააკლდა ამ ძალდატანებითი გაფერანების საშუალებით შოტლანდიას, შეგვიძლია იქიდან ვიანგარიშოთ, რომ მარტო ბენ-ოლდერის ბაღი 1500 ცხვარს იოლათ გამოკვებს; და ეს ბაღი კი მხოლოდ ოცდა-მეათედ ნაწილს წარმოადგენს შოტლანდიის სანადირო ადგილებისას. მთელი ეს სანადირო ადგილები დღეს არავითარ ნაყოფს არ იძლევა, ისინი რომ ჩრდილოეთ ოკეანეს შთაენთქა, ამით მხარეს არაფერი დააკლდებოდა“. ლონდონის „ეკონომისტი“, 2 ივლისი 1880 წ., კ. მარქსი, „კაპიტალი“ ტომი I.

ლიც უკანასკნელ დროს თანამედროვე განვითარების გზას დაადგა. ამ ქვეყანას დიდი პოხიერი ნიადაგი აქვს, რომლის მზგავსი ბევრ ევროპის ქვეყნებს არ მოეპოვება, მარა ის მაინც ვალებშია ჩაფლული, მისი მცხოვრებლები გაღარიბდენ და ჩარჩების ხელში არიან ჩაცვივნული. ისინი სასოწარკვეთილნი ათასობით გარბიან იქიდან სხვა ქვეყნებში გადასასახლებლათ. მთელი მამულები თანამედროვე კაპიტალის მაგნატების ხელშია მოგროვილი და ეს უკანასკნელი ისეთ საშინელ მტაცებლურ სატყეო და სამიწათ-მოქმედო მეურნეობას ეწევიან, რომ თუ ასე გაგრძელდა, ჰუნგრეთი სულ მოკლე დროში ამოირიცხება იმ ქვეყნების სიიდან, რომელთაც სხვა ქვეყნებში გააქვთ პური გასაყიდათ. ამასვე ვხედავთ ჩვენ სხვაგანაც. იტალიაში ისე, როგორც გერმანიაში, პოლიტიკურმა გაერთიანებამ ხელი შეუწყო კაპიტალისტურ განვითარებას, მარა შრომის მოყვარე გლეხები პიემონტისა და ლომბარდიის, ტოსკანის, რომანიის და სიცილიის თანდათან გაჭირვებაში ცვივდებიან და იღუპებიან. მალე ხელახლა გაჩნდება ჭაობები და ფხეკოები (მწირე ადგილები) იქ, სადაც რამდენიმე ათი წლის წინეთ მშვენივრათ დამუშავებული ბაღები და ყანები ქონდათ წვრილ გლეხებს. რომის შესავალში, ეგრეთ წოდებულ კამპანიაში რამდენიმე ასი ათასი გექტარი მიწაა დაუმუშავებლათ დარჩენილი და ეს ისეთ ადგილას, რომელიც ძველ რომში ყველაზე აყვავებულათ ითვლებოდა, ჭაობები ფარავს მიწას და მიაზმებს ავრცელებს თავის გარშემო. ეს ჭაობები, რომ რიგიანათ დააშრონ შესაფერი საშუალებებით და ხეირიანი მოსარწყავი არხები გაიყვანონ, მთელ რომს მდიდარი წყარო გაუჩნდება საზრდოობის და სიამოვნების. მარა იტალიას დიდ სახელმწიფოს როლი აწევს კისრათ და ისიც აღატაკებს მცხოვრებლებს სამხედრო და საზღვაო სიმაგრეების და შეიარაღების ხარჯებით, კულტურულ მიზნისთვის, მაგალ. კამპანიისთვის ნაყოფიერების დასაბრუნებლათ კი მას საშუალება არ მოეპოვება. ასეა სამხრეთ იტალიაშიც და სიცილიის კუნძულზე. ეს უკანასკნელი ოდესღაც რომის საკუჭნაოს წარმოადგენდა, დღეს

კი თანდათან ღარიბდება; მაზე უფრო **გაყვლეფილი**, გაღარიბებულ-შევიწროვებული და ექსპლოატაციისაგან გაძვალტყავებული ხალხი ძნელათ თუ მოიძებნება სადმე. დაბეჩავებული შვილები ამ ევროპის უმშვენიერესი ქვეყნისა, მოდებული არიან ნახევარ ევროპასა და ამერიკაში, სადაც ხშირათ ხელფასის შემცირების მიზეზათ ხდებიან, ან და სამუდამოთ სტოვებენ თავის ქვეყანას, რომ შიმშილით არ ამოხდეთ სული თავის მომხიბვლელ სამშობლო მიწაზე, რომელიც მათ ხელიდან გამოაცალეს. მალარია, ეს საშინელი სენი ისე განსაცვიფრებლათაა გავრცელებული იტალიაში, რომ ბოლოს მთავრობაც შეაფიქრიანა და 1882 წელს იგი იძულებული იყო გამოკვლევა მოეხდინა ამის შესახებ. ამ გამოკვლევის სამწუხარო შედეგები ასეთი იყო: 69 პროვინციიდან 32-ში ეს სენი ერთიანათ მოდებულია, 32-ში ალაგ-ალაგაა ფეხმოკიდებული და მხოლოდ 5 ჯერჯერობით თავისუფალია მისგან. სნეულება, რომელიც წინეთ მხოლოდ სოფლათ იყო ცნობილი, ქალაქებსაც მოედვა, რადგან იქ მოგროვილი პროლეტარიატი, რომელსაც ერთვის გაღატაკებული სოფლის მცხოვრებლებიც, სნეულების გამავრცელებელ ბუნაგს წარმოადგენს.

### 3. სიღარიბე და წარმოების ნაყოფიერება.

რა მხრითაც უნდა განვიხილოთ კაპიტალისტური სამეურნეო სისტემა, ყოველგან იმას დავინახავთ, რომ მასსის სიღარიბე და გაჭირვება შედეგია არა საარსებო და სასაზრდოო საშუალებათა სიმცირის, არამედ მათი უთანასწორო განაწილების და უაზრო სამეურნეო სისტემის უკულმართობის, რომელიც ქმნის ერთისთვის თავზე საყრელ სიმდიდრეს და მეორეს კი—აუცილებლათ საჭიროსაც არ აძლევს. მალტუსიანთა დებულებებს მხოლოდ კაპიტალისტურ წარმოების თვალსაზრისით აქვს აზრი და მნიშვნელობა. მეორე მხრით, კაპიტალისტური წარმოების წესი იწვევს ბავშვთა წარმოშობის გაძლიერებას. კაპიტალიზმს ესაჭიროება იაფი მუშა ძალა თავის ფაბრიკა-

ქარხნებისათვის. ასეთი კი ბავშვების შრომაა. პროლეტარისთვის ბავშვების წარმოება—ერთგვარი ანგარიშია; მათ თვითონ უნდა ირჩინონ თავი. შინათმრეწველობაში პროლეტარი პირდაპირ იძულებულია ბევრი შვილის ყოლას ეცადოს, რადგან ბევრი ბავშვის შრომა საუკეთესო თავდებია კონკურენციის ატანის. ეს მართლაც საზიზღარი სისტემაა; იგი აძლიერებს მუშების სიღატაკეს და დამოკიდებულებას მწარმოებლისაგან. პროლეტარი იძულებულია სულ მცირე ხელფასში იმუშაოს და ყოველი კანონი, რომელსაც შრომის დაცვა აქვს მიზნათ, ყოველი ხარჯი, რომელიც დაედება მრეწველს ამა თუ იმ სპეციალურ მოვალეობის ასასრულებლათ და რომლისგან ის თავისუფალია შინათ მრეწველობაში,—აიძულებს კაპიტალისტებს შინათმრეწველობის სფერა გააფართოვონ და თავის სასარგებლოთ გამოიყენონ. ერთი სიტყვით, ეს სისტემა იმდენ უპირატესობას აძლევს მწარმოებელს, როგორსაც ის ადვილათ ვერ მოიპოვებს მსხვილ წარმოებაში, მარა საწარმოო პროცესის ბუნება ზოგიერთჯერ შეუძლებელს ხდის შინათმრეწველობის სისტემის არსებობას.

კაპიტალისტური წარმოების სისტემა ამრავლებს არა მარტო საქონელს და მუშებს, არამედ ინტელიგენციასაც. ბოლოს და ბოლოს ინტელიგენციასაც თანდათან უჭირდება სამუშაოს შოვნა: წინადადება ყოველთვის მეტია მოთხოვნილებაზე. ერთი რამ არაა მხოლოდ ზედმეტი კაპიტალისტურ ქვეყანაში—კაპიტალი და მისი მესაკუთრენი.

ბურჟუაზიული ეკონომისტები მალტუსიანები არიან, რადგან ამას მოითხოვს მათგან ბურჟუაზიის ინტერესები; მარა რაღათ გადააქვთ ეს ბურჟუაზიული მიქარვა სოციალისტურ საზოგადოებაზე? ჯონ სტიუარტ მილი ამბობს: „კომუნიზმი სწორეთ ისეთი მდგომარეობაა, როცა ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ საზოგადოებრივი აზრი უმწვერვალესათ წინააღმდეგი გახდეს პირად სიამოვნებისთვის სქესობრივი თავდაუკერლობის. მცხოვრებთა ისეთი გამრავლება, რომელიც შეასუსტებდა მათ სასიამოვნო მდგომარეობას, ან მოუმატებდა

მათ სამუშაოს, ერთგვარ უხერხულობას შექმნიდა ასოციაციის ყველა წევრებისთვის, ასე ვთქვათ, საზარალო იქნებოდა მათთვის და ამის ბრალს ვერ დასდებდენ ვერც დამქირავებელთა ანგარების-მოყვარეობას, ვერც მდიდართა უსამართლო მართველობას. ამდენათ შეცვლილ გარემოებებში საზოგადოებრივ აზრს არ შეუძლია უარყოფითი მსჯავრი არ გამოთქვას ამის შესახებ და თუ ამან არ იკმარა, ამა თუ იმ საზოგადოებისთვის მავნებელი თავდაუჭერლობა სასჯელის დადებით იქნება შეჩერებული. ამნაირათ, კომუნისტური თეორია არავითარ შემთხვევაში არაა ღირსი განსაკუთრებული საყვედურის, რომელიც ზედმეტ მცხოვრებთა წარმოშობისაგან გამომდინარეობს. მას, პირიქით, სწორეთ იმით შეუძლია იამაყოს, რომ მასში უაღრესათ განვითარებულია ტენდენცია ამ უბედურებასთან გამკლავების". პროფესორი ვაგნერი რაუს პოლიტიკურ ეკონომიის 376 გვერდზე ასეთ აზრს გამოსთქვამს: „სოციალისტურ საზოგადოებაში ყველაზე ნაკლებათ შეიძლება ქორწინების და ბავშვების ჩასახვის თავისუფლების დატოვება". ამნაირათ, აღნიშნული მწერლები იმ შეხედულებიდან გამოდიან, რომ მცხოვრებთა სიჭარბე საერთო ტენდენციას წარმოადგენს ყველა საზოგადოებრივ მდგომარეობისათვის და ორივეს გონია, რომ სოციალიზმს, როგორც უკეთეს წყობილებას, მეტი შეძლება ექნება დაიცვას მცხოვრებთა რიცხვის და საზრდოს თანასწორობა. მეორე მართალია—პირველი კი არა.

მართალია, არსებობდენ სოციალისტები, რომელთა გონება მოინადირა მალტუსიანთა იდეებმა და შეფიქრიანებული იყვენ—მცხოვრებთა სიჭარბის საშიშროება გვიახლოვდებაო, მარა ეს სოციალისტური მალტუსიანები მალე გაქრენ. ბურჟუაზიულ საზოგადოების შინაარსი და ამ თეორიის უფრო ღრმათ განხილვამ განკურნა ისინი ამ ყალბი შეხედულებისაგან. ამ მხრით საყურადღებოა აგრეთვე ჩვენი აგრარიების წუწუნი იმის გამო, რომ მსოფლიო ბაზარზე მეტათ ბევრი საზარალო მასალა გამოაქვთ და რომ ამით გამოწვეულმა ფასების დაცემამ მათ წარმოებას მოგება დაუკარგა.

მალტუსიანები ამტკიცებენ და ბურჟუაზიულ მოლაყბეთა გუნდიც თუთიყუშივით იმეორებს, რომ სოციალისტური საზოგადოება, სადაც სიყვარულის თავისუფლება და ღირსეული, ადამიანური ცხოვრება იქნება ყველასათვის, რაღაც „კურდღლების სამეფოს“ დაემზგავსება; რომ მასში განვითარდება თავდაუჭერელი სქესობრივი სიამოვნების წყურვილი, რასაც მოყვება ბავშვების მასსიური წარმოშობა. აქამდე ბავშვთა უმეტესი რიცხვი იბადებოდა საშუალოთ არა უკეთეს პირობებში მცხოვრებთა წრეებში, არამედ ცუდ პირობებში მყოფთა შორის და სიმართლეს არ ვუღალატებთ თუ ვიტყვით, რომ, **რაც უფრო ღარიბია პროლეტართა წრეები, მით უფრო მეტი ბავშვები იზრდება მათში საშუალოთ, თავის-თავათ იგულისხმება—ვხვდებით გამონაკლსაც.** ამას ამოწმებს ვირხოვი, რომელიც წარსულ საუკუნის შუა რიცხვებში სწერდა: „როგორც ინგლისის მუშამ თავის ღრმათ დაქვეითების და უკიდურეს სულიერ დაცემის გამო იცის ბოლოს და ბოლოს სულ ორგვარი სიამოვნება: გადაკვრა და სქესობრივი შეერთება, ისე ზემო-სილეზიის მცხოვრებთ **უკანასკნელ წლებამდე** ყველა თავის სურვილები, ყველა მისწრაფებები ამ ორ საგანზე ქონდათ მიმართული. არაყმა და სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ მოიპოვა უმაღლესი ძალა მათზე და ამით ადვილი ასახსნელია ის, რომ მცხოვრებლები ისე მალე გამრავლდენ რიცხვით, როგორც დასუსტდენ ფიზიკური ძალის და ზნეობრივი თავდაჭერილობის მხრივ“.

ასეთსავე აზრს გამოსთქვამს კარლ მარქსი თავის კაპიტალში: „სინამდვილეში არა თუ მშობიარობათა რაოდენობა და სიკვდილის სიხშირე, არამედ ოჯახთა აბსოლიუტური სიდიდეც უკუღმა პროპორციონალურია სამეშაო ხელფასის სიდიდესთან, ე. ი. საარსებო საშუალებათა მასსასთან, რომელიც ამა თუ იმ კატეგორიის მუშათა განკარგულებაში იმყოფება. **ასეთი კანონი კაპიტალისტურ წარმოებისა სრულ უაზრობათ მოგვეჩვენებოდა ველურებში და აგრეთვე განათლებულ მოახალშენეთა შორის;** ის მოგვაგონებს ინდივიდუ-

ალურათ სუსტ და დაბეჩავებულ ცხოველთა გვარის მასსიურ წარმოშობას". შემდეგ მარქსს მოყავს ციტატა ლიაენგიდან, რომელიც ამბობს: „ქვეყანაზე რომ ყველა' რიგიან პირობებში ცხოვრობდეს, ქვეყანა მალე დაცარიელდებოდაო". ლიაენგი ამნაირათ სრულიად წინააღმდეგი შეხედულებისაა, ვინემ მალტუსი: კარგი ცხოვრების პირობები ხელს უწყობს არა მშობიაროობის გახშირებას, არამედ შემცირებას. ამასვე ამბობს გერბერტ სპენსერი: „გვარის გაუმჯობესება და შთამომავლობის წარმოშობა ყოველთვის და ყოველგან ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს. აქედან მოსალოდნელია, რომ შემდეგი განვითარება, რომელიც მოელის კაცობრიობას, **შეამცირებს მის გამრავლებას**".

ამნაირათ, ამ საკითხში თანახმა არიან ისეთი მწერლები, რომელნიც სხვა მხრივ სრულიად განსხვავებულ თვალსაზრისს ადგანან. მათ შეხედულებას ვუერთდებით ამ შემთხვევაში ჩვენც.

## 4. მცხოვრებთა სიმცირე და საარსებო საშუალებათა სიმრავლე.

ჩვენ შეგვეძლო მცხოვრებთა საკითხი ორი სიტყვით გადაგვეჭრა; გაგვეცხადებია, რომ ზედმეტ მცხოვრებთა გაჩენის საშიშროება ახლო მომავალში, რომლის გათვალისწინებაც კი შეგვიძლია, ყოველ გონივრულ აზრს მოკლებულია, რადგან ჩვენი დრო ისე მდიდარია საარსებო საშუალებებით და ეს სიმდიდრე ყოველ-წლიურათ ისეთ გაზრდას გვიქადის, რომ მეტი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, თუ რა ვუყოთ, როგორ მოვუაროთ ამოდენა სიმდიდრეს, ვინემ ვიდარდოთ—ვაი თუ არ გვეყოს-თქო. ვინც საარსებო საშუალებებს აწარმოებს, მისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რომ მომხმარებელთა რიცხვი მეტი სისწრაფით იზრდებოდეს. მარა ჩვენი მალტუსიანები ისეთი დაჟინებით იმეორებენ თავის საბუთებს, რომ საჭიროა

მათზე პასუხის გაცემა, რათა არავის ეგონოს, თითქო ამ „მტკიცე“ საბუთებზე პასუხის გაცემა შეუძლებელი იყოს.

ისინი ამტკიცებენ, რომ ახლო მომავალში ზედმეტი გამრავლების შიში გამომდინარეობს „მიწის ნაყოფიერების დაცემის“ კანონიდან. დასამუშავებელი ნიადაგი თითქო „მოიღალა“, მოსავლის მომატებას აღარ უნდა ველოდეთ, რადგან სათესი კულტურისთვის გამოსადეგი ახალ-ახალი ნიადაგი, რომლის დამუშავებაც კი შეიძლება, თანდათან მცირდება და მცხოვრებთა გამრავლებას პირისპირ საზრდოს სიმცირის საკითხთან მივყავართ. მართალია, წინა თავებში, სადაც ნიადაგის სასოფლო სამეურნეო მიზნით სარგებლობის შესახებაა ლაპარაკი, ჩვენ გვგონია საკმაოთ დავამტკიცეთ, რა დიდი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია კაცობრიობას ახალ-ახალ საარსებო ნივთიერებათა დამზადებაში თანამედროვე აგრონომიის საშუალებით, მარა აქაც მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ერთი გონიერი, გაგებული მიწის მესაკუთრე და ცნობილი პოლიტიკო-ეკონომი, ე. ი. ორივე მხრით მალტუსზე შესამჩნევათ მაღლა მდგომი პირი, უკვე 1850 წელს, როცა აგრონომიული ქიმიის ჯერ ისევ ჩანასახი არსებობდა მხოლოდ, ასეთ აზრს გამოსთქვამს: „დაუმუშავებელი, ნედლი მასალისა და განსაკუთრებით **სასაზრდოო ნივთიერებათა** წარმოების ნაყოფიერება მომავალში არ ჩამორჩება უკან დამამუშავებელ წარმოებას და ტრანსპორტს. დღეს დღეობით აგრონომიული ქიმია ახლა იწყებს სოფლის მეურნეთა თვალწინ ახალ-ახალ ჰორიზონტების გადაშლას, რომელიც, ეჭვი არაა, გამოიწვევს თავდაპირველათ შემცდარ ნაბიჯების გადადგმას; მარა ბოლოს და ბოლოს კი სასაზრდოო ნივთიერების დამზადების საქმესაც ისე დაუქვემდებარებენ საზოგადოებრივ ძალებს, როგორც ახლა მის ხელთაა—რამდენიც სურს, იმდენი მაუდი დაამზადოს, თუ საჭირო მატყლი მოეპოვება“ *).

იუსტუს ფონ-ლიბიხი, აგრონომიულ ქიმიის შემქმნელი, იმ შეხედულებისაა, რომ თუ საკმაო ადამიანის მუშა ძალა და

*) Rodbertus: Zur Beleuchtung der socialen Frage 1850.

გასაპოხიერებელი საშუალებები იქნება, ნიადაგი დაუშრეტელი წყაროა სიმდიდრის და განუწყვეტლივ შეუძლია მდიდარი მოსავალის მოცემა. ნიადაგის ნაყოფიერების თანდათანი შემცირების კანონი მალტუსიანების მოგონილია; იგი შეიძლება ეთანხმებოდეს სინამდვილეს სასოფლო-სამეურნეო კულტურის განუვითარებელ მდგომარეობაში, მარა დღეს ის უკვე უარყოფილია მეცნიერებისა და ცდისაგან. უფრო სწორი იქნებოდა კანონათ მიგვეღო შემდეგი დებულება: **მიწის ნაყოფიერება პროპორციონალურათ უდრის მაზე დახარჯულ ადამიანის შრომას** (მათ რიცხვში მეცნიერებას და ტეხნიკას) და გასაპოხიერებელ ნივთიერებებს. თუ წვრილ-გლეხთა ქვეყანამ—საფრანგეთმა ერთი ოთხათ გააძლიერა თავის ნიადაგის ნაყოფიერება უკანასკნელ 90 წლის განმავლობაში, მაშინ, როდესაც მცხოვრებთა რიცხვი არც კი გაორკეცებულა, განა მეტ შედეგებს არ უნდა მოველოდეთ იმ საზოგადოებისაგან, რომელიც სოციალისტურ მეურნეობას აწარმოებს? ჩვენი მალტუსიანები ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ თანამედროვე პირობებში ანგარიშში მისაღებია არა მარტო ჩვენი კუთხის ნიადაგი, არამედ მთელი ქვეყნის, ე. ი. ისეთი ადგილების, რომელთა ნაყოფიერება 20—30-ჯერ მაღალია ჩვენსაზე. მართალია, დედამიწის საკმაო დიდი ნაწილი აქვს ჩაბღუჯული ხელში ადამიანს, **მარა გარდა მცირე ნაწილისა, იგი დღეს დაუმუშავებელი რჩება და რასაც ამუშავებენ, იმითაც არ სარგებლობენ ისე, როგორც ეს შესაძლებელია.** როგორც დიდ ბრიტანეთს, ისე საფრანგეთს, გერმანიას, ავსტრიას და კიდევ უფრო მეტათ დანარჩენ ევროპის სახელმწიფოებს შეუძლიათ შეუდარებლათ მეტი სასაზრდოო საშუალებების წარმოება, ვინემ დღეს ამზადებენ. პატარა ვიურტემბერგში, სადაც 879,970 ჰექტარი სახნავი მიწა მოიპოვება, ორთქლის გუთნის შემოღებით მოსავლის საშუალო რაოდენობა 6,410,000-დან 9,000,000 ცენტნერამდე ავიდოდა, ე. ი. დაბოლოვებით $^1/_3$-ს მოიმატებდა.

ევროპის რუსეთს, თუ მასშტაბათ გერმანიის მჭიდრო დასახლებას მივიღებთ, შეუძლია 150 მილ. მცხოვრების ნაცვლათ, რომელიც დღეს მოეპოვება 475 მილ. მცხოვრები გამოკვებოს. დღეს ევროპის რუსეთში 19,4 სული მცხოვრები მოდის ოთხკუთხ კილომეტრზე, საქსონიაში კი 300.

მართალია, რუსეთში ბევრი დიდი ადგილებია ისეთი, სადაც ნაყოფიერების მომატება შეუძლებელია ცივი ჰავის გამო, მარა სამაგიეროთ სხვაგან, განსაკუთრებით სამხრეთ გუბერნიებში ჰავა და ნიადაგის ნაყოფიერება ისეთია, როგორიც გერმანიას სიზმარშიაც არ მოელანდება. შემდეგ სქლათ დასახლება და ნიადაგის კულტურის განვითარება ისეთ ცვლილებებს იწვევს ჰავაში, რომლის წინდაწინ გათვალისწინება შეუძლებელია. ყველგან, სადაც ადამიანები სქლათ სახლდებიან, ჰავა შესამჩნევათ იცვლება. ჩვეულებრივ ამ მოვლენას ჩვენ ძალიან მცირე მნიშვნელობას ვაძლევთ და არც შეგვიძლია მათი სავსებით დაფასება, რადგან თანამედროვე მდგომარეობაში არც მისწრაფება გვაქვს და არც საშუალება ფართე დაკვირვება მოვახდინოთ. შემდეგ, ყველა მგზავრები ერთხმათ აღიარებენ, რომ ჩრდილოეთ ციმბირში, სადაც გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა სწრაფათ მისდევს ერთი მეორეს და სულ რამდენიმე თვე გრძელდება, ერთბაშათ იზრდება განსაკუთრებულათ მდიდარი მცენარეულობა. თხლათ დასახლებულ ნორვეგიას და შვეციას თავის თვალუწვდენელი ტყეებით და გამოულეველი მადნეულობით, აუარებელი მდინარეებით და მდიდარი ზღვის ნაპირებით უანგარიშო სასაზრდოს მიცემა შეუძლია სქლათ დასახლებულ მცხოვრებლებისათვის. თანამედროვე პირობებში საშუალება არ არის, რომ ეს სიმდიდრე გამოაღებიოს კაცმა ამ ქვეყნებს და ამ თხლათ დასახლებულ ქვეყნებიდან მცხოვრებთა ერთი ნაწილი სხვა ქვეყნებში მიდის დასასახლებლათ.

რაც ითქმის ჩრდილოეთზე, ის უფრო მეტი საბუთით ითქმის სამხრეთ ევროპაზე: პორტუგალიასა, ისპანიასა, საბერძნეთსა, რუმინიასა, ჰუნგრეთსა, ოსმალეთსა და სხვებზე. საუ-

ცხოვო ჰავა, ნოყიერი და ნაყოფიერი ნიადაგი, რომლის უკეთესი შეერთებულ შტატებშიაც კი არ მოიპოვება, მდიდარ საზრდოს იძლევა ურიცხვი მცხოვრებლებისთვის. ამ ქვეყნების არა ნორმალურ სოციალური პირობების შედეგია ის, რომ ევროპის მცხოვრებლები ასი-ათასობით მიდიან ოკეანეს იქითა მხარეში, იმის მაგიერ, რომ შინვე დარჩენ მახლობელ და მდებარეობით უკეთეს ქვეყნებში. როცა აქ გონიერი სოციალური და პოლიტიკური დაწესებულებები მოეწყობა, მაშინ მრავალი მილიონი ხალხი შეიქნება საჭირო, რომ უმაღლეს კულტურულ საფეხურზე აიყვანოს ეს თვალუწვდენელი უნაყოფიერესი მხარეები.

რომ არსებითათ მაღალ კულტურულ მიზნებს მივაღწიოთ ევროპაში, ჩვენ ხანგრძლივ დროის განმავლობაში ვიგრძნობთ არა მცხოვრებთა **გადაჭარბებულ სიმრავლეს**, არამედ **ნაკლებობას, სიმცირეს** და ასეთ პირობებში სისულელე იქნებოდა მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლების შიშს მივცემოდით*). მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ მეცნიერებისა და შრომისათვის არსებულ სასაზრდოო წყაროებით სარგებლობას საზღვარი არა აქვს; ამასთანავე ყოველ დღე მოაქვს ახალ-ახალი გამოგონებები და აღმოჩენები, რომელნიც ახალ სასაზრდოო წყაროებს გვძენენ.

თუ ევროპიდან ქვეყნის სხვა ნაწილებში გადავალთ, იქ კიდევ უფრო ნათლათ დავინახავთ ხალხთა სიმცირეს და მიწის სიჭარბეს. უნაყოფიერესი და უნოყიერესი ქვეყნებით ჯერ თითქმის სრულიად არ უსარგებლია ადამიანს, რადგან მათი განწმენდა და დამუშავება **თხოულობს** არა რამდენიმე ათასი კაცის შრომას, არამედ **მრავალ მილიონიან მასსიურ კოლონიზაციას, რომ რამდენიმეთ მაინც დამორჩილებულ იქნეს**

*) ეს ითქმის განსაკუთრებით გერმანიის შესახებაც. მცხოვრებთა რაოდენობა თანდათან იზრდება, მარა გადასახლება მაინც კლებულობს. 1891 წელს, მაგალითათ, გადასახლებულთა რიცხვი 120089 აღწევდა, 1907 წელს კი 31696-მდე დაიკლო. პირიქით, გერმანიაში გადმოესახლენ სხვა ქვეყნებიდან. ეს მოხთა იმიტომ, რომ ახლად აღორძინებულ სამრეწველო დარგებს შინაური მუშა-ხელი აღარ ყოფნიდა. ამათი რიცხვი უდრიდა, მაგალ., 1900 წ.—757151-ს, 1905 წ.—1007149-ს,

**ეს უაღრესათ მდიდარი ბუნება.** ასეთებს ეკუთვნის სხვათა შორის ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა, რომელიც რამდენიმე ასი-ათას ოთხკუთხ მილს შეიცავს. არგენტინაში დამუშავდა 1892 წელს მხოლოდ 5 მილ. ჰექტარი, მაშინ, როდესაც ამ ქვეყანას 96 მილ. ჰექტარი ნაყოფიერი მიწა მოეპოვება. პურის მოსაყვანათ გამოსადეგი ადგილები, რომელიც დღემდე დაუმუშავებელია სამხრეთ ამერიკაში, შეიცავს სულ ცოტა 200 მილ. ჰექტარს, შეერთებული შტატები, ავსტრო-ჰუნგრეთი, დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, გერმანია და საფრანგეთი ერთათ ამუშავებენ პურის მოსაყვანათ მხოლოდ 105 მილ. ჰექტარს დაახლოვებით. კარეი ამ ორმოცი წლის წინათ ამტკიცებდა, რომ მხოლოდ ორინოკოს დაბლობებს, რომელნიც 360 მილზე გრძელდება, შეუძლია იმდენი საზრდოს მოცემა, **რამდენიც საჭიროა მთელი კაცობრიობის გამოსაკვებათ**; ნახევარიც რომ ჩავთვალოთ ამაში სიმართლეთ, ჩვენთვის ესეც საკმარისი იქნება. ყოველ შემთხვევაში, მარტო სამხრეთ ამერიკას შეუძლია **რამდენჯერმე მეტი მცხოვრებლების გამოკვება, ვინემ დღეს ცხოვრობს დედამიწის ზურგზე.** მასაზრდოებელი ღირებულება ორი თანაბარი სივრცის ადგილების, რომელთაგან ერთი ბანანებით არის სავსე და მეორე კი პურითაა დათესილი, ისეთ დამოკიდებულებაში არიან ერთი-მეორესთან, როგორც 133 : 1-ს. მაშინ, როდესაც ჩვენში საუკეთესო ნიადაგზე პური ერთი თორმეტათ, ან ერთი ოცათ მოდის, ბრინჯი თავის ქვეყანაში ერთი ოთხმოცათ, ან ერთი ასათ მოდის, მაისი (სიმინდი) ერთი 258-ათ, ან ერთი 300-ათ. ზოგიერთ ადგილების, მაგალ. ფილიპინების შესახებ ამტკიცებენ, რომ იქ ბრინჯი ერთი 400-ათ მოდის. ყველა ამ სასაზრდოო საშუალებებში მთავარი საქმეა მათი დამზადება, რომ ისინი, რაც შეიძლება მეტი მასაზრდოებელი გახდენ. საზრდოობის საკითხში ქიმიას დაუსრულებელი განვითარების გზა აქვს გახსნილი.

სამხრეთ ამერიკის შუაგული, განსაკუთრებით ბრაზილია, რომელიც მარტო უდრის თითქმის მთელ ევროპას (ბრაზილია

შეიცავს 8,524,000 კვადრ. მილს, რომელზედაც დასახლებულია 22 მილიონი მცხოვრები, ევროპა კი—9,897,010 კვად. მილს დაახლოვებით და 430 მილ. მცხოვრებს), ანცვიფრებს თავის ნაყოფიერებით და ნოყიერებით ყველა მოგზაურებს; გარდა ამისა, ეს ქვეყანა დაულეველ სიმდიდრეს წარმოადგენს ლითონებისა და მადნებისას. მარა ქვეყნისათვის დღეს ისინი თითქმის სრულიად უქმია, რადგან ამ ქვეყნის მცხოვრებლები მცირე რიცხოვანია და იმდენათ უკულტურო, რომ ამ მძლავრი ბუნების ბატონათ გახდომა არ შეუძლია. როგორაა საქმე აფრიკაში, ამას გვიჩვენებს უკანასკნელი ათი წლების აღმოჩენები. თუნდაც შუაგულ აფრიკის დიდი ნაწილი სამუდამოთ გამოუსადეგარი დარჩეს ევროპიელ ნიადაგის კულტურისათვის, სხვა ვეებერთელა ტერიტორიები მაინც მეტათ გამოსადეგი იქნებიან, თუ კოლონიზაციის გონიერ პრინციპებით ვიხელმძღვანელებთ. მეორე მხრით, აზიაში არსებობს თვალ-უწვდენელი ნაყოფიერი ქვეყნები, რომელთაც შეუძლიათ უთვალავი მილიონების გამოკვება. წარსული გვიჩვენებს, რომ დღეს უნაყოფო, ტიალ, თითქმის უდაბნო ადგილებში სუბუქი ჰავა მდიდარ სარჩოს აღებიებდა დედამიწას, როცა ადამიანი აწოდებდა მას საჭირო წყალს მოსარწყავათ. ვეებერთელა წყალსაყვანების მოსპობის და მოსარწყავ არხების გაუქმების შემდეგ, წინა აზიაში ტიგრისა და ეფრატის შუა მრავალი ათასი კვადრატული მილი მიწა გადაიქცა ქვიშიან უდაბნოთ გამანადგურებელ, დამპყრობ ომებისა და მცხოვრებთა დაუსრულებელი ჩაგვრის წყალობით*). ასეა არა მარტო აზიაში, არამედ აფრიკასა, მექსიკასა და პერუშიც. როგორც კი გაჩნდება აქ მილიონობით განათლებული ადამიანები, მაშინვე გამოინახება დაულეველი წყაროები საზრდოობის. ფინიკების რიცხვი აზიასა და აფრიკაში საარაკოა და ისინი ისე მცირე ადგილს თხოულობენ, რომ 200 ასეთი ხე დაეტევა ერთ მორგენ მიწაზე.

*) კერგერი ანგარიშობს, რომ ანატოლიაში მოსავალი ცუდი მოსავლის დროს უდრის 9—13 ორმაგ ცენტნერს, საშუალო მოსავლის დროს 26—34, კარგ ნაპატივებ სარწყავ მიწაზე კი—60 ორმაგ ცენტნერს.

დურრა (მცენარეა) ეგვიპტეში ერთი 3000-ათ მოდის, მარა ქვეყანა მაინც ღარიბია. მტაცებლური სისტემის ბრალია და არა ხალხთა სიმცირის, რომ ყოველ წლობით უდაბნოები თანდათან ვრცელდება და ფართოვდება. რა აურაცხელ შედეგებს მოიტანდა, რომ ამ ქვეყნებში საშუალო ევროპიული დამუშავება ქონდეს ყანებსა და ბაღებს,—ამის დაახლოვებით გამოანგარიშებაც კი არ შეიძლება.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს თანამედროვე სოფლურ მეურნეობითაც კი 15—20-ჯერ მეტი მცხოვრებლების რჩენა შეუძლია დღევანდელზე (დღეს 85 მილ.), ე. ი. 1200, 1500 მილიონის. კანადას შეუძლია 6 მილიონის მაგიერ რამდენიმე ასი მილიონის გამოკვება. შემდეგ ჩვენ გვაქვს ავსტრალია, აუარებელი, უმეტეს შემთხვევაში ძლიერ ნაყოფიერი კუნძულები წყნარ და ინდოეთის ოკეანეზე. მცხოვრებთა გამრავლება და არა შემცირება,—აი რას მოითხოვს კულტურა კაცობრიობისაგან.

ყველგან სიღარიბე და ნაკლებობა გამოწვეულია სოციალური დაწესებულებებით, წარმოებისა და განაწილების სისტემით და არა მცხოვრებთა გადაჭარბებული სიმრავლით. რამდენიმე წელს რომ ზედიზედ კარგი მოსავალი იქნეს, მიწის ნაწარმოებთა ფასი ისე დაეცემა, რომ ბევრ მიწათ-მომქმედს სრულიად გააკოტრებს. გაუმჯობესების მაგიერ, იგი აუარესებს მწარმოებელთა მდგომარეობას. სოფლის მეურნეთა დიდ ნაწილს დღეს კარგი მოსავლიანი წელიწადი უბედურებათ მიაჩნია, რადგან მაშინ ფასები ისე ეცემა, რომ წარმოების ხარჯებს ძლივს ფარავს. და ნუ თუ ეს გონიერი წყობილებაა? რომ სხვა ქვეყნის მოსავლის სიმდიდრე არ შემოუშვან ჩვენში, ამისთვის აარსებენ მაღალ პურის ბაჟებს, რის გამო პურის შემოტანა ძნელდება და ადგილობრივი ნაწარმოების ფასი იწევს. **ჩვენ განვიცდით არა სასაზრდოო საშუალებათა სიმცირეს, არამედ მის სიმრავლეს ისე, როგორც მრავალია სამრეწველო ნაწარმოები.** როგორც მილიონი ადამიანი, რომელსაც სამრეწველო ნაწარმოები ესაჭიროება ვერ ახერხებს

მის შეძენას არსებულ საკუთრების და მცირე ხელფასის წყალობით, ასე იჩაგრება მილიონობით ადამიანი აუცილებელ საარსებო საშუალებათა უქონლობით, რადგან მათი ყიდვა არ შეუძლია, თუმცა ეს საარსებო საშუალებები საჭიროზე მეტია დამზადებული; და ჩვენ ხელახლა ვკითხულობთ: ნუ თუ რაიმე აზრია ასეთ წყობილებაში? არა, ასეთი წესწყობილების უაზრობა მეტათ აშკარაა. კარგ მოსავლიან წელიწადში ჩვენი სპეკულიანტები აუარებელ პურს აფუქებენ განზრახ, რადგან იციან, რომ პურის სიმცირის დროს მისი ფასები პროგრესიულათ იზრდება და ჩვენ კი მაინც მცხოვრებთა გადაჭარბებული გამრავლების უნდა გვეშინოდეს? რუსეთში, სამხრეთ ევროპაში და ბევრ სხვა ქვეყნებში, ყოველ წელს ასი-ათას ფუთობით ფუქდება ხორბალი, რადგან საკმარისი შესანახი და გადასაზიდი საშუალებები არ მოიპოვება. ბევრი იკარგება ყოველწლიურათ იმით, რომ სამკალი მოწყობილობა სრული არ არის, და საჭირო მომენტში მუშა-ხელი არ კმარა მოსავლის მოსაწევათ. ხშირათ პურით სავსე ბეღლებს და მთელ ქონებას წვავენ, რომ დასაზღვევი პრემია აიღონ, რომელიც ბევრათ აღემატება მოსალოდნელ მოგებას; ამავე მოტივებით სპობენ საარსებო საშუალებებს და ღუპავენ გემებს მათი მოსამსახურეებიანათ*). სამხედრო ვარჯიშობის დროს ყოველ წლიურათ აუარებელ ნათესს აფუქებენ. აღლუმების ხარჯი რამდენიმე დღის განმავლობაში ასი-ათას მანეთამდე ადის, თუმცა საერთოთ ყველაფერში მეტათ ზომიერ ფასებს აძლევენ. და ასეთი აღ-

*) წმ. ბასილის დროს († 379 წ.), როგორც სჩანს ასეთივე წესი უნდა ყოფილიყოს გავრცელებული, რადგან ის ასეთი სიტყვებით მიმართავს მდიდრებს: „საბრალონო, რას უპასუხებთ თქვენს მსაჯულს? თქვენ მშალერით ფარავთ კედლების სიშიშვლეს და ტანისამოსით არ ფარავთ შიშველ ადამიანს. თქვენ ძვირფასს, ლბილ ხალიჩებით ამშვენებთ თავის ცხენებს და ზიზღით უცქერით ძონძებში გახვეულ მოძმეს. თქვენ აფუქებთ და ალპობთ პურს საკუჭნაოებში და ბეღლებში და თვალით დანახვის ნებასაც კი არ აძლევთ იმათ, ვისაც პური არ მოეპოვება“. მორალურ ქადაგებას ძველ დროშიაც მცირე გავლენა ქონდა გაბატონებულებზე და უნაყოფოთ დარჩება მომავალშიაც. ხოლო, როცა შეიცვლება სოციალური დაწესებულებები და არავის არ ექნება შეძლება უსამართლოთ მოეპყრას თავის მოყვასს, მაშინ კი არაფერი დაუშლის ქვეყნათ კეთილდღეობის დამყარებას.

ლუმები კი ყოველ წელს ბევრია. ამავე მიზნით ხშირათ მთელი სოფლის ნათესს გასჭრიან ხოლმე და აუარებელ სახნავათ გამოსადეგ მინდვრებს ცარიელს სტოვებენ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნულ სასაზრდოო წყაროებს გარდა ჩვენ გვაქვს ზღვა, რომელიც სივრცით $2^1/_2$-ჯერ მეტია ხმელეთზე და ამ მდიდარ სასაზრდოო წყაროთი გონიერული სარგებლობა ჯერ არც კი დაწყებულა. ამნაირათ, ჩვენ სულ სხვა სურათი გვეშლება თვალწინ, ვინემ ის საცოდავი ნახატი, რომელსაც მალტუსიანები გვაწვდიან. ვის შეუძლია იმის თქმა, თუ სად დაედება საზღვარი ადამიანის ქიმიურ, ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ ცოდნას? ვინ გაბედავს იწინასწარმეტყველოს, თუ რა კოლოსალურ წარმოების შექმნას მოახერხებს ადამიანი მომავალ საუკუნეში, რომ არსებითი ცვლილება მოახდინოს მთელი მხარის ჰავასა და ნიადაგით სარგებლობაში?

დღესაც, კაპიტალისტურ წარმოების ხანაში ბევრი რამაა ისეთი განსახორციელებელი, რაც ამ ერთი საუკუნის წინ სიგიჟეთ და შეუძლებლათ ითვლებოდა. ხმელეთის ფართე ყელები გადასჭრეს არხებით და ზღვები შეაერთეს; რამდენიმე მილის სიგრძეზე გათხარეს გვირაბები დედამიწის სიღრმეში და ასე შეაერთეს გადაუვალი მთებით გაყოფილი ქვეყნები. გასჭრეს გვირაბები ზღვის ქვეშ, რომ ამით შეამცირონ გზა, სიშორე, მოსპონ დაბრკოლებები და საშიშროება, რომელსაც ზღვით მოგზაურობა წარმოადგენს ოკეანით დაშორებულ ქვეყნებისათვის. სადაა წერტილი, რომლის შესახებაც შეიძლებოდეს თქმა: აქამდე „ჰო“,—ამას იქით კი „აღარ“! ამნაირათ, რასაც თანამედროვე მეცნიერება გვაწვდის, ამით არა თუ უნდა უარვყოთ ნიადაგის მოსავლიანობის თანდათანი შემცირების კანონი, ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე დავამტკიცოთ, რომ დასამუშავებლათ გამოსადეგი ნიადაგი საკმაოზე მეტია და მხოლოდ ელის მრავალ მილიონ მიწის მომუშავეთა მარჯვენას.

რომ ყველა ამ კულტურული მიზნების განხორციელებას ერთბაშათ შევუდგეთ, ჩვენ დაგვირჩება **არა მეტათ ბევრი,**

არამედ **მეტათ მცირე ხალხი.** კაცობრიობა უნდა ძლიერ გაიზარდოს, გამრავლდეს, რომ ყველა ის, რაც შესაძლებელია, განახორციელოს. ერთი მხრით, დამუშავებული ნიადაგით იმდენს ვერ ვსარგებლობთ, რამდენიც შეგვეძლო გვესარგებლა, მეორე მხრით, **დედამიწის $^3/_4$-ისთვის საკმაო ხალხი არ არის, რომ დაამუშაოს.** შედარებით გადაჭარბებული სიმრავლე მცხოვრებლებისა, რომელიც წარმოშობილია კაპიტალისტური სისტემისაგან მუშისა და საზოგადოების საზიანოთ, **კულტურის უმაღლეს საფეხურზე ნამდვილ „ღვთის მოწყალებათ“ გადაიქცევა.** რაც შეიძლება მეტი მცხოვრებლები!—ეს საშუალებაა და არა დაბრკოლება კულტურული პროგრესის ისე, როგორც არსებული საქონლის წარმოება და საარსებო საშუალებათა დამზადება, ოჯახის დარღვევა ბავშვისა და ქალის შრომის შემოღებით წარმოებაში, საშუალო წრეების ექსპლოატაცია მსხვილი კაპიტალის მიერ და სხვ. წინასწარ პირობებს წარმოადგენენ კულტურის უმაღლეს საფეხურისათვის.

## 5. სოციალური დამოკიდებულებანი და გამრავლების უნარი.

საკითხის მეორე მხარე ასეთია: უანგარიშოთ მრავლდებიან თუ არა ადამიანები და აქვთ მათ ამის მოთხოვნილება თუ არა?

იმის დასამტკიცებლათ, რომ ადამიანებს ძლიერი გამრავლების უნარი აქვთ, მალტუსიანები უთითებენ განსაკუთრებულ შემთხვევებზე კერძო ოჯახებსა და ხალხებში. მარა ამით არაფრის დამტკიცება არ შეიძლება. ამ შემთხვევების გვერდით ჩვენ ვხედავთ სხვა წინააღმდეგ მაგალითებს, როცა მიუხედავათ ხელშემწყობ საარსებო პირობებისა, უნაყოფობის ხანა ძლიერ ადრე დგებოდა, ან და ძლიერ მცირე გამრავლებას ქონდა ადგილი. განსაცვიფრებელია, რა მალე გადაშენდებიან ხოლმე მდიდარი ოჯახები. თუმცა შეერთებულ შტატებში

მცხოვრებთა გამრავლების პირობები უფრო ხელსაყრელია, ვინემ რომელიმე სხვა ქვეყანაში და იქ ასი-ათასობით დავაჟკაცებული ემიგრანტები სახლდებიან ყოველ წლობით, მარა მიუხედავათ ამისა მცხოვრებთა რიცხვი ორკეცდება მხოლოდ 30 წლის განმავლობაში. 12 და 20 წლის განმავლობაში მცხოვრებთა გაორკეცებას, რომელზედაც ასე ბევრს სწერდენ და ამბობდენ, რამდენიმეთ ფართეთ არსად არ ქონია ადგილი.

როგორც დამტკიცებული გვქონდა ვირხოვის და მარქსის ამონაწერებიდან, მცხოვრებლები განსაკუთრებით სწრაფათ მრავლდებიან იქ, **სადაც უფრო მეტი სიღარიბეა**, რადგან, როგორც სამართლიანათ შენიშნავს ვირხოვი, მაგარ სასმელის გადაკვრა და სქესობრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეადგენს მათი სიამოვნების ორათ-ორ წყაროს. როცა პაპა გრიგოლ VII-მ აიძულა სამღვდელოება ცოლის შერთვაზე ხელი აეღოთ, მაინცის ეპარქიის დაბალი სამღვდელოება, როგორც ზევით გვაქვს აღნიშნული, იმით ასაბუთებდა თავის უკმაყოფილებას, რომ მათ არა აქვთ პრელატებივით (უმაღლესი საასულიერო პირები) მრავალგვარი ცხოვრების სიამოვნებანი. მათი ერთათ-ერთი სიამოვნება ცოლია. ადვილათ შეიძლება მრავალმხრივ მოქმედებას მოკლებული ყოფნა იყოს ერთი მიზეზთაგანი იმის, რომ სოფლის სამღვდელოებას საშუალოთ ბევრი ბავშვები ყავს. სადაო არაა, რომ უღარიბეს ოლქებში, როგორც, მაგალ. სილეზიის მთებში, ლიაუზიცში, ტიურინგიაში, გარცში და სხვ. მცხოვრებლები მეტათ მჭიდროთ არიან დასახლებული, მაშინ, როდესაც უმთავრესათ კარტოფილით საზრდოობენ. დამტკიცებულია, რომ ჭლექიანებს განსაკუთრებით ძლიერ აქვთ განვითარებული სქესობრივი მოთხოვნილება და ისინი ხშირათ შობენ ბავშვებს ძალთა დაცემის ხანაში, როცა ერთი შეხედვით ეს ყოვლად შეუძლებელი გეჩვენება. როგორც ზემო-მოყვანილ შენიშვნებში აქვთ გამოთქმული გერბერტ სპენსერს და ლიაენგს, ბუნების კანონია, რომ რიცხვითი რაოდენობა ავსებს იმას, რაც აკლდება ღირსების მხრივ. მაღალი განვითარების და დიდი ძალის მქონე ცხოვე-

ლები, როგორც, მაგალ. ლომი, სპილო, აქლემი და სხვ. და ჩვენი შინაური პირუტყვები: ცხენი, ვირი, ძროხა ძალიან მცირე-რიცხოვან შთამომავლობას იძლევიან, მაშინ როდესაც დაბალ ორგანიზაციის მქონე ცხოველები საშინელი სისწრაფით მრავლდებიან, მაგალ. ყველა ჯიშის მწერები, თევზთა უმეტესი ნაწილი და სხვ. წვრილფეხა—რძით მოსაზრდოვენი, როგორც მაგალ. კურდღლები, თაგვები, ვირთაგვები და სხვ.; მეორე მხრით, დარვინმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი გარეული ცხოველები მოშინაურების შემდეგ სრულიად კარგავენ ნაყოფიერებას, მაგალ. სპილოები. ამით მტკიცდება, **რომ ცხოვრების პირობების შეცვლას და აქედან გამომდინარე ცხოვრების წესის შეცვლას გადამჭრელი გავლენა აქვს გამრავლების უნარის მეტნაკლებობაზე.**

მარა დარვინისტები მაინც შეპყრობილი არიან მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლების შიშით და ამით დასაყრდნობ ავტორიტეტს აძლევენ თანამედროვე მალტუსიანებს. ჩვენს დარვინისტებს ყოველთვის უვარდებათ კოვზი ნაცარში, როცა ისინი თავის თეორიებით ადამიანის ცხოვრებას ეხებიან, რადგან ისინი ამ შემთხვევაშიც თავის მოუხეშავ ემპირიულ თვალსაზრისზე დგანან და ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ თუმცა ადამიანი უმაღლესი ორგანიზაციის მქონე ცხოველია, მარა წინააღმდეგ სხვა ცხოველებისა, მას შესწავლილი აქვს ბუნების კანონები და შეუძლია შეგნებულათ გამოიყენოს ისინი ცხოვრებაში.

არსებობისათვის ბრძოლის თეორია და მოძღვრება, რომლებიც გვასწავლიან, რომ ჩანასახები ახალ არსების გასაჩენათ ბევრათ მეტია, ვინემ მათი შენახვა შეიძლება არსებულ საშუალებების მიხედვით,—მართალი იქნებოდა ადამიანის შესახებაც, რომ ადამიანები გონებას არ ამუშავებდენ ტეხნიკურ ცოდნის მოსახმარათ და ამ საშუალებით მიწის, ჰაერის, წყლის მიზნის შესაფერათ გამოყენების მაგიერ ჯოგივით ბალახობდენ, ან მაიმუნებივით—თავდაუჭერლათ ეძლეოდენ სქესობრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ე. ი. თვითონაც მაიმუნებათ

იყონ გადაქცეული; სხვათა შორის ის ფაქტი, რომ ადამიანებს გარდა მხოლოდ მაიმუნებში არ არის სქესობრივი მოთხოვნილება შეზღუდული განსაზღვრულ პერიოდობით, ერთი უდიდესი საბუთია იმის, რომ მათ შორის ახლო ნათესავური კავშირი არსებობს. მარა მიუხედავათ ასეთი ნათესავობისა, ისინი ერთი და იგივე არ არიან; მათი ერთ საფეხურზე დაყენება და ერთი საზომით ზომვა არ შეიძლება. ეს კარგათ უნდა დაიხსომოს ციგლერმა, რომელიც თავის თხზულებაში ხშირათ ადარებს მათ ერთმანეთს.

რომ თანამედროვე ნივთიერ და საწარმოო ურთიერთობაში არსებობისათვის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო ადამიანებისთვის და რომ ბევრი ვერ პოულობს არსებობისათვის საჭირო პირობებს,—ეს სადაო არ არის. მარა ისინი ვერ შოულობენ არსებობისათვის სახსარს არა იმიტომ, რომ საკმარისი საზრდო არ მოიპოვება, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავათ მათი უსაზღვრო სიმრავლისა, სოციალური ურთიერთობანი ნებას არ აძლევენ მითი ისარგებლონ. და დიდი უსამართლობა იქნებოდა აქედან ისეთი დასკვნის გამოყვანა, რომ თუ აქამდე ასე იყო, ამიერიდანაც ამის შეცვლა შეუძლებელია და, მაშასადამე, სამუდამოთ ასე უნდა დარჩესო. აი აქაა ის პუნქტები, საიდანაც იწყება დარვინისტების შეცდომა. ისინი სწავლობენ ისტორიას და ანტროპოლოგიას, მარა არ იციან სოციოლოგია და მოუფიქრებლათ მისდევენ ბურჟუაზიულ იდეოლოგებს; აი ამნაირათ გამოყავთ მათ ყალბი დასკვნები.

სქესობრივი მოთხოვნილება ადამიანის ერთი უძლიერესი მოთხოვნილებათაგანია, იგი აუცილებლათ თხოულობს დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯანმრთელობის დარღვევას იმუქრება, და იგი ჩვეულებრივ იმდენათ უფრო ძლიერია, რამდენათ უფრო საღი და ნორმალურათ განვითარებულია ადამიანი; სწორეთ ისე, როგორც კარგი მადა და მონელება მაჩვენებელია კუჭის სისაღის და ძირითად პირობას წარმოადგენს საღი სხეულისთვის. მარა სქესობრივ მოთხოვნილე-

ბების დაკმაყოფილება და ახალი არსების ჩასახვა ერთი და იგივე არაა. კაცთა ნათესავის ნაყოფიერების შესახებ მრავალი სხვა-და-სხვა თეორიებია შედგენილი. საერთოთ ამ საყურადღებო კითხვათა სფერაში ჩვენ ჯერ კიდევ ბნელში ვიმყოფებით. უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მრავალ საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა უაზრო, სულელური შიში ადამიანის წარმოშობის და განვითარების კანონებსა და ჩასახვის კანონთა შესწავლის წინაშე; მარა ეს ნელ-ნელა იცვლება და ბოლოს სულ გაქრება.

ერთი მხრით თეორიები გვეუბნებიან, რომ უმაღლესი სულიერი განვითარება და გაძლიერებული გონებრივი შრომა, საერთოთ ნერვების ძლიერი მუშაობა სჩაგრავს სქესობრივ მოთხოვნილებას და ასუსტებს ჩასახვის უნარს, მეორე მხრით კი ამას უარყოფენ: უთითებენ იმ ფაქტზე, რომ უკეთეს პირობებში მყოფ კლასებს მცირე-რიცხოვანი შვილები ყავს და ეს არ შეიძლება მიეწეროს მაოლოდ წინასწარ მიღებულ ზომებს; ეჰვს გარეშეა, ძლიერი გონებრივი მუშაობის განვითარება აჩლუნგებს სქესობრივ მოთხოვნილებას, მარა რომ ასეთ მოქმედებაში შეძლებული კლასის უმრავლესობას ედვას უდიდესი წილი, ამაში ვერავის დავეთანხმებით. მეორე მხრით, უზომო ფიზიკური შრომაც ასუსტებს სქესობრივ მოთხოვნილებას. მარა ყოველივე უზომო ხარჯი ენერგიის მავნებელია და უნდა უკუგდებულ იქნეს.

სხვები ამტკიცებენ, რომ ჩასახვის უნარი დამოკიდებულია ცხოვრების წესზე, განსაკუთრებით საზრდოობაზე და ქალის ზოგიერთ ფიზიკურ თვისებებზე. შესაფერ საზრდოობას, როგორც ცხოველების მაგალითი გვიჩვენებს, ყველაზე მეტი გავლენა აქვს ჩასახვის აქტზე. აქ უნდა ვეძიოთ ამ კითხვის პასუხი. თუ რა გავლენა აქვს საზრდოობას ზოგიერთ ცხოველების ორგანიზმზე, ამის განსაცვიფრებელ მაგალითს გვაძლევენ ფუტკრები, რომლებიც განსაკუთრებულ საზრდოობის საშუალებით ჩეკენ დედა-ფუტკარს. ამნაირათ, ფუტკრები თავის სქესობრივ განვითარების ცოდნაში ბევრათ წინ დგანან

ადამიანებზე. ალბათ მათ ორი ათასი წლის განმავლობაში არ ჩასჩიჩინებდენ, რომ „უზრდელობა“ და „უზნეობაა“ ისეთ საგნებზე ზრუნვა და ლაპარაკი, რომელნიც სქესობრივ ცხოვრებას ეხებიანო.

მეორე მხრით, ცნობილია, რომ კარგ და მეტის-მეტათ ნაპატივებ მიწაზე დარგული მცენარეები საუცხოოთ იზრდებიან, მარა ნაყოფი კი არ მოაქვთ. რომ ადამიანებშიაც საზრდოობას მნიშვნელობა აქვს მამაკაცის თესლის შემადგენლობაზე და დედაკაცის საშვილოსნოს ნაყოფიერებაზე, ამაში ეჭვის შეტანა ძნელია, და ამნაირათ, უნდა ვიფიქროთ, რომ გამრავლების უნარი დიდათაა დამოკიდებული საზრდოობაზე; მნიშვნელობა უნდა ქონდეს სხვა ფაქტორებსაც (მიზეზი, მომქმედი ძალა), რომელთა ბუნება ჯერჯერობით ხეირიანათ შესწავლილი არაა. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ერთ ჩვენ ნაცნობ ცოლ-ქმარს დიდიხნის განმავლობაში არ ყოლიათ შვილი, შემდეგ, როცა ისინი დაშორდენ ერთმანეთს და სხვებთან დაქორწინდენ, ერთსაც და მეორესაც ჯანსაღი ბავშვები გაუჩნდა.

მცხოვრებთა რაოდენობის საკითხის გადაჭრაში მომავლისთვის ერთ რამეს აქვს მნიშვნელობა: ესაა უფრო მაღალი, უფრო თავისუფალი მდგომარეობა, რომელშიაც იქნებიან მაშინ გამოუკლებლივ ყველა ქალები. ინტელიგენტ და ენერგიულ ქალებს (გამონაკლისზე არ ვლაპარაკობთ), არავითარი მისწრაფება არა აქვთ „ღვთის ნებაზე“ გააჩინონ მრავალი შვილები და თავის სიცოცხლის საუკეთესო წლები ფეხმძიმობასა და მეძუძურობაში გაატარონ. ასეთი სურვილი ბევრი ბავშვის არ ყოლისა, რაც დღესაც ემჩნევა ქალთა უმრავლესობას, მომავალ საზოგადოებაში შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს, მიუხედავათ დიდი მზრუნველობისა, რომელსაც გამოიჩენს დედებისადმი ახალი საზოგადოება; ასე რომ, ჩვენი აზრით, ადვილათ მოსალოდნელია სოციალისტურ საზოგადოებაში მცხოვრებთა გამრავლება უფრო ნელი იქნეს, ვინემ ბურჟუაზიულშია.

ჩვენს მალტუსიანებს არავითარი საბუთი არა აქვთ, თავი იტეხონ კაცობრიობის გადაჭარბებულ გამრავლების გამო მომავალში. აქამდე ხალხები იღუპებოდენ მხოლოდ მცხოვრებთა შემცირების გამო, მცხოვრებთა გადაჭარბებული სიმრავლით კი არასოდეს არავინ დაღუპულა. ბოლოს და ბოლოს ბუნებრივ პირობების თანახმათ მცხოვრებ საზოგადოებაში, მცხოვრებთა ზრდის მოსაწესრიგებლათ საჭირო არაა არც მავნებელი სქესობრივი თავ-დაჭერა და არც არა ბუნებრივი, წინასწარი საშუალებების მიღება მუცლის უნაყოფობის გამოსაწვევათ. კარლ მარქსი აქაც მართალია მომავლისთვის: მისი შეხედულება, რომ ყოველ ეკონომიურ ეპოქას თავის განსაკუთრებული კანონი აქვს მცხოვრებთა სიმრავლის, სოციალისტურ საზოგადოებაშიაც მართალი გამოდგება.

თავის თხზულებაში: „ხელოვნური შეზღუდვა ბავშვთა რაოდენობისა“, ჰანს ფერდის ასეთი შეხედულება აქვს გამოთქმული:

„როცა სოციალდემოკრატია მალტუსიანების წინააღმდეგ გამოდის, ის ეშმაკურათ იქცევა. მცხოვრებთა სწრაფი გამრავლება იწვევს პროლეტართა მასსის გამრავლებას და ამასთან ერთათ იზრდება უკმაყოფილება. თუ მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლებას რაიმე ეშველა, მაშინ სოციალდემოკრატიას ბოლო მოეღება და სოციალდემოკრატიული სახელმწიფო მთელი თავისი ავლადიდებით სამუდამოთ დაიმარხება. ამნაირათ, აქ ძველ საშუალებებს ერთი ახალი ემატება სოციალდემოკრატიის მოსასპობათ — მალტუსიანობა“ *).

*) რომ ეს სოციალისტების მოსისხლე მტერი — ფერდი შესანიშნავ უვიცობას იჩენს სოციალდემოკრატიის შესახებ, ეს ნათლათ ჩანს შემდეგი დებულებებიდან, რომელიც მისი წიგნის 40 გვერდზეა მოყვანილი: „სოციალდემოკრატია უფრო შორს წაეა თავის მოთხოვნილებებში, ვინემ ნეომალტუსიანები. იგი მოითხოვს ისეთ მინიმალურ სამუშაო ჭირას, რომ თვითეულ მუშას შეეძლოს იმდენი ბავშვის გამოზრდა, რამდენიც საზოგადოებაში არსებულ სასაზრდოო საშუალებების მიხედვით შესაძლებელი იქნება. რაკი სოციალდემოკრატიის მოძღვრებიდან გამოყვანილი იქნება უკანასკნელი დასკვნები და კერძო საკუთრება მოისპობა, მაშინ ყოველი თვით უბრალო ადამიანიც კი იტყვის: „რათ უნდა ვიმუშაო მეტი, რათ მოვიწყვიტო წე-

მცხოვრებთა გადაჭარბებულ გამრავლების შიშით დამფრთხალთა შორის, რომელნიც ამ მიზეზით თხოულობენ ქორწინების შეზღუდვას მცხოვრებლებისთვის და განსაკუთრებით მუშებისთვის, იმყოფება პროფ. დოქტ. ადოლფ ვაგნერიც. ის სწუხს, რომ მუშები საშუალო კლასებთან შედარებით ადრე ქორწინდებიან. მარა ის და მისი მზგავსი მოაზრენი ივიწყებენ იმ გარემოებას, რომ საშუალო კლასის მამაკაცები მხოლოდ ხანში შესვლისას თუ აღწევენ ისეთ ცხოვრების პირობების შექმნას თავისთვის, რომ მდგომარეობის შესაფერი ქორწინება შეიძლონ. სამაგიეროთ, ისინი პროსტიტუციით სარგებლობენ და ამ თავდაჭერილობის გადატანა არ სჭირდებათ. როცა მუშებისთვის ქორწინების გაძნელებას მოითხოვენ, ამით მათაც აქეთკენ ერეკებიან. მარა მაშინ აღარ უნდა ჩიოდენ მაინც მის შედეგებს და არ გაჰკიოდენ „ზნეობის დაცემაზე“. აღარც უნდა აღშფოთდენ, როცა ხედავენ, რომ მამაკაცები და დედაკაცები (უკანასკნელთაც ხომ ისეთივე მოთხოვნილება აქვთ, როგორც მამაკაცებს) უკანონო კავშირს იჭერენ ერთმანეთთან და თავის ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ— უკანონო ბავშვებით ავსებენ სოფლებსა და ქალაქებს. ვაგნერის და მისი თანამოაზრეების შეხედულება ეწინააღმდეგება ბურჟუაზიის ინტერესებს და თანამედროვე ეკონომიურ განვითარებას, რომელიც თხოულობს მეტი მუშა-ხელის გაჩენას, რომ კონკურენციის გაწევა გაუადვილდეს მსოფლიო ბაზარზე. ასეთი კუდ-მოკლე ფილისტერულ წინადადებებით და რეტროგრადობით არ განიკურნება ჩვენი დროის ბოროტებანი. არც ერთ კლასს, არც ერთ სახელმწიფოს მთავრობას არ მოეპოვება დღეს, 20 საუკუნის დასაწყისში ისეთი ძალა, რომ შეაჩეროს, ან შესწყვიტოს საზოგადოების ბუნებრივი განვითარება. ყოველი ასეთი ცდა—ფუჭი და ამაოა. განვითარების ტალღა

---

ლი მძიმე სამუშაოთი, ნუ თუ მხოლოდ იმისთვის, რომ ჩემს მეზობელს და მის ცოლს მოესურვა თორმეტიოდე ახალი წევრის შეძენა საზოგადოებისთვის“.

მას რომ ჯერ კარგათ შეესწავლა სოციალიზმის ანბანი და მერე დაეწყო მაზე წერა, რა თქმა უნდა, ასეთ მიქარვას აღარ წამოისროდა.

ისეთი ძლიერია, რომ ყოველგვარ დაბრკოლებებს დაამსხვრევს. უკან კი არა, წინ! — ასეთია ჩვენი დროის ამოცანა, და ძალიან ცდებიან ისინი, ვისაც გონია, რომ ამ მოძრაობის შეჩერება შესაძლებელია...

**სოციალისტურ საზოგადოებაში კაცობრიობა, როგორც ნამდვილ თავისუფალ და ბუნებრივ საფუძველზე დამდგარი, პირველათ მოაწყობს თავის ცხოვრების შეგნებულათ გაძღოლას. ყველა წინა ეპოქებში, როგორც წარმოების და განაწილების შესახებ, ისე მცხოვრებთა გამრავლების საკითხში, ის მოქმედებდა თავის განვითარების კანონების უცოდნელათ, ე. ი. ბრმათ, შეუგნებლათ; ახალ საზოგადოებაში ის იმოქმედებს შემუშავებულ გეგმით და შეგნებულათ, რადგან ეცოდინება თავის საკუთარი განვითარების კანონები.**

**სოციალიზმი — ეს მეცნიერებაა, ადამიანის მოქმედების ყველა სფერებში გამოყენებული.**



# დ ა ს კ ვ ნ ა.

ყველა ზემო-თქმულიდან ჩანს, რომ სოციალიზმის განხორციელებაში მნიშვნელობა აქვს არა ვისმეს ნება-სურვილით დამხობას და აშენებას, არამედ ბუნებრივ—ისტორიულ აღორძინებას. ყველა ფაქტორები, რომელნიც რაიმე როლს ასრულებენ ერთი მხრით დანგრევისა და მეორე მხრით აღორძინების პროცესში, მოქმედებენ ისე, როგორც უნდა ემოქმედათ. არც „გენიალურ სახელმწიფო პირებს“, არც „ხალხის ამაღელვებელ დემაგოგებს“ არ შეუძლიათ თავის ნებაზე მიმართონ საქმეთა მსვლელობა. „ისინი ფიქრობენ, ჩვენ მიგვყავსო, მარა თვითონ ისინი კი მიყავთ“. ჩვენ ახლო ვართ ისეთ მომენტთან, „როცა აღსრულდებიან დრონი“.

გერმანია ბევრათ განირჩევა სხვა ქვეყნებისაგან თავისებური განვითარებით და მან ახლო მომავალში ხელმძღვანელი როლი უნდა იკისროს.

ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი საქონლის გადაჭარბებულ წარმოებაზე, რომელიც შობს კრიზისებს. ეს მოვლენა—სპეციალური თვისებაა ბურჟუაზიული ქვეყნის, იგი უცნობი იყო განვითარების წინა ეპოქებში.

მარა ბურჟუაზიული ქვეყანა ქმნის არა მარტო ზედმეტ საქონელს და მუშას, ამასთანავე ქმნის ზედმეტ ინტელიგენციას; გერმანია კლასიკური ქვეყანაა, სადაც საზოგადოებრივობის ყველა საფეხურზე შეხვდებით ზედმეტ ინტელიგენციას და ბურჟუაზიულმა ქვეყანამ არ იცის, რა უყოს ამდენ ნასწავლებს. ეს მოვლენა აიხსნება უმთავრესათ იმ განსაკუთრებული მდგომარეობით, რომელიც მთელი საუკუნეა არსებობს გერმანიაში და დიდ უბედურებათაც ითვლება მისთვის. ეს არის გერმანიის პატარ-პატარა სახელმწიფოებათ დანაწილება. ამ პოლიტიკურმა გარემოებამ შემაფერხებელი გავლენა იქონია მსხვილი კაპიტალიზმის განვითარებაზე. პატარ-პატარა სახელმწიფოების არსებობამ განავითარა ერის სულიერი ცხოვრების დეცენტრალიზაცია, მან შექმნა მრავალი ცენტრები სულიერი კულტურის, რომელთაც გავლენა აქვთ მთელ ერზე. ერთიან, ცენტრალურ მთავრობასთან შედარებით, ეს მრავალი პატარა სახელმწიფოები არა ჩვეულებრივ დიდ ბიუროკრატიულ აპარატს თხოულობენ, რომლის წევრობისთვის უმაღლესი განათლების მიღებაა საჭირო. ამიტომ ვხედავთ აქ იმდენ უმაღლეს შკოლებს და უნივერსიტეტებს, რამდენსაც ვერც ერთ სხვა ევროპის სახელმწიფოში ვერ შეხვდებით. ამ შემთხვევაში დიდი როლი ითამაშა მთავრობათა გაჯიბრებამ და თავმოყვარეობამ. ამგვარი ამბავი განმეორდა მაშინაც, როცა ზოგიერთმა მთავრობამ საყოველთაო სავალდებულო სწავლება შემოიღო; იმის სურვილმა, მეზობელ სახელმწიფოს არ ჩამოვრჩეო, კარგი ნაყოფი მოიტანა. ინტელიგენტური ძალების მოთხოვნილებამ იმატა, როცა განათლების ზრდამ ბურჟუაზიის ნივთიერ გაღო-

ნიერებასთან ერთათ დაბადა მოთხოვნილება ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში და სათემო თვითმართველობის შემოღების. ეს იყო მცირე კორპორაციები პატარა მხარესა და ოლქებში, მარა მან აიძულა მაღალ კლასების შვილები მასში ადგილის დაჭერას ცდილიყვენ და ამის შესაფერ განვითარებაზე ეზრუნათ.

ეს დაეტყო როგორც მეცნიერებას, ისე ხელოვნებას. არც ერთ ევროპის ქვეყანას არ მოეპოვება იმდენი ტეხნიკური და სამხატვრო შკოლები, მუზეუმები, ხელოვნების ნაწარმოებთა კრებულები, რამდენიც გერმანიას. სხვა ქვეყნებს შეუძლიათ თავის სატახტო ქალაქებში უფრო მნიშვნელოვანი რამეც გვიჩვენონ, მარა მათი იმპერიის ყველა კუთხეებში განაწილება გარდა გერმანიისა, არსად არ შეგხვდებათ. ხელოვნების მხრივ ამასვე ნახავთ მხოლოდ იტალიაში.

ამ განვითარებამ გააღრმავა ნემეცთა სულიერი კულტურა, ხოლო მსხვილი პოლიტიკური ბრძოლის გამოუვლელობამ ხელი შეუწყო გონებრივი განვრეტით ცხოვრებას. როდესაც სხვა ერები იბრძოდენ მსოფლიო ბაზარზე გასაბატონებლათ, ერთმანეთში იყოფდენ მთელ დედამიწას, ან მონაწილეობდენ შინაურ დიად პოლიტიკურ შეჯახებებში, ნემეცები ისევ შინ ისხდენ, ოცნებობდენ და ფილოსოფოსობდენ. მარა ამ ოცნებამ, თავის სულის სიღრმეში ჩახედვამ და ფილოსოფიურმა აზროვნებამ, რომელსაც გერმანიის ჰავაც უწყობდა ხელს, რადგან იგი აიძულებდა მათ ოჯახური ცხოვრება ეტარებიათ და მთელი თავის გონებრივი ძალები ევარჯიშებიათ,—შეიმუშავა მათში ნიჭი კრიტიკული მსჯელობის და ღრმა დაკვირვების, რომლითაც განირჩევიან ნემცები თავის გამოფხიზლების დღიდან.

მაშინ, როცა ინგლისის ბურჟუაზიამ მე-XVII საუკუნეში, ხოლო საფრანგეთისამ მე-XVIII-ის დასასრულში მოიპოვა გადამჭრელი მნიშვნელობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში,—გერმანიის ბურჟუაზიამ მხოლოდ 1848 წელს მოახერხა შედარებით მეტათ მცირე გავლენის მოპოვება სახელმწიფო მართვე-

ლობაზე. მარა 1848 წელი მაინც ნამდვილი დაბადების დღეა ნემეცთა ბურჟუაზიის, როგორც შეგნებული კლასის, რომელსაც ლიბერალიზმი ყავს წარმომადგენლათ და დამოუკიდებელ პოლიტიკური პარტიის სახით გამოდის ასპარეზზე. აქაც დაეტყო ნემეცთა განვითარების თავისებურობა. ხელმძღვანელის როლს თამაშობდენ არა ფაბრიკა-ქარხნების პატრონები, ვაჭრები, აღებ-მიცემობის და ფინანსების წარმომადგენელნი, არამედ უმთავრესათ ლიბერალური, მაღალი თანამდებობის პირები, პროფესორები, მწერლები, იურისტები და ყველა ფაკულტეტების დოქტორები. ესენი იყვენ ნემეცთა იდეოლოგები და შესაფერი გამოვიდა მათი ქმნილებაც. 1818 წლის შემდეგ ბურჟუაზია ერთი ხნით ჩაჩუმებული იქნა, როგორც პოლიტიკური ძალა. მარა მან ისარგებლა მე-50-ე წლების სამარისებურ პოლიტიკური სიჩუმით, რომ უფრო კარგათ მოეწყო და მოეწესრიგებია თავის სამრეწველო საქმეები. ავსტრო-იტალიის ომმა და რეგენტობის ხანამ პრუსიაში, ხელახლა აღუძრა ბურჟუაზიას სურვილი პოლიტიკურ მართველობისაკენ ხელის გაწვდის. დაიწყო მოძრაობა, ნაციონალურ კავშირის დასაარსებლათ. ბურჟუაზია უკვე იმდენათ განვითარებული იყო, რომ არ შეეძლო მოეთმინა აუარებელი პოლიტიკური დაბრკოლებები და ზღუდეები მრავალ პატარ-პატარა გერმანულ სახელმწიფოებისა, მით უმეტეს, რომ ეს დაბრკოლებები ეკონომიურ სფერასაც წვდებოდენ. მან ისეთი სახე მიიღო, თითქო გარევოლიუციონერებას ეპირებოდა. ბ. ფონ-ბისმარკმა ალღო აუღო მომენტის მოთხოვნილებას და თავისებურათ ისარგებლა ამით, რომ შეერიგებია ბურჟუაზიის ინტერესები პრუსიის მეფის მთავრობის ინტერესებთან, რომელსაც იგი არსებითათ არასოდეს მტრულათ არ ეკიდებოდა, რადგან მასსის და რევოლიუციის შიში ძვალსა და რბილში ქონდა გამჯდარი. ბოლოს მისი ეკონომიური განვითარების დაბრკოლებები დაიმსხვრა. გერმანიის ბურჟუაზიამ ისარგებლა ქვა-ნახშირით და მადნებით მდიდარ ადგილებით, ისარგებლა აუარებელ ინტელიგენტურ, მარა მცირე მოთხოვნილების მქონე მუშა-ხელით

და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიაღწია ისეთ განვითარებას, როგორიც ასე მოკლე ხანში არც ერთ ქვეყნის ბურჟუაზიას არ გაუვლია, გარდა შეერთებული შტატებისა. გერმანიამ მალე მეორე ადგილი დაიჭირა ევროპაში, როგორც სამრეწველო და სავაჭრო სახელმწიფომ და ცდილობს პირველობა მიიღოს.

მაგრამ ამ ძლიერ ეკონომიურ განვითარებას თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. განკერძოების სისტემა, რომელიც მეფობდა აქამდე ნემეცთა სახელმწიფოებში, არსებობის საშუალებას აძლევდა მრავალ-რიცხოვან ხელოსნებს და წვრილ გლეხკაცობას. ყველა ამ ზღუდეების დარღვევის შემდეგ, მათ წინ უეცრათ წამოიჭიმა კაპიტალისტური წარმოება თავის სწრაფი ზრდა-განვითარების პროცესით. მათი მდგომარეობა უნუგეშო შეიქნა. 70-იან წლებში, წარმოების აყვავების ხანაში თავდაპირველათ ეს საშიში მდგომარეობა ნათლათ არ ჩანდა, მარა კრიზისის დროს ის მეტათ საგრძნობელი შეიქნა. აყვავების ხანაში ბურჟუაზია განსაცვიფრებლათ განვითარდა და ახლა მათი სიმძიმე მასსიური წარმოების წყალობით, 10-ჯერ უფრო საგრძნობელი გახდა. ამიერიდან საშინელი სისწრაფით იზრდება უფსკრული შეძლებულ და შეუძლებელ კლასებ შორის. ეს პროცესი გახრწნის და გათქვეფის, რომელიც თანდათან ჩქარდება, ხელს უწყობს მატერიალურ ძალის ზრდას ერთ მხარეზე და ასუსტებს წინააღმდეგობის ძალას მეორეზე, რის გამო მთელი საზოგადოებრივი კლასები მეტათ შევიწროვებულ მდგომარეობაში ვარდებიან. ისინი ხედავენ, რომ მათ ცხოვრებას რაღაც საშინელი ხიფათი უახლოვდება. ისინი მათემატიკური სისწორით ხედავენ თავის დაღუპვის აუცილებლობას.

იწყება თავგანწირული ბრძოლა. ბევრი ხელობის გამოცვლაში ეძებს ხსნას; მარა მოხუცებს არ შეუძლიათ გამოცვლა; მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ მოახერხებენ რაიმე ქონება დაუტოვონ თავის შვილებს. ამიტომ მთელ თავის ძალღონეს ალევენ, უკანასკნელ საშუალებებს ხმარობენ, რომ თავის ვაჟები და ქალიშვილები როგორმე ისეთ ადგილზე მოათავსონ,

საიდანაც მათ მუდმივი შემოსავალი ექნებათ და სადაც საწარმოო თანხა არ დასჭირდებათ. ასეთია მოხელეთ შესვლა სახელმწიფო, საიმპერიო და კომუნალურ სამსახურში, მასწავლებლის პროფესია, ფოსტის და რკინის-გზის სამსახური; პრივილეგიანი ადგილები მსხვილ ბურჟუაზიულ წარმოებაში, კანტორებში, სავაჭროებში, საწყობებში, ქარხნებში, კანტორის მოსამსახურეებათ, გამგეებათ, ქიმიკოსებათ, ტეხნიკებათ, ინჟინერებათ და სხვ.; შემდეგ ეგრეთ წოდებული, ლიბერალური პროფესიები, აქიმები, ვექილები, პასტორები (მღვდლები), მწერლები, მხატვრები, არქიტექტორები, მასწავლებლები და სხვ.

ათი-ათასობითაა იმათი რიცხვი, რომელნიც წინათ რაიმე ხელობას შისდევდენ და ახლა კი აღნიშნულ პროფესიებში გადასვლას ცდილობენ, რადგან სხვა გზა არა აქვთ დამოუკიდებელი და რიგიანი ცხოვრების მოსაწყობათ; ამიტომ ყველა ეტანება საშუალო და უმაღლეს სწავლის მიღებას. რეალური სასწავლებლები, გიმნაზიები, პოლიტეხნიკური ინსტიტუტები და სხვა ისე მრავლდება, როგორც სოკო ნაწვიმარზე; უკვე არსებულნი სავსეა მოსწავლეებით, ასევე იზრდება სტუდენტების რიცხვი უნივერსიტეტებში, მოსწავლეები ქიმიურ და ფიზიკურ ლაბორატორიებში, სამხატვრო, სამრეწველო და კომერციულ შკოლებში და ყოველგვარ ქალთა საშუალო სასწავლებლებში. ყველა სპეციალობაში გამოუკლებლივ აუარებელი ზედმეტი ხალხი ითვლება და მათ რიცხვს თანდათან ემატება. მუდამაა მოთხოვნილება ახალ-ახალი გიმნაზიების და უმაღლესი სასწავლებლების, რომ ყველა მსურველი დაიტიოს. მთავრობა და კერძო პირები გაფრთხილებას გაფრთხილებაზე აქვეყნებენ: ამა და ამ სპეციალობის შესწავლას არ შეუდგეთ ტყვილაო, ასე გასინჯეთ თეოლოგიაც კი, რომელიც უკანასკნელ ათეული წლების განმავლობაში მსმენელთა სიმცირის გამო სულს ღაფავდა, ამ ბოლო დროს მათ სიმცირეს ველარ უსაყვედურებენ, თავისუფალი ადგილი მასშიაც არ რჩება. „მე მზათ ვარ ვისწავლო 10,000 ღმერთის და ეშმაკის სარწმუნოება, ოღონდ ვიშოვო ადგილი, რომელიც სარჩოს მომ-

ცემს“,—გაისმის აქეთ-იქიდან. მინისტრები ახლა ხშირათ ამბობენ უარს ახალ საშუალო სასწავლებლის გახსნაზე იმ მოსაზრებით, რომ „არსებულიც იმდენ კანდიდატებს იძლევა ყველა სპეციალობისთვის—თავს გადადისო“.

საქმის მდგომარეობას ერთი-ორათ ამწვავებს ის გარემოება, რომ ბურჟუაზიის შიგნი გაჩაღებული გამანადგურებელი ომები კონკურენციის გამო, ხშირათ აიძულებს მათ შვილებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამსახურში ეძიონ ადგილი. შემდეგ მრავალ-რიცხოვანი მუდმივი ჯარი აუარებელი აფიცრებით, რომელთა აღმატება სამსახურში მშვიდობიან დროს მეტათ გაძნელებულია, ბევრ მათგანს ახალგაზრდობაშივე სტოვებს შტატს გარეშე და ესენი სახელმწიფოს მფარველობით, სხვა-და-სხვა ადმინისტრატიულ თანამდებობის მიღებას ცდილობენ. ჯარის დაბალი მოსამსახურენიც მრავალ კანდიდატებს აყენებენ სამოქალაქო თანამდებობაზე და ამით ლუკმა-პურს უსპობენ საზოგადოების სხვა წრეებს. ამას ემატება ისიც, რომ საიმპერიო, სახელმწიფო და კომუნალურ მოსამსახურეთა მთელი ლაშქარი თავის შვილებს უმთავრესათ ამავე პროფესიებისათვის ამზადებს. სოციალური მდგომარეობა, განათლების ხარისხი და თავისებური პრეტენზიები, წებას არ აძლევენ ამ წრეებს ეგრეთ წოდებულ დაბალ ხარისხის საქმეებისთვის მოაკიდებიონ ხელი თავის შვილებს, ამასთანავე თავისუფალი ადგილი არც აქ მოიპოვება. თავის ნებით ჯარში შესვლის სისტემა (система вольноопредѣляющихся), რომელიც განსაზღვრული განათლების მექონეს და შესაფერ ნივთიერ ხარჯის გამწევს, ორი-სამი წლის მაგიერ ერთ წლამდე უმცირებს სამხედრო სამსახურს, ერთი-ორათ ზრდის ყოველგვარ თანამდებობაზე ადგილების მაძიებელთა რიცხვს.

განსაკუთრებით, ბევრი შეძლებული გლეხის შვილს არ უღიმის სოფლათ დაბრუნება და მამის ხელობის გაგრძელება.

ყველა ამ გარემოებების გამო გერმანიაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, არა ჩვეულებრივ მრავალ რიცხოვან ინტელიგენტურ პროლეტარიატს შეხვდებით. ძლიერია პროლეტა-

რიატი, ეგრეთ წოდებულ თავისუფალ პროფესიებისა, რომელიც თანდათან იზრდება და არსებული წყობილებით უკმაყოფილება და აღშფოთება შეაქვს საზოგადოების მაღალ წრეებში. თვით ცხოვრება იწვევს და აქეზებს ამ ახალგაზრდობას არსებულ წყობილების წინააღმდეგ და ამით შესამჩნევათ აჩქარებს საერთო დაშლის და გახრწნის პროცესს. ამნაირათ, არსებულ წყობილებას ყოველ მხრიდან თავს ესხმიან და ძირს უთხრიან.

ყველა ამ პირობების შედეგია ის, რომ გერმანიის სოციალდემოკრატიამ ხელმძღვანელი როლი მოიპოვა დიად, გიგანტურ ბრძოლაში საუკეთესო მომავლისათვის. ნემეცმა სოციალისტებმა აღმოაჩინეს კანონი თანამედროვე საზოგადოებრივ მოძრაობის და მეცნიერულათ დაასაბუთეს სოციალიზმი, როგორც მომავალი საზოგადოების ფორმა. ესენი იყვენ პირველ ყოვლისა კ. მარქსი და ფ. ენგელსი, მათ მოსდევს ფ. ლასსალი, რომელმაც ჩაუქრობელი ცეცხლი აანთო მასსის გულში; პირველი პიონერებიც, რომელთაც გაავრცელეს სოციალისტური აზრები სხვა-და-სხვა ერის პროლეტარიატში— ნემეცი სოციალისტები იყვენ.

XIX საუკუნის ნახევარში ბოკლი, რომელმაც შეისწავლა ნემეცთა სულიერი კულტურა, სწერდა, რომ გერმანიაში მართლაც ბევრი დიდებული მოაზროვნეა, მარა იშვიათია მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც მსწავლულებსა და მასსის შორის ისე დიდი მანძილი იყოს, როგორც იქ. დღევანდელ გერმანიაზე ეს უკვე აღარ ითქმის.

ეს მართლა ასე იყო, როცა მეცნიერება გერმანიაში არ სცილდებოდა მსწავლულთა ვიწრო წრეს, რომელნიც შორს იდგენ ცხოვრების პრაქტიკიდან. მას შემდეგ გერმანიამ დიდი ეკონომიური რევოლიუცია გამოიარა და მეცნიერება იძულებული შეიქნა პრაქტიკულ ცხოვრების სამსახური ეკისრა. თვით მეცნიერებაც პრაქტიკული შეიქნა. შეიგნეს, რომ იგი მხოლოდ მაშინ იძენს სრულ ღირებულებას, როცა ცხოვრების საშუალებათ იქცევა; ამას თხოულობდა მსხვილი კაპიტალის-

ტური განვითარება. ამის გამო უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში მეცნიერების ყველა დარგებმა დემოკრატიზაცია განიცადეს. პირველ ყოვლისა, უმაღლეს პროფესიებისთვის მომზადებულ ახალგაზრდობის სიმრავლემ შეუწყო ხელი მეცნიერების შეტანას ხალხში; შემდეგ საყოველთაო საშუალო განათლებამ, რომელიც გერმანიაში უფრო მაღლა დგას, ვინემ ბევრ სხვა ქვეყნებში, გაუადვილა მასსას ადამიანის სულიერ ნაწარმოებთა გაცნობა—შეთვისება. მარა განსაკუთრებით შესამჩნევათ წასწია წინ მასსის სულიერი განვითარება სოციალისტურმა მოძრაობამ და ლიტერატურამ, ჟურნალ-გაზეთებმა, კრებებმა, საზოგადოებებმა, საპარლამენტო წარმომადგენლობამ და ამ ფაქტორების კრიტიკულმა მუშაობამ თანამედროვე ცხოვრების სხვა-და-სხვა სფერაში.

განსაკუთრებულ კანონს სოციალისტების წინააღმდეგ (1878—90 წ. წ.) არაფერი არ შეუცვლია მასში არსებითათ, მან მხოლოდ რამდენიმეთ შეასუსტა მოძრაობა და ოდნავ შეანელა მისი ტემპი. მარა, მეორე მხრით იგი დაეხმარა მოძრაობის გაღრმავებას და დიდი მძულვარება დაბადა გაბატონებულ კლასების და სახელმწიფო მართველობის მიმართ: თვით განსაკუთრებული კანონის დაცემა შედეგი იყო მის ბატონობის ხანაში სოციალდემოკრატიული პარტიის გაძლიერების და ერის ეკონომიურ განვითარების. მოძრაობა დღესაც მიდის წინ ისე, როგორც უნდა მიდიოდეს არსებულ პირობებში.

და როგორც გერმანიაში, ისე სხვა კულტურულ ქვეყნებში, სოციალისტურ მოძრაობას ისეთი დიდი ნაყოფი მოაქვს, როგორსაც ძნელათ თუ ვინმე მოელოდა; ამას მჭერმეტყველურათ მოწმობენ საერთაშორისო კონგრესები, რომლის მონაწილეთა რიცხვიც განუწყვეტლივ იზრდება.

ამნაირათ, ყველა კულტურულ ქვეყნებში დიადი სულიერი ბრძოლაა გაჩაღებული და ის წარმოებს სულ მეტი და მეტი გატაცებით და აღფრთოვანებით. ამ ბრძოლის იარაღს იძლევა როგორც სოციალური მეცნიერებანი, ისე ფართე დარგები ბუნებისმეტყველების, ჰიგიენის, ისტორიის, კულტურის

და ფილოსოფიის. არსებულ წყობილების საფუძვლებს **ყოველ მხრიდან ესხმიან თავს** და ᲛᲘᲡ ბურჯებს მძლავრი ლახტები ხვდება შესამუსრავათ. რევოლიუციური აზრები შეიჭრენ თვით კონსერვატიულ წრეებშიაც და არევ-დარევას იწვევენ ჩვენი მტრების რაზმებში. ხელოსნებში და მეცნიერებში, მიწის მუშებში და მხატვრებში, ვაჭრებში და მოხელეებში, თვით ფაბრიკანტებში და ბანკირებში, ერთი სიტყვით, ყველა მდგომარეობის ხალხში მოიპოვებიან დღეს მომხრენი მუშათა კლასის, ამ მთავარი ძირითადი ლაშქარის, რომელიც იბრძვის საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლათ და მიაღწევს კიდეც მას. ყველანი ეხმარებიან და ავსებენ ერთი მეორეს.

საერთოთ ქალებს და განსაკუთრებით პროლეტარ ქალებს ცხოვრება უყენებს მოთხოვნილებას—არ ჩამორჩენ ამ ბრძოლას, რომელიც წარმოებს აგრეთვე მათ გასანთავისუფლებლათ და მონობისაგან დასახსნელათ. მათ უნდა დაამტკიცონ, რომ შეგნებული აქვთ თავის ნამდვილი მდგომარეობა და როლი თანამედროვე მოძრაობასა და ბრძოლაში უკეთესი მერმისისათვის და მზათ იყოს მასში მონაწილეობის მისაღებათ. მამაკაცების მოვალეობაა—დაეხმარონ მათ ცრუ-შეხედულებათაგან განთავისუფლებაში და გვერდში ამოუდგენ მომავლისთვის ბრძოლაში. არავინ არ უნდა დაამციროს მეტის-მეტათ თავის ძალა, არავინ არ უნდა იფიქროს, რომ საქმე უმისოთაც გაკეთდება. კაცობრიობის პროგრესისათვის ყოველი ძალა საჭიროა, რაც უნდა სუსტი იყოს იგი. წვეთების განუწყვეტელ ცემით ბოლოს და ბოლოს უმაგრესი ქვაც კი გაიხვრიტება; მრავალ წვეთებისაგან შესდგება ნაკადული, ნაკადულებისაგან პატარა მდინარე, პატარასაგან—დიდი; ბოლოს და ბოლოს არ არსებობს ისეთი დაბრკოლება, რომელსაც შეეძლოს მისი ძლიერი მიმდინარეობის შეჩერება. ასეა კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაშიაც. დაე ყველა, ვინც გრძნობს მოწოდებას, მთელი თავისი ძალღონით ჩაებას ამ ბრძოლაში და საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია.

გამარჯვება იმდენათ უფრო დიდი იქნება, რამდენათაც მხურვალეთ და თავგანწირულათ გაჰყვება თვითეული ჩვენგანი ერთხელ აღნიშნულ გზას. არავის არ უნდა აწუხებდეს იქვი, ვაი თუ მიუხედავათ ამდენი მსხვერპლისა, შრომის და ძალ-ღონის ხარჯისა, ვერ მივაღწიოთ ახალი კულტურული პერი-ოდის დასაწყისს და გამარჯვების ნაყოფით ვერ ვისარგებლოო; მით უმეტეს არ უნდა უშლიდეს ის არჩეულ გზის გაგრძელე-ბას. ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგვიძლია განვსაზღვროთ არც ხანგრძლივობა და არც ფორმა განვითარების ფაზების, რო-მელნიც უნდა გავიაროთ უმაღლეს მიზნისათვის ბრძოლაში, როგორც არ შეგვიძლია განვსაზღვროთ ჩვენი ცხოვრების ხან-გრძლივობა; მარა ჩვენ მაინც სავსე ვართ სიცოცხლის სურ-ვილით და ასე უნდა სავსე ვიყოთ **იმედით**, რომ ამ ბრძოლას გადავრჩებით. ჩვენ ხომ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომელიც მდევის ნაბიჯით მიექანება წინ და ამით ცახცახს გვრის ყვე-ლას, ვინც მტერია **ახალი, უმაღლეს** საზოგადოებრივ წყო-ბილების.

ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობები მოდის ახალ იდეათა გასაოცარი ზრდის და მძლავრი გავრცელების. ცხოვრების ყველა სფერა დუღილს განიცდის, ყველაფერი წინ მიისწრაფის. მომხიბვლელი დილის განთიადი ძალუმათ გვიზიდავს ნათელი დღის შესახვედრათ, მაშ გავსწიოთ წინ და ნუ შევშფოთდე-ბით იმით, რომ არ ვიცით, სად დაედება საზღვარი კაცობრი-ობის ახალ საუკეთესო ხანას. და თუ დავიხოცებით ამ დიად საკაცობრიო განმათავისუფლებელ ბრძოლაში, ჩვენ ადგილს სხვანი დაიჭერენ. და ჩვენ დავეცემით სინდის-დამშვიდებული, რომ შევასრულეთ ჩვენი ადამიანური ვალი და **დარწმუნე-ბულნი, რომ რაც უნდა ეცადონ და იწინააღმდეგონ საკა-ცობრიო პროგრესის მტრულმა ძალებმა, ჩვენი მიზანი მაინც მიღწეული იქნება.**

**„მომავალი ეკუთვნის სოციალიზმს, ე. ი. უპირველეს ყოვლისა მუშას და დედაკაცს“.**

# დამატება.

მარიანა ვებერი მეკამათება თავის წიგნში: „დაქორწინებული ქალი და დედა უფლების განვითარებაში“, და ამბობს ჩემ წინააღმდეგ, რომ საბერძნეთში არ ქონებია ადგილი დედის უფლებასო. ის სწერს:

„ზოგიერთი თეორეტიკოსები ფიქრობენ, რომ დედის უფლება ყველგან არსებობდა და ყველა ხალხს აქვს გამოვლილი ეს უძველესი ხანა. ასე გონია, მაგალ., ცნობილ მწერლებში ავგ. ბებელს. ჩვენ სრულიად ვერ მივიღებთ ასეთ თეორიას. ესხილის ორესტიაში ესენი ხედავენ საბუთს იმ აზრის დასამტკიცებლათ, რომ ჯერ დედის უფლება იყო გამეფებული და მერე მისი ადგილი თანდათან მამის უფლებამ დაიჭირაო. ორესტია კლავს თავის დედას აპოლოონის ჩაგონებით. ეს მკვლელობა იწვევს შურისძიებას იმ ღმერთების მხრივ, რომლებიც ძველ განწყობილებას—დედის უფლებას იცავენ. ბებელის აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ საბერძნეთში ერთ დროს დედა-შვილის ნათესაობას უფრო დიდი მნიშვნელობა ქონდა, მამა-შვილს შორის კი ვერ ხედავდენ ასეთ მჭიდრო კავშირსო. ბებელს ბევრი სხვაც ეთანხმება ამაში. ახალი ღმერთები და მათი წარმომადგენელი აპოლონი მამის უფლებას იცავენ, ორესტიას ექომაგებიან—ეს უფრო მაღალი განვითარების ნაყოფიაო, გვეუბნებიან. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ, რომ ესხილმა ისარგებლა ჰომეროსის პოემით, ეს პოემა კი რამდენიმე ასი წლის წინეთ იყო შექმნილი. იქიდან სჩანს, რომ იმ დროსაც შვილი ხშირათ ყოფილა ასეთ ტრაღიკულ მდგომარეობაში: დედა უნდა მოეკლა და ამნაირათ მოკლული მამისთვის გამოედო თავი, ეს შურისძიება შვილის აუცილებელ მოვალეობას შეადგენდა, ასე იყო მაშინდელი ღმერთებისგან დაწესებული. ჰომეროსის პოემაში ჩვენ უფრო იმის დამტკიცებას ვხედავთ, რომ ორესტიამ თავისი მამის—აგამემნონის სისხლი ამოიგო, შური იძია ეგისფიას წი-

ნააღმდეგ, რომელმაც კლიტემენესტრას დახმარებით მოკლა ეს მამა. ამავე დროს ის, მართალია, საკუთარ დედასაც კლავს, მარა ეს ისეთი უბრალო გარემოებაა, რომელზედაც ვერ დავამყარებთ ვერც ერთი კითხვის გადაჭრას". (იხ. გვ. 59).

მე უნდა შევჩერდე აქ ამ მოსაზრებაზე. ჯერ აღვნიშნავ, რომ ჩემის აზრით, დედის უფლება საბერძნეთში არსებობდა უფრო ადრე, სანამ ე. წ. გმირული ხანა დაიწყებოდა. ამას ვამტკიცებ სწორეთ ამ წიგნში (იხ. ზემოთ). იქ ნათქვამი სავსებით ეთანხმება ძველ გამოცემებს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა ძალიან ნელა, მთელი საუკუნოების განმავლობაში ხდებოდა, განვითარება ძველ დროს უფრო მძიმე ნაბიჯით მიდიოდა წინ, ვიდრე ახლა მიდის. დღეს უფრო გამწვავებული დროა, წინმსვლელობაც უფრო აჩქარებულია, თუმცა დღესაც კი სხვა-და-სხვა მოწინააღმდეგე ძალები ეღობებიან ერთმანეთს განვითარების გზაზე. გმირულ ხანაში პირველათ მოიკიდა ფეხი მამის უფლებამ საბერძნეთში. მარა დედის უფლებაც არ ყოფილა ამ დროს სავსებით გაუქმებული. აი, მაგალ. ის ადგილი ილიადაში, რომელიც ტროიას გარშემო მებრძოლ ბერძნებს შეეხება. ლიკაონი, პრიმოსის შვილი აქილესს ევედრება და სთხოვს შებრალებას:

„ნუ მომკლავ, რადგან მე არ ვარ ნამდვილი ძმა ჰექტორის, ვინაც მოგიკლა შენ მეგობარი ასე მოურიდებლათ და შეუპოვრათ".

ჰომეროსი ახალი უფლების მომხრეა. მარა როცა ის ამ თვალთახედვითი ისრით იკვლევს თავის დროის მოვლენებს, ჩვენ ახლანდელი მაგალითები გვაგონდება. ბევრია განა ისეთი პოეტი ან ისტორიკოსი, რომლებსაც უნდათ, ან შეუძლიათ ობიექტიურათ სწერონ? განა ისინი უმეტეს ნაწილათ თავისი გეგმებით, ინტერესებით არ ხელმძღვანელობენ? ჰომეროსის პოემაში, რა თქმა უნდა, ესხილი ვერ იპოვიდა მასალას ორესტიის დასახატავათ—ჰეზიოდის ნაწარმოებში კი. ეს უკანასკნელი შედარებით ახალგაზრდაა; ჰომეროსიდან ჰეზიოდამდე თითქმის ორმა ჩამომავლობამ განვლო. ჰეზიოდი თავისი თვალით

ხედავდა მის გარშემო გამწვავებულ ბრძოლას, ხედავდა, რომ ყველგან, სხვა-და-სხვა ხალხებში დედის უფლება თანდათან გზას უთმობდა მამის უფლებას. ბახოფენის აზრით, იმ დროს ჰეზიოდმა ერთ ბრძოლაში დაამარცხა ჰომეროსი. ცხადია, რომ ჰომეროსის წინააღმდეგ ჰეზიოდი ძველ წყობილებას იცავდა; ესხილმა ისარგებლა ჰეზიოდიდან ამოღებული მასალით და თავის ტრაგედიაში სინამდვილე დაგვიხატა, გაგვაცნო ერთი სიტყვით იმ დროის სქესთა მდგომარეობა. რა ვუყოთ, რომ ჰომეროსს საყურადღებოთ არ მიაჩნია ორესტიასგან საკუთარი დედის მოკვლა. დედის მოკვლას უბრალო, გვერდ ასახვევ გარემოებათ ვერ ჩავთვლით მამის უფლების მხრივ. ორესტიამ მოკლა თავისი დედა და ამით დასაჯა ის, შური იძია იმიტომ, რომ დედამ მოაკვლევინა ქმარი და მამა. ასე დაიცვა ორესტიამ შეურაცხყოფილი ქმრის და მამის სახელი. მაშინ ისეთი აღელვებული დრო იყო, რომ ჰომეროსს არ შეეძლო ამ ფაქტზე შეჩერებულიყო. ამიტომ გამოდის, რომ ის უყურადღებით სთვლის ამ გარემოებას. ჰომეროსის და ესხილ-ჰეზიოდის შეხედულებას თუ ერთმანეთს დავუპირდაპირებთ, ვნახავთ, რომ უკანასკნელი უფრო ახლო სდგას სინამდვილესთან. ობიექტიური კრიტიკა ვერ ასცდება ასეთ დასკვნას.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ილიადაში და ოდისეიაში დედაკაცი სხვა-და-სხვა გვარათ არის დაფასებული. ილიადაში დიდი პატივისცემით ეექცევიან ქალს, როგორც ცოლს და დედას. ოდისეაში კი სულ სხვას ვხედავთ. როგორ ეპყრობა, მაგალ. ტელემაკი თავის დედას პენელოპას? საქმროები გადაჭრით ეუბნებიან ტელემაკს: დედა თავიდან მოიშორე, იმას სულაც ნუ გაუგონებ და ქმრათ ის გყავდეს, ვისზედაც მამა მიგითითებსო. ეს არის სასტიკი მოქცევა დედაკაცის წინააღმდეგ.

აქედან სჩანს, რომ ოდისეა უფრო გვიან უნდა იყოს დაწერილი, ალბათ იმ დროს, როცა დედაკაცის უფლება საკმაოთ იყო დამცირებული.

(დ ა ს ა ს რ უ ლ ი).

# სარჩევი.


| | |
|---|---|
| წინასიტყვაობა—ქალთა საკითხი ჩვენში | გვერ. |
| **რ. რაჟდენიძისა.** . . . . . | I—XXVII. |
| 25-ე გამოცემის წინასიტყვაობა **ავტორისა.** | 1—25. |
| 34-ე „ „ „ | 25—27. |
| 50-ე „ „ „ | 27—31. |
| შესავალი—**ავტორისა** . . . . . | 33—41. |

**ნაწილი პირველი.**

## დედაკაცი წარსულში.


თავი I.—დედაკაცის მდგომარეობა პირველყოფილ საზოგადოებაში.

1) პირველყოფილ ისტორიის უმთავ. ხანები. 43—49.
2) ოჯახის სხვა-და-სხვა ფორმები . . 50—57.
3) დედობრივი უფლება . . . . . 57—66.

თავი II.—ბრძოლა მამობრივ და დედობრივ უფლებათა შორის.

1) მამობრივ უფლებათა დასაწყისი . . 66—74.
2) დედის უფლების ნაშთები ბერძნების მითებში და დრამებში. . . . . 74—78.
3) კანონიერი ცოლები და გეტერები ათინაში. 78—87.
4) დედის უფლების ნაშთები სხვა-და-სხვა ხალხის ზნე-ჩვეულებებში . . . . . 88—95.
5) სახელმწიფო წყობილების წარმოშობა. გვარის გაუქმება რომში . . . . . 95—103.

თავი III.—ქრისტიანობა . . . . . 103—112.

თავი IV.—დედაკაცი საშუალო საუკუნოებში.

1) ქალთა მდგომარეობა გერმანიაში . . 112—116.
2) ფეოდალიზმი და პირველი ღამის უფლება. 116—121.

3) ქალაქების აყვავება . . . . 121—128.
4) რაინდობა და ქალის პატივისცემა . . 128—132.

თავი V.—რეფორმაცია.

1) ლიუტერი. . . . . 132—139.
2) რეფორმაციის შედეგები. 30 წლის ომი . 140—144.

თავი VI.—მეთვრამეტე საუკუნე.

1) სასახლის ცხოვრება გერმანიაში . . 145—148.
2) მერკანტილიზმი და ახალი კანონმდებლობა ქორწინების შესახებ . . . . . 148—152.
3) საფრანგეთის რევოლიუცია და მსხვილი მრეწველობა . . . . . 152—154.

## ნაწილი მეორე.

## დედაკაცი აწმყოში.

თავი VII.—დედაკაცი, როგორც სქესობრივი არსება.

1) სქესობრივი ლტოლვილება . . . 155—162.
2) უქორწინობა და თვითმკვლელობის გახშირება . . . . . 162—167.

თავი VIII.—თანამედროვე ქორწინება.

1) ქორწინება, როგორც პროფესია . . 167—170.
2) დაბადებათა რიცხვის შემცირება . . 170—175.
3) ფულიანი ქორწინება, საქორწინო ბირჟები 175—183.

თავი IX. ოჯახის დარღვევა.

1) განქორწინების გახშირება . . . 184—194.
2) ბურჟუაზიული და პროლეტარული ქორწინება . . . . . 195—204.

თავი X.—ქორწინება, როგორც უზრუნველყოფილი ცხოვრერების საშუალება.

1) ქორწინებათა შემცირება . . . 204—208.
2) შვილის მოკვლა და ნაყოფის მოსპობა . 209—215.

3) აღზრდა ქორწინებისთვის . . . 215—225.
4) დღევანდელი ცოლქმრობის უვარგისობა. 225—232.
თავი XI.—დაქორწინების შანსები.
1) რაოდენობითი დამოკიდ. სქესთა შორის. 233—246.
2) ქორწინების დამაბრკოლებელი მიზეზები. დედრობითი სქესის გადაჭარბებული სიმრავლე . 246—260.
თავი XII.—პროსტიტუცია, როგორც აუცილებელი სოციალური დაწესებულება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.
1) პროსტიტუცია და სოზოგადოება . . 261—267.
2) პროსტიტუცია და სახელმწიფო . . 267—282.
3) ქალებით ვაჭრობა . . . . 282—286.
4) პროსტიტუციის ზრდა. უქორწინო დედები. 286—300.
5) დანაშაული ზნეობის წინააღმდეგ და სქესობრივი სნეულებანი . . . . . 300—306.
თავი XIII. დედაკაცი მრეწველობაში.
1) ქალთა შრომის განვითარება და გაფართოვება . . . . . 306—324.
2) გათხოვილ ქალების ფაბრიკებში მუშაობა, შინათ-მრეწველობა და ჯანმრთელობისთვის მავნებელი დარგები . . . . . 324—338.
თავი XIV.—ქალთა ბრძოლა უფლებისათვის.
1) რევოლიუცია ოჯახურ ცხოვრებაში . 339—347.
2) დედაკაცის სულიერი თვისებები . . 347—356.
3) მამაკაცის და დედაკაცის ფიზიკური და სულიერი ბუნების სხვადასხვაობა . . . 356—366.
4) დარვინიზმი და საზოგადოების მდგომარეობა . . . . . 366—372.
5) დედაკაცი და თავისუფალი პროფესიები . 373—391.
თავი XV.—ქალთა უფლებრივი მდგომარეობა.
1) ბრძოლა მოქალაქობრივ უფლებათა გათანასწორებისთვის . . . . . 392—402.
2) ბრძოლა პოლიტიკურ თანასწორობისთვის. 402—436.

## ნაწილი მესამე.

## სახელმწიფო და საზოგადოება.

თავი XVI.—კლასიური სახელმწიფო და თანამედროვე პროლეტარიატი.

1) ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება . . 437—448.
2) კლასთა წინააღმდეგობის გამწვავება . 448—453.

თავი XVII.—კონცენტრაცია კაპიტალისტურ წარმოებაში.

1) სოფლის მეურნეობის შევიწროება და მრეწველობის გაფართოვება . . . . 454—459.
2) პროლეტარიზაციის განვითარება. მსხვილ მრეწველობის გამეფება . . . . . 459—472.
3) სიმდიდრის კონცენტრაცია . . . 472—478.

თავი XVIII.—კრიზისი და კონკურენცია.

1) კრიზისის მიზეზი და შედეგები . . 478—485.
2) წვრილი ვაჭრობა და საარსებო საშუალებათა გაძვირება . . . . . 485—489.

თავი XIX.—რევოლიუცია სოფლის მეურნეობაში.

1) ოკეანის გალმა მხარის კონკურენცია . 490—493.
2) გლეხი და მსხვილი მემამულე . . 493—504.
3) წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფ. შორის. 505—510.

## ნაწილი მეოთხე.

## საზოგადოების სოციალიზაცია.

თავი XX.—სოციალური გადატრიალება.

1) საზოგადოების გარდაქმნა . . . 511—515.
2) ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია . 515—520.

თავი XXI.—სოციალისტური საზოგად. ძირითადი კანონები.

1) ყველა შრომის შემძლენი მუშაობენ . 521—528.
2) ინტერესთა სოლიდარობა . . . 528—535.

3) შრომის ორგანიზაცია . . . . 535—539.
4) შრომის ნაყოფიერების ზრდა . . 539—550.
5) გონებრივი და ფიზიკური მუშაობის შეთანხმება . . . . . 550—554.
6) მოხმარების ზრდა-განვითარება . . 554—558.
7) საყოველთაო შრომის ვალდებულება . 558—566.
8) ვაჭრობის გაუქმება. გაცვლა-გამოცვლის გარდაქმნა . . . . . 566—570.

თავი XXII.—სოციალიზმი და სოფლის მეურნეობა.

1) კერძო მიწათ-მფლობელობის გაუქმება . 570—572.
2) მელიორაცია . . . . . 572—578.
3) მიწის დამუშავების გარდაქმნა . . 578—580.
4) მსხვილი და წვრილი წარმოება. ელექტრონის ძალა მეურნეობაში . . . . 580—590.
5) მევენახეობა მომავალში . . . 591—595.
6) მიწის ნაყოფიერების შემცირება და მასთან ბრძოლა . . . . . 595—600.
7) წინააღმდეგობის მოსპობა ქალაქსა და სოფელ შორის . . . . . 601—604.

თავი XXIII.—სახელმწიფოს გაუქმება. . . 604—608.

თავი XXIV.—სარწმუნოების მომავალი . . 608—612.

თავი XXV.—აღზრდა-განათლება სოციალისტურ საზოგადოებაში. . . . . 612—626.

თავი XXVI.—ხელოვნება და მწერლობა სოციალისტურ საზოგადოებაში . . . 626—632.

თავი XXVII.—პიროვნების თავისუფალი განვითარება.

1) არსებობის უზრუნველყოფა . . . 632—635.
2) საზრდოობის გარდაქმნა . . . 635—640.
3) კომუნისტური სამზარეულო . . . 640—642.
4) შინაური ცხოვრების გარდაქმნა . . . 643—646.

თავი XXVIII.—დედაკაცი მომავალში . . 647—657.

თავი XXIX.—ინტერნაციონალიზმი . . . 657—664.

თავი XXX.—მცხოვრებთა რაოდენობის საკითხი
და სოციალიზმი.

1) მცხოვრებთა გადაჭარ. სიმრავლის შიში. 664—668.
2) გადაჭარბებულ მცხოვრებთა წარმოშობა. 668—671.
3) სიღარიბე და წარმოების ნაყოფიერება . 671—675.
4) მცხოვრებთა სიმცირე და საარსებო საშუალებათა სიმრავლე . . . . . 675—685.
5) სოციალური დამოკიდებულებანი და გამრავლების უნარი . . . . . 685—693.
დასკვნა. . . . . 693—703.
დამატება . . . . . 704—706.